Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)
http://ciml.250x.com

Georgian Section
www.joseph-stalin.net

SHMG Press – 2012
Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ბ. ბრეხტი

კაპიტალი

პროლეტარიების ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კ. მარქსი

კაპიტალი

პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა

ტომი მესამე

ნაწ. I

წიგნი III: კაპიტალის წარმოების ერთობლივი პროცესი

სახელმწიფო გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»
თბილისი 1969

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისაგან

კ. მარქსის «კაპიტალის» III ტომი ქართულ ენაზე პირველად ორ ნაწილად გამოვიდა. I ნაწილის თარგმანი ეკუთვნოდა ფ. გოგიჩაიშვილს და გამოიცა 1932 წელს, II ნაწილის თარგმანი კი შესრულებული იყო ფ. გოგიჩაიშვილის და პ. იაშვილის მიერ და გამოცემული იქნა 1934 წელს. ისე როგორც I და II ტომის თარგმანი, III ტომის ორივე ნაწილის ქართული თარგმანი შესრულებული იყო კაუცკისეული გერმანული გამოცემიდან. «კაპიტალის» III ტომის ახალ ქართულ გამოცემას, რომელიც აგრეთვე ორ ნაწილად გამოდის, საფუძვლად დაედო ამ ტომის 1932 წელს გამოცემული I ნაწილის და 1934 წელს გამოცემული II ნაწილის თარგმანი. «კაპიტალის» III ტომის ორივე ნაწილის ძველი ქართული გამოცემა არსებითად გადაამუშავა და შეასწორა ფ. ენგელსის გერმანული გამოცემის მიხედვით პ. იაშვილმა. თარგმანის გადამუშავებისას ორიგინალთან ერთად გამოყენებულ იქნა აგრეთვე ახალი რუსული გამოცემა (მოსკოვი. 1955 წ.).

«კაპიტალის» III ტომის ორივე ნაწილის რედაქცია შეასრულა საredაქციო კომისიამ დ. ლაშქარაძის (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. ფელქაძის და ნ. ქოიავას შემადგენლობით.

საკავშ. კპ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი.

წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის

როგორც იქნა მოვახერხე მარქსის მთავარი ნაშრომის ამ მესამე წიგნის, თეორიული ნაწილის დასასრულის, გამოქვეყნება. მეორე წიგნის გამოცემისას, 1885 წელს, მე ვფიქრობდი, რომ მესამე წიგნი, რა თქმა უნდა, ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი განყოფილების გამოკლებით, მხოლოდ ტექნიკურ დაბრკოლებას შემიქმნიდა. ეს ასეც იყო სინამდვილეში; მაგრამ ის სიძნელეები, რომლებსაც მთელის სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი განყოფილებები შემიქმნიდნენ, მაშინ სრულიადაც არ მქონდა გათვალისწინებული, ისევე როგორც არც ის დაბრკოლებანი გამითვალისწინებია, რომლებმაც წიგნის გამზადება ასე ძლიერ დააგვიანეს.

უწინარეს ყოვლისა და ყველაზე უფრო ხელს მიშლიდა მხედველობის მუდმივი სისუსტე, რომელსაც წლების განმავლობაში მინიმუმამდე დაჰყავდა ის სამუშაო დრო, რაც წერისათვის შემეძლო დამეთმო. და ახლაც კი მხოლოდ გამონაკლისის სახით მაძლევს ნებას ხელოვნურ განათებისას მოვკიდო ხელი კალამს. ამას დაერთო სხვა გადაუდებელი სამუშაოები: მარქსისა და ჩემი ადრინდელი ნაშრომების ახალი გამოცემები და თარგმანები, მაშასადამე, გადასინჯვა, წინასიტყვაობანი, დამატებანი, რაც ხშირად შეუძლებელი იყო საკითხის ახალი შესწავლის გარეშე, და სხვ. უწინარეს ყოვლისა, პირველი წიგნის ინგლისური გამოცემა, რომლის ტექსტისათვის საბოლოო ანგარიშით მე ვარ პასუხისმგებელი და რომელმაც, ამიტომ, ბევრი დრო წამართვა.

ვინც ოდნავ მაინც თვალყურს ადევნებდა საერთაშორისო სოციალისტური ლიტერატურის კოლოსალურ ზრდას უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში და განსაკუთრებით მარქსის და ჩემი ადრინდელი ნაშრომების თარგმანების რიცხვს, ის გაამართლებს ჩემს სიხარულს იმის გამო, რომ ძალიან შეზღუდულია იმ ენების რიცხვი, რომლებზეც თარგმნისას შემეძლო სასარგებლო ვყოფილიყავი მთარგმნელისათვის და, მაშასადამე, ვალდებული ვიყავი უარი არ მეთქვა მისი ნაშრომის გადასინჯვაზე. მაგრამ ლიტერატურის ზრდა მხოლოდ სიმპტომი იყო თვით საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესაბამისი ზრდისა. ეს კი მე ახალ მოვალეობებს მაკისრებდა. ჩვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე სხვადასხვა ქვეყნების სოციალისტებისა და მუშების ეროვნულ მოძრაობათა შორის მოსაშუალე მუშაობის კარგა დიდი ნაწილი მარქსსა და მე დაგვაწვა; მთელი მოძრაობის გაძლიერების შესაბამისად ეს მუშაობაც მატულობდა. მაგრამ თავის სიცოცხლეში ამ მიმართულებითაც მთავარ ტვირთს მარქსი ეწეოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ ეს განუწყვეტლივ მზარდი სამუშაო მარტო მე დამაწვა. ამასობაში ცალკეული ეროვნული მუშათა პარტიების უშუალო კავშირი ერთმანეთს შორის საერთო წესი გახდა და, საბედნიეროდ, დღითი-დღე უფრო ხშირი ხდება; მიუხედავად ამისა, ჩემი დახმარება მაინც გაცილებით უფრო ხშირად ხდება ხოლმე საჭირო, ვიდრე მე ამას ვისურვებდი ჩემ თეორიულ სამუშაოთა ინტერესებისთვის. მაგრამ ვინც, ჩემსავით, 50 წელზე მეტ ხანს აქტიურად მონაწილეობდა ამ მოძრაობაში, მისთვის აქედან გამომდინარე მუშაობა გადაუდებელი მოვალეობაა, რომელიც დაუყოვნებლივ შესრულებას მოითხოვს. როგორც მეთექვსმეტე საუკუნეში, ისე ჩვენს ბობოქარ ხანაშიც, წმინდა თეორეტიკოსები საზოგადოებრივ ინტერესთა სფეროში მხოლოდ რეაქციის მხარეზე მოიპოვებიან, და სწორედ ამიტომ ეს ვაჟბატონები წარმოადგენენ არა ნამდვილ თეორეტიკოსებს, არამედ ამ რეაქციის უბრალო აპოლოგეტებს.

რადგან მე ლონდონში ვცხოვრობ, ეს პარტიული ურთიერთობა ზამთარში მეტწილად წერილობით ხორციელდება, ხოლო ზაფხულობით უმრავლეს შემთხვევაში პირადად. ამის გამო და აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ მე თვალყური უნდა ვადევნო მოძრაობის მსვლელობას სხვადასხვა ქვეყანაში, რომელთა რიცხვი მუდამ იზრდება, და პრესის ორგანოებს, რომელთა რიცხვი კიდევ უფრო სწრაფად იზრდება, — ჩემთვის ისეთ სამუშაოთა შესრულება, რომელნიც შეწყვეტას არ ითმენენ, მხოლოდ ზამთარში არის შესაძლებელი, უმთავრესად წლის პირველ სამ თვეში. როდესაც ზურგზე სამოცდაათი წელიწადი

გკიდია, მეინერტის საასოციაციო ბოჭკოები ტვინისა რაღაც ფატალური სინელით მუშაობენ; ძნელი თეორიული მუშაობის შეწყვეტას უკვე ისე ადვილად და სწრაფად ვეღარ სძლევ, როგორც უწინ. ამით იყო გამოწვეული ის, რომ ერთი ზამთრის სამუშაო, თუ იგი ბოლომდე არ მქონდა მიყვანილი, შემდგომ ზამთარში მეტწილად ხელახლა უნდა გამეკეთებინა; სწორედ ასე მომივიდა განსაკუთრებით ძნელ მეხუთე განყოფილებაზე მუშაობისას.

როგორც მკითხველი შემდგომი ცნობებიდან დაინახავს, ამ წიგნის სარედაქციო მუშაობა არსებითად განსხვავდებოდა მეორე წიგნის სარედაქციო მუშაობისაგან. მესამე წიგნისთვის ხელთ მქონდა მხოლოდ ერთი, ამასთან უამრავი ხარვეზების შემცველი, თავდაპირველი მონახაზი. ჩვეულებრივ ყოველი ცალკეული განყოფილების დასაწყისი საკმაო გულდასმით იყო დამუშავებული და უმრავლეს შემთხვევაში სტილის მხრივაც გამართული. მაგრამ რაც უფრო წინ მივდიოდით, მით უფრო ესკიზური და ხარვეზიანი ხდებოდა დამუშავება, მით უფრო ხშირად ვხვდებოდით ხელნაწერში ექსკურსებს გამოკვლევის მსვლელობაში წამოჭრილი მეორეხარისხოვანი საკითხების გამო, ამასთან, მასალის საბოლოო დალაგება ავტორს გადადებული ჰქონდა შემდგომი დროისათვის; სულ უფრო გრძელი და დახლართული ხდებოდა პერიოდები, რომლებშიც in statu nascendi [წარმოშობის პროცესში] ჩაწერილი აზრები იყო გამოთქმული. ბევრ ადგილას ხელნაწერი და გადმოცემა ნათლად გვიმჟღავნებს უზომო შრომით გამოწვეული ავადმყოფობის იმ პროგრესიზმების დაწყებას და თანდათან განვითარებას, რომლებიც ავტორს დამოუკიდებელ მუშაობას ჯერ სულ უფრო და უფრო უძნელებდა და ბოლოს დროგამოშვებით სრულიად შეუძლებელს ხდიდა. და ეს არც გასაკვირია. 1863 და 1867 წლებს შორის მარქსმა არა მხოლოდ შეადგინა «კაპიტალის» ორივე უკანასკნელი წიგნი მონახაზის სახით და დაამზადა სტამბისათვის პირველი წიგნის ხელნაწერი, არამედ მუშათა ინტერნაციონალური ასოციაციის დაარსებასა და გაფართოებასთან დაკავშირებული გიგანტური სამუშაოც შეასრულა. მაგრამ ამის გამო 1864 და 1865 წლებში მარქსის ჯანმრთელობაში თავი იჩინა იმ მოშლილობის სერიოზულმა ნიშნებმა, რომლის მიზეზით II და III წიგნის დამუშავება თვითონ მან ვერ დაამთავრა.

ჩემი მუშაობა იმით დაიწყო, რომ მთელი ხელნაწერი, რომელიც ხშირად ჩემთვისაც კი ძნელად გასარჩევი იყო, ჩემი კარნახით გადავაწერინე, და ამგვარად მივიღე ადვილად წასაკითხი ასლი. უკვე მარტო ამან საკმაოდ დიდი დრო წამართვა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებო-

და ნამდვილი რედაქციის დაწყება. ეს რედაქცია მე იმით შემოვფარგლე, რაც აუცილებლად საჭირო იყო, თავდაპირველი მონახაზის ხასიათი დავიცავი შეძლებისამებრ ყველგან, სადაც აზრის გარკვეულობა ამის ნებას იძლეოდა, არ წამიშლია ცალკეული განმეორებანიც კი იქ, სადაც ისინი, როგორც ამას ჩვეულებრივ მარქსის ნაწერებში ვხვდებით, საგანს ყოველთვის ახალი მხრიდან ეხებიან ან სხვაგვარი გამოთქმებით მაინც გადმოსცემენ მას. იქ, სადაც ჩემ მიერ შეტანილი ცვლილებანი ან დამატებანი წმინდა რედაქციული ხასიათის არაა, ან სადაც მე მარქსის მიერ მოცემული ფაქტობრივი მასალა უნდა დამემუშავებინა და იქიდან საკუთარი, თუმცაღა რაც კი შეიძლებოდა მარქსისებურად გამართული, დასკვნები გამომეტანა, — იქ ყველგან მთელი ადგილი კუთხურ ფრჩხილებშია მოქცეული და ჩემი ინიციალებით არის აღნიშნული *. ჩემ მიერ გაკეთებულ სქოლიებს აქა-იქ აკლია ფრჩხილები; მაგრამ სადაც ჩემი ინიციალებია აღნიშნული, მთელი შენიშვნისათვის პასუხისმგებელი მე ვარ.

ხელნაწერში — როგორც ეს თავისთავად გასაგებია პირველი მონახაზისათვის — მოიპოვება მრავალი მითითება შემდგომში გასარკვევ პუნქტებზე, მაგრამ ეს დაპირება ყველა შემთხვევაში არაა შესრულებული. მე ეს მითითებანი შევუნარჩუნე წიგნს, რადგან ისინი გვამცნობენ ავტორის განზრახვას შემდგომი დამუშავების შესახებ.

ახლა გადავიდეთ ცალკეულ საკითხებზე.

პირველი განყოფილებისათვის მთავარი ხელნაწერის გამოყენება მხოლოდ დიდი შეზღუდვით შეიძლებოდა. მის დასაწყისშივე მოცემულია ზედმეტი ღირებულების ნორმასა და მოგების ნორმას შორის არსებული შეფარდების მთელი მათემატიკური გამოანგარიშება (რაც ჩვენს III თავს შეადგენს), მაშინ როდესაც I თავში გადმოცემული საგანი მხოლოდ შემდგომ და გაკვრით არის განხილული. ამ შემთხვევაში მოვიშველიეთ გადამუშავების ორი დასაწყისი, თითო 8 გვერდიანი in folio; მაგრამ ესენიც არაა მთლიანი კავშირის საფუძველზე დამუშავებული. იმათგან შედგება ახლანდელი I თავი; თავი II აღებულია მთავარი ხელნაწერიდან. III თავისთვის ხელთ გვქონდა მთელი რიგი დაუმთავრებელი მათემატიკური გამოანგარიშებანი, აგრეთვე ერთი მთელი, თითქმის დამთავრებული რვეული, რომელიც საამოცდაათიან წლებს ეკუთვნის და რომელშიც განტოლებათა სახით არის მოცემული ზედმეტი ღირებულების ნორმის შეფარდება მოგე-

* ამ გამოცემაში კუთხური ფრჩხილები შეცვლილია ფიგურალური ფრჩხილებით. რ ე დ.

Das Kapital.

Kritik der politischen Oekonomie.

Von

Karl Marx.

Dritter Band, erster Theil.

Buch III:
Der Gesammtprocess der kapitalistischen Produktion.
Kapitel I bis XXVIII.

Herausgegeben von Friedrich Engels.

Das Recht der Uebersetzung ist vorbehalten.

Hamburg
Verlag von Otto Meissner.
1894.

«კაპიტალის» III ტომის I ნაწილის პირველი გერმანული
გამოცემის სატიტულო ფურცელი.

(დაპატარავებულია)

ბის ნორმასთან. ჩემმა მეგობარმა სამუელ მურმა, რომელმაც აგრეთვე პირველი წიგნის დიდი ნაწილი ინგლისურად თარგმნა, იკისრა ჩემთვის ამ რვეულის დამუშავება; მას, როგორც ძველ კემბრიჯელ მათემატიკოსს, გაცილებით მეტი უნარი ჰქონდა გაეკეთებინა ეს. მისი რეზიუმედან მე შემდეგ შევადგინე III თავი, რისთვისაც აქა-იქ მთავარი ხელნაწერითაც ვისარგებლე. IV თავიდან მხოლოდ სათაურიღა აღმოჩნდა. მაგრამ რადგან აქ განხილული პუნქტი: ბრუნვის გავლენა მოგების ნორმაზე, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, — მე იგი თვითონ დავამუშავე, რის გამო ტექსტში მთელი ეს თავი ფრჩხილებშია მოქცეული. ამასთან გამოირკვა, რომ სინამდვილეში III თავის ფორმულა მოგების ნორმისათვის ერთგვარ მოდიფიკაციას საჭიროებდა, რათა საყოველთაო მნიშვნელობის მქონე გამხდარიყო. V თავიდან დაწყებული მთავარი ხელნაწერი ერთადერთი წყაროა განყოფილების დანარჩენი ნაწილისათვის, თუმცა აქაც მრავალი გადასმა და დამატება შეიქნა საჭირო.

შემდგომი სამი განყოფილებისათვის, თუ სტილისტურ რედაქციაზე არას ვიტყვი, მე შემეძლო თითქმის ყველგან ხელნაწერის დედანს მივყოლოდი. ცალკეული ადგილები, რომელნიც მეტწილად ბრუნვის ზეგავლენას შეეხებიან, დამუშავებულ იქნა ჩემ მიერ ჩართულ IV თავთან შეთანხმებულად; ეს ადგილებიც ფრჩხილებშია მოქცეული და აღნიშნულია ჩემი ინიციალებით.

მთავარ სიძნელეს ჰქმნიდა V განყოფილება, სადაც ამასთან ისეთი საგანია განხილული, რომელიც ყველაზე დახლართულია მთელ წიგნში. და სწორედ ამის დამუშავებისას მოუსწრო მარქსს მძიმე ავადმყოფობის ერთ-ერთმა პაროქსიზმმა, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ. მაშასადამე, აქ ჩვენ არა თუ დამთავრებული მონახაზი, სქემაც კი არ მოგვეპოება, რომლის მოხაზულობა შესავსები იქნებოდა, და მხოლოდ დამუშავების დასაწყისი გვაქვს, რაც ხშირად ჩანაწერების, შენიშვნების, ამონაწერების სახით მოცემული მასალის წესრიგში მოუყვანელ გროვას წარმოადგენს. თავდაპირველად მე შევეცადე ამ განყოფილებაში, როგორც ეს პირველის მიმართ რამდენადმე მოვახერხე, ხარვეზები შემევსო, გაკვრით აღნიშნულ აზრთა ნაწყვეტები დამემუშავებინა და დამესრულებინა, რათა ხსენებულ განყოფილებას დაახლოებით მაინც მოეცა ყველაფერი ის, რისი მოცემაც ავტორს ჰქონდა განზრახული. ეს მე სამჯერ მაინც ვცადე, მაგრამ — სამივეჯერ უშედეგოდ, და ამაზე დაკარგული დრო უნდა ჩაითვალოს გამოცემის დაგვიანების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად. ბოლოს, დავრწმუნდი, რომ ამ გზით საქმე ვერ გაკეთდებოდა. მე დამჭირდებოდა ამ დარგის უამრავი ლიტერა-

ტურის გაცნობა, და საბოლოოდ მოვახერხებდი რამეს, მაგრამ ეს აღარ იქნებოდა მარქსის წიგნი. სხვა არა დამრჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ ყოველგვარ ასეთ ცდაზე ხელი ამეღო, შეძლებისამებრ დავკმაყოფილებულიყავი იმის წესრიგში მოყვანით, რაც მოიპოვებოდა, და მხოლოდ ყველაზე აუცილებელი დამატებანი გამეკეთებინა. ამრიგად 1893 წლის გაზაფხულზე ამ განყოფილებაზე მუშაობა ძირითადად დავამთავრე.

ცალკეული თავებიდან XXI—XXIV თავები ძირითადად დამუშავებული იყო. XXV და XXVI თავები მოითხოვდა საილუსტრაციო მასალის გადასინჯვას და იმ მასალის ჩართვას, რომელიც სხვა ადგილას მოიპოვებოდა. XXVII და XXIX თავები შეიძლებოდა თითქმის მთლად ხელნაწერის მიხედვით დაბეჭდილიყო; პირიქით, XXVIII თავს ალაგ-ალაგ სხვაგვარად დალაგება დასჭირდა. მაგრამ ნამდვილი სიძნელე XXX თავიდან დაიწყო. აქედან დაწყებული საჭირო გახდა სათანადო წესრიგში მოყვანა არა მარტო საილუსტრაციო მასალის, არამედ თვით აზრთა მსვლელობისაც, რომელსაც ჩართული წინადადებები, გადახვევები და სხვ. ყოველ წამს წყვეტდა და რომელიც სხვა ადგილას ხშირად სრულიად გაკვრით იყო განვითარებული. ამრიგად, XXX თავი ცალკეული ნაწყვეტების გადასმისა და ამოღების გზით შედგა, ამასთან ამოღებული ნაწყვეტები გამოყენებულ იქნა სხვა ადგილას. XXXI თავი კვლავ უფრო დალაგებული ფორმით აღმოჩნდა დამუშავებული. მაგრამ ხელნაწერში შემდეგ მიდის გრძელი განყოფილება სათაურით: «არევ-დარევა» [«Die Konfusion»], რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ამონაწერებიდან შედგება; ეს ამონაწერები ამოღებულია საპარლამენტო ანგარიშებიდან 1848 და 1857 წლების კრიზისების შესახებ; ამ ანგარიშებში თავმოყრილია ოცდასამი ექსპერტის — საქმოსნების და ეკონომისტ-მწერლების — მსჯელობანი, განსაკუთრებით ფულისა და კაპიტალის, ოქროს მიქცევის, უზომო სპეკულაციისა და სხვ. შესახებ, და ამას ალაგ-ალაგ თან ახლავს მოკლე იუმორისტული კომენტარები. აქ წარმოდგენილია, როგორც დამკითხველთა, ისე დაკითხულთა მხრივ, თითქმის ყველა იმ დროს გავრცელებული შეხედულება ფულისა და კაპიტალის დამოკიდებულების შესახებ; და მარქსს უნდოდა კრიტიკულად და სატირულად განეხილა აქ გამომჟღავნებული «არევ-დარევა» იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს ფულის ბაზარზე ფულს და რა კაპიტალს. ბევრი ცდის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამ თავის შედგენა შეუძლებელია; მასალა, განსაკუთრებით როდესაც მას მარქსის კომენტარები ახლდა, გამოვიყენე სხვადასხვა ადგილას, სადაც კი აზრთა მსვლელობა ამის ნებას იძლეოდა.

შემდეგ მოდის საკმაოდ დალაგებული სახით ის, რაც XXXII თავში მოვათავსე, მაგრამ უშუალოდ ამას მოსდევს ახალი გროვა ამონაწერებისა საპარლამენტო ანგარიშებიდან ყოველგვარი საგნების შესახებ, რომლებსაც ეს განყოფილება ეხება და რომელშიც ავტორის მეტნაკლებ გრძელი თუ მოკლე შენიშვნებია შერეული. ბოლოში ამონაწერები და კომენტარები უფრო და უფრო თავს იყრის ფულადი ლითონების მოძრაობისა და სათამასუქო კურსის მერყეობის საკითხის ირგვლივ და თავდება ყოველგვარი დამატებითი შენიშვნებით. პირიქით, XXXVI თავი «კაპიტალიზმამდელი ურთიერთობის» შესახებ სავსებით დამუშავებული იყო.

ყველა ამ მასალიდან, «არევ-დარევით» დაწყებული, რამდენადაც იგი უკვე წინათ ტექსტში არ იყო მოთავსებული, მე შევადგინე XXXIII და XXXV თავები. რასაკვირველია, ეს ვერ მოხერხდა ისე, რომ კავშირის დამყარების მიზნით მნიშვნელოვანი ჩამატებანი არ შემეტანა. რამდენადაც ეს ჩამატებანი წმინდა ფორმალური ხასიათის არაა, გარკვევით აღნიშნულია, რომ ისინი მე მეკუთვნის. ამგვარად მე, როგორც იქნა, შევძელი ტექსტში მომექცია ყოველივე ის, რაც ასე თუ ისე ავტორის მსჯელობის საგანს შეადგენდა. არაფერი გამომიტოვებია, გარდა ამონაწერების მცირე ნაწილისა, რომელიც ან იმეორებდა იმას, რაც უკვე წინათ იყო ნათქვამი, ანდა ისეთ პუნქტებს ეხებოდა, რომლებსაც ხელნაწერი უფრო დაწვრილებით არ განიხილავს.

განყოფილება მიწის რენტის შესახებ გაცილებით უფრო სრულად იყო დამუშავებული, თუმცა არც ის იყო მთლიანად წესრიგში მოყვანილი, როგორც ეს უკვე იქიდან ჩანს, რომ XLIII თავში (ხელნაწერში რენტის შესახებ განყოფილების სულ ბოლო ნაწილი) მარქსი საჭიროდ თვლის მთელი განყოფილების გეგმა მოკლედ გაიმეოროს. და ეს მით უფრო სასურველი იყო გამოცემისათვის, რომ ხელნაწერი იწყება XXXVII თავით, რომელსაც მოყვება XLV—XLVII თავები, და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება XXXVIII—XLIV თავები. ყველაზე დიდი მუშაობა მოითხოვა დიფერენციული რენტა II ცხრილებმა და იმ აღმოჩენამ, რომ XLIII თავში სრულიად არ იყო გამოკვლეული ამ სახის რენტის მესამე შემთხვევა, რომელიც აქ უნდა განხილულიყო.

ამ განყოფილებისათვის, რომლის განხილვის საგანს მიწის რენტა შეადგენდა, სამოცდაათიან წლებში მარქსი სრულიად ახალ სპეციალურ შესწავლას შეუდგა. წლების განმავლობაში იგი ორიგინალში სწავლობდა რუსულ სტატისტიკურ გამოკვლევებს, რომელთა გამოცემა რუსეთში აუცილებელი შეიქნა 1861 წლის «რეფორმის» შემდეგ,

და სხვა გამოცემებს მიწათსაკუთრების შესახებ; ამ გამოკვლევებსა და ცნობებს სასურველი სისრულით აწვდიდნენ მას რუსი მეგობრები; მარქსი აგროვებდა იქიდან ამონაწერებს და განზრახვა ჰქონდა ისინი ამ განყოფილების ხელახალი დამუშავებისას გამოეყენებინა. იმ მრავალფეროვანი ფორმების გამო, რითაც ხასიათდებოდა მიწათმფლობელობა და მიწათმოქმედ მწარმოებელთა ექსპლოატაცია რუსეთში, განყოფილებაში მიწის რენტის შესახებ რუსეთს იგივე როლი უნდა შეესრულებინა, რასაც ინგლისი ასრულებდა სამრეწველო დაქირავებული შრომის გამოკვლევისას I წიგნში. სამწუხაროდ, ეს გეგმა მარქსს განუხორციელებელი დარჩა.

დასასრულ, მეწვიდე განყოფილება დამთავრებული იყო ხელნაწერის სახით, მაგრამ — მხოლოდ როგორც პირველი მონახაზი, რომლის უსასრულოდ დახლართული პერიოდები ჯერ უნდა დანაწევრებულიყო. რათა დასაბეჭდად გამომდგარიყო. უკანასკნელი თავის მხოლოდ დასაწყისი მოიპოვება. აქ განხილული უნდა ყოფილიყო შემოსავლის სამი მთავარი ფორმის — მიწის რენტის, მოგებისა და ხელფასის — შესაბამისი სამი დიდი კლასი განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოებისა: მემამულეები, კაპიტალისტები და დაქირავებული მუშები, და აუცილებლობის გზით მათ არსებობასთან დაკავშირებული კლასობრივი ბრძოლა, როგორც კაპიტალისტური პერიოდის ფაქტიურად მოცემული შედეგი. ასეთ დასკვნითს განზოგადოებებს მარქსი საბოლოო რედაქციის მომენტამდე, დასაბეჭდად გადაცემის წინა მომენტამდე გადასდებდა ხოლმე, როდესაც უახლესი ისტორიული მოვლენები ურყევი რეგულარობით და სასურველი აქტუალობით აწვდიდა მას ილუსტრაციებს მისი თეორიული დებულებებისათვის.

ციტატები და ილუსტრაციები აქ, როგორც II წიგნშიც, მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე პირველში. ციტატები I წიგნიდან მოცემულია მე-2 და მე-3 გამოცემის გვერდების აღნიშვნით*. იქ, სადაც ხელნაწერში წინანდელი ეკონომისტების თეორიულ მსჯელობებზეა მითითებული, მეტწილად მარტო სახელია ნახსენები, სათანადო ადგილები კი საბოლოო დამუშავებისას უნდა ყოფილიყო ციტირებული. რასაკვირველია, მე ეს ასე უნდა დამეტოვებინა. საპარლამენტო ანგარიშებიდან მხოლოდ ოთხია ნასარგებლევი, მაგრამ ეს ოთხი საკმაოდ ფართოდ არის გამოყენებული. ესენია შემდეგი:

---

* ამ ტომში ციტატები მოცემულია მე-4 გერმანული გამოცემის მიხედვით და სათანადო გვერდები აღნიშნულია «კაპიტალის» I ტომის 1954 წლის ქართული გამოცემიდან. რ ე დ.

1) Reports from Committees (ქვედა პალატის), ტ. VIII, Commercial Distress. ტ. II, ნაწ. I. 1847—48. Minutes of Evidence.— ციტირებულია ასე: Commercial Distress, 1847—48.

2) Secret Committee of the House of Lords on Commercial Distress 1847. Report printed 1848. Evidence printed 1857 (იმიტომ, რომ 1848 წელს იგი მეტისმეტად სახელგამტეხად იყო მიჩნეული). — ციტირებულია ასე: C. D. 1848 — 57.

3) Report: Banc Acts, 1857. — იგივე, 1858. — ქვედა პალატის კომიტეტის ანგარიშები 1844 და 1845 წლის საბანკო აქტების გავლენის შესახებ მოწმეთა ჩვენებებით. — ციტირებულია ასე: B. A. (ხან ასეც: B. C.) 1857, resp. [შესაბამისად] 1858.

მეოთხე წიგნს — ზედმეტი ღირებულების თეორიის ისტორიას—მე ხელს მოვკიდებ, როგორც კი ეს ჩემთვის რამდენადმე შესაძლებელი იქნება.

«კაპიტალის» მეორე ტომის წინასიტყვაობაში მე ანგარიშის გასწორება მომიხდა იმ ვაჟბატონებთან, რომელთაც მაშინ დიდი ღრიანცელი ატეხეს, რადგან მათი სურვილი იყო «როდბერტუსში მარქსის ფარული წყარო და მისი უბადლო წინამორბედი» აღმოეჩინათ. მე მათ შემთხვევა მივეცი დაემტკიცებინათ, თუ «რისი შესრულება შეუძლია როდბერტუსის პოლიტიკურ ეკონომიას»; მე ვიწვევდი მათ ეჩვენებინათ, თუ «რანაირად შეიძლება წარმოიქმნას და უნდა წარმოიქმნას მოგების თანატოლი საშუალო ნორმა არა მარტო ღირებულების კანონის დაურღვევლად, არამედ სწორედ ამ კანონის საფუძველზე». იმავე ვაჟბატონებს, რომელნიც მაშინ სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლით, ჩვეულებრივ კი ყოველგვარი საფუძვლით, გარდა მეცნიერულისა, როდბერტუსს უპირველესი სიდიდის ეკონომიურ ვარსკვლავად აცხადებდნენ, ამ ვაჟბატონებს, გამოუკლებლივ ყველას, პასუხი ვალად აწევთ. პირიქით, სხვებმა შრომის ღირსად მიიჩნიეს ამ პრობლემისთვის ხელის მოკიდება.

თავის კრიტიკაში II ტომის შესახებ («Conrads Jahrbücher», XI, 1885, გვ. 452 — 465) პროფესორმა ვ. ლ ე ქ ს ი ს მ ა აღძრა ეს საკითხი, თუმცა არ მოისურვა პირდაპირ გადაეწყვიტა იგი. ის ამბობს: «იმ წინააღმდეგობის» (რიკარდო-მარქსის ღირებულების თეორიასა და მოგების თანატოლ საშუალო ნორმას შორის) «ახსნა შეუძლებელია, თუ სხვადასხვა სახის საქონელი ც ა ლ-ც ა ლ კ ე იქნება განხილული და თუ მათი ღირებულება მათი საცვლელი ღირებულების თანატოლი უნდა

იყოს, ხოლო საცვლელი ღირებულება — მათი ფასის თანატოლი ან პროპორციული». ლექსისის აზრით, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ «საქონლის ცალკეულ სახეობათა მიმართ შრომით ღირებულების გაზომვაზე ავიღებთ ხელს და მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ საქონელწარმოებას მ თ ლ ი ა ნ ა დ და მის განაწილებას კაპიტალისტთა და მუშათა კლასებს შორის... ერთობლივი პროდუქტიდან მუშათა კლასი იღებს მხოლოდ გარკვეულ ნაწილს... მეორე ნაწილი, რომელიც კაპიტალისტთა კლასს უწევს, მარქსის მიხედვით, ზედმეტ პროდუქტს შეადგენს და ამიტომაც... ზედმეტ ღირებულებას. შემდეგ კაპიტალისტთა კლასის წევრები ამ ერთობლივ ზედმეტ ღირებულებას მათ მიერ დასაქმებულ მუშათა რიცხვის მიხედვით კი არ ინაწილებენ. არამედ ამ კაპიტალის სიდიდის პროპორციულად, რომელსაც თვითეული წარმოადგენს, ამასთან მიწაც ანგარიშში მიიღება როგორც კაპიტალღირებულება». მარქსის იდეალური ღირებულებანი, რომელნიც საქონელში განხორციელებული შრომის ერთეულებითაა განსაზღვრული, არ შეესაბამება ფასებს, მაგრამ ისინი შეიძლება «განხილულ იქნენ როგორც ამოსავალი პუნქტი იმ ძვრისა, რომელსაც ნამდვილ ფასებთან მივყავართ. ნამდვილი ფასები გაპირობებულია იმით, რომ ტოლი კაპიტალები ტოლ მოგებას მოითხოვენ». ამის გამო ზოგი კაპიტალისტი თავის საქონელში უფრო მაღალ ფასს მიიღებს, ზოგი კი — უფრო დაბალ ფასს, ვიდრე საქონლის იდეალური ღირებულებაა. «მაგრამ რადგან დანაკლისი და ნამატი ზედმეტი ღირებულების მხრივ კაპიტალისტთა კლასის შიგნით ერთიმეორეს აბათილებს, ამიტომ ზედმეტი ღირებულების ერთობლივი სიდიდე იგივე რჩება, როგორც იმ შემთხვევაში, თუ ყველა ფასი საქონელთა იდეალური ღირებულების პროპორციული იქნებოდა».

როგორც ვხედავთ, საკითხი აქ სრულიადაც არაა ახსნილი, მაგრამ იგი მაინც, თუმცა წყალწყალა და ზერელე სახით, საერთოდ სწორად არის დ ა ყ ე ნ ებ უ ლ ი. ეს კი მართლაც იმაზე მეტია, რისი მოლოდინიც შეგვიძლია გვქონდეს ისეთი ადამიანისაგან, ვინც, ამ ავტორის მსგავსად, თავის თავს ერთგვარი სიამაყით «ვულგარულ ეკონომისტად» წარმოგვიდგენს; ეს პირდაპირ გასაოცარია, თუ შევადარებთ იმას, რაც სხვა ვულგარულმა ეკონომისტებმა მოგვცეს და რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. მართალია, ლექსისის ვულგარული ეკონომია განსაკუთრებული სახისაა. ის ამბობს, კაპიტალის მოგება, რა თქმა უნდა, შეიძლება გამოვიყვანოთ მარქსისებურად, მაგრამ არაფერი არ გ ვ ა ი ძ უ ლ ებ ს ასეთ გაგებასო. პირიქით, ვულგარულ ეკონომიას აქვს ახსნის თავისი წესი, ყოველ შემთხვევაში უფრო დამაჯერებელი:

«კაპიტალისტური ვამყიდველები, ნედლი მასალის მწარმოებელი, მეფაბრიკე, მსხვილი ვაჭარი, წვრილი ვაჭარი მოგებას იღებენ თავიანთი საწარმოებიდან იმის გამო, რომ თვითეული უფრო ძვირად ყიდის, ვიდრე ყიდულობს, მაშასადამე, თავისი საქონლის თვითღირებულებას მაღლა სწევს განსაზღვრული პროცენტით. მარტო მუშას არ ძალუძს განახორციელოს ღირებულების ასეთი წანამატი; თავისი არახელსაყრელი მდგომარეობის გამო კაპიტალისტის მიმართ, იგი იძულებულია თავისი შრომა იმ ფასად გაყიდოს, რაც მას უღირს, სახელდობრ აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასად... ამრიგად, ფასის ეს წანამატი ინარჩუნებს თავის სრულ მნიშვნელობას მყიდველ დაქირავებულ მუშათა მიმართ და იწვევს ერთობლივი პროდუქტის ღირებულების ნაწილის გადატანას კაპიტალისტთა კლასის ხელში».

აზროვნების დიდი დაძაბვა არაა საჭირო იმის დასანახად, რომ კაპიტალის მოგების ეს «ვულგარულ-ეკონომიური» ახსნა პრაქტიკულად იმავე შედეგს იძლევა, რასაც მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორიაც; რომ, ლექსისის შეხედულების თანახმად, მუშები ისეთსავე «არახელსაყრელ მდგომარეობაში» იმყოფებიან, როგორშიც ისინი მარქსის შეხედულების თანახმად არიან; რომ ისინი სრულიად ისევე მოტყუებულნი რჩებიან, იმიტომ რომ თვითეულ არა-მუშას ფასზე მეტად შეუძლია გაყიდოს, მუშას კი არ შეუძლია; და რომ ამ თეორიის საფუძველზე ყოველ შემთხვევაში ისეთივე დასაჯერებელი ვულგარული სოციალიზმი შეიძლება აიგოს, როგორიც აქ, ინგლისში, ჯევონსმენგერის სახმარი ღირებულებისა და საზღვრითი სარგებლიანობის თეორიის საფუძველზე აგებული სოციალიზმი არის. მე ამასაც კი ვფიქრობ: ბატონ ჯორჯ ბერნარდ შოუს რომ მოგების ეს თეორია ცოდნოდა, მას შესაძლებლობა ექნებოდა ორივე ხელით ჩასჭიდებოდა ამას, ჯევონსი და კარლ მენგერი დაეთხოვნა და ამ ქვაზე ახლად აღმართა ფაბიანელთა მომავლის ეკლესია.

მაგრამ სინამდვილეში ეს თეორია მხოლოდ მარქსის თეორიის პარაფრაზია. საიდანღა იფარება ფასების ერთობლივი წანამატი? მუშების «ერთობლივი პროდუქტიდან». და ამასთან — იმის გამო, რომ საქონელი «შრომა», ანუ, როგორც მარქსი ამბობს, საქონელი სამუშაო ძალა მის ფასზე უფრო იაფად უნდა გაიყიდოს. ეს იმიტომ, რომ თუ ყველა საქონლის საერთო თვისება ისაა, რომ მათი გაყიდვა შეიძლება წარმოების ხარჯებზე უფრო ძვირად, და თუ შრომა ერთადერთი გამონაკლისია აქედან და მუდამ მხოლოდ წარმოების ხარჯების მიხედვით იყიდება, მაშინ შრომა იყიდება იმ ფასზე იაფად, რომელიც საერთო წესს შეადგენს ამ ვულგარულ-ეკონომიურ სამყაროში. დამატებითი

მოგება, რომელიც ამის გამო წილად ხვდება კაპიტალისტს, resp. [შესაბამ.] კაპიტალისტთა კლასს, სწორედ იმაში მდგომარეობს და საბოლოო ანგარიშით მხოლოდ იმის გამო შეიძლება წარმოდგეს, რომ მუშამ, თავისი შრომის ფასის ანაზღაურების კვლავწარმოების შემდეგ, კიდევ უნდა აწარმოოს პროდუქტი, რომლისთვისაც მას საფასური არ ეძლევა, — უნდა აწარმოოს ზედმეტი პროდუქტი, ფასგადაუხდელი შრომის პროდუქტი, ზედმეტი ღირებულება. ლექსისი გამოთქმათა არჩევაში უაღრესად ფრთხილი კაცია. იგი არსად არ ამბობს პირდაპირ, რომ ზემოაღნიშნული გაგება მისი საკუთარი გაგებაა; მაგრამ თუ იგი მისია, მაშინ, ცხადზე უცხადესია, ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა ერთ-ერთ იმ ჩვეულებრივ ვულგარულ ეკონომისტთან, რომელიც მისივე თქმით მარქსის თვალში «უკეთეს შემთხვევაში უიმედოდ გონებასუსტ ადამიანს» წარმოადგენს, არამედ მარქსისტთან, რომელსაც ვულგარული ეკონომისტის სამოსელი აქვს გადაცმული. წინასწარგანზრახვით მოხდა ეს გადაცმა, თუ წინასწარგანუზრახველად, ეს ფსიქოლოგიური საკითხი ჩვენ აქ არ გვაინტერესებს. იმან, ვინც ამის გამორკვევას მოისურვებდა, იქნებ ისიც გამოიკვლიოს, თუ როგორ გახდა შესაძლებელი, რომ ისეთი უეჭველად ჭკვიანი კაცი, როგორიც ლექსისია, ერთ დროს ბიმეტალიზმის მსგავსი სისულელის დამცველი იყო.

პირველი, ვინც მართლა შეეცადა საკითხზე პასუხის გაცემას, იყო დ-რ კონრად შმიდტი: «Die Durchschnittsprofitrate auf qrundlage des Marx'schen Werthgesetzes», გამოც. Dietz, Stuttgart 1889. შმიდტი ცდილობს საბაზრო ფასის ჩამოყალიბების დეტალები შეუთანხმოს როგორც ღირებულების კანონს, ისე მოგების საშუალო ნორმას. მრეწველი კაპიტალისტი იღებს თავის პროდუქტში, ჯერ ერთი, მის მიერ ავანსებული კაპიტალის ანაზღაურებას, მეორე, — ზედმეტ პროდუქტს, რომლისთვისაც მას არა გადაუხდია რა. მაგრამ, იმისათვის, რომ ზედმეტი პროდუქტი მიიღოს, მან თავისი კაპიტალი ავანსად უნდა გაიღოს წარმოებაში, ე. ი. უნდა გამოიყენოს გასაგნობრივებული შრომის განსაზღვრული რაოდენობა, რათა ამ ზედმეტი პროდუქტის მითვისება შეძლოს. მაშასადამე, კაპიტალისტისთვის ეს მის მიერ ავანსებული კაპიტალი არის გასაგნობრივებული შრომის ის რაოდენობა, რომელიც საზოგადოებრივად აუცილებელია იმისათვის, რომ მას ეს ზედმეტი პროდუქტი შეუქმნას. ასევე ითქმის ყოველ სხვა მრეწველ კაპიტალისტზეც. ხოლო რადგან ღირებულების კანონის თანახმად პროდუქტების ერთმანეთზე გაცვლა იმ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის პროპორციულად ხდება, რომელიც მათი წარმოებისთვისაა საჭირო, და რადგან კაპიტალისტისთვის მისი ზედმეტი პროდუქტის და-

КАПИТАЛЪ

КРИТИКА ПОЛИТИЧЕСКОЙ ЭКОНОМІИ

Сочиненіе

КАРЛА МАРКСА

изданное подъ редакціей Фридриха Энгельса

Переводъ съ нѣмецкаго

ТОМЪ ТРЕТІЙ

Книга III

ПРОЦЕССЪ КАПИТАЛИСТИЧЕСКАГО ПРОИЗВОДСТВА ВЗЯТЫЙ ВЪ ЦѢЛОМЪ.

С.-ПЕТЕРБУРГЪ
1896

«კაპიტალის» III ტომის I ნაწილის პირველი რუსული
გამოცემის სატიტულო ფურცელი

(დაპატარავებულია)

სამზადებლად აუცილებელი შრომა სწორედ მის კაპიტალში დაგროვილი, წარსული შრომაა, ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ ზედმეტი პროდუქტები ერთმანეთზე გაიცვლება მათი წარმოებისთვის საჭირო კაპიტალების პროპორციულად და არა მათში ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ განხორციელებული შრომის პროპორციულად. მაშასადამე, წილი, რომელიც კაპიტალის ყოველ ერთეულს უწევს, უდრის მთელი წარმოებული ზედმეტი ღირებულების ჯამს, გაყოფილს ამისათვის გამოყენებული კაპიტალების ჯამზე. ამიტომ თანატოლი კაპიტალები თანატოლ პერიოდებში თანატოლ მოგებას იძლევიან, და ეს ხორციელდება იმ გზით, რომ ზედმეტი პროდუქტის ასე გამოანგარიშებული ხარჯთფასი [Kostpreis], ე. ი. საშუალო მოგება, ფასგადახდილი პროდუქტის ხარჯთფასს წაემატება, და ორივე, ფასგადახდილი და ფასგადაუხდელი პროდუქტი, ამ აწეული ფასის მიხედვით გაიყიდება. მყარდება მოგების საშუალო ნორმა, თუმცა, როგორც შმიდტი ფიქრობს, ცალკეულ საქონელთა საშუალო ფასები ღირებულების კანონის თანახმად განისაზღვრება.

ეს კონსტრუქცია უაღრესად მახვილგონივრულია, მთლად ჰეგელის ყაიდაზეა, მაგრამ ჰეგელის მეტწილ დებულებებთან მას ის აქვს საერთო, რომ უმართებულოა. ზედმეტი პროდუქტი თუ ფასგადახდილი პროდუქტი არავითარ განსხვავებას არ იძლევა: თუ ღირებულების კანონს საშუალო ფასებისთვისაც უნდა ჰქონდეს უ შ უ ა ლ ო მნიშვნელობა, მაშინ როგორც ერთი, ისე მეორე პროდუქტიც იმ საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის პროპორციულად უნდა იყიდებოდეს, რომელიც საჭიროა მის დასამზადებლად და მასზე დაიხარჯა. ღირებულების კანონი იმთავითვე მიმართულია წარმოდგენის კაპიტალისტური წესიდან გადმოღებული შეხედულების წინააღმდეგ, რომ ვითომ დაგროვილი წარსული შრომა, რომლისგანაც კაპიტალი შედგება, არის არა მარტო მზამზარეული ღირებულების განსაზღვრული ჯამი, არამედ, როგორც წარმოების ფაქტორი და მოგების წარმოშობის ფაქტორი, არის აგრეთვე ღირებულების შემქმნელი, მაშასადამე, — წყარო იმაზე მეტი ღირებულებისა, ვიდრე თვით მას გააჩნია. ღირებულების კანონი მტკიცედ ადგენს, რომ ეს თვისება მხოლოდ ცოცხალ შრომას ეკუთვნის. კაპიტალისტები რომ მათი კაპიტალების სიდიდის პროპორციულად თანატოლ მოგებას ელოდებიან, მაშასადამე, მათ მიერ ავანსებულ კაპიტალს ისე რომ უცქერიან, როგორც ერთგვარ ხარჯთფასს მოგების მისაღებად, — ეს ცნობილი ამბავია. მაგრამ როდესაც შმიდტი ამ წარმოდგენით სარგებლობს, რათა მისი საშუალებით ღირებულების კანონს შეუთანხმოს მოგების საშუალო ნორმის მიხედვით გამოანგარიშებულ-

ფასები, იგი ამით აუქმებს თვით ღირებულების კანონს, რადგან ამ უკანასკნელთან თანაგანმსაზღვრელი ფაქტორის სახით ისეთ წარმოდგენას აკავშირებს, რომელიც მთლიანად ეწინააღმდეგება ამ კანონს.

ან დაგროვილი შრომა ცოცხალ შრომასთან ერთად ქმნის ღირებულებას. ამ შემთხვევაში ძალაში არაა ღირებულების კანონი.

ანდა იგი არ ქმნის ღირებულებას. მაშინ შმიდტის არგუმენტები შეუთავსებელია ღირებულების კანონთან.

შმიდტმა სწორ გზას გადაუხვია იმ მომენტში, როცა უკვე ძალიან ახლოს იყო ამოცანის ამოხსნასთან, რადგან იგი ფიქრობდა, რომ აუცილებელი იყო ისეთი მათემატიკური ფორმულის პოვნა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა დაემტკიცებინა ყოველი ცალკეული საქონლის საშუალო ფასის შესაბამისობა ღირებულების კანონთან. მაგრამ თუ იგი აქ, მიზანთან მთლად ახლოს მყოფი, მცდარ გზას გაჰყვა, — მისი ბროშურის დანარჩენი შინაარსი გვიჩვენებს, რა გაგებით გამოიყენა მან შემდგომი დასკვნები «კაპიტალის» პირველი ორი წიგნიდან. მას ეკუთვნის ის პატივი, რომ დამოუკიდებლად აღმოაჩინა და სწორად ახსნა მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია, რაც მანამდე აუხსნელი იყო; ეს ის ახსნაა, რომელიც მარქსმა მესამე წიგნის მესამე განყოფილებაში მოგვცა; მისი დამსახურებაა აგრეთვე სავაჭრო მოგების გამოყვანა სამრეწველო ზედმეტი ღირებულებიდან და მთელი რიგი შენიშვნები სარგებლისა და მიწის რენტის შესახებ, რითაც წინასწარ განჭვრეტილია საკითხები, რომლებიც მარქსს მესამე წიგნის მეოთხე და მეხუთე განყოფილებებში აქვს განვითარებული.

ერთ შემდგომდროინდელ ნაშრომში («Neue Zeit», 1892 — 1893. №№ 3 და 4) შმიდტი სხვა გზით ცდილობს პრობლემის გადაწყვეტას. ეს გზა შემდეგში მდგომარეობს: მოგების საშუალო ნორმას კონკურენცია ამყარებს კაპიტალის გადასვლით წარმოების იმ დარგებიდან, რომლებიც არასაკმაო მოგებას იძლევიან, ისეთ დარგებში, სადაც ჭარბი მოგება მიიღება. კონკურენცია რომ მოგებათა დიდი გამათანაბრებელია, — ეს ახალი არ არის. მაგრამ შმიდტი ცდილობს ცხადყოს, რომ მოგებათა ეს გათანაბრება იგივეა, რაც მოჭარბებულად წარმოებულ საქონელთა გასაყიდი ფასის დაყვანა იმ ღირებულებითს ზომაზე [Wertmaß] რაც საზოგადოებას შეუძლია გადაიხადოს მათში ღირებულების კანონის თანახმად. თუ რატომ არ შეეძლო ამასაც მიზანთან მიეყვანა შმიდტი, ეს საკმაოდ ნათლად ჩანს მარქსის განმარტებებიდან თვით წიგნში.

შმიდტის შემდეგ პრობლემას ხელი მოჰკიდა პ. ფ ი რ ე მ ა ნ მ ა («Conrads Jahrbücher», dritte Folge 1892, III, გვ. 793). მე არ შევ-

ჩერდები მის შენიშვნებზე მარქსის გადმოცემის სხვა მხარეების შესახებ. ეს შენიშვნები დამყარებულია იმ გაუგებრობაზე, რომ თითქოს მარქსი განსაზღვრას იძლეოდეს იქ, სადაც იგი სინამდვილეში არკვევს, და რომ თითქოს შეიძლებოდეს საერთოდ მარქსთან ვეძიოთ მყარი, მზამზარეული, ერთხელ და სამუდამოდ გამოსადეგი განსაზღვრანი. ეს ხომ თავისთავად გასაგებია, რომ როდესაც საგნები და მათი ურთიერთმიმართება განიხილება არა როგორც მყარი, არამედ როგორც ცვალებადი მოვლენები, მაშინ მათი აზროვნებითი ასახულობაც, ცნებებიც, აგრეთვე ცვლილებასა და გარდაქმნას ექვემდებარებიან; მათ გაქვავებულ განსაზღვრებებში კი არ მოათავსებენ, არამედ განიხილავენ მათი წარმოქმნის ისტორიულ, resp. [შესაბამის.] ლოგიკურ, პროცესში. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ცხადი იქნება, თუ რატომ იწყებს მარქსი პირველი წიგნის თავშივე, სადაც იგი გამოდის მარტივი საქონელწარმოებიდან, — რაც მისთვის ისტორიულ წანამძღვარს შეადგენს, — რათა შემდგომ ამ ბაზისიდან კაპიტალთან მივიდეს, — რატომ იწყებს სწორედ აქ უბრალო საქონლიდან და არა ლოგიკურად და ისტორიულად მეორადი ფორმიდან, უკვე კაპიტალისტურად სახეშეცვლილი საქონლიდან; ფირემანს ეს, რასაკვირველია, ვერასგზით ვერ გაუგია. ეს და სხვა მეორეხარისხოვანი საგნები, რომლებიც კიდევ ზოგი შენიშვნების საბაბს მოგვცემდა, ჩვენ ვამჯობინეთ მხედველობის გარეშე დაგვეტოვებინა და პირდაპირ საქმის დედაარსზე გადავსულიყავით. მაშინ როდესაც თეორია ფირემანს იმას ასწავლის, რომ ზედმეტი ღირებულება, ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის პირობებში, გამოყენებულ სამუშაო ძალთა რიცხვის პროპორციულიაო, გამოცდილება იმას უჩვენებს, რომ მოგება, მოგების მოცემული საშუალო ნორმის პირობებში, გამოყენებული ერთობლივი კაპიტალის სიდიდის პროპორციულია. ამას ფირემანი იმით ხსნის, რომ მოგება მხოლოდ პირობითი მოვლენაა (მისთვის ეს ნიშნავს მოვლენას, რომელიც განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმაციას ეკუთვნის, მასთან ერთად არსებობს და მასთან ერთად ისპობა); მისი არსებობა დაკავშირებულია მხოლოდ კაპიტალთან; ამ უკანასკნელს, თუ იგი საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ მოგება ჩაიჯიბოს, კონკურენცია აიძულებს მოგების ისეთი ნორმა ჩაიჯიბოს, რომელიც ყველა კაპიტალისთვის თანატოლია. მოგების თანატოლი ნორმის გარეშე კაპიტალისტური წარმოება პირდაპირ შეუძლებელია; თუ წარმოების ამ ფორმას ვიგულისხმებთ, მაშინ ყოველი ცალკეული კაპიტალისტისთვის მოგების მასა, მოგების მოცემული ნორმის პირობებში, შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ მისი კაპიტალის სიდიდეზე. მეორე მხრივ, მოგება შედგება ზედმეტი ღირებულე-

ბისგან, ვადაუხდელი შრომისგან. როგორღა გარდაიქმნება აქ ზედმეტი ღირებულება, რომლის სიდიდეს შრომის ექსპლოატაცია განსაზღვრავს, მოგებად, რომლის სიდიდეს ამისთვის საჭირო კაპიტალის სიდიდე განსაზღვრავს? «უბრალოდ იმით, რომ წარმოების ყველა დარგში, სადაც შეფარდება... მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის უდიდესია, საქონელს ყიდიან მის ღირებულებაზე მაღლა, ხოლო ეს აგრეთვე იმას ნიშნავს, რომ წარმოების იმ დარგებში, სადაც მუდმივი კაპიტალის შეფარდება ცვალებადთან = c : v უმცირესია, საქონელს ყიდიან მის ღირებულებაზე დაბლა, და რომ მხოლოდ იქ, სადაც შეფარდება c : v განსაზღვრულ საშუალო სიდიდეს გამოხატავს, საქონელთა გასხვისება ხდება მათი ჭეშმარიტი ღირებულების მიხედვით... განა ცალკეული ფასების ეს დაუმთხვევლობა მათს სათანადო ღირებულებებთან ღირებულების პრინციპის გაბათილებას ნიშნავს! სრულიადაც არა. ვინაიდან: იმის გამო, რომ ზოგ საქონელთა ფასები ღირებულებაზე მაღლა იწევს იმდენად, რამდენადაც სხვა საქონელთა ფასები მათს ღირებულებაზე დაბლა იწევს, ფასების საერთო ჯამი ღირებულებათა ჯამის თანასწორი რჩება... საბოლოოდ ეს დაუმთხვევლობა ქრება». ასეთი თანაუმთხვევადობა წარმოადგენს «დარღვეულობას» [«Störung»]; «მაგრამ ზუსტ მეცნიერებებში იმ დარღვეულობას, რომლის წინასწარ გათვალისწინება შესაძლებელია, ჩვეულებრივ არასოდეს არ თვლიან კანონის გაბათილებად» [გვ. 806 და 808].

შეადარეთ ამას IX თავის სათანადო ადგილები და თქვენ ნახავთ, რომ ფირემანმა მართლაც მიაგნო გადამწყვეტ პუნქტს. მაგრამ თუ რაოდენ ბევრი შუალედი რგოლი იყო კიდევ საჭირო ამ აღმოჩენის შემდეგაც, რათა ფირემანს პრობლემა სავსებით ცხადად აეხსნა, — ამას ამტკიცებს ის დაუმსახურებლად გულცივი მიღება, რაც მისმა ესოდენ მნიშვნელოვანმა სტატიამ ჰპოვა. თუმცა პრობლემა ბევრს აინტერესებდა, მაგრამ ყველა შიშობდა მასზე ხელი არ დაეწვა. ეს კი აიხსნება არა მარტო იმ დაუმთავრებელი ფორმით, რომელშიაც ფირემანმა თავისი აღმოჩენა დატოვა, არამედ იმ უცილობელი ნაკლითაც, რაც თან ახლავს მარქსის გადმოცემის გაგებას მის მიერ და ამ გაგებაზე დამყარებულ საკუთარ ზოგად კრიტიკას.

სადაც კი შემთხვევა იქნება, რომ ადამიანმა რაიმე ძნელ საქმეში თავი შეირცხვინოს, იქ ყოველთვის გამოჩნდება ციურიხელი პროფესორი ბატონი ი უ ლ ი უ ს ვ ო ლ ფ ი. მთელი პრობლემა, მოგვითხრობს იგი («Conrads Jahrbücher», 1891, dritte Folge, II, გვ. 352 და შემდ.), გადაწყვეტილია შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების შემწეობით. შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოება დამყარე-

ბულია მუდმივი კაპიტალის გადიდებაზე ცვალებადთან შედარებით. მუდმივი კაპიტალის მატება გულისხმობს მუშების შრომის ნაყოფიერების მატებას. მაგრამ რადგან შრომის ნაყოფიერების ეს მატება (მუშის ცხოვრების გაიაფების გზით) იწვევს ზედმეტი ღირებულების მატებას, ამიტომ მყარდება პირდაპირი დამოკიდებულება ზედმეტი ღირებულების ზრდასა და ერთობლივ კაპიტალში მუდმივი კაპიტალის წილის ზრდას შორის. მუდმივი კაპიტალის გადიდება მოწმობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ამიტომ, მარქსის თანახმად, ცვალებადი კაპიტალის უცვლელობისას და მუდმივი კაპიტალის ზრდისას ზედმეტი ღირებულება უნდა იზრდებოდეს. ეს საკითხი გვქონდა ჩვენ მოცემული» (გვ. 358).

მართალია, მარქსი პირველი წიგნის მრავალ ადგილას ამბობს პირდაპირ ამის საწინააღმდეგოს; მართალია, მტკიცება, თითქოს მარქსის თანახმად ცვალებადი კაპიტალის კლებისას შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება ისეთივე პროპორციით იზრდება, როგორითაც იზრდება მუდმივი კაპიტალი, — ისე. გასაოცარია, რომ მისთვის პარლამენტური გამოთქმის მონახვა ძნელია; მართალია, ბატონი იულიუს ვოლფი ყოველ სტრიქონში ამტკიცებს, რომ მას არც შეფარდებით და არც აბსოლუტურად არა გაუგია რა არც აბსოლუტურ და არც შეფარდებით ზედმეტ ღირებულებაში; მართალია, იგი თვითონვე ამბობს: «ერთის შეხედვით ისე გვეჩვენება, რომ აქ ჭეშმარიტად შეუსაბამობათა სამფლობელოში ვიმყოფებითო» (გვ. 361), რაც — გაკვრით შევნიშნავთ— ერთადერთი სიმართლეა მთელს მის სტატიაში. მაგრამ მერე რა? ბატონი იულიუს ვოლფი ისე ამაყობს თავისი გენიალური აღმოჩენით, რომ არ შეუძლია თავი შეიკავოს და მარქსს სიკვდილის შემდეგ ხოტბას ასხამს და აქებს თავის საკუთარ უზომო უაზრობას როგორც იმ «გამჭრიახობისა და შორსმჭვრეტელობის ახალ დამტკიცებას, რომლითაც აგებულია მისი (მარქსის) კრიტიკული სისტემა კაპიტალისტური მეურნეობისა»!

მაგრამ შემდეგ კიდევ უკეთესს ვხედავთ: ბატონი ვოლფი ამბობს: «რიკარდომ წამოაყენა ორი დებულება. ჯერ ერთი: თანატოლი კაპიტალის დახარჯვა — თანატოლი ზედმეტი ღირებულება (მოგება), მეორე: შრომის თანატოლი დახარჯვა — თანატოლი ზედმეტი ღირებულება (მასის მიხედვით). და საკითხი მაშინ ის იყო, თუ როგორ ეგუება ეს ერთიმეორეს. მაგრამ მარქსი არ სცნობდა საკითხის ამგვარ დაყენებას. მ ა ნ (მ ე ს ა მ ე ტ ო მ შ ი) უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ც ხ ა დ ყ ო, რომ მეორე მტკიცება არ შეადგენს ღირებულების კანონის აუცილებელ შედეგს, რომ იგი მის ღირებულების კანონს ეწინააღმდეკება კიდეც

და, მაშასადამე... პირდაპირ უკუგდებულ უნდა იქნეს» (გვ. 366). და შემდეგ ვოლფი იკვლევს, ვინ ცდებოდა ჩვენ ორში, მე თუ მარქსი, თვითონ რომ ცდებოდა, ამაზე იგი, რასაკვირველია, არ ფიქრობს.

ამ დიდებული ადგილის გამო თუნდაც ერთი სიტყვის თქმა რომ მომენდომებია, ეს იქნებოდა ჩემი მკითხველების შეურაცხყოფა და მდგომარეობის მთელი კომიზმის გაუგებლობა. დავუმატებ მხოლოდ შემდეგს: იმავე გაბედულებით, რა გაბედულებითაც მას მაშინ შეეძლო ეთქვა, «მარქსმა მესამე ტომში უეჭველად დაამტკიცაო», იგი სარგებლობს შემთხვევით გვაცნობოს პროფესორების ჭორი იმის შესახებ, რომ კონრად შმიდტის ზემოაღნიშნული ნაწერი ვითომ „პირდაპირ ენგელსის მიერ არის შთაგონებული» (გვ. 366). ბატონო იულიუს ვოლფ! იმ წრეში, რომელშიაც თქვენ ცხოვრობთ და მოქმედებთ, იქნებ მიღებული იყოს, რომ კაცი, რომელიც სხვების წინაშე საჯაროდ აყენებს პრობლემას, ამ პრობლემის ახსნას ჩუმად ატყობინებდეს თავის პირად მეგობრებს. თქვენ რომ ამის უნარი გაქვთ, მე ეს სავსებით მჯერა. ხოლო იმ წრეში, რომელშიც მე ვტრიალებ, ასეთ სიმდაბლემდე ჩამოქვეითება რომ საჭირო არაა, ამას ეს წინასიტყვაობაც დაგიმტკიცებთ.

მარქსი ის-ის იყო გარდაიცვალა, რომ ბატონმა ა ხ ი ლ ლ ო რ ი ა მ სასწრაფოდ გამოაქვეყნა სტატია მის შესახებ «Nuova Antologia»-ში (აპრილი 1883 წ.): ჯერ მცდარი ცნობებით გავსებული ბიოგრაფია, შემდეგ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწეობის კრიტიკა. ისტორიის მატერიალისტური გაგება მარქსისა ისეთი რიხით არის აქ გაყალბებული და დამახინჯებული, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიცნოთ დიდი მიზანი. და ეს მიზანი მიღწეულ იქნა: 1886 წელს იმავე ბატონმა ლორიამ გამოაქვეყნა წიგნი: «La teoria economica della constituzione politica», სადაც თავის საკუთარ აღმოჩენად ამცნო გაოცებულ თანამედროვეებს მარქსის ისტორიული თეორია, რომელიც მან 1883 წელს ისე მთლიანად და ისე განზრახ დაამახინჯა. რასაკვირველია, მარქსის თეორია აქ საკმაოდ ფილისტერულ დონეზეა ჩამოყვანილი; ისტორიული ილუსტრაციები და მაგალითებიც სავსეა შეცდომებით, რომლებიც მეოთხე კლასის მოწაფესაც კი არ ეპატიება; მაგრამ რა ვუყოთ მერე? ის, რომ ყველგან და ყოველთვის პოლიტიკური მდგომარეობა და მოვლენები შესაბამის ეკონომიურ მდგომარეობაში პოულობენ თავის ახსნა-განმარტებას, — ეს, როგორც ამ წიგნით მტკიცდება, მარქსს კი არ აღმოუჩენია 1845 წელს, არამედ ბატონ ლორიას — 1886 წელს. ყოველ შემთხვევაში მან ეს ჩააგონა თავის თანამემამულეებს, ხოლო მისი წიგნის

ფრანგულად გამოსვლის, შემდეგ — ზოგიერთ ფრანგსაც, და ახლა შეუძლია იტალიაში იმედიდეროს როგორც ეპოქის შემქმნელი ისტორიული თეორიის ავტორმა, ვიდრე იქაური სოციალისტები დროს არ იშოვნიან, რათა illustre Loria-ს ნაქურდალი ფარშავანგის ფრთები ჩამოჰგლიჯონ.

მაგრამ ეს ბატონი ლორიას ფანდების მხოლოდ ერთი პატარა ნიმუშია. იგი გვარწმუნებს, რომ მარქსის ყველა თეორია დამყარებულია შ ე გ ნ ე ბ უ ლ სოფიზმზე (un consaputo sofisma); რომ მარქსი უკან არ იხევდა პარალოგიზმების წინაშე, მაშინაც კი, როდესაც იგი მ ა თ ა ს ე თ ე ბ ა დ ს ც ნ ო ბ დ ა (sapendoli tali) და სხვ. და მას შემდეგ, რაც მან მთელი რიგი ასეთი უხამსი ბუზღუნით თავის მკითხველებს ჩააგონა ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მათ მარქსი კარიერისტად მიაჩნდეთ, á la Loria, კარიერისტად, რომელიც თავის პაწია ეფექტებს იმავე პაწია, უხამსი, გაიძვერული საშუალებებით აღწევს, როგორც ჩვენი პადუელი პროფესორი, — ყოველივე ამის შემდეგ მას ახლა შეუძლია მნიშვნელოვანი საიდუმლოება ამცნოს მათ, და ამით იგი ჩვენც უკან გვაბრუნებს მოგების ნორმასთან.

ბატონი ლორია ამბობს: მარქსის თანახმად, კაპიტალისტურ სამრეწველო საწარმოში წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა (ზედმეტ ღირებულებას აქ ბატონი ლორია აიგივებს მოგებასთან) დამოკიდებულია მასში გამოყენებულ ცვალებად კაპიტალზე, რადგან მუდმივი კაპიტალი არავითარ მოგებას არ იძლევა. მაგრამ ეს ეწინააღმდეგება სინამდვილეს, იმიტომ რომ პრაქტიკაში მოგება დამოკიდებულია არა ცვალებად კაპიტალზე, არამედ მთელ კაპიტალზე. და მარქსი თვითონ ხედავს ამას (წიგნი I, თავი XI) და აღიარებს, რომ ფაქტები მოჩვენებითად ეწინააღმდეგება მის თეორიას. მაგრამ როგორ ხსნის იგი ამ წინააღმდეგობას? იგი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ შემდგომ ტომზე მიუთითებს თავის მკითხველებს. ამ ტომის შესახებ ბ-ნმა ლორიამ უკვე წინათ უთხრა თ ა ვ ი ს მკითხველებს: არ მჯერა, რომ მარქსს თუნდაც ერთი წუთიც ეფიქროს იმის დაწერაზეო, და ახლა იგი ზეიმით გაიძახის: «მე სამართლიანად ვამტკიცებდი, რომ ეს მეორე ტომი, რომლითაც მარქსი მუდამ ემუქრება თავის მოწინააღმდეგეებს და რომელიც არასოდეს არ გამოქვეყნდება, რომ ეს ტომი, უნდა წარმოადგენდეს იმ ეშმაკურ ხერხს თავის დასაღწევად, რასაც მარქსი მიმართავდა ხოლმე იმ შემთხვევებში, როდესაც მას მეცნიერული არგუმენტები გამოელეოდაო (un ingegnoso spediente ideato dal Marx a sostituzione degli argomenti scientifici)» და ვინც ახლა არ

დარწმუნდა, რომ მარქსი მეცნიერული თაღლითობის იმავე სიმაღლეზე დგას, როგორც l'illustre Loria, იმას აღარაფერი ეშველება.

ამრიგად, ჩვენ ჯერჯერობით შემდეგი გავიგეთ: ბატონ ლორიას აზრით მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორია აბსოლუტურად შეუთავსებელია მოგების საერთო თანატოლი ნორმის ფაქტთან. მაგრამ, აი, გამოვიდა მეორე წიგნი და მასთან ერთად ჩემ მიერ საჯაროდ დასმული კითხვა სწორედ ამ პუნქტის შესახებ. ბატონი ლორია რომ ერთი ჩვენგანი. მორცხვი გერმანელი, ყოფილიყო, ერთგვარ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა. მაგრამ იგი გაბედული სამხრეთელი, ცხელი ჰავის შვილია, სადაც, როგორც მას შეუძლია გვიმტკიცოს, ურცხვობა ეროგვარად ბუნებრივ პირობას წარმოადგენს*. საკითხი მოგების ნორმის შესახებ საჯაროდ არის დასმული. ბატონმა ლორიამ საჯაროდ განაცხადა, მისი ახსნა შეუძლებელიაო. და სწორედ ამიტომ იგი ახლა თავის თავს აჭარბებს, როცა ამ საკითხს საჯაროდ წყვეტს.

ეს სასწაული მოხდა «Conrads Jahrbücher»-ში, neue Folge, ტ. XX [1890], გვ. 272 და შემდ., სტატიაში კონრად შმიდტის ზემოაღნიშნული ნაშრომის შესახებ. მას შემდეგ, რაც მან შმიდტისაგან გაიგო, როგორ წარმოდგება სავაჭრო მოგება, მისთვის ყველაფერი ერთბაშად ნათელი გახდა. «რადგან ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრა უპირატესობას აძლევს იმ კაპიტალისტებს, რომელნიც თავიანთი კაპიტალის უდიდეს ნაწილს ხელფასში აბანდებენ, ამიტომ არამწარმოებლურ» (უნდა იყოს: სავაჭრო) «კაპიტალს შეუძლია აიძულოს ის კაპიტალისტები, რომლებიც ამ უპირატესობას იყენებენ, გადაუხადონ მას უფრო მაღალი სარგებელი» (უნდა იყოს: მოგება) «და გამოიწვიოს თანატოლობა ცალკეულ მრეწველ კაპიტალისტთა შორის... ასე, მაგალითად, თუ მრეწველი კაპიტალისტები *A*, *B*, *C* თვითეული ას-ას სამუშაო დღეს და, შესაბამისად, 0, 100 და 200 მუდმივ კაპიტალს ხმარობენ წარმოებაზე, ხოლო ხელფასი 100 სამუშაო დღისთვის 50 სამუშაო დღეს შეიცავს, მაშინ თვითეული კაპიტალისტი მიიღებს 50 სამუშაო დღის ზედმეტ ღირებულებას და მოგების ნორმა პირველი კაპიტალისტისთვის იქნება 100%, მეორისთვის — 33,3% და მესამისთვის — 20%. მაგრამ, თუ მეოთხე კაპიტალისტი *D* 300 რაოდენობით დააგროვებს არამწარმოებლურ კაპიტალს, რომელიც *A* კაპიტალისტისაგან «40 სამუშაო დღის ღირებულების სარგებელს (მოგებას) მოითხოვს და *B* კაპიტალისტისაგან 20 სამუშაო დღის ღირებულების სარგებელს,

* სიტყვათა თამაშია, რომელიც არ ითარგმნება: **Unverfrorenheit** ნიშნავს «ურცხვობასაც» და «გაუყინაობასაც». რ ე დ.

მაშინ *A* და *B* კაპიტალისტების მოგების ნორმა 20%-დე, *C* კაპიტალისტის მოგების ნორმამდე დაიწევს, და *D* მიიღებს 300 ოდენობის კაპიტალით მოგებას 60-ს, ე. ი. დანარჩენი კაპიტალისტების მსგავსად იგიც 20% მოგების ნორმას მიიღებს».

ასეთი გასაოცარი მოხერხებით, ერთი ხელის მოსმით, წყვეტს I'illustre Loria იმ საკითხს, რომლის გადაჭრაც მას ათი წლის წინათ შეუძლებლად მიაჩნდა. სამწუხაროდ, მან არ გაგვიმჟღავნა საიდუმლოება: საიდან ღებულობს «არამწარმოებლური კაპიტალი» ძალას იმისათვის, რომ არათუ გამოსტაცოს მრეწველებს მათი ნამეტი მოგება, რომელიც მოგების საშუალო ნორმას აღემატება, არამედ შეინარჩუნოს კიდეც იგი ჯიბეში სრულიად ისე, როგორც მიწის მესაკუთრე იდებს ჯიბეში მიწის რენტის სახით მოიჯარის დამატებით მოგებას. მართლაც, ვაჭრები ამ შემთხვევაში მიწის რენტის სრულიად ანალოგიურ ხარკს აიღებდნენ მრეწველებისგან და მით მოგების საშუალო ნორმას დაამყარებდნენ. რასაკვირველია, სავაჭრო კაპიტალი, როგორც ეს საკმაოდ ცნობილია ყველასთვის, მეტად არსებითი ფაქტორია მოგების საერთო ნორმის დამყარებაში. მაგრამ მხოლოდ ლიტერატურულ ავანტიურისტს, რომელსაც ჩირადაც არ უღირს მთელი პოლიტიკური ეკონომია, შეუძლია ამტკიცოს, თითქოს სავაჭრო კაპიტალს ისეთი ჯადოსნური ძალა ჰქონდეს, რომ ნთქავდეს მთელ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც მოგების საერთო ნორმას აღემატება, და ამასთან ნთქავდეს მანამდე, ვიდრე ასეთი ნორმა დამყარდებოდეს, და გადააქცევდეს მას მიწის რენტად, თანაც ისე, რომ ამისთვის მას არავითარი მიწის საკუთრება არ სჭირდებოდეს. არანაკლებ საკვირველია მტკიცება, თითქოს სავაჭრო კაპიტალი ახერხებს იმ მრეწველების აღმოჩენას, რომელთა ზედმეტი ღირებულება სწორედ მოგების საშუალო ნორმას ფარავს მხოლოდ, და თავისთვის სასახელოდ მიაჩნია მარქსის ღირებულების კანონის ამ უბედურ მსხვერპლთ რამდენადმე შეუმსუბუქოს ხვედრი იმით, რომ მათს პროდუქტებს იგი განსაკუთრებულ გასამრჯელოს აუღებლად გაჰყიდის, საკომისიო გასამრჯელოს აუღებლადაც კი. რა ოინბაზი უნდა იყოს ადამიანი, რომ აზრად მოუვიდეს, ვითომ მარქსს ესაჭიროებოდა ასეთი უბადრუკი ფოკუსები.

ჩვენი I'illustre Loria მთელი თავისი სახელით და დიდებით მხოლოდ მაშინ ბრწყინავს, როდესაც მას ვადარებთ მის ჩრდილოელ კონკურენტებს, მაგალითად, ბატონ იულიუს ვოლფს, რომელიც ასევე გუშინდელი დღიდან როდია ცნობილი. რაოდენ წვრილფეხა მროშავად მოჩანს იტალიელის გვერდით ვოლფი თავის სქელ წიგნშიაც კი: «Sozialismus und kapitalistische Gesellschaftsordnung»! როგორ

უმწეოა, კინაღამ ვთქვი, როგორ თავმდაბალია იგი იმ კეთილშობილურ კადნიერებასთან შედარებით, რომლითაც მაესტრო ასაღებს — როგორც თავისთავად საგულისხმოს, — თითქოს მარქსი — არც მეტი, არც ნაკლები—ისეთივე ადამიანი იყო, როგორც ყველა სხვა, სრულიად ისეთივე შეგნებული სოფისტი, პარალოგისტი, ტრაბახა და თაღლითი, როგორც თვით ბატონი ლორია, თითქოს მარქსი ყოველთვის, როდესაც გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, საზოგადოებას პირდებოდა ჩემ თეორიას შემდგომ ტომში დავამთავრებო; ამ ტომის გამოცემა კი, როგორც ეს თვითონ მარქსმაც ძალიან კარგად იცის, არც შეუძლია და არც სურს! უსაზღვრო გაბედულება და ამასთან არაჩვეულებრივი გაქნილობა და მოხერხებულობა ყოველგვარი შეუძლებელი მდგომარეობიდან გამოძრომისა, გმირული გულგრილობა მიღებული პანღურების მიმართ, სხვის ნაშრომთა უსწრაფესი მითვისება, მომაბეზრებელი სარეკლამო თაღლითობა, სახელის მოხვეჭის მოწყობა ძმაბიჭების ახმაურების გზით,—აბა ვინ შეედრება მას ყოველივე ამაში?

იტალია კლასიკურობის ქვეყანაა. იმ დიადი დროიდან დაწყებული, როდესაც იქ თანამედროვე ქვეყნიერების რიჟრაჟმა დაჰკრა, იტალიამ მიუწვდომელი კლასიკური სრულყოფით წარმოშვა დიადი ხასიათის ადამიანები, დანტედან გარიბალდამდე. მაგრამ დამცირებისა და უცხოთა ბატონობის ხანამ მას დაუტოვა ხასიათის სხვა კლასიკური გამოსახულებანიც, მათ შორის ორი განსაკუთრებით რელიეფური ტიპი: სგანარელი და დულკამარა. ორთავეს კლასიკური ერთიანობის განხორციელებას ვხედავთ ჩვენ l'illustre Loria-ში.

დასასრულ, მე ოკეანეს გაღმა უნდა გადავიყვანო ჩემი მკითხველები. ნიუ-იორკში მედიცინის დოქტორმა ბატონმა ჯ ო რ ჯ შ ტ ი ბ ე ლ ი ნ გ მ ა ც იპოვა პრობლემის გადაწყვეტა და თანაც უაღრესად მარტივი, იმდენად მარტივი, რომ არც ერთმა ადამიანმა ოკეანეს არც გაღმა და არც გამოღმა არ ისურვა მისი ცნობა, რის გამოც იგი დიდად განრისხდა და უთვალავ ბროშურებში და საგაზეთო სტატიებში ოკეანეს ორსავე მხარეზე მწარედ უჩიოდა ამ უსამართლობას. თუმცა «Neue Zeit»-ში მას უთხრეს, თქვენ მიერ პრობლემის გადაწყვეტა გამოანგარიშების შეცდომაზეა დამყარებულიო, მაგრამ ამას არ შეეძლო მისი დაბრკოლება; მარქსსაც მოსდიოდა შეცდომები ანგარიშში, მაგრამ მაინც ბევრ რამეში მართალი გამოდგა. მაშ გავსინჯოთ შტიბელინგის მიერ მოცემული გადაწყვეტა.

«მე ვიღებ ორ ფაბრიკას, რომლებშიც სამუშაო დროის ხანგრძლივობა ერთნაირია და რომლებსაც თანატოლი კაპიტალი აქვთ, მაგრამ

მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის შეფარდება სხვადასხვაა. მთელ კაპიტალს $(c+v)$ აღვნიშნავ $= y$, მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის შეფარდების განსხვავებას კი x-ით. I ფაბრიკაში $y = c+v$; II ფაბრიკაში $y = (c - x)+(v+x)$. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა I ფაბრიკაში $= \frac{m}{v}$ და II ფაბრიკაში $= \frac{m}{v+x}$. მოგებას (p) მე ვუწოდებ მთელ ზედმეტ ღირებულებას (m), რომლითაც მთელი კაპიტალი y, ანუ $c+v$ დიდდება მოცემული დროის განმავლობაში; მაშასადამე, $p=m$. ამიტომ მოგების ნორმა I ფაბრიკაში $= \frac{p}{y}$, ანუ $\frac{m}{c+v}$, და სწორედ ასევე II ფაბრიკაში $= \frac{p}{y}$ ანუ $\frac{m}{(c-x)+(v+x)}$ ე. ი. სწორედ ასევე $= \frac{m}{c+v}$. მაშასადამე, პრობლემა... გადაწყვეტილია იმგვარად, რომ ღირებულების კანონის საფუძველზე, თანატოლი კაპიტალის და თანატოლი დროის, მაგრამ ცოცხალი შრომის არათანატოლი რაოდენობის გამოყენებისას, მოგების თანატოლი საშუალო ნორმა წარმოდგება ზედმეტი ღირებულების ნორმის ცვლილებიდან» (G. C. Stiebeling: «Das Werthgesetz und die Profitrate», ფანოც. John Heinrich, New York [1890 წ., გვ. 1]).

რაგინდ ლამაზი და ნათელი იყოს ზემოაღნიშნული გამოანგარიშება, ჩვენ მაინც იძულებული ვართ ერთი კითხვა მივცეთ დ-რ შტიბელინგს: საიდან იცის მან, რომ იმ ზედმეტი ღირებულების ჯამი, რომელსაც I ფაბრიკა აწარმოებს, ზუსტად უდრის II ფაბრიკის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების ჯამს? c, v, y, და x შესახებ, მაშასადამე, გაანგარიშების ყველა დანარჩენი ფაქტორის შესახებ, იგი გარკვევით ამბობს, რომ ეს ფაქტორები ორივე ფაბრიკისათვის თანატოლი სიდიდისაა, ხოლო m შესახებ კრინტსაც არ ძრავს. მაგრამ იქიდან, რომ იგი ზედმეტი ღირებულების აქ ნახსენებ ორსავე რაოდენობას ალგებრულად m-ით აღნიშნავს, m-ის თანატოლობა სრულიადაც არ გამომდინარეობს. პირიქით, სწორედ ეს არის ის, რაც დამტკიცებულ უნდა იქნას, რადგან ბატონი შტიბელინგი p მოგებასაც პირდაპირ აიგივებს ზედმეტ ღირებულებასთან. აქ შესაძლებელია მხოლოდ ორი შემთხვევა: ან ორივე m თანატოლია, თვითეული ფაბრიკა ზედმეტი ღირებულების თანატოლ რაოდენობას აწარმოებს, მაშასადამე,—მთელი კაპიტალის თანატოლობისას აგრეთვე მოგების თანატოლ რაოდენობას აწარმოებს, და მაშინ ბატონმა შტიბელინგმა უკვე წინასწარ იგულისხმა ის, რაც მან ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს. ანდა ერთი ფაბრიკა ზედმეტი ღირებულების უფრო დიდ რაოდენობას აწარმოებს.

ვიდრე მეორე, და მაშინ მთელი მისი გამოანგარიშება ბათილდება.

ბატონ შტიბელინგს არც შრომა დაუზოგავს და არც ხარჯი იმისათვის, რომ ამ თავის გამოანგარიშების შეცდომაზე ანგარიშის მთელი მთები აეზვინებია და საზოგადოებისათვის წარმოედგინა. მე შემიძლია იგი დავამშვიდო და დავუდასტურო, რომ თითქმის ყველა მისი გამოანგარიშება თანაბრად მცდარია, და რომ იქ, სადაც იგი გამონაკლისის სახით სწორია, სრულიად სხვა რამეს ამტკიცებს, ვიდრე ბატონ შტიბელინგს სურს დაამტკიცოს. ასე, ამერიკის 1870 და 1880 წლების აღწერათა მონაცემების შედარების გზით იგი გვიმტკიცებს, მოგების ნორმა ფაქტიურად ეცემაო, მაგრამ ამას იგი სრულიად მცდარად ხსნის და ფიქრობს, მარქსის თეორია მოგების მუდამ უცვლელი, მყარი ნორმის შესახებ პრაქტიკის მითითებათა საფუძველზე უნდა შესწორდესო. მაგრამ, აი, წინამდებარე მესამე წიგნის მესამე განყოფილებიდან გამომდინარეობს, რომ მარქსისათვის მიწერილი «მოგების მყარი ნორმა» წმინდა წყლის ჭორია და რომ მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია დამყარებულია მიზეზებზე, რომლებიც დიამეტრალურად უპირისპირდება დ-რ შტიბელინგის მიერ დასახელებულ მიზეზებს. ბატონ დ-რ შტიბელინგს, უეჭველია, კარგი განზრახვა აქვს, მაგრამ, როდესაც მეცნიერულ საკითხებს ჰკიდებ ხელს, უწინარეს ყოვლისა უნდა ისწავლო შენთვის საჭირო თხზულებების ისე წაკითხვა, როგორც ისინი ავტორს დაუწერია, და ამასთან არ ამოიკითხო იქ ის, რაც მათში არ მოიპოვება.

მთელი გამოკვლევის შედეგი: აღძრულ საკითხშიც თუ რამ გაკეთებულა, ისევ და ისევ მარქსის სკოლას ეკუთვნის. როდესაც ამ მესამე წიგნს წაიკითხავენ, ფირემანს და კონრად შმიდტს შეუძლიათ სრულიად კმაყოფილი იყვნენ თავიანთი წილით მათს საკუთარ ნაშრომებში.

ფ. ენგელსი

ლონდონი, 1894 წ. 4 ოქტომბერი.

წიგნი მესამე

კაპიტალისტური წარმოების ერთობლივი პროცესი

ნაწილი პირველი

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲖᲔᲓᲛᲔᲯᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲓ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲯᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲘᲡᲐ —ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲓ

ᲗᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲮᲐᲠᲯᲗᲤᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ

პირველ წიგნში გამოკვლეულ იქნა ის მოვლენები, რომელთაც წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების პროცესი, აღებული თავისთავად, როგორც უშუალო წარმოების პროცესი, ამასთან მხედველობის გარეშე იყო დატოვებული მისთვის უცხო გარემოებათა ყველა მეორადი ზეგავლენა. მაგრამ ეს უშუალო წარმოების პროცესი არ ამოწურავს კაპიტალის სიცოცხლის მსვლელობას. სინამდვილეში მას ავსებს მიმოქცევის პროცესი, რომელიც მეორე წიგნის გამოკვლევის საგანს შეადგენდა. იქ, სახელდობრ მესამე განყოფილებაში, მიმოქცევის პროცესის, როგორც საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის მოსაშუალე რგოლის, განხილვისას, — აღმოჩნდა, რომ კაპიტალისტური წარმოების პროცესი, მთლიანად განხილული, წარმოებისა და მიმოქცევის პროცესის ერთიანობაა. რაც შეეხება ამ მესამე წიგნის ამოცანას, იგი არ შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ წარმოგვიდგინოს ზოგადი მსჯელობანი ამ ერთიანობის შესახებ. პირიქით, აქ უნდა ვიპოვოთ და დავასურათოთ ის კონკრეტული ფორმები, რომელნიც მთლიანობის სახით განხილული კაპიტალის მოძრაობის პროცესიდან აღმოცენდებიან. თავიანთ ნამდვილ მოძრაობაში კაპიტალები ერთმანეთს უპირისპირდებიან ისეთი კონკრეტული ფორმებით, რომელთათვის კაპიტალის სახე [Gestalt] უშუალო წარმოების პროცესში, ისევე როგორც მისი სახე

მიმოქცევის პროცესში, მხოლოდ განსაკუთრებულ მომენტებად გვევლინება. ამრიგად, კაპიტალის ის სახეცვლილებანი [Gestaltungen], რომელთაც ჩვენ ამ წიგნში ვავითარებთ, თანდათანობით უახლოვდებიან ფორმას, რომლითაც გვევლინებიან ისინი საზოგადოების ზედაპირზე, სხვადასხვა კაპიტალების ურთიერთზემოქმედებაში, კონკურენციაში და თვით წარმოების აგენტების ჩვეულებრივ ცნობიერებაში.

ღირებულება ყოველი კაპიტალისტურად წარმოებული საქონლისა W (ღირებულება) გამოიხატება ფორმულით: $W = c+v+m$. თუ ჩვენ პროდუქტის ამ ღირებულებიდან გამოვაკლებთ ზედმეტ ღირებულებას m, დარჩება მხოლოდ ეკვივალენტი ანუ ღირებულება, რომელიც ანაზღაურებს საქონელში წარმოების ელემენტების სახით დახარჯულ კაპიტალღირებულებას — $c+v$.

თუ, მაგალითად, განსაზღვრული საქონლის წარმოებაზე 500 გირვ. სტერლ. კაპიტალი იხარჯება, ე. ი. 20 გირვ. სტერლინგი — შრომის საშუალებათა გაცვეთაზე, 380 გირვ. სტერლინგი — წარმოების მასალებზე, 100 გირვ. სტერლინგი — საძუშაო ძალაზე, და თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა 100% შეადგენს, მაშინ პროდუქტის ღირებულება $= 400_c + 100_v + 100_m = 600$ გირვ. სტერლინგს.

100 გირვ. სტერლინგი ზედმეტი ღირებულების გამოკლების შემდეგ რჩება საქონლის ღირებულება 500 გირვ. სტერლინგის რაოდენობით, და ეს ღირებულება ანაზღაურებს მხოლოდ დახარჯულ 500 გირვ. სტერლ. კაპიტალს. საქონლის ღირებულების ეს ნაწილი, რომელიც ანაზღაურებს მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ფასსა და გამოყენებული სამუშაო ძალის ფასს, მხოლოდ იმას ანაზღაურებს, რაც უღირს საქონელი თვით კაპიტალისტს, და ამიტომ მისთვის საქონლის ხარჯთფასს შეადგენს.

ის, რაც საქონელი კაპიტალისტს უღირს, და ის, რაც თვით საქონლის წარმოება ღირს, — რასაკვირველია, ორი სრულიად სხვადასხვა სიდიდეა. საქონლის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ზედმეტი ღირებულებისაგან შედგება, კაპიტალისტს სწორედ იმიტომ არ უღირს არაფრად, რომ იგი მუშას ფასგადაუხდელ შრომად უღირს. მაგრამ, რადგან კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე მუშა, წარმოების პროცესში შესვლის შემდეგ, თვითონ შეადგენს იმ მწარმოებლური კაპიტალის შემადგენელ ნაწილს, რომელიც ამოქმედებულია და კაპიტალისტს ეკუთვნის და, მაშასადამე, საქონლის ნამდვილი მწარმოებელი კაპიტალისტია, — ამიტომ, საქონლის ხარჯთფასი კაპიტა-

ლისტს აუცილებლობის გზით წარმოუდგება როგორც თვით საქონლის ნამდვილი ღირებულება [Kost]. თუ ხარჯთფასს ჩვენ k-ს ვუწოდებთ, მაშინ ფორმულა: $W = c+v+m$ გადაიქცევა ფორმულად: $W = k+m$, ანუ საქონლის ღირებულება = ხარჯთფასს+ზედმეტი ღირებულება.

ამიტომ ხარჯთფასის კატეგორიაში საქონლის ღირებულების იმ სხვადასხვა ნაწილების მოქცევა, რომელნიც მხოლოდ მის წარმოებაზე დახარჯულ კაპიტალღირებულებას ანაზღაურებენ, ერთი მხრივ, კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკურ ხასიათს გამოხატავს. ის, რაც საქონელი უღირს კაპიტალისტებს, გაიზომება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დახარჯვით; ხოლო ის, რაც საქონელი ნამდვილად ღირს, — გაიზომება შ რ ო მ ი ს დახარჯვით. ამიტომ საქონლის კაპიტალისტური ხარჯთფასი რაოდენობრივად განსხვავდება მისი ღირებულებისგან, ანუ მისი ნამდვილი ხარჯთფასისაგან; იგი საქონლის ღირებულებაზე ნაკლებია, რადგან თუ $W = k+m$, მაშინ $k = W - m$. მეორე მხრივ, საქონლის ხარჯთფასი სრულიადაც არ წარმოადგენს ისეთ რუბრიკას, რომელიც მარტო კაპიტალისტურ ანგარიშწარმოებაში არსებობს. ღირებულების ამ ნაწილის განკერძოება პრაქტიკულად საქონლის ნამდვილ წარმოებაში იჩენს მუდამ თავს, რადგან იგი მიმოქცევის პროცესის საშუალებით თავისი საქონლური ფორმიდან მუდამ ისევ მწარმოებლური კაპიტალის ფორმად უნდა უკუგარდაიქმნას; მაშასადამე, საქონლის ხარჯთფასმა ყოველთვის ხელახლა უნდა იყიდოს წარმოების ის ელემენტები, რომლებიც საქონლის წარმოებას მოხმარდა.

პირიქით, ხარჯთფასის კატეგორიას არაფერი აქვს საერთო საქონლის ღირებულების შექმნასთან ანუ კაპიტალის ღირებულების ზრდის პროცესთან. თუ მე ვიცი, რომ საქონლის ღირებულების — 600 გირვ. სტერლინგის — $^5/_6$, ე. ი. 500 გირვ. სტერლინგი, შეადგენს მხოლოდ ეკვივალენტს, ღირებულებას, რომელიც დახარჯულ 500 გირ. სტერ. კაპიტალს ანაზღაურებს, და ამიტომ საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ ხელახლა იყიდოს ამ კაპიტალის ნივთიერი ელემენტები, მე ამით არც ის ვიცი, თუ როგორ იქნა წარმოებული საქონლის ღირებულების ეს $^5/_6$, რომელიც მის ხარჯთფასს შეადგენს, და არც ის, თუ როგორ იქნა წარმოებული უკანასკნელი მეექვსედი, რომელიც მის ზედმეტ ღირებულებას შეადგენს. მაგრამ გამოკვლევა დაგვანახვებს, რომ ხარჯთფასი კაპიტალისტურ მეურნეობაში ღებულობს იმ კატეგორიის მცდარ მოჩვენებითს სახეს, რომელიც თვით ღირებულების წარმოებას ეკუთვნის.

დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს. თუ ვიგულისხმებთ, რომ ერთი საშუალო საზოგადოებრივი სამუშაო დღის განმავლობაში ერთი მუშის

მიერ წარმოებული ღირებულება გამოხატული ფულადი თანხით=6 შილინგს = 6 მარკას, მაშინ ავანსებული კაპიტალი 500 გირვ. სტერლ. = $400_v + 100_v$ იქნება ახალი ღირებულება, წარმოებული 1666⅔ ათსაათიან სამუშაო დღეში, რომელთაგან 1333⅓ სამუშაო დღე კრისტალიზებულია წარმოების საშუალებათა ღირებულებაში=400c, 333⅓ სამუშაო დღე კი — სამუშაო ძალის ღირებულებაში = 100_v. მაშასადამე, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმას 100%-ად ვიგულისხმებთ, თვით ახლად შესაქმნელი საქონლის წარმოება სამუშაო ძალის $100_v + 100_m$ =666⅔ ათსაათიანი სამუშაო დღის დახარჯვად ღირს.

შემდეგ, ჩვენ ვიცით (იხ. წიგნი I, თავი VII, გვ. 173 და შემდ. [კ. მარქსი: «კაპიტალი» ტ. I, გამოც., 1954 წ. გვ. 269 და შემდ.]), რომ 600 გირვ. სტერლინგის ახლად წარმოებული პროდუქტის ღირებულება შედგება 1) წარმოების საშუალებებზე დახარჯული 400 გირ. სტერ. კაპიტალის იმ ღირებულებისაგან, რომელიც ხელახლა გვევლინება, და 2) 200 გირვ. სტერლინგის ახლად წარმოებული ღირებულებისგან. საქონლის ხარჯთფასი=500 გირვ. სტერლ. შეიცავს 400_c-ს, რომელიც ხელახლა გვევლინება, და 200 გირვ. სტერლინგის ოდენობით ახლად წარმოებული ღირებულების ნახევარს — (100v) — მაშასადამე, საქონლის ღირებულების ორ, თავიანთი წარმოშობით სრულიად სხვადასხვა, ელემენტს.

666⅔ ათსაათიანი სამუშაო დღის განმავლობაში დახარჯული შრომის მიზანშეწონილი ხასიათის მეოხებით, მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულება 400 გირვანქა სტერლინგის ოდენობით ამ წარმოების საშუალებებიდან პროდუქტზეა გადატანილი. ამრიგად, ეს ძველი ღირებულება კვლავ გვევლინება როგორც პროდუქტის ღირებულების შემადგენელი ნაწილი, მაგრამ იგი არ წარმოიშვება ამ საქონლის წარმოების პროცესში. იგი მხოლოდ იმიტომ არსებობს როგორც საქონლის ღირებულების შემადგენელი ნაწილი, რომ ავანსებული კაპიტალის შემადგენელი ნაწილის სახით წინათვე არსებობდა. მაშასადამე, დახარჯული მუდმივი კაპიტალის ანაზღაურება ხდება საქონლის ღირებულების იმ ნაწილით, რომელსაც თვით ეს კაპიტალი უმატებს საქონლის ღირებულებას. ამრიგად, ხარჯთფასის ამ ელემენტს ორმაგი მნიშვნელობა აქვს: ერთი მხრივ, იგი შედის საქონლის ხარჯთფასში, რადგან საქონლის ღირებულების ის შემადგენელი ნაწილია, რომელიც დახარჯულ კაპიტალს ანაზღაურებს; მეორე მხრივ კი, იგი საქონლის ღირებულების შემადგენელი ნაწილია მხოლოდ იმიტომ, რომ დახარჯული კაპიტალის ღირებულებას წარმოად-



«კაპიტალის» III ტომის I გვერდი. მარქსის ხელნაწერის ფაქსიმილე
(დაპატარავებულია)

გენს, ანუ იმიტომ, რომ წარმოების საშუალებანი ამდენი და ამდენი ღირს.

სრულიად სხვაგვარი მდგომარეობაა ხარჯთფასის მეორე შემადგენელი ნაწილის მიმართ. საქონლის წარმოების განმავლობაში* დახარჯული 666⅔ სამუშაო დღე ქმნის 200 გირვ. სტერლინგ ახალ ღირებულებას. ამ ახალი ღირებულებიდან ერთი ნაწილი ანაზღაურებს მხოლოდ 100 გირვ. სტერლ. ავანსებულ ცვალებად კაპიტალს, ანუ გამოყენებული სამუშაო ძალის ფასს. მაგრამ ეს ავანსებული კაპიტალღირებულება სრულიადაც არ შედის ახალი ღირებულების შექმნაში. კაპიტალის ავანსად გაღებისას სამუშაო ძალა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა დ ითვლება, წარმოების პროცესში კი იგი მოქმედებს როგორც ღირებულების შ ე მ ქ მ ნ ე ლ ი. სამუშაო ძალის იმ ღირებულების ადგილს, რომელიც კაპიტალის ავანსად გაღებისას გარკვეულ როლს ასრულებს, ნამდვილად მ ო ქ მ ე დ მწარმოებლურ კაპიტალში თვით ცოცხალი, ღირებულების შემქმნელი სამუშაო ძალა იკავებს.

განსხვავება საქონლის ღირებულების ამ ორ სხვადასხვა შემადგენელ ნაწილს შორის, რომელნიც ერთად ხარჯთფასს შეადგენენ, იმ წამსვე თვალში გვეცემა, როგორც კი ხდება ცვლილება ღირებულების სიდიდეში: ერთ შემთხვევაში კაპიტალის დახარჯული მუდმივი ნაწილის, მეორე შემთხვევაში კაპიტალის დახარჯული ცვალებადი ნაწილის ღირებულების სიდიდეში. ვთქვათ, ერთი და იგივე წარმოების საშუალებათა ფასი, ანუ კაპიტალის მუდმივი ნაწილი 400 გირვ. სტერლინგიდან 600 გირვ. სტერლინგამდე გადიდდა, ან პირიქით, 200 გირვ. სტერლინგამდე შემცირდა. პირველ შემთხვევაში არა მარტო საქონლის ხარჯთფასი აიწევს 500 გირვ. სტერლინგიდან $600_c + 100_v = 700$ გირვ. სტერლინგამდე, არამედ თვით საქონლის ღირებულებაც აიწევს 600 გირვ. სტერლინგიდან $600_c + 100_v + 100_m = 800$ გირვ. სტერლინგამდე. მეორე შემთხვევაში არა მარტო ხარჯთფასი შემცირდება 500 გირვ. სტერლინგიდან $200_c + 100_v = 300$ გირვ. სტერლინგამდე, არამედ თვით საქონლის ღირებულებაც 600 გირვ. სტერლინგიდან $200c + 100v + 100_m = 400$ გირვ. სტერლინგამდე შემცირდება. რადგან დახარჯულ მუდმივ კაპიტალს თავისი საკუთარი ღირებულება პროდუქტზე გადააქვს, ამიტომ, სხვა გარემოებათა უცვლელობისას, პროდუქტის ღირებულება იზრდება ან ეცემა ამ კაპიტალღირებულების აბსოლუტური სიდიდის შესაბამისად. ვიგულისხმოთ, პირიქით, რომ, სხვა გარემოებათა უცვლელობისას, სამუშაო ძალის იმავე მასის ფასი იზრდება 100 გირვ. სტერლინგიდან 150 გირვ. სტერლინგამდე, ან. პირიქით,

ეცემა 50 გირვ. სტერლინგამდე, თუმცა ხარჯთფასი პირველ შემთხვევაში 500 გირვ. სტერლინგიდან $400_c + 150_v = 550$ გირვ. სტერლინგამდე დიდდება და მეორე შემთხვევაში 500 გირვ. სტერლინგიდან $400c + 50v = 450$ გირვ. სტერლინგამდე მცირდება, მაგრამ ორივე შემთხვევაში საქონლის ღირებულება უცვლელი რჩება=600 გირვ. სტერლ.; პირველ შემთხვევაში იგი = $400_c + 150_v + 50_m$, მეორე შემთხვევაში = $400_c + 50_v + 150_m$. ავანსებული ცვალებადი კაპიტალი პროდუქტს არ მატებს თავის საკუთარ ღირებულებას. პირიქით, მისი ღირებულების ნაცვლად პროდუქტში შევიდა შრომის მიერ შექმნილი ახალი ღირებულება. ამიტომ ცვალებადი კაპიტალის ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეში მომხდარი ცვლილება, რამდენადაც იგი მარტოოდენ სამუშაო ძალის ფასში მომხდარი ცვლილების გამოხატულებაა, სრულიად არაფერს ცვლის საქონლის ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეში, ვინაიდან არაფერს ცვლის იმ ახალი ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეში, რომელსაც მიმდინარე სამუშაო ძალა ქმნის. ასეთი ცვლილება, პირიქით, გავლენას ახდენს მხოლოდ ახალი ღირებულების იმ ორი შემადგენელი ნაწილის სიდიდის შეფარდებაზე, რომელთაგან ერთი ზედმეტ ღირებულებას შეადგენს, მეორე კი ცვალებად კაპიტალს ანაზღაურებს და ამიტომ საქონლის ხარჯთფასში შედის.

ხარჯთფასის ორივე ნაწილისათვის, ჩვენს შემთხვევაში $400_c + 100_v$, საერთოა მხოლოდ ერთი რამ: ორივენი საქონლის ღირებულების ის ნაწილებია, რომელნიც ავანსებულ კაპიტალს ანაზღაურებენ.

მაგრამ საქმის ეს ნამდვილი მდგომარეობა კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით აუცილებლად უკუღმართი სახით ვლინდება.

კაპიტალისტური წარმოების წესი მონობაზე დამყარებული წარმოების წესისაგან, სხვათა შორის, იმით განსხვავდება, რომ ღირებულება, resp. [შესაბამის.] ფასი სამუშაო ძალისა, წარმოგვიდგება აქ როგორც ღირებულება, resp. როგორც ფასი, თვით შრომისა, ანუ როგორც ხელფასი (წიგნი I, თავი XVII). ამიტომ ავანსებული კაპიტალის ღირებულების ცვალებადი ნაწილი წარმოგვიდგება როგორც ხელფასად დახარჯული კაპიტალი, როგორც კაპიტალღირებულება, რომელიც წარმოებაში დახარჯული მთელი შრომის ღირებულებას, resp. ფასს, იხდის. თუ ჩვენ, მაგალითად, ვიგულისხმებთ, რომ საშუალო საზოგადოებრივი 10 საათიანი სამუშაო დღე 6 შილინგის რაოდენობის ფულში ხორციელდება, მაშინ ავანსებული 100 გირვ. სტერლინგის ოდენობის ცვალებადი კაპიტალი იმ ღირებულების ფულადი გამოხატულება იქნება, რომელიც 333⅓ ათსაათიანი სამუშაო დღის განმავლობაში წარმოებულია; მაგრამ შესყიდული სამუშაო ძალის ეს

ღირებულება, რომელსაც კაპიტალის ავანსად გაღებისას ვხედავთ, ნამდვილად მოქმედი კაპიტალის არც ერთ ნაწილს არ შეადგენს. მის ადგილას წარმოების პროცესში თვით ცოცხალი სამუშაო ძალა დგება. თუ ამ უკანასკნელის ექსპლოატაციის ხარისხი 100%-ს შეადგენს, როგორც ეს ჩვენს მაგალითშია, მაშინ ამ ძალის ხარჯვა წარმოებს 666²/₃ ათსაათიანი სამუშაო დღის განმავლობაში და ამიტომ იგი პროდუქტს მატებს 200 გირვ. სტერლინგ ახალ ღირებულებას. მაგრამ კაპიტალის ავანსად გაღებისას 100 გირვ. სტერლ. ოდენობის ცვალებადი კაპიტალი წარმოდგენილია როგორც ხელფასად დახარჯული კაპიტალი, ანუ როგორც ფასი შრომისა, რომელიც შესრულებულია 666²/₃ ათსაათიანი დღის განმავლობაში. 100 გირვ. სტერლინგი გაყოფილი 666²/₃-ზე გვაძლევს ათსაათიანი სამუშაო დღის ფასის სახით 3 შილინგს, ღირებულებას, რომელიც ხუთსაათიანი შრომის განმავლობაში შეიქმნა.

თუ ჩვენ ახლა შევადარებთ ავანსებულ კაპიტალს, ერთი მხრივ, და საქონლის ღირებულებას, მეორე მხრივ, — მივიღებთ შემდეგს:

I. ავანსებული 500 გირვ. სტერლ. კაპიტალი = წარმოების საშუალებებზე დახარჯულ 400 გირვ. სტერლ. კაპიტალს (წარმოების საშუალებათა ფასს) + შრომაზე დახარჯული 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი (666²/₃ სამუშაო დღის ფასი, ანუ ხელფასი ამ დღეებისათვის).

II. საქონლის ღირებულება — 600 გირვ. სტერლ. = 500 გირვ. სტერლ. ხარჯთფასს (400 გირვ. სტერლ., წარმოების დახარჯულ საშუალებათა ფასი + 100 გირვ. სტერლ., დახარჯული 666²/₃ სამუშაო დღის ფასი) + 100 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულება.

ამ ფორმულაში კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც დახარჯულია შრომაზე, მხოლოდ იმით განსხვავდება წარმოების საშუალებებზე, მაგ., ბამბასა ან ნახშირზე, დახარჯული კაპიტალის ნაწილისაგან, რომ იგი ემსახურება წარმოების ნივთიერად განსხვავებული ელემენტის გადახდას, და სრულიადაც არა იმით, რომ იგი საქონლის ღირებულების შექმნის პროცესში და, მაშასადამე, კაპიტალის ღირებულების ზრდის პროცესშიც, ფუნქციურად განსხვავებულ როლს ასრულებს. წარმოების საშუალებათა ფასი საქონლის ხარჯთფასში ისეთივე ბრუნდება, როგორიც უკვე კაპიტალის ავანსად გაღებისას იყო, და ბრუნდება სწორედ იმიტომ, რომ წარმოების ეს საშუალებანი მიზანშეწონილად იყო გამოყენებული. სწორედ ასევე საქონლის ხარჯთფასში მის წარმოებაზე დახარჯული 666²/₃ სამუშაო დღის ფასი, ანუ ხელფასი, ისეთივე ბრუნდება, როგორიც უკვე კაპიტალის ავანსად გაღებისას

იყო, — და ბრუნდება აგრეთვე იმიტომ, რომ შრომის ეს რაოდენობა მიზანშეწონილი ფორმით იყო დახარჯული. ჩვენ აქ ვხედავთ, მხოლოდ მზამზარეულ, არსებულ ღირებულებას, — ავანსებული კაპიტალის ღირებულების იმ ნაწილებს, რომელნიც პროდუქტის ღირებულების შექმნაში შედიან, — მაგრამ ვერ ვხედავთ ახალი ღირებულების შემქმნელ ელემენტს. განსხვავება მუდმივ და ცვალებად კაპიტალს შორის გამქრალია. მთელი 500 გირვ. სტერლ. ხარჯთფასი ახლა ორმაგ მნიშვნელობას იძენს: ჯერ-ერთი, იგი არის 60[illegible] გირვ. სტერლ. საქონელღირებულების ის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ანაზღაურებს საქონლის წარმოებაზე დახარჯულ 500 გირვანქა სტერლ. კაპიტალს; და, მეორე, საქონელღირებულების თვით ეს შემადგენელი ნაწილი არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი უწინვე არსებობდა როგორც გამოყენებული წარმოების ელემენტების — წარმოების საშუალებებისა და შრომის — ხარჯთფასი, ე. ი. როგორც ავანსებული კაპიტალი. კაპიტალღირებულება კვლავ ბრუნდება როგორც საქონლის ხარჯთფასი, რადგანაც და რამდენადაც იგი დახარჯული იყო როგორც კაპიტალღირებულება.

ის გარემოება, რომ ავანსებული კაპიტალის ღირებულების სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები დახარჯულია წარმოების ნივთიერად სხვადასხვა ელემენტებზე — შრომის საშუალებებზე, ნედლ და დამხმარე მასალებსა და შრომაზე, — იწვევს მხოლოდ იმას, რომ საქონლის ხარჯთფასმა წარმოების ეს ნივთიერად სხვადასხვა ელემენტები კვლავ უნდა შეისყიდოს. პირიქით, რაც შეეხება თვით ხარჯთფასის წარმოქმნას, აქ თავს იჩენს მხოლოდ ერთი განსხვავება, განსხვავება ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის. ჩვენს მაგალითში 20 გირვ. სტერლ. ნაანგარიშევი იყო შრომის საშუალებათა გაცვეთისათვის (400$_c$=20 გირვ. სტერლინგს შრომის საშუალებათა გაცვეთისათვის+380 გირვ. სტერლ. წარმოების ნედლეულისათვის). თუ შრომის ამ საშუალებათა ღირებულება საქონლის წარმოებამდე=1200 გირვ. სტერლინგს, საქონლის წარმოების შემდეგ იგი ორი სახით არსებობს: 20 გირვ. სტერლინგი როგორც საქონლის ღირებულების ნაწილი, ხოლო 1200 — 20, ანუ 1180 გირვ. სტერლინგი, როგორც უწინდებურად კაპიტალისტის მფლობელობაში მყოფ შრომის საშუალებათა დარჩენილი ღირებულება, ანუ როგორც ღირებულების ელემენტი არა მისი საქონლური კაპიტალის, არამედ — მისი მწარმოებლური კაპიტალისა. შრომის საშუალებათაგან განსხვავებით წარმოების ნედლეული და ხელფასი მთლიანად იხარჯება საქონლის წარმოებაზე და ამიტომ მთელი მათი ღირებულებაც წარმოებული საქონლის ღირებულებაში შედის. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ღებულობს ავანსებული კაპიტა-



«კაპიტალის» III ტომის I კვერდი, მდივნის ხელით გადაწერილი და ენგელსის მიერ შესწორებული, ჩანართი კვერდის ზემოთ ენგელსის ხელით არის დაწერილი.

(დაპატარავებულია)

ლის ეს სხვადასხვა შემადგენელი ნაწილი ბრუნვასთან დაკავშირებით ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ფორმებს.

ამრიგად, ავანსებული კაპიტალი = 1680 გირვ. სტერლინგს: ძირითადი კაპიტალი = 1200 გირვ. სტერლ. პლუს საბრუნავი კაპიტალი =480 გირვ. სტერლ. (=380 გირვ. სტერლ. წარმოების ნედლეულში პლუს 100 გირვ. სტერლ. ხელფასში).

საქონლის ხარჯთფასი, პირიქით, = მხოლოდ 500 გირვ. სტერლინგს (20 გირვ. სტერლ. ძირითადი კაპიტალის გაცვეთისათვის, 480 გირვ. სტერლ. საბრუნავი კაპიტალისათვის).

მაგრამ ეს სხვაობა საქონლის ხარჯთფასსა და ავანსებულ კაპიტალს შორის მარტოოდენ იმას ამტკიცებს, რომ საქონლის ხარჯთფასს მხოლოდ და მხოლოდ მის წარმოებაზე ნამდვილად დახარჯული კაპიტალი შეადგენს.

საქონლის წარმოებისათვის გამოიყენება 1200 გირვ. სტერლ. ღირებულების შრომის საშუალებანი, მაგრამ ამ ავანსებული კაპიტალ-ღირებულებიდან მხოლოდ 20 გირვ. სტერლინგი იკარგება წარმოებაში. ამიტომ გამოყენებული ძირითადი კაპიტალი საქონლის ხარჯთფასში ნაწილ-ნაწილ შედის, რადგან იგი მის წარმოებაზე მხოლოდ ნაწილ-ნაწილ იხარჯება. გამოყენებული საბრუნავი კაპიტალი საქონლის ხარჯთფასში მთლიანად შედის, რადგან იგი მთლიანად იხარჯება მის წარმოებაზე. მაგრამ რას ამტკიცებს ეს, თუ არა იმას, რომ კაპიტალის მოხმარებული ძირითადი და საბრუნავი ნაწილები, მათი ღირებულების pro rata [პროპორციულად], თანაბრად შედის სათანადო საქონლის ხარჯთფასში და რომ საქონლის ღირებულების ეს შემადგენელი ნაწილი საერთოდ მხოლოდ იმ კაპიტალიდან მომდინარეობს, რომელიც საქონლის წარმოებაზეა დახარჯული? ეს რომ ასე არ იყოს, გაუგებარი იქნებოდა, რატომ არ მატებს ავანსებული 1200 გირვ. სტერლ. ძირითადი კაპიტალი პროდუქტის ღირებულებას, იმ 20 გირვ. სტერლინგს გარდა, რომელსაც იგი წარმოების პროცესში კარგავს, იმ 1180 გირვ. სტერლინგსაც, რომელსაც იგი წარმოებაში არ კარგავს.

ამრიგად, ეს განსხვავება ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის ხარჯთფასის გამოანგარიშების მხრივ ადასტურებს მხოლოდ ხარჯთფასის მოჩვენებითს წარმოშობას დახარჯული კაპიტალის ღირებულებიდან ანუ იმ ფასიდან, რა ფასადაც წარმოების დახარჯული ელემენტები, შრომის ჩათვლით, უჯდება თვითონ კაპიტალისტს. მეორე მხრივ, რაც შეეხება ღირებულების შექმნას, კაპიტალის ცვალებადი, სამუშაო ძალაზე დახარჯული ნაწილი აქ პირდაპირ გაიგივებულია მუდმივ კაპი-

ტალთან (კაპიტალის იმ ნაწილთან, რომელიც წარმოების მასალებისგან შედგება) საბრუნავი კაპიტალის რუბრიკაში და ამგვარად კაპიტალის ღირებულების ზრდის პროცესის მისტიფიკაცია დამთავრებულია[1].

აქამდე ჩვენ განვიხილავდით საქონლის ღირებულების მხოლოდ ერთ ელემენტს, ხარჯთფასს. ახლა უნდა გადავხედოთ აგრეთვე საქონლის ღირებულების მეორე შემადგენელ ნაწილს, ნამეტს ხარჯთფასზე, ანუ ზედმეტ ღირებულებას. ამრიგად, ზედმეტი ღირებულება, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს საქონლის ღირებულების ნამეტს მის ხარჯთფასზე. მაგრამ რადგან ხარჯთფასი იმ დახარჯული კაპიტალის ღირებულებას ეთანატოლება, რომლის ნივთიერ ელემენტებადაც იკი მუდამ უკუგარდაიქმნება, ამიტომ ღირებულების ეს ნამეტი წარმოადგენს საქონლის წარმოებაზე დახარჯული და საქონლის მიმოქცევიდან უკანდაბრუნებული კაპიტალის ღირებულების ნაზრდს.

ჩვენ უკვე წინათ დავინახეთ, რომ, თუმცა m, ზედმეტი ღირებულება, მხოლოდ v ღირებულების ცვლილებიდან, ცვალებადი კაპიტალიდან წარმოდგება და ამიტომ თავდაპირველად ცვალებადი კაპიტალის უბრალოდ ნაზრდს წარმოადგენს, მაგრამ იგი მაინც წარმოების პროცესის დასრულების შემდეგ $c+v$, მთელი დახარჯული კაპიტალის ღირებულების ნაზრდს შეადგენს. ფორმულა $c+(v+m)$, რომელიც გვიჩვენებს, რომ m იწარმოება სამუშაო ძალისთვის ავანსებული განსაზღვრული კაპიტალღირებულების v-ს გარდაქმნით დენად სიდიდედ, მაშასადამე, მუდმივი სიდიდის გარდაქმნით ცვალებად სიდიდედ, — შეიძლება გამოიხატოს ასეც: $(c+v)+m$. წარმოებამდე ჩვენ 500 გირვ. სტერლ. კაპიტალი გვქონდა. წარმოების შემდეგ გვაქვს 500 გირვ. სტერლ. კაპიტალი პლუს 100 გირვ. სტერლ. ღირებულების ნაზრდი[2].

---

[1] თუ როგორი არევ-დარევა შეიძლება აქედან წარმოდგეს ეკონომისტების თავში, ეს ნაჩვენებია I წიგნში, თავი VII, 3, გვ. 185-191, ნ. ვ. სენიორის მაგალითზე [იხ. კ. მ ა რ ქ ს ი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ., გვ. 283-290].

[2] «მართლაც, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ზედმეტი ღირებულება მხოლოდ შედეგია ღირებულების იმ ცვლილებისა, რომელსაც განიცდის v, სამუშაო ძალად ქცეული ნაწილი კაპიტალისა, რომ მაშასადამე, $v+m=v+\Delta v$ (v პლუს v-ის ნაზრდი). მაგრამ ღირებულების ნამდვილი ცვლილება და ის შეფარდება, რომლის მიხედვითაც ღირებულება იცვლება, ბუნდოვანი ხდება იმით, რომ თავისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილის ზრდის შედეგად იზრდება ავანსებული მთელი კაპიტალიც. წინათ ის იყო 500, ახლა 590 გახდა» (წიგნი I, თავი VII, I, გვ. 175 [კ. მ ა რ ქ ს ი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ., გვ. 271)].

მაგრამ ზედმეტი ღირებულება წარმოადგენს ავანსებული კაპიტალის არა მარტო იმ ნაწილის ნაზრდს, რომელიც ღირებულების ზრდის პროცესში შედის, არამედ იმ ნაწილისასაც, რომელიც მასში არ შედის; მაშასადამე, ეს არის ღირებულების ნაზრდი არა მარტო იმ დახარჯული კაპიტალისა, რომელიც საქონლის ხარჯთფასიდან ნაზღაურდება, არამედ საერთოდ მთელი კაპიტალისა, რომელიც წარმოებაში გამოიყენება. წარმოების პროცესამდე ჩვენ გვქონდა კაპიტალღირებულება 1680 გირვ. სტერლ: 1200 გირვ. სტერლ. შრომის საშუალებებში მოთავსებული ძირითადი კაპიტალი, საიდანაც გაცვეთისათვის მხოლოდ 20 გირვ. სტერლ. შედის საქონლის ღირებულებაში, პლუს 480 გირვ. სტერლ. წარმოების მასალებსა და ხელფასში მოთავსებული საბრუნავი კაპიტალი. წარმოების პროცესის შემდეგ ჩვენ გვაქვს 1180 გირვ. სტერლინგი როგორც მწარმოებლური კაპიტალის ღირებულების შემადგენელი ნაწილი პლუს 600 გირვ. სტერლ. საქონლური კაპიტალი. თუ შევაერთებთ ღირებულების ამ ორივე ჯამს, აღმოჩნდება, რომ კაპიტალისტს ახლა აქვს ღირებულება 1780 გირვ. სტერლინგის ოდენობით. თუ იგი აქედან მთელ ავანსებულ 1680 გირვ. სტერლ. კაპიტალს გამოაკლებს, მას დარჩება ღირებულების ნაზრდი 100 გირვ. სტერლინგის ოდენობით. ამრიგად, 100 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულება იმდენადვე შეადგენს დაბანდებული 1680 გირვ. სტერლ. კაპიტალის ღირებულების ნაზრდს, რამდენადაც 500 გირვ. სტერლინგისა, რომელიც მისი ნაწილია და წარმოების პროცესში დაიხარჯა.

ახლა კაპიტალისტისთვის ნათელია, რომ ღირებულების ეს ნაზრდი გამომდინარეობს იმ საწარმოო პროცესებიდან, რომლებიც კაპიტალის მეშვეობით ხდება, რომ, მაშასადამე, იგი გამომდინარეობს თვით კაპიტალიდან, ვინაიდან ეს ნაზრდი მიიღება წარმოების პროცესის შემდეგ, ამ პროცესამდე კი იგი არ არსებობდა. რაც შეეხება უწინარეს ყოვლისა წარმოებაზე დახარჯულ კაპიტალს, — ისე გვეჩვენება, თითქოს ზედმეტი ღირებულება თანაბრად გამომდინარეობდეს ამ კაპიტალის ღირებულების იმ სხვადასხვა ელემენტებიდან, რომლებიც წარმოების საშუალებებსა და შრომაზეა დახარჯული: ეს ელემენტები ხომ თანაბრად მონაწილეობენ ხარჯთფასის შედგენაში. ისინი ავანსებული კაპიტალის სახით არსებულ თავიანთ ღირებულებას თანაბრად მატებენ პროდუქტის ღირებულებას და ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან როგორც ღირებულების მუდმივი და ცვალებადი სიდიდენი. ეს ცხადი გახდება, თუ ჩვენ ერთი წუთით ვიგულისხმებთ, რომ მთელი დახარჯული კაპიტალი შედგება ან მარტოოდენ ხელფასისაგან, ან მარტოოდენ წარმოების საშუალებათა ღირებულებისაგან.

მაშინ პირველ შემთხვევაში ნაცვლად საქონლის ღირებულებისა $400_c + 100_v + 100_m$ ჩვენ გვექნებოდა საქონლის ღირებულება $500_v + 100_m$ ხელფასზე დახარჯული 500 გირვ. სტერლ. კაპიტალი წარმოადგენს მთელი იმ შრომის ღირებულებას, რომელიც გამოყენებულია 600 გირვ. სტერლ. საქონლის ღირებულების წარმოებაზე და სწორედ ამიტომ მთელი პროდუქტის ხარჯთფასს შეადგენს. მაგრამ წარმოქმნა ამ ხარჯთფასისა, რითაც დახარჯული კაპიტალის ღირებულება კვლავ გვევლინება როგორც პროდუქტის ღირებულების შემადგენელი ნაწილი, ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი პროცესია ამ საქონლის ღირებულების შექმნაში. ჩვენ არ ვიცით, როგორ წარმოიშვება ამ უკანასკნელის შემადგენელი ნაწილი 100 გირვ. სტერლ. რაოდენობით, რომელიც მასში ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს. იგივე იქნებოდა მეორე შემთხვევაშიაც, სადაც საქონლის ღირებულება $= 500_c + 100_m$ იქნებოდა. ორსავე შემთხვევაში ჩვენ ვიცით, რომ ზედმეტი ღირებულება წარმოდგება მოცემული ღირებულებიდან, რადგან ეს ღირებულება ავანსებულია მწარმოებლური კაპიტალის ფორმით, სულ ერთია, შრომის ფორმით თუ წარმოების საშუალებათა ფორმით. მაგრამ, მეორე მხრივ, ავანსებულ კაპიტალღირებულებას არ შეუძლია წარმოქმნას ზედმეტი ღირებულება მარტოოდენ იმ საფუძველზე, რომ იგი დახარჯულ იქნა და ამიტომ საქონლის ხარჯთფასს შეადგენს. ვინაიდან: სწორედ იმდენად, რამდენადაც იგი საქონლის ხარჯთფასს წარმოქმნის, წარმოქმნის არა ზედმეტ ღირებულებას, არამედ — მხოლოდ ეკვივალენტს, ღირებულებას, რომელიც დახარჯულ კაპიტალს ანაზღაურებს. მაშასადამე, რამდენადაც იგი ზედმეტ ღირებულებას წარმოქმნის, წარმოქმნის მას არა თავისი სპეციფიკური თვისების გამო როგორც დახარჯული კაპიტალი, არამედ — როგორც ავანსებული და, მაშასადამე, გამოყენებული კაპიტალი საერთოდ. ამიტომ ზედმეტი ღირებულება თანაბრად გამომდინარეობს როგორც ავანსებული კაპიტალის იმ ნაწილიდან, რომელიც საქონლის ხარჯთფასში შედის, ისე მისი იმ ნაწილიდანაც, რომელიც ხარჯთფასში არ შედის; ერთი სიტყვით, — თანაბრად გამომდინარეობს გამოყენებული კაპიტალის ძირითადი და საბრუნავი შემადგენელი ნაწილებიდან. მთელი კაპიტალი — როგორც შრომის საშუალებები, ისე წარმოების მასალები და შრომა — ნივთიერად პროდუქტის შემქმნელის როლს ასრულებს. შრომის ნამდვილ პროცესში მთელი კაპიტალი შედის ნივთიერად, თუმცა ღირებულების ზრდის პროცესში მისი მარტო ერთი ნაწილი შედის. შეიძლება, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ იგი მხოლოდ ნაწილობრივ მონაწილეობს ხარჯთფასის შექმნაში. მაგრამ მთლიანად მონაწილეობს ზედ-

მეტი ღირებულების შექმნაში. ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ზედმეტი ღირებულება თანაბრად გამომდინარეობს გამოყენებული კაპიტალის ყველა ნაწილიდან. მსჯელობა შეიძლება ძალიან შევამოკლოთ, თუ მალთუსის კვალდაკვალ ტლანქად და მარტივად ვიტყვით «კაპიტალისტი ერთნაირ გამორჩენას მ ო ე ლ ი ს მის მიერ ავანსებული კაპიტალის ყველა ნაწილისაგან»[3].

ზედმეტი ღირებულება, მთელი ავანსებული კაპიტალის ასეთ წარმონაშობად წარმოდგენილი, მ ო გ ე ბ ი ს გარდაქმნილ ფორმას იღებს. მაშასადამე, ღირებულების განსაზღვრული ჯამი იმიტომაა კაპიტალი, რომ იგი იხარჯება, რათა მოგება წარმოშვას[4], ანუ მოგება ჩნდება იმიტომ, რომ ღირებულების განსაზღვრული ჯამი გამოიყენება როგორც კაპიტალი. თუ ჩვენ მოგებას p-თი აღვნიშნავთ, ფორმულა $W = c + v + m = k + m$ გარდაიქმნება ფორმულად: $W = k + p$, ანუ ს ა ქ ო ნ ლ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა უდრის ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ს + მ ო გ ე ბ ა.

მაშასადამე, მოგება, როგორც იგი აქ პირველად წარმოგვიდგება, იგივეა, რაც ზედმეტი ღირებულება, მხოლოდ მისტიფიცირებული ფორმით, რომელიც, აუცილებლობის გზით მაინც, კაპიტალისტური წარმოების წესიდან აღმოცენდება. რადგან ხარჯთფასის წარმოქმნაში, როგორც იგი მოვლენათა ზედაპირზე მოჩანს, ვერ დავინახავთ ვერავითარ განსხვავებას მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს შორის, ამიტომ კაპიტალის ცვალებადი ნაწილიდან მთელ კაპიტალზე უნდა იქნეს გადატანილი ღირებულების იმ ცვლილების წყარო, რაც წარმოების პროცესის განმავლობაში ხდება. რადგან ერთ პოლუსზე სამუშაო ძალის ფასი გვევლინება ხელფასის გარდაქმნილი ფორმით, ამიტომ მოპირისპირე პოლუსზე ზედმეტი ღირებულება გვევლინება მოგების გარდაქმნილი ფორმით.

როგორც დავინახეთ, საქონლის ხარჯთფასი ნაკლებია მის ღირებულებაზე. რადგან $W = k + m$, ამიტომ $k = W - m$. ფორმულა $W = k + m$ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიყვანება ფორმულაზე: $W = k$, საქონლის ღირებულება = საქონლის ხარჯთფასს, თ უ $m = o$, რაც ისეთი შემთხვევაა, რომელსაც კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე არასოდეს არა აქვს ადგილი, თუმცა განსაკუთრებული საბაზრო კონიუნქტურის დროს საქონელთა გასაყიდმა ფასმა შეიძლება ხარჯთფასამდე და მასზე დაბლაც დაიწიოს.

---

[3] Malthus: «Principles of Political Economy», მე-2 გამოც., London 1836, გვ. 268.

[4] «კაპიტალია ის, რაც მოგების მიღების მიზნით იხარჯება». Malthus: «Definitions in Political Economy». London 1827, გვ. 86.

ამიტომ, თუ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდება. მაშინ რეალიზებულია მოგებაც, რომელიც ეთანატოლება საქონლის ღირებულების ნამეტს მის ხარჯთფასთან შედარებით, მაშასადამე, ეთანატოლება საქონლის ღირებულებაში მოქცეულ მთელ ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ კაპიტალისტს შეუძლია საქონელი მოგებით გაყიდოს, თუნდაც რომ იგი მას მის ღირებულებაზე დაბლა ყიდდეს. სანამ საქონლის გასაყიდი ფასი უფრო მაღალია, ვიდრე მისი ხარჯთფასი, თუნდაც რომ იგი მის ღირებულებაზე ნაკლები იყოს, ყოველთვის ხდება საქონელში მოქცეული ზედმეტი ღირებულების ნაწილის რეალიზაცია, მაშასადამე, ყოველთვის მიიღება მოგება. ჩვენს მაგალითში საქონლის ღირებულება = 600 გირვ. სტერლინგს, ხარჯთფასი = 500 გირვ. სტერლინგს. თუ საქონელი 510, 520, 530, 560, 590 გირვ. სტერლინგად გაიყიდა, მაშინ იგი მის ღირებულებასთან შედარებით 90, 80, 70, 40, 10 გირვ. სტერლინგით უფრო იაფად გაიყიდება, მაგრამ, მაინც, მისი გაყიდვიდან 10, 20, 30, 60, 90 გირვ. სტერლ. მოგება მიიღება. საქონლის ღირებულებასა და მის ხარჯთფასს შორის, ცხადია, შესაძლებელია გასაყიდი ფასების განუსაზღვრელი მწკრივი. რაც უფრო დიდია საქონლის ღირებულების ის ელემენტი, რომელიც ზედმეტი ღირებულებისგან შედგება, მით უფრო დიდია პრაქტიკულად ამ შუალედი ფასების არე.

ამით აიხსნება არა მარტო კონკურენციის ყოველდღიური მოვლენები, როგორც, მაგ., დაწეულ ფასებში გაყიდვის (underselling) გარკვეული შემთხვევები, ფასების არანორმალურად დაბალი დონე განსაზღვრულ სამრეწველო დარგებში[5] და სხვა. კაპიტალისტური კონკურენციის ძირითადი კანონი, რომელიც დღემდე პოლიტიკურ ეკონომიას ვერ გაუგია, კანონი, რომელიც მოგების საერთო ნორმას და ამ ნორმის მიერ განსაზღვრულ ეგრეთწოდებულ წარმოების ფასებს არეგულირებს, დამყარებულია, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საქონლის ღირებულებასა და ხარჯთფასს შორის არსებულ ამ სხვაობაზე და აქედან გამომდინარე შესაძლებლობაზე, რომ საქონელი მოგებით გაიყიდოს მის ღირებულებაზე დაბლა.

საქონლის გასაყიდი ფასის მინიმალური საზღვარი მოცემულია მისი ხარჯთფასით. თუ საქონელი მის ხარჯთფასზე დაბლა გაიყიდა, გასაყიდი ფასით მთლიანად ვერ ანაზღაურდება მწარმოებლური კაპიტალის დახარჯული შემადგენელი ნაწილები. თუ ეს პროცესი გაგრძელდა,

---

[5] შეად. წიგნი, I, თავი XVIII, გვ. 511 — 512. [იხ. კ. მ ა რ ქ ს ი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც., 1954 წ., გვ. 690 — 691.]

ავანსებული კაპიტალის ღირებულება გაქრება. უკვე ამ თვალსაზრისით კაპიტალისტს მიდრეკილება აქვს ხარჯთფასი ჩათვალოს საქონლის ნამდვილ შინაგან ღირებულებად, ვინაიდან ეს არის ფასი, რომელიც აუცილებელია მისი კაპიტალის მხოლოდ შენარჩუნებისათვის. მაგრამ ამას ერთვის კიდევ ის გარემოება, რომ საქონლის ხარჯთფასი ნაყიდობის ფასია, რომელიც საქონლის წარმოებისათვის გაიღო თვით კაპიტალისტმა, მაშასადამე, ნაყიდობის ფასი, რომელიც საქონლის თვით წარმოების პროცესით არის განსაზღვრული. ამიტომ საქონლის გაყიდვისას რეალიზებული ნამეტი ღირებულებისა ანუ ზედმეტი ღირებულება კაპიტალისტს ეჩვენება საქონლის გასაყიდი ფასის ნამეტად მის ღირებულებასთან შედარებით და არა მისი ღირებულების ნამეტად მის ხარჯთფასთან შედარებით. გამოდის რომ, თითქოს საქონელში მოთავსებული ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია საქონლის გაყიდვით კი არ ხდება, არამედ თვით გაყიდვიდან გამომდინარეობს. ეს ილუზია ჩვენ უკვე გავარკვიეთ დაწვრილებით I წიგნში, თავი IV, 2 («კაპიტალის საყოველთაო ფორმულის წინააღმდეგობანი»), მაგრამ აქ ერთი წუთით დავუბრუნდეთ იმ ფორმას, რა ფორმითაც იგი ტორენსმა და სხვებმა კვლავ წამოაყენეს, როგორც პოლიტიკური ეკონომიის მიერ რიკარდოსთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯი.

«ბუნებრივი ფასი, რომელიც წარმოების ხარჯისაგან ანუ, სხვა სიტყვებით, საქონლის წარმოებასა თუ ფაბრიკაციაზე დახარჯული კაპიტალისაგან შედგება, შეუძლებელია მოგებას შეიცავდეს... თუ ფერმერი თავისი მინდვრების დამუშავებაზე 100 კვარტერ ხორბალს ხარჯავს და სამაგიეროდ 120 კვარტერს მოიწევს, ეს 20 კვარტერი, როგორც პროდუქტის ნამეტი ხარჯთან შედარებით, მის მოგებას შეადგენს; მაგრამ უაზრობა იქნებოდა ამ ნამეტისათვის, ანუ მოგებისთვის, ფერმერის დანახარჯის ნაწილი გვეწოდებინა... მეფაბრიკე ხარჯავს გარკვეული რაოდენობის ნედლეულს, იარაღებსა და საარსებო საშუალებებს შრომისათვის და სამაგიეროდ ღებულობს მზა საქონლის გარკვეულ რაოდენობას. ამ მზა საქონელს უფრო მეტი საცვლელი ღირებულება უნდა ჰქონდეს, ვიდრე იმ ნედლეულს, იმ იარაღებსა და საარსებო საშუალებებს, რომელთა ავანსად გაღების გზითაც იგი შეიძინეს». ამიტომ ტორენსი დაასკვნის, გასაყიდი ფასის ნამეტი ხარჯთფასთან შედარებით, ანუ მოგება, იქიდან წარმოდგება, რომ მომხმარებლები «უშუალო ან შუალობითი (circuitous) გაცვლის გზით კაპიტალის რამ-

დენადმე უფრო დიდი რაოდენობის ყველა შემადგენელ ნაწილს იძლევიან, ვიდრე ამ უკანასკნელთა წარმოება ღირს»[6].

მართლაც, მოცემულ სიდიდესთან შედარებით ნამეტი არ შეიძლება ამ სიდიდის ნაწილს შეადგენდეს. მაშასადამე, მოგებაც, საქონლის ღირებულების ნამეტი კაპიტალისტის დანახარჯთან შედარებით, არ შეიძლება ამ დანახარჯის ნაწილს შეადგენდეს. მაშასადამე, თუ საქონლის ღირებულების შედგენაში არ შედის არავითარი სხვა ელემენტი, გარდა კაპიტალისტის მიერ ავანსებული ღირებულებისა, მაშინ გაუგებარი ხდება, როგორ შეიძლება წარმოებიდან მეტი ღირებულება გამოვიდეს, ვიდრე იქ შევიდა, ანუ არაფრისაგან რაიმე შეიქმნას. მაგრამ ტორენსი ამ არაფრისაგან შექმნას თავს მხოლოდ იმით აღწევს, რომ იგი მას საქონლის წარმოების სფეროდან საქონლის მიმოქცევის სფეროში გადააქვს. მოგება არ შეიძლება წარმოებიდან წარმოდგეს, ამბობს ტორენსი, ვინაიდან სხვაფრივ იგი წარმოების ხარჯებში იქნებოდა მოქცეული. მაშასადამე, არ იქნებოდა არავითარი ნამეტიც ამ ხარჯებთან შედარებით. მოგება არ შეიძლება საქონლის გაცვლიდან წარმოდგეს, უპასუხებს მას რამსეი, უკეთუ იგი უკვე საქონლის გაცვლამდე არ არსებობდა. გაცვლილ პროდუქტთა ღირებულების ჯამი, ცხადია, არ შეიცვლება იმ პროდუქტთა გაცვლის გამო, რომელთა ღირებულების ჯამს იგი წარმოადგენს. ის გაცვლის შემდეგ იგივე რჩება, რაც გაცვლამდე იყო. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ მალთუსი პირდაპირ იმოწმებს ტორენსის ავტორიტეტს[7], თუმცა თვითონ იგი სხვანაირად ხსნის საქონლის გაყიდვას მის ღირებულებაზე მეტად ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, არ ხსნის მას, რადგან ყველა ამგვარი არგუმენტი არსებითად აუცილებლად იმასვე ნიშნავს, რასაც თავის დროზე ფლოგისტონის სახელგანთქმული უარყოფითი წონა ნიშნავდა.

იმ საზოგადოებაში, სადაც კაპიტალისტური წარმოებაა გაბატონებული, არაკაპიტალისტური მწარმოებელიც კი კაპიტალისტური შეხედულებებით არის დატყვევებული. თავის უკანასკნელ რომანში «გლეხები» ბალზაკი, რომელიც საერთოდ შესანიშნავია რეალურ ურთიერთობათა ღრმა გაგების მხრივ, მოხდენილად გვიხატავს, თუ როგორ მუქთად უსრულებს სხვადასხვა სამუშაოს წვრილი გლეხი მევახშეს, რათა მისი წყალობა შეინარჩუნოს, და თანაც არ ჰგონია, რომ მევახშეს რაიმეს საჩუქრად აძლევდეს, რადგან თავისი საკუთარი შრომისათვის

---

[6] R. Torrens: «An Essay on the Production of Wealth». London 1826. გვ. 51 — 53 და 349.

[7] Malthus: «Definitions in Political Economy». London 1853, გვ. 70, 71.

მას ნაღდი ფულის ხარჯვა არ უხდება. მევახშე, თავის მხრივ, ერთი გასროლით ორ კურდღელს ჰკლავს. იგი აღარ საჭიროებს ნაღდად ხარჯის გაწევას ხელფასისათვის და გლეხს, რომელსაც საკუთარი მიწის მუშაობაზე მოცდენა სწრაფი ტემპით ანადგურებს, უფრო და უფრო ახვევს სავახშო ქსელის ბადეში.

ის უაზრო წარმოდგენა, თითქოს საქონლის ხარჯთფასი მის ნამდვილ ღირებულებას შეადგენს, ხოლო ზედმეტი ღირებულება წარმოდგება საქონლის გაყიდვიდან მის ღირებულებაზე მაღლა, რომ, მაშასადამე, საქონელი მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდება, როდესაც მისი გასაყიდი ფასი მის ხარჯთფასს ეთანატოლება, ე. ი. ეთანატოლება მასზე დახარჯულ წარმოების საშუალებათა ფასს პლუს ხელფასი, — ეს უაზრო წარმოდგენა პრუდონმა მისთვის ჩვეული, მეცნიერულად მობაქიბუქე თაღლითობით საქვეყნოდ გამოაცხადა როგორც სოციალიზმის ახლად აღმოჩენილი საიდუმლოება. საქონლის ღირებულების ეს დაყვანა საქონლის ხარჯთფასზე მართლაც წარმოადგენს პრუდონის სახალხო ბანკის საფუძველს. წინათ განმარტებული იყო, რომ პროდუქტის ღირებულების სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები შეიძლება თვით პროდუქტის პროპორციული ნაწილებით გამოვსახოთ. თუ, მაგალითად (წიგნი I, თავი VII, გვ. 182 [კ. მ ა რ ქ ს·ი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ., გვ. 280 — 281]), 20 გირვ. ნართის ღირებულება 30 შილინგს შეადგენს, — სახელდობრ, 24 შილინგს წარმოების საშუალებანი, 3 შილინგს სამუშაო ძალა და 3 შილინგს ზედმეტი ღირებულება, — ეს ზედმეტი ღირებულება შეიძლება გამოვსახოთ პროდუქტის $^1/_{10}$-ით = 2 გირვ. ნართს. ახლა, თუ ეს 20 გირვ. ნართი მის ხარჯთფასად, 27 შილინგად, გაიყიდა, მყიდველი მუქთად მიიღებს 2 გირვ. ნართს, ანუ საქონელი $^1/_{10}$-ით მის ღირებულებაზე ნაკლებად გაიყიდება; მაგრამ მუშამ ამ შემთხვევაშიც უწინდებურად გასწია ზედმეტი შრომა, მხოლოდ — ნართის მყიდველისათვის და არა ნართის კაპიტალისტური მწარმოებლისათვის. სრულიად შემცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ თუ ყველა საქონელი მათი ხარჯთფასის მიხედვით გაიყიდებოდა, შედეგი ფაქტიურად იგივე იქნებოდა, რაც მაშინ, ყველა რომ გაყიდულიყო მათს ხარჯთფასზე მაღლა, მაგრამ მათი ღირებულების მიხედვით; ვინაიდან: იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვიგულისხმებთ, რომ სამუშაო ძალის ღირებულება, სამუშაო დღის ხანგრძლიობა და შრომის ექსპლოატაციის ხარისხი ყველგან ერთნაირია, მაინც სხვადა-

სხვა სახის საქონელთა ღირებულებაში მოქცეული ზედმეტი ღირებულების მასა, ამ საქონელთა წარმოებისთვის ავანსებული კაპიტალის სხვადასხვა ორგანულ შედგენილობასთან დაკავშირებით, სრულიადაც არ იქნება თანატოლი[8].

---

[8] «სხვადასხვა კაპიტალის მიერ წარმოებული ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების მასა, სამუშაო ძალის მოცემული ღირებულებისა და მისი ექსპლოატაციის თანაბარი ხარისხის პირობებში, პირდაპირ შეფარდებაშია ამ კაპიტალების ცვალებადი შემადგენელი ნაწილების, ე. ი. მათი ცოცხალ სამუშაო ძალად ქცეული შემადგენელი ნაწილების სიდიდესთან» (წიგნი 1, თავი IX, გვ. 270 [იხ. კ. მ ა რ ქ ს ი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ., გვ. 389]).

თავი მეოთხე
მოგების ნორმა

კაპიტალის საყოველთაო ფორმულაა: Ფ — ს — Ფ′, ე. ი. მიმოქცევაში შეიტანება განსაზღვრული ოდენობის ღირებულება, რათა იქიდან უფრო დიდი ოდენობის ღირებულება გამოიტანონ. პროცესი, რომელიც ამ უფრო დიდი ოდენობის ღირებულებას წარმოშობს, კაპიტალისტური წარმოებაა; პროცესი, რომელიც მის რეალიზაციას ახდენს, კაპიტალის მიმოქცევაა. კაპიტალისტი საქონელს აწარმოებს არა ამ საქონლის გულისთვის, არა მისი სახმარი ღირებულებისა ანუ თავისი პირადი მოხმარების გულისთვის. პროდუქტი, რომელიც ნამდვილად აინტერესებს კაპიტალისტს, არის არა თვითონ კონკრეტული პროდუქტი, არამედ — პროდუქტის ღირებულების ნამეტი მასზე დახარჯულ კაპიტალის ღირებულებასთან შედარებით. კაპიტალისტი ავანსად გაიღებს მთელ კაპიტალს ისე, რომ ყურადღებას არ აქცევს იმ სხვადასხვა როლს, რომელსაც ამ კაპიტალის შემადგენელი ნაწილები ასრულებენ ზედმეტი ღირებულების წარმოებაში. იგი ყველა ამ შემადგენელ ნაწილს ერთნაირად გაიღებს ავანსად არა მარტო ავანსებული კაპიტალის კვლავწარმოების მიზნით, არამედ იმისათვის, რომ მასთან შედარებით ღირებულების გარკვეული ნამეტიც აწარმოოს. ავანსებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულების გადაქცევა უფრო დიდ ღირებულებად მას შეუძლია მხოლოდ მისი ცოცხალ შრომაზე გაცვლით, ცოცხალი შრომის ექსპლოატაციით. მაგრამ ცოცხალი შრომის ექსპლოატაცია მას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იმავდროულად დააავანსებს ამ შრომის განსახორციელებლად საჭირო პირობებსაც — შრომის საშუალებებსა და შრომის საგანს, მანქანებსა და ნედლეულს, ე. ი. თუ იმ ღირებულების ჯამს, რომელიც მის განკარგულებაშია, წარმოების პირობების ფორმად გარდაქმნის; როგორც საერთოდ იგი მხოლოდ იმიტომ არის კაპიტალისტი, მხოლოდ იმიტომ შეუძლია მას საერთოდ შრომის ექსპლოატაციის პროცესს ხელი მოჰკიდოს, რომ იგი როგორც შრომის პირობათა მესაკუთრე უპირისპირ-

დება მუშას როგორც მარტოოდენ სამუშაო ძალის მფლობელს. უკვე უწინ, პირველ წიგნში, ნაჩვენები იყო, რომ სწორედ ის გარემოება, რომ წარმოების საშუალებებს ფლობენ არა-მუშები, აქცევს მუშებს დაქირავებულ მუშებად და არა-მუშებს კაპიტალისტებად.

კაპიტალისტისთვის სულ ერთია, განიხილავს იგი საქმეს ისე, რომ მუდმივ კაპიტალს გაიღებს ავანსად ცვალებადიდან მოგების მისაღებად, თუ ცვალებად კაპიტალს — მუდმივი კაპიტალის ღირებულების გასადიდებლად; ანდა: ფულს ხელფასზე ხარჯავს იმისთვის, რათა მანქანებსა და ნედლეულს უფრო დიდი ღირებულება მისცეს, თუ ფულს მანქანებსა და ნედლ მასალაში გაიღებს ავანსად იმისთვის, რათა შრომის ექსპლოატაცია შეძლოს. თუმცა კაპიტალის მხოლოდ ცვალებადი ნაწილი ქმნის ზედმეტ ღირებულებას, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ ავანსებულია სხვა ნაწილებიც — შრომისათვის აუცილებელი წარმოების პირობები. რადგან კაპიტალისტს მხოლოდ მუდმივი კაპიტალის ავანსად გაღების გზით შეუძლია შრომის ექსპლოატაცია და რადგან მას მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის ავანსად გაღების გზით შეუძლია მუდმივი კაპიტალის ღირებულების გადიდება, ამიტომ ეს კაპიტალები მის წარმოდგენაში ყველა თანაბრად ერთიმეორეს ემთხვევა, და ეს — მით უფრო, რომ მისი მოგების ნამდვილ დონეს განსაზღვრავს შეფარდება არა ცვალებად კაპიტალთან, არამედ მთელ კაპიტალთან, არა ზედმეტი ღირებულების ნორმა, არამედ — მოგების ნორმა, რომელიც, როგორც დავინახავთ, შეიძლება ერთი და იგივე რჩებოდეს და მაინც ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ნორმას გამოხატავდეს.

პროდუქტის წარმოების ხარჯებს მიეკუთვნება მისი ღირებულების ყველა შემადგენელი ნაწილი, რომელიც კაპიტალისტმა გადაიხადა ან რომლის ეკვივალენტი მან წარმოებაში შეიტანა. ეს ხარჯები უნდა ანაზღაურდეს, რათა კაპიტალი უბრალოდ შენარჩუნებულ ანუ კვლავწარმოებულ იქნეს მისი თავდაპირველი სიდიდის მიხედვით.

საქონელში მოქცეული ღირებულება ეთანატოლება იმ სამუშაო დროს, რადაც საქონლის წარმოება ღირს, ხოლო ამ შრომის ჯამი შედგება გადახდილი და გადაუხდელი შრომისგან. პირიქით, კაპიტალისტისთვის საქონლის ხარჯები შედგება საქონელში გასაგნობრივებული შრომის მხოლოდ იმ ნაწილისაგან, რომელშიც მან ფასი გადაიხადა. საქონელში მოქცეული ზედმეტი შრომა კაპიტალისტს არაფრად უღირს, თუმცა იგი მუშას შრომად უღირს, სრულიად ისე, როგორც ფასგადახდილი შრომა, და თუმცა იგი, სრულიად ისე, როგორც ფასგადახდილი შრომა, ღირებულებას ქმნის და როგორც ღირებულების წარ-

მომქმნელი ელემენტი საქონელში შედის. კაპიტალისტის მოგება იქიდან მიიღება, რომ მას შეუძლია გაყიდოს ისეთი რაიმე, რაშიაც ფასი არ გადაუხდია. ზედმეტი ღირებულება, resp. [შესაბამის.] მოგება შედგება სწორედ საქონლის ღირებულების ნამეტისაგან მის ხარჯთფასთან შედარებით, ე. ი. საქონელში მოქცეული მთელი შრომის ჯამის ნამეტისაგან მასში მოქცეული გადახდილი შრომის ჯამთან შედარებით. ამრიგად, ზედმეტი ღირებულება, როგორიც არ უნდა იყოს მისი წარმოშობა, წარმოადგენს ნამეტს მთელ ავანსებულ კაპიტალთან შედარებით. მაშასადამე, ეს ნამეტი ისეთ შეფარდებაშია მთელ კაპიტალთან, რომელიც გამოიხატება წილადით $\frac{m}{C}$, სადაც C მთელ კაპიტალს ნიშნავს. ამრიგად, ჩვენ ვიღებთ მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა ს $\frac{m}{C}=\frac{m}{c+v}$ განსხვავებით ზედმეტი ღირებულების ნორმისაგან $\frac{m}{v}$.

ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ცვალებად კაპიტალთან ეწოდება ზედმეტი ღირებულების ნორმა; ზედმეტი ღირებულების შეფარდებას მთელ კაპიტალთან ეწოდება მოგების ნორმა. ეს ორის ერთი და იმავე სიდიდის ორი სხვადასხვა გაზომვა, რომელიც მასშტაბის სხვაობის გამო იმავე დროს ერთი და იმავე სიდიდის სხვადასხვა პროპორციას ანუ მიმართებას გამოხატავს.

ზედმეტი ღირებულების გარდაქმნა მოგებად უნდა გამოყვანილ იქნეს ზედმეტი ღირებულების ნორმის გარდაქმნიდან მოგების ნორმად, და არა პირიქით. მართლაც, ისტორიულად ამოსავალი წერტილი მოგების ნორმა იყო. ზედმეტი ღირებულება და ზედმეტი ღირებულების ნორმა წარმოადგენს შეფარდებით უხილავ რაიმეს, რაღაც გამოსაკვლევ არსებითს, მაშინ როდესაც მოგების ნორმა და, ამიტომ, ზედმეტი ღირებულების ფორმაც, მოგება, მოვლენათა ზედაპირზე ცხადდება.

რაც შეეხება ცალკეულ კაპიტალისტს, ცხადია, რომ ერთადერთი, რაც მას აინტერესებს, ეს არის შეფარდება ზედმეტი ღირებულებისა, ანუ ღირებულების იმ ნამეტისა, რისთვისაც იგი თავის საქონელს ყიდის, საქონლის წარმოებისათვის ავანსებულ ერთობლივ კაპიტალთან; მაშინ როდესაც ამ ნამეტის განსაზღვრული შეფარდება და მისი შინაგანი კავშირი კაპიტალის განსაკუთრებულ შემადგენელ ნაწილებთან კაპიტალისტს არა თუარ აინტერესებს, არამედ მისი ინტერესი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბურუსში გაახვიოს ეს განსაზღვრული შეფარდება და ეს შინაგანი კავშირი.

თუმცა საქონლის ღირებულების ნამეტი მის ხარჯთფასთან შედა-

რებით წარმოების უშუალო პროცესში წარმოიშვება, მაგრამ მისი რეალიზაცია მარტოოდენ მიმოქცევის პროცესში ხდება; და საქმის ვითარებას მით უფრო ადვილად ეძლევა ისეთი მოჩვენებითი ხასიათი, თითქოს ნამეტი მიმოქცევის პროცესიდან წარმოიშვებოდეს, რომ სინამდვილეში, კონკურენციის შიგნით, ნამდვილ ბაზარზე, საბაზრო ურთიერთობაზეა დამოკიდებული, მოხდება თუარა და რამდენად მოხდება ამ ნამეტის რეალიზაცია. აქ საჭირო არაა რაიმე ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ, თუ საქონელი მის ღირებულებაზე მეტად ან ნაკლებად გაიყიდება, მაშინ ზედმეტი ღირებულების მხოლოდ სხვაგვარი განაწილება ხდება და რომ ეს სხვაგვარი განაწილება, ეს შეცვლილი შეფარდება, რომლის მიხედვით სხვადასხვა პირნი ერთმანეთს შორის ინაწილებენ ზედმეტ ღირებულებას, სრულებით არაფერს ცვლის ზედმეტი ღირებულების არც სიდიდეში, და არც ბუნებაში. მიმოქცევის ნამდვილ პროცესში არა თუ ხდება ის გარდაქმნები, რომელნიც ჩვენ II წიგნში განვიხილეთ, არამედ ისინი ემთხვევიან ნამდვილ კონკურენციას, საქონელთა ყიდვა-გაყიდვას მათს ღირებულებაზე ზევით ან ქვევით, ასე რომ ცალკეული კაპიტალისტისათვის თვით მის მიერ რეალიზებული ზედმეტი ღირებულება იმდენადვეა დამოკიდებული ურთიერთ მოტყუებაზე, რამდენადაც შრომის უშუალო ექსპლოატაციაზეც.

მიმოქცევის პროცესში სამუშაო დროსთან ერთად მოქმედებას იწყებს მიმოქცევის დრო, რაც შესაბამისად ზღუდავს იმ ზედმეტი ღირებულების მასას, რომლის რეალიზაცია შესაძლებელია დროის გარკვეულ მონაკვეთში. წარმოების უშუალო პროცესზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ კიდევ სხვა, მიმოქცევიდან გამომდინარე, მომენტებიც. ორივე, — წარმოების უშუალო პროცესიც და მიმოქცევის პროცესიც, — მუდამ გადადის ერთიმეორეში, გაუჯდება ერთიმეორეს და ამით მუდამ მცდარი სახით წარმოგვიდგენს თავის დამახასიათებელ განმასხვავებელ ნიშნებს. ზედმეტი ღირებულების წარმოება, ისევე როგორც ღირებულებისა საერთოდ, მიმოქცევის პროცესში, როგორც ეს წინათ იყო ნაჩვენები, ახალ განსაზღვრას იღებს; კაპიტალი გაივლის თავის გარდაქმნათა წრეს; ბოლოს იგი გადადის, ასე ვთქვათ, თავისი შინაგანი ორგანული სიცოცხლიდან საგარეო სიცოცხლის ურთიერთობაში, — ურთიერთობაში, სადაც ერთიმეორეს უპირისპირდება არა კაპიტალი და შრომა, არამედ, ერთი მხრივ, — კაპიტალი და კაპიტალი, მეორე მხრივ, — ინდივიდები, კვლავ უბრალოდ როგორც მყიდველები და გამყიდველები; მიმოქცევის დრო და სამუშაო დრო თავიანთ გზაზე ერთიმეორეს გადაეჯვარედინება და ისე ჩანს, თითქოს ორივე თანა-

ბრად განსაზღვრავდეს ზედმეტ ღირებულებას; იმ თავდაპირველ ფორმას, რომლითაც ერთიმეორეს უპირისპირდება კაპიტალი და დაქირავებული შრომა, საბურველი ეფარება ისეთ ურთიერთობათა ჩარევით, რომლებიც გარეგნულად თითქოს დამოუკიდებელია მისგან; თვით ზედმეტი ღირებულება გვეჩვენება არა როგორც სამუშაო დროის მითვისების პროდუქტი, არამედ როგორც საქონელთა გასაყიდი ფასის ნამეტი მათ ხარჯთფასთან შედარებით, და ეს უკანასკნელი ამიტომ ადვილად შეიძლება მოგვეჩვენოს საქონლის ნამდვილ ღირებულებად (valeur intrinsèque), ასე რომ მოგება გვეჩვენება საქონელთა გასაყიდი ფასის ნამეტად მათს იმანენტურ ღირებულებასთან შედარებით.

მართალია, წარმოების უშუალო პროცესის განმავლობაში ზედმეტი ღირებულების ბუნება ყოველთვის აღწევს კაპიტალისტის ცნობიერებას, როგორც ეს ზედმეტი ღირებულების განხილვისას უკვე დაგვანახვა კაპიტალისტის სიხარბემ სხვისი სამუშაო დროის მიმართ. მაგრამ: 1) თვით უშუალო წარმოების პროცესი მხოლოდ გარდამავალი მომენტია, რომელიც მუდამ გადადის მიმოქცევის პროცესში, როგორც ეს უკანასკნელი გადადის პირველში, ასე რომ წარმოების პროცესში მეტნაკლები სიცხადით გამოსჭვივის ვარაუდი მასში შექმნილი მოგების წყაროს შესახებ, ე. ი. ზედმეტი ღირებულების ბუნების შესახებ, რომელიც — დიდი-დიდი — ტოლმნიშვნელოვანი მომენტია იმ შეხედულების გვერდით, თითქოს რეალიზებული ნამეტი წარმოების პროცესისაგან დამოუკიდებელ მოძრაობიდან წარმოდგება, თვით მიმოქცევიდან გამომდინარეობს და, მაშასადამე, ეკუთვნის კაპიტალს მიუხედავად მისი ურთიერთობისა შრომისადმი. და აი, თანამედროვე ეკონომისტებიც კი, როგორიც არიან რამსეი, მალთუსი, სენიორი, ტორენსი და სხვ., მიმოქცევის ამ მოვლენებს ასახელებენ იმის დამამტკიცებელ საბუთად, თითქოს კაპიტალი უბრალოდ თავისი ნივთობრივი არსებობით, მიუხედავად მისი იმ საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა შრომისადმი, რომელიც მისი კაპიტალად გადაქცევის ერთადერთი პირობაა, შრომის გვერდით და შრომისგან დამოუკიდებლად, ზედმეტი ღირებულების დამოუკიდებელ წყაროს წარმოადგენდეს. 2) ხარჯების რუბრიკაში, რომელსაც ხელფასიც ისევე მიეკუთვნება, როგორც ნედლეულის ფასი, მანქანების გაცვეთა და სხვ., გადაუხდელი შრომის გამოწურვა გვევლინება მხოლოდ როგორც საზღაურის გადახდის დაზოგვა ხარჯებში შემავალი ერთი მუხლისა, მხოლოდ როგორც ნაკლები საზღაურის გადახდა განსაზღვრული რაოდენობის შრომისათვის; სრულიად ისე, როგორც ადგილი აქვს დაზოგვას, როცა ხერხდება ნედლი მასალის უფრო იაფად ყიდვა ანდა

მანქანების გაცვეთის შემცირება. ამრიგად, ზედმეტი შრომის გამოწურვა კარგავს თავის სპეციფიკურ ხასიათს; მისი სპეციფიკური დამოკიდებულება ზედმეტ ღირებულებასთან ბუნდოვანი ხდება; ამას კი, როგორც I წიგნის VI განყოფილებაშია ნაჩვენები, ხელს უწყობს და აადვილებს ის გარემოება, რომ სამუშაო ძალის ღირებულება ხელფასის ფორმითაა გამოხატული.

იმის გამო, რომ კაპიტალის ყველა ნაწილი ნამეტი ღირებულების (მოგების) თანაბარ წყაროდ გვეჩვენება, კაპიტალისტური ურთიერთობა მისტიციზმით მოცული ხდება.

მაგრამ ის წესი, რომლითაც ზედმეტი ღირებულება მოგების ნორმაში გადასვლის საშუალებით მოგების ფორმას მიიღებს, სუბიექტის და ობიექტის იმ არევის მხოლოდ შემდგომი განვითარებაა, რაც უკვე წარმოების პროცესის დროს ხდება. უკვე აქ დავინახეთ ჩვენ, რომ შრომის ყველა სუბიექტური მწარმოებლური ძალა კაპიტალის მწარმოებლურ ძალად წარმოგვიდგება. ერთი მხრივ, ღირებულება, წარსული შრომა, რომელიც ცოცხალ შრომაზე ბატონობს, გაპიროვნებული ხდება კაპიტალისტში; მეორე მხრივ, პირიქით, მუშა გვევლინება მხოლოდ როგორც სამუშაო ძალა — როგორც საგანი, როგორც საქონელი. ამ უკუღმართი ურთიერთობიდან აუცილებლად წარმოიშვება უკვე თვით მარტივ წარმოებით ურთიერთობაში შესაბამისი უკუღმართი წარმოდგენა, ამ ურთიერთობით გამოწვეული ცნობიერება, რომელიც საკუთრივ მიმოქცევის პროცესის გარდაქმნისა და სახეცვლის მეოხებით შემდგომ ვითარდება.

სრულიად მცდარია, როგორც ამას რიკარდოს სკოლის მაგალითი გვიჩვენებს, იმის ცდა, რომ მოგების ნორმის კანონები დავსახოთ უშუალოდ ზედმეტი ღირებულების კანონებად ან პირიქით. რასაკვირველია, კაპიტალისტის თავში ისინი არ განსხვავდებიან. გამოსახვაში: $\frac{m}{c}$ ზედმეტი ღირებულება იზომება მთელი კაპიტალის ღირებულებით, რომელიც მისი წარმოებისათვის იყო ავანსებული და ამ წარმოებაში ნაწილობრივ მთლიანად იქნა მოხმარებული, ნაწილობრივაც — მხოლოდ გამოყენებული. ფაქტიურად შეფარდება $\frac{m}{c}$ გამოსახავს მთელი ავანსებული კაპიტალის ღირებულების ზრდის ხარისხს; ე. ი. მისი ცნებითი, შინაგანი კავშირისა და ზედმეტი ღირებულების ბუნების შესაბამისად აღებული, იგი გვიჩვენებს, თუ როგორ შეეფარდება ცვალებადი კაპიტალის ვარიაციის სიდიდე ერთობლივი ავანსებული კაპიტალის სიდიდეს.

მთელი კაპიტალის ღირებულების სიდიდე თავისდათავად არავითარ

შინაგან შეფარდებაში არ იმყოფება, — ყოველ შემთხვევაში უშუალოდ — ზედმეტი ღირებულების სიდიდესთან. თავისი ნივთიერი ელემენტების მიხედვით მთელი კაპიტალი მინუს ცვალებადი კაპიტალი, — ე. ი. მუდმივი კაპიტალი, — შედგება შრომის განხორციელების ნივთიერი პირობებისაგან, შრომის საშუალებებისაგან და შრომის მასალისაგან. იმისათვის, რომ შრომის განსაზღვრული რაოდენობა საქონელში განხორციელდეს და ამით ღირებულება შეიქმნას, საჭიროა განსაზღვრული რაოდენობის შრომის მასალა და შრომის საშუალებანი. შესაერთებელი შრომის განსაკუთრებული ხასიათის მიხედვით არსებობს განსაზღვრული ტექნიკური შეფარდება შრომის მასასა და წარმოების საშუალებათა მასას შორის, რომელთაც ეს ცოცხალი შრომა უნდა შეუერთდეს. ამრიგად, ამდენადვე არსებობს აგრეთვე განსაზღვრული შეფარდება ზედმეტი ღირებულების, ანუ ზედმეტი შრომის მასასა და წარმოების საშუალებათა მასას შორის. თუ, მაგალითად, ხელფასის საწარმოებლად აუცილებელი შრომა დღიურად 6 საათს შეადგენს, მუშამ 12 საათი უნდა იმუშაოს, რათა 6 საათის ზედმეტი შრომა შეასრულოს, რათა 100%-ის ზედმეტი ღირებულება შექმნას. იგი 12 საათში ორჯერ მეტ წარმოების საშუალებებს მოიხმარს, ვიდრე 6 საათში. მაგრამ ამის გამო ზედმეტი ღირებულება, რომელსაც იგი 6 საათში უმატებს, სრულიადაც არაა რაიმე უშუალო შეფარდებაში წარმოების საშუალებათა ღირებულებასთან, რომლებიც ამ 6 საათში ან თუნდაც ამ 12 საათში იქნა მოხმარებული. ამ ღირებულებას აქ სრულიად არა აქვს მნიშვნელობა; მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ტექნიკურად საჭირო მასას. ძვირია თუ იაფი ნედლეული ან შრომის საშუალება, ამას მნიშვნელობა არა აქვს, თუკი მას საჭირო სახმარი ღირებულება გააჩნია და მოიპოვება ტექნიკის მიერ ნაკარნახევი პროპორციით იმ ცოცხალი შრომისადმი, რომელიც შთანთქმულ უნდა იქნეს. თუ ვიცი, რომ ერთ საათში დაირთვება x გირვანქა ბამბა, რომელიც a შილინგი ღირს, რასაკვირველია, ისიც ვიცი, რომ 12 საათში დაირთვება 12 x გირვანქა ბამბა = 12 a შილინგსა, და ისევე შემიძლია გამოვიანგარიშო ზედმეტი ღირებულების შეფარდება 12-ის ღირებულებასთან, როგორც 6-ის ღირებულებასთან. მაგრამ ცოცხალი შრომის შეფარდება წარმოების საშუალებათა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს თ ა ნ აქ მოცემულია იმდენად, რამდენადაც a შილინგი x გირვანქა ბამბის სახელწოდებას წარმოადგენს; რადგან ბამბის განსაზღვრულ რაოდენობას განსაზღვრული ფასი აქვს, ამიტომ, პირიქითაც, განსაზღვრული ფასი შეიძლება ბამბის განსაზღვრული რაოდენობის მაჩვენებელი იყოს, ვიდრე ბამბის ფასი არ შეიცვლება. თუ ვიცი, რომ 6 საათის ზედმეტი

შრომის მისათვისებლად 12 საათს უნდა ვამუშაო, მაშასადამე, 12 საათისთვის მზად უნდა მქონდეს ბამბა, და თუ ამ 12 საათისთვის საჭირო ბამბის რაოდენობის ფასი ვიცი, მაშინ არაპირდაპირი გზით მყარდება შეფარდება ბამბის ფასსა (როგორც აუცილებელი რაოდენობის მაჩვენებელსა) და ზედმეტ ღირებულებას შორის. მაგრამ, პირიქით, ნედლეულის ფასიდან მე არასოდეს არ შემიძლია დავასკვნა ნედლეულის იმ მასის შესახებ, რომელიც, მაგალითად, ერთ საათში და არა 6-ში შეიძლება დაირთას. ამრიგად, არავითარ შინაგან, აუცილებელ შეფარდებას არა აქვს ადგილი მუდმივი კაპიტალის ღირებულებასა და, მაშასადამე, არც მთელი კაპიტალის ($=c+v$) ღირებულებასა და ზედმეტ ღირებულებას შორის.

თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა ცნობილია და მისი სიდიდე მოცემულია, მაშინ მოგების ნორმა გამოსახავს მხოლოდ იმას, რაც ის ნამდვილად არის: ზედმეტი ღირებულების სხვაგვარ გაზომვას, მის გაზომვას მთელი კაპიტალის ღირებულებით და არა კაპიტალის იმ ნაწილის ღირებულებით, რომლიდანაც და რომლის შრომაზე გაცვლითაც იგი უშუალოდ წარმოდგება. მაგრამ სინამდვილეში (ე. ი. მოვლენათა სამყაროში) საქმე სხვაგვარად წარმოგვიდგება. ზედმეტი ღირებულება მოცემულია, მაგრამ მოცემულია როგორც საქონლის გასაყიდი ფასის ნამეტი მის ხარჯთფასთან შედარებით; ამასთან საიდუმლოებად რჩება, საიდან წარმოდგება ეს ნამეტი, — შრომის ექსპლოატაციიდან წარმოების პროცესში, მყიდველთა მოტყუებიდან მიმოქცევის პროცესში, თუ ერთიდანაც და მეორედანაც. მოცემულია, შემდეგ, ამ ნამეტის შეფარდება ერთობლივი კაპიტალის ღირებულებასთან, ანუ მოგების ნორმა. ხარჯთფასთან შედარებით გასაყიდი ფასის ამ ნამეტის გამოთვლა მთელი ავანსებული კაპიტალის ღირებულებასთან შეფარდებით მეტად მნიშვნელოვანია და ბუნებრივი, რადგან მისი საშუალებით ნამდვილად ვპოულობთ იმ რიცხვითს შეფარდებას, რის მიხედვითაც მთელი კაპიტალის ღირებულება იზრდება, ანუ ვპოულობთ მისი ღირებულების ზრდის ხარისხს. მაშასადამე, თუ ამ მოგების ნორმიდან გამოვალთ, ვერ გამოვიყვანთ ვერავითარ სპეციფიკურ შეფარდებას ნამეტსა და კაპიტალის იმ ნაწილს შორის, რომელიც ხელფასზეა დახარჯული. ერთ-ერთ შემდგომ თავში ჩვენ დავინახავთ, თუ რანაირ სასაცილო შეცდომებს უშვებს მალთუსი, როდესაც იგი ამ გზით ცდილობს განმვრიტოს საიდუმლოება ზედმეტი ღირებულებისა და მისი სპეციფიკური შეფარდებისა კაპიტალის ცვალებად ნაწილთან. მოგების ნორმა — როგორც ასეთი — პირიქით, იმას გვიჩვენებს, რომ ნამეტი თანაბარ შეფარდებაშია კაპიტალის თანატოლი სიდიდის ნაწილებთან, კაპიტალისა, რომელიც, ამ თვალსაზრისით, საერთოდ არავითარ შინა-

გან განსხვავებებს არ გვიჩვენებს, გარდა განსხვავებისა ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის. და ამ განსხვავებასაც მხოლოდ იმიტომ გვიჩვენებს, რომ ნამეტი ორგვარად ინგარიშება. სახელდობრ, ჯერ ერთი, როგორც მარტივი სიდიდე: ნამეტი ხარჯთფასთან შედარებით. ნამეტის ამ თავისი პირველი ფორმით მთელი საბრუნავი კაპიტალი შედის ხარჯთფასში, მაშინ როდესაც ძირითადი კაპიტალიდან მასში მხოლოდ გაცვეთა შედის. შემდეგ, მეორე: ღირებულების ამ ნამეტის შეფარდება ავანსებული კაპიტალის მთელ ღირებულებასთან. აქ იგულისხმება როგორც მთელი ძირითადი კაპიტალის, ისე საბრუნავი კაპიტალის ღირებულება. მაშასადამე, საბრუნავი კაპიტალი ორივეჯერ ერთნაირად შედის, მაშინ როდესაც ძირითადი კაპიტალი ერთხელ შედის საბრუნავი კაპიტალისაგან განსხვავებული წესით, მეორეჯერ — იმავე წესით, როგორც საბრუნავი კაპიტალი. ამრიგად, განსხვავება საბრუნავსა და ძირითად კაპიტალს შორის აქ თვალში გვეცემა როგორც ერთადერთი განსხვავება.

მაშასადამე, ნამეტი, თუ იგი, ჰეგელის ენით რომ ვთქვათ, მოგების ნორმიდან თავის თავში უკუაირეკლება, ანუ, სხვა სიტყვებით, ნამეტი. რომელიც მოგების ნორმით უფრო დაახლოებით ხასიათდება, — გვევლინება როგორც ნამეტი, რომელსაც კაპიტალი წლიურად ან მიმოქცევის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში თავის საკუთარ ღირებულებაზე ზედმეტად წარმოშობს.

ამიტომ, თუმცა მოგების ნორმა რიცხობრივი გამოხატულებით ზედმეტი ღირებულების ნორმისგან განსხვავდება, — მაშინ როდესაც ზედმეტი ღირებულება და მოგება სინამდვილეში ერთი და იგივეა და რიცხობრივი გამოხატულებითაც ერთიმეორის თანატოლია, მაგრამ მოგება მაინც ზედმეტი ღირებულების გარდაქმნილი ფორმაა, რომელშიაც მისი წარმოშობა და მისი მყოფობის [Dasein] საიდუმლოება გაბუნდოვანებული და გამქრალია. მართლაც, მოგება ზედმეტი ღირებულების გამოვლინების ფორმაა, ზედმეტი ღირებულება კი მარტოოდენ ანალიზის გზით უნდა იქნეს პირველიდან გამოყვანილი, ზედმეტ ღირებულებაში კაპიტალსა და შრომას შორის ურთიერთობა გაშიშვლებულია; კაპიტალისა და მოგების, ე. ი. კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების შეფარდებაში, — ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც ვლინდება ერთი მხრივ, როგორც მიმოქცევის პროცესში რეალიზებული საქონლის ხარჯთფასის ნამეტი, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც მთელ კაპიტალთან თავისი შეფარდებით უფრო მიახლოებით განსაზღვრული ნამეტი — ამ შეფარდებაში კ ა პ ი ტ ა ლ ი გვევლინება რ ო გ ო რ ც შ ე ფ ა რ დ ე ბ ა თ ა ვ ი ს თ ა ვ თ ა ნ, სადაც იგი, თავდაპირველი ღირებუ-

ლების ჯამის სახით, განსხვავდება მის მიერვე შექმნილი ახალი ღირებულებისგან. იგი რომ ამ ახალ ღირებულებას წარმოების პროცესსა და მიმოქცევის პროცესში თავისი მოძრაობის დროს წარმოშობს, ეს ცნობიერებაში არსებობს. მაგრამ თუ როგორ ხდება ეს, ახლა გაბუნდოვანებულია და ისე გვეჩვენება, თითქოს იგი იმ იდუმალი თვისებებიდან გამომდინარეობს, რომლებიც თვით კაპიტალის კუთვნილებას შეადგენენ.

რაც უფრო მეტად ვაკვირდებით კაპიტალის ღირებულების ზრდის პროცესს, მით უფრო მისტიციზმით მოცული ხდება კაპიტალისტური პროიერთობა და მით უფრო ნაკლებ მეღავნდება მისი შინაგანი ორგანიზმის საიდუმლოება.

ამ განყოფილებაში მოგების ნორმა რიცხობრივი გამოხატულებით განსხვავდება ზედმეტი ღირებულების ნორმისგან; პირიქით, მოგება და ზედმეტი ღირებულება განიხილება როგორც ერთი და იგივე რიცხობრივი სიდიდე, მხოლოდ — სხვადასხვა ფორმით. შემდგომ განყოფილებაში დავინახავთ, თუ როგორ განერიდებიან ისინი ერთმანეთს და როგორ გამოიხატება მოგება ისეთ სიდიდედ, რომელიც რიცხობრივადაც განსხვავებულია ზედმეტი ღირებულებისგან.

თავი მესამე

მოგების ნორმის შეფარდება ზედმეტი ღირებულების ნორმასთან.

როგორც წინა თავის ბოლოში აღვნიშნეთ, ჩვენ აქ, და საერთოდ მთელ ამ პირველ განყოფილებაში, ვგულისხმობთ, რომ მოგების ჯამი. რაც მოცემულ კაპიტალს უწევს, უდრის ზედმეტი ღირებულების მთელ ჯამს, რომელიც წარმოებულია ამ კაპიტალის საშუალებით მიმოქცევის მოცემული პერიოდის განმავლობაში. მაშასადამე, ჩვენ ჯერჯერობით მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმას, რომ ეს ზედმეტი ღირებულება, ერთი მხრივ, დაიშლება სხვადასხვა ქვეფორმებად: კაპიტალის სარგებლად, მიწის რენტად, გადასახადებად და სხვ., და რომ იგი, მეორე მხრივ, უმრავლეს შემთხვევაში სრულიადაც არ ემთხვევა მოგებას იმ სახით, რა სახითაც ეს მოგება მიითვისება მოგების საყოველთაო საშუალო ნორმის საფუძველზე, რაზედაც მეორე განყოფილებაში გვექნება ლაპარაკი.

რამდენადაც მოგება რაოდენობრივად ზედმეტი ღირებულების თანატოლად იგულისხმება, მისი სიდიდე და მოგების ნორმის სიდიდე განისაზღვრება მარტივ რიცხობრივ სიდიდეთა შეფარდებით, რომლებიც მოცემულია ან რომელთა განსაზღვრა შესაძლებელია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. ამრიგად, გამოკვლევა პირველად წმინდა მათემატიკურ სფეროში მოძრაობს.

ჩვენ ვტოვებთ პირველსა და მეორე წიგნში გამოყენებულ ნიშნებს. მთელი კაპიტალი C იყოფა მუდმივ კაპიტალად c და ცვალებად კაპიტალად v და აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას m. ამ ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ავანსებულ ცვალებად კაპიტალთან, მაშასადამე $\frac{m}{c}$ ჩვენ ვუწოდებთ ზედმეტი ღირებულების ნორმას და აღვნიშნავთ m'-ით. მაშასადამე $\frac{m}{v} = m'$ და ამიტომ $m = m'v$. თუ ამ ზედმეტ ღირებულებას ავიღებთ მის შეფარდებაში არა ცვალებად კაპიტალთან, არამედ მთელ კაპიტალთან, მას ეწოდება მოგება (p) და

ზედმეტი ღირებულების m შეფარდებას მთელ კაპიტალთან C, მაშასადამე $\frac{m}{C}$, ეწოდება მოგების ნორმა p'. ამის მიხედვით ჩვენ გვაქვს:

$$p' = \frac{m}{C} = \frac{m}{c+v};$$

თუ m ნაცვლად ზემოთ ნაპოვნ მის სიდიდეს, $m'v$, ჩავსვამთ, — მივიღებთ:

$$p' = m' \frac{v}{C} = m' \frac{v}{c+v};$$

ეს განტოლება შეიძლება აგრეთვე ამ პროპორციით გამოვსახოთ:

$$p' : m' = v : C,$$

მოგების ნორმა ისე შეეფარდება ზედმეტი ღირებულების ნორმაა, როგორც ცვალებადი კაპიტალი მთელ კაპიტალს.

ამ პროპორციიდან გამოდის, რომ p' მოგების ნორმა, ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე m', ზედმეტი ღირებულების ნორმა, რადგან v, ცვალებადი კაპიტალი, ყოველთვის ნაკლებია, ვიდრე C, ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის ჯამი $v+c$; ეს ასეა — გარდა ერთადერთი, პრაქტიკულად შეუძლებელი შემთხვევისა, როდესაც $v = C$, როდესაც, მაშასადამე, კაპიტალისტი სრულიად არ გაიღებდა ავანსად არც მუდმივ კაპიტალს, არც წარმოების საშუალებებს, და ავანსებული იქნებოდა მხოლოდ ხელფასი.

ჩვენს გამოკვლევაში მხედველობაში მისაღებია კიდევ მთელი რიგი სხვა ფაქტორები, რომლებიც განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენენ c, v და m სიდიდეებზე, და ამიტომ მოკლედ უნდა მოვიხსენიოთ.

ჯერ ერთი, ფულის ღირებულება. იგი ჩვენ შეგვიძლია ყველგან უცვლელად ვიგულისხმოთ.

მეორე: ბრუნვა. ამ ფაქტორს ჩვენ ჯერჯერობით უყურადღებოდ დავტოვებთ, რადგან მისი გავლენა მოგების ნორმაზე ერთ-ერთ შემდგომ თავში საგანგებოდაა გარჩეული. ახლა კი წინასწარ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ პუნქტს: რომ ფორმულა $p' = m' \frac{v}{C}$ ზედმიწევნით სწორია ცვალებადი კაპიტალის მხოლოდ ერთი გადაბრუნების პერიოდისათვის, მაგრამ რომ ჩვენ შეგვიძლია ეს ფორმულა სწორი გავხადოთ წლიური ბრუნვისათვისაც, თუ m', ზედმეტი ღირებულების მარტივი ნორმის, ნაცვლად $m'n$, ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმას

ჩავსვამთ, სადაც n ნიშნავს ცვალებადი კაპიტალის ბრუნვის რიცხვს ერთი წლის განმავლობაში (იხ. წიგნი II, თავი XVI, 1) — ფ. ე.]

მესამე: მზედველობაში მისაღებია შ რ ო მ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა, რომლის გავლენა ზედმეტი ღირებულების ნორმაზე დაწვრილებით იყო გარკვეული I წიგნის IV განყოფილებაში. მაგრამ მას შეუძლია აგრეთვე პირდაპირი გავლენის მოხდენა მოგების ნორმაზე, ყოველ შემთხვევაში ცალკეული კაპიტალის მოგების ნორმაზე, თუ, როგორც I წიგნის X თავში, გვ. 280 — 281 [კ. მ ა რ ქ ს ი: «კაპიტალი», ტ. 1. გამოც. 1954 წ. გვ. 401 — 402] არის განხილული, ეს ცალკეული კაპიტალი საზოგადოებრივ-საშუალო მწარმოებლურ ძალაზე უფრო დიდი მწარმოებლური ძალით მუშაობს, თავის პროდუქტებს უფრო დაბალი ღირებულებით იძლევა, ვიდრე იმავე საქონელთა საზოგადოებრივი საშუალო ღირებულებაა და ამიტომ იგი დამატებითი მოგების რეალიზაციას ახდენს. მაგრამ ამ შემთხვევას ჩვენ აქ უყურადღებოდ ვტოვებთ, რადგან ამ განყოფილებაშიც ჯერ ისევ იმას ვვარაუდობთ, რომ საქონელი საზოგადოებრივ-ნორმალურ პირობებში იწარმოება და ღირებულების მიხედვით იყიდება. მაშასადამე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩვენ იმას ვვარაუდობთ, რომ შრომის ნაყოფიერება უცვლელი რჩება. ნამდვილად კი ამა თუ იმ მრეწველობის დარგში დაბანდებული კაპიტალის ღირებულებითი შედგენილობა, ე. ი. ცვალებადი კაპიტალის განსაზღვრული შეფარდება მუდმივთან, ყოველთვის შრომის ნაყოფიერების განსაზღვრულ დონეს გამოსახავს. მაშასადამე, თუ ეს შეფარდება ცვლილებას განიცდის არა ისეთი მიზეზის გამო, როგორიცაა მუდმივი კაპიტალის ნივთიერ შემადგენელ ნაწილთა ღირებულების უბრალო ცვლილება, ან ხელფასის ცვლილება, მაშინ ცვლილება უნდა განიცადოს შრომის ნაყოფიერებამაც, და ამიტომ ჩვენ საკმაოდ ხშირად ვნახავთ, რომ ის ცვლილებები, რომელთაც განიცდიან ფაქტორები c, v და m, ამავე დროს შრომის ნაყოფიერების ცვლილებასაც გულისხმობენ.

ასევე ითქმის სამ დანარჩენ ფაქტორზეც: ს ა მ უ შ ა ო დ ღ ი ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ო ბ ა ზ ე, შ რ ო მ ი ს ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ა ს ა და ხ ე ლ ფ ა ს ზ ე. მათი გავლენა ზედმეტი ღირებულების მასასა და ნორმაზე პირველ წიგნშია დაწვრილებით განხილული. ამრიგად, გასაგებია, რომ, თუმცა ჩვენ, გამარტივების მიზნით, მუდამ იმას ვვარაუდობთ, რომ ეს სამი ფაქტორი უცვლელი რჩება, მაგრამ მაინც ის ცვლილებანი, რომელთაც v და m განიცდის, შეიძლება გულისხმობდნენ აგრეთვე ცვლილებას ამ მათი განმსაზღვრელი მომენტების სიდი-

დეში. აქ მოკლედ უნდა გავიხსენოთ, რომ ხელფასის მოქმედება ზედმეტი ღირებულების სიდიდესა და ზედმეტი ღირებულების ნორმის სიმაღლეზე პირიქითი ხასიათისაა სამუშაო დღის ხანგრძლიობისა და შრომის ინტენსივობის მოქმედებასთან შედარებით; რომ ხელფასის გადიდება ამცირებს ზედმეტ ღირებულებას, მაშინ როდესაც სამუშაო დღის გაგრძელება და შრომის ინტენსივობის გადიდება ზრდის მას.

დავუშვათ, რომ, გვაქვს კაპიტალი 100, და გვყავს 20 მუშა, რომლებიც ათ-ათ საათს მუშაობენ და ყველა ერთად კვირაში ხელფასად იღებს 20, ვთქვათ ეს კაპიტალი აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას 20, მაშინ გვექნება:

$$80_c + 20_v + 20_m;\ m' = 100\%,\ p' = 20\%.$$

ვთქვათ, სამუშაო დღე, ხელფასის გაუდიდებლად, 15 საათამდე გაგრძელდა; ამის გამო 20 მუშის მიერ მთელი ახლად შექმნილი ღირებულება 40-იდან 60-ამდე გადიდდება (10 : 15 = 40 : 60); რადგან v, გადახდილი ხელფასი, იგივე რჩება, ამიტომ ზედმეტი ღირებულება 20-იდან 40-მდე გადიდდება და მივიღებთ:

$$80_c + 20_v + 40_m;\ m' = 200\%,\ p' = 40\%.$$

თუ, მეორე მხრივ, ათსაათიანი შრომის პირობებში, ხელფასი 20-დან 12-ზე ჩამოვა, მთელი ახლად შექმნილი ღირებულება 40 გვექნება, როგორც დასაწყისში იყო, მაგრამ მისი განაწილება სხვაგვარი იქნება: v ჩამოვა 12-ზე, და ამიტომ ტოვებს m-ისათვის ნაშთს 28-ის ოდენობით. მაშასადამე, მივიღებთ:

$$80_c + 12_v + 28_m;\ m' = 233\tfrac{1}{3}\%;\ p' = \frac{28}{92} = 30\tfrac{10}{23}\%.$$

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ როგორც სამუშაო დღის გაგრძელება (ან შრომის ინტენსივობის შესაბამისი გადიდება), ისე ხელფასის შემცირებაც ადიდებს ზედმეტი ღირებულების მასას და ამით მის ნორმასაც; პირიქით, ხელფასის გადიდება სხვა თანაბარ პირობებში შეამცირებდა ზედმეტი ღირებულების ნორმას. ე. ი. თუ v იზრდება ხელფასის გადიდების გამო, ეს გამოსახავს შრომის არა გადიდებულ, არამედ მხოლოდ უფრო ძვირად ანაზღაურებულ რაოდენობას; m' და p' კი არ დიდდება, არამედ მცირდება.

უკვე აქ ჩანს, რომ ცვლილებებს სამუშაო დღესა, შრომის ინტენსივობასა და ხელფასში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისე, თუ იმავდროულად არ მოხდა, ცვლილებები v-სა და m-ში და მათს შეფარდებაში, მაშასადამე, p' და m შეფარდებაშიც $c+v$-სთან, ე. ი. მთელ

კაპიტალთან; ასევე ცხადია ისიც, რომ m-ის v-სთან შეფარდების ცვლილებები გულისხმობს შრომის ზემოაღნიშნულ სამ პირობათაგან ერთის ცვლილებას მაინც.

სწორედ ამაში მჟღავნდება ცვალებადი კაპიტალის განსაკუთრებული ორგანული მიმართება მთელი კაპიტალის მოძრაობისადმი და მისი ღირებულების ზრდისადმი, ამაშივე მჟღავნდება მისი განსხვავებაც მუდმივი კაპიტალისაგან. მუდმივი კაპიტალი, რამდენადაც საქმე ღირებულების შექმნას შეეხება, მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ ღირებულების გამო, რომელიც მას აქვს; ამავე დროს ღირებულების შექმნისათვის მნიშვნელობა არა აქვს, 1500 გირ. სტერლინგი მუდმივი კაპიტალი 1500 ტონა რკინას წარმოადგენს, რომელიც ვთქვათ, ტონა ერთ გირვ. სტერლინგი ღირს, თუ — 500 ტონა რკინას, რომელიც ტონა 3 გირვ. სტერლინგი ღირს. ნამდვილი ნივთიერების რაოდენობა, რომელიც მუდმივი კაპიტალის ღირებულებას გამოხატავს, საკმაოდ ერთია ღირებულების შექმნისათვის და მოგების ნორმისათვის, რომელიც იცვლება ამ ღირებულების საწინააღმდეგო მიმართულებით, როგორიც უნდა იყოს მუდმივი კაპიტალის ღირებულების მატებანი კლების შეფარდება ნივთიერ სახმარ ღირებულებათა იმ მასასთან, რომელსაც ეს მუდმივი კაპიტალი გამოხატავს.

სულ სხვაგვარადაა საქმე ცვალებადი კაპიტალის მიმართ. აქ მნიშვნელოვანია უწინარეს ყოვლისა არა ის ღირებულება, რომელიც ცვალებად კაპიტალს აქვს, არა შრომა, რომელიც მასშია გასაგნობრივებული, არამედ ღირებულება როგორც უბრალო მაჩვენებელი მთელი შრომისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ცვალებად კაპიტალს და რომელიც ამ კაპიტალით არაა გამოხატული; განსხვავება მთელ შრომასა და იმ შრომას შორის, რომელიც ცვალებადი კაპიტალით და, მაშასადამე, გადახდილი შრომით არის გამოხატული, ე. ი. მისი ის ნაწილი, რომელიც ზედმეტი ღირებულების შემქმნელია, სწორედ მით უფრო დიდია, რაც უფრო ნაკლებია თვით ცვალებად კაპიტალში მოქცეული შრომა. ვთქვათ, 10-საათიანი სამუშაო დღე უდრის ათ შილინგს=ათ მარკას. თუ აუცილებელი შრომა, რომელიც ხელფასს, მაშასადამე, ცვალებად კაპიტალს ანაზღაურებს, = 5 საათს = 5 შილინგს, მაშინ ზედმეტი შრომა=5 საათს და ზედმეტი ღირებულება=5 შილინგს; თუ აუცილებელი შრომა=4 საათს=4 შილინგს, მაშინ ზედმეტი შრომა=6 საათს და ზედმეტი ღირებულება=6 შილინგს.

ამრიგად, როდესაც ცვალებადი კაპიტალის ღირებულების სიდიდე მის მიერ მოძრაობაში მოყვანილი შრომის მასის მაჩვენებელი აღარაა,

და, პირიქით, თვით ამ მაჩვენებლის საზომი იცვლება, მაშინ მასთან ერთად ზედმეტი ღირებულების ნორმა საპირისპირო მიმართულებით და შებრუნებული შეფარდებით იცვლება.

ახლა ჩვენ გადავდივართ იმაზე, რომ მოგების ნორმის გამომხატველი ზემოაღნიშნული განტოლება $p' = m' \frac{v}{C}$ სხვადასხვა შესაძლებელი შემთხვევის მიმართ გამოვიყენოთ. ჩვენ ერთიმეორის მიყოლებით დავუშვებთ $m' \frac{v}{C}$ ცვლილებებს და დავადგენთ ამ ცვლილებათა გავლენას მოგების ნორმაზე, ამ წესით მივიღებთ შემთხვევათა სხვადასხვა რიგს, რომელნიც შეგვიძლია ჩავთვალოთ ან როგორც ერთი და ამავე კაპიტალის მოქმედების თანმიმდევრულად შეცვლილი გარემოებანი, ანდა როგორც სხვადასხვა, იმავდროულად ერთიმეორის გვერდით არსებული და შესადარებლად აღებული კაპიტალები, — ვთქვათ, კაპიტალები მრეწველობის სხვადასხვა დარგში ან სხვადასხვა ქვეყანაში. ამიტომ, თუ ზოგიერთი ჩვენი მაგალითის ისეთი გაგება, რომ ისინი გამოხატავენ ერთი და იმავე კაპიტალის სხვადასხვა მდგომარეობას, რომელნიც დროში ერთიმეორის მიმდევნონი არიან, ნაძალადევად ან პრაქტიკულად შეუძლებლად მოგვეჩვენება, — ეს მოსაზრება მოიხსნება, თუ ამ მაგალითსაც ისევე განვიხილავთ, როგორც დამოუკიდებელი კაპიტალების შედარებას.

ამრიგად, ნამრავლს $m' \frac{v}{C}$-ს ჩვენ დავყოფთ მის ორსავე მამრავლად: m' და $\frac{v}{C}$; პირველად m' ჩვენ მივიჩნევთ მუდმივ სიდიდედ და გამოვიკვლევთ $\frac{v}{C}$ შესაძლებელ ცვლილებათა გავლენას; შემდეგ წილადს $\frac{v}{C}$ ჩვენ მივიჩნევთ მუდმივ სიდიდედ, და m' განვაცდევინებთ შესაძლებელ ცვლილებებს; დასასრულ, ჩვენ ყველა ფაქტორს ცვალებადად მივიჩნევთ, და ამით ამოვწურავთ ყველა შემთხვევას, რომლებიდანაც შესაძლებელია მოგების ნორმის კანონების დამოყვანა.

I. m' უცვლელია, $\frac{v}{C}$ ცვალებადია.

ამ შემთხვევისათვის, რომელიც რამდენიმე ცერძო შემთხვევას ჰოიცავს, შეიძლება შევადგინოთ ზოგადი ფორმულა. თუ ჩვენ გვაქვს ორი კაპიტალი C და C_1 შესაბამისი შემადგენელი ცვალებადი ნაწი-

ლებით v და v_1, ორივესთვის საერთო ზედმეტი ღირებულების ნორმით m' და მოგების ნორმებით p' და p'_1 — მაშინ იქნება:

$$p' = m' \frac{v}{C};\ p'_1 = m' \frac{v_1}{C_1}.$$

თუ ჩვენ ახლა ერთიმეორეს შევუფარდებთ C და C_1 და აგრეთვე v და v_1, თუ ვიგულისხმებთ, მაგალითად, რომ წილადის $\frac{C_1}{C}$ მნიშვნელობა $= E$ და წილადის $\frac{v_1}{v}$ მნიშვნელობა $= e$, მაშინ $C_1 = EC$ და $v_1 = ev$. ახლა, თუ ზემოაღნიშნულ განტოლებაში ჩავსვამთ იმ სიდიდეებს, რომლებიც ამ წესით p'_1-ისთვის, C_1-ისთვის და v_1-ისთვის მივიღეთ, მაშინ გვექნება:

$$p'_1 = m' \frac{ev}{EC}.$$

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ორივე ზემოაღნიშნული განტოლებიდან კიდევ ერთი ფორმულა გამოვიყვანოთ იმით, რომ მას ასეთ პროპორციად ვარდავქმნით:

$$p' : p'_1 = m' \frac{v}{C} : m' \frac{v_1}{C_1} = \frac{v}{C} : \frac{v_1}{C_1}$$

რადგან წილადის სიდიდე არ შეიცვლება, თუ მრიცხველს და მნიშვნელს ერთსა და იმავე რიცხვზე გავამრავლებთ ან გავყოფთ, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია $\frac{v}{C}$ და $\frac{v_1}{C_1}$ დავიყვანოთ პროცენტულ რიცხვზე, ე. ი. ვიგულისხმოთ, რომ C და C_1 ორივე = 100. მაშინ ჩვენ გვექნება $\frac{v}{C} = \frac{v}{100}$ და $\frac{v_1}{C_1} = \frac{v_1}{100}$, და შეგვიძლია ზემოაღნიშნული პროპორციიდან მნიშვნელი უკუვაგდოთ, რის შემდეგ მივიღებთ:

$$p' : p'_1 = v : v_1;\ \text{ანუ:}$$

თანატოლი ზედმეტი ღირებულების ნორმით მოქმედი ორი ნებისმიერად აღებული კაპიტალის მოგების ნორმები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც კაპიტალის ცვალებადი ნაწილები, პროცენტულად გამოანგარიშებულნი მათი შესაბამისი მთელი კაპიტალების მიმართ.

ეს ორი ფორმულა მოიცავს $\frac{v}{C}$ -ის ცვლილების ყველა შემთხვევას.

ვიდრე ჩვენ ამ შემთხვევებს ცალ-ცალკე განვიხილავდეთ, კიდევ ერთი შენიშვნა. რადგან C წარმოადგენს მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის, c და v, ჯამს, და რადგან ზედმეტი ღირებულების ნორმა, ისევე როგორც მოგების ნორმა, ჩვეულებრივ პროცენტებით გამოიხატება, ამიტომ საერთოდ მოხერხებულია $c+v$ ჯამიც ამის თანატოლად მივიჩნიოთ, ე. ი. c და v პროცენტულად გამოვსახოთ. მოგების ნორმის, თუმცა არა მისი მასის, განსასაზღვრავად სულ ერთია, ვიტყვით ჩვენ: კაპიტალი 15 000, რომლიდანაც 12 000 მუდმივი კაპიტალია და 3000 — ცვალებადი, აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას 3000-ს, თუ პროცენტებზე დავიყვანთ ამ კაპიტალს:

$$15\,000\,C = 12\,000_c + 3000_v (+ 3000_m)$$
$$100\,C = 80_c + 20_v (+ 20_m).$$

ორივე შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმა $m' = 100\%$, ფოვების ნორმა $= 20\%$.

ასევეა, როდესაც ჩვენ ორ კაპიტალს, მაგალითად, ამ წინა კაპიტალს და სხვა კაპიტალს ერთმანეთს ვადარებთ:

$$12\,000\,C = 10\,800_c + 1200_v (+1200_m)$$
$$100\,C = 90_c + 10_v\ (+10_m),$$

სადაც ორივე შემთხვევაში $m' = 100\%$, $p' = 10\%$ და სადაც წინა კაპიტალთან შედარება პროცენტული ფორმით ბევრად უფრო თვალსაჩინოა.

პირიქით, თუ საქმე შეეხება ცვლილებებს, რომლებსაც ერთი და იგივე კაპიტალი განიცდის, მაშინ პროცენტული ფორმის გამოყენება მხოლოდ იშვიათად თუ შეიძლება, რადგან იგი ამ ცვლილებებს თითქმის ყოველთვის წარხოცავს. თუ კაპიტალი პროცენტული ფორმიდან:

$$80_c + 20_v + 20_m$$

გადადის პროცენტულ ფორმაში:

$$90_c + 10_v + 10_m,$$

მაშინ არა ჩანს, შეცვლილი პროცენტული შედგენილობა $90_c + 10_v$ წარმოდგა v აბსოლუტური შემცირების გამო, თუ c აბსოლუტური გადიდების გამო, თუ ორივეს გამო. ამისათვის ჩვენ აბსოლუტური რიცხობრივი სიდიდენი უნდა გვქონდეს. მაგრამ ცვლილების შემდგომი ცალკეული შემთხვევების გამოკვლევისათვის ყველაზე მნიშვნე-

ლოვანი ის არის, თუ როგორ წარმოდგა ეს ცვლილება: $80_c + 20_v$ იქცა $90_c + 10_v$-ად იმ გზით, რომ, ვთქვათ, $12\,000_c + 3000_v$ მუდმივი კაპიტალის გადიდების გამო ცვალებადი კაპიტალის ოდენობის უცვლელობისას, $27\,000_c + 3000_v$-ად (პროცენტობით $90_c + 10_v$) გადაიქცა, თუ მათ ეს ფორმა მიიღეს, მუდმივი კაპიტალის უცვლელად დარჩენისას, ცვალებადი კაპიტალის შემცირების გამო, ე. ი. $12\,000_c + 1333\,{}^1/_3\,{}_v$-ად (პროცენტობით ისევ $90_c + 10_v$) გადაქცევის გზით, თუ, დასასრულ, ორივე შესაკრების ცვლილების გამო, მაგალითად, ასე: $13\,500_c + 1500_v$ (პროცენტობით ისევ $90_c + 10_v$). მაგრამ ჩვენ სწორედ ყველა ეს შემთხვევა უნდა განვიხილოთ ერთიმეორის მიყოლებით, და ამიტომ ხელი უნდა ავიღოთ პროცენტულ ფორმაზე, თუმცა ის უფრო მოხერხებულია, ანდა იგი მხოლოდ მეორე რიგში გამოვიყენოთ.

1) m' და C უ ც ვ ლ ე ლ ი ა, v ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი ა.

თუ v სიდიდეს იცვლის, C შეიძლება უცვლელი დარჩეს მხოლოდ იმის გამო, რომ C მეორე შემადგენელი ნაწილი, სახელდობრ მუდმივი კაპიტალი c სიდიდეს შეიცვლის იმავე ჯამის ოდენობით, როგორც v, მაგრამ — საპირისპირო მიმართულებით. თუ C თავდაპირველად $= 80_c + 20_v = 100$, და თუ შემდეგ v შემცირდა 10-ამდე, C შეიძლება $= 100$ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ c აიწევს 90-მდე; $90_c + 10_v = 100$. ზოგადად რომ ვთქვათ: თუ v გარდაიქმნება $v \pm d$, სადაც v გადიდებული ან შემცირებულია d, მაშინ, რათა წინამდებარე შემთხვევის პირობები დაკმაყოფილებულ იქნეს, c უნდა გარდაიქმნას $c \mp d$-ად, უნდა შეიცვალოს იმავე ჯამის ოდენობით, მაგრამ — საპირისპირო მიმართულებით.

ასევე, ზედმეტი ღირებულების ნორმის m' უცვლელად დარჩენისას, მაგრამ ცვალებადი კაპიტალი v ცვლილებისას, ზედმეტი ღირებულების m მასა უნდა შეიცვალოს, რადგან $m = m'v$, და $m'v$-ში ერთი ფაქტორი, v, იცვლის თავის სიდიდეს.

ჩვენი შემთხვევის წანამძღვრები, გარდა თავდაპირველი განტოლებისა:

$$p' = m' \frac{v}{C},$$

v ცვლილების გზით გვაძლევს მეორე განტოლებას:

$$p'_1 = m' \frac{v_1}{C},$$

სადაც v გადასულია v_1-ში, ხოლო p'_1, იქიდან გამომდინარე შეცვლილი მოგების ნორმა, საპოვნელია.

ჩვენ მას ვიპოვით შესაბამისი პროპორციის საშუალებით:

$$p' : p'_1 = m' \frac{v}{C} : m' \frac{v_1}{C} = v : v_1.$$

ანუ: ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას და მთელი კაპიტალის უცვლელობისას, მოგების თავდაპირველი ნორმა ისე შეეფარდება მოგების იმ ნორმას, რომელიც ცვალებადი კაპიტალის ცვლილებით არის წარმომდგარი, როგორც თავდაპირველი ცვალებადი კაპიტალი შეცვლილ კაპიტალს.

თუ კაპიტალი იყო თავდაპირველად, როგორც ზევით:

I. 15000 $C = 12\,000_c + 3000_v$ $(+3000_m)$, და თუ ახლა არის:

II. 15 000 $C = 13\,000_c + 2000_v$ $(+2000_m)$, მაშინ ორივე შემთხვევაში $C = 15\,000$ და $m' = 100\%$. ხოლო მოგების ნორმა I, 20%, შეეფარდება მოგების ნორმას II, $13^1/_3\%$-ს, როგორც ცვალებადი კაპიტალი I, 3000, ცვალებად კაპიტალს II, 2000-ს, მაშასადამე, 20%: $13^1/_2\% = 3000 : 2000$.

ახლა: ცვალებადი კაპიტალი შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს. ავიღოთ პირველად მაგალითი, სადაც იგი დიდდება. ვიგულისხმოთ, რომ კაპიტალი თავდაპირველად შედგენილია და მოქმედებს ასე:

$$\text{I. } 100_c + 20_v + 10_m;\ C = 120,\ m' = 50\%,\ p' = 8^1/_3\%.$$

ვთქვათ, ახლა ცვალებადი კაპიტალი დიდდება 30-ამდე; მაშინ, ნაგულისხმევის თანახმად, მუდმივი კაპიტალი 100-დან უნდა დავიდეს 90-ზე, რათა მთელი კაპიტალი უცვლელი დარჩეს = 120. წარმოებული ზედმეტი ღირებულება, ზედმეტი ღირებულების იმავე 50% ნორმის პირობებში, უნდა ავიდეს 15-ზე. მაშასადამე, ჩვენ გვექნება:

$$\text{II. } 90_c + 30_v + 15_m;\ C = 120,\ m' = 50\%,\ p' = 12^1/_2\%.$$

ჯერ გამოვიდეთ იმის ვარაუდიდან, რომ ხელფასი უცვლელია. მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმის სხვა ფაქტორებიც — სამუშაო დღე და შრომის ინტენსივობა — აგრეთვე უცვლელი უნდა დარჩეს. მაშასადამე, v გადიდებას (20-დან 30-მდე) მხოლოდ ის აზრი შეიძლება ჰქონდეს, რომ ნახევრით მეტი მუშა გამოიყენება. მაშინ მთელი ახლად შექმნილი ღირებულებაც ნახევრით დიდდება, 30-დან 45-ზე ადის, და სწორედ ისე ნაწილდება, როგორც უწინ: $^2/_3$ უწევს ხელფასს

და ⅓ — ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ მუშების რიცხვის გადიდებასთან ერთად მუდმივი კაპიტალი, წარმოების საშუალებათა ღირებულება, შემცირდა, 100-დან 90-ზე დავიდა. მაშასადამე, ჩვენ აქ გვაქვს შრომის კლებადი ნაყოფიერების შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია მუდმივი კაპიტალის იმავდროულ კლებასთან; არის თუ არა ეს შემთხვევა ეკონომიურად შესაძლებელი?

მიწათმოქმედებასა და მომპოვებელ მრეწველობაში, სადაც შრომის ნაყოფიერების კლება და, ამიტომ, დასაქმებული მუშების რიცხვის მატება ადვილი გასაგებია, ეს პროცესი — კაპიტალისტური წარმოების ფარგლებში და მის ბაზისზე — დაკავშირებულია მუდმივი კაპიტალის არა კლებასთან, არამედ მატებასთან. თუნდაც რომ C-ის ზემოაღნიშნული დაკლება ფასის უბრალო დაცემით იყოს გაპირობებული, ცალკეული კაპიტალი მხოლოდ სრულიად გამონაკლის გარემოებებში მოახდენდა I-დან II-ზე გადასვლას. მაგრამ ორი დამოუკიდებელი კაპიტალის მიმართ, რომლებიც დაბანდებულია სხვადასხვა ქვეყანაში ან მიწათმოქმედების თუ მომპოვებელი მრეწველობის სხვადასხვა დარგში, გასაკვირი არ იქნებოდა ის, თუ ერთ შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდნენ მეტი მუშები (ამიტომ უფრო დიდი ცვალებადი კაპიტალი), რომელნიც წარმოების მცირეფასოვანი ან უფრო მდარე საშუალებებით იმუშავებდნენ, ვიდრე მეორე შემთხვევაში.

მაგრამ თუ ჩვენ უკუვაგდებთ იმ წანამძღვარს, რომ ხელფასი უცვლელი რჩება, და ცვალებადი კაპიტალის გადიდებას 20-დან 30-დე ავხსნით იმ გარემოებით, რომ ხელფასი სანახევროდ გადიდდა, მაშინ სულ სხვაგვარი შემთხვევა წარმოგვიდგება. მუშების იგივე რაოდენობა — ვთქვათ, 20 მუშა — განაგრძობს მუშაობას წარმოების იმავე ან მხოლოდ უმნიშვნელოდ შემცირებული საშუალებებით. თუ სამუშაო დღე უცვლელი დარჩა, — მაგალითად, 10 საათი, — მაშინ მთელი ახლადშექმნილი ღირებულებაც უცვლელი დარჩება; ანი უწინდებურად = 30. მაგრამ ეს 30 მთლიანად მოხმარებული იქნება ავანსებული ცვალებადი კაპიტალის—30-ის—ასანაზღაურებლად; ზედმეტი ღირებულება გაქრებოდა. მაგრამ ჩვენ ნაგულისხმევი გვქონდა, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა არ იცვლება, ე. ი. როგორც I-ში, 50% რჩება. ეს კი მხოლოდ იმ პირობითაა შესაძლებელი, თუ სამუშაო დღე ნახევრით გაგრძელდება, 15 საათამდე. მაშინ 20 მუშა ერთად 15 საათში აწარმოებდა ღირებულებას 45-ის რაოდენობით, და ყველა პირობა შესრულებული იქნებოდა:

$$\text{II.}\ 90_c + 30_v + 15_m;\ C = 120,\ m' = 50\%,\ p' = 12\tfrac{1}{2}\%.$$

ამ შემთხვევაში 20 მუშა მეტ შრომის საშუალებებს, იარაღებს, მანქანებს და სხვ. არ საჭიროებს, ვიდრე I შემთხვევაში; მხოლოდ საჭირო იქნება ნედლი მასალისა ან დამხმარე მასალის სანახევროდ გადიდება. მაშასადამე, ამ მასალების ფასის დაცემისას I-დან II-ზე გადასვლა, ჩვენი ნაგულისხმევის თანახმად, ცალკეული კაპიტალისთვისაც კი ეკონომიურად ბევრად უფრო დასაშვებია. და კაპიტალისტიც თავის დანაკარგს, რაც მას, ვთქვათ, მისი მუდმივი კაპიტალის ღირებულების დაკლების გამო მოუვიდოდა, ყოველ შემთხვევაში რამდენადმე მაინც, უფრო დიდი მოგებით აინაზღაურებდა.

ვიგულისხმოთ ახლა, რომ ცვალებადი კაპიტალი კი არ დიდდება. არამედ მცირდება. მაშინ ჩვენ დაგვჭირდება მხოლოდ ზემოაღნიშნული მაგალითის შებრუნება, II-ის აღება თავდაპირველ კაპიტალად და II-დან I-ზე გადასვლა. მაშინ

II. $90_c + 30_v + 15_m$ გარდაიქმნება ასე:

I. $100_c + 20_v + 10_m$. და ცხადია, რომ ამ გადანაცვლებით სრულიად არაფერი არ იცვლება იმ პირობებში, რომელნიც არეგულირებენ მოგების შესაბამის ნორმებს და მათს ურთიერთდამოკიდებულებას.

თუ v 30-დან 20-დე დაიწევს იმიტომ, რომ მუდმივი კაპიტალის ზრდისას 1/3-ით ნაკლები მუშები იქნებიან დასაქმებული, — ჩვენ აქ თანამედროვე მრეწველობის ნორმალური შემთხვევა გვექნება თვალწინ: შრომის მზარდი ნაყოფიერება, წარმოების საშუალებათა უფრო დიდი მასის დაძლევა მუშების ნაკლები რაოდენობის მიერ. ეს მოძრაობა რომ აუცილებლად დაკავშირებულია მოგების ნორმის დაწევასთან, რაც იმავდროულად იწყება, ეს ამ წიგნის მესამე განყოფილებაში გამოაშკარავდება.

მაგრამ თუ v 30-დან 20-დე იმიტომ დაიწევს, რომ მუშების იგივე რაოდენობა, მაგრამ უფრო დაბალი ხელფასით მუშაობს, — მაშინ, სამუშაო დღის უცვლელობისას, მთელი ახლადშექმნილი ღირებულება უწინდებურად $= 30_v + 15_m = 45$; რადგან v 20-ამდე დაიწია, ზედმეტი ღირებულება ავიდოდა 25-ზე, ზედმეტი ღირებულების ნორმა — 50%-დან 125%-ზე, რაც ჩვენ მიერ ნაგულისხმევის საწინააღმდეგო შემთხვევა იქნებოდა. ზედმეტმა ღირებულებამ, იმისათვის, რომ ჩვენი შემთხვევის პირობების ფარგლებში დარჩეს, 50% ნორმის პირობებში, პირიქით, უნდა დაიწიოს 10-დე, მაშასადამე, მთელი ახლად შექმნილი ღირებულება — 45-დან 30-დე დაიწევს, და ეს კი შესაძლე-

ბელია მხოლოდ სამუშაო დღის 1/3-ით შემოკლების გზით. მაშინ ჩვენ გვექნება, როგორც უწინ გვქონდა:

$$100_c + 20_v + 10_m;\ m' = 50\%,\ p' = 8^1/_3\%.$$

რასაკვირველია, საჭირო არაა იმის აღნიშვნა, რომ სამუშაო დროის ასეთი შემცირება ისეთ პირობებში, როცა ხელფასი მცირდება, პრაქტიკულად არ მოხდებოდა. მაგრამ ჯერჯერობით ეს სულ ერთია. მოგების ნორმა წარმოადგენს რამდენიმე ცვლადის ფუნქციას, და თუ გვინდა ვიცოდეთ, როგორი ზემოქმედება აქვთ ამ ცვლადებს მოგების ნორმაზე, რიგრიგობით უნდა გამოვიკვლიოთ თვითეული მათგანის განკერძოებული ზემოქმედება, — სულ ერთია, ეკონომიურად შესაძლებელია თუ არა ასეთი იზოლირებული ზემოქმედება ერთი და იმავე კაპიტალის მიმართ.

2) m' არ იცვლება, v ცვალებადია, C იცვლება v ცვლილების გამო.

ეს შემთხვევა წინა შემთხვევისაგან მხოლოდ ხარისხის მიხედვით განსხვავდება. c აქ უცვლელი რჩება. ნაცვლად იმისა, რომ c იმდენადვე იკლოს ან იმატოს, რამდენადაც v მატულობს ან კლებულობს, მაგრამ მსხვილი მრეწველობისა და მიწათმოქმედების დღევანდელ პირობებში ცვალებადი კაპიტალი შეფარდებით მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს მთელი კაპიტალისა, და ამიტომ უკანასკნელის შემცირება ან გადიდება, რამდენადაც ეს პირველის ცვლილებით განისაზღვრება, ასევე შეფარდებით მცირეა. თუ ჩვენ კვლავ გამოვიდოდით კაპიტალიდან:

$$\text{I.}\ 100_c + 20_v + 10_m;\ C = 120,\ m' = 50\%,\ p' = 8^1/_3\%,$$

იგი გარდაიქმნებოდა, მაგალითად, ასე:

$$\text{II.}\ 100_c + 30_v + 15_m;\ C = 130,\ m' = 50\%,\ p' = 11^7/_{13}\%.$$

ცვალებადი კაპიტალის შემცირების საპირისპირო შემთხვევა კვლავ თვალსაჩინო გახდებოდა შებრუნებული გადასვლით II-დან I-ზე.

ეკონომიური პირობები არსებითად იგივე იქნებოდა, რაც წინა შემთხვევაში, და ამიტომ მათი განმეორებითი განმარტება საჭირო არაა. I-დან II-ზე გადასვლა გულისხმობს შრომის ნაყოფიერების სანახევროდ შემცირებას: 100_c დაძლევა მოითხოვს ნახევრით მეტ

შრომას II-ში, ვიდრე I-ში. ამ შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მიწათმოქმედებაში [9].

მაგრამ, მაშინ როდესაც წინა შემთხვევაში მთელი კაპიტალი უცვლელი რჩებოდა იმის გამო, რომ მუდმივი კაპიტალი ცვალებადად გარდაიქმნებოდა ან პირიქით, აქ, ცვალებადი ნაწილის გადიდებისას, ადგილი აქვს დამატებითი კაპიტალის შეზოჭვას; ცვალებადი ნაწილის შემცირებისას — მანამდე გამოყენებული კაპიტალის განთავისუფლებას.

3) m' დ ა v უ ც ვ ლ ე ლ ი ა, c დ ა ა მ ი ტ ო მ C-ც ი ც ვ ლ ე ბ ა.

ამ შემთხვევაში განტოლება:

$$p' = m' \frac{v}{C} \text{ იცვლება განტოლებად: } p'_1 = m' \frac{v}{C_1}$$

და ორივე მხარეზე მყოფი მამრავლის შეკვეცის გზით მას მივყავართ პროპორციამდე:

$$p'_1 : p' = C : C_1;$$

ზედმეტი ღირებულების ნორმათა ტოლობისას და კაპიტალის ცვალებადი ნაწილების ტოლობისას მოგების ნორმები ერთობლივი კაპიტალების სიდიდის უკუპროპორციულია.

თუ ჩვენ წინაშე არის, მაგალითად, სამი კაპიტალი ან ერთი და იმავე კაპიტალის სამი სხვადასხვაგვარი მდგომარეობა:

I. $80_c + 20_v + 20_m$; $C = 100$, $m' = 100\%$, $p' = 20\%$;

II. $100_c + 20_v + 20_m$; $C = 120$, $m' = 100\%$, $p' = 16^2/_3\%$;

III. $60_c + 20_v + 20_m$; $C = 80$, $m' = 100\%$, $p' = 25\%$, მაშინ

გვექნება ასეთი შეფარდებანი:

$$20\% : 16^2/_3\% = 120 : 100 \text{ და } 20\% : 25\% = 80 : 100.$$

წინათ მოცემული ზოგადი ფორმულა $\frac{v}{C}$ ცვლილებებისა m' უცვლელობისას იყო:

$$p'_1 = m' \frac{ev}{EC}; \text{ იგი ახლა ასეთ სახეს იღებს: } p'_1 = m' \frac{v}{EC},$$

[9] აქ ხელნაწერში წერია: «შემდგომ გამოსაკვლევია, თუ როგორ არის ეს შემთხვევა მიწის რენტასთან დაკავშირებული».

რადგან v ცვლილებას არ განიცდის, მაშასადამე, მამრავლი $e = \frac{v_1}{v}$ აქ $= 1$.

რადგან $m'v = m$, ზედმეტი ღირებულების მასას, და რადგან m' და v ორივე უცვლელი რჩება, ამიტომ m არ შეეხება C ცვლილება; ზედმეტი ღირებულების მასა შემდეგაც იგივე რჩება, რაც ცვლილებამდე იყო.

თუ c ნულამდე დაიწევდა, p' გაუთანატოლდებოდა m'. მოგების ნორმა იქნებოდა ზედმეტი ღირებულების ნორმის თანატოლი.

c ცვლილება შეიძლება წარმოდგეს ან მუდმივი კაპიტალის ნივთიერი ელემენტების ღირებულების უბრალო ცვლილების გამო ანდა მთელი კაპიტალის ტექნიკური წედგენილობის ცვლილების გამო, მაშასადამე, წარმოების სათანადო დარგში შრომის ნაყოფიერების ცვლილების გამო. უკანასკნელ შემთხვევაში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება, რომელიც მატულობს მსხვილი მრეწველობისა და მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად, გამოიწვევდა იმას, რომ ადგილი ექნებოდა (ზემოაღნიშნულ მაგალითში) თანმიმდევრულ გადასვლას III-დან I-ზე და I-დან II-ზე. შრომის ის რაოდენობა, რომელიც გადახდილ იქნება 20-ით და რომელიც აწარმოებს ღირებულებას 40-ს, პირველად დასძლევდა 60 ღირებულების წარმოების საშუალებათა მასას. ნაყოფიერების ზრდისას და ღირებულების უცვლელობისას, უკვე გამოყენებული შრომის საშუალებანი გაიზრდებოდა ჯერ 80-მდე, შემდეგ 100-მდე. შებრუნებული თანამიმდევრობა განაპირობებდა ნაყოფიერების შემცირებას; შრომის იგივე რაოდენობა შეძლებდა წარმოების ნაკლებ საშუალებათა მოძრაობაში მოყვანას, წარმოება შემცირდებოდა, როგორც ეს შეიძლება მოხდეს მიწათმოქმედებაში, სამთამადნო საქმეში და სხვ.

დანაზოგი მუდმივ კაპიტალზე, ერთი მხრივ, ადიდებს მოგების ნორმას და, მეორე მხრივ, ათავისუფლებს კაპიტალს. მაშასადამე, მნიშვნელოვანია კაპიტალისტისთვის. შემდგომ ჩვენ უფრო დაწვრილებით გამოვიკვლევთ ამ პუნქტს, აგრეთვე მუდმივი კაპიტალის ელემენტების, განსაკუთრებით ნედლი მასალის, ფასის ცვლილებათა ზემოქმედებას.

აქაც კვლავ ვხედავთ, რომ მუდმივი კაპიტალია ცვლილება თანაბრად მოქმედებს მოგების ნორმაზე, სულ ერთია, — ეს ცვლილება c ნივთიერი შემადგენელი ნაწილების გადიდებით ან შემცირებითაა გამოწვეული, თუ მათი ღირებულების უბრალო ცვლილებით.

4) m' უცვლელია, v, c და C ყველა ცვალებადია.

ამ შემთხვევაში ძალაში რჩება მოგების შეცვლილი ნორმის ზემოაღნიშნული ზოგადი ფორმულა:

$$p'_1 = m' \frac{ev}{EC}.$$

აქედან გამოდის, რომ ზედმეტი ღირებულების უცვლელობისას:

a) მოგების ნორმა ეცემა თუ E უფრო დიდია, ვიდრე e, ე. ი. თუ მუდმივი კაპიტალი იმ წესით დიდდება, რომ მთელი კაპიტალი შეფარდებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ცვალებადი კაპიტალი. თუ კაპიტალი შედგენილობიდან: $80_c + 20_v + 20_m$ გადადის შედგენილობაზე: $170_c + 30_v + 30_m$, მაშინ m' რჩება $= 100\%$, მაგრამ $\frac{v}{C}$ $\frac{20}{100}$-დან $\frac{30}{200}$-ამდე მცირდება მიუხედავად იმისა, რომ გადიდდა როგორც v, ისე C და მოგების ნორმა შესაბამისად ეცემა 20%-დან 15%-მდე.

b) მოგების ნორმა უცვლელი რჩება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ $e = E$, ე. ი. თუ წილადი $\frac{v}{C}$ მოჩვენებითი ცვლილებებისას იმავე სიდიდეს ინარჩუნებს, ე. ი. თუ მრიცხველი და მნიშვნელი ერთსა და იმავე რიცხვზე იქნება გამრავლებული ან გაყოფილი. $80_c + 20_v + 20_m$-ს და $160_c + 40_v + 40_m$, ცხადია, მოგების ერთი და იგივე ნორმა — 20% — აქვს, რადგან m' რჩება $= 100\%$, ხოლო $\frac{v}{C} = \frac{20}{100} = \frac{40}{200}$ ორივე მაგალითში ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავს.

c) მოგების ნორმა აიწევს, თუ e უფრო დიდია, ვიდრე E, ე. ი. თუ ცვალებადი კაპიტალი შედარებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მთელი კაპიტალი. თუ $80_c + 20_v + 20_m$ გარდაიქმნა ასე: $120_c + 40_v + 40_m$, მაშინ მოგების ნორმა აიწევს 20% დან 25%-მდე, რადგან m' უცვლელად დარჩენის დროს $\frac{v}{C} = \frac{20}{100}$ გადიდდა $\frac{40}{160}$-დე, $^1/_5$-დან — $^1/_4$-მდე.

როცა v და C ცვლილება ერთნაირი მიმართულებით ხდება, ჩვენ შეგვიძლია ეიდიდეთა ეს ცვლილება ისე წარმოვიდგინოთ, რომ გარკვეულ მიჯნამდე ორივე ერთი და იმავე შეფარდებით იცვლება, ასე რომ ამ მიჯნის მიღწევამდე $\frac{v}{C}$ უცვლელი რჩება. ამ მიჯნის გადაცილე-

ბის შემდეგ ორი სიდიდიდან მხოლოდ ერთი დაიწყებდა ცვლილებას, და ჩვენ, ამრიგად, ამ უფრო რთულ შემთხვევას ერთ-ერთ უფრო მარტივ წინა შემთხვევაზე დავიყვანთ:

თუ, მაგალითად, $80_c + 20_v + 20_m$ გადადის $100_c + 30_v + 30_m$-ში, მაშინ ამ ცვლილების პროცესში v შეფარდება c-თან და, მაშასადამე, C-თანაც, დარჩება მანამდე, ვიდრე მიღწეული არ იქნება $100_c + 25_v + 25_m$. ამრიგად, აქამდე მოგების ნორმაც უცვლელი რჩება. ჩვენ შეგვიძლია, მაშასადამე, ახლა $100_c + 25_v + 25_m$ ამოსავალ წერტილად ავიღოთ; ჩვენ ვხედავთ, რომ v გადიდდა 5-ით, ავიდა 30_v-მდე, და ამის გამო C გადიდდა 125-დან 130-დე, — მაშასადამე, ჩვენ აქ გვაქვს მეორე შემთხვევა, v-ის უბრალო ცვლილების და ამით გამოწვეული C-ს ცვლილების შემთხვევა. მოგების ნორმა, რომელიც თავდაპირველად 20% იყო, ამ 5 v-ის მიმატების გამო ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას დიდდება $23^1/_{13}$%-დე.

ასეთსავე დაყვანას უფრო მარტივ შემთხვევაზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს, თუნდაც რომ v და C საპირისპირო მიმართულებით შეიცვალონ თავიანთი სიდიდე. თუ ჩვენ, მაგალითად, კვლავ აქედან გამოვალთ: $80_c + 20_v + 20_m$ და მას გადავიყვანთ შემდეგ ფორმაში: $110_c + 10_v + 10_m$, მაშინ ამ ცვლილებისას: $40_c + 10_v + 10_m$ მოგების ნორმა იგივე იქნებოდა, რაც დასაწყისში, სახელდობრ 20%. ამ შუალედი ფორმისადმი 70_c მიმატების გამო იგი დაიწევს $8^1/_3$%-დე. მაშასადამე, ეს შემთხვევა ჩვენ კვლავ ერთადერთი ცვალებადი სიდიდის, სახელდობრ c ცვლილებაზე დავიყვანეთ.

ამრიგად, v, c და C იმავდროული ცვლილება არავითარ ახალ თვალსაზრისს არ იძლევა და საბოლოო ანგარიშით მას ჩვენ ყოველთვის მივყევართ იმ შემთხვევასთან, როცა მხოლოდ ერთი ფაქტორი იცვლება.

ფაქტიურად უკვე ამოწურულია ერთადერთი კიდევ დარჩენილი შემთხვევაც, სახელდობრ ის შემთხვევა, როდესაც v და C ინარჩუნებენ რიცხობრივად წინანდელ სიდიდეს, მაგრამ მათი ნივთიერი ელემენტები განიცდიან ღირებულების ცვლილებას, როდესაც v ნიშნავს მოძრაობაში მოყვანილი შრომის შეცვლილ რაოდენობას, c — მოძრაობაში მოყვანილ წარმოების საშუალებათა შეცვლილ რაოდენობას.

ვიგულისხმოთ, რომ $80_c + 20_v + 20_m$-ში 20_v თავდაპირველად გამოხატავს 20 მუშის ხელფასს, რომელნიც 10 საათს მუშაობენ დღეში. ვთქვათ, თვითეულის ხელფასი გადიდდა 1-დან $1^1/_4$-დე. ამ შემთხვევაში 20 v გაისტუმრებს არა 20, არამედ მხოლოდ 16 მუშას.

მაგრამ თუ 20 მუშა 200 სამუშაო საათში აწარმოებს ღირებულებას 40-ის ოდენობით, 16 მუშა, 10 საათში დღიურად, ე. ი. სულ 160 სამუშაო საათში აწარმოებს ღირებულებას მხოლოდ 32-ის ოდენობით. ხელფასისათვის 20_v გამოკლების შემდეგ 32-დან მხოლოდღა 12 რჩება ზედმეტი ღირებულებისათვის; ზედმეტი ღირებულების ნორმა 100%-იდან დაიწევდა 60%-დე. მაგრამ, რადგან, ნაგულისხმევის თანახმად, ზედმეტი ღირებულების ნორმა უცვლელი უნდა დარჩეს, ამიტომ სამუშაო დღე უნდა გაგრძელდეს ¼-ით, 10 საათიდან — 12½ საათამდე; თუ 20 მუშა 10 საათში დღიურად, = 200 სამუშაო საათს, აწარმოებს ღირებულებას 40-ის ოდენობით, 16 მუშა 12½ საათში დღიურად, = 200 საათს. შექმნის იმავე ღირებულებას, და კაპიტალი $80_c + 20_v$ კვლავ ზედმეტ ღირებულება 20-ს აწარმოებს.

პირიქით: თუ ხელფასი ეცემა იმგვარად, რომ 20_v 30 მუშის ხელფასს ისტუმრებს, — m' შეიძლება უცვლელი დარჩეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო დღე 10-დან 6⅔ საათამდე იქნება ჩამოყვანილი. $20 \times 10 = 30 \times 6\frac{2}{3} = 200$ სამუშაო საათს.

თუ რამდენად შესაძლებელია, რომ ამ სხვადასხვა საპირისპირო ვარაუდისას ღირებულება c ფულადი გამოსახულების მხრივ უცვლელი დარჩეს, მაგრამ მან მაინც გამოხატოს წარმოების საშუალებების შეცვლილი ურთიერთობის შეფარდების შესაბამისი შეცვლილი რაოდენობა — ეს არსებითად უკვე ზემოთ იყო განხილული. თავისი წმინდა სახით ეს შემთხვევა შესაძლებელია მხოლოდ როგორც ფრიად იშვიათი გამონაკლისი.

რაც შეეხება c ელემენტების ღირებულების ისეთ ცვლილებას, რომელიც მათ მასას ადიდებს ან ამცირებს, მაგრამ c ღირებულების ჯამს უცვლელად ტოვებს, — ვიდრე იგი v სიდიდის ცვლილებას არ იწვევს, არ შეეხება არც მოგების ნორმას და არც ზედმეტი ღირებულების ნორმას.

ამრიგად, ჩვენ ამოვწურეთ ჩვენს განტოლებაში v და C ცვლილების ყველა შესაძლებელი შემთხვევა. ჩვენ დავინახეთ, რომ მოგების ნორმა ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას შეიძლება დაეცეს, უცვლელი დარჩეს ან გადიდდეს, რადგან სულ მცირედი ცვლილება v შეფარდებაში c-სთან, resp. [შესაბამისად] C-სთან, საკმარისია იმისათვის, რომ მოგების ნორმაც შეიცვალოს.

შემდეგ, აღმოჩნდა, რომ v ცვლილების დროს ყოველთვის დგება ერთი საზღვარი, როდესაც m' უცვლელობა ეკონომიურად შეუძლებე-

ლი ხდება. რადგან c ყოველი ცალმხრივი ცვლილება აგრეთვე საზღვარს უნდა მიადგეს, როდესაც v აღარ შეიძლება უცვლელი დარჩეს, ამიტომ ირკვევა, რომ $\frac{v}{c}$ ყველა შესაძლებელ ცვლილებას ისეთი საზღვარი უდევს, რომლის იქით m'-იც ცვალებადი უნდა გახდეს. m' ცვლილებების დროს, რომელთა გამოკვლევაზე ჩვენ ახლა გადავდივართ, ჩვენი განტოლების ცვალებადობის ეს ურთიერთქმედება კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება.

II. m' ცვალებადია.

ზოგად ფორმულას მოგების ნორმებისათვის, ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ნორმების არსებობისას, — სულ ერთია, $\frac{v}{c}$ უცვლელი რჩება, თუ ისიც, თავის მხრივ, იცვლება, — ჩვენ მივიღებთ, თუ განტოლებას:

$$p' = m' \frac{v}{c}$$

გარდავქმნით სხვა განტოლებად:

$$p'_1 = m'_1 \frac{v_1}{c_1},$$

სადაც p'_1, m'_1, v_1 და c_1 ნიშნავს p', m', v და c შეცვლილ სიდიდეებს. მაშინ ჩვენ გვექნება:

$$p' : p'_1 = m' \frac{v}{c} : m'_1 \frac{v_1}{c_1},$$

და აქედან:

$$p'_1 = \frac{m'_1}{m'} \times \frac{v_1}{v} \times \frac{c}{c_1} \times p'.$$

1) m′ ცვალებადია, $\frac{v}{c}$ უცვლელია.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს განტოლებანი:

$$p' = m' \frac{v}{c}; \; p'_1 = m'_1 \frac{v}{c},$$

რომლებშიაც $\frac{v}{c}$-ს თანატოლი სიდიდე აქვს. ამიტომ ვღებულობთ ასეთ შეფარდებას:

$$p' : p'_1 = m' : m'_1.$$

ორი ერთნაირი შედგენილობის კაპიტალის მოგების ნორმები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც სათანადო ზედმეტი ღირებულების ნორმები. რადგან წელიწადში: $\frac{v}{C}$ მნიშვნელოვანია არა v და C აბსოლუტური სიდიდეები, არამედ მხოლოდ ორივეს შეფარდება, ამიტომ ეს შეეხება ერთნაირი შედგენილობის ყველა კაპიტალს, როგორიც არ უნდა იყოს მათი აბსოლუტური სიდიდეები.

$$80_c + 20_v + 20_m;\ C = 100,\ m' = 100\%,\ p' = 20\%$$
$$160_c + 40_v + 20_m;\ C = 200,\ m' = 50\%,\ p' = 10\%$$
$$100\% : 50\% = 20\% : 10\%.$$

თუ v და C აბსოლუტური სიდიდეები ორივე შემთხვევაში ერთნაირია, — გარდა ამისა, მოგების ნორმათა შეფარდება ერთმანეთისადმი ისეთივეა, როგორიც ზედმეტი ღირებულების მასათა შეფარდება;

$$p' : p'_1 = m'v : m'_1v = m : m_1.$$

მაგალითად:

$$80_c + 20_v + 20_m;\ m' = 100\%,\ p' = 20\%$$
$$80_c + 20_v + 10_m;\ m' = 50\%,\ p' = 10\%$$
$$20\% : 10\% = 100 \times 20 : 50 \times 20 = 20_m : 10_m.$$

ახლა ცხადია, რომ ერთნაირი — აბსოლუტურად ან პროცენტულად — შედგენილობის კაპიტალების ზედმეტი ღირებულების ნორმები შეიძლება სხვადასხვა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვაა ან ხელფასი, ან სამუშაო დღის ხანგრძლივობა, ანდა შრომის ინტენსივობა. სამ შემთხვევაში:

$$\text{I.}\ 80_c + 20_v + 10_m;\ m' = 50\%,\ p' = 10\%$$
$$\text{II.}\ 80_c + 20_v + 20_m;\ m' = 100\%,\ p' = 20\%$$
$$\text{III.}\ 80_c + 20_v + 40_m;\ m' = 200\%,\ p' = 40\%$$

მთელი ახლადშექმნილი ღირებულება შეადგენს I-ში 30 $(20_v + 10_m)$, II-ში 40-ს, III-ში 60-ს. ეს შეიძლება მოხდეს სამნაირი წესით.

პირველი: თუ ხელფასი სხვადასხვაა, მაშასადამე, თუ 20_v ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მუშათა არაერთნაირ რიცხვს გამოხატავს. ვიგულისხმოთ, რომ 1-ში 15 მუშა 10 საათს მუშაობს $1\frac{1}{2}$ გირვ. სტერლ. ხელფასით და აწარმოებს 30 გირვ. სტერლ. ღირებულებას, საიდანაც 20 გირვ. სტერლ. ხელფასს ანაზღაურებს და 10 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულებისთვის რჩება. თუ ხელფასი 1 გირვ.

სტერლინგამდე დაიწევს, 20 მუშა შეიძლება 10 საათს მუშაობდეს, და მაშინ ისინი აწარმოებენ 40 გირვ. სტერლ. ღირებულებას, აქედან 20 გირვ. სტერლინგს ხელფასისათვის და 20 გირვ. სტერლინგს ზედმეტი ღირებულებისათვის. თუ ხელფასი კიდევ უფრო დაიწევს და ²/₃ გირვ. სტერლინგზე ჩამოვა, მაშინ შეიძლება 30 მუშა იყოს დასაქმებული 10 საათის განმავლობაში; ისინი აწარმოებენ 60 გირვ. სტერლ. ღირებულებას, საიდანაც, ხელფასისათვის 20 გირვ. სტერლინგის გამოკლების შემდეგ რჩება კიდევ 40 გირვ. სტერლინგი ზედმეტი ღირებულებისათვის.

ეს შემთხვევა: კაპიტალის უცვლელი პროცენტული შედგენილობა, უცვლელი სამუშაო დღე, შრომის უცვლელი ინტენსივობა, ხელფასის ცვლილებით გამოწვეული ზედმეტი ღირებულების ნორმის ცვლილება, ერთადერთი შემთხვევაა, სადაც დასტურდება რიკარდოს დებულება: «მაღალი ან დაბალი მოგება ზუსტ შესაბამისობაშია დაბალ თუ მაღალ ხელფასთან» («Principles of Political Economy etc.», თავი I, განყ. III, გვ. 18. Works of D. Ricardo, გამოც. Mac Culloch 1852.).

ან, მ ე ო რ ე: როცა შრომის ინტენსივობა სხვადასხვაა, მაშინ, მაგალითად, 20 მუშა შრომის იმავე საშუალებებით გააკეთებს 10 სამუშაო საათში დღიურად I-ში განსაზღვრული საქონლის 30 ცალს, II-ში 40 ცალს, III-ში 60 ცალს, რომელთაგან თვითეული ცალი, გარდა მასზე მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებისა, 1 გირვ. სტერლ. ახალ ღირებულებას გამოხატავს. რადგან თვითეულ შემთხვევაში 20 ცალი=20 გირვ. სტერლ. ხელფასს ანაზღაურებს, ამიტომ ზედმეტი ღირებულებისათვის რჩება I-ში 10 ცალი = 10 გირვ. სტერლ., II-ში — 20 ცალი = 20 გირვ. სტერლ., III-ში — 40 ცალი =40 გირვ. სტერლინგს.

ანდა, მ ე ს ა მ ე: სამუშაო დღე სხვადასხვა ხანგრძლიობისაა. თუ 20 მუშა შრომის თანატოლი ინტენსივობისას I-ში მუშაობს დღიურად ცხრა საათს, II-ში — თორმეტს, III-ში — თვრამეტს, მაშინ მთელი მათი პროდუქტი 30 : 40 : 60 ამ შეფარდებაშია: 9 : 12 : 18, და რადგან ხელფასი ყოველთვის = 20-ს, — ზედმეტი ღირებულებისათვის კვლავ რჩება 10, შესაბამისად 20, 40.

ამრიგად, ხელფასის აწევა ან დაწევა პირუკუ მიმართულებით მოქმედებს, ხოლო შრომის ინტენსივობის აწევა ან დაწევა და სამუშაო დღის გაგრძელება ან შემოკლება იმავე მიმართულებით მოქმედებს

ზედმეტი ღირებულების დონეზე და ამით, $\frac{v}{C}$ უცვლელობისას, მოგების ნორმაზეც.

2) m' და v ცვალებადია, C უცვლელია.

ამ შემთხვევას ეკუთვნის პროპორცია:

$$p' : p'_1 = m' \frac{v}{C} : m'_1 \frac{v_1}{C} = m' v : m'_1 v_1 = m : m_1 .$$

მოგების ნორმათა ერთიმეორესთან შეფარდება ისეთივეა, როგორიც ზედმეტი ღირებულების შესაბამის მასათა შეფარდება.

ზედმეტი ღირებულების ნორმის ცვლილება ცვალებადი კაპიტალის უცვლელობისას მოასწავებდა ახლად წარმოებული ღირებულების სიდიდისა და განაწილების ცვლილებას. v და m' იმავდროული ცვლილებაც ასევე ყოველთვის გულისხმობს ახლად წარმოებული ღირებულების სხვადასხვა განაწილებას, მაგრამ არა ყოველთვის მისი სიდიდის ცვლილებას. შესაძლებელია სამი შემთხვევა:

a) v და m' ცვლილება ხდება საპირისპირო მიმართულებით, მაგრამ თანატოლი სიდიდით; მაგალითად:

$$80_c + 20_v + 10_m;\ m' = 50\,{}^1/_2,\ p' = 10\,{}^0/_0$$
$$90_c + 10_v + 20_m:\ m' = 200\,{}^0/_0,\ p' = 20\,{}^0/_0.$$

ახლადშექმნილი ღირებულება ორივე შემთხვევაში, თანატოლია; მაშასადამე, გაწეული შრომის რაოდენობაც თანატოლია; $20_v + 10_m = 10_v + 20_m = 30$. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პირველ შემთხვევაში 20 გადაიხდება ხელფასისათვის და ზედმეტი ღირებულებისათვის რჩება 10, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში ხელფასი მხოლოდ 10 შეადგენს და ამიტომ ზედმეტი ღირებულება — 20. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც v და m' იმავდროული ცვლილებისას მუშების რიცხვი, შრომის ინტენსივობა და სამუშაო დღის ხანგრძლიობა უცვლელი რჩება.

b) m' და v ცვლილება ხდება კვლავ საპირისპირო მიმართულებით, მაგრამ არა ერთი და იმავე სიდიდით. მაშინ წონამეტობა აღმოჩნდება ან v ან m' ცვლილების მხარეზე.

$$\text{I.}\ 80_c + 20_v + 20_m;\ m' = 100\,\%,\ p' = 20\,\%$$
$$\text{II.}\ 72_c + 28_v + 20_m:\ m' = 71\,{}^3/_7\,\%,\ p' = 20\,\%$$
$$\text{III.}\ 84_c + 16_v + 20_m:\ m' = 125\,\%,\ p' = 20\,\%.$$

I-ში ახლადშექმნილ ღირებულებას 40 გადაიხდის 20_v, II-ში ახლადშექმნილ ღირებულებას 48 გადაიხდის 28_v, III-ში ახლადშექმ-

ნილ ღირებულებას 36 გადაიხდის 16_v. როგორც ახლადშექმნილი ღირებულება, ისე ხელფასიც შეიცვალა; მაგრამ ახლადშექმნილი ღირებულების ცვლილება ნიშნავს გაწეული შრომის რაოდენობის ცვლილებას, — მაშასადამე, ცვლილებას ან მუშების რიცხვის, ან შრომის ხანგრძლიობის, ან შრომის ინტენსივობის, ანდა იმავდროულად რამდენიმესი ამ სამი ფაქტორიდან.

c) m' და v ცვლილება ხდება ერთი და იმავე მიმართულებით; ამ შემთხვევაში ერთი ცვლილება აძლიერებს მეორის მოქმედებას.

$$90_c + 10_v + 10_m;\ m' = 100\%,\ p' = 10\%$$
$$80_c + 20_v + 30_m;\ m' = 150\%,\ p' = 30\%$$
$$92_c + 8_v + 6_m;\ m' = 75\%,\ p' = 6\%.$$

აქაც სამივე შემთხვევაში ახლადშექმნილი ღირებულება სხვადასხვაა, სახელდობრ: 20, 50 და 14; და თვითეული შემთხვევის შესაბამისი შრომის რაოდენობის ცვლილების ეს სხვაობა ისევ მუშების რიცხვის, შრომის ხანგრძლიობის, შრომის ინტენსივობის, ანდა რამდენიმე, resp. [შესაბამისად] ყველა ამ ფაქტორის ცვლილებაზე დაიყვანება.

3) m', v და C ცვალებადია.

ეს შემთხვევა არავითარ ახალ თვალსაზრისს არ იძლევა და აიხსნება იმ ზოგადი ფორმულით, რომელიც მოცემულია II-ში. როცა m' ცვალებადია.

ამრიგად. ზედმეტი ღირებულების სიდიდის ცვლილებათა გავლენა მოგების ნორმაზე შემდეგ შემთხვევებს იძლევა:

1) თუ $\frac{v}{C}$ უცვლელი რჩება, p' დიდდება ან მცირდება იმავე შეფარდებით, როგორც m'.

$$80_c + 20_v + 20_m;\ m' = 100\%,\ p' = 20\%$$
$$80_c + 20_v + 10_m:\ m' = 50\%,\ p' = 10\%$$
$$100\% : 50\% = 20\% : 10\%.$$

2) p' აიწევს ან დაიწევს შეფარდებით უფრო ძლიერად, ვიდრე m', თუ $\frac{v}{C}$ იმავე მიმართულებით მოძრაობს, როგორც m', ე. ი. მატულობს ან კლებულობს, m' მატებასთან ან კლებასთან ერთად.

$$80_c + 20_v + 10_m;\ m' = 50\%,\ p' = 10\%$$
$$70_c + 30_v + 20_m;\ m' = 66^2/_3\%,\ p' = 20\%$$
$$50\% : 66^2/_3\% < 10\% : 20\%.$$

3) p' აიწევს ან დაიწევს შეფარდებით უფრო სუსტად, ვიდრე m' თუ $\frac{v}{C}$ იცვლება m' საპირისპირო მიმართულებით, მაგრამ უფრო სუსტად მასთან შედარებით.

$$80_c + 20_v + 10_m;\ m' = 50\%,\ p' = 10\%$$
$$90_c + 10_v + 15_m;\ m' = 150\%,\ p' = 15\%$$
$$50\% : 150\% > 10\% : 15\%.$$

4) p' აიწევს, თუმცა m' დაიწევს, ან p' დაიწევა, თუმცა m' აიწევს, თუ $\frac{v}{C}$ იცვლება m^1-ის საპირისპირო მიმართულებით და შედარებით უფრო ძლიერად, ვიდრე ეს უკანასკნელი.

$$80_c + 20_v + 20_m;\ m' = 100\%,\ p' = 20\%$$
$$90_c + 10_v + 15_m;\ m' = 150\%,\ p' = 15\%,$$

m' აიწია 100%-დან 150%-მდე, p'-მა დაიწია 20%-დან 15%-დე.

5) დასასრულ, p' უცვლელი რჩება, თუმცა m' მაღლა იწევს ან დაბლა იწევს, თუ $\frac{v}{C}$ თავის სიდიდეს იცვლის m' საპირისპირო მიმართულებით, მაგრამ იცვლის ზუსტად იმავე შეფარდებით, როგორც იგი.

მარტო ეს უკანასკნელი შემთხვევა საჭიროებს კიდევ რამდენადმე განმარტებას. როგორც ჩვენ ზემოთ $\frac{v}{C}$ ცვლილებებისას დავინახეთ, რომ ზედმეტი ღირებულების ერთი და იგივე ნორმა შეიძლება მოგების მეტად სხვადასხვა ნორმებით გამოიხატოს, ისევე აქ ვხედავთ, რომ მოგების ერთსა და იმავე ნორმას შეიძლება ზედმეტი ღირებულების ფრიად სხვადასხვა ნორმები ედოს საფუძვლად. მაგრამ, მაშინ როდესაც m' უცვლელობისას ყოველი ნებისმიერი ცვლილება v შეფარდებაში C-ისადმი საკმარისი იყო იმისათვის, რომ მოგების ნორმის ცვლილება გამოეწვია, — აქ, m' სიდიდის ცვლილებისას, საჭიროა ზედმიწევნით შესაბამისი, შებრუნებული ცვლილება $\frac{v}{C}$ სიდიდისა იმისთვის, რომ მოგების ნორმა უცვლელი დარჩეს. ერთი და იმავე კაპიტალისათვის, ან ორი კაპიტალისათვის ერთსა და იმავე ქვეყანაში ეს შესაძლებელია მხოლოდ უაღრესად გამონაკლის შემთხვევებში. ავიღოთ, მაგალითად, კაპიტალი.

$$80_c + 20_v + 20_m;\ C = 100,\ m' = 100\%,\ p' = 20\%$$

და ვიგულისხმოთ ხელფასის იმდენად შემცირება, რომ ახლა 16_v-ით მუშების იმავე რიცხვის შოვნა შეიძლება, რამდენსაც უწინ 20_v-ით შოულობდნენ. მაშინ, სხვა პირობების უცვლელობისას და 4_v-ის განთავისუფლებისას, ჩვენ გვექნება:

$$80_c + 16_v + 24_m;\ C = 96,\ m' = 150\%,\ p' = 25\%.$$

ახლა იმისათვის, რომ $p' = 20\%$ ყოფილიყო, როგორც უწინ, მთელი კაპიტალი უნდა გაზრდილიყო 120-მდე; მაშასადამე, მუდმივი კაპიტალი — 104-მდე:

$$104_c + 16_v + 24_m;\ C = 120,\ m' = 150\%,\ p' = 20\%.$$

ეს კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმავდროულად ხელფასის დაწევასთან ერთად ადგილი ექნებოდა შრომის ნაყოფიერების ცვლილებას, რომელიც მოითხოვდა კაპიტალის ასეთ შეცვლილ შედგენილობას; ანდა თუ მუდმივი კაპიტალის ფულადი ღირებულება 80-იდან 104-დე აიწევდა; მოკლედ, — თუ ადგილი ექნებოდა პირობების ისეთ შემთხვევით დამთხვევას, რომელიც მხოლოდ გამონაკლისის სახით ხდება. სინამდვილეში კი m′ ისეთი ცვლილება, რომელიც იმავე დროს v და ამით აგრეთვე $\frac{v}{C}$ ცვლილებას არ იწვევს, მხოლოდ სრულიად განსაზღვრულ გარემოებებშია წარმოსადგენი, სახელდობრ, მრეწველობის ისეთ დარგებში, საცაც მხოლოდ ძირითადი კაპიტალი და შრომა გამოიყენება, ხოლო შრომის საგანი ბუნების მიერაა მოცემული.

მაგრამ ორი ქვეყნის მოგების ნორმების შედარებისას საქმე სხვაგვარად არის. მოგების ერთი და იგივე ნორმა აქ სინამდვილეში მეტწილად ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ნორმებს გამოსახავს.

ამრიგად, ყველა ხუთი შემთხვევიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ მოგების აღმავალი ნორმა შეიძლება შეესაბამებოდეს ზედმეტი ღირებულების დაღმავალ ან აღმავალ ნორმას, მოგების დაღმავალი ნორმა — ზედმეტი ღირებულების აღმავალ ან დაღმავალ ნორმას, მოგების უცვლელი ნორმა — ზედმეტი ღირებულების აღმავალ ან დაღმავალ ნორმას. მოგების აღმავალი, დაღმავალი ან უცვლელი ნორმა რომ შეიძლება უცვლელ ზედმეტი ღირებულების ნორმას შეესაბამებოდეს, — ეს ჩვენ დავინახეთ I პუნქტში.

ამრიგად, მოგების ნორმა განისაზღვრება ორი მთავარი ფაქტორით: ზედმეტი ღირებულების ნორმით და კაპიტალის ღირებულებითი შედგენილობით. ამ ორივე ფაქტორის მოქმედება შეიძლება მოკლედ ასე იქნეს დასკვნის სახით მოცემული, ამასთან შედგენილობა ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ პროცენტებით, რადგან აქ სულ ერთია, კაპიტალის ორ ნაწილში რომელი ნაწილიდან გამოდის ცვლილება:

მოგების ნორმები ორი კაპიტალის ან ერთი და იმავე კაპიტალისა ორ თანმიმდევრულ სხვადასხვა მდგომარეობაში

ტ ო ლ ი ა:

1) კაპიტალების თანატოლი პროცენტული შედგენილობისა და თანატოლი ზედმეტი ღირებულების ნორმის არსებობისას.

2) არათანატოლი პროცენტული შედგენილობისა და არათანატოლი ზედმეტი ღირებულების ნორმის არსებობისას, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმებისა და პროცენტულად აღებული კაპიტალის ცვალებადი ნაწილების ნამრავლი (m' და v ნამრავლი) თანატოლია, ე. ი. თუ ზედმეტი ღირებულების მ ა ს ე ბ ი ($m = m'v$), მთელი კაპიტალის მიმართ პროცენტულად აღებული, თანატოლია; სხვა სიტყვებით: თუ ორივე შემთხვევაში ფაქტორები m' და v პირუკუ შეფარდებაშია ერთიმეორის მიმართ.

ა რ ა ა ტ ო ლ ი:

1) კაპიტალების თანატოლი პროცენტული შედგენილობისას, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმები თანატოლი არაა; ამასთან მოგების ნორმები ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც ზედმეტი ღირებულების ნორმები.

2) თანატოლი ზედმეტი ღირებულების ნორმის არსებობისას და არათანატოლი პროცენტული შედგენილობისას, როდესაც მოგების ნორმები ერთმანეთს ისე შეეფარდება, როგორც კაპიტალის ცვალებადი ნაწილები.

3) არათანატოლი ზედმეტი ღირებულების ნორმის არსებობისას და არათანატოლი პროცენტული შედგენილობისას, როდესაც ისინი ერთმანეთს ისე შეეფარდებიან, როგორც ნამრავლი, $m'v$, ე. ი. როგორც ზედმეტი ღირებულების მასები, პროცენტულად გამოანგარიშებული მთელი კაპიტალის მიმართ [10].

---

[10] ხელნაწერში არის კიდევ ფრიად დაწვრილებითი გამოანგარიშება ზედმეტი ღირებულების ნორმასა და მოგების ნორმას შორის ($m' - p'$) არსებული სხვაობის შესახებ; ეს სხვაობა სხვადასხვაგვარ საინტერესო თავისებურებას შეიცავს და მისი მოძრაობა გვიჩვენებს შემთხვევებს, როდესაც ორივე ნორმა ერთმანეთს შორდება ან ერთმანეთს უახლოვდება. ეს მოძრაობა შეიძლება მრუდი ხაზებითაც გამოიხატოს მე ხელს ვიღებ ამ მასალის გადმოცემაზე, რადგან იგი ამ წიგნის უშუალო მიზნებისათვის ნაკლებ მნიშვნელოვანია: აქ საკმარისია ამაზე იმ მკითხველების ყურადღება მივაქციო, რომელნიც ამ პუნქტის უფრო დაწვრილებით განხილვას მოისურვებენ. — ფ. ე.

თავი მეოთხე

ბრუნვის გავლენა მოგების ნორმაზე.

{ბრუნვის გავლენა ზედმეტი ღირებულების წარმოებაზე, მაშასადამე. მოგების წარმოებაზეც, მეორე წიგნში იყო განხილული. დასკვნის სახით იგი მოკლედ ასე შეიძლება გამოითქვას: რადგან ბრუნვისათვის გარკვეული ხანგრძლიობის დროა საჭირო, არ შეიძლება წარმოებაში ერთსა და იმავე დროს მთელი კაპიტალის გამოყენება; მაშასადამე, კაპიტალის ერთი ნაწილი განუწყვეტლივ უქმად უნდა იყოს, ფულადი კაპიტალის სახით იქნება ეს, ნედლეულის მარაგის სახით, მზამზარეული, მაგრამ ჯერ კიდევ გაუყიდავი საქონლური კაპიტალის სახით, თუ საჭალო მოთხოვნათა სახით, რომელთა ვადა ჯერ კიდევ არ დამდგარა; აქტიურ წარმოებაში, ე. ი. ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და მითვისებისას, მოქმედი კაპიტალი მუდამ მცირდება ამ ნაწილის ოდენობით, და წარმოებული და მითვისებული ზედმეტი ღირებულება იმავე შეფარდებით მუდამ იკვეცება. რაც უფრო მოკლეა ბრუნვის პერიოდი, მით უფრო ნაკლებია, მთელ კაპიტალთან შედარებით, კაპიტალის ეს უქმად მდებარე ნაწილი; მით უფრო მეტი ხდება, მაშასადამე, სხვა თანაბარ პირობებში, მითვისებული ზედმეტი ღირებულებაც.

მეორე წიგნში უკვე დაწვრილებითაა ნაჩვენები, ბრუნვის დროის ანდა მისი ორი ნაკვეთიდან, რომლებსაც წარმოების დრო და მიმოქცევის დრო შეადგენს, ერთ-ერთის შემოკლება როგორ ადიდებს წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასას. მაგრამ რადგან მოგების ნორმა გამოსახავს წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასის მხოლოდ შეფარდებას მის საწარმოებლად გამოყენებულ მთელ კაპიტალთან, ამიტომ ცხადია, რომ ყოველი ასეთი შემოკლება მოგების ნორმას ადიდებს. რაც უწინ მეორე წიგნის მეორე განყოფილებაში ზედმეტი ღირებულების შესახებ იყო ნათქვამი, იგი შეეხება აგრეთვე მოგებასა და მოგების ნორმასაც, და აქ გამეორებას არ საჭიროებს. ჩვენ გვინდა მხოლოდ რამდენიმე მთავარი მომენტი აღვნიშნოთ.

წარმოების დროის შემოკლების მთავარი საშუალებაა შრომის ნაყოფიერების გადიდება, რასაც ჩვეულებრივ მრეწველობის პროგრესს უწოდებენ. თუ ეს იმავდროულად არ გამოიწვევს მთელი კაპიტალის ხარჯვის მნიშვნელოვან გაძლიერებას. ძვირფასიანი მანქანებისა და სხვ. გამოყენების გამო და ამით მთელ კაპიტალზე გამოსაანგარიშებელი მოგების დაწევას, მაშინ მოგების ნორმამ უნდა აიწიოს. ეს კი უეჭველად ხდება მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის ნრავალი უახლესი წარმატების დროს. ბესემერის, სიმენსის, ჯილკრისტ-თომასის და სხვათა მიერ, რკინისა და ფოლადის დამზადების ახლად აღმოჩენილი მეთოდები შედარებით მცირე ხარჯების გაწევისას, მინიმუმამდე ამოკლებს პროცესებს, რომლებიც უწინ მეტისმეტად ხანგრძლივი იყო. ალიზარინის ან საღებავი ნივთიერება ენდროს მომზადება ქვანახშირის კუპრიდან, თანაც იმ ფაბრიკული მოწყობილობის საშუალებით, რომელიც უკვე დღემდე იყო ხმარებაში ქვანახშირის კუპრიდან საღებავების დასამზადებლად, იძლევა რამდენიმე კვირაში იმავე შედეგს, რაც უწინ წლებს მოითხოვდა; ერთი წელიწადი სჭირდებოდა ენდროს გაზრდას, და შემდეგ კიდევ მის ძირებს რამდენიმე წელიწადს ტოვებდნენ სავსებით დასამწიფებლად, ვიდრე მათ საღებავად გამოიყენებდნენ.

მიმოქცევის დროის შემოკლებისათვის მთავარი საშუალებაა გაუმჯობესებული სამიმოსვლო გზები. და ამ მხრივ უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე მოხდა რევოლუცია, რომელიც მხოლოდ წარსული საუკუნის უკანასკნელ ნახევარში მომხდარ სამრეწველო რევოლუციას შეიძლება შევადაროთ. ხმელეთზე მოკენჭილი შარაგზა დაჩრდილა რკინიგზამ, ზღვაზე ნელი და არარეგულარული იალქნიანი გემი — სწრაფმა და რეგულარულად მავალმა ორთქლის გემმა, და მთელი დედამიწის ზედაპირი დასერილია ტელეგრაფის მავთულებით. სუეცის არხმა პირველმა გაუღო ნამდვილად გემების მიმოსვლას აღმოსავლეთი აზია და ავსტრალია. მიმოქცევის დრო აღმოსავლეთ აზიაში გასაგზავნი საქონლისათვის ჯერ კიდევ 1847 წელს შეადგენდა, სულ ცოტა, თორმეტ თვეს (იხ. წიგნი II, გვ. 235 [კ. მარქსი: «კ ა პ ი ტ ა ლ ი», ტ. II, გამოც. 1957 წ. გვ. 314 — 315]), დღეს კი იგი დაახლოებით ამდენსავე კვირაზეა დაყვანილი. 1825 — 1857 წლებში კრიზისების ორივე მთავარი კერა, ამერიკა და ინდოეთი, ტრანსპორტის საშუალებებში მომხდარი ამ გადატრიალების გამო 70 — 90%-ით მიუახლოვდა ევროპის სამრეწველო ქვეყნებს და ამგვარად მათ მეტწილად დაეკარგათ აფეთქების უნარიანობა. იმავე ოდენობით შემოკლდა ბრუნვის

დრო მთელი მსოფლიო ვაჭრობისათვის, და მასში მონაწილე კაპიტალის ქმედითუნარიანობა ორჯერ ან სამჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. თავისთავად გასაგებია, რომ ამას არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მოგების ნორმაზე.

რათა წმინდა სახით გამოვხატოთ, მთელი კაპიტალის ბრუნვის გავლენა მოგების ნორმაზე, ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ორი შესადარებელი კაპიტალისათვის ყველა სხვა გარემოება თანაბარია: მაშასადამე, გარდა ზედმეტი ღირებულების ნორმისა და სამუშაო დღისა, დავუშვათ, სახელდობრ, რომ კაპიტალთა პროცენტული შედგენილობაც თანატოლია. ავიღოთ ახლა კაპიტალი A, რომლის შედგენილობაა: $80_c + 20_v = 100\ C$ და რომელიც 100%-იანი ზედმეტი ღირებულების ნორმით წელიწადში ორჯერ გადაბრუნდება. ამ შემთხვევაში წლიური პროდუქტი იქნება:

$160_c + 40_v + 40_m$. მაგრამ მოგების ნორმის გამოსარკვევად ჩვენ ამ 40_m გამოვითვლით არა გადაბრუნებულ კაპიტალღირებულება 200-ზე, არამედ ავანსებულ კაპიტალ 100-ზე, და ამგვარად მივიღებთ: $p' = 40\%$.

შევადაროთ ამას კაპიტალი $B = 160_c + 40_v = 200\ C$, რომელსაც ასეთივე ზედმეტი ღირებულების ნორმა აქვს, — 100%, მაგრამ მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში. მაშინ წლიური პროდუქტი ისეთივე იქნება, როგორც ზემოთ იყო:

$160_c + 40_v + 40_m$. ამჯერად ეს 40_m გამოსათვლელია ავანსებულ კაპიტალ 200-ზე, რაც იძლევა მოგების ნორმად მხოლოდ 20%-ს, ე. ი. A ნორმის მხოლოდ ნახევარს.

მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს შემდეგი: კაპიტალების თანატოლი პროცენტული შედგენილობისას, თანატოლი ზედმეტი ღირებულების ნორმისა და თანატოლი სამუშაო დღის არსებობისას ორი კაპიტალის მოგების ნორმები, პირუკუშეფარდებაშია მათი ბრუნვის დროსთან შედარებით. თუ ორსავე შედარებულ შემთხვევაში თანატოლი არაა შედგენილობა, ან ზედმეტი ღირებულების ნორმა, ან სამუშაო დღე, ან ხელფასი, — მაშინ ეს, რასაკვირველია, გამოიწვევს შემდგომ განსხვავებასაც მოგების ნორმაში; ეს განსხვავებანი ბრუნვისაგან დამოუკიდებელია და ამიტომ ჩვენ აქ არ გვაინტერესებს: თანაც ისინი უკვე III თავშია განხილული.

ბრუნვის დროის შემოკლების პირდაპირი გავლენა ზედმეტი ღირებულების წარმოებაზე და, მაშასადამე, მოგების წარმოებაზეც მდგომარეობს იმ გადიდებულ მოქმედებაში, რომელსაც ამით აღწევს

კაპიტალის ცვალებადი ნაწილი, რაზედაც იხ. წიგნი II, თავი XVI: «ცვალებადი კაპიტალის ბრუნვა». იქ ნაჩვენებია, რომ ცვალებადი კაპიტალი 500, რომელიც წელიწადში ათჯერ გადაბრუნდება, ამ დროის განმავლობაში იმდენსავე ზედმეტ ღირებულებას მიითვისებს, რამდენსაც ცვალებადი კაპიტალი 5000, რომელიც. იმავე ზედმეტი ღირებულების ნორმისა და იმავე ხელფასის არსებობისას, წელიწადში მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდება.

ავიღოთ კაპიტალი I, რომელიც შედგება 10 000 ძირითადი კაპიტალისგან (რომლის წლიური გაცვეთა 10% = 1000-ს), 500 საბრუნავი მუდმივი კაპიტალის და 500 ცვალებადი კაპიტალისგან. ვთქვათ, ზედმეტი ღირებულების ნორმა არის 100% და ცვალებადი კაპიტალი ათჯერ გადაბრუნდება წელიწადში. სიმარტივისათვის ყველა შემდგომ მაგალითში ჩვენ ვგულისხმობთ, რომ საბრუნავი მუდმივი კაპიტალი იმავე დროის განმავლობაში გადაბრუნდება, როგორც ცვალებადი, რაც პრაქტიკაშიც მეტწილად დაახლოებით ასე ხდება. მაშინ ერთი ასეთი ბრუნვის პერიოდის პროდუქტი იქნება:

$$100_c \text{ (გაცვეთა)} + 500_c + 500_v + 500_m = 1600,$$

ხოლო მთელი წლის ათი ასეთი ბრუნვის პროდუქტი:

$$1000_c \text{ (გაცვეთა)} + 5000_c + 5000_v + 5000_m = 16\,000,$$

$$C = 11000,\ m = 5000,\ p' = \frac{5000}{11\,000} = 45^5/_{11}\%.$$

ავიღოთ ახლა კაპიტალი II: ძირითადი კაპიტალი 9000, მისი წლიური გაცვეთა 1000, საბრუნავი მუდმივი კაპიტალი 1000, ცვალებადი კაპიტალი 1000. ზედმეტი ღირებულების ნორმა 100%, ცვალებადი კაპიტალის წლიური ბრუნვის რიცხვი წელიწადში 5. მაშასადამე, ცვალებადი კაპიტალის თვითეული ბრუნვის პერიოდის პროდუქტი იქნება:

$$200_c \text{ (გაცვეთა)} + 1000_c + 1000_v + 1000_m = 3200,$$

ხოლო მთელი წლიური პროდუქტი ხუთჯერ გადაბრუნებისას:

$$1000_c \text{ (გაცვეთა)} + 5000_c + 5000_v + 5000_m = 16000,$$

$$C = 11\,000,\ m = 5000,\ p' = \frac{5000}{11000} = 45^5/_{11}\%.$$

ავიღოთ, შემდეგ, კაპიტალი III, რომელშიც სრულიად არ არის ძირითადი კაპიტალი, ხოლო საბრუნავი მუდმივი კაპიტალი შეადგენს 6000-ს და ცვალებადი კაპიტალი 5000-ს. ვთქვათ, ზედმეტი ღირებუ-

ლების ნორმა არის 100% და კაპიტალი ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში. მაშინ მთელი პროდუქტი წელიწადში იქნება:

$$6000_c + 5000_v + 5000_m = 16000,$$

$$C = 11\,000,\ m = 5000,\ p' = \frac{5000}{11\,000} = 45^5/_{11}\%.$$

მაშასადამე, ყველა სამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ზედმეტი ღირებულების თანატოლი წლიური მასა, = 5000, და რადგან ყველა სამ შემთხვევაში მთელი კაპიტალი აგრეთვე თანატოლია, სახელდობრ = 11 000, ამიტომ გვაქვს მოგების თანატოლი ნორმაც, — $45^5/_{11}\%$.

პირიქით, თუ ჩვენ ზემოაღნიშნულ I კაპიტალთან გვექნებოდა ცვალებადი ნაწილის არა 10, არამედ მხოლოდ 5 ბრუნვა, მაშინ საქმე სხვაგვარად იქნებოდა. მაშინ ერთი ბრუნვის პროდუქტი იქნებოდა:

$$200_v\ (\text{გაცვეთა}) + 500_v + 500_v + 500_m = 1700.$$

ანუ წლიური პროდუქტი:

$$1000_c\ (\text{გაცვეთა}) + 2500_c + 2500_v + 2500_m = 8500.$$

$$C = 11\,000,\ m = 2500;\ p' = \frac{2500}{11000} = 22^8/_{11}\%.$$

მოგების ნორმა სანახევროდ დაიწევდა, რადგან ბრუნვის დრო გაორკეცდა.

ამრიგად, წლის განმავლობაში მითვისებული ზედმეტი ღირებულების მასა უდრის ცვალებადი კაპიტალის მიერ ერთი ბრუნვის პერიოდში მითვისებული ზედმეტი ღირებულების მასას, გამრავლებულს წლის განმავლობაში მომხდარ ასეთ ბრუნვათა რიცხვზე. თუ ჩვენ წლის განმავლობაში მითვისებულ ზედმეტ ღირებულებას, ანუ მოგებას, ვუწოდებთ M, ერთი ბრუნვის პერიოდში მითვისებულ ზედმეტ ღირებულებას — m, ცვალებადი კაპიტალის წლიურად ბრუნვის რიცხვს — n, მაშინ $M = mn$ და წლიური ზედმეტი ღირებულების ნორმა $M' = m'n$, როგორც უკვე გარკვეულია II წიგნში, თავი XVI, I.

მოგების ნორმის ფორმულა $p' = m'\frac{v}{C} = m'\frac{v}{c+v}$, **რა თქმა უნდა** სწორია მხოლოდ იმ პირობით, თუ მრიცხველის v ისეთივეა, როგორც მნიშვნელის v. მნიშვნელში v წარმოადგენს მთელი კაპიტალის იმ ნაწილს მთლიანად, რომელიც საშუალოდ ცვალებადი კაპიტალის სახით

გამოყენებულია ხელფასისათვის. მრიცხველის v პირველ რიგში განისაზღვრება მხოლოდ იმით, რომ მან აწარმოვა და მიითვისა გარკვეული რაოდენობის ზედმეტი ღირებულება $= m$, რომლის შეფარდება ამ v-სადმი, $\frac{m}{v}$ ზედმეტი ღირებულების ნორმა m' არის. მხოლოდ ამ გზით გარდაიქმნა განტოლება $p' = \frac{m}{c+v}$ მეორე განტოლებად:

$p' = m' \frac{v}{c+v}$. ახლა მრიცხველის v უფრო დაახლოებით განისაზღვრება იმით, რომ იგი უნდა უდრიდეს მნიშვნელის v, ე. ი. C კაპიტალის მთელ ცვალებად ნაწილს. სხვა სიტყვებით, განტოლება $p' = \frac{m}{C}$ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება უშეცდომოდ გარდავქმნათ განტოლებად $p' = m' \frac{v}{c+v}$, თუ m ცვალებადი კაპიტალის ერთი ბრუნვის პერიოდში წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას ნიშნავს. თუ m ამ ზედმეტი ღირებულების მხოლოდ ნაწილს შეადგენს, მაშინ $m = m'v$ თუმცა სწორია, მაგრამ ეს v აქ ნაკლებია, ვიდრე v ფორმულაში: $C = c+v$, რადგან იგი ნაკლებია, ვიდრე ხელფასზე დახარჯული მთელი ცვალებადი კაპიტალი. მაგრამ თუ m მეტს შეადგენს, ვიდრე v ერთი ბრუნვის ზედმეტი ღირებულებაა, მაშინ ამ v-ს ერთი ნაწილი ან მთელი v-ც კი ორჯერ მოქმედებს: ჯერ პირველში, შემდეგ მეორეში — resp. [შესაბამისად] მეორესა და შემდგომ ბრუნვაში; მაშასადამე, ეს v, რომელიც ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს და ჰთელი გადახდილი ხელფასის ჯამს წარმოადგენა, უფრო დიდია, ვიდრე v ფორმულაში: $c+v$, და ამიტომ გამოანგარიშება მცდარი იქნება.

იმისათვის, რომ მოგების წლიური ნორმის ფორმულა სავსებით სწორი გახდეს, ზედმეტი ღირებულების მარტივი ნორმის ნაცვლად ზედმეტი ღირებულების წლიური ნორმა უნდა ჩავსვათ, ე. ი. m' ნაცვლად M' ანუ $m'n$ უნდა ჩავსვათ. სხვა სიტყვებით: m', ზედმეტი ღირებულების ნორმა, ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, v, კაპიტალის ცვალებადი ნაწილი, რომელსაც C შეიცავს, უნდა გავამრავლოთ n-ზე, ამ ცვალებადი კაპიტალის წლიური ბრუნვის რიცხვზე, და ამგვარად მივიღებთ: $p' = m'n \frac{v}{C}$, რომელიც წარმოადგენს ფორმულას მოგების წლიური ნორმის გამოსაანგარიშებლად.

მაგრამ რა სიდიდისაა ამა თუ იმ საწარმოში ცვალებადი კაპიტალი, ეს უმრავლეს შემთხვევაში თვით კაპიტალისტმაც არ იცის. მეორე წიგნის მერვე თავში ჩვენ დავინახეთ და დავინახავთ კიდევ შემდგომაც, რომ კაპიტალში ერთადერთი განსხვავება, რაც კაპიტალისტს თვალში ეცემა როგორც არსებითი, არის ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის განსხვავება. სალაროდან, სადაც ინახება საბრუნავი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ფულადი სახით კაპიტალისტის ხელში იმყოფება,— რამდენადაც ბანკში არ ძევს ეს ნაწილი, — მას გამოაქვს ფული ხელფასისათვის, ამავე სალაროდან გამოაქვს ფული ნედლეულისა და დამხმარე მასალისათვის, და ორივეს წერს სალაროს ერთსა და იმავე ანგარიშში. იგი რომ კიდეც აწარმოებდეს გაცემული ხელფასისათვის განსაკუთრებულ ანგარიშს, ეს წლის ბოლოს თუმცა ხელფასად გადახდილი თანხის, ე. ი. *vn* მაჩვენებელი იქნებოდა, მაგრამ — არა თვით ცვალებადი კაპიტალის, *v*. ამ უკანასკნელის გამოსარკვევად კაპიტალისტს დასჭირდებოდა საგანგებო გამოანგარიშების შესრულება, რის მაგალითსაც ჩვენ აქვე მოვიყვანთ.

ამისათვის ჩვენ ავიღებთ I წიგნში, გვ. 180 — 181 [კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ., გვ. 277 — 279] აწერილ 10 000 ბიუელ-თითისტარიან ბანის სართავ ფაბრიკას და ვიგულისხმებთ ამასთან, რომ 1871 წლის აპრილის ერთი კვირისათვის აღებული მონაცემები ძალაში რჩებოდა მთელი წლისათვის. მანქანებში მოთავსებული ძირითადი კაპიტალი 10 000 გირვ. სტერლინგს შეადგენდა. საბრუნავი კაპიტალი არ იყო აღნიშნული; ვიგულისხმოთ, რომ იგი 2500 გირვ. სტერლინგს შეადგენდა, რაც საკმაოდ დიდი ციფრია. მაგრამ რასაც ამართლებს იმის ვარაუდი, რაც ჩვენ აქ ყოველთვის უნდა დავუშვათ, სახელდობრ, რომ ადგილი არა აქვს საკრედიტო ოპერაციებს, მაშასადამე, სხვისი კაპიტალის ხანგრძლივ ან დროებით გამოყენებას. კვირეულ პროდუქტს მისი ღირებულების მიხედვით შეადგენდა: 20 გირვ. სტერლინგი მანქანების გაცვეთისათვის, 358 გირვ. სტერლ. ავანსებული საბრუნავი მუდმივი კაპიტალი (შენობის ქირა 6 გირვ. სტერლ., ბამბა 342 გირვ. სტერლ., ნახშირი, გაზი, ზეთი 10 გირვ. სტერლ.), ხელფასზე დახარჯული 52 გირვ. სტერლ. ცვალებადი კაპიტალი და 80 გირვ. სტერლ. ზედმეტი ღირებულება, მაშასადამე:

$$20_c \text{ (გაცვეთა)} + 358_c + 52_v + 80_m = 510.$$

ამრიგად, კვირის განმავლობაში ავანსად გაღებული საბრუნავი კაპიტალი შეადგენდა $358 + 52_v = 410$, მისი პროცენტული წილგენილობა კი $= 87{,}3_c + 12{,}7_v$-ს. 2500 გირვ. სტერლ. მთელ საბრუნავ

კაპიტალზე გამოთვლის გზით ეს შეადგენს 2132 გირვ. სტერლ. მუდმივს და 318 გირვ. სტერლ. ცვალებად კაპიტალს. რადგან მთელი დანახარჯი ხელფასისათვის წელიწადში 52-ჯერ 52 გირვ. სტერლინგს, ე. ი. 2 704 გირვ. სტერლინგს შეადგენდა, — გამოდის, რომ 318 გირვ. სტერლ. ცვალებადი კაპიტალი წლის განმავლობაში თითქმის ზუსტად $8^1/_2$-ჯერ გადაბრუნდებოდა. ზედმეტი ღირებულების ნორმა იყო $^{80}/_{52} = 153^{11}/_{13}\%$. ამ მონაცემებით ჩვენ გამოვითვლით მოგების ნორმას,

ჩავსვამთ რა ფორმულაში $p' = m'n\frac{v}{C}$ ამ სიდიდეებს: $m' = 153^{11}/_{13}$, $n = 8^1/_2$, $v = 318$, $C = 12\,500$; ამრიგად:

$$p' = 153^{11}/_{13} \times 8^1/_2 \times \frac{318}{12\,500} = 33{,}27\%.$$

ამის შესამოწმებლად ჩვენ გამოვიყენებთ მარტივ ფორმულას $p' = \frac{m}{C}$. მთელი ზედმეტი ღირებულება, ანუ მოგება, შეადგენს წელიწადში 80×52 გირვანქა სტერლ. = 4160 გირვ. სტერლ., ხოლო ეს გაყოფილი 12 500 გირვ. სტერლინგ მთელ კაპიტალზე, გვაძლევს თითქმის იმდენს, რამდენიც ზევითაა აღნიშნული, — 33,28%-ს, მოგების უაღრესად მაღალ ნორმას, რომელიც აიხსნება მხოლოდ მოცემულ მომენტში არსებული მეტად ხელსაყრელი პირობებით (ბამბის ფრიად დაბალი ფასი ნართის ფრიად მაღალი ფასის გვერდით) და რომელსაც სინამდვილეში უეჭველია ადგილი ჰქონდა, მაგრამ არა მთელი წლის მანძილზე.

ფორმულაში $p' = m'n\frac{v}{C}$, როგორც ნათქვამია, $m'n$ წარმოადგენს იმას, რაც მეორე წიგნში ზედმეტი ღირებულების წლიურ ნორმადაა წოდებული. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იგი შეადგენს $153^{11}/_{13}\% \times 8^1/_2$, ანუ, ზუსტი გამოანგარიშებით, $1\,307^9/_{13}\%$-ს. მაშასადამე, თუ ვინმე მიამიტმა [Biedermann]* თავში ხელი შემოიკრა ზედმეტი ღირებულების იმ ვეებერთელა 1000%-იანი წლიური ნორმის გამო, რომელიც მეორე წიგნში ერთ მაგალითშია წარმოდგენილი, იქნებ იგი დამშვიდდეს ზედმეტი ღირებულების 1 300%-იანი წლიური ნორმის ფაქტით, რომელიც აქ მოყვანილია მის საყურადღებოდ მანჩესტერის ნამდვილი პრაქტიკიდან. უმაღლესი აყვავების ხანებში, როგორიც

* სიტყვათა თამაში: **Biedermann** — მიამიტი და ამავე დროს — გვარი **«Deutshe Allgemeine Zeitung»**-ის რედაქტორისა. რ ე დ.

ჩვენ, მართალია, დიდი ხანია არ განგვიცდია, ასეთი ნორმა სრულიადაც არ წარმოადგენს იშვიათ მოვლენას.

სხვათა შორის, ჩვენ აქ გვაქვს მაგალითი კაპიტალის ნამდვილი შედგენილობისა თანამედროვე მსხვილ მრეწველობაში. მთელი კაპიტალი ნაწილდება 12 182 გირვ. სტერლ. მუდმივ კაპიტალად და 318 გირვ. სტერლ. ცვალებად კაპიტალად, სულ 12 500 გირვ. სტერლ. კაპიტალად. ანუ, პროცენტულად, $97^1/_{3}$ + $2^1/_{3}$ = 100%. მთელი კაპიტალის მხოლოდ მეორეოცედი ნაწილი, მაგრამ რვაზე მეტჯერ დაბრუნებული წელიწადში, გამოიყენება ხელფასის გასასტუერებლად.

რადგან, უეჭველია, მხოლოდ ცოტაა ისეთი კაპიტალისტი, რომელსაც აზრად მოუვა ასეთი გამოანგარიშებანი მოახდინოს საკუთარი საწარმოს მიმართ, ამიტომ სტატისტიკა თითქმის სრულიად არას ამბობს საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის მუდმივი ნაწილის შეფარდებაზე ცვალებად ნაწილთან. მხოლოდ ამერიკული ცენზი იძლევა იმას, რაც დღევანდელ პირობებში შესაძლებელია: წამომწყებლობის ყოველ დარგში გაცემული ხელფასისა და მიღებული მოგების ჯამს. რაგინდ საეჭვო არ უნდა იყოს ეს მონაცემები, — რადგან ისინი დამყარებულია თვით მრეწველების შეუმოწმებელ ცნობებზე, — მაინც მეტისმეტად ძვირფასი და ერთადერთია, რაც ჩვენ ამ საგნის შესახებ მოგვეპოვება. ევროპაში ჩვენ მეტისმეტად გვეთაკილება ჩვენს მსხვილ მრეწველებს ამგვარი რამეების გამომჟღავნება მოვთხოვოთ. — Ф. Э.

თავი მეხუთე

ეკონომია მუდმივი კაპიტალის გამოყენებაში

1. ზოგადი დებულებანი.

აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების გადიდება, ანუ ზედმეტი შრომის გაგრძელება და, მაშასადამე, სამუშაო დღის გაგრძელებაც, ცვალებადი კაპიტალის უცვლელობისას, ე. ი. ნომინალურად იმავე ხელფასით მუშების იმავე რიცხვის გამოყენებისას, — სულ ერთია, ანაზღაურდება თუ არა ზეგანაკვეთური დრო,—შეფარდებით ამცირებს მუდმივი კაპიტალის ღირებულებას მთელი კაპიტალისა და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებასთან შედარებით, და ამგვარად, ადიდებს მოგების ნორმას, რაც ასევე დამოუკიდებელია ზედმეტი ღირებულების ზრდისა და მასისაგან და ზედმეტი ღირებულების შესაძლებელი აღმავალი ნორმისაგან. მუდმივი კაპიტალის ძირითადი ნაწილის მოცულობა — ფაბრიკის შენობები, მანქანები და სხვ. — 16 საათს წარმოებს მისი დახმარებით მუშაობა თუ 12 საათს, მაინც უცვლელი რჩება. სამუშაო დღის გაგრძელება არ მოითხოვს ახალ ხარჯს მუდმივი კაპიტალის ამ ყველაზე უფრო ძვირადღირებული ნაწილისათვის. გარდა ამისა, ძირითადი კაპიტალის ღირებულება ამგვარად ნაკლები რაოდენობის ბრუნვის პერიოდების განმავლობაში იკვლავწარმოება, მაშასადამე, მოკლდება ის დრო, რომლის ხანგრძლიობის მიხედვით ეს კაპიტალი ავანსად უნდა იქნეს გაღებული განსაზღვრული მოგების მისაღებად. ამიტომ, სამუშაო დღის გაგრძელება მოგებას იმ შემთხვევაშიც კი ადიდებს, როცა ზეგანაკვეთური დროისათვის საზღაური გადაიხდება. და, გარკვეულ ფარგლებში, მაშინაც კი, როცა ამ დროისათვის უფრო ძვირი საზღაური გადაიხდება, ვიდრე ნორმალური შრომის საათებისთვის. ამიტომ, ძირითადი კაპიტალის გადიდების მუდმივად მზარდი აუცილებლობა, თანამედროვე სამრეწველო სისტემის პირო-

ბებში, წარმოადგენდა სამუშაო დღის გაგრძელების მთავარ იმპულსს მოგების დახარბებული კაპიტალისტებისათვის [11].

ასეთ მდგომარეობას არა აქვს ადგილი სამუშაო დღის უცვლელობის დროს. ამ შემთხვევაში შრომის უფრო დიდი მასის საექსპლოატაციოდ საჭიროა (ვინაიდან აქ ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ ხელფასიდან გამოკლებას ან ხელფასის დაწევას მის ნორმალურ დონეზე დაბლა), ან გადიდდეს მუშების რიცხვი და მათთან ერთად. გარკვეული შეფარდებით, ძირითადი კაპიტალის, შენობების, მანქანებისა და სხვ.— მასაც. ანდა, თუ შრომის ინტენსივობა გადიდდა ან მისი ნაყოფიერება გაიზარდა და საერთოდ მეტი შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება იწარმოება, მაშინ მრეწველობის იმ დარგებში, სადაც ნედლი მასალა გამოიყენება, უნდა გაიზარდოს მუდმივი კაპიტალის საბრუნავი ნაწილის მასა, რადგანაც დროის მოცემულ მონაკვეთში მეტი ნედლი მასალა და სხვ. გადამუშავდება; და, მეორე, იზრდება მანქანების რიცხვი, რომლებიც მუშების იმავე რაოდენობას მოჰყავს მოძრაობაში, იზრდება, მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის სათანადო ნაწილიც. ამრიგად, ზედმეტი ღირებულების ზრდას თან ახლავს მუდმივი კაპიტალის ზრდა, შრომის მზარდ ექსპლოატაციას თან ახლავს გაძვირება წარმოების პირობებისა, რომელთა საშუალებით შრომის ექსპლოატაცია ხდება, ე. ი. თან ახლავს უფრო მეტი კაპიტალის ხარჯვა. მაშასადამე, მოგების ნორმა ამის გამო, ერთი მხრივ, მცირდება, მეორე მხრივ, მატულობს.

მთელი რიგი მიმდინარე ხარჯები თითქმის ან სრულიად უცვლელი რჩება როგორც უფრო გრძელი, ისე უფრო მოკლე სამუშაო დღის პირობებში. ზედამხედველობის ხარჯები უფრო ნაკლებია 500 მუშისთვის 18-საათიანი სამუშაო დღის პირობებში, ვიდრე 750 მუშისთვის 12 საათიანი სამუშაო დღის დროს. «წარმოების ხარჯები ფაბრიკაში 10 საათიანი შრომის დროს თითქმის ისევე დიდია, როგორც 12 საათიანი შრომის დროს» («Reports of Insp. of Fact., October 1848». გვ. 37). სახელმწიფო და კომუნალური გადასახადები, ცეცხლისაგან დაზღვევა, სხვადასხვა მუდმივ მოსამსახურეთა ხელფასი, მანქანების გაუფასურება და ფაბრიკის სხვა მრავალგვარი ხარჯები უცვლელი რჩება როგორც გრძელი, ისე მოკლე სამუშაო დღის პირობებშიც; იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წარმოება მცირდება, ეს გასავალი

[11] «რადგან ყველა ფაბრიკაში ძირითადი კაპიტალის ფრიად დიდი ნაწილი შენობებსა და მანქანებშია დაბანდებული, ამიტომ მოგება მით უფრო დიდი იქნება, რაც უფრო დიდია საათების რიცხვი, რომელთა განმავლობაში ეს მანქანები ამუშავებული იქნება» («Reports of Insp. of Fact., 31 st October 1858», გვ. 8).

მატულობს მოგების ხარჯზე («Reports of Insp. of Fact., October 1862», გვ. 19).

იმ პერიოდის ხანგრძლიობა, რომლის განმავლობაშიც მანქანებისა და ძირითადი კაპიტალის სხვა შემადგენელი ნაწილების ღირებულება იკვლავწარმოება, პრაქტიკულად განისაზღვრება არა იმ დროით, რომლის განმავლობაშიც ეს მანქანები უმოქმედოდ არსებობენ, არამედ იმ შრომითი პროცესის მთელი ხანგრძლიობით, რომლის განმავლობაშიც ეს მანქანები მოქმედებენ და გამოიყენებიან. თუ მუშებმა 12-ის ნაცვლად 18 საათს უნდა იმუშაონ, — ეს შეადგენს კვირაში დამატებით სამ დღეს, ერთი კვირა იქცევა კვირა-ნახევრად, ორი წელიწადი — სამ წელიწადად. თუ ზეგანაკვეთური დრო ფასგადაუხდელია,—მუშები, ზედმეტი შრომის ნორმალურ დროს გარდა, მუქთად იძლევიან კიდევ ყოველ ორ კვირაზე მესამე კვირას, ყოველ ორ წელიწადზე — მესამე წელიწადს. და ამგვარად, 50%-ით ჩქარდება მანქანების ღირებულების კვლავწარმოება და სხვა პირობებში აუცილებელი დროის მხოლოდ $^2/_3$ იკავებს.

ამ გამოკვლევის დროს, ისევე როგორც ნედლი მასალის ფასის რყევის გამოკვლევისას (თავი VI), საკითხის უსარგებლო გართულების თავიდან აცილების მიზნით ჩვენ იმის ვარაუდიდან გამოვდივართ, რომ ზედმეტი ღირებულების მასა და ნორმა მოცემულია.

როგორც უკვე კოოპერაციის, შრომის დანაწილებისა და მანქანების როლის ანალიზის დროს იყო აღნიშნული, წარმოების პირობების ეკონომია, რაც მსხვილი მასშტაბით წარმართულ წარმოებას ახასიათებს, არსებითად იქიდან წარმოდგება, რომ ეს პირობები მოქმედებენ როგორც საზოგადოებრივი, საზოგადოებრივად-კომბინირებული შრომის პირობები, მაშასადამე, როგორც საზოგადოებრივი შრომის პირობები. მათი მოხმარება წარმოების პროცესში ხდება ერთად, ყველა მუშის მიერ, ნაცვლად იმისა, რომ მოხმარებულ იქნენ დაქსაქსული სახით ერთმანეთთან დაუკავშირებელი მუშათა მასის მიერ ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მცირე მასშტაბით უშუალოდ კოოპერირებულ მუშათა მასის მიერ. ერთი ან ორი ცენტრალური ძრავას მქონე დიდ ფაბრიკაში ძრავათა ხარჯები იმავე პროპორციით როდი იზრდება, რა პროპორციითაც იზრდება მათი ცხენძალა და, მაშასადამე, მათი შესაძლებელი მოქმედების სფეროც; გადამცემი მანქანების ხარჯები როდი იზრდება იმ პროპორციით, როგორც სამუშაო მანქანების მასა, რომელთაც ისინი მოძრაობას გადასცემენ; თვით სამუშაო მანქანის ჩონჩხი ძვირდება არა იმ პროპორციით, რა პროპორციითაც იზრდება იმ იარა-

ღების რიცხვი, რომლებითაც — როგორც თავისი ორგანოებით — სამუშაო მანქანა ჩოქმედებს, და სხვ. შემდეგ, წარმოების საშუალებათა კონცენტრაციის მეოხებით იზოგება ხარჯები ყოველგვარი ნაგებობისათვის, არა მარტო სახელოსნოებისათვის ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ სასაწყობო სადგომებისთვისაც და ა. შ. ამასვე აქვს ადგილი გათბობის, განათების ხარჯების და სხვ. მიმართ. წარმოების სხვა პირობები იგივე რჩება, მიუხედავად იმისა, ცოტა ადამიანი სარგებლობს ამ პირობებით თუ ბევრი.

მაგრამ მთელი ეს ეკონომია, რაც წარმოების საშუალებათა კონცენტრაციიდან და მათი მასობრივი გამოყენებიდან გამომდინარეობს, თავის არსებით პირობად გულისხმობს მუშების თავმოყრას და მათ შეერთებულ მოქმედებას, ე. ი. შრომის საზოგადოებრივ კომბინაციას. მაშასადამე, იგი სწორედ ისევე გამომდინარეობს შრომის საზოგადოებრივი ხასიათიდან, როგორც ზედმეტი ღირებულება გამომდინარეობს ყოველი ცალკეული, იზოლირებულად განხილული, მუშის ზედმეტი შრომიდან. ის მუდმივი გაუმჯობესებანიც კი, რომელნიც აქ შესაძლებელი და აუცილებელია, გამომდინარეობენ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი გამოცდილებიდან და დაკვირვებიდან, რასაც დიდი მასშტაბით კომბინირებული ერთობლივი მუშის მიერ განხორციელებული წარმოება შესაძლებელს ხდის და იძლევა.

იგივე ითქმის წარმოების პირობების ეკონომიის მეორე მსხვილი დარგის შესახებაც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს წარმოების ექსკრემენტების, ეგრეთწოდებული ნარჩენის უკუგარდაქმნა მრეწველობის იმავე ან სხვა დარგის წარმოების ახალ ელემენტად, — ის პროცესები, რომელთა გზით ეგრეთწოდებული ექსკრემენტი ხელახლა შეიტანება წარმოების წრებრუნვაში და, მაშასადამე, — საწარმოო ან ინდივიდუალურ — მოხმარებაში. დანაზოგთა ეს დარგიც, რომელსაც ჩვენ შემდგომ ცოტა უფრო დაწვრილებით შევეხებით, დიდი მასშტაბის საზოგადოებრივი შრომის შედეგია. მხოლოდ ასეთი მასშტაბის პირობებში მიიღება ნარჩენი ისეთი მნიშვნელოვანი რაოდენობით, რაც თვით ამ ნარჩენს ხელახლა აქცევს ვაჭრობის საგნად და, მაშასადამე, წარმოების ახალ ელემენტად. მხოლოდ როგორც კოლექტიური წარმოების და, მაშასადამე, დიდი მასშტაბის წარმოების ნარჩენი, ღებულობს იგი ამ მნიშვნელობას წარმოების პროცესისათვის, რჩება საცვლელი ღირებულების მატარებლად. ეს ნარჩენი, — დამოუკიდებლად იმ როლისაგან, რომელსაც იგი ასრულებს როგორც წარმოების ახალი ელემენტი, — ამცირებს, რამდენადაც მათი ხელახლა გაყიდვა შეიძლება, ნედლეუ-

ლის ხარჯებს, რომლებსაც ამ მასალის ნორმალური ნარჩენი ყოველთვის მიეთვლება, სახელდობრ იმ რაოდენობას, რაც საშუალოდ უნდა დაიკარგოს ნედლი მასალის დამუშავების დროს. მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის ხარჯების შემცირება ადიდებს pro tanto [შესაბამისად] მოგების ნორმას ცვალებადი კაპიტალის მოცემული სიდიდისა და ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის არსებობისას.

რაკი ზედმეტი ღირებულება მოცემულია, მოგების ნორმის გადიდება შეიძლება მხოლოდ საქონლის საწარმოებლად საჭირო მუდმივი კაპიტალის ღირებულების შემცირების გზით. რამდენადაც მუდმივი კაპიტალი საქონელთა წარმოებაში შედის, ამდენად მნიშვნელობა ეძლევა არა მის საცვლელ ღირებულებას, არამედ მხოლოდ მის სახმარ ღირებულებას. თუ რამდენი შრომა შეუძლია სელს შეიწოვოს სართავ ფაბრიკაში, ეს დამოკიდებულია არა მის ღირებულებაზე, არამედ მის რაოდენობაზე, თუ მოცემულია შრომის ნაყოფიერების დონე, ე. ი. ტექნიკური განვითარების დონე. ასევე ის დახმარება, რომელსაც მანქანა უწევს, მაგალითად, სამ მუშას, დამოკიდებულია არა მის ღირებულებაზე, არამედ მის, როგორც მანქანის, სახმარ ღირებულებაზე. ტექნიკური განვითარების ერთ საფეხურზე შეიძლება ცუდი მანქანა ძვირი იყოს, მეორე საფეხურზე — კარგი მანქანა იაფი იყოს.

გადიდებული მოგება, რასაც კაპიტალისტი იმით ღებულობს, რომ, მაგალითად, ბამბა ან სართავი მანქანები უფრო გაიაფდა, შედეგია შრომის გადიდებული ნაყოფიერებისა, მართალია, არა სართავ წარმოებაში, არამედ — მანქანებისა და ბამბის წარმოებაში. შრომის მოცემული რაოდენობის გასასაგნობრივებლად, მაშასადამე, ზედმეტი შრომის მოცემული რაოდენობის მისათვისებლად, ახლა უფრო ნაკლები ხარჯების გაწევა არის საჭირო შრომის პირობებზე. მცირდება ხარჯები, რომლებიც საჭიროა ამ განსაზღვრული რაოდენობის ზედმეტი ღირებულების მისათვისებლად.

ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმ დანაზოგის შესახებ, რომელიც წარმოების პროცესში იქიდან წარმოდგება, რომ წარმოების საშუალებანი ერთად გამოიყენება ერთობლივი მუშის—საზოგადოებრივად კომბინირებული მუშის — მიერ. ზემდგომ დანაზოგს მუდმივი კაპიტალის ხარჯვაში, დანაზოგს, რომელიც მიმოქცევის დროის შემოკლებიდან წარმოდგება (სადაც მიმოსვლის საშუალებათა განვითარება არსებით მატერიალურ მომენტს წარმოადგენს), ქვემოთ განვიხილავთ. მაგრამ უკვე აქ უნდა მოვიხსენიოთ ის ეკონომია, რომელიც მანქანათა განუწყვეტელი გაუმჯობესებით მიიღება, სახელდობრ: 1) მათი მასალის

გაუმჯობესებით, მაგალითად, რკინის ხმარება ხის ნაცვლად; 2) მანქანების გაიაფებით საერთოდ მანქანების წარმოების გაუმჯობესების გზით; ამასთან, თუმცა მუდმივი კაპიტალის ძირითადი ნაწილის ღირებულება შრომის ფართო მასშტაბით განვითარებასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება, მაგრამ იგი სრულიადაც არ იზრდება იმავე ოდენობით[12]; 3) სპეციალური გაუმჯობესებით, რომელნიც უკვე არსებულ მანქანებს უფრო იაფად და ეფექტიანად მუშაობის შესაძლებლობას აძლევენ, მაგალითად, ორთქლის ქვაბის გაუმჯობესება და სხვ., რის შესახებაც ზოგიერთ დეტალებს ქვევით მოვიხსენიებთ; 4) ნარჩენის შემცირებით, რასაც მანქანების გაუმჯობესება იწვევს.

ყველაფერი, რაც მანქანებისა და საერთოდ ძირითადი კაპიტალის გაცვეთას ამცირებს წარმოების მოცემული პერიოდის განმავლობაში, არა მარტო ცალკეულ საქონელს აიაფებს იმის გამო, რომ ყოველი ცალკეული საქონელი თავის ფასში კვლავ აღადგენს გაცვეთის იმ ნაწილს, რომელიც მასზე მოდის, არამედ ამავე დროს ამცირებს კაპიტალის სათანადო ხარჯვას ამ პერიოდისათვის. შეკეთებისა და სხვა მსგავსი სამუშაო, რამდენადაც იგი აუცილებელია, მანქანებზე გაწეულ თავდაპირველ ხარჯებს მიეთვლება. ამ სამუშაოს შემცირება, მანქანების უფრო დიდი გამძლეობის გამო, ამცირებს pro tanto (შესაბამისად) ამ უკანასკნელთა ფასს.

ყოველ ამგვარ ეკონომიას მეტწილად ის ახასიათებს, რომ იგი შესაძლებელია მხოლოდ კომბინირებული მუშის არსებობის დროს და მისი განხორციელება ხშირად მხოლოდ ისეთი სამუშაოების დროს შეიძლება, რომლებიც უფრო ფართო მასშტაბითაა ორგანიზებული: მაშასადამე, იგი მოითხოვს მუშათა კიდევ უფრო დიდ კომბინირებას უშუალოდ წარმოების პროცესში.

მაგრამ, მეორე მხრივ, შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება წარმოების ე რ თ დარგში,—მაგალითად, რკინის, ნახშირის, მანქანების წარმოებაში, სამშენებლო საქმეში და სხვ. — განვითარება, რომელიც თავის მხრივ შეიძლება ნაწილობრივ დამოკიდებული იყოს წარმატებებზე ინტელექტუალური წარმოების სფეროში, განსაკუთრებით ბუნებისმეცნიერებისა და მისი გამოყენების სფეროში, — გვევლინება აქ ღირებულების და, მაშასადამე, წარმოების საშუალებათა ხარჯების შემცირების პირობად მრეწველობის ს ხ ვ ა დარგებში, მაგალითად, საფეიქრო მრეწველობაში ან მიწათმოქმედებაში. ეს თავისთავად გასა-

[12] იხ. იურის შეხედულებანი ფაბრიკების შენების საქმეში არსებული პროგრესის შესახებ.

გებია, იმიტომ რომ საქონელი, რომელიც მრეწველობის ერთი დარგიდან გამოდის როგორც პროდუქტი, მრეწველობის მეორე დარგში ხელახლა შედის როგორც წარმოების საშუალება. მისი ნეტი ან ნაკლები სიიაფე დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერებაზე წარმოების იმ დარგში, საიდანაც იგი გამოდის როგორც პროდუქტი. ამავე დროს ის წარმოადგენს არა მარტო იმ საქონელთა გაიაფების პირობას, რომელთა წარმოებაში იგი წარმოების საშუალების სახით შედის, არამედ იმ მუდმივი კაპიტალის გაიაფებისთვისაც, რომლის ელემენტად იგი აქ იქცევა, და, მაშასადამე, წარმოადგენს მოგების ნორმის გადიდების პირობას.

დამახასიათებელი თავისებურება მუდმივი კაპიტალის ამგვარი ეკონომიისა, რომელიც მრეწველობის პროგრესული განვითარებიდან გამომდინარეობს, იმაში მდგომარეობს, რომ აქ მოგების ნორმის გადიდებას მრეწველობის ე რ თ დარგში იწვევს შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება მ ე ო რ ე დარგში. რასაც აქ კაპიტალისტი იგებს, ეს არის კვლავ მოგება, რომელიც საზოგადოებრივი შრომის პროდუქტია, თუმცა არა იმ მუშის პროდუქტი, რომლის ექსპლოატაციასაც თვით კაპიტალისტი უშუალოდ ეწევა. მწარმოებლური ძალის აღნიშნული განვითარება საბოლოო ანგარიშით ყოველთვის მოასწავებს ამოქმედებული შრომის საზოგადოებრივ ხასიათს. შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით, ინტელექტუალური შრომის განვითარებას, განსაკუთრებით ბუნებისმეცნიერების განვითარებას. კაპიტალისტი აქ სარგებლობს იმ ხელსაყრელი უპირატესობით, რაც თან ახლავს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მთელ სისტემას. შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება მოცემული სამრეწველო დარგის გარეშე მდებარე ქვედანაყოფში, რომელიც კაპიტალისტს წარმოების საშუალებებს აწვდის, — აი, რა იწვევს აქ კაპიტალისტის მიერ გამოყენებული მუდმივი კაპიტალის შეფარდებითს შემცირებას და, მაშასადამე, მოგების ნორმის გადიდებას.

მოგების ნორმის გადიდება წარმოდგება კიდევ სხვა გზით: არა იმ შრომის ეკონომიის გამო, რომელიც მუდმივ კაპიტალს აწარმოებს, არამედ იმ ეკონომიის გამო, რომელსაც ადგილი აქვს თვით მუდმივი კაპიტალის გამოყენებაში. ბუშების კონცენტრაციისა და დიდი მასშტაბით მათი კოოპერაციის მეშვეობით იზოგება, სხვათა შორის, მუდმივი კაპიტალი. ერთი და იგივე შენობები, გათბობისა და განათების მოწყობილობა და სხვ. დიდი მასშტაბით წარმოებისას შედარებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე პატარა მასშტაბით წარმოებისას. იგივე უნდა ითქვას მამოძრავებელი და სამუშაო მანქანების შესახებ. მათი ღირე-

ბულება, თუმცა აბსოლუტურად მატულობს, შეფარდებით კლებულობს, წარმოების მზარდ გაფართოებასა და ცვალებადი კაპიტალის სიდიდესთან ანუ მოძრაობაში მოყვანილ სამუშაო ძალის მასასთან შედარებით. ის ეკონომია, რასაც გარკვეული კაპიტალი აღწევს წარმოების საკუთარ დარგში, მდგომარეობს უწინარეს ყოვლისა და უშუალოდ შრომის ეკონომიაში, ე. ი მისი საკუთარი მუშების გადახდილი შრომის შემცირებაში; ზემოაღნიშნული ეკონომია კი. პირიქით, იმაში მდგომარეობს, რომ განხორციელებულ იქნეს ამ სხვისი გადაუხდელი შრომის რაც შეიძლება მეტი მითვისება რაც შეიძლება ეკონომიური წესით, ე. ი. წარმოების მოცემული მასშტაბის პირობებში რაც შეიძლება ნაკლები ხარჯებით. რამდენადაც ეს ეკონომია დამყარებულია არა მუდმივი კაპიტალის წარმოებაში გამოყენებული საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების უკვე ხსენებულ ექსპლოატაციაზე, არამედ — ეკონომიაზე თვით მუდმივი კაპიტალის გამოყენებაში, — იგი წარმოიშვება ან უშუალოდ კოოპერაციიდან და შრომის საზოგადოებრივი ფორმიდან თვით განსაზღვრული წარმოების დარგის შიგნით, ანდა მანქანებისა და სხვ. ისეთი მასშტაბით წარმოებიდან, როდესაც მათი ღირებულება იმ ოდენობით არ მატულობს, რა ოდენობითაც მატულობს მათი სახმარი ღირებულება.

აქ ორ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. *c* ღირებულება *O*-ს რომ უდრიდეს, $p' = m'$ იქნებოდა, და ზოგების ნორმა თავის მაქსიმუმს მიაღწევდა. მაგრამ, მეორე: თვით შრომის უშუალო ექსპლოატაციისათვის სრულიად უმნიშვნელოა გამოყენებულ საექსპლოატაციო საშუალებათა ღირებულება, — ძირითადი კაპიტალის ღირებულება იქნება ეს თუ ნედლეულის და დამხმარე მასალებისა. რამდენადაც ისინი წარმოადგენენ შრომის შემწოველ საშუალებებს, რომლებშიც ან რომელთა შემწეობით შრომა და, მაშასადამე, ზედმეტი შრომაც, საგნობრივდება, — მანქანების, შენობებისა, ნედლი მასალებისა და სხვ. საცვლელ ღირებულების სრულიად არა აქვს მნიშვნელობა. ერთადერთი, რასაც აქ მნიშვნელობა აქვს, — ეს არის, ერთი მხრივ, მათი მასა, რომელიც ტექნიკურად საჭიროა ცოცხალი შრომის განსაზღვრულ რაოდენობასთან დასაკავშირებლად, მეორე მხრივ კი მათი მიზანშეწონილობა, ე. ი. არა მარტო კარგი ხარისხის მანქანები, არამედ კარგი ხარისხის ნედლეული და დამხმარე მასალაც. ნედლეულის ხარისხზეა ნაწილობრივ დამოკიდებული ზოგების ნორმა. კარგი მასალა ნაკლებ ნარჩენს ტოვებს; მაშასადამე, ნედლეულის ნაკლები მასაა საჭირო შრომის იმავე რაოდენობის შესაწოვად. შემდეგ, ნაკლებია ის წინაალმ-

დეგობა, რასაც სამუშაო მანქანა ხვდება. ეს ნაწილობრივ გავლენას ახდენს ზედმეტ ღირებულებაზე და ზედმეტი ღირებულების ნორმაზეც კი. ცუდი ნედლეულის გამოყენებისას მუშას მეტი დრო სჭირდება იმავე რაოდენობის გადასამუშავებლად; ხელფასის უცვლელობისას ეს იწვევს ზედმეტი შრომის დაკლებას. ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, შემდეგ, კაპიტალის კვლავწარმოებაზე და დაგროვებაზე, რაც, როგორც ეს ნაჩვენებია I წიგნში, გვ. 568 [კ. მარქსი: «კაპიტალი» ტ. I. გამოც. 1954 წ.. გვ. 761 — 762], კიდევ უფრო დამოკიდებულია გამოყენებული შრომის ნაყოფიერებაზე, ვიდრე მის მასაზე.

აქედან გასაგებია კაპიტალისტების ფანატიკური მისწრაფება წარმოების საშუალებათა ეკონომიისადმი. ამოცანა ის არის, რომ არაფერი იკარგებოდეს ან იფლანგებოდეს, რომ წარმოების საშუალებანი მხოლოდ იმდენი იხარჯებოდეს, რამდენსაც თვით წარმოება მოითხოვს; ამის მიღწევა კი დამოკიდებულია ნაწილობრივ მუშების გაწვრთნასა და სწავლებაზე, ნაწილობრივაც იმ დისციპლინაზე, რომელსაც კაპიტალისტი უმორჩილებს კომბინირებულ მუშებს და რომელიც ზედმეტი გახდება ისეთ საზოგადოებრივ წყობილებაში, სადაც მუშები თავისსაკუთარ ხარჯზე იმუშავებენ, როგორც იგი უკვე ახლაც ცალობრივი ხელფასის პირობებში თითქმის სავალებით ზედმეტი ხდება. ეს ფანატიზმი ვლინდება, მეორე მხრივ, წარმოების ელემენტების ფალსიფიკაციაშიც, რაც მთავარ საშუალებას წარმოადგენს იმისათვის, რომ ცვალებად კაპიტალთან შედარებით მუდმივი კაპიტალის ღირებულება შემცირდეს და ამ გზით მოგების ნორმა გადიდდეს; ამას კიდევ ერთვის, როგორც მოტყუების მნიშვნელოვანი ელემენტი, წარმოების ამ ელემენტების გაყიდვა მათ ღირებულებაზე მეტად, რამდენადაც ეს ღირებულება ხელახლა გვევლინება პროდუქტში. ეს მომენტი გადამწყვეტ როლს ასრულებს განსაკუთრებით გერმანიის ვრეწველობაში, რომლის პრინციპიც ასეთია: თუ გინდა ადამიანებს ასიამოვნო, ჯერ კარგი ნიმუშები და შემდეგ ცუდი საქონელი გაუგზავნე. მაგრამ ამ მოვლენებთან, რომელნიც კონკურენციის სფეროს ეკუთვნიან, ჩვენ აქ საქმე არა გვაქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ღირებულების შემცირებით, მაშასადამე, მუდმივი კაპიტალის სიძვირის შემცირებით გამოწვეული მოგების ნორმის ეს გადიდება სრულიად არაა დამოკიდებული იმაზე, თუ რას აწარმოებს მრეწველობის ის დარგი, სადაც მას ადგილი აქვს, — ფუფუნების საგნებს, მუშათა მოხმარებაში შემავალ საარსებო საშუალებებს, თუ წარმოების საშუალებებს საერთოდ. უკანასკნელ გარე-

მოებას შეუძლია მნიშვნელობა ჰქონდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ზედმეტი ღირებულების ნორმას, რომელიც არსებითად სამუშაო ძალის ღირებულებაზე, ე. ი. მუშების ჩვეულებრივ საარსებო საშუალებათა ღირებულებაზეა დამოკიდებული. აქ კი, პირიქით, ზედმეტი ღირებულება და ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულად იგულისხმება. თუ როგორ შეეფარდება ზედმეტი ღირებულება მთელ კაპიტალს — სწორედ ეს განსაზღვრავს მოგების ნორმას, — ეს ამ პირობებში დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მუდმივი კაპიტალის ღირებულებაზე და სრულიადაც არა იმ ელემენტების სახმარ ღირებულებაზე, რომლებისგანაც ეს კაპიტალი შედგება.

წარმოების საშუალებათა შეფარდებითი გაიაფება, რასაკვირველია, არ გამორიცხავს იმას, რომ მათი ღირებულების აბსოლუტური ჯამი იზრდება, რადგან მათი გამოყენების აბსოლუტური მოცულობა არაჩვეულებრივად იზრდება შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებასა და მისი თანმყოლი წარმოების მასშტაბის ზრდასთან ერთად. ეკონომია მუდმივი კაპიტალის გამოყენებაში, რა მხრიდანაც უნდა განვიხილოთ იგი, ნაწილობრივ მხოლოდ იმის შედეგია, რომ წარმოების საშუალებანი მოქმედებენ და მოიხმარებიან როგორც კომბინირებული მუშის საერთო წარმოების საშუალებანი, ასე რომ თვით ეს ეკონომია გვევლინება უშუალოდ მწარმოებლური შრომის საზოგადოებრივი ხასიათის პროდუქტად; ნაწილობრივ კიდევ იგი შედეგია შრომის ნაყოფიერების განვითარებისა იმ სფეროებში, რომელნიც კაპიტალს მის წარმოების საშუალებებს აწვდიან; ასე რომ, თუ ჩვენ ერთობლივ შრომას ერთობლივ კაპიტალთან დაპირისპირებით განვიხილავთ და არა მარტო X კაპიტალისტის მიერ გამოყენებულ მუშებს ამ X კაპიტალისტთან დაპირისპირებით, აღმოჩნდება, რომ ეს ეკონომია კვლავ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურ ძალთა განვითარების პროდუქტს წარმოადგენს, და განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ X კაპიტალისტი სარგებლობას იღებს არა მარტო იმ შრომის ნაყოფიერებიდან, რომელიც მის საკუთარ სახელოსნოში სრულდება, არამედ სხვის სახელოსნოებში შესრულებულიდანაც. მაგრამ მაინც კაპიტალისტს მუდმივი კაპიტალის ეკონომია ეჩვენება ისეთ პირობად, რომელიც მუშისთვის სრულიად უცხოა და მას აბსოლუტურად არ შეეხება, პირობად, რომელთანაც მუშას არავითარი საქმე არა აქვს; მაშინ როდესაც კაპიტალისტისთვის ყოველთვის ცხადზე უცხადესია, რომ მუშისთვის სრულიადაც არაა სულ ერთი, ბევრ შრომას ყიდულობს კაპიტალისტი ერთი და იმავე ფულით თუ ცოტას (ვინაიდან მის ცნობიერებაში ასეთ სახეს იღებს

გარიგება კაპიტალისტსა და მუშას შორის). ეს ეკონომია წარმოების საშუალებათა გამოყენებაში, უმცირესი დანახარჯის განსაზღვრული შედეგის მიღწევის ეს მეთოდი ბევრად უფრო მეტად წარმოგვიდგება კაპიტალის თანდაყოლილ ძალად და კაპიტალისტური წარმოების წესის იმანენტურ და დამახასიათებელ მეთოდად, ვიდრე შრომაში არსებული სხვა ძალები.

წარმოდგენის ეს წესი მით უფრო ნაკლებ გვეუცხოება, რომ მას შეესაბამება ფაქტების გარეგნული მოჩვენებითობა და რომ კაპიტალისტური ურთიერთობა სინამდვილეში შინაგან კავშირს იმით მალავს, რომ მუშას აყენებს ისეთ მდგომარეობაში, სადაც მისთვის მისივე საკუთარი შრომის განხორციელების პირობები სრულიად ინდიფერენტული, გარეგნული და უცხოა.

პ ი რ ვ ე ლ ი: წარმოების საშუალებანი, რომლებისგანაც მუდმივი კაპიტალი შედგება, წარმოადგენენ მხოლოდ კაპიტალისტის ფულს (მსგავსად იმისა, როგორც, ლენგეს თქმით, რომაელი მოვალის სხეული მისი მეკვალის ფულს წარმოადგენდა) და ისინი გარკვეულ ურთიერთობაში მხოლოდ მაშინ არიან მუშასთან, როდესაც ამ უკანასკნელის— რამდენადაც ის წარმოების ნამდვილ პროცესში წარმოების საშუალებებთან კონტაქტში შედის — საქმე აქვს მათთან მხოლოდ როგორც წარმოების სახმარ ღირებულებასთან, როგორც შრომის საშუალებასთან და შრომის მასალასთან. ამიტომ ამ ღირებულების შემცირება ან გადიდება ისევე ნაკლებ შეეხება მუშის ურთიერთობას კაპიტალისტთან, როგორც მაგალითად, ის გარემოება, სპილენძზე მუშაობს იგი თუ რკინაზე. რა თქმა უნდა, როგორც ჩვენ ამას შემდგომ ცხადვყოფთ, კაპიტალისტი ამჯობინებს, რომ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს წარმოების საშუალებათა ღირებულების გადიდებას და ამის გამო მოგების ნორმის შემცირებას, საქმე სხვაგვარად განიხილოს.

მ ე ო რ ე: რამდენადაც წარმოების საშუალებანი კაპიტალისტურ წარმოების პროცესში იმავე დროს შრომის ექსპლოატაციის საშუალებებს წარმოადგენენ, ექსპლოატაციის ამ საშუალებათა შედარებით სიიაფეს თუ სიძვირეს მუშისთვის ისევე არა აქვს მნიშვნელობა, როგორც ცხენისათვის არა აქვს მნიშვნელობა ძვირი ალვირ-ლაგამით ხედნიან მას. თუ — იაფით.

დ ა ს ა ბ ო ლ, როგორც ჩვენ წინათ დავინახეთ, თავისი შრომის საზოგადოებრივ ხასიათის, ამ შრომის სხვების შრომასთან კომბინაციის საერთო მიზნისათვის, მუშა სინამდვილეში ისე ეპყრობა, როგორც მისთვის ერთგვარ უცხო ძალას; ამ კომბინაციის განხორციელების პირო-

ბაა საკუთრება, მუშისთვის უცხო საკუთრება, რომლის განიავება მისთვის საკვებით სულ ერთი იქნებოდა, მას რომ არ აიძულებდნენ ამ საკუთრების ეკონომია გასწიოს. სულ სხვაგვარადაა საქმე იმ ფაბრიკებში, რომლებიც თვით მუშებს ეკუთვნის, მაგალითად, როჩდელში.

ამრიგად, იქნებ არაა საჭირო იმის მოხსენიება, რომ, ერთი დარგის შრომის ნაყოფიერება ვლინდება მეორე დარგში როგორც წარმოების საშუალებათა გაიაფება და გაუმჯობესება და ამით მოგების ნორმის გადიდებას ემსახურება,—საზოგადოებრივი შრომის ეს საყოველთაო ურთიერთკავშირი წარმოგვიდგება როგორც მუშებისათვის სრულიად უცხო რამ, რაც ფაქტიურად მხოლოდ კაპიტალისტს შეეხება, რამდენადაც მარტო ეს უკანასკნელი ყიდულობს და ისაკუთრებს წარმოების ამ საშუალებებს. ის ფაქტი, რომ იგი წარმოების უცხო დარგის მუშების პროდუქტს წარმოების საკუთარი დარგის მუშების პროდუქტით ყიდულობს და, მაშასადამე, უცხო მუშების პროდუქტის განმკარგულებელი მხოლოდ იმდენადაა, რამდენადაც იგი თავისი საკუთარი მუშების პროდუქტს უსასყიდლოდ ითვისებს, — ეს ფაქტი წარმოადგენს კავშირს, რომელიც მიმოქცევის პროცესით და სხვ. მარჯვედ არის შენიღბული.

ამას ერთვის კიდევ შემდეგი გარემოება. რადგან წარმოება დიდი მასშტაბით პირველად კაპიტალისტური ფორმით ვითარდება, ამიტომ მოგების დაუცხრომელი წყურვილი, ერთი მხრივ, და კონკურენცია, მეორე მხრივ, რომელიც იძულებით იწვევს იმას, რომ საქონელი რაც შეიძლება იაფად აწარმოონ, ამ ეკონომიას მუდმივი კაპიტალის გამოყენებაში ისეთ სახეს აძლევს, თითქოს იგი კაპიტალისტური წარმოების წესის სპეციფიკურ თავისებურებას და, მაშასადამე, კაპიტალისტის ფუნქციას შეადგენდეს.

კაპიტალისტური წარმოების წესი, ერთი მხრივ, იწვევს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურ ძალთა განვითარებას, ხოლო, მეორეს მხრივ, მუდმივი კაპიტალის გამოყენების ეკონომიას.

მაგრამ საქმე არ ამოიწურება ამ უცხო და ინდიფერენტული დამოკიდებულებით, რომელიც მყარდება ცოცხალი შრომის მატარებელ მუშასა და მისი შრომის პირობების ეკონომიურ, ე. ი. რაციონალურ და დაზოგვით გამოყენებას შორის. თავისი წინააღმდეგური, ანტაგონისტური ბუნების მიხედვით, კაპიტალისტური წარმოების წესი უფრო შორს მიდის და იწვევს იმას, რომ მუშის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფლანგვა, მისი არსებობის პირობების გაუარესება თვითონ

მიეთვლება ეკონომიას მუდმივი კაპიტალის გამოყენებაში და, მაშასადამე, მიეთვლება მოგების ნორმის გადიდების საშუალებებს.

რადგან მუშა თავისი სიცოცხლის უდიდეს ნაწილს წარმოების პროცესში ატარებს, ამიტომ წარმოების პროცესის პირობები მეტწილად მისი აქტიური სასიცოცხლო პროცესის პირობებია, მისი ცხოვრების პირობებია, და ცხოვრებისა ამ პირობების ეკონომია ერთ-ერთი მეთოდია მოგების ნორმის გასადიდებლად; სწორედ ისე, როგორც,— რაც ჩვენ უკვე წინათ დავინახეთ, — უზომო შრომა, მუშის გადაქცევა მუშა პირუტყვად ერთ-ერთი მეთოდია კაპიტალის ღირებულების თვითზრდის, ზედმეტი ღირებულების წარმოების დასაჩქარებლად. ეს ეკონომია იწვევს ვიწრო, ჯანმრთელობისათვის მავნე სადგომების ზედმეტად გავსებას მუშებით, რასაც კაპიტალისტურ ენაზე შენობებზე მომჭირნეობის გაწევა ეწოდება; იგი იწვევს, შემდეგ, ერთსა და იმავე სადგომებში სახიფათო მანქანების თავმოყრას და ხიფათისგან დამცველ საშუალებათა უქონლობას, იმას, რომ არ ატარებენ საფრთხის თავიდან ასაცილებელ ღონისძიებებს იმ საწარმოო პროცესებში, რომლებიც მათი ბუნებით ჯანმრთელობისთვის მავნებელნი ანდა, სახიფათონი არიან, როგორც, მაგალითად, მაღაროები და სხვ. აღარაფერს ვამბობთ ყველა იმ მოწყობილობის უქონლობაზე, რომელთა დანიშნულება ის იქნებოდა, რომ ადამიანური, სასიამოვნო ან ასატანი მაინც გაეხადათ მუშისთვის წარმოების პროცესი. კაპიტალისტური თვალსაზრისით ეს სრულიად უმიზნო და უაზრო მფლანგველობა იქნებოდა. კაპიტალისტური წარმოება საერთოდ, მთელი მისი სიძუნწის მიუხედავად, უეჭველად მფლანგველურია ადამიანის მასალისადმი მოპყრობაში; სწორედ აევე, მეორე მხრივ, ვაჭრობის საშუალებით თავის პროდუქტთა განაწილების მეთოდისა და მისთვის დამახასიათებელი კონკურენციის წესის გამო, იგი მეტად მფლანგველურია მატერიალური საშუალებების ხარჯვაში და ერთგან საზოგადოება კარგავს იმას, რასაც სხვაგან ცალკეული კაპიტალისტი მოიგებს.

როგორც კაპიტალს აქვს იმის ტენდენცია, რომ ცოცხალი შრომის გამოყენებისას ეს შრომა აუცილებელ შრომაზე დაიყვანოს და პროდუქტის დასამზადებლად აუცილებელი შრომა მუდამ შეამოკლოს შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების ექსპლოატაციის გზით, მაშასადამე, უშუალოდ გამოყენებული ცოცხალი შრომის რაც კი შეიძლება ეკონომია გასწიოს, ისევე მას აქვს ტენდენცია, მის აუცილებელ ოდენობამდე დაყვანილი ეს შრომა უაღრესი ეკონომიის პირობებში გამოიყენოს, ე. ი. გამოყენებული მუდმივი კაპიტალის

ღირებულება მის შესაძლებელ მინიმუმზე დაიყვანოს. თუ საქონელთა ღირებულება მათში მოქცეული აუცილებელი სამუშაო დროით განისაზღვრება და არა საერთოდ მათში მოქცეული სამუშაო დროით, მაშინ ამ განსაზღვრის რეალიზაციას ახდენს მხოლოდ კაპიტალი, რომელიც იმავე დროს განუწყვეტლივ ამოკლებს ამა თუ იმ საქონლის წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელ სამუშაო დროს. ამრიგად, საქონლის ფასი, მინიმუმზე დაიყვანება იმის გამო, რომ მინიმუმზე დაიყვანება მის საწარმოებლად საჭირო შრომის თვითეული ნაწილი.

მუდმივი კაპიტალის გამოყენებაში ეკონომიის განხილვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი განსხვავება. თუ გამოყენებული კაპიტალის მასა და მასთან ერთად მისი ღირებულების ჯამი იზრდება, ეს უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ მეტი კაპიტალის კონცენტრაცია ხდება ერთ ხელში. მაგრამ სწორედ ეს უფრო დიდი, ერთი მფლობელის მიერ გამოყენებული კაპიტალის მასა, — რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში შეესაბამება გამოყენებული შრომის აბსოლუტურად უფრო დიდი, მაგრამ შეფარდებით ნაკლები რაოდენობა, — იძლევა მუდმივი კაპიტალის ეკონომიის შესაძლებლობას. თუ ცალკეულ კაპიტალისტს ავიღებთ, მისთვის კაპიტალის აუცილებელი დანახარჯის სიდიდე მატულობს, განსაკუთრებით — ძირითადი კაპიტალის; მაგრამ გადამუშავებული მასალის მასისა და ექსპლოატირებული შრომის მიმართ ამ დანახარჯის ღირებულება შეფარდებით კლებულობს.

ამას ჩვენ მოკლედ ნათელყოფთ ცალკეული მაგალითებით. ჩვენ დავიწყებთ ბოლოდან, — წარმოების პირობების ეკონომიიდან, რამდენადაც ეს პირობები იმავე დროს მუშის არსებობისა და სიცოცხლის პირობებს გამოხატავენ.

II. შრომის პირობების დაზოგვა მუშების ხარჯზე.

ქვანახშირის მაღაროები. უსაჭიროესი ხარჯების უგულვებელყოფა.

«იმ კონკურენციის პირობებში, რომელიც ქვანახშირის მაღაროს მფლობელებს შორისაა გამეფებული... იმაზე მეტ ხარჯებს არ ეწევიან, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ უაღრესად ცხადი ფიზიკური სიძნელეები იქნეს დაძლეული; როცა კი კონკურენცია არსებობს მაღაროს მუშებს შორის, რომელთა რიცხვი ჩვეულებრივ ჭარბია, ეს მუშები სიამოვნებით დგებიან მნიშვნელოვანი ხიფათისა და უაღრესად მავნე გავლენის ქვეშ ისეთი ხელფასისათვის, რომელიც ცოტათია

მეტი მეზობელი სოფლის დღიური მუშების ხელფასზე, რადგან მაღაროებში მუშაობა, გარდა ამისა, მათ შესაძლებლობას აძლევს თავიანთი ბავშვები სარფიანად გამოიყენონ. ეს ორმაგი კონკურენცია სრულიად საკმარისია იმისათვის... რომ მეტწილ მაღაროებში მუშაობა წარმოებდეს სრულიად არადამაკმაყოფილებელი გაშრობისა და ვენტილაციის პირობებში, ხშირად ცუდად მოწყობილ შახტებში, სადაც ცუდი სამაგრები, მოუმზადებელი მემანქანეები, უხეიროდ გამოშენებული წოლხვრელები და უხეიროდ გაყვანილი გამოსაზიდი გზებია. ეს კი იწვევს იმდენ მუშათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის განადგურებას, დასახიჩრებას, რომ მათი სტატისტიკა საშინელ სურათს დაგვიხატავდა» («First Report on Children's Employment in Mines and Collieries etc». 1829 წ., 21 აპრილი, გვ. 102) ინგლისის ქვანახშირის მაღაროებში დაახლოებით 1860 წელს ყოველკვირეულად საშუალოდ 15 კაცი იღუპებოდა. Coal Mines Accidents-ის [უბედური შემთხვევების შესახებ ნახშირის მრეწველობაში] ანგარიშის (1862 წ. 6 თებერვ.) ცნობების თანახმად, 10 წლის განმავლობაში, 1852-დან 1861 წლამდე, სულ 8466 ადამიანი დაიღუპა. მაგრამ ეს რიცხვი ნამდვილზე ბევრად ნაკლებია, როგორც ამას თვით ანგარიშიც აღნიშნავს, ვინაიდან პირველ წლებში, როდესაც ფაბრიკის ინსპექტორები ახლად დანიშნული იყვნენ და მათი სამეთვალყურეო ოლქები მეტად დიდი იყო, მრავალი უბედური და სიკვდილის შემთხვევის შესახებ განცხადებების წარდგენა სრულიად არ ხდებოდა. კაპიტალისტური ექსპლოატაციის ბუნებრივ ტენდენციას ყველაზე უკეთ სწორედ ის გარემოება ამჟღავნებს, რომ, ფაბრიკის ინსპექტორების არასაკმაო რიცხვისა და მცირე უფლების მიუხედავად, უბედურ შემთხვევათა რიცხვმა ძალიან იკლო ინსპექციის დაარსების მომენტიდან, თუმცა ჯერ კიდევ ახლაც მუშები ძალიან დიდი რაოდენობით იხოცებიან. ადამიანთა ეს მსხვერპლი მეტწილად შედეგია მაღაროს მფლობელთა საზიზღარი სიძუნწისა, რომელნიც, მაგალითად, ხშირად მხოლოდ ერთ შახტს აკეთებინებდნენ, ასე რომ შეუძლებელი იყო არათუ ნამდვილი ვენტილაცია მაღაროში, არამედ იქიდან ზემოთ ამოსვლაც, როგორც კი ის ერთადერთი გზა ჩაიკეტებოდა.

კაპიტალისტური წარმოება, თუ ჩვენ მას განცალკევებულად განვიხილავთ და მიმოქცევის პროცესსა და კონკურენციით გამოწვეულ განადგურებას მხედველობაში არ მივიღებთ, მეტისმეტად ზოგავს განხორციელებულ, საქონელში გასაგნობრივებულ შრომას. პირიქით, იგი წარმოების სხვა რომელიმე წესზე გაცილებით მეტად ფლანგავ-

ადამიანებს, ცოცხალ შრომას, ფლანგავს არა მარტო მათ სხეულსა და სისხლს, არამედ ნერვებს და ტვინსაც. და მართლაც, ამ ისტორიულ ეპოქაში, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის ადამიანთა საზოგადოების შეგნებულ გარდაქმნას, მხოლოდ ინდივიდუალურ ძალთა კოლოსალური გაფლანგვა უზრუნველყოფს და ახორციელებს საერთოდ კაცობრიობის განვითარებას. რადგან მთელი ის ეკონომია, რომელზედაც აქ ლაპარაკია, უშუალოდ შრომის საზოგადოებრივი ხასიათიდან გამომდინარეობს, ამიტომ ნამდვილად სწორედ შრომის ეს უშუალოდ საზოგადოებრივი ხასიათი წარმოშობს მუშის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფლანგვას. ამ მხრივ დამახასიათებელია ის საკითხი, რომელიც უკვე ფაბრიკის ინსპექტორმა რ. ბეკერმა დააყენა: «მთელი საკითხი, რომელიც სერიოზულ მოფიქრებას საჭიროებს, იმაში მდგომარეობს, თუ როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან ბ ა ვ შ ვ თ ა ს ი ც ო ც ხ ლ ი ს მ ს ხ ვ ე რ პ ლ ა დ შ ე წ ი რ ვ ა, რ ა ს ა ც ი წ ვ ე ვ ს მ ჭ ი დ რ ო გ რ ო ვ ა დ თ ა ვ მ ო ყ რ ი ლ ი შ რ ო მ ა?». («Reports of Insp. of Fact., October 1863», გვ. 157).

ფ ა ბ რ ი კ ე ბ ი. აქ სრულიად უგულვებელყოფილია ყველა ის დამცველი ღონისძიება, რამაც უნდა უზრუნველჰყოს მუშების უშიშროება, შეუფერებლობა და ჯანმრთელობა აგრეთვე ფაბრიკებშიც ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. აქედან მომდინარეობს დიდი ნაწილი ბრძოლის ბიულეტენებისა, რომელნიც სამრეწველო არმიის დაჭრილებსა და დახოცილებს აღრიცხავენ (იხილე ყოველწლიური საფაბრიკო ანგარიშები). ასევე — ადგილის სივიწროვე, ჰაერის ნაკლებობა და სხვ.

ჯერ კიდევ 1855 წლის ოქტომბერში ლეონარდ ჰორნერი უჩივის იმ წინააღმდეგობას, რომელსაც ბევრი მეფაბრიკე უწევს კანონის მოთხოვნას ჰორიზონტალურ ლილვებთან დამცველი მოწყობილობის გამართვის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ხიფათი სულ ახალი და ახალი, ხშირად მომაკვდინებელი უბედური შემთხვევებით დასტურდება, და ეს მოწყობილობა არც ძვირია და არც ხელს შეუშლის საწარმოს რაიმე მხრივ («Reports of Insp. of Fact. Oct. 1855», გვ. 6). ასეთი წინააღმდეგობის გაწევაში კანონის ამ და სხვა დადგენილებათა მიმართ მეფაბრიკეებს მეგობრულად მხარს უჭერდნენ თავიანთი თანამდებობის უსასყიდლოდ ამსრულებელი, მომრიგებელი მოსამართლეები, რომლებიც მეტწილად თვითონ იყვნენ მეფაბრიკეები ანდა მათი მეგობრები და თვითონვე გამოჰქონდათ განაჩენი ასეთი შემთხვევების შესახებ. თუ რანაირი განაჩენები გამოჰქონდათ ამ ვაუბატონებს,

ეს ჩანს უმაღლესი მოსამართლის კემბელის სიტყვებიდან, რომლებიც მან თქვა მასთან გასაჩივრებული ერთ-ერთი ასეთი განაჩენის გამო: «ეს საპარლამენტო აქტის განმარტება კი არა, მისი უბრალო გაუქმებაა» (იქვე, გვ. 11). იმავე ანგარიშში ჰორნერი მოგვითხრობს, რომ ბევრ ფაბრიკაში მანქანებს აამოძრავებენ ხოლმე ისე, რომ ამის შესახებ მუშებს წინასწარ არ ატყობინებენ. და რადგან გაჩერებულ მანქანაზე ყოველთვის არის რამე გასაკეთებელი და ხელი და თითები მას ეხება, ამიტომ ასეთი უბრალო სიგნალის მიუცემლობის გამო განუწყვეტლივ ხდება უბედური შემთხვევები (იქვე, გვ. 44). მეფაბრიკეებმა მაშინ, საფაბრიკო კანონმდებლობისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, მანჩესტერში მეწარმეთა კავშირი დააარსეს, ეგრეთწოდებული «National Association for the Amendment of the Factory Laws» [«ნაციონალური კავშირი საფაბრიკო კანონების გაუმჯობესებისათვის»], რომელმაც 1855 წლის მარტში თვითეულ ცხენძალაზე ორ-ორი შილინგის მოკრების გზით 50 000 გირვ. სტერლინგზე მეტი თანხა შეაგროვა საფაბრიკო ინსპექტორების მიერ აღძრული საჩივრებით წარმომდგარი სასამართლო ხარჯების დასაფარავად და კავშირის ხარჯზე პროცესების საწარმოებლად. ამოცანად დასახული იყო იმის დამტკიცება, რომ «killing no murder [«მოკვლა არ ნიშნავს მკვლელობას»], თუ იგი მოგების გულისთვის ხდება. შოტლანდიის ფაბრიკის ინსპექტორი სერ ჯონ კინკეიდი მოგვითხრობს ერთი ფირმის შესახებ გლაზგოში, რომელმაც ყველა თავის მანქანას, თავის ფაბრიკას დამცველი მოწყობილობა გაუკეთა ძველი რკინისაგან, რაც მას 9 გირვ. სტერლ. და 1 შილინგი დაუჯდა. ეს ფირმა ზემოაღნიშნულ კავშირში რომ შესულიყო, იქ მას თავისი 110 ცხენძალისათვის 11 გირვ. სტერლ. შესატანი უნდა გადაეხადა, ე. ი. იმაზე მეტი, რაც ღირდა მთელი დამცველი მოწყობილობა. მაგრამ National Association 1854 წელს აშკარად იმ მიზნით დაარსდა, რომ წინააღმდეგობა გაეწია კანონისათვის, რომელიც ასეთ დამცველ მოწყობილობათა გამართვას მოითხოვდა. 1844 — 1854 წლების პერიოდის განმავლობაში მეფაბრიკეენი კანონს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. პალმერსტონის მითითებით ფაბრიკის ინსპექტორებმა განუცხადეს მეფაბრიკეებს, კანონი ამიერიდან მტკიცედ უნდა შესრულდესო. მეფაბრიკეებმა მაშინვე დააარსეს თავიანთი ასოციაცია, რომლის ცნობილ წევრებს შორის ბევრი თვითონ იყო მომრიგებელი მოსამართლე და როგორც მოსა-

მართლეებს მათ თვითონვე უნდა გაეტარებინათ კანონი ცხოვრებაში. 1855 წლის აპრილში შინაგან საქმეთა ახალმა მინისტრმა, სერ ჯორჯ გრეიმ, მეფაბრიკეებს კომპრომისული წინადადებით მიმართა, რომლის თანახმად მთავრობა დაპირებას იძლეოდა, რომ დამცველ მოწყობილობათა კანონის თითქმის მარტოოდენ ნომინალური შესრულებით დაკმაყოფილდებოდა; მაგრამ ასოციაციამ ეს წინადადებაც აღშფოთებით უკუაგდო. ცნობილმა ინჟინერმა ტომას ფერბერნმა სხვადასხვა პროცესებში თავისი სახელიც კი არ დაზოგა მით, რომ კაპიტალის ეკონომიისა და შელახული თავისუფლების დამცველ-ექსპერტად გამოვიდა. საფაბრიკო ინსპექციის მეთაურმა ლეონარდ ჰორნერმა ყოველგვარი დევნა და უსიამოვნება განიცადა მეფაბრიკეთა მხრივ.

მეფაბრიკეებმა არ მოისვენეს, ვიდრე განაჩენი არ გამოატანინეს Court of Queens Bench-ს [«სამეფო სკამის სასამართლოს»], რომლის განმარტებით 1844 წლის კანონი არავითარი დამცველ მოწყობილობის გაკეთებას არ მოითხოვდა იმ ჰორიზონტალური ლილვებისათვის, რომლებიც იატაკიდან 7 ფუტზე მაღლა იყო გამართული. ბოლოს, 1856 წელს, მათ ფარისეველი ვილსონ პატენის — ერთ-ერთი იმ ღვთისნიერი ადამიანთაგანის მეშვეობით, რომელთა მოჩვენებითი სარწმუნოება ყოველთვის მზად არის ფულის ტომრის რაინდთა ჭუჭყიანი საქმე შეასრულოს, — მოახერხეს გაეტარებინათ პარლამენტში ისეთი კანონი, რომლითაც მათ ჯერჯერობით შეეძლოთ კმაყოფილი ყოფილიყვნენ. ამ კანონმა ფაქტიურად მუშებს მოუსპო ყოველგვარი სპეციალური დაცვა და მათ უფლება მისცა მანქანებით გამოწვეული უბედური შემთხვევების გამო ზარალის ასანაზღაურებლად ჩვეულებრივი სასამართლოებისთვის მიემართათ (ეს იყო ნამდვილი დაცინვა, თუ მხედველობაში მივიღებთ ინგლისური სასამართლო ხარჯების სიდიდეს); მეორე მხრივ, იმავე კანონმა ჩასატარებელი ექსპერტიზის შესახებ მეტად ხრიკიანი დადგენილებით მეფაბრიკეთათვის თითქმის შეუძლებელი გახადა პროცესის წაგება. შედეგი უბედურ შემთხვევათა სწრაფი ზრდა იყო. 1858 წლის ნახევარწლედისთვის, მაისიდან ოქტომბრამდე, ინსპექტორმა ბეკერმა მარტო წინა ნახევარწლედთან შედარებით უბედურ შემთხვევათა 21%-ით მატება აღნიშნა. მისი აზრით, ყველა უბედური შემთხვევის 36,7%, თავიდან აცილება შეიძლებოდა, მეორე მხრივ, უბედურ შემთხვევათა რიცხვი 1858 და 1859 წლებში, 1845 და 1846 წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა, —

სახელდობრ 29%-ით, მაშინ როდესაც მუშათა რიცხვი საფაბრიკო ინსპექციისადმი დაქვემდებარებულ მრეწველობის დარგებში 20%-ით გაიზარდა. მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? რამდენადაც ეს სადავო საგანი დღემდე (1865 წლამდე) გადაწყვეტილია, იგი გადაწყვეტილ იქნა უმთავრესად ახალი მანქანების შემოღებით, რომელთაც უკვე იმთავითვე აქვთ გაკეთებული დამცველი მოწყობილობა, რასაც მეფაბრიკე ურიგდება, რადგან იგი მისგან არავითარ დამატებით ხარჯებს არ მოითხოვს. გარდა ამისა ცალკეულმა მუშებმა მოახერხეს და თავიანთი დაკარგული ხელებისთვის საგრძნობი ანაზღაურება მიიღეს სასამართლოს გზით, რადგან წარმატებით მიიყვანეს საქმე უმაღლეს ინსტანციამდე («Reports of Insp. of Fact., 30 April 1861», გვ. 31; აგრეთვე April 1862, გვ. 17).

ჩვენ ამით ვთავებთ იმ საშუალებათა ეკონომიის საკითხის განხილვას, რომელნიც უზრუნველჰყოფენ მუშების (მათ შორის მრავალი ბავშვის) სიცოცხლეს ხიფათისაგან და მათ ორგანოებს დასახიჩრებისაგან, რასაც უშუალოდ იწვევს მუშაობა მანქანებთან.

მ უ შ ა ო ბ ა დ ა ხ უ რ უ ლ ს ა დ გ ო მ ე ბ შ ი ს ა ე რ თ ო დ. — ცნობილია, თუ რაოდენ დიდად უწყობს ხელს სივრცეზე და, მაშასადამე, შენობებზე გაწეული ეკონომია ვიწრო სადგომების გაჭედვას მუშებით. ამას ერთვის კიდევ სავენტილაციო მოწყობილობაზე გაწეული ეკონომია. ხანგრძლივ სამუშაო დროსთან დაკავშირებით ორივე ეს მიზეზი წარმოშობს ამსუნთქი ორგანოების დაავადებათა ძლიერ გადიდებას და, მაშასადამე, გაზრდილ სიკვდილიანობას. ქვემომოყვანილი ილუსტრაციები აღებულია ანგარიშიდან Public Health-ის [საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობის] შესახებ, 6 th Report. 1863; ანგარიში შედგენილია ამ ნაშრომის 1 წიგნიდან კარგათ ცნობილი დ-რ ჯონ-საიმონის მიერ.

როგორც მუშების კომბინირება და მათი კოოპერირება წარმოადგენს იმ პირობას, რომელიც შესაძლებელს ხდის მანქანების გამოყენებას დიდი მასშტაბით, წარმოების საშუალებათა კონცენტრაციას და მათს გამოყენებაში ეკონომიას, ასევე ეს ერთად მუშაობა დახურულ სადგომებში და ისეთ პირობებში, როდესაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა არა მუშების ჯანმრთელობა, არამედ — პროდუქტის დამზადების გაადვილება — მუშების ეს მასობრივი კონცენტრაცია ერთსა და იმავე

სახელოსნოში წარმოადგენს, ერთი მხრივ, მზარდი მოგების წყაროს კაპიტალისტისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, თუ იგი არ წონასწორდება სამუშაო დროის შემოკლებით და აგრეთვე ხიფათის თავიდან ასაცილებელი სპეციალური ღონისძიებებით, — წარმოადგენს მუშების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფლანგვის მიზეზს.

დ-რი საიმონი ამყარებს შემდეგ საერთო წესს, რომელსაც მასობრივი სტატისტიკური მონაცემებით ამტკიცებს: «რა ოდენობითაც უხდება ამა თუ იმ ადგილის მოსახლეობას ერთად მუშაობა დახურულ სადგომებში, იმ ოდენობითვე მატულობს, სხვა თანაბარ პირობებში, ფილტვების დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობის ნორმა ამ ოლქში» (გვ. 24). მიზეზი ცუდი ვენტილაციაა. «ალბათ, მთელს ინგლისში არც ერთი გამონაკლისი არ აქვს იმ წესს, რომ ყოველ ოლქში, რომელსაც მნიშვნელოვანი, დახურულ სადგომებში მოწყობილი მრეწველობა აქვს, ამ მრეწველობის მუშების გადიდებული სიკვდილიანობა საკმარისია იმისათვის, რომ ფილტვების დაავადებათა სიჭარბის ფერი მისცეს მთელი ოლქის სიკვდილიანობის სტატისტიკას» (გვ. 24).

სიკვდილიანობის სტატისტიკა მრეწველობის იმ დარგებში სადაც დახურულ სადგომებში წარმოებს მუშაობა და რომელთა გამოკვლევა 1860 და 1861 წლებში სანიტარულმა მმართველობამ მოახდინა, შემდეგ ცნობებს იძლევა: 15 — 55 წლის მამაკაცთა იმავე რიცხვზე, რომელსაც ინგლისის სამიწათმოქმედო ოლქებში ჭლექითა და ფილტვების სხვა დაავადებით გამოწვეული სიკვდილის 100 შემთხვევა უწევს, კოვენტრიში ჭლექით სიკვდილის 163 შემთხვევა მოდის, ბლეკბერნსა და სკიპტონში — 167, კონგლეტონსა და ბრედფორდში — 168, ლეისტერში — 171, ლიკში — 182, მეკლსფილდში — 184, ბოლტონში — 190, ნოტინგემში — 192, როჩდელში — 193, დერბიში — 198, სელფორდში და ეშტონანდერ-ლაინში — 203, ლიდსში — 218, პრესტონში — 220 და მანჩესტერში — 263 (გვ. 24). ქვემომოყვანილი ცხრილი კიდევ უფრო საოცარ მაგალითს იძლევა. იგი იძლევა ფილტვების დაავადებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევებს 15 — 25 წლისათვის, ორივე სქესისთვის ცალ-ცალკე გამოანგარიშებულს ყოველ 100 000 მცხოვრებზე. არჩეულია ისეთი ოლქები, სადაც მხოლოდ დედაკაცები ეწევიან სამრეწველო შრომას დახურულ სადგომებში, მამაკაცები კი შრომის მეტად სხვადასხვაგვარ დარგებში მოსაქმეობენ.

ოლქები	მთავარი მრეწველობა	ფილტვების დაავადებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები 15—25 წლის ასაკში 100 000 მცხოვრებზე	
		მამაკაცი	ქალი
ბერკჰენსტიდი	ჩალის წვნა, ქალები მუშაობენ	219	578
ლეიტონ ბაზარდი	ჩალის წვნა, ქალები მუშაობენ	309	554
ნიუპორტ პეგნელი	მ ქმანის ქსოვა ქალების მიერ	301	617
ტოუჩესტერი	მაქმანის ქსოვა ქალების მიერ	239	577
იოვილი	ხელთათმანების წარმოება, მეტწილად ქალები მუშაობენ	280	409
ლიკი	აბრეშუმის მრეწველობა, უმთავრესად ქალები მუშაობენ	437	856
კონგლეტონი	აბრეშუმის მრეწველობა, უმთავრესად ქალები მუშაობენ	566	790
მეკლსფილდი	აბრეშუმის მრეწველობა, უმთავრესად ქალები მუშაობენ	593	890
ჯანსაღი ადგილი სოფლად	მიწათმოქმედება	331	333

აბრეშუმის მრეწველობის ოლქებში, სადაც მამაკაცების მონაწილეობა ფაბრიკის მუშაობაში უფრო დიდია, მათი სიკვდილიანობაც მეტია. ბლექით და სხვა დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობის ნორმა ორივე სქესისათვის ააშკარავებს აქ, როგორც ანგარიშშია ნათქვამი, «ალმაშფოთებელ (atrocious) სანიტარულ პირობებს, რომლებშიაც მეტწილად ჩვენი აბრეშუმის მრეწველობა წარმოებს». და ეს სწორედ იგივე აბრეშუმის მრეწველობაა, რომლის მეფაბრიკენი, მიუთითებდნენ რა თავიანთი წარმოების განსაკუთრებით ხელსაყრელ სანიტარულ პირობებზე, განსაკუთრებით გრძელ სამუშაო დროს მოითხოვდნენ 13 წელზე ნაკლები ხნის ბავშვებისათვის, რასაც ნაწილობრივ მათ კიდეც მიაღწიეს (წიგნი 1, თავი VIII, 6, გვ. 256 [კ. მარქსი: «კაპიტალი». ტ. I, გამოც. 1954 წ., გვ. 370 — 371)].

«უეჭველია, რომ დღემდე გამოკვლეული მრეწველობის დარგებიდან არც ერთს არ მიუცია იმაზე უარესი სურათი, რასაც დ-რ სმიტი იძლევა სამკერვალო წარმოების შესახებ... სახელოსნოები — ამბობს იგი — ფრიად სხვადასხვაა სანიტარული მდგომარეობის მხრივ; მაგრამ თითქმის ყველა გაჭედილია ხალხით, უვარგისია ჰაერის გაწმენდის მხრივ და უაღრესად არახელსაყრელია ჯანმრთელობისათვის... ასეთ ოთახებში, გარდა ამისა, აუცილებლად ცხელა; მაგრამ როდესაც გაზს აანთებენ, როგორც ეს ხდება დღისით ნისლის დროს და საღამოობით ზამთარში, სიცხე 80 და 90 გრადუსზეც კი ადის (ფარენჰაიტით-27 — 33° ცელსიუსით), რის გამო მუშები ოფლში იწურებიან, ფანჯრების შუშებს ორთქლი ედება, წყალი განუწყვეტლივ სწვეთავს ჰერის ფანჯრიდან

და მუშები იძულებული არიან რამდენიმე ფანჯარა ღია იქონიონ, თუმცა ისინი ამის გამო აუცილებლად ცივდებიან». — იმ მდგომარეობას, რასაც ადგილი აქვს ლონდონის ვესტენდის 16 უმნიშვნელოვანეს სახელოსნოში, იგი შემდეგნაირად აგვიწერს: «უდიდესი კუბატურა, რომელიც მოდის თითო მუშაზე ამ ოთახებში, სადაც ჰაერი ცუდად იწმინდება, შეადგენს 270 კუბიკურ ფუტს უმცირესი — 105 ფუტს, საშუალოდ — სულ 156 ფუტს კაცზე. სახელოსნოში, რომელსაც ირგვლივ გალერეა უვლის და მხოლოდ ჭერის ფანჯარა აქვს, 92-დან 100-დე ადამიანი მუშაობს; მრავალი აირმაშუქია ანთებული; საპირფარეშო სახელოსნოს გვერდითაა, და სივრცე თითო ადამიანზე 150 კუბიკურ ფუტს არ აღემატება. მეორე სახელოსნოში, რომელიც ძაღლის ხულასავით მოთავსებულია ეზოს სიღრმეში, სადაც სინათლე მხოლოდ ზემოდან ჩადის, და რომელშიც ჰაერის გაწმენდა მხოლოდ ჭერის ერთი პატარა ფანჯრის საშუალებით არის შესაძლებელი; აქ მუშაობს 5 ან 6 ადამიანი, რომელთაგან თითოს 112 კუბიკური ფუტი სივრცე უწევს». და «ამ საშინელ (atrocious) სახელოსნოებში, რომლებსაც დ-რ სმიტი აგვიწერს, თერძები მუშაობენ ჩვეულებრივ 12—13 საათს დღეში, ხოლო ზოგჯერ მუშაობა 15 — 16 საათსაც კი გრძელდება» (გვ. 25, 26,

დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი	მრეწველობის დარგები და ადგილები	სიკვდილიანობის ნორმა 100 000 ადამიანზე ასაკში		
		25—35	35—45	45—55
958 205	მიწათმოქმედება, ინგლისი და უელსი...	743	805	1145
22301 მამაკ. და 12377 ქალი	თერძები. ლონდონი	958	1262	2093
13 803	ასოთამწყობები და მბეჭდავები. ლონდონი	894	1747	2367

28). (გვ. 30). უნდა შევნიშნოთ, — და ეს მართლაც აღნიშნული აქვს ჯონ საიმონს, სამკურნალო განყოფილების უფროსს, რომელმაც ანგარიში შეადგინა, — რომ ლონდონის თერძების, ასოთამწყობებისა და მბეჭდავების სიკვდილიანობის ნორმა 25-35 წლის ასაკისათვის შემცირებული ციფრებითაა ნაჩვენები, რადგან მრეწველობის ამ ორივე დარგის ლონდონელი ოსტატები სოფლიდან უამრავ ახალგაზრდას (ალბათ, 30 წლამდე ასაკისას) იღებენ შეგირდებად და «improvers»-ებად, ე. ი. ხელოსნობაში გასაწაფავად. ესენი ადიდებენ მრეწველობაში დასაქმებულ პირთა რიცხვს, რომლებზედაც ლონდონის სამრეწველო მოსახლეობის სიკვდილიანობის ნორმები გამოიანგარიშება; მაგრამ სიკვდილის შემთხვევათა რიცხვი ლონდონში მათ შორის ნაკლებია, ვიდრე სხვა მუშებს შორის, რადგან ისინი დროებით არიან ქალაქში. თუ

ამ დროის განმავლობაში ავად გახდნენ, ისინი შინ, სოფელში, ბრუნდებიან და, მათი გარდაცვალების შემთხვევაში, იქ ხდება მათი სიკვდილის რეგისტრაცია. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად ეხება უფრო დაბალი ასაკის ჯგუფებს და ამიტომ სრულიად უკარგავს მნიშვნელობას ამ ჯგუფებისათვის ლონდონში სიკვდილიანობის ნორმას როგორც იმის საზომს, თუ რა მავნე გავლენას ახდენს მრეწველობა ჯანმრთელობაზე (გვ. 30).

ასოთამწყობთა მდგომარეობაც სანიტარული პირობების მხრივ დაახლოებით ისეთივეა, როგორიც თერძებისა; აქ ვენტილაციის ნაკლებობას, მოწამლულ ჰაერსა და სხვ. კიდევ ღამით ვუშაობა ერთვის. მათი ჩვეულებრივი სამუშაო დრო გრძელდება 12 — 13 საათამდე, ხანდახან 15—16 საათამდე. «საშინელი სიცხე და მძიმე ჰაერი, როგორც კი გაზს აანთებენ... ზშირად ხდება, რომ ასოთაჩამოსასხამის ანაორთქლი ან მანქანების თუ სადენი ორმოების მყრალი სუნი ქვევითა სართულიდან ზევით ადის და ზევითა ოთახის ცუდ პირობებს აუარესებს. ქვევითა სადგომების გაცხელებული ჰაერი აცხელებს ზედა სადგომების ტემპერატურას მარტოოდენ იატაკის გახურების გზით, და თუ ოთახები დაბალია და გაზი ბევრი იხარჯება, — მაშინ ეს ნამდვილი უბედურებაა. კიდევ უარესადაა საქმე იქ, სადაც ორთქლის ქვაბები ქვევითა სართულშია დადგმული და მთელ სახლს აუტანელი სიცხით ავსებს... საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ვენტილაცია ყველგან არადამაკმაყოფილებელია და სრულიად არაა საკმარისი იმისათვის, რომ მზის ჩასვლის შემდეგ შეანელოს სიცხე და განდევნოს ოთახიდან გაზის წვის პროდუქტები, და რომ ბევრ სახელოსნოში, განსაკუთრებით იქ, სადაც უწინ საცხოვრებელი სახლები იყო, სანიტარული მდგომარეობა ფრიად სავალალოა». ზოგიერთ სახელოსნოში, განსაკუთრებით იქ, სადაც კვირეული გაზეთები იბეჭდება და სადაც აგრეთვე 12—16 წლის მოზარდნი მუშაობენ, ორი დღისა და ერთი ღამის განმავლობაში თითქმის განუწყვეტლივ წარმოებს მუშაობა; სხვა ამწყობ სახელოსნოებში კი, რომელნიც სასწრაფო სამუშაოებს ასრულებენ, მუშას კვირაობითაც არა აქვს დასვენება, და მისი სამუშაო დღეები კვირაში 6-ის ნაცვლად 7 დღეს შეადგენს (გვ. 26, 28).

თეთრეულისა და მოდური ტანსაცმლის მკერავი ქალების შესახებ (milliners and dressmakers) ჩვენ უკვე ავღნიშნეთ 1 წიგნში, თავი VIII, 3, გვ. 215 — 217. [კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. 1, გამოც. 1954 წ., გვ. 322 — 324], როცა ვეხებოდით ზომაგადაჭარბებულ შრომას. ჩვენს ანგარიშში მოყვანილი მათი სამუშაო სადგომების აღწერა ეკუთვნის

დ-რ ორდს. მაშინაც კი, როცა დღისით ეს სადგომები ცოტათი უკეთესია, — ღამის საათებში, როდესაც გაზი აინთება, იქ მეტად ცხელა. ჰაერი ფშმორებული და ჯანმრთელობისათვის მავნეა. 34 უკეთ მოწყობილ სახელოსნოში დ-რ ორდმა ნახა, რომ საშუალოდ კუბატურა თითო მუშა ქალზე მოდიოდა: «4 შემთხვევაში 500 ფუტზე მეტი, 4 სხვა შემთხვევაში — 400-დან — 500; ფუტამდე; 5 შემთხვევაში — 200 — 250; 4 შემთხვევაში—150—200 და, დასასრულ, 9 შემთხვევაში—მხოლოდ 100—150 კუბ. ფუტი. ამ შემთხვევათაგან უკეთესი შემთხვევაც კი მხოლოდ გაჭირვებითაა საკმარისი ხანგრძლივი მუშაობისას არასაკმაო ვენტილაციის მქონე სადგომში. მაშინაც კი, როდესაც ვენტილაცია კარგია, სახელოსნოებში დაღამების შემდეგ ძალიან დაცხება და ჰაერი დამძიმდება მრავალი აირმაშუქის ანთების გამო». და, აი, დ-რ ორდის შენიშვნა ერთი მის მიერ დათვალიერებული დაბალი კატეგორიის სახელოსნოს შესახებ, სადაც მუშაობა შუამავლის (middleman) ანგარიშზე წარმოებს: «1280 კუბ. ფუტი მოცულობის ოთახი; შიგ 14 ადამიანია, თითოს — 91,5 კუბ. ფუტი უშვევს. მუშა ქალებს დაღლილი და ტანჯული გამომეტყველება ჰქონდათ. მათი გასამრჯელო 7 — 15 შილინგია კვირაში, გარდა ამისა — ჩაი... მუშაობენ დილის 8-იდან საღამოს 8-საათამდე. იმ პატარა ოთახში, სადაც ეს 14 ადამიანი იყო თავმოყრილი, ჰაერი ცუდად იშმინდებოდა. იყო ორი მოძრავი ფანჯარა და ერთი ბუხარი, მაგრამ ეს უკანასკნელი დახურული იყო. ვენტილაციის არავითარი სხვა სპეციალური მოწყობილობა არ არსებობდა» (გვ. 27).

მოდის ტანსაცმლის მკერავი ქალების ზომაგადაჭარბებული შრომის შესახებ იმავე ანგარიშში ნათქვამია შემდეგი: «ელეგანტურ მოდის სახელოსნოებში ახალგაზრდა ქალები წლის განმავლობაში ზომაგადაჭარბებულად მუშაობენ დაახლოებით მხოლოდ 4 თვეს, მაგრამ — ისეთი საშინელი დატვირთვით, რომ ამას ბევრ შემთხვევაში საზოგადოების გაკვირვება და უსიამოვნებაც კი გამოუწვევია; ამ თვეების განმავლობაში სახელოსნოში ჩვეულებრივ სრულ 14 საათს მუშაობენ ყოველდღიურად, ხოლო სასწრაფო დაკვეთების დაგროვებისას — 17 — 18 საათსაც კი. წლის სხვა დროს მუშაობა სახელოსნოში, ალბათ 10—14 საათს გრძელდება; შინ მომუშავენი ჩვეულებრივ 12 ან 13 საათს მუშაობენ. ქალთა მოდური ტანსაცმლის, საყელოების, პერანგებისა და სხვ. წარმოებაში, საკერავ მანქანაზე მუშაობის ჩათვლით, საერთო სახელოსნოში მუშაობა ისე დიდხანს არ გრძელდება, ჩვეულებრივ 10 — 12 საათს არ აღემატება»; მაგრამ, ამბობს დ-რ ორდი, «ზოგიერთ დაწესებულებაში რეგულარული სამუშაო დრო მნიშვნელოვნად

გრძელდება გარკვეულ პერიოდებში ზეგანაკვეთური სამუშაოების გამო, რისთვისაც განსაკუთრებულ საზღაურს იძლევიან, სხვა დაწესებულებებში რეგულარული სამუშაო დროის გათავებისას სამუშაო შინ მიაქვთ დასამთავრებლად; როგორც ერთი, ისე მეორე სახის ზეგანაკვეთური სამუშაო — დავძენთ ჩვენ — ხშირად იძულებითი ხასიათისაა» (გვ. 28). ჯონ საიმონი ამ გვერდს შემდეგ შენიშვნას უკეთებს: «ბ-ნმა რედკლიფმა, ეპიდემიოლოგიური საზოგადოების მდივანმა, რომელსაც განსაკუთრებით ბევრი შემთხვევა ჰქონდა პირველი ტიპის დაწესებულებაში მომუშავე ქალების ჯანმრთელობა შეესწავლა, ჰპოვა, რომ ყოველ 20 ქალიშვილში, რომელნიც თავიანთ თავს «სრულიად ჯანსაღად» თვლიდნენ, სინამდვილეში მხოლოდ ერთი იყო ჯანმრთელი, დანარჩენებს სხვადასხვა ხარისხის ფიზიკური დაუძლურება, ნერვების დასუსტება და მრავალი აქედან გამომდინარე ფუნქციური მოშლილობა ჰქონდათ. ამის მიზეზად იგი პირველ რიგში ასახელებს: სამუშაო დღის ხანგრძლივობას, რასაც იგი, წლის წყნარი სეზონისთვისაც კი, დღიურად მინიმუმ 12 საათით განსაზღვრავს; მეორე, — «სახელოსნოების გაჭედვას ხალხით და ცუდ ვენტილაციას, გაზის ალით გაფუჭებულ ჰაერს. არასაკმარის ანუ ცუდ კვებას და არასაკმაო ზრუნვას სადგომის კომფორტისათვის».

ინგლისის სანიტარული უწყების უფროსი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მუშებისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია დაჟინებით მოითხოვონ, რომ დაცულ იქნას ის, რაც თეორიულად წარმოადგენს მათს ელემენტალურ უფლებას ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად; სახელდობრ დაჟინებით მოითხოვონ, რომ დამქირავებელმა — რა სამუშაოს შესასრულებლადაც არ უნდა დაიქირაოს მუშები—თავის ხარჯზე შექმნან—რამდენადაც ეს მათზეა დამოკიდებული,—ისეთი პირობები, რომელშიც ეს ერთად შესასრულებელი სამუშაო, შეძლებისამებრ ჯანმრთელობისათვის მავნე არ იქნება; ამასთანავე მუშებს ფაქტიურად არ შეუძლიათ საკუთარი ძალით ამ სანიტარული სამართლიანობის მოპოვება და, მიუხედავად კანონმდებლის მიერ ნავარაუდევი განზრახვისა, ასევე ნაკლებად შეუძლიათ მათ რაიმე ნამდვილ დახმარებაც მოელოდნენ იმ მოხელეთაგან, რომელთაც მინდობილი აქვთ Nuisances Removal Acts-ის [უბედურ შემთხვევათა თავიდან აცილების აქტის] ცხოვრებაში გატარება» (გვ. 29). — «უეჭველია, ზოგიერთ მცირე ტექნიკურ დაბრკოლებას წარმოადგენს იმ ფარგლების ზუსტი განსაზღვრა, რომლებშიც დამქირავებელნი რეგულირებას უნდა დაექვემდებარონ. მაგრამ... პრინციპში ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნა უნივერსალური ხასიათისაა. და მილიონობით მუშა მამაკაცისა და მუშა ქალის ინტერესების

სასარგებლოდ, რომელთა სიცოცხლე ამჟამად ამაოდ სახიჩრდება და მოკლდება დაუსრულებელი ფიზიკური ტანჯვით, რასაც მხოლოდ მათი მუშაობის ხასიათი წარმოშობს, მე ვბედავ გამოვთქვა იმედი, რომ შრომის სანიტარული პირობები ასევე უნივერსალურად მოიპოვებს სათანადო დაცვას კანონის მიერ; ყოველ შემთხვევაში — საჭიროა, რომ ყველა დახურული სამუშაო სადგომის ნამდვილი ვენტილაცია უზრუნველყოფილი იყოს და რომ შრომის ყოველ დარგში, რომელიც თავისი ბუნებით ანტისანიტარულია, ჯანმრთელობისათვის ფანსაკუთრებით მავნებელი გავლენა რაც კი შეიძლება შეზღუდულ იქნეს» (გვ. 31).

III. ეკონომია მამოძრავებელი ძალის მიღებაზე, ძალის გადაცემაზე და შენობებზე.

თავის 1852 წლის ოქტომბრის ანგარიშში ლ. ჰორნერს მოჰყავს ორთქლის ურის გამომგონებლის, სახელგანთქმული პეტრიკროფტელი ინჟინრის ჯემს ნესმისის წერილი, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

«საზოგადოება ძალიან ნაკლებად იცნობს მამოძრავებელი ძალის იმ კოლოსალურ მატებას, რაც» (ორთქლის მანქანების) «სისტემის ისეთ ცვლილებათა და გაუმჯობესებათა საშუალებით იქნა მიღწეული, რომლებზედაც მე ვლაპარაკობ. ჩვენი ოლქის» (ლანკაშირის) «მანქანების ძალას გაუბედაობითა და ცრუმორწმუნეობით აღსავსე ტრადიციის მაჯლაჯუნა აწვა თითქმის 40 წლის განმავლობაში, მაგრამ ამჟამად ჩვენ, საბედნიეროდ, განვთავისუფლდით. უკანასკნელი 15 წლის, განსაკუთრებით კი უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში» (მაშასადამე, 1848 წელს შემდეგ) «ზოგიერთ ფრიად მნიშვნელოვან ცვლილებებს ჰქონდა ადგილი საკონდენსაციო ორთქლის მანქანების გამოყენების წესში... შედეგი ისაა..., რომ იგივე მანქანები გაცილებით მეტ მუშაობას ასრულებენ ნახშირის მოხმარების ძალიან მნიშვნელოვნად შემცირების პირობებში... ამ ოლქის ფაბრიკებში ორთქლის ძალის შემოღების შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ფიქრობდნენ: საკონდენსაციო მანქანების მუშაობა ისეთი სისწრაფით შეიძლება, რომ დგუშის მოძრაობა წუთში დაახლოებით 220 ფუტს შეადგენდესო, ე. ი. 5 ფუტზე ასაწევი დგუშის მქონე მანქანა, ამ წესის თანახმად, მუხლალილვის 22 ბრუნვით იყო ზღვარდებული. მანქანის უფრო სწრაფად გაშვება მიზანშეუწონლად ითვლებოდა; და რადგან მთელი მოწყობილობა შეგუებული იყო დგუშის მოძრაობის ამ 220 ფუტის სისწრაფესთან წუთში, ამიტომ ეს ნელი და უაზროდ შეზღუდული სისწრაფე მრავალი წლის განმავლობაში გაბატონებული იყო მთელ წარმოებაში.

მაგრამ, ბოლოს, — დაწესებული ნორმის საბედნიერო უცოდინარობისა, თუ ვინმე გაბედული ნოვატორის შეგნებული ინიციატივის გამო, — უფრო დიდი სისწრაფე სცადეს და, რადგან შედეგი ფრიად ხელსაყრელი აღმოჩნდა, ამ მაგალითს სხვებმაც წაბაძეს; როგორც მაშინ ამბობდნენ, მანქანას აღვირი მიუშვეს და გადამცემი მექანიზმის მთავარი თვლები იმგვარად შეცვალეს, რომ ორთქლის მანქანას შეეძლო 300 და მეტი ფუტის სისწრაფე ჰქონებოდა წუთში, მაშინ როდესაც მექანიზმს წინანდელი სისწრაფე ჰქონდა შენარჩუნებული... ორთქლის მანქანის სისწრაფის ეს გადიდება ახლა თითქმის საყოველთაოდ გავრცელებულია, რადგან გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ამასთან იგივე მანქანა არა მარტო მეტ გამოსაყენებელ ძალას იძლეოდა, არამედ მოძრაობაც, მქნევარა თვალის გადიდებული ინერციის გამო, ბევრად უფრო რეგულარული იყო. ორთქლის უცვლელი წნევისას და კონდენსატორში უცვლელი გათხელებისას მეტი ძალა წარმოიქმნებოდა დგუშის მოძრაობის უბრალო აჩქარების მეოხებით. თუ ჩვენ მოვახერხებთ, მაგალითად, რომ ორთქლის მანქანა, რომელიც 200 ფუტის სისწრაფისას წუთში 40 ცხენძალას იძლევა, ისე მოვაწყოთ, რომ ორთქლის იმავე წნევისა და გათხელებისას წუთში 400 ფუტს იძლეოდეს, ჩვენ სწორედ ორჯერ გადიდებულ ძალას მივიღებთ; და რადგან ორთქლის წნევა და გათხელება ორივე შემთხვევაში ერთნაირია, მანქანის ცალკე ნაწილების ძაბვა და, მაშასადამე, უბედურ შემთხვევათა საშიშროება ძირსებითად არ დიდდება სისწრაფის გადიდებისას. მთელი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ახლა მოხმარებული ორთქლის რაოდენობა მატულობს დაახლოებით იმ შეფარდებით, რა შეფარდებითაც მატულობს დგუშის მოძრაობა, და, გარდა ამისა, ცოტათი უფრო სწრაფად ცვდება საკისარები, ე. ი. მანქანის ნაწილები, რომლებიც ხახუნს განიცდიან, მაგრამ ეს სახსენებლად არც კი ღირს... მაგრამ იმისათვის, რომ ერთი და იმავე მანქანისაგან მეტი ძალა მივიღოთ დგუშის აჩქარებული მოძრაობის გზით, აუცილებლად საჭიროა იმავე ორთქლის ქვაბის ქვეშ მეტი ნახშირი დაიწვას ან გამოყენებულ იქნეს უფრო დიდი ორთქლწარმოქმნის უნარის მქონე ქვაბი, მოკლედ, — მეტი ორთქლი იქნეს წარმოებული. ეს განხორციელდა კიდეც, — ძველ «აჩქარებულ» მანქანებს მეტი ორთქლწარმოქმნის უნარის მქონე ქვაბები მიუდგეს; ამ გზით ამ მანქანების მუშაობა ბევრ შემთხვევაში 100%-ით გადიდდა. დაახლოებით 1842 წელს თანდათან ყურადღება მიიპყრო ძალის არაჩვეულებრივად იაფმა წარმოებამ ორთქლის მანქანების მიერ კორნუოლის მაღაროებში; კონკურენციამ ბამბის სართავ

მრეწველობაში აიძულა მეფაბრიკენი დანაზოგში ეძიათ თავიანთი მოგების წყარო; საათსა და ცხენძალაზე გამოანგარიშებული ნახშირის მოხმარების იმ ღირსშესანიშნავმა განსხვავებამ, რომელსაც კორნუოლის მანქანები იძლეოდა, და აგრეთვე იმ არაჩვეულებრივმა ეკონომიამ, რასაც ვულფის ორცილინდრიანი მანქანების გამოყენებით აღწევდნენ, ჩვენ მხარეშიც პირველ რიგში დააყენა საწვავი მასალის დაზოგვის საკითხი. კორნუოლის მანქანები და ორცილინდრიანი მანქანები იძლეოდნენ ერთ ცხენძალას საათში $3^1/_2$-დან 4 გირვანქამდე ნახშირის მოხმარებით, მაშინ როდესაც ბამბის მრეწველობის ოლქებში მანქანები ჩვეულებრივ 8 ან 12 გირვანქას ხარჯავდნენ თითო ცხენძალაზე საათის განმავლობაში. ესოდენ მნიშვნელოვანმა განსხვავებამ ჩვენი ოლქის მეფაბრიკეებსა და მანქანათმშენებლებს აღუძრა იმის სურვილი, რომ მათაც მსგავსი საშუალებებით ისეთივე არაჩვეულებრივი ეკონომიური შედეგებისთვის მიეღწიათ, როგორიც უკვე ჩვეულებრივი იყო კორნუოლსა და საფრანგეთში, ვინაიდან აქ ნახშირის მაღალი ფასი მეფაბრიკეებს აიძულებდა მათი საწარმოს ეს ძვირადღირებული ხარჯები რაც შეიძლება შეემცირებინათ. ამას ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. ჯერ-ერთი: ბევრ ქვაბს, რომლის ნახევარი ზედაპირი დიდი მოგების მომცემ ბედნიერ ძველ დროში ღია იყო ცივი გარეჰაერის გავლენისთვის, ახლა სქელი ქეჩა ან აგური და დუღაბი თუ სხვა მასალა შემოავლეს, რაც ესოდენ დიდი ხარჯით მიღებული სითბოს გამოსხივებას აბრკოლებდა. ამგვარადვე იწყეს ორთქლის მილების დაცვა, ასევე ცილინდრებისათვის ქეჩისა და ხის შემოხვევა. მეორე: დაიწყეს მაღალი წნევის გამოყენება. წინათ დამცველი სარქველი მხოლოდ იმდენად იყო დამძიმებული, რომ იგი უკვე მაშინ იღებოდა, როდესაც ორთქლის წნევა კვადრატულ დუიმზე 4,6 ან 8 გირვანქას უდრიდა; ახლა კი აღმოჩნდა, რომ წნევის 14 თუ 20 გირვანქამდე გადიდებით... ნახშირი მნიშვნელოვნად იზოგება; სხვა სიტყვებით, — მუშაობა ფაბრიკაში მნიშვნელოვნად ნაკლები ნახშირის მოხმარებით იქნა შესრულებული... იმათ, ვისაც ამისათვის საჭირო საშუალებანი და გამბედაობა ჰქონდა, განახორციელეს გადიდებული წნევისა და განვრცობის სისტემა მთელი მისი სისრულით და მიზანშეწონილად აგებული ორთქლის ქვაბები შემოიღეს, რომელნიც 30, 40, 60 და 70 გირვანქა წნევის ორთქლს იძლეოდნენ კვადრატულ დუიმზე; ეს ისეთი წნევაა, რომელიც ძველი სკოლის ინჟინერს რომ ენახა, შიშისგან გული წაუვიდოდა. მაგრამ რადგან ორთქლის ამ გადიდებული წნევის ეკონომიური შედეგი... ძალიან მალე სრულიად ნათლად გირვანქების

შილინგებისა და პენსების სახით გამოაშკარავდა, — მაღალი წნევის ქვაბების მოწყობა საკონდენსაციო მანქანებთან თითქმის საყოველთაოდ გავრცელდა. ვინც რეფორმის რადიკალურად გატარებას მიჰყო ხელი, იმათ ვულფის მანქანების გამოყენება იწყეს; ამას ადგილი ჰქონდა მეტწილად ახლად აგებული მანქანების მიმართ; ხმარებაში შემოვიდა განსაკუთრებით ვულფის ორცილინდრიანი მანქანები, რომელთა ერთ ცილინდრში ქვაბიდან წამოსული ორთქლი ძალას იძლევა იმ წნევის გამო, რომელიც ატმოსფერულ წნევას აღემატება, რის შემდეგ იგი, ნაცვლად იმისა, რომ დგუშის ყოველი აწევის შემდეგ უწინდებურად გარეჰაერში გაიფანტოს, დაბალი წნევის ცილინდრში გადადის, რომელსაც დაახლოებით 4-ჯერ მეტი მოცულობა აქვს, და მას შემდეგ, რაც იქ ახალ განვრცობას განიცდის, კონდენსატორში გაიყვანება. ეკონომიის მხრივ ის შედეგი, რომელსაც ასეთი მანქანებით აღწევენ, ის არის, რომ აქ ერთი ცხენძალის მუშაობა ერთი საათის განმავლობაში მიიღება $3^1/_2$ — 4 გირვ. ნახშირით, მაშინ როდესაც ძველი სისტემის მანქანებზე ამისთვის 12 — 14 გირვანქა იყო საჭირო. ერთი ოსტატური მოწყობილობის მეოხებით შესაძლებელი გახდა ვულფის სისტემა ორმაგი ცილინდრებისა ანუ მაღალი და დაბალი წნევის კომბინირებული მანქანა უკვე არსებული ძველი ტიპის მანქანებისათვისაც გამოეყენებინათ და ამგვარად მათი მუშაობა გაედიდებინათ და იმავე დროს ნახშირის მოხმარება შეემცირებინათ. უკანასკნელი 8—10 წლის განმავლობაში იმავე შედეგს მიაღწიეს მაღალი წნევის მანქანის საკონდენსაციო მანქანასთან იმგვარად შეერთებით, რომ პირველის მოხმარებული ორთქლი მეორეში გადადიოდა და იგი მოძრაობაში მოჰყავდა. ეს სისტემა ბევრ შემთხვევაში სასარგებლოა».

«ადვილი არ იქნებოდა იმის ზუსტად დადგენა, თუ რამდენად გადიდდა იმ იდენტური ორთქლის მანქანების მუშაობა, რომელთა მიმართ ზოგიერთი ან ყველა ეს ახალი გაუმჯობესება გამოიყენეს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ორთქლის მანქანის იმავე წონაზე ჩვენ დღეს საშუალოდ სულ ცოტა 50%-ით მეტ ნამუშევარს ვღებულობთ და რომ ბევრ შემთხვევაში იგივე ორთქლის მანქანა, რომელიც იმ დროს, როდესაც სისწრაფე წუთში 220 ფუტით იყო შეზღუდული, 50 ცხენძალას იძლეოდა, ახლა 100-ზე მეტს იძლევა. ეკონომიის მხრივ იმ უაღრესად მნიშვნელოვანმა შედეგებმა, რომლებიც საკონდენსაციო მანქანებთან მაღალი წნევის ორთქლის გამოყენებამ მოჰყვა, აგრეთვე იმ გადიდებულმა მოთხოვნამ, რასაც საწარმოს გაფართოების მიზნით ძველ ორთქლის მანქანებს უყენებენ, უკანასკნელ

სამ წელიწადში მილებიანი ქვაბების შემოღებამდე მიგვიყვანა, რითაც ორთქლის წარმოქმნის ხარჯები კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდა» («Reports of Insp. of Fact., October 1852», გვ. 23 — 27).

რაც ძალის წარმომშობ მანქანაზე ითქვა, იგივე ითქმის ძალის გადამცემი და სამუშაო მანქანების შესახებაც.

«იმ სწრაფმა ტემპმა, რაც მანქანების გაუმჯობესების განვითარებამ ამ უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე მიიღო, მეფაბრიკეებს შესაძლებლობა მისცა გაეფართოებინათ წარმოება დამატებითი მამოძრავებელი ძალის დაუხმარებლად. შრომის ეკონომიურად გამოყენება აუცილებელი შეიქნა სამუშაო დღის შემოკლების გამო, და ბევრ კარგად წარმართულ ფაბრიკაში მუდამ იმის ძიებაში არიან, თუ რა გზით შეიძლება წარმოების გადიდება იმავდროულად ხარჯების შემცირებისას. ჩემი ოლქის ერთი ფრიად ინტელიგენტი მეფაბრიკის თავადზიანობის წყალობით მე ხელთ მაქვს ცნობები 1840 წლიდან დღემდე მის ფაბრიკაში დასაქმებული მუშების რიცხვისა და ასაკის, გამოყენებული მანქანებისა და გაცემული ხელფასის შესახებ. 1840 წლის ოქტომბერში მისი ფირმა 600 მუშას ამუშავებდა, რომელთაგან 200 იყო 13 წელზე ნაკლები ხნისა; 1852 წლის ოქტომბერში კი—მხოლოდ 350 მუშას, რომელთაგან მხოლოდ 60 იყო 13 წელზე ნაკლები ხნის. ორივე წელიწადს მანქანების იგივე რიცხვი იყო წარმოებაში, მცირე გამონაკლისს გარდა, და იგივე თანხა იყო ხელფასად გაცემული» (რედგრეივის ანგარიში: «Reports of Insp. of Fact., October 1852», გვ. 58, 59).

მანქანების ეს გაუმჯობესებანი მხოლოდ მაშინ აუმკარავებენ მთელ თავის შედეგს, როდესაც ისინი დადგმულია ახალ, მიზანშეწონილად მოწყობილ საფაბრიკო შენობებში.

«რაც შეეხება მანქანების გაუმჯობესებას, უნდა აღვნიშნო, რომ უწინარეს ყოვლისა დიდი პროგრესია განხორციელებული ფაბრიკების შენებაში, რომლებიც ამ ახალი მანქანების დასადგმელად არის განკუთვნილი... ქვედა სართულში მე ვძახავ მთელ ჩემ ნართს და მხოლოდ აქ მაქვს გამართული 29.000 ცალ ძახავი თითისტარი. მარტო ამ ოთახში და ფარდულში მე ვაკეთებ შრომის სულ ცოტა 10%-ის ეკონომიას, არა იმდენად თვით ძახვის სისტემაში გაუმჯობესებათა შეტანის გამო, რამდენადაც იმის გამო, რომ მანქანები ერთი გამგებლობის ქვეშაა თავმოყრილი; მე შემიძლია ერთადერთი გადამცემი ლილვის საშუალებით თითისტართა იგივე რაოდენობა მოვიყვანო მოძრაობაში, რითაც მე სხვა ფირმებთან შედარებით გადამცემ მექანიზმზე

60-იდან 80%-მდე ეკონომიას ვაკეთებ. გარდა ამისა, ეს იძლევა ზეთის, ცხიმისა და სხვათა დიდ ეკონომიას — ერთი სიტყვით, ფაბრიკის უფრო სრულყოფილი მოწყობილობით და გაუმჯობესებული მანქანებით, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, შრომის 10% დავზოგე და, გარდა ამისა, ძალის, ნახშირის, ზეთის, ქონის, გადამცემი ლილვების, ღვედებისა და სხვათა დიდი დაზოგვა მივიღე» (ერთი ბამბისმრთველი მეფაბრიკის ჩვენება, «Reports of Insp. of Fact., October 1863», გვ. 109, 110).

IV. წარმოების ექსკრემენტების უტილიზაცია.

კაპიტალისტური წარმოების წესთან ერთად ფართოვდება წარმოებისა და მოხმარების ექსკრემენტების გამოყენება. პირველში ჩვენ ვგულისხმობთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობია ნარჩენებს, მეორეში — ნაწილობრივ იმ ექსკრემენტს, რომელიც ადამიანის ნივთიერებათა ცვლის შედეგს წარმოადგენს, ნაწილობრივ — იმ ფორმას, რომელსაც მოხმარების საგნები ღებულობენ მათი მოხმარების პროცესის დამთავრების შემდეგ. წარმოების ექსკრემენტს შეადგენს, ამრიგად, ქიმიურ მრეწველობაში დამატებითი თანაპროდუქტები, რომლებიც მცირე მასშტაბის წარმოების დროს იკარგება; რკინის ბურბუშელა, რომელიც მანქანების დამზადების დროს რჩება და კვლავ ნედლეულის სახით რკინის წარმოებაში შედის და სხვა. მოხმარების ექსკრემენტებია ადამიანის ორგანიზმის მიერ გამოყოფილი ბუნებრივი ნივთიერება, ტანისამოსის ნარჩენები ძონძების სახით და სხვ. მოხმარების ექსკრემენტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობისათვის. მათი გამოყენების მხრივ კაპიტალისტურ მეურნეობაში კოლოსალურ ფლანგვას აქვს ადგილი; ლონდონში, მაგალითად, ამ მეურნეობას $4^1/_2$ მილიონი ადამიანის განავლისთვის უკეთესი ვერა მოუგონია რა, გარდა იმისა, რომ ამას უზარმაზარი ხარჯების გაწევით ტემზის მოსაწამლავად ხმარობს.

ნედლეულის გაძვირება, რასაკვირველია, სტიმულს ქმნის ნარჩენების გამოყენებისათვის.

საერთოდ ამ ხელახალი გამოყენების პირობები შემდეგია: ასეთი ექსკრემენტების დიდი რაოდენობით დაგროვება, რასაც მხოლოდ იქ აქვს ადგილი, სადაც შრომა დიდი მასშტაბით წარმოებს; მანქანების გაუმჯობესება, რის გამო ის ნივთიერებანი, რომლებიც უწინ მათი მოცემული ფორმით გამოუყენებელი იყო, ისეთ სახეს იღებენ, რომელიც გამოსადეგია ახალ წარმოებაში გამოსაყენებლად; მეცნიერების წარმატება, განსაკუთრებით — ქიმიისა, რომელიც ასეთ ნარჩენთა სასარ-

გებლო თვისებების აღმომჩენია. მართალია, პატარა, ბოსტნისებურად წარმართულ მიწათმოქმედებაშიც. როგორც, მაგალითად, ლომბარდიაში, სამხრეთ ჩინეთში და იაპონიაში, ადგილი აქვს ასეთი სახის დიდ ეკონომიას. მაგრამ საერთოდ ამ სისტემის პირობებში მიწათმოქმედების მწარმოებლობა იმით გამოისყიდება, რომ გაძლიერებულად იფლანგება ადამიანის სამუშაო ძალა, რომელიც წარმოების სხვა სფეროებს მოწყდება.

ეგრეთწოდებული ნარჩენები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მრეწველობის თითქმის ყოველ დარგში. ასე, მაგალითად, 1863 წლის დეკემბრის საფაბრიკო ანგარიშში, როგორც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომაა, რომ ფერმერები ინგლისში და ირლანდიის ბევრ ნაწილში უხალისოდ და იშვიათად ჰკიდებენ ხელს სელის კულტურას, შემდეგი გარემოებაა აღნიშნული: «დიდი ნარჩენი... რომელიც წყლის ძალით მომუშავე პატარა საძენძავ ფაბრიკებში (scutch mills) სელის დამზადებას ახლავს... ბამბის ნარჩენი შედარებით მცირეა, ხოლო სელისა კი — ძალიან დიდი. სამუშაოს კარგად დაყენებას დალბობისა და მექანიკური ძენძვის დროს შეუძლია ეს ზარალი შეამციროს... ირლანდიაში სელის ძენძვა ხშირად უაღრესად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს, ასე რომ პროდუქტის 28 — 30% იკარგება»; ყოველივე ამის თავიდან აცილება კი შეიძლებოდა უკეთესი მანქანების გამოყენების გზით. ამასთან, ისე ბევრი ნაწეწი ცვივის, რომ ფაბრიკის ინსპექტორი ამბობს: «ირლანდიის ზოგიერთი საძენძავი ფაბრიკის შესახებ მე მაცნობეს, რომ იქ წარმოქმნილი ნარჩენები მძენძავებს ხშირად შინ მიჰქონდათ და თავიანთ ღუმელებში საწვავად ხმარობდნენ, მაშინ როდესაც ეს მასალა ძალიან ძვირფასია» (იქვე, გვ. 139, 140). ბამბის ნარჩენების შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, სადაც ნედლეულის ფასების რყევას შევეხებით.

მატყლის მრეწველობა უფრო კეთილგონივრული იყო, ვიდრე სელის დამზადების მრეწველობა. «წინათ ჩვეულებრივ საძრახისად მიაჩნდათ მატყლის ნარჩენებისა და შალის ძონძების მოგროვება ხელახლა გადასამუშავებლად, მაგრამ ეს ცრურწმენა სავსებით გაჰქრა shoddy trade-ის (ხელოვნური მატყლის წარმოებასთან) დაკავშირებით, რომელიც იორკშირის ოლქის მატყლის მრეწველობის მნიშვნელოვან დარგად გადაიქცა; ეჭვს გარეშეა, რომ ბამბის ნარჩენების გადამმუშავებელი საწარმონიც მალე იმავე ადგილს დაიჭერენ წარმოების იმ დარგის სახით, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. 30 წლის წინათ შალის ძონძები, ე. ი.

წმინდა მატყლის ქსოვილთა ნაჭრები და სხვ. ტონა საშუალოდ დაახლოებით 4 გირვ. სტერლ. და 4 შილინგი ღირდა; ამ უკანასკნელ წლებში მათი ფასი ტონაზე 44 გირვ. სტერლ. გახდა. ამასთან მოთხოვნა იმდენად გაიზარდა, რომ მატყლისა და ბამბის ნარევ ქსოვილებსაც იყენებენ, რადგან გამონახულია საშუალება ბამბის დასაშლელად ისე, რომ მატყლმა ზიანი არ განიცადოს; და ამჟამად ათასობით მუშა დასაქმებულია shoddy-ს [ხელოვნური მატყლის] დამზადებაზე, და მომხმარებელს აქედან დიდი სარგებლობა აქვს, რადგან მას ახლა საშუალო ხარისხის კარგი მაუდი შეუძლია იყიდოს ძალიან ზომიერ ფასებში» («Reports of Insp. of Fact., October 1863», გვ. 107). ასე ალდგენილი ხელოვნური მატყლი უკვე 1862 წლის ბოლოს ინგლისის მრეწველობის მიერ მატყლის მთელი მოხმარების ერთ მესამედს შეადგენდა («Reports of Insp. of Fact., October 1862», გვ. 81). «მომხმარებლის» «დიდი სარგებლობა» იმაში მდგომარეობს, რომ შალის ტანისამოსი მას ახლა წინანდელთან შედარებით სამჯერ უფრო ჩქარა უცვდება და ექვსჯერ უფრო ჩქარა ერღვევა.

ინგლისის აბრეშუმის მრეწველობა იმავე დაქანებული გზით მოძრაობდა. 1839 წლიდან 1862 წლამდე ნატურალური ნედლი აბრეშუმის მოხმარება ცოტათი შემცირდა, აბრეშუმის ნარჩენებისა კი — გაორკეცდა. გაუმჯობესებული მანქანების საშუალებით შესაძლებელი გახდა ამ, სხვა პირობებში საკმაოდ მცირეფასეული, მასალიდან ბევრი სხვადასხვა მიზნისთვის გამოსაყენებელი აბრეშუმის ქსოვილის დამზადება.

ნარჩენების გამოყენების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს იძლევა ქიმიური მრეწველობა. იგი ხმარობს არა მარტო თავის საკუთარ ნარჩენებს, რომლებისთვისაც ახალ-ახალ გამოყენებას პოულობს, არამედ მრეწველობის მრავალგვარი სხვადასხვა დარგის ნარჩენებსაც, და აქცევს, მაგალითად, წინათ სრულიად გამოუსადეგარი ქვანახშირის ფისს ანილინის საღებავად, ენდროს საღებავად (ალიზარინად), სულ უკანასკნელ დროს კი — მედიკამენტებადაც.

წარმოების ექსკრემენტის ამ ეკონომიისგან, რომელიც მისი ხელახალი გამოყენების გზით მიიღება, უნდა გავარჩიოთ ეკონომია ნარჩენების წარმოქმნისას, ე. ი. წარმოების ექსკრემენტის დაყვანა მის მინიმუმზე და წარმოებაში შემავალი ყველა ნედლეულისა და დამხმარე მასალის უშუალო მაქსიმალური გამოყენება.

ნარჩენების დაზოგვა გაპირობებულია ნაწილობრივ გამოყენებული მანქანების კარგი ხარისხით. ზეთი, საპონი და სხვ. მით უფრო

დაიზოგება, რაც უფრო ზუსტად მუშაობენ მანქანების ცალკეული ნაწილები და რაც უფრო გაპრიალებულია ისინი. ეს შეეხება დამხმარე მასალებს. მაგრამ ნაწილობრივ — და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია — გამოყენებული მანქანებისა და სამუშაო იარაღების ხარისხზეა დამოკიდებული, ნედლეულის მეტი ნაწილი იქცევა წარმოების პროცესში ნარჩენად თუ ნაკლები. დასასრულ, ეს თვით ნედლეულის ხარისხზეცაა დამოკიდებული, ეს უკანასკნელი თავის მხრივ დამოკიდებულია მომპოვებელი მრეწველობისა და მიწათმოქმედების განვითარებაზე, რომლებიც ნედლეულს აწარმოებენ (კულტურის წარმატებაზე სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით), ნაწილობრივაც — იმ პროცესების განვითარების დონეზე, რომლებსაც გაივლის ნედლი მასალა გადამამუშავებელ მრეწველობაში შესვლამდე.

«პარმანტიემ დაამტკიცა, რომ არც ისე ძალიან შორეული ეპოქის შემდეგ, მაგალითად, ლუი XIV-ს დროის შემდეგ, მარცვლეულის დაფქვის ხერხი შესამჩნევად გაუმჯობესდა საფრანგეთში, ასე რომ ახალი წისქვილები, ძველებთან შედარებით, იმავე რაოდენობის მარცვლეულიდან ნახევრამდე მეტ პურს იძლევიან. მართლაც, პარიზელის წლიური მოხმარება, რომელსაც თავდაპირველად 4 სეტიე მარცვლეულს ანგარიშობდნენ, შემდეგ — 3-ს, ბოლოს — 2-ს, ამჟამად მხოლოდ 1⅓ სეტიეს, ანუ დაახლოებით 342 გირვანქას შეადგენს სულზე... პერშში, სადაც მე დიდხანს ვცხოვრობდი, ტლანქად აგებული წისქვილები, რომელთაც გრანიტისა და ფილაქნის დოლაბები ჰქონდათ, ამ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში გადაკეთდა ესოდენ წინწასული მექანიკის მოთხოვნათა თანახმად: იქ დადგეს ლა ფერტეს კარგი დოლაბები, დაიწყეს მარცვლეულის ორჯერ ფქვა, წისქვილის საცერს წრისებური მოძრაობა მისცეს და შედეგად იმავე რაოდენობის მარცვლეულიდან ⅙-ით მეტი ფქვილი მიიღება. ამიტომ ჩემთვის ადვილი გასაგებია ის დიდი განსხვავება, რასაც ვხედავთ ჩვენსა და რომაელების მიერ მარცვლეულის ყოველდღიურ მოხმარებაში. ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ იმაშია, რომ დაფქვის ხერხები და პურის მომზადება არაა საკმარისად სრულყოფილი. ამაშივე ვხედავ იმ ღირსშესანიშნავი ფაქტის ახსნასაც, რომელსაც იხსენიებს პლინიუსი, XVIII, თავი 20,2... ფქვილი რომში იყიდებოდა ხარისხის მიხედვით 40, 48 ან 96 ასად მოდიუსი. ეს ფასები, რომლებიც ასე მაღალია იმ დროის ხორბალზე არსებულ ფასებთან შედარებით, აიხსნება წისქვილების მაშინდელი ბავშვური, განუვითარებელი მდგომარეობით და აქედან გამომდინარე დაფქვის მნიშვნელოვანი ხარჯებით» (Dureau de la Malle: «Economie Politique des Romains», Paris 1840, I, გვ. 280 — 281).

V. ეკონომია გამოგონებათა მეოხებით.

ამგვარი დანაზოგი ძირითადი კაპიტალის გამოყენებაში, როგორც ვთქვით, იმის შედეგია, რომ შრომის პირობები დიდი მასშტაბით გამოიყენება, რომ, ერთი სიტყვით, ისინი შეადგენენ უშუალოდ საზოგადოებრივი, განსაზოგადოებული შრომის პირობებს ანუ წარმოების პროცესში უშუალო კოოპერაციის პირობებს. ერთი მხრივ, მხოლოდ ამ პირობით შეიძლება მექანიკურ და ქიმიურ გამოგონებათა გამოყენება საქონლის გაუძვირებლად, ეს უკანასკნელი გარემოება კი არის ყოველთვის conditio sine qua non [აუცილებელი პირობა]. მეორე მხრივ, მხოლოდ დიდი მასშტაბით ორგანიზებული წარმოების დროს არის შესაძლებელი ის ეკონომია, რომელიც საერთო მწარმოებლური მოხმარებიდან გამომდინარეობს. დასასრულ, მხოლოდ კომბინირებული მუშის გამოცდილება აღმოაჩენს და დასანახად ხდის იმას, თუ სად და როგორ უნდა განხორციელდეს ეკონომია, როგორ უნდა განხორციელდეს უმარტივესი წესით უკვე მოხდენილი აღმოჩენანი, რა პრაქტიკული სიძნელენი უნდა გადაილახოს წარმოების პროცესის მიმართ თეორიის გამოყენებისას და სხვ.

შევნიშნავთ გაკვრით, რომ უნდა განვასხვაოთ საყოველთაო შრომა და კოლექტიური შრომა. ერთიც და მეორეც წარმოების პროცესში თავის როლს ასრულებს, ერთი მეორეში გადადის, მაგრამ მათ შორის მაინც არსებობს განსხვავება. საყოველთაო შრომაა ყოველი მეცნიერული შრომა, ყოველი აღმოჩენა, ყოველი გამოგონება. იგი გაპირობებულია ნაწილობრივ თანამედროვეთა კოოპერაციით, ნაწილობრივაც — წინამორბედთა შრომის გამოყენებით. კოლექტიური შრომა კი გულისხმობს ინდივიდთა უშუალო კოოპერაციას.

ყოველივე ზემონათქვამის ახალი დამადასტურებელია ხშირად შემჩნეული შემდეგი გარემოებანი:

1) დიდი განსხვავება ახალი მანქანის თავდაპირველი აგების ხარჯებსა და მისი კვლავწარმოების ხარჯებს შორის, რაზედაც იხილეთ ეურისა და ბებეჯის ნაწერები.

2) ის, რომ ხარჯები, რომლებსაც ახალ აღმოჩენებზე დამყარებული საწარმოს წარმართვა მოითხოვს, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე იმ საწარმოთა ხარჯები, რომელნიც შემდგომ მის ნანგრევებზე, ex suis ossibus-ზე [მის ჩონჩხზე] აღმოცენდებიან. ეს იმდენად სწორია, რომ მეწარმე-ნოვატორები მეტწილად კოტრდებიან და მხოლოდ შემდგომი მეწარმენი, რომელთა ხელში გადადის უფრო იაფად შენობები, მანქა-

ნები და სხვ., განიცდიან აყვავებას. ამიტომაც ადამიანთა გონების საყოველთაო შრომის ყოველი ახალი განვითარებიდან და კომბინირებული შრომის მეოხებით ამ განვითარების საზოგადოებრივი გამოყენებიდან უდიდეა მოგებას უმრავლეს შემთხვევაში სწორედ ფულადი კაპიტალის ყველაზე უმნიშვნელო და უბადრუკი წარმომადგენლები ღებულობენ.

თავი მეექვსე

ფასების ცვლილების გავლენა

I. ნედლეულის ფასების რყევა; მისი უშუალო გავლენა მოგების ნორმაზე.

აქ იგულისხმება, ისევე როგორც აქამდე, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა არავითარ ცვლილებას არ განიცდის. ეს წანამძღვარი საჭიროა, რათა მოცემული შემთხვევა მისი წმინდა სახით გამოვიკვლიოთ. მაგრამ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ, ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას, კაპიტალი მუშათა მზარდ ან კლებად რიცხვს ამუშავებს იმ შეკუმშვისა თუ გაშლის გამო, რომელსაც იწვევს მასში ჩვენ მიერ განსახილველი რყევა ნედლეულის ფასისა. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა ზედმეტი ღირებულების მასას ცვლილება განეცადა ზედმეტი ღირებულების მუდმივი ნორმის არსებობისას. მაგრამ ჩვენ აქ ეს შუალედი შემთხვევაც უნდა გამოვრიცხოთ. თუ მანქანების გაუმჯობესება და ნედლეულის ფასის ცვლილება იმავდროულად ახდენს გავლენას, მოცემული კაპიტალის მიერ დასაქმებულ მუშათა მასაზე იქნება ეს გავლენა, თუ—ხელფასის სიმაღლეზე, მაშინ საჭიროა მხოლოდ ერთიმეორეს შეუპირისპიროთ: 1) გავლენა, რასაც მუდმივი კაპიტალის ცვლილება ახდენს მოგების ნორმაზე, და 2) გავლენა, რასაც ხელფასის ცვლილება ახდენს მოგების ნორმაზე; შედეგი თავისთავად მიიღება.

მაგრამ საერთოდ აქ, როგორც წინა შემთხვევაშიც, უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება: როდესაც ადგილი აქვს ცვლილებებს, მუდმივი კაპიტალის ეკონომიით იქნება ეს ცვლილებები წარმომდგარი თუ ნედლეულის ფასის რყევით, ისინი ყოველთვის გავლენას ახდენენ მოგების ნორმაზე, თუნდაც რომ სრულიად ხელშეუხებლად ტოვებდნენ ხელფასს და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმას და მასასაც. ფორმულაში $m' \frac{v}{C}$ ისინი ცვლიან C სიდიდეს და ამით მთელი წილადის სიდიდესაც. მაშასადამე, აქ, — იმისაგან განსხვავებით, რაც ჩვენ ზედმეტი ღირებულების განხილვისას ვნახეთ, — საკუთარი სულ

ერთია, თუ წარმოების რომელ სფეროში ხდება ეს ცვლილებები, აწარმოებენ ის სამრეწველო დარგები, რომელთაც ეს ცვლილებები შეეხო, საარსებო საშუალებებს მუშებისათვის ან მუდმივ კაპიტალს ამ საარსებო საშუალებათა საწარმოებლად, თუ — არა. აქ განვითარებული ყველა მოსაზრება ძალაშია იმ შემთხვევების მიმართაც, როდესაც ცვლილებები ხდება ფუფუნების საგნების წარმოებაში; ფუფუნების საგნების წარმოებად კი აქ იგულისხმება ყოველი წარმოება, რომელიც სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის აუცილებელი არაა.

ნედლეულს მიეკუთვნება აქ აგრეთვე დამხმარე მასალა, როგორიცაა ინდიგო, ნახშირი, გაზი და სხვ. შემდეგ, რამდენადაც ამ რუბრიკაში მანქანებიც ჩაითვლება, მათი საკუთარი ნედლი მასალა შედგება რკინისგან, ხისგან, ტყავისგან და სხვ. ამიტომ მათი ფასი განიცდის იმ ნედლი მასალის ფასის რყევის გავლენას, რომელიც მათს კონსტრუქციაში შედის. რამდენადაც მათი ფასი მატულობს იმ ნედლი მასალის ფასის რყევის გამო, რომლისგანაც ისინი შედგებიან, ან იმ დამხმარე ნივთიერებათა ფასის რყევის გამო, რომლებიც მათი ექსპლოატაციის დროს მოიხმარება, pro tanto [შესაბამისად] კლებულობს მოგების ნორმაც, და პირიქით.

შემდგომ გამოკვლევაში ნედლეულის ფასის რყევას ჩვენ ვითვალისწინებთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ნედლეული უშუალოდ შედის საქონლის წარმოების პროცესში, და არა იმდენად, რამდენადაც იგი შრომის საშუალებებად მოქმედი მანქანების ნედლეულს ან ამ მანქანების გამოყენებისას დამხმარე მასალას შეადგენს. მხოლოდ აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: ბუნებრივი სიმდიდრე რკინის, ნახშირის, ხეტყის და სხვ. სახით, საერთოდ მანქანების აგებისა და გამოყენებისათვის ამ აუცილებელი მთავარი ელემენტების სახით — აქ გვეჩვენება კაპიტალის ბუნებრივ ნაყოფიერებად და წარმოადგენს მოგების ნორმის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს, ხელფასის მაღალი ან დაბალი დონისაგან დამოუკიდებლად.

რადგან მოგების ნორმა $= \frac{m}{c}$ ანუ $= \frac{m}{c+v}$, ამიტომ ცხადია, რომ ყველაფერი, რაც c-ის და, მაშასადამე, C-ის სიდიდეში ცვლილებას იწვევს, ცვლილებას იწვევს აგრეთვე მოგების ნორმაშიც, — იმ შემთხვევაშიც კი, თუ m და v და მათი ურთიერთშეფარდება უცვლელი რჩება. მაგრამ ნედლეული მუდმივი კაპიტალის მთავარ ნაწილს შეადგენს. მრეწველობის იმ დარგებშიც კი, სადაც არც კი იხმარება ნედლეული ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ნედლეული შედის დამხმარე

მასალის სახით ან როგორც მანქანის შემადგენელი ნაწილი და სხვა., და ამის გამო მისი ფასის რყევა გავლენას ახდენს pro tanto (შესაბამისად) მოგების ნორმაზე. თუ ნედლეულის ფასი კლებულობს ისეთი თანხის რაოდენობით, რომელიც = d, მაშინ $\frac{m}{C}$ ანუ $\frac{m}{c+v}$ იქცევა $\frac{m}{C-d}$-ად ანუ $\frac{m}{(c-d)+v}$-ად. ამიტომ, მოგების ნორმა აიწევს. პირიქით, თუ ნედლი მასალის ფასი აიწევს, მაშინ $\frac{m}{C}$ ანუ $\frac{m}{c+v}$ იქცევა $\frac{m}{C+d}$-ად ანუ $\frac{m}{(c+d)+v}$-ად; ამიტომ მოგების ნორმა დაიწევს. სხვა თანაბარ პირობებში მოგების ნორმის აწევა ან დაწევა წარმოებს პირიქითი მიმართულებით ნედლეულის ფასთან შედარებით. აქედან გამომდინარეობს, სხვათა შორის, ის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სამრეწველო ქვეყნებისთვის ნედლეულზე დაბალი ფასის არსებობა მაშინაც კი, როდესაც ნედლეულის ფასის რყევას სრულიადაც არ ახლავს თან ცვლილება პროდუქტის გაყიდვის სფეროში, ე. ი. თუ სრულიად მხედველობის გარეშე დავტოვებთ მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას. აქედან გამომდინარეობს, შემდეგ, ის, რომ საგარეო ვაჭრობა გავლენას ახდენს მოგების ნორმაზე, ყოველი იმ ზემოქმედებისაგან დამოუკიდებლადაც კი, რასაც ეს ვაჭრობა ხელფასზე ახდენს საარსებო საშუალებათა გაიაფების გზით. იგი გავლენას ახდენს სახელდობრ მრეწველობაში თუ მიწათმოქმედებაში გამოყენებული ნედლეულისა და დამხმარე მასალის ფასებზე. დღემდე არსებული სრულიად არადამაკმაყოფილებელი გაგება მოგების ნორმის ბუნებისა და მისი სპეციფიკური განსხვავებისა ზედმეტი ღირებულების ნორმისაგან არის იმის მიზეზი, რომ ის ეკონომისტები, რომლებიც, ერთი მხრივ, ხაზგასმით აღნიშნავენ ნედლეულის ფასების მნიშვნელოვან, პრაქტიკული გამოცდილებით დადასტურებულ, გავლენას მოგების ნორმაზე, თეორიულად ამას სრულიად შემცდარად ხსნიან (ტ ო რ ე ნ ს ი), მაშინ როდესაც, მეორე მხრივ ის ეკონომისტები, რომლებიც ზოგად პრინციპებს მტკიცედ იცავენ, როგორც რიკარდო, ვერ ამჩნევენ, მაგ., ზსოფლიო ვაჭრობის გავლენას მოგების ნორმაზე.

ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობისათვის ნედლეულზე დაწესებული ბაჟების მოსპობას ან შემცირებას; ამიტომ ამ ნედლეულის შეძლებისამებრ თავისუფალი იმპორტი შეადგენდა უფრო რაციონალურად აგებული განვითარებული მფარველობითი საბაჟო სისტემის ძირითად დებულებას. ხორბლის ბაჟების მოსპობასთან ერთად ეს იყო მთავარი პუნქტი ინგლისელი

ფრიტრედერებისათვის, რომელნიც განსაკუთრებით ზრუნავდნენ ბამ-ბაზე დაწესებული ბაჟების მოსპობისათვის.

იმის მაგალითად, თუ რა მნიშვნელობა აქვს არა საკუთრივ ნედ-ლეულის ფასის დაწევას, არამედ იმ დამხმარე მასალის ფასის დაწევას, რომელიც, რა თქმა უნდა, იმავე დროს კვების მთავარ ელემენტს წარ-მოადგენს, შეიძლება გამოდგეს ფქვილის ხმარება ბამბის მრეწველო-ბაში. უკვე 1837 წელს რ. ჰ. გრეგმა[13] გამოიანგარიშა, რომ დიდი ბრი-ტანეთის ბამბის საფეიქრო მრეწველობაში არსებული 100 000 მექანი-კური და 250 000 ხელით საქსოვი დაზგა 41 მილიონ გირვანქა ფქვილს ხმარობდა ყოველწლიურად ქსელის გასახამებლად. ამას კიდევ უნდა მივუმატოთ აღნიშნული რაოდენობის ერთი მესამედი გათეთრებისა და სხვა პროცესებისათვის. ამგვარად მოხმარებული ფქვილის საერთო ღირებულება იგი უკანასკნელი 10 წლისთვის 342 000 გირვ. სტერ-ლინგის ოდენობით ანგარიშობს წლიურად. კონტინენტზე არსებულ ფქვილის ფასებთან შედარების გზით აღმოჩნდა, რომ ხორბლის ბაჟე-ბის გამო მეფაბრიკენი იძულებულნი იყვნენ მარტო ფქვილის ფასის დანამატად წლიურად 170 000 გირვ. სტერლ. გადაეხადათ. 1837 წლისთვის გრეგი სულ ცოტა 200 000 გირვ. სტერლინგად ანგარიშობს ამ ფასის დანამატს, და აღნიშნავს ერთ ფირმას, რომლისათვის ფქვილის ფასის ეს დანამატი წლიურად 1000 გირვ. სტერლინგს შეადგენდა. ამის გამო «მსხვილი მეფაბრიკენი, თადარი-გიანი და ანგარიშიანი საქმის კაცები, ამტკიცებდნენ, რომ დღიურად 10 საათის მუშაობა სრულიად საკმარისი იქნებოდა, ხორბლის ბაჟები რომ მოსპობილიყო» («Reports of Insp. of Fact., October 1848», გვ. 98). ხორბლის ბაჟები, აგრეთვე ბაჟი ბამბასა და სხვა ნედლეულ-ზეც გაუქმებულია; მაგრამ როგორც კი ეს იქნა მიღწეული, მეფაბრი-კეთა ოპოზიცია ათსაათიანი ბილის წინააღმდეგ უფრო ენერგიული გახდა, ვიდრე ოდესმე. და როდესაც მალე ამის შემდეგ ფაბრიკებში მაინც ათსაათიანი სამუშაო დღე დაკანონდა, მისი პირველი შედეგი ხელფასის საყოველთაო შემცირების ცდა იყო.

ნედლეულისა და დამხმარე მასალის ღირებულება მთლიანად და ერთ-ბაშად შედის პროდუქტის ღირებულებაში, რომლის დასამზადებლა-დაც იგი მოიხმარება, მაშინ როდესაც ძირითადი კაპიტალის ელემენ-ტების ღირებულება პროდუქტზე გადადის მხოლოდ გაცვეთის კვალო-ბაზე, მაშასადამე, მხოლოდ თანდათანობით. აქედან გამომდინარეობს

[13] «The Factory Question and the Ten Hours Bill». By. R. H. Greg. London 1837, გვ. 115.

ის, რომ პროდუქტის ფასს ბევრად უფრო მეტად ეხება ნედლი მასალის ფასი, ვიდრე ძირითადი კაპიტალის ფასი, თუმცა მოგების ნორმა გამოყენებული კაპიტალის ერთობლივი ჯამით განისაზღვრება, სულ ერთია, — მისი დიდი ნაწილი მოიხმარება, თუ — ცოტა. მაგრამ ცხადია, — თუმცა ჩვენ ამას აქ გაკვრით აღვნიშნავთ, რადგან აქ ჯერ კიდევ იმას ვგულისხმობთ, რომ საქონლის გაყიდვა მისი ღირებულების მიხედვით ხდება და, მაშასადამე, კონკურენციით გამოწვეულ ფასების რყევას ჯერ არ ვეხებით, — ცხადია, რომ ბაზრის გაფართოება თუ შეზღუდვა ცალკეული საქონლის ფასზეა დამოკიდებული და პირუკუ შეფარდებაშია ამ ფასის აწევასა თუ დაწევასთან. ამიტომ სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ ნედლეულის ფასის აწევისას ფაბრიკატის ფასი იმავე შეფარდებით არ დიდდება, და ნედლი მასალის ფასის დაწევისას იგი იმავე შეფარდებით არ ეცემა. ამრიგად, მოგების ნორმა ერთ შემთხვევაში უფრო მცირდება და მეორე შემთხვევაში უფრო დიდდება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდებოდა.

შემდეგ: გამოყენებული მანქანების მასა და ღირებულება იზრდება შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებასთან ერთად, მაგრამ არა იმ შეფარდებით, რა შეფარდებითაც ეს ძალა იზრდება, ე. ი. რა შეფარდებითაც ეს მანქანები პროდუქტის გადიდებულ რაოდენობას იძლევიან. ამრიგად, მრეწველობის იმ დარგებში, რომლებშიც საერთოდ ნედლეული შედის, ე. ი. სადაც თვით შრომის საგანი უკვე პროდუქტია ადრინდელი შრომისა, — ამ დარგებში შრომის მწარმოებლური ძალის ზრდა სწორედ იმ შეფარდებით გამოიხატება, რა შეფარდებითაც ნედლეულის უფრო დიდი რაოდენობა ნთქავს შრომის განსაზღვრულ რაოდენობას, — მაშასადამე, ნედლეულის ის მზარდი მასით გამოიხატება, რომელიც, მაგალითად, ერთ სამუშაო საათში პროდუქტად გარდაიქმნება, საქონლად გადამუშავდება. ამრიგად, შრომის მწარმოებლური ძალის განვითარებისდა შესაბამისად ნედლეულის ღირებულება შეადგენს საქონლური პროდუქტის ღირებულების მუდამ მზარდ შემადგენელ ნაწილს, და ეს არა მარტო იმიტომ, რომ იგი მთლიანად შედის ამ პროდუქტის ღირებულებაში, არამედ იმიტომაც. რომ მთელი პროდუქტის თვითეულ ჯერად ნაწილში მუდამ კლებულობს როგორც ის ნაწილი, რომელსაც მანქანების გაცვეთა შეადგენს, ისე ის ნაწილიც, რომელსაც ახლად მიმატებული შრომა ქმნის. ამ კლებადი მოძრაობის გამო შედარებით იზრდება ღირებულების მეორე ნაწილი, რომელსაც ნედლეული შეადგენს, თუკი მხოლოდ

ამ ზრდას არ აბათილებს ნედლეულის ღირებულების სათანადო კლება, რომელიც თვით ამ ნედლეულის დასამზადებლად გამოყენებული შრომის მზარდი ნაყოფიერების შედეგია.

შემდეგ: რადგან ნედლეული და დამხმარე მასალა, სავსებით ისევე როგორც ხელფასი, საბრუნავი კაპიტალის შემადგენელი ნაწილებია, ამიტომ მათი ანაზღაურება მთლიანად უნდა ხდებოდეს პროდუქტის ყოველი ცალკეული გაყიდვით, მაშინ როდესაც მანქანების მხოლოდ გაცვეთა ანაზღაურდება, თანაც ჯერ სარეზერვო ფონდის სახით, — ამასთან ფაქტიურად სრულებით არა აქვს არსებითი მნიშვნელობა იმას, გარკვეული ნაწილი სარეზერვო ფონდად პროდუქტის ყოველი ცალკეული გაყიდვისას — გამოიყოფა თუ არა, მხოლოდ იგულისხმება, რომ მთელი წლიური განაყიდიდან სათანადო წლიური გადარიცხვა ხდება. ამრიგად, აქ კვლავ მეღავნდება ის, თუ როგორ შეუძლია ნედლი მასალის ფასის აწევას შეკვეცოს ან შეაფერხოს კვლავწარმოების მთელი პროცესი იმ შემთხვევაში, როცა საქონლის გაყიდვით მიღებული ფასი საკმარისი არ არის საქონლის ყველა ელემენტის ასანაზღაურებლად, ან როცა ეს ფასი შეუძლებელს ხდის წარმოების პროცესის განგრძობას მისი ტექნიკური საფუძვლის შესაბამისი მასშტაბით, ასე რომ ყოველივე ამის შედეგად ან მხოლოდ ნაწილი მუშაობს მანქანებისა, ანდა ყველა მანქანა მთელი დაწესებული დროის განმავლობაში ვერ მუშაობს.

დასასრულ, ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებული ხარჯები იცვლება პირდაპირი შეფარდებით ნედლეულის ფასის რყევასთან: იგი მატულობს, როცა ეს ფასი აიწევს, და კლებულობს, როცა ის დაიწევს. მაგრამ აქაც არსებობს გარკვეული საზღვარი. ჯერ კიდევ 1850 წელს იყო დაწერილი შემდეგი სტრიქონები: «ნედლეულის ფასის აწევით გამოწვეული დანაკარგის ერთ-ერთ წყაროს, სახელდობრ ნარჩენების გამო წარმომდგარ დანაკარგს, ძნელად თუ შეამჩნევს ის, ვინც მრთველი-პრაქტიკოსი არ არის. მე მატყობინებენ, რომ ბამბის ფასის აწევისას მრთველის ხარჯები, განსაკუთრებით დაბალი ხარისხის ნართის დამზადებისას, უფრო მეტი პროპორციით იზრდება, ვიდრე გადახდილი ფასის წანამატი უჩვენებს. ტლანქი ნართის რთვისას ნარჩენი 15%-ზე მეტს შეადგენს; მაშასადამე, თუ ეს ნორმა, როდესაც ბამბის ფასი $3^1/_2$ პენსია, გირვანქაზე $^1/_2$ პენის დანაკარგს იწვევს, იგი 1 პენამდე ადიდებს დანაკარგს გირვანქაზე, როგორც კი გირვანქა ბამბის ფასი 7 პენსზე ადის» («Reports of Insp. of Fact., April 1850», გვ. 17). მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც ამერიკის სამოქალაქო ომის გამო ბამბის ფასი

ისეთ სიმაღლეზე ავიდა, რაც არავის მოსწრებია მთელი 100 წლის განმავლობაში, ანგარიშში სულ სხვა რამეს ვპოულობთ: «ის ფასი, რასაც ამჟამად ბამბის ნარჩენში იძლევიან, და ნარჩენის ხელახლა გამოყენება ფაბრიკაში ნედლეულის სახით, რამდენადმე ანაზღაურებს იმ განსხვავებას ნარჩენების დანაკარგში, რომელიც ამერიკული ბამბის ნაცვლად ინდოეთის ბამბის ხმარებისას მიიღება. ეს განსხვავება დაახლოებით 12½%-ს შეადგენს. დანაკარგი ინდოეთის ბამბის გადამუშავებისას 25%-ია, ასე რომ მრთველს ბამბა ნამდვილად ¼-ით მეტი უღირს, ვიდრე იგი მასში იხდის. ნარჩენებით გამოწვეული დანაკარგი ასე ვნიშვნელოვანი არ იყო, როცა ამერიკის ბამბა გირვანქა 5 ან 6 პენსად ფასობდა, რადგან დანაკარგი გირვანქაზე ¾-პენს არ აღემატებოდა; მაგრამ იგი ფრიად ნნიშვნელოვანია ახლა, როცა გირვანქა ბამბა 2 შილინგი ღირს და, მაშასადამე, ნარჩენით გამოწვეული დანაკარგი 6 პენსს შეადგენს»[14] («Reports of Insp. of Fact.,October 1863», გვ. 106).

II. კაპიტალის ღირებულების მატება და კლება, კაპიტალის განთავისუფლება და შეგროვება.

ის მოვლენები, რომლებსაც ჩვენ ამ თავში ვიკვლევთ, გულისხმობენ, რომ მათი განვითარება მოითხოვს კრედიტის არსებობას და კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე; მსოფლიო ბაზარი კი საერთოდ კაპიტალისტური წარმოების წესის ბაზისს და სასიცოცხლო ატმოსფეროს შეადგენს. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების ამ კონკრეტული ფორმების ამომწურავად გამოკვლევა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როცა კაპიტალის ზოგადი ბუნება გარკვეული იქნება; ამასთან ასეთი გამოკვლევა ჩვენი შრომის გეგმაში არ შედის და იგი უნდა განეკუთვნოს იმ თემას, რომელიც შეიძლება ამ შრომის გაგრძელებას შეადგენდეს. მიუხედავად ამისა, შეიძლება მაინც ამ განყოფილების სათაურში აღნიშნული მოვლენები აქ ზოგადად განვიხილოთ. მათ, უწინარეს ყოვლისა, ერთმანეთთან აქვთ კავშირი და, შემდეგ — როგორც

[14] ანგარიშის ბოლო წინადადებაში დაშვებულია შეცდომა. ნაცვლად 6 პენსი დანაკარგისა, რომელიც გამოწვეულია ნარჩენით, უნდა ეწეროს 3 პენსი. ეს დანაკარგი ინდოეთის ბამბის გადამუშავებისას შეადგენს 25%-ს, მაგრამ ამერიკის ბამბისთვის ეთანატოლება მხოლოდ 12½ — 15%-ს, და აქ კი ბამბაზეა ლაპარაკი; ამასთან ზემოთ, 5-6 პენსი ფასის მიმართ, იგივე პროცენტი სწორადაა გამოანგარიშებული. უნდა ითქვას, რომ ამერიკის ბამბისთვისაც, რომელიც სამოქალაქო ომის უკანასკნელი წლების განმავლობაში შემოდიოდა ევროპაში, ნარჩენის წილი ხშირად მეტი იყო, ვიდრე უწინ. — ფ. ე.

მოგების ნორმასთან, ისე მოგების მასასთან. აქ მათი მოკლედ განხილვა უკვე იმიტომაცაა აუცილებელი, რომ ისინი ქმნიან ილუზიას, თითქოს არათუ მოგების ნორმა, არამედ მოგების მასაც, — რაც სინამდვილეში ზედმეტი ღირებულების მასის იდენტურია, — შეიძლება ზედმეტი ღირებულების მასისა თუ ნორმის მოძრაობისაგან დამოუკიდებლად კლებულობდეს და მატულობდეს.

შეიძლება თუ არა კაპიტალის განთავისუფლება და შებოჭვა, ერთი მხრივ, და მისი ღირებულების მატება და კლება, მეორე მხრივ, განვიხილოთ როგორც სხვადასხვა მოვლენები?

უწინარეს ყოვლისა, საკითხავია: რას ვგულისხმობთ ჩვენ კაპიტალის განთავისუფლებად და შებოჭვად? ღირებულების მატება და ღირებულების კლება თავისთავად გასაგები მოვლენებია. ისინი მხოლოდ იმას ნიშნავენ, რომ არსებული კაპიტალის ღირებულება რაიმე ზოგად ეკონომიურ გარემოებათა გამო — რადგან აქ ამა თუ იმ ცალკეული კაპიტალის განსაკუთრებულ ბედიღბალზე როდია ლაპარაკი — დიდდება ან მცირდება, რომ, მაშასადამე, წარმოებისთვის ავანსებული კაპიტალის ღირებულება მატულობს ან კლებულობს დამოუკიდებლად მისი ღირებულების ზრდისაგან იმ ზედმეტი შრომის მეოხებით, რომელსაც კაპიტალი იყენებს.

კაპიტალის შებოჭვა ჩვენ გვესმის როგორც პროდუქტის მთელი ღირებულების განსაზღვრული ნაწილების ხელახლა უკუგარდაქმნა მუდმივი თუ ცვალებადი კაპიტალის ელემენტებად, რათა შესაძლებელი იყოს წინანდელი მასშტაბით წარმოების განგრძობა. როცა კაპიტალის განთავისუფლებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ პროდუქტის მთელი ღირებულების ნაწილი, რომელიც აქამდე მუდმივ ან ცვალებად კაპიტალად უნდა გარდაქმნილიყო, თავისუფალი და ზედმეტი ხდება, თუკი წარმოება წინანდელი მასშტაბით უნდა გაგრძელდეს. კაპიტალის ეს განთავისუფლება ან შებოჭვა განსხვავდება შემოსავლის განთავისუფლებისა ან შებოჭვისაგან. თუ წლიური ზედმეტი ღირებულება C კაპიტალისთვის, მაგალითად, x უდრის, მაშინ შესაძლებელია, კაპიტალისტის მოხმარებაში შემავალ საქონელთა გაიაფების გამო, $x - a$ საკმარისი იყოს მოთხოვნილებათა იმავე მასის დასაკმაყოფილებლად, როგორც უწინ. მაშასადამე, შემოსავლის ერთი ნაწილი $= a$ თავისუფლდება და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ან მოხმარების გადიდებისათვის ანდა კაპიტალად უკუგარდაქმნისათვის (დაგროვებისათვის), პირიქით: თუ $x + a$ საჭიროა წინანდელი ცხოვრების

წესის განსაგრძობად, მაშინ ან ეს ცხოვრების წესი უნდა შეიზღუდოს, ან შემოსავლის ნაწილი = a, რომელიც წინათ გროვდებოდა, ახლა უნდა დაიხარჯოს როგორც შემოსავალი.

ღირებულების გადიდება ან შემცირება შეიძლება შეეხოს ან მუდმივს, ან ცვალებად კაპიტალს, ანდა ერთსაც და მეორესაც, ამასთან მუდმივი კაპიტალის მიმართ იგი შეიძლება კვლავ შეეხოს ან ძირითადს, ან საბრუნავ ნაწილს, ანდა ორივეს ერთად.

მუდმივი კაპიტალის შედგენილობაში უნდა განვიხილოთ: ნედლეული და დამხმარე მასალა, რასაც მიეკუთვნება ნახევარფაბრიკატებიც, რომელთაც ჩვენ აქ ნედლი მასალის სახელწოდებით ვაერთიანებთ, და მანქანები და სხვა ძირითადი კაპიტალი.

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ სახელდობრ ნედლეულის ფასის, resp. [შესაბამისად] ღირებულების ცვლილება იმ გავლენასთან დაკავშირებით, რასაც ის მოგების ნორმაზე ახდენს, და ის ზოგადი კანონი ჩამოვაყალიბეთ, რომ სხვა თანაბარ პირობებში მოგების ნორმა პირუკუ შეფარდებაშია ნედლეულის ღირებულების სიდიდესთან. ეს უცილობლად მართებულია იმ კაპიტალის მიმართ, რომელიც ახლად შეიტანება საწარმოში, ე. ი. როდესაც პირველად ხდება კაპიტალის დაბანდება, ფულის გარდაქმნა მწარმოებლურ კაპიტალად.

მაგრამ ამ ახალ დაბანდებაში შემავალი კაპიტალისაგან დამოუკიდებლადაც, უკვე მოქმედი კაპიტალის დიდი ნაწილი მიმოქცევის სფეროში იმყოფება, მაშინ როდესაც მისი მეორე ნაწილი წარმოების სფეროშია. ერთი ნაწილი საქონლის სახით ბაზარზე იმყოფება და ფულად უნდა გარდაიქმნას; მეორე ნაწილი, როგორი ფორმისაც არ უნდა იყოს იგი, არსებობს ფულის სახით და უნდა უკუგარდაიქმნას წარმოების პირობებად; დასასრულ, მესამე ნაწილი წარმოების სფეროში იმყოფება, ნაწილობრივ წარმოების საშუალებათა — ნედლეულის, დამხმარე მასალის, ბაზარზე ნაყიდი ნახევარფაბრიკატების, მანქანებისა და სხვა ძირითადი კაპიტალის თავდაპირველი ფორმით, ნაწილობრივ ჯერ კიდევ დამზადების პროცესში მყოფი პროდუქტის სახით. თუ როგორ მოქმედებს აქ ღირებულების გადიდება ან შემცირება, ეს დიდად არის დამოკიდებული ამ შემადგენელ ნაწილების თანაფარდობაზე. საკითხის გამარტივებისათვის ჩვენ ჯერჯერობით მხედველობაში არ ვიღებთ მთელ ძირითად კაპიტალს და განვიხილავთ მთელი მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც ნედლეულის, დამხმარე მასალის, ნახევარფაბრიკატების და დამზადების პროცესში მყოფი საქონლისა ან ბაზარზე გატანილი მზა საქონლისაგან შედგება.

თუ ნედლეულის, მაგალითად, ბამბის, ფასმა აიწია, — აიწევს ბამბეულ საქონელთა — ნახევარფაბრიკატების, როგორიცაა ნართი, და მზა საქონელთა, როგორიცაა ქსოვილი და სხვ. — ფასიც, რომლებიც უფრო იაფი ბამბიდანაა დამზადებული; ასევე აიწევს ღირებულება როგორც ჯერ კიდევ გადაუმუშავებელი, საწყობში დალაგებული, ბამბისა, ისე გადამუშავების პროცესში მყოფისაც. უკანასკნელი, — რადგან იგი შეცვლილი პირობების უკუმოქმედების გზით მეტი სამუშაო დროის გამოსახულებად იქცევა, — პროდუქტს, რომელშიაც შემადგენელ ნაწილად შედის, უფრო დიდ ღირებულებას მატებს, ვიდრე თვით მას ჰქონდა თავდაპირველად და ვიდრე მასში კაპიტალისტმა გადაიხადა.

ამრიგად, თუ ნედლეულის ფასის აწევასთან ერთად ბაზარზე მზა საქონლის მნიშვნელოვანი მასა არსებობს, — სულ ერთია, დამუშავების რომელ საფეხურზეა ეს საქონელი,—მისი ღირებულება გადიდდება და ამით მოიმატებს არსებული კაპიტალის ღირებულებაც. იგივე ითქმის ჭარმოებელთა ხელში მყოფი ნედლეულის და სხვ. მარაგის შესახებ. ამ ღირებულების მატებამ ცალკეულ კაპიტალისტს ან წარმოების მთელი სფეროს კაპიტალისტებსაც კი შეიძლება აუნაზღაუროს და გადაფაროს კიდევაც მოგების ნორმის ის დაწევა, რომელიც გამოწვეულია ნედლეულის ფასის აწევით. ჩვენ აქ კონკურენციის გავლენის დეტალებს არ ვეხებით, მაგრამ მაინც, სისრულისათვის, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ: 1) თუ საწყობებში არსებული ნედლეულის მარაგი მნიშვნელოვანია, იგი მოქმედებს ნედლი მასალის წარმოების კერასთან წარმომდგარი ფასის აწევის წინააღმდეგ; 2) თუ ბაზარზე არსებული ნახევარფაბრიკატი ან მზა საქონელი ამ ბაზარს ძალიან ამძიმებს, იგი აბრკოლებს მზა საქონლისა და ნახევარფაბრიკატის ფასის მატებას მათი ნედლეულის ფასის შესაბამისად.

პირიქით ხდება ნედლი მასალის ფასის დაცემისას, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, მოგების ნორმის გადიდებას იწვევს. ბაზარზე არსებული საქონელი, ჯერ კიდევ დამზადების პროცესში მყოფი საგნები, ნედლეულის მარაგი უფასურდება და ამით იმავდროულად მოგების ნორმის გადიდების წინააღმდეგ მოქმედებს.

რაც უფრო ნაკლებად მოიპოვება წარმოების სფეროში და ბაზარზე მარაგი, მაგალითად, საოპერაციო წლის ბოლოს, იმ დროს, როცა ნედლეულის ხელახალი მიწოდება დიდი რაოდენობით ხდება, — მაშასადამე, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის მოსავლის აღების შემ-

დეგ. — მით უფრო წმინდა სახით ვლინდება ნედლეულის ფასების ცვლილების გავლენა.

მთელ ჩვენს გამოკვლევაში იმ წანამძღვარიდან გამოვდივართ, რომ ფასების აწევა ან დაწევა ღირებულების ნამდვილი რყევის გამოსახულებას წარმოადგენს. მაგრამ რადგან აქ ლაპარაკია იმ გავლენაზე, რასაც ახდენს ფასების ეს რყევა მოგების ნორმაზე, ამიტომ თვით ამ რყევის წყაროს სინამდვილეში მნიშვნელობა არა აქვს. მაშასადამე, აქ განვითარებული დასკვნები ძალაში რჩება იმ შემთხვევაშიც, როცა ფასები აიწევს და დაიწევს არა ღირებულების რყევის გამო, არამედ საკრედიტო სისტემის, კონკურენციისა და სხვ. ზემოქმედების გამო.

რადგან მოგების ნორმა უდრის პროდუქტის ღირებულების ნამეტის შეფარდებას ავანსებული მთელი კაპიტალის ღირებულებასთან, ამიტომ ავანსებული კაპიტალის გაუფასურებით გამოწვეული მოგების ნორმის გადიდება — რაც სწორედ ისევეა დაკავშირებული კაპიტალ-ღირებულების დანაკარგთან, როგორც ავანსებული კაპიტალის ღირებულების გადიდებით გამოწვეული მოგების შემცირება, — შეიძლება დაკავშირებული იყოს მოგებასთან.

რაც შეეხება მუდმივი კაპიტალის მეორე ნაწილს, მანქანებს და საერთოდ ძირითად კაპიტალს, — ღირებულების ის გადიდება, რასაც აქ ადგილი აქვს და რაც სახელდობრ შენობებს, მიწას და სხვ. შეეხება, ვერ გადმოიცემა უშუალოდ, თუ განხილული არ იქნა მოძღვრება მიწის რენტის შესახებ, და ამიტომ იგი არ არის აქ გასარკვევი. კაპიტალის ამ ნაწილის გაუფასურებისათვის კი ზოგადი მნიშვნელობისაა შემდეგი მიზეზები:

მუდმივი გაუმჯობესებანი, რომელთა გამოც არსებულ მანქანებს, საფაბრიკო მოწყობილობას და სხვ. ეკარგებათ შეფარდებით თავიანთი სახმარი ღირებულება და, მაშასადამე, თავიანთი ღირებულებაც. ეს პროცესი განსაკუთრებით ძლიერად მოქმედებს ახალი მანქანების შემოღების პირველ პერიოდში, როდესაც მანქანებს ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ მომწიფების განსაზღვრულ დონემდე და ამიტომ უფრო ადრე აღმოჩნდებიან მოძველებული, ვიდრე თავიანთი ღირებულების კვლავწარმოებას მოასწრებდნენ. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი ასეთი ეპოქებისათვის ჩვეულებრივი სამუშაო დროის უზომო გაგრძელებისა, დღე-ღამის განმავლობაში ცვლების განუწყვეტელი მუშაობისა, რომლის მიზანია რაც შეიძლება მოკლე პერიოდში მანქანათა ღირებულების კვლავწარმოება ისე, რომ მათი გაცვეთისათვის ანარიცხები დიდ თან-

ხას არ შეადგენდეს. თუ მანქანების მოქმედების მოკლე პერიოდი (მათი სიცოცხლის მოკლე ვადა მოსალოდნელ გაუმჯობესებათა გამო) ამგვარად არ იქნება კომპენსირებული, მაშინ მანქანათა მორალური გაცვეთის გამო პროდუქტზე გადავა მათი ღირებულების იმდენად დიდი ნაწილი, რომ ისინი ხელით შესრულებულ შრომასაც კი ვერ გაუწევენ კონკურენციას [15].

თუ მანქანებმა, შენობების ტიპმა, საერთოდ ძირითადმა კაპიტალმა გარკვეულ სიმწიფეს მიაღწია, ასე რომ უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის იგი, თავისი ძირითადი კონსტრუქციის მიხედვით მაინც, უცვლელი რჩება, მაშინ ასეთივე გაუფასურება ხდება ამ ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოების მეთოდების გაუმჯობესებათა გამო. მანქანების და სხვ. ღირებულება ახლა ეცემა არა იმიტომ, რომ მათი სწრაფად განდევნა ან გარკვეულ დონემდე გაუფასურება ხდება ახალი, უფრო დიდი წარმადობის მქონე მანქანების მიერ, არამედ იმიტომ, რომ ახლა უფრო იაფად შეიძლება მათი კვლავწარმოება. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ხდება, რომ მსხვილი საწარმო ხშირად მხოლოდ მეორეს ხელში განიცდის აყვავებას მას შემდეგ, რაც პირველი მეპატრონე გაკოტრდება, ხოლო მეორე, რომელმაც ეს საწარმო იაფად შეისყიდა, იმთავითვე ნაკლები კაპიტალის დახარჯვით იწყებს თავის წარმოებას.

მიწათმოქმედებაში განსაკუთრებით ბევცემა თვალში, რომ იგივე მიზეზები, რომლებიც პროდუქტის ფასს ადიდებენ ან ამცირებენ, კაპიტალის ღირებულებასაც ადიდებენ ან ამცირებენ, რადგან თვით ეს კაპიტალი მეტწილად იმავე პროდუქტისაგან, ხორბლისგან, პირუტყვისაგან და სხვ. შედგება (რ ი კ ა რ დ ო).

საჭირო იქნებოდა შევჩერებულიყავით ცვალებად კაპიტალზეც.

ოაკი სამუშაო ძალის ღირებულება დიდდება იმიტომ, რომ მისი კვლავწარმოებისათვის საჭირო საარსებო საშუალებათა ღირებულება მატულობს ან, პირიქით, იგი მცირდება, რადგან ამ საარსებო საშუალებათა ღირებულება კლებულობს, — და ცვალებადი კაპიტალის ღირებულების მატება და კლება სხვას არას გამოხატავს, გარდა ამ ორი

[15] ამის მაგალითები იხ. სხვათა შორის ბებჯთან. ჩვეულებრივი საშუალება — ხელფასის შემცირება — აქაც გამოიყენება, და ამრიგად ეს განუწყვეტელი გაუფასურება სულ სხვაგვარად მოქმედებს, ვიდრე ამაზე ბ-ნი კ ე რ ი ს ჰარმონიული გონება ოცნებობს.

შემთხვევისა, — ამიტომ, სამუშაო დღის ხანგრძლიობის უცვლელობისას, ღირებულების ამ მატებას შეესაბამება ზედმეტი ღირებულების შემცირება და ღირებულების ამ კლებას — ზედმეტი ღირებულების გადიდება. მაგრამ ამასთან იმავე დროს შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვა გარემოებანიც — კაპიტალის განთავისუფლება და შებოჭვა, — რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოგვიკვლევია და რომლებიც ახლა მოკლედ უნდა განვიხილოთ.

თუ სამუშაო ძალის ღირებულების დაცემის გამო ხელფასი მცირდება (რასთანაც შეიძლება დაკავშირებული იყოს შრომის რეალური ფასის გადიდებაც კი) ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფლდება კაპიტალის ერთი ნაწილი, რომელიც აქამდე ხელფასად იხარჯებოდა. ხდება ცვალებადი კაპიტალის განთავისუფლება. ახლად დაბანდებულ კაპიტალზე ამას მხოლოდ ის გავლენა აქვს, რომ ეს კაპიტალი ზედმეტი ღირებულების გადიდებული ნორმით მუშაობს. წინანდელთან შედარებით ფულის ნაკლებ რაოდენობას ახლა ბოძრაობაში მოჰყავს შრომის იგივე რაოდენობა და ამრიგად შრომის გადაუხდელი ნაწილი მატულობს გადახდილის ხარჯზე. მაგრამ კაპიტალისათვის, რომელიც აქამდე საქმეში იყო დაბანდებული, არა მარტო მატულობს ზედმეტი ღირებულების ნორმა, არამედ, გარდა ამისა, თავისუფლდება იმ კაპიტალის ნაწილი, რომელიც აქამდე ხელფასზე იხარჯებოდა. აქამდე იგი შებოჭვილი იყო და შეადგენდა მუდმივ ნაწილს, რომელიც პროდუქტის გაყიდვით მიღებული ბონანგებიდან გამოცალკევდებოდა და უნდა დახარჯულიყო ხელფასზე, უნდა ამოქმედებულიყო როგორც ცვალებადი კაპიტალი, რათა საწარმოს წინანდელი მასშტაბით განეგრძო მსვლელობა. ახლა კაპიტალის ეს ნაწილი თავისუფლდება და, მაშასადამე, შეიძლება გამოყენებულ იქნეს კაპიტალის ახალი დაბანდების სახით, ან იმავე საწარმოს გასაფართოებლად, ანდა წარმოების სხვა სფეროში ასამოქმედებლად.

ვთქვათ, მაგალითად, თავდაპირველად 500 გირვ. სტერლინგი იყო საჭირო კვირაში 500 მუშის შრომის გამოსაყენებლად, ახლა კი ამ მიზნისათვის საჭიროა მხოლოდ 400 გირვან. სტერლინგი. თუ წარმოებული ღირებულების მასა ორივე შემთხვევაში = 1000 გირვ. სტერლინგს, მაშინ კვირეული ზედმეტი ღირებულების მასა პირველ შემთხვევაში = 500 გირვ. სტერლ. და ზედმეტი ღირებულების ნორმა $\frac{500}{500} = 100\%$; ხელფასის დაწევის შემდეგ კი ზედმეტი ღირებულების მასა 1000 გირვ. სტერლ. — 400 გირვ სტერლ. = 600 გირვ. სტერლ.

და მისი ნორმა $\frac{600}{400} = 150\%$. ზედმეტი ღირებულების ნორმის ეს გადიდება კი ერთადერთი შედეგია იმისთვის, ვინც 400 გირვ. სტერლ. ცვალებადი კაპიტალით და შესაბამისი მუდმივი კაპიტალით ახალ საწარმოს აწყობს წარმოების იმავე სფეროში. უკვე მოქმედ საწარმოში კი ამ შემთხვევაში ცვალებადი კაპიტალის გაუფასურების გამო არა მარტო ზედმეტი ღირებულების მასა დიდდება 500-დან 600 გირვ. სტერლინგამდე და ზედმეტი ღირებულების ნორმა 100%-დან 150%-დე, არამედ, გარდა ამისა, თავისუფლდება 100 გირვ. სტერლინგი ცვალებადი კაპიტალი, რომლითაც კვლავ შესაძლებელია შრომის ექსპლოატაცია. მაშასადამე, არა მარტო შრომის იმავე რაოდენობის ექსპლოატაცია წარმოებს უფრო ხელსაყრელად, არამედ ამ 100 გირვ. სტერლინგის განთავისუფლების გამო იმავე 500 გირვ. სტერლ. ცვალებადი კაპიტალით წინანდელზე მეტი მუშის ექსპლოატაციაა შესაძლებელი ექსპლოატაციის უფრო მაღალი ნორმის პირობებში.

ახლა ავიღოთ პირიქითი შემთხვევა. ვთქვათ, როცა 500 მუშა არის დასაქმებული, პროდუქტი თავდაპირველად ასეთი შეფარდებით განაწილდება: $400_v + 600_m = 1000$, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა $= 150\%$. ამრიგად, მუშა აქ იღებს კვირაში $^4/_5$ გირვ. სტერლ. $= 16$ შილინგს. თუ ახლა ცვალებადი კაპიტალის ღირებულების გადიდების გამო 500 მუშა კვირაში 500 გირვ. სტერლ. ღირს, მაშინ ყოველი ცალკეული მუშის კვირეული ხელფასი იქნება 1 გირვ. სტერლ., და 400 გირვ. სტერლინგით მხოლოდ 400 მუშის ამოქმედება შეიძლება. მაშასადამე, თუ მუშების უწინდელი რაოდენობა იმოქმედებს, — ჩვენ გვექნება $500_v + 500_m = 1000$; ზედმეტი ღირებულების ნორმა 150%-დან დაიწევდა 100%-დე, ე. ი. $^1/_3$-ით. ახლად დასაბანდებელი კაპიტალისთვის ერთადერთი შედეგი იქნებოდა ზედმეტი ღირებულების ნორმის ეს შემცირება. სხვა თანაბარ პირობებში მოგების ნორმაც სათანადოდ დაიწევდა, თუმცა არა იმავე შეფარდებით. თუ, მაგალითად, $c = 2000$, მაშინ ერთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს

$2000_c + 400_v + 600_m = 3000$; $m' = 150\%$, $p' = \frac{600}{2400} = 25\%$. მეორე

შემთხვევაში $2000_c + 500_v + 500_m = 3000$; $m' = 100\%$, $p' = \frac{500}{2500} = 20\%$.

პირიქით, უკვე დაბანდებული კაპიტალისთვის შედეგი ორგვარი იქნებოდა. 400 გირვ. სტერლ. ცვალებადი კაპიტალით ახლა მხოლოდ 400 მუშის გამოყენება შეიძლება საქმეში და ამასთან — ზედმეტი

ღირებულების 100%-ის ნორმით. მაშასადამე, მათგან მიღებული მთელი ზედმეტი ღირებულება შეადგენს 400 გირვ. სტერლინგს. რადგან, შემდეგ, 2000 გირვ. სტერლ. ღირებულების მუდმივი კაპიტალი 500 მუშას მოითხოვს თავის ასამოძრავებლად, ამიტომ 400 მუშა მხოლოდ 1600 გირვ. სტერლ. ღირებულების მუდმივ კაპიტალს მოიყვანს მოძრაობაში. მაშასადამე, იმისათვის, რომ წარმოება წინანდელი მასშტაბით წარიმართოს და მანქანების 1/5 გაჩერებული არ იყოს, აუცილებელია ცვალებადი კაპიტალის გადიდება 100 გირვ. სტერლინგით, რათა უწინდებურად 500 მუშა იყოს დასაქმებული; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმით, რომ კაპიტალი, რომელიც აქამდე თავისუფალი იყო, შეიბოჭება, ამასთან დაგროვების ის ნაწილი, რომელიც წარმოების გასაფართოებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, ახლა მხოლოდ დანაკლისის შევსებას ემსახურება, ანდა ის ნაწილი, რომელიც იმისათვის იყო განკუთვნილი, რომ შემოსავლად დახარჯულიყო, ძველ კაპიტალს მიემატება. 100 გირვ. სტერლინგით გადიდებული ცვალებადი კაპიტალის დახარჯვით ახლა 100 გირვ. სტერლინგით ნაკლები ზედმეტი ღირებულება იწარმოება. მუშათა იმავე რაოდენობის ასამოძრავებლად საჭიროა მეტი კაპიტალი, და იმავე დროს მცირდება ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ყოველი ცალკეული მუშა იძლევა.

ის სარგებლობა, რაც ცვალებადი კაპიტალის განთავისუფლებიდან, და ის დანაკარგი, რაც მისი შებოჭვიდან გამომდინარეობს, ორივე არსებობს მხოლოდ იმ კაპიტალისთვის, რომელიც უკვე დაბანდებულია საქმეში და რომლის კვლავწარმოებაც, მაშასადამე, გარკვეული პროპორციით ხდება. ახლად დასაბანდებელი კაპიტალისათვის სარგებლობა ერთ შემთხვევაში და დანაკარგი მეორე შემთხვევაში შემოისაზღვრება მხოლოდ ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებით, resp. [შესაბამისად] შემცირებით, და მოგების ნორმის სათანადო, თუმცა სრულიადაც არა პროპორციული, ცვლილებით.

ცვალებადი კაპიტალის განთავისუფლება და შებოჭვა, რაც ჩვენ ეს-ეს არის გამოვიკვლიეთ, ცვალებადი კაპიტალის ელემენტთა ღირებულების, ე. ი. სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის საჭირო ხარჯების დაკლების ან მატების, შედეგია. მაგრამ ცვალებადი კაპიტალი შეიძლება აგრეთვე იმ შემთხვევაში განთავისუფლდეს თუ შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების გამო, ხელფასის ნორმის უცვლელობისას, მუდმივი კაპიტალის იმავე მასის მოძრაობაში მოსაყვანად

ნაკლები მუშაა საჭირო. ასევე შეიძლება, პირიქით, ადგილი ჰქონდეს დამატებითი ცვალებადი კაპიტალის შებოჭვას, თუ შრომის მწარმოებლური ძალის შემცირების გამო მუდმივი კაპიტალის იმავე მასისთვის მეტი მუშაა საჭირო. თუკი, პირიქით, იმ კაპიტალის ნაწილი, რომელიც უწინ ცვალებად კაპიტალად გამოიყენებოდა, ახლა მუდმივი კაპიტალის სახით გამოიყენება, მაშასადამე, თუ ადგილი აქვს მხოლოდ შეცვლილ განაწილებას იმავე კაპიტალის შემადგენელ ნაწილებს შორის, მაშინ ეს თუმცა გავლენას ახდენს ზედმეტი ღირებულებისა და მოგების ნორმაზე, მაგრამ არ შედის კაპიტალის შებოჭვისა თუ განთავისუფლების რუბრიკაში, რომელსაც ჩვენ აქ განვიხილავთ.

მუდმივი კაპიტალიც შეიძლება, როგორც უკვე დავინახეთ, შეიბოჭოს ან განთავისუფლდეს იმ ელემენტების ღირებულების მატებისა თუ დაკლების გამო, რომელთაგანაც იგი შედგება. თუ ამას მხედველობაში არ მივიღებთ, მუდმივი კაპიტალის შებოჭვა (იგულისხმება, რომ ცვალებადი კაპიტალის ნაწილი არ გარდაიქმნება მუდმივ კაპიტალად) შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომის მწარმოებლური ძალა მატულობს, ე. ი. თუ შრომის იგივე მასა უფრო მეტ პროდუქტს აწარმოებს და, მაშასადამე, თუ მას მეტი მუდმივი კაპიტალი მოჰყავს მოძრაობაში. ამასვე შეიძლება გარკვეულ პირობებში ადგილი ჰქონდეს, თუ მწარმოებლური ძალა კლებულობს, როგორც, მაგალითად, მიწათმოქმედებაში, ასე რომ შრომის იგივე რაოდენობა იმავე პროდუქტის საწარმოებლად მეტ წარმოების საშუალებებს მოითხოვს,— მაგ., მეტ თესლს ან სასუქს, დრენაჟს და სხვ. ღირებულების დაუკლებლად შეიძლება მუდმივი კაპიტალი განთავისუფლდეს, თუ გაუმჯობესებათა, ბუნების ძალთა გამოყენებისა და სხვ. გამო ნაკლები ღირებულების მუდმივ კაპიტალს იმის უნარი ეძლევა, რომ ტექნიკურად იგივე როლი შეასრულოს, როგორსაც უწინ უფრო მალალი ღირებულების კაპიტალი ასრულებდა.

II წიგნში ჩვენ დავინახეთ, რომ მას შემდეგ, რაც საქონელი ფულად გადაიქცევა, გაიყიდება, ამ ფულის განსაზღვრული ნაწილი ხელახლა მუდმივი კაპიტალის ნივთიერ ელემენტებად უნდა გარდაიქმნას და თანაც სწორედ იმ შეფარდებით, როგორსაც წარმოების თვითეული მოცემული დარგის ტექნიკური ხასიათი მოითხოვს. ამ თვალსაზრისით წარმოების ყველა დარგში,— თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხელფასს, მაშასადამე, ცვალებად კაპიტალს,— უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ნედლეული, იმ დამხმარე მასალის ჩათვლით, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წარმოების ისეთ დარგებში, სადაც

საკუთრივ ნედლეული არ იხმარება, როგორც, მაგალითად, სამთამადნო და საერთოდ მომპოვებელ მრეწველობაში. ფასის ის ნაწილი, რომელმაც მანქანების გაცვეთა უნდა აანაზღაუროს, უფრო მეტად იდეალურად მიიღება ანგარიშში, სანამ მანქანებს საერთოდ მოქმედების უნარი აქვთ შერჩენილი; ამასთან დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, დღეს მოხდება ეს თუ ხვალ, კაპიტალის ბრუნვის პერიოდის რომელ მონაკვეთში იქნება ეს ნაწილი გადახდილი და ფულის სახით ანაზღაურებული. სხვაგვარადაა საქმე ნედლეულის მიმართ. თუ ნედლეულის ფასმა აიწია, შეუძლებელი ხდება ხელფასის განოკლების შემდეგ საქონლის ღირებულებიდან მისი სავსებით ანაზღაურება. ამიტომ ფასების ძლიერი რყევა იწვევს შეწყვეტას, დიდ კოლიზიებს და კატასტროფებსაც კი კვლავწარმოების პროცესში. საკუთრივ მიწათმოქმედების პროდუქტები, ორგანული ბუნების მიერ წარმოქმნილი ნედლეული, განსაკუთრებით ექვემდებარება ღირებულების ამგვარ რყევას მოსავლის ცვალებადობისა და სხვ. გამო, — საკრედიტო სისტემის გავლენას ჩვენ აქ ჯერჯერობით სრულიად არ ვიღებთ მხედველობაში. შრომის ერთი და იგივე რაოდენობა შეიძლება აქ, კონტროლს დაუქვემდებარებელ ბუნების პირობათა გამო, ამინდის ხელსაყრელობისა და არახელსაყრელობის გამო და სხვ., სახმარ ღირებულებათა ფრიად სხვადასხვა რაოდენობით გამოიხატოს, და ამიტომ ამ სახმარ ღირებულებათა განსაზღვრულ რაოდენობას ფრიად სხვადასხვა ფასი ექნება. თუ ღირებულება x გამოიხატება a საქონლის 100 გირვანქით, მაშინ a საქონლის ერთი გირვანქის ფასი $= \frac{x}{100}$; თუ a საქონლის ღირებულება 1000 გირვანქით გამოიხატება, მაშინ ერთი გირვანქა a ფასი $= \frac{x}{1000}$ და სხვ. ასეთია, მაშასადამე, ერთ-ერთი ელემენტი ნედლეულის ფასის რყევისა, რასაც ჩვენ განვიხილავთ. მეორე ელემენტი, რომელსაც ჩვენ აქ მხოლოდ სისრულისათვის ვიხსენიებთ, — ვინაიდან კონკურენცია და საკრედიტო სისტემა ჯერჯერობით ჩვენი განხილვის ფარგლებს გარეშეა, — მდგომარეობს შემდეგში: მცენარეული და ცხოველური ნივთიერებანი, რომელთა ზრდა და წარმოება განსაზღვრულ ორგანულ კანონებს ექვემდებარება და დაკავშირებულია დროის გარკვეულ ბუნებრივ პერიოდებთან, თვით საგნის ბუნების მიხედვით შეუძლებელია უცებ გამრავლდნენ იმავე ოდენობით, როგორც, მაგალითად, მანქანები და სხვა ძირითადი კაპიტალი, ნახშირი, მადანი და სხვ., რომელთა გამრავლება, სხვა ბუნებრივი პირობების უცვლელობისას,

მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყანაში ფრიად მოკლე ვადაში შეიძლება განხორციელდეს. ამიტომ შესაძლებელია, და განვითარებული კაპიტალისტური წარმოების არსებობისას — გარდუვალიც კი, რომ მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის წარმოება და ზრდა, რომელიც ძირითადი კაპიტალისაგან, მანქანებისაგან და სხვ. შედგება, მნიშვნელოვნად წინ უსწრებდეს კაპიტალის იმ ნაწილის წარმოებასა და ზრდას, რომელიც ორგანული ნედლეულისაგან შედგება; ასე რომ ამ ნედლეულის მოთხოვნა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მისი მიწოდება, რის გამოც მისი ფასი აიწევს. ამ ფასის აწევას სინამდვილეში შედეგად ის მოჰყვება, რომ: 1) ამ ნედლეულს უფრო შორი ადგილებიდან შემოზიდავენ, რადგან მაღალი ფასი ფარავს გადიდებულ სატრანსპორტო ხარჯებს; 2) რომ ნედლეულის წარმოება დიდდება: გარემოება, რომელსაც შეუძლია პროდუქტთა მასის ნამდვილი გადიდება გამოიწვიოს, საგნის ბუნების გამო, არა უცებ, არამედ, შესაძლებელია, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ; 3) რომ ყოველგვარი წინათ გამოუყენებელი სუროგატები ახლა მოიხმარება და ნარჩენებსაც უფრო ეკონომიურად ეპყრობიან. თუ ფასების აწევა ძალიან შესამჩნევ გავლენას მოახდენს წარმოების გაფართოებაზე და მიწოდებაზე, მაშინ ეს უმეტეს შემთხვევაში იმას მოასწავებს, რომ უკვე დგება მობრუნების პუნქტი, როდესაც ნედლეულის და ყველა იმ საქონლის ხანგრძლივად განუწყვეტელი გამრავლების გამო, რომლებშიაც ეს ნედლეული ელემენტად შედის, მოთხოვნა ეცემა და ამიტომ ნედლეულის ფასშიც რეაქცია იწყება. იმ კონვულსიების გარდა, რომლებსაც ეს რეაქცია იწვევს იმის გამო, რომ ხდება კაპიტალის სხვადასხვა ფორმით გაუფასურება, ამას ერთვის კიდევ სხვა გარემოებანი, რომლებსაც ჩვენ ახლა აღვნიშნავთ.

უწინარეს ყოვლისა, უკვე აქამდე ნათქვამიდანაც ცხადია შემდეგი: რაც უფრო განვითარებულია კაპიტალისტური წარმოება და რაც უფრო მეტია, ამიტომ, საშუალებანი მუდმივი კაპიტალის იმ ნაწილის უეცარი და შეუჩერებელი გადიდებისათვის, რომელიც მანქანებისგან და სხვ. შედგება, რაც უფრო სწრაფად წარმოებს დაგროვება (განსაკუთრებით აყვავების პერიოდებში). მით უფრო დიდია მანქანებისა და სხვა ძირითადი კაპიტალის შეფარდებითი ჭარბწარმოება, მით უფრო ხშირია მცენარეული და ცხოველური ნედლეულის შეფარდებითი ნაკლწარმოება, მით უფრო შესამჩნევია ზემოაღწერილი აწევა მისი ფასისა და ამ უკანასკნელის შესაბამისი რეაქცია, მით უფრო, მაშასადამე, ხშირად ხდება ის შერყევები, რომელნიც კვლავწარმოების პროცესის ერთ-

ერთი მთავარი ელემენტის ფასის ამ ძლიერი რყევიდან გამომდინარეობენ.

და თუ ეს მაღალი ფასები განიცდის კრახს იმის გამო, რომ მათმა ზრდამ ნაწილობრივ მოთხოვნის შემცირება გამოიწვია, ნაწილობრივაც ზოგან წარმოების გაფართოება, ზოგან კიდევ მოწოდება წარმოების უფრო შორეული, დღემდე ნაკლებად გამოყენებული ან სრულიად გამოუყენებელი ადგილებიდან, რაც იწვევს ნედლი მასალის მოთხოვნაზე გადაჭარბებით მიწოდებას, — გადაჭარბებულ მიწოდებას სახელდობრ ძველი მაღალი ფასების არსებობისას, — მაშინ ამის შედეგი სხვადასხვა თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ. ნედლი პროდუქტების ფასის უეცარი კრახი აბრკოლებს მათს კვლავწარმოებას, და ამგვარად კვლავ აღდგება იმ გამომზიდველი ქვეყნების მონოპოლია, რომელნიც ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებში აწარმოებენ, — აღდგება, იქნება, ერთგვარი შეზღუდვით, მაგრამ მაინც აღდგება. მართალია, ნედლეულის კვლავწარმოება ერთხელ მიცემული ბიძგის გამო გაფართოებული მასშტაბით მიმდინარეობს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთაც მეტნაკლებად ამ წარმოების მონოპოლია აქვთ. მაგრამ ის ბაზისი, რომელზედაც მანქანებისა და სხვ. გამრავლების შედეგად ახლა წარმოება სრულდება და რომელიც რამდენიმე რყევის შემდეგ განვითარების ახალ ნორმალურ ბაზისად, ახალ ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს, ძალიან გაფართოვდა იმ პროცესების მეოხებით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ბრუნვის უკანასკნელი ციკლის განმავლობაში. მაგრამ ამასთან იმ ადგილების ნაწილში, რომელნიც ნედლეულის მეორეხარისხოვან წყაროებს წარმოადგენენ, ახლახან გაფართოებულმა კვლავწარმოებამ ხელახლა მნიშვნელოვანი დაბრკოლება განიცადა. ასე, მაგალითად, ექსპორტის ცხრილებიდან ნათლად შეიძლება იმის ჩვენება, თუ როგორ იზრდებოდა უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში (1865 წლამდე) ინდოეთის ბამბის წარმოება, როდესაც ამერიკის ბამბის წარმოება კლებულობდა, და შემდეგ უცებ ხელახლა იწყებოდა წარმოების მეტნაკლებ ხანგრძლივი შემცირება. ნედლეულის გაძვირების დროს მრეწველი კაპიტალისტები ერთიანდებიან, ასოციაციებს ქმნიან წარმოების რეგულირების მიზნით. ასე იყო, მაგალითად, ბამბის ფასების აწევის შემდეგ 1848 წელს მანჩესტერში, ასე იყო სელის წარმოების მიმართაც ირლანდიაში. მაგრამ როგორც კი უშუალო საბაბი აღარ იქნება და ხელახლა გაბატონდება კონკურენციის საყოველთაო პრინციპი «უიაფეს ბაზარზე ყიდვისა» (ნაცვლად მისწრაფებისა, რომელიც ხსენებულ ასოციაციებს აქვთ, რომ ხელი შეუწყონ წარმოების უნარის

გაძლიერებას ნედლი პროდუქტის მომწოდებელ სათანადო ქვეყნებში, იმ ფასისგან, დამოუკიდებლად, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყნებს შეუძლიათ ამ პროდუქტის მოწოდება უშუალოდ მოცემულ მომენტში). — როგორც კი, მაშასადამე, კვლავ სუვერენულად გაბატონდება კონკურენციის პრინციპი, — მაშინ მიწოდების რეგულირების საქმეს, კვლავ «ფასს» მიანდობენ ხოლმე. ყოველი აზრი ნედლეულის წარმოების საერთო, საფუძვლიანი და შორსმჭვრეტი კონტროლის შესახებ, — კონტროლისა, რომელიც საერთოდ და მთლიანად სრულიად შეუთავსებელია კაპიტალისტური წარმოების კანონებთან და ამიტომ ყოველთვის კეთილ სურვილად რჩება ანდა გამონაკლისის სახის ქმონე იმ საერთო მოქმედებით შემოიისაზღვრება, რასაც კაპიტალისტები მიმართავენ ხოლმე დიდი უშუალო ხიფათისა და უილაჯობის მომენტებში, — ყოველი ასეთი აზრი ადგილს უთმობს იმ რწმენას, რომ მოთხოვნა და მიწოდება ერთიმეორეს მოაწესრიგებენ[16]. კაპიტალისტების ცრურწმენა ამ დარგში იმდენად უხეშია, რომ ფაბრიკის ინსპექტორებიც კი თავიანთ ანგარიშებში ისევ და ისევ ჩერდებიან მის წინაშე უაღრესად გაოცებულნი. კარგი და ცუდი წლების ცვლა იწვევს, რასაკვირველია, აგრეთვე ნედლეულის გაიაფებას. გარდა იმ უშუალო გავლენისა, რომელსაც ეს გარემოება ახდენს მოთხოვნის გაფართოებაზე, ამას ერთვის კიდევ სტიმულის სახით ზემოთ მოხსენიებული გავლენა მოგების ნორ-

[16] მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები დაიწერა (1865 წ), კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა მრეწველობის სწრაფი განვითარების გამო ყველა კულტურულ ქვეყანაში. განსაკუთრებით ამერიკასა და გერმანიაში. ის ფაქტი, რომ სწრაფად და კალოსალურად მზარდი თანამედროვე მწარმოებლური ძალები ყოველდღე სულ უფრო უსწრებენ ზრდაში კაპიტალისტური საქონელგაცვლის კანონებს, რომელთა ჩარჩოებშიც ეს ძალები უნდა მოძრაობდნენ, — ეს ფაქტი ამჟამად სულ უფრო და უფრო შედის თვით კაპიტალისტების ცნობიერებაშიც. იგი ვლინდება განსაკუთრებით ორ სიმპტომში. ჯერ-ერთი, — მფარველობითი ბაჟების ახალ საყოველთაო მანიაში, რომელიც ძველი მფარველობითი სისტემისაგან განსაკუთრებით იმით განსხვავდება, რომ იგი სწორედ იმ პროდუქტებს უწევს უმთავრესად მფარველობას, რომელთაც ექსპორტის უნარი შესწევთ. მეორე — წარმოების მთელი დიდი დარგების მეფაბრიკეთა კარტელებში (ტრესტებში), რომელთაც მიზნად აქვთ წარმოების და, მაშასადამე, ფასებისა და მოგების რეგულირება. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ექსპერიმენტების განხორციელება მხოლოდ შედარებით ხელსაყრელ ეკონომიურ ამინდშია შესაძლებელი. პირველმაევ ქარიშხალმა უნდა დაამსხვრიოს ისინი და დაამტკიცოს, რომ წარმოებას თუმცა ესაჭიროება რეგულირება, მაგრამ უეჭველია, რომ ამის განსახორციელებლად კაპიტალისტთა კლასი როდია მოწოდებული. ჯერჯერობით კი ამ ტრესტების დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ წვრილი კაპიტალისტები შთანთქან მსხვილებმა კიდევ უფრო სწრაფად, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. — ფ. ე.

მაზე. და ზემოაღნიშნული პროცესი, როდესაც ნედლეულის წარმოებას მანქანების და სხვ. წარმოება თანდათან წინ უსწრებს, უფრო ფართო მასშტაბით მეორდება მაშინ. ნედლეულის ნამდვილი გაუმჯობესებისათვის, იმისათვის რომ იგი არა მარტო საჭირო რაოდენობის, არამედ აგრეთვე სათანადო ხარისხისაც შემოიზიდებოდეს, მაგალითად, ამერიკული ხარისხის ბამბა ინდოეთიდან, საჭირო იქნებოდა ხანგრძლივი, რეგულარულად მზარდი და მტკიცე მოთხოვნა ევროპის მხრივ (სრულიად მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმ ეკონომიურ პირობებს, რომლებშიაც ჩაყენებულია ინდოელი მწარმოებელი თავის სამშობლოში), მაგრამ ნედლეულის წარმოების სფერო ნახტომისებურად იცვლება: ხან ერთბაშად გაფართოვდება, ხანაც ძალიან შეიკუმშება. ყოველივე ამის, ისევე როგორც საერთოდ კაპიტალისტური წარმოების რაობის შესწავლა უფრო მოხერხებულია ბამბის შიმშილის მაგალითზე 1861 — 1865 წლებში, როდესაც, ამასთან, იმ თავისებურებასაც ჰქონდა ადგილი, რომ დროგამოშვებით სრულიად არ მოიპოვებოდა გარკვეული სახის ნედლეული, რომელიც კვლავწარმოების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ელემენტია. ფასმა სახელდობრ შეიძლება იმ შემთხვევაშიც აიწიოს, როცა მიწოდებამ სრულ დონეს მიაღწია, მაგრამ მიაღწია მძიმე პირობებში. ანდა შეიძლება ნედლეულის ნამდვილ ნაკლებობას ჰქონდეს ადგილი. ბამბის კრიზისის დროს თავდაპირველად ეს უკანასკნელი გარემოება შეიმჩნეოდა.

ამიტომ, რაც უფრო ვუახლოვდებით ჩვენ წარმოების ისტორიაში უშუალოდ თანამედროვე მომენტს, მით უფრო რეგულარულად ვხედებით, განსაკუთრებით მრეწველობის ძირითად დარგებში, ორგანული ბუნებიდან წარმომდგარი ნედლეულის შეფარდებითი გაძვირებისა და აქედან გამომდინარე მისი შემდგომი გაუფასურების პერიოდების მუდმივად განმეორებულ ცვლას. ზემონათქვამის ილუსტრაციებს მკითხველი იპოვის ქვემოთ აღნიშნულ მაგალითებში, რომლებიც ფაბრიკის ინსპექტორების ანგარიშებიდანაა ამოღებული.

ისტორიის მორალი, რომელიც შეგვიძლია აგრეთვე მიწათმოქმედების სხვა თვალსაზრისით განხილვიდან მივიღოთ, ის არის, რომ კაპიტალისტური სისტემა რაციონალურ მიწათმოქმედებას ეწინააღმდეგება, ანუ რაციონალური მიწათმოქმედება შეუთავსებელია კაპიტალისტურ სისტემასთან (თუმცა ეს უკანასკნელი ხელს უწყობს მის ტექნიკურ განვითარებას) და საჭიროებს ან თვითმომუშავე [selbst arbeitenden] წვრილი გლეხის ხელს, ანდა — ასოციაციაში გაერთიანებულ მწარმოებელთა კონტროლს.

ახლა ჩვენ მოგვყავს ინგლისის ფაბრიკის ინსპექტორების ანგარიშებიდან ამოღებული ილუსტრაციები, რომლებიც ახლახან მოვიხსენიეთ.

«საწარმოთა მდგომარეობა უკეთესია; მაგრამ ხელსაყრელი და არახელსაყრელი პერიოდების ციკლი უფრო მოკლდება მანქანების გამრავლებასთან ერთად, და რადგან ამასთან ნედლი მასალის მოთხოვნა მატულობს, — უფრო ხშირი ხდება აგრეთვე რყევა საწარმოთა მდგომარეობაში. ამჟამად, 1857 წლის პანიკის შემდეგ, არათუ აღდგენილია ნდობა, არამედ თვით პანიკაც, როგორც სჩანს, თითქმის სავსებით დაეიწყებულია. ხანგრძლივი იქნება ეს გაუმჯობესება თუ არა, — ეს დიდად არის დამოკიდებული ნედლეულის ფასზე. მე მგონია, არის იმის სიმპტომები, რომ ზოგ შემთხვევაში, უკვე მიღწეულია მაქსიმუმი, რის შემდეგაც წარმოება უფრო და უფრო ნაკლებმომგებიანი ხდება. და, ბოლოს, სრულებით აღარ იძლევა მოგებას. თუ ავიღებთ, მაგალითად, მომგებიან წლებს შალეულის წარმოებაში,—1849 და 1850 წ.წ.— ვნახავთ, რომ გირვანქა ინგლისური დაჩეჩილი მატყლის ფასი იყო 13 პენსი, ავსტრალიურისა — 14-დან 17 პენსამდე და რომ საშუალოდ 10 წლის განმავლობაში, 1841-იდან 1850 წლამდე, გირვანქა ინგლისური მატყლის საშუალო ფასი არასოდეს არ აწეულა 14 პენსზე და ავსტრალიურისა 17 პენსზე მაღლა. მაგრამ უბედური 1857 წლის დასაწყისში ავსტრალიური მატყლის ფასი 23 პენსი იყო, დეკემბერში, პანიკის ყველაზე მწვავე პერიოდში, იგი 18 პენსამდე დაეცა, მაგრამ 1858 წლის განმავლობაში კვლავ ახლანდელი ფასის დონემდე — 21 პენსამდე აიწია. ასევე ინგლისური მატყლი 1857 წელს ღირდა 20 პენსი, აპრილსა და სექტემბერში 21 პენსზე ავიდა, 1858 წლის იანვარში 14 პენსამდე დაეცა და შემდეგ 17 პენსზე ავიდა, ასე რომ ახლა იგი 3 პენსით უფრო მაღალია, ვიდრე აღნიშნული 10 წლის საშუალო ფასი... ეს იმას გვიჩვენებს, ჩემი აზრით, რომ ან 1857 წელს ასეთი ფასებით გამოწვეული გაკოტრების შემთხვევები დავიწყებულია, ან რომ მატყლი სწორედ იმდენი მზადდება, რამდენის დართვაც შესაძლებელია არსებული თითისტრებით, ანდა რომ ქსოვილების ფასები ხანგრძლივად დიდდება... მაგრამ ჩემს წარსულ პრაქტიკაში მე შესაძლებლობა მქონდა დამენახა, თუ რა წარმოუდგენლად მოკლე დროის განმავლობაში მატყლობს არათუ თითისტრებისა და საფეიქრო დაზგების რიცხვი, არამედ მათი მუშაობის სისწრაფეც; აგრეთვე, მეორე მხრივ, ის, რომ ჩვენი მატყლის ექსპორტი საფრანგეთში თითქმის იმავე პროპორციით გადიდდა, მაშინ როდესაც ცხვრის საშუალო ასაკი

ფარაში როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში მუდამ დაბლა იწევს, რადგან მოსახლეობა სწრაფად მრავლდება და მეცხვარეები ცდილობენ თავიანთი ცხოველი რაც შეიძლება მალე აქციონ ფულად. ამიტომ მე ხშირად შიში მიპყრობდა, როდესაც ვხედავდი, რომ ადამიანები, რომელთაც ეს არ იცოდნენ, თავიანთ ბედსა და კაპიტალს იმ საწარმოებს უკავშირებდნენ, რომელთა წარმატება ისეთი პროდუქტის მიწოდებაზეა დამოკიდებული, რომლის გამრავლებაც მხოლოდ გარკვეული ორგანული კანონების ფარგლებშია შესაძლებელი... ყველა ნედლეულის მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობა... თითქოს გვიხსნის ბევრ რყევას ბაზბეულის წარმოებაში, აგრეთვე ინგლისის მატყლის ბაზრის მდგომარეობას 1857 წლის შემოდგომაზე და აქედან გამომდინარე მრეწველობის კრიზისს»[17] (რ. ბეკერი: «Reports of Insp. of Fact., October 1858.» გვ. 56 — 61).

იორკშირის ვესტ-რაიდინგის კამვოლის მრეწველობის აყვავების დრო იყო 1849 და 1850 წლები. იქ, ამ მრეწველობაში 1838 წელს დასაქმებული იყო 29 246 ადამიანი, 1843 წ. — 37 000, 1845 წ. — 48 097, 1850 წ.— 74 891. იმავე ოლქში 1838 წელს იყო 2 768 მექანიკური საფეიქრო დაზგა, 1841 წ. — 11 458, 1843 წ. — 16 870, 1845 წ. — 19121 და 1850 წ. — 29 539 («Reports of Insp. of Fact., [October] 1850», გვ. 60). კამვოლის მრეწველობის ეს აყვავება უკვე 1850 წლის ოქტომბერში საეჭვო გახდა. 1851 წლის აპრილის ანგარიშში სუბ-ინსპექტორი ბეკერი ლიდსისა და ბრედფორდის შესახებ ამბობს: «საწარმოთა მდგომარეობა, ეს რამდენიმე ხანია, მეტად არადამაკმაყოფილებელია. კამვოლის მატყლის მრთველები სწრაფად კარგავენ 1850 წლის მოგებას, და ფეიქართა უმრავლესობაც უკეთეს მდგომარეობაში არაა. მგონია, ამჟამად მატყლის მრეწველობაში უფრო მეტი მანქანეზია უმოქმედოდ გაჩერებული, ვიდრე ოდესმე უწინ, და სელის მრთველებიც უშვებენ მუშებს და აჩერებენ მანქანებს. საფეიქრო მრეწველობის ციკლები ახლა მართლა ფრიად გაურკვეველია, და, ვფიქრობ, ჩვენ მალე იმ შეხედულებამდე მივალთ... რომ არავითარი შესაბამისობა არაა დაცული თითისტართა წარმოების უნარსა, ნედლი მასალის მასასა და მოსახლეობის გამრავლებას შორის» (გვ. 52).

---

[17] თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ 1857 წლის მატყლის კრიზისს ბ-ნ ბ ე კ ე რ ი ვ ი თ ა რ ვ ხ ს ნ ი თ ნედლი მასალისა და ფაბრიკატის ფასებს შორის არსებული შეუსაბამობით. თვით ეს შეუსაბამობა მხოლოდ სიმპტომი იყო, კრიზისი კი საყოველთაო იყო. — ფ. ე.

იგივე ითქმის ბამბეულის მრეწველობაზეც. 1858 წლის ოქტომბრის ანგარიშში, საიდანაც ჩვენ ეს-ეს არის ციტატა ამოვიღეთ, ნათქვამია: «მას შემდეგ, რაც ფაბრიკებში განსაზღვრული სამუშაო საათები დაწესდა, ნედლეულის მოხმარების ოდენობა, წარმოებისა და ხელფასის ოდენობა ყველა საფეიქრო მრეწველობაში დაყვანილია მარტივ სამთა წესზე... მოვიყვან ამონაწერს ბლეკბერნის ახლანდელი მერის ბ-ნი ბეინსის... ამასწინანდელი მოხსენებიდან ბამბეულის მრეწველობის შესახებ, სადაც იგი თავისი ოლქის სამრეწველო სტატისტიკის მონაცემებს უაღრესი სიზუსტით და შეჯამებულად იძლევა:

«თვითეულ ნამდვილ ცხენძალას მოძრაობაში მოჰყავს 450 self-actor [ავტომატური] თითისტარი საათანადო წინასწარ მომზადებული მოწყობილობითურთ, ანუ 200 throstle [ვატერი] თითისტარი, ანუ 15 დაზგა 40 დუიმიანი განის მაუდისათვის ძაფის დასახვევი, ქსელის დასაწყობი და გასახამებელი მანქანებითურთ. თვითეული ცხენძალა საქმეში აბამს რთვის დროს $2^1/_2$ მუშას, ქსოვის დროს კი 10 მუშას; მათი საშუალო ხელფასი $10^1/_2$ შილინგზე მეტია კაცზე კვირაში... გადამუშავებული საშუალო ნომრებია: საქსველის — № 30 — 32 და მისაქსველისა — № 34 — 36; თუ ვიგულისხმებთ, რომ ყოველკვირეულად წარმოებული ნართი შეადგენს 13 უნცს თითო თითისტარზე, გამოვა, რომ კვირაში მზადდება 824 700 გირვანქა ნართი, რისთვისაც 970 000 გირვანქა, ანუ 2300 შეკვრა ბამბა უნდა იქნეს მოხმარებული, რომლის ფასიც 28 300 გირვ. სტერლინგს შეადგენს... ჩვენს ოლქში (რაიონი ბლეკბერნის ირგვლივ 5 ინგლისური მილის რადიუსით) ბამბის ყოველკვირეული მოხმარება შეადგენს 1 530 000 გირვანქას, ანუ 3 650 შეკვრას, რომლის ფასიც 44 625 გირვ. სტერლინგია. ეს შეადგენს შეერთებული სამეფოს მთელი ბამბის რთვის მრეწველობის $^1/_{18}$-ს და მთელი მექანიკური ქსოვის $^1/_{16}$-ს».

ამრიგად, ბ-ნ ბეინსის გამოანგარიშების თანახმად, ბამბასართავ თითისტართა საერთო რიცხვი სამეფოში უნდა შეადგენდეს 28 800 000-ს, და მათი სრული დატვირთვით ასამუშავებლად საჭირო იქნებოდა ყოველწლიურად 1 432 080 000 გირვანქა ბამბა. მაგრამ ბამბის იმპორტი, ექსპორტის გამოკლების შემდეგ, 1856 და 1857 წლებში მხოლოდ 1 022 576 832 გირვანქას შეადგენდა; მაშასადამე, აუცილებლად ადგილი უნდა ჰქონებოდა დეფიციტს 409 503 168 გირვანქის რაოდენობით. ბ-ნი ბეინსი, რომელმაც თავაზიანობა გამოიჩინა და განმიმარტა ეს საკითხი, ფიქრობს, რომ ბლეკბერნის ოლქის მოხმარებაზე დაყრდ-

11. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. III.

ნობით ბამბის წლიური მოხმარების გამოანგარიშება გაზვიადებული იქნებოდა არა მარტო დართული ნომრების განსხვავების გამო, არამედ მანქანების უფრო მეტი სრულყოფილობის გამოც. ბამბის მთელ წლიურ მოხმარებას შეერთებულ სამეფოში იგი ანგარიშობს 1000 მილიონ გირვანქად. მაგრამ თუ იგი მართალია და თუ ნამდვილად მიწოდების ნამეტი 22½ მილიონი გირვანქის რაოდენობით გვაქვს, მაშინ გამოდის, რომ უკვე ამჟამად მოთხოვნა და მიწოდება თითქოს გაწონასწორებულია; ამასთანავე მხედველობაში მისაღებია კიდევ ის დამატებითი თითისტრები და დაზგები, რომელთა გამართვაც, ბ-ნ ბეინსისავე სიტყვით, მის ოლქში უკვე ხორციელდება, და თუ ამ უკანასკნელის მიხედვით ვიმსჯელებთ, ალბათ, სხვა ოლქებშიც განხორციელდება» (გვ. 59, 60).

III. ზოგადი ილუსტრაცია: 1861 — 1865 წლების ბამბის კრიზისი.

წინაპერიოდი: 1845—1860 წწ.

1845 წელი. ბამბეულის მრეწველობის აყვავების ხანა. ბამბის მეტად დაბალი ფასი, ლ. ჰორნერი ამბობს ამის შესახებ: «უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში მე არ მინახავს საქმეთა ისეთი ინტენსიური გაცხოველების პერიოდი; როგორიც იყო უკანასკნელ ზაფხულსა და შემოდგომაზე,—განსაკუთრებით ბამბის რთვაში. მთელი ნახევარი წლის განმავლობაში მე ყოველ კვირაში ვღებულობდი ცნობებს ფაბრიკებში კაპიტალის ახალი დაბანდების შესახებ; ეს იყო ან ახლად აგებული ფაბრიკები, ან ის მცირეოდენი ცარიელი ფაბრიკები, რომლებისთვისაც ახალი მოიჯარენი ჩნდებოდნენ, ან უკვე მოქმედი ფაბრიკები, რომლებსაც აფართოებდნენ, და რომლებშიც ახალ, უფრო მძლავრი ორთქლის მანქანებსა და გადიდებული რაოდენობის სამუშაო მანქანებს დგამდნენ» («Reports of Insp. of. Fact., October 1845», გვ. 13).

1846 წელი. იწყება ჩივილი. «უკვე დიდი ხანია მესმის ბამბეულის მეფაბრიკეთა ჩივილი მათი საწარმოების შევიწროებული მდგომარეობის შესახებ... უკანასკნელი 6 კვირის განმავლობაში სხვადასხვა ფაბრიკამ უფრო მოკლე ხნით დაიწყო მუშაობა, ჩვეულებრივ — 8 საათს დღეში, ნაცვლად 12-ისა; ეს მოვლენა, ეტყობა, ვრცელდება... ბამბის ფასმა ძალიან აიწია... ფაბრიკატების ფასი კი არათუ არ აწეულა, არამედ... იგი უფრო დაბალია იმაზე, რაც ბამბის გაძვირებამდე იყო.

ბამბეულის ფაბრიკების რიცხვის დიდად გამრავლებას უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში შედეგად უნდა მოჰყოლოდა, ერთი მხრივ, ნედლეულის ძლიერ გადიდებული მოთხოვნა და, მეორე მხრივ, ფაბრიკატების ძლიერ გადიდებული მიწოდება ბაზარზე; ორსავე მიზეზს ერთად ხელი უნდა შეეწყო მოგების შემცირებისათვის, ვიდრე ნედლეულის მიწოდება და ფაბრიკატის მოთხოვნა უცვლელი რჩებოდა; მაგრამ მათი გავლენა კიდევ უფრო ძლიერი იყო, რადგან, ერთი მხრივ, ბამბის მიწოდება უკანასკნელ დროს არასაკმარისი იყო და, მეორე მხრივ, ფაბრიკატების მოთხოვნამ სხვადასხვა შინაგანი და უცხოური ბაზრების მხრივ იკლო» («Reports of Insp. of Fact., October 1846», გვ. 10).

ნედლეულის მზარდი მოთხოვნა და ბაზრის ზედმეტად გავსება ფაბრიკატით, რასაკვირველია, ხელიხელჩაკიდებული მიმდინარეობს.— სხვათა შორის, მრეწველობის მაშინდელ გაფართოებას და შემდგომ შეფერხებას ადგილი ჰქონდა არა მარტო ბამბეულის ოლქებში. ბრედფორდის კამვოლის ოლქში 1836 წელს მხოლოდ 318 ფაბრიკა იყო, 1846 წელს კი — 490. ეს ციფრები სრულიადაც არ გამოხატავს წარმოების ნამდვილ ზრდას, რადგან არსებული ფაბრიკები იმავე დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ეს შეეხება განსაკუთრებით სელის სართავ ფაბრიკებსაც. «უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ყველა მათ მეტნაკლებ ხელი შეუწყვეს ბაზრის ზედმეტად გავსებას, რასაც უნდა მიეწეროს მეტწილად საქმეების ახლანდელი შეფერხება... საქმეთა შევიწროებული მდგომარეობა სრულიად ბუნებრივი შედეგია ფაბრიკებისა და მანქანების რიცხვის ესოდენ სწრაფი გადიდებისა» («Reports of Insp. of Fact., October 1846», გვ. 30).

1847 წელი. ოქტომბერში ფულადი კრიზისი. დისკონტი 8%. უკვე ადრე მოხდა სარკინიგზო სპეკულაციის და ოსტ-ინდოეთის ვექსილებით ყალთაბანდობის კრახი. მაგრამ:

«ბ-ნი ბეკერი ძალიან საინტერესო დეტალებს იძლევა ბამბის, მატყლისა და სელის მოთხოვნის შესახებ, რომელიც უკანასკნელ წლებში გაიზარდა ამ სამრეწველო დარგების გაფართოებასთან დაკავშირებით. ამ ნედლეულის გადიდებულ მოთხოვნას, განსაკუთრებით იმის გამო, რომ იგი ისეთ დროს მოხდა, როცა მისმა მიწოდებამ საშუალოზე ბევრად დაბლა დაიწია, ბეკერი საკმარისად თვლის ამ დარგების საწარმოთა ახლანდელი შევიწროებული მდგომარეობის ასახსნელად, მაშინაც კი თუ ფულის ბაზრის მოშლილობას მხედველობაში არ მივიღებთ. ამ შეხედულებას სავსებით ადასტურებს ჩემი საკუთარი დაკვირვება და ის, რაც მე კომპეტენტურ პირთაგან მაქვს გაგებული.

მრეწველობის ეს სხვადასხვა დარგი უკვე ძალიან შევიწროებული იყო მაშინ, როდესაც დისკონტი ადვილად შეიძლებოდა 5%-ით — და ნაკლებითაც. პირიქით, ნედლი აბრეშუმის მიწოდება უხვი იყო, ფასები — ზომიერი და ამის მიხედვით საქმეებიც — გაცხოველებული... უკანასკნელ 2 ან 3 კვირამდე, როდესაც ფულადი კრიზისი უეჭველად შეეხო არა მარტო თვითონ ნედლი აბრეშუმის გადამმუშავებელ მეფაბრიკეებს, არამედ — კიდევ უფრო — მათ მთავარ მუშტრებს, მოდურ საქონელთა მეფაბრიკეებს. საკმარისია თვალი გადავავლოთ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ანგარიშებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ბამბეულის მრეწველობა უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში თითქმის 27%-ით გაფართოვდა. ამის გამო გირვანქა ბამბის ფასმა მრგვალ ციფრებში 4 პენსიდან 6 პენსამდე აიწია, მაშინ როდესაც ნართის ფასი, მიწოდების გადიდების გამო, წინანდელ დონეზე ცოტათი მაღლა დგას. მატყლის მრეწველობამ გაფართოება იწყო 1836 წ.; ამ დროიდან იგი იორკშირში 40%-ით გაიზარდა, ხოლო შოტლანდიაში კიდევ უფრო მეტად. კიდევ უფრო დიდია კამვოლის მრეწველობის ზრდა[18]. გამოთვლა აქ 74%-ზე მეტ გაფართოებას გვიჩვენებს იმავე პერიოდისათვის. ამიტომ ნედლი მატყლის მოხმარება კოლოსალური იყო. სელის მრეწველობა 1839 წლიდან ინგლისში დაახლოებით გაფართოვდა 25%-ით, შოტლანდიაში—22%-ით და ირლანდიაში თითქმის 90%-ით[19]; ამის შედეგი, თანაც იმავდროულად სელის ცუდი მოსავლის პირობებში, ის იყო, რომ ნედლი მასალის ფასმა აიწია 10 გირვ. სტერლინგით ტონაზე, მაშინ როდესაც ნართის ფასმა 6 პენსით დაიკლო გორგალზე» («Reports of Insp. of Fact., October 1847», გვ. 30 ან 31).

1849 წელი. 1848 წლის უკანასკნელი თვეების შემდეგ საქმე ხელახლა გაცხოველდა. «სელის ფასმა, რომელიც ისე დაბალი იყო, რომ თითქოს ყოველგვარ სამერმისო პირობებში საკმაო მოგებას უზრუნველყოფდა, წაახალისა მეფაბრიკენი შეუწყვეტლად განევითარებინათ თავიანთი წარმოება. შალეულის მეფაბრიკენი წლის დასაწყისში ძალიან მაგრად მუშაობდნენ... მაგრამ მე ვშიშობ, რომ შალეული საქონლია

[18] ინგლისში მტკიცედ განასხვავებენ ერთიმეორისაგან **Woollen Manufacture**-ს [მატყლის მრეწველობას]. — რთვა და ქსოვა, მოკლებეწვიანი მატყლიდან, რომელიც იძლევა აპარატულ ნართს (მთავარი ცენტრია ლიდსი), და **Worsted Manufacture**-ს [კამვოლის მრეწველობას], — რთვა და ქსოვა გრძელბეწვიანი მატყლიდან, რომელიც იძლევა საკამვოლე ნართს) (მთავარი ცენტრია ბრედფორდი იორკშირში). — ფ. ე.

[19] სელის ნართის მანქანურად რთვის ამ სწრაფმა გაფართოებამ ირლანდიაში მაშინ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა გერმანიის (სილეზიის, ლაუზიცის, ვესტფალიის) ხელით დართული ნართისგან მოქსოვილი ტილოს ექსპორტს — ფ. ე.

კონსიგნაცია ხშირად ნამდვილი მოთხოვნის ადგილს იჭერს და რომ მოჩვენებითი აყვავების პერიოდები, ე. ი. პერიოდები, როდესაც საწარმოები სრული დატვირთვით მუშაობენ, არ ემთხვევა ყოველთვის რეალური მოთხოვნის პერიოდებს. რამდენიმე თვის განმავლობაში საკამოლო საქმე განსაკუთრებით კარგ მდგომარეობაში იყო... აღნიშნული პერიოდის დასაწყისში მატყლის ფასი განსაკუთრებით დაბალი იყო; მრთველებმა მატყლი ხელსაყრელ ფასებში მოიმარაგეს და, უეჭველია, მნიშვნელოვანი რაოდენობითაც. როდესაც გაზაფხულის აუქციონების დროს მატყლის ფასმა აიწია, მრთველებმა აქედან სარგებლობა ნახეს და ეს მათ შეინარჩუნეს კიდეც, ვინაიდან ფაბრიკატების მოთხოვნა მნიშვნელოვნად დიდი და მტკიცე იყო» («Reports of Insp. of Fact., April 1849», გვ. 42):

«თუ ჩვენ დავაკვირდებით იმ რყევას საწარმოთა მდგომარეობაში, რასაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ 3 თუ 4 წელს საფაბრიკო ოლქებში, უნდა ვაღიაროთ, მგონია, რომ სადღაც არსებობს მიზეზი, რომელიც მრეწველობის ნამდვილ მსვლელობას აბრკოლებს... ხომ არ წარმოადგენს ამ მხრივ ახალ ელემენტს გადიდებული მანქანური წარმოების გიგანტური მწარმოებლური ძალა?» («Reports of Insp, of Fact., April 1849», გვ. 42, 43).

1848 წლის ნოემბერში, აგრეთვე 1849 წლის მაისსა და ზაფხულში თვით ოქტომბრამდე საქმე სულ წინ მიდიოდა. «ეს შეეხება უმთავრესად ბრედფორდისა და ჰალიფაქსის ირგვლივ თავმოყრილი ქსოვილების ფაბრიკაციას კამვოლის ნართიდან; ამ წარმოებას უწინ დაახლოებითაც კი არასოდეს არ მიუღწევია ახლანდელი მოცულობისათვის... სპეკულაციამ ნედლეულით და ამ ნედლეულის ძოსალოდნელი მიწოდების წინასწარ გათვალისწინების შეუძლებლობამ იმთავითვე გამოიწვია ბამბეულის მრეწველობაში უფრო დიდი აღგზნება და უფრო ხშირი რყევა, ვიდრე საწარმოთა სხვა რომელიმე დარგში. ამჟამად აქ ადგილი აქვს უფრო ტლანქი ხარისხის ბამბის საქონელთა მარაგის დაგროვებას, რაც წვრილ მრთველებს სიმშვიდეს უკარგავს და უკვე ზიანსაც აყენებს, ასე რომ ზოგი მათგანი მოკლე ხანს მუშაობს» («Reports of Insp. of Fact., October 1849», გვ. 64 — 65).

1850 წ. აპრილი. გრძელდება საწარმოთა საქმეების შეუფერხებელი მსვლელობა. გამონაკლისი: «დიდი დეპრესია ბამბეულის მრეწველობის ერთ ნაწილში იმის გამო, რომ ნედლეულის არასაკმარისი მიწოდებაა სწორედ ნართის მსხვილი ნომრების და მძიმე ქსოვილებისათვის... არის იმის შიში, რომ ასეთსავე რეაქციას გამოიწვევს კამვოლის წარმოებაში ახლახან გამართული მანქანების გამრავლება. ბ-ნი ბეკერი

ანგარიშობს, რომ მარტო 1849 წელს საწარმოთა ამ დარგში საქსოვი დაზგების პროდუქცია გადიდდა 40%-ით და თითისტრებისა — 25 — 30%-ით, ამასთან საწარმოთა გაფართოება ჯერ კიდევ წინანდელი ტემპით გრძელდება» («Reports of Insp. of Fact·, April 1850», გვ. 54).

1850 წ. ოქტომბერი. «ბამბის ფასი კვლავ იწევს... შესამჩნევ შეეიწროებას მრეწველობის ამ დარგში, განსაკუთრებით ისეთ საქონელთა მიმართ, რომელთა წარმოების ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს ნედლეული შეადგენს. ნედლი აბრეშუმის ფასის დიდად მომატებამ ამ დარგშიც შევიწროება გამოიწვია» («Reports of Insp. of Fact; October 1850», გვ. 14). — თანახმად აქ ციტირებული ანგარიშისა, რომელიც ირლანდიაში სელის კულტურის სამეფო საზოგადოების კომიტეტს ეკუთვნის, სელის მაღალმა ფასმა აქ, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დაბალი ფასების არსებობისას, უზრუნველყო სელის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება შემდეგი წლისთვის (იქვე, გვ. 31, 33).

1853 წ. აპრილი. დიდი აყვავება. «არასოდეს უკანასკნელ 17 წელიწადში, რომლის განმავლობაშიც მე ლანკაშირის საფაბრიკო ოლქის მდგომარეობას ოფიციალურად ვეცნობოდი, არ მინახავს ასეთი საყოველთაო აყვავება; არაჩვეულებრივი გაცხოველებაა ყველა დარგში, ამბობს ლეონარდ ჰორნერი («Reports of Insp. of Fact·, April 1853», გვ. 19).

1853 წ. ოქტომბერი. დეპრესია ბამბეულის მრეწველობაში. «ჭარბწარმოება» («Reports of Insp. of Fact·, October 1853», გვ. 15).

1854 წ. აპრილი. «მატყლის დამუშავება თუმცა გაცხოველებით არ მიმდინარეობდა, მაგრამ მაინც ყველა ფაბრიკას სრულ სამუშაოს უქმნიდა; ასევე ბამბეულის მრეწველობაც. კამვოლის წარმოება მთელი გასული ნახევარწლედის განმავლობაში სულ არარეგულარულად მიმდინარეობდა... სელის მრეწველობაში დაბრკოლებას ჰქონდა ადგილი, რადგან ყირიმის ომის გამო რუსეთიდან სელისა და კანაფის მიწოდება შემცირდა» («Reports of Insp. of Fact·, [April] 1854», გვ. 37).

1859 წელი. «შოტლანდიის სელის მრეწველობაში საქმე ჯერ კიდევ შევიწროებულ მდგომარეობაშია... რადგან ნედლეული იშვიათია და ძვირი; მდარე ხარისხის უკანასკნელი მოსავალი ბალტიისპირა პროვინციებში, საიდანაც შემოგვაქვს უმთავრესად ეს ნედლეული, საზიანო გავლენას იქონიებს ამ ოლქის საქმეებზე; ჯუტი კი, რომელიც ბევრი ტლანქი პროდუქტის წარმოებაში თანდათან იჭერს სელის ადგილს, არც ძალიან ძვირია და არც იშვიათი... დენიდში დაახლოებით

მანქანების ნახევარი ამჟამად ჯუტს რთავს» («Reports of Insp. of Fact., April 1859», გვ. 19). — «ნედლეულის მაღალი ფასის გამო სელის რთვა ჯერ კიდევ არაა ხელსაყრელი, და მაშინ როდესაც სხვა ფაბრიკები ყველანი მთელ დროს მუშაობენ, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მაგალითები იმისა, რომ სელის დამმუშავებელი მანქანები გაჩერებულია... ჯუტის რთვა... უფრო დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან ამ მასალის ფასი ახლახან უფრო ზომიერი გახდა» («Reports of Insp. of Fact., October 1859», გვ. 20).

1861—1864 წლები. ამერიკის სამოქალაქო ომი. ბამბის შიმშილი. უდიდესი მაგალითი წარმოების პროცესის შეწყვეტისა ნედლეულის ნაკლებობისა და გაძვირების გამო.

1860 წ. აპრილი. «რაც შეეხება საქმეთა მსვლელობას, მოხარული ვარ, შეგატყობინოთ, რომ, მიუხედავად ნედლეულის მაღალი ფასებისა, საფეიქრო მრეწველობის ყველა დარგი, აბრეშუმის მრეწველობის გამოკლებით, უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში ძალიან კარგად მუშაობდა... ბამბის მწარმოებელ ზოგიერთ ოლქში მუშებს განცხადებების საშუალებით ეძებდნენ, და იქ მუშები ნორფოლკიდან და სხვა სამიწათმოქმედო საგრაფოებიდან მიედინებოდნენ... ეტყობა, ნედლეულის დიდი ნაკლებობაა მრეწველობის ყველა დარგში. მხოლოდ... ეს ნაკლებობა გვაჩერებს განსაზღვრულ ფარგლებში. ბამბეულის მრეწველობაში ახლად გამართული ფაბრიკების რიცხვი, უკვე არსებული ფაბრიკების გაფართოება და მუშების მოთხოვნა, შეიძლება ითქვას, არასოდეს ისე დიდი არ ყოფილა, როგორც ამჟამად არის, ყველგან ნედლეულს ეძებენ» («Reports of Insp. of Fact., April 1860», გვ. 57).

1860 წ. ოქტომბერი. «საწარმოთა მდგომარეობა ბამბეულის, მატყლისა და სელის სართავ ოლქებში კარგი იყო; ირლანდიაში, როგორც ამბობენ, უკანასკნელ წელს მდგომარეობა ძალიან კარგიც კი ყოფილა და იგი კიდევ უკეთესი იქნებოდა, ნედლი მასალის ფასი რომ მაღალი არ იყოს. ეტყობა, სელის მრთველები უფრო მეტი მოუთმენლობით, ვიდრე ოდესმე, ელოდებიან მასალის ახალი დამატებითი წყაროების აღმოჩენას ინდოეთში რკინიგზების მეოხებით, და იქ მიწათმოქმედების სათანადო განვითარებას, რათა, ბოლოს... სელის ისეთი მიწოდება მიიღონ, რომელიც მათ მოთხოვნი-

ლებას შეეფერება» («Reports of Insp. of Fact., October 1860», გვ. 37).

1861 წ. აპრილი. «საწარმოთა მდგომარეობა ამჟამად შევიწროებულია... მცირეოდენი ბამბეულის ფაბრიკები მუშაობენ არასრულ დროს, და აბრეშუმის ცევრი ფაბრიკა მხოლოდ ნაწილობრივ მუშაობს. ნედლეული ძვირია. საფეიქრო მრეწველობის თითქმის ყოველ დარგში ნედლეულის ფასი იმაზე მაღალია, რის მიხედვითაც შესაძლებელია ამ ნედლეულის გადამუშავება მომხმარებელთა მასისათვის» («Reports of Insp. of Fact., April 1861», გვ. 33).

ახლა გამოაშკარავდა, რომ 1860 წელს ბამბეულის მრეწველობაში ჭარბწარმოებას ჰქონდა ადგილი; მისი გავლენა საგრძნობი იყო კიდევ უახლოესი წლების განმავლობაში. «განვლო ორმა თუ სამმა წელმა, ვიდრე მსოფლიო ბაზარი 1860 წლის ჭარბწარმოებას შთანთქავდა» («Reports of Insp. of Fact., December 1863», გვ. 127). «ბამბის ფაბრიკატთა ბაზრების შეევიწროებულმა მდგომარეობამ აღმოსავლეთ აზიაში 1860 წლის დამდეგს სათანადო უკუგავლენა მოახდინა საქმის მდგომარეობაზე ბლეკბერნში, სადაც სამუალოდ 30 000 მექანიკური საფეიქრო დაზგა თითქმის მარტოდმარტო ამ ბაზრისათვის აწარმოებს ქსოვილებს. ამის გამო შრომის მოთხოვნა აქ უკვე მრავალი თვით უფრო ადრე იყო შეზღუდული, ვიდრე ბამბის ბლოკადის გავლენა საგრძნობი შეიქნებოდა.... საბედნიეროდ, ამით ბევრი მეფაბრიკე გადარჩა განადგურებას. მარავის ღირებულება მატულობდა, სანამ იგი საწყობში ინახებოდა, და ამგვარად თავიდან აცილებულ იქნა საშინელი გაუფასურება, რაც წინაალმდეგ შემთხვევაში ასეთი კრიზისის დროს გარდაუვალი იქნებოდა» («Reports of Insp. of Fact., October 1862», გვ. 28. 29, 30).

1861 წ. ოქტომბერი. «საწარმოთა მდგომარეობა რამდენიმე ხანია ძალიან შევიწროებული იყო... სავსებით დასაჯერებელია, რომ ბევრი ფაბრიკა ზამთრის თვეების განმავლობაში სამუშაო დროს ძალიან შეამოკლებს. თუმცა ამის წინასწარ გათვალისწინება შეიძლებოდა... იმ მიზეზებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, რომლებმაც ბამბის ჩვეულებრივი იმპორტი ამერიკიდან ჩვენში და ჩვენი ექსპორტი ამერიკაში შეწყვიტეს, სამუშაო დროის შემოკლება მომავალ ზამთარში აუცილებელი შეიქნებოდა უკანასკნელ სამ წელიწადში წარმოების ძლიერი გადიდებისა და ინდოეთისა და ჩინეთის ბაზრების მოშლილობის გამო» («Reports of Insp. of Fact., October 1861», გვ. 19).

ბამბის ნარჩენი. ოსტ-ინდოეთის ბამბა (Surat). გავლენა მუშების ხელფასზე. მანქანების გაუმჯობესება. ბამბის შენაცვლება სახამებელი ფქვილით და მინერალებით. ამ სახამებელი წებოს გავლენა მუშებზე. ნართის წმინდა ნომრების მრთველებზე. მეფაბრიკეთა თაღლითობა.

«ერთი მეფაბრიკე მწერს შემდეგს: «რაც შეეხება იმის ვარაუდს, თუ რამდენი ბამბა მოიხმარება თითო თითისტარით, — თქვენ, უეჭველია, საკმარისად არ უწევთ ანგარიშს იმ ფაქტს, რომ, როდესაც ბამბა ძვირია, ჩვეულებრივი ნართის (ვთქვათ № 40-ამდე, უმთავრესად № 12 — 32-ის) ყოველი მრთველი მეფაბრიკე ისეთ წმინდა ნომრებს აწარმოებს, როგორიც კი შეუძლია, ე. ი. იგი დაართავს № 16-ს წინანდელი № 12-ის ნაცვლად, ანდა № 22-ს № 16-ის ნაცვლად და სხვ.; და ფეიქარი მეფაბრიკე, რომელიც ამ წმინდა ნართის გადამუშავებას ეწევა, თავის მიტკალს ჩვეულებრივ წონას მისცემს მით, რომ მას შესაბამისად სახამებლის უფრო დიდ რაოდენობას მიუმატებს. ეს ხერხი ამჟამად იმდენადაა გამოყენებული, რომ სწორედ სამარცხვინოა. მე საიმედო წყაროდან მაქვს გაგონილი, რომ ჩვეულებრივი საექსპორტო შირტინგი [საპერანგე ქსოვილი], რომლის ცალი 8 გირვანქას იწონის 2¾ გირვანქა სახამებელ წებოს შეიცავს; სხვა სახეობის ქსოვილებში ხშირად 50%-მდე სახამებელი წებოა შერეული, ასე რომ მეფაბრიკე სრულიადაც არ ტყუის, როცა თავს იქებს, რომ მდიდრდება, როდესაც თავის ქსოვილს გირვანქობით უფრო იაფად ყიდის, ვიდრე მას გადაუხდია ნართში, რომლისგანაც იგი დამზადდა» («Reports of Insp. of Fact., April 1864», გვ. 27).

«მე მაცნობეს აგრეთვე, რომ მქსოველები თავიანთ გაძლიერებულ დაავადებას სახამებელ წებოს მიაწერენ, რომელიც ოსტ-ინდოეთის ბამბიდან დართული ქსელისათვის იხმარება და რომელიც წინანდებურად მარტო წმინდა ფქვილისაგან როდი შედგება. მაგრამ ფქვილის ეს სუროგატი, როგორც ამბობენ, ძალიან ხელსაყრელია იმ მხრივ, რომ იგი ქსოვილის წონას მნიშვნელოვნად ადიდებს, ასე რომ 15 გირვანქა ნართი 20 გირვანქა ქსოვილად იქცევა» («Reports of Insp. of Fact., October 1863», გვ. 63). ეს სუროგატი იყო დაფქვილი თალკი, «China clay»-დ წოდებული, ან თაბაშირი, «French chalk»-დ წოდებული). — «ფეიქრების (აქ ეს ნიშნავს: ფეიქარ-მუშების) გასამრჯელო ძალიან შემცირებულია იმის გამო, რომ ქსელის სახამებელ წებოდ ფქვილის სუროგატებია გამოყენებული. ეს სახამებელი წებო ნართს მეტ სიმ-

ძიმეს აძლევს, მაგრამ თან ამკვრივებს მას და ტეხადად აქცევს. ქსელის თვითეული ძაფი გატარებულია საფეიქრო დაზგის ეგრეთწოდებულ დგიმში, რომლის მაგარი ძაფები ქსელს იკავებენ ჯეროვან მდგომარეობაში; ძალიან გახამებული ქსელი იწვევს მუდამ ძაფების გაწყვეტას დგიმში; თვითეული გაწყვეტა 5 წუთ დროს აკარგვინებს მქსოველს ძაფის გადასაბმელად; ფეიქარს ახლა, სულ ცოტა, ათჯერ უფრო ხშირად სჭირდება ძაფის გადაბმა, ვიდრე უწინ სჭირდებოდა, და საქსოვი დაზგა სამუშაო საათების განმავლობაში, რა თქმა უნდა, მით უფრო ნაკლებ სამუშაოს ასრულებს» (იქვე, გვ. 42, 43).

«ეშტონში, სტელიბრიჯში, მოსლიში, ოლდჰემში და სხვაგან სამუშაო დრო სრული ერთი მესამედით არის შემოკლებული და სამუშაო საათები ყოველ კვირაში კიდევ უფრო მცირდება... სამუშაო დროის ამ შემოკლებასთან ერთად ბევრ დარგში ხელფასიც მცირდება» («Reports of Insp. of Fact., April 1863», გვ. 13). — 1861 წლის დამდეგს ლანკაშირის ზოგიერთ რაიონში მექანიკური ფეიქრების გაფიცვა მოხდა. სხვადასხვა მეფაბრიკეებმა გამოაცხადეს, რომ 5 — 7½%-ით ამცირებენ ხელფასს; მუშები დაჟინებით მოითხოვნდნენ იმას, რომ ხელფასის ნორმები შენარჩუნებული ყოფილიყო, ხოლო სამუშაო დღეები შემოკლებულიყო. მეწარმენი არ დათანხმდნენ და გაფიცვა დაიწყო. ერთი თვის შემდეგ მუშები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ. და, აი, მათ მიიღეს ერთიც და მეორეც: «გარდა ხელფასის შემცირებისა, რასაც მუშები, ბოლოს დათანხმდნენ, ბევრი ფაბრიკა ახლა შემოკლებულ დროსაც მუშაობს» («Reports of Insp. of Fact., April 1861», გვ. 23).

1862 წ. აპრილი. «მუშების ტანჯვა-ვაებამ ჩემი უკანასკნელი ანგარიშის შემდეგ შესამჩნევად იმატა; მაგრამ მრეწველობის ისტორიაში არასოდეს არ ყოფილა, რომ ადამიანებს ესოდენ მოულოდნელი და მძიმე ტანჯვა აეტანოთ ესოდენ ჩუმი მორჩილებითა და მომთმენი თავდაჭერილობით» («Reports of Insp. of Fact., April 1862», გვ. 10). — «ამჟამად სრულიად უმუშევარი მუშების შეფარდებითი რიცხვი თითქოს დიდად არ აღემატება 1848 წლის რიცხვს, როდესაც ჩვეულებრივი პანიკა იყო გამეფებული, მაგრამ რომელიც საკმაო აღმოჩნდა იმისათვის, რომ შეშფოთებული მეფაბრიკენი იძულებული გამხდარიყვნენ მოეხდინათ ბამბეულის მრეწველობის სტატისტიკური გამოკვლევა, იმის ანალოგიური, როგორიც ახლა ყოველკვირეულად ქვეყნდება... 1848 წლის მაისში მანჩესტერში ბამბეულის მრეწველობის მუშების საერთო რიცხვიდან 15% უმუშევარი იყო, 12% შემოკლებულ დროს მუშაობდა, მაშინ როდესაც 70%-ზე მეტი მთელ დროს

მუშაობდა. 1862 წლის 28 მაისს უმუშევარი იყო 15%, შემოკლებული დროის განმავლობაში მუშაობდა 35%, მთელ დროს — 49%... მეზობელ ადგილებში, მაგალითად, სტოკპორტში, არასრულად მომუშავეთა და სრულიად უმუშევართა პროცენტი უფრო დიდია, ხოლო მთელ დროს მომუშავეთა პროცენტი ნაკლებია», რადგან აქ უფრო მსხვილ ნომრებს ართავენ, ვიდრე მანჩესტერში (გვ. 16).

1862 წ. ოქტომბერი. — «უკანასკნელი ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, შეერთებულ სამეფოში სულ 2 887 ბამბეულის ფაბრიკა იყო; აქედან 2 109 — ჩემს ოლქში (ლანკაშირსა და ჩეშირში). მე, რასაკვირველია, ვიცოდი, რომ ამ 2 109 ფაბრიკის ძალიან დიდი ნაწილი ჩემს ოლქში წვრილი საწარმოები იყო, რომელნიც მუშების მხოლოდ მცირე რიცხვს ამუშავებდნენ. მაგრამ გავკვირდი, როდესაც გამოვარკვიე, თუ რაოდენ დიდი იყო წვრილ საწარმოთა ეს რიცხვი. 392-ში, ანუ 19%-ში, მამოძრავებელი ძალა — ორთქლი ან წყალი — 10 ცხენძალაზე ნაკლებია; 345-ში, ანუ 16%-ში, 10-დან 20-ამდე ცხენძალა; 1 372-ში არის 20 და მეტი ცხენძალა... ამ პატარა მეფაბრიკეების ძალიან დიდი ნაწილი — საერთო რიცხვის ერთ მესამედზე მეტი — სულ ცოტა ხნის წინათ თვითონ მუშები იყვნენ; ესენი არიან ადამიანები, რომელთაც არა აქვთ თავიანთ განკარგულებაში კაპიტალი... მთავარი სიმძიმე, მაშასადამე, დანარჩენ ²/₃-ზე მოდის» («Reports of Insp. of Fact., October 1862», გვ. 18, 19).

იმავე ანგარიშის თანახმად, ლანკაშირისა და ჩეშირის ბამბეულის მრეწველობაში მაშინ სრულ დროს მუშაობდა 40 146 მუშა, ანუ 11,3%; შემოკლებულ დროს მუშაობდა 134 767, ანუ 38%; სამუშაო არ ჰქონდა 179 721-ს, ანუ 50,7%-ს. თუ აქედან გამოვაკლებთ ცნობებს მანჩესტერისა და ბოლტონის შესახებ, სადაც უმთავრესად წმინდა ნომრებს ართავენ, — ეს ის დარგია, რომელსაც ბამბის ნაკლებობა შედარებით ნაკლებ შეეხო, — მაშინ საქმის მდგომარეობა უფრო ცუდად წარმოგვიდგება, სახელდობრ: სრულ დროს მუშაობს 8,5%, არასრულ დროს — 38%, უმუშევარია 53,5% (გვ. 19, 20).

«მუშისთვის არსებით განსხვავებას წარმოადგენს, კარგ ბამბას გადაამუშავებს იგი თუ ცუდს. წლის პირველ თვეებში, როდესაც მეფაბრიკენი თავიანთი ფაბრიკების რეგულარული მუშაობის შენარჩუნებას იმით ცდილობდნენ, რომ ყოველგვარ ბამბას იყენებდნენ, რომლის ყიდვაც კი იაფ ფასებში შეიძლებოდა, — ბევრი ცუდი ბამბა შემოვიდა ფაბრიკებში, სადაც უწინ ჩვეულებრივ კარგი ბამბა იხმარებოდა; ისე დიდი განსხვავება აღმოჩნდა მუშების ხელფასში, რომ მრავალი გაფიცვა მოხდა, რადგან ახლა მათ ძველი ცალობრივი ხელ-

ფასის მიხედვით რამდენადმე საკმარისი დღიური გასამრჯელოს გამომუშავება აღარ შეეძლოთ. ზოგიერთ შემთხვევებში, ცუდი ბამბის გამო ყენებით წარმომდგარი განსხვავება მთელი ხელფასის ნახევარს აღწევდა მაშინაც კი, როდესაც მუშაობა სრული დროის განმავლობაში წარმოებდა» (გვ. 27).

1863 წ. აპრილი. «ამ წლის განმავლობაში ბამბეულის მრეწველობის მუშების ნახევარზე ცოტა მეტი შეიძლება სრულ დროს მუშაობდეს» («Reports of Insp. of Fact., April 1863», გვ. 14).

«მეტად სერიოზული უარყოფითი მხარე იმ ბამბის გამოყენებისას, რომელიც ოსტ-ინდოეთიდან მოდის და რომელიც ფაბრიკებმა ამჟამად აუცილებლად უნდა გამოიყენონ ისაა, რომ მანქანების სისწრაფე აქ ძალიან უნდა შენელდეს. უკანასკნელი წლების მანძილზე ყოველგვარი საშუალება იხმარეს ამ სისწრაფის გასაძლიერებლად, რათა იმავე მანქანებს მეტი მუშაობა შეესრულებინათ. შემცირებული სისწრაფე იმდენადვე ეხება მუშების ინტერესებს, რამდენადაც მეფაბრიკეებისას, რადგან მუშების უმრავლესობას ცალობრივი ხელფასი ეძლევა: მრთველს ამდენი და ამდენი მის მიერ დართულ გირვანქა ნართში, მქსოველს ამდენი და ამდენი მის მიერ დამზადებული ქსოვილის ნაჭერში; მაგრამ სხვა მუშებისთვისაც კი, რომელთაც კვირეული ხელფასი ეძლევათ, ხელფასი უნდა შემცირდეს წარმოების შემცირების გამო. ჩემი ცნობებისა... და იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც მე გადმომცეს ბამბეულის მრეწველობის მუშების გასამრჯელოს შესახებ ამ წლის განმავლობაში.... შემცირება გამოდის საშუალოდ 20%-ით, ზოგ შემთხვევაში 50%-ით, 1861 წლის ხელფასთან შედარებით» (გვ. 13). «გასამრჯელო თანხის სიდიდე დამოკიდებულია... იმაზე, თუ რა ხარისხის მასალა გადამუშავდება. მუშების მდგომარეობა მისაღები ხელფასის მხრივ ამჟამად (1863 წლის ოქტომბერში) ბევრად უკეთესია. ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში იყო. გაუმჯობესებულია მანქანები, უკეთესად იცნობენ ნედლეულს, და მუშებიც უფრო ადვილად ძლევენ დაბრკოლებებს, რომლებთანაც მათ დასაწყისში ბრძოლა უხდებოდათ. წარსულ გაზაფხულს მე პრესტონში ვიყავი ერთ სამკერვალო სკოლაში (საქველმოქმედო დაწესებულება უმუშევრებისათვის). ორი ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელნიც წინადღით სამუშაოდ გაგზავნეს ერთ საფეიქრო სახელოსნოში, სადაც მათ, როგორც მეფაბრიკე ირწმუნებოდა, კვირაში 4 შილინგი ხელფასის აღება შეეძლოთ, თხოულობდა ხელახლა სკოლაში მიღებას და ჩიოდა იქ კვირაში ერთი შილინგის აღებასაც ვერ შევძლებთო. მე მქონდა ცნობები Self-acting minders-ის [ავტომატურ სართავ მანქანებზე მრთველის] მამაკაცების

შესახებ, რომელნიც ორ-ორ ხელფაქტორს მეთვალყურეობდნენ და რომელთაც 14 დღის სრული დროის მუშაობაში ხელფასად 8 შილინგი და 11 პენსი მიიღეს და ამ თანხიდან მათ ბინის ქირა დაუქვითეს. ამასთან მეფაბრიკემ» (დიდად გულმოწყალე!) «ამ ქირის ნახევარი უკან დაუბრუნა საჩუქრის სახით. მუშებმა 6 შილინგი და 11 პენსი წაიღეს შინ. ზოგ ადგილას, 1862 წლის უკანასკნელ თვეებში Self-acting minders ავტომატურ სართავ მანქანაზე მქსოველები ხელფასად კვირაში 5 — 9 შილინგს ღებულობდნენ, ფეიქრები 2 — 6 შილინგს... ამჟამად მდგომარეობა ბევრად უფრო ნორმალურია, თუმცა ხელფასი მეტწილ ოლქებში ჯერ კიდევ ძალიან დაკლებულია... ინდოეთის ბამბის ბოჭკოების სიმოკლისა და მისი ჭუჭყიანობის გარდა ბევრმა სხვა მიზეზმაც შეუწყო ხელი ხელფასის შემცირებას. მაგალითად, ამჟამად ჩვეულებადაა გადაქცეული ბამბის ნარჩენების უხვად შერევა ინდოეთის ბამბაში, და ეს გარემოება, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტ სიძნელეს უქმნის მრთველს. ბოჭკოების სიმოკლის გამო ძაფი უფრო ადვილად წყდება მიულის გასვლა-გამოსვლისას და ნართის დახვევისას, და მიულის მოძრაობა აღარ შეიძლება რეგულარული იყოს... ამასთან, იმის გამო, რომ ძაფებს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, ერთ ფეიქარ ქალს ხშირად მხოლოდ ერთი დაზგის მეთვალყურეობა შეუძლია და ძალიან ცოტას — ორზე მეტი დაზგისა... ბევრ შემთხვევაში მუშების ხელფასი შემცირებულია 5,7% და 10%-ით... უმრავლეს შემთხვევაში მუშა იმის ზრუნვაში უნდა იყოს, თუ როგორ გაართვას თავი ნედლეულს და ხელფასის ჩვეულებრივი განაკვეთის მიხედვით როგორ გამოიმუშაოს გასამრჯელოდ ის, რასაც ჩვეულებრივ იღებდა ხოლმე... სხვა სიძნელე, რომელთანაც ფეიქრებს ხანდახან ბრძოლა უხდებათ, იმაში მდგომარეობს, რომ მათ ცუდი მასალიდან კარგი ქსოვილი უნდა გააკეთონ, და თუ ნაშრომი არა სასურველი ხარისხის აღმოჩნდება, დააჯარიმებენ ხელფასიდან გამოკლებით» («Reports of Insp. of Fact., October 1863», გვ. 41 — 43).

ხელფასი სრულიად ლატაკური იყო იქაც კი, სადაც სრულ დროს მუშაობდნენ. ბამბეულის მრეწველობის მუშები ხალისით მიდიოდნენ ყოველგვარ საზოგადოებრივ სამუშაოზე, — დრენაჟზე, გზების გაყვანაზე, ქვის მტვრევაზე, ქუჩების მოკირწყვლაზე, — სადაც კი მათ იღებდნენ, რათა შეძლებოდათ ადგილობრივი ხელისუფლებისაგან დახმარების მიღება (რაც ფაქტიურად მეჯაბრიკეებისათვის დახმარების გაწევას ნიშნავდა. იხ. წიგნი I, გვ. 536 და შემდგ. [კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ.. გვ. 722]). მთელი ბურჟუაზია თხიზლად უთვალთვალებდა მუშებს. თუ მუშას ძაღლის ულუფისებურ

ხელფასს შეაძლევდნენ და იგი ამაზე უარს იტყოდა, დახმარების კომიტეტი დაუყოვნებლივ ამოშლიდა მას დახმარების მიმღებ პირთა სიიდან. ეს დრო ოქროს დრო იყო ბ-ნ მეფაბრიკეთათვის, რადგან მუშები ან შიმშილით უნდა დახოცილიყვნენ, ანდა მათ ყოველ ფასში, ბურჟუასთვის ყოვლად ხელსაყრელ ფასში, უნდა ემუშავნათ; ამასთან დახმარების კომიტეტები მოქმედებდნენ როგორც მათი, მეფაბრიკეების, ერთგული მოდარაჯე ქოფაკები. ამავე დროს მთავრობასთან ფარულად შეთანხმებული მეფაბრიკენი რაც კი შეიძლებოდა ხელს უშლიდნენ ემიგრაციას ნაწილობრივ იმიტომ, რომ მუდამ ხელმისაწვდომად ჰქონებოდათ მუშების ხორცსა და სისხლში მოქცეული კაპიტალი, ნაწილობრივაც იმ მიზნით, რათა უზრუნველეყოთ თავისთვის ბინის ქირის გამოწურვა მუშებისაგან.

«დახმარების კომიტეტები ამ შემთხვევაში უდიდესი სისასტიკით მოქმედებდნენ. მუშას, როგორც კი მას სამუშაოს შეაძლევდნენ, მაშინვე სიიდან ამოშლიდნენ, და ასე აიძულებდნენ შეძლეული სამუშაო აელოთ. თუ მუშებიც უარს იტყოდნენ მუშაობის დაწყებაზე... ამის მიზეზს ის შეადგენდა, რომ მათი გასამრჯელო მარტოოდენ ნომინალური იყო, ხოლო სამუშაო — არაჩვეულებრივად ძნელი» («Reports of Insp. of Fact., October 1863», გვ. 97).

მუშები მზად იყვნენ აელოთ ყოველგვარი სამუშაო, რომელზედაც მათ, Publik Works Act-ის [აქტი საზოგადოებრივ სამუშაოთა შესახებ] თანახმად დააყენებდნენ. «ის საფუძვლები, რომელთა მიხედვით სამრეწველო სამუშაოები იყო ორგანიზებული სხვადასხვა ქალაქისათვის, მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ. იმ ადგილებშიც კი, სადაც ღია ცის ქვეშ მუშაობა არ წარმოადგენდა აუცილებლად საცდელ მუშაობას (labour test), ამ მუშაობისათვის გაცემული გასამრჯელო ან მარტოოდენ ჩვეულებრივი რეგულარული დახმარების თანხას შეადგენდა, ანდა მას მხოლოდ ცოტათი აღემატებოდა, ასე რომ სინამდვილეში იგი საცდელი მუშაობა იყო» (გვ. 69). «1863 წლის Public Works Act-ს უნდა მოესპო ეს სივაგლახე და მუშისთვის შესაძლებლობა მიეცა თავისი დღიური ხელფასი ისე მოეპოვებინა, როგორც დამოუკიდებელ დღიურ მუშას. ამ აქტის მიზანი სამგვარი იყო: 1) შესაძლებლობა მიეცა ადგილობრივ ხელისუფალთათვის ფული ესესხნათ სახელმწიფო სესხთა გამგე კომისრებისგან (ღარიბებზე მზრუნველობის სახელმწიფო ცენტრალური უწყების პრეზიდენტის თანხმობით); 2) ხელი შეეწყო ქალაქების კეთილმოწყობისათვის ბამბეულის მრეწველობის ოლქებში; 3) მიეცა უმუშევარი მუშებისათვის სამუშაო და საკმარისი გასამრჯელო (remunerative wages)». 1863 წლის ოქტომბ-

რის ბოლომდე, ამ კანონის თანახმად, 883 700 გირვ. სტერლინგამდე სესხის აღება იქნა ნებადართული (გვ. 70). წამოწყებული იყო უმთავრესად კანალიზაციის მოწყობის, გზების გაყვანის, ქუჩების მოკირწყვლის, წყლის ძრავებისათვის საგუბრების გამართვის და სხვ. სამუშაოები.

ბლეკბერნის კომიტეტის პრეზიდენტი ბ-ნი ჰენდერსონი, ამის გამო საფაბრიკო ინსპექტორს რედგრეივს სწერს: «ყოველივე იმიდან, რაც მე მინახავს ტანჯვისა და სიღატაკის ახლანდელი პერიოდის განმავლობაში, არაფერს ისე არ გავუოცებივარ და არ გავუხარებივარ, როგორც იმ მხიარულ ხალისიანობას, რომლითაც ამ ოლქის უმუშევარი მუშები ჰკიდებენ ხელს ყველა იმ სამუშაოს, რომელსაც კი, Public Works Act-ის თანახმად, მათ ბლეკბერნის ქალაქის საბჭო შეაძლევს. ძნელად წარმოსადგენია უფრო დიდი კონტრასტი, ვიდრე ის, რომ ბამბის მრთველი, რომელიც უწინ დახელოვნებული მუშა იყო ფაბრიკაში, ახლა დღიურ მუშად მუშაობს გადასაშვები არხის თხრაზე მიწაში 14 თუ 18 ფუტის სიღრმეზე». (ასეთი მუშაობით მუშები შოულობდნენ, ოჯახის სიდიდის მიხედვით, — 4 — 12 შილინგს კვირაში, — ეს ვეებერთელა თანხა ხშირად 8 სულისგან შემდგარ ოჯახს უნდა ჰყოფნოდა. აქ ბატონ ფილისტერებს ორმაგი მოგება ჰქონდათ: ჯერ ერთი, ისინი ფულს ღებულობდნენ არაჩვეულებრივად მცირე სარგებლის გადახდით მათი გამჭვარტლული და გაპარტახებული ქალაქების გასაუმჯობესებლად; მეორეც, მუშებს ჩვეულებრივ ხელფასის ნორმაზე ბევრად ნაკლებს აძლევდნენ.) «მუშა, რომელიც მიჩვეული იყო თითქმის ტროპიკულ ტემპერატურას, მიჩვეული იყო ისეთ შრომას, სადაც დახელოვნებას და მანიპულაციის სიზუსტეს მისთვის ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე კუნთების ძალას, მიჩვეული იყო ორკეც, ზოგჯერ სამკეც ხელფასს იმასთან შედარებით, რაც მას ახლა შეუძლია მიიღოს, — ასეთი მუშა, როდესაც ოგი ხალისით ხელს ჰკიდებს შეძლეულ სამუშაოს, ისეთ თავგანწირვას და კეთილგონიერებას იჩენს, რომელიც მას უდიდეს პატივს უხვევს. ბლეკბერნში უმუშევრები გამოსცადეს თითქმის ყოველგვარ სამუშაოზე ღია ცის ქვეშ: მაგარი, მძიმე თიხნარი მიწის გასათხრელად მნიშვნელოვან სიღრმეზე, ნიადაგის ამოსაშრობად წარმოებულ სამუშაოზე. ქვების მტვრევაზე, გზების გაყვანაზე, 14, 16 და ზოგჯერ 20 ფუტის სიღრმის არხების გასათხრელად ქუჩებისათვის. ხშირად ისინი ამ მუშაობის დროს ტალახსა და წყალში დგანან 10 — 12 დუიმის სიღრმეზე, და ამასთან ისეთი ჰავის ზეგავლენას განიცდიან, რომლის ნესტიან სიცივეს ვერ გადააჭარბებს ინგლისის ვერც ერთი ოლქის ჰავა, თუკი ოგი

საერთოდ მას გაუთანატოლდება» (გვ. 91, 92). — «თითქმის უმწიკვლო იყო მუშების ყოფაქცევა... მათი მზადყოფნა — ეკისრათ მუშაობა ღია ცის ქვეშ და ამით თავი გაეტანათ» (გვ. 69).

1864 წ. აპრილი. «დროგამოშვებით სხვადასხვა ოლქში გაისმის ჩივილი მუშების ნაკლებობის შესახებ. უმთავრესად ზოგიერთ დარგში, მაგალითად, ქსოვის საქმეში... მაგრამ ეს ჩივილი შედეგია როგორც მცირე ხელფასისა, რომლის მიღება ამჟამად მუშებს შეუძლიათ ცუდი ხარისხის ნართის ხმარების გამო, ისე რამდენადმე თვით მუშების ნამდვილი ნაკლებობისაც ამ სპეციალურ დარგში. მრავალ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი წარსულ თვეში ხელფასის გამო ზოგიერთ მეფაბრიკეთა და მათ მუშებს შორის. მე ვწუხვარ, რომ გაფიცვები ძალიან გახშირდა... Public Works Act-ის გავლენას მეფაბრიკენი კონკურენციად მიიჩნევენ; და ამის გამო ბეიკაპის ადგილობრივმა კომიტეტმა შეწყვიტა თავისი მოქმედება, რადგან, თუმცა ჯერ კიდევ ყველა ფაბრიკა არ მუშაობს, მაგრამ მაინც მუშების ნაკლებობა გამოაშკარავდა» («Reports of Insp. of Fact., April 1864». გვ. 9, 10). და, მართლაც, დრო იყო ზ-ნი მეფაბრიკენი დაფიქრებულიყვნენ. Public Works Act-ის შემწეობით ისე ძალიან გაიზარდა მოთხოვნა, რომ ბეიკაპის ქვისსატეხებში ზოგი ფაბრიკის მუშები 4-6 შილინგს იღებდნენ დღიურ გასამრჯელოდ. და ამგვარად თანდათან შეწყდა საზოგადოებრივი სამუშაოები, — ეს ახალი გამოცდა 1848 წლის Ateliers nationaux-სა [ნაციონალური სახელოსნოებისა], რომლებიც ამჯერად ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ იყო მოწყობილი.

ექსპერიმენტები in corpore vili [ღირებულებას მოკლებულ სხეულზე].

«თუმცა მე აქ აღვნიშნე ძალიან შემცირებული ხელფასი» (სრულ დროს მომუშავეთა), «რომელიც მუშების ნამდვილ გასამრჯელოს შეადგენს სხვადასხვა ფაბრიკებში, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ მუშები კვირიდან კვირამდე ყოველთვის ერთსა და იმავე თანხას იღებენ. აქ დიდ რყევას აქვს ადგილი იმის გამო, რომ მეფაბრიკენი განუწყვეტლივ ექსპერიმენტებს აწარმოებენ სხვადასხვა ხარისხისა და პროპორციის ბამბითა და ნარჩენებით ერთსა და იმავე ფაბრიკაში; ეს «ნარევები», როგორც მათ უწოდებენ, ხშირად იცვლება, და მუშის მიერ მისაღები გასამრჯელო მატულობს ან კლებულობს იმისდა მიხედვით, თუ რა ხარისხისაა ბამბის ნარევი. ზოგჯერ ეს გასამრჯელო შეადგენდა უწინდელის მხოლოდ 15%, და ერთი ან რამდე-

ნიმე კვირის შემდეგ 50 ან 60%-ით კლებულობდა», ინსპექტორი რედგრეივი, რომლის სიტყვები ჩვენ აქ მოგვყავს, აღნიშნავს თავისი პრაქტიკიდან ხელფასის მაგალითებს, რომელთაგან აქ საკმარისი იქნება შემდეგი მოვიხსენიოთ:

A, მქსოველი, 6 სულისგან შემდგარი ოჯახი, კვირაში 4 დღეს მუშაობს, 6 შილ. 8 პენსი; *B*, მიმძახველი — 4½ დღეს კვირაში, 6 შილ.; C, მქსოველი, ოჯახში 4 სული, — 5 დღეს კვირაში, 5 შილ. 1 პენსი; *D*, მტოლავი, ოჯახში 6 სული, — 4 დღეს კვირაში, 7 შილ. 10 პენსი; E მქსოველი, ოჯახში 7 სული,—3 დღეს კვირაში, 5 შილ. და სხვ. რედგრეივი განაგრძობს: «ზემოაღნიშნული მონაცემები ყურადღების ღირსია, ვინაიდან ისინი გვიჩვენებენ, რომ ზოგი ოჯახისათვის მუშაობა უბედურება იქნებოდა, რადგან იგი არა მარტო ამცირებს შემოსავალს, არამედ ისე დაბლა სწევს მას, რომ ეს შემოსავალი საკმარისი იქნებოდა მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელ მოთხოვნილებათა სულ მცირე ნაწილის დასაკმაყოფილებლად, დამატებითი შეჭწეობა რომ არ ეძლეოდეს ოჯახს იმ შემთხვევებში, როდესაც მის მიერ მოპოვებული გასამრჯელო არ აღწევს იმ თანხას, რასაც იგი შემწეობის სახით მიიღებდა, მთლად რომ უმუშევარი ყოფილიყო» («Reports of Insp. of Fact., October 1863», გვ. 50 — 53).

«1863 წლის 5 ივნისიდან დაწყებული არ ყოფილა არც ერთი ისეთი კვირა, რომლის განმავლობაშიც ყველა მუშის საშუალო სამუშაო დრო გადასცილებოდეს ორ დღესა და 7 საათს წუთებით» (იქვე, გვ. 121).

კრიზისის დაწყებიდან 1863 წლის 25 მარტამდე თითქმის სამი მილიონი გირვ. სტერლ. იქნა გაცემული ღარიბთა მზრუნველობის უწყებებისა, დახმარების ცენტრალური კომიტეტისა და ლონდონის მუნიციპალური კომიტეტის მიერ (იქვე, გვ. 13).

«ერთ ოლქში, სადაც ძალიან წმინდა ნომრის ნართს ამზადებენ... მრთველებს არაპირდაპირ Sea island-დან ეგვიპტის ბამბაზე გადასვლის გამო 15%-ით უმცირდებათ ხელფასი... ერთ დიდ ოლქში, სადაც ბამბის ნარჩენს მასობრივად იყენებენ ინდოეთის ბამბაში შესარევად, მრთველებს 5%-ით შეუმცირდათ ხელფასი და, გარდა ამისა, კიდევ 20-30% დაკარგეს სურატისა და ნარჩენის გადამუშავების გამო. მქსოველები ახლა ოთხი დაზგის ნაცვლად ორ დაზგაზე მუშაობენ. 1860 წელს ისინი თვითეულ საქსოვ დაზგაზე აკეთებდნენ 5 შილ. და 7 პენსს, 1863 წელს კი — მხოლოდ 3 შილ. და 4 პენსს... ფულადი ჯარიმა, რაც უწინ, ამერიკული ბამბის ხმარებისას, 3-დან 6 პენსამდე მერყეობდა (მრთველისათვის), ახლა 1 შილ. — 3 შილ. 6 პენსს შეადგენს». ერთ

საერთოდ მას გაუთანატოლდება» (გვ. 91, 92). — «თითქმის უმწიკვლო იყო მუშების ყოფაქცევა... მათი მზადყოფნა — ეკისრათ მუშაობა ღია ცის ქვეშ და ამით თავი გაეტანათ» (გვ. 69).

1864 წ. აპრილი. «დროგამოშვებით სხვადასხვა ოლქში გაისმის ჩივილი მუშების ნაკლებობის შესახებ. უმთავრესად ზოგიერთ დარგში, მაგალითად, ქსოვის საქმეში... მაგრამ ეს ჩივილი შედეგია როგორც მცირე ხელფასისა, რომლის მიღება ამჟამად მუშებს შეუძლიათ ცუდი ხარისხის ნართის ხმარების გამო, ისე რამდენადმე თვით მუშების ნამდვილი ნაკლებობისაც ამ სპეციალურ დარგში. მრავალ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი წარსულ თვეში ხელფასის გამო ზოგიერთ მეფაბრიკეთა და მათ მუშებს შორის. მე ვწუხვარ, რომ გაფიცვები ძალიან გახშირდა... Public Works Act-ის გავლენას მეფაბრიკენი კონკურენციად მიიჩნევენ; და ამის გამო ბეიკაპის ადგილობრივმა კომიტეტმა შეწყვიტა თავისი მოქმედება, რადგან, თუმცა ჯერ კიდევ ყველა ფაბრიკა არ მუშაობს, მაგრამ მაინც მუშების ნაკლებობა გამოაშკარავდა» («Reports of Insp. of Fact., April 1864». გვ. 9, 10). და, მართლაც, დრო იყო ბ-ნი მეფაბრიკენი დაფიქრებულიყვნენ. Public Works Act-ის შემწეობით ისე ძალიან გაიზარდა მოთხოვნა, რომ ბეიკაპის ქვისსატეხებში ზოგი ფაბრიკის მუშები 4-6 შილინგს იღებდნენ დღიურ გასამრჯელოდ. და ამგვარად თანდათან შეწყდა საზოგადოებრივი სამუშაოები, — ეს ახალი გამოცდა 1848 წლის Ateliers nationaux-სა [ნაციონალური სახელოსნოებისა], რომლებიც ამჯერად ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ იყო მოწყობილი.

ექსპერიმენტები in corpore vili [ღირებულებას მოკლებულ სხეულზე].

«თუმცა მე აქ აღვნიშნე ძალიან შემცირებული ხელფასი» (სრულ დროს მომუშავეთა), «რომელიც მუშების ნამდვილ გასამრჯელოს შეადგენს სხვადასხვა ფაბრიკებში, მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის, რომ მუშები კვირიდან კვირამდე ყოველთვის ერთსა და იმავე თანხას იღებენ. აქ დიდ რყევას აქვს ადგილი იმის გამო, რომ მეფაბრიკენი განუწყვეტლივ ექსპერიმენტებს აწარმოებენ სხვადასხვა ხარისხისა და პროპორციის ბამბითა და ნარჩენებით ერთსა და იმავე ფაბრიკაში; ეს «ნარევები», როგორც მათ უწოდებენ, ხშირად იცვლება, და მუშის მიერ მისაღები გასამრჯელო მატულობს ან კლებულობს იმისდა მიხედვით, თუ რა ხარისხისაა ბამბის ნარევი. ზოგჯერ ეს გასამრჯელო შეადგენდა უწინდელის მხოლოდ 15%, და ერთი ან რამდე-

ნიმე კვირის შემდეგ 50 ან 60%-ით კლებულობდა», ინსპექტორი რედგრეივი, რომლის სიტყვები ჩვენ აქ მოგვყავს, აღნიშნავს თავისი პრაქტიკიდან ხელფასის მაგალითებს, რომელთაგან აქ საკმარისი იქნება შემდეგი მოვიხსენიოთ:

A, მქსოველი, 6 სულისგან შემდგარი ოჯახი, კვირაში 4 დღეს მუშაობს, 6 შილ. 8 პენსი; *B*, მიმძახველი — 4½ დღეს კვირაში, 6 შილ.; C, მქსოველი, ოჯახში 4 სული, — 5 დღეს კვირაში, 5 შილ. 1 პენსი; *D*, მტოლავი, ოჯახში 6 სული, — 4 დღეს კვირაში, 7 შილ. 10 პენსი; E მქსოველი, ოჯახში 7 სული,—3 დღეს კვირაში, 5 შილ. და სხვ. რედგრეივი განაგრძობს: «ზემოაღნიშნული მონაცემები ყურადღების ღირსია, ვინაიდან ისინი გვიჩვენებენ, რომ ზოგი ოჯახისათვის მუშაობა უბედურება იქნებოდა, რადგან იგი არა მარტო ამცირებს შემოსავალს, არამედ ისე დაბლა სწევს მას, რომ ეს შემოსავალი საკმარისი იქნებოდა მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელ მოთხოვნილებათა სულ მცირე ნაწილის დასაკმაყოფილებლად, დამატებითი შეკვეთა რომ არ ეძლეოდეს ოჯახს იმ შემთხვევებში, როდესაც მის მიერ მოპოვებული გასამრჯელო არ აღწევს იმ თანხას, რასაც იგი შემწეობის სახით მიიღებდა, მთლად რომ უმუშევარი ყოფილიყო» («Reports of Insp. of Fact., October 1863», გვ. 50 — 53).

«1863 წლის 5 ივნისიდან დაწყებული არ ყოფილა არც ერთი ისეთი კვირა, რომლის განმავლობაშიც ყველა მუშის საშუალო სამუშაო დრო გადასცილებოდეს ორ დღესა და 7 საათს წუთებით» (იქვე, გვ. 121).

კრიზისის დაწყებიდან 1863 წლის 25 მარტამდე თითქმის სამი მილიონი ფუნტ. სტერლ. იქნა გაცემული ღარიბთა მზრუნველობის უწყებებისა, დახმარების ცენტრალური კომიტეტისა და ლონდონის მუნიციპალური კომიტეტის მიერ (იქვე, გვ. 13).

«ერთ ოლქში, სადაც ძალიან წმინდა ნომრის ნართს ამზადებენ... მრთველებს არაპირდაპირ Sea island-დან ეგვიპტის ბამბაზე გადასვლის გამო 15%-ით უმცირდებათ ხელფასი... ერთ დიდ ოლქში, სადაც ბამბის ნარჩენს მასობრივად იყენებენ ინდოეთის ბამბაში შესარევად, მრთველებს 5%-ით შეუმცირდათ ხელფასი. და გარდა ამისა, კიდევ 20-30% დაკარგეს სურატისა და ნარჩენის გადამუშავების გამო. მქსოველები ახლა ოთხი დაზგის ნაცვლად ორ დაზგაზე მუშაობენ. 1860 წელს ისინი თვითეულ საქსოვ დაზგაზე აკეთებდნენ 5 შილ. და 7 პენსს, 1863 წელს კი — მხოლოდ 3 შილ. და 4 პენსს... ფულადი ჯარიმა, რაც უწინ, ამერიკული ბამბის ხმარებისას, 3-დან 6 პენსამდე მერყეობდა (მრთველისათვის), ახლა 1 შილ. — 3 შილ. 6 პენსს შეადგენს». ერთ

ოლქში, სადაც ოსტ-ინდოეთის ბამბასთან შერეულ ეგვიპტის ბამბას ხმარობენ: «მიუღზე მრთველის საშუალო ხელფასი 1860 წელს 18—25 შილ. იყო, ახლა კი 10 — 18 შილინგია. ამის მიზეზი არის არა მხოლოდ ბამბის გაუარესება, არამედ ამას იწვევს აგრეთვე მიუღლის მოძრაობის სისწრაფის შემცირებაც ნართის უფრო მაგრად დაგრეხის მიზნით, რისთვისაც ჩვეულებრივ დროში, ხელფასის ნუსხის მიხედვით, დამატებითი გასამრჯელო ეძლევა მუშას» (გვ. 43, 44, 45-50). — «თუმცა ოსტ-ინდოეთის ბამბა, შეიძლება აქა-იქ მეფაბრიკეებმა მოგებით გადაამუშავეს, მაგრამ ჩვენ ვხედავთ სამაგიეროდ (იხ. ხელფასის ნუსხა, გვ. 53), რომ ამ შემთხვევაში მუშები დაზარალდნენ 1861 წელთან შედარებით. თუ სურატის ხმარება განმტკიცდა, მუშები ისეთსავე გასამრჯელოს მოითხოვენ, როგორიც ჰქონდათ 1861 წელს; ამას კი სერიოზული გავლენა ექნებოდა მეფაბრიკეთა მოგებაზე, თუკი ეს გავლენა კომპენსირებული არ იქნებოდა ბამბის ან ფაბრიკატების ფასის ცვლილებით» (გვ. 105).

ბ ი ნ ი ს ქ ი რ ა. «მუშებს, რომლებიც მეფაბრიკის კუთვნილ კოტეჯებში ცხოვრობენ, ბინის ქირას ხშირად მეფაბრიკე ხელფასიდან უქვითავს, მაშინაც კი, როდესაც მუშაობა არასრულ დროს წარმოებს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ შენობების ღირებულება შემცირდა, და პატარა სახლები ახლა 25-50%-ით უფრო იაფია, ვიდრე წინათ; კოტეჯი, რომელიც უწინ კვირაში 3 შილ. 6 პენსი ღირდა, ახლა 2 შილ. 4 პენსად იშოვება და ზოგჯერ უფრო იაფადაც» (გვ. 57).

ე მ ი გ რ ა ც ი ა. მეფაბრიკენი, რასაკვირველია, მუშების ემიგრაციის წინააღმდეგი იყვნენ, ერთი მხრივ, იმიტომ რომ «ბამბეულის მრეწველობისათვის უკეთეს დროთა მოლოდინში ისინი ცდილობდნენ ხელთ სჭეროდათ საშუალება მათი ფაბრიკების ყველაზე ხელსაყრელი წესით წარსამართავად». გარდა ამისა, იმიტომ, რომ «ბევრი მეფაბრიკე იმ სახლების მესაკუთრეა, სადაც მათ მიერ სამუშაოზე დაყენებული მუშები ცხოვრობენ, და მათგან ზოგი მაინც უეჭველად მოელის, რომ შემდეგში მიიღებს თუნდაც ნაწილს ბინის ქირისა, რომელიც მუშებს ვალად დაედვათ» (გვ. 96).

ბ-ნმა ბერნოლ ოსბორნმა პარლამენტში მის ამომრჩევლებისადმი მიმართულ ერთ-ერთ თავის სიტყვაში 1864 წლის 22 ოქტომბერს თქვა, რომ ლანკაშირის მუშებს ანტიკურ ფილოსოფოსებივით (სტოიკოსებივით) ეჭირათ თავი. ცხვრებივით ხომ არა?

თავი მეშვიდე

დამატებანი.

ვთქვათ, როგორც ეს ამ განყოფილებაშია ნაგულისხმევი, წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში მითვისებული მოგების მასა ეთანატოლება იმ ზედმეტი ღირებულების ჯამს, რომელსაც ამ სფეროში დაბანდებული მთელი კაპიტალი აწარმოებს. ამ შემთხვევაშიც კი ბურჟუა მოგებას არ წარმოიდგენს როგორც ზედმეტი ღირებულების, ე. ი. გადაუხდელი ზედმეტი შრომის იდენტურს, და არ წარმოიდგენს შემდეგი მიზეზების გამო:

1) მიმოქცევის პროცესში იგი ივიწყებს წარმოების პროცესს. საქონლის ღირებულების რეალიზაცია, — რაც საქონელში შესული ზედმეტი ღირებულების რეალიზაციასაც შეიცავს, — მას ზედმეტი ღირებულების შექმნად წარმოუდგება. { ცარიელი ადგილი, რომელიც აქ ხელნაწერშია დატოვებული, გვიჩვენებს, რომ მარქსს განზრახული ჰქონდა უფრო დაწვრილებით განევითარებინა ეს პუნქტი. — ფ. ე.}

2) თუ ვიგულისხმებთ, რომ შრომის ექსპლოატაციის ხარისხი უცვლელი რჩება, მაშინ, როგორც დავინახეთ, დამოუკიდებლად საკრედიტო სისტემის მიერ გამოწვეული ყველა მოდიფიკაციისა, დამოუკიდებლად კაპიტალისტების მიერ მოგების მიღების მიზნით ერთმანეთის მოტყუებისა და თვალისახვევისა, შემდეგ დამოუკიდებლად ბაზრის ხელსაყრელი არჩევისა, — მოგების ნორმა შეიძლება მეტად სხვადასხვა იყოს, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად იაფია ნედლეული და მეტი თუ ნაკლები ცოდნა-მოხერხებითაა იგი შესყიდული; იმისდა მიხედვით, თუ როგორი წარმადობისაა, რამდენად მიზანშეწონილი და იაფია გამოყენებული მანქანები; იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ სრულყოფილია წარმოების პროცესის სხვადასხვა საფეხურთა ერთობლივი ორგანიზაცია, რამდენად აცილებულია ნედლეულის ფლანგვა, რამდენად მარტივი და ქმედითია გამგებლობა და ზედამხედველობა და სხვ. მოკლედ, თუ განსაზღვრული ცვალებადი კაპიტალისთვის ზედმეტ

ღირებულებას მოცემულად ვიგულისხმებთ, მაშინ თვით კაპიტალისტისა და მისი ზედამხედველობისა და ნოქრების ინდივიდუალური საქმიანობის უნარზეა დიდად დამოკიდებული, იგივე ზედმეტი ღირებულება მოგების უფრო დიდი ნორმით გამოიხატ�eba თუ უფრო მცირე ნორმით და, მაშასადამე, იგი მოგების უფრო დიდ მასას მიიღებს თუ უფრო მცირეს. ვთქვათ, 1000 გირვ. სტერლ. ოდენობის ერთი და იგივე ზედმეტი ღირებულება, 1000 გირვ. სტერლ. ხელფასის პროდუქტი, *A* საწარმოში მოდის 9 000 გირვ. სტერლ. მუდმივ კაპიტალზე და *B* საწარმოში 11.000 გირვ. სტერლ. მუდმივ კაპიტალზე. *A* შემთხვევაში ჩვენ გვაქვს $p' = \frac{1000}{10\,000} = 10\%$. *B* შემთხვევაში გვაქვს $p' = \frac{1000}{12.000} = 8^1/_3\%$. მთელი კაპიტალი *A*-ში შედარებით მეტ მოგებას აწარმოებს, ვიდრე *B*-ში, რადგან მოგების ნორმა იქ უფრო დიდია, ვიდრე აქ, თუმცა ორივე შემთხვევაში ავანსებული ცვალებადი კაპიტალი 1 000-ს უდრის და აქედან მიღებული ზედმეტი ღირებულებაც = 1000, მაშასადამე, ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს მუშების თანაბარი რიცხვის თანაბარ ექსპლოატაციას. ზედმეტი ღირებულების ერთი და იმავე მასის გამოსახულების ეს სხვაობა ანუ მოგების ნორმათა და, მაშასადამე, თვით მოგებათა სხვაობა, შრომის თანაბარი ექსპლოატაციის დროს, შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა წყაროებიდანაც; მაგრამ იგი შეიძლება აგრეთვე გამომდინარეობდეს მთლიანად და მარტოოდენ მოსაქმეობის იმ დახელოვნებაში არსებული სხვაობიდან, რომლითაც ორივე საწარმო წარიმართება. და ეს გარემოება კაპიტალისტში იწვევს ილუზიას, — არწმუნებს მას იმაში, რომ მისი მოგება თავის არსებობას უნდა უმადლიდეს არა შრომის ექსპლოატაციას, არამედ, ნაწილობრივ მაინც, აგრეთვე სხვა, ამისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, განსაკუთრებით მის ინდივიდუალურ მოქმედებას.

ყოველივე იმიდან, რაც ამ პირველ განყოფილებაშია განხილული, გამომდინარეობს იმ შეხედულების (როდბერტუსი) — მცდარობა, რომლის თანახმად (მიწის რენტისგან განსხვავებით, სადაც, მაგალითად, მიწის ფართობი უცვლელი რჩება, მაშინ როდესაც რენტა იზრდება) კაპიტალის სიდიდის ცვლილებას გავლენა არა აქვს შეფარდებაზე მოგებასა და კაპიტალს შორის და, მაშასადამე, მოგების ნორმაზეც, რადგან იმ შემთხვევაში, როცა მოგების მასა იზრდება, იზრდება კაპიტალის მასაც, რომელზედაც იგი გამოიანგარიშება, და პირიქით.

ეს მართალია მხოლოდ ორ შემთხვევაში: ჯერ ერთი, მაშინ, როდესაც, ყველა სხვა გარემოებისა და, მაშასადამე, მეტადრე ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას, ცვლილებას განიცდის იმ საქონლის ღირებულება, რომელიც ფულად საქონელს წარმოადგენს. (ამასვე აქვს ადგილი ღირებულების მარტოოდენ ნომინალური ცვლილებისას, ღირებულების ნიშანთა აწევისას ან დაწევისას სხვა თანაბარ პირობებში). ვთქვათ, მთელი კაპიტალი უდრის 100 გირვ. სტერლინგს და მოგება უდრის 20 გირვ. სტერლინგს, მაშასადამე, მოგების ნორმა უდრის 20%-ს. თუ ახლა ოქროს ღირებულება აიწევს ან დაიწევს ორმაგად, მაშინ პირველ შემთხვევაში იმავე კაპიტალს, რომელიც უწინ 100 გირვ. სტერლ. ღირდა, ახლა 200 გირვ. სტერლ. ღირებულება ექნება, ხოლო მოგებას 40 გირვ. სტერლ. ღირებულება ექნება, ე. ი. მისი გამოსახულება იქნება ეს უკანასკნელი ფულადი თანხა წინანდელი 20 გირ. სტერლინგის ნაცვლად. მეორე შემთხვევაში კაპიტალის ღირებულება დაიწევს 50 გირვ. სტერლინგამდე და მოგებას გამოხატავს 10 გირვ. სტერლინგად ღირებული პროდუქტი. მაგრამ ორივე შემთხვევაში $200 : 40 = 50 : 10 = 100 : 20 = 20\%$. სინამდვილეში კი კაპიტალის ღირებულების სიდიდე ყველა ამ შემთხვევაში სრულიადაც არ იცვლება, იცვლება იმავე ღირებულებისა და იმავე ზედმეტი ღირებულების ფულადი გამოსახულება მხოლოდ. მაშასადამე, ეს ვერ მოახდენდა ვერავითარ გავლენას შეფარდებაზეც $\frac{m}{C}$, ანუ მოგების ნორმაზე.

მეორე შემთხვევა არის ის, როდესაც ადგილი აქვს ღირებულების სიდიდის ნამდვილ ცვლილებას, მაგრამ ამ სიდიდის ცვლილებას თან არ ახლავს ცვლილება შეფარდებისა $v : c$, ე. ი. ზედმეტი ღირებულების ნორმის მუდმივობისას უცვლელი რჩება სამუშაო ძალაზე დახარჯული კაპიტალის შეფარდება (ცვალებადი კაპიტალი განიხილება როგორც მოძრაობაში მოყვანილი სამუშაო ძალის მაჩვენებელი) წარმოების საშუალებებზე დახარჯულ კაპიტალთან. ამ პირობებში, C გვაქვს ჩვენ, nC, თუ $\frac{C}{n}$, მაგალითად, 1 000, 2 000 თუ 500, როცა მოგების ნორმა 20%-ს შეადგენს, მაშინ მოგება პირველ შემთხვევაში 200 იქნება, მეორეში — 400, მესამეში — 100; მაგრამ $\frac{200}{1000} = \frac{400}{2000} = \frac{100}{500} = 20\%$. სხვა სიტყვებით: მოგების ნორმა აქ უცვლელი რჩება, რადგან კაპიტალის შედგენილობა იგივე რჩება და ამ კაპიტალის სიდიდის

ცვლილება მას არ ეხება. ამიტომ მოგების მასის მატება ან კლება მხოლოდ გამოყენებული კაპიტალის სიდიდის მატებას ან კლებას გვიჩვენებს.

ამრიგად, პირველ შემთხვევაში გამოყენებული კაპიტალის სიდიდის ცვლილება მხოლოდ მოჩვენებითია, მეორე შემთხვევაში კი სიდიდის ნამდვილი ცვლილება ხდება, მაგრამ არ იცვლება კაპიტალის ორგანული შედგენილობა, მისი ცვალებადი ნაწილის მუდმივ ნაწილთან შეფარდება. მაგრამ, ამ ორივე შემთხვევის გამოკლებით, გამოყენებული კაპიტალის სიდიდის ცვლილება ან მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილის ღირებულების წინასწარი ცვლილების შ ე დ ე გ ი ა და ამიტომ (რამდენადაც ცვალებადი კაპიტალის ცვლილებას არ ახლავს თან თვით ზედმეტი ღირებულების ცვლილება) მის შემადგენელ ნაწილთა შეფარდებითი სიდიდის ცვლილების შედეგია; ანდა კაპიტალის სიდიდის ეს ცვლილება (როგორც სამუშაოთა დიდი მასშტაბით წარმოებისას, ახალი მანქანების შემოღებისას და სხვ.) მისი ორივე ორგანული შემადგენელი ნაწილის შეფარდებითი სიდიდის ცვლილების მ ი ზ ე ზ ი ა. ამიტომ ყველა ამ შემთხვევაში, თუ სხვა პირობები თანაბარია, გამოყენებული კაპიტალის სიდიდის ცვლილებას უნდა თან ახლდეს მოგების ნორმის იმავდროული ცვლილება.

მოგების ნორმის გადიდება ყოველთვის იქიდან წარმოდგება, რომ ზედმეტი ღირებულება შეფარდებით ან აბსოლუტურად დიდდება მის წარმოების ხარჯებთან, ე. ი. მთელ ავანსებულ კაპიტალთან, შედარებით. ანუ მცირდება სხვაობა მოგების ნორმასა და ზედმეტი ღირებულების ნორმას შორის.

მოგების ნორმის რყევა, კაპიტალის ორგანული შემადგენელი ნაწილების ცვლილებისაგან ან კაპიტალის აბსოლუტური სიდიდისაგან დამოუკიდებლად, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ავანსებული კაპიტალის ღირებულება, რა ფორმაშიაც — ძირითადსა თუ საბრუნავში — არ უნდა არსებობდეს ეს კაპიტალი, მატულობს ან კლებულობს მისი კვლავწარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროის იმ გადიდების ან შემცირების გამო, რომელიც დამოუკიდებელია უკვე არსებული კაპიტალისაგან. ყოველი საქონლის ღირებულება — მაშასადამე, იმ საქონელთა ღირებულებაც, რომლებისაგანაც კაპიტალი შედგება — განისაზღვრება არა თვით მასში მოქცეული აუცილებელი სამუშაო დროით, არამედ მის კვლავწარმოებისათვის საჭირო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ა დ აუცილებელი სამუშაო დროით. ეს კვლავწარმოება შეიძ-

ლება ხორციელდებოდეს თავდაპირველი წარმოების პირობებთან შედარებით გაძნელებულ ან გაადვილებულ პირობებში. შეცვლილ პირობებში, საერთოდ რომ ითქვას, ორჯერ მეტი ან, პირიქით, ორჯერ ნაკლები დროა საჭირო იმავე ნივთობრივი შინაარსის კაპიტალის კვლავწარმოებისათვის, მაშინ, ფულის ღირებულების უცვლელობისას, წინათ 100 გირვ. სტერლ. ღირებულების მქონე კაპიტალი ახლა 200 გირვ. სტერლ. ან შესაბამისად 50 გირვ. სტერლ. ღირებულების იქნება. თუ ღირებულების ეს მატება ან დაკლება კაპიტალის ყველა ნაწილს თანაბრად შეეხებოდა, მაშინ მოგებაც შესაბამისად ორკეცი ან მხოლოდ განახევრებული ფულადი თანხით გამოიხატებოდა. ხოლო თუ მას თან ახლავს კაპიტალის ორგანული შედგენილობის ცვლილება, გადიდება ან შემცირება კაპიტალის ცვალებადი ნაწილის შეფარდებისა მუდმივ ნაწილთან, მაშინ მოგების ნორმა, სხვა თანაბარ პირობებში, გაიზრდება ცვალებადი კაპიტალის შეფარდებითი ზრდის დროს და დაიკლებს იმავე კაპიტალის შეფარდებითი კლების დროს. თუ ავანსებული კაპიტალის მხოლოდ ფულადი ღირებულება (ფულის ღირებულების ცვლილების გამო) აიწევს ან დაიწევს, მაშინ იმავე შეფარდებით აიწევს ან დაიწევს ზედმეტი ღირებულების ფულადი გამოსახულება. მოგების ნორმა უცვლელი რჩება.

განყოფილება მეორე

მოგების გარდაქმნა საშუალო მოგებად

თავი მერვე

კაპიტალის სხვადასხვა შედგენილობა წარმოების სხვადასხვა დარგებში და აქედან გამომდინარე სხვაობა მოგების ნორმებში.

წინა განყოფილებაში, სხვათა შორის, ნაჩვენები იყო, თუ რანაირად შეიძლება მოგების ნორმა იცვლებოდეს, — მატულობდეს ან კლებულობდეს, როცა ზედმეტი ღირებულების ნორმა უცვლელია. ამ თავში ნაგულისხმევია, რომ შრომის ექსპლოატაციის ხარისხი, და, ნაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა და სამუშაო დღის ხანგრძლივობა თანატოლი სიდიდისაა, თანატოლ დონეზე დგას წარმოების ყველა სფეროში, რომლებადაც ნაწილდება საზოგადოებრივი შრომა მოცემულ ქვეყანაში. რაც შეეხება შრომის ექსპლოატაციის მრავალ სხვადასხვაობას წარმოების სხვადასხვა სფეროში, უკვე ა. სმიტმა გვიჩვენა დაწვრილებით, რომ ისინი გათანატოლდებიან ყოველგვარი, ნამდვილი თუ ცრურწმენაზე დაფუძნებული, ამნაზღაურებელი გარემოებებით და, მაშასადამე, როგორც მოჩვენებითი და წარმავალი, სხვადასხვაობანი ზოგად თანაფარდობათა გამოკვლევის დროს მხედველობაში არ უნდა მივიღოთ. სხვა განსხვავებანი, მაგალითად, ხელფასის სიდიდეში, ეამთავრესად დამყარებულია უკვე I წიგნის დასაწყისში გვ. 11 [კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ., გვ. 60 — 61] ალნიშნულ განსხვავებაზე მარტივსა და რთულ შრომას შორის, ამასთან, თუმცა ამ განსხვავებათა გამო მუშების ხვედრი წარმოების სხვადასხვა სფეროში ძალიან არათანაბარი ხდება, ისინი სრულიად არ ეხებიან შრომის ექსპლოატაციის ხარისხს ამ სხვადასხვა სფეროში. თუ, მაგალითად, ოქრომჭედელს შრომაში მეტი გასამრჯელო ეძლევა, ვიდრე დღიურ მუშას, ოქრომჭედლის ზედმეტი შრომაც იმავე შეფარდე-

ბით მეტ ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, ვიდრე დღიური მუშის ზედმეტი შრომა. და თუ, ერთი მხრივ, ხელფასთა და სამუშაო დღეთა გათანატოლებას და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმის გათანატოლებასაც წარმოების სხვადასხვა სფეროში, წარმოების ერთსა და იმავე სფეროში კაპიტალის სხვადასხვა დაბანდებას შორისაც კი, მრავალი ადგილობრივი დაბრკოლება ეღობება წინ, მეორე მხრივ, კაპიტალისტური წარმოების პროგრესთან ერთად და წარმოების ამ წესისადმი ყველა ეკონომიური ურთიერთობის დაქვემდებარებასთან ერთად — ეს გათანატოლება სულ უფრო და უფრო სრულად ხორციელდება. თუმცა ამგვარ დაბრკოლებათა შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია ყოველი სპეციალური შრომისათვის, რომელიც ხელფასს შეეხება, მაგრამ კაპიტალისტური წარმოების ზოგადი გამოკვლევის დროს შეიძლება ისინი უგულებელყოთ როგორც შემთხვევითი და არარსებითი მოვლენები, ასეთ ზოგად გამოკვლევაში საერთოდ ყოველთვის იგულისხმება, რომ ნამდვილი ურთიერთობა თავის ცნებას შეესაბამება, ანუ, რაც იგივეა, ნამდვილი ურთიერთობა მხოლოდ იმდენად გამოისახება, რამდენადაც იგი თავის საკუთარ ზოგად ტიპს გამოხატავს.

ზედმეტი ღირებულების ნორმების განსხვავებას სხვადასხვა ქვეყანაში, ე. ი. ეროვნულ განსხვავებას შრომის ექსპლოატაციის ხარისხში წინამდებარე გამოკვლევისათვის სრულიად არა აქვს მნიშვნელობა. ჩვენ ხომ ამ განყოფილებაში სწორედ იმის გადმოცემა გვინდა, თუ რა წესით იქმნება მოგების გარკვეული საერთო ნორმა ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებში. მაგრამ, ცხადია, რომ მოგების სხვადასხვა ეროვნული ნორმების შედარებისას ჩვენ მხოლოდ უნდა შევუპირისპიროთ ის, რაც ზემოთ იყო გამოკვლეული, იმას, რაც ახლა აქ უნდა გამოიკვლიოთ. ჯერ საჭიროა ზედმეტი ღირებულების ეროვნული ნორმების სხვაობის განხილვა და შემდეგ, ზედმეტი ღირებულების ამ მოცემული ნორმების საფუძველზე მოგების ეროვნული ნორმების სხვაობის შედარება. რამდენადაც მათი სხვაობა არ გამომდინარეობს ზედმეტი ღირებულების ეროვნული ნორმების სხვაობიდან, იგი, ცხადია, ისეთი პირობებიდან უნდა გამომდინარეობდეს, სადაც, — ისევე როგორც ჩვენი გამოკვლევისას ამ თავში, — ზედმეტი ღირებულება ყველგან ნაგულისხმევია როგორც თანაბარი, როგორც უცვლელი.

წინა თავში ნაჩვენებია, რომ, როდესაც ზედმეტი ღირებულების ნორმა ნაგულისხმევია. როგორც უცვლელი, მოგების ნორმამ, რასაც განსაზღვრული კაპიტალი იძლევა, შეიძლება აიწიოს ან დაიწიოს იმ გარემოებათა მიხედვით, რომელნიც მუდმივი კაპიტალის ამა თუ იმ

ნაწილის ღირებულებას ადიდებენ ან ამცირებენ და, მაშასადამე, ცვლიან საერთოდ კაპიტალის მუდმივი და ცვალებადი შემადგენელი ნაწილების თანაფარდობას. შემდეგ, აღნიშნული იყო, რომ იმ გარემოებებს, რომელნიც კაპიტალის ბრუნვის პერიოდს აგრძელებენ ან ამოკლებენ, შეუძლიათ ანალოგიური გავლენა იქონიონ მოგების ნორმაზე. რადგან მოგების მასა ზედმეტი ღირებულების მასის, თვით ზედმეტი ღირებულების იდენტურია, ამიტომ ჩვენ ისიც ცხადვყავით, რომ მოგების მ ა ს ა ზ ე — მოგების ნ ო რ მ ი ს ა გ ა ნ განსხვავებით — გავლენა არა აქვს ღირებულების ზემოაღნიშნულ რყევას. ეს უკანასკნელი სახეს უცვლის მხოლოდ ნორმას, რომლითაც მოცემული ზედმეტი ღირებულება და, მაშასადამე, მოცემული სიდიდის მოგებაც გამოიხატება, ე. ი. სახეს უცვლის მოგების შეფარდებითის სიდიდეს, მის სიდიდეს ავანსებული კაპიტალის სიდიდესთან შედარებით. მართალია რამდენადაც ღირებულების ამ რყევის გამო კაპიტალის შეგროვა ან განთავისუფლება ხდება, ამ არაპირდაპირი გზით შეიძლება ცვლილება განიცადოს არა მარტო მოგების ნორმამ, არამედ თვით მოგებამაც. მაგრამ ეს, როგორც დავინახეთ, შეეხება ყოველთვის მხოლოდ იმ კაპიტალს, რომელიც უკვე ამოქმედებულია, და არა კაპიტალის ახალდაბანდებას; და, გარდა ამისა, თვით მოგების გადიდება ან შემცირება ყოველთვის იმაზეა დამოკიდებული, თუ, ღირებულების აღნიშნული რყევის გამო, რამდენად მეტი ან ნაკლები შრომა შეიძლება მოიყვანოს მოძრაობაში იმავე კაპიტალმა; სხვა სიტყვებით, დამოკიდებულია იმაზე, თუ ერთსა და იმავე კაპიტალს—ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას — რამდენად შეუძლია ზედმეტი ღირებულების მეტი ან ნაკლები მასა აწარმოოს. ამგვარად, ეს მოჩვენებითი გამონაკლისი სინამდვილეში სრულიადაც არ ეწინააღმდეგება საყოველთაო კანონს, არ წარმოადგენს გამონაკლისს ამ კანონიდან, არამედ, პირიქით, კანონის გამოყენების მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევაა.

წინა განყოფილებაში ჩვენ დავინახეთ, რომ, შრომის ექსპლოატაციის ხარისხის უცვლელობისას, მუდმივი კაპიტალის შემადგენელი ნაწილების ღირებულების ცვლილებასთან ერთად და აგრეთვე კაპიტალის ბრუნვის პერიოდის ცვლილებასთან ერთად იცვლება მოგების ნორმა. აქედან თავისთავად გამომდინარეობს, რომ წარმოების სხვადასხვა, იმავდროულად ერთიმეორის გვერდით არსებულ სფეროში მოგების ნორმები სხვადასხვა იქნება, თუკი, სხვა პირობების უცვლელობისას, გამოყენებული კაპიტალების ბრუნვის პერიოდი სხვადასხვა არის, ანუ თუ ღირებულებითი შეფარდება ამ კაპიტალების ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის სხვადასხვაა წარმოების სხვადასხვა

დარგში. რასაც ჩვენ უწინ განვიხილავდით ცვლილებად, რომელსაც თანმიმდევრულად განიცდის კაპიტალი დროის მიხედვით, ამას ახლა განვიხილავთ იმავდროულად არსებულ განსხვავებად ერთიმეორის გვერდით არსებულ კაპიტალებს შორის, რომლებიც დაბანდებულია წარმოების სხვადასხვა სფეროში.

აქ ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ: 1) სხვაობა კაპიტალების ორგანულ შედგენილობაში, 2) სხვაობა მათი ბრუნვის პერიოდში.

თავისთავად გასაგებია, რომ, თუ ჩვენ ამ გამოკვლევაში ვლაპარაკობთ კაპიტალის შედგენილობისა ან ბრუნვის შესახებ წარმოების განსაზღვრულ დარგში, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს წარმოების ამ დარგში დაბანდებული კაპიტალის საშუალო ნორმალური შეფარდება; საერთოდ, აქ ლაპარაკია წარმოების განსაზღვრულ სფეროში დაბანდებული მთელი კაპიტალის საშუალო ოდენობის შესახებ და არა ამ სფეროში დაბანდებულ ცალკეულ კაპიტალთა შემთხვევითს განსხვავებებზე.

რადგან, შემდეგ, ივარაუდება, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა და სამუშაო დღე უცვლელი რჩება, ხოლო ეს ვარაუდი ხელფასის უცვლელობასაც შეიცავს, ამიტომ, ცხადია, ამ პირობებში ცვალებადი კაპიტალის განსაზღვრული რაოდენობა გამოსახავს მოძრაობაში მოყვანილი სამუშაო ძალის გარკვეულ რაოდენობას და, მაშასადამე, გასაგნობრივებული შრომის განსაზღვრულ რაოდენობას. თუ, მაგალითად, 100 გირ. სტერლ. 100 მუშის კვირეულ ხელფასს, ე. ი. **ნამდვილად 100 სამუშაო ძალას გამოხატავს, მაშინ n×100 გირვ. სტერ.** გამოხატავს n×100 მუშის სამუშაო ძალას და $\frac{\text{100 გირ. სტერლ.}}{n}$ **გამოხატავს** $\frac{100}{n}$ მუშის სამუშაო ძალას. ამრიგად ცვალებადი კაპიტალი აქ (როგორც ყოველთვის მოცემული ხელფასის დროს) მაჩვენებელია იმ შრომის მასისა, რომელიც განსაზღვრული სიდიდის მთელ კაპიტალს მოჰყავს მოძრაობაში; მაშასადამე, სხვაობა გამოყენებული ცვალებადი კაპიტალის სიდიდეში აქ მაჩვენებელია გამოყენებული სამუშაო ძალის მასის სხვაობისა. თუ 100 გირვ. სტერლ. გამოხატავს 100 მუშას კვირის განმავლობაში და, მაშასადამე, 60-საათიანი კვირეული შრომის მიხედვით, 6 000 სამუშაო საათს წარმოადგენს, მაშინ 200 გირვ. სტერლ. წარმოადგენს 12.000 საათს და 50 გირვ. სტერლ. მხოლოდ 3 000 სამუშაო საათს.

კაპიტალის შედგენილობა, როგორც ეს უკვე I წიგნშია ნათქვამი, ჩვენ გვესმის როგორც შეფარდება მის აქტიურსა და პასიურ ნაწილებს შორის, ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის. ამასთან აქ მხედველობაშია მისაღები ორი შეფარდება, რომელთა მნიშვნელობაც ერთნაირი არაა, თუმცა გარკვეულ პირობებში მათ შეუძლიათ ერთნაირი გავლენა მოახდინონ.

პირველი შეფარდება დამყარებულია ტექნიკურ საფუძველზე და მწარმოებლური ძალის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მოცემული. საჭიროა მუშათა განსაზღვრული რიცხვით გამოხატული სამუშაო ძალის განსაზღვრული მასა, რათა წარმოებულ იქნეს პროდუქტის განსაზღვრული მასა, მაგალითად, ერთი დღის განმავლობაში, და, მაშასადამე, — რაც ამასთან უკვე თავისთავად იგულისხმება, — მოძრაობაში მოვიდეს და მწარმოებლურად იქნეს მოხმარებული წარმოების საშუალებათა, მანქანების, ნედლეულისა და სხვათა განსაზღვრული მასა. მუშების განსაზღვრული რიცხვი მოდის წარმოების საშუალებათა განსაზღვრულ რაოდენობაზე. მაშასადამე, ცოცხალი შრომის განსაზღვრული რაოდენობა მოდის იმ შრომის განსაზღვრულ რაოდენობაზე, რომელიც უკვე გასაგნობრივებულია წარმოების საშუალებებში. ეს შეფარდება ძალიან სხვადასხვაა წარმოების სხვადასხვა სფეროში, ხშირად მრეწველობის ერთი და იმავე დარგის სხვადასხვა განშტოებებშიც კი, თუმცა, მეორე მხრივ, მრეწველობის ერთიმეორისაგან ძალიან დაშორებულ დარგებში ეს შეფარდება შემთხვევით შეიძლება სრულიად ან დაახლოებით თანაბარი იყოს.

ეს შეფარდება ქმნის კაპიტალის ტექნიკურ შედგენილობას და წარმოადგენს მისი ორგანული შედგენილობის ნამდვილ საფუძველს.

მაგრამ შესაძლებელია ასეთი შემთხვევაც: აღნიშნული შეფარდება ერთნაირია მრეწველობის სხვადასხვა დარგში, რამდენადაც ცვალებადი კაპიტალი უბრალო მაჩვენებელია სამუშაო ძალისა, ხოლო მუდმივი კაპიტალი — უბრალო მაჩვენებელი წარმოების საშუალებათა იმ მასისა, რომელიც სამუშაო ძალას მოძრაობაში მოჰყავს; ასე, მაგალითად, სხვადასხვა სამუშაო სპილენძზე და რკინაზე შეიძლება მოითხოვდეს თანაბარ შეფარდებას სამუშაო ძალასა და წარმოების საშუალებათა მასას შორის. მაგრამ რადგან სპილენძი რკინაზე უფრო ძვირია, ღირებულებითი შეფარდება ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის ორივე შემთხვევაში სხვადასხვა იქნება და მასთან ერთად სხვადასხვა იქნება მთლიანად ორივე კაპიტალის ღირებულებითი შედგენილობაც. განსხვავება ტექნიკურ შედგენილობასა და ღირებულებითს შედგენი-

ლობას შორის მრეწველობის თვითეულ დარგში იმით მეღავნდება, რომ ტექნიკური შედგენილობის უცვლელობისას კაპიტალის ორივე ნაწილის ღირებულებითი შეფარდება შეიძლება იცვლებოდეს და, პირიქით, როცა ტექნიკური შედგენილობა იცვლება, ღირებულებითი შეფარდება შეიძლება უცვლელი რჩებოდეს; უკანასკნელს ადგილი აქვს, რასაკვირველია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებულ წარმოების საშუალებათა მასისა და სამუშაო ძალის შეფარდებაში მომხდარ ცვლილებას აწონასწორებს მათი ღირებულების საპირისპირო ცვლილება.

კაპიტალის ღირებულებითს შედგენილობას, რამდენადაც იგი კაპიტალის ტექნიკური შედგენილობით განისაზღვრება და ამ უკანასკნელს ასახავს, ჩვენ კაპიტალის ორგანულ შედგენილობას ვუწოდებთ[20].

ამრიგად, ცვალებადი კაპიტალის მიმართ ჩვენ ვგულისხმობთ, რომ იგი სამუშაო ძალის განსაზღვრული რაოდენობის, მუშათა განსაზღვრული რიცხვის ანუ მოძრაობაში მოყვანილი ცოცხალი შრომის განსაზღვრული მასის მაჩვენებელია. წინა განყოფილებაში ჩვენ დავინახეთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ცვალებადი კაპიტალის ღირებულების სიდიდის ცვლილება შეიძლება მხოლოდ იმავე შრომის მასის მეტ ან ნაკლებ ფასს გამოხატავდეს; მაგრამ აქ, სადაც ზედმეტი ღირებულების ნორმა და სამუშაო დღე განიხილება როგორც მუდმივი სიდიდენი, ხელფასი კი განსაზღვრული სამუშაო დროისათვის განიხილება როგორც მოცემული სიდიდე, — აქ ეს შემთხვევა მოსატანი არ არის. პირიქით, განსხვავება მუდმივი კაპიტალის სიდიდეში, მართალია, შეიძლება აგრეთვე წარმოების იმ საშუალებათა მასის ცვლილების მაჩვენებელი იყოს, რომელნიც მოძრაობაში მოჰყავს სამუშაო ძალის განსაზღვრულ რაოდენობას; მაგრამ იგი შეიძლება იმ ღირებულების განსხვავებიდანაც გამომდინარეობდეს, რომელიც მოძრაობაში მოყვანილ წარმოების საშუალებებს აქვთ წარმოების ერთ სფეროში, როგორც მეორისგან განსხვავებულში. ამიტომ აქ ორივე თვალსაზრისი უნდა განვიხილოთ.

ბოლოს, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი არსებითი გარემოება:

ვთქვათ, 100 გირვ. სტერლ. 100 ბუშის კვირეულ ხელფასს წარმოადგენს და კვირეული სამუშაო დრო 60 საათს უდრის. ვიგულისხმოთ

[20] ზემონათქვამი მოკლედ უკვე განვითარებულია I წიგნის მე-3 გამოცემაში, გვ. 628 [მეოთხე გამოცემაში გვ. 576; კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ. გვ. 722], XXIII თავის დასაწყისში. რადგან ეს ადგილი პირველ ორ გამოცემაში არაა, მისი აქ განმეორება მით უფრო მიზანშეწონილი იყო. — ფ. ე.

შემდეგ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის 100%. ამ შემთხვევაში მუშები 60 საათიდან 30 საათს მუშაობენ თავისთვის და 30 საათს მუქთად კაპიტალისტისთვის. 100 გირვ. სტერლ. ხელფასში ნამდვილად განხორციელებულია 100 მუშის მხოლოდ 30 სამუშაო საათი, ანუ სულ 3 000 სამუშაო საათი, მაშინ როდესაც დანარჩენი 3 000 საათი, რომელსაც ისინი მუშაობენ, განხორციელებულია 100 გირვ. სტერლ. ზედმეტ ღირებულებაში, resp. [შესაბამ.] მოგებაში, რომელსაც კაპიტალისტი ჯიბეში იდებს. ამრიგად, 100 გირვ. სტერლ. ხელფასი თუმცა იმ ღირებულებას არ გამოხატავს, რომელშიაც 100 მუშის კვირეული შრომა საგნობრივდება, მაგრამ იგი მაინც გვიჩვენებს (რადგან სამუშაო დღის ხანგრძლივობა და ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია), რომ ამ კაპიტალმა მოძრაობაში მოიყვანა 100 მუშა სულ 6 000 სამუშაო საათის განმავლობაში. 100 გირვ. სტერლ. კაპიტალი ამას გვიჩვენებს, ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი გვიჩვენებს მოძრაობაში მოყვანილ მუშათა რიცხვს, რადგან 1 გირვ. სტერლ. უდრის 1 მუშას კვირაში, მაშასადამე, 100 გირვ. სტერლ. უდრის 100 მუშას; მეორე, ვინაიდან თვითეული მოძრაობაში მოყვანილი მუშა, როცა ზედმეტი ღირებულების ნორმა 100% უდრის, ორჯერ მეტ შრომას ასრულებს, ვიდრე მის ხელფასშია მოქცეული, მაშასადამე, 1 გირვ. სტერლინგს, მის ხელფასს, რომელიც ნახევარი კვირის შრომის გამოსახულებაა, მოძრაობაში მოჰყავს შრომა მთელი კვირის განმავლობაში, და ასევე 100 გირვ. სტერლინგს, თუმცა იგი მხოლოდ 50 კვირის შრომას შეიცავს, მოძრაობაში მოჰყავს შრომა 100 სამუშაო კვირის განმავლობაში. ამიტომ საჭიროა აქ არსებითად განვასხვავოთ ცვალებადი, ხელფასზე დახარჯული, კაპიტალი, რამდენადაც მისი ღირებულება — ხელფასის ჯამი — გასაგნობრივებული შრომის განსაზღვრულ რაოდენობას გამოხატავს, და იგივე კაპიტალი, რამდენადაც მისი ღირებულება უბრალო მაჩვენებელია ცოცხალი შრომის მასისა, რომელიც მას მოძრაობაში მოჰყავს. ცოცხალი შრომის ეს მასა ყოველთვის უფრო დიდია, ვიდრე შრომის ის რაოდენობა, რომელსაც ცვალებადი კაპიტალი შეიცავს, და ამიტომ იგი გამოიხატება უფრო დიდი ღირებულებით, ვიდრე ცვალებადი კაპიტალის ღირებულებაა,— ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება, ერთი მხრივ, ცვალებადი კაპიტალის მიერ მოძრაობაში მოყვანილი მუშების რიცხვით და, მეორე მხრივ, ზედმეტი შრომის იმ რაოდენობით, რომელსაც ეს მუშები ასრულებენ.

ცვალებადი კაპიტალის განხილვის ამ წესიდან გამომდინარეობს შემდეგი:

თუ კაპიტალის დაბანდებისას *A* წარმოების სფეროში მთელი კაპიტალის ყოველ 700 ერთეულზე მხოლოდ 100 იხარჯება ცვალებად კაპიტალად და 600 — მუდმივ კაპიტალად, მაშინ როდესაც *B* წარმოების სფეროში 600 იხარჯება ცვალებად კაპიტალად და მხოლოდ 100— მუდმივ კაპიტალად, — მაშინ მთელი კაპიტალი 700 მოძრაობაში მოიყვანს მხოლოდ 100-ის რაოდენობის სამუშაო ძალას, რაც, ზემოთ ნაგულისხმევის თანახმად, უდრის 100 სამუშაო კვირას, ანუ ცოცხალი შრომის 6 000 საათს, მაშინ როდესაც იმის ტოლ ერთობლივ B კაპიტალს მოძრაობაში მოჰყავს 600 სამუშაო კვირა და, მაშასადამე, ცოცხალი შრომის 36 000 საათი. ამიტომ *A* სფეროში კაპიტალი მიითვისებდა მხოლოდ 50 სამუშაო კვირას, ანუ 3 000 საათ ზედმეტ შრომას, მაშინ როდესაც ისეთივე სიდიდის კაპიტალი *B* სფეროში — 300 სამუშაო კვირას, ანუ 18 000 საათს. ცვალებადი კაპიტალი მაჩვენებელია არა მარტო შრომისა, რომელსაც იგი შეიცავს, არამედ, — როცა ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია, — იმ ჭარბი, ანუ ზედმეტი შრომისაც, რომელიც აგრეთვე მოძრაობაში მოჰყავს ამ კაპიტალს. შრომის ექსპლოატაციის ხარისხის თანატოლობისას მოგება იქნებოდა პირველ შემთხვევაში $\frac{100}{700} = {}^1/_7 = 14^2/_7\%$, ხოლო მეორეში $= \frac{600}{700} = 85^5/_7\%$, ე. ი. ექვსჯერ უფრო დიდი ნორმა მოგებისა. მაგრამ ამ შემთხვევაში ნამდვილად თვით მოგებაც ექვსჯერ უფრო დიდი იქნებოდა, *B*-სთვის იგი შეადგენდა 600, ხოლო *A*-სთვის 100 იქნებოდა, ვინაიდან იმავე კაპიტალით ექვსჯერ მეტ ცოცხალ შრომას მოიყვანდა მოძრაობაში, ე. ი. შრომის ექსპლოატაციის თანატოლობისას, აგრეთვე ექვსჯერ მეტი ზედმეტი ღირებულება და, მაშასადამე, ექვსჯერ მეტი მოგება იწარმოება.

A სფეროში 700 ნაცვლად 7 000 გირვ. სტერლ. კაპიტალს რომ იყენებდნენ და *B* სფეროში, პირიქით, მხოლოდ 700 გირვ. სტერლინგს, მაშინ კაპიტალი *A*, ორგანული შედგენილობის უცვლელობისას, 7 000 გირვ. სტერლინგიდან 1 000 გირვ. სტერლინგს ცვალებად კაპიტალად გამოიყენებდა, ე. ი. გამოიყენებდა 1 000 მუშას კვირის განმავლობაში უდრის 60 000 საათ ცოცხალ შრომას, აქედან 30 000 საათ ზედმეტ ღირებულებას. მაგრამ *A* ყოველი 700 გირვანქა სტერლ. მეშვეობით უწინდებურად *B*-სთან შედარებით ექვსჯერ ნაკლებ ცოცხალ შრომას, მაშასადამე, ექვსჯერ ნაკლებ ზედმეტ შრომას მოიყვანდა მოძრაობაში, და, მაშასადამე, მოგებაც ექვსჯერ ნაკლები იქნებოდა.

თუ ჩვენ მოგების ნორმას განვიხილავთ, A-სთვის მივიღებთ $\frac{1000}{7000} = \frac{100}{700} = 14^2/_7\%$-ს წინააღმდეგ B კაპიტალის $\frac{600}{700}$ ანუ $85^5/_7\%$-ისა. კაპიტალების თანატოლ თანხებს აქ მოგების სხვადასხვა ნორმა უწევს, რადგან, ზედმეტი ღირებულების ნორმის თანატოლობისას, სხვადასხვაა წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა და, მაშასადამე, მოგებაც, იმის გამო, რომ მოძრაობაში მოყვანილია ცოცხალი შრომის არათანატოლი მასა.

ფაქტიურად იგივე შედეგები იქნება მაშინაც, როცა წარმოების ერთ სფეროში ტექნიკური შეფარდება იგივეა, რაც მეორეში, მაგრამ გამოყენებული მუდმივი კაპიტალის ელემენტების ღირებულება უფრო მეტი ან ნაკლებია. ვთქვათ, ერთშიც და მეორეშიც ცვალებად კაპიტალად 100 გირვ. სტერლინგია გამოყენებული, მაშასადამე ორივე შემთხვევაში საჭიროა 100 მუშა კვირაში, რათა მოძრაობაში მოიყვანონ მანქანებისა და ნედლეულის ერთი და იგივე რაოდენობა. მაგრამ ეს უკანასკნელნი B-ში უფრო ძვირია, ვიდრე A-ში. ამ პირობებში 100 გირვ. სტერლ. ცვალებად კაპიტალზე მოვა A-ში, მაგალითად, 200 გირვ. სტერლ. მუდმივი კაპიტალი და B-ში 400 გირვ. სტერლ. მაშინ, 100% ზედმეტი ღირებულების ნორმის არსებობისას, წარმოებული ზედმეტი ღირებულება ორივე შემთხვევაში უდრის 100 გირვ. სტერლ.; მაშასადამე, მოგებაც ორივე შემთხვევაში 100 გირვ. სტერლ. უდრის. მაგრამ A-ში ჩვენ გვექნება $\frac{100}{200_c + 100_v} = {}^1/_3 = 33^1/_3\%$, მაშინ როდესაც B-ში $\frac{100}{400_c + 100_v} = {}^1/_5 = 20\%$. მართლაც, თუ ჩვენ ორივე შემთხვევაში მთელი კაპიტალის განსაზღვრულ ჯერად ნაწილს ავიღებთ: B-ში ყოველი 100 გირვ. სტერლინგიდან ცვალებადი კაპიტალია მხოლოდ 20 გირვ. სტერლინგი, ანუ $^1/_5$, მაშინ როდესაც A-ში ყოველი 100 გირვ. სტერლინგიდან ცვალებადი კაპიტალია $33^1/_2$ გირვ. სტერლ., ანუ $^1/_3$. ყოველ 100 გირვ. სტერლინგზე B ნაკლებ მოგებას აწარმოებს, რადგან ნაკლები ცოცხალი შრომა მოჰყავს მოძრაობაში, ვიდრე A-ს. ამრიგად, მოგების ნორმების სხვაობა აქ დაიყვანება კვლავ მოგების მასათა სხვაობაზე, რომლებიც დაბანდებული კაპიტალის ყოველ 100 ერთეულზე იწარმოება, ვინაიდან მოგების მასები იგივეა, რაც ზედმეტი ღირებულების მასა.

ამ მეორე მაგალითის განსხვავება წინა მაგალითისგან მხოლოდ შემდეგში მდგომარეობს: A-სა და B გათანატოლებისათვის მეორე

შემთხვევაში საჭირო იქნებოდა მხოლოდ მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილება, ან A-ში, ან B-ში, ტექნიკურ საფუძველში ცვლილების მოუხდენლად; პირიქით, პირველ შემთხვევაში თვით ტექნიკური შედგენილობა სხვადასხვაა წარმოების ორივე სფეროში და გასათანატოლებლად საჭირო იქნებოდა მისი გარდაქმნა.

მაშასადამე, კაპიტალების სხვადასხვა ორგანული შედგენილობა არაა დამოკიდებული მათს აბსოლუტურ სიდიდეზე. საკითხი აქ ყოველთვის მხოლოდ ასეთია: კაპიტალის ყოველი 100 ერთეულიდან რამდენია ცვალებადი და რამდენი მუდმივი.

ამრიგად, სხვადასხვა სიდიდის კაპიტალები, პროცენტულად აღებული, ანუ, რაც ამ შემთხვევაში იმასვე ნიშნავს, ტოლი სიდიდის კაპიტალები, — როცა სამუშაო დღე თანატოლია და შრომის ექსპლოატაციის ხარისხი თანაბარი, — მოგების ფრიად სხვადასხვა რაოდენობას აწარმოებენ, რადგან ისინი ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა რაოდენობას აწარმოებენ; ეს გამოწვეულია სწორედ იმით, რომ კაპიტალების სხვადასხვა ორგანული შედგენილობის გამო წარმოების სხვადასხვა სფეროში მათი ცვალებადი ნაწილი სხვადასხვაა, მაშასადამე. სხვადასხვაა მათ მიერ მოძრაობაში მოყვანილი ცოცხალი შრომის რაოდენობა და, ამიტომ, სხვადასხვაა მათ მიერ მითვისებული ზედმეტი შრომის, ზედმეტი ღირებულების ამ სუბსტანციის და, მაშასადამე, მოგების რაოდენობაც. ერთობლივი კაპიტალის თანატოლი სიდიდის ნაწილები წარმოების სხვადასხვა სფეროში ზედმეტი ღირებულების არათანატოლი სიდიდის წყაროებს შეიცავენ, და ზედმეტი ღირებულების ერთადერთი წყარო ხომ ცოცხალი შრომაა. შრომის თანაბარი ექსპლოატაციის პირობებში 100-ის ტოლი კაპიტალის მიერ მოძრაობაში მოყვანილი შრომის მასა და, მაშასადამე, მის მიერ მითვისებული ზედმეტი შრომის მასაც დამოკიდებულია მისი ცვალებადი შემადგენელი ნაწილის სიდიდეზე. თუ კაპიტალი, რომლის შემადგენელი ნაწილების **პროცენტული შეფარდებაა** $90_c + 10_v$ **შრომის თანაბარი** ექსპლოატაციის პირობებში, იმდენსავე ზედმეტ ღირებულებას, ანუ მოგებას **წარმოშობდა, რამდენსაც** $10_c + 90_v$-**საგან შედგენილი კაპიტალი,** მაშინ ცხადზე უცხადესი იქნებოდა, რომ ზედმეტი ღირებულების და, მაშასადამე, საერთოდ ღირებულების წყარო შრომა კი არა, სულ სხვა რამ უნდა ყოფილიყო, და მასთან ერთად პოლიტიკურ ეკონომიას ყოველგვარი რაციონალური საფუძველი გამოეცლებოდა. თუ ვიგულისხმებთ უწინდებურად, რომ 1 გირვ. სტერლინგი = ერთი მუშის კვირეულ ხელფასს 60 სამუშაო საათისათვის და ზედმეტი ღირებულების ნორმა = 100%, მაშინ, მთელი ახლად წარმოებული ღირებულება, რო-

მელსაც ერთი მუშა კვირაში შექმნის, უდრის 2 გირვ. სტერლინგს; მაშასადამე, 10 მუშა ვერ შექმნიდა 20 გირვ. სტერლინგზე მეტს; მაგრამ რადგან ამ 20 გირვ. სტერლინგიდან 10 გირვ. სტერლინგით ხელფასი უნდა ანაზღაურდეს, ამიტომ 10 მუშა 10 გირვ. სტერლინგზე მეტ ზედმეტ ღირებულებას ვერ შექმნიდა, მაშინ როდესაც 90 მუშა, რომელთა მთელი პროდუქტი = 180 გირვ. სტერლ. და რომელთა ხელფასი = 90 გირვ. სტერლ., 90 გირვ. სტერლ. ზედმეტ ღირებულებას შექმნიდა. ამრიგად, მოგების ნორმა იქნებოდა პირველ შემთხვევაში 10%, მეორეში 90%. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ღირებულება და ზედმეტი ღირებულება გასაგნობრივებული შრომა კი არა, სხვა რამე იქნებოდა. ამრიგად, რადგან წარმოების სხვადასხვა სფეროში კაპიტალები, პროცენტულად აღებული, — ანუ ტოლი კაპიტალები — არათანატოლად ნაწილდებიან მუდმივ და ცვალებად ელემენტებად, არათანატოლი რაოდენობის ცოცხალი შრომა მოჰყავთ მოძრაობაში და, აქედან, არათანატოლი რაოდენობის ზედმეტ ღირებულებას და, მაშასადამე, მოგებას აწარმოებენ, — ამიტომ სხვადასხვაა მათი მოგების ნორმაც, რაც სწორედ ზედმეტი ღირებულების პროცენტულად გამოანგარიშებული შეფარდებაა მთელ კაპიტალთან.

მაგრამ თუ წარმოების სხვადასხვა სფეროს კაპიტალები, პროცენტულად აღებული, ანუ თანატოლი კაპიტალები წარმოების სხვადასხვა სფეროში არათანატოლი ოდენობის მოგებას აწარმოებენ მათი სხვადასხვა ორგანული შედგენილობის გამო, აქედან ის გამომდინარეობს, რომ არათანატოლი კაპიტალების მოგება წარმოების სხვადასხვა სფეროში არ შეიძლება ამ კაპიტალების სათანადო სიდიდეების პროპორციული იყოს, რომ, მაშასადამე, მოგება წარმოების სხვადასხვა სფეროში არაა მათში გამოყენებული სათანადო კაპიტალების სიდიდეთა პროპორციული. ეს იმიტომ, რომ მოგების ასეთი ზრდა გამოყენებული კაპიტალის სიდიდის pro rata [შესაბამისად] იმას გულისხმობს, რომ პროცენტულად გამოსახული მოგება ყველგან თანატოლი სიდიდისაა, რომ, მაშასადამე, თანატოლ კაპიტალებს წარმოების სხვადასხვა სფეროში თანატოლი მოგების ნორმები აქვთ მათი ორგანული შედგენილობის სხვადასხვაობის მიუხედავად. მხოლოდ წარმოების ერთი და იმავე სფეროს ფარგლებში — მაშასადამე, იქ, სადაც კაპიტალის ორგანული შედგენილობა მოცემულია, — ან წარმოების სხვადასხვა სფეროში, რომლებშიც კაპიტალის ორგანული შედგენილობა ერთი და იგივეა, მოგების მასები პირდაპირ შეფარდებაშია გამოყენებული კაპიტალების მასებთან. არათანატოლი კაპიტალების მოგება რომ მათი სიდიდეების პროპორციულია, ეს საერთოდ მხოლოდ ერთ რამეს

ნიშნავს, სახელდობრ იმას, რომ თანატოლი კაპიტალები თანატოლ მოგებას იძლევიან, ანუ რომ მოგების ნორმა ყველა კაპიტალისთვის თანატოლია, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამ კაპიტალების სიდიდე და მათი ორგანული შედგენილობა.

ზემოთ განვითარებული მსჯელობა იმ ვარაუდიდან გამოდის, რომ საქონელი თავისი ღირებულების მიხედვით იყიდება. საქონლის ღირებულება უდრის მასში მოქცეული მუდმივი კაპიტალის ღირებულებას, პლუს მასში კვლავწარმოებული ცვალებადი კაპიტალის ღირებულება, პლუს ამ ცვალებადი კაპიტალის ნაზრდი, წარმოებული ზედმეტი ღირებულება. ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას მისი მასა, ცხადია, ცვალებადი კაპიტალის მასაზეა დამოკიდებული. კაპიტალ 100 მიერ წარმოებული პროდუქტის ღირებულება ერთ შემთხვევაში **უდრის $90_c + 10_v + 10_m = 110$, მეორე შემთხვევაში კი $10_c + 90_v + 90_m = 190$. თუ საქონელი თავისი ღირებულების მიხედვით იყიდება, პირველი პროდუქტი გაიყიდება 110-ად, საიდანაც 10 ზედმეტ ღირებულებას, ანუ გადაუხდელ შრომას წარმოადგენს; მეორე პროდუქტი კი გაიყიდება 190-ად, საიდანაც 90 ზედმეტი ღირებულება, ანუ გადაუხდელი შრომაა.**

ეს შემთხვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ერთმანეთს ვადარებთ სხვადასხვა ქვეყნის მოგების ნორმებს. ვთქვათ, რომელიმე ევროპულ ქვეყანაში ზედმეტი ღირებულების ნორმა = 100%, ე. ი. მუშა ნახევარ დღეს თავისთვის მუშაობს და ნახევარ დღეს დამქირავებლისათვის; რომელიმე აზიურ ქვეყანაში კი ზედმეტი ღირებულების ნორმა = 25%-ს, ე. ი. მუშა დღის $^4/_5$-ს თავისთვის მუშაობს და $^1/_5$-ს დამქირავებლისათვის. მაგრამ ვთქვათ, ევროპულ ქვეყანაში ეროვნული **კაპიტალის შედგენილობა არის $84_c + 16_v$, ხოლო აზიურ ქვეყანაში,** სადაც მანქანები და სხვ. ნაკლებად გამოიყენება და მოცემული პერიოდის განმავლობაში მოცემული რაოდენობის სამუშაო ძალა მწარმოებლურად მოიხმარს შედარებით ცოტა ნედლეულს, **შედგენილობა არის $16_c + 84_v$.** მაშინ ჩვენ გვექნება ასეთი ანგარიში:

ევროპულ ქვეყანაში პროდუქტის ღირებულება $= 84_c + 16_v + 16_m = 116$; მოგების ნორმა $= \frac{16}{100} = 16\%$.

აზიურ ქვეყანაში პროდუქტის ღირებულება $= 16_c + 84_v + 21_m = 121$; მოგების ნორმა $= \frac{21}{100} = 21\%$.

ამრიგად, მოგების ნორმა 25%-ზე მეტით უფრო დიდია აზიურ ქვეყა-

ნაში, ვიდრე ევროპულში, თუმცა ზედმეტი ღირებულების ნორმა იქ ოთხჯერ უფრო პატარაა, ვიდრე აქ. კერი, ბასტია და tutti quanti [მისთანანი] სწორედ საწინააღმდეგო დასკვნას გააკეთებდნენ.

ეს — სხვათა შორის, მოგების სხვადასხვა ეროვნული ნორმები მეტწილად ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ეროვნულ ნორმებზეა დაფუძნებული; მაგრამ ჩვენ ამ თავში ერთმანეთს ვადარებთ მოგების იმ არათანატოლ ნორმებს, რომელნიც ზედმეტი ღირებულების ერთი და იმავე ნორმიდან გამომდინარეობენ.

გარდა კაპიტალების სხვადასხვა ორგანული შედგენილობისა, მაშასადამე, გარდა შრომის და მასთან აგრეთვე — სხვა თანაბარ პირობებში — ზედმეტი შრომის სხვადასხვა მასისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავთ თანატოლ კაპიტალებს წარმოების სხვადასხვა სფეროში, არსებობს კიდევ მოგების ნორმათა უთანატოლობის სხვა წყარო. ეს არის წარმოების სხვადასხვა სფეროში კაპიტალის ბრუნვის ხანგრძლივობის სხვაობა. მე-IV თავში ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალების თანაბარი შედგენილობისა და სხვა თანაბარ პირობებში მოგების ნორმები ბრუნვის პერიოდების უკუპროპორციულია; დავინახეთ აგრეთვე, რომ ერთი და იგივე ცვალებადი კაპიტალი, თუ იგი სხვადასხვა ხანგრძლივობის პერიოდებში გადაბრუნდება, წლიური ზედმეტი ღირებულების უთანატოლო მასებს ქმნის. ამრიგად, ბრუნვის პერიოდების სხვაობა — აი სხვა მიზეზი იმისა, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროში ტოლი კაპიტალები თანატოლი პერიოდების განმავლობაში უთანატოლო სიდიდის მოგებას აწარმოებენ და რომ, მაშასადამე, მოგების ნორმა ამ სხვადასხვა სფეროში სხვადასხვაა.

რაც შეეხება კაპიტალის შემადგენელი ძირითადი და საბრუნავი ნაწილების შეფარდებას, ამას თავისთავად სრულებით არა აქვს გავლენა მოგების ნორმაზე. ამ უკანასკნელზე მას შეიძლება ზეგავლენა ჰქონდეს ორ შემთხვევაში: ან მაშინ, როცა ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის თანაფარდობის ეს სხვაობა ემთხვევა ცვალებადი და მუდმივი ნაწილის თანაფარდობის სხვაობას, მაშასადამე, როცა ამ სხვაობიდან და არა საბრუნავი და ძირითადი ნაწილის სხვაობიდან, წარმოდგება მოგების ნორმის სხვაობა; ანდა მაშინ, როცა სხვადასხვა თანაფარდობა ძირითადსა და საბრუნავ შემადგენელ ნაწილებს შორის განაპირობებს სხვაობას ბრუნვის პერიოდში, რომლის განმავლობაშიც განსაზღვრული მოგების რეალიზაცია ხდება. თუ კაპიტალები სხვადასხვა პროპორციით ნაწილდება ძირითად და საბრუნავ კაპიტალად, ამას, მართალია, ყოველთვის ექნება გავლენა მათი ბრუნვის პერიოდზე და ამ უკანასკნელის სხვაობას გამოიწვევს, მაგრამ აქედან

ის არ გამომდინარეობს, რომ სხვადასხვა იქნება ბრუნვის პერიოდები, რომელთა განმავლობაში იგივე კაპიტალები მოგებას განახორციელებენ. ვთქვათ, მაგალითად, რომ *A*-მ პროდუქტის უდიდესი ნაწილი მუდამ უნდა გარდაქმნას ნედლეულად და სხვ., მაშინ როდესაც *B* ერთსადაიმავე მანქანებს და სხვ. უფრო ხანგრძლივად იყენებს და ნაკლებ ნედლეულს ხმარობს; ყოველ შემთხვევაში ორივეს, რამდენადაც ისინი აწარმოებენ; თავიანთი კაპიტალის ნაწილი ყოველთვის საქმეში აქვთ დაბანდებული: ერთს — ნედლეულში, ე. ი. საბრუნავი კაპიტალის სახით, მეორეს — მანქანებში და სხვ., ე. ი. ძირითადი კაპიტალის სახით. A თავისი კაპიტალის ნაწილს საქონლის ფორმიდან მუდამ ფულად ფორმად აქცევს და ფულადი ფორმიდან ისევ ნედლეულის ფორმად გარდაქმნის; *B* — კი თავისი კაპიტალის ნაწილს ხანგრძლივად ხმარობს შრომის იარაღად ასეთი გარდაქმნის მოუხდენლად. თუ ორივენი შრომის თანატოლ რაოდენობას გამოიყენებენ, წლის განმავლობაში ისინი თუმცა არათანატოლი ღირებულების პროდუქტთა მასას გაყიდიან, მაგრამ პროდუქტთა ორივე მასა თანატოლი ზედმეტი ღირებულების შემცველი იქნება, და მათი მოგების ნორმები, რომლებიც მთელ ავანსებულ კაპიტალზე გამოიანგარიშება, თანატოლია, თუმცა ორივე შემთხვევაში სხვადასხვაა კაპიტალების შედგენილობა ძირითადი და საბრუნავი ნაწილებისგან და ასევე სხვადასხვაა მათი ბრუნვის პერიოდიც. ორივე კაპიტალი თანატოლ პერიოდებში თანატოლ მოგებას ახორციელებს, თუმცა მათი გადაბრუნება სხვადასხვა ხანგრძლიობის პერიოდებში ხდება[21]. ბრუნვის პერიოდის სხვადასხვაობას თავისთავად მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა,

---

[21] { როგორც IV თავიდან გამომდინარეობს, ზემონათქვამი სწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც A და B კაპიტალს სხვადასხვა ღირებულებითი შედგენილობა აქვს და თან როდესაც მათი ცვალებადი შემადგენელი ნაწილები, პროცენტულად გამოხატული, პირდაპირ პროპორციულია მათი ბრუნვის პერიოდებისა, ანუ უკუპროპორციულია მათი გადაბრუნების რაოდენობისა. ვთქვათ A კაპიტალის შედგენილობაა პროცენტულად 20 ძირითადი + 70_c საბრუნავი. მაშასადამე, $90_c + 10_v = 110$. 100% ზედმეტი ღირებულების ნორმის არსებობისას ეს 10_v აწარმოებს ერთ გადაბრუნებაში 10_m-ს; მოგების ნორმა ერთი გადაბრუნებისათვის — 10%-ს. პირიქით, კაპიტალი B, ვთქვათ, = 60_c ძირითადი + 20_c საბრუნავი, მაშასადამე, $80_m + 20_v = 100$. ეს 20_v აწარმოებს ერთ გადაბრუნებაში, აღნიშნული მოგების ნორმის არსებობისას, 20_m-ს; მოგების ნორმა ერთი გადაბრუნებისათვის = 20%-ს, ე. ი. ორჯერ მეტია A-თან შედარებით. მაგრამ თუ A წელიწადში ორჯერ გადაბრუნდება, B კი მხოლოდ ერთხელ, მაშინ A-სთვის ჩვენ მივიღებთ წლიურად აგრეთვე $2 \times 10 = 20_m$-ს; ამრიგად, წლიური მოგების ნორმა ორივესთვის თანატოლია, სახელდობრ 20% — ფ. ე. }

რამდენადაც იგი გავლენას ახდენს ზედმეტი ღირებულების მასაზე, რომელიც მოცემული დროის განმავლობაში შეიძლება იმავე კაპიტალის მიერ მითვისებულ და რეალიზებულ იქნეს. თუ, მაშასადამე, საბრუნავი და ძირითადი კაპიტალის მხრივ კაპიტალის არათანატოლი შედგენილობა არ გულისხმობს აუცილებლად ბრუნვის პერიოდის უთანატოლობას, რაც თავის მხრივ, მოგების ნორმის უთანატოლობას განსაზღვრავს, ცხადია, რამდენადაც ამ უკანასკნელს ადგილი აქვს, იგი წარმოდგება არა უთანატოლო შედგენილობიდან ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის მხრივ თავისთავად, არამედ იქიდან, რომ ეს შედგენილობა აქ მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ბრუნვის პერიოდების ეს უთანატოლობა გავლენას ახდენს მოგების ნორმაზე.

ამრიგად, მუდმივი კაპიტალის სხვადასხვა შედგენილობას საბრუნავისა და ძირითადისგან მრეწველობის სხვადასხვა დარგში თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მოგების ნორმისათვის, რადგან გადამწყვეტ გავლენას ახდენს ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან, ამასთან მუდმივი კაპიტალის ღირებულება, მაშასადამე, მისი შეფარდებითი სიდიდეც, ცვალებადთან შედარებით, სრულიად დამოუკიდებელია მისი შემადგენელი ნაწილების ძირითადი თუ საბრუნავი ხასიათისგან. მაგრამ სავსებით მართალია ის,—და ეს კი ხშირად მცდარ დასკვნებს იწვევს, — რომ იქ, სადაც ძირითადი კაპიტალი მნიშვნელოვნადაა განვითარებული, ეს მხოლოდ იმ ფაქტს გამოსახავს, რომ წარმოება დიდი მასშტაბით წარიმართება და ამიტომ მუდმივი კაპიტალი ძალიან სჭარბობს ცვალებადს, ანუ, რომ გამოყენებული ცოცხალი სამუშაო ძალა ნაკლებია მის მიერ მოძრაობაში მოყვანილ წარმოების საშუალებათა მასასთან შედარებით.

ნაშასადამე, ჩვენ ცხადვყავით, რომ მრეწველობის სხვადასხვა დარგში, კაპიტალების სხვადასხვა ორგანული შედგენილობის შესაბამისად და, გარკვეულ ფარგლებში, მათი ბრუნვის პერიოდების სხვაობის შესაბამისადაც, მოგების უთანატოლო ნორმებია გაბატონებული, და ამიტომ, ზედმეტი ღირებულების თანატოლი ნორმის არსებობის შემთხვევაშიც კი მხოლოდ თანატოლი ორგანული შედგენილობის კაპიტალების მიმართ, — იგულისხმება ბრუნვის თანატოლი პერიოდები, — ინარჩუნებს ძალას ის კანონი (საერთო ტენდენციის მიხედვით), რომ მოგებათა შეფარდება ერთმანეთისადმი ისეთივეა, როგორიც კაპიტალების სიდიდეთა შეფარდება, და, მაშასადამე, თანატოლი კაპიტალები დროის თანატოლ მონაკვეთებში თანატოლ მოგებას იძლევიან. ჩვენ მიერ განვითარებული დებულებები დაფუძნებულია იმ

ბაზისზე, რომელიც აქამდე საერთოდ მთელი ჩვენი გამოკვლევის ბაზისი იყო: რომ საქონელი თავისი ღირებულების მიხედვით იყიდება. მეორე მხრივ, ეჭვს გარეშეა, რომ სინამდვილეში, თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ არაარსებით, შემთხვევით და ერთიმეორის გამბათილებელ განსხვავებებს, მოგების საშუალო ნორმების სხვაობა მრეწველობის სხვადასხვა დარგში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს კაპიტალისტური წარმოების მთელი სისტემის დაურღვევლად. ამრიგად, ისე გვეჩვენება, თითქოს შეუძლებელია ღირებულების თეორიის შეთანხმება ნამდვილ მოძრაობასთან, შეუძლებელია მისი შეთანხმება წარმოების ფაქტიურ მოვლენებთან, და რომ, ამიტომ, თითქოს ხელი უნდა ავიღოთ საერთოდ ამ უკანასკნელთა გაგებაზე.

ამ წიგნის პირველი განყოფილებიდან გამომდინარეობს, რომ ხარჯთფასები თანაბარია წარმოების სხვადასხვა სფეროთა პროდუქტებისათვის, თუ ამ პროდუქტების საწარმოებლად კაპიტალის ტოლი სიდიდის ნაწილებია ავანსებული, სულ ერთია, რაგინდ განსხვავებულიც არ უნდა იყოს ამ კაპიტალების ორგანული შედგენილობა. ხარჯთფასში კაპიტალისტისათვის გამქრალია სხვაობა ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის. საქონელი, რომლის საწარმოებლად მან 100 გირვ. სტერლ. უნდა დახარჯოს, მისთვის ერთნაირად ძვირია 90_c+10_v-ს დახარჯვა თუ 10_c+90_v-ს. იგი მას მუდამ 100 გირ. სტერლ. უღირს. არც მეტი, არც ნაკლები. ხარჯთფასები წარმოების სხვადასხვა სფეროში ერთი და იგივეა თანატოლი სიდიდის კაპიტალების დახარჯვისას. რაგინდ განსხვავებულიც არ უნდა იყოს წარმოებული ღირებულება და ზედმეტი ღირებულება. ხარჯთფასების ეს ტოლობა ქმნის ბაზისს კაპიტალდაბანდებათა კონკურენციისათვის, რის მეშვეობითაც საშუალო მოგება მყარდება.

თავი მეცხრე

მოგების საერთო ნორმის (მოგების საშუალო ნორმის) ჩამოყალიბება და საქონელთა ღირებულების გარდაქმნა წარმოების ფასად.

კაპიტალის ორგანული შედგენილობა ყოველ მოცემულ მომენტში ორ გარემოებაზეა დამოკიდებული: ჯერ ერთი, გამოყენებული სამუშაო ძალის ტექნიკურ შეფარდებაზე გამოყენებულ წარმოების საშუალებათა მასასთან; მეორე, წარმოების ამ საშუალებათა ფასზე. იგი უნდა განიხილებოდეს, როგორც დავინახეთ, მის პროცენტულ შეფარდებაში. ამ კაპიტალის ორგანულ შედგენილობას, რომლის $^4/_5$ მუდმივი კაპიტალია და $^1/_5$ ცვალებადი, გამოვხატავთ ფორმულით $80_c + 20_v$. შემდეგ, შედარებისას იგულისხმება ზედმეტი ღირებულების უცვლელი ნორმა, სახელდობრ რაიმე ნებისმიერი ნორმა, მაგალითად, 100%. ამის მიხედვით კაპიტალი, რომელიც $80_c + 20_v$-ისგან შედგება, იძლევა 20_m ზედმეტ ღირებულებას, რაც მთელ კაპიტალზე 20% მოგების ნორმას შეადგენს. მისი პროდუქტის ნამდვილი ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდია მუდმივი კაპიტალის ძირითადი ნაწილი და გაცვეთის გამო ამ ნაწილიდან ბევრი შედის პროდუქტში თუ ცოტა. ჰაგრამ რადგან ამ გარემოებას სრულიად არა აქვს მნიშვნელობა მოგების ნორმისათვის და, მაშასადამე, არც წინამდებარე გამოკვლევისათვის, ამიტომ გამარტივებისათვის ჩვენ ვგულისხმობთ, რომ მუდმივი კაპიტალი ყველგან თანაბრად და მთლიანად შედის ამ კაპიტალების წლიურ პროდუქტში. ჩვენ ვგულისხმობთ, შემდეგ, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროში კაპიტალები, მათი ცვალებადი ნაწილის სიდიდესთან შეფარდებით, ყოველწლიურად თანატოლი რაოდენობის ზედმეტ ღირებულებას ახორციელებენ; მაშასადამე, ჯერჯერობით ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმ განსხვავებას, რომელიც ბრუნვის პერიოდების სხვაობას შეუძლია ამ მიმართულებით გამოიწვიოს. ამ პუნქტს შემდგომ განვიხილავთ.

•ვიღოთ წარმოების ხუთი სხვადასხვა სფერო მათში დაბანდებული კაპიტალების სხვადასხვა ორგანული შედგენილობით. ვთქვათ, ჩვენ გვაქვს:

კაპიტალები	ზედმეტი ღირებულების ნორმა	ზედმეტი ღირებულება	პროდუქტის ღირებულება	მოგების ნორმა
I. $80_c + 20_v$	100%	20	120	20%
II. $70_c + 30_v$	100%	30	130	30%
III. $60_c + 40_v$	100%	40	140	40%
IV. $85_c + 15_v$	100%	15	115	15%
V. $95_c + 5_v$	100%	5	105	5%

ჩვენ აქ წარმოების სხვადასხვა სფეროსათვის შრომის თანაბარი ექსპლოატაციის პირობებში მოგების ფრიად სხვადასხვა ნორმა გვაქვს კაპიტალების სხვადასხვა ორგანული შედგენილობის შესაბამისად.

•ამ ხუთ სფეროში დაბანდებული კაპიტალების მთელი ჯამი 500 უდრის; მათ მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მთელი ჯამი 100 უდრის; მათ მიერ წარმოებულ საქონელთა მთელი ღირებულება = 610. თუ ჩვენ 500-ს განვიხილავდით როგორც ერთიან კაპიტალს, რომლის მიმართ ქვედანაყოფები I — V მხოლოდ სხვადასხვა ნაწილებს შეადგენენ (როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, ბამბეულის ფაბრიკაში, რომლის სხვადასხვა განყოფილებაში — საჩეჩავში, რთვის შემამზადებელ სახელოსნოში, სართავ დარბაზში და საქსოვ სახელოსნოში — ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის სხვადასხვა შეფარდება არსებობს და მთელი ფაბრიკისათვის საშუალო შეფარდება მხოლოდ გამოანგარიშების გზით მიიღება), მაშინ კაპიტალი 500-ის საშუალო შედგენილობა იქნებოდა = $390_c + 110_v$, ანუ პროცენტულად: $78_c + 22_v$. ‚თელი კაპიტალის მხოლოდ $^1/_5$-ად განხილულ თვითეულ კაპიტალ 100-ს საშუალო შედგენილობა $78_c + 22_v$ ექნებოდა; ასევე თვითეულ 100-ს საშუალო ზედმეტი ღირებულების სახით 22 მოუწევდა; ამიტომ მოგების საშუალო ნორმა იქნებოდა — 22% და, ბოლოს, 500-ის მიერ წარმოებული მთელი პროდუქტის თვითეული $^1/_5$-ის ფასი იქნებოდა — 122. ამრიგად, მთელი ავანსებული კაპიტალის თვითეული მეხუთედის პროდუქტი 122-ად უნდა გაყიდულიყო.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, სრულიად მცდარ დასკვნამდე რომ არ მივიდეთ, ჩვენ ყველა ხარჯთფასი 100 ტოლად არ უნდა ჩავთვალოთ.

$80_c + 20_v$-ის შედგენილობისა და 100% ზედმეტი ღირებულების ნორმის არსებობისას I კაპიტალის, = 100-ის მიერ წარმოებული

საქონლის მთელი ღირებულება იქნებოდა $80_c + 20_v + 20_m = 120$, თუ მთელი მუდმივი კაპიტალი წლიურ პროდუქტში შევიდოდა. განსაზღვრულ პირობებში ამას, რა თქმა უნდა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს წარმოების გარკვეულ სფეროებში. მაგრამ ძნელი საფიქრელია, რომ ეს შესაძლებელი იყოს იქ, სადაც შეფარდება $c : v = 4 : 1$. ამიტომ, როდესაც ვიკვლევთ საქონელთა ღირებულებას, რომელიც სხვადასხვა კაპიტალის თვითეული 100 ერთეულით იწარმოება, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს ღირებულება სხვადასხვა იქნება იმ სხვადასხვა შედგენილობის მიხედვით, რომელიც c აქვს ძირითად და საბრუნავ შემადგენელ ნაწილებად დაყოფისას, და რომ თვით სხვადასხვა კაპიტალების ძირითადი შემადგენელი ნაწილები, თავის მხრივ, უფრო სწრაფად ან უფრო ნელა ცვდება, მაშასადამე ისინი თანატოლი პერიოდების განმავლობაში არათანატოლი რაოდენობის ღირებულებას მატებენ პროდუქტს. მაგრამ მოგების ნორმისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. გადასცემს 80_c წლიურ პროდუქტს ღირებულებას 80-ის, 50-ის, თუ 5-ისა და ამიტომ წლიური პროდუქტი = $= 80_c + 20_v + 20_m = 120$ იქნება, თუ $= 50_c + 20_v + 20_m = 90$, თუ $= 5_c + 20_v + 20_m = 45$, — ეს სულერთია; ყველა ამ შემთხვევაში პროდუქტის ღირებულების ნამეტი ხარჯთფასთან შედარებით = 20-ს. და ყველა ამ შემთხვევაში მოგების ნორმის დადგენისას ეს 20 ანგარიშება კაპიტალზე, რომელიც 100 ეთანატოლება; ამრიგად, I კაპიტალის მოგების ნორმა ყველა შემთხვევაში = 20%. რათა ეს უფრო ნათელი გავხადოთ, შემდგომ ცხრილში ჩვენ ვივარაუდებთ, რომ იმავე ხუთი კაპიტალიდან, რომელიც ზევითაა აღნიშნული, მუდმივი კაპიტალის სხვადასხვა ნაწილი შედის პროდუქტის ღირებულებაში.

კაპიტალები	ზედმეტი ღირებულების ნორმა	ზედმეტი ღირებულება	მოგების ნორმა	მიზმარებული c	საქონლის ღირებულება	ხარჯთფასი	
I. 80_c+20_v	100%	20	20%	50	90	70	
II. 70_c+30_v	100%	30	30%	51	111	81	
III. 60_c+40_v	100%	40	40%	51	131	91	
IV. 85_c+15_v	100%	15	15%	40	70	55	
V. 95_c+5_v	100%	5	5%	10	20	15	
390_c+110_v	—	110	110%	—	—	—	ჯამი
78_c+22_v	—	22	22%	—	—	—	საშუალოდ

თუ ჩვენ I — V კაპიტალებს კვლავ განვიხილავთ როგორც ერთიან ერთობლივ კაპიტალს, დავინახავთ, რომ ამ შემთხვევაშიც ხუთი კაპიტალის ჯამის შედგენილობა = 500 + 390$_c$ + 110$_v$, მაშასადამე, საშუალო შედგენილობაც = 78$_c$ + 22$_v$ იგივე რჩება; ასევე საშუალო ზედმეტი ღირებულებაც = 22%. თუ ამ ზედმეტ ღირებულებას I — V-ზე თანაბრად გავანაწილებთ, საქონელთა შემდეგ ფასებს მივიღებთ:

კაპიტალები	ზედმეტი ღირებულება	საქონლის ღირებულება	საქონელთა ხარჯთ-ფასი	საქონლის ფასი	მოგების ნორმა	ფასის გადახრა ღირებულებისგან
I. 80$_c$ + 20$_v$	20	90	70	92	22%	+ 2
II. 70$_c$ + 30$_v$	30	111	81	103	22%	— 8
III. 60$_c$ + 40$_v$	40	131	91	113	22%	—18
IV. 85$_c$ + 15$_v$	15	70	55	77	22%	+ 7
V. 95$_c$ + 5$_v$	5	20	15	37	22%	+17

ყველა ეს საქონელი ღირებულებაზე 2+7+17 = 26-ით მეტად და 8+18 = 26-ით ნაკლებად გაიყიდება, ასე რომ ფასების გადახრათა ურთიერთგაბათილება ხდება ზედმეტი ღირებულების თანაბრად განაწილების გზით, ე. ი. ავანსებული კაპიტალის ყოველ 100 ერთეულზე 22-ის რაოდენობის საშუალო მოგების მიმატებით I — V-ის საქონელთა სათანადო ხარჯთფასებისადმი; რა შეფარდებითაც გაიყიდება საქონელთა ერთი ნაწილი მათ ღირებულებაზე მეტად, იმავე შეფარდებით გაიყიდება საქონელთა მეორე ნაწილი მათ ღირებულებაზე ნაკლებად. და მხოლოდ საქონელთა ამ ფასებში გაყიდვა ხდის შესაძლებელს, რომ I — V კაპიტალების მოგების ნორმა თანაბარია და უდრის 22%, მიუხედავად ამ კაპიტალების სხვადასხვა ორგანული შედგენილობისა. ფასები, რომლებიც იმ გზით წარმოდგება, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროთა მოგების ნორმებიდან საშუალო აიღება და ეს საშუალო წარმოების სხვადასხვა სფეროთა ხარჯთფასებს მიემატება, — ასეთი ფასები წ ა რ მ ო ე ბ ი ს ფ ა ს ე ბ ი ა. მათი წანამძღვარია მოგების ერთი საერთო ნორმის არსებობა, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მოგების ნორმები წარმოების თვითეულ ცალკეულ სფეროში თავისთავად უკვე დაყვანილია საშუალო ნორმათა ასეთსავე რაოდენობაზე. მოგების ეს განსაკუთრებული ნორმები წარმოების თვითეულ სფეროში $= \frac{m}{C}$ და გამოყვანილ უნდა იქნეს საქონლის ღირებულებიდან, როგორც ეს ამ წიგნის პირველ განყოფილებაშია

შესრულებული. ასეთი გამოყვანის გარეშე მოგების საერთო ნორმა (და, მაშასადამე, საქონლის წარმოების ფასიც) რჩება ისეთ წარმოდგენად, რომელიც მოკლებულია აზრსა და შინაარსს. ამრიგად, საქონლის წარმოების ფასი უდრის მის ხარჯთფასს პლუს მოგების საერთო ნორმის შესაბამისად პროცენტულად გამოანგარიშებული მოგება. სხვა სიტყვებით: საქონლის წარმოების ფასი უდრის მის ხარჯთფასს პლუს საშუალო მოგება.

წარმოების სხვადასხვა დარგში დაბანდებული კაპიტალების სხვადასხვა ორგანული შედგენილობის გამო და, მაშასადამე, იმ გარემოების გამო, რომ სხვადასხვა პროცენტული შეფარდების მიხედვით, რომელიც ცვალებად ნაწილს აქვს მოცემული სიდიდის მთელ კაპიტალში, თანატოლი სიდიდის კაპიტალებს შრომის სხვადასხვა რაოდენობა მოჰყავთ მოძრაობაში, — ეს თანატოლი კაპიტალები ფრიად სხვადასხვა რაოდენობის ზედმეტ შრომას ითვისებენ ანუ ზედმეტი ღირებულების ფრიად სხვადასხვა მასას აწარმოებენ. ამის შესაბამისად, მოგების ნორმები, რომლებიც წარმოების სხვადასხვა დარგებშია გაბატონებული, თავდაპირველად ძალიან განსხვავებულია. მოგების ეს სხვადასხვა ნორმა კონკურენციის მეოხებით გათანატოლდება მოგების ერთ საერთო ნორმად, რომელიც მოგების ყველა ამ სხვადასხვა ნორმის საშუალოს წარმოადგენს. იმ მოგებას, რომელიც მოგების ამ საერთო ნორმის შესაბამისად მოცემული სიდიდის კაპიტალს ხვდება. — მიუხედავად მისი ორგანული შედგენილობისა, საშუალო მოგება ეწოდება. წარმოების ფასი არის საქონლის ფასი, რომელიც უდრის მის ხარჯთფასს პლუს მის საწარმოებლად გამოყენებული კაპიტალის (და არა მარტო მის წარმოებაში მოხმარებული კაპიტალის) წლიური საშუალო მოგების ის ნაწილი, რომელიც უწევს კაპიტალს მისი ბრუნვის პირობების შესაბამისად. ავიღოთ მაგალითისათვის კაპიტალი 500, აქედან 100 ძირითადი კაპიტალია, რომლის 10% ცვდება 400 საბრუნავი კაპიტალის ერთი გადაბრუნების პერიოდის განმავლობაში. საშუალო მოგება გადაბრუნების ამ პერიოდის განმავლობაში, ვთქვათ, შეადგენს 10%-ს, მაშინ ამ გადაბრუნების განმავლობაში დამზადებული პროდუქტის ხარჯთფასი იქნება: 10, გაცვეთისთვის, პლუს 400 ($c+v$) საბრუნავი კაპიტალი = 410, ხოლო მისი წარმოების ფასი: 410 ხარჯთფასი პლუს (10% მოგება 500-ზე) 50 = 460.

ამრიგად, თუმცა წარმოების სხვადასხვა სფეროს კაპიტალისტები მათი საქონლის გაყიდვისას უკანვე იღებენ ამ საქონლის წარმოებაზე დახარჯულ კაპიტალღირებულებას, მაგრამ ისინი ახდენენ არა იმ ზედ-

მეტი ღირებულებისა და, მაშასადამე, არა იმ მოგების რეალიზაციას, რომელიც მათს საკუთარ სფეროშია წარმოებული ამ საქონლის დამზადებისას; ისინი იღებენ მხოლოდ იმდენ ზედმეტ ღირებულებას და, მაშასადამე, იმდენ მოგებას, რამდენიც საზოგადოების ერთობლივი კაპიტალის თვითეულ ჯერად ნაწილს უწევს თანაბარი განაწილებისას მთელი ზედმეტი ღირებულებიდან, ანუ მთელი მოგებიდან, რომელიც წარმოებულია დროის მოცემულ მონაკვეთში მთელი ამ საზოგადოებრივი კაპიტალით წარმოების ყველა სფეროში, ერთად აღებულში. თვითეული ავანსებული კაპიტალი, როგორიც უნდა იყოს მისი შედგენილობა, იძლევა წლისა თუ სხვა პერიოდის განმავლობაში იმდენ მოგებას 100-ზე, რამდენიც ერთობლივი კაპიტალის თვითეულ 100-ს უწევს ამ პერიოდისათვის. რამდენადაც საქმე მოგებას შეეხება, სხვადასხვა კაპიტალისტები აქ ერთმანეთთან დამოკიდებულებაში არიან როგორც უბრალო აქციონერები რომელიმე აქციონერული საზოგადოებისა, სადაც მოგება, რომელიც ცალკეულ წევრებს წილად უწევს, თანაბრად ნაწილდება ას-ასი კაპიტალის კვალობაზე; ამიტომ სხვადასხვა კაპიტალისტისათვის მოგების წილი აქ განსხვავდება მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდია თვითეულის მიერ საერთო საწარმოში დაბანდებული კაპიტალი, რა ოდენობისაა შეფარდებით მისი მონაწილეობა ამ საერთო საწარმოში, რამდენად დიდია მისი აქციების რიცხვი. ამრიგად, საქონლის ფასის ის ნაწილი, რომელიც საქონლის წარმოებაში მოხმარებული კაპიტალის ღირებულების იმ ნაწილებს ანაზღაურებს, რომლითაც, მაშასადამე, ეს მოხმარებული კაპიტალღირებულებანი ხელახლა უნდა იყიდონ, — საქონლის ფასის ეს ნაწილი, რომელიც ხარჯთფასს შეადგენს, სავსებით განისაზღვრება იმ დანახარჯით, რაც წარმოების სათანადო სფეროს ფარგლებშია გაწეული; პირიქით, საქონლის ფასის მეორე შემადგენელი ნაწილი, — ამ ხარჯთფასისადმი მიმატებული მოგება, განისაზღვრება არა მოგების იმ მასით, რომელიც ამ განსაზღვრული კაპიტალის მიერ წარმოების ამ განსაზღვრულ სფეროშია წარმოებული მოცემული დროის განმავლობაში, არამედ მოგების იმ მასით, რომელიც თვითეულ გამოყენებულ კაპიტალს, როგორც მთელ წარმოებაში გამოყენებული საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის ჯერად ნაწილს, უწევს საშუალოდ მოცემული პერიოდის განმავლობაში [22].

ამრიგად, როდესაც კაპიტალისტი თავის საქონელს მისი წარმოე-

[22] Cherbuliez [«Riche ou pauvre». Paris — Genève 1840, გვ. 116 და შემდ.].

ბის ფასის მიხედვით ყიდის, იგი იღებს ფულს იმ რაოდენობით, რაც მის მიერ წარმოებაში მოხმარებული კაპიტალის ღირებულების სიდიდეს შეესაბამება, და იღებს მოგებას, რომელიც მის მიერ ავანსებული კაპიტალის — უბრალოდ როგორც ერთობლივი საზოგადოებრივი კაპიტალის სათანადო ნაწილის — პროპორციულია. ხარჯთფასი წარმოების ყოველ მოცემულ სფეროში სპეციფიკური ხასიათისაა. ამ ხარჯთფასისადმი მიმატებული მოგება დამოუკიდებელია წარმოების სათანადო განსაკუთრებული სფეროს პირობებისაგან, იგი უბრალო საშუალოა, რომელიც ავანსებული კაპიტალის ყოველ ასს უწევს.

ვთქვათ, წინა მაგალითის ხუთი სხვადასხვა კაპიტალი I — V ერთ პირს ეკუთვნის. ცვალებადი და მუდმივი კაპიტალის რაოდენობა, რომელიც მოხმარებულია საქონელთა წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის თვითეულ 100-ზე, აქ მოცემულია თვითეული დაბანდებისათვის I — V-ში, და I — V-ის საქონელთა ღირებულების ეს ნაწილი, თავისთავად იგულისხმება, უნდა შევიდეს მათი ფასის შედგენილობაში, რადგან ყოველ შემთხვევაში ეს ფასი აუცილებელია კაპიტალის ავანსებული და მოხმარებული ნაწილის ასანაზღაურებლად. ამრიგად, ეს ხარჯთფასები I — V-ის ყოველგვარი საქონლისათვის სხვადასხვა იქნებოდა და როგორც ასეთები მფლობელის მიერ სხვადასხვანაირად იქნებოდა ფიქსირებული. ხოლო რაც შეეხება I — V-ში წარმოებული ზედმეტი ღირებულების, ანუ მოგების, სხვადასხვა მასას, — კაპიტალისტს ყველა საფუძველი ექნებოდა მის მიერ მთელი ავანსებული კაპიტალის მოგებად ჩაეთვალა ისინი, ასე რომ კაპიტალის თვითეულ 100-ს მთელი ამ მოგებიდან სათანადო ნაწილი მოუწევდა. ამრიგად, I — V ცალკეულ დაბანდებებში წარმოებულ საქონელთათვის ხარჯთფასი სხვადასხვა იქნებოდა; მაგრამ ყველა ამ საქონლისათვის თანატოლი იქნებოდა გასაყიდი ფასის ის ნაწილი, რომელიც ხარჯთფასისადმი კაპიტალის თვითეული 100-ის კვალობაზე მიმატებული მოგებისაგან შედგება. I — V-ის საქონელთა მთელი ფასი, ამრიგად, მათი მთელი ღირებულების თანატოლი იქნებოდა, ე. ი. თანატოლი იქნებოდა I — V-ის ხარჯთფასთა ჯამისა პლუს I — V-ში წარმოებული ზედმეტი ღირებულების, ანუ მოგების, ჯამი; მაშასადამე, მთელი ფასი სინამდვილეში იქნებოდა ფულადი გამოსახულება შრომის მთელი რაოდენობისათვის, — როგორც წარსულის, ისე ახლად მიმატებულისათვის, — რომელსაც I — V-ის საქონელნი შეიცავენ. და, ამრიგად თვით საზოგადოებაშიც, — თუ წარმოების ყველა დარგს როგორც ერთ მთელს განვიხილავთ, — წარმოებულ საქონელთა წარმოების ფასების ჯამი საქონელთა ღირებულების ჯამის თანატოლია.

ამ დებულებას თითქოს ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ კაპიტალისტურ წარმოებაში მწარმოებლური კაპიტალის ელემენტები ჩვეულებრივად ბაზარზეა ნაყიდი, მაშასადამე, მათი ფასი უკვე შეიცავს რეალიზებულ მოგებას, ე. ი. მრეწველობის მოცემული დარგის წარმოების ფასს მასში მოქცეული მოგებითურთ, ასე რომ მრეწველობის ერთი დარგის მოგება მეორე დარგის ხარჯთფასში შედის. მაგრამ თუ ვიანგარიშებთ, ერთი მხრივ, მთელი ქვეყნის საქონელთა ხარჯთფასების ჯამს, მეორე მხრივ, კი მასში წარმოებული მოგების, ანუ ზედმეტი ღირებულების ჯამს, ცხადია, რომ ანგარიში სწორი იქნება. ავიღოთ, მაგალითად, საქონელი A; ვთქვათ, მის ხარჯთფასში შედის B-ს, C-ს, D-ს მოგება, ხოლო B, C, D ხარჯთფასშიც, თავის მხრივ, A-ს მოგება შედის. გამოანგარიშებისას ჩვენ A-ს მოგებას მის საკუთარ ხარჯთფასში არ ჩავრიცხავთ და ასევე B-ს, C-ს, D-ს მოგება მათს საკუთარ ხარჯთფასში არ შეიტანება: არავინ არ ჩარიცხავს საკუთარ მოგებას თავის ხარჯთფასში. მაშასადამე, თუ არის სულ, მაგალითად, წარმოების n სფერო და თვითეული მათგანის მოგება p უდრის, მაშინ ყველაში ერთად ხარჯთფასი $= k - np$. თუ მთელ ანგარიშს განვიხილავთ, ჩვენ დავინახავთ, მაშასადამე, რომ წარმოების ერთი სფეროს მოგება, რამდენადაც ეს მოგება მეორე სფეროს ხარჯთფასში შედის, უკვე ჩათვლილია საბოლოო პროდუქტის მთელი ფასის ანგარიშში და არ შეიძლება კვლავ მოგვევლინოს მოგებათა გრაფაში. ხოლო თუ იგი ამ გრაფაში გვევლინება, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ თვით საქონელი საბოლოო პროდუქტია და, მაშასადამე, მისი წარმოების ფასი სხვა რომელიმე საქონლის ხარჯთფასში არ შედის.

თუ საქონლის ხარჯთფასში შედის თანხა $= p$, რომელიც წარმოების საშუალებების მწარმოებელთა მოგებას შეადგენს, და თუ ამ ხარჯთფასს დაემატება მოგება $= p_1$, მაშინ მთელი მოგება $P = p + p_1$. საქონლის მთელი ხარჯთფასი, თუ არ ჩავთვლით ფასის ყველა ელემენტს, რომელიც მოგებას უწევს, უდრის მის საკუთარ ხარჯთფასს წარმოების მოცემულ სფეროში მინუს P. თუ ამ ხარჯთფასს k-ს ვუწოდებთ, — ცხადია, $k + P = k + p + p_1$. ზედმეტი ღირებულების გარკვევისას I წიგნში, თავი VII, 2, გვ. 182, და შემდეგ [კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ., გვ. 280 და შემდ.], ჩვენ დავინახეთ, რომ თვითეული კაპიტალის პროდუქტი ისე შეიძლება განვიხილოთ, თითქოს მისი ერთი ნაწილი მხოლოდ კაპიტალს ანაზღაურებს, ხოლო მეორე ნაწილი კი მხოლოდ ზედმეტ ღირებულებას ამოხატავს. როდესაც ამ გაანგარიშებას საზოგადოების ერთობლივი

პროდუქტის მიმართ გამოვიყენებთ, მასში სათანადო შესწორებანი უნდა შევიტანოთ, რადგან თუ მთელ საზოგადოებას ავიღებთ, მაგალითად სელის ფასში მოქცეული მოგება არ შეიძლება ორჯერ იქნეს გათვალისწინებული: ერთხელ როგორც ტილოს ფასის ნაწილი და მეორეჯერ როგორც სელის მწარმოებლის მოგების ნაწილი.

მოგებასა და ზედმეტ ღირებულებას შორის არ არსებობს განსხვავება, რამდენადაც, მაგალითად, A-ს ზედმეტი ღირებულება B-ს მუდმივ კაპიტალში შედის. საქონელთა ღირებულებისათვის ხომ სავსებით სულ ერთია, მათში მოქცეული შრომა გადახდილი შრომისაგან შედგება თუ გადაუხდელისაგან. ეს გვიჩვენებს მხოლოდ, რომ B იხდის A-ს ზედმეტ ღირებულებას. საერთო ანგარიშში A-ს ზედმეტი ღირებულება არ შეიძლება ორჯერ იქნეს ნაანგარიშევი.

მაგრამ განსხვავება მდგომარეობს შემდეგში: მაგალითად, B კაპიტალის მიერ წარმოებული პროდუქტის ფასი გადაიხრება პროდუქტის ღირებულებიდან, რადგან B-ში რეალიზებული ზედმეტი ღირებულება შეიძლება უფრო დიდი ან უფრო პატარა იყოს, ვიდრე მოგება, რომელიც მინატებულია B-ს პროდუქტების ფასისადმი; მაგრამ იგივე გარემოება თავის ძალას ინარჩუნებს იმ საქონელთა მიმართაც, რომელნიც B კაპიტალის მუდმივ ნაწილს და, არაპირდაპირ — მუშების საარსებო საშუალებათა სახით, — აგრეთვე მის ცვალებად ნაწილს შეადგენენ. რაც შეეხება მუდმივ ნაწილს, თვით იგი უდრის ხარჯთფასს პლუს ზედმეტი ღირებულება, ე. ი. ამ შემთხვევაში უდრის ხარჯთფასს პლუს მოგება, და ეს მოგება, თავის მხრივ, შეიძლება კვლავ უფრო დიდი ან უფრო პატარა იყოს, ვიდრე ის ზედმეტი ღირებულება, რომლის ადგილსაც იგი იკავებს. რაც შეეხება ცვალებად კაპიტალს, საშუალო დღიური ხელფასი თუმცა ყოველთვის იმ რაოდენობის საათებში შექმნილ ახალ ღირებულებას უდრის, რომლის განმავლობაშიც მუშამ უნდა იმუშაოს იმისათვის, რათა აუცილებელი საარსებო საშუალებანი აწარმოოს, მაგრამ თვით ამ საათების რაოდენობა, თავის მხრივ, ფალსიფიკაციას განიცდის აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოების ფასების მათი ღირებულებიდან გადახრის გამო. მაგრამ ყოველივე ეს აიხსნება იმით, რომ რამდენი ზედმეტი ღირებულებაც ემატება ერთ საქონელს, იმდენივე აკლდება მეორე საქონელს და, მაშასადამე, გადახრილობანი ღირებულებიდან, რომელთაც საქონლის წარმოების ფასები შეიცავენ, ერთმანეთს აბათილებენ. საერთოდ კაპიტალისტურ წარმოებაში ყოველი ზოგადი კანონი ხორციელდება ყოველთვის მხოლოდ მეტად დახლართულად და მიახლოებულად, როგორც გაბატონებული ტენდენცია, როგორც მუდმივ

რყევათა ერთგვარი საშუალო, რომლის მტკიცედ დადგენა არასოდეს არ შეიძლება.

რადგან მოგების საერთო ნორმას მოგების სხვადასხვა ნორმების საშუალო შეადგენს, რომლებიც ავანსებული კაპიტალის თვითეულ 100-ზე მოდის განსაზღვრული პერიოდის, ვთქვათ, წლის განმავლობაში, ამიტომ მასში გამქრალია ის განსხვავებაც, რომელიც სხვადასხვა კაპიტალების ბრუნვის პერიოდების განსხვავებით არის გამოწვეული. მაგრამ ეს განხხვავებანი განმსაზღვრელი მომენტია წარმოების იმ სხვადასხვა სფეროთა მოგების სხვადასხვა ნორმებისათვის, რომელთა საშუალოც საერთო ნორმას ქმნის.

წინა ილუსტრაციაში, რომელიც მოგების საყოველთაო ნორმის წარმოქმნის გასაშუქებლად იყო აღებული, ჩვენ წარმოების თვითეული სფეროს თვითეული კაპიტალი 100-ის თანატოლად დავსახეთ, და ეს იმიტომ, რომ ნათელი გაგვეხადა მოგების ნორმის პროცენტული განსხვავება და, მაშასადამე, განსხვავებაც საქონელთა ღირებულებაში, რომელთაც ტოლი სიდიდის კაპიტალები აწარმოებენ. მაგრამ თავისთავად იგულისხმება, რომ წარმოების თვითეულ ცალკეულ სფეროში შექმნილი ზედმეტი ღირებულების ნამდვილი მასა გამოყენებული კაპიტალების სიდიდეზეა დამოკიდებული, რადგან წარმოების თვითეულ ამ სფეროში კაპიტალის შედგენილობა მოცემულია. ამასთანავე წარმოების ყოველი ცალკეული სფეროს მოგების განსაკუთრებული ნ ო რ მ ა სრულიად არ იცვლება იმით — 100-ის ოდენობის კაპიტალი გამოიყენება, $m \times 100$-ის ოდენობისა თუ $xm \times 100$-ის ოდენობის. მოგების ნორმა 10%-ია როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც მთელი მოგება 10 : 100-ს შეადგენს, ისე მაშინაც, როდესაც იგი 1 000 : 10 000-ს შეადგენს.

მაგრამ რადგან მოგების ნორმები წარმოების სხვადასხვა სფეროში სხვადასხვაა იმის გამო, რომ ამ სფეროებში, მთელ კაპიტალთან ცვალებადი კაპიტალის პროცენტული შეფარდების მიხედვით, ზედმეტი ღირებულებისა და, მაშასადამე, მოგების ფრიად სხვადასხვა მასა იწარმოება, ამიტომ ცხადია, რომ საშუალო მოგება საზოგადოებრივი კაპიტალის თვითეულ 100-ზე და, ამის გამო, მოგების საშუალო ნორმა, ანუ მოგების საყოველთაო ნორმა, ფრიად სხვადასხვა იქნება სხვადასხვა სფეროში გამოყენებული კაპიტალის სათანადო სიდიდეთა მიხედვით. ავიღოთ ოთხი კაპიტალი A, B, C, D. დავუშვათ, რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა ყველასათვის 100% უდრის. ვთქვათ, მთელი კაპიტალის თვითეულ 100-ზე ცვალებადი კაპიტალი მოდის

A-ში $= 25$, B-ში $= 40$, C-ში $= 15$, D-ში $= 10$. მაშინ მთელი კაპიტალის თვითეულ 100-ზე ზედმეტი ღირებულება, ანუ მოგება, A-სთვის 25 იქნებოდა, B-სთვის $= 40$, C-სთვის $= 15$, D-სთვის $=$ 10; სულ $= 90$; მაშასადამე, თუ ეს ოთხი კაპიტალი ყველა თანატოლია, მოგების საშუალო ნორმა $= \frac{90}{4} = 22\frac{1}{2}\%$.

მაგრამ თუ მთელი კაპიტალების სიდიდეები შეადგენს: $A = 200$, $B = 300$, $C = 1\,000$, $D = 4\,000$, მაშინ წარმოებული მოგება შესაბამისად: 50, 120, 150 და 400 იქნება. სულ 5 500 კაპიტალზე მოდის 720 მოგება, ე. ი. მოგების საშუალო ნორმა არის $13\frac{1}{11}\%$.

წარმოებული ერთობლივი ღირებულების მასა სხვადასხვაა სათანადო A, B, C და D-ში ავანსებული მთელი კაპიტალების სხვადასხვა სიდიდის მიხედვით. ამიტომ მოგების საერთო ნორმის შექმნისას საქმე შეეხება არა მხოლოდ მოგების ნ ო რ მ ე ბ ი ს განსხვავებას წარმოების სხვადასხვა სფეროში, რომელთაგან მარტივი საშუალო არითმეტიკული უნდა გამოყვანილიყო, არამედ აგრეთვე ხვედრითს წონას, რომლითაც მოგების ეს სხვადასხვა ნორმა შედის საშუალოს შედგენაში. მაგრამ ეს დამოკიდებულია ყოველ ცალკეულ სფეროში დაბანდებული კაპიტალის შეფარდებით სიდიდეზე, ე. ი. იმაზე, თუ საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის რა ჯერად ნაწილს შეადგენს წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში დაბანდებული კაპიტალი. რასაკვირველია, დიდ განსხვავებას უნდა ჰქონდეს ადგილი იმისდა მიხედვით, ერთობლივი კაპიტალის უფრო დიდი თუ უფრო პატარა ნაწილი იძლევა მოგების უფრო მაღალ თუ უფრო დაბალ ნორმას. და ეს კვლავ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი კაპიტალია დაბანდებული წარმოების იმ დარგებში, სადაც ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მთელ კაპიტალთან შედარებით დიდია ან პატარა. საქმის ვითარება აქ სავსებით ისეთივეა, როგორც სარგებლის საშუალო ნორმის მიმართ, რასაც ღებულობს მევახშე, რომელიც სხვადასხვა კაპიტალს სარგებლის სხვადასხვა ნორმის მიხედვით, მაგალითად, 4, 5, 6, 7%-ად და სხვ. ასესხებს. საშუალო ნორმა სავსებით იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი გაასესხა მევახშემ თავისი კაპიტალიდან სარგებლის თვითეული ამ სხვადასხვა ნორმის მიხედვით.

ამრიგად, მოგების საერთო ნორმა ორი ფაქტორით განისაზღვრება:

1) კაპიტალების ორგანული შედგენილობით წარმოების სხვადასხვა სფეროში, მაშასადამე, ცალკეულ სფეროთა მოგების სხვადასხვა ნორმებით;

2) საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის განაწილებით ამ სხვადასხვა სფეროებზე, მაშასადამე, იმ კაპიტალის შეფარდებითი სიდი-

დით, რომელიც თვითეულ ცალკეულ სფეროშია დაბანდებული და რომელსაც, ამიტომ, მოგების განსაკუთრებული ნორმა აქვს, ე. ი. საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის მასის იმ შეფარდებითი წილით, რომელსაც წარმოების ყოველი ცალკეული სფერო ნთქავს.

I და II წიგნში ჩვენ მხოლოდ საქონლის ღირებულებასთან გვქონდა საქმე. ახლა კი, ერთი მხრივ, გამოცალკევდა ხარჯთფასი როგორც ამ ღირებულების ნაწილი, მეორე მხრივ, განვითარდა საქონლის წარმოების ფასი როგორც ღირებულების გარდამქმნელი ფორმა.

ვთქვათ, საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის შედგენილობაა $80_c + 20_v$ და წლიური ზედმეტი ღირებულების ნორმა $m' = 100\%$; მაშინ წლიური საშუალო მოგება კაპიტალი 100-სთვის $= 20$ და მოგების საერთო წლიური ნორმა $= 20\%$. როგორიც არ უნდა იყოს კაპიტალ 100-ის მიერ წლიურად წარმოებულ საქონელთა ხარჯთფასი k, მათი წარმოების ფასი იქნება ყოველ შემთხვევაში $= k+20$. წარმოების სფეროებში, სადაც კაპიტალის შედგენილობა $= (80 - x)_c + (20 + x)_v$, ნამდვილად წარმოებული ზედმეტი ღირებულება, ანუ ამ სფეროში წარმოებული წლიური მოგება, იქნება $= 20+x$, ე. ი. უფრო დიდი, ვიდრე 20, და წარმოებული საქონლის ღირებულება იქნება $= k+20+x$, ე. ი. უფრო დიდი, ვიდრე $k+20$, ანუ უფრო დიდი, ვიდრე მისი წარმოების ფასი. იმ სფეროებში, სადაც კაპიტალის შედგენილობა $= (80+x)_c + (20-x)_v$, წლის განმავლობაში წარმოებული ზედმეტი ღირებულება, ანუ მოგება, იქნება $= 20 - x$, ე. ი. ნაკლები, ვიდრე 20, და ამიტომ საქონლის ღირებულება $k+20-x$ იქნება ნაკლები, ვიდრე წარმოების ფასი, რომელიც $= k+20$. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შესაძლებელ განსხვავებებს ბრუნვის პერიოდებში, წარმოების ფასი საქონელთა ღირებულების ტოლი იქნება მხოლოდ იმ სფეროებში, სადაც კაპიტალის შედგენილობა შემთხვევით $= 80_c + 20_v$.

შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის სპეციფიკური განვითარების დონე წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში სხვადასხვაა, უფრო მაღალია ან უფრო დაბალი, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დიდია წარმოების საშუალებათა რაოდენობა, რომელთაც შრომის განსაზღვრული რაოდენობა, ე. ი. მოცემული სამუშაო დღის არსებობისას, მუშათა განსაზღვრული რიცხვი მოიყვანს მოძრაობაში; სხვა სიტყვებით, იგი უფრო მაღალია ან უფრო დაბალი იმისდა მიხედვით, თუ რამდენად პატარაა შრომის ის რაოდენობა, რა-

საც წარმოების საშუალებათა განსაზღვრული რაოდენობა საჭიროებს. ამიტომ იმ კაპიტალს, რომელიც პროცენტულად საზოგადოებრივ საშუალო კაპიტალზე მეტ მუდმივ კაპიტალს და მაშასადამე, ნაკლებ ცვალებად კაპიტალს შეიცავს, ჩვენ მ ა ღ ა ლ ი შედგენილობის კაპიტალს ვუწოდებთ. პირიქით, იმ კაპიტალს, რომელშიც მუდმივ კაპიტალს შედარებით უფრო პატარა, ხოლო ცვალებადს უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე — საზოგადოებრივ საშუალო კაპიტალში, ჩვენ დ ა ბ ა ლ ი შედგენილობის კაპიტალებს ვუწოდებთ. დასასრულ, საშუალო შედგენილობის კაპიტალებს ჩვენ ისეთებს ვუწოდებთ, რომელთა შედგენილობა ემთხვევა საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის შედგენილობას. თუ საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალი პროცენტულად $80_c + 20_v$-ის შედგენილობისაა, მაშინ $90\ c + 10_v$-ის შედგენილობის კაპიტალი საზოგადოებრივ საშუალოზე უფრო მ ა ღ ა ლ ი და $70_c + 30_v$-ის შედგენილობისა უფრო დ ა ბ ა ლ ი არის. საერთოდ, საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის შედგენილობისას, რომელიც $= mc + nv$, სადაც m და n მუდმივი სიდიდეებია და $m + n = 100$ არის, $(m + x)_c + (n - x)_v$ ცალკეული კაპიტალის ან კაპიტალების ჯგუფის მაღალ შედგენილობას წარმოადგენს, ხოლო $(m + x)_c + (n + x)_v$ — დაბალ შედგენილობას. თუ როგორ მოქმედებენ ეს კაპიტალები მოგების საშუალო ნორმის დამყარების შემდეგ, ამას — როცა წელიწადში ერთხელ გადაბრუნებას ვგულისხმობთ — გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი, სადაც I საშუალო შედგენილობას გამოხატავს, მოგების საშუალო ნორმა კი ამიტომ $= 20\%$.

I. $80_c + 20_v + 20_m$. მოგების ნორმა $= 20\%$.
   პროდუქტის ფასი $= 120$. ღირებულება $= 120$.
II. $90_c + 10_v + 10_m$. მოგების ნორმა $= 20\%$.
   პროდუქტის ფასი $= 120$. ღირებულება $= 110$.
III. $70_c + 30_v + 30_m$. მოგების ნორმა $= 20\%$.
   პროდუქტის ფასი $= 120$. ღირებულება $= 130$.

ამრიგად, II კაპიტალით წარმოებულ საქონელთა ღირებულება ნაკლებია, ვიდრე მათი წარმოების ფასი, III კაპიტალის საქონელთა წარმოების ფასი ნაკლებია, ვიდრე ღირებულება, და მხოლოდ I წარმოების დარგების კაპიტალებისათვის, რომელთა შედგენილობა შემთხვევით ისეთივეა, როგორიც საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალისა, ღირებულება და წარმოების ფასი ტოლია. სხვათა შორის, გარკვეული შემთხვევების მიმართ ამ აღნიშვნათა გამოყენებისას, რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, თუ რამდენად იწვევს c და v

შეფარდების გადახრილობას საშუალო დონიდან არა, ვთქვათ, განსხვავება ტექნიკურ შედგენილობაში, არამედ მუდმივი კაპიტალის ელემენტების ღირებულების უბრალო ცვლილება.

ზემოთ მოცემული ანალიზი უეჭველად იწვევს საქონელთა ხარჯთფასის განსაზღვრის მოდიფიკაციას. თავდაპირველად ჩვენ ვგულისხმობდით, რომ საქონლის ხარჯთფასი მის წარმოებაში მოხმარებულ საქონელთა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს უდრის. მაგრამ ამა თუ იმ საქონლის წარმოების ფასი მისი მყიდველისათვის ხარჯთფასს წარმოადგენს და ამგვარად იგი ხარჯთფასის სახით შეიძლება სხვა საქონლის ფასის შექმნაში მონაწილეობდეს. რადგან საქონლის წარმოების ფასმა შეიძლება გადაიხაროს მისი ღირებულებიდან, ამიტომ საქონლის ხარჯთფასიც, რომელშიაც სხვა საქონლის ეს წარმოების ფასია მოქცეული, შეიძლება საქონლის მთელი ღირებულების იმ ნაწილზე მეტი ან ნაკლები იყოს, რომელიც მასში შემავალ წარმოების საშუალებათა ღირებულებით იქმნება. საჭიროა გვახსოვდეს ხარჯთფასის ეს მოდიფიცირებული მნიშვნელობა, ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველთვის შესაძლებელია შეცდომა, თუ წარმოების რომელიმე ცალკეულ სფეროში საქონლის ხარჯთფასი მის წარმოებაზე მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას გავუთანატოლეთ. ამ ჩვენი გამოკვლევისათვის საჭირო არაა ამ პუნქტის უფრო დაწვრილებით განხილვა. ამასთან ყოველ შემთხვევაში სწორი რჩება ის დებულება, რომ საქონელთა ხარჯთფასი ყოველთვის მათს ღირებულებაზე ნაკლებია. მართლაც, როგორც არ უნდა იხრებოდეს საქონლის ხარჯთფასი მასზე დახარჯულ წარმოების საშუალებათა ღირებულებიდან, კაპიტალისტისთვის ამ წარსულ შეუსაბამობას მნიშვნელობა არა აქვს. საქონლის ხარჯთფასი მოცემული ფაქტია, კაპიტალისტის წარმოებისგან დამოუკიდებელი წანამძღვარია, მაშინ როდესაც მისი წარმოების შედეგი საქონელია, რომელიც შეიცავს ზედმეტ ღირებულებას, მაშასადამე, ღირებულების ნამეტს მის ხარჯთფასთან შედარებით. სხვათა შორის, ის დებულება, რომ ხარჯთფასი საქონლის ღირებულებაზე მცირეა, პრაქტიკულად ახლა იმ დებულებად გადაიქცა, რომ ხარჯთფასი წარმოების ფასზე მცირეა. საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალისთვის, სადაც წარმოების ფასი ღირებულებას უდრის, ეს დებულება იდენტურია იმ წინანდელი დებულებისა, რომ ხარჯთფასი ღირებულებაზე მცირეა. თუმცა მას წარმოების ცალკეული სფეროებისათვის განსხვავებული აზრი აქვს, მაგრამ მაინც მის საფუძვლად მუდამ ის ფაქტი რჩება, რომ, თუ საზოგადოებრივ ერთობლივ კაპიტალს განვიხილავთ,

ამ კაპიტალით წარმოებულ საქონელთა ხარჯთფასი ღირებულებაზე მცირეა, ანუ ამ შემთხვევაში წარმოებულ საქონელთა მთელი მასისთვის, ღირებულების იდენტური წარმოების ფასზე მცირეა. საქონლის ხარჯთფასი შეესაბამება მხოლოდ მასში მოქცეული გადახდილი შრომის რაოდენობას, ღირებულება კი — მასში მოქცეული გადახდილი და გადაუხდელი შრომის მთელ რაოდენობას, ხოლო წარმოების ფასი — გადახდილი შრომის ჯამს პლუს გადაუხდელი შრომის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც წარმოების ცალკეული სფეროსთვის დამოუკიდებელია თვით ამ სფეროს პირობებისაგან.

ფორმულა, რომლის თანახმად საქონლის წარმოების ფასი $= k+p$, ე. ი. უდრის ხარჯთფასს პლუს მოგება, ახლა უფრო მიახლოებულად განისაზღვრა იმ აზრით, რომ $p = kp'$ (სადაც p' მოგების საერთო ნორმას ნიშნავს) და, მაშასადამე, წარმოების ფასი $= k+kp'$. თუ $k = 300$ და $p' = 15\%$, მაშინ წარმოების ფასი $k+kp' = 300+300 \cdot \frac{15}{100} = 345$.

საქონელთა წარმოების ფასმა წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში შეიძლება სიდიდის ცვლილება განიცადოს:

1) საქონელთა ღირებულების უცვლელობისას (როდესაც, მაშასადამე, საქონლის წარმოებაში მკვდარი და ცოცხალი შრომის იგივე რაოდენობა შედის, რაც უწინ იყო), მოგების საერთო ნორმის ისეთი ცვლილების გამო, რომელიც არ არის დამოკიდებული წარმოების მოცემულ სფეროზე.

2) მოგების საერთო ნორმის უცვლელობისას, ღირებულების ცვლილების გამო, თვით წარმოების მოცემულ სფეროში, ტექნიკურ ცვლილებათა შედეგად მოხდება იგი, თუ იმ საქონელთა ღირებულების ცვლილების შედეგად, რომელნიც მოცემული სფეროს მუდმივ კაპიტალში შედიან შემადგენელი ელემენტების სახით.

3) დასასრულ, ამ ორივე გარემოების ერთად მოქმედების გამო.

იმ დიდ ცვლილებათა მიუხედავად, რომელთაც, — როგორც ჩვენ შემდგომ დავინახავთ, — მუდამ განიცდიან მოგების ფაქტიური ნორმები წარმოების ცალკეულ სფეროებში, მოგების საერთო ნორმის ნამდვილი ცვლილება, რამდენადაც იგი გამოწვეული არაა გამონაკლისი სახის რაიმე არაჩვეულებრივი ეკონომიური მოვლენებით, მთელ რიგ ფრიად ხანგრძლივ რყევათა გვიანდელი შედეგია, ე. ი. ისეთ რყევათა შედეგი, რომელთაც დიდი დრო სჭირდებათ, ვიდრე კონსოლიდაციასა და გათანატოლებას მიაღწევდნენ და ამით მოგების საერთო ნორმის ცვლილებას დაამყარებდნენ. ამიტომ შედარებით მოკლე პერიოდების

განხილვისას (თუ საბაზრო ფასების რყევას სრულიად არ მივიღებთ მხედველობაში) წარმოების ფასების ცვლილება prima facie [პირველ რიგში] ყოველთვის საქონელთა ღირებულების ნამდვილი ცვლილებით უნდა ავხსნათ, ე. ი. სამუშაო დროის იმ ერთობლივი ჯამის ცვლილებით, რომელიც აუცილებელია მათ საწარმოებლად. ერთი და იმავე ღირებულების ფულადი გამოსახულების უბრალო ცვლილება აქ, რა თქმა უნდა, სრულიად არაა მხედველობაში მისაღები [23].

მეორე მხრივ, ცხადია, რომ, თუ საზოგადოებრივ ერთობლივ კაპიტალს განვიხილავთ, მის მიერ წარმოებულ საქონელთა ღირებულების ჯამი (ანუ, ფულადი გამოხატულებით, მათი ფასი) უდრის მუდმივი კაპიტალის ღირებულებას+ცვალებადი კაპიტალის ღირებულება+ზედმეტი ღირებულება. თუ შრომის ექსპლოატაციის ხარისხს მუდმივ სიდიდედ ვიგულისხმებთ, მოგების ნორმა, აქ, ზედმეტი ღირებულების მასის უცვლელად დარჩენისას, შეიძლება შეიცვალოს ან მაშინ, როდესაც მუდმივი კაპიტალის ღირებულება იცვლება, ან მაშინ, როდესაც ცვალებადი კაპიტალის ღირებულება იცვლება, ანდა როდესაც ორივე იცვლება, ასე რომ იცვლება C და ამით $\frac{m}{C}$. მოგების საერთო ნორმა. მაშასადამე, მოგების საერთო ნორმის ცვლილება ყოველ შემთხვევაში გულისხმობს იმ საქონელთა ღირებულების ცვლილებას, რომელნიც შემადგენელი ელემენტების სახით შედიან მუდმივ კაპიტალში, ან ცვალებადში, ანდა ორივეში იმავდროულად.

შემდეგ, მოგების საერთო ნორმა შეიძლება იცვლებოდეს საქონელთა ღირებულების უცვლელობისას, თუ შრომის ექსპლოატაციის ხარისხი იცვლება.

ბოლოს, შრომის ექსპლოატაციის ხარისხის უცვლელობისას მოგების საერთო ნორმა შეიძლება იცვლებოდეს, თუ გამოყენებული შრომის ჯამი შეფარდებით იცვლება მუდმივ კაპიტალთან შედარებით შრომის პროცესში მომხდარ ტექნიკურ ცვლილებათა გამო. მაგრამ ასეთმა ტექნიკურმა ცვლილებებმა ყოველთვის უნდა იჩინოს თავი საქონელთა ღირებულების ცვლილებაში, მაშასადამე, მათ ყოველთვის თან უნდა ახლდეს საქონელთა ღირებულების ცვლილება, რომელთა საწარმოებლად ახლა მეტი ან ნაკლები შრომაა საჭირო უწინდელთან შედარებით.

---

[23] Corbet [«An Inquiry into the Causes and Modes of the Wealth of Individuals». London 1841], გვ. 174.

პირველ განყოფილებაში ჩვენ დავინახეთ, რომ ზედმეტი ღირებულება და მოგება, თუ მათ მასის მხრივ განვიხილავთ, იდენტურია. მაგრამ მოგების ნორმა იმთავითვე განსხვავებულია ზედმეტი ღირებულების ნორმისგან, და ეს განსხვავება თავდაპირველად წარმოგვიდგება მხოლოდ როგორც გამოანგარიშების სხვა ფორმა; მაგრამ რადგან მოგების ნორმამ შეიძლება აიწიოს ან დაიწიოს ზედმეტი ღირებულების უცვლელობისას და პირიქით, და რადგან კაპიტალისტს პრაქტიკულად მხოლოდ მოგების ნორმა აინტერესებს, ამიტომ ზემოაღნიშნული გარემოება ასევე იმთავითვე მთლად ბუნდოვანსა და იდუმალს ხდის ზედმეტი ღირებულების ნამდვილ წარმოშობას. მაგრამ მაინც სიდიდის მხრივ განსხვავება იყო მხოლოდ ზედმეტი ღირებულების ნორმასა და მოგების ნორმას შორის, არა თვით ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას შორის. რადგან მოგების ნორმაში ზედმეტი ღირებულება მთელ კაპიტალზე გამოიანგარიშება და ამ კაპიტალთან ისეთ მიმართებაშია, როგორც თავის მასშტაბთან, ამიტომ გვეჩვენება, რომ თვით ზედმეტი ღირებულება მთელი კაპიტალიდან და თანაც ყველა მისი ნაწილიდან თანაბრად წარმოდგება, ასე რომ ორგანული განსხვავება მუდმივ და ცვალებად კაპიტალს შორის მოგების ცნებაში გამქრალია; მართლაც, ამიტომ, თავის ამ გარდაქმნილ გამოხატულებაში, როგორც მოგება, ზედმეტი ღირებულება თვით უარყოფს თავის წარმოშობას, კარგავს თავის ხასიათს და გამოუცნობელი ხდება. მაგრამ აქამდე განსხვავება მოგებასა და ზედმეტ ღირებულებას შორის შეეხებოდა მხოლოდ თვისებრივ გარდაქმნას, ფორმის ცვლილებას, მაშინ როდესაც ნამდვილი რაოდენობრივი განსხვავება გარდაქმნის ამ პირველ საფეხურზე არსებობს მხოლოდ მოგების ნორმასა და ზედმეტი ღირებულების ნორმას შორის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არსებობს მოგებასა და ზედმეტ ღირებულებას შორის.

სხვაგვარადაა საქმე მოგების საერთო ნორმისა და მისი მეშვეობით იმ საშუალო მოგების დამყარების შემდეგ, რომელიც შეესაბამება წარმოების სხვადასხვა დარგში გამოყენებული კაპიტალის მოცემულ სიდიდეს.

ახლა მხოლოდ შემთხვევით შეიძლება ზედმეტი ღირებულება და, მაშასადამე, მოგება, რომელიც ნამდვილად წარმოებულია წარმოების რომელიმე ცალკეულ დარგში, დაემთხვეს მოგებას, რომელსაც საქონლის გასაყიდი ფასი შეიცავს. მოგება და ზედმეტი ღირებულება, და არა მარტო მათი ნორმები, როგორც წესი, ნამდვილად სხვადასხვა სიდიდეებია. ახლა, როცა შრომის ექსპლოატაციის ხარისხი მოცემუ-

ლია, ზედმეტი ღირებულების მასა, რომელიც წარმოების რომელიმე ცალკეულ სფეროშია წარმოებული, უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კაპიტალის ერთობლივი საშუალო მოგებისათვის, მაშასადამე, კაპიტალისტთა კლასისათვის საერთოდ, ვიდრე წარმოების თვითეული ცალკეული დარგის კაპიტალისტისათვის უშუალოდ. უკანასკნელისათვის[24] ამას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც მის დარგში წარმოებული ზედმეტი ღირებულების რაოდენობა მონაწილეობს როგორც ერთ-ერთი განმსაზღვრელი მომენტი საშუალო მოგების რეგულირებაში; მაგრამ ეს ისეთი პროცესია, რომელიც მის ზურგს უკან მიმდინარეობს, რომელსაც იგი ვერ ხედავს, რომელიც მას არ ესმის და ფაქტიურად არც აინტერესებს. წარმოების ცალკეულ სფეროებში მოგებასა და ზედმეტი ღირებულების სიდიდეთა შორის და არა მხოლოდ მოგების ნორმასა და ზედმეტი ღირებულების ნორმათა შორის ნამდვილი განსხვავება სრულიად ფარავს ახლა მოგების ჭეშმარიტ ბუნებას და წარმოშობას არა მარტო კაპიტალისტისათვის, რომელიც ამ შემთხვევაში განსაკუთრებით დაინტერესებულია ტყუვდებოდეს, არამედ მუშისთვისაც. ღირებულების წარმოების ფასად გარდაქმნისთანავე, თვალთაგან მიიმალება ღირებულების განსაზღვრის თვით საფუძველი. დასასრულ: ზედმეტი ღირებულების უკვე უბრალო გადაქცევისას მოგებად საქონლის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მოგებას შეადგენს, უპირისპირდება ღირებულების მეორე ნაწილს, როგორც საქონლის ხარჯთფასს, ასე რომ უკვე აქ კაპიტალისტს ღირებულების ცნება ეკარგება, რადგან მას თვალწინ აქვს არა მთელი შრომა, რადაც ღირს საქონლის წარმოება, არამედ მთელი შრომის მხოლოდ ის ნაწილი, რომელშიც მან წარმოების ცოცხალ თუ მკვდარ საშუალებათა სახით ფასი გადაიხადა, და ამრიგად მას მოგება წარმოუდგება როგორც საქონლის იმანენტური ღირებულების გარეშე მდებარე რამ; წარმოების ფასების შექმნისას ეს წარმოდგენა სავსებით მტკიცდება, მაგრდება, ქვავდება, ვინაიდან ახლა ხარჯთფასისადმი მიმატებული მოგება, თუ წარმოების ცალკეულ სფეროს განვიხილავთ, ნამდვილად თვით ამ სფეროში მიმდინარე პროცესის, ღირებულების შექმნის პროცესის ფარგლებით კი არ განისაზღვრება, არამედ სრულიად მის გარეშე მდებარე პირობებითაა დადგენილი.

ის გარემოება, რომ ეს შინაგანი კავშირი აქ პირველადაა ცხადყო-

[24] რა თქმა უნდა, ჩვენ აქ მხედველობაში არ ვიღებთ ხელფასის შემცირების, მონოპოლური ფასისა და სხვ. გზით დროებითი დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობას.

ფილი, რომ დღემდე პოლიტიკური ეკონომია, როგორც ამას ქვემოთ და IV წიგნში დავინახავთ, ან თვითნებურად მხედველობის გარეშე ტოვებდა განსხვავებას ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას შორის, ზედმეტი ღირებულების ნორმასა და მოგების ნორმას შორის, რათა შეძლებოდა ღირებულების განსაზღვრის შენარჩუნება ძირითადი პრინციპის სახით, ანდა ხელს იღებდა ღირებულების განსაზღვრაზე და მასთან ერთად კარგავდა ყოველ ნიადაგს საკითხისადმი მეცნიერული მიდგომისათვის, რათა ხელი ჩაეჭიდა მოვლენათა ზედაპირზე მყოფ და ცხადად დასანახ განსხვავებათათვის, — ეს არევ-დარევა, რომელსაც მოუცავს თეორეტიკოსები, ყველაზე უკეთ გვიჩვენებს, თუ რამდენად უნარმოკლებულია პრაქტიკოსი-კაპიტალისტი, რომელიც მთლიანად შეპყრობილია საკონკურენციო ბრძოლით და სრულიად ვერ ჰვრეტს ამ ბრძოლის მოვლენებს, მოჩვენებითი გარეგნობის უკან დაინახოს და შეიცნოს ამ პროცესის შინაგანი არსი და შინაგანი წყობა.

მოგების ნორმის აწევისა და დაწევის ყველა კანონს, რომლებიც პირველ განყოფილებაშია განვითარებული, სინამდვილეში შემდეგი ორგვარი მნიშვნელობა აქვს:

1) ერთი მხრივ, ისინი მოგების საერთო ნორმის კანონებია. იმ მრავალი სხვადასხვა მიზეზის მიხედვით, რომელნიც, ზემოაღნიშნულის თანახმად, მოგების ნორმის აწევას ან დაწევას იწვევენ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მოგების საერთო ნორმა ყოველდღე უნდა იცვლებოდეს. მაგრამ მოძრაობას წარმოების ერთ სფეროში სპობს მოძრაობა წარმოების მეორე სფეროში, გავლენები ჯვარედინდებიან და ერთიმეორეს აბათილებენ. შემდგომ ჩვენ გამოვიკვლევთ, თუ რა შედეგისაკენ მიისწრაფვის საბოლოო ანგარიშით ეს რყევა; მაგრამ იგი ნელა მიმდინარეობს; რყევის უეცრობა, მრავალმხრივობა და სხვადასხვა ხანგრძლიობა წარმოების ცალკეულ სფეროებში იწვევს იმას, რომ ნაწილობრივ ამ რყევაში, დროში მისი მონაცვლეობის გამო, კომპენსაცია ხდება, ასე რომ ფასის აწევას ფასის დაწევა მოჰყვება და პირიქით. მაშასადამე, რყევა რჩება ადგილობრივ რყევად, ე. ი. წარმოების ცალკეული სფეროთი შემოფარგლულად; დასასრულ, ამავე მიზეზებით სხვადასხვა ადგილობრივი რყევა ერთმანეთს ანეიტრალებს. წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროს ფარგლებში ადგილი აქვს ცვლილებებს, მოგების საყოველთაო ნორმიდან გადახრებს, რომელნიც ერთი მხრივ, გათანატოლდებიან განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და ამიტომ მოგების საერთო ნორმაზე გავლენას არ ახდენენ, და რომელთაც მეორე მხრივ, არც შეუძლიათ მასზე გავლენის მოხდენა

იმიტომ, რომ სხვა იმავდროულად მოქმედი ადგილობრივი რყევის გამო ბათილდებიან. რადგან მოგების საერთო ნორმა განისაზღვრება არა მარტო მოგების საშუალო ნორმით თვითეულ სფეროში, არამედ აგრეთვე ერთობლივი კაპიტალის განაწილებით სხვადასხვა ცალკეულ სფეროებზე, და რადგან ეს განაწილება მუდამ იცვლება, ამიტომ ჩვენ აქ კვლავ გვაქვს მოგების საერთო ნორმის ცვლილების მუდმივი მიზეზი, მაგრამ ცვლილების ისეთი მიზეზი, რომელიც ამ მოძრაობის უწყვეტობისა * და ყოველმხრივობის გამო მეტწილად კვლავ აუქმებს თავის თავს.

2) წარმოების თვითეული სფეროს ფარგლებში მოგების ნორმას შესაძლებლობა აქვს ირყეოდეს მეტნაკლებად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სანამ ეს რყევა, მთელი რიგი აწევისა და დაწევის შემდეგ, არ განმტკიცდება იმდენად, რომ საკმაო დრო ჰქონდეს მოგების საერთო ნორმაზე ზეგავლენის მოსახდენად, და, მაშასადამე, ადგილობრივზე უფრო მეტი მნიშვნელობის მისაღწევად. ამიტომ სივრცისა და დროის ასეთ ფარგლებში ძალა აქვთ აგრეთვე მოგების ნორმის იმ კანონებს, რომლებიც ამ წიგნის პირველ განყოფილებაშია განვითარებული.

თეორიული შეხედულება, რომ — ზედმეტი ღირებულების პირველი გარდაქმნისას მოგებად — კაპიტალის თვითეული ნაწილი თანაბრად იძლევა მოგებას [25], პრაქტიკულ ფაქტს გამოხატავს. სამრეწველო კაპიტალი, როგორიც უნდა იყოს მისი შედგენილობა, თანაბარ მოგებას იძლევა: ერთი მეოთხედი მკვდარი შრომა მოჰყავს მას მოძრაობაში და სამი მეოთხედი ცოცხალი შრომა, ანდა სამი მეოთხედი მკვდარი შრომა და ერთი მეოთხედი ცოცხალი შრომა, თუ ერთ შემთხვევაში სამჯერ მეტ ზედმეტ შრომას შეიწოვს, ანუ სამჯერ მეტ ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს, ვიდრე მეორეში, — ორივე შემთხვევაში მოგება თანატოლი იქნება, რაკი შრომის ექსპლოატაციის ხარისხი უცვლელი რჩება და მხედველობაში არ მიიღება ინდივიდუალური განსხვავებანი, რომელნიც თავისთავადაც ქრებიან, რადგან ორივეჯერ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საშუალო შედგენილობა წარმოების მთელი სფეროსათვის. ცალკეული კაპიტალისტი (ანდა წარმოების ყოველი ცალკეული დარგის ყველა კაპიტალისტიც).

---

* ორიგინალშია «წყვეტილობის» [Unterbrochenheit]. შესწორებულია მარქსის ხელნაწერის საფუძველზე. რ ე დ.

[25] Malthus [«Principles of Political Economy», გამ. მე-2, London 1836, გვ. 268].

რომლის შეხედულება შეზღუდულია, სამართლიანად ფიქრობს, რომ მის მოგებას წარმოშობს არა მარტო ის შრომა, რომელიც მის მიერ ან მისი წარმოების დარგში გამოიყენება. ეს სავსებით სწორია მისი საშუალო მოგების მიმართ. თუ რამდენად გაპირობებულია ეს მოგება შრომის იმ საერთო ექსპლოატაციით, რასაც ერთობლივი კაპიტალი, ე. ი. ყველა მისი თანაამხანაგი-კაპიტალისტი ეწევა, ეს მისთვის სრულ იდუმალებას წარმოადგენს, მით უფრო, რომ თვით ბურჟუაზიის თეორეტიკოსებს, ეკონომისტებს, ამ საიდუმლოებისათვის დღემდე ფარდა არ აუხდიათ. შრომაზე გაწეული მომჭირნეობა — არა მხოლოდ იმ შრომაზე, რომელიც აუცილებელია განსაზღვრული პროდუქტის საწარმოებლად, არამედ დასაქმებულ მუშათა რიცხვზეც — და მკვდარი შრომის (მუდმივი კაპიტალის) უფრო ფართო გამოყენება წარმოგვიდგება ისეთ ოპერაციად, რომელიც ეკონომიურად სრულიად რაციონალურია და თითქოს იმთავითვე ოდნავადაც არ შეეხება მოგების საერთო ნორმას და საშუალო მოგებას. მაშ როგორღა შეიძლება ცოცხალი შრომა მოგების ერთადერთი წყარო იყოს, როდესაც წარმოებისათვის აუცილებელი შრომის შემცირება თითქოს არათუ არ ამცირებს მოგებას, არამედ, პირიქით, გარკვეულ პირობებში, ყოველ შემთხვევაში ცალკეული კაპიტალისტისათვის მაინც, მოგების გადიდების უახლოეს წყაროდ წარმოგვიდგება.

თუ წარმოების მოცემულ სფეროში გადიდდა და შემცირდა ხარჯთფასის ის ნაწილი, რომელიც მუდმივი კაპიტალის ღირებულებას წარმოადგენს, იგი გამოდის მიმოქცევიდან და უკვე იმთავითვე გადიდებულად ან შემცირებულად შედის საქონლის წარმოების პროცესში. თუ, მეორე მხრივ, გამოყენებულ მუშათა რიცხვი იმავე დროის განმავლობაში მეტ ან ნაკლებ პროდუქტს აწარმოებს, მაშასადამე, თუ მუშათა რიცხვის უცვლელად დარჩენისას საქონელთა განსაზღვრული რაოდენობის საწარმოებლად საჭირო შრომის რაოდენობა იცვლება, მაშინ ხარჯთფასის ის ნაწილი, რომელიც ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას წარმოადგენს, შეიძლება უცვლელი დარჩეს, ე. ი. იმავე ოდენობით შევიდეს მთელი პროდუქტის ხარჯთფასში. მაგრამ იმ საქონელთა ყოველ ცალკეულ ერთეულს, რომელთა ჯამი მთელ პროდუქტს შეადგენს, მეტი ან ნაკლები შრომა უწევს (გადახდილი და, ამიტომ, გადაუხდელიც), მაშასადამე, მეტი ან ნაკლები ხარჯი უწევს ამ შრომისათვის, ე. ი. უწევს ხელფასის მეტი ან ნაკლები ოდენობა. კაპიტალისტის მიერ გადახდილი მთელი ხელფასი უცვლელი რჩება, მაგრამ, თუ თვითეულ ცალ საქონელზე გამოვიანგარიშებთ, იგი შეცვლილია.

ამრიგად, აქ საქონლის ხარჯთფასის ამ ნაწილში ცვლილება ხდება. მაგრამ აიწევს თუ დაიწევს ცალკეული საქონლის ხარჯთფასი ღირებულების ასეთი ცვლილების გამო, — სულ ერთია თვით მოცემულ საქონელში მოხდება ეს ცვლილება, თუ იმ სხვადასხვა საქონელში, რომლებიც მის ელემენტებს შეადგენენ, — (ანდა აგრეთვე აიწევს თუ დაიწევს მოცემული სიდიდის კაპიტალით წარმოებულ საქონელთა ჯამის ხარჯთფასი), — ყოველ შემთხვევაში საშუალო მოგება, თუ იგი, მაგალითად, 10% იყო, ასევე 10% დარჩება, თუმცა ცალკეული საქონლის მიმართ 10% ფრიად სხვადასხვა სიდიდეს გამოხატავს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეიცვალა ამ ცალკეული საქონლის ხარჯთფასის სიდიდე ღირებულების ჩვენს მიერ ნაგულისხმევი ცვლილების გამო [26].

ცვალებადი კაპიტალის მიმართ, — და ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, რადგან იგი ზედმეტი ღირებულების წყაროა და რადგან ყველაფერი, რაც ფარავს მის ნამდვილ როლს კაპიტალისტის გამდიდრებაში, მთელ სისტემას აიდუმალებს, — კაპიტალისტს საქმე ტლანქად გამარტივებული სახით წარმოუდგება, სახელდობრ ასე: ვთქვათ, 100 გირვ. სტერლ. ცვალებადი კაპიტალი, მაგალითად, 100 მუშის კვირეულ ხელფასს წარმოადგენს. თუ ეს 100 მუშა, მოცემული სამუშაო დღის პირობებში, კვირეულ პროდუქტად 200 ცალ საქონელს = 200 ს აწარმოებს, მაშინ — თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ ხარჯთფასის იმ ნაწილს, რომელსაც მუდმივი კაპიტალი მატებს, —

$$1\text{ს} = \frac{100\ \text{გირვ. სტერლ.}}{200} = 10\ \text{შილ.}, \text{ რადგან } 100\ \text{გირვ. სტერლ.} = 200\text{ს.}$$

ვთქვათ ახლა, რომ ცვლილება მოხდა შრომის ნაყოფიერებაში; იგი გაორკეცდა, მუშების იგივე რიცხვი ორჯერ 200 ს აწარმოებს იმ დროში, რომლის განმავლობაშიც უწინ 200 ს აწარმოებდა. ამ შემთხვევაში (რამდენადაც ხარჯთფასი მარტო ხელფასისგან შედგება) 1 ს =

$$= \frac{100\ \text{გირვ. სტერლ.}}{400} = 5\ \text{შილ.}, \text{ რადგან ახლა } 100\ \text{გირვ. სტერლ.} = 400\ \text{ს.}$$

თუ, პირიქით, ნაყოფიერება ორჯერ შემცირდება, მაშინ იგივე შრომა

$$\text{მხოლოდ} \frac{200\ \text{ს}}{2}\ \text{აწარმოებს; და რადგან } 100\ \text{გირ. სტერლ.} = \frac{200\ \text{ს}}{2},$$

$$\text{ამიტომ } 1\ \text{ს ახლა} = \frac{200\ \text{გირვ. სტერლ.}}{200} = 1\ \text{გირვ. სტერლ. ცვლილება}$$

[26] Corbet [«An Inquiry into the Causes and Modes of the Wealth of Individuals». London 1841, გვ. 20].

საქონელთა წარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროში და, მაშასადამე, მათს ღირებულებაში, აქ წარმოგვიდგება ხარჯთფასის მიმართ, მაშასადამე, წარმოების ფასის მიმართაც, როგორც იმავე ხელფასის სხვაგვარი განაწილება მეტ თუ ნაკლებ საქონელზე, იმისდა მიხედვით, მეტი თუ ნაკლები საქონელი იწარმოება იმავე ხელფასით იმავე სამუშაო დროის განმავლობაში. კაპიტალისტი და, მაშასადამე, ეკონომისტიც აქ მხოლოდ იმას ხედავს, რომ შრომის ნაყოფიერების ცვლილებასთან ერთად იცვლება გადახდილი შრომის ის ნაწილი, რომელიც საქონლის ერთეულზე მოდის, იცვლება მასთან ერთად თვითეული ცალის ღირებულებაც; მაგრამ იგი ვერ ხედავს, რომ ასევე ხდება გადაუხდელი შრომის მიმართაც, რომელსაც თვითეული ცალი საქონელი შეიცავს; მით უფრო ვერ ხედავს, რომ საშუალო მოგება სინამდვილეში მხოლოდ შემთხვევით განისაზღვრება იმ გადაუხდელი შრომით, რაც მის საკუთარ სფეროშია შეწოვილი. მხოლოდ ასეთი ტლანქი და უშინაარსო ფორმით ვლინდება ახლა ის ფაქტი, რომ საქონელთა ღირებულება მათში მოქცეული შრომით განისაზღვრება.

თავი მეათე

მოგების საერთო ნორმის გათანატოლება კონკურენციის გზით. საბაზრო ფასები და საბაზრო ღირებულებანი. დამატებითი მოგება.

წარმოების სფეროთა ნაწილს კაპიტალის საშუალო შედგენილობა აქვს, ე. ი. სავსებით ან დაახლოებით ისეთი შედგენილობა აქვს, როგორიც საზოგადოებრივ საშუალო კაპიტალს.

ამ სფეროებში წარმოებულ საქონელთა წარმოების ფასი სავსებით ან დაახლოებით ემთხვევა ფულით გამოხატულ მათს ღირებულებას. მათემატიკური ზღვრის მისაღწევად სხვა არავითარი საშუალება რომ არ ყოფილიყო, მაშინ ამის გამოყენება შეიძლებოდა. კონკურენცია ისე ანაწილებს საზოგადოებრივ კაპიტალს წარმოების სხვადასხვა სფეროს შორის, რომ წარმოების ფასები ყოველ ცალკეულ სფეროში ყალიბდება საშუალო შედგენილობის მქონე ამ სფეროთა წარმოების ფასების ნიმუშის მიხედვით, ე. ი. $= k + kp'$ (ხარჯთფასი პლუს ნამრავლი მოგების საშუალო ნორმისა ხარჯთფასზე). მაგრამ მოგების ეს საშუალო ნორმა სხვა არაფერია, თუ არა პროცენტულად გამოანგარიშებული მოგება საშუალო შედგენილობის მქონე წარმოების სფეროში, სადაც, მაშასადამე, მოგება ზედმეტ ღირებულებას ემთხვევა. ამრიგად, მოგების ნორმა წარმოების ყველა სფეროში ერთი და იგივეა, სახელდობრ — გათანატოლებულია წარმოების იმ საშუალო სფეროთა მიხედვით, სადაც კაპიტალის საშუალო შედგენილობა ბატონობს. ამიტომ წარმოების ყველა სფეროს მოგების ჯამი უნდა უდრიდეს ზედმეტი ღირებულების ჯამს და საზოგადოებრივი ერთობლივი პროდუქტის წარმოების ფასების ჯამი უნდა უდრიდეს მისი ღირებულების ჯამს. მაგრამ, ცხადია, მოგების ნორმების გათანატოლების პროცესი კაპიტალის სხვადასხვა შედგენილობის მქონე წარმოების სფეროებში ყოველთვის იქითკენ უნდა მიისწრაფვოდეს, რომ ეს სფეროები გაუთანატოლოს იმ სფეროებს, სადაც კაპიტალს საშუალო შედგენილობა აქვს, — შედგენილობა, რაც ზედმიწევნით ან დაახლოებით შეესაბამება საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის საშუალოს. წარმოების

ამ დარგებში, რომელნიც მეტნაკლებად უახლოვდებიან საშუალოს, ჩვენ ვხედავთ კვლავ გათანატოლების ტენდენციას, რომელიც მიისწრაფვის იდეალური, ე. ი. სინამდვილეში არ არსებული, საშუალო დონისაკენ, სხვა სიტყვებით, ვხედავთ ამ იდეალური დონის ნორმადქცევის ტენდენციას. მაშასადამე, ამ წესით ბატონობს აუცილებლად ტენდენცია წარმოების ფასების გადაქცევისა ღირებულების უბრალო გარდაქმნილ ფორმებად, ანუ მოგებათა გადაქცევისა ზედმეტი ღირებულების უბრალო ნაწილებად, რომლებიც მხოლოდ განაწილებულია არა წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში წარმოებული ზედმეტი ღირებულების პროპორციულად, არამედ წარმოების თვითეულ სფეროში გამოყენებული კაპიტალის მასის პროპორციულად, ასე რომ კაპიტალის ტოლ მასებზე, როგორიც არ უნდა იყოს მათი ორგანული შედგენილობა, ოდენობით ერთნაირი წილი (ჯერადი ნაწილი) მოდის საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის მიერ წარმოებული მთელი ზედმეტი ღირებულებიდან.

ამრიგად, საშუალო ან დაახლოებით საშუალო შედგენილობის კაპიტალებისათვის წარმოების ფასი სავსებით ან დაახლოებით ემთხვევა ღირებულებას, ხოლო მოგება — მათ მიერ წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას. ყველა სხვა კაპიტალი, როგორიც არ უნდა იყოს მისი შედგენილობა, კონკურენციის ზემოქმედებით მიისწრაფვის გაუთანატოლდეს საშუალო შედგენილობის კაპიტალებს. მაგრამ რადგან საშუალო შედგენილობის კაპიტალები საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის ტოლი ან დაახლოებით ტოლია, ამიტომ ყველა კაპიტალი, რამდენიც არ უნდა იყოს თვით მის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება, იგი თავის საქონელთა ფასების საშუალებით ამ ზედმეტი ღირებულების ნაცვლად საშუალო მოგების, ე. ი. წარმოების ფასთა რეალიზაციისაკენ მიისწრაფვის.

მეორე მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ყველგან, სადაც საშუალო მოგება და, მაშასადამე, მოგების საერთო ნორმა მყარდება, — რა გზითაც უნდა ხდებოდეს ეს, — საშუალო მოგება არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა საზოგადოებრივ საშუალო კაპიტალზე მიღებული მოგება, რომლის ჯამი ზედმეტი ღირებულების ჯამს უდრის, და ის ფასები, რომლებიც ხარჯთფასისადმი ამ საშუალო მოგების მიმატებით მიიღება, არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა წარმოების ფასებად გარდაქმნილი ღირებულება. არაფერი არ შეიცვლებოდა იმით, თუ წარმოების განსაზღვრულ სფეროებში დაბანდებული კაპიტალები რაიმე მიზეზის გამო გათანატოლების პროცესს არ დაექვემდებარე-

ბოდნენ. მაშინ საშუალო მოგება გამოიანგარიშებოდა საზოგადოებრივი კაპიტალის იმ ნაწილზე, რომელიც გათანატოლების პროცესში შედის. ცხადია, საშუალო მოგება არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არა წარმოების თვითეულ სფეროში დაბანდებული კაპიტალების მასაზე მათი სიდიდის პროპორციულად განაწილებული ზედმეტი ღირებულების ერთობლივი მასა. ეს არის რეალიზებული გადაუხდელი შრომის ჯამი, და გადაუხდელი შრომის ეს ერთობლივი მასა, ისევე როგორც გადახდილი მკვდარი და ცოცხალი შრომა, გამოხატულებას პოულობს საქონელთა და ფულის ერთობლივ მასაში, რომელიც წილად ხვდა კაპიტალისტებს.

ნამდვილად ძნელი საკითხი აქ შემდეგია: როგორ ხდება მოგებათა გათანატოლება მოგების საერთო ნორმად, რაკი იგი, ცხადია, შედეგს წარმოადგენს და არ შეიძლება ამოსავალი წერტილი იყოს.

უწინარეს ყოვლისა, ცხადია, რომ საქონელთა ღირებულების შეფასება, მაგალითად, ფულით, მხოლოდ მათი გაცვლის შედეგი შეიძლება იყოს, და რომ, თუ ასეთ შეფასებას ვგულისხმობთ, ჩვენ იგი უნდა განვიხილოთ როგორც საქონელღირებულების საქონელღირებულებაზე ნამდვილი გაცვლის შედეგი. მაგრამ რანაირად შეიძლება განხორციელდეს საქონელთა ეს გაცვლა მათი ნამდვილი ღირებულების მიხედვით?

ვიგულისხმოთ ჯერ, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროს ყველა საქონელი მათი ნამდვილი ღირებულების მიხედვით გაიყიდება. რა მოხდებოდა მაშინ? ზემოთნათქვამის თანახმად, ამ შემთხვევაში წარმოების სხვადასხვა სფეროში მოგების ძალიან სხვადასხვა ნორმები იქნებოდა გაბატონებული. Prima facie [უწინარეს ყოვლისა] — ეს სრულიად განსხვავებული რამ არის: სხვადასხვა საქონელი მათი ღირებულების მიხედვით გაიყიდება (ე. ი. ისინი ერთმანეთზე მათში მოქცეული ღირებულების პროპორციულად, მათი ღირებულების შესაბამისი ფასების მიხედვით გაიცვლებიან), თუ ისეთ ფასებში, რომ მათი გაყიდვა ტოლი სიდიდის მოგებას იძლევა მათი წარმოებისათვის ავანსებული სათანადო კაპიტალების ტოლ მასებზე.

ის გარემოება, რომ კაპიტალები, რომლებსაც ცოცხალი შრომის არათანაბარი რაოდენობა მოჰყავთ მოძრაობაში, ზედმეტი ღირებულების არათანაბარ რაოდენობას აწარმოებენ, გულისხმობს, — გარკვეულ ფარგლებში მაინც, — რომ შრომის ექსპლოატაციის ხარისხი, ანუ ზედმეტი ღირებულების ნორმა თანაბარია, ანდა რომ მასში არსებული განსხვავებანი გათანაბრდებიან ნამდვილი თუ წარმოსახვითი

(პირობითი) მიზეზების გამო, რომლებიც კომპენსაციას ახდენენ. ეს გულისხმობს კონკურენციას მუშებს შორის და შრომის პირობების გათანატოლებას მუშების მუდმივი გადასვლით წარმოების ერთი დარგიდან მეორეში. ზედმეტი ღირებულების ასეთი საერთო ნორმა, — ტენდენციის სახით, როგორც ყველა ეკონომიური კანონი, — ჩვენ ვიგულისხმეთ როგორც თეორიული გამარტივება; მაგრამ სინამდვილეში იგი წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების წესის ფაქტიურ წანამძღვარს, თუმცა მას მეტნაკლებ აფერხებს პრაქტიკული დაბრკოლებანი, რომლებიც მეტნაკლებად მნიშვნელოვან ადგილობრივ განსხვავებებს ქმნიან, — ასეთია, მაგალითად, კანონები ბინადრობის შესახებ (settlement laws) მიწათმოქმედი მუშებისათვის ინგლისში. მაგრამ თეორიაში იგულისხმება, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის კანონები წმინდა სახით ვითარდება. სინამდვილეში ყოველთვის ადგილი აქვს მხოლოდ მიახლოებას; მაგრამ ეს მიახლოება მით უფრო დიდია, რაც უფრო განვითარებულია კაპიტალისტური წარმოების წესი. რაც უფრო ნაკლებად დამახინჯებული და გართულებულია იგი წინანდელ ეკონომიურ წყობათა გადმონაშთებით.

მთელი სიძნელე იქიდან წარმოდგება, რომ საქონელნი ერთმანეთზე გაიცვლებიან არა უბრალოდ როგორც ს ა ქ ო ნ ე ლ ნ ი, არამედ როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი, ხოლო ეს კაპიტალები მოითხოვენ თავიანთი სიდიდის პროპორციულ მონაწილეობას ანდა — სიდიდის თანატოლობისას — თანატოლ მონაწილეობას ზედმეტი ღირებულების ერთობლივ მასაში. და ეს მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს იმ საქონელთა ერთობლივმა ფასმა, რომლებიც წარმოებულია მოცემული კაპიტალის მიერ მოცემულ პერიოდში. მაგრამ ამ საქონელთა მთელი ფასი იმ ცალკეულ საქონელთა ფასების ჯამია მხოლოდ, რომელნიც კაპიტალის პროდუქტს შეადგენენ.

Punctum saliens [გადამწყვეტი პუნქტი] უფრო ნათლად გამოჩნდება, თუ ჩვენ საკითხს ასე მივუდგებით: წარმოვიდგინოთ, რომ თვით მუშები ფლობენ წარმოების სათანადო საშუალებებს და ერთმანეთს უცვლიან თავიანთ საქონელს. მაშინ ეს საქონელი აღარ იქნებოდა კაპიტალის პროდუქტი. ღირებულება შრომის საშუალებებისა და შრომის მასალებისა, რომლებიც შრომის სხვადასხვა დარგში გამოიყენება, სხვადასხვა იქნებოდა სამუშაოთა ტექნიკური ბუნების მიხედვით; ასევე, დამოუკიდებლად წარმოების გამოყენებულ საშუალებათა სხვადასხვა ღირებულებისაგან, ამ საშუალებათა სხვადასხვა ოდენობის მასა იქნებოდა საჭირო შრომის მოცემული მასისათვის, რადგან ერთი

განსაზღვრული საქონელი ერთ საათში შეიძლება დამზადდეს, მეორე კი მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში და სხვ. ვიგულისხმოთ, შემდეგ, რომ ეს მუშები საშუალოდ თანაბარ დროს მუშაობენ იმ გამათანატოლებელი გავლენების ჩათვლით, რომლებიც გამომდინარეობენ შრომის სხვადასხვა ინტენსივობიდან და სხვ. მაშინ ორი მუშა იმ საქონელში, რომელიც მათი დღიური შრომის პროდუქტს შეადგენს, აანაზღაურებდა, ჯერ ერთი, მათ მიერ გაწეულ ხარჯებს, წარმოების მოხმარებულ საშუალებათა ხარჯთფასებს. წარმოების ეს საშუალებანი სხვადასხვა იქნებოდა მათი შრომის დარგების ტექნიკური ბუნების მიხედვით. მეორე, ორივე ეს მუშა შექმნიდა ტოლი რაოდენობის ახალ ღირებულებას, სახელდობრ — იმ სამუშაო დღის ტოლ ღირებულებას, რომელიც მათ წარმოების საშუალებებს მიუმატეს. ამ ახალ ღირებულებაში შევიდოდა მათი ხელფასი პლუს ზედმეტი ღირებულება, ზედმეტი შრომა, რომელიც აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო შრომის ფარგლებს სცილდება, ამასთან ამ ზედმეტი შრომის შედეგი თვით მუშების კუთვნილება იქნებოდა. თუ კაპიტალისტური ენით ვიტყვით, ორივე მუშა იღებს თანაბარ ხელფასს პლუს თანაბარი მოგება, რაც იმავე დროს შეადგენს ღირებულებას, რომელიც, მაგალითად, ათსაათიანი სამუშაო დღის პროდუქტით გამოიხატება. მაგრამ, ჯერ ერთი, მათი საქონლის ღირებულება სხვადასხვა იქნებოდა. ვთქვათ, მაგალითად, I საქონელი შეიცავს გამოყენებულ წარმოების საშუალებათა ღირებულების უფრო დიდ ნაწილს, ვიდრე II საქონელი, და, რათა ამთავითვე მხედველობაში მივიღოთ ყველა შესაძლებელი განსხვავება, ვიგულისხმოთ, რომ I საქონელი მეტ ცოცხალ შრომას შეიწოვს, ვიდრე II, ე. ი. თავის დასამზადებლად უფრო ხანგრძლივ სამუშაო დროს მოითხოვს, ვიდრე II. ამრიგად, ამ I და II საქონელთა ღირებულება ძალზე განსხვავებულია. ასევე განსხვავებულია იმ საქონელღირებულებათა ჯამიც, რომელნიც შეადგენენ I და II მუშის მიერ მოცემული დროის განმავლობაში შესრულებული შრომის პროდუქტს. მოგების ნორმებიც ძალზე განსხვავებული იქნება I-ისა და II-ისათვის, თუ ჩვენ აქ ზედმეტი ღირებულების შეფარდებას დახარჯულ წარმოების საშუალებათა მთელ ღირებულებასთან მოგების ნორმას ვუწოდებთ. საარსებო საშუალებანი, რომლებსაც I და II მუშა ყოველდღიურად მოიხმარს წარმოების დროს და რომლებიც ხელფასს წარმოადგენენ, აქ წარმოების ავანსებულ საშუალებათა იმ ნაწილს შეადგენენ, რომელსაც ჩვენ სხვა შემთხვევებში ცვალებად კაპიტალს ვუწოდებთ. მაგრამ I და II მუშის ზედმეტი ღირებულება

თანაბარი სამუშაო დროისათვის თანაბარი იქნებოდა; ანუ, უფრო სწორად, — რადგან თვითეული — როგორც I, ისე II — ერთი სამუშაო დღის პროდუქტის ღირებულებას ღებულობს, ამიტომ, ავანსებული «მუდმივი» ელემენტების ღირებულების გამოკლების შემდეგ, ორივე ტოლ ღირებულებას ღებულობს, რომლის ერთი ნაწილი შეიძლება განვიხილოთ როგორც წარმოებაში მოხმარებულ საარსებო საშუალებათა ანაზღაურება, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც ამის შემდეგ რჩება,—როგორც ნამეტი ზედმეტი ღირებულება. თუ I მეტი ხარჯები ჰქონდა, ეს ხარჯები უნდა ანაზღაურდეს მისი საქონლის ღირებულების უფრო დიდი ნაწილით, რომელიც «მუდმივ» ნაწილს ანაზღაურებს, და ამიტომ მან აგრეთვე თავისი პროდუქტის მთელი ღირებულების უფრო დიდი ნაწილი უნდა უკუგარდაქმნას ამ მუდმივი ნაწილის ელემენტებად, მაშინ როდესაც II, რაკი მას ამისათვის ნაკლები შემოუვიდა, ნაკლებიც უნდა უკუგარდაქმნას მუდმივი ნაწილის ნივთიერ ელემენტებად. ამრიგად, ამ ნაგულისხმევ პირობებში მოგების ნორმათა სხვაობა სრულიად ინდიფერენტული გარემოება იქნებოდა, სწორედ ისე, როგორც ამჟამად დაქირავებული მუშისათვის ინდიფერენტულ გარემოებას წარმოადგენს ის, თუ მოგების როგორი ნორმით გამოიხატება მისგან გამოწურული ზედმეტი ღირებულების რაოდენობა, და სწორედ ისე, როგორც საერთაშორისო ვაჭრობაში სრულიად ინდიფერენტულ გარემოებას წარმოადგენს მოგების ეროვნულ ნორმათა სხვაობა მათი საქონელგაცვლისათვის.

მაშასადამე, საქონელთა გაცვლა მათი ღირებულების მიხედვით, ანდა დაახლოებით მათი ღირებულების მიხედვით, ბევრად უფრო დაბალ საფეხურს შეესაბამება, ვიდრე გაცვლა წარმოების ფასების მიხედვით, რისთვისაც აუცილებელია კაპიტალისტური განვითარების განსაზღვრული სიმაღლე.

რა წესითაც არ უნდა მყარდებოდეს ან რეგულირდებოდეს თავდაპირველად სხვადასხვა საქონლის ფასები ერთიმეორის მიმართ, ყოველ შემთხვევაში მათი მოძრაობა ღირებულების კანონს ექვემდებარება. სადაც საქონლის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო დაიწევს, ფასებიც დაიწევს; სადაც იგი აიწევს, ფასებიც აიწევს სხვა გარემოებათა უცვლელობისას.

ამრიგად, იმისგან დამოუკიდებლად, ექვემდებარება თუ არა ფასები და მათი მოძრაობა ღირებულების კანონს, სრულიად მართებულია, რომ საქონელთა ღირებულება განვიხილოთ არა მხოლოდ თეორიულად, არამედ ისტორიულადაც, როგორც წარმოების ფასების prius

[წინამორბედი]. ეს შეეხება ისეთ წყობას, როდესაც წარმოების საშუალებანი მუშას ეკუთვნის, და ასეთ მდგომარეობას ადგილი აქვს, ძველსა და ახალ სამყაროში, თვითმშრომელი მიწის მესაკუთრე გლეხისა და ხელოსნის მეურნეობაში. ეს ეთანხმება აგრეთვე ჩვენ მიერ წინათ გამოთქმულ შეხედულებას [27], რომ პროდუქტის საქონლად განვითარებას დასაბამს აძლევს გაცვლა სხვადასხვა თემებს შორის და არა ერთი და იმავე თემის წევრებს შორის. ზემოთ თქმული შეეხება როგორც ამ პირველყოფილ მდგომარეობას, ისე იმ მერმინდელ მდგომარეობასაც, რომელიც მონობასა და ბატონყმობაზეა დამყარებული, და ხელოსნობის ამქრულ ორგანიზაციასაც, სანამ წარმოების თვითეულ დარგში ჩამაგრებული წარმოების საშუალებანი ძალიან ძნელად გადასატანია ერთი სფეროდან მეორეში, და ამიტომ წარმოების სხვადასხვა სფეროები გარკვეულ ფარგლებში ერთმანეთთან ისეთ დამოკიდებულებაში არიან, როგორც უცხო ქვეყნები ან კომუნისტური თემები.

რათა ფასები, რომელთა მიხედვით საქონელი ერთმანეთზე იცვლება, დაახლოებით ამ საქონელთა ღირებულებას შეესაბამებოდნენ, საჭიროა მხოლოდ: 1) რომ სხვადასხვა საქონლის გაცვლა აღარ წარმოადგენდეს შემთხვევითს ანუ ერთეულ მოვლენას; 2) რომ, რამდენადაც ჩვენ უშუალო საქონელგაცვლას განვიხილავთ, ამ სხვადასხვა საქონლის ორივე მხარე ისეთი შეფარდებითი რაოდენობით იწარმოებოდეს, რომელიც დაახლოებით შეესაბამება ურთიერთმოთხოვნილებას, რაც გასაღების დროს მიღებული ურთიერთგამოცდილების გზით მყარდება და რაც, ამრიგად, დროის განმავლობაში თვით გაცვლიდან წარმოიშვება როგორც მისი შედეგი; და 3) რომ, რამდენადაც საქმე გაყიდვას შეეხება, არავითარი ბუნებრივი ან ხელოვნური მონოპოლია შესაძლებლობას არ აძლევდეს გარიგების მონაწილე ერთ-ერთ მხარეს ღირებულებაზე მეტად გაყიდოს, ან არ აიძულებდეს მას ღირებულებაზე ნაკლებად გასცეს თავისი საქონელი. შემთხვევით მონოპოლიაღ ჩვენ ვგულისხმობთ იმ მონოპოლიას, რომელსაც მოთხოვნისა და მიწოდების შემთხვევითი მდგომარეობა უქმნის გამყიდველს ან მყიდველს.

იმის ვარაუდი, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროს საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება, რასაკვირველია, მხოლოდ იმას ნიშ-

---

[27] მაშინ, 1865 წელს, ეს მხოლოდ მარქსის «შეხედულება» იყო. ახლა, პირველყოფილი თემის ფართო გამოკვლევების შემდეგ, მაურერიდან დაწყებული და მორგანით გათავებული, ეს ისეთი ფაქტია, რომელიც საეჭვოა ვინმესთვის კიდევ სადავო იყოს. — ფ. ე.

ნავს, რომ საქონელთა ღირებულება წარმოადგენს მიზიდულობის ცენტრს, რომლის ირგვლივ მათი ფასები ქანაობს და რომლის მიხედვით მათი მუდმივი აწევ-დაწევა თანატოლდება. გარდა ამისა, უნდა გავარჩიოთ ყოველთვის საბაზრო ღირებულება — რომელზედაც ჩვენ შემდეგ გვექნება ლაპარაკი — იმ ცალკეულ საქონელთა ინდივიდუალური ღირებულებისაგან, რომელთაც სხვადასხვა მწარმოებლები აწარმოებენ. ზოგიერთი ამ საქონლის ინდივიდუალური ღირებულება საბაზრო ღირებულებაზე დაბლა იქნება (ე. ი. მათ საწარმოებლად ნაკლები სამუშაო დროა საჭირო, ვიდრე საბაზრო ღირებულება გამოსახავს), სხვა საქონლის ინდივიდუალური ღირებულება კი — მის საბაზრო ღირებულებაზე მაღლა. საბაზრო ღირებულება უნდა განვიხილოთ, ერთი მხრივ, როგორც მოცემულ სფეროში წარმოებულ საქონელთა საშუალო ღირებულება, მეორე მხრივ, — როგორც იმ საქონელთა ინდივიდუალური ღირებულება, რომელნიც მოცემული სფეროს საშუალო პირობებში იწარმოებიან და რომელნიც ამ სფეროს პროდუქტთა დიდ მასას შეადგენენ. მხოლოდ არაჩვეულებრივი კომბინაციების დროს ხდება ხოლმე, რომ ყველაზე უფრო ცუდ პირობებში ან ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებში წარმოებული საქონელი არეგულირებს საბაზრო ღირებულებას, რაც, თავის მხრივ, შეადგენს რყევის ცენტრს საბაზრო ფასებისათვის; ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ერთი და იმავე სახეობის საქონელთათვის თანატოლია. თუ ჩვეულებრივ მოთხოვნას აკმაყოფილებს საშუალო ღირებულების მქონე საქონლის მიწოდება, ე. ი. იმ საქონელის მასის მიწოდება, რომელსაც საშუალო ღირებულება აქვს და ორ უკიდურესობას შორის იმყოფება, მაშინ ის საქონელი, რომლის ინდივიდუალური ღირებულება საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებია, დამატებითი ზედმეტი ღირებულების, ანუ დამატებითი მოგების რეალიზაციას ახდენს იმ დროს, როცა ის საქონელი, რომლის ინდივიდუალური ღირებულება საბაზრო ღირებულებაზე მეტია, მასში მოქცეული ზედმეტი ღირებულების ნაწილის რეალიზაციას ვერ ახდენს.

საკითხის გარკვევას არას შველის იმის თქმა, რომ უცუდეს პირობებში წარმოებულ საქონელთა გაყიდვა ამტკიცებს, რომ ისინი მოთხოვნის დასაფარავად აუცილებელნი არიანო. თუ ნაგულისხმევ შემთხვევაში ფასი საშუალო საბაზრო ღირებულებაზე უფრო დიდი იქნებოდა, მაშინ მოთხოვნა უფრო მცირე * იქნებოდა. რომელიმე სახეობის

* ორიგინალშია «უფრო დიდი» [grösser]. შესწორებულია მარქსის ხელნაწერის საფუძველზე. რ ე დ.

საქონელს გარკვეული ფასის კვალობაზე მხოლოდ გარკვეული ადგილი შეიძლება ეკავოს ბაზარზე; ფასის ცვლილებისას ეს ადგილი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება უცვლელი დარჩეს, თუ ფასის გადიდება ემთხვევა საქონელთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო ფასის შემცირება — საქონელთა რაოდენობის გადიდებას. თუკი მოთხოვნა იმდენად დიდია, რომ იგი იმ შემთხვევაშიც არ მცირდება, როცა ფასი უცუდეს პირობებში წარმოებული საქონლის ღირებულებით რეგულირდება, მაშინ საბაზრო ღირებულებას ასეთი საქონელი არეგულირებს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნა ჩვეულებრივ დონეს აღემატება ანდა მიწოდება ჩვეულებრივზე ნაკლებია. დასასრულ, თუ წარმოებულ საქონელთა მასა აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც გასაღებას პოულობს საშუალო საბაზრო ღირებულების მიხედვით, — საბაზრო ღირებულებას არეგულირებს ის საქონელი, რომელიც ყველაზე უკეთეს პირობებშია წარმოებული. შესაძლებელია, მაგალითად, რომ ამ უკანასკნელი კატეგორიის საქონელი სავსებით ან დაახლოებით მისი ინდივიდუალური ღირებულების მიხედვით გაიყიდოს და ამავე დროს შეიძლება მოხდეს, რომ უცუდეს პირობებში წარმოებულმა საქონელმა თავისი ხარჯთფასიც კი ვერ გაანაღდოს, მაშინ როდესაც საშუალო პირობებში წარმოებული საქონელი მასში მოქცეული ზედმეტი ღირებულების მხოლოდ ნაწილს ანაღდებს. რაც აქ საბაზრო ღირებულების შესახებ ითქვა, შეეხება წარმოების ფასსაც, როგორც კი ეს უკანასკნელი საბაზრო ღირებულების ადგილს იჭერს. წარმოების ფასიც რეგულირდება ყოველ ცალკეულ სფეროში და რეგულირდება აგრეთვე განსაკუთრებულ გარემოებათა მიხედვით. მაგრამ თვით იგი კვლავ იმ ცენტრს წარმოადგენს, რომლის ირგვლივ ყოველდღიური საბაზრო ფასები მერყეობენ და რომლის მიხედვით ისინი განსაზღვრულ პერიოდებში გათანატოლდებიან (იხ. რიკარდო წარმოების ფასის განსაზღვრის შესახებ, როცა მას განსაზღვრავს უცუდეს პირობებში მომუშავე საწარმოები).

როგორადაც უნდა რეგულირდებოდეს ფასები, — ჩვენ ვიღებთ შემდეგ დასკვნებს:

1) ღირებულების კანონი განაგებს ფასების მოძრაობას იმგვარად, რომ წარმოებისათვის აუცილებელი სამუშაო დროის შემცირება ან გადიდება იწვევს წარმოების ფასების გადიდებას ან შემცირებას. ამ აზრით ამბობს რიკარდო (რომელიც, რასაკვირველია, გრძნობს, რომ მისი წარმოების ფასები სცილდება საქონელთა ღირებულებას): რომ «გამოკვლევა, რომელზედაც მას სურს მკითხველის ყურადღება მიაქ-

ციოს, შეეხება საქონელთა შეფარდებითი ღირებულების და არა მათი აბსოლუტური ღირებულების ცვლილების შედეგებს» [D. Ricardo: «On the Principles of Political Economy». Works ed. by Mac Culloch, London 1852, გვ. 15].

2) საშუალო მოგება, რომელიც წარმოების ფასებს განსაზღვრავს, ყოველთვის უნდა უდრიდეს დაახლოებით ზედმეტი ღირებულების იმ რაოდენობას, რომელიც უწევს მოცემულ კაპიტალს, როგორც საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის სათანადო ნაწილს. ვთქვათ, მოგების საერთო ნორმა და, მაშასადამე, საშუალო მოგება, უფრო დიდი ფულადი ღირებულებითაა გამოხატული, ვიდრე ფულადი ღირებულების მიხედვით გამოანგარიშებული ნამდვილი საშუალო ზედმეტი ღირებულება. რამდენადაც საქმე კაპიტალისტებს შეეხება, — სრულიად არ აქვს მნიშვნელობა, ურთიერთშორის 10% იანგარიშებენ მოგებას, თუ 15%. პირველი პროცენტული დონე ისევე ნაკლებ შეესაბამება საქონელთა ნამდვილ ღირებულებას, როგორც მეორე, რადგან ფულადი გამოსახულება ურთიერთგაზვიადებულია. რაც შეეხება მუშებს (რადგან ივულისხმება, რომ ისინი თავიანთ ნორმალურ ხელფასს იღებენ, მაშასადამე, საშუალო მოგების გადიდება არ გამოხატავს ნამდვილ გამონაქვითს ხელფასიდან, ე. ი. არ გამოხატავს კაპიტალისტის ნორმალური ზედმეტი ღირებულებისაგან სრულიად განსხვავებულ რაიმეს), — საქონელთა ფასების გადიდებას, რაც საშუალო მოგების აწევის შედეგს წარმოადგენს, უნდა შეესაბამებოდეს ცვალებადი კაპიტალის ფულადი გამოხატულების გადიდება. სინამდვილეში მოგების ნორმის და საშუალო მოგების ასეთი საყოველთაო ნორმალური გადიდება იმ დონეზე უფრო მაღლა, რომელიც მოცემულია ნამდვილი ზედმეტი ღირებულების შეფარდებით ავანსებულ ერთობლივ კაპიტალთან, შეუძლებელია უიმისოდ, თუ ამას არ მოჰყვა ხელფასის გადიდება და აგრეთვე იმ საქონელთა ფასების გადიდებაც, რომელნიც მუდმივ კაპიტალს შეადგენენ. ასევე პირიქითი გავლენა უნდა მოახდინოს შემცირებამ, რადგან საქონელთა ერთობლივი ღირებულება არეგულირებს ერთობლივ ზედმეტ ღირებულებას და ეს უკანასკნელი კი არეგულირებს, — როგორც საყოველთაო კანონი, რომელსაც რყევა ექვემდებარება, — საშუალო მოგებისა და, მაშასადამე, მოგების საერთო ნორმის სიმაღლეს, ამიტომ, ცხადია, ღირებულების კანონი არეგულირებს წარმოების ფასებს.

კონკურენცია ახორციელებს, და ამასთან თავდაპირველად წარმოების ცალკეულ სფეროში, იმას, რომ იგი საქონელთა სხვადასხვა ინდი-

ვიდუალური ღირებულებიდან ამყარებს თანაბარ საბაზრო ღირებულებას და საბაზრო ფასს. მაგრამ მხოლოდ კაპიტალების კონკურენცია წარმოების სხვადასხვა დარგებში წარმოშობს წარმოების ფასს, რომელიც ათანატოლებს მოგების ნორმებს სხვადასხვა დარგებს შორის. ამ უკანასკნელი შედეგის მისაღწევად კაპიტალისტური წარმოების წესის უფრო მაღალი განვითარებაა საჭირო, ვიდრე პირველისათვის.

იმისათვის, რომ წარმოების ერთი და იმავე სფეროს, ერთი და იმავე სახისა და დაახლოებით ერთი და იმავე ხარისხის საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდებოდეს, აუცილებელია ორი პირობა:

პ ი რ ვ ე ლ ი: სხვადასხვა ინდივიდუალური ღირებულება ე რ თ საზოგადოებრივ ღირებულებად, ზემოთ განხილულ საბაზრო ღირებულებად უნდა გათანატოლდეს; ამისათვის კი საჭიროა კონკურენცია ერთი და იმავე სახეობის საქონლის მწარმოებლებს შორის, აგრეთვე ბაზარი, სადაც ისინი თავიანთ საქონელს ერთად გაიტანენ. იმისათვის, რომ საქონელთა საბაზრო ფასი, — რომელნიც ერთიმეორის იდენტურნი არიან, მაგრამ რომელთაგან თვითეული გარემოებათა მიხედვით სხვადასხვაგვარი ინდივიდუალური შეფერებითი სახით იწარმოებიან, — საბაზრო ღირებულებას შეესაბამებოდეს და მისგან არც ზევით და არც ქვევით არ იხრებოდეს, საჭიროა ის ზეგავლენა, რასაც სხვადასხვა გამყიდველები ერთმანეთზე ახდენენ, საკმაოდ დიდი იყოს, რათა ბაზარზე გადასროლილ იქნეს საქონელთა მასა, რომელიც საზოგადოებრივ მოთხოვნილებას ესაჭიროება, ე. ი. საქონელთა ისეთი რაოდენობა, რაშიც საზოგადოებას ძალუძს გადაიხადოს საბაზრო ღირებულება. თუ პროდუქტების მასამ მოთხოვნილებას გადააჭარბა, საქონელი საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებად უნდა გაიყიდოს; პირიქით, თუ პროდუქტთა მასა საკმაოდ დიდი არაა, იგი საბაზრო ღირებულებაზე მეტად უნდა გაიყიდოს ან, რაც იგივეა, თუ გამყიდველებს შორის კონკურენციის ზემოქმედება საკმაოდ ძლიერი არაა იმისათვის, რომ აიძულოს ისინი საქონელთა სათანადო მასა ბაზარზე გამოიტანონ. თუ საბაზრო ღირებულება შეიცვლებოდა, მაშინ შეიცვლებოდა ის პირობებიც, რომელთა მიხედვითაც შეიძლებოდა საქონელთა მთელი მასის გაყიდვა. თუ საბაზრო ღირებულებამ დაიწია, გაფართოვდება საშუალოდ საზოგადოებრივი მოთხოვნილება (რომელიც აქ ყოველთვის გადახდისუნარიან მოთხოვნილებად იგულისხმება) და მას გარკვეულ ფარგლებში საქონელთა უფრო დიდი მასა შეუძლია შეიწოვოს. თუ საბაზრო ღირებულებამ აიწია, საზოგადოებრივი მოთხოვნილება

საქონლის მიმართ შეიკვეცება და საქონელთა ნაკლებ მასას შეიწოვს. ამიტომ, თუ, ერთი მხრივ, მოთხოვნა და მიწოდება არეგულირებს საბაზრო ფასს ანუ, უფრო სწორად, საბაზრო ფასების გადახრას საბაზრო ღირებულებიდან, მეორე მხრივ, საბაზრო ღირებულება არეგულირებს მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდებას ანუ იმ ცენტრს, რომლის ირგვლივ მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილება საბაზრო ფასებს აოხევს.

თუ საგახს უფრო დეტალურად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ის პირობები, რომლებიც გახსაზღვრავენ ცალკეული საქონლის ღირებულებას, კვლავ აღდგება ისეთი პირობების სახით, რომლებსაც ძალა აქვთ მთელი სახეობის საქონელთა ერთობლივი ჯამის ღირებულების მიმართ. კაპიტალისტური წარმოება ხომ იმთავითვე მასობრივი წარმოებაა; და სხვა, ნაკლებ განვითარებულ წარმოების წესთა არსებობის დროსაც საქოხელი, — ყოველ შემთხვევაში მთავარი საქონელი, — რომელიც, მართალია, მხოლოდ წვრილი მწარმოებლის მიერ, მაგრამ მაინც მცირე რაოდენობით იწარმოება როგორც საერთო პროდუქტი, — დიდი რაოდენობით გროვდება ბაზარზე შედარებით მცირეოდენ ვაჭართა ხელში, და გაიყიდება როგორც წარმოების მთელი დარგის ან მისი მეტნაკლებ დიდი ნაწილის საერთო პროდუქტი.

აღვნიშნავთ აქ სრულიად გაკვრით, რომ «საზოგადოებრივი მოთხოვნილება», ე. ი. ის, რაც მოთხოვნის პრინციპს არეგულირებს, არსებითად გაპირობებულია სხვადასხვა კლასის ერთმანეთთან ურთიერთობით და მათი სათანადო ეკონომიური მდგომარეობით, განსაკუთრებით, მაშასადამე, განისაზღვრება ჯერ ერთი, ერთობლივი ზედმეტი ღირებულების შეფარდებით ხელფასთან და, მეორე, იმ სხვადასხვა ნაწილების თანაფარდობით, რომლებადაც ნაწილდება ზედმეტი ღირებულება (მოგება, სარგებელი, მიწის რენტა, გადასახადები და სხვ.). ამრიგად, აქაც კვლავ მეღავნდება, რომ მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდებით აბსოლუტურად არაფრის ახსნა არ შეიძლება, სანამ გამოაშკარავებული არაა ის ბაზისი, რომელსაც ემყარება ეს შეფარდება.

თუმცა ორივე, საქონელიც და ფულიც, საცვლელი ღირებულებისა და სახმარი ღირებულების ერთიანობაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც ეს ჩვენ უკვე დავინახეთ (წიგნი I, თავი I, 3), ყიდვისა და გაყიდვის აქტში ორივე ეს განსაზღვრა ორსავე უკიდურესობას შორის არის პოლარულად განაწილებული, ასე რომ საქონელი (გამყიდველი)

სახმარ ღირებულებას წარმოადგენს და ფული (მყიდველი) საცვლელ ღირებულებას. საქონელს რომ სახმარი ღირებულება აქვს, მაშასადამე იგი რომ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, — ეს გაყიდვის პირველი წანამძღვარი იყო. მეორე კი იმაში მდგომარეობდა, რომ შრომის რაოდენობა, რომელსაც საქონელი შეიცავს, საზოგადოებრივად აუცილებელ შრომას უნდა წარმოადგენდეს, მაშასადამე, საქონლის ინდივიდუალური ღირებულება (ანუ, — რაც აქ ნაგულისხმევის მიხედვით იგივეა, — გასაყიდი ფასი) უნდა ემთხვეოდეს მის საზოგადოებრივ ღირებულებას [28].

გამოვიყენოთ ეს განმარტება ბაზარზე არსებულ საქონელთა მასისათვის, რომელიც წარმოების მთელი დარგის პროდუქტს შეადგენს.

საქმის ვითარება ყველაზე მარტივად წარმოგვიდგება, თუ ჩვენ საქონელთა მთელ მასას — ჯერჯერობით, მაშასადამე, წარმოების ერთი დარგის მასას — განვიხილავთ როგორც ერთ საქონელს და მრავალი იდენტური საქონლის ფასების ჯამს — როგორც ერთ შეჯამებულ ფასს. ამ შემთხვევაში ყველაფერი, რაც ცალკეული საქონლის შესახებ იყო ნათქვამი, სიტყვასიტყვით შეეხება წარმოების განსაზღვრული დარგის საქონელთა მასას, რომელიც ბაზარზე იმყოფება. ის მოთხოვნა, რომ საქონლის ინდივიდუალური ღირებულება მის საზოგადოებრივ ღირებულებას შეესაბამებოდეს, განხორციელებულია ახლა, ან განსაზღვრულია შემდგომ იმ აზრით, რომ საქონლის მთელი რაოდენობა შეიცავს მის საწარმოებლად აუცილებელ საზოგადოებრივ შრომას და რომ საქონელთა ამ მასის ღირებულება უდრის მათს საბაზრო ღირებულებას.

ვიგულისხმოთ ახლა, რომ ამ საქონელთა დიდი მასა დაახლოებით ერთნაირ ნორმალურ საზოგადოებრივ პირობებშია წარმოებული, ასე რომ ეს ღირებულება იმავე დროს ამ მასის შემადგენელ ცალკეულ საქონელთა ინდივიდუალურ ღირებულებას წარმოადგენს. და თუ საქონელთა ნაწილი საშუალოზე უარეს პირობებში იწარმოება, ხოლო მეორე ნაწილი — უკეთეს პირობებში, ასე რომ პირველი ნაწილის ინდივიდუალური ღირებულება საქონელთა უმეტესი ნაწილის საშუალო ღირებულებაზე უფრო დიდია და მეორე ნაწილისა კი უფრო პატარაა, და თუ ორივე ეს უკიდურესობა ერთიმეორეს აწონასწორებს,

---

[28] K. Marx: «Zur Kritik der Politischen Oekonomie». Berlin 1859. [შეად. კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», თბილისი 1953 წ.]

ასე რომ მათ კუთვნილ საქონელთა საშუალო ღირებულება უდრის საშუალო მასის შემადგენელ საქონელთა ღირებულებას, — მაშინ, ცხადია, საბაზრო ღირებულებას იმ საქონელთა ღირებულება განსაზღვრავს, რომლებიც საშუალო პირობებშია წარმოებული [29]. საქონელთა ერთობლივი მასის ღირებულება უდრის ყველა ცალკეული საქონლის, ერთად აღებულის, ღირებულების ნამდვილ ჯამს, რომელიც მოიცავს, როგორც საშუალო პირობებში, ისე მასზე უარეს ან უკეთეს პირობებში წარმოებულ საქონელს. ამ შემთხვევაში საქონელთა მასის საბაზრო ღირებულება, ანუ საზოგადოებრივი ღირებულება — მათში მოქცეული აუცილებელი სამუშაო დრო — განისაზღვრება უდიდესი ნაწილის შემადგენელი საშუალო მასის ღირებულებით.

ვიგულისხმოთ, პირიქით, რომ ბაზარზე გატანილ საქონელთა მთელი რაოდენობა იგივე დარჩა, მაგრამ უფრო ცუდ პირობებში წარმოებულ საქონელთა ღირებულება არ წონასწორდება უკეთეს პირობებში წარმოებულთა ღირებულებით, ასე რომ მთელი მასის ის ნაწილი, რომელიც უფრო ცუდ პირობებშია წარმოებული, შეფარდებით მნიშვნელოვან სიდიდეს შეადგენს როგორც საშუალო მასასთან შედარებით, ისე მეორე უკიდურესობასთან შედარებითაც. მაშინ საბაზრო ღირებულების, ანუ საზოგადოებრივი ღირებულების მარეგულირებელი იქნება საქონლის ის მასა, რომელიც უფრო ცუდ პირობებშია წარმოებული.

ვიგულისხმოთ, დასასრულ, რომ საშუალოზე უკეთეს პირობებში წარმოებულ საქონელთა მასა მნიშვნელოვნად სჭარბობს უფრო ცუდ პირობებში წარმოებულ მასას და მნიშვნელოვან სიდიდესაც კი შეადგენს საშუალო პირობებში წარმოებულთა მიმართ; მაშინ უკეთეს პირობებში წარმოებული ნაწილი იქნება საბაზრო ღირებულების მარეგულირებელი. აქ ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ ბაზრის ზედმეტად გავსების შემთხვევას, როდესაც საბაზრო ფასის მარეგულირებელია ყოველთვის საქონელთა ის ნაწილი, რომელიც უკეთეს პირობებშია წარმოებული; ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა საბაზრო ფასთან, რამდენადაც იგი განსხვავებულია საბაზრო ღირებულებისაგან, არამედ — თვით საბაზრო ღირებულების სხვადასხვა განსაზღვრასთან [30].

---

[29] **K. Marx: «Zur Kritik etc».** [კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის». თბილისი 1953 წ.].

[30] ამრიგად, შტორხსა და რიკარდოს შორის მიწის რენტის საკითხზე აღძრული კამათი (კამათი მხოლოდ შინაარსის მიხედვით, რადგან ფაქტიურად მათ ერთმანეთი არ ჰყავდათ მხედველობაში), უკეთეს პირობებში (რიკარდო) თუ უცუ-

მართლაც, I შემთხვევაში სავსებით ზუსტად (სინამდვილეში ეს, რასაკვირველია, მხოლოდ დაახლოებით და ათასგვარი მოდიფიკაციით ხორციელდება) საქონელთა მთელი მასის საბაზრო ღირებულება, რომელსაც საშუალო ღირებულებანი არეგულირებენ, უდრის მათს ინდივიდუალურ ღირებულებათა ჯამს; თუმცა უკიდურეს მხარეებზე წარმოებულ საქონელთათვის ეს ღირებულება თავსმოხვეულ საშუალო ღირებულებას წარმოადგენს. უცუდესი პირობების შემცველ კიდურზე მყოფმა მწარმოებლებმა თავიანთი საქონელი ინდივიდუალურ ღირებულებაზე ნაკლებად უნდა გაყიდონ; უკეთესი პირობების შემცველ კიდურზე მყოფი მწარმოებლები კი თავიანთ საქონელს ინდივიდუალურ ღირებულებაზე მეტად გაყიდიან.

II შემთხვევაში ორივე კიდურზე წარმოებული ღირებულების ინდივიდუალური მასები არ წონასწორდება, და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფრო ცუდ პირობებში წარმოებულ საქონელს. ზუსტად რომ ვთქვათ, ყოველი ცალკეული საქონლის ან საქონელთა მთელი მასის თვითეული სათანადო ნაწილის საშუალო ფასი, ანუ საბაზრო ღირებულება აქ განისაზღვრება მასის ერთობლივი ღირებულებით, რომელიც სხვადასხვა პირობებში წარმოებულ საქონელთა ღირებულების შეკრებით მიიღება, და იმ სათანადო ნაწილით, რომელიც ამ მთელი ღირებულებიდან ყოველ ცალკეულ საქონელზე მოდის. ამგვარად მიღებული საბაზრო ღირებულება არათუ იმ საქონელთა ინდივიდუალურ ღირებულებაზე მეტი იქნებოდა, რომლებიც ყველაზე ხელსაყრელ პირობებში იწარმოება, არამედ იმ საქონელთა ინდივიდუალურ

დეს პირობებში (შტორხი) წარმოებული საქონელი არეგულირებს საბაზრო ღირებულებას (მათთვის, უფრო საბაზრო ფასს **resp.** [შესაბამის] წარმოების ფასს), — ეს კამათი ისეთ გადაწყვეტას პოულობს, რომ ისინი ორივე მართალია და არაა მართალი, და რომ ორივემ ყურადღების გარეშე დასტოვა საშუალო შემთხვევა. შეად. კორბეტი იმ შემთხვევების შესახებ, როდესაც ფასს უკეთეს პირობებში წარმოებული საქონელი არეგულირებს. «არ უნდა ვიფიქროთ, ვითომ იგი (რიკარდო) ამტკიცებდეს, რომ ორი სხვადასხვა ნაწარმის ორი ცალკეული წარმომადგენელი, როგორიცაა ქუდი და ერთი წყვილი ფეხსაცმელი, ერთიმეორეზე გაიცვლება, თუ ორივე ეს ცალკეული საგანი შრომის ერთნაირი რაოდენობითაა წარმოებული. «საქონელი» ჩვენ აქ უნდა გავიგოთ როგორც გარკვეული «სახეობა საქონელთა» (**the «description of commodity»**) და არა რომელიმე ინდივიდუალური ქუდი, ცალკეული წყვილი ფეხსაცმელი და სხვ. ამისათვის მთელი ის შრომა, რომელიც აწარმოებს ყველა ქუდს ინგლისში, უნდა წარმოვიდგინოთ განაწილებულად ყველა ამ ქუდებზე. მე მგონია, ეს არ იყო გამოთქმული თავდაპირველად და არ არის აღნიშნული ამ დოქტრინის ჩვეულებრივ გადმოცემებში» (**«Observations on Certain Verbal Disputes in Political Economy etc». London 1821, გვ. 53, 54**].

ღირებულებაზე მეტიც, რომელნიც საშუალო ფენას ეკუთვნიან; მაგრამ იგი მაინც უფრო დაბალი იქნებოდა, ვიდრე ყველაზე არახელსაყრელ პირობებში წარმოებულ საქონელთა ინდივიდუალური ღირებულება. თუ რამდენად მიუახლოვდება იგი ამ უკანასკნელს ან, ბოლოს, დაემთხვევა თუ არა მას, — ეს სავსებით დამოკიდებულია იმ მოცულობაზე, რომელიც ყველაზე არახელსაყრელ პირობებში წარმოებულ საქონელთა მასას უჭირავს საქონელთა მოცემულ სფეროში. თუ მოთხოვნა, თუნდაც მცირეოდენად, მაინც ჭარბობს, — საბაზრო ღირებულებას არეგულირებს ყველაზე არახელსაყრელ პირობებში წარმოებული საქონელთა ინდივიდუალური ღირებულება.

თუ ვიგულისხმებთ, დასასრულ, როგორც ეს III შემთხვევაშია, რომ ყველაზე ხელსაყრელ პირობებში წარმოებულ საქონელთა რაოდენობას დიდი ადგილი უკავია არათუ მეორე კიდურთან შედარებით, არამედ საშუალო პირობებთან შედარებით, მაშინ — საბაზრო ღირებულება საშუალო ღირებულებაზე დაბლა დაიწევს. ორივე კიდურზე და საშუალო პირობებში წარმოებულ საქონელთა ღირებულების შეკრების გზით გამოანგარიშებული საშუალო ღირებულება აქ საშუალო ჯგუფის ღირებულებაზე დაბალია და მას იმ ადგილის შეფარდებითი სიდიდის მიხედვით უახლოვდება ან შორდება, რომელიც ხელსაყრელ კიდურს უკავია. თუ მოთხოვნა მიწოდებასთან შედარებით სუსტია, მაშინ საქონელთა ის ნაწილი, რომელიც ხელსაყრელ პირობებშია ჩაყენებული, რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს იგი, ძალად იჭერს ადგილს, ჰკვეცავს რა თავის ფასს თავისი ინდივიდუალური ღირებულების დონემდე. საბაზრო ღირებულება არასოდეს არ შეიძლება დაემთხვეს საუკეთესო პირობებში წარმოებულ საქონელთა ამ ინდივიდუალურ ღირებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწოდება ძალიან აღემატება მოთხოვნას.

ეს ა ბ ს ტ რ ა ქ ტ უ ლ ა დ გამოსახული საბაზრო ღირებულების დამყარება ნამდვილ ბაზარზე ხდება მყიდველთა კონკურენციის მეშვეობით იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნა სწორედ იმდენად დიდია, რომ მისი ამგვარად დამყარებული ღირებულების მიხედვით შეუძლია შეიწოვოს საქონელთა მოცემული მასა. აქ კი ჩვენ მივადექით მეორე პუნქტს.

მ ე ო რ ე. საქონელს რომ სახმარი ღირებულება აქვს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი რაიმე საზოგადოებრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. სანამ ჩვენ მხოლოდ ცალკეულ საქონელს ვეხებოდით, შეგვეძლო გვეფარაუდნა, რომ არსებობს მოთხოვნილება ამ განსაზღვ-

რულ საქონელზე, — რომლის რაოდენობა უკვე მის ფასშია მოქცეული, — და დაწვრილებით აღარ შევხებივართ დასაკმაყოფილებელი მოთხოვნილების რაოდენობას. მაგრამ ეს რაოდენობა არსებითი ხასიათის მომენტად იქცევა, როგორც კი წარმოების მთელი დარგის პროდუქტი ერთ მხარეზე გვექნება, ხოლო საზოგადოებრივი მოთხოვნილება ამ პროდუქტზე — მეორე მხარეზე. ახლა ამ საზოგადოებრივი მოთხოვნილების მოცულობის, ე. ი. რაოდენობის განხილვა აუცილებელია.

საბაზრო ღირებულების ზემომოცემულ განსაზღვრებებში იგულისხმებოდა, რომ წარმოებულ საქონელთა მასა მოცემულია, ე. ი. უცვლელი რჩება, რომ იცვლება მხოლოდ შეფარდება ამ მასის შემადგენელ ნაწილებს შორის, რომლებიც სხვადასხვა პირობებშია წარმოებული, და რომ, ამიტომ, საქონელთა ერთი და იმავე მასის საბაზრო ღირებულება სხვადასხვაგვარად რეგულირდება. ვთქვათ, ეს მასა მიწოდების ჩვეულებრივ რაოდენობას წარმოადგენს, ამასთან ჩვენ მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმას, რომ წარმოებულ საქონელთა ერთი ნაწილი დროგამოშვებით შეიძლება მოშორდეს ბაზარს. თუ ამ მასაზე მოთხოვნა ჩვეულებრივ დონეზე რჩება, საქონელი მაინც მისი საბაზრო ღირებულების მიხედვით გაიყიდება, სულ ერთია, ზემოთ გამოკვლეული სამი შემთხვევიდან რომლის მიხედვითაც არ უნდა მოხდეს ამ საბაზრო ღირებულების რეგულირება. საქონელთა მასა არა მხოლოდ აკმაყოფილებს განსაზღვრულ მოთხოვნილებას, არამედ აკმაყოფილებს მას მისი საზოგადოებრივი მოცულობით. თუ საქონელთა რაოდენობა მოთხოვნაზე მეტი ან ნაკლებია, მაშინ საბაზრო ფასი გადაიხრება საბაზრო ღირებულებიდან. და პირველი გადახრა ის არის, რომ თუ რაოდენობა ცოტაა, საბაზრო ღირებულებას არეგულირებს ყოველთვის უცუდეს პირობებში წარმოებული საქონელი, ხოლო თუ რაოდენობა ძალიან დიდია, ამ როლს ყოველთვის საუკეთესო პირობებში წარმოებული საქონელი ასრულებს; რომ, მაშასადამე, საბაზრო ღირებულებას განსაზღვრავს ერთ-ერთი უკიდურესობათაგანი, მიუხედავად იმისა, რომ იმ საქონელთა მასების უბრალო შეფარდების მიხედვით, რომლებიც სხვადასხვა პირობებშია წარმოებული, სხვა შედეგს უნდა ჰქონებოდა ადგილი. თუ სხვაობა მოთხოვნასა და პროდუქტთა რაოდენობას შორის უფრო მნიშვნელოვანია, მაშინ უფრო მნიშვნელოვანი იქნება საბაზრო ფასის გადახრაც საბაზრო ღირებულების ზევით ან ქვევით. მაგრამ სხვაობა წარმოებულ საქონელთა რაოდენობასა და იმ რაოდენობას შორის, რომლის შესაბამისად საქონელი მისი საბაზრო ღირებულების მიხედვით გაიყიდება, შეიძლება ორგვარი მიზეზით

წარმოიშვას. ან შეიცვლება თვით ეს რაოდენობა, ხდება ძალიან მცირე ან ძალიან დიდი, ე. ი. კვლავწარმოება ხდება არა იმ მასშტაბით, რომელიც მოცემულ საბაზრო ღირებულებას არეგულირებდა, არამედ სხვა მასშტაბით. ამ შემთხვევაში იცვლება მიწოდება, თუმცა მოთხოვნა უცვლელი რჩება, და, მაშასადამე, ადგილი აქვს შეფარდებითს ჭარბწარმოებას ან ნაკლებწარმოებას. ანდა კვლავწარმოება, ე. ი. მიწოდება უცვლელი რჩება, ხოლო მოთხოვნა მცირდება ან იზრდება, რაც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება მოხდეს; თუმცა ამ შემთხვევაში მიწოდების აბსოლუტური სიდიდე იგივე რჩება, მაგრამ მისი შეფარდებითი სიდიდე, მისი სიდიდე მოთხოვნილებასთან შედარებით ანუ ამ მოთხოვნილებით გაზომილი, იცვლება. გავლენა იგივეა, რაც პირველ შემთხვევაში, მხოლოდ — საპირისპირო მიმართულებით, ბოლოს: თუ ცვლილებას ორივე მხარეზე აქვს ადგილი, მაგრამ ან საპირისპირო მიმართულებით, ან თუმცა იმავე მიმართულებით, მაგრამ არა იმავე ოდენობით, — ერთი სიტყვით, თუ ცვლილებები ორმხრივია, მაგრამ ისინი ორივე მხარეს შორის არსებულ უწინდელ პროპორციას ცვლიან, ზემოთ განხილული ორივე შემთხვევიდან საბოლოო შედეგი ყოველთვის დაიყვანება ერთ-ერთ შემთხვევაზე.

მოთხოვნისა და მიწოდების ცნების ზოგადი განსაზღვრისას ნამდვილი სიძნელე ის არის, რომ იგი თითქოს ტავტოლოგიას ნიშნავს. განვიხილოთ ჯერ მიწოდება, პროდუქტი, რომელიც ბაზარზეა ან შეიძლება გატანილ იქნეს ბაზარზე. რათა აქ სრულიად უსარგებლო დეტალებში არ გავერთოთ, ავიღოთ წლიური კვლავწარმოების მასა მრეწველობის ყოველ ცალკეულ დარგში და ამავე დროს მხედველობის გარეშე დავტოვოთ ის გარემოება, რომ სხვადასხვა საქონელი, მეტი ან ნაკლები ოდენობით შეიძლება ბაზარს მოშორდეს და მოხმარებისათვის, ვთქვათ, შემდგომი წლის მოხმარებისათვის, საწყობებში იქნეს შემონახული. ეს წლიური კვლავწარმოება გამოსახავს უწინარეს ყოვლისა განსაზღვრულ რაოდენობას, ზომას ან რიცხვს იმის მიხედვით, გაიზომება საქონელთა მოცემული მასა როგორც ცალკეულ ერთეულებად დაყოფილი, თუ როგორც უწყვეტი სიდიდე; აქ ჩვენ გვაქვს არა მარტო სახმარი ღირებულება, რომელიც ადამიანის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, არამედ ის სახმარი ღირებულება, რომელიც გარკვეული რაოდენობით ბაზარზე იმყოფება. მეორე, ამ საქონელთა მასას აქვს განსაზღვრული საბაზრო ღირებულება, რომელიც შეიძლება გამოვხატოთ ცალკეული საქონლის საბაზრო ღირებულების ან საქონლის საზომის — როგორც ერთეულებად აღებულის — ჯერადით. ამიტომ ბაზარზე მყოფ საქონელთა რაოდენობრივ მოცულო-

ბასა და მათს საბაზრო ღირებულებას შორის არ არსებობს აუცილებელი კავშირი, რადგან ზოგ საქონელს, მაგალითად, სპეციფიკურად მაღალი ღირებულება აქვს, სხვებს — სპეციფიკურად დაბალი ღირებულება, ასე რომ ღირებულების მოცემული ჯამი შეიძლება გამოიხატოს ერთი საქონლის ძალიან დიდი რაოდენობით და მეორის ძალიან მცირე რაოდენობით. ბაზარზე არსებულ საქონელთა რაოდენობასა და მათს საბაზრო ღირებულებას შორის მხოლოდ შემდეგი დამოკიდებულება არსებობს: შრომის ნაყოფიერების მოცემულ ბაზისზე წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში განსაზღვრული რაოდენობის საქონელთა საწარმოებლად საჭიროა საზოგადოებრივი სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობა, თუმცა ეს შეფარდება წარმოების სხვადასხვა სფეროში სრულიად სხვადასხვაა და არავითარ შინაგან კავშირში არ იმყოფება ამ საქონელთა სარგებლიანობასთან ანდა მათი სახმარი ღირებულების განსაკუთრებულ ბუნებასთან. თუ ერთი სახეობის საქონლის რაოდენობა *a* ღირს *b* სამუშაო დრო, მაშინ, — თუ ყველა სხვა გარემოება თანაბარია, — *na* რაოდენობა *nb* სამუშაო დრო ეღირება. შემდეგ: რამდენადაც საზოგადოებას სურს თავისი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს და ამ მიზნისთვის გარკვეული სახის საქონელს აწარმოებს, მან უნდა გადაიხადოს კიდეც ამ საქონლის ფასი. მართლაც, რადგან საქონელწარმოებისას შრომის დანაწილება იგულისხმება, საზოგადოება ამ საქონელს იმით ყიდულობს, რომ მის წარმოებაზე იმ სამუშაო დროის ნაწილს ხარჯავს, რაც მის განკარგულებაშია, მაშასადამე, საქონელს ყიდულობს სამუშაო დროის განსაზღვრული რაოდენობით, რომელიც მოცემულ საზოგადოებას შეუძლია თავის განკარგულებაში ჰქონდეს. საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელსაც, შრომის დანაწილების გამო ამ განსაზღვრული საქონლის წარმოებაზე თავისი შრომის დახარჯვა უხდება, ეკვივალენტი უნდა მიიღოს საზოგადოებრივ შრომაში, რომელიც მის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ პროდუქტებშია განსახიერებული. მაგრამ არსებობს არა აუცილებელი, არამედ მხოლოდ შემთხვევითი კავშირი, ერთი მხრივ, განსაზღვრულ საზოგადოებრივ პროდუქტზე დახარჯული საზოგადოებრივი შრომის მთელ რაოდენობასა, ე. ი. საზოგადოების მიერ ერთობლივი სამუშაო ძალიდან ამ პროდუქტის საწარმოებლად გამოყენებულ სათანადო ნაწილსა, მაშასადამე, ამ პროდუქტის წარმოების მიერ ერთობლივ წარმოებაში დაკავებულ მოცულობასა და, მეორე მხრივ, იმ მოცულობას შორის, რომლის მიხედვით საზოგადოება მოითხოვს ამ განსაზღვრული პრო-

დუქტით დასაფარავი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. თუმცა ყოველი ცალკეული საქონელი ან განსაზღვრული სახეობის საქონელთა ყოველი მოცემული რაოდენობა შეიძლება მხოლოდ იმ საზოგადოებრივ შრომას შეიცავდეს, რომელიც აუცილებელია მის საწარმოებლად, და ამ თვალსაზრისით მოცემული სახეობის საქონელთა მთელი მასის საბაზრო ღირებულება მხოლოდ აუცილებელ შრომას გამოხატავს, მაგრამ მაინც, თუ განსაზღვრული საქონელი ისეთი რაოდენობითაა წარმოებული, რომელიც არსებულ საზოგადოებრივ მოთხოვნილებას აღემატება, საზოგადოებრივი სამუშაო დროის ნაწილი გაფლანგულია და საქონელთა მასა მაშინ ბაზარზე საზოგადოებრივი შრომის ბევრად უფრო მცირე რაოდენობას წარმოადგენს, ვიდრე ის რაოდენობა, რომელსაც იგი ნამდვილად შეიცავს. (მხოლოდ იქ, სადაც წარმოება საზოგადოების ნამდვილ წინასწარგანმსაზღვრელ კონტროლს ექვემდებარება, საზოგადოება ქმნის კავშირს განსაზღვრული პროდუქტის წარმოებისათვის გამოყენებული საზოგადოებრივი სამუშაო დროის რაოდენობასა და იმ საზოგადოებრივი მოთხოვნილების რაოდენობას შორის, რომელიც ამ პროდუქტით უნდა დაკმაყოფილდეს.) ამიტომ ყველა ეს საქონელი მათს საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებად უნდა გაიცეს, მათი ნაწილი კი შეიძლება სრულიად გაუყიდავიც დარჩეს. საწინააღმდეგო მოვლენას ექნება ადგილი, თუ განსაზღვრული სახეობის საქონლის საწარმოებლად გამოყენებული სამუშაო დროის რაოდენობა მეტად მცირეა შედარებით იმ საზოგადოებრივი მოთხოვნილების რაოდენობასთან, რომელიც ამ პროდუქტით უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. — ხოლო თუ განსაზღვრული პროდუქტის საწარმოებლად გამოყენებული საზოგადოებრივი შრომის რაოდენობა დასაკმაყოფილებელი საზოგადოებრივი მოთხოვნილების რაოდენობას შეესაბამება, ისე რომ მოთხოვნის უცვლელობისას წარმოებული პროდუქტის მასა შეესაბამება კვლავწარმოების ჩვეულებრივ მასშტაბს, მაშინ საქონელი მისი საბაზრო ღირებულების მიხედვით გაიყიდება. საქონელთა გაცვლა ანუ გაყიდვა მათი ღირებულების მიხედვით რაციონალური პრინციპია, მათი წონასწორობის ბუნებრივი კანონია; აქედან უნდა გამოვდიოდეთ გადახრათა ასახსნელად და არა, პირიქით, გადახრებისაგან — თვით კანონის გასარკვევად.

ახლა განვიხილოთ საგნის მეორე მხარე, — მოთხოვნა.

საქონელს ყიდულობენ როგორც წარმოების საშუალებას ან როგორც საარსებო საშუალებას იმ მიზნით, რომ მწარმოებლურ ან ინდი-

ვიდუალურ მოხმარებაში გაუშვან, ამასთან არაფერი იცვლება იმით, რომ ზოგიერთი სახეობის საქონელს შეუძლია ორივე მიზანს ემსახუროს. მაშასადამე, ადგილი აქვს საქონლის მოთხოვნას მწარმოებლების მხრივ (აქ: კაპიტალისტების მხრივ, რადგან იგულისხმება, რომ წარმოების საშუალებანი გადაქცეულია კაპიტალად) და მომხმარებლების მხრივ. ერთიც და მეორეც თითქოს იმას გულისხმობს უწინარეს ყოვლისა, რომ მოთხოვნის მხარეზე არის საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა მოცემული რაოდენობა, რომელსაც მეორე მხარეზე შეესაბამება საზოგადოებრივი წარმოების განსაზღვრული რაოდენობა წარმოების სხვადასხვა დარგში. იმისათვის, რომ ბამბეულის მრეწველობამ შეძლოს ხელახლა განახორციელოს თავისი წლიური კვლავწარმოება მოცემული მასშტაბით, საჭიროა ბამბის ჩვეულებრივი რაოდენობა. ხოლო, თუ მხედველობაში მივიღებთ კვლავწარმოების ყოველწლიურ გაფართოებას კაპიტალის დაგროვების გამო, მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, საჭიროა კიდევ ბამბის დამატებითი რაოდენობა. ასევეა საარსებო საშუალებების მიმართაც. მუშათა კლასს, რათა მან თავისი ცხოვრების ჩვეულებრივი დონის მიხედვით განაგრძოს არსებობა, წინანდელი რაოდენობის აუცილებლად საჭირო საარსებო საშუალება მაინც უნდა ჰქონდეს, თუმცა შესაძლოა, მეტნაკლებ სხვაგვარად განაწილებულიც სხვადასხვა სახეობის საქონელთა შორის; და თუ მხედველობაში მივიღებთ მოსახლეობის ყოველწლიურ ზრდას, საჭიროა კიდევ საარსებო საშუალებათა დამატებითი რაოდენობა; ასევე ითქმის, მეტი თუ ნაკლები შესწორებით, სხვა კლასების შესახებაც.

მაშასადამე, ისე ჩანს, თითქოს მოთხოვნის მხარეზე მოიპოვება გარკვეული სიდიდის განსაზღვრული საზოგადოებრივი მოთხოვნილება, რომელიც თავის დასაკმაყოფილებლად საქონლის განსაზღვრულ რაოდენობას საჭიროებს ბაზარზე. მაგრამ ამ მოთხოვნილების რაოდენობრივი განსაზღვრულობა მეტისმეტად ელასტიკური და მერყეევია. მისი სიმყარე მოჩვენებითია. საარსებო საშუალებანი რომ უფრო იაფი ან ფულადი ხელფასი რომ უფრო დიდი იყოს, მუშები ამ საშუალებათაგან მეტს იყიდდნენ, და, ამრიგად, თავს იჩენდა უფრო დიდი «საზოგადოებრივი მოთხოვნილება» ამგვარ საქონელზე; ამასთან ჩვენ სრულიად მხედველობის გარეშე ვტოვებთ პაუპერებს და სხვ., რომელთა «მოთხოვნა» მათი ფიზიკური მოთხოვნილების ყველაზე ვიწრო საზღვარზე დაბლა დგას. მეორე მხრივ, ბამბა რომ, მაგალითად, უფრო იაფი იყოს, ბამბის მოთხოვნა კაპიტალისტების მხრივ გაიზრდებოდა,

ბამბეულის მრეწველობაში მეტი დამატებითი კაპიტალი დაბანდდებოდა და სხვა. ამასთან საერთოდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოთხოვნა მწარმოებლური მოხმარებისათვის ჩვენ მიერ ნაგულისხმევ პირობებში წარმოადგენს მოთხოვნას კაპიტალისტის მხრივ, რომლის ნამდვილ მიზანს ზედმეტი ღირებულების წარმოება შეადგენს, ასე რომ იგი მხოლოდ ამისთვის აწარმოებს განსაზღვრული სახეობის საქონელს. მეორე მხრივ, ეს ხელს არ უშლის იმას, რომ კაპიტალისტი, რამდენადაც იგი ბაზარზე გამოდის როგორც, მაგალითად, ბამბის მყიდველი, ბამბის მომთხოვნელს წარმოადგენს; სწორედ ასევე ბამბის გამყიდველისათვის ხომ სულ ერთია, მყიდველი ბამბას საპერანგე ქსოვილად აქცევს თუ — პიროქსილინად, თუ ამ ბამბით მას თავისი და ქვეყნიერების ყურის დაცობა სწადია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს დიდ გავლენას ახდენს იმაზე, თუ რაგვარ მყიდველს წარმოადგენს იგი. მისი მოთხოვნილება ბამბაზე არსებითად მოდიფიცირებულია იმ გარემოების გამო, რომ ამ მოთხოვნილებით სინამდვილეში შენიღბულია მოგების მიღების მხოლოდ მისი მოთხოვნილება. ფარგლები, რომლებშიც ბ ა ზ ა რ ზ ე წარმოდგენილი მოთხოვნილება საქონლისა — მოთხოვნა — რაოდენობრივად განსხვავებულია ნ ა მ დ ვ ი ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი მოთხოვნილებისაგან, რა თქმა უნდა, სხვადასხვა. საქონლისათვის მეტად სხვადასხვაა; მე მხედველობაში მაქვს განსხვავება მოთხოვნილ საქონელთა რაოდენობასა და იმ რაოდენობას შორის, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, საქონელთა სხვა ფულადი ფასები რომ ყოფილიყო ან მყიდველებს სხვა ფულადი თუ საარსებო პირობები რომ ჰქონოდათ.

იმაზე ადვილი არაფერია, რომ შევიცნოთ მოთხოვნისა და მიწოდების უთანაბრობა და აქედან გამომდინარე საბაზრო ფასების გადახრა საბაზრო ღირებულებათაგან. ნამდვილი სიძნელე იმის განსაზღვრაა, თუ როგორ უნდა გავიგოთ გამოთქმა: მოთხოვნისა და მიწოდების დაფარვა.

მოთხოვნა და მიწოდება იფარება, თუ მათ შორის ისეთი შეფარდებაა, რომ წარმოების განსაზღვრული დარგის საქონელთა მასა შეიძლება გაიყიდოს მათი საბაზრო ღირებულების მიხედვით, — არც მეტად, არც ნაკლებად. აი, ეს არის პირველი, რასაც ჩვენ ამის შესახებ გვეუბნებიან.

მეორე: თუ საქონელთა მასა მათი საბაზრო ღირებულების მიხედვით იყიდება, — მოთხოვნა და მიწოდება იფარება.

თუ მოთხოვნა და მიწოდება ერთიმეორეს ფარავს, ისინი უკვე აღარ მოქმედებენ, და სწორედ ამიტომ საქონელი მისი საბაზრო ღირებულების მიხედვით გაიყიდება. თუ ორი ძალა თანაბრად მოქმედებს საპირისპირო მიმართულებით, — ისინი ერთმანეთს აბათილებენ, სრულებით არ მოქმედებენ გარეთ, და ის მოვლენები, რომელნიც თავს იჩენენ ამ პირობებში, როგორმე სხვაგვარად უნდა აიხსნას და არა ამ ორი ძალის მოქმედებით. რაკი მოთხოვნა და მიწოდება ერთიმეორეს აბათილებს, ისინი უკვე ვეღარაფერს გვიხსნიან, საბაზრო ღირებულებაზე არ მოქმედებენ და ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, თუ რატომ გამოიხატება საბაზრო ღირებულება ფულის სწორედ ამ თანხით და არა სხვა თანხით. კაპიტალისტური წარმოების ნამდვილი შინაგანი კანონები, ცხადია, ვერ აიხსნება მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებით (აღარას ვამბობთ ორივე ამ საზოგადოებრივი მამოძრავებელი ძალის უფრო ღრმა ანალიზზე, რომელზეც შეჩერება აქ უადგილო იქნება), რადგან ეს კანონები მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება წმინდა სახით განხორციელებული, როცა მოთხოვნა და მიწოდება აღარ მოქმედებს, ე. ი. ერთიმეორეს ფარავს. მოთხოვნა და მიწოდება სინამდვილეში არასოდეს არ ფარავს ერთიმეორეს, ანდა, თუ ფარავს, ეს ხდება შემთხვევით, მაშასადამე, მეცნიერული თვალსაზრისით იგი ნულის ტოლად უნდა დავსახოთ, არ არსებულად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ პოლიტიკურ ეკონომიაში იგულისხმება, რომ ისინი ერთიმეორეს ფარავენ. რატომ? ეს ხდება იმისათვის, რომ მოვლენები განვიხილოთ მათი კანონზომიერი, მათი ცნების შესაბამისი სახით, ე. ი. განვიხილოთ იმ გარეგნული მოჩვენებითობისაგან დამოუკიდებლად, რაც მოთხოვნისა და მიწოდების მოძრაობითაა წარმოშობილი. მეორე მხრივ, ეს ხდება იმისათვის, რომ აღმოვაჩინოთ მათი მოძრაობის ნამდვილი ტენდენცია, მოვახდინოთ, ასე ვთქვათ, მისი ფიქსაცია. ვინაიდან ტოლობიდან გადახრებს საპირისპირო ხასიათი აქვთ, და რადგან ისინი მუდამ ერთიმეორეს მიჰყვებიან, ამიტომ ერთმანეთს აწონასწორებენ თავიანთი საპირისპირო მიმართულების გამო, თავიანთი ურთიერთწინააღმდეგობის გამო. ამრიგად, თუ, ერთი მხრივ, მოთხოვნა და მიწოდება არც ერთ მოცემულ შემთხვევაში არ ფარავს ერთიმეორეს, მეორე მხრივ, ტოლობისგან მათი გადახრები ისე მიჰყვებიან ერთიმეორეს, — გადახრა ერთი მიმართულებით იწვევს თავის შედეგად გადახრას საპირისპირო მიმართულებით, — რომ, თუ ჩვენ განვიხილავთ მოძრაობის ჯამს მეტნაკლებ ხანგრძლივი პერიოდისათვის, დავინახავთ, რომ მიწოდება და მოთხოვნა მუდამ ფარავს ერთიმეორეს; მაგრამ ეს შედეგი მიიღება

მხოლოდ როგორც განვლილი მოძრაობის საშუალო გამოსახულება, როგორც მხოლოდ მათი წინააღმდეგობის მუდმივი მოძრაობა. ამ გზით ღირებულებიდან გადახრილი საბაზრო ფასები, მათი საშუალო რიცხვის მიხედვით განხილული, უთანატოლდება საბაზრო ღირებულებას, რადგან გადახრები საბაზრო ღირებულებიდან აბათილებენ ერთმანეთს პლუსის და მინუსის სახით. ეს საშუალო რიცხვი კი სრულიადაც არაა მარტო თეორიული მნიშვნელობის მქონე, არამედ მას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა კაპიტალისათვის, რომლის დაბანდება ნავარაუდევია იმ რყევისა და გათანატოლების საფუძველზე, რასაც ადგილი აქვს მეტნაკლებ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

მაშასადამე, მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდება გვიხსნის, ერთი მხრივ, მხოლოდ საბაზრო ფასების გადახრას საბაზრო ღირებულებიდან და, მეორე მხრივ, ამ გადახრის მოსპობისაკენ, ე. ი. მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდების გავლენის მოსპობისაკენ მიმართულ ტენდენციას. (გამონაკლისი შემთხვევა, როდესაც საქონელს ფასი აქვს, მაგრამ ღირებულება არ აქვს, აქ ჩვენი განხილვის საგანს არ შეადგენს.) იმ გავლენის მოსპობა, რომელსაც იწვევს მოთხოვნის და მიწოდების გადახრა ტოლობიდან, ფრიად სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს. მაგალითად, თუ მოთხოვნა და, მაშასადამე, საბაზრო ფასი დაეცა, ამას შეიძლება ის მოჰყვეს შედეგად, რომ კაპიტალი მოცემულ დარგს მოსცილდება და, ამრიგად, მიწოდება შემცირდება. მაგრამ ამას შეიძლება ის შედეგიც ექნეს, რომ თვით საბაზრო ღირებულება, აუცილებელი სამუშაო დროის შემამცირებელ გამოგონებათა გამო, დაიწევს და ამით საბაზრო ფასს გაუთანატოლდება. პირიქით: თუ მოთხოვნა გადიდდა და, მაშასადამე, საბაზრო ფასმაც საბაზრო ღირებულებაზე მაღლა აიწია, ამას შეიძლება ის მოჰყვეს შედეგად, რომ წარმოების ამ დარგს ბევრი კაპიტალი მოაწყდება და წარმოება ისე გაფართოვდება, რომ თვით საბაზრო ფასი საბაზრო ღირებულებაზე დაბლა დაიწევს; ანდა, მეორე მხრივ, ამან შეიძლება ფასის აწევა გამოიწვიოს, რაც თვით მოთხოვნას შეამცირებს. ამას შეიძლება წარმოების ამა თუ იმ დარგში შედეგად ისიც მოჰყვეს, რომ თვით საბაზრო ღირებულება მეტნაკლებ გრძელი პერიოდების განმავლობაში გაიზრდება, რადგან მოთხოვნილ პროდუქტთა ნაწილი ამ ხნის განმავლობაში უფრო ცუდ პირობებში უნდა აწარმოონ.

თუ მოთხოვნა და მიწოდება განსაზღვრავს საბაზრო ფასს, — მეორე მხრივ, საბაზრო ფასი და — შემდგომი ანალიზით — საბაზრო ღირებულება განსაზღვრავს მოთხოვნას და მიწოდებას. მოთხოვნის მიმართ ეს თავისთავად ცხადია, რადგან იგი ფასების საპირისპირო მიმართუ-

ლებით მოძრაობს: მატულობს, როცა ეს უკანასკნელი კლებულობს, და პირიქით. მაგრამ ასეა მიწოდების მიმართაც. მართლაც, წარმოების საშუალებათა ფასები, რომელნიც მიწოდებულ საქონელში შედიან, განსაზღვრავს წარმოების ამ საშუალებათა მოთხოვნას და, მაშასადამე, იმ საქონელთა მიწოდებასაც, რომელთა მიწოდება წარმოების ამ საშუალებათა მოთხოვნას შეიცავს. ბამბის ფასებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ ბამბის ქსოვილთა მიწოდებისათვის.

ცნებათა ამ არევ-დარევას — ფასების განსაზღვრას მოთხოვნითა და მიწოდებით და ამასთან ერთად მოთხოვნისა და მიწოდების განსაზღვრას ფასებით — ემატება კიდევ ის, რომ მოთხოვნა განსაზღვრავს მიწოდებას, და, პირიქით, მიწოდება — მოთხოვნას; წარმოება განსაზღვრავს ბაზარს და ბაზარი წარმოებას [31].

---

[31] დიდ უაზრობას შეიცავს შემდეგი «გონებამახვილობა»: «თუ რომელიმე პროდუქტის საწარმოებლად საჭირო ხელფასის, კაპიტალისა და მიწის რაოდენობა იცვლება წინანდელ სიდიდესთან შედარებით, იცვლება აგრეთვე ისიც, რასაც ადამ სმიტი პროდუქტის ბუნებრივ ფასს უწოდებს, და ის ფასი, რომელიც თავდაპირველად მისი ბუნებრივი ფასი იყო, ახლა, ამ ცვლილების გამო, მის საბაზრო ფასად იქცევა; თუმცა, შესაძლოა, არც მიწოდება შეიცვალოს და არც მოთხოვნილი საქონლის რაოდენობა» (ერთიც და მეორეც იცვლება აქ სწორედ იმიტომ, რომ ღირებულების ცვლილების გამო იცვლება საბაზრო ღირებულება ანუ — რაზედაც ა. სმიტი ნამდვილად ლაპარაკობს — წარმოების ფასი), «მაგრამ ეს მიწოდება ახლა ზედმიწევნით აღარ შეესატყვისება იმ პირთა მოთხოვნას, რომელთაც შეუძლიათ და სურთ წარმოების ახლანდელი ხარჯების გადახდა, არამედ იმაზე მეტია ან ნაკლები, ასე რომ პროპორცია მიწოდებასა და წარმოების ახალი ხარჯების მიხედვით არსებულ ფაქტიურ მოთხოვნას შორის განსხვავდება წინანდელისაგან. ამის შედეგად, თუ წინ რაიმე დაბრკოლება არ გადაეღობა, შეიცვლება მიწოდების ოდენობა, რაც ბოლოს და ბოლოს საქონელს მის ახალ ბუნებრივ ფასზე დაიყვანს. რადგან საქონელი თავისი მიწოდების ცვლილების გზით აღწევს თავის ბუნებრივ ფასს, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ მართებულად ეჩვენოს ის აზრი, რომ ეს ბუნებრივი ფასი იმდენადვე არსებობს მოთხოვნისა და მიწოდების განსაზღვრული პროპორციის მეოხებით, რამდენადაც საბაზრო ფასი არსებობს სხვა პროპორციის მეოხებით, და რომ, მაშასადამე, ბუნებრივი ფასი სავსებით ისე, როგორც საბაზრო ფასი, დამოკიდებულია მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთშეფარდებაზე». («მოთხოვნისა და მიწოდების დიადი პრინციპი ამოქმედებულია, რათა განსაზღვროს ის, რასაც ად. სმიტი ბუნებრივ ფასს და ასევე საბაზრო ფასს უწოდებს». — მალთუსი) (**«Observations on Certain Verbal Disputes etc.». London 1821**, გვ. 60, 61) ბრძენ ავტორს არ ესმის, რომ ამ შემთხვევაში სწორედ **«cost of production»**-ის [«წარმოების ხარჯების»] და, მაშასადამე, აგრეთვე ღირებულების ცვლილება ცვლის მოთხოვნას და, მაშასადამე, მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდებას, და რომ მოთხოვნის ამ ცვლილებას შეუძლია გამოიწვიოს მიწოდების ცვლილება; ეს კი სწორედ იმის საწინააღმდეგოს დამტკიცებდა, რისა დამტკიცებაც ამ ჩვენ მოაზროვნეს სურს; სახელდობრ ეს იმას დამტკიცებდა,

ორდინარულ ეკონომისტსაც კი (იხ. შენიშვნა) ესმის, რომ მოთხოვნის თუ მიწოდების ცვლილების გარეშეც, რაც გარეგანი გარემოებითაა გამოწვეული, შეფარდება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეიძლება შეიცვალოს საქონელთა საბაზრო ღირებულების ცვლილების ზეგავლენით. ისიც კი იძულებულია აღიაროს, რომ, როგორიც არ უნდა იყოს საბაზრო ღირებულება, მოთხოვნა და მიწოდება უნდა გაწონასწორდეს, რათა ამ ღირებულების რეალიზაცია მოხდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის და მიწოდების შეფარდება კი არ აგვიხსნის საბაზრო ღირებულებას, არამედ, პირიქით, საბაზრო ღირებულება აგვიხსნის მოთხოვნისა და მიწოდების რყევას. «Observations»-ის ავტორი ციტირებული ადგილის შემდეგ სქოლიოში განაგრძობს: «მაგრამ ეს პროპორცია» (მოთხოვნასა და მიწოდებას შორის), — «თუ ჩვენ «მოთხოვნად» და «ბუნებრივ ფასად» კვლავ იმას ვიგულისხმებთ, რაც აქამდე ვგულისხმობდით, როცა კი ა. სმიტს ვიმოწმებდით, — ყოველთვის ტოლობის შეფარდება უნდა იყოს; იმიტომ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მიწოდება უდრის ნამდვილ მოთხოვნას, ე. ი. იმ მოთხოვნას, რომელსაც ბუნებრივ ფასზე არც მეტი და არც ნაკლები არ სურს გადაიხადოს, — მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ნამდვილად გადახდილ იქნეს ბუნებრივი ფასი; მაშასადამე, სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე საქონელს შეიძლება ორი სხვადასხვა ბუნებრივი ფასი ჰქონდეს, და მაინც შეფარდება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ორივე შემთხვევაში შეიძლება იგივე იყოს, სახელდობრ ტოლობის შეფარდება [გვ. 61]. ამრიგად, აქ აღიარებულია, რომ ერთი და იმავე საქონლის ორი სხვადასხვა «natural prices»-ის [«ბუნებრივი ფასის»] არსებობისას სხვადასხვა დროს მოთხოვნა და მიწოდება შეიძლება ყოველთვის ერთიმეორეს ფარავდეს და უნდა ფარავდეს კიდეც, რათა საქონელი ორივე შემთხვევაში მისი natural price-ს მიხედვით გაიყიდოს. მაგრამ რადგან ორივე შემთხვევაში მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდება სრულიადაც არ იცვლება, არამედ იცვლება თვით natural price-ს სიდიდე, ამიტომ ეს უკანასკნელი, ცხადია, მოთხოვნისა და მიწოდებისგან დამოუკიდებლადაა განსაზღვრული და ამიტომ ყველაზე ნაკლებ შეიძლება მოთხოვნისა და მიწოდების მიერ განისაზღვრებოდეს.

რომ წარმოების ხარჯების ცვლილებას სრულიადაც არ არეგულირებს მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდება, არამედ, პირიქით, თვით ცვლილება არეგულირებს ამ შეფარდებას.

საქონელი მისი საბაზრო ღირებულების მიხედვით, ე. ი. მასში მოქცეული საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის მიხედვით რომ გაიყიდოს, ამისთვის მთელი საზოგადოებრივი შრომის რაოდენობა, რომელიც მოცემული სახეობის საქონელთა მთელ მასაზეა დახარჯული, უნდა შეესაბამებოდეს ამ საქონელთა საზოგადოებრივი მოთხოვნილების რაოდენობას, ე. ი. გადახდისუნარიანი საზოგადოებრივი მოთხოვნილების რაოდენობას. კონკურენცია, საბაზრო ფასების რყევა, რომელიც მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდების რყევას შეესაბამება, მუდამ იქითკენ მიისწრაფვის, რომ ამ ზომაზე დაიყვანოს თვითეული სახეობის საქონელზე დახარჯული შრომის მთელი რაოდენობა.

საქონელთა მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთობაში მეორდება, ჯერ ერთი, ურთიერთობა სახმარ ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას შორის, საქონელსა და ფულს შორის, მყიდველსა და გამყიდველს შორის; მეორე, — ურთიერთობა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, თუმცა ორივე ესენი შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ მესამე პირების — ვაჭრების — მიერ. მყიდველისა და გამყიდველის განხილვისას საკმარისია ისინი ცალ-ცალკე ერთიმეორეს დავუპირისპიროთ, რომ ეს ურთიერთობა განვითარებული სახით წარმოგვიდგეს. საქონლის სრული მეტამორფოზისათვის და, მაშასადამე, მთლიანად გაყიდვისა და ყიდვის პროცესისათვის საკმარისია სამი პიროვნება. *A* თავის საქონელს გარდაქმნის *B*-ს ფულად, როცა იგი ამ საქონელს *B*-ს მიჰყიდის, და თავის ფულს ხელახლა გარდაქმნის საქონლად, რომელსაც ამ ფულით *C*-საგან ყიდულობს; მთელი პროცესი ამ სამ პიროვნებას შორის მიმდინარეობს. შემდეგ: ფულის განხილვისას ნაგულისხმევი იყო, რომ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება, რადგან არავითარი საფუძველი არ გვქონდა მხედველობაში მიგვეღო ღირებულებიდან გადახრილი ფასები, რაკი საქმე შეეხებოდა მხოლოდ ფორმის იმ ცვლილებებს, რომლებსაც საქონელი გაივლის, როდესაც ფულად იქცევა და ფულიდან ხელახლა საქონლად გადაიქცევა. როგორც კი საქონელი საერთოდ გაიყიდება და აღებული ფულით ახალი საქონელი შეისყიდება, ჩვენ თვალწინ გვაქვს მთელი მეტამორფოზი, და ამ მეტამორფოზისათვის, როგორც ასეთისათვის, სავსებით სულ ერთია, საქონლის ფასი მის ღირებულებაზე მაღლა დგას თუ დაბლა. საქონლის ღირებულება ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას როგორც ძირითადი საფუძველი, რადგან ფული მხოლოდ ამ საფუძვლიდან შეიძლება იქნეს განყენებულად განვითარებული, და ფასი თავისი ზოგადი ცნების მიხედვით უწინარეს ყოვლისა

მხოლოდ ღირებულების ფულადი ფორმაა. მართალია, ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, განხილვისას იგულისხმება, რომ ადგილი აქვს საქონლის არა მარტო ერთ მეტამორფოზს. პირიქით, აქ ამ მეტამორფოზთა საზოგადოებრივი გადახლართულობა განიხილება. მხოლოდ ამ გზით მივდივართ ჩვენ ფულის ტრიალთან და ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქციის განვითარებასთან. მაგრამ რამდენადაც ეს კავშირი მნიშვნელოვანია იმის განხილვისას, თუ როგორ გადადის ფული მიმოქცევის საშუალების ფუნქციის შესრულებაზე და როგორია აქედან გამომდინარე მისი შეცვლილი სახე, იმდენადვე უმნიშვნელოა იგი ცალკეულ მყიდველთა და გამყიდველთა შორის გარიგების განხილვისას.

პირიქით, მიწოდებისა და მოთხოვნის განხილვისას ჩვენ ვხედავთ, რომ მიწოდება უდრის განსაზღვრული სახეობის საქონლის გამყიდველთა, ანუ მწარმოებელთა, ჯამს და მოთხოვნა უდრის იმავე სახეობის საქონლის მყიდველთა, ანუ მომხმარებელთა (ინდივიდუალურ თუ მწარმოებელ მომხმარებელთა) ჯამს. და ამასთან ეს ჯამი მოქმედებს ერთიმეორეზე როგორც ერთიანობა, როგორც აგრეგატული ძალები. ცალკეული პიროვნება მოქმედებს აქ მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი ძალის ნაწილი, როგორც მთელი მასის ატომი, — და სწორედ ამ ფორმით ამჟღავნებს კონკურენცია წარმოებისა და მოხმარების საზოგადოებრივ ხასიათს.

კონკურენტთა ის მხარე, რომელიც მოცემულ მომენტში უფრო სუსტია, იმავე დროს ის მხარეა, სადაც თვითეული ცალკეული პიროვნება თავის მეტოქეთა მასისაგან დამოუკიდებლად, ხშირად კი პირდაპირ მათ წინააღმდეგ მოქმედებს, და სწორედ ამით საგრძნობს ხდის ცალკეული კონკურენტის დამოკიდებულებას სხვებზე, მაშინ როდესაც უფრო ძლიერი მხარე ყოველთვის მეტნაკლებ შემჭიდროებული ერთიანობის სახით უპირისპირდება თავის მოწინააღმდეგეთ. თუ ამ განსაზღვრული სახეობის საქონლის მოთხოვნა უფრო დიდია, ვიდრე მიწოდება, მაშინ — გარკვეულ ფარგლებში — ერთი მყიდველი ცდილობს მეორე მყიდველს გამოაცალოს საქონელი ფასში შეცილების გზით და ამგვარად საქონელს ყველასთვის აძვირებს საბაზრო ღირებულებაზე მეტად, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, გამყიდველები ერთად ცდილობენ საქონელი მაღალ საბაზრო ფასში გაყიდონ. თუ, პირიქით, მიწოდება მოთხოვნაზე უფრო დიდია, მაშინ ერთი იწყებს საქონლის უფრო იაფად დათმობას, და სხვები იძულებულნი არიან მას მიჰყვნენ, მაშინ როდესაც მყიდველები ერთად ცდილობენ საბაზრო ფასი რაც

შეიძლება საბაზრო ღირებულებაზე დაბლა დასწიონ. თანაამხანაგები თვითეულს მხოლოდ მანამდე აინტერესებს, სანამ მათთან ერთად ყოფნით მეტ მოგებას იღებს, ვიდრე მათ წინააღმდეგ ყოფნით. მოქმედების ერთიანობა მაშინვე ისპობა, როდესაც მოცემული მხარე, როგორც ასეთი, მოწინააღმდეგეზე უფრო სუსტი ხდება, მაშინ ყოველი ცალკეული პიროვნება ცდილობს რაც შეიძლება უკეთესად მოეწყოს საკუთარი ძალ-ღონით. შემდეგ, თუ ერთი მეტოქეთაგანი უფრო იაფად აწარმოებს და შეუძლია მეტი საქონელი გაასაღოს, ბაზარზე მეტ ადგილს დაეუფლოს თავისი საქონლის არსებულ საბაზრო ფასზე ან საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებად გაყიდვისას, მაშინ იგი ასეც იქცევა და ამგვარად იწყებს მოქმედებას, რაც თანდათან აიძულებს სხვებს წარმოების უფრო იაფი მეთოდი შემოიღონ და რასაც საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა ახალ, უფრო მცირე რაოდენობაზე დაჰყავს. თუ ერთ მხარეს უპირატესობა აქვს, მაშინ ყველა, ვინც მას ეკუთვნის, მოგებას ნახულობს; საქმე აქ ისეა, თითქოს ყველანი საერთო მონოპოლიას ახორციელებდნენ. თუ განსაზღვრული მხარე უფრო სუსტი აღმოჩნდება, თვითეულს შეუძლია თავისი საკუთარი ძალ-ღონით შეეცადოს მეტოქეზე უფრო ძლიერი გახდეს (მაგალითად, ვინც წარმოების ნაკლები ხარჯებით მუშაობს) ანდა, ყოველ შემთხვევაში, რაც შეიძლება იოლად გამოვიდეს გაჭირვებიდან, და მაშინ მას უკვე აღარაფერი ესაქმება თავის მეზობელთან, თუმცა მისი მოქმედება არა მარტო მას, არამედ ყველა მის თანაამხანაგს შეეხება [32].

მოთხოვნა და მიწოდება გულისხმობს ღირებულების გარდაქმნას საბაზრო ღირებულებად, და, რამდენადაც მათი მოქმედება კაპიტალისტურ ბაზისზე ხდება, რამდენადაც საქონელი კაპიტალის პროდუქტს შეადგენს, მოთხოვნა და მიწოდება გულისხმობს კაპიტალისტურ წარმოების პროცესს, მაშასადამე, სრულიად სხვაგვარ დახლართულ ურთიერთობას, ვიდრე საქონელთა უბრალო ყიდვა და გაყიდვა არის. აქ საქმე ეხება არა საქონელთა ღირებულების ფორმალურ გარ-

---

[32] «თუ ჯგუფის თვითეულ წევრს არასგზით არ შეუძლია ჯგუფის მოგებიდან ან ქონებიდან განსაზღვრულ წილზე ან სათანადო ნაწილზე მეტი მიიღოს, იგი ხალისით შეუერთდება სხვებს, რათა მოგება გაიდიდოს» (ამას იგი აკეთებს კიდეც, როცა მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდება ამის ნებას აძლევს; «ესაა მონოპოლია. მაგრამ თუ თვითეული ფიქრობს, რომ მას შეუძლია რაიმე გზით თავისი საკუთარი წილის აბსოლუტური სიდიდე გაადიდოს, თუნდაც ისეთი საშუალებით, რომელიც მთელ რაოდენობას შეამცირებს, იგი ხშირად ასე მოიქცევა; ესაა კონკურენცია» («An Inquiry into those Principles Respecting the Nature of Demand etc.». London 1821, გვ. 105).

დაქმნას ფასად, ე. ი. არა მარტო უბრალო ფორმაცვლას, არამედ საბაზრო ფასების განსაზღვრულ რაოდენობრივ გადახრას საბაზრო ღირებულებიდან და, შემდეგ, წარმოების ფასებიდან. უბრალო ყიდვისა და გაყიდვის დროს საკმარისია საქონელმწარმოებლები, როგორც ასეთნი, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მოთხოვნა და მიწოდება, შემდგომი ანალიზისას, გულისხმობს სხვადასხვა კლასებისა და კლასთა ფენების არსებობას, რომელნიც საზოგადოების მთელ შემოსავალს თავიანთ შორის ინაწილებენ და როგორც შემოსავალს მოიხმარებენ, რომელნიც, მაშასადამე, ამ შემოსავლით განსაზღვრულ მოთხოვნას ქმნიან; ხოლო, მეორე მხრივ, მოთხოვნისა და მიწოდების გასაგებად, რომელსაც მწარმოებლები, როგორც ასეთნი, ქმნიან ერთმანეთს შორის, საჭიროა კაპიტალისტური წარმოების პროცესის მთლიანი წყობის გაგება.

კაპიტალისტური წარმოების დროს საქმე შეეხება არა მხოლოდ იმას, რომ იმ ღირებულების მასის სამაგიეროდ, რომელიც საქონლის ფორმით მიმოქცევაში იყო გადასროლილი, ტოლი ღირებულების მასა იქნეს სხვა ფორმით — ფულის თუ საქონლის სახით — მიღებული, არამედ საქმე შეეხება იმას, რომ წარმოებაში ავანსებულ კაპიტალზე იგივე ზედმეტი ღირებულება, ანუ მოგება მიიღონ, რაც უწევს იმავე სიდიდის ყველა კაპიტალს, ან მისი სიდიდის pro rata [შესაბამისად], სულ ერთია — წარმოების რომელ დარგშიაც უნდა იყოს ეს კაპიტალი გამოყენებული; მაშასადამე, საქმე შეეხება იმას, რომ საქონელი, სულ ცოტა, ისეთ ფასში მაინც გაიყიდოს, რომელიც საშუალო მოგებას იძლევა, ე. ი. გაიყიდოს წარმოების ფასში. ამ ფორმაში კაპიტალი თვით შეიცნობს თავის თავს როგორც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ძ ა ლ ა ს, რომელშიაც თვითეულ კაპიტალისტს საზოგადოებრივ ერთობლივ კაპიტალში თავისი მონაწილეობის პროპორციულად საკუთარი წილი აქვს.

ჯერ ერთი, კაპიტალისტური წარმოება თავისთავად სრულიად ინდიფერენტულია განსაზღვრული სახმარი ღირებულების მიმართ, საერთოდ იმ საქონლის სპეციფიკური თავისებურების მიმართ, რომელსაც იგი აწარმოებს. წარმოების თვითეულ სფეროში მისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ისაა, რომ ზედმეტი ღირებულება აწარმოოს, შრომის პროდუქტში გადაუხდელი შრომის განსაზღვრული რაოდენობა მიითვისოს. ასევე დაქირაველებული შრომაც, რომელიც კაპიტალს ექვემდებარება, თავისი ბუნების მიხედვით სრულიად ინდიფერენტულია თავისი საქმიანობის სპეციფიკური ხასიათის მიმართ, იგი სახეს უნდა

იცვლიდეს კაპიტალის მოთხოვნილებათა მიხედვით და შესაძლებელი უნდა იყოს მისი გადასროლა წარმოების ერთი სფეროდან მეორეში.

მეორე, წარმოების ერთი სფერო სინამდვილეში ისევე კარგია და ისევე ცუდი, როგორც მეორე; თვითეული იმავე მოგებას იძლევა და თვითეული მიზანს მოკლებული იქნებოდა, თუ მის მიერ წარმოებული საქონელი რაიმე სახის საზოგადოებრივ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებდა.

მაგრამ, როდესაც საქონელი მისი ღირებულების მიხედვით იყიდება, მაშინ, როგორც ეს უკვე ზემოთაა ნაჩვენები, მოგების ფრიად სხვადასხვა ნორმა წარმოდგება წარმოების სხვადასხვა სფეროში მათში დაბანდებული კაპიტალის მასათა სხვადასხვა ორგანული შედგენილობის მიხედვით. მაგრამ კაპიტალი შორდება მოგების დაბალი ნორმის მქონე სფეროს და აწყდება მეორეს, რომელიც უფრო დიდ მოგებას იძლევა. ამ მუდმივი ემიგრაციითა და იმიგრაციით, ერთი სიტყვით, თავისი განაწილებით სხვადასხვა სფეროს შორის, იმისდა მიხედვით, თუ სად ეცემა მოგების ნორმა და სად აიწევს, — კაპიტალი მიწოდების და მოთხოვნის ისეთ შეფარდებას ახორციელებს, რომ წარმოების სხვადასხვა სფეროში ერთი და იგივე საშუალო მოგება იქმნება, და ამიტომ ღირებულება წარმოების ფასად გარდაიქმნება. ამ გათანატოლების განხორციელებას კაპიტალი ახერხებს მეტნაკლებად მით უფრო სრულად, რაც უფრო მაღალია კაპიტალისტური განვითარება მოცემულ ეროვნულ საზოგადოებაში, ე. ი. რაც უფრო შეგუებულია სათანადო ქვეყნის წყობილება კაპიტალისტური წარმოების წესს. კაპიტალისტური წარმოების პროგრესთან ერთად ვითარდება ამ წარმოების პირობებიც; ეს წარმოება იწვევს იმას, რომ მის სპეციფიკურ ხასიათსა და მის იმანენტურ კანონებს ექვემდებარება იმ საზოგადოებრივ წანამძღვართა ერთობლიობა, რომელთა ფარგლებში ხორციელდება წარმოების პროცესი.

მუდმივ უთანატოლობათა მუდმივი გათანატოლება მით უფრო სწრაფად ხდება, 1) რაც უფრო მოძრავია კაპიტალი, ე. ი. რაც უფრო ადვილად შეიძლება მისი გადატანა ერთი სფეროდან და ერთი ადგილიდან მეორეში; 2) რაც უფრო სწრაფად შეიძლება სამუშაო ძალის გადასროლა ერთი სფეროდან მეორეში, წარმოების ერთი ადგილობრივი ცენტრიდან მეორეში. 1-ლი პუნქტი გულისხმობს ვაჭრობის სრულ თავისუფლებას საზოგადოების შიგნით და ყველა მონოპოლიის მოსპობას, გარდა ბუნებრივისა, სახელდობრ იმ მონოპოლიათა მოსპობას, რომელთაც თვით კაპიტალისტური წარმოების წესი წარმოშობს.

შემდეგ, იგი გულისხმობს საკრედიტო სისტემის განვითარებას, რომელიც ახდენს თავისუფალი საზოგადოებრივი კაპიტალის დაქსაქსული მასის კონცენტრაციას და ამ მასას ცალკეულ კაპიტალისტებს უპირისპირებს; დასასრულ, იგი გულისხმობს წარმოების სხვადასხვა სფეროს დაქვემდებარებას კაპიტალისტებისადმი. ამ დაქვემდებარებას უკვე შეიცავს ჩვენ მიერ მიღებული წანამძღვარი, რაკი ჩვენ ვიგულისხმეთ, რომ საქმე შეეხება ღირებულებათა გადაქცევას წარმოების ფასებად წარმოების ყველა სფეროში, რომელთა ექსპლოატაცია კაპიტალისტურად წარმოებს; მაგრამ თვით ეს გათანატოლება დიდ დაბრკოლებებს ხვდება, თუ კაპიტალისტურ საწარმოებს შორის შეჭრილია და მათთან გადახლართულია წარმოების მრავალი და მასობრივი ხასიათის მატარებელი დარგი, რომლებიც არაკაპიტალისტურადაა წარმართული (მაგალითად. წვრილ გლეხთა მიწათმოქმედება). დასასრულ, გულისხმობს მოსახლეობის დიდ სიმჭიდროვეს. — მე-2 პუნქტი გულისხმობს: ყველა კანონის მოსპობას, რომელიც ხელს უშლის მუშების გადასვლას წარმოების ერთი სფეროდან მეორეში და წარმოების ერთი ადგილობრივი ცენტრიდან მეორეში. მუშის ინდიფერენტულ დამოკიდებულებას თავისი შრომის შინაარსისადმი; შრომის რაც შეიძლება მეტ დაყვანას მარტივ შრომაზე წარმოების ყველა სფეროში; მუშების განთავისუფლებას ყველა პროფესიული ცრურწმენისაგან; დასასრულ და განსაკუთრებით, მუშის დაქვემდებარებას კაპიტალისტური წარმოების წესისადმი. ამ საკითხის შემდგომი ანალიზი ეკუთვნის კონკურენციის სპეციალურ გამოკვლევას.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ყოველი ცალკეული კაპიტალისტი, ისევე როგორც წარმოების ყოველი ცალკეული სფეროს ყველა კაპიტალისტთა ერთობლიობაც, მონაწილეობს მთელი კაპიტალის მიერ მთელ მუშათა კლასის ექსპლოატაციაში და ამ ექსპლოატაციის ხარისხში, და მონაწილეობს არა მარტო საერთო კლასობრივი სიმპათიის გამო, არამედ უშუალოდ ეკონომიურადაც; იმიტომ რომ, — თუ ყველა სხვა გარემოებას და მათ შორის მთელი ავანსებული მუდმივი კაპიტალის ღირებულებას მოცემულად ვიგულისხმებთ, — მოგების საშუალო ნორმა დამოკიდებულია ერთობლივი კაპიტალის მიერ ერთობლივი შრომის ექსპლოატაციის ხარისხზე.

საშუალო მოგება ემთხვევა საშუალო ზედმეტ ღირებულებას, რომელსაც კაპიტალი ყოველ 100-ზე აწარმოებს, და ზედმეტი ღირებულების მიმართ ზემონათქვამი თავისთავად გასაგებია. რაც შეეხება საშუალო მოგებას, აქ მოგების ნორმის ერთ-ერთი განმსაზღვრელი

ზომენტის სახით ემატება კიდევ მხოლოდ ავანსებული კაპიტალის ღირებულება. მართლაც, სპეციალური ინტერესი, რომელიც წარმოების განსაზღვრული სფეროს კაპიტალისტს ან კაპიტალს აქვს უშუალოდ მის მიერ დასაქმებული მუშების ექსპლოატაციისადმი, შემოისაზღვრება იმით, რომ არაჩვეულებრივად ზომაგადაჭარბებული შრომის საშუალებით, ან ხელფასის დაწევით საშუალო დონეზე დაბლა, ანდა გამოყენებული შრომის არაჩვეულებრივი ნაყოფიერების საშუალებით მიიღონ არაჩვეულებრივად დიდი სარფა, — ისეთი მოგება, რომელიც საშუალოს აღემატება. თუ ამ გარემოებას ყურადღების გარეშე დავტოვებთ, ის კაპიტალისტიც კი, რომელიც წარმოების თავის სფეროში სრულიად არ გამოიყენებდა ცვალებად კაპიტალს და, მაშასადამე, არც მუშებს (რაც სინამდვილეში, რასაკვირველია, შეუძლებელია), სრულიად ისევე ძალიან იქნებოდა დაინტერესებული მუშათა კლასის ექსპლოატაციით კაპიტალის მიერ და სრულიად ისევე მიიღებდა თავის მოგებას გადაუხდელი ზედმეტი შრომიდან, როგორც ის კაპიტალისტი, რომელიც (ესეც სინამდვილეში შეუძლებელი ვარაუდია) მხოლოდ ცვალებად კაპიტალს გამოიყენებდა, მაშასადამე, მთელ თავის კაპიტალს ხელფასზე დახარჯავდა. მაგრამ შრომის ექსპლოატაციის ხარისხი, როცა სამუშაო დღე მოცემულია, დამოკიდებულია შრომის საშუალო ინტენსივობაზე, ხოლო როცა ინტენსივობა მოცემულია — სამუშაო დღის ხანგრძლიობაზე. შრომის ექსპლოატაციის ხარისხზე დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების ნორმის სიმაღლე, მაშასადამე, როცა ცვალებადი კაპიტალის მთელი მასა მოცემულია,— ზედმეტი ღირებულების სიდიდე და ამით მოგების სიდიდეც. ის სპეციალური ინტერესი, რაც განსაზღვრული სფეროს კაპიტალს აქვს — ერთობლივი კაპიტალისგან განსხვავებით — სპეციალურად მის მიერ დასაქმებული მუშების ექსპლოატაციისადმი, აქვს აგრეთვე ცალკეულ კაპიტალისტს — ზთელი მისი სფეროს კაპიტალისგან განსხვავებით — პირადად მის მიერ დასაქმებული მუშების ექსპლოატაციისადმი.

მეორე მხრივ, ყოველი ცალკეული სფეროს კაპიტალი და ყოველი ცალკეული კაპიტალისტი ერთნაირადაა დაინტერესებული ერთობლივი კაპიტალის მიერ გამოყენებული საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებით. ეს იმიტომ, რომ ამაზეა დამოკიდებული ორი რამ: ჯერ ერთი, სახმარ ღირებულებათა მასა, რომლითაც საშუალო მოგება გამოიხატება; ეს კი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან მოგება შეადგენს როგორც ახალი კაპიტალის დაგროვების ფონდს, ისე შემოსავლის იმ

ფონდსაც, რომელიც მოხმარებისთვისაა განკუთვნილი. მეორე, ავანსებული ერთობლივი კაპიტალის (მუდმივის და ცვალებადის) ღირებულების სიდიდე, რომელიც, — როცა კაპიტალისტთა მთელი კლასის ზედმეტი ღირებულების, ანუ მოგების სიდიდე მოცემულია, — განსაზღვრავს მოგების ნორმას, ანუ მოგებას გარკვეული ოდენობის კაპიტალზე. შრომის განსაკუთრებული ნაყოფიერება წარმოების განსაზღვრულ ცალკეულ სფეროში ან განსაზღვრულ ცალკეულ საწარმოში აინტერესებს მხოლოდ იმ კაპიტალისტებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქმეში, რამდენადაც შრომის ეს ნაყოფიერება დამატებითი მოგების შესაძლებლობას უქმნის ცალკეულ სფეროს, ერთობლივ კაპიტალთან შედარებით, ან ცალკეულ კაპიტალისტს, მის სფეროსთან შედარებით.

ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს მათემატიკურად ზუსტი დამტკიცება იმისა, თუ რატომაა, რომ კაპიტალისტები, რომლებიც ესოდენ ორგუული ძმები არიან ერთმანეთისთვის ურთიერთშორის კონკურენციის დროს, ჭეშმარიტად მასონურ ძმურ კავშირს შეადგენენ მთელი მუშათა კლასის წინააღმდეგ.

წარმოების ფასი შეიცავს საშუალო მოგებას. ჩვენ მას წარმოების ფასი ვუწოდეთ; ფაქტიურად ის იგივეა, რასაც ა. სმიტი «natural price»-ს [«ბუნებრივ ფასს»], რიკარდო — «price of production»-ს, «cost of production»-ს [«წარმოების ფასს», «წარმოების ხარჯებს»] ფიზიოკრატები — «prix nécessaire»-ს [«აუცილებელ ფასს»] უწოდებენ, — თუმცა არც ერთ მათგანს არ გაურკვევია წარმოების ფასის განსხვავება ღირებულებისგან, — რადგან წარმოების ფასი მუდმივი პირობაა საქონელთა მიწოდების და კვლავწარმოებისა წარმოების ყოველ ცალკეულ სფეროში [33]. გასაგებია აგრეთვე, თუ რატომაა, რომ სწორედ იგივე ეკონომისტები, რომლებიც ყალყზე დგებიან იმის წინააღმდეგ, რომ საქონელთა ღირებულების განმსაზღვრელად აღიარებულ იქნეს სამუშაო დრო, მათში მოქცეული შრომის რაოდენობა, ყოველთვის ლაპარაკობენ წარმოების ფასზე, როგორც ისეთ ცენტრზე, რომლის ირგვლივაც მერყეობს საბაზრო ფასები. მათ შეუძლიათ ამის ნება მისცენ თავიანთ თავს, რადგან წარმოების ფასი საქონლის ღირებულების უკვე სავსებით გარეგნული და prima facie [აშკარად] შინაარსს მოკლებული ფორმაა, ისეთი ფორმა, რომლითაც საქონელი გამოდის კონკურენციის პროცესში, მაშასადამე, აისახება ვულგარული

[33] Malthus [«Principles of Political Economy». London 1836, გვ. 77 და შემდ.].

კაპიტალისტის ცნობიერებაში და ამიტომ აგრეთვე ვულგარული ეკონომისტების ცნობიერებაშიც.

ზემონათქვამიდან დავინახეთ, თუ როგორ ხდება, რომ საბაზრო ღირებულება (ყველაფერი, რაც მის შესახებ ითქვა ძალაში რჩება, აუცილებელი შეზღუდვით, წარმოების ფასის მიმართაც) შეიცავს იმ მწარმოებელთა დამატებითს მოგებას, რომელნიც საუკეთესო პირობებში ეწევიან წარმოებას წარმოების თვითეულ განსაკუთრებულ სფეროში. კრიზისებისა და საერთოდ ჭარბწარმოების შემთხვევების გამოკლებით, ეს ძალაშია ყველა საბაზრო ფასის მიმართ, რაგინდ ძლიერ არ უნდა იხრებოდეს ეს ფასები საბაზრო ღირებულებიდან ან საბაზრო წარმოების ფასებიდან. სახელდობრ, საბაზრო ფასი გულისხმობს, რომ განსაზღვრული სახეობის ყველა საქონელში თანაბარ ფასს იხდიან, თუმცა ისინი შეიძლება ფრიად სხვადასხვა ინდივიდუალურ პირობებში იყვნენ წარმოებული და, მაშასადამე, შეიძლება მათ ფრიად სხვადასხვა ხარჯთფასიც ჰქონდეთ. (დამატებითი მოგების შესახებ, რაც მიიღება იმის შედეგად, რომ არსებობს ხელოვნური თუ ბუნებრივი მონოპოლიები სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ.)

მაგრამ დამატებითი მოგება შეიძლება, გარდა ამისა, კიდევ წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ წარმოების განსაზღვრული სფეროები ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ შეუძლიათ თავი აარიდონ თავიანთ საქონელღირებულებათა გარდაქმნას წარმოების ფასებად და ამიტომ თავიანთი მოგების საშუალო მოგებაზე დაყვანასაც. განყოფილებაში მიწის რენტის შესახებ ჩვენ განვიხილავთ დამატებითი მოგების ამ ორივე ფორმის შემდგომ სახეცვლას.

თავი მეთერთმეტე

ხელფასის საუოველთაო რყევის გავლენა წარმოების ფასებზე.

ვთქვათ, საზოგადოებრივი კაპიტალის საშუალო შედგენილობა არის $80_c + 20_v$ და მოგება 20%. ამ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმაა 100%. ხელფასის საყოველთაო გადიდება, სხვა თანაბარ პირობებში, ნიშნავს ზედმეტი ღირებულების ნორმის შემცირებას. საშუალო კაპიტალისათვის მოგება და ზედმეტი ღირებულება ერთიმეორეს ემთხვევა. ვთქვათ, ხელფასი გადიდდა 25%-ით. შრომის იგივე მასა, რომლის მოძრაობაში მოყვანა 20 ღირდა, ახლა 25 ღირს. მაშასადამე, ჩვენ $80_c + 20_v + 20_p$-ის ნაცვლად გვაქვს ერთი გადაბრუნების ღირებულება $= 80_c + 25_v + 15_p$. ცვალებადი კაპიტალის მიერ მოძრაობაში მოყვანილი შრომა უწინდებურად აწარმოებს ღირებულების ჯამს, რომელიც 40-ს უდრის. რაკი v 20-დან 25-დე გადიდდა, ნამეტი m, resp. [შესაბამისად] p, ახლა მხოლოდ 15 უდრის. მოგება 15 შეადგენს 105-ზე $14^2/_7$%-ს, და ეს იქნებოდა საშუალო მოგების ახალი ნორმა. რადგან საშუალო კაპიტალის მიერ წარმოებულ საქონელთა წარმოების ფასი მათს ღირებულებას ემთხვევა, ამიტომ ამ საქონელთა წარმოების ფასი არ შეიცვლებოდა; მაშასადამე, ხელფასის გადიდება მოგების შემცირებას კი გამოიწვევდა, მაგრამ საქონელთა ღირებულებაში და ფასში ვერავითარ ცვლილებას ვერ მოახდენდა.

წინათ, როდესაც საშუალო მოგება უდრიდა 20%, ბრუნვის ერთ პერიოდში წარმოებულ საქონელთა წარმოების ფასი უდრიდა ხარჯთფასს პლუს 20% მოგება ამ ხარჯთფასზე, მაშასადამე $= k + kp' = k + \frac{20k}{100}$, სადაც k ცვალებადი სიდიდეა, რომელიც განსხვავდება საქონელში შემავალ წარმოების საშუალებათა ღირებულების მიხედვით, და გაცვეთის იმ ოდენობის მიხედვით, რომელსაც წარმოებაში გამოყენებული ძირითადი კაპიტალი გადასცემს პროდუქტს. ახლა წარმოების ფასი შეადგენს $k + \frac{14^2/_7 k}{100}$.

ავიღოთ ახლა ისეთი კაპიტალი, რომლის შედგენილობა უფრო დაბალია, ვიდრე თავდაპირველი საზოგადოებრივი კაპიტალის შედგენილობა $80_c + 20_v$ (რომელიც ახლა ასე გარდაიქმნა $76^4/_{21c} + 23^{17}/_{21v}$) მაგალითად, $50_c + 50_v$. აქ ხელფასის გადიდებამდე წლიური პროდუქტის წარმოების ფასი უდრიდა $50_c + 50_v + 20_p = 120$, — ჩვენ გამარტივებისათვის ვგულისხმობთ, რომ მთელი ძირითადი კაპიტალი შევიდა გაცვეთის სახით წლიურ პროდუქტში და რომ ბრუნვის პერიოდი ისეთივეა, როგორც I შემთხვევაში. ხელფასის გადიდება 25%-ით იძლევა მოძრაობაში მოყვანილი შრომის იმავე რაოდენობისთვის ცვალებადი კაპიტალის გადიდებას 50-დან $62^1/_2$-მდე. წლიური პროდუქტი რომ უწინდელ 120 წარმოების ფასში გაყიდულიყო, ეს შეადგენდა $50_c + 62^1/_{2v} + 7^1/_{2p}$-ს, მაშასადამე, $6^2/_3\%$, მოგების ნორმას. მაგრამ მოგების ახალი საშუალო ნორმაა $14^2/_7\%$, და რადგან ჩვენ ყველა სხვა პირობის თანასწორობას ვგულისხმობთ, ამ კაპიტალმაც, ე. ი. $50_c + 62^1/_{2v}$ იგივე მოგება უნდა მოგვცეს. მაგრამ კაპიტალი $112^1/_2$, როცა მოგების ნორმა $14^2/_7\%$-ია, იძლევა $16^1/_{14}$ მოგებას. ამრიგად, მის მიერ წარმოებულ საქონელთა წარმოების ფასი ახლა უდრის $50_c + 62^1/_{2v} + 16^1/_{14p} = 128^8/_{14}$. მაშასადამე. 25%-ით ხელფასის გადიდების გამო იმავე საქონლის იმავე რაოდენობის წარმოების ფასი გადიდდა 120-დან $128^8/_{14}$-მდე, ანუ 7%-ზე მეტად.

ავიღოთ, პირიქით, საშუალო კაპიტალზე უფრო მაღალი შედგენილობის წარმოების სფერო, მაგალითად, $92_c + 8_v$. მაშასადამე, თავდაპირველი საშუალო მოგება აქაც = 20, და თუ ჩვენ ისევ ვიგულისხმებთ, რომ მთელი ძირითადი კაპიტალი წლიურ პროდუქტში გადადის და ბრუნვის დრო იგივე რჩება, როგორც I და II შემთხვევაში, მაშინ საქონლის წარმოების ფასი აქაც = 120.

25%-ით ხელფასის გადიდების გამო ცვალებადი კაპიტალი იმავე შრომის რაოდენობისათვის იზრდება 8-დან 10-მდე, მაშასადამე, საქონელთა ხარჯთფასი იზრდება 100-დან 102-მდე; მეორე მხრივ, მოგების საშუალო ნორმა 20%-დან ჩამოვიდა $14^2/_7$%-ზე. მაგრამ $100 : 14^2/_7 = 102 : 14^4/_7$ მოგება, რომელიც ახლა 102-ზე მოდის, შეადგენს, მაშასადამე, $14^4/_7$-ს. და ამიტომ ერთობლივი პროდუქტი გაიყიდება ამ ფასში: $k + kp' = 102 + 14^4/_7 = 116^4/_7$. მაშასადამე, წარმოების ფასი 120-დან $116^4/_7$-მდე, ანუ $3^3/_7$%-ით შემცირდა.

ამრიგად, ხელფასის 25%-ით გადიდების გამო:

1) საზოგადოებრივი საშუალო შედგენილობის კაპიტალისათვის საქონლის წარმოების ფასი უცვლელი დარჩა;

2) უფრო დაბალი შედგენილობის კაპიტალისათვის საქონლის წარმოების ფასი გადიდდა, თუმცა არა იმ შეფარდებით, როგორც მოგება დაეცა;

3) უფრო მაღალი შედგენილობის კაპიტალისათვის წარმოების ფასი დაეცა, თუმცა არა იმ შეფარდებით, როგორც მოგება.

რადგან საშუალო კაპიტალის მიერ წარმოებულ საქონელთა წარმოების ფასი იგივე დარჩა, ე. ი. პროდუქტის ღირებულების ტოლი, ამიტომ ყველა კაპიტალის პროდუქტთა წარმოების ფასების ჯამიც უცვლელი დარჩა, ე. ი. ერთობლივი კაპიტალის მიერ წარმოებულ ღირებულებათა ჯამის ტოლი; ერთობლივი კაპიტალისათვის აწევა, ერთი მხრივ, და დაწევა, მეორე მხრივ, თანატოლდება და წარმოების ფასი საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის დონეზე მყარდება.

თუ საქონელთა წარმოების ფასი მაღლა იწევს II მაგალითში და ეცემა III მაგალითში, უკვე ეს საპირისპირო მოქმედება, რასაც ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემა ან ხელფასის საყოველთაო გადიდება იწვევს, გვიჩვენებს, რომ საქმე აქ არ შეიძლება შეეხებოდეს იმ დანაკარგის ანაზღაურებას საქონლის ფასში, რასაც ¹ხელფასის გადიდება იწვევს, ვინაიდან III შემთხვევაში წარმოების ფასის დაცემა, ცხადია, ვერავითარ კომპენსაციას ვერ მისცემს კაპიტალისტს მოგების დაცემისთვის და II შემთხვევაშიც ფასის გადიდება ვერ შეუშლის ხელს მოგების დაცემას. პირიქით, ორივე შემთხვევაში, — იქაც, სადაც ფასი მაღლა იწევს, და იქაც, სადაც იგი ეცემა, — მოგება იგივეა, რაც საშუალო კაპიტალისათვის, სადაც ფასი უცვლელი დარჩა. მოგება ერთი და იგივეა II და III შემთხვევაში, სახელდობრ, ეს არის $5^5/_7$-ით ანუ 25%-ზე ცოტათი მეტით შემცირებული საშუალო მოგება. აქედან გამომდინარეობს შემდეგი: II შემთხვევაში რომ ფასი მაღლა არ იწევდეს და III-ში არ ეცემოდეს, მაშინ საქონელი II შემთხვევაში დაცემულ ახალ საშუალო მოგებაზე ნაკლები მოგებით, ხოლო III შემთხვევაში მეტი მოგებით გაიყიდებოდა. თავისთავად გასაგებია, რომ იმის მიხედვით, კაპიტალის 50 პროცენტი იხარჯება შრომაზე, 25 თუ 10, ხელფასის გადიდება ფრიად სხვადასხვაგვარად უნდა შეეხოს იმას, ვინც ხელფასის სახით თავისი კაპიტალის $^1/_{10}$ გაიღო, იმას, ვინც $^1/_4$ გაიღო, ან იმას, ვინც $^1/_2$ გაიღო. წარმოების ფასების აწევას, ერთი მხრივ, მათ დაწევას, მეორე მხრივ, იმისდა მიხედვით, მოცემული კაპიტალის შედგენილობა საზოგადოებრივ საშუალო შედგენილობაზე უფრო მაღალია თუ უფრო დაბალი, — იწვევს მხოლოდ მოგების გათანატოლება ახალი დაცემული საშუალო მოგების კვალობაზე.

როგორ იმოქმედებს ხელფასის საყოველთაო დაწევა და მისი შესაბამისი მოგების ნორმისა და, მაშასადამე, საშუალო მოგების საყოველთაო აწევა, იმ საქონლის წარმოების ფასებზე, რომელნიც საშუალო შედგენილობიდან მოპირისპირე მიმართულებით გადახრილ კაპიტალების პროდუქტს შეადგენს? აქ საკმარისია მხოლოდ ზემომოყვანილი მსჯელობა შევატრიალოთ, რათა ამ საკითხის გასარკვევად მივიღოთ შედეგი (რომელსაც რიკარდო არ იკვლევს).

I. საშუალო კაპიტალი $= 80_c + 20_v = 100$: ზედმეტი ღირებულების ნორმა $= 100\%$; წარმოების ფასი = საქონლის ღირებულებას $= 80_c + 20_v + 20_p = 120$; მოგების ნორმა $= 20\%$. ვთქვათ, ხელფასი მცირდება ერთი მეოთხედით, ასე რომ იმავე მუდმივ კაპიტალს 20_v-ს ნაცვლად მოძრაობაში მოიყვანს 15_v, მაშასადამე, ჩვენ ვიღებთ საქონლის ღირებულებას $= 80_c + 15_v + 25_p = 120$. v-ით წარმოებული შრომის რაოდენობა უცვლელი რჩება, მხოლოდ მის მიერ შექმნილი ახალი ღირებულება სხვაგვარად ნაწილდება კაპიტალისტსა და მუშებს შორის. ზედმეტმა ღირებულებამ 20-დან აიწია 25-დე და ზედმეტი ღირებულების ნორმამ $\frac{20}{20}$ დან $\frac{25}{15}$ დე, მაშასადამე, 100%-დან $166^2/_3\%$-დე. მოგება 95-ზე ახლა $= 25$; მაშასადამე, მოგების ნორმა 100-ზე $= 26^6/_{19}$. ახლა კაპიტალის ახალი პროცენტული შედგენილობა $= 84^4/_{19c} + 15^{15}/_{19v} = 100$.

II. დაბალი შედგენილობა. თავდაპირველად $50_c + 50_v$, როგორც ზემოთ. ხელფასის $^1/_4$-ით დაწევის გამო v შემცირდება $37^1/_2$-მდე და, მაშასადამე, ავანსებული ერთობლივი კაპიტალი — $50_c + 37^1/_{2v} = 87^1/_2$-ზე. თუ ამას მივუყენებთ მოგების ახალ ნორმას $26^6/_{19}\%$, მივიღებთ $100 : 26^6/_{19} = 87^1/_2 : 23^1/_{38}$. საქონელთა იგივე მასა, რომელიც წინათ ღირდა 120, ახლა $87^1/_2 + 23^1/_{38} = 110^{10}/_{19}$ ღირს; ფასმა თითქმის 10-ით დაიკლო.

III. მაღალი შედგენილობა. თავდაპირველად $92_c + 8_v = 100$. ხელფასის $^1/_4$-ით დაწევა 8_v-ს დასწევს 6_v-მდე, მთელ კაპიტალს 98-მდე. მაშასადამე $100 : 26^6/_{19} = 98 : 25^{15}/_{19}$. საქონლის წარმოების ფასი, რომელიც წინათ შეადგენდა $100 + 20 = 120$, ახლა, ხელფასის დაწევის შემდეგ, შეადგენს $98 + 25^{15}/_{19} = 123^{15}/_{19}$; მაშასადამე, გადიდდა თითქმის 4-ით.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, საკითხის გასარკვევად საჭიროა მხოლოდ წინანდელი მსჯელობა შევატრიალოთ და სათანადო შესწორებებით: ხელფასის საყოველთო დაწევის შედეგია ზედმეტი ღირებულების.

ზედმეტი ღირებულების ნორმის და, მაშასადამე, სხვა თანაბარ პირობებში, აგრეთვე მოგების ნორმის საყოველთაო აწევა, თუმცა სხვა პროპორციით; ამას შედეგად მოჰყვება დაბალი შედგენილობის კაპიტალების სასაქონლო პროდუქტთა წარმოების ფასების დაწევა და მაღალი შედგენილობის კაპიტალების სასაქონლო პროდუქტთა წარმოების ფასების აწევა. შედეგი სწორედ იმის საწინააღმდეგოა, რაც ხელფასის საყოველთაო აწევისას გამოაშკარავდა[34]. ორივე შემთხვევაში — ხელფასის როგორც აწევის, ისე დაწევის დროს — იგულისხმებოდა, რომ სამუშაო დღე უცვლელი რჩება, ასევე უცვლელი რჩება ყველა აუცილებელ საარსებო საშუალებათა ფასებიც. ამრიგად, ხელფასის დაწევა აქ შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს ხელფასი ან წინათ იდგა შრომის ნორმალურ ფასზე მაღლა, ანდა იგი ახლა იწევს მასზე დაბლა. თუ როგორ მოდიფიკაციას განიცდის საკითხი მაშინ, როდესაც ხელფასის აწევას ან დაწევას იწვევს იმ საქონელთა ღირებულების და, მაშასადამე, წარმოების ფასის ცვლილება, რომელნიც მუშების ჩვეულებრივ მოხმარებაში შედიან, ამას ჩვენ ნაწილობრივ ქვემოთ გამოვიკვლევთ იმ განყოფილებაში, სადაც მიწის რენტაა განხილული. აქ კი ერთხელ და სამუდამოდ შევნიშნავთ შემდეგს:

თუ ხელფასის აწევას ან დაწევას აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულების ცვლილება იწვევს, მაშინ ზემონათქვამში შეიძლება მხოლოდ იმდენად დაგვჭირდეს შესწორების შეტანა, რამდენადაც ის საქონელნი, რომელთა ფასის ცვლილება ადიდებს ან ამცირებს ცვალებად კაპიტალს, იმავე დროს შედიან აგრეთვე მუდმივ კაპიტალში მისი შემადგენელი ელემენტების სახით და, მაშასადამე, ზემოქმედებას ახდენენ არა მარტო ხელფასზე. ხოლო რამდენადაც ისინი ზემოქმედებას ახდენენ მხოლოდ ხელფასზე, ზემონათქვამი შეიცავს ყველაფერს. რაც ამ შემთხვევის შესახებ უნდა ითქვას.

მთელ ამ თავში მოგების საერთო ნორმის და საშუალო მოგების ჩამოყალიბება და, მაშასადამე, ღირებულებათა გარდაქმნაც წარმოების ფასებად, ნაგულისხმევი იყო როგორც მოცემული ფაქტი. საკითხი

---

[34] მეტად უცნაურია, რომ რიკარდო (რომელიც, რასაკვირველია, სხვაგვარად აგებს თავის მსჯელობას, ვიდრე აქ არის მოცემული, რადგან ღირებულებათა გათანატოლება წარმოების ფასებთან მას არ ჰქონდა გაგებული) არც კი ეხება ამ შემთხვევას და განიხილავს მხოლოდ პირველ შემთხვევას, ხელფასის აწევას და მის გავლენას საქონელთა წარმოების ფასებზე, და **servum pecus imitatorum**-მა [წამბაძველთა მონურმა ჯოგმა] ეს თავისთავად გასაგები, არსებითად ტავტოლოგიური გამოუენებაც კი ვერ მოისაზრა.

მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, თუ როგორ გავლენას ახდენს ხელ-ფასის აწევა ან დაწევა საქონელთა წარმოების ფასებზე, რომლებიც ნაგულისხმევია როგორც მოცემული სიდიდენი. ამ განყოფილებაში განხილულ სხვა მნიშვნელოვან პუნქტებთან შედარებით ეს მეტად მეორეხარისხოვანი საკითხია. მაგრამ აქ აღძრულ საკითხთაგან ეს ერთადერთია, რომელსაც რიკარდო განიხილავს და თანაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, განიხილავს ცალმხრივად და არადამაკმაყოფი-ლებლად.

თავი მეთოთხმეტე

დამატებანი.

1. მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ წარმოების ფასის ცვლილებას.

ამა თუ იმ საქონლის წარმოების ფასი შეიძლება იცვლებოდეს მხოლოდ ორი მიზეზის გამო:

პ ი რ ვ ე ლ ი. მოგების საერთო ნორმა იცვლება. ეს მხოლოდ იმ პირობით არის შესაძლებელი, თუ თვით ზედმეტი ღირებულების საშუალო ნორმა იცვლება ანდა — ზედმეტი ღირებულების საშუალო ნორმის უცვლელობისას — თუ იცვლება მითვისებულ ზედმეტ ღირებულებათა ჯამის შეფარდება ავანსებული საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის ჯამთან.

რამდენადაც ზედმეტი ღირებულების ნორმის ცვლილების საფუძველს არ შეადგენს ხელფასის დაწევა მის ნორმალურ დონეზე დაბლა ან აწევა მასზე მაღლა, — ამგვარი მოძრაობა კი უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც შემთხვევითი რყევა, — ეს ცვლილება შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ ან იმის გამო, რომ სამუშაო ძალის ღირებულებამ დაიწია, ან იმის გამო, რომ მან აიწია; ერთიც და მეორეც შეუძლებელია იმ შრომის ნაყოფიერების შეუცვლელად, რომელიც საარსებო საშუალებებს აწარმოებს, მაშასადამე, იმ საქონელთა ღირებულების შეუცვლელად, რომელნიც მუშათა მოხმარებაში შედიან.

ანდა იცვლება მითვისებული ზედმეტი ღირებულების ჯამის შეფარდება საზოგადოების ავანსებულ ერთობლივ კაპიტალთან. რადგან ცვლილება აქ არ მომდინარეობს ზედმეტი ღირებულების ნორმიდან, სამაგიეროდ იგი უნდა მომდინარეობდეს ერთობლივი კაპიტალიდან, საჭელდობრ მისი მუდმივი ნაწილიდან. უკანასკნელის მასა, ტექნიკურად განხილული, დიდდება ან მცირდება ცვალებადი კაპიტალის მიერ ნაყიდი სამუშაო ძალის პროპორციულად, ხოლო ამ ნაწილის ღირებულების მასა დიდდება ან მცირდება თვით მისივე მასის გადიდებასთან ან შემცირებასთან ერთად; მაშასადამე, დიდდება ან მცირდება კვლავ ცვალებადი კაპიტალის ღირებულების მასის პროპორციულად. თუ

იმავე შრომას მეტი მუდმივი კაპიტალი მოჰყავს მოძრაობაში, ეს იმას ნიშნავს, რომ შრომა უფრო ნაყოფიერი გამხდარა, და პირიქით. მაშასადამე, ადგილი ჰქონდა ცვლილებას შრომის ნაყოფიერებაში და უნდა მოხდეს ცვლილება გარკვეულ საქონელთა ღირებულებაში.

ამრიგად, ორივე შემთხვევაში ძალაშია შემდეგი კანონი: თუ რომელიმე საქონლის წარმოების ფასი იცვლება მოგების საერთო ნორმის ცვლილების გამო, მაშინ ამ საქონლის საკუთარი ღირებულება თუმცა შეიძლება უცვლელი დარჩეს, მაგრამ უნდა მოხდეს სხვა საქონელთა ღირებულების ცვლილება.

მ ე ო რ ე. მოგების საერთო ნორმა უცვლელი რჩება. მაშინ საქონლის წარმოების ფასი მხოლოდ იმიტომ შეიძლება შეიცვალოს, რომ შეიცვალა მისი საკუთარი ღირებულება, რომ თვით მისი კვლავწარმოებისათვის მეტი ან ნაკლები შრომაა საჭირო, სულ ერთია, იქნება ეს იმ შრომის ნაყოფიერების ცვლილების გამო, რომელიც თვით ამ საქონელს აწარმოებს მისი საბოლოო ფორმით, თუ იმ შრომისა, რომელიც ამ საქონლის წარმოებაში შემავალ საქონელთ აწარმოებს. ბამბის ნართის წარმოების ფასმა შეიძლება დაიწიოს ან იმიტომ, რომ ნედლი ბამბა უფრო იაფად იწარმოება, ანდა იმიტომ, რომ მრთველის შრომა უკეთესი მანქანების გამო უფრო ნაყოფიერი გახდა.

წარმოების ფასი, როგორც წინათ იყო ნაჩვენები, $= k+p$, უდრის ხარჯთფასს პლუს მოგება. მაგრამ ეს გამოსახვა $= k+kp'$, სადაც k. ხარჯთფასი, განუსაზღვრელი სიდიდეა, რომელიც იცვლება წარმოების სხვადასხვა სფეროში და უდრის ყოველთვის საქონლის წარმოებაში მოხმარებული მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის ღირებულებას. ხოლო p' პროცენტულად გამოანგარიშებული მოგების საშუალო ნორმაა. თუ $k = 200$ და $p' = 20\%$, მაშინ წარმოების ფასი $k+kp' = 200+200.\frac{20}{100} = 200+40 = 240$. ცხადია, წარმოების ეს ფასი შეიძლება უცვლელი დარჩეს, თუმცა საქონელთა ღირებულება იცვლება.

საქონელთა წარმოების ფასის ყოველი ცვლილება საბოლოო ანგარიშით ნიშნავს ღირებულების ცვლილებას; მაგრამ საქონელთა ღირებულების ყოველი ცვლილება როდი უნდა გამოიხატოს აუცილებლად წარმოების ფასის ცვლილებით, ვინაიდან ეს ფასი განისაზღვრება არა მარტო მოცემული საქონლის ღირებულებით, არამედ აგრეთვე ყველა საქონლის ერთობლივი ღირებულებით. ცვლილება, რაც A საქონელს შეეხება, შეიძლება გაწონასწორდეს საპირისპირო ცვლილებით B საქონელში, ასე რომ საერთო შეფარდება უცვლელი რჩება.

11. საშუალო შედგენილობის საქონელთა წარმოების ფასი.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ წამოდგება წარმოების ფასების გადახრა ღირებულებიდან ამის გამო:

1) რომ საქონლის ხარჯთფასს მიემატება არა ის ზედმეტი ღირებულება, რასაც ეს საქონელი შეიცავს, არამედ — საშუალო მოგება;

2) რომ საქონლის ღირებულებიდან ასე გადახრილი მისი წარმოების ფასი შედის როგორც ელემენტი სხვა საქონელთა ხარჯთფასში, და ამგვარად უკვე საქონლის ხარჯთფასი შეიძლება შეიცავდეს გადახრას ამ საქონელზე მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებიდან, დამოუკიდებლად იმ გადახრისა, რომელიც თვით ამ საქონლისთვის შეიძლება წარმოდგეს საშუალო მოგებასა და ზედმეტ ღირებულებას შორის არსებული განსხვავების გამო.

ამრიგად, შესაძლებელია, რომ საშუალო შედგენილობის კაპიტალებით წარმოებულ საქონელთა ხარჯთფასი წარმოადგენდეს გადახრას იმ ელემენტების ღირებულების ჯამიდან, რომლებისგანაც საქონელთა წარმოების ფასის ეს შემადგენელი ნაწილი შედგება. ვთქვათ, **საშუალო** შედგენილობაა $80_c + 20_v$ **შესაძლებელია, რომ** ნამდვილ კაპიტალებში, რომლებიც ამგვარადაა შედგენილი, 80_c **უფრო დიდი** ან უფრო პატარა იყოს c-ის, მუდმივი კაპიტალის, ღირებულებაზე, რადგან ეს c შედგება საქონელთაგან, რომელთა წარმოების ფასი გადახრილია მათი ღირებულებიდან. ასევე შეიძლება 20_v **გადიხაროს** თავის ღირებულებიდან, თუ ხელფასის მოხმარებაში შედის ისეთი საქონელი, რომლის წარმოების ფასი განსხვავებულია მისი ღირებულებისგან; მაშასადამე, მუშამ ასეთი საქონლის ხელახლა საყიდლად (მის ასანაზღაურებლად) მეტი ან ნაკლები სამუშაო დრო უნდა **იმუშაოს**, ე. ი. მეტი ან ნაკლები აუცილებელი შრომა უნდა გასწიოს, ვიდრე ეს საჭირო იქნებოდა მაშინ, თუ აუცილებელ საარსებო საშუალებათა წარმოების ფასები მათს ღირებულებას დაემთხვეოდა.

მაგრამ ეს შესაძლებლობა სრულიად არაფერს არ ცვლის იმ დებულებათა სისწორეში, რომლებიც საშუალო შედგენილობის საქონელთათვისაა დადგენილი. მოგების რაოდენობა, რომელიც ამ საქონელთ უწევს, თვით მათში მოქცეული ზედმეტი ღირებულების რაოდენობას უდრის. მაგალითად, თუ ზემოაღნიშნულ კაპიტალს ავიღებთ, რომლის შედგენილობაა $80_c + 20_v$, ზედმეტი ღირებულების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია არა ის, გამოხატავენ თუ არა ეს რიცხვები ნამდვილ ღირებულებათ, არამედ ის, თუ როგორ შეფარდებაში არიან **ისინი**

ერთიმეორესთან, სახელდობრ, რომ v უდრის ერთობლივი კაპიტალის $^1/_5$ და $c = {}^4/_5$. რაკი ეს ასეა, როგორც ზევით ვიგულისხმეთ, v-ის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება უდრის საშუალო მოგებას. მეორე მხრივ: რადგან ზედმეტი ღირებულება საშუალო მოგებას უდრის, წარმოების ფასი = ხარჯთფასს + მოგება = $k+p = k+m$, პრაქტიკულად უდრის საქონლის ღირებულებას. ე. ი. ხელფასის აწევა ან დაწევა ისევე უცვლელად ტოვებს ამ შემთხვევაში k+p-ს, როგორც უცვლელად დატოვებდა იგი საქონლის ღირებულებას, და იწვევს მხოლოდ სათანადო პირუკუ მოძრაობას, დაწევას ან აწევას, მოგების ნორმის მხარეზე. სახელდობრ, თუ ხელფასის აწევის ან დაწევის გამო საქონელთა ფასი შეიცვლებოდა ამ შემთხვევაში, მაშინ მოგების ნორმა საშუალო შედგენილობის ამ სფეროებში უფრო მაღალი ან უფრო დაბალი იქნებოდა მის დონესთან შედარებით სხვა სფეროებში. საშუალო შედგენილობის სფერო ინარჩუნებს სხვა სფეროების თანაბარ მოგების დონეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ფასი უცვლელი რჩება. მაშასადამე, პრაქტიკულად საქმე სავსებით ისეა, თითქოს ამ სფეროს პროდუქტები მათი ნამდვილი ღირებულების მიხედვით იყიდებოდეს. სახელდობრ, თუ საქონელი მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით იყიდება, მაშინ, ცხადია, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, ხელფასის აწევა ან დაწევა მოგების სათანადო შემცირებას ან გადიდებას გამოიწვევს, მაგრამ ვერ გამოიწვევს საქონელთა ღირებულების ვერავითარ ცვლილებას და რომ ყველა გარემოებაში ხელფასის აწევას ან დაწევას შეუძლია ყოველთვის მხოლოდ ზედმეტი ღირებულების სიდიდეზე მოახდინოს გავლენა და არასოდეს საქონელთა ღირებულებაზე.

III. კაპიტალისტის საფუძვლები კომპენსაციისათვის.

უკვე ნათქვამი იყო, რომ კონკურენცია ათანატოლებს წარმოების სხვადასხვა სფეროების მოგების ნორმებს მოგების საშუალო ნორმად და სწორედ ამით გარდაქმნის ამ სხვადასხვა სფეროების პროდუქტთა ღირებულებას წარმოების ფასებად. ეს კი იმ გზით ხდება, რომ კაპიტალი განუწყვეტლივ გადაიტანება ერთი სფეროდან მეორეში, სადაც მოცემულ მომენტში მოგება საშუალო დონეზე მაღლა დგას; მაგრამ ამასთან მხედველობაში მისაღებია მოგების რყევა, რაც დაკავშირებულია მჭლე და მსუქანი წლების ცვალებადობასთან, რომლებიც მრეწველობის განსაზღვრულ დარგში ერთიმეორეს მიჰყვება მოცემული პერიოდის მანძილზე. კაპიტალის ეს შეუწყვეტელი ემიგრაცია და იმიგრაცია,

რასაც ადგილი აქვს წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის, წარმოშობს მოგების ნორმის აღმავალ და დაღმავალ მოძრაობათ, რომელნიც მეტნაკლებ აწონასწორებენ ერთმანეთს და რომელთაც, ამის გამო, ტენდენცია აქვთ მოგების ნორმა ყველგან საერთო და საყოველთაო დონეზე დაიყვანონ.

კაპიტალების ამ მოძრაობას პირველ რიგში საბაზრო ფასების მდგომარეობა იწვევს, რომლებიც მოგებას ზოგან საყოველთაო საშუალო დონეზე მაღლა, ზოგან მასზე დაბლა სწევენ. ჩვენ ჯერჯერობით მხედველობის გარეშე ვტოვებთ ვაჭრის კაპიტალს, რომელთანაც ჯერ კიდევ საქმე არა გვაქვს და რომელსაც, როგორც ამას გვიჩვენებს უეცრად ამოხეთქილი სპეკულაციის პაროქსიზმი ზოგ მის სანუკვარ საგნების სფეროში, შეუძლია არაჩვეულებრივი სისწრაფით გაზიდოს კაპიტალის მასა წარმოების ერთი დარგიდან და ასევე სწრაფად გადაისროლოს ის მეორეში. მაგრამ საკუთრივ წარმოების თვითეულ სფეროში — მრეწველობაში, მიწათმოქმედებაში, სამთამადნო საქმეში და სხვ. — კაპიტალის გადატანა ერთი სფეროდან მეორეში მნიშვნელოვან სიძნელეს წარმოადგენს, განსაკუთრებით არსებული ძირითადი კაპიტალის გამო. ამასთან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ მრეწველობის რომელიმე დარგი, მაგალითად, ბამბეულის მრეწველობა, გარკვეული დროის განმავლობაში არაჩვეულებრივად დიდ მოგებას იძლევა, შემდგომ პერიოდში მას ძალიან მცირე მოგება ან ზარალიც კი მოაქვს, ასე რომ წელთა განსაზღვრული ციკლისათვის აქ საშუალო მოგება დაახლოებით იგივეა, რაც სხვა დარგებში. და ამ გამოცდილებისათვის ანგარიშის გაწევას კაპიტალისტი მალე ეჩვევა.

მაგრამ რასაც კონკურენცია ვ ე რ ამჟღავნებს, ეს არის ღირებულების განსაზღვრა, რომელიც წარმოების მოძრაობას განაგებს; ესაა ღირებულება, რომელიც წარმოების ფასების უკან დგას და საბოლოო ანგარიშით მათ განსაზღვრავს. კონკურენცია ამჟღავნებს, პირიქით: 1) საშუალო მოგებას, რომელიც დამოუკიდებელია კაპიტალის ორგანული შედგენილობისგან წარმოების სხვადასხვა სფეროში, მაშასადამე, დამოუკიდებელია იმ ცოცხალი შრომის მასისგანაც, რომელმაც ესა თუ ის კაპიტალი მიითვისა ექსპლოატაციის ამა თუ იმ სფეროში; 2) წარმოების ფასების აწევას და დაწევას ხელფასის სიმაღლის ცვლილების გამო, — მოვლენას, რომელიც ერთი შეხედვით სრულიად ეწინააღმდეგება საქონელთა ღირებულებითს შეფარდებას; 3) საბაზრო ფასების რყევას, რომელსაც საქონელთა საშუალო საბაზრო ფასი მოცემული პერიოდის განმავლობაში დაჰყავს არა საბაზრო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე,

არამედ ამ საბაზრო ღირებულებიდან გადახრილ, მისგან ფრიად განსხვავებულ საბაზრო წარმოების ფასზე. ისე გვეჩვენება, თითქოს ყველა ეს მოვლენა ეწინააღმდეგება თანაბრად როგორც ღირებულების განსაზღვრას სამუშაო დროით, ისე ზედმეტი ღირებულების ბუნებას, რომელიც გადაუხდელი ზედმეტი შრომისაგან შედგება. ამრიგად, კონკურენციაში ყველაფერი დამახინჯებული სახით ვლინდება. ეკონომიურ ურთიერთობათა უკვე ჩამოყალიბებული სახე, რაც ზედაპირზე, მათს რეალურ არსებობაში და, ნაშასადამე, იმ წარმოდგენებშიც აშკარავდება, რომელთა საშუალებით ამ ურთიერთობათა მატარებელნი და აგენტები მათში გარკვევას ცდილობენ, მეტად განსხვავებულია მათი შინაგანი, არსებითი, მაგრამ ფარული ძირითადი შინაარსისაგან [Kerngestalt] და სინამდვილეში ამახინჯებს ამ უკანასკნელს, ეწინააღმდეგება მას და მის შესაბამის ცნებას.

შემდეგ: როდესაც კაპიტალისტური წარმოება განვითარების გარკვეულ დონეს აღწევს, წარმოების ცალკეულ სფეროთა მოგების ნორმების გათანატოლება მოგების ერთი საერთო ნორმის სახით სრულიადაც არ ხორციელდება მარტოოდენ იმ გზით, რომ საბაზრო ფასები კაპიტალს მიიზიდავენ და უკუაგდებენ. მას შემდეგ, რაც საშუალო ფასები და მათი შესაბამისი საბაზრო ფასები განმტკიცდება განსაზღვრული პერიოდისათვის, ცალკეულ კაპიტალისტთა ცნობიერებამდე აღწევს ის, რომ ამ გათანატოლებისას თანატოლდება განსაზღვრული განსხვავებანი, რომელთაც დაუყოვნებლივ ითვალისწინებენ კაპიტალისტები თავიანთ საურთიერთო ანგარიშებში. კაპიტალისტების წარმოდგენაში ეს განსხვავებანი განაგრძობენ არსებობას და კაპიტალისტებიც ანგარიშში ღებულობენ მათ როგორც კომპენსაციის საფუძვლებს.

ამასთან ძირითადი წარმოდგენა თვით საშუალო მოგებაა, — წარმოდგენა, რომ თანაბარი სიდიდის კაპიტალები დროის თანაბარ ვადებში თანაბარ მოგებას უნდა იძლეოდნენ. ამას, თავის მხრივ, ის წარმოდგენა უდევს საფუძვლად, რომ წარმოების თვითეული სფეროს კაპიტალი თავის სიდიდის pro rata [პროპორციულად] უნდა მონაწილეობდეს იმ ერთობლივი ზედმეტი ღირებულების მითვისებაში, რომელიც გამოწურულია მუშებისაგან ერთობლივი საზოგადოებრივი კაპიტალის მიერ; ანუ რომ ყოველი ცალკეული კაპიტალი განსახილველია მხოლოდ როგორც ნაწილი ერთობლივი კაპიტალისა, ყოველი კაპიტალისტი კი — არსებითად როგორც ერთიანი საწარმოს აქციონერი,

რომელიც თავისი კაპიტალის წილის სიდიდის pro rata [პროპორციულად] ერთობლივ მოგებაში მონაწილეობს.

შემდეგ, ამ წარმოდგენაზეა დამყარებული კაპიტალისტის ანგარიში, რომ, მაგალითად, კაპიტალი, რომელიც უფრო ნელა ბრუნავს ან იმიტომ, რომ საქონელი უფრო ხანგრძლივად რჩება წარმოების პროცესში, ან იმიტომ, რომ საქონელი უფრო შორეულ ბაზარზე უნდა გაიყიდოს, ასეთი კაპიტალი მოგებას, რომელიც მას ხელიდან უსხლტება, მაინც იანგარიშებს თავისთვის, მაშასადამე, მას აინაზღაურებს ფასზე წანამატის საშუალებით. ანდა, რომ კაპიტალი, დაბანდებული ისეთ საწარმოში, რომელიც უფრო დიდ საშიშროებას განიცდის, როგორც, მაგალითად, საზღვაო ტრანსპორტი, კომპენსაციას ღებულობს ფასზე წანამატის საშუალებით. როდესაც კაპიტალისტური წარმოება და მასთან ერთად დაზღვევის საქმე საკმაოდ განვითარებულია, საშიშროება ფაქტიურად ერთნაირი ხდება წარმოების ყველა სფეროსათვის (იხ. კორბეტი); საწარმოები, რომელთაც ყველაზე მეტი საფრთხე მოელის, უფრო დიდ სადასაზღვევო პრემიას იხდიან და ამის სამაგიეროს თავიანთ საქონელთა ფასში იღებენ. პრაქტიკაში ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული გარემოება, რომელიც ერთ რომელიმე კაპიტალდაბანდებას, — გარკვეულ ფარგლებში კი ყველა დაბანდება თანაბრად აუცილებლად ითვლება — ნაკლებ მომგებიანად ხდის და მეორეს — მეტ მომგებიანად, ანგარიშში მიიღება როგორც ერთხელ და სამუდამოდ დაწესებული საფუძველი კომპენსაციისათვის; ამასთან უკვე საჭირო აღარ არის კონკურენციის სულ ახალი და ახალი მოქმედება ამ მოტივის გასამართლებლად ან ანგარიშის ფაქტორის სისწორის დასამტკიცებლად. კაპიტალისტს მხოლოდ ავიწყდება, — ანუ, უფრო სწორად, იგი ვერ ხედავს, რადგან კონკურენცია ამას არ ააშკარავებს, — რომ კომპენსაციის ყველა ეს საფუძველი, რასაც კაპიტალისტები ერთიმეორის მიმართ გამოიყენებენ წარმოების სხვადასხვა დარგების საქონელთა ფასების ურთიერთგაანგარიშებისას, მარტოოდენ იმ გარემოებასთანაა დაკავშირებული, რომ ყველა მათ, თავიანთი კაპიტალის pro rata [პროპორციულად], თანატოლი უფლება აქვთ საერთო ნადავლზე, ერთობლივ ზედმეტ ღირებულებაზე. პირიქით, კაპიტალისტებს, რადგან მათ მიერ ფაქტიურად მიღებული მოგება მათ მიერ გამოწურული ზედმეტი ღირებულებისაგან განსხვავდება, ისე ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა თ, რომ კომპენსაციის საფუძველი ერთობლივ ღირებულებაში მათი მონაწილეობის გათანატოლებას კი არ ემსახურება, არამედ თ ვ ი ა მ ო გ ე ბ ა ს ჰ ქ მ ნ ი ს ო, ვინაიდან ეს უკანასკნელი თითქოს იმ წა-

ნამატიდან წარმოდგება, რომელიც ამა თუ იმ მოტივით საქონელთა ხარჯთფასს წაემატება.

დანარჩენში საშუალო მოგების მიმართაც ძალა აქვს ყოველივე იმას, რაც VII თავში, გვ. 116 [ეს ტომი, გვ. 175 — 176], იყო ნათქვამი კაპიტალისტის წარმოდგენაზე ზედმეტი ღირებულების წყაროს შესახებ. აქ საქმის ვითარება სხვაგვარად წარმოგვიდგება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საქონელთა მოცემული საბაზრო ფასისა და შრომის მოცემული ექსპლოატაციის არსებობისას ხარჯთფასთა სფეროში დანაზოგი დამოკიდებულია ინდივიდუალურ დახელოვნებაზე, ყურადღებაზე და სხვ.

განყოფილება მესამე

მოგების ნორმის დაცემის ფენდენციის კანონი

თავი მეცამეტე

კანონი როგორც ასეთი.

როცა ხელფასი და სამუშაო დღე მოცემულია, ცვალებადი კაპიტალი, მაგალითად, 100-ის რაოდენობით, მოძრაობაში მოყვანილ მუშაობა განსაზღვრულ რიცხვს წარმოადგენს; იგი ამ რიცხვის მაჩვენებელია. მივიღოთ. მაგალითად, რომ 100 გირვ. სტერლ. შეადგენს 100 მუშის ხელფასს, ვთქვათ, 1 კვირისათვის. თუ ეს 100 მუშა იმდენსავე აუცილებელ შრომას ასრულებს, რამდენსაც ზედმეტი შრომა შეადგენს, თუ, მაშასადამე, იმდენსავე დროს მუშაობს დღეში თავისთვის, ე. ი. თავისი ხელფასის კვლავწარმოებისათვის, რამდენსაც კაპიტალისტისათვის, ე. ი. ზედმეტი ღირებულების წარმოებისათვის, მაშინ მათ მიერ ახლად წარმოებული მთელი ღირებულება უდრის 200 გირვ. სტერლ., ხოლო მათ მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულება შეადგენს 100 გირვ. სტერლინგს. ზედმეტი ღირებულების ნორმა $\frac{m}{v}$ იქნება 100 %. მაგრამ ზედმეტი ღირებულების ეს ნორმა, როგორც დავინახეთ, მოგების ფრიად სხვადასხვა ნორმით იქნებოდა გამოხატული მუდმივი კაპიტალი c-ის და მასთან ერთად მთელი კაპიტალის C სიდიდის სხვადასხვაობის შესაბამისად, რადგან მოგების ნორმა $= \frac{m}{C}$. იმ შემთხვევაში როცა ზედმეტი ღირებულების ნორმა 100%:

$$\text{თუ } c = 50,\ v = 100, \text{ მაშინ } p' = \frac{100}{150} = 66^2/_3\%;$$

$$\text{» } c = 100,\ v = 100, \text{ » } p' = \frac{100}{200} = 50\%;$$

$$\text{» } c = 200,\ v = 100, \text{ » } p' = \frac{100}{300} = 33^1/_3\%;$$

$$\text{» } c = 300,\ v = 100, \text{ » } p' = \frac{100}{400} = 25\%;$$

$$\text{» } c = 400,\ v = 100, \text{ » } p' = \frac{100}{500} = 20\%.$$

ამრიგად, შრომის ექსპლოატაციის ხარისხის უცვლელობისას, ზედმეტი ღირებულების ერთი და იგივე ნორმა გამოხატული იქნებოდა კლებადი მოგების ნორმით, იმიტომ რომ მუდმივი კაპიტალის მატერიალურ ოდენობასთან ერთად იზრდება აგრეთვე, — თუმცა არა იმავე პროპორციით, — ამ კაპიტალის ღირებულების და, მაშასადამე, მთელი კაპიტალის ღირებულების ოდენობაც.

თუ ვიგულისხმებთ, შემდეგ, რომ კაპიტალის შედგენილობის ეს თანდათანობითი ცვლილება ხდება არა მარტო წარმოების განცალკევებულ სფეროებში, არამედ მეტნაკლებად ყველაში, ან გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე წარმოების სფეროებში მაინც, ასე რომ ეს ცვლილება იმ ერთობლივი კაპიტალის საშუალო ორგანული შედგენილობის ცვლილებებს შეიცავს, რომელიც განსაზღვრულ საზოგადოებას ეკუთვნის, მაშინ მუდმივი კაპიტალის ამ თანდათანობითს ზრდას, ცვალებადთან შედარებით, აუცილებლად **მოგების საერთო ნორმის თანდათანობითი დაცემა** უნდა მოჰყვეს შედეგად ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას, ანუ კაპიტალის მიერ შრომის ექსპლოატაციის ხარისხის უცვლელობისას. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წესის კანონად აღმოჩნდა ის, რომ მის განვითარებასთან ერთად ხდება ცვალებადი კაპიტალის შეფარდებითი შემცირება მუდმივ კაპიტალთან შედარებით და, მაშასადამე, მოძრაობაში მოყვანილ ერთობლივ კაპიტალთან შედარებით. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მუშათა იგივე რიცხვი, სამუშაო ძალის იგივე მასა, რომელიც შეიძლება განკარგულებაში ჰყავდეს მოცემული ღირებულებრივი ოდენობის ცვალებად კაპიტალს, წარმოების განსაკუთრებული მეთოდების მეოხებით, რომლებიც კაპიტალისტურ წარმოებაში ვითარდებიან, მოძრაობაში მოიყვანს, გადაამუშავებს და მწარმოებლურად მოიხმარს იმავე დროის განმავლობაში შრომის იარაღების, მანქანებისა და ყოველგვარი ძირითადი კაპიტალის, ნედლეულისა და

დამხმარე მასალების მუდამ მზარდ მასას და ამიტომ მუდამ მზარდი ღირებულებრივი ოდენობის მუდმივ კაპიტალსაც. ცვალებადი კაპიტალის ეს პროგრესული შეფარდებითი შემცირება მუდმივთან და, მაშასადამე, ერთობლივ კაპიტალთან შედარებით იდენტურია საშუალოდ აღებული საზოგადოებრივი კაპიტალის უფრო მაღალი ორგანული შედგენილობის პროგრესული განვითარებისა. ეს აგრეთვე სხვაგვარი გამოხატულებაა მხოლოდ შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერების პროგრესული განვითარებისა, რაც სწორედ იმაში აშკარავდება, რომ მანქანების და საერთოდ ძირითადი კაპიტალის მზარდი გამოყენების საშუალებით მუშების იგივე რიცხვი იმავე დროის განმავლობაში, ე. ი. ნაკლები შრომით, მეტ ნედლეულს და დამხმარე მასალას გარდაქმნის პროდუქტებად. მუდმივი კაპიტალის ღირებულებრივი ოდენობის ამ ზრდას — თუმცა იგი მხოლოდ ძალიან დაშორებულად გამოხატავს იმ სახმარ ღირებულებათა მასის ნამდვილ ზრდას, რომელთაგანაც მუდმივი კაპიტალი შედგება ნივთიერად — შეესაბამება პროდუქტის მზარდი გაიაფება. თვითეული ინდივიდუალური პროდუქტი, თავისთავად განხილული, შრომის უფრო ნაკლებ ჯამს შეიცავს, ვიდრე წარმოების უფრო დაბალ საფეხურზე, სადაც შრომაზე დახარჯული კაპიტალის შეფარდება წარმოების საშუალებებზე დახარჯულ კაპიტალთან შედარებით გაცილებით უფრო დიდია. მაშასადამე, ამ თავის დასაწყისში ჩვენ მიერ მოყვანილი ჰიპოთეზური მწკრივი კაპიტალისტური წარმოების ნამდვილ ტენდენციას გამოხატავს. მუდმივ კაპიტალთან შედარებით ცვალებადი კაპიტალის პროგრესულ შეთარდებითს შემცირებასთან ერთად, ეს წარმოება წარმოშობს ერთობლივი კაპიტალის სულ უფრო მაღალ ორგანულ შედგენილობას. რის უშუალო შედეგიც ისაა, რომ, შრომის ექსპლოატაციის ხარისხის უცვლელობისას და ამ ხარისხის თვით მატების დროსაც კი, ზედმეტი ღირებულების ნორმა გამოიხატება მოგების მუდამ დაღმავალი საერთო ნორმით. (შემდგომ ჩვენ დავინახავთ, თუ რატომაა, რომ ეს დაცემა გვევლინება არა ამ აბსოლუტური ფორმით, არამედ, უფრო, როგორც დაცემის პროგრესული ტენდენცია.) მაშასადამე, მოგების საერთო ნორმის დაცემის მზარდი ტენდენცია მხოლოდ გამოხატულებაა შრომის საზოგადოებრივი ნაყოფიერების პროგრესული განვითარებისა, *გამოხატულება, რომელიც წარმოების კაპიტალისტური წესის დამახასიათებელია.* ამით ის რომ-დია ნათქვამი, რომ მოგების ნორმა არ შეიძლება ხანდახან დაეცეს სხვა მიზეზების გამოც; მაგრამ ამით დამტკიცებულია კაპიტალისტუ-

რი წარმოების წესის რაობიდან გამომდინარე ის თავისთავად გასაგები აუცილებლობა, რომ ამ წარმოების წესის განვითარებასთან ერთად ზედმეტი ღირებულების საერთო საშუალო ნორმა გამოხატულებას უნდა პოულობდეს მოგების კლებადს საერთო ნორმაში. რადგან გამოყენებული ცოცხალი შრომის მასა მუდამ კლებულობს მის მიერ მოძრაობაში მოყვანილი გასაგნობრივებული შრომის მასასთან შედარებით, მწარმოებლურად მოხმარებულ წარმოების საშუალებათა რაოდენობასთან შედარებით, ამიტომ ამ ცოცხალი შრომის გადაუხდელი და ზედმეტ ღირებულებაში გასაგნობრივებული ნაწილიც მუდამ კლებადს შეფარდებაში უნდა იყოს გამოყენებული ერთობლივი კაპიტალის ღირებულებრივ ოდენობასთან. მაგრამ ზედმეტი ღირებულების მასის ეს შეფარდება გამოყენებული ერთობლივი კაპიტალის ღირებულებასთან შეადგენს მოგების ნორმას, რომელიც, ამიტომ, მუდამ უნდა ეცემოდეს.

. რაგინდ მარტივადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ეს კანონი ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენ გადმოვეცით, მაინც წინანდელმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, როგორც ჩვენ ამას ერთ-ერთ შემდგომ განყოფილებაში დავინახავთ, ვერ მოახერხა მისი აღმოჩენა. იგი ხედავდა მოვლენას და წვალობდა წინააღმდეგურ ცდებში მის ასახსნელად. იმ დიდ მნიშვნელობასთან ერთად, რაც ამ კანონს კაპიტალისტური წარმოებისათვის აქვს, შეიძლება ვთქვათ, რომ იგი შეადგენს იდუმალებას, რომლის ასახსნელად თავს იმტვრევს მთელი პოლიტიკური ეკონომია ადამ სმიტის დროიდან მოყოლებული, და რომ განსხვავება ა. სმიტის მერმინდელ სხვადასხვა სკოლას შორის ამ იდუმალების ამოხსნის ცდებში მდგომარეობს. მაგრამ თუ, მეორე მხრივ, მხედველობაში მივიღებთ, რომ წინანდელი პოლიტიკური ეკონომია თუმცა მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის განსხვავების ირგვლივ ტრიალებდა. მაგრამ გარკვევით მისი ჩამოყალიბება მაინც ვერ მოახერხა; რომ მას არასოდეს არ ჰქონდა ზედმეტი ღირებულება მოგებისაგან განცალკევებით წარმოდგენილი და საერთოდ მოგება არასოდეს წმინდა სახით არ ჰქონდა წარმოდგენილი, განსხვავებით მისი სხვადასხვა, ერთი მეორის მიმართ განცალკევებული, შემადგენელი ნაწილებისაგან. — როგორიცაა სამრეწველო მოგება, სავაჭრო მოგება, სარგებელი, მიწის რენტა; რომ მას არასოდეს არ მოუხდენია კაპიტალის ორგანული შედგენილობის სხვადასხვაობის საფუძვლიანი ანალიზი, მაშასადამე, არც მოგების საერთო ნორმის ჩამოყალიბებისა, — თუ ყველა ამას მხედ-

ველობაში მივიღებთ, მაშინ გაუგებარი აღარ იქნება ის გარემოება, რომ პოლიტიკურმა ეკონომიამ ვერ შეძლო ამ გამოცანის ამოხსნა.

ჩვენ განზრახ გადმოვცემთ ამ კანონს იმაზე ადრე, ვიდრე გადმოვცემდეთ მოგების დაშლას სხვადასხვა ერთმანეთისგან განცალკევებულ კატეგორიებად. ამ კანონის გადმოცემა დამოუკიდებლად მოგების იმ სხვადასხვა ნაწილებად დაშლისაგან, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიის პირებს ხვდება, იმთავითვე ამტკიცებს, რომ ეს კანონი მის საყოველთაობაში დამოუკიდებელია ამ დაშლისგან და იქიდან გამომდინარე მოგების კატეგორიების ურთიერთდამოკიდებულებისაგან. მოგება, რომელზედაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ, მხოლოდ სხვა სახელია თვით ზედმეტი ღირებულებისა, რომელიც ერთობლივი კაპიტალისადმი მიმართებაშია აღებული, ნაცვლად მიმართებისა ცვალებადი კაპიტალისადმი, რომლისგანაც იგი გამომდინარეობს. მაშასადამე, მოგების ნორმის დაცემა გამოხატავს თვით ზედმეტი ღირებულების კლებადს შეფარდებას ავანსებულ ერთობლივ კაპიტალთან და ამიტომ დამოუკიდებელია ამ ზედმეტი ღირებულების ყოველგვარი განაწილებისგან სხვადასხვა კატეგორიებს შორის.

ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალისტური განვითარების ერთ საფეხურზე, როდესაც კაპიტალის შედგენილობა $c : v = 50 : 100$, ზედმეტი ღირებულების 100 პროცენტიანი ნორმა 66 ⅔% მოგების ნორმით გამოიხატება, ხოლო უფრო მაღალ საფეხურზე, როდესაც $c : v = 400 : 100$, ზედმეტი ღირებულების იგივე ნორმა მხოლოდ 20% მოგების ნორმით გამოიხატება. ის, რაც შეეხება განვითარების სხვადასხვა თანმიმდევრულ საფეხურებს ერთსა და იმავე ქვეყანაში, შეეხება იმავდროულად ერთიმეორის გვერდით არსებულ სხვადასხვა ქვეყნის განვითარების საფეხურებსაც. განუვითარებელ ქვეყანაში, სადაც კაპიტალის პირველი შედგენილობა საშუალოს შეადგენს, მოგების საერთო ნორმა იქნება = 66⅔%, მაშინ როდესაც კაპიტალის მეორე შედგენილობის მქონე ქვეყანაში, რომელიც განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დგას, იგი იქნებოდა 20%.

მოგების ორივე ეროვნული ნორმის განსხვავება შეიძლებოდა გამქრალიყო და შებრუნებული სახეც კი მიეღო იმის გამო, რომ ნაკლებ განვითარებულ ქვეყანაში შრომა ნაკლებად ნაყოფიერი იქნებოდა, ამიტომ შრომის უფრო დიდი რაოდენობა გამოხატული იქნებოდა ერთი და იმავე საქონლის უფრო მცირე რაოდენობით, უფრო დიდი საცვლელი ღირებულება — უფრო მცირე სახმარი ღირებულებით, მაშასადამე, მუშა თავისი დროის უფრო დიდ ნაწილს თავის საკუთარ

საარსებო საშუალებათა ანუ მათი ღირებულების კვლავწარმოებას მოახმარდა და უფრო პატარა ნაწილს — ზედმეტი ღირებულების შექმნას, შეასრულებდა ნაკლებ ზედმეტ შრომას, ასე რომ ზედმეტი ღირებულების ნორმა უფრო დაბალი იქნებოდა. თუ, მაგალითად, ნაკლებ განვითარებულ ქვეყანაში მუშა სამუშაო დღის $^2/_3$-ს თავისთვის იმუშავებდა, ხოლო $^1/_3$-ს კაპიტალისტისათვის, მაშინ, თუ ზემოაღნიშნულ მაგალითს ვიგულისხმებთ, იმავე სამუშაო ძალაში გადაიხდიდნენ $133^1/_3$ და იგი მხოლოდ $66^2/_3$ ნამეტს მოგვცემდა. $133^1/_3$ ცვალებადი კაპიტალის შესაბამისი იქნებოდა 50 მუდმივი კაპიტალი. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ნორმა ამ შემთხვევაში იქნებოდა $66^2/_3 : 133^1/_3 = 50\%$, მოგების ნორმა კი $66^2/_3 : 183^1/_3$, ანუ დაახლოებით $36^1/_2\%$.

რადგან ჩვენ ჯერ კიდევ არ გამოგვიკვლევია სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები, რომლებადაც მოგება დაიყოფა, მაშასადამე, ისინი ჩვენთვის ჯერ კიდევ არ არსებობენ, ამიტომ მხოლოდ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად წინასწარ შევნიშნავთ შემდეგს: განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ქვეყნების შედარების დროს, — სახელდობრ განვითარებული კაპიტალისტური წარმოების მქონე ქვეყნებისა და ისეთების, სადაც შრომა ჯერ კიდევ ფორმალურად კაპიტალს არ ექვემდებარება, თუმცა სინამდვილეში მუშა ექსპლოატაციას განიცდის კაპიტალისტის მიერ (მაგალითად, ინდოეთში, სადაც რაიოტი მეურნეობას ეწევა როგორც დამოუკიდებელი გლეხი, მაშასადამე, მისი წარმოება, როგორც ასეთი, კაპიტალს ჯერ კიდევ არ ექვემდებარება, თუმცა მას მევახშემ სარგებლის სახით შეიძლება არათუ მთელი მისი ზედმეტი შრომა, არამედ — კაპიტალისტურად თუ ვიტყვით — მისი ხელფასის ნაწილიც კი ააძროს), — ასეთი შედარებისას შეცდომა იქნებოდა მოგების ეროვნული ნორმა სარგებლის ეროვნული განაკვეთით გაგვეზომა. ასეთი სარგებელი შეიცავს მთელ მოგებას და მოგებაზე მეტსაც, ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ეს განვითარებული კაპიტალისტური წარმოების ქვეყნებშია, წარმოებული ზედმეტი ღირებულების, ანუ მოგების მხოლოდ სათანადო ნაწილს შეიცავდეს. მეორე მხრივ, აქ სარგებლის განაკვეთი განისაზღვრება უმთავრესად ისეთი ურთიერთობით (მევახშეების მიერ დიდკაცობისათვის, მიწის რენტის მესაკუთრეთათვის მიცემული სესხი), რომელსაც სრულიად არაფერი აქვს საერთო მოგებასთან და რომელიც, პირიქით, მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ რა ოდენობით ითვისებს მიწის რენტას მევახშე.

კაპიტალისტური წარმოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი და, ამიტომ, კაპიტალის სხვადასხვა ორგანული შედგენილობის მქონე ქვეყნებიდან ზედმეტი ღირებულების ნორმა (ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც მოგების ნორმას განსაზღვრავს) შეიძლება უფრო მაღლა იყოს იქ, სადაც ნორმალური სამუშაო დღე უფრო მოკლეა, ვიდრე იქ, სადაც იგი უფრო გრძელია. პ ი რ ვ ე ლ ი: თუ ინგლისის 10-საათიანი სამუშაო დღე მისი უფრო დიდი ინტენსივობის გამო ავსტრიის 14-საათიან სამუშაო დღეს უდრის, მაშინ, სამუშაო დღის თანაბარი განაწილებისას, შეიძლება ინგლისელის 5 საათის ზედმეტი შრომა უფრო დიდ ღირებულებას წარმოადგენდეს მსოფლიო ბაზარზე, ვიდრე ავსტრიელის 7 საათისა. ხოლო, მ ე ო რ ე: ინგლისში შეიძლება სამუშაო დღის უფრო დიდი ნაწილი შეადგენდეს ზედმეტ შრომას, ვიდრე ავსტრიაში.

მოგების კლებადი ნორმის კანონი, — რომლის თანახმად ზედმეტი ღირებულების ერთი და იგივე მზარდი ნორმაც კი მოგების კლებადი ნორმით გამოიხატება, — სხვა სიტყვებით ნიშნავს შემდეგს: თუ საზოგადოებრივი საშუალო კაპიტალის ერთ განსაზღვრულ რაოდენობას, მაგალითად, 100-ის რაოდენობის კაპიტალს ავიღებთ, — მისი ნაწილი, რომელიც შრომის საშუალებებშია მოქცეული, სულ უფრო მატულობს, ხოლო ცოცხალ შრომაში მოთავსებული ნაწილი სულ უფრო კლებულობს. მაშასადამე, რადგან წარმოების საშუალებებისადმი მიმატებული ცოცხალი შრომის ერთობლივი მასა კლებულობს ამ წარმოების საშუალებათა ღირებულებასთან შედარებით, ამიტომ გადაუხდელი შრომაც და ღირებულების ის ნაწილიც, რომლითაც იგი გამოიხატება, კლებულობს ავანსებული ერთობლივი კაპიტალის ღირებულებასთან შედარებით. ანუ: დახარჯული ერთობლივი კაპიტალის სულ უფრო ნაკლები ჯერადი ნაწილი გარდაიქმნება ცოცხალ შრომად, და ამიტომ ეს ერთობლივი კაპიტალი, თავის სიდიდესთან შედარებით, სულ უფრო ნაკლებ ზედმეტ შრომას შეიწოვს, თუმცა გამოყენებული შრომის გადაუხდელი ნაწილის შეფარდება გადახდილ ნაწილთან იმავდროულად შეიძლება იზრდებოდეს. ცვალებადი კაპიტალის შეფარდებითი კლება და მუდმივის მატება, თუმცა ორივე ნაწილი აბსოლუტურად იზრდება, წარმოადგენს, როგორც ვთქვით, შრომის მზარდი ნაყოფიერების მხოლოდ სხვაგვარ გამოხატულებას.

ვთქვათ, კაპიტალი 100 შედგება $80_c + 20_v$-ისგან, უკანასკნელი = 20 მუშას. ზედმეტი ღირებულების ნორმა არის 100%, ე. ი. მუშები ნახევარ დღეს მუშაობენ თავისთვის, ნახევარ დღეს კაპიტალისტისათვის.

ვთქვათ, მეორე ნაკლებგანვითარებულ ქვეყანაში, კაპიტალი = $=20_c+80_v$, ეს უკანასკნელი კი=80 მუშას. მაგრამ ამ მუშებს სამუშაო დღის $^2/_3$ სჭირდებათ თავისთვის სამუშაოდ, და მხოლოდ $^1/_3$-ს მუშაობენ ისინი კაპიტალისტისათვის. სხვა თანაბარ პირობებში მუშები პირველ შემთხვევაში აწარმოებენ ღირებულებას 40-ს, მეორეში — 120-ს, პირველი კაპიტალი აწარმოებს $80_c+20_v+20_m = 120$; მოგების ნორმა = 20%; მეორე კაპიტალი $20_c+80_v+40_m = 140$; მოგების ნორმა = =40%. მაშასადამე, მოგების ნორმა მეორე შემთხვევაში ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე პირველში, თუმცა პირველ შემთხვევაში ზედმეტი ღირებულების ნორმა = 100%, ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე მეორეში, სადაც იგი მხოლოდ 50%-ს შეადგენს. სამაგიეროდ ტოლი სიდიდის კაპიტალი პირველ შემთხვევაში მითვისებს მხოლოდ 20 მუშის ზედმეტ შრომას, მეორე შემთხვევაში კი — 80 მუშისას.

კანონი მოგების ნორმის პროგრესული დაცემის, ანუ მითვისებული ზედმეტი შრომის შეფარდებითი კლებისა შედარებით გასაგნობრივებული შრომის მასასთან, რომელიც ცოცხალ შრომას მოძრაობაში მოჰყავს, სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რომ საზოგადოებრივი კაპიტალის მიერ მოძრაობაში მოყვანილი და ექსპლოატირებული შრომის აბსოლუტური მასა და, ამიტომ, მის მიერ მითვისებული ზედმეტი შრომის აბსოლუტური მასაც იზრდება; ასევე იგი არ გამორიცხავს იმას, რომ ცალკეულ კაპიტალისტთა განკარგულებაში მყოფი კაპიტალები შრომის და, მაშასადამე, ზედმეტი შრომის მზარდ მასაზე მბრძანებლობს, — უკანასკნელზე მაშინაც კი, როდესაც მისი მბრძანებლობის ქვეშ მყოფ მუშათა რიცხვი არ იზრდება.

თუ ავიღებთ მოცემული რაოდენობის მუშა-მოსახლეობას, მაგალითად, ორ მილიონს, თუ, შემდეგ, მოცემულად მივიღებთ საშუალო სამუშაო დღის ხანგრძლიობას და ინტენსივობას, აგრეთვე ხელფასს და მასთან ერთად შეფარდებას აუცილებელსა და ზედმეტ შრომას შორის, — მაშინ ამ ორი მილიონის ერთობლივი შრომა და ასევე ზედმეტი ღირებულებით გამოხატული მათი ზედმეტი შრომა მუდამ ერთი და იმავე სიდიდის ღირებულებას აწარმოებს. მაგრამ მუდმივი — ძირითადი და საბრუნავი — კაპიტალის მასის ზრდასთან ერთად, რომელიც ამ შრომას მოჰყავს მოძრაობაში, დაბლა ეცემა ამ ღირებულების სიდიდის შეფარდება ამ კაპიტალის ღირებულებასთან, რომელიც იზრდება მის მასასთან ერთად, თუმცა არა იმავე პროპორციით. ეს შეფარდება, და ამიტომ მოგების ნორმაც, ეცემა, თუმცა კაპიტალი ცოცხალი შრომის იმდენსავე მასაზე მბრძანებლობს, რამდენზეც უწინ მბრძა-

ნებლობდა, და ზედმეტი შრომის იმდენსავე მასას შეიწოვს. შეფარდება იცვლება არა იმიტომ, რომ ცოცხალი შრომის მასა მცირდება, არამედ იმიტომ, რომ დიდდება უკვე გასაგნობრივებული შრომის მასა; რომელიც მას მოძრაობაში მოჰყავს. ეს შემცირება შეფარდებითია და არა აბსოლუტური, და სინამდვილეში მას საერთო არაფერი აქვს მოძრაობაში მოყვანილი შრომისა და ზედმეტი შრომის აბსოლუტურ სიდიდესთან. მოგების ნორმის დაცემა წარმოდგება არა ერთობლივი კაპიტალის ცვალებადი შემადგენელი ნაწილის აბსოლუტური შემცირებიდან, არამედ მხოლოდ მისი შეფარდებითი შემცირებიდან, მისი შემცირებიდან მუდმივ შემადგენელ ნაწილთან შედარებით.

ის, რაც ძალაშია მოცემული შრომის მასისა და ზედმეტი შრომის მასის მიმართ, ძალაშია აგრეთვე მუშათა მზარდი რიცხვისა და, ამიტომ, აქამდე ნაგულისხმევ პირობებში, იმ შრომის მზარდი მასის მიმართაც, რომელიც საერთოდ მბრძანებლობის ქვეშ იმყოფება, კერძოდ კი მისი გადაუხდელი ნაწილის მიმართ. ზედმეტი შრომის მიმართ. თუ მუშა-მოსახლეობა ორი მილიონიდან სამ მილიონამდე იზრდება, თუ ცვალებადი კაპიტალი, რასაც მას ხელფასის სახით უხდიან, წინათ 2 მილიონს შეადგენდა, ხოლო ახლა 3 მილიონს შეადგენს, მუდმივი კაპიტალი კი, პირიქით, 4-იდან 15 მილიონამდე დიდდება, მაშინ, აქამდე ნაგულისხმევ პირობებში (უცვლელი სამუშაო დღე და ზედმეტი ღირებულების უცვლელი ნორმა), ზედმეტი შრომის, ზედმეტი ღირებულების მასა გაიზრდება 50%-ით, 2 მილიონიდან 3 მილიონამდე. მაგრამ მაინც, მიუხედავად ზედმეტი შრომის და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური მასის 50%-ით ამ ზრდისა ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან 2 : 4-დან დაიწევდა 3 : 15-მდე, და ზედმეტი ღირებულების შეფარდება ერთობლივ კაპიტალთან შემდეგი სახით წარმოგვიდგებოდა (მილიონებით):

$$\text{I. } 4_c + 2_v + 2_m;\ C = 6;\ p' = 33^1/_3\%.$$
$$\text{II. } 15_c + 3_v + 3_m;\ C = 18;\ p' = 16^2/_3\%.$$

მაშინ როდესაც ზედმეტი ღირებულების მასა ნახევრად გადიდდა, მოგების ნორმა ნახევრად შემცირდა წინანდელთან შედარებით. მაგრამ საზოგადოებრივ კაპიტალზე გამოანგარიშებული მოგება ზედმეტი ღირებულებაა მხოლოდ, და ამიტომ მოგების მასა, მისი აბსოლუტური სიდიდე, საზოგადოებრივი მასშტაბით აღებული, ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეს უდრის. მაშასადამე, მოგების აბსოლუტური სიდიდე, მისი ერთობლივი მასა 50%-ით გაიზრდებოდა, მიუხე-

დავად მოგების ამ მასის უზომო შემცირებისა ავანსებულ ერთობლივ კაპიტალთან შედარებით, ანუ მიუხედავად მოგების საერთო ნორმის უზომო შემცირებისა. ამგვარად, კაპიტალის მიერ გამოყენებული მუშათა რიცხვი, ე. ი. მის მიერ მოძრაობაში მოყვანილი შრომის აბსოლუტური მასა, მაშასადამე, მის მიერ შეწოვილი ზედმეტი შრომის აბსოლუტური მასა, ამიტომ მის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასაც და, მაშასადამე, მის მიერ წარმოებული მოგების მასაც, შ ე ი ძ ლ ე ბ ა იზრდებოდეს და იზრდებოდეს პროგრესულად, მიუხედავად მოგების ნორმის პროგრესული დაცემისა. ეს არა მარტო შ ე ი ძ ლ ე ბ ა. კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე ეს ასეც უ ნ დ ა იყოს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წარმავალ რყევას.

კაპიტალისტური წარმოების პროცესი იმავე დროს არსებითად დაგროვების პროცესიც არის. ჩვენ ცხადვყავით, თუ კაპიტალისტური წარმოების განვითარებისას ღირებულების მასა, რომელიც უბრალოდ კვლავწარმოებული, შენარჩუნებული უნდა იქნეს, როგორ მატულობს და იზრდება შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად, მაშინაც კი, თუ გამოყენებული სამუშაო ძალა უცვლელი რჩება. მაგრამ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო იზრდება წარმოებულ სახმარ ღირებულებათა მასა, რომელთა ნაწილს წარმოების საშუალებანი შეადგენენ. დამატებითი შრომა კი, რომლის მითვისებით ეს დამატებითი სიმდიდრე ხელახლა შეიძლება კაპიტალად გარდაიქმნას, დამოკიდებულია არა ღირებულებაზე, არამედ ამ წარმოების საშუალებათა (საარსებო საშუალებათა ჩათვლით) მასაზე, რადგან შრომის პროცესში მუშას საქმე აქვს არა წარმოების საშუალებათა ღირებულებასთან, არამედ მათს სახმარ ღირებულებასთან. მაგრამ თვით დაგროვება — და მისი თანმყოლი კონცენტრაცია კაპიტალისა — წარმოადგენს ნაყოფიერების ზრდის მატერიალურ საშუალებას. წარმოების საშუალებათა ეს ზრდა კი გულისხმობს მუშა-მოსახლეობის ზრდას, ისეთი მუშა-მოსახლეობის შექმნას, რომელიც დამატებითს კაპიტალს შეესაბამება და საერთოდ და მთლიანად აღემატება კიდეც მის მოთხოვნილებას, მაშასადამე, გულისხმობს მოსახლეობის მოზღვავებას და ამიტომ მუშათა ჭარბმოსახლეობას. დამატებითი კაპიტალის დროებით ნაჭარბს მის მბრძანებლობაში მყოფ მუშა-მოსახლეობასთან შედარებით შეუძლია ორგვარი გავლენა მოახდინოს. ერთი მხრივ, მას შეუძლია მუშა-მოსახლეობა თანდათან გაამრავლოს ხელფასის გადიდების გზით, ე. ი. მუშათა მოზარდი თაობის გამანადგურებელი, შემამცირებელი პირობების შესუსტებით და ქორწინების

გაადვილებით. მაგრამ, შეორე მხრივ, ისეთი მეთოდების გამოყენების გზით, რომლებიც შეფარდებითს ზედმეტ ღირებულებას ქმნიან (მანქანების შემოღება და გაუმჯობესება), მას შეუძლია კიდევ უფრო სწრაფად შექმნას ხელოვნური, შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა, რომელიც, თავის მხრივ, მოსახლეობის ნამდვილად სწრაფი გამრავლების სათბურს წარმოადგენს, რადგან კაპიტალისტურ წარმოებაში სიღატაკე მოსახლეობას წარმოშობს. კაპიტალისტური დაგროვების პროცესის ბუნებიდან — ეს პროცესი კი მხოლოდ ერთი მომენტია წარმოების კაპიტალისტური პროცესისა — თავისთავად გამომდინარეობს, რომ წარმოების იმ საშუალებათა გადიდებულ მასას, რომლებიც კაპიტალად გარდაქმნისთვისაა განკუთვნილი. ყოველთვის შეუძლია ხელთ ჰყავდეს სათანადოდ გადიდებული, და ჭარბადაც გადიდებული. მუშა-მოსახლეობა, რომელიც საექსპლოატაციოდ გამოსადეგია. მაშასადამე, წარმოებისა და დაგროვების პროცესის განვითარებასთან ერთად უ ნ დ ა მატულობდეს მისათვისებელი და მითვისებული ზედმეტი შრომის მასა და, მაშასადამე, საზოგადოებრივი კაპიტალის მიერ მითვისებული მოგების აბსოლუტური მასაც. მაგრამ წარმოებისა და დაგროვების იმავე კანონების თანახმად, მუდმივი კაპიტალის მასასთან ერთად მზარდი პროგრესიით მატულობს მისი ღირებულებაც, მატულობს უფრო სწრაფად, ვიდრე კაპიტალის იმ ცვალებადი ნაწილის ღირებულება, რომელიც ცოცხალ შრომაზეა გაცვლილი. ამრიგად, იმავე კანონების ძალით საზოგადოებრივი კაპიტალისათვის იზრდება მოგების აბსოლუტური მასა და ეცემა მოგების ნორმა.

ჩვენ აქ სრულიად არ ვიღებთ მხედველობაში იმას, რომ კაპიტალისტური წარმოების პროგრესთან და მის შესაბამისად საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განვითარებასა და წარმოების დარგების და, მაშასადამე, პროდუქტების გამრავლებასთან ერთად, ღირებულების წინანდელი სიდიდე სახმარ ღირებულებათა და განცხრომათა პროგრესულად მზარდ მასას გამოხატავს.

კაპიტალისტური წარმოებისა და დაგროვების განვითარების მსვლელობა განაპირობებს შრომის პროცესს სულ უფრო მზარდი მასშტაბით და მასთან ერთად სულ უფრო მზარდი მოცულობით და ამის შესაბამისად განაპირობებს კაპიტალის ავანსების გადიდებას ყოველი ცალკეული საწარმოსათვის. ამიტომ კაპიტალთა მზარდი კონცენტრაცია (რასაც იმავე დროს თან ახლავს, თუმცა ნაკლები ოდენობით, კაპიტალისტების რიცხვის გადიდება) კაპიტალისტური წარმოებისა და დაგროვების ერთ-ერთი მატერიალური პირობაა და ერთ-ერთი

მათ მიერვე შექმნილი შედეგია. ამასთან ხელიხელჩაკიდებით და ურთიერთქმედებაში წარმოებს მეტნაკლებ უშუალო მწარმოებელთა მზარდი ექსპროპრიაცია. ამრიგად, ცალკეული კაპიტალისტების მიმართ გასაგებია, რომ მათი მბრძანებლობის ქვეშ მუშათა სულ უფრო დიდი არმია იმყოფება (რაგინდ არ უნდა კლებულობდეს მათი ცვალებადი კაპიტალი მუდმივთან შედარებით), რომ მათ მიერ მითვისებული ზედმეტი ღირებულების და, მაშასადამე, მოგების მასა მატულობს მოგების ნორმის დაცემასთან ერთად და მიუხედავად ამ დაცემისა. სწორედ იგივე მიზეზები, რაც მუშების არმიათა მასებს თავს უყრის ცალკეულ კაპიტალისტთა მბრძანებლობის ქვეშ, ადიდებს აგრეთვე გამოყენებული ძირითადი კაპიტალის მასას, ასევე ნედლეულისა და დამხმარე მასალის მასას, — ადიდებს მზარდი პროპორციით გამოყენებული ცოცხალი შრომის მასასთან შედარებით.

შემდეგ, საკმარისია აქ მხოლოდ მოვიხსენიოთ, რომ, მოცემული რაოდენობის მუშა-მოსახლეობის არსებობისას, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა მატულობს, — სამუშაო დღის გაგრძელების ან გაინტენსივების გამო მოხდა ეს თუ ხელფასის ღირებულების დაწევის გამო, რაც შრომის ნაყოფიერების განვითარების შედეგად წარმოდგება, — ზედმეტი ღირებულების მასა და, ამიტომ, მოგების აბსოლუტური მასაც, უნდა მატულობდეს, მუდმივ კაპიტალთან შედარებით ცვალებადი კაპიტალის შეფარდებითი შემცირების მიუხედავად.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების იგივე განვითარება, იგივე კანონები, რომლებიც ცვალებადი კაპიტალის შეფარდებითი შემცირებით ერთობლივ კაპიტალთან შედარებით და მასთან ერთად დაჩქარებული დაგროვებით გამოიხატება, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, დაგროვების უკუმიმართულება ნაყოფიერების შემდგომი განვითარებისა და ცვალებადი კაპიტალის შემდგომი შეფარდებითი შემცირების ამოსავალი პუნქტი ხდება, — იგივე განვითარება, თუ დროებითი ხასიათის რყევას ყურადღებას არ მივაქცევთ, გამოიხატება გამოყენებული ერთობლივი სამუშაო ძალის პროგრესული მატებით და ზედმეტი ღირებულების და, მაშასადამე, მოგების აბსოლუტური მასის პროგრესული გადიდებით.

რა ფორმით უნდა გამოიხატოს ეს ორადი კანონი ერთი და იმავე მიზეზებისაგან წარმომდგარი მოგების ნ ო რ მ ი ს შემცირებისა და მოგების აბსოლუტური მ ა ს ი ს იმავდროული მატებისა? იმაზე დამყარებული კანონი, რომ, მოცემულ პირობებში მითვისებული ზედმეტი

შრომის და, მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების მასა იზრდება, და რომ — თუ ერთობლივ კაპიტალს ან ყოველ ცალკეულ კაპიტალს განვიხილავთ როგორც ერთობლივი კაპიტალის უბრალო ნაწილს — მოგება და ზედმეტი ღირებულება იდენტური სიდიდეებია?

ავიღოთ კაპიტალის სათანადო ნაწილი, მაგალითად, 100 და გამოვიანგარიშოთ მის მიმართ მოგების ნორმა. ვიგულისხმოთ, რომ ეს 100 წარმოადგენს ერთობლივი კაპიტალის საშუალო შედგენილობას, ვთქვათ, 80_c+20_v-ს ამ წიგნის მეორე განყოფილებაში ჩვენ დავინახეთ, რომ მოგების საშუალო ნორმა წარმოების სხვადასხვა დარგში განისაზღვრება არა კაპიტალის განსაკუთრებული შედგენილობით თვითეულ დარგში, არამედ მისი საზოგადოებრივი საშუალო შედგენილობით. ცვალებადი ნაწილის შეფარდებითს დაკლებასთან ერთად მუდმივთან შედარებით და, მაშასადამე, 100-ის რაოდენობის მთელ კაპიტალთან შედარებით, შრომის ექსპლოატაციის ხარისხის უცვლელობისას და მატების დროსაც კი მოგების ნორმა ეცემა, კლებულობს ზედმეტი ღირებულების შეფარდებითი სიდიდე, ე. ი. მისი შეფარდება მთელი ავანსებული კაპიტალის, 100-ის, ღირებულებასთან. მაგრამ კლებულობს არა მარტო ეს შეფარდებითი სიდიდე. სიდიდე ზედმეტი ღირებულებისა, ანუ მოგებისა, რომელსაც მთელი კაპიტალი 100 შეიწოვს, კლებულობს აბსოლუტურად. თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა 100% შეადგენს, მაშინ 60_c+40_v აწარმოებს 40-ის რაოდენობის ზედმეტ ღირებულებას და, მაშასადამე, მოგების მასას; კაპიტალი 70_c+30_v აწარმოებს მოგების მასას 30-ის რაოდენობით; კაპიტალისთვის 80_c+20_v მოგება 20-ზე ჩამოდის. ეს შემცირება შეეხება ზედმეტი ღირებულების და, მაშასადამე, მოგების მასას და იქიდან გამომდინარეობს, რომ რადგან მთელ კაპიტალ 100-ს ნაკლები ცოცხალი შრომა მოჰყავს საერთოდ მოძრაობაში, მას, ექსპლოატაციის ხარისხის უცვლელობისას, აგრეთვე ნაკლები ზედმეტი შრომა მოჰყავს მოძრაობაში და ამიტომ ნაკლებ ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს. თუ საზოგადოებრივი კაპიტალის, მაშასადამე, საზოგადოებრივი საშუალო შედგენილობის კაპიტალის ერთ რომელიმე ჯერად ნაწილს ავიღებთ საზომ ერთეულად, რომლის კვალობაზე ზედმეტ ღირებულებას გავზომავთ,— და ეს ასე ხდება მოგების ყოველი გამოანგარიშებისას, — დავინახავთ, რომ საერთოდ ზედმეტი ღირებულების შეფარდებითი დაცემა და მისი აბსოლუტური დაცემა იდენტურია. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში მოგების ნორმა 40%-იდან ეცემა 30%-მდე და 20%-მდე, იმიტომ რომ ნამდვილად იმავე კაპიტალის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებუ-

ლების და, მაშასადამე, მოგების მასა აბსოლუტურად კლებულობს, 40-დან ჩამოდის 30-მდე და 20-მდე. რადგან მოცემულია კაპიტალის ღირებულების სიდიდე, რომლის მიხედვით გაიზომება ზედმეტი ღირებულება, სახელდობრ = 100, ამიტომ შემცირება ზედმეტი ღირებულების პროპორციისა ამ უცვლელი სიდიდისადმი შეიძლება მხოლოდ სხვაგვარი გამოსახვა იყოს ზედმეტი ღირებულებისა და მოგების აბსოლუტური სიდიდის შემცირებისათვის. სინამდვილეში ეს ტავტოლოგიაა. მაგრამ რომ ასეთი შემცირება ხდება, — ეს, როგორც ნაჩვენები იყო, კაპიტალისტური წარმოების პროცესის განვითარების ბუნებიდან გამომდინარეობს.

მაგრამ, მეორე მხრივ, იგივე მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ ზედმეტი ღირებულების და, მაშასადამე, მოგების აბსოლუტურ შემცირებას მოცემულ კაპიტალზე და ამიტომ აგრეთვე პროცენტობით გამოანგარიშებული მოგების ნორმის შემცირებას, იწვევენ საზოგადოების კაპიტალის მიერ (ე. ი. ყველა კაპიტალისტის მიერ) მითვისებული ზედმეტი ღირებულების და, მაშასადამე, მოგების აბსოლუტური მასის ზრდას. როგორ უნდა გამოიხატოს ეს, რანაირად შეიძლება იგი გამოიხატოს, ან რა პირობები იგულისხმება ამ მოჩვენებითს წინააღმდეგობაში?

თუ საზოგადოებრივი კაპიტალის ყოველი 100-ის ტოლი ჯერადი ნაწილი, მაშასადამე, საზოგადოებრივი საშუალო შედგენილობის მქონე კაპიტალის ყოველი 100 მოცემული სიდიდეა და ამიტომ მოგების ნორმის შემცირება მისთვის მოგების აბსოლუტური სიდიდის შემცირებას ემთხვევა, რადგან ამ შემთხვევაში კაპიტალი, რომლის მიხედვით გაიზომება მოგების ნორმა, მუდმივი სიდიდეა, — მაშინ, პირიქით, საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის სიდიდე, ისევე როგორც ცალკეულ კაპიტალისტთა ხელში მყოფი კაპიტალის სიდიდეც, ცვალებადია, რომელიც, რათა ნაგულისხმევ პირობებს შეესაბამებოდეს, თავისი ცვალებადი ნაწილის შემცირების უკუპროპორციულად უნდა იცვლებოდეს.

წინანდელ მაგალითში, როდესაც კაპიტალის პროცენტული შედგენილობა $60_c + 40_v$ იყო, ზედმეტი ღირებულება, ანუ მოგება მასზე, შეადგენდა 40-ს და ამიტომ მოგების ნორმა 40%-ს. ვიგულისხმოთ, რომ ასეთი შედგენილობისას ერთობლივი კაპიტალი იყო ერთი მილიონი. ამ შემთხვევაში ერთობლივი ზედმეტი ღირებულება და, მაშასადამე, ერთობლივი მოგება, იქნებოდა 400 000. თუ შემდეგ კაპიტალის შედგენილობა გახდა $80_c + 20_v$, მაშინ, შრომის ექსპლოატაციის

ხარისხის უცვლელობისას, ზედმეტი ღირებულება, ანუ მოგება, ყოველ 100-ზე იქნება 20. მაგრამ რადგან ზედმეტი ღირებულება, ანუ მოგება, აბსოლუტური მასის მხრივ, როგორც ცხადვყავით, იზრდება, მიუხედავად მოგების ამ კლებადი ნორმისა ანუ ზედმეტი ღირებულების კლებადი წარმოებისა თვითეული 100-ის ოდენობის კაპიტალის მიერ, — იზრდება, ვთქვათ, 400 000-დან 440 000-მდე, — ეს მხოლოდ იმის მეოხებითაა შესაძლებელი, რომ ერთობლივი კაპიტალი, რომელიც ამ ახალი შედგენილობისთანავე შეიქმნა, 2 200 000-მდე გაიზარდა. მოძრაობაში მოყვანილი ერთობლივი კაპიტალის მასა გადიდდა 120%-ით, მაშინ როდესაც მოგების ნორმა 50%-ით დაეცა. კაპიტალი რომ მხოლოდ გაორკეცებულიყო, იგი 20% მოგების ნორმის კვალობაზე ზედმეტი ღირებულების და მოგების მხოლოდ ისეთივე მასის წარმოებას შეძლებდა. რასაც წინანდელი 1 000 000 ოდენობის კაპიტალი აწარმოებდა 40%-ის კვალობაზე. იგი რომ ნაკლებ გადიდებულიყო, ვიდრე ორჯერ, მაშინ უფრო ნაკლებ ზედმეტ ღირებულებას, ანუ მოგებას აწარმოებდა, ვიდრე უწინ 1 000 000 ოდენობის კაპიტალი აწარმოებდა, რომელიც, მისი ძველი შედგენილობის არსებობისას, თავისი ზედმეტი ღირებულების 400 000-დან 440 000-მდე გასადიდებლად 1 000 000-დან მხოლოდ 1 100 000-მდე უნდა გადიდებულიყო.

აქ ვლინდება, უკვე წინათ განხილული კანონი, რომლის თანახმად ცვალებადი კაპიტალის შეფარდებითს შემცირებასა და, მაშასადამე, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განვითარებასთან ერთად საჭიროა მთელი კაპიტალის მუდმივად მზარდი მასა სამუშაო ძალის იმავე რაოდენობის მოძრაობაში მოსაყვანად და ზედმეტი შრომის იმავე მასის შესაწოვად. ამიტომ კაპიტალისტური წარმოების განვითარების შესაბამისად ვითარდება შესაძლებლობა შეფარდებითი ჭარბი მუშა-მოსახლეობის გაჩენისა, არა იმიტომ, რომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს, არამედ იმიტომ, რომ იგი მ ა ტ უ ლ ო ბ ს. ე. ი. არა აბსოლუტური შეუსაბამობის გამო შრომასა და საარსებო საშუალებათა შორის ან ამ საარსებო საშუალებათა მწარმოებელ საშუალებებს შორის, არამედ იმ შეუსაბამობის გამო, რომელიც შრომის კაპიტალისტური ექსპლოატაციიდან გამომდინარეობს. შეუსაბამობისა კაპიტალის პროგრესულ ზრდასა და მოსახლეობის ზრდის მიმართ ამ კაპიტალის შეფარდებით კლებადს მოთხოვნილებას შორის.

თუ მოგების ნორმა 50%-ით ეცემა, იგი ეცემა ნახევრად. ამიტომ, რათა მოგების მასა უცვლელი დარჩეს, კაპიტალი უნდა გაორკეცდეს.

იმისათვის, რომ მოგების კლებადი ნორმის არსებობისას მოგების მასა უცვლელი დარჩეს, ერთობლივი კაპიტალის ზრდის მაჩვენებელი მამრავლი უნდა უდრიდეს გამყოფს, რომელიც მოგების ნორმის შემცირებას გვიჩვენებს. თუ მოგების ნორმა ეცემა 40-დან 20-მდე, მთელი კაპიტალი, პირიქით, რათა შედეგი უწინდელი დარჩეს, უნდა გაიზარდოს შეფარდებით: 20 : 40. თუ მოგების ნორმა 40-დან 8-მდე დაეცემოდა, კაპიტალი უნდა გაზრდილიყო შეფარდებით 8 : 40, ე. ი. ხუთჯერ. 1 000 000 ოდენობის კაპიტალი 40%-ის კვალობაზე აწარმოებს 400 000-ს, და 5 000 000 ოდენობის კაპიტალიც 8%-ის კვალობაზე აწარმოებს აგრეთვე 400 000-ს. ასეთი ზრდა აუცილებელია, რათა შედეგი იგივე დარჩეს. პირიქით, იმისათვის რომ შედეგი უფრო დიდი გახდეს, კაპიტალი უფრო დიდი პროპორციით უნდა იზრდებოდეს, ვიდრე მოგების ნორმა ეცემა. სხვა სიტყვებით: იმისათვის, რომ ერთობლივი კაპიტალის ცვალებადი შემადგენელი ნაწილი არათუ აბსოლუტურად იგივე დარჩეს, არამედ აბსოლუტურად გაიზარდოს, თუმცა მისი პროცენტული შეფარდება ერთობლივ კაპიტალთან კლებულობს, ერთობლივი კაპიტალი უფრო დიდი პროპორციით უნდა იზრდებოდეს, ვიდრე ცვალებადი კაპიტალის პროცენტული შეფარდება კლებულობს. იგი ისე ძლიერ უნდა იზრდებოდეს, რომ თავისი ახალი შედგენილობის მიხედვით სამუშაო ძალის საყიდლად საჭიროებდეს არა მხოლოდ კაპიტალის წინანდელ ცვალებად ნაწილს, არამედ ამაზე მეტსაც. თუ 100-ის ტოლი კაპიტალის ცვალებადი ნაწილი 40-დან 20-მდე დაეცემა, მაშინ ერთობლივი კაპიტალი 200-ზე მეტად უნდა გაიზარდოს, რათა მისთვის შესაძლებელი გახდეს 40-ზე უფრო დიდი ცვალებადი კაპიტალის გამოყენება.

მაშინაც კი, თუ მუშა-მოსახლეობის ექსპლოატირებული მასა უცვლელი დარჩებოდა და მხოლოდ სამუშაო დღის ხანგრძლიობა და ინტენსივობა გადიდდებოდა, გამოყენებული კაპიტალის მასა უნდა გაზრდილიყო, რადგან იგი უნდა გაიზარდოს თუნდაც იმისათვის, რომ კაპიტალის შეცვლილი შედგენილობისას შრომის იგივე მასა გამოიყენებოდეს ექსპლოატაციის უწინდელ პირობებში.

ამრიგად, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების იგივე განვითარება გამოიხატება კაპიტალისტური წარმოების წესის პროგრესთან ერთად, ერთი მხრივ, მოგების ნორმის პროგრესული შემცირების ტენდენციით და, მეორე მხრივ, მითვისებული ზედმეტი ღირებულების, ანუ მოგების, აბსოლუტური მასის მუდმივი ზრდით, ასე რომ საერთოდ ცვალებადი კაპიტალის და მოგების შეფარდებითს კლებას ორივეს

აბსოლუტური მატება შეესაბამება. ეს ორმხრივი ზემოქმედება, როგორც ჩვენ ცხადვყავით, შეიძლება მხოლოდ იმით გამოიხატოს, რომ ერთობლივი კაპიტალი უფრო სწრაფი პროგრესიით იზრდება, ვიდრე ის პროგრესიაა, რომლითაც მოგების ნორმა კლებულობს. იმისათვის, რომ კაპიტალის მაღალი შედგენილობისას ანუ მუდმივი კაპიტალის შეფარდებით უფრო ძლიერი მატებისას შესაძლებელი იყოს აბსოლუტურად გაზრდილი ცვალებადი კაპიტალის გამოყენება, ერთობლივი კაპიტალი უნდა გაიზარდოს არა მხოლოდ მაღალი შედგენილობის შესაბამისად, არამედ კიდევ უფრო სწრაფად. აქედან გამომდინარეობს, რომ რაც უფრო ვითარდება კაპიტალისტური წარმოების წესი, კაპიტალის სულ უფრო დიდი რაოდენობაა საჭირო იმავე სამუშაო ძალის გამოსაყენებლად და კიდევ უფრო მეტია საჭირო მზარდი სამუშაო ძალის გამოსაყენებლად. ამრიგად, შრომის მზარდი ნაყოფიერება აუცილებლად წარმოშობს, კაპიტალისტურ საფუძველზე, მუშათა პერმანენტულ მოჩვენებითს ჭარბმოსახლეობას. თუ ცვალებადი კაპიტალი შეადგენს ერთობლივი კაპიტალის მხოლოდ 1/6-ს ნაცვლად წინანდელი 1/2-ისა, მაშინ ერთობლივი კაპიტალი უნდა გასამკეცდეს, რათა იგივე სამუშაო ძალა დაასაქმოს, ხოლო იმისათვის, რომ ორკეცი სამუშაო ძალა დაასაქმოს, საჭიროა კაპიტალის გაექვსკეცება.

წინანდელი პოლიტიკური ეკონომია, რომელმაც მოგების კლებადი ნორმის კანონის ახსნა ვერ მოახერხა, აღნიშნავს მოგების მზარდ მასას, ცალკეულ კაპიტალისტთა და საზოგადოებრივი კაპიტალის მოგების აბსოლუტური სიდიდის ზრდას როგორც ერთგვარ სანუგეშო გარემოებას, მაგრამ ესეც მხოლოდ ტრივიალობასა და შესაძლებლობაზეა აგებული.

მოგების მასა რომ ორი ფაქტორით განისაზღვრება: ჯერ ერთი, მოგების ნორმით და, მეორე, იმ კაპიტალის მასით, რომელიც მოგების ამ ნორმის მისაღებად გამოიყენება,— ეს მხოლოდ ტავტოლოგიაა. რომ, ამიტომ, მოგების მასა შეიძლება დიდდებოდეს, თუმცა მოგების ნორმა იმავე დროს ეცემოდეს,—ეს მხოლოდ გამოსახვაა ამ ტავტოლოგიისა და ერთი ნაბიჯითაც კი არ მივყავართ წინ, რადგან შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როცა კაპიტალი იზრდება, მოგების მასა კი არ დიდდება, და რომ კაპიტალი მაშინაც კი შეიძლება გაიზარდოს, როცა მოგების მასა კლებულობს: 100 იძლევა 25%-ის კვალობაზე 25-ს, 400 იძლევა 5%-ის კვალობაზე მხოლოდ 20-ს [35]. მაგრამ თუ იგივე მიზე-

[35] «ასევე შეიძლებოდა იმის მოლოდინი გვქონოდა, რომ, თუმცა მოგების ნორმა კაპიტალზე შეიძლება შემცირდეს მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის

ზები, რომლებიც მოგების ნორმის დაცემას იწვევენ, ხელს უწყობენ დაგროვებას, ე. ი. დამატებითი კაპიტალის შექმნას, და თვითეული დამატებითი კაპიტალი დამატებით შრომას მოიყვანს მოძრაობაში და დამატებით ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს; თუ, მეორე მხრივ, მოგების ნორმის მარტოოდენ შემცირება თავისთავად გულისხმობს იმ ფაქტს, რომ მუდმივი კაპიტალი და, მაშასადამე, მთელი უწინდელი კაპიტალი გაიზარდა, — მაშინ მთელი ეს პროცესი უკვე აღარ წარმოადგენს იდუმალებას. შემდგომში ჩვენ დავინახავთ, თუ ანგარიშის რაგვარ განზრახ გაყალბებას მიმართავენ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ შესაძლებლობა მოგების მასის მატებისა მოგების ნორმის იმავდროულად შემცირებისას.

ჩვენ ცხადვყავით, რომ იგივე მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ მოგების საერთო ნორმის დაცემის ტენდენციას, განაპირობებენ კაპიტალის აჩქარებულ დაგროვებას და ამის გამო კაპიტალის მიერ მითვისებული ზედმეტი შრომის (ზედმეტი ღირებულების, მოგების) აბსოლუტური სიდიდის ანუ ერთობლივი მასის ზრდასაც. როგორც ყვე-

---

დაგროვებისა და ხელფასის გადიდების გამო, მაგრამ მოგების ერთობლივი ჯამი მაინც გადიდდება. ასე, ვიგულისხმოთ, რომ თვითეული 100 000 გირვ. სტერლინგის განმეორებით დაგროვებისას მოგების ნორმა მცირდება და 20%-დან ჩამოდის 19%-ზე, 18%-ზე, 17%-ზე, — ვიგულისხმოთ, მაშასადამე, განუწყვეტლივ კლებადი ნორმა; ამ შემთხვევაში მოლოდინი უნდა გვქონოდა, რომ კაპიტალის ამ თანამიმდევნო მესაკუთრეების მიერ მიღებული მოგების მთელი ჯამი მუდამ უფრო და უფრო დიდი იქნება, რომ იგი უფრო დიდი იქნება, როცა კაპიტალი 200 000 გირვ. სტერლინგია., ვიდრე როცა 100 000 გირვ. სტერლ., და კიდევ უფრო დიდი იქნება, როცა კაპიტალი 300 000 გირვ. სტერლინგია. და ასე მუდამ მატებადი იქნება, თუმცა კლებადი ნორმით, კაპიტალია თვითეული მატებისას. მაგრამ ეს მატება მართებულია მხოლოდ გარკვეული დროისათვის; ასე, 200 000 გირვ. სტერლინგის 19% მეტია 100 000 გირვ. სტერლინგის 20%-ზე, და 300 000 გირვ. სტერლინგის 18% კიდევ მეტია 200 000 გირვ. სტერლინგის 19%-ზე. მაგრამ როდესაც უკვე დაგროვილია დიდი რაოდენობის კაპიტალი და მოგება შემცირებულია, თვითეული შემდგომი დაგროვება ამცირებს მოგების ჯამს. ასე, თუ ვიგულისხმებთ, რომ დაგროვება არის 1 000 000 გირვ. სტერლ. და მოგება 7%, მოგების მთელი ჯამი იქნება 70 000 გირვ. სტერლ.; ახლა თუ იმ მილიონს 100 000 გირვ. სტერლ. კაპიტალი მიემატება და მოგება 6%-ზე დავა, კაპიტალის მფლობელები მიიღებენ 66 000 გირვ. სტერლინგს, ანუ 4000 გირვ. სტერლინგით ნაკლებს, თუმცა კაპიტალის მთელი ჯამი 1 000 000 გირვ. სტერლინგიდან გადიდდა 1 100 000 გირვ. სტერლინგამდე». **Ricardo: [«On the Principles of Political Economy»**, თავი VI] (**Works, ed. by Mac Culloch**, 1852, გვ. 68 — 69). ნამდვილად კი აქ ნაგულისხმევია, რომ კაპიტალი 1 000 000-იდან იზრდება 1 100 000-მდე, ე. ი. 10%-ით, მაშინ როდესაც მოგების ნორმა მცირდება 7-დან 6-მდე, ე. ი. $14^2/_7$%-ით. **Hinc illae lacrimae** [აქედან — ცრემლები].

ლაფერი დამახინჯებულად წარმოდგება კონკურენციაში და, მაშასადამე, კონკურენციის აგენტთა ცნობიერებაში, ასევე დამახინჯებულად წარმოდგება ეს კანონიც, — მე მხედველობაში მაქვს ეს შინაგანი და აუცილებელი კავშირი ორ გარეგნულად ერთიმეორის მოწინააღმდეგ მოვლენას შორის. ცხადია, რომ ზემოაღნიშნული პროპორციების მიხედვით კაპიტალისტი, რომელსაც დიდი კაპიტალი აქვს თავის განკარგულებაში, მოგების მეტ მასას იღებს, ვიდრე პატარა კაპიტალისტი, რომელიც გარეგნულად თითქოს დიდ მოგებას იღებს. შემდეგ, კონკურენციაზე სრულიად ზერელე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ თუ გარკვეულ გარემოებებში, მაგ., კრიზისის დროს, უფრო მსხვილ კაპიტალისტს სურს ადგილი მოიპოვოს ბაზარზე და უფრო წვრილები განდევნოს იქიდან, იგი ამას პრაქტიკულად იყენებს, ე. ი. თავის მოგების ნორმას განზრახ ამცირებს, რათა შედარებით წვრილი კაპიტალისტები გაანძეოს. სახელდობრ ვაჭრის კაპიტალიც, რომელზედაც უფრო დაწვრილებით ჩვენ შემდგომ გვექნება ლაპარაკი, ამქღავნებს ისეთ მოვლენებს, რომელთა მეოხებით მოგების შემცირება წარმოგვიდგება როგორც საქმის და, მაშასადამე, კაპიტალის გაფართოების შედეგი. ნამდვილ მეცნიერულ გამოსახვას მცდარი გაგების ნაცვლად ჩვენ ქვემოთ ვიძლევით. მსგავსი ზერელე შეხედულებანი მიიღება მოგების ნორმების შედარებიდან, რომელთაც იძლევიან მოსაქმეობის ცალკეული დარგები იმისდა მიხედვით, თავისუფალი კონკურენციის რეჟიმს ექვემდებარებიან ისინი თუ მონოპოლიის რეჟიმს. სრულიად ბანალური წარმოდგენა, როგორიც კონკურენციის აგენტების თავში ბინადრობს, აქვს ჩვენს როშერს, სახელდობრ, მოგების ნორმის შემცირება «უფრო გონივრული და უფრო ჰუმანური» არისო. მოგების ნორმის შემცირება აქ წარმოდგენილია როგორც შ ე დ ე გ ი კაპიტალის გადიდებისა და მასთან დაკავშირებული კაპიტალისტთა გაანგარიშებისა, რომ უფრო პატარა მოგების ნორმის არსებობისას უფრო დიდი იქნება მათ მიერ ჩაჯიბული მოგების მასა. ყოველივე ეს (იმის გამოკლებით, რაც ა. სმიტს აქვს, რაზედაც შემდგომ ვილაპარაკებთ) დამყარებულია იმის სრულს გაუგებლობაზე, თუ რა არის საზოგადოდ მოგების საერთო ნორმა, და იმ ტლანქ წარმოდგენაზე, რომ ფასები ნამდვილად განისაზღვრება მოგების მეტნაკლებ ნებისმიერი წილის მიმატებით საქონელთა ნამდვილი ღირებულებისადმი. რაგინდ ტლანქი არ უნდა იყოს ასეთი წარმოდგენა, მას აუცილებლად წარმოშობს ის უკუღმართი სახე, რომელსაც კაპიტალისტური წარმოების იმანენტური კანონები ღებულობენ კონკურენციის სფეროში.

იხ კანონი, რომ მოგების ნორმის დაცემას, რაც მწარმოებლური ძალის განვითარებითაა გამოწვეული, თან ახლავს მოგების მასის მატება, იმითაც გამოიხატება, რომ კაპიტალის მიერ წარმოებულ საქონელთა ფასის დაცემას თან ახლავს მათში მოქცეული და მათი გაყიდვის გზით რეალიზებული მოგების მასის შეფარდებითი გადიდება.

რადგან მწარმოებლური ძალის განვითარებას და მის შესაბამის კაპიტალის მაღალ შედგენილობას წარმოების საშუალებათა მუდამ უფრო დიდი რაოდენობა მოჰყავს მოძრაობაში შრომის მუდამ ნაკლები რაოდენობის საშუალებით, ამიტომ მთელი პროდუქტის თვითეული ჯერადი ნაწილი, თვითეული ცალი საქონელი ან საქონლის თვითეული განსაზღვრული ცალკეული რაოდენობა, რომელიც წარმოებულ საქონელთა მთელი მასის საზომ ერთეულს შეადგენს, ნთქავს ნაკლებ ცოცხალ შრომას და, გარდა ამისა, ნაკლებ გასაგნობრივებულ შრომას შეიცავს, როგორც გამოყენებული ძირითადი კაპიტალის გაცვეთის სახით, ისე მოხმარებული ნედლეულისა და დამხმარე მასალის სახით. მაშასადამე, თვითეული ცალი საქონელი შეიცავს როგორც წარმოების საშუალებებში გასაგნობრივებული, ისე წარმოების განმავლობაში ახლად მიმატებული შრომის ნაკლებ რაოდენობას. ამიტომ თვითეული ცალი საქონლის ფასი ეცემა. მიუხედავად ამისა, მოგების მასამ, რომელსაც თვითეული ცალი საქონელი შეიცავს, შეიძლება იმატოს, თუ აბსოლუტური ან შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების ნორმა იზრდება. საქონელი შეიცავს ნაკლებ ახლად მიმატებულ შრომას, მაგრამ ამ უკანასკნელის გადაუხდელი ნაწილი იზრდება გადახდილ ნაწილთან შედარებით, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში. წარმოების განვითარების მსვლელობაში ყოველი ცალკეული საქონლისადმი ახლად მიმატებული ცოცხალი შრომის რაოდენობის უაღრესად გაძლიერებულ კლებასთან ერთად აბსოლუტურად დაიკლებს მასში მოქცეული გადაუხდელი შრომის მასაც, რაგინდ ძალიანაც იზრდებოდეს იგი შეფარდებით, სახელდობრ გადახდილ ნაწილთან შედარებით. ზედმეტი ღირებულების ნორმის ზრდის მიუხედავად, მოგების მასა, რომელიც ყოველ ცალკეულ საქონელზე მოდის, ძალიან შემცირდება შრომის ნაყოფიერების განვითარებასთან ერთად; ეს შემცირება კი, სრულიად ისევე როგორც მოგების ნორმის დაცემა, მხოლოდ შენელდება მუდმივი კაპიტალის ელემენტების გაიაფებით და სხვა გარემოებებით, რომლებიც ამ წიგნის პირველ განყოფილებაშია აღნიშნული და რომლებიც ზედმეტი ღირებულების უცვლელი და თვით კლებადი ნორმის არსებობის დროსაც კი მაღლა სწევენ მოგების ნორმას.

ის გარემოება, რომ ცალკეულ საქონელთა ფასი, რომელთა ჯამი კაპიტალის ერთობლივ პროდუქტს შეადგენს, ეცემა, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ შრომის მოცემული რაოდენობა საქონელთა უფრო დიდ მასაშია რეალიზებული, მაშასადამე, ყოველი ცალკეული საქონელი ნაკლებ შრომას შეიცავს, ვიდრე უწინ შეიცავდა. ეს ასე ხდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მუდმივი კაპიტალის ერთი ნაწილის, ნედლეულის და სხვ., ფასი აიწევს. ცალკეული შემთხვევების გამოკლებით (მაგალითად, თუ შრომის ნაყოფიერება როგორც მუდმივი, ისე ცვალებადი კაპიტალის ყველა ელემენტს თანაბრად აიაფებს) მოგების ნორმა დაეცემა, ზედმეტი ღირებულების გადიდებული ნორმის მიუხედავად, 1) იმიტომ რომ ახლად მიმატებული შრომის უფრო მცირე ერთობლივი ჯამის უფრო დიდი გადაუხდელი ნაწილიც კი ნაკლები არის, ვიდრე უფრო დიდი ერთობლივი ჯამის ნაკლები ჯერადი გადაუხდელი ნაწილი იყო, და 2) იმიტომ რომ კაპიტალის მაღალი შედგენილობა თავის გამოხატულებას პოულობს ცალკეულ საქონელში იმგვარად, რომ საქონლის ღირებულების ის ნაწილი, რომელიც საერთოდ ახლად მიმატებულ შრომას წარმოადგენს, მცირდება ღირებულების იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც ნედლეულს, დამხმარე მასალას და ძირითადი კაპიტალის გაცვეთას წარმოადგენს. ეს ცვლილება ცალკეული საქონლის ფასის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების თანაფარდობაში, — შემცირება ფასის იმ ნაწილისა, რომელიც ახლად მიმატებულ ცოცხალ შრომას წარმოადგენს, და გადიდება ფასის იმ ნაწილისა, რომელიც უწინდელ გასაგნობრივებულ შრომას წარმოადგენს, — არის ის ფორმა, რომლითაც გამოიხატება ცალკეული საქონლის ფასში ცვალებადი კაპიტალის შემცირება მუდმივთან შედარებით. რამდენადაც ეს შემცირება აბსოლუტურია მოცემული სიდიდის კაპიტალისათვის, მაგალითად, 100-ისთვის, იმდენადვე იგი აბსოლუტურია ყოველი ცალკეული საქონლისათვის როგორც კვლავწარმოებული კაპიტალის სათანადო ნაწილისათვის. მაგრამ მოგების ნორმა, თუ მას ცალკეული საქონლის ფასის ელემენტების კვალობაზე გამოვიანგარიშებდით, სხვა სახით წარმოგვიდგებოდა, ვიდრე ეს სინამდვილეშია. ამის მიზეზი კი შემდეგია:

(მოგების ნორმა გამოყენებულ ერთობლივ კაპიტალზე გამოიანგარიშება, მაგრამ — განსაზღვრული დროისთვის, ფაქტიურად ერთი წლისთვის. წლის განმავლობაში წარმოებული და რეალიზებული ზედმეტი ღირებულების, ანუ მოგების შეფარდება მთელ კაპიტალთან, პროცენტულად გამოანგარიშებული, არის მოგების ნორმა. მაშასადამე, იგი აუცილებლად როდია მოგების იმ ნორმის ტოლი, რომლის გამოან-

გარიშების საფუძვლად აღებულია არა წელიწადი, არამედ იმ კაპიტალის ბრუნვის პერიოდი, რომელზედაც ლაპარაკია; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კაპიტალი სწორედ ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში, ორივე ნორმა დაემთხვევა ერთიმეორეს.

მეორე მხრივ, წლის განმავლობაში მიღებული მოგება იმავე წლის მანძილზე წარმოებულ და გაყიდულ საქონელზე მიღებულ მოგებათა ჯამია მხოლოდ. და აი, თუ ჩვენ მოგებას საქონელთა ხარჯთფასზე გამოვიანგარიშებთ, მივიღებთ მოგების ნორმას, რომელიც $= \frac{p}{k}$, სადაც p ნიშნავს წლის განმავლობაში რეალიზებულ მოგებას და k იმავე დროის განმავლობაში წარმოებულ და გაყიდულ საქონელთა ხარჯთფასის ჯამს, ცხადია, მოგების ეს ნორმა $\frac{p}{k}$, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაემთხვეს მოგების ნამდვილ ნორმას $\frac{p}{C}$-ს, მთელ კაპიტალზე გაყოფილ მოგების მასას, თუ $k = C$, ე. ი. თუ კაპიტალი სწორედ ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში.

ავიღოთ რომელიმე სამრეწველო კაპიტალის სამი სხვადასხვა მდგომარეობა.

I. 8 000 გირვ. სტერლ. კაპიტალი აწარმოებს და ყიდის წლიურად 5 000 ცალ საქონელს, თითოს 30 შილინგად, მაშასადამე, მისი წლიური ბრუნვა = 7 500 გირვ. სტერლინგს. თითო ცალ საქონელზე იგი იძლევა 10 შილ. მოგებას = 2 500 გირვ. სტერლ. წლიურად. ამრიგად, თვითეული ცალი შეიცავს 20 შილ. ავანსებულ კაპიტალს და 10 შილ. მოგებას, მაშასადამე, მოგების ნორმა ცალზე შეადგენს $\frac{10}{20} = 50\%$. 7 500 გირვ. სტერლ. გადაბრუნებულ თანხაზე მოდის 5 000 გირვ. სტერლ. ავანსებული კაპიტალი და 2 500 გირვ. სტერლ. მოგება: მოგების ნორმა ყოველ გადაბრუნებაზე, $\frac{p}{k}$, აგრეთვე $= 50\%$, პირიქით, მთელ კაპიტალზე გამოანგარიშებული მოგების ნორმა $\frac{p}{C} = \frac{2500}{8000} = 31\frac{1}{4}\%$.

II. ვთქვათ, კაპიტალი გადიდდა 10 000 გირვ. სტერლინგამდე. ვიგულისხმოთ, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდების გამო მას შეუძლია წლიურად აწარმოოს 10 000 ცალი საქონელი თვითეული 20 შილ. ხარჯთფასის კვალობაზე. იგი ყიდის მათ 4 შილ. მოგებით, მაშასადამე, 24 შილინგად ცალს. ამ შემთხვევაში წლიური პროდუქტის ფასი =

$=12\,000$ გირვ. სტერლინ., საიდანაც 10 000 გირვ. სტერლ. შეადგენს ავანსებულ კაპიტალს და 2 000 გირვ. სტერლ. მოგებას. $\frac{p}{k}$ ცალზე $=\frac{4}{20}$, წლიური ბრუნვისათვის $=\frac{2000}{10000}$, მაშასადამე, ორსავე შემთხვევაში $=20\%$, და რადგან მთელი კაპიტალი ხარჯთფასთა ჯამს უდრის, სახელდობრ 10 000 გირვ. სტერლინგს, ამიტომ აგრეთვე $\frac{p}{C}$, ნამდვილი მოგების ნორმა, ამ შემთხვევაში 20% უდრის.

III. ვთქვათ, კაპიტალი, შრომის მუდმივად მზარდი ნაყოფიერების პირობებში, გადიდდა 15 000 გირვ. სტერლინგამდე და ახლა წლიურად აწარმოებს 30 000 ცალ საქონელს თვითეულს 13 შილ. ხარჯთფასის მიხედვით და ჰყიდის 2 შილინგის მოგებით, მაშასადამე, ცალს 15 შილინგად. ამგვარად, წლიური ბრუნვა $=15$ შილ. $\times 30\,000=22\,500$ გირვ. სტერლ., საიდანაც 19 500 გირვ. სტერლ. ავანსებული კაპიტალია და 3000 გირვ. სტერლ. მოგება. მაშასადამე, $\frac{p}{k}=\frac{2}{13}=\frac{3000}{19\,500}=$ $=15^5/_{13}\%$. პირიქით, $\frac{p}{C}=\frac{3000}{15\,000}=20\%$.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ მხოლოდ II შემთხვევაში, როდესაც გადაბრუნებული კაპიტალი ერთელ გადაბრუნებულია მთელ კაპიტალს უდრის, მოგების ნორმა ცალ საქონელზე ან ბრუნვის თანხაზე იგივეა, რაც მთელ კაპიტალზე გამოანგარიშებული მოგების ნორმა. I შემთხვევაში, როდესაც ბრუნვის თანხა ერთობლივ კაპიტალზე ნაკლებია, საქონლის ხარჯთფასზე გამოანგარიშებული მოგების ნორმა უფრო მაღალია; III შემთხვევაში, როდესაც მთელი კაპიტალი ბრუნვის თანხაზე ნაკლებია, იგი უფრო დაბალია, ვიდრე ნამდვილი, ერთობლივ კაპიტალზე გამოანგარიშებული მოგების ნორმა. ამას საყოველთაო მნიშვნელობა აქვს.

სავაჭრო პრაქტიკაში ბრუნვა ჩვეულებრივ არაზუსტად გამოიანგარიშება. ივარაუდება, რომ კაპიტალი ერთხელ გადაბრუნდა, თუ საქონლის რეალიზებულ ფასთა ჯამმა მთელი გამოყენებული კაპიტალის ჯამს მიაღწია. მაგრამ კ ა პ ი ტ ა ლ ს მხოლოდ მაშინ შეუძლია სრული ბრუნვა შეასრულოს, როდესაც რეალიზებულ საქონელთა ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ი ს ჯამი მთელი კაპიტალის ჯამს უთანატოლდება — ფ. ე.}

აქაც კვლავ აშკარავდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კაპიტალისტური წარმოების დროს ამა თუ იმ პერიოდში წარმოებული ცალკეული საქონელი ანუ საქონელპროდუქტი განვიხილოთ არა განცალკევებულად, არა თავისდათავად, როგორც უბრალო საქონელი, არამედ

როგორც ავანსებული კაპიტალის პროდუქტი და მთელ იმ კაპიტალთან მიმართებაში, რომელიც ამ საქონელს აწარმოებს.

თუმცა მოგების ნ ო რ მ ა უნდა გამოიანგარიშებოდეს წარმოებული და რეალიზებული ზედმეტი ღირებულების მასის გაზომვით არა მარტო მოხმარებული კაპიტალის იმ ნაწილის მიხედვით, რომელიც კვლავ გვევლინება საქონელში, არამედ ამ ნაწილისა და პლუს იმ ნაწილის მიხედვით, რომელიც მოხმარებული არ ყოფილა, მაგრამ გამოყენებული კი იყო და განაგრძობს წარმოებაში სამსახურს, მაგრამ მოგების მ ა ს ა შეიძლება ეთანატოლდებოდეს მხოლოდ მოგების ანუ ზედმეტი ღირებულების იმ მასას, რაც თვით საქონელთა მასაშია მოქცეული და რაც მათი გაყიდვის გზით უნდა იქნეს რეალიზებული.

თუ მრეწველობის მწარმოებლურობა დიდდება, ცალკეული საქონლის ფასი ეცემა. მაშინ იგი ნაკლებ შრომას შეიცავს, როგორც გადახდილს, ისე გადაუხდელსაც. ვთქვათ, იგივე შრომა, მაგალითად, სამჯერ მეტ პროდუქტს აწარმოებს; ამ შემთხვევაში თვითეულ ცალკეულ პროდუქტს $^2/_3$-ით ნაკლები შრომა უწევს. და რადგან მოგება შეიძლება შეადგენდეს მხოლოდ ამ შრომის მასის, ცალკეულ საქონელში მოქცეული შრომის მასის ნაწილს, ამიტომ მოგების მასა, რომელიც ყოველ ცალკეულ საქონელზე მოდის, უნდა შემცირდეს და ეს უნდა მოხდეს გარკვეულ ფარგლებში მაშინაც კი, როდესაც ზედმეტი ღირებულების ნორმა მაღლა იწევს. ყოველ შემთხვევაში მოგების მასა მთელ პროდუქტზე არ დაეცემა თავდაპირველი მოგების მასაზე დაბლა, თუკი კაპიტალი, ექსპლოატაციის თანაბარი ხარისხის პირობებში, მუშათა იმავე მასას გამოიყენებს, როგორც უწინ. (ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს აგრეთვე მაშინაც, როდესაც ნაკლები მუშა გამოიყენება ექსპლოატაციის ხარისხის ამაღლების პირობებში.) ვინაიდან: იმავე შეფარდებით, რა შეფარდებითაც კლებულობს მოგების მასა, რომელიც ცალკეულ პროდუქტს უწევს, მატულობს პროდუქტთა რიცხვი. მოგების მასა იგივე რჩება, მხოლოდ სხვაგვარად ნაწილდება საქონელთა ჯამზე; მაგრამ ეს სრულიად არ ცვლის ახლად მიმატებული შრომით შექმნილი ღირებულების რაოდენობის განაწილებას მუშებსა და კაპიტალისტებს შორის. მოგების მასა შეიძლება გადიდდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, შრომის იმავე მასის გამოყენებისას, გადაუხდელი ზედმეტი შრომა იზრდება, ან, შრომის ექსპლოატაციის ხარისხის უცვლელობისას, თუ მუშათა რიცხვი დიდდება, ანდა თუ ორივე ერთად მოქმედებს. ყველა ამ შემთხვევაში, — როდესაც მიღებული წანამძღვრების თანახმად ნაგულისხმევია მუდმივი კაპიტალის ზრდა ცვალებადთან შედარებით და გამოყენებული ერთობლივი კაპიტალის სი-

დიდის ზრდა, — ყოველი ცალკეული საქონელი ნაკლებ მოგების მასას შეიცავს, და მოგების ნორმა კლებულობს, ცალკეულ საქონელზე გამოანგარიშებულიც კი; ახლად მიმატებული შრომის მოცემული რაოდენობა გამოიხატება საქონელთა უფრო დიდი რაოდენობით; ცალკეული საქონლის ფასი ეცემა. თუ საქმეს აბსტრაქტულად განვიხილავთ, ცალკეული საქონლის ფასის დაცემისას, შრომის ნაყოფიერების გადიდების გამო, და, მაშასადამე, იმავდროულად ამ უფრო იაფ საქონელთა რიცხვის გადიდებისას, მოგების ნორმა შეიძლება იგივე დარჩეს, თუ, მაგალითად, ნაყოფიერების გადიდება თანაბრად და იმავდროულად ახდენს ზემოქმედებას საქონელთა ყველა შემადგენელ ნაწილზე, ასე რომ საქონლის მთელი ფასი იმავე შეფარდებით ეცემა, რა შეფარდებითაც შრომის ნაყოფიერება გადიდდა, და, მეორე მხრივ, საქონლის ფასის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილების ურთიერთშეფარდება იგივე რჩება. მოგების ნორმა შეიძლება გადიდებულიყო კიდეც, თუ ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებასთან დაკავშირებული იქნებოდა მუდმივი და განსაკუთრებით ძირითადი კაპიტალის ელემენტთა ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება. მაგრამ სინამდვილეში, როგორც უკვე დავინახეთ, მოგების ნორმა დროთა განმავლობაში ეცემა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მარტო ცალკეული საქონლის ფასის დაცემიდან გამოვიყვანოთ დასკვნები მოგების ნორმის შესახებ. აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დიდია საქონლის წარმოებაში მონაწილე მთელი კაპიტალის ჯამი. მაგალითად, ერთი ადლი ქსოვილის ფასი 3 შილინგიდან $1^2/_3$ შილინგამდე დაეცა; თუ ვიცით, რომ ფასის დაცემამდე ქსოვილში იყო $1^2/_3$ შილ. მუდმივი კაპიტალი, ნართი და სხვ., $^2/_3$ შილ. ხელფასი, $^2/_3$ შილ. მოგება, ხოლო ფასის დაცემის შემდეგ, — 1 შილ. მუდმივი კაპიტალი, $^1/_3$ შილ. ხელფასი და $^1/_3$ შილ. მოგება, ამით ჩვენ მაინც არ ვიცით, მოგების ნორმა იგივე დარჩა თუ არა. ეს იმაზეა დამოკიდებული, გადიდდა თუ არა და რამდენად გადიდდა მთელი ავანსებული კაპიტალი და რამდენი ადლით მეტს აწარმოებს იგი მოცემული დროის განმავლობაში.

კაპიტალისტური წარმოების წესის ბუნებიდან გამომდინარე ის მოვლენა, რომ შრომის მზარდი ნაყოფიერების პირობებში ცალკეული საქონლის ან საქონელთა მოცემული რაოდენობის ფასი მცირდება, საქონელთა რაოდენობა მატულობს, მოგების მასა ცალკეულ საქონელზე და მოგების ნორმა საქონელთა ჯამზე კლებულობს, ხოლო მოგების მასა საქონელთა მთელ ჯამზე მატულობს, — ეს მოვლენა ზედაპირზე გამოხატავს მხოლოდ იმას, რომ მცირდება მოგების მასა, რომელიც ცალკეულ საქონელზე მოდის, ეცემა საქონლის ფასი, დიდდება მოგე-

ბის მასა საქონელთა გადიდებულ მთელ რაოდენობაზე, რომელსაც აწარმოებს საზოგადოების მთელი კაპიტალი ანდა ცალკეული კაპიტალისტიც. ეს მაშინ ისე წარმოიდგინება, თითქოს კაპიტალისტი ნებაყოფლობით ნაკლებ მოგებას ანგარიშობს ცალკეულ საქონელზე, მაგრამ ინაზღაურებს იმით, რომ საქონელთა უფრო დიდ რაოდენობას აწარმოებს. ასეთი შეხედულება ემყარება იმ წარმოდგენას, რომ მოგება გაყიდვიდან წარმოდგება (profit upon alienation), ეს წარმოდგენა კი, თავის მხრივ, აღებულია ვაჭრის კაპიტალის დამახასიათებელი შეხედულებიდან.

უწინ, პირველი წიგნის მეოთხე და მეშვიდე განყოფილებაში, ჩვენ დავინახეთ, რომ შრომის ნაყოფიერებასთან ერთად საქონელთა მზარდი მასა და ცალკეული საქონლის გაიაფება თავისდათავად (რამდენადაც ეს საქონელნი განმსაზღვრელ გავლენას არ ახდენენ სამუშაო ძალის ფასზე), ფასის შემცირების მიუხედავად, არ ცვლის გადახდილი და გადაუხდელი შრომის შეფარდებას ცალკეულ საქონელში.

რადგან კონკურენციაში ყველაფერი მცდარად, სახელდობრ, დამახინჯებულად აისახება, ამიტომ შეიძლება ცალკეულმა კაპიტალისტმა წარმოიდგინოს: 1) რომ იგი საქონლის ფასის შემცირებით თავის მოგებას ცალკეულ საქონელზე კვეცავს, მაგრამ უფრო დიდ მოგებას იღებს გაყიდულ საქონელთა მასის გადიდების გამო; 2) რომ იგი აწესებს ცალკეულ საქონელთა ფასს და გამრავლების საშუალებით განსაზღვრავს მთელი პროდუქტის ფასს, მაშინ როდესაც თავდაპირველი პროცესი არის გაყოფა (იხ. წიგნი I, თავი X, გვ. 281 [კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ., გვ. 401 — 403]), გამრავლება სწორი გამოდის მხოლოდ როგორც მეორე ეტაპი, რომელიც ასეთ გაყოფას წინასწარ გულისხმობს. ვულგარული ეკონომისტი ნამდვილად მხოლოდ იმას აკეთებს, რომ კონკურენციით შეპყრობილი კაპიტალისტების უცნაური წარმოდგენები გადააქვს თითქოს უფრო თეორიულ, განმაზოგადებელ ენაზე და წელზე ფეხს იდგამს იმისათვის, რომ ამ წარმოდგენათა სისწორე დაასაბუთოს.

სინამდვილეში საქონელთა ფასების დაცემა და გაიაფებულ საქონელთა გადიდებულ მასაზე მოგების მასის გადიდება მხოლოდ სხვაგვარი გამოხატულებაა კანონისა, რომლის თანახმად მოგების ნორმა კლებულობს მოგების მასის იმავდროულად მატებისას.

იმის გამოკვლევა, თუ რამდენად შეიძლება მოგების ნორმის კლება ფასების მატებას ემთხვეოდეს, ისევე ნაკლებად არის აქ მოსატანი,

როგორც ის პუნქტი, რომელიც უწინ (წიგნი 1, გვ. 280—281) [კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ., გვ. 401 — 403] იყო განხილული შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების საკითხთან დაკავშირებით. კაპიტალისტი, რომელიც წარმოების გაუმჯობესებულ მეთოდებს იყენებს, მაგრამ ეს მეთოდები ჯერ კიდევ საყოველთაოდ შემოღებული არაა, საქონელს ყიდის საბაზრო ფასზე ნაკლებად, მაგრამ მის ინდივიდუალურ წარმოების ფასზე მეტად; ამრიგად, მოგების ნორმა მისთვის დიდდება მანამდე, ვიდრე მას კონკურენცია არ გაათანატოლებს; ვიდრე ეს გათანატოლების პერიოდი გრძელდება, თავს იჩენს მეორე რეკვიზიტი—დახარჯული კაპიტალის გადიდების საჭიროება; ამ გადიდების ოდენობის მიხედვით კაპიტალისტისათვის შესაძლებელი იქნება წინათ დასაქმებულ მუშათა მასის ნაწილი, იქნებ მუშათა მთელი ანდა უფრო დიდი მასაც კი, ახალ პირობებში ამუშაოს, მაშასადამე, მოგების იგივე ან უფრო დიდი მასა აწარმოოს.

თავი მეთოთხმეტე

წინააღმდეგმოქმედი მიზეზები.

თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების კოლოსალურ განვითარებას, ყველა წინანდელ პერიოდთან შედარებით, თუნდაც მარტო უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ ძირითადი კაპიტალის უზარმაზარ მასას, რომელიც გარდა საკუთრივ მანქანებისა, საზოგადოებრივი წარმოების პროცესის ერთობლიობაში შედის, — იმ სიძნელის ადგილას, რომელზედაც დღემდე ეკონომისტების ყურადღება იყო მიპყრობილი, სახელდობრ სიძნელისა, რომელიც მოგების ნორმის დაცემის ახსნას შეეხება, ჩნდება სხვა საწინააღმდეგო სიძნელე, სახელდობრ: რატომ არაა ეს დაცემა უფრო დიდი ან უფრო სწრაფი. უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობენ წინააღმდეგმოქმედი გავლენანი, რომლებიც ასუსტებენ და ადუნებენ ზოგადი კანონის ზემოქმედებას და აძლევენ ამ კანონს მხოლოდ ტენდენციის ხასიათს, რის გამოც ჩვენ მოგების საერთო ნორმის დაცემას დაცემის ტენდენცია ვუწოდეთ. ყველაზე ზოგადი მიზეზები ამათგან შემდეგია:

I. შრომის ექსპლოატაციის ხარისხის ამაღლება.

შრომის ექსპლოატაციის ხარისხი, ზედმეტი შრომისა და ზედმეტი ღირებულების მითვისება, დიდდება კერძოდ სამუშაო დღის გაგრძელებისა და შრომის გაინტენსივების საშუალებით. ორივე ეს პუნქტი დაწვრილებითაა გამოკვლეული I წიგნში, სადაც ლაპარაკია აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოებაზე. არსებობს შრომის გაინტენსივების ბევრი ისეთი მომენტი, რომელიც გულისხმობს მუდმივი კაპიტალის ზრდას ცვალებადთან შედარებით, მაშასადამე, მოგების ნორმის დაცემას, — მაგალითად, თუ მუშა მანქანების მეტ რიცხვს მეთვალყურეობს. აქ, — როგორც მეტწილ იმ წესების დროს, რომლებიც შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოებას ემსახურება, — იგივე მიზეზები, რომლებიც ზედმეტი ღირებულების ნორმის ზრდას იწვევენ, შეიძლება, თუ მხედველობაში მივიღებთ გამო-

ყენებული ერთობლივი კაპიტალის მოცემულ სიდიდეს, ზედმეტი ღირებულების მასის შემცირებას იწვევდნენ. მაგრამ არსებობს შრომის გაინტენსივების სხვა მომენტები, მაგალითად, მანქანების აჩქარებული სისწრაფე; ეს უკანასკნელნი იმავე დროის განმავლობაში მეტ ნედლ მასალას მოიხმარებენ, მაგრამ რაც შეეხება ძირითად კაპიტალს, — თუმცა მანქანები უფრო სწრაფად ცვდება, მაგრამ ამით სრულიადაც არ იცვლება მათი ღირებულების შეფარდება იმ შრომის ფასთან, რომელსაც ისინი მოძრაობაში მოჰყავს. განსაკუთრებით კი სამუშაო დღის გაგრძელება, თანამედროვე მრეწველობის ეს გამოგონება, არის ის გარემოება, რომელიც მითვისებული ზედმეტი შრომის მასას ადიდებს ისე, რომ არსებითად არ ცვლის გამოყენებული სამუშაო ძალის შეფარდებას ამ ძალის მიერ მოძრაობაში მოყვანილ მუდმივ კაპიტალთან, და რომელიც ფაქტიურად ამ ძირითად კაპიტალს ამცირებს კიდეც შეფარდებით. სხვათა შორის, ჩვენ უკვე ცხადვყავით, — და ამაში მდგომარეობს საკუთრივ მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის საიდუმლოება, — რომ შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოების მეთოდების მიზანი საერთოდ და მთლიანად არის შემდეგი: ერთი მხრივ, შრომის მოცემული მასის რაც შეიძლება დიდი ნაწილის გარდაქმნა ზედმეტ ღირებულებად, მეორე მხრივ, საერთოდ რაც შეიძლება ნაკლები შრომის გამოყენება ავანსებულ კაპიტალთან შედარებით; ასე რომ იგივე მიზეზები, რომლებიც შრომის ექსპლოატაციის ხარისხის გადიდების საშუალებას იძლევიან, არ იძლევიან იმის შესაძლებლობას, რომ ერთობლივმა კაპიტალმა იმდენსავე შრომას გაუწიოს ექსპლოატაცია, რამდენსაც უწინ უწევდა. ასეთია წინააღმდეგმოქმედი ტენდენციები, რომელნიც, ადიდებენ რა ზედმეტი ღირებულების ნორმას, იმავე დროს ამცირებენ მოცემული კაპიტალის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასას და, მაშასადამე, მოგების ნორმასაც. აქ უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ქალებისა და ბავშვების შრომის მასობრივი გამოყენება, რამდენადაც მთელმა ოჯახმა კაპიტალს ზედმეტი შრომის უფრო დიდი მასა უნდა მისცეს, ვიდრე უწინ, თუნდაც რომ იზრდებოდეს ამ ოჯახისათვის მიცემული ხელფასის მთელი ჯამი, თუმცა ასეთი შემთხვევა სრულიადაც არ წარმოადგენს საერთო მოვლენას. — ასეთივე გავლენა აქვს ყველაფერს, რაც, გამოყენებული კაპიტალის სიდიდის უცვლელობისას, ხელს უწყობს შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების წარმოებას მარტოოდენ მეთოდების გაუმჯობესების გზით, როგორც ეს მიწათმოქმედებაშია. თუმცა აქ გამოყენებული მუდმივი კაპიტალი არ იზრდება ცვალებადთან შედარებით, რამდენადაც ჩვენ ამ უკანასკნელს განვიხილავთ როგორც დასაქმებუ-

ლი სამუშაო ძალის მაჩვენებელს, მაგრამ იზრდება პროდუქტის მასა გამოყენებულ სამუშაო ძალასთან შედარებით. ამასვე აქვს ადგილი, თუ შრომის ნაყოფიერება (სულ ერთია, მუშების მოხმარებაში შედის მისი პროდუქტი თუ მუდმივი კაპიტალის ელემენტებში) თავისუფლდება კავშირურთიერთობის შემაფერხებელ დაბრკოლებათაგან, ნებისმიერ ან დროის განმავლობაში შემაფერხებლად ქცეულ შეზღუდვათაგან, საერთოდ ყოველგვარი ბორკილისაგან ისე, რომ ამით პირველ ხანებში ხელუხლები რჩება ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან.

შეიძლება წამოიჭრას ასეთი კითხვა: იმ მიზეზთა რიცხვში, რომელნიც ხელს უშლიან მოგების ნორმის დაცემას, მაგრამ საბოლოო ანგარიშით მაინც მუდამ აჩქარებენ მას, იგულისხმება თუ არა ზედმეტი ღირებულების დროებითი, მაგრამ მუდამ განმეორებითი გადიდება, რომელიც წარმოების ხან ერთ დარგში იჩენს თავს და ხან მეორეში, — გადიდება საერთო დონეზე მაღლა იმ კაპიტალისტისათვის, რომელიც გამოგონებებით და სხვ. სარგებლობს, სანამ ეს გამოგონებანი საყოველთაო ხმარებაში არ შესულა. ამ კითხვას დადებითად უნდა ვუპასუხოთ.

ზედმეტი ღირებულების მასა, რასაც მოცემული სიდიდის კაპიტალი აწარმოებს, ორი მამრავლის ნამრავლია, სახელდობრ ზედმეტი ღირებულების ნორმის, რომელიც გამრავლებულია ამ ნორმის არსებობისას დასაქმებულ მუშათა რიცხვზე. მაშასადამე, იგი დამოკიდებულია, ზედმეტი ღირებულების მოცემული ნორმის არსებობისას, მუშათა რიცხვზე და, მუშათა მოცემული რიცხვის არსებობისას — ზედმეტი ღირებულების ნორმაზე, ე. ი. საერთოდ ცვალებადი კაპიტალის აბსოლუტური სიდიდისა და ზედმეტი ღირებულების ნორმის რთულ შეფარდებაზე. ხოლო ჩვენ დავინახეთ, რომ საშუალოდ იგივე მიზეზები, რომლებიც შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების ნორმას ადიდებენ, გამოყენებული სამუშაო ძალის მასას ამცირებენ. მაგრამ ცხადია, რომ გადიდებას ან შემცირებას აქ ადგილი აქვს იმ განსაზღვრული შეფარდების მიხედვით, რომლის თანახმად ეს ერთიმეორის საპირისპირო მოძრაობა ხორციელდება, და რომ მოგების ნორმის შემცირების ტენდენცია განსაკუთრებით სუსტდება სამუშაო დღის გაგრძელებიდან გამომდინარე აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებით.

მოგების ნორმის გამოკვლევის დროს ჩვენ დავინახეთ საერთოდ. რომ ნორმის შემცირებას, რომელსაც იწვევს გამოყენებული მთელი

კაპიტალის მასის ზრდა, მოგების მასის გადიდება შეესაბამება. თუ საზოგადოების ერთობლივ ცვალებად კაპიტალს განვიხილავთ, მის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება უდრის წარმოებულ მოგებას. ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ მასასთან ერთად ზედმეტი ღირებულების ნორმაც გაიზარდა; პირველი გაიზარდა იმიტომ, რომ გადიდდა საზოგადოების მიერ გამოყენებული სამუშაო ძალის მასა, მეორე კი იმიტომ, რომ გაიზარდა ამ შრომის ექსპლოატაციის ხარისხი. მაგრამ მოცემული სიდიდის კაპიტალთან, მაგ., 100-თან დაკავშირებით ზედმეტი ღირებულების ნორმა შეიძლება გადიდდეს, მაშინ როდესაც მისი მასა საშუალოდ მცირდება, იმიტომ რომ ნორმა განისაზღვრება იმ შეფარდებით, რომლის თანახმად იზრდება კაპიტალის ცვალებადი ნაწილის ღირებულება, მასა კი, პირიქით, განისაზღვრება იმ შეფარდებითი წილით, რომელსაც ცვალებადი კაპიტალი შეადგენს მთელ კაპიტალში.

ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდება, — რადგან მას ადგილი აქვს ისეთ პირობებშიც, როდესაც, როგორც ზევითაა აღნიშნული, მუდმივი კაპიტალი სრულიად არ დიდდება ან დიდდება არა იმ პროპორციით, როგორც ცვალებადი, — არის ფაქტორი, რომელიც მონაწილეობს ზედმეტი ღირებულების მასის და, მაშასადამე, მოგების ნორმის განსაზღვრაში. ეს ფაქტორი არ აუქმებს ზოგად კანონს. მაგრამ იგი აკეთებს იმას, რომ ეს კანონი უფრო ტენდენციის სახით მოქმედებს, ე. ი. მოქმედებს როგორც კანონი, რომლის აბსოლუტურ განხორციელებას აფერხებენ, აყოვნებენ, ასუსტებენ წინააღმდეგმოქმედი გარემოებანი. მაგრამ რადგან იმავე მიზეზებს, რომელნიც ზედმეტი ღირებულების ნორმას ადიდებენ (სამუშაო დროის გაგრძელებაც კი მსხვილი მრეწველობის შედეგია), ტენდენცია აქვთ მოცემული კაპიტალის მიერ გამოყენებული სამუშაო ძალა შეამცირონ, ამიტომ ერთსა და იმავე მიზეზებს ტენდენცია აქვთ შეამცირონ მოგების ნორმა და შეანელონ ამ შემცირების პროცესი. თუ ერთ მუშას თავს მოახვევენ ისეთ სამუშაოს, რომლის შესრულება რაციონალურად მხოლოდ ორს შეუძლია, და თუ ეს ისეთ პირობებში ხდება, როდესაც ამ ერთ მუშას სამის მაგივრობის გაწევა შეუძლია, მაშინ ეს ერთი იმდენ ზედმეტ შრომას იძლევა, რამდენსაც უწინ ორი იძლეოდა, და ამდენად გადიდდება ზედმეტი ღირებულების ნორმა. მაგრამ იგი ვერ მოგვცემს იმდენს, რამდენსაც უწინ სამი იძლეოდა, და ამრიგად ზედმეტი ღირებულების მასა შემცირდება. მაგრამ ეს შემცირება კომპენსირებული ან ზღვარდებულია ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებით. თუ მთელმა მოსახლეობამ ზედმეტი ღირებულების გადიდებული ნორმის

მიხედვით იმუშავა, — მაშინ ზედმეტი ღირებულების მასა გადიდდება, თუმცა მოსახლეობა უცვლელი დარჩება. კიდევ უფრო გადიდდება იგი მოსახლეობის ზრდის დროს; და თუმცა ეს დაკავშირებულია დასაქმებულ მუშათა რიცხვის შეფარდებითს შემცირებასთან მთელი კაპიტალის სიდიდესთან შედარებით, მაგრამ ამ შემცირებას აზომიერებს ან ანელებს ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდება.

ვიდრე შემდგომ პუნქტზე გადავიდოდეთ, ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის მოცემული სიდიდის პირობებში ზედმეტი ღირებულების ნ ო რ მ ა შეიძლება იზრდებოდეს, თუმცა მისი მ ა ს ა კლებულობს, და პირიქით. ზედმეტი ღირებულების მასა უდრის მის ნორმას, მუშათა რიცხვზე გამრავლებულს; მაგრამ ეს ნორმა არასოდეს არ იანგარიშება მთელ კაპიტალზე, არამედ მხოლოდ ცვალებად კაპიტალზე, სინამდვილეში მხოლოდ თვითეულ სამუშაო დღეზე. პირიქით, კაპიტალის ღირებულების მოცემული სიდიდის პირობებში მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა არასოდეს არ შეიძლება გადიდდეს ან დაეცეს ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ა ს ი ს გაუდიდებლად ან შეუმცირებლად.

II. ხელფასის დაცემა სამუშაო ძალის ღირებულებაზე დაბლა.

ჩვენ აქ მხოლოდ ემპირიულად მივუთითებთ ამ გარემოებაზე, რადგან სინამდვილეში ამას, როგორც ბევრ სხვა რამეს, რომელიც შეიძლებოდა აქ აღნიშნულიყო, არაფერი აქვს საერთო კაპიტალის ზოგად ანალიზთან და კონკურენციის გამოკვლევის ფარგლებში შედის, რაც ამ ნაშრომის საგანს არ შეადგენს. მაგრამ იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია, რომელიც აფერხებს მოგების ნორმის შემცირების ტენდენციას.

III. მუდმივი კაპიტალის ელემენტების გაიაფება.

აქ შედის ყველაფერი, რაც ამ წიგნის პირველ განყოფილებაში იყო ნათქვამი იმ მიზეზების შესახებ, რომელნიც მოგების ნორმას ადიდებენ ზედმეტი ღირებულების ნორმის უცვლელობისას ან ზედმეტი ღირებულების ნორმისაგან დამოუკიდებლად, მაშასადამე, ის შემთხვევაც სახელდობრ, რომ — თუ მთელ კაპიტალს განვიხილავთ — მუდმივი კაპიტალის ღირებულება არ იზრდება იმავე პროპორციით, როგორც მისი მატერიალური მოცულობა. მაგალითად, ბამბის რაოდენობა, რომელსაც ცალკეული მრთველი მუშა თანამედროვე ევროპულ ფაბრიკაში გადაამუშავებს, კოლოსალურად გაიზარდა იმ რაოდენობასთან შედარებით, რასაც ევროპელი მრთველი უწინ ჯარათი გადაამუშავებდა.

მაგრამ გადამუშავებული ბამბის ღირებულება არ გადიდებულა იმ პროპორციით, როგორც მისი მასა. იგივე ითქმის მანქანებისა და სხვა ძირითადი კაპიტალის შესახებაც. მოკლედ, იგივე განვითარება, რომელიც მუდმივი კაპიტალის მასას ადიდებს ცვალებადთან შეფარდებით, ამცირებს მისი ელემენტების ღირებულებას შრომის გადიდებული ნაყოფიერების გამო და, მაშასადამე, ხელს უშლის იმას, რომ მუდმივი კაპიტალის ღირებულება, თუმცა იგი მუდამ იზრდება, იმავე პროპორციით გაიზარდოს, როგორც მისი მატერიალური მოცულობა, ე. ი. სამუშაო ძალის იმავე რაოდენობის მიერ ამოძრავებული წარმოების საშუალებათა მატერიალური მოცულობა. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია მუდმივი კაპიტალის ელემენტთა მასის გადიდებაც კი, მაშინ როდესაც მისი ღირებულება იგივე რჩება ან კლებულობს კიდეც.

ნათქვამთან დაკავშირებულია არსებული კაპიტალის (ე. ი. მისი ნივთიერი ელემენტების) გაუფასურება, რასაც ადგილი აქვს მრეწველობის განვითარებასთან ერთად. ისიც ერთ-ერთი მუდმივ მოქმედი მიზეზია, რომელიც მოგების ნორმის დაცემას აფერხებს, თუმცა ზოგ გარემოებაში მას შეუძლია მოგების მასა შეამციროს მოგების მომცემი კაპიტალის მასის შემცირების გზით. აქ კვლავ ვხედავთ, რომ იგივე მიზეზები, რომელნიც წარმოშობენ მოგების ნორმის დაცემის ტენდენციას, იმავე დროს აზომიერებენ ამ ტენდენციის განხორციელებას.

IV. შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა.

შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის შექმნა განუყოფელია შრომის ნაყოფიერების განვითარებისაგან და ჩქარდება ამ განვითარებით, რაც მოგების ნორმის შემცირებით გამოიხატება. შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა მით უფრო შესამჩნევად მეღავნდება ამა თუ იმ ქვეყანაში, რაც უფრო განვითარებულია მასში კაპიტალისტური წარმოების წესი. იგი, თავის მხრივ, იმის მიზეზია, რომ, ერთი მხრივ, წარმოების ბევრ დარგში განაგრძობს არსებობას შრომის მეტნაკლებ არასრული დაქვემდებარება კაპიტალისადმი და ამასთან უფრო დიდხანს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეესაბამება განვითარების საერთო დონეს; ეს შედეგია ბაზარზე მყოფ ან დათხოვნილ დაქირავებულ მუშათა სიიაფის და სიმრავლისა და იმ უფრო დიდი წინააღმდეგობისა, რასაც წარმოების ზოგიერთ დარგებში, მათი ბუნებისამებრ, ხვდება ხელშრომის გარდაქმნა მანქანურ შრომად. მეორე მხრივ, იხსნება წარმოების ახალი დარგები, განსაკუთრებით ფუფუნების საგნების დარგები, რომელთა

ბაზისს სწორედ ის შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა შეადგენს, ხშირად რომ წარმოების სხვა დარგებში განთავისუფლდება ხოლმე მუდმივი კაპიტალის მომეტებულობის გამო, და რომელნიც, თავის მხრივ, ასევე ცოცხალი შრომის ელემენტების სიჭარბეზე არიან დამყარებული და წარმოების სხვა დარგების მსგავსად თანდათანობით გაივლიან განვითარების იმავე გზას. ორივე შემთხვევაში ცვალებადი კაპიტალი მთელი კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და ხელფასი საშუალოზე დაბალია, ასე რომ წარმოების ამ დარგებში ზედმეტი ღირებულების ნორმაც და ზედმეტი ღირებულების მასაც არაჩვეულებრივად დიდია. და რადგან მოგების საერთო ნორმა წარმოების ცალკეული დარგების მოგების ნორმათა გათანატოლების გზით წარმოიქმნება, ამიტომ იგივე მიზეზი, რომელიც წარმოშობს მოგების ნორმის დაცემის ტენდენციას, ქმნის ამ ტენდენციის საწინააღმდეგო მოქმედებას, რაც მის გავლენას ცოტად თუ ბევრად ძალას უკარგავს.

V. საგარეო ვაჭრობა.

რამდენადაც საგარეო ვაჭრობა აიაფებს ნაწილობრივ მუდმივი კაპიტალის ელემენტებს, ნაწილობრივ აუცილებელ საარსებო საშუალებებს, რომლებადაც ცვალებადი კაპიტალი გარდაიქმნება, იგი ხელს უწყობს მოგების ნორმის გადიდებას, რადგან ზედმეტი ღირებულების ნორმას ადიდებს და მუდმივი კაპიტალის ღირებულებას ამცირებს. იგი საერთოდ ამ მიმართულებით მოქმედებს, ქმნის რა წარმოების მასშტაბის გაფართოების შესაძლებლობას. ამით იგი აჩქარებს, ერთი მხრივ, დაგროვებას, ხოლო, მეორე მხრივ, ცვალებადი კაპიტალის შემცირებას მუდმივთან შედარებით და, მაშასადამე, მოგების ნორმის დაცემასაც. ასევე, თუმცა საგარეო ვაჭრობის გაფართოება კაპიტალისტური წარმოების წესის ბავშვობის პერიოდში მის ბაზისს შეადგენდა, მაგრამ ამ წარმოების წესის განვითარების მსვლელობაში, მისი შინაგანი აუცილებლობის გამო, იმის გამო, რომ ეს წარმოების წესი მუღამ უფრო და უფრო გაფართოებულ ბაზარს საჭიროებს, საგარეო ვაჭრობის გაფართოება მის საკუთარ შედეგად იქცა. აქაც კვლავ აშკარავდება ზემოქმედების იგივე ორადობა (საგარეო ვაჭრობის ეს მხარე რიკარდომ სრულიად ვერ შეამჩნია).

სხვა საკითხი, — რომელიც თავისი სპეციალური ხასიათის გამო ჩვენი ნამდვილი გამოკვლევის ფარგლებს გარეშე რჩება, — არის შემდეგი: დიდდება თუ არა მოგების საერთო ნორმა იმ უფრო მაღალი

მოგების ნორმის გამო, რომელსაც საგარეო და განსაკუთრებით კოლონიურ ვაჭრობაში დაბანდებული კაპიტალი იძლევა?

საგარეო ვაჭრობაში დაბანდებულ კაპიტალს შეუძლია მოგების უფრო მაღალი ნორმის მოცემა, რადგან, ჯერ ერთი, აქ წარმოებს კონკურენცია ისეთი საქონლით, რომელსაც სხვა ქვეყნები ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში აწარმოებენ, ასე რომ უფრო დაწინაურებული ქვეყანა თავის საქონელს მის ღირებულებაზე უფრო მეტად ყიდის, თუმცა უფრო იაფად, ვიდრე მეტოქე ქვეყნები. რამდენადაც უფრო დაწინაურებული ქვეყნის შრომა ფასდება როგორც უფრო მაღალი ხვედრითი წონის მქონე შრომა, მოგების ნორმა მატულობს, რადგან თუმცა ეს შრომა არაა ფასგადახდილი როგორც უფრო მაღალი ხარისხის შრომა, მაგრამ ასეთი სახით გაიყიდება. ასეთსავე ვითარებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ ქვეყნის მიმართ, სადაც საქონელი იგზავნება და საიდანაც საქონელი მიიღება; სახელდობრ ასეთი ქვეყანა მეტ გასაგნობრივებულ შრომას იძლევა in natura [ნატურით], ვიდრე იღებს, და თან მაინც უფრო იაფად იღებს საქონელს, ვიდრე თვით მას შეეძლო იგი ეწარმოებია. სრულიად ისე, როგორც მეფაბრიკე, რომელიც ახალი გამოგონებით სარგებლობს, სანამ ეს უკანასკნელი საყოველთაო ხმარებაში შევიდოდეს, თავის კონკურენტებზე უფრო იაფად ყიდის და, მიუხედავად ამისა, ყიდის მაინც თავისი საქონლის ინდივიდუალურ ღირებულებაზე მეტად, ე. ი. მის მიერ გამოყენებული შრომის შედარებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას ზედმეტ შრომად აქცევს. იგი ამ გზით დამატებითი მოგების რეალიზაციას ახდენს. მეორე მხრივ, რაც შეეხება კოლონიებში და სხვ. დაბანდებულ კაპიტალს, — მას მოგების უფრო მაღალი ნორმის მოცემა შეუძლია, რადგან იქ, დაბალი განვითარების გამო, მოგების ნორმა საერთოდ უფრო მაღალია და მონებისა, კულებისა და სხვ. გამოყენების პირობებში შრომის ექსპლოატაციაც უფრო დიდია. სრულიად გაუგებარია, თუ მოგების ეს შედარებით მაღალი ნორმები, რომელთაც განსაზღვრულ დარგებში დაბანდებული კაპიტალი ამგვარად იძლევა და სამშობლოს აწვდის, რატომ არ უნდა მონაწილეობდეს მოგების საერთო ნორმის გათანატოლებაში, და, მაშასადამე, pro tanto [შესაბამისად] არ უნდა ადიდებდნენ მას, თუ ამას წინ არ ეღობება მონოპოლიები[36]. განსაკუთრებით

---

[36] ამ შემთხვევაში მართალია ა. სმიტი და არა რიკარდო, რომელიც ამბობს: «ისინი ამტკიცებენ, მოგებათა გათანატოლება მოგებათა საერთო გადიდების გზით განხორციელდებაო; მე კი იმ აზრისა ვარ, რომ უფრო ხელსაყრელ პირობებში

გაუგებარი იქნებოდა ეს იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალდაბანდების ყოველი დარგი თავისუფალი კონკურენციის კანონებს ექვემდებარება. რიკარდოს კი, პირიქით, საქმე, სახელდობრ ასე წარმოუდგენია: იმ ფულით, რომელიც უცხოეთში მაღალ ფასში გაყიდვით იქნება მიღებული, იქ საქონელს იყიდიან და ანაზღაურების სახით უკან გზავნიან სამშობლოში; მაშასადამე, ეს საქონელი ქვეყნის შიგნით გაიყიდება, და ამიტომ ხელსაყრელ პირობებში მყოფ წარმოების სფეროებს აქედან — დიდი-დიდი — დროებითი განსაკუთრებული ზარალი შეიძლება მოუვიდეთ სხვებთან შედარებით. მაგრამ ეს ილუზია მაშინვე ქრება, როგორც კი მხედველობის გარეშე დავტოვებთ ფულად ფორმას. ხელსაყრელ პირობებში მყოფი ქვეყანა გაცვლისას მეტ შრომას იღებს ნაკლებ შრომაში, თუმცა ამ სხვაობას, ამ ნამეტს, როგორც საერთოდ შრომასა და კაპიტალს შორის გაცვლისას, გარკვეული კლასი მითვისებს. მაშასადამე, რამდენადაც მოგების ნორმა უფრო მაღალია, რადგან იგი საერთოდ უფრო მაღალია კოლონიურ ქვეყანაში, ეს, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების არსებობისას, შეიძლება საქონლის დაბალ ფასებთან ხელიხელჩაკიდებული მიმდინარეობდეს. გათანატოლება ხდება, მაგრამ ეს არაა გათანატოლება ძველი დონის მიხედვით, როგორც რიკარდო ფიქრობს.

მაგრამ იგივე საგარეო ვაჭრობა ქვეყნის შიგნით ავითარებს კაპიტალისტურ წარმოების წესს და, მაშასადამე, იწვევს ცვალებადი კაპიტალის შემცირებას მუდმივთან შედარებით; მეორე მხრივ, იგი ქმნის ჭარბწარმოებას უცხოეთის მიმართ და ამიტომ შემდგომ მსვლელობაში წინააღმდეგმოქმედი გავლენა აქვს.

და ამრიგად, საერთოდ აშკარავდება, რომ იგივე მიზეზები, რომლებიც მოგების საერთო ნორმის დაცემას იწვევენ, წინააღმდეგმოქმედ შედეგებს წარმოშობენ, რომლებიც ამ დაცემას აბრკოლებენ, აფერხებენ და ნაწილობრივ ადუნებენ. ისინი არ აუქმებენ კანონს, არამედ ასუსტებენ მის მოქმედებას. უამისოდ გაუგებარი იქნებოდა არა დაცემა მოგების საერთო ნორმისა, არამედ, პირიქით, ის, რომ ეს დაცემა შედარებით ნელა ხდება. ამრიგად, კანონი მოქმედებს მხოლოდ როგორც ტენდენცია, რომლის გავლენა მხოლოდ განსაზღვრულ გარემოებებში და ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში მყღავნდება მკაფიოდ.

მყოფი ვაჭრობის დარგის მოგება მალე დაიწევს საერთო დონემდე ([D. Ricardo: «On the Principles of Political Economy»]. Works ed. by Mac Culloch. [London 1852], გვ. 73).

ვიდრე სხვა საკითხებს შევეხებოდეთ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ერთხელ კიდევ გავიმეორებთ ორ არაერთხელ განვითარებულ დებულებას.

პ ი რ ვ ე ლ ი: იგივე პროცესი, რომელიც კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების მსვლელობაში საქონელთა გაიაფებას წარმოშობს, იწვევს აგრეთვე ცვლილებას საქონელთა საწარმოებლად გამოყენებული საზოგადოებრივი კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში და ამის შედეგად იწვევს მოგების ნორმის დაცემასაც. ამრიგად ცალკეული საქონლის შეფარდებითი ხარჯების შემცირება, აგრეთვე ამ ხარჯების იმ ნაწილის შემცირება, რომელიც მანქანების გაცვეთას შეადგენს, არ უნდა გავაიგივოთ მუდმივი კაპიტალის ღირებულების ზრდასთან ცვალებადის მიმართ, თუმცა, პირიქით, მუდმივი კაპიტალის შეფარდებითი ხარჯების ყოველი შემცირება, ამ კაპიტალის მატერიალური ელემენტების უცვლელი ან მზარდი მასის პირობებში, ზეგავლენას ახდენს მოგების ნორმის გადიდებაზე, ე. ი. pro tanto [შესაბამისად] მუდმივი კაპიტალის ღირებულების შემცირებაზე შედარებით ცვალებად კაპიტალთან, რომელიც კლებადი პროპორციით გამოიყენება.

მ ე ო რ ე: ის გარემოება, რომ ახლად მიმატებული ცოცხალი შრომა, რაც მოქცეულია სხვადასხვა ცალკეულ საქონელში, რომელთა ერთობლიობაც კაპიტალის პროდუქტს შეადგენს, — სულ უფრო კლებადს შეფარდებაშია მათში მოქცეულ ნედლ მასალასა და მათს დამზადებაზე მოხმარებულ შრომის საშუალებებთან; მაშასადამე, ის გარემოება, რომ სხვადასხვა ცალკეულ საქონელში მუდამ კლებადი რაოდენობის ახლად მიმატებული ცოცხალი შრომაა გასაგნობრივებული, იმიტომ რომ საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განვითარებასთან ერთად მათი წარმოებისათვის ნაკლები შრომაა საჭირო, — ეს გარემოება არ ეხება იმ შეფარდებას, რომლის მიხედვით საქონელში მოქცეული ცოცხალი შრომა გადახდილ და გადაუხდელ შრომად იყოფა. პირიქით. თუმცა საქონელში მოქცეული ახლად მიმატებული ცოცხალი შრომა კლებულობს, — გადაუხდელი ნაწილი მაინც იზრდება გადახდილთან შედარებით ამ უკანასკნელის ან აბსოლუტური, ან შეფარდებითი შემცირების გამო, იმიტომ რომ წარმოების იმავე მეთოდს, რომელიც ცალკეულ საქონელში მოქცეულ ახლად მიმატებულ ცოცხალ შრომას ამცირებს, თან ახლავს აბსოლუტური და შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების ზრდა. მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია დაკავშირებულია ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებისა და, ე. ი., შრომის ექსპლოატაციის ხარისხის მატების ტენდენციასთან. ამიტომ უაღრესად შეუსაბამო იქნებოდა მოგების ნორმის დაცემა ხელფასის

ნორმის აწევით აგვეხსნა, თუმცა გამონაკლისის სახით შეიძლება ასეც მოხდეს. სტატისტიკას შეუძლია ნამდვილი ანალიზი გაუკეთოს ხელფასის ნორმას სხვადასხვა ეპოქებსა და ქვეყნებში მხოლოდ იმ პიროებების გაგებით, რომელნიც მოგების ნორმას ქმნიან. მოგების ნორმა ეცემა არა იმიტომ, რომ შრომა ნაკლებ ნაყოფიერი გახდა, არამედ იმიტომ, რომ იგი უფრო ნაყოფიერი ხდება. ერთიც და მეორეც, ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდება და მოგების ნორმის დაცემა, მხოლოდ განსაკუთრებული ფორმებია, რომლებითაც შრომის მზარდი ნაყოფიერება კაპიტალისტურად გამოისახება.

VI. აჭიანონერული კაპიტალის გადიდება.

ზემოაღნიშნულ ხუთ პუნქტს შეიძლება დაემატოს კიდევ შემდეგი პუნქტი, მაგრამ ამ უკანასკნელზე ჯერჯერობით უფრო დაწვრილებით ვერ შევჩერდებით. კაპიტალისტური წარმოების პროგრესთან ერთად, რომელიც აჩქარებულ დაგროვებასთან ხელიხელჩაკიდებული მიიმართება, კაპიტალის ერთი ნაწილი იანგარიშება და გამოიყენება მხოლოდ როგორც სარგებელმომტანი კაპიტალი. არა იმ აზრით, რა აზრითაც თვითეული კაპიტალისტი, რომელიც კაპიტალს გაასესხებს, სარგებლით კმაყოფილდება, მაშინ როდესაც მრეწველი კაპიტალისტი მეწარმის მოგებას იღებს. ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მოგების საერთო ნორმის სიმაღლესთან, რადგან ამ უკანასკნელისათვის მოგება = სარგებელს + ყოველგვარი მოგება + მიწის რენტა, ამასთან ამ განსაკუთრებულ კატეგორიებს შორის განაწილებას მნიშვნელობა არა აქვს მოგების საერთო ნორმისათვის. არამედ იმ აზრით, რომ ეს კაპიტალები, თუმცა მსხვილ მწარმოებლურ საწარმოებში დაბანდებულნი, ყველა ხარჯის გამოკლების შემდეგ იძლევიან მხოლოდ დიდ ან პატარა სარგებელს, ეგრეთწოდებულ დივიდენდს, მაგალითად, სარკინიგზო საქმეში. მაშასადამე, ისინი არ მონაწილეობენ მოგების საერთო ნორმის გათანატოლებაში, რადგან საშუალოზე ნაკლებ მოგების ნორმას იძლევიან. ისინი რომ ამაში მონაწილეობდნენ, მაშინ მოგების საერთო ნორმა ბევრად უფრო დაბლა დაიწევდა. საკითხის თეორიულად განხილვისას ისინი შეიძლება ანგარიშში მივიღოთ, და მაშინ მიიღება მოგების უფრო ნაკლები ნორმა, ვიდრე ის ნორმაა, რომელიც თითქოს არსებობს და რომელსაც ნამდვილად განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს კაპიტალისტებისათვის. ვინაიდან სწორედ ამ საწარმოებში მუდმივი კაპიტალი ყველაზე დიდია ცვალებადთან შეფარდებით.

თავი მეთხუთმეტე

კანონის შინაგან წინააღმდეგობათა გაშლა.

I. ზოგადი შენიშვნები.

ამ წიგნის პირველ განყოფილებაში ჩვენ დავინახეთ, რომ მოგების ნორმით გამოხატული ზედმეტი ღირებულების ნორმა მუდამ უფრო დაბალია, ვიდრე იგი ნამდვილად არის. ახლა ჩვენ დავინახეთ, რომ ზედმეტი ღირებულების მატებად ნორმასაც კი აქვს ტენდენცია — გამოიხატოს მოგების კლებადი ნორმით. მოგების ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ზედმეტი ღირებულების ნორმის ტოლი, თუ $c = 0$, ე. ი. თუ მთელი კაპიტალი ხელფასზე დაიხარჯებოდა. მოგების კლებადი ნორმა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოსახავს ზედმეტი ღირებულების კლებად ნორმას, თუ შეფარდება მუდმივი კაპიტალის ღირებულებასა და სამუშაო ძალის რაოდენობას შორის, რომელსაც იგი მოძრაობაში მოჰყავს, უცვლელი რჩება, ან თუ ეს უკანასკნელი მატულობს მუდმივი კაპიტალის ღირებულებასთან შედარებით.

რიკარდო, რომელსაც ჰგონია, რომ მოგების ნორმას განიხილავს, სინამდვილეში განიხილავს მხოლოდ ზედმეტი ღირებულების ნორმას და ამ უკანასკნელსაც მხოლოდ იმის ვარაუდის საფუძველზე, რომ სამუშაო დღე თავისი ინტენსივობითა და ხანგრძლიობით მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს.

მოგების ნორმის დაცემა და აჩქარებული დაგროვება მხოლოდ იმდენადაა ერთი და იმავე პროცესის სხვადასხვა გამოსახულება, რამდენადაც ერთიც და მეორეც მწარმოებლური ძალის განვითარებას გამოსახავს. დაგროვება, თავის მხრივ, აჩქარებს მოგების ნორმის დაწევას, რამდენადაც იგი წარმოშობს სამუშაოთა კონცენტრაციას დიდი მასშტაბით და ამასთან კაპიტალის უფრო მაღალ შედგენილობას. მეორე მხრივ, მოგების ნორმის დაცემა აჩქარებს კვლავ კაპიტალის კონცენტრაციას და მის ცენტრალიზაციას წვრილი კაპიტალისტების ექსპროპრიაციის გზით, იმ უშუალო მწარმოებელთა უკანასკნელი ნაშთის ექსპროპრიაციის გზით, რომელთაც კიდევ შერჩენიათ რამ საექსპრო-

პრიაციო. შემდეგ, ამის გამო ჩქარდება დაგროვება, მასის მიხედვით განხილული, თუმცა მოგების ნორმის დაცემასთან ერთად დაგროვების ნორმაც ეცემა.

მეორე მხრივ, რამდენადაც ერთობლივი კაპიტალის ღირებულების ზრდის ნორმა, მოგების ნორმა, კაპიტალისტური წარმოების სტიმულია (ისევე როგორც კაპიტალის ღირებულების ზრდა მისი ერთადერთი მიზანია), მოგების ნორმის დაცემა ანელებს ახალი დამოუკიდებელი კაპიტალების შექმნას და, ამგვარად, გვევლინება როგორც მუქარა კაპიტალისტური წარმოების პროცესის განვითარებისათვის; იგი ხელს უწყობს ჭარბწარმოებას, სპეკულაციას, კრიზისებს, ჭარბი კაპიტალის გაჩენას ჭარბმოსახლეობასთან ერთად. ამიტომ ეკონომისტები, რომელნიც, რიკარდოს მსგავსად, კაპიტალისტურ წარმოების წესს აბსოლუტურად თვლიან, აქ გრძნობენ, რომ წარმოების ეს წესი თვით ქმნის თავისთვის ზღუდეს, და ამიტომ ამ ზღუდეს მიაწერენ არა წარმოებას, არამედ ბუნებას (მოძღვრებაში რენტის შესახებ). მაგრამ იმ შიშში, რომელსაც მათ ჰგვრის მოგების კლებადი ნორმა, უმთავრესია იმის გრძნობა, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი მწარმოებლურ ძალთა განვითარებაში ხვდება ისეთ ზღუდეს, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს სიმდიდრის წარმოებასთან როგორც ასეთთან; და ეს თავისებური ზღუდე იმას მოწმობს, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი ზღვარდებულია და მას მხოლოდ ისტორიული, წარმავალი ხასიათი აქვს, რომ იგი სიმდიდრის წარმოებისათვის არ გეევლინება წარმოების აბსოლუტურ წესად და რომ, პირიქით, განსაზღვრულ საფეხურზე კონფლიქტში შედის თავის შემდგომ განვითარებასთან.

ესეც კია, რომ რიკარდო და მისი სკოლა განიხილავენ მხოლოდ სამრეწველო მოგებას, რომელიც სარგებელსაც შეიცავს. მაგრამ მიწის რენტის ნორმასაც აქვს დაცემის ტენდენცია, თუმცა მისი აბსოლუტური მასა იზრდება და იგი პროპორციულადაც შეიძლება იზრდებოდეს სამრეწველო მოგებასთან შედარებით (იხ. ედ. უესტი, რომელმაც რიკარდოზე ა დ რ ე განავითარა მიწის რენტის კანონი). თუ ჩვენ საზოგადოებრივ ერთობლივ კაპიტალს C-ს განვიხილავთ და p_1-ით აღვნიშნავთ სამრეწველო მოგებას, რომელიც სარგებლისა და მიწის რენტის გამოკლების შემდეგ რჩება, z-ით აღვნიშნავთ სარგებელს და r-ით მიწის რენტას, მაშინ $\frac{m}{C} = \frac{p}{C} = \frac{p_1 + z + r}{C} = \frac{p_1}{C} + \frac{z}{C} + \frac{r}{C}$. ჩვენ დავინახეთ, რომ თუმცა კაპიტალისტური წარმოების განვითარების მსვლელობაში m, ზედმეტი ღირებულების ერთობლივი ჯამი, მუდამ იზრდება,

მაგრამ $\frac{m}{C}$ ასევე მუდამ კლებულობს, რადგან C კიდევ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე m. მაშასადამე, არავითარი წინააღმდეგობა არ არის იმაში, რომ p_1, z და r, თვითეული თავისდათავად, მუდამ შეიძლება იზრდებოდეს, მაშინ, როდესაც $\frac{m}{C} = \frac{p}{C}$, ხოლო $\frac{p_1}{C}$, $\frac{z}{C}$ და $\frac{r}{C}$, თვითეული თავისდათავად შეიძლება სულ უფრო მცირდებოდეს, ან რომ p_1 შედარებით z-თან, ან r შედარებით p_1-თან, ანდა შედარებით p_1-თანაც და z-თანაც შეფარდებით დიდდებოდეს. მთელი ზედმეტი ღირებულების ანუ მოგების $m = p$ გადიდებისას, მაგრამ იმავე დროს მოგების ნორმის $\frac{m}{C} = \frac{p}{C}$ შემცირებისას, p_1, z და r, ნაწილების სიდიდის შეფარდება, რომლებადაც $m = p$ იყოფა, შეიძლება ნებისმიერად იცვლებოდეს m მთელი ჯამით მოცემულ ფარგლებს შიგნით, ამასთან ეს არავითარ გავლენას არ ახდენს m-ის ან $\frac{m}{C}$-ის სიდიდეზე.

p_1, z და r ცვლილება ერთიმეორის მიმართ გამოხატავს მხოლოდ m სხვაგვარ განაწილებას სხვადასხვა რუბრიკებს შორის. ამიტომ $\frac{p_1}{C}$, $\frac{z}{C}$ ან $\frac{r}{C}$, ინდივიდუალური სამრეწველო მოგების ნორმა, სარგებლის ნორმა და რენტის შეფარდება ერთობლივ კაპიტალთან, შეიძლება მატულობდეს ერთი მეორესთან შედარებით, თუმცა მოგების საერთო ნორმა, $\frac{m}{C}$ კლებულობს; აუცილებელ პირობად რჩება მხოლოდ ის, რომ სამივეს ჯამი $= \frac{m}{C}$. თუ მოგების ნორმა 50%-იდან 25%-მდე დაეცა, თუ მაგალითად, კაპიტალის შედგენილობა, 100% ზედმეტი ღირებულების ნორმის არსებობისას, $50_c + 50_v$ გადაიქცა $75_c + 25_v$, მაშინ პირველ შემთხვევაში კაპიტალი 1 000 მოგვცემს 500 მოგებას, და მეორე შემთხვევაში კაპიტალი 4 000 მოგვცემს 1 000 მოგებას. m ანუ p გაორკეცდა, მაგრამ p' სანახევროდ შემცირდა. და თუ უწინ 50%-იდან 20 მოდიოდა მოგებაზე, 10 სარგებელზე და 20 რენტაზე, ახლა $\frac{p_1}{C} = 20\%$, $\frac{z}{C} = 10\%$, $\frac{r}{C} = 20\%$. თუ 25%-ად გარდაქმნისას იგივე შეფარდება დარჩა,

მაშინ $\frac{p_1}{C}=10\%$, $\frac{\tilde{z}}{C}=5\%$ და $\frac{r}{C}=10\%$. პირიქით, თუ $\frac{p_1}{C}$ დაეცემოდა 8%-მდე და $\frac{\tilde{z}}{C}$ დაეცემოდა 4%-მდე, მაშინ $\frac{r}{C}$ გადიდდებოდა

13%-მდე. r-ის პროპორციული სიდიდე გაიზრდებოდა p_1-თან და z-თან შედარებით, მაგრამ p' მაინც უცვლელი დარჩებოდა. თუ ორივეს ვიგულისხმებთ, მაშინ p_1, z და r ჯამი გადიდდებოდა, რადგან მას ოთხჯერ უფრო დიდი კაპიტალი აწარმოებდა. სხვათა შორის, რიკარდოს ვარაუდი, რომ თავდაპირველად სამრეწველო მოგება (პლუს სარგებელი) მთელ ზედმეტ ღირებულებას შეიცავს, ისტორიულად და ლოგიკურად მცდარია. პირიქით, მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების პროგრესი 1) აძლევს მრეწველ და ეაჭარ კაპიტალისტებს მთელ თავდაპირველ მოგებას შემდგომი განაწილებისათვის და 2) რენტას ხდის მოგების ნამეტად. შემდეგ, ამ კაპიტალისტურ ბაზისზე კვლავ წარმოიქმნება რენტა, რომელიც მოგების (ე. ი. ერთობლივი კაპიტალის პროდუქტად განხილული ზედმეტი ღირებულების) ნაწილს წარმოადგენს, მაგრამ არა პროდუქტის იმ სპეციფიკურ ნაწილს, რომელსაც კაპიტალისტი ჩაიჯიბავს.

თუ ვიგულისხმებთ აუცილებელ წარმოების საშუალებათა არსებობას, ე. ი. კაპიტალის საკმაო დაგროვებას, მაშინ ზედმეტი ღირებულების შექმნა, — როცა მისი ნორმა მოცემულია, მაშასადამე, როცა შრომის ექსპლოატაციის ხარისხი მოცემულია, — თავის ზღუდეს პოულობს მხოლოდ მუშა-მოსახლეობაში, ხოლო როცა მუშა-მოსახლეობა მოცემულია, იგი ზღუდეს პოულობს მხოლოდ შრომის ექსპლოატაციის ხარისხში. კაპიტალისტური წარმოების პროცესი კი არსებითად მდგომარეობს ზედმეტი ღირებულების წარმოებაში, რაც გამოიხატება ზედმეტი პროდუქტით ანუ წარმოებულ საქონელთა სათანადო ნაწილით, რომელშიც გადაუხდელი შრომაა გასაგნობრივებული. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ზედმეტი ღირებულების წარმოება, ხოლო მისი გარკვეული ნაწილის უკუგარდაქმნა კაპიტალად, ანუ დაგროვება, ზედმეტი ღირებულების ამ წარმოების ინტეგრალურ ნაწილს შეადგენს, — კაპიტალისტური წარმოების უშუალო მიზანი და განმსაზღვრელი მოტივია. ამიტომ კაპიტალისტური წარმოება არასოდეს არ უნდა დავსახოთ იმად, რაც ის არ არის, სახელდობრ ისეთ წარმოებად, რომელსაც თავის უშუალო მიზნად აქვს მოხმარება ანუ მოხმარების საშუალებათა წარმოება კაპიტალისტისათვის. ამასთან მხედველობის

გარეშე იქნებოდა დატოვებული მისი სპეციფიკური ხასიათი, რომელიც გამოხატულია მთელი მისი შინაგანი არსებით.

ამ ზედმეტი ღირებულების მოპოვება შეადგენს წარმოების უშუალო პროცესს, რომლისათვის, როგორც ვთქვით, არ არსებობს სხვა ზღუდეები, გარდა ზემოაღნიშნულისა. როგორც კი ზედმეტი შრომის გამოსაწურავი რაოდენობა სხვადასხვა საქონელში გასაგნობრივდა, ზედმეტი ღირებულება წარმოებულია. მაგრამ ზედმეტი ღირებულების ამ წარმოებით დასრულებულია კაპიტალისტური წარმოების პროცესის მხოლოდ პირველი აქტი. უშუალო წარმოების პროცესი. კაპიტალმა ამდენი და ამდენი გადაუხდელი შრომა შეიწოვა. პროცესის განვითარებაში, რაც მოგების ნორმის დაცემით გამოიხატება, ამგვარად წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა უზარმაზარ ოდენობას აღწევს. ახლა იწყება პროცესის მეორე აქტი. საქონელთა მთელი მასა, მთელი პროდუქტი, — როგორც ის ნაწილი, რომელიც მუდმივ და ცვალებად კაპიტალს ანაზღაურებს, ისე ის ნაწილიც, რომელიც ზედმეტ ღირებულებას გამოხატავს, — უნდა გაიყიდოს. თუ ეს არ ხდება, ან მხოლოდ ნაწილობრივ ხდება, ან საქონელი ისეთ ფასში გაიყიდება, რომელიც წარმოების ფასზე ნაკლებია, მაშინ მუშამ თუმცა კი განიცადა ექსპლოატაცია, მაგრამ მისი ექსპლოატაცია როგორც ასეთი არაა რეალიზებული კაპიტალისტისათვის; ამასთან შეიძლება გამოწურული ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია სულაც არ მოხდეს, ან მოხდეს ნაწილობრივი რეალიზაცია მხოლოდ, რაც შეიძლება კაპიტალის ნაწილობრივ ან მთლიან დაკარგვასთანაც კი იყოს დაკავშირებული. უშუალო ექსპლოატაციის პირობები და მისი რეალიზაციის პირობები არაა იდენტური. ისინი ერთიმეორისგან გათიშულია არა მარტო დროისა და ადგილის მიხედვით, არამედ არსებითადაც. ერთნი ზღვარდებულნი არიან მხოლოდ საზოგადოების მწარმოებლური ძალით, მეორენი — წარმოების სხვადასხვა დარგთა პროპორციულობით და საზოგადოების სამომხმარებლო ძალით. მაგრამ ამ უკანასკნელს არ განსაზღვრავს არც აბსოლუტური მწარმოებლური ძალა და არც აბსოლუტური სამომხმარებლო ძალა, არამედ სამომხმარებლო ძალა განაწილების ანტაგონისტური ურთიერთობის ბაზისზე, რასაც საზოგადოების დიდი მასის მოხმარება მხოლოდ მეტნაკლებად ვიწრო ფარგლებში, ცვალებად მინიმუმამდე დაჰყავს. შემდეგ, ეს მოხმარება ზღვარდებულია დაგროვებისადმი მისწრაფებით, კაპიტალის გადიდებისა და ფართო მასშტაბით ზედმეტი ღირებულების წარმოებისადმი მისწრაფებით. ასეთია კაპიტალისტური წარმოების კანონი, რომელიც ნაკარნახევია თვით წარმოების

მეთოდებში მუდმივი რევოლუციებით, არსებული კაპიტალის გაუფასურებით, რაც მუდამ თან ახლავს ამ რევოლუციებს, საყოველთაო კონკურენტული ბრძოლით და წარმოების გაუმჯობესებისა და მისი მასშტაბის გაფართოების აუცილებლობით, რაც მარტოოდენ მისი შენარჩუნებისა და დაღუპვისგან გადარჩენის საშუალებაა. ამიტომ ბაზარი მუდამ უნდა ფართოვდებოდეს, ასე რომ საბაზრო კავშირურთიერთობა და მისი განმსაზღვრელი პირობები მწარმოებლებისგან სულ უფრო დამოუკიდებელი ბუნებრივი კანონის ხასიათს იღებენ და კონტროლისადმი სულ უფრო დაუქვემდებარებელი ხდებიან. შინაგანი წინააღმდეგობა გაწონასწორებას ესწრაფვის წარმოების გარეგანი ასპარეზის გაფართოების გზით. მაგრამ რაც უფრო ვითარდება მწარმოებლური ძალა, მით უფრო ვარდება იგი წინააღმდეგობაში იმ ვიწრო ბაზისთან, რომელზედაც დამყარებულია მოხმარებითი ურთიერთობა. ამ წინააღმდეგობით აღსავსე ბაზისზე სრულიადაც არ წარმოადგენს წინააღმდეგობას ის, რომ კაპიტალის სიჭარბე მოსახლეობის მზარდ სიჭარბესთანაა დაკავშირებული; ვინაიდან: თუმცა ჭარბი კაპიტალის ჭარბმოსახლეობასთან შეერთებისას წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა გაიზრდებოდა, მაგრამ სწორედ ამიტომ გაიზრდებოდა წინააღმდეგობაც ამ ზედმეტი ღირებულების წარმოების პირობებსა და მისი რეალიზაციის პირობებს შორის.

თუ მოგების განსაზღვრული ნორმა მოცემულია, მოგების მასა ყოველთვის ავანსებული კაპიტალის სიდიდეზეა დამოკიდებული. მაგრამ დაგროვება ამ შემთხვევაში განისაზღვრება ამ მასის იმ ნაწილით, რომელიც უკუგარდაიქმნება კაპიტალად. ეს ნაწილი კი, რადგან იგი უდრის მოგებას მინუს კაპიტალისტის მიერ მოხმარებული შემოსავალი, დამოკიდებული იქნება არა მარტო ამ მასის ღირებულებაზე, არამედ აგრეთვე იმ საქონელთა სიიაფეზე, რომელთა ყიდვა კაპიტალისტს შეუძლია ამ მასით; იმ საქონელთა სიიაფეზე, რომელნიც ნაწილობრივ შედიან მის მოხმარებაში, — მის შემოსავალში, — ნაწილობრივაც — მის მუდმივ კაპიტალში (იგულისხმება, რომ ხელფასის რაოდენობა აქ მოცემულია).

კაპიტალის მასა, რომელიც მუშას მოძრაობაში მოყავს და რომლის ღირებულებას იგი თავისი შრომით ინახავს და პროდუქტში კვლავ გამოავლენს, სრულიად განსხვავებულია იმ ღირებულებისაგან, რომელსაც იგი მატებს. თუ კაპიტალის მასა = 1 000 და მიმატებული შრომა = 100, მაშინ კვლავწარმოებული კაპიტალი = 1 100. თუ კაპიტალის მასა = 100 და მიმატებული შრომა = 20, მაშინ კვლავწარმოებული კაპიტალი = 120. მოგების ნორმა პირველ შემთხვევაში = 10%,

მეორე შემთხვევაში = 20%. და მაინც 100-იდან მეტის დაგროვება შეიძლება, ვიდრე 20-იდან. და ასე განაგრძობს ზრდას კაპიტალის ნაკადი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის გაუფასურებას მწარმოებლური ძალის გადიდების გამო) ანუ მისი დაგროვება იმ ძალის პროპორციულად, რაც მას უკვე გააჩნია, და არა მოგების ნორმის სიმაღლის პროპორციულად. მოგების მაღალი ნორმა, რამდენადაც იგი ზედმეტი ღირებულების მაღალ ნორმაზეა დამყარებული, შესაძლებელია, თუ სამუშაო დღე ძალიან ხანგრძლივია, თუნდაც რომ შრომა ნაკლებ ნაყოფიერი იყოს; იგი შესაძლებელია, თუმცა შრომა ნაკლებ ნაყოფიერია, იმიტომ, რომ მუშების მოთხოვნილებანი ძალიან დაბალ დონეზეა და ამიტომ საშუალო ხელფასიც ძალიან დაბალია. დაბალ ხელფასს შეესაბამება მუშების ენერგიის ნაკლებობა. ამასთან, მოგების მაღალი ნორმის მიუხედავად, კაპიტალი ნელა გროვდება, მოსახლეობა არ იზრდება და სამუშაო დრო, რადაც პროდუქტი ღირს, დიდია, თუმცა მუშის მიერ მიღებული ხელფასი მცირეა.

მოგების ნორმა ეცემა არა იმიტომ, რომ მუშა ნაკლებ ექსპლოატაციას განიცდის, არამედ იმიტომ, რომ გამოყენებულ კაპიტალთან შედარებით საერთოდ ნაკლები შრომა გამოიყენება.

თუ, როგორც ჩვენ ცხადყავით, კლებადი მოგების ნორმა მოგების მასის მატებას ემთხვევა, მაშინ შრომის წლიური პროდუქტის მეტ წილს კაპიტალისტი მიითვისებს კაპიტალის კატეგორიის სახით (როგორც მოხმარებული კაპიტალის ანაზღაურებას) და შედარებით ნაკლებ ნაწილს — მოგების კატეგორიის სახით. აქედან გამომდინარეობს ხუცეს ჩალმერსის ფანტაზია, თითქოს წლიური პროდუქტის რაც უფრო ნაკლებ ნასას ხარჯავენ კაპიტალისტები კაპიტალის სახით, მით უფრო დიდ მოგებას იღებენ ისინი; ამასთან სახელმწიფო ეკლესია მათ დახმარებას უწევს იმ მხრივ, რომ ზრუნავს ზედმეტი პროდუქტის დიდი ნაწილის მოხმარებისათვის, და არა მისი კაპიტალიზაციისათვის. ხუცესი ერთმანეთში ურევს მიზეზს და შედეგს. სხვათა შორის, მოგების მასა ხომ მაშინაც, როდესაც ნორმა მცირეა, იზრდება დახარჯული კაპიტალის სიდიდესთან ერთად. მაგრამ ეს განაპირობებს იმავე დროს კაპიტალის კონცენტრაციას, რადგან ახლა წარმოების პირობები კაპიტალის დიდი ოღენობით გამოყენებას მოითხოვს. ეს განაპირობებს აგრეთვე კაპიტალის ცენტრალიზაციას, ე. ი. წვრილი კაპიტალისტების შთანთქმას მსხვილების მიერ და კაპიტალის დაკარგვას პირველთათვის. ეს წარმოადგენს კვლავ, მხოლოდ მეორე რიგში, შრომის პირობების გათიშვას მწარმოებლებისაგან, რომელთა რიცხვს ეს წვრილი კაპიტალისტე-

ბი ჯერ კიდევ ეკუთვნიან, რადგან მათს საქმიანობაში მათი საკუთარი შრომა ჯერ კიდევ გარკვეულ როლს ასრულებს; კაპიტალისტის შრომა საერთოდ პირუკუ შეფარდებაშია მისი კაპიტალის სიდიდესთან, ე. ი. იმ მასშტაბთან, რა მასშტაბითაც იგი კაპიტალისტია. ეს არის გათიშვა, ერთი მხრივ, შრომის პირობებსა და, მეორე მხრივ, მწარმოებლებს შორის, რაც კაპიტალის ცნებას შეადგენს და რაც თავდაპირველ დაგროვებასთან ერთად (წიგნი 1, თავი XXIV) იწყება, შემდეგ როგორც მუდმივი პროცესი კაპიტალის დაგროვებასა და კონცენტრაციაში ვლინდება და, ბოლოს, აქ გამოისახება როგორც უკვე არსებული კაპიტალების ცენტრალიზაცია მცირეოდენთა ხელში და კაპიტალის დაკარგვა მრავალთა მიერ (ამ ფორმას იღებს აქ ექსპროპრიაცია). ეს პროცესი კაპიტალისტურ წარმოებას მალე კატასტროფამდე მიიყვანდა, ცენტრისკენული ძალის გვერდით რომ არ იყოს წინააღმდეგმოქმედი ტენდენციები, რომელნიც მუდამ დეცენტრალიზაციის გამომწვევ გავლენას ახდენენ.

II. კონფლიქტი წარმოების გაფართოებასა და ღირებულების ზრდას შორის.

შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განვითარება მჟღავნდება ორგვარად: ჯერ ერთი, უკვე წარმოებულ მწარმოებლურ ძალთა სიდიდით, წარმოების პირობების ღირებულების მოცულობითა და მასის მოცულობით, პირობებისა, რომელშიც ადგილი აქვს ახალ წარმოებას, და უკვე დაგროვილი მწარმოებლური კაპიტალის აბსოლუტური სიდიდით; მეორე, ხელფასზე დახარჯული კაპიტალის ნაწილის შეფარდებითი სიმცირით მთელ კაპიტალთან შედარებით, ე. ი. იმ ცოცხალი შრომის შეფარდებითი სიმცირით, რომელიც საჭიროა მოცემული კაპიტალის კვლავწარმოებისათვის და ღირებულების ზრდისათვის, მასობრივი წარმოებისათვის. ეს კი გულისხმობს იმავე დროს კაპიტალის კონცენტრაციას.

გამოყენებული სამუშაო ძალის მიმართ მწარმოებლური ძალის განვითარება კვლავ მჟღავნდება ორგვარად: ჯერ ერთი, ზედმეტი შრომის გადიდებით, ე. ი. იმ აუცილებელი სამუშაო დროის შემოკლებით, რომელიც საჭიროა სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის. მეორე, იმ სამუშაო ძალის რაოდენობის (მუშათა რიცხვის) შემცირებით, რომელიც საერთოდ გამოიყენება მოცემული კაპიტალის მოძრაობაში მოსაყვანად.

ორივე მოძრაობა არათუ ხელიხელჩაკიდებული მიმდინარეობს, არამედ ერთიმეორეს განაპირობებს, ისეთი მოვლენებია, რომლებიც ერთსა და იმავე კანონს გამოხატავენ. ამასთან ისინი საპირისპირო მიმართულებით მოქმედებენ მოგების ნორმაზე. მოგების მთელი მასა უდრის ზედმეტი ღირებულების ერთობლივ მასას, მოგების ნორმა = $= \frac{m}{C} = \frac{\text{ზედმეტი ღირებულება}}{\text{ავანსებული მთელი კაპიტალი}}$. მაგრამ ზედმეტი ღირებულება, როგორც მთელი ჯამი, განისაზღვრება, ჯერ ერთი, მისი ნორმით, და მეორე ამ ნორმის არსებობისას იმავდროულად გამოყენებული შრომის მასით ანუ, — რაც იგივეა, — ცვალებადი კაპიტალის სიდიდით. ერთი მხრივ, მატულობს ერთი ფაქტორი, ზედმეტი ღირებულების ნორმა; მეორე მხრივ, კლებულობს (შეფარდებით ან აბსოლუტურად) მეორე ფაქტორი, მუშათა რიცხვი. რამდენადაც მწარმოებლური ძალის განვითარება გამოყენებული შრომის გადახდილ ნაწილს ამცირებს, იგი ადიდებს ზედმეტ ღირებულებას, რადგან ადიდებს მის ნორმას; მაგრამ რამდენადაც იგი მოცემული კაპიტალის მიერ გამოყენებული შრომის მთელ მასას ამცირებს, ამცირებს მეორე ფაქტორს, მუშათა რიცხვს, რომელზედაც ზედმეტი ღირებულების ნორმა უნდა გამრავლდეს მისი მასის მისაღებად. ორ მუშას, რომელიც დღეში 12 საათს მუშაობს, არ შეუძლია ზედმეტი ღირებულების იმავე მასის მოცემა, რასაც იძლევა 24 მუშა, რომელთაგან თვითეული მხოლოდ 2 საათს მუშაობს, თუნდაც რომ მათ მარტო ჰაერით ცხოვრება შეეძლოთ და ამიტომ თვით თავისთვის მუშაობას სრულიად არ საჭიროებდნენ. ამ მხრივ, მაშასადამე, შრომის ექსპლოატაციის ხარისხის გადიდებით მუშათა შემცირებული რიცხვის კომპენსაცია გარკვეულ გადაულახავ ზღუდეს ხვდება; ამიტომ მას შეუძლია, რასაკვირველია, მოგების ნორმის დაცემის შეფერხება, მაგრამ არა მისი მოსპობა.

ამრიგად, კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად მოგების ნორმა კლებულობს, მაშინ როდესაც მისი მასა გამოყენებული კაპიტალის მასის გადიდებასთან ერთად მატულობს. თუ ნორმა მოცემულია, აბსოლუტური მასა, რომლითაც კაპიტალი იზრდება, დამოკიდებულია მის სიდიდეზე მოცემულ მომენტში. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ კაპიტალი მოცემულია, ის შეფარდება, რომლის მიხედვითაც იგი იზრდება, ე. ი. მისი ზრდის ნორმა, დამოკიდებულია მოგების ნორმაზე. მწარმოებლური ძალის ზრდას (რაც, გარდა ამისა, როგორც აღნიშნული იყო, არსებული კაპიტალის გაუფასურებასთან მუდამ ხელიხელჩაკიდებული მიმდინარეობს) უშუალოდ კაპიტალის ღირებუ-

ლების სიდიდის გადიდება იმ პირობით შეუძლია, თუ იგი მოგების ნორმის ამაღლების გზით ადიდებს წლიური პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც უკუგარდაიქმნება კაპიტალად. რამდენადაც საქმე შრომის მწარმოებლურ ძალას შეეხება (რადგან ამ მწარმოებლურ ძალას უშუალოდ არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არსებული კაპიტალის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს თ ა ნ), შეიძლება ეს მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლური ძალის გადიდების გამო ან შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება დიდდება, ანდა მუდმივი კაპიტალის ღირებულება მცირდება, მაშასადამე, იაფდება საქონელი, რომელიც ან სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში შედის, ანდა მუდმივი კაპიტალის ელემენტებში. მაგრამ ერთიც და მეორეც გულისხმობს არსებული კაპიტალის გაუფასურებას, ერთიც და მეორეც მიმდინარეობს ხელიხელჩაკიდებული ცვალებადი კაპიტალის შეფარდებითს შემცირებასთან მუდმივ კაპიტალთან შედარებით. ერთიც და მეორეც განაპირობებს მოგების ნორმის დაცემას და აყოვნებს ამ დაცემას. რამდენადაც, შემდეგ, მოგების ნორმის გადიდება შრომის მოთხოვნის გადიდებას იწვევს, მას გავლენა აქვს მუშა-მოსახლეობის გადიდებაზე და ამით იმ საექსპლოატაციო მასალის გადიდებაზე, რომელიც ერთადერთი ხდის კაპიტალს კაპიტალად.

მაგრამ შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება არაპირდაპირ ხელს უწყობს არსებული კაპიტალღირებულების გადიდებას, ადიდებს რა სახმარ ღირებულებათა მასას და ნაირსახეობას, რომლებითაც ერთი და იგივე საცვლელი ღირებულება გამოიხატება და რომელნიც ქმნიან კაპიტალის მატერიალურ სუბსტრატს, ნივთობრივ ელემენტებს, ნივთიერ საგნებს, რომლებისგანაც პირდაპირ შედგება მუდმივი კაპიტალი და, ყოველ შემთხვევაში არაპირდაპირ, — ცვალებადი. იმავე კაპიტალით და იმავე შრომით მეტი ნივთები იწარმოება, რომლებიც, მათი საცვლელი ღირებულებისაგან დამოუკიდებლად, შეიძლება კაპიტალად გადაიქცნენ, — ნივთები, რომლებიც შეიძლება დამატებითი შრომის და, მაშასადამე, დამატებითი ზედმეტი შრომის შესაწოვად და, ამგვარად, დამატებითი კაპიტალის შესადგენად იქნენ გამოყენებული. შრომის მასა, რომელზედაც კაპიტალი მბრძანებლობს, დამოკიდებულია არა ამ კაპიტალის ღირებულებაზე, არამედ ნედლეულისა და დამხმარე მასალათა, მანქანებისა და ძირითადი კაპიტალის ელემენტების, საარსებო საშუალებათა მასაზე, ყოველივე იმაზე, რისგანაც კაპიტალი შედგება, სულ ერთია, როგორიც არ უნდა იყოს მათი ღირებულება. როდესაც ამგვარად იზრდება გამოყენებული შრომის და, მაშასადამე,

აგრეთვე ზედმეტი შრომის მასა, იზრდება კვლავწარმოებული კაპიტალის ღირებულებაც და მასზე ახლად მიმატებული დამატებითი ღირებულებაც.

მაგრამ ორივე ეს მომენტი, რასაც დაგროვების პროცესი შეიცავს, უნდა განვიხილოთ არა მათი ერთიმეორის გვერდით თანაარსებობის იმ მყუდრო მდგომარეობაში, რომელშიც მათ რიკარდო იკვლევს; ისინი შეიცავენ წინააღმდეგობას, რომელიც წინააღმდეგობრივ ტენდენციებსა და მოვლენებში მჟღავნდება. წინააღმდეგმოქმედი ფაქტორები იმავდროულად მოქმედებენ ერთმანეთის წინააღმდეგ.

მუშა-მოსახლეობის ნამდვილი გამრავლების იმ იმპულსების იმავდროულად, რომელნიც საზოგადოებრივი ერთობლივი პროდუქტის ნაწილის — კაპიტალად მოქმედი ნაწილის — გადიდებიდან გამომდინარეობენ, მოქმედებენ ფაქტორები, რომელნიც მარტოოდენ შეფარდებითს ჭარბმოსახლეობას ქმნიან.

იმავე დროს, როდესაც მოგების ნორმა ეცემა, იზრდება კაპიტალის მასა და მასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული მიმდინარეობს არსებული კაპიტალის გაუფასურება, რაც მოგების ნორმის დაცემას აჩერებს და კაპიტალღირებულების დაგროვებას დამაჩქარებელ სტიმულს აძლევს.

მწარმოებლური ძალის განვითარების იმავდროულად ვითარდება კაპიტალის მაღალი შედგენილობა, ცვალებადი ნაწილის შეფარდებითი შემცირება მუდმივთან შედარებით.

ეს სხვადასხვა გავლენა ვლინდება ხან უპირატესად ერთიმეორის გვერდით სივრცეში, ხან უპირატესად ერთიმეორის შემდეგ დროის განმავლობაში; წინააღმდეგმოქმედი ფაქტორების კონფლიქტი პერიოდულად პოულობს გამოსავალს კრიზისებში. კრიზისები ყოველთვის არსებულ წინააღმდეგობათა მხოლოდ დროებით ძალდატანებითი გადაწყვეტაა, ძალდატანებითი აფეთქებაა, რომელიც ერთი მომენტისათვის კვლავ აღადგენს დარღვეულ წონასწორობას.

წინააღმდეგობა, თუ მას ზოგადად გამოვთქვამთ, იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი შეიცავს მწარმოებლურ ძალთა აბსოლუტური განვითარების ტენდენციას, რომელიც დამოუკიდებელია როგორც ღირებულებისა და ამ უკანასკნელში მოქცეული ზედმეტი ღირებულებისაგან, ასევე იმ საზოგადოებრივი ურთიერთობისაგანაც, რომლის ფარგლებშიც ადგილი აქვს კაპიტალისტურ წარმოებას; მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, მას მიზნად აქვს არსებული კაპიტალღირებულების შენარჩუნება და მისი ღირებულების უაღრესად გადიდება (ე. ი. ამ ღირებულების მუდამ დაჩქარებული ზრდა). კაპი-

ტალისტური წარმოების წესის სპეციფიკური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ არსებული კაპიტალღირებულება გამოყენებულ იქნეს როგორც საშუალება ამ ღირებულების რაც შეიძლება მეტი გადიდებისათვის. მეთოდები, რომლებითაც იგი ამას აღწევს, გულისხმობენ მოგების ნორმის შემცირებას, არსებული კაპიტალის გაუფასურებას და შრომის ნაყოფიერების განვითარებას უკვე წარმოებულ მწარმოებლურ ძალთა ხარჯზე.

არსებული კაპიტალის პერიოდული გაუფასურება, რაც კაპიტალისტური წარმოების წესის ერთ-ერთი იმანენტური საშუალებაა მოგების ნორმის დაცემის შესაკავებლად და ახალი კაპიტალის შექმნის გზით კაპიტალღირებულების დაგროვების დასაჩქარებლად, არღვევს მოცემულ ურთიერთობას, რომელშიაც კაპიტალის მიმოქცევისა და კვლავწარმოების პროცესი ხორციელდება, და ამიტომ მას თან ახლავს წარმოების პროცესის უეცარი შეჩერება და კრიზისები.

მუდმივ კაპიტალთან შედარებით ცვალებადის შეფარდებითი შემცირება, რაც მწარმოებლურ ძალთა განვითარებასთან ხელიხელჩაკიდებული მიმდინარეობს, სტიმულს აძლევს მუშა-მოსახლეობის ზრდას და იმავე დროს განუწყვეტლივ ქმნის ხელოვნურ ჭარბმოსახლეობას. კაპიტალის დაგროვება, ღირებულების მხრივ განხილული, ნელდება მოგების ნორმის დაცემის გამო, და იმავე დროს უფრო სწრაფი ხდება სახმარ ღირებულებათა დაგროვება, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, აჩქარებულ მსვლელობას აძლევს ღირებულების მხრივ განხილულ დაგროვებას.

კაპიტალისტური წარმოება მუდამ ესწრაფვის ეს იმანენტური ზღუდე გადალახოს, მაგრამ მის გადალახვას იგი ახერხებს მხოლოდ ისეთი საშუალებებით, რომლებიც მას ამ ზღუდეს ხელახლა და უფრო კოლოსალური მასშტაბით უყენებენ წინ.

კაპიტალისტური წარმოების ნამდვილი ზღუდე თვით კაპიტალია, ეს ნიშნავს: კაპიტალი და მისი ღირებულების თვითზრდა გვევლინება წარმოების ამოსავალ და საბოლოო პუნქტად, მოტივად და მიზნად; წარმოება მხოლოდ კაპიტალისათვის წარმოებაა და არა პირიქით; წარმოების საშუალებანი არ წარმოადგენენ უბრალო საშუალებებს მწარმოებელთა საზოგადოების სასიცოცხლო პროცესის განუწყვეტელი გაფართოებისათვის. ზღუდე, რომლის შიგნით მარტოოდენ შესაძლებელია ხდებოდეს კაპიტალღირებულების შენარჩუნება და ზრდა, რაც მწარმოებელთა დიდი მასის ექსპროპრიაციასა და გაღატაკებაზეა დამყარებული, ეს ზღუდე,

ამიტომ, მუდამ წინააღმდეგობაში ვარდება წარმოების მეთოდებთან, რომლებიც კაპიტალმა თავისი მიზნისთვის უნდა გამოიყენოს და რომლებიც ესწრაფვიან წარმოების შეუზღუდველ გადიდებას, შრომის საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალთა აბსოლუტურ განვითარებას, რომლებიც წარმოებას თვითმიზნად სახავენ. საშუალება — საზოგადოებრივ მწარმოებლურ ძალთა უცილობელი განვითარება — მუდმივ კონფლიქტშია შეზღუდულ მიზანთან, არსებული კაპიტალის ღირებულების ზრდასთან. ამიტომ, თუ კაპიტალისტური წარმოების წესი ისტორიული საშუალებაა მატერიალური მწარმოებლური ძალის გასავითარებლად და ამ ძალის შესაბამისი მსოფლიო ბაზრის შესაქმნელად, იგი იმავე დროს წარმოადგენს მუდმივ წინააღმდეგობას ამ მის ისტორიულ ამოცანასა და მის შესაბამის საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობას შორის.

III. კაპიტალის სიჭარბე მოსახლეობის სიჭარბისას.

მოგების ნორმის დაცემასთან ერთად იზრდება კაპიტალის ის მინიმუმი, რომელიც ცალკეულ კაპიტალისტს ესაჭიროება შრომის მწარმოებლური გამოყენებისათვის, — ესაჭიროება როგორც შრომის ექსპლოატაციისათვის საერთოდ, ისე იმისთვისაც, რომ გამოყენებული სამუშაო დრო იყოს ის დრო, რომელიც აუცილებელია საქონლის საწარმოებლად, რომ იგი საქონლის წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელ საშუალო სამუშაო დროს არ აღემატებოდეს. და იმავდროულად იზრდება კონცენტრაცია, იმიტომ რომ გარკვეულ საზღვრებს იქით დიდი კაპიტალი მოგების პატარა ნორმით უფრო სწრაფად გროვდება, ვიდრე პატარა კაპიტალი მოგების დიდი ნორმით. ეს მზარდი კონცენტრაცია, მიაღწევს რა განსაზღვრულ სიმაღლეს, თავის მხრივ მოგების ნორმის ახალ დაცემას იწვევს. ეს გარემოება პატარ-პატარა დაქსაქსული კაპიტალების მასას უბიძგებს ავანტიურის გზისაკენ: სპეკულაციის, თაღლითური საკრედიტო და სააქციო საწარმოების კრიზისების გზისაკენ. კაპიტალის ეგრეთწოდებული სიუხვე ნიშნავს ყოველთვის არსებითად ისეთი კაპიტალის სიუხვეს, რომლისთვისაც მოგების ნორმის დაცემა არ წონასწორდება მისი მასით, — და ასეთია მუდამ ახლად წარმოშობილი კაპიტალის ყლორტები, — ანდა ისეთი კაპიტალების სიუხვეს, რომლებიც თავისდათავად საკმარისი არაა დამოუკიდებელი მოქმედებისათვის და მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელების განკარგულებაში გადადის კრედიტის სახით. კაპიტალის ამ სიუხვეს იგივე გარემოებები წარმოშობენ, რომელნიც შეფარ-

დებითს ჭარბმოსახლეობას იწვევენ, და იგი ამ უკანასკნელის შემავსებელ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა ორივე იმყოფება მოპირისპირე პოლუსებზე, — დაუბანდებელი კაპიტალი ერთ მხარეზე და დაუსაქმებელი მუშა-მოსახლეობა მეორე მხარეზე.

ამიტომ კაპიტალის და არა ცალკეულ საქონელთა ჭარბწარმოება, — თუმცა კაპიტალის ჭარბწარმოება ყოველთვის შეიცავს საქონელთა ჭარბწარმოებას, — სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა კაპიტალის ჭარბდაგროვებას. იმის გასაგებად, თუ რა არის ეს ჭარბდაგროვება (მას უფრო დაწვრილებით ქვემოთ გამოვიკვლევთ), საკმარისია მხოლოდ წარმოვიდგინოთ, რომ იგი აბსოლუტურია. როდის იქნებოდა კაპიტალის ჭარბწარმოება აბსოლუტური? ამასთან ისეთი ჭარბწარმოება, რომელიც წარმოების ამა თუ იმ ან ორიოდე მნიშვნელოვან დარგზე კი არ იქნებოდა გავრცელებული, არამედ მთელი თავისი მოცულობით აბსოლუტური იქნებოდა, ე. ი. წარმოების ყველა დარგს მოიცავდა?

კაპიტალის ჭარბწარმოება აბსოლუტური იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კაპიტალი კაპიტალისტური წარმოების მიზნისათვის იქნებოდა $= O$. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების მიზანს წარმოადგენს კაპიტალის ღირებულების ზრდა, ე. ი. ზედმეტი შრომის მითვისება, ზედმეტი ღირებულების, მოგების წარმოება. მაშასადამე, თუ კაპიტალი ისე გაიზრდებოდა მუშა-მოსახლეობასთან შედარებით, რომ აღარც იმ აბსოლუტური სამუშაო დროის გაგრძელება იქნებოდა შესაძლებელი, რომელსაც ეს მოსახლეობა იძლევა, და აღარც შეფარდებითი ზედმეტი სამუშაო დროის გაფართოება (უკანასკნელი უამისოდაც შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, როცა შრომის მოთხოვნა ესოდენ ძლიერია, მაშასადამე, როცა არსებობს ხელფასის გადიდების ტენდენცია), ე. ი. როცა გაზრდილი კაპიტალი მხოლოდ იმდენ ზედმეტი ღირებულების მასას აწარმოებდა, რამდენსაც თავის გაზრდამდე, ან ნაკლებსაც კი, — მაშინ ადგილი ექნებოდა კაპიტალის აბსოლუტურ ჭარბწარმოებას, ე. ი. გაზრდილი კაპიტალი $C+\Delta C$ აწარმოებდა არა მეტ მოგებას ან ნაკლებსაც კი, ვიდრე კაპიტალი C თავის გადიდებამდე ΔC-ით. ორსავე შემთხვევაში ადგილი ექნებოდა აგრეთვე მოგების საერთო ნორმის ძლიერ და უეცარ დაცემას, მაგრამ ამჯერად ეს მოხდებოდა კაპიტალის შედგენილობის ისეთი ცვლილების გამო, რომლის მიზეზი იქნებოდა არა მწარმოებლური ძალის განვითარება, არამედ ცვალებადი კაპიტალის ფულადი ღირებულების გადიდება (ხელფასის გადიდების გამო) და მის შესაბამისად აუცილებელ შრომასთან ზედმეტი შრომის შეფარდების შემცირება.

სინამდვილეში საქმის ვითარება ასეთ გამოხატულებას მიიღებდა: კაპიტალის ერთი ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ უქმად იდებოდა (იმიტომ რომ მას ჯერ უკვე მოქმედი კაპიტალი უნდა განედევნა მისი პოზიციიდან, რათა საერთოდ თავისი ღირებულების გადიდება შეძლებოდა), ხოლო მეორე ნაწილი დასაქმებული ან ნახევრად დასაქმებული კაპიტალის ზეგავლენის გამო უფრო დაბალი მოგების ნორმის მიხედვით გაადიდებდა თავის ღირებულებას. ამასთან მნიშვნელობა არ ექნებოდა იმ გარემოებას, თუ დამატებითი კაპიტალის ნაწილი ძველის ადგილს დაიკავებდა და ეს უკანასკნელი, ამგვარად, დამატებით კაპიტალში დაიჭერდა ადგილს. ჩვენ მაინც გვექნებოდა, ერთი მხრივ, წინანდელი კაპიტალის თანხა და, მეორე მხრივ, — დამატებითი კაპიტალის თანხა. ამ შემთხვევაში მოგების ნორმის შემცირებას მოჰყვებოდა მოგების მასის აბსოლუტური შემცირება, რადგან ჩვენ მიერ ნაგულისხმევ პირობებში გამოყენებული სამუშაო ძალის მასა ვერ გაიზრდებოდა და ზედმეტი ღირებულების ნორმა ვერ გადიდდებოდა, მაშასადამე, ვერც ზედმეტი ღირებულების მასა გადიდდებოდა. მოგების შემცირებული მასა კი უფრო დიდ ერთობლივ კაპიტალზე იქნებოდა გამოსაანგარიშებელი. მაგრამ თუ ვიგულისხმებდით აგრეთვე, რომ დასაქმებული კაპიტალის გამოყენება წინანდელი მოგების ნორმის პირობებში გრძელდება, რომ, მაშასადამე, მოგების მასა უცვლელი რჩება, მაშინაც იგი გაზრდილ ერთობლივ კაპიტალზე გამოიანგარიშებოდა, რაც აგრეთვე მოგების ნორმის შემცირებას გულისხმობს. თუ მთელი კაპიტალი 1 000 იძლეოდა 100 მოგებას და იგი 1 500-მდე გადიდების შემდეგაც მხოლოდ 100-ს იძლევა, მაშინ გამოდის, რომ მეორე შემთხვევაში 1 000 მხოლოდ 66²/₃-ს იძლევა. წინანდელი კაპიტალის ღირებულების ზრდა აბსოლუტურად შემცირდებოდა. კაპიტალი 1 000 ახალ პირობებში იმაზე მეტ მოგებას არ მოიტანს, რაც უწინ 666²/₃ რაოდენობის კაპიტალს მოჰქონდა.

მაგრამ ცხადია, რომ წინანდელი კაპიტალის ეს ფაქტიური გაუფასურება უბრძოლველად არ მოხდებოდა, რომ დამატებითი კაპიტალი ΔC უბრძოლველად ვერ მოიპოვებდა კაპიტალის სახით მოქმედების შესაძლებლობას. მოგების ნორმა კაპიტალის ჭარბწარმოების შედეგად წარმომდგარი კონკურენციის გამო კი არ შემცირდებოდა, არამედ, პირიქით, კონკურენტული ბრძოლა ახლა იმის გამო დაიწყებოდა, რომ მოგების ნორმის დაწევა და კაპიტალის ჭარბწარმოება ერთი და იმავე გარემოებიდან გამომდინარეობს. უკვე მოქმედი კაპიტალისტები, რომელთა ხელში აღმოჩნდებოდა ΔC ნაწილი, მას მეტ-

ნაკლებ უქმად გააჩერებდნენ, რათა თავიანთი თავდაპირველი კაპიტალი არ გაეუფასურებინათ და მისი ადგილი წარმოების სფეროში არ შეევიწროებინათ, ანდა ისინი მას გამოიყენებდნენ, რათა, თუნდაც დროებითი ზარალის მიღებით დამატებითი კაპიტალის უმოქმედობა გადაეტანათ ახალმოსულებზე და საერთოდ თავიანთ მეტოქეებზე.

ΔC-ის ნაწილი, რომელიც ახალ ხელში აღმოჩნდებოდა ძველი კაპიტალის ხარჯზე, შეეცდებოდა ადგილის დაჭერას და ამას ნაწილობრივ კიდეც მოახერხებდა, რამდენადაც ძველი კაპიტალის ნაწილს უმოქმედოდ დატოვებდა, აიძულებდა მისთვის ძველი ადგილი დაეთმო და თვითონ მხოლოდ ნაწილობრივად საქმეში გამოყენებული ან სრულიად გამოუყენებელი დამატებითი კაპიტალის ადგილი დაეჭირა.

რამდენადაც კაპიტალი უნდა მოქმედებდეს და ადიდებდეს თავის ღირებულებას, ძველი კაპიტალის გარკვეულ ნაწილს ყოველ ვითარებაში მოუხდებოდა უქმად გაჩერება, და მისი თვისება როგორც კაპიტალისა, უქმად დარჩებოდა. თუ რა ნაწილს მოუწევდა განსაკუთრებით ეს უქმად გაჩერება, ამას გადასწყვეტდა კონკურენტული ბრძოლა. სანამ ყველაფერი კარგად მიდის, კონკურენცია, როგორც ეს მოგების საერთო ნორმის გათანატოლებისას აღმოჩნდა, მოქმედებს როგორც კაპიტალისტთა კლასის პრაქტიკულად განხორციელებული ძმური კავშირი, ასე რომ ისინი ერთად იყოფენ ურთიერთ შორის საერთო ნადავლს იმ წილის პროპორციულად, რაც თვითეულს აქვს შეტანილი. მაგრამ როგორც კი საქმე შეეხება უკვე არა მოგების, არამედ ზარალის განაწილებას, მაშინვე თვითეული ცდილობს რაც შეიძლება შეამციროს თავისი წილი ამ ზარალში და იგი სხვას დააკისროს. კაპიტალისტთა მთელი კლასისათვის ზარალი გარდუვალია. მაგრამ თუ რამდენს უნდა ზარალობდეს აქედან თვითეული მათგანი, რამდენად უნდა მონაწილეობდეს მასში ცალკეული კაპიტალისტი, — ეს ძალისა და ეშმაკობის საკითხი ხდება, და კონკურენცია მაშინ მტრულად განწყობილ ძმათა ბრძოლად იქცევა. მაშინ თავს იჩენს დაპირისპირებულობა ყოველი ცალკეული კაპიტალისტის ინტერესსა და კაპიტალისტთა მთელი კლასის ინტერესს შორის, ისევე როგორც უწინ ამ ინტერესების იგივეობა კონკურენციის გზით გზას იკაფავდა პრაქტიკულად.

რაგვარად შეიძლება ამ კონფლიქტის ხელახლა გაწონასწორება და კაპიტალისტური წარმოების «ჯანსაღი» მოძრაობის შესაბამისი ურთიერთობის ხელახლა აღდგენა? გაწონასწორების წესს უკვე შეიცავს მარტოოდენ გამოთქმა კონფლიქტისა, რომლის გაწონასწორებაზეც ლაპარაკია. იგი იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალი, რომელიც ღირებულებით მთელ დამატებითს კაპიტალს, ΔC-ს, ან მის ნაწილს მაინც

უდრის, უქმად რჩება ანდა ნაწილობრივ ნადგურდება კიდეც. თუმცა კი, როგორც ეს კონფლიქტის გადმოცემიდან ჩანს, ეს ზარალი სრულიადაც არ ნაწილდება თანაბრად ცალკეულ ინდივიდუალურ კაპიტალებს შორის, არამედ მისი განაწილების გადამწყვეტია კონკურენტული ბრძოლა, ამასთან ზარალი ძალიან უთანაბროდ და ძალიან სხვადასხვა ფორმით ნაწილდება, განსაკუთრებით უპირატესობათა ან უკვე დაპყრობილ პოზიციათა შესაბამისად, ასე რომ ერთი კაპიტალი უქმად რჩება, მეორე ნადგურდება, მესამე მხოლოდ შეფარდებითს ზარალს ან დროებითს გაუფასურებას განიცდის და სხვ.

მაგრამ წონასწორობა ყოველ გარემოებაში აღდგენილი იქნებოდა მეტ-ნაკლები ოდენობის კაპიტალის უმოქმედობით და განადგურებითაც კი. ეს გავრცელდებოდა ნაწილობრივ კაპიტალის მატერიალურ სუბსტანციაზე, ე. ი. წარმოების საშუალებათა ნაწილი, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი, ვერ შეასრულებდა კაპიტალის ფუნქციას, ვერ იმოქმედებდა როგორც კაპიტალი; გაჩერდებოდა საწარმოთა ნაწილი, რომელთაც დაწყებული ჰქონდათ წარმოება. თუმცა ამ მხრივ დრო არ ზოგავს და აუარესებს წარმოების ყველა საშუალებას (მიწის გამოკლებით), მაგრამ აქ, მოქმედების შეჩერების გამო, სინამდვილეში წარმოების საშუალებათა უფრო ძლიერი განადგურება მოხდებოდა. მთავარი შედეგი ამ მხრივ მაინც ის იქნებოდა, რომ წარმოების ეს საშუალებანი შეწყვეტდნენ მოქმედებას როგორც წარმოების საშუალებანი, — მეტნაკლებ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეწყვეტილი იქნებოდა მათი, როგორც წარმოების საშუალებათა, ფუნქციონირება.

მაგრამ მთავარი განადგურება, თანაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათისა, შეეხებოდა კაპიტალს, ხოლო რამდენადაც მას ღირებულების თვისება აქვს, შეეხებოდა კაპიტალღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს: კაპიტალღირებულების ნაწილი, რომელსაც მხოლოდ ზედმეტი ღირებულების მოგების სამერმისო წილის მისაღები მოწმობის ფორმა აქვს და რომელიც სინამდვილეში წარმოადგენს სხვადასხვა ფორმის სავალო ვალდებულებას წარმოების მიმართ, მაშინვე გაუფასურდება იმ შემოსავლის შემცირებასთან ერთად, რომელზედაც იგი გამოანგარიშებულია. ნაღდი ოქროს და ვერცხლის ნაწილი უქმად ძევს, აღარ მოქმედებს კაპიტალის სახით. ბაზარზე არსებულ საქონელთა ნაწილს თავისი მიმოქცევისა და კვლავწარმოების პროცესის შესრულება შეუძლია მხოლოდ თავისი ფასების არაჩვეულებრივი შემცირების გზით, მაშასადამე, იმ კაპიტალის გაუფასურების გზით, რომელსაც ეს ნაწილი გამოხატავს. ასევე მეტნაკლებად უფასურდება ძირითადი კაპიტალის ელემენტები. ამას

ერთვის კიდევ ის, რომ ფასების განსაზღვრული, წინასწარ ნაგულისხმევი ურთიერთობა განაპირობებს კვლავწარმოების პროცესს, და ამიტომ ეს უკანასკნელი ფასების საერთო დაცემის გამო შეჩერებას და მოშლილობას განიცდის. კვლავწარმოების პროცესის ეს მოშლილობა და შეჩერება ადუნებს ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქციას, რომელიც კაპიტალის განვითარებასთან ერთად ვითარდება და ფასების ზემოაღნიშნულ ნაგულისხმევ ურთიერთობას ემყარება, წყვეტს ასობით ადგილას განსაზღვრული ვადებისათვის ნავარაუდევ გადახდის ვალდებულებათა ჯაჭვს, კიდევ უფრო მწვავე ხდება კაპიტალთან ერთად განვითარებული საკრედიტო სისტემის მოშლილობით, რაც მას თან ახლავს, და ამგვარად იწვევს ძლიერ და მწვავე კრიზისებს, უეცარ და ნაძალადევ გაუფასურებას, კვლავწარმოების პროცესის ნამდვილ შეჩერებას და მოშლილობას და მასთან ერთად კვლავწარმოების ნამდვილ შემცირებას.

მაგრამ იმავე დროს სხვა ფაქტორებიც იმოქმედებდნენ. წარმოების შეჩერება მუშათა კლასის ერთ ნაწილს სამუშაოს მოუსპობდა და ამის შედეგად მისი მეორე, დასაქმებული ნაწილი ისეთ პირობებში იქნებოდა ჩაყენებული, რომ უნდა შერიგებოდა ხელფასის შემცირებას საშუალოზე დაბლაც კი,—გარემოება, რომელსაც კაპიტალზე სრულიად ისეთივე ზემოქმედება აქვს, თითქოს საშუალო ხელფასის არსებობისას შეფარდებითი ან აბსოლუტური ზედმეტი ღირებულება გადიდებულიყოს. აყვავების პერიოდი ხელს შეუწყობდა ქორწინებას მუშებს შორის და შეამცირებდა მათი ბავშვების სიკვდილიანობას, — გარემოება, რომელიც, რაგინდ არ უნდა გულისხმობდეს მოსახლეობის ნამდვილ გამრავლებას, სრულიადაც არ მოასწავებს ნამდვილად მომუშავე მოსახლეობის გამრავლებას, მაგრამ კაპიტალთან მუშების დამოკიდებულებაში სავსებით ისე მოქმედებს, თითქოს ნამდვილად მოქმედი მუშების რიცხვი გადიდებულიყოს. მეორე მხრივ, ფასების დაცემა და კონკურენტული ბრძოლა თვითეულ კაპიტალისტს სტიმულს მისცემდა იმისათვის, რომ მას მთელი თავისი პროდუქტის ინდივიდუალური ღირებულება, ახალი მანქანების, შრომის ახალი გაუმჯობესებული მეთოდების, ახალი კომბინაციების გამოყენების გზით, მის საყოველთაო ღირებულებაზე მაღლა აეწია, ე. ი. შრომის მოცემული რაოდენობის მწარმოებლური ძალა გაედიდებია, ცვალებადი კაპიტალის მუდმივთან შეფარდება დაბლა დაეწია და ამგვარად მუშები გაენთავისუფლებია,— მოკლედ, ხელოვნური ჭარბმოსახლეობა შეექმნა. შემდეგ, მუდმივი კაპიტალის ელემენტების ღირებულების გაუფასურება თვით იქნებოდა

მოგების ნორმის გადიდების შემცველი ელემენტი. გამოყენებული მუდმივი კაპიტალის მასა გადიდდებოდა ცვალებადთან შედარებით, მაგრამ ამ მასის ღირებულება შეიძლებოდა შემცირებულიყო. დაწყებული შეჩერება წარმოებისა მოამზადებდა წარმოების შემდგომ გაფართოებას კაპიტალისტურ ფარგლებში.

და ამრიგად წრე ხელახლა გავლილ• იქნებოდა. კაპიტალის ნაწილი, რომელიც ფუნქციონირების შეწყვეტის გამო გაუფასურდა, ხელახლა მოიპოვებდა თავის უწინდელ ღირებულებას. სხვანაირად, წარმოების პირობების გაფართოებისას, ბაზრის გაფართოებისას და მწარმოებლური ძალის გადიდებისას იგივე მანკიერი წრებრუნვა შესრულდებოდა.

მაგრამ ჩვენ მიერ მიღებული უკიდურესი ვარაუდის პირობებშიც კი კაპიტალის აბსოლუტური ჭარბწარმოება არაა აბსოლუტური ჭარბწარმოება საერთოდ, არაა წარმოების საშუალებათა აბსოლუტური ჭარბწარმოება. იგი წარმოების საშუალებათა ჭარბწარმოებაა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საშუალებანი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ა ხ ი თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ე ნ და, მაშასადამე, რამდენადაც ისინი თავიანთი მასის გადიდების შესაბამისად ღირებულების გადიდებას, ამ ღირებულების თვითზრდას გულისხმობენ, რამდენადაც მათ უნდა წარმოშვან დამატებითი ღირებულება.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მაინც ჭარბწარმოება იქნებოდა, იმიტომ რომ კაპიტალი ვერ შეძლებდა ისეთი ხარისხის ექსპლოატაცია გაეწია შრომისათვის, რასაც კაპიტალისტური წარმოების პროცესის «ჯანსაღი», «ნორმალური» განვითარება მოითხოვს, — ისეთი ექსპლოატაცია, რომლის დროსაც გამოყენებული კაპიტალის მასის ზრდასთან ერთად იზრდება მოგების მასა მაინც და რომელიც, მაშასადამე, გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მოგების ნორმა იმდენადვე მცირდებოდეს. რამდენადაც კაპიტალი იზრდება, ანდა, რომ მოგების ნორმა უფრო სწრაფადაც კი მცირდებოდეს, ვიდრე კაპიტალი იზრდება.

კაპიტალის ჭარბწარმოება სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმ წარმოების საშუალებათა, — შრომის საშუალებათა და საარსებო საშუალებათა — ჭარბწარმოებას, რომელნიც შეიძლება კაპიტალის სახით მოქმედებდნენ, ე. ი. შეიძლება ექსპლოატაციის მოცემული ხარისხის მიხედვით გამოყენებულ იქნენ შრომის ექსპლოატაციისათვის; განსაზღვრულ პუნქტს ქვევით ამ ექსპლოატაციის ხარისხის დაწევა კი იწვევს კაპიტალისტური წარმოების პროცესის მოშლას და შეჩერებას, კრიზისებს, კაპიტალის განადგურებას. არავითარ წინააღმდეგობას არ წარმოადგენს ის, რომ კაპიტალის ამ ჭარბწარმოებას თან ახლავს მეტ-

ნაკლებ დიდი შეფარდებითი ჭარბმოსახლეობა. იმავე გარემოებებმა, რომლებმაც შრომის მწარმოებლური ძალა გაადიდეს, გაადიდეს საქონელ-პროდუქტთა მასა, გაფართოვეს ბაზრები, დააჩქარეს კაპიტალის დაგროვება, როგორც მასის, ისე ღირებულების მხრივ, და შეამცირეს მოგების ნორმა, იმავე გარემოებებმა წარმოშვეს და წარმოშობენ შუდამ შეფარდებითს ჭარბმოსახლეობას, მუშათა ჭარბმოსახლეობას, რომელთაც ვერ იყენებს ჭარბი კაპიტალი შრომის ექსპლოატაციის დაბალი ხარისხის გამო, რომლის დროსაც მარტოოდენ შესაძლებელი იქნებოდა მათი გამოყენება, ან, ყოველ შემთხვევაში, მოგების დაბალი ნორმის გამო, რომელსაც ისინი მიიღებდნენ მოცემული ექსპლოატაციის ხარისხის არსებობისას.

კაპიტალი საზღვარგარეთ იგზავნება არა იმიტომ, რომ ქვეყნის შიგნით მისი გამოყენება აბსოლუტურად შეუძლებელი იყოს. ეს ხდება იმიტომ, რომ საზღვარგარეთ მოგების უფრო მაღალი ნორმის პირობებში შეიძლება მისი დაბანდება. მაგრამ ეს კაპიტალი დასაქმებული მუშა-მოსახლეობისათვის და მოცემული ქვეყნისათვის საერთოდ აბსოლუტურად ჭარბ კაპიტალს წარმოადგენს. იგი არსებობს როგორც ასეთი შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის გვერდით, და ეს არის იმის მაგალითი, თუ როგორ არსებობს ორივე ერთიმეორის გვერდით და როგორ განაპირობებენ ისინი ერთიმეორეს.

მეორე მხრივ, მოგების ნორმის დაცემა, რაც დაგროვებასთანაა დაკავშირებული, აუცილებლად იწვევს კონკურენტულ ბრძოლას. მოგების ნორმის დაცემის კომპენსაცია, რაც მოგების მასის გადიდებით ხორციელდება, ძალაშია მხოლოდ საზოგადოების ერთობლივი კაპიტალის მიმართ და მსხვილი კაპიტალისტების მიმართ, რომელთაც უკვე გამართული საწარმოები აქვთ. ახალი, დამოუკიდებლად მოქმედი დამატებითი კაპიტალი ვერ პოულობს ასეთი კომპენსაციის პირობებს, ისინი მან ჯერ კიდევ ბრძოლით უნდა მოიპოვოს, და ამიტომ მოგების ნორმის დაცემა იწვევს კონკურენტულ ბრძოლას კაპიტალებს შორის, და არა პირიქით. ამ კონკურენტულ ბრძოლას თან ახლავს, რასაკვირველია, ხელფასის წარმავალი გადიდება და აქედან გამომდინარე შემდგომი დროებითი დაცემა მოგების ნორმისა. ასეთივე მდგომარეობა იჩენს თავს საქონელთა ჭარბწარმოებაში, ბაზრების ჭარბად გავსებაში. რადგან კაპიტალის მიზანია არა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არამედ მოგების წარმოება, და რადგან იგი ამ თავის მიზანს მხოლოდ ისეთი მეთოდების საშუალებით აღწევს, რომელნიც პროდუქტთა მასას წარმოების მასშტაბის მიხედვით განსაზღვრავენ, და არა პირიქით,

ამიტომ მუდამ ადგილი უნდა ჰქონდეს შეუსაბამობას კაპიტალისტურ ბაზისზე მოხმარების შეზღუდულ ოდენობასა და წარმოებას შორის, რომელიც მუდამ ისწრაფვის გადალახოს ეს თავისი იმანენტური ზღუდე. სხვათა შორის, კაპიტალი ხომ საქონელთაგან შედგება, და ამიტომ კაპიტალის ჭარბწარმოება საქონელთა ჭარბწარმოებას გულისხმობს. აქედან წარმოდგება ის საოცარი მოვლენა, რომ იგივე ეკონომისტები, რომელნიც საქონელთა ჭარბწარმოებას უარყოფენ, კაპიტალის ჭარბწარმოებას აღიარებენ. როცა ამბობენ, საყოველთაო ჭარბწარმოებას კი არა აქვს ადგილი, არამედ დისპროპორციას წარმოების სხვადასხვა დარგებს შორისო, ეს სხვას არას ნიშნავს, გარდა იმისა, რომ კაპიტალისტური წარმოების სფეროში წარმოების ცალკეულ დარგთა პროპორციულობა წარმოგვიდგება როგორც დისპროპორციულობიდან გამომდინარე მუდმივი პროცესი, ვინაიდან აქ მთლიანად აღებული წარმოების ურთიერთკავშირი წარმოებაში მოქმედ პირთ იმორჩილებს როგორც ბრმა იძულებითი კანონი .და არა როგორც ისეთი კანონი, რომელიც, როგორც მათი კოლექტიური გონების მიერ შეცნობილი და დაუფლებული, მათს საერთო კონტროლს უქვემდებარებს წარმოების პროცესს. შემდეგ, ამით მოითხოვენ, რომ ის ქვეყნები, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესი არაა განვითარებული, ისეთი ოდენობით უნდა ეწეოდნენ მოხმარებას და წარმოებას, როგორც ეს კაპიტალისტური წარმოების წესის მქონე ქვეყნებს შეეფერება. როცა ამბობენ, ჭარბწარმოება მხოლოდ შეფარდებითიაო, ეს სრულიად მართებულია; მაგრამ მთელი კაპიტალისტური წარმოების წესი სწორედ მხოლოდ შეფარდებითი წარმოების წესია, რომლის ზღუდე აბსოლუტური არაა, მაგრამ მისთვის იგი, მის ბაზისზე აბსოლუტურია. სხვანაირად როგორ შეიძლებოდა მოთხოვნა არ ყოფილიყო ისეთ საქონელზე, რომელსაც ხალხის მასა საჭიროებს, და როგორ იქნებოდა შესაძლებელი ის მოვლენა, რომ ხსენებული მოთხოვნა საზღვარგარეთ, შორეულ ბაზრებზე არის საძებნელი, რათა შინ შესაძლებელი იყოს აუცილებელ საარსებო საშუალებათა საშუალო რაოდენობის გადახდა მუშებისათვის? ეს ხდება იმიტომ, რომ მხოლოდ ამ სპეციფიკურ, კაპიტალისტურ კავშირურთიერთობაში იღებს ნამეტი პროდუქტი ისეთ ფორმას, რომლითაც მის მფლობელს შეუძლია იგი გადასცეს მოხმარების განკარგულებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მისთვის ხელახლა კაპიტალად გადაიქცევა. ბოლოს, თუ ამბობენ, — საკმარისია კაპიტალისტებმა თავიანთი საქონელი მხოლოდ ერთმანეთს შორის გაცვალონ და მოიხმარონო, ამ შემთხვევაში ავიწყდებათ კაპიტალისტური წარმოების მთე-

ლი ხასიათი, ავიწყდებათ, რომ აქ საქმე შეეხება კაპიტალის ღირებულების ზრდას და არა კაპიტალის მოხმარებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა შენიშვნას ჭარბწარმოების ცხადი მოვლენების წინააღმდეგ (მოვლენებისა, რომლებიც არსებობენ, ამ საწინააღმდეგო მოსაზრებათა მიუხედავად) ის აზრი აქვს, რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წარმოების ზღუდე არ წარმოადგენს ს ა ე რ თ ო დ წ ა რ მ ო ე ბ ი ს ზღუდეს და ამიტომ არ წარმოადგენს წარმოების არც ამ სპეციფიკური, კაპიტალისტური წესის ზღუდეს. მაგრამ ამ კაპიტალისტური წარმოების წესის წინააღმდეგობა მდგომარეობს სწორედ მის ტენდენციაში მწარმოებლურ ძ ა ლ თ ა აბსოლუტური განვითარებისადმი, რომელიც მუდამ კონფლიქტში შედის წარმოების იმ სპეციფიკურ პ ი რ ო ბ ებ თ ა ნ, რომლებშიაც კაპიტალი მოძრაობს და რომლებშიაც მარტოოდენ შეიძლება იგი მოძრაობდეს.

საარსებო საშუალებანი ძალიან დიდი რაოდენობით როდი იწარმოება არსებულ მოსახლეობასთან შედარებით. პირიქით, იგი მეტად მცირე რაოდენობით იწარმოება იმასთან შედარებით, რაც საჭიროა მოსახლეობის მასის წესიერი და ადამიანური ცხოვრებისათვის.

წარმოების საშუალებანი ძალიან დიდი რაოდენობით როდი იწარმოება იმისთვის, რომ დასაქმებული იყოს მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი. პირიქით, ჯერ ერთი, წარმოიშვება მოსახლეობის ფრიად დიდი ნაწილი, რომელიც ფაქტიურად შრომისუუნაროა და გარემოებათა გამო იძულებულია სხვების შრომას ექსპლოატაცია გაუწიოს ანდა იმგვარი სამუშაო შეასრულოს, რაც მხოლოდ წარმოების უბადრუკი წესის არსებობისას შეიძლება ასეთად ითვლებოდეს. მეორე, წარმოების საშუალებანი იწარმოება არასაკმაოდ იმისათვის, რომ მთელ შრომისუნარიან მოსახლეობას ყველაზე ნაყოფიერ პირობებში შეეძლოს მუშაობა, მაშასადამე, რომ მისი აბსოლუტური სამუშაო დრო მოკლდებოდეს სამუშაო დროის განმავლობაში გამოყენებული მუდმივი კაპიტალის მასისა და ეფექტიანობის გამო.

მაგრამ პერიოდულად იწარმოება შრომის მეტად ბევრი საშუალება და ბევრი საარსებო საშუალება, რათა მათ შეეძლოთ მოქმედება როგორც მუშათა ექსპლოატაციის საშუალებებს, რომელნიც მოგების გარკვეულ ნორმას იძლევიან. მეტად ბევრი საქონელი იწარმოება იმისათვის, რომ შეიძლებოდეს მათში მოქცეული ღირებულებისა და მათში მოთავსებული ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია და ახალ კაპიტალად უკუგარდაქმნა განაწილების იმ პირობებში და მოხმარების იმ ურთიერთობაში, რომლებიც კაპიტალისტური წარმოების წესითაა

მოცემული, ე. ი. რომ შეიძლებოდეს ამ პროცესის შესრულება მუდამ ახალ-ახალ აფეთქებათა გაუმეორებლად.

საქმე ის კი არაა, რომ მეტად ბევრი სიმდიდრე იწარმოება. საქმე ისაა, რომ პერიოდულად იწარმოება მეტად ბევრი სიმდიდრე მის კაპიტალისტურ, წინააღმდეგურ ფორმებში.

კაპიტალისტური წარმოების წესის ზღუდე მეღავნდება:

1) იმაში, რომ შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება წარმოშობს მოგების ნორმის დაცემის ისეთ კანონს, რომელიც გარკვეულ პუნქტზე შრომის მწარმოებლური ძალის საკუთარ განვითარებას ყველაზე მკვეთრად ეჯახება და ამიტომ მისი გადალახვა ყოველთვის კრიზისების საშუალებით უნდა ხდებოდეს.

2) იმაში, რომ წარმოების გაფართოებისა თუ შეზღუდვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა წარმოების შეფარდებას საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან, საზოგადოებრივად განვითარებულ ადამიანთა მოთხოვნილებებთან, არამედ გადაუხდელი შრომის მითვისებას და ამ გადაუხდელი შრომის შეფარდებას გასაგნობრივებულ შრომასთან საერთოდ, ანუ, თუ კაპიტალისტურად გამოვთქვამთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოგებას და ამ მოგების შეფარდებას გამოყენებულ კაპიტალთან, მაშასადამე, — მოგების ნორმის გარკვეულ სიმაღლეს. ამიტომ კაპიტალისტური წარმოება საზღვარს აღწევს წარმოების ისეთ დონეზე გაფართოებისას, რომელიც, პირიქით, სხვა წანამძღვართა პირობებში მეტად არასაკმარისი იქნებოდა. იგი ჩერდება არა მაშინ, როდესაც ამას მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მოითხოვს, არამედ მაშინ, როდესაც ამ გაჩერებას მოგების წარმოება და რეალიზაცია მოითხოვს.

თუ მოგების ნორმა ეცემა, მაშინ, ერთი მხრივ, ძლიერდება კაპიტალის დაძაბულობა, რათა ცალკეულმა კაპიტალისტმა გაუმჯობესებული მეთოდების და სხვ. გზით შეძლოს საზოგადოებრივ საშუალო ღირებულებაზე დაბლა დასწიოს თავისი ცალკეული საქონლის ინდივიდუალური ღირებულება და ამგვარად, მოცემული საბაზრო ფასის არსებობისას, რაიმე დამატებითი მოგება მიიღოს; მეორე მხრივ, ჩნდება სპეკულაცია და საერთო ხელსაყრელი ნიადაგი ამ სპეკულაციისათვის წარმოების ახალ-ახალი მეთოდების, კაპიტალის ახალ-ახალი დაბანდების, ახალ-ახალი ავანტიურების გაშმაგებული ცდების მეოხებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს რაიმე დამატებითი მოგება, რომელიც დამოუკიდებელია საერთო საშუალო დონისგან და მას აღემატება.

მოგების ნორმას, ე. ი. კაპიტალის შეფარდებისას ნაზრდს, უწინარეს ყოვლისა მნიშვნელობა აქვს კაპიტალის ყველა ახალი, დამოუკიდებლად დაჯგუფებული შტოებისათვის. და როგორც კი ამ ახალი კაპიტალების შექმნა მხოლოდ და მხოლოდ იმ მცირერიცხოვანი, მზა და მსხვილი კაპიტალების ხვედრი გახდებოდა, რომლებისთვისაც მოგების ნორმა მოგების მასით წონასწორდება, მაშინვე ჩაქრებოდა საერთოდ წარმოების გამაცხოველებელი ცეცხლი. წარმოება მაშინ ჩაიძინებდა. მოგების ნორმა კაპიტალისტური წარმოების მამოძრავებელი ძალაა; იწარმოება მხოლოდ ის და მხოლოდ იმდენად, რაც და რამდენადაც მოგებით შეიძლება იწარმოოს. აქედან წარმოდგება ინგლისელ ეკონომისტთა შიში მოგების ნორმის კლების გამო. ის გარემოება, რომ რიკარდოს ამის მარტოოდენ შესაძლებლობაც კი აწუხებს, მოწმობს სწორედ, რომ მან ღრმად გაიგო კაპიტალისტური წარმოების პირობები. რიკარდოში სწორედ ისაა მნიშვნელოვანი, რასაც მას უსაყვედურებდნენ: კაპიტალისტური წარმოების განხილვისას იგი «ადამიანთა» ბედზე არ ზრუნავს და ყურადღებას აქცევს მხოლოდ მწარმოებლურ ძალთა განვითარებასო, სულ ერთია, როგორიც უნდა იყოს ის მსხვერპლი ადამიანთა და კაპიტალ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს სახით, რითაც იგი შეისყიდებაო. საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება კაპიტალის ისტორიული დანიშნულება და გამართლებაა. სწორედ ამით ქმნის იგი შეუცნობლად წარმოების უფრო მაღალი ფორმის მატერიალურ პირობებს. რიკარდოს ის აწუხებს, რომ მოგების ნორმას, რომელიც კაპიტალისტური წარმოების სტიმულია და იმავე დროს დაგროვების პირობა და მამოძრავებელი ძალაცაა, ხიფათი ემუქრება თვით წარმოების განვითარების გამო. რაოდენობრივი შეფარდება კი აქ — ყველაფერია. სინამდვილეში ამას უფრო ღრმა რამ უდევს საფუძვლად, რასაც რიკარდო მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობს. აქ აშკარავდება — წმინდა ეკონომიურად, ე. ი. ბურჟუაზიული თვალსაზრისით, კაპიტალისტური გაგების ფარგლებში, თვით კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით, — ამ წარმოების ზღვარდებულობა, მისი შეფარდებითობა, ის, რომ იგი აბსოლუტური კი არა, არამედ მხოლოდ ისტორიული წარმოების წესია, რომელიც წარმოების მატერიალური პირობების განვითარების გარკვეულ ზღვარდებულ საფეხურს შეესაბამება.

IV. დამატებანი.

რადგან შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება მეტად არათანაბარია მრეწველობის სხვადასხვა დარგში, და არათანაბარია არა მარტო დონის მხრივ, არამედ იგი ხშირად საპირისპირო მიმართულები-

თაც წარმოებს, ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ საშუალო მოგების (=ზედმეტი ღირებულების) მასა იმ დონეზე ბევრად დაბლა უნდა იდგეს, რომელიც შეიძლებოდა გვევარაუდნა, თუ მხედველობაში მივიღებთ მწარმოებლური ძალის განვითარებას მრეწველობის ყველაზე მოწინავე დარგებში. ის ვარეშოება, რომ მწარმოებლური ძალის განვითარება მრეწველობის სხვადასხვა დარგში არა მარტო ფრიად სხვადასხვა პროპორციით, არამედ ხშირად საპირისპირო მიმართულებითაც ხდება, — გამომდინარეობს არა მხოლოდ კონკურენციის ანარქიიდან და ბურჟუაზიული წარმოების წესის თავისებურებიდან. შრომის ნაყოფიერება დაკავშირებულია ბუნებრივ პირობებთანაც, რომლებიც ხშირად ნაკლებ ბარაქიანი ხდება იმავე პროპორციით, რა პროპორციითაც მატულობს ნაყოფიერება, რამდენადაც ეს უკანასკნელი საზოგადოებრივ პირობებზეა დამოკიდებული. აქედან — საპირისპირო მოძრაობა ამ სხვადასხვა სფეროებში: პროგრესი ერთ ადგილას, რეგრესი მეორე ადგილას. გავიხსენოთ, მაგალითად, თუნდაც წლის დროთა გავლენა, რაზედაც მეტწილად დამოკიდებულია ყველა ნედლეულის რაოდენობა. გავიხსენოთ ტყეების გაჩეხვა, ნახშირისა და რკინის მადნების გამოლევა მაღაროებში და სხვ.

თუ მუდმივი კაპიტალის საბრუნავი ნაწილი, ნედლეული და სხვ., მასის მხრივ მუდამ იზრდება მწარმოებლური ძალის განვითარების პროპორციულად, ეს ასე არაა ძირითადი კაპიტალის, შენობების, მანქანების, განათებისა და გათბობის მოწყობილობის და სხვ. მიმართ. თუმცა მანქანა მისი მოცულობის გადიდებასთან ერთად აბსოლუტურად უფრო ძვირი ჯდება, მაგრამ შეფარდებით იგი იაფდება. თუ ხუთი მუშა ათჯერ უფრო მეტ საქონელს აწარმოებს, ვიდრე უწინ, — ამის გამო არ გაათკეცდება ძირითად კაპიტალზე გაწეული ხარჯი; თუმცა მუდმივი კაპიტალის ამ ნაწილის ღირებულება იზრდება მწარმოებლური ძალის განვითარებასთან ერთად, მაგრამ იზრდება სრულიადაც არა იმავე პროპორციით. ჩვენ უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ განსხვავება ცვალებად კაპიტალთან მუდმივი კაპიტალის შეფარდებასა, რამდენადაც იგი მოგების ნორმის დაცემით გამოიხატება, და იმავე შეფარდებას შორის, რამდენადაც იგი, შრომის ნაყოფიერების განვითარებასთან ერთად, ცალკეული საქონლით და მისი ფასით გამოიხატება.

{საქონლის ღირებულება განისაზღვრება მთელი წარსული და ცოცხალი სამუშაო დროით, რომელიც ამ საქონელში შედის. შრომის ნაყოფიერების გადიდება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი შრომის წილი მცირდება და წარსული შრომის წილი დიდდება, მაგრამ

დიდდება ისე, რომ საქონელში მოქცეული შრომის მთელი ჯამი კლებულობს, მაშასადამე, ისე, რომ ცოცხალი შრომა უფრო მეტად კლებულობს, ვიდრე წარსული შრომა მატულობს. საქონლის ღირებულებაში განხორციელებული წარსული შრომა — კაპიტალის მუდმივი ნაწილი — შედგება ნაწილობრივ ძირითადი კაპიტალის გაცვეთისაგან, ნაწილობრივაც საქონელში მთლიანად შესული საბრუნავი მუდმივი კაპიტალისაგან, — ნედლეულისა და დამხმარე მასალისაგან. ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ნედლეულიდან და დამხმარე მასალიდან გამომდინარეობს, უნდა შემცირდეს შრომის ნაყოფიერების განვითარებასთან ერთად, იმიტომ რომ ეს ნაყოფიერება ამ მასალების მიმართ სწორედ იმაში მჟღავნდება, რომ მათი ღირებულება მცირდება. პირიქით, შრომის მზარდი მწარმოებლური ძალის დამახასიათებელი სწორედ ის არის, რომ მუდმივი კაპიტალის ძირითადი ნაწილი ძლიერ დიდდება, და მასთან ერთად დიდდება მისი ღირებულების ის ნაწილიც. რომელიც გაცვეთის გზით საქონელზე გადაიტანება. იმისათვის, რომ წარმოების ახალმა მეთოდმა გაამართლოს თავისი ვარგისობა ნაყოფიერების ნამდვილი გადიდებით, საჭიროა ამ მეთოდების მეოხებით ცალკეულ საქონელზე ნაკლები დამატებითი ღირებულების ნაწილი იქნეს გადატანილი ძირითადი კაპიტალის გაცვეთის გამო, ვიდრე ღირებულების ის ნაწილია, რომელიც გამოაკლდება, დაიზოგება ცოცხალი შრომის შემცირების გამო; ერთი სიტყვით, ამ მეთოდმა უნდა შეამციროს საქონლის ღირებულება. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ მეთოდმა ასევე უნდა იმოქმედოს მაშინაც კი, თუ, როგორც ეს ცალკეულ შემთხვევებში ხდება, საქონლის ღირებულების წარმოქმნაში, გარდა ძირითადი კაპიტალის დამატებით გაცვეთილი ნაწილისა, შედის ღირებულების ის დამატებითი ნაწილიც, რომელიც რაოდენობრივად გადიდებულ ან უფრო ძვირ ნედლეულსა და დამხმარე მასალას შეესაბამება. ღირებულების ყველა წინამატი უნდა უხვად გაწონასწორდეს ღირებულების იმ შემცირებით, რომელიც ცოცხალი შრომის შემცირებიდან წარმოდგება.

ამიტომ საქონელში შემავალი მთელი შრომის რაოდენობის ასეთი შემცირება თითქოს არსებითი ნიშანი უნდა იყოს შრომის მწარმოებლური ძალის გადიდებისა, სულ ერთია, რაგვარ საზოგადოებრივ პირობებშიც არ უნდა ჰქონდეს ადგილი წარმოებას. ისეთ საზოგადოებაში, სადაც მწარმოებლები თავიანთ წარმოებას წინასწარ შედგენილი გეგმის თანახმად არეგულირებენ, და თვით მარტივ საქონელწარმოების დროსაც კი, შრომის ნაყოფიერება უთუოდ ამ მასშტაბით გაიზომე-

ბოდა, მაგრამ როგორია საქმის ვითარება კაპიტალისტური წარმოების დროს?

ვთქვათ, კაპიტალისტური წარმოების განსაზღვრული დარგი თავის ნორმალურ ცალ საქონელს შემდეგ პირობებში აწარმოებს: ძირითადი კაპიტალის გაცვეთა ცალზე უდრის ½ შილინგს ან ½ მარკას; ნედლი და დამხმარე მასალა ცალზე 17½ შილ. რაოდენობით იხარჯება, ხელფასი 2 შილ. უდრის და, 100% ზედმეტი ღირებულების ნორმის არსებობისას, ზედმეტი ღირებულება შეადგენს 2 შილინგს. მთელი ღირებულება = 22 შილინგს ან 22 მარკას. სიმარტივისათვის ვიგულისხმოთ, რომ წარმოების ამ დარგში კაპიტალს საზოგადოებრივი კაპიტალის საშუალო შედგენილობა აქვს, რომ, მაშასადამე, საქონლის წარმოების ფასი ემთხვევა მის ღირებულებას, და კაპიტალისტის მოგება ემთხვევა წარმოებულ ზედმეტ ღირებულებას. ამ შემთხვევაში საქონლის ხარჯთფასი = ½+17½+2 = 20 შილ., მოგების საშუალო ნორმა $\frac{2}{20} = 10\%$, ხოლო ცალი საქონლის წარმოების ფასი უდრის მის ღირებულებას = 22 შილინგს ანუ 22 მარკას.

ვიგულისხმოთ, რომ გამოიგონეს მანქანა, რომელიც თვითეული ცალი საქონლისათვის საჭირო ცოცხალ შრომას სანახევროდ ამცირებს, მაგრამ სამაგიეროდ სამჯერ ადიდებს ღირებულების იმ ნაწილს, რასაც ძირითადი კაპიტალის გაცვეთა შეადგენს. მაშინ საქმე ასე წარმოგვიდგება: გაცვეთა = 1½ შილ., ნედლეული და დამხმარე მასალა უწინდებურად 17½ შილ., ხელფასი 1 შილ., ზედმეტი ღირებულება 1 შილ., სულ 21 შილ. ანუ 21 მარკა. საქონლის ღირებულებამ ახლა 1 შილინგით დაიკლო; ახალმა მანქანამ უეჭველად გაადიდა შრომის მწარმოებლური ძალა. მაგრამ კაპიტალისტი საქმეს ასე წარმოიდგენს; მისი ხარჯთფასია ახლა: 1½ შილ. გაცვეთა, 17½ შილ. ნედლეული და დამხმარე მასალა, 1 შილ. ხელფასი, სულ 20 შილ., როგორც უწინ. რადგან მოგების ნორმა უშუალოდ ახალი მანქანის გამოყენებით არ იცვლება, კაპიტალისტმა 10% უნდა მიიღოს ხარჯთფასზე ზედმეტი, რაც შეადგენს 2 შილინგს; მაშასადამე, წარმოების ფასი უცვლელი დარჩა = 22 შილ., მაგრამ იგი 1 შილინგით აღემატება ღირებულებას. კაპიტალისტურ პირობებში მწარმოებელი საზოგადოებისათვის საქონელი არ გაიაფებულა, ახალი მანქანა არავითარ გაუმჯობესებას არ წარმოადგენს. მაშასადამე, კაპიტალისტი სრულიადაც არაა დაინტერესებული იმით, რომ ახალი მანქანა შემოიღოს. ხოლო რადგან იგი მისი შემოღებით თავის წინანდელ, ჯერ კიდევ გაუცვეთელ მანქანას ღირებულებას დაუკარგავდა, მას მხოლოდ ძველ რკინად აქცევდა, მაშასა-

დამე, ნამდვილ ზარალს ნახავდა, ამიტომ ის მუდამ ერიდება ასეთ, მისთვის უტოპიურ სისულელეს.

ამრიგად, კაპიტალისათვის შრომის მჴარდი მწარმოებლური ძალის კანონს არა აქვს უცილობელი მნიშვნელობა. კაპიტალისათვის ეს მწარმოებლური ძალა დიდდება არა მაშინ, როდესაც საერთოდ დაიზოგება ცოცხალი შრომა, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცოცხალი შრომის გადახდილ ნაწილზე უფრო მეტი დაიზოგება, ვიდრე წარსული შრომა მიეპატება, როგორც ეს მოკლედ უკვე აღნიშნულია I წიგნში, თავი XIII, 2, გვ. 356 — 357 [კ. მარქსი: «კაპიტალი», ტ. I, გამოც. 1954 წ., გვ. 496 — 497]. აქ კაპიტალისტური წარმოების წესი ახალ წინააღმდეგობაში ვარდება. მისი ისტორიული მოწოდებაა — შეუჩერებლად, გეომეტრიული პროგრესიით მიერეკებოდეს წინ ადამიანის შრომის ნაყოფიერების განვითარებას. ამ მოწოდებას იგი ღალატობს, როდესაც, როგორც ამ შემთხვევაში, ნაყოფიერების განვითარების დამაბრკოლებლად გამოდის. ამით იგი მხოლოდ იმას ამტკიცებს ხელახლა, რომ ‹იბერის› უძლურებითაა შეპყრობილი და სულ უფრო დრომოჭმული ხდება›[37].

იმ კაპიტალის მინიმუმის ზრდა, რომელიც მწარმოებლური ძალის განვითარებასთან ერთად აუცილებელი ხდება დამოუკიდებელი სამრეწველო საწარმოს წარმატებით მართვისათვის, კონკურენციაში შემდეგნაირად ვლინდება: როგორც კი ახალი უფრო ძვირი საწარმოო მოწყობილობა ‹საყოველთაო ხმარებაში› შემოდის, უფრო წვრილ კაპიტალებს სამერმისოდ სათანადო წარმოების კარები ეხშობათ. მექანიკურ გამოგონებათა მხოლოდ დასაწყისში შეიძლება აქ წვრილი კაპიტალები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ წარმოების სხვადასხვა სფეროში. მეორე მხრივ, ფრიად მსხვილი საწარმონი, რომელთაც არაჩვეულებრივად მაღალი შეფარდების მუდმივი კაპიტალი [ცვალებადის მიმართ] აქვთ, როგორიცაა რკინიგზები, იძლევიან არა მოგების საშუალო ნორმას, არამედ მხოლოდ მის ნაწილს, სარგებელს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგების საერთო ნორმა კიდევ უფრო დაეცემოდა. პირიქით, აქციების სახით შეერთებული მსხვილი კაპიტალები აქ გამოყენების უშუალო ასპარეზს პოულობენ.

---

[37] ზემოაღნიშნული ადგილი ფრჩხილებშია ჩასმული, იმიტომ რომ, თუმცა იგი ხელნაწერი დედნიდან აღებული შენიშვნის გადაკეთებას წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთი პუნქტის გადმოცემის ‹ზრიგ› დედანში მოცემული მასალის ფარგლებს სცილდება. — ფ. ე.

კაპიტალის ზრდა, მაშასადამე, კაპიტალის დაგროვება გულისხმობს მოგების ნორმის შემცირებას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ასეთი ზრდის გამო ხდება ზემოთ განხილული ცვლილებები კაპიტალის ორგანული შემადგენელი ნაწილების შეფარდებაში. მაგრამ, მიუხედავად წარმოების წესში მიმდინარე მუდმივ, ყოველდღიურ გადატრიალებათა, ერთობლივი კაპიტალის ესა თუ ის, უფრო დიდი თუ ნაკლები ნაწილი განაგრძობს გარკვეული დროის მონაკვეთში დაგროვებას ამ შემადგენელი ნაწილების მოცემული საშუალო შეფარდების საფუძველზე, ასე რომ იმ ნაწილის ზრდა არ იწვევს რაიმე ორგანულ ცვლილებას, მაშასადამე, მოგების ნორმის დაცემის მიზეზებსაც. კაპიტალის ეს მშვიდად მიმდინარე მუდმივი გადიდება, მაშასადამე, წარმოების გაფართოებაც, წარმოების ძველი მეთოდის საფუძველზე, მაშინ როდესაც იმის გვერდით უკვე ახალი მეთოდები შემოდის ხმარებაში, თავის მხრივ იმის მიზეზია, რომ მოგების ნორმა იმავე ოდენობით არ კლებულობს, რა ოდენობითაც საზოგადოების ერთობლივი კაპიტალი იზრდება.

მუშათა აბსოლუტური რიცხვის გადიდება, ხელფასზე დახარჯული ცვალებადი კაპიტალის შეფარდებითი შემცირების მიუხედავად, ხდება წარმოების არა ყველა დარგში და არა თანაბრად ყველაში. მიწათმოქმედებაში ცოცხალი შრომის ელემენტის შემცირება შეიძლება აბსოლუტური იყოს.

სხვათა შორის, კაპიტალისტური წარმოების წესის მოთხოვნილებას შეეფერება ის, რომ დაქირავებული მუშების რიცხვი აბსოლუტურად დიდდება, მისი შეფარდებითი შემცირების მიუხედავად. ამ წარმოების წესისთვის მუშა-ძალები ზედმეტი ხდება, როგორც კი მოიხსნება იმის აუცილებლობა, რომ ეს უკანასკნელნი 12-15 საათს მუშაობდნენ ყოველდღიურად. მწარმოებლურ ძალთა ისეთი განვითარება, რომელიც მუშების აბსოლუტურ რიცხვს შეამცირებდა, ე. ი. ნამდვილად მთელ ერს შესაძლებლობას მისცემდა უფრო მოკლე დროის განმავლობაში შეესრულებინა მთელი თავისი წარმოება, რევოლუციას გამოიწვევდა, იმიტომ რომ მოსახლეობის უმრავლესობა ზედმეტი აღმოჩნდებოდა. ამაში კვლავ მჟღავნდება კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკური ზღუდე, და აგრეთვე ის, რომ კაპიტალისტური წარმოება სრულიადაც არ წარმოადგენს მწარმოებლურ ძალთა განვითარებისა და სიმდიდრის შექმნის აბსოლუტურ ფორმას, არამედ, პირიქით, განსაზღვრულ პუნქტზე იგი შეეჯახება ამ განვითარებას. ნაწილობრივ ეს შეჯახება ვლინდება პერიოდულ კრიზისებში, რომლებიც იქიდან წარმოდგება, რომ მუშა-მოსახლეობის ხან ერთი ნაწილი, ხან მეორე ზედმეტი ხდება მის ძველ

პროფესიულ საქმიანობაში. კაპიტალისტური წარმოების ზღვარია მუშების ნამეტი დრო. აბსოლუტური ნამეტი დრო, რომელიც საზოგადოებისათვის მოგებაა, კაპიტალისტურ წარმოებას არ აინტერესებს. მწარმოებლური ძალის განვითარება მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მუშათა კლასის ზედმეტ სამუშაო დროს გაადიდებს, და არა იმდენად, რამდენადაც იგი სამუშაო დროს შეამცირებს საერთოდ მატერიალური წარმოებისათვის; ამრიგად, კაპიტალისტური წარმოება წინააღმდეგობაში მოძრაობს.

ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალის დაგროვების ზრდა მის მზარდ კონცენტრაციას გულისხმობს. ასე იზრდება კაპიტალის ძალაუფლება, კაპიტალისტში გაპიროვნებული საზოგადოებრივი წარმოებითი პირობების განცალკევება ნამდვილ მწარმოებელთაგან. კაპიტალი უფრო და უფრო ავლენს თავის თავს როგორც საზოგადოებრივი ძალა, რომელიც კაპიტალისტის მეშვეობით მოქმედებს და სრულიად არავითარ დამოკიდებულებაში აღარ იმყოფება იმასთან, რის შექმნაც ცალკეული ინდივიდის შრომას შეუძლია, — როგორც განრიდებული, დამოუკიდებლად ქცეული საზოგადოებრივი ძალა, რომელიც საზოგადოებას უპირისპირდება როგორც ნივთი და როგორც კაპიტალისტის ძალაუფლება, რაც ამ ნივთის საშუალებით ხორციელდება. წინააღმდეგობა საერთო საზოგადოებრივ ძალასა, რადაც კაპიტალი იქცევა, და ცალკეულ კაპიტალისტთა კერძო ძალაუფლებას შორის, რომელიც ამ უკანასკნელთ აქვთ საზოგადოებრივი წარმოებითი პირობების მიმართ, სულ უფრო ვითარდება აშკარა წინააღმდეგობად და თვითვე შეიცავს ამ ურთიერთობის გადაწყვეტას, რადგან იგი ამავე დროს გულისხმობს წარმოების პირობების გარდაქმნას წარმოების საერთო, კოლექტიურ, საზოგადოებრივ პირობებად. ეს გარდაქმნა მოცემულია მწარმოებლურ ძალთა განვითარებით კაპიტალისტური წარმოების პირობებში და იმ წესით, რომლითაც ეს განვითარება ხორციელდება.

არც ერთი კაპიტალისტი არ გამოიყენებს ნებაყოფლობით წარმოების ახალ მეთოდს, რაგინდ მწარმოებლურიც არ უნდა იყოს იგი ან რაგინდ არ ადიდებდეს ზედმეტი ღირებულების ნორმას, თუ ეს ახალი მეთოდი ამცირებს მოგების ნორმას. მაგრამ წარმოების ყოველი ასეთი ახალი წესი აიაფებს საქონელს. ამიტომ კაპიტალისტი თავდაპირველად საქონელს მის წარმოების ფასზე უფრო მაღალ ფასში, შეიძლება მის ღირებულებაზე უფრო მაღალ ფასშიც კი ყიდის. იგი ჩაიჯიბავს იმ სხვაობას, რომელიც არსებობს ამ საქონლის წარმოების ხარჯებსა და სხვა,

უფრო მაღალი წარმოების ხარჯებით წარმოებულ საქონელთა საბაზრო ფასს შორის. ეს შეუძლია მას იმიტომ, რომ ამ საქონელთა წარმოებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელი საშუალო სამუშაო დრო უფრო დიდია, ვიდრე ის სამუშაო დრო, რომელიც ამისთვის საჭიროა წარმოების ახალი მეთოდის დროს. მისი საწარმოო პროცედურა საშუალო საზოგადოებრივზე მაღლა დგას. მაგრამ კონკურენცია საყოველთაოდ აქცევს ამ პროცედურას და საერთო კანონს უქვემდებარებს მას. მაშინ იწყება მოგების ნორმის შემცირება, — შესაძლოა, ჯერ წარმოების ამ სფეროში და შემდეგ იგი უთანატოლდება სხვებს, — მაშასადამე, ეს ხდება სრულიად დამოუკიდებლად კაპიტალისტის ნებისაგან.

ამ პუნქტის შესახებ უნდა შევნიშნოთ კიდევ, რომ ამ კანონის მოქმედება წარმოების იმ სფეროებზედაც ვრცელდება, რომელთა პროდუქტი არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ შედის მუშის მოხმარებაში ან მის საარსებო საშუალებათა წარმოების პირობებში; ე. ი. იგი ვრცელდება წარმოების იმ სფეროებზედაც, სადაც საქონელთა არავითარ გაიაფებას არ შეუძლია შეფარდებითი ზედმეტი ღირებულების გადიდება, სამუშაო ძალის გაიაფება. (რა თქმა უნდა, ყველა ამ დარგში მუდმივი კაპიტალის გაიაფებას შეუძლია გამოიწვიოს მოგების ნორმის გადიდება მუშის ექსპლოატაციის უცვლელობისას.) როგორც კი წარმოების ახალი მეთოდი იწყებს გავრცელებას, — და ამით ფაქტიურად მტკიცდება ის, რომ ამ საქონელთა უფრო იაფად წარმოება შესაძლებელია, — წარმოების ძველ პირობებში მომუშავე კაპიტალისტებმა თავიანთი პროდუქტი მის სრულ წარმოების ფასზე ნაკლებად უნდა გაყიდონ, იმიტომ რომ ამ საქონლის ღირებულება დაეცა, მის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დრო საზოგადოებრივზე მაღლა დგას. ერთი სიტყვით, — და ეს წარმოგვიდგება როგორც კონკურენციის შედეგი,— იმათაც უნდა შემოიღონ წარმოების ახალი მეთოდი, რომლის დროსაც ცვალებადი კაპიტალის შეფარდება მუდმივთან შემცირებულია.

ყველა გარემოება, რომელიც იწვევს იმას, რომ მანქანების გამოყენება მათი საშუალებით წარმოებულ საქონელთა ფასს აიაფებს, ნიშნავს ყოველთვის იმ შრომის რაოდენობის შემცირებას, რომელსაც ცალკეული საქონელი შეიწოვს, მეორე მხრივ კი ნიშნავს მანქანების იმ გაცვეთილი ნაწილის შემცირებას, რომლის ღირებულება ცალკეულ საქონელში შედის. რაც უფრო ნელა ხდება მანქანების გაცვეთა, მით უფრო მეტ საქონელზე ნაწილდება ეს გაცვეთა, მით უფრო მეტ ცოცხალ შრომას შეენაცვლებიან ეს მანქანები მათი კვლავწარმოების

ვადამდე. ორივე შემთხვევაში ძირითადი მუდმივი კაპიტალის რაოდენობა და ღირებულება დიდდება ცვალებადთან შედარებით.

«თუ ყველა სხვა პირობა თანაბარია, ერის უნარი თავისი მოგებიდან დანაზოგის განხორციელებისა იცვლება მოგების ნორმასთან ერთად; იგი დიდია, როცა მოგების ნორმა მაღალია, და ნაკლებია, როცა მოგების ნორმა დაბალია; მაგრამ როცა მოგების ნორმა მცირდება, ყველა სხვა პირობა აღარ რჩება თანაბარი... მოგების დაბალ ნორმას ჩვეულებრივ თან ახლავს დაგროვების სწრაფი ტემპი მოსახლეობის რიცხვთან შედარებით, როგორც ეს ინგლისშია... მოგების მაღალ ნორმას — დაგროვების უფრო ნელი ტემპი მოსახლეობის რიცხვთან შედარებით». მაგალითები: პოლონეთი, რუსეთი, ინდოეთი და სხვ. (Richard Jones: «An Introductory Lecture on Political Economy». London 1833, გვ. 50 და შემდ.). ჯონსი მართებულად აღნიშნავს, რომ, მოგების ნორმის შემცირების მიუხედავად, მისწრაფება დაგროვებისადმი და უკანასკნელის შესაძლებლობა დიდდება. ჯერ ერთი, შეფარდებითი ჭარბმოსახლეობის ზრდის გამო. მეორეც, იმიტომ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად დიდდება ერთი და იმავე საცვლელი ღირებულებით გამოხატულ სახმარ ღირებულებათა მასა, ე. ი. დიდდება კაპიტალის ნივთობრივი ელემენტების მასა. მესამე, იმიტომ, რომ წარმოების დარგები მრავალფეროვანდება. მეოთხე, საკრედიტო სისტემის, აქციონერულ საზოგადოებათა და სხვ. განვითარების გამო და ამასთან დაკავშირებით ფულის კაპიტალად გადაქცევის გაადვილების გამო, ისე, რომ მისი პატრონი თვითონ არ ხდება მრეწველი კაპიტალისტი. მეხუთე, მოთხოვნილებათა ზრდის და გამდიდრებისადმი მისწრაფების გამო. მეექვსე, დაბანდებული ძირითადი კაპიტალის მასის გადიდების გამო და სხვ.

კაპიტალისტური წარმოების სამი მთავარი ფაქტი შემდეგია:

1) წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია მცირეოდენთა ხელში. რის გამო ეს საშუალებანი აღარ წარმოადგენენ უშუალო მუშების კერძო საკუთრებას, არამედ, პირიქით, წარმოების საზოგადოებრივ ძალებად გარდაიქმნებიან. თუმცა ასეთად ისინი იქცევიან ჯერ როგორც კაპიტალისტების კერძო საკუთრება. ეს უკანასკნელნი ბურჟუაზიული საზოგადოების რწმუნებულ-გამგებელნი არიან, მაგრამ თვითონ იჯიბავენ ამ რწმუნება-საგამგებლო საქმის ყველა ნაყოფს.

2) თვით შრომის, როგორც საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაცია: კოოპერაციით, შრომის დანაწილებით და შრომის დაკავშირებით ბუნებისმეცნიერებასთან.

როგორც ერთი, ისე მეორე მხრივ კაპიტალისტური წარმოების წესი სპობს კერძო საკუთრებას და კერძო შრომას, თუმცა სპობს წინააღმდეგობრივ ფორმებში.

3) მსოფლიო ბაზრის შექმნა.

მოსახლეობასთან შეფარდებით ის კოლოსალური მწარმოებლური ძალა, რომელიც კაპიტალისტური წარმოების წესის ფარგლებში ვითარდება, და თუმცა არა იმავე პროპორციით მოსახლეობაზე გაცილებით სწრაფად მზარდ კაპიტალღირებულებათა გადიდება (არა მარტო მათი მატერიალური სუბსტრატისა), ეწინააღმდეგება იმ საფუძველს, რომელიც სიმდიდრის ზრდასთან შედარებით სულ უფრო ვიწროვდება და რომლისთვისაც ეს კოლოსალური მწარმოებლური ძალა მოქმედებს. ეგი ეწინააღმდეგება აგრეთვე ამ მუდამ მზარდი კაპიტალის ღირებულების ზრდის პირობებს. აქედან — კრიზისები.

განყოფილება მეოთხე

საქონლური კაპიტალისა და ფულადი კაპიტალის გადაქცევა საქონლურ-სავაჭრო კაპიტალად და ფულად-სავაჭრო კაპიტალად (ვაჭრის კაპიტალად)

თავი მეთექვსმეტე

საქონლურ-სავაჭრო კაპიტალი.

ვაჭრის, ანუ სავაჭრო, კაპიტალი ორ ფორმად ანუ ქვესახეობად იყოფა: საქონლურ-სავაჭრო კაპიტალად და ფულად-სავაჭრო კაპიტალად, რომლებსაც ჩვენ ახლა უფრო დაწვრილებით დავახასიათებთ, რამდენადაც ეს საჭიროა კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის ანალიზისათვის. ეს კი მით უფრო საჭიროა, რომ თანამედროვე ეკონომია, მისი საუკეთესო წარმომადგენლებიც კი, სავაჭრო კაპიტალს პირდაპირ ურევს სამრეწველო კაპიტალში და ფაქტიურად სრულიად ვერ ხედავს მის დამახასიათებელ თავისებურებებს.

საქონლური კაპიტალის მოძრაობის ანალიზი II წიგნში იყო მოცემული. თუ საზოგადოების ერთობლივ კაპიტალს განვიხილავთ, მისი ერთი ნაწილი, თუმცა მუდამ ახალ-ახალი ელემენტებისგან შედგება და სიდიდის მხრივ იცვლება კიდეც, მუდამ მოიპოვება საქონლის სახით, რომელიც ფულად უნდა გადაიქცეს; მეორე ნაწილი ბაზარზეა ფულის სახით, რომელიც საქონლად უნდა გადაიქცეს. იგი მუდამ ამ გარდაქმნის მოძრაობაში, ფორმათა ამ მეტამორფოზის პროცესში იმყოფება. რამდენადაც მიმოქცევის პროცესში მყოფი კაპიტალის ასეთი ფუნქცია საერთოდ განცალკევდება როგორც განსაკუთრებული კაპიტალის განსაკუთრებული ფუნქცია, ფიქსირე-

ბული ხდება როგორც ფუნქცია, რომელიც შრომის დანაწილების გამო კაპიტალისტთა განსაკუთრებულ ნაირსახეობას განეკუთვნება, ამდენად საქონლური კაპიტალი საქონლურ-სავაჭრო კაპიტალად, ანუ კომერციულ კაპიტალად, იქცევა.

ჩვენ უკვე გავარკვიეთ (წიგნი II, თავი VI, მიმოქცევის ხარჯები, 2 და 3), თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ სატრანსპორტო მრეწველობა და საქონლის შენახვა და განაწილება მოხმარებისათვის გამოსადეგ ფორმაში, მივიჩნიოთ წარმოების პროცესებად, რომლებიც მიმოქცევის პროცესში გრძელდება. საქონლური კაპიტალის მიმოქცევის ამ ეპიზოდებს ნაწილობრივ ურევენ ვაჭრის, ანუ საქონლურ-სავაჭრო, კაპიტალის სპეციფიკურ ფუნქციებში; ნაწილობრივ ისინი პრაქტიკაში დაკავშირებული არიან ამ კაპიტალის თავისებურ სპეციფიკურ ფუნქციებთან, თუმცა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარებასთან ერთად სავაჭრო კაპიტალის ფუნქცია წმინდა სახითაც, ე. ი. აღნიშნული რეალური ფუნქციებისაგან განცალკევებულად და მათ მიმართ დამოუკიდებლად ვითარდება. ჩვენი მიზნისათვის მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ამ განსაკუთრებული სახეობის [Gestalt] კაპიტალის სპეციფიკური სხვაობა, და, მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია აღნიშნული ფუნქციები მხედველობის გარეშე დავტოვოთ. რამდენადაც მარტოოდენ მიმოქცევის პროცესში მომქმედი კაპიტალი, სპეციალურად საქონლურ-სავაჭრო კაპიტალი, ნაწილობრივ ამ ფუნქციებს თავის ფუნქციებთან აკავშირებს, იგი არ წარმოგვიდგება თავისი წმინდა ფორმით. როდესაც მას ხსენებულ ფუნქციებს მოვაცლით და მოვაშორებთ, ჩვენ მივიღებთ საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის წმინდა ფორმას.

ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალის არსებობა საქონლური კაპიტალის სახით და ის მეტამორფოზი, რასაც იგი მიმოქცევის სფეროს შიგნით, ბაზარზე, გაივლის როგორც საქონლური კაპიტალი, — მეტამორფოზი, რომელიც წარმოადგენს ყიდვისა და გაყიდვის აქტებს, ე. ი. საქონლური კაპიტალის გადაქცევას ფულად კაპიტალად და ფულადი კაპიტალის გადაქცევას საქონლურ კაპიტალად, — შეადგენს სამრეწველო კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის ფაზას, მაშასადამე, მისი მთელი წარმოების პროცესის ფაზას; მაგრამ ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ იგი იმავე დროს ამ თავის ფუნქციაში, ე. ი. სამიმოქცევო კაპიტალად მყოფობის ფუნქციაში, განსხვავდება თავის თავისაგან როგორც მწარმოებლური კაპიტალისაგან. ეს არის ერთი და

იმავე კაპიტალის არსებობის ორი განცალკევებული, განსხვავებული ფორმა. საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის ნაწილი მუდამ იმყოფება ბაზარზე არსებობის ამ ფორმაში როგორც მიმოქცევის კაპიტალი, ამ მეტამორფოზის პროცესში გართული, თუმცა ყოველი ცალკეული კაპიტალისთვის მისი მყოფობა საქონლური კაპიტალის სახით და მისი, როგორც ასეთის, მეტამორფოზი შეადგენს მხოლოდ გარდამავალ მომენტს, რომელიც მუდამ ქრება და მუდამ ისევ განახლდება ხოლმე, შეადგენს მისი წარმოების პროცესის უწყვეტობის გარდამავალ სტადიას, და თუმცა, ამიტომ, ბაზარზე მყოფი საქონლური კაპიტალის ელემენტები მუდამ იცვლება, რადგან ისინი მუდამ გამოეცლებიან საქონლის ბაზარს და ასევე მუდამ უბრუნდებიან მას წარმოების პროცესის ახალი პროდუქტის სახით.

საქონლურ-სავაჭრო კაპიტალი სხვა არაფერია, თუ არა გარდაქმნილი ფორმა ამ მიმოქცევის კაპიტალის ნაწილისა, კაპიტალისა, რომელიც მუდამ ბაზარზე იმყოფება, მუდამ მეტამორფოზის პროცესსა და მიმოქცევის სფეროშია გართული. ჩვენ ვამბობთ: ნაწილისო იმიტომ, რომ საქონელთა გაყიდვისა და ყიდვის გარკვეული ნაწილი ყოველთვის უშუალოდ მიმდინარეობს თვით მრეწველ კაპიტალისტებს შორის. ამ ნაწილს სრულიად მხედველობის გარეშე ვტოვებთ ჩვენს გამოკვლევაში, რადგან იგი არაფრით არ შველის ცნების განსაზღვრას, სავაჭრო კაპიტალის სპეციფიკური ბუნების გაგებას, და, მეორე მხრივ, იგი ჩვენი მიზნისთვის უკვე ამომწურავად არის გამოკვლეული II წიგნში.

საქონლით მოვაჭრე, როგორც კაპიტალისტი საერთოდ, ბაზარზე გამოდის უწინარეს ყოვლისა როგორც წარმომადგენელი გარკვეული ფულადი თანხისა, რომელსაც იგი როგორც კაპიტალისტი ავანსად გაიღებს, ე. ი. რომელიც მას x-იდან (თანხის თავდაპირველი ღირებულებიდან) $x+\Delta x$-ად (ეს თანხა პლუს მასზე მოგება) სურს გარდაქმნას. მაგრამ მისთვის არა მხოლოდ როგორც კაპიტალისტისთვის საერთოდ, არამედ სპეციალურად როგორც საქონლით მოვაჭრისათვის, თავისთავად ცხადია, რომ მისი კაპიტალი თავდაპირველად ფულადი კაპიტალის ფორმით უნდა მოგვეელინოს ბაზარზე, რადგან იგი არავითარ საქონელს არ აწარმოებს, არამედ მხოლოდ ვაჭრობს საქონლით, მის მოძრაობას მოსაშუალეობს, ხოლო რათა საქონლით ვაჭრობა შეძლოს, ჯერ მან იგი უნდა იყიდოს, მაშასადამე, იგი ფულადი კაპიტალის მფლობელი უნდა იყოს.

ვთქვათ, საქონლით მოვაჭრეს აქვს 3 000 გირვ. სტერლინგი, რომლის ღირებულებაც მან უნდა გაადიდოს სავაჭრო კაპიტალის სახით.

ამ 3 000 გირვ. სტერლინგით იგი, მაგალითად, ტილოს მეფაბრიკისაგან 30 000 ადლ ტილოს ყიდულობს, თითო ადლს 2 შილინგად. იგი ყიდის ამ 30 000 ადლ ტილოს. თუ მოგების წლიური საშუალო ნორმა 10% უდრის და თუ იგი, ყველა დამატებითი ხარჯის გამოკლებით, 10% წლიურ მოგებას იღებს, მაშინ წლის ბოლოსთვის იგი 3 000 გირვ. სტერლინგს 3 300 გირვ. სტერლინგად გადააქცევს. თუ როგორ იღებს იგი ამ მოგებას, ეს არის საკითხი, რომელსაც ჩვენ შემდგომ გავარკვევთ. აქ ჩვენ უწინარეს ყოვლისა მხოლოდ მისი კაპიტალის მოძრაობის ფორმას განვიხილავთ. იგი 3 000 გირვ. სტერლინგით მუდამ ყიდულობს ტილოს და მუდამ ყიდის მას; იგი მუდამ იმეორებს ამ ოპერაციას: ყიდვას გაყიდვის მიზნით, Ф — ს — Ф[1], მარტივ ფორმას კაპიტალისას, რომელიც მთლიანად მიმოქცევის პროცესშია დაკავებული ისე, რომ ამ უკანასკნელის შეწყვეტას არ იწვევს მისი საკუთარი მოძრაობისა და ფუნქციის გარეშე მდებარე წარმოების პროცესის ინტერვალი.

როგორიღაა ამ საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის დამოკიდებულება საქონლურ კაპიტალთან როგორც სამრეწველო კაპიტალის მარტოოდენ არსებობის ფორმასთან? რაც შეეხება ტილოს მეფაბრიკეს, მან ვაჭრის ფულით თავისი ტილოს ღირებულების რეალიზაცია მოახდინა, თავისი საქონლური კაპიტალის მეტამორფოზის პირველი ფაზა, ამ კაპიტალის გარდაქმნა ფულად, შეასრულა და, სხვა პირობების უცვლელობისას, ახლა შეუძლია ფული უკუგარდაქმნას ნართად, ნახშირად, ხელფასად და სხვ., მეორე მხრივ, — საარსებო საშუალებებად და სხვ. თავისი შემოსავლის მოხმარების მიზნით; მაშასადამე, თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ შემოსავლის ხარჯვას, მას შეუძლია განაგრძოს კვლავწარმოების პროცესი.

მაგრამ, თუმცა მისთვის, ტილოს მწარმოებლისათვის, შესრულდა ტილოს მეტამორფოზი ფულად, იგი გაიყიდა, თვით ტილოსთვის ეს მეტამორფოზი ჯერ კიდევ არ შესრულებულა. ტილო წინანდებურად ბაზარზე იმყოფება როგორც საქონლური კაპიტალი, რომელმაც უნდა შეასრულოს თავისი პირველი მეტამორფოზი, ე. ი. უნდა გაიყიდოს. ამ ტილოს არაფერი არ მოსვლია, გარდა მისი მფლობელის პიროვნების შეცვლისა. თავისი დანიშნულებით, თავისი მდგომარეობით ამ პროცესში, იგი უწინდებურად საქონლური კაპიტალია, გასაყიდი საქონელია; მხოლოდ ახლა იგი ვაჭრის ხელშია, მაშინ როდესაც უწინ მწარმოებლის ხელში იყო. მისი გაყიდვის ფუნქცია, მისი მეტამორფოზის პირველი ფაზის მოსაშუალეობა მწარმოებელს ვაჭარმა ჩამოართვა და იგი ამ უკანასკნელის სპეციალურ მოსაქმეობად გადაიქცა,

მაშინ როდესაც უწინ ეს ფუნქცია მწარმოებელს უნდა შეესრულებია მას შემდეგ, რაც მან წარმოების ფუნქცია შეასრულა.

ვთქვათ, ვაჭარმა ვერ მოახერხა 30 000 ადლი ტილოს გაყიდვა დროის იმ მონაკვეთში, რომელიც ტილოს მწარმოებელს ესაჭიროება იმისათვის, რომ ხელახლა გადაისროლოს ბაზარზე 3 000 გირვ. სტერლ. ღირებულების 30 000 ადლი ტილო. ვაჭარს აღარ შეუძლია მისი ყიდვა, იმიტომ რომ ჯერ კიდევ საწყობში უწყვია გაუყიდავი 30 000 ადლი ტილო, რაც ჯერ კიდევ არაა მისთვის ფულად კაპიტალად გადაქცეული. ამ შემთხვევაში ხდება შეჩერება, კვლავწარმოების შეწყვეტა. რასაკვირველია, ტილოს მწარმოებელს შეიძლება ჰქონოდა თავის განკარგულებაში დამატებითი ფულადი კაპიტალი, რომელიც, 30 000 ადლი ტილოს გაყიდვისგან დამოუკიდებლად, მას შეეძლო მწარმოებელ კაპიტალად ექცია და ამგვარად განეგრძო წარმოების პროცესი. მაგრამ ეს ვარაუდი სრულიად არ ცვლის საქმის ვითარებას. რამდენადაც საქმე ეხება იმ კაპიტალს, რომელიც 30 000 ადლი ტილოს წარმოებისთვისაა ავანსებული, მისი კვლავწარმოების პროცესი შეწყვეტილი იყო და რჩება. მაშასადამე, აქ ნამდვილად მეღავნდება მთელი სიცხადით, რომ ვაჭრის ოპერაციები სხვა არა არის რა, თუ არა ისეთი ოპერაციები, რომლებიც საერთოდ უნდა შესრულდეს, რათა მწარმოებლის საქონლური კაპიტალი ფულად გადაიქცეს; ოპერაციები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება საქონლური კაპიტალის ფუნქციები მიმოქცევისა და კვლავწარმოების პროცესში. დამოუკიდებელი ვაჭრის ნაცვლად მწარმოებლის უბრალო აგენტი რომ ეწეოდეს მხოლოდ და მხოლოდ ამ გაყიდვას და, გარდა ამისა, შესყიდვას, — ეს ურთიერთობა ერთი წუთითაც კი აღარ იქნებოდა დაფარული.

მაშასადამე, საქონლურ-სავაჭრო კაპიტალი სხვა არაფერია, თუ არა მწარმოებლის საქონლური კაპიტალი, რომელმაც თავისი ფულად გადაქცევის პროცესი უნდა განვლოს, შეასრულოს ბაზარზე თავისი ფუნქცია როგორც საქონლურმა კაპიტალმა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ფუნქცია აქ წარმოადგენს არა მწარმოებლის სასხვათაშორისო ოპერაციას, არამედ განსაკუთრებული კატეგორიის კაპიტალისტთა, საქონლით მოვაჭრეთა, განსაკუთრებულ ოპერაციას; ეს ფუნქცია არსებობს როგორც დამოუკიდებელი განსაკუთრებული კაპიტალდაბანდების სფერო.

სხვათა შორის, ეს მეღავნდება საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის მიმოქცევის სპეციფიკურ ფორმაშიც. ვაჭარი ყიდულობს საქონელს და შემდეგ ყიდის მას: Ფ — ს — Ფ'. მარტივ საქონელმიმოქცევაში

ანდა იმ საქონელმიმოქცევაშიც კი, როგორადაც იგი გვევლინება სამრეწველო კაპიტალის მიმოქცევის პროცესის, ს′ — ფ — ს, სახით, მიმოქცევა იმ გზით ხორციელდება, რომ ფულის ყოველი ერთეული ორჯერ გადადის ხელიდან ხელში. ტილოს მწარმოებელი ყიდის თავის საქონელს, ტილოს, აქცევს მას ფულად; მყიდველის ფული მის ხელში გადადის. ამ ფულით იგი ყიდულობს ნართს, ნახშირს, შრომას და სხვ., ხარჯავს ამ ფულს, რათა ტილოს ღირებულება ხელახლა გადააქციოს სხვადასხვა საქონლად, რომელნიც ტილოს წარმოების ელემენტებს შეადგენენ. საქონელი, რომელსაც იგი ყიდულობს, არაა იგივე საქონელი, არაა იმგვარივე საქონელი, როგორც ის, რომელსაც იგი ყიდის. მან პროდუქტები გაყიდა და წარმოების საშუალებანი იყიდა. ვაჭრის კაპიტალის მოძრაობაში კი საქმის ვითარება სხვაგვარადაა. 3 000 გირვ. სტერლინგით ტილოს ვაჭარი ყიდულობს 30 000 ადლ ტილოს; იგი ყიდის ამ 30 000 ადლ ტილოს, რათა ფულადი კაპიტალი (3 000 გირვ. სტერლინგი და მოგება) მიმოქცევიდან გამოიტანოს. მაშასადამე, აქ ორჯერ იცვლის ადგილს არა ერთი და იგივე ფული, არამედ ერთი და იგივე საქონელი; ეს უკანასკნელი გადადის გამყიდველის ხელიდან მყიდველის ხელში და მყიდველის ხელიდან, რომელიც ახლა გამყიდველი გახდა, სხვა მყიდველის ხელში. იგი ორჯერ გაიყიდება და შეიძლება ბევრჯერაც გაიყიდოს, თუ შუაში ვაჭართა წყებაა ჩამდგარი; და სწორედ მხოლოდ ამ განმეორებული გაყიდვის გამო, ერთი და იმავე საქონლის მიერ ორჯერ ადგილცვლის გამო ხდება, რომ პირველი მყიდველი უკან დაიბრუნებს საქონლის საყიდლად ავანსებულ ფულს, და, მაშასადამე, ამ ადგილცვლის მეშვეობით ხდება, რომ მას უკან უბრუნდება ფული. ერთ შემთხვევაში, ს′ — ფ — ს-ში, ერთი და იმავე ფულის მიერ ორჯერ ადგილცვლის მეშვეობით ხორციელდება ის, რომ საქონელი გასხვისდება ერთი სახით და მიითვისება მეორე სახით. მეორე შემთხვევაში, ფ — ს — ფ′-ში, ერთი და იმავე საქონლის მიერ ორჯერ ადგილცვლის მეშვეობით ხორციელდება ის, რომ ავანსებული ფული ისევ გამოდის მიმოქცევიდან. სწორედ აქ მჟღავნდება ის, რომ საქონელი, როდესაც მწარმოებლის ხელიდან ვაჭრის ხელში გადავიდა, არაა ჯერ კიდევ საბოლოოდ გაყიდული, რომ ვაჭარი მხოლოდ განაგრძობს გაყიდვის ოპერაციას, ე. ი. საქონლური კაპიტალის ფუნქციის შესრულებას. მაგრამ ამასთან ერთად მჟღავნდება, რომ ის, რაც მწარმოებელი კაპიტალისტისთვის არის ს — ფ, — მისი კაპიტალის უბრალო ფუნქცია როგორც წარმავალი სახის საქონლური კაპიტალისა, ვაჭრისთვის არის ფ — ს — ფ′, — მის მიერ ავანსებული ფულადი კაპიტალის ღირებულების ზრდის განსაკუთრებული პროცესი. სა-

ქონლის მეტამორფოზის ერთი ფაზა აქ მჟღავნდება ვაჭრისთვის როგორც Ф — ს — Ф′, მაშასადამე, როგორც განსაკუთრებული სახის კაპიტალის ევოლუცია.

ვაჭარი მიჰყიდის საბოლოოდ საქონელს, ამ შემთხვევაში ტილოს, მომხმარებელს, მწარმოებელი მომხმარებელი (მაგ., მთეთრებელი) იქნება იგი თუ ინდივიდუალური მომხმარებელი, რომელიც ტილოს თავისი კერძო საჭიროებისთვის მოიხმარს. ამ გზით ვაჭარს უკან უბრუნდება ავანსებული კაპიტალი (მოგებით), და მას შეუძლია ხელახლა დაიწყოს ოპერაცია. თუ ტილოს ყიდვისას ფული თავის ფუნქციას შეასრულებდა მხოლოდ როგორც გადახდის საშუალება, ასე რომ ვაჭარს საქონლის მიღებიდან მხოლოდ ექვსი კვირის შემდეგ დასჭირდებოდა ფასის გადახდა, და თუ იგი საქონელს ამ დრომდე გაყიდდა, მაშინ მას შეეძლო ტილოს მწარმოებლისთვის ფასის გადახდა თავისი ფულადი კაპიტალის ავანსად გაუღებლად. თუ იგი საქონელს ვერ გაყიდდა, მას დასჭირდებოდა, როდესაც გადახდის ვადა დადგებოდა, 3 000 გირვ. სტერლინგის ავანსად გაღება, ნაცვლად იმისა, რომ ავანსად გაეღო ტილოს მიღებისთანავე; და თუ იგი მას, საბაზრო ფასის დაცემის გამო, ნაყიდობის ფასზე ნაკლებ გაყიდდა, — დაკლებული ნაწილის ანაზღაურება მას მოუხდებოდა საკუთარი კაპიტალიდან.

მაშ რაღა აძლევს საქონლურ-სავაჭრო კაპიტალს დამოუკიდებლად მოქმედი კაპიტალის ხასიათს, მაშინ როდესაც იმ მწარმოებლის ხელში, რომელიც თვითონ ყიდის თავის საქონელს, იგი, ცხადია, გვევლინება მხოლოდ მისი კაპიტალის განსაკუთრებულ ფორმად ამ კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის განსაკუთრებულ ფაზაში, ე. ი. როცა იგი მიმოქცევის სფეროში იმყოფება?

პ ი რ ვ ე ლ ი: ის, რომ საქონლური კაპიტალი მისი მწარმოებლისაგან განსხვავებული აგენტის ხელში ასრულებს თავის საბოლოო გარდაქმნას ფულად, მაშასადამე, ასრულებს თავის პირველ მეტამორფოზს, მისადმი, როგორც საქონლური კაპიტალისადმი, კუთვნილ ფუნქციას ბაზარზე და ის, რომ საქონლური კაპიტალის ეს ფუნქცია სრულდება ვაჭრის ოპერაციების მოსაშუალეობით, მის მიერ ყიდვისა და გაყიდვის გზით, ასე რომ ეს ოპერაციები განსაკუთრებულ, სამრეწველო კაპიტალის სხვა ფუნქციებისაგან განცალკევებულ და, ამიტომ, დამოუკიდებელ საქმიანობად ჩამოყალიბდება. ეს განსაკუთრებული ფორმაა შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა, რომლის გამო იმ ფუნქციის გარკვეული ნაწილი, რომელიც სხვა შემთხვევაში კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის განსაკუთრებულ ფაზაში,

აქ მიმოქცევის ფაზაში, უნდა შესრულდეს, გვევლინება როგორც მიმოქცევის აგენტის განსაკუთრებული ფუნქცია, რომელიც განსხვავებულია მწარმოებლის ფუნქციისაგან. მაგრამ ეს განსაკუთრებული საქმიანობა მარტო ამ მიზეზით სრულიადაც არ წარმოგვიდგებოდა როგორც ფუნქცია განსაკუთრებული კაპიტალისა, რომელიც განსხვავებულია თავისი კვლავწარმოების პროცესში მყოფ სამრეწველო კაპიტალისგან და დამოუკიდებელია მის მიმართ: ეს საქმიანობა სინამდვილეშიც არ გვევლინება ასეთად იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლით ვაჭრობა სამრეწველო კაპიტალისტის უბრალო კომივოიაჟორების ან სხვა უშუალო აგენტების საშუალებით წარმოებს. მაშასადამე, ამას უნდა დაერთოს კიდევ ერთი მომენტი.

მ ე ო რ ე: ეს ხდება იმის გამო, რომ მიმოქცევის დამოუკიდებელი აგენტი, ვაჭარი, ამ თავის მდგომარეობაში ავანსად გაიღებს ფულად კაპიტალს (საკუთარს ან ნასესხებს). რაც თავის კვლავწარმოების პროცესში მყოფი სამრეწველო კაპიტალისთვის გამოიხატება მარტივად როგორც ს — ფ, როგორც საქონლური კაპიტალის გარდაქმნა ფულად კაპიტალად ანუ როგორც მარტოოდენ გაყიდვა, ის ვაჭრისთვის გამოიხატება როგორც ფ — ს — ფ′, როგორც ყიდვა და გაყიდვა ერთი და იმავე საქონლისა, მაშასადამე, როგორც უკუდაბრუნება ფულადი კაპიტალისა, რომელიც მას ყიდვის გზით შორდება და გაყიდვის გზით უკან უბრუნდება.

ეს არის ყოველთვის ს — ფ, საქონლური კაპიტალის გარდაქმნა ფულად კაპიტალად, რაც ვაჭრისთვის გამოიხატება როგორც ფ — ს — ფ, რამდენადაც იგი მწარმოებლისაგან საქონლის საყიდლად კაპიტალს გაიღებს ავანსად. ეს არის ყოველთვის საქონლური კაპიტალის პირველი მეტამორფოზი, თუმცა იგივე აქტი მწარმოებლისათვის ან თავის კვლავწარმოების პროცესში მყოფი სამრეწველო კაპიტალისათვის შეიძლება გამოიხატოს როგორც ფ — ს, როგორც ფულის უკუგარდაქმნა საქონლად (წარმოების საშუალებებად) ან როგორც მეტამორფოზის მეორე ფაზა. ტილოს მწარმოებლისათვის ს — ფ იყო პირველი მეტამორფოზი, საქონლური კაპიტალის გარდაქმნა ფულად კაპიტალად. ეს აქტი ვაჭრისათვის გამოიხატება როგორც ფ — ს, როგორც მისი ფულადი კაპიტალის გარდაქმნა საქონლურ კაპიტალად. თუ კი მან ტილო მთეთრებელს მიჰყიდა, მაშინ ამ უკანასკნელისათვის ეს გამოიხატება როგორც ფ — ს, როგორც ფულადი კაპიტალის გარდაქმნა მწარმოებლურ კაპიტალად, ანუ მისი საქონლური კაპიტალის მეორე მეტამორფოზი; მაგრამ ვაჭრისათვის ეს არის ს — ფ, მის

მიერ ნაყიდი ტილოს გაყიდვა. სინამდვილეში კი მხოლოდ ახლა არის საბოლოოდ გაყიდული ის საქონლური კაპიტალი, რომელიც ტილოს მეფაბრიკემ აწარმოვა, ანუ ვაჭრის ეს Ф — ს — Ф წარმოადგენს მხოლოდ მოსაშუალე პროცესს ს — Ф-ისთვის ორ მწარმოებელს შორის. ანდა ვთქვათ, რომ ტილოს მეფაბრიკე გაყიდული ტილოს ღირებულების ნაწილით ნართს ყიდულობს ნართის ვაჭრისაგან. ამრიგად, მისთვის ეს არის Ф — ს. მაგრამ ვაჭრისთვის, რომელიც ნართს ყიდის ის არის ს — Ф, ნართის ხელახლა გაყიდვა; ხოლო თვით ნართისათვის, როგორც საქონლური კაპიტალისათვის, ეს მხოლოდ მისი საბოლოო გაყიდვაა, რითაც იგი მიმოქცევის სფეროდან მოხმარების სფეროში გადადის, — ს — Ф არის მისი პირველი მეტამორფოზის საბოლოო დასრულება. ამრიგად, ვაჭარი სამრეწველო კაპიტალისტისგან იყიდის, თუ მას მიჰყიდის, მისი Ф — ს — Ф, ვაჭრის კაპიტალის წრებრუნვა, ყოველთვის იმას გამოსახავს, რაც თვით საქონლური კაპიტალისთვის, როგორც კვლავმწარმოებელი სამრეწველო კაპიტალის გარდამავალი ფორმისთვის, მხოლოდ ს — Ф არის, მხოლოდ მისი პირველი მეტამორფოზის შესრულება. ვაჭრის კაპიტალის Ф — ს მხოლოდ სამრეწველო კაპიტალისტისთვის არის იმავე დროს ს — Ф, მაგრამ არა მის მიერ წარმოებული საქონლური კაპიტალისთვის: ეს მხოლოდ საქონლური კაპიტალის გადასვლაა მრეწველის ხელიდან მიმოქცევის აგენტის ხელში; და მხოლოდ ვაჭრის კაპიტალის ს — Ф არის საბოლოო ს — Ф მოქმედი საქონლური კაპიტალისათვის. Ф — ს — Ф არის მხოლოდ ორი ს — Ф ერთი და იმავე საქონლური კაპიტალისა, მისი ორი თანმიმდევრული გაყიდვაა, რომელიც მხოლოდ მოსაშუალეობს მის უკანასკნელ და საბოლოო გაყიდვას.

მაშასადამე, საქონლური კაპიტალი, როცა საქონლურ-სავაჭრო კაპიტალად იქცევა, დამოუკიდებელი სახის კაპიტალის ფორმას იმის გამო იღებს, რომ ვაჭარი ავანსად გაიღებს ფულად კაპიტალს, რომელიც ღირებულების მხრივ იზრდება მხოლოდ როგორც კაპიტალი, მოქმედებს მარტოოდენ როგორც კაპიტალი, გამოიყენება რა მხოლოდ და მხოლოდ ისე, რომ მისი მეშვეობით ხორციელდება საქონლური კაპიტალის მეტამორფოზი, მისი მოქმედება საქონლური კაპიტალის სახით, ე. ი. მისი ფულად გარდაქმნა, და ამას იგი ასრულებს საქონელთა მუდმივი ყიდვისა და გაყიდვის გზით. მხოლოდ და მხოლოდ ეს არის მისი ოპერაცია; ეს მოქმედება, რომელიც სამრეწველო კაპიტალის მიმოქცევის პროცესს ემსახურება, არის მხოლოდ და მხოლოდ ფუნქცია ფულადი კაპიტალისა, რომლითაც ვაჭარი მოქმედებს. ამ ფუნქციის მეოხებით გარდაქმნის იგი თავის ფულს ფულად კაპიტა-

ლად, ასე რომ მისი Ф იღებს Ф — ს — Ф სახეს, და ასეთივე პროცესის გზით იგი საქონლურ კაპიტალს გარდაქმნის საქონლურ-სავაჭრო კაპიტალად.

საქონლურ-სავაჭრო კაპიტალი, რამდენადაც და ვიდრე იგი საქონლური კაპიტალის ფორმით არსებობს, — საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის თვალსაზრისით, — ცხადია, სხვა არაფერია, თუ არა ბაზარზე მყოფი, თავის მეტამორფოზთა პროცესში გართული სამრეწველო კაპიტალის ნაწილი, რომელიც ახლა საქონლური კაპიტალის სახით არსებობს და მოქმედებს. მაშასადამე, მხოლოდ ვაჭრის მიერ ავანსებული ფ უ ლ ა დ ი კაპიტალი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ყიდვისა და გაყიდვისთვისაა განკუთვნილი, და რომელიც არასოდეს სხვა ფორმას არ იღებს, გარდა საქონლური კაპიტალისა და ფულადი კაპიტალის ფორმისა, რომელიც არასოდეს არ იღებს მწარმოებლური კაპიტალის ფორმას და გამოუსვლელად რჩება კაპიტალის მიმოქცევის სფეროში, — მხოლოდ ეს ფულადი კაპიტალი უნდა განვიხილოთ ჩვენ ახლა კაპიტალის ერთობლივ კვლავწარმოების პროცესთან დაკავშირებით.

როგორც კი მწარმოებელი, ტილოს მეფაბრიკე, თავის 30 000 ადლ ტილოს მიჰყიდის 3 000 გირვ. სტერლინგად ვაჭარს, აღებული ფულით საჭირო წარმოების საშუალებებს ყიდულობს, და მისი კაპიტალი ხელახლა შედის წარმოების პროცესში; მისი წარმოების პროცესი განაგრძობს მსვლელობას, შეუწყვეტლად მიმდინარეობს. მწარმოებლისათვის თავისი საქონლის გარდაქმნა ფულად უკვე მოხდა. მაგრამ თვით ტილოსთვის, როგორც დავინახეთ, ასეთი გარდაქმნა ჯერ კიდევ არ მომხდარა. ტილო ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გარდაქმნილი ფულად, ჯერ კიდევ არაა შესული სახმარი ღირებულების სახით საწარმოო თუ ინდივიდუალურ მოხმარებაში. ტილოს ვაჭარი ახლა ბაზარზე იმავე საქონლური კაპიტალის წარმომადგენელია, რომელსაც თავდაპირველად ტილოს მწარმოებელი წარმოადგენდა. ამ უკანასკნელისათვის მეტამორფოზის პროცესი შემოკლდა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ეს მეტამორფოზი ვაჭრის ხელში გაგრძელდეს.

ტილოს მწარმოებელი რომ იძულებული იყოს იმ მომენტამდე იცადოს, როცა მისი ტილო საქონლის სახით არსებობას შეწყვეტს, როცა იგი უკანასკნელ მყიდველთან, მწარმოებელ თუ ინდივიდუალურ მომხმარებელთან გადავა, — მისი კვლავწარმოების პროცესი შეწყდებოდა. ანდა იმისთვის, რომ ეს პროცესი არ შეწყვეტილიყო, მწარმოებელს დასჭირდებოდა თავისი ოპერაციების შეზღუდვა, თავისი ტილოს უფრო ნაკლები ნაწილის გარდაქმნა ნართად, ნახშირად, შრო-

მად და სხვ., მოკლედ, — მწარმოებლური კაპიტალის ელემენტებად, ხოლო მისი უფრო დიდი ნაწილის შენახვა ფულადი რეზერვის სახით, რათა, სანამ მისი კაპიტალის ერთი ნაწილი საქონლის სახით ბაზარზე იქნებოდა, მეორე ნაწილს შეძლებოდა განეგრძო წარმოების პროცესი, ასე რომ, თუ ერთი ნაწილი ბაზარზე გავიდოდა საქონლის სახით, მეორე უკან დაუბრუნდებოდა მას ფულადი სახით. მისი კაპიტალის ასეთი დაყოფა არ ისპობა ვაჭრის ჩარევით. მაგრამ ამ ჩარევის გარეშე მიმოქცევის კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ფულადი რეზერვის ფორმაში რჩება, ყოველთვის უფრო დიდი უნდა ყოფილიყო იმ ნაწილთან შეფარდებით, რომელიც დასაქმებულია მწარმოებლური კაპიტალის ფორმით, და ამის შესაბამისად კვლავწარმოების მასშტაბი შეიზღუდებოდა. ნაცვლად ამისა, მწარმოებელს ახლა შეუძლია თავისი კაპიტალის უფრო დიდი ნაწილი საკუთრივ წარმოების პროცესში გამოიყენოს მუდამ, ხოლო უფრო მცირე ნაწილი — ფულადი რეზერვის სახით.

მაგრამ სამაგიეროდ ახლა საზოგადოებრივი კაპიტალის მეორე ნაწილი, ვაჭრის კაპიტალის ფორმით, მუდამ მიმოქცევის სფეროში იმყოფება, იგი მუდამ მხოლოდ საქონლის ყიდვა-გაყიდვისათვის გამოიყენება. ამრიგად, ისე გვეჩვენება, თითქოს მხოლოდ იმ პიროვნებათა ცვლილება მოხდა, რომელთა ხელშიც ეს კაპიტალი იმყოფება.

თუ რომ ვაჭარი, ნაცვლად იმისა, რომ 3 000 გირვ. სტერლინგით ტილო იყიდოს მისი ხელახლა გაყიდვის მიზნით, ამ 3 000 გირვ. სტერლინგს თვითონ გამოიყენებდა მწარმოებლურად, მაშინ საზოგადოების მწარმოებლური კაპიტალი გადიდდებოდა. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ტილოს მწარმოებელს, ისევე როგორც ახლა მრეწველ კაპიტალისტად გადაქცეულ ვაჭარსაც, — მოუხდებოდა თავისი კაპიტალის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილის გაჩერება ფულადი რეზერვის სახით. მეორე მხრივ, თუ ვაჭარი ვაჭრად რჩება, მწარმოებელს ეზოგება გაყიდვისათვის საჭირო დრო, რაც მას წარმოების პროცესის მეთვალყურეობისთვის შეუძლია გამოიყენოს, მაშინ როდესაც ვაჭარმა მთელი თავისი დრო გაყიდვას უნდა მოახმაროს.

თუ ვაჭრის კაპიტალი თავის აუცილებელ პროპორციას არ აღემატება, უნდა ვივარაუდოთ:

1) რომ, შრომის დანაწილების გამო კაპიტალი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ყიდვას და გაყიდვას ემსახურება (და ამ კაპიტალს, გარდა იმ ფულისა, რომელიც საქონლის შესასყიდადაა საჭირო, მიეკუთვნება ის ფულიც, რომელიც უნდა დაიხარჯოს სავაჭრო საქმის წარმართვისათვის საჭირო შრომაზე, ვაჭრის მუდმივ კაპიტალზე, საწყობების

შენობებზე, ტრანსპორტზე და სხვ.), უფრო პატარაა, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ მრეწველი კაპიტალისტი თვითონ წარმართავდა თავისი საწარმოს მთელ სავაჭრო ნაწილს;

2) რომ, რადგან ვაჭარი მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმეშია გართული, მწარმოებლისათვის მისი საქონელი არა მარტო უფრო ადრე იქცევა ფულად, არამედ თვით საქონლური კაპიტალიც თავის მეტამორფოზს უფრო სწრაფად შეასრულებს, ვიდრე მას მწარმოებლის ხელში შეასრულებდა;

3) რომ, თუ მთელ სავაჭრო კაპიტალს სამრეწველო კაპიტალთან შეფარდებით განვიხილავთ, სავაჭრო კაპიტალის ერთი გადაბრუნება შეიძლება წარმოადგენდეს არა მარტო მრავალი კაპიტალის ბრუნვას წარმოების ერთ სფეროში, არამედ წარმოების სხვადასხვა სფეროს მრავალი კაპიტალის ბრუნვასაც. პირველს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, მაგალითად, თუ, მას შემდეგ, რაც ტილოს ვაჭარმა თავისი 3 000 გირვ. სტერლინგით ტილოს მწარმოებლის პროდუქტი იყიდა და ხელახლა გაყიდა, იგივე ვაჭარი, ვიდრე იგივე მწარმოებელი ბაზარზე გადაისროდეს საქონლის იმავე რაოდენობას, ტილოს რომელიმე სხვა ან რამდენიმე სხვა მწარმოებლის პროდუქტს ყიდულობს და ხელახლა ყიდის, და ამრიგად, მოსაშუალეობს სხვადასხვა კაპიტალის ბრუნვას წარმოების იმავე სფეროში. მეორეს კი ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ ვაჭარი, ტილოს გაყიდვის შემდეგ, ყიდულობს, მაგალითად, აბრეშუმს. მაშასადამე, მოსაშუალეობს კაპიტალის ბრუნვას წარმოების სხვა სფეროში.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: სამრეწველო კაპიტალის ბრუნვა ზღვარდებულია არა მხოლოდ მიმოქცევის დროით, არამედ წარმოების დროითაც. ვაჭრის კაპიტალის ბრუნვა, რამდენადაც იგი განსაზღვრული სახეობის საქონლით ვაჭრობს, ზღვარდებულია არა ერთი სამრეწველო კაპიტალის ბრუნვით, არამედ წარმოების ერთი და იმავე სფეროს ყველა სამრეწველო კაპიტალის ბრუნვით. ვაჭარს, მას შემდეგ, რაც მან ტილო ერთისგან იყიდა და გაყიდა, შეუძლია იგი მეორისგან იყიდოს და გაყიდოს, ვიდრე პირველი საქონელს ხელახლა გადაისროდეს ბაზარზე. მაშასადამე, ვაჭრის ერთსა და იმავე კაპიტალს შეუძლია რიგრიგობით ემსახუროს წარმოების რომელსამე დარგში დაბანდებული კაპიტალების სხვადასხვა ბრუნვას, ასე რომ მისი ბრუნვა არაა რომელიმე ცალკეული სამრეწველო კაპიტალის ბრუნვის იდენტური, და ამიტომ არა მხოლოდ იმ ფულადი რეზერვის მაგივრობას ეწევა, რომელიც სათანადო მრეწველ კაპიტალისტს უნდა ჰქონოდა in petto [მზად]. ვაჭრის კაპიტალის ბრუნვა წარმოების გარკვეულ

სფეროში, რა თქმა უნდა, ზღვარდებულია ამ სფეროს ერთობლივი წარმოებით. მაგრამ იგი ზღვარდებული არაა წარმოების საზღვრებით ან იმავე სფეროს ცალკეული კაპიტალის ბრუნვის პერიოდით, რამდენადაც ბრუნვის ეს დრო წარმოების დროითაა განსაზღვრული. ვთქვათ, *A* იძლევა საქონელს, რომლის წარმოებას სამი თვე სჭირდება. მას შემდეგ, რაც ვაჭარმა ეს საქონელი იყიდა და გაყიდა, ვთქვათ, ერთ თვეში, მას შეუძლია ასეთივე პროდუქტი სხვა მწარმოებლისაგან იყიდოს და გაყიდოს. ანდა, მას შემდეგ, რაც მან, მაგალითად, ერთი ფერმერის ხორბალი გაყიდა, მას შეუძლია იმავე ფულით ხორბალი მეორისგან იყიდოს და გაყიდოს და სხვ. მისი კაპიტალის ბრუნვა შემოსაზღვრულია ხორბლის იმ რაოდენობით, რომელიც მას თანმიმდევრულად შეუძლია იყიდოს და გაყიდოს მოცემული დროის განმავლობაში, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც ფერმერის კაპიტალის ბრუნვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მიმოქცევის დროს, ზღვარდებულია წარმოების დროით, რომელიც ერთ წელიწადს გრძელდება.

ვაჭრის ერთი და იმავე კაპიტალის ბრუნვას ასევე კარგად შეუძლია მოსაშუალეობა გაუწიოს კაპიტალების ბრუნვას წარმოების სხვადასხვა დარგში.

რამდენადაც ვაჭრის ერთი და ივივე კაპიტალი სხვადასხვა ბრუნვაში იმას ემსახურება, რომ სხვადასხვა საქონლური კაპიტალი თანამიმდევრობით გარდაქმნას ფულად, მაშასადამე, რიგრიგობით იყიდოს და გაყიდოს ისინი, — იგი როგორც ფულადი კაპიტალი იმავე ფუნქციას ასრულებს საქონლური კაპიტალის მიმართ, რასაც საერთოდ ფული თავისი შემოტრიალების რიცხვით მოცემულ პერიოდში ასრულებს საქონელთა მიმართ.

ვაჭრის კაპიტალის ბრუნვა არაა სამრეწველო კაპიტალის ბრუნვის ანუ ერთგზისი კვლავწარმოების იდენტური; პირიქით, იგი უდრის რამდენიმე ასეთი კაპიტალის ბრუნვათა ჯამს, იქნება ეს ბრუნვა წარმოების ერთსა და იმავე თუ სხვადასხვა სფეროში. რაც უფრო სწრაფად ბრუნავს ვაჭრის კაპიტალი, მით უფრო ნაკლებია ერთობლივი ფულადი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც ვაჭრის კაპიტალის როლს ასრულებს, და რაც უფრო ნელა ბრუნავს იგი, მით უფრო დიდია ეს ნაწილი. რაც უფრო ნაკლებ განვითარებულია წარმოება, მით უფრო დიდია ვაჭრის კაპიტალის ჯამი იმ საქონელთა ჯამთან შედარებით, რომლებიც საერთოდ გადასროლილია მიმოქცევაში; მაგრამ მით უფრო ნაკლებია იგი აბსოლუტურად ანდა შედარებით ვაჭრის კაპიტალის ჯამთან წარმოების უფრო განვითარებულ მდგომა-

რეობაში. და როდესაც პირიქითაა, — პირიქით. ამიტომ წარმოების ასეთი განუვითარებელი მდგომარეობის დროს საკუთრივ ფულადი კაპიტალის უდიდესი ნაწილი ვაჭრების ხელშია, რომელთა ქონება, ამგვარად, სხვებისაგან განსხვავებით ფულად ქონებას შეადგენს.

ვაჭრის მიერ ავანსებული ფულადი კაპიტალის მიმოქცევის სისწრაფე დამოკიდებულია: 1) იმ სისწრაფეზე, რომლითაც წარმოების პროცესი განახლდება ხოლმე და წარმოების სხვადასხვა პროცესები გადაებმის ერთიმეორეს; 2) მოხმარების სისწრაფეზე.

იმისთვის, რომ ვაჭრის კაპიტალმა მხოლოდ ზემოთ განხილული ბრუნვა შეასრულოს, მისთვის აუცილებელი არაა ჯერ იყიდოს მთელი თავისი ღირებულების შესაბამისი საქონელი და შემდეგ იგი გაყიდოს. ვაჭარი ორივე ამ ოპერაციას ერთსა და იმავე დროს ასრულებს. მისი კაპიტალი ამ შემთხვევაში ორ ნაწილად იყოფა. ერთი შედგება საქონლური კაპიტალისაგან, მეორე კი — ფულადი კაპიტალისაგან. იგი ერთ ადგილას ყიდულობს და ამით თავის ფულს საქონლად აქცევს. მეორე ადგილას ყიდის და ამით საქონლური კაპიტალის მეორე ნაწილს ფულად აქცევს. ერთი მხრივ, მას უბრუნდება მისი კაპიტალი როგორც ფულადი კაპიტალი, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, მასთან უკუმოედინება საქონლური კაპიტალი. რაც უფრო დიდია ერთ ფორმაში მყოფი ნაწილი, მით უფრო ნაკლებია მეორე ფორმაში არსებული ნაწილი. ეს ნაწილები შეენაცვლებიან ერთმანეთს და აწონასწორებენ ერთიმეორეს. თუ ფულის გამოყენებას მიმოქცევის საშუალების სახით ერთვის მისი გამოყენება გადახდის საშუალების სახით და თუ ამას ემატება ამ ნიადაგზე აღმოცენებული საკრედიტო სისტემა, მაშინ ვაჭრის კაპიტალის ფულადი ნაწილი კიდევ უფრო მცირდება იმ გარიგებათა სიდიდესთან შედარებით, რომელთაც ვაჭრის კაპიტალი ასრულებს. თუ 3 000 გირვ. სტერლინგის ღვინოს ვყიდულობ იმ პირობით, რომ ფასი 3 თვის შემდეგ გადავიხადო, და ამ ღვინოს სამი თვის გასვლამდე ნაღდზე გავყიდი, მაშინ ამ გარიგებისათვის არც ერთი კაპიკის ავანსად გაღებაც არ დამჭირდება. ამ შემთხვევაში ცხადზე უცხადესია აგრეთვე, რომ ფულადი კაპიტალი, რომელიც აქ გამოდის როგორც ვაჭრის კაპიტალი, უეჭველად სხვა არაფერია, თუ არა თვით სამრეწველო კაპიტალი ფულადი კაპიტალის ფორმაში, თავის უკუმოდენილობაში ფულის სახით. (ის გარემოება, რომ მწარმოებელს, რომელმაც 3 000 გირვ. სტერლინგის საქონელი გაყიდა 3 თვის შემდეგ გადახდით, შეუძლია თამასუქის, ე. ი. სავალო ვალდებულების, დისკონტი მოახდინოს ბანკირთან, სრულიად არაფერს ცვლის საქმეში და არავითარ დამოკიდებულებაში არაა საქონლის ვაჭრის კაპი-

ტალთან.) თუ ამ ხნის განმავლობაში საქონლის ფასი დაიკლებს, ვთქვათ, 1/10-ით, ვაჭარი არათუ არავითარ მოგებას არ მიიღებს, არამედ საერთოდ მხოლოდ 2 700 გირვ. სტერლინგს დაიბრუნებს 3 000-ის ნაცვლად. აქ მას 300 გირვ. სტერლინგის დამატება დასჭირდებოდა ანგარიშის გასასწორებლად. ეს 300 გირვ. სტერლ. მოქმედებაში იქნებოდა მხოლოდ როგორც რეზერვი ფასის სხვაობის გასათანატოლებლად. მაგრამ იგივე ითქმის მწარმოებელზეც. თვითონ მას რომ გაეყიდნა, ფასების შემცირებისას ისიც 300 გირვ. სტერლინგს დაკარგავდა და სარეზერვო კაპიტალის გარეშე ვერ შეძლებდა წარმოების ხელახლა დაწყებას უწინდელი მასშტაბით.

ტილოს ვაჭარი 3 000 გირვ. სტერლინგის ტილოს ყიდულობს მეფაბრიკისაგან; ეს უკანასკნელი ამ 3 000 გირვ. სტერლინგიდან, მაგალითად, 2 000-ს ნართში აძლევს; ამ ნართს იგი ნართის ვაჭრისაგან ყიდულობს. ფული, რასაც მეფაბრიკე ნართის ვაჭარს უხდის, არაა ტილოს ვაჭრის ფული, რადგან ამ უკანასკნელმა მასში შესაბამისი თანხის საქონელი მიიღო. ეს არის მისი საკუთარი კაპიტალის ფულადი ფორმა. ნართის ვაჭრის ხელში კი ეს 2 000 გირვ. სტერლ. გვევლინება როგორც უკან დაბრუნებული ფულადი კაპიტალი; მაგრამ რამდენად წარმოადგენს იგი ასეთს, თუ იგი განსხვავებულია ამ 2 000 გირვ. სტერლინგისგან როგორც ტილოს მიერ მოცილებული და ნართის მიერ მიღებული ფულადი ფორმისგან? თუ ნართის ვაჭარმა ნისიად იყიდა და ნაღდზე გაყიდა გადახდის ვადამდე, მაშინ ამ 2 000 გირვ. სტერლინგში ერთი კაპიკი არ ურევია ვაჭრის კაპიტალისა, როგორც იმ ფულადი ფორმისგან განსხვავებულისა, რომელსაც თვით სამრეწველო კაპიტალი იღებს თავის წრებრუნვის პროცესში. საქონლურ-სავაჭრო კაპიტალი, რამდენადაც იგი, მაშასადამე, უბრალო ფორმა არაა სამრეწველო კაპიტალისა, რომელიც საქონლური კაპიტალის ან ფულადი კაპიტალის სახით ვაჭრის ხელში იმყოფება, სხვა არაფერია, თუ არა ფულადი კაპიტალის ნაწილი, რომელიც თვით ვაჭარს ეკუთვნის და საქონლის ყიდვისა და გაყიდვის სფეროში მოქმედებს. ეს ნაწილი წარმოადგენს შემცირებული მასშტაბით წარმოებისათვის ავანსებული კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც მუდამ მრეწველის ხელში უნდა ყოფილიყო როგორც ფულადი რეზერვი, როგორც ყიდვის საშუალება, და მუდამ მიმოქცევაში უნდა ყოფილიყო როგორც მისი ფულადი კაპიტალი. ეს ნაწილი ახლა შემცირებული ოდენობით ვაჭარ-კაპიტალისტის ხელში იმყოფება და მუდამ მოქმედებს როგორც ასეთი მიმოქცევის პროცესში. ეს არის მთელი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემოსავლის სახით

დასახარჯავ ნაწილს, მუდამ ბაზარზე უნდა მიმოიქცეოდეს როგორც ყიდვის საშუალება იმისათვის, რომ კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობა უზრუნველყოს. იგი მით უფრო პატარაა მთელი კაპიტალის მიმართ, რაც უფრო სწრაფად მიმდინარეობს კვლავწარმოების პროცესი და რაც უფრო განვითარებულია ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია, ე. ი. საკრედიტო სისტემა[38].

ვაჭრის კაპიტალი სხვა არაფერია, თუ არა მიმოქცევის სფეროში მოქმედი კაპიტალი. მიმოქცევის პროცესი ერთობლივი კვლავწარმოების პროცესის ფაზაა. მაგრამ მიმოქცევის პროცესში არ იწარმოება არავითარი ღირებულება, მაშასადამე, არც არავითარი ზედმეტი ღირე-

---

[38] იმისათვის, რომ ვაჭრის კაპიტალი საწარმოო კაპიტალს მიაკუთვნოს, რამსეი ურევს მას სატრანსპორტო მრეწველობაში და ვაჭრობას უწოდებს «the transport of commodities from one place to another» [«საქონელთა გადაზიდვას ერთი ადგილიდან მეორეზე»] («An Essay on the Distribution of Wealth» [Edinburgh 1836], გვ. 19). იმავე შერევას ვხვდებით უკვე ვერისთან («Meditazioni sulla Economia Politica» [Custodi-ს კრებულში: «Scrittori Classici Italiani di Economia Politica». Parte moderna, ტ. XV, გვ. 32], § 4) და სეისთან («Traité d'Economie Politique [ტ. I, Paris 1817, გვ. 14 — 15]). თავის «Elements of Political Economy»-ში (Andover and New York 1835) ს. ფ. ნიუმენი ამბობს: «საზოგადოების არსებულ ეკონომიურ წყობილებაში აქტი, რომელსაც ვაჭარი ასრულებს, სახელდობრ ის, რომ იგი დგას მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის, პირველს კაპიტალის ავანსს აძლევს და სამაგიეროდ პროდუქტებს იღებს, მომხმარებელს აწვდის პროდუქტებს და სამაგიეროდ კაპიტალს უკან იბრუნებს, — ეს ისეთი აქტია, რომელიც აადვილებს საზოგადოების ეკონომიურ პროცესს და აგრეთვე ღირებულებას მატებს პროდუქტებს, რომლებსაც იგი შეეხება» (გვ. 174). ამრიგად, მწარმოებელს და მომხმარებელს ფული და დრო ეზოგება შუაში ვაჭრის ჩადგომის გამო. ამ სამსახურის შესრულება მოითხოვს კაპიტალისა და შრომის ავანსირებას და უნდა ანაზღაურებულ იქნეს «იმიტომ, რომ იგი პროდუქტებს ღირებულებას მატებს, იმიტომ რომ იმავე პროდუქტებს მომხმარებელთა ხელში მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე მწარმოებელთა ხელში. და, ამრიგად, ვაჭრობა მას ეჩვენება სრულიად ისე, როგორც ბ-ნ სეის, «strictly an act of production» [«წარმოების აქტი სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობითა»] (გვ. 175). ნიუმენის ეს შეხედულება სრულიად მცდარია. საქონლის სახმარი ღირებულება უფრო დიდია მომხმარებლის ხელში, ვიდრე მწარმოებლის ხელში, იმიტომ რომ საერთოდ მისი რეალიზაცია მხოლოდ აქ ხდება. ვინაიდან: საქონლის სახმარი ღირებულება რეალიზაციას პოულობს, თავისი ფუნქციის შესრულებას იწყებს მხოლოდ მაშინ, როცა საქონელი მოხმარების სფეროში გადადის. მწარმოებლის ხელში იგი მხოლოდ პოტენციური ფორმით არსებობს. მაგრამ საქონლისათვის ფასს ორჯერ არ იხდიან, ერთხელ მისი საცვლელი ღირებულებისათვის და შემდეგ კიდევ დამატებით მისი სახმარი ღირებულებისთვის. მისი საცვლელი ღირებულების გადახდით მე მივითვისებ მის სახმარ ღირებულებას. და საცვლელი ღირებულება არავითარ ზრდას არ განიცდის იმის გამო, რომ საქონელი მწარმოებლის ან შუამავალი ვაჭრის ხელიდან მომხმარებლის ხელში გადადის

ბულება. მასში ხდება მხოლოდ ერთი და იმავე ღირებულების მასის ფორმის ცვლილებანი. სინამდვილეში აქ სხვა არა ხდება რა, გარდა საქონელთა მეტამორფოზისა, რომელსაც, როგორც ასეთს, საერთო არაფერი აქვს ღირებულების შექმნასთან ან ღირებულების ცვლილებასთან. თუ წარმოებული საქონლის გაყიდვისას ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია ხდება, ეს იმიტომ, რომ იგი უკვე არსებობს მასში; ამიტომ მეორე აქტის შესრულების დროს, საქონელზე (წარმოების ელემენტებზე) ფულადი კაპიტალის უკუგაცვლისას, მყიდველი არავითარი ზედმეტი ღირებულების რეალიზაციას არ ახდენს, არამედ აქ მხოლოდ წარმოების საშუალებებსა და სამუშაო ძალაზე ფულის გაცვლის გზით მზადდება ზედმეტი ღირებულების წარმოება. პირიქით. რამდენადაც ამ მეტამორფოზებს მიმოქცევის დრო სჭირდება, — დრო, რომლის განმავლობაში კაპიტალი საერთოდ არ აწარმოებს, მაშასადამე, ზედმეტ ღირებულებასაც არ აწარმოებს, — ეს დრო ღირებულების შექმნის შემზღუდველია, და მოგების ნორმით გამოხატული ზედმეტი ღირებულება სწორედ პირუკუ შეფარდებაში იქნება მიმოქცევის დროის ხანგრძლიობასთან. მაშასადამე, ვაჭრის კაპიტალი არც ღირებულებას ქმნის და არც ზედმეტ ღირებულებას, ე. ი. არ ქმნის უშუალოდ. რამდენადაც იგი ხელს უწყობს მიმოქცევის დროის შემოკლებას, მას შეუძლია არაპირდაპირ ხელი შეუწყოს მრეწველი კაპიტალისტის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების გადიდებას. რამდენადაც იგი ბაზრის გაფართოებას შველის და კაპიტალებს შორის შრომის დანაწილებას მოსაშუალეობს, მაშასადამე, კაპიტალს შესაძლებლობას აძლევს უფრო დიდი მასშტაბით იმოქმედოს, მისი ფუნქცია ადიდებს სამრეწველო კაპიტალის მწარმოებლურ ძალას და ხელს უწყობს ამ კაპიტალის დაგროვებას. რამდენადაც მიმოქცევის დროს ამოკლებს, იგი ადიდებს ზედმეტი ღირებულების შეფარდებას ავანსებულ კაპიტალთან, მაშასადამე, ადიდებს მოგების ნორმას. რამდენადაც კაპიტალის იმ ნაწილს ამცირებს, რომელიც მუდამ მიმოქცევის სფეროში უნდა იყოს ფულადი კაპიტალის სახით, იგი ადიდებს კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ წარმოებაში გამოიყენება.

თავი მეჩვიდმეტე

კომერციული მოგება.

II წიგნში ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალის წმინდა ფუნქციები მიმოქცევის სფეროში, — ოპერაციები, რომლებიც მრეწველმა კაპიტალისტმა უნდა შეასრულოს, ჯერ ერთი, იმისთვის, რომ თავის საქონელთა ღირებულების რეალიზაცია მოახდინოს, და, მეორე, იმისთვის, რომ ეს ღირებულება უკუგარდაქმნას საქონლის წარმოების ელემენტებად, ოპერაციები, რომელთა მეშვეობითაც ხდება საქონლური კაპიტალის, ს′ — ფ — ს, მეტამორფოზები, მაშასადამე, ყიდვისა და გაყიდვის აქტები არც ღირებულებას წარმოშობენ, და არც ზედმეტ ღირებულებას. პირიქით, აღმოჩნდა, რომ მათთვის საჭირო დრო ობიექტურად — საქონელთან დაკავშირებით — და სუბიექტურად — კაპიტალისტთან დაკავშირებით — საზღვარს უდებს ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების შექმნას. თავისთავად საქონლური კაპიტალის მეტამორფოზის მიმართ, რასაკვირველია, არავითარი ცვლილება არ ხდება იმის გამო, რომ ამ კაპიტალის ნაწილი საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის სახეს იღებს, ან რომ ის ოპერაციები, რომელთა მეშვეობით საქონლური კაპიტალის მეტამორფოზი ხორციელდება. განსაკუთრებული ქვედანაყოფის კაპიტალისტთა განსაკუთრებულ მოსაქმეობას ან ფულადი კაპიტალის მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაწილის ფუნქციას წარმოადგენს. თუ საქონელთა ყიდვა და გაყიდვა, — და ამას წარმოადგენს ს′ — ფ — ს, საქონლური კაპიტალის, მეტამორფოზი, — თვით მრეწველი კაპიტალისტების მიერ წარმოებული, ისეთი ოპერაციებია, რომლებიც არავითარ ღირებულებას ან ზედმეტ ღირებულებას არ ქმნიან, მაშინ შეუძლებელია მათ ეს ღირებულება შექმნან იმის გამო, რომ აღნიშნულ ოპერაციებს ამ პირთა ნაცვლად სხვა პირები შეასრულებენ. შემდეგ, თუ საზოგადოებრივი ერთობლივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მუდამ განკარგუ-

ლებაში უნდა მოიპოვებოდეს ფულადი კაპიტალის სახით, რათა კვლავწარმოების პროცესი არ შეწყდეს მიმოქცევის პროცესის გამო, და შეუჩერებლად მიმდინარეობდეს, — თუ ეს ფულადი კაპიტალი არც ღირებულებას ქმნის და არც ზედმეტ ღირებულებას, მაშინ შეუძლებელია მან ეს თვისება მოიპოვოს იმით, რომ იმავე ფუნქციების შესასრულებლად მას მუდამ მიმოქცევაში გაუშვებს არა მრეწველი კაპიტალისტი, არამედ სხვა ქვედანაყოფის კაპიტალისტი. თუ რამდენად შესაძლებელია ვაჭრის კაპიტალი არაპირდაპირ მწარმოებლური კაპიტალი იყოს, ეს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ და შემდგომ კიდევ უფრო დაწვრილებით იქნება განხილული.

ამრიგად, საქონლურ-სავაჭრო კაპიტალი, — თუ ჩამოვაშორებთ მას ყველა ჰეტეროგენულ ფუნქციას, როგორიცაა საქონლის შენახვა, გაგზავნა, გადაზიდვა, დანაწილება, გადარჩევა, რაც მასთან შეიძლება დაკავშირებული იყოს, და შემოვფარგლავთ მხოლოდ მისი ნამდვილი ფუნქციით, რომელიც მდგომარეობს ყიდვაში გაყიდვის მიზნით, — ეს საქონლურ-სავაჭრო კაპიტალი არც ღირებულებას ქმნის, არც ზედმეტ ღირებულებას, არამედ მოსაშუალეობს მხოლოდ მათს რეალიზაციას და ამით იმავე დროს მოსაშუალეობს საქონელთა ნამდვილ გაცვლას, მათ გადასვლას ერთი ხელიდან სხვა ხელში, საზოგადოებრივ ნივთიერებათა ცვლას. მაგრამ მაინც, რადგან სამრეწველო კაპიტალის მიმოქცევის ფაზა კვლავწარმოების პროცესის ისეთივე ფაზაა, როგორც წარმოება, მიმოქცევის პროცესში დამოუკიდებლად მოქმედმა კაპიტალმაც ისევე უნდა მოიტანოს წლიური საშუალო მოგება, როგორც წარმოების სხვადასხვა დარგში მოქმედმა კაპიტალმა. თუ ვაჭრის კაპიტალი პროცენტულად უფრო დიდ საშუალო მოგებას მოგვცემდა, ვიდრე სამრეწველო კაპიტალი, — მაშინ სამრეწველო კაპიტალის ნაწილი ვაჭრის კაპიტალად გადაიქცეოდა. თუ იგი საშუალოზე ნაკლებ მოგებას მოგვცემდა, მაშინ პირიქითი პროცესი გვექნებოდა. ვაჭრის კაპიტალის ნაწილი სამრეწველო კაპიტალად გადაიქცეოდა. არც ერთი სახეობის კაპიტალს არ შეუძლია თავისი დანიშნულების, თავისი ფუნქციის შეცვლა უფრო ადვილად, ვიდრე ვაჭრის კაპიტალს.

რადგან თვით ვაჭრის კაპიტალი ზედმეტ ღირებულებას არ აწარმოებს, ამიტომ ცხადია, რომ ზედმეტი ღირებულება, რომელიც მას წილად ხვდება საშუალო მოგების ფორმით, ერთობლივი მწარმოებლური კაპიტალით წარმოქმნილი ზედმეტი ღირებულების ნაწილს შეადგენს. მაგრამ ახლა საკითხი ასეთია: რანაირად მიიზიდავს ვაჭრის კაპიტალი მწარმოებლური კაპიტალის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების, ანუ მოგების იმ ნაწილს, რაც მას წილად ხვდება?

ის, რომ მერკანტილური მოგება წარმოადგენს საქონლის ფასის უბრალო წანამატს, ნომინალურ გადიდებას მის ღირებულებაზე მეტად — მხოლოდ მოჩვენებითია.

ცხადია, რომ თავისი მოგება ვაჭარს მხოლოდ მის მიერ გაყიდული საქონლის ფასიდან შეუძლია მიიღოს, და კიდევ უფრო ცხადია, რომ ეს მოგება, რასაც იგი თავისი საქონლის გაყიდვისას მიიღებს, უნდა უდრიდეს სხვაობას მის ნაყიდობის ფასსა და მის გასაყიდ ფასს შორის, უნდა უდრიდეს უკანასკნელის ნამეტს პირველთან შედარებით.

შესაძლებელია, რომ ყიდვის შემდეგ და გაყიდვამდე საქონელში დამატებითი ხარჯები (მიმოქცევის ხარჯები) შევიდეს, და ასევე შესაძლებელია ისიც, რომ ეს არ მოხდეს. თუ ასეთი ხარჯები საქონელში შედის, მაშინ, ცხადია, ნაყიდობის ფასთან შედარებით გასაყიდი ფასის ნამეტი არ წარმოადგენს მხოლოდ მოგებას. გამოკვლევის გამარტივებისათვის ჩვენ ჯერჯერობით ვიგულისხმებთ, რომ არავითარი ასეთი ხარჯები არ შედის საქონელში.

მრეწველი კაპიტალისტისათვის განსხვავება მისი საქონლის გასაყიდ ფასსა და ნაყიდობის ფასს შორის უდრის განსხვავებას საქონლის წარმოების ფასსა და მის ხარჯთფასს შორის, ანუ, თუ საზოგადოებრივ ერთობლივ კაპიტალს მივიღებთ მხედველობაში, უდრის კაპიტალისტებისთვის განსხვავებას საქონელთა ღირებულებასა და მათს ხარჯთფასს შორის, რაც, თავის მხრივ, მათში გასაგნობრივებული შრომის მთელი რაოდენობისა და მათში გასაგნობრივებული გადახდილი შრომის რაოდენობის განსხვავებას ნიშნავს. მრეწველი კაპიტალისტის მიერ ნაყიდი საქონელი, ვიდრე იგი ხელახლა უკანვე გადაისროლება ბაზარზე გასაყიდი საქონლის სახით, გაივლის წარმოების პროცესს, სადაც მარტოოდენ იწარმოება მისი ფასის ის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შემდგომ უნდა რეალიზებულ იქნეს როგორც მოგება. მაგრამ საქონლის ვაჭრისათვის საქმე სხვაგვარადაა. საქონელი მის ხელში მხოლოდ მანამდეა, ვიდრე იგი თავის მიმოქცევის პროცესში იმყოფება. ვაჭარი მხოლოდ განაგრძობს საქონლის გაყიდვას, რაც მწარმოებელმა კაპიტალისტმა დაიწყო, განაგრძობს მისი ფასის რეალიზაციას და ამიტომ არ განაცდევინებს მას არავითარ შუალედურ პროცესს, სადაც საქონელს შეეძლებოდა ხელახლა ზედმეტი ღირებულების შეწოვა. მაშინ როდესაც მრეწველი კაპიტალისტი მიმოქცევაში წინათ წარმოებული ზედმეტი ღირებულების, ანუ მოგების, რეალიზაციას ახდენს მხოლოდ, ვაჭარმა, პირიქით, მიმოქცევაში და მიმოქცევის საშუალებით არათუ უნდა მოახდინოს თავისი მოგების რეალიზაცია,

არამედ სწორედ უნდა შექმნას იგი. ისე გვეჩვენება, თითქოს ეს მხოლოდ იმის გამოა შესაძლებელი, რომ საქონელს, რომელიც მრეწველმა კაპიტალისტმა მის წარმოების ფასად ანუ, — თუ ერთობლივ საქონლურ კაპიტალს მივიღებთ მხედველობაში, — მისი ღირებულების მიხედვით მიჰყიდა ვაჭარს, ეს უკანასკნელი მის წარმოების ფასზე ძვირად ყიდის, მის ფასს ნომინალურ წანამატს ადებს, მაშასადამე, — თუ ერთობლივ საქონლურ კაპიტალს მივიღებთ მხედველობაში, — მის ღირებულებაზე მეტად ყიდის და მის რეალურ ღირებულებაზე მისი ნომინალური ღირებულების ამ გადანამეტის ინკასაციას ახდენს, — ერთი სიტყვით, საქონელს უფრო ძვირად ყიდის, ვიდრე ღირს.

წანამატის ეს ფორმა ძალიან ადვილი გასაგებია. მაგალითად, ერთი ადლი ტილო 2 შილინგი ღირს. მისი ხელახლა გაყიდვიდან 10% მოგება რომ მივიღო, — მის ფასს $^1/_{10}$ უნდა წავუმატო, მაშასადამე, ადლი 2 შილ. $2^2/_5$ პენსად გავყიდო. სხვაობა ტილოს ნამდვილ წარმოების ფასსა და მის გასაყიდ ფასს შორის ამ შემთხვევაში = $2^2/_5$ პენსს, და 2 შილინგზე ეს შეადგენს 10% მოგებას. ფაქტიურად მე ამ შემთხვევაში მყიდველს უნდა მივყიდო ადლი ტილო ისეთ ფასად, რომელიც ნამდვილად $1^1/_{10}$ ადლის ფასია. ანდა, რაც იგივეა: ეს სავსებით იმას ნიშნავს, თითქოს მე მხოლოდ $^{10}/_{11}$ ადლი მივყიდე მყიდველს 2 შილინგად, ხოლო $^1/_{11}$ ადლი ჩემთვის დავიტოვე. ნამდვილად კი $2^2/_5$ პენსით მე შემიძლია $^1/_{11}$ ტილო ხელახლა ვიყიდო, თუ ადლის ფასად 2 შილ. $2^2/_5$ პენსს ვიანგარიშებთ. ამრიგად, ეს იქნებოდა მხოლოდ შემოვლითი გზა იმისათვის, რომ საქონლის ფასის ნომინალური გადიდების საშუალებით ზედმეტ ღირებულებაში და ზედმეტ პროდუქტში წილი მივიღო.

ასეთია მერკანტილური მოგების რეალიზაცია საქონლის ფასის წამატების გზით, როგორც იგი პირველი შეხედვით მოვლენის ზედაპირზე წარმოგვიდგება. და მართლაც, მთელი ის წარმოდგენა, რომ მოგება საქონლის ნომინალური ფასის გადიდებიდან ანუ მის ღირებულებაზე მეტად გაყიდვიდან გამომდინარეობს, წარმომდგარია კომერციულ კაპიტალზე დაკვირვებიდან.

მაგრამ საქმის უფრო ახლო განხილვისას მალე ვამჩნევთ, რომ ეს მხოლოდ მოჩვენებითობაა და რომ, თუ კაპიტალისტურ წარმოების წესს გაბატონებულ წარმოების წესად ვიგულისხმებთ, კომერციული მოგების რეალიზაცია ამ წესით არ ხდება. (აქ ყოველთვის საქმე შეეხება საშუალოს, არა ცალკეულ შემთხვევებს.) რატომ ვვარაუდობთ, რომ საქონლის ვაჭარს შეუძლია მხოლოდ თავის საქონელზე, ვთქვათ,

10% მოგება გაანაღდოს, როდესაც იგი მას 10%-ით მის წარმოების ფასზე მეტად გაყიდის? იმიტომ, რომ ჩვენ ვიგულისხმეთ: საქონლის მწარმოებელმა, მრეწველმა კაპიტალისტმა (რომელიც, როგორც სამრეწველო კაპიტალის გაპიროვნება, «მწარმოებლის» სახით უპირისპირდება გარესამყაროს) საქონელი მის წარმოების ფასად მიჰყიდა ვაჭარს. თუ საქონლის ნაყიდობის ფასი, რომელიც საქონლის ვაჭარმა გადაიხადა, მის წარმოების ფასს უდრის, ე. ი. საბოლოო ანგარიშით მის ღირებულებას უდრის, ასე რომ საქონლის წარმოების ფასი, საბოლოო ანგარიშით — მისი ღირებულება, ვაჭრისათვის საქონლის ხარჯთ-ფასს წარმოადგენს, მაშინ სინამდვილეში ნაყიდობის ფასზე მისი გასაყიდი ფასის გადანამეტი — და მხოლოდ ეს სხვაობა შეადგენს მისი მოგების წყაროს — უნდა წარმოადგენდეს საქონლის წარმოების ფასზე მისი მერკანტილური ფასის გადანამეტს, და საბოლოო ანგარიშით ვაჭარი ყველა საქონელს მათს ღირებულებაზე მეტად უნდა ჰყიდდეს. მაგრამ რატომ იყო ნაგულისხმევი, რომ მრეწველი კაპიტალისტი საქონელს მისი წარმოების ფასის მიხედვით მიჰყიდის ვაჭარს? ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, რას შეიცავს ეს ვარაუდი? იმას, რომ მერკანტილური კაპიტალი (ჩვენ აქ მას ვეხებით ჯერ კიდევ მხოლოდ როგორც საქონლურ-სავაჭრო კაპიტალს) არ მონაწილეობს მოგების საერთო ნორმის წარმოქმნაში. მოგების საერთო ნორმის გამორკვევისას ჩვენ აუცილებლად ამის ვარაუდიდან გამოვდიოდით, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მერკანტილური კაპიტალი, როგორც ასეთი, მაშინ ჩვენთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა; მეორე კი იმიტომ, რომ აუცილებელი იყო საშუალო მოგება და, მაშასადამე, მოგების საერთო ნორმის ჩამოყალიბება პირველ ყოვლისა გაგვეხილა როგორც მოგებათა, ანუ ზედმეტ ღირებულებათა გათანატოლება, რომლებიც წარმოების სხვადასხვა სფეროს კაპიტალების მიერ ნამდვილად იწარმოება. პირიქით, ვაჭრის კაპიტალის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ კაპიტალთან, რომელსაც მოგებაში წილი აქვს, მაგრამ რომელიც მის წარმოებაში არ მონაწილეობს. მაშასადამე, საჭიროა ახლა წინანდელი გადმოცემა შევავსოთ.

ვთქვათ, წლის განმავლობაში ავანსებული ერთობლივი სამრეწველო კაპიტალი $= 720_c + 180_v = 900$ (მაგალითად, მილიონ გირვ. სტერლინგს), ხოლო $m' = 100\%$. მაშასადამე, პროდუქტი $= 720_c + 180_v + 180_m$. თუ შემდეგ ჩვენ ამ პროდუქტს, ანუ წარმოებულ საქონლურ კაპიტალს, აღვნიშნავთ s-ით, მაშინ მისი ღირებულება, ანუ წარმოების ფასი (რადგან საქონელთა მთელი ერთობლიობისათვის ორივე ერთმანეთს ემთხვევა), იქნება $= 1080$, მოგების ნორმა კი მთელი 900 კაპიტალისათვის, $= 20\%$. ზემოთ განმარტებულის თანახმად, ეს 20%

წარმოადგენს მოგების საშუალო ნორმას, რადგან აქ ზედმეტი ღირებულება გამოანგარიშებულია არა ამა თუ იმ განსაკუთრებული შედგენილობის კაპიტალზე, არამედ მთელ სამრეწველო კაპიტალზე მისი საშუალო შედგენილობით. ამრიგად, ს = 1080 და მოგების ნორმა = 20%. მაგრამ ახლა ჩვენ ვიგულისხმოთ, რომ ამ 900 გირვ. სტერლ. სამრეწველო კაპიტალს ერთვის კიდევ 100 გირვ. სტერლ. ვაჭრის კაპიტალი, რომელსაც თავისი სიდიდის pro rata [პროპორციულად] ისეთივე წილი აქვს მოგებაში, როგორც პირველს. ნაგულისხმევის თანახმად, ვაჭრის კაპიტალი მთელი კაპიტალის, 1 000-ის, 1/10 შეადგენს. მაშასადამე, იგი 1/10-ით მონაწილეობს მთელ ზედმეტ ღირებულებაში, 180-ში, და იღებს 18% ნორმის მოგებას. მაშასადამე, ის მოგება, რაც მთელი კაპიტალის 9/10-ს უნდა გაუნაწილდეს, ფაქტიურად უდრის მხოლოდ 162-ს, ანუ 900 კაპიტალზე = აგრეთვე 18%-ს. ამგვარად, ფასი, რადაც სამრეწველო კაპიტალის, 900-ის, მფლობელები ს მიჰყიდიან საქონლით მოვაჭრეებს, = $720_c + 180_v + 162_m = 1062$. მაშასადამე, თუ ვაჭარი თავის 100 კაპიტალს 18% საშუალო მოგებას წაუმატებს, იგი საქონელს გაყიდის 1062 + 18 = 1080-ად, ე. ი. მისი წარმოების ფასის მიხედვით ანუ, — თუ მთელ საქონლურ კაპიტალს განვიხილავთ, — მისი ღირებულების მიხედვით, თუმცა იგი თავის მოგებას მოიპოვებს მიმოქცევაში და მიმოქცევის საშუალებით და მხოლოდ თავის ნაყიდობის ფასზე თავისი გასაყიდი ფასის გადანამეტის გამო. მაგრამ მაინც იგი საქონელს სწორედ იმიტომ ყიდის არა მის ღირებულებაზე მეტად, ანუ არა მის წარმოების ფასზე მეტად, რომ მან ეს საქონელი მრეწველი კაპიტალისტისაგან მის ღირებულებაზე, ანუ მის წარმოების ფასზე ნაკლებად იყიდა.

ამრიგად, მოგების საერთო ნორმის ჩამოყალიბებაში ვაჭრის კაპიტალი განმსაზღვრელად მონაწილეობს იმ წილის pro rata [პროპორციულად], რასაც იგი მთელ კაპიტალში შეადგენს. მაშასადამე, თუ ჩვენ აღნიშნულ შემთხვევაში ვამბობთ, მოგების საშუალო ნორმა 18%-ს უდრისო, ეს ნორმა იქნებოდა = 20%, მთელი კაპიტალის 1/10 ვაჭრის კაპიტალი რომ არ ყოფილიყო და ამის გამო მოგების საერთო ნორმა 1/10-ით დაბლა რომ არ დაწეულიყო. ამასთან ერთად ჩნდება აგრეთვე წარმოების ფასის უფრო ზუსტი შემზღუდველი განსაზღვრა. წარმოების ფასად უწინდებურად უნდა ჩაითვალოს საქონლის ფასი = = მის ხარჯებს (მასში მოქცეული მუდმივი კაპიტალის ღირებულებას + ცვალებადის ღირებულება) + საშუალო მოგება მასზე. მაგრამ ეს საშუალო მოგება ახლა სხვაგვარად განისაზღვრება. იგი განისაზღვრება

მთელი მოგებით, რომელსაც მთელი მწარმოებლური კაპიტალი წარმოშობს; მაგრამ იგი გამოიანგარიშება არა ამ მთელ მწარმოებლურ კაპიტალზე, ასე რომ, თუ ეს უკანასკნელი, როგორც ზევითაა მიღებული, = 900 და მოგება = 180, მოგების საშუალო ნორმა იქნებოდა $= \frac{180}{900} = 20\%$; არა, იგი გამოიანგარიშება ერთობლივ მწარმოებლურ კაპიტალზე+სავაჭრო კაპიტალი, ასე რომ, თუ 900 მწარმოებლური კაპიტალია და 100 — სავაჭრო კაპიტალი, მაშინ მოგების საშუალო ნორმა $= \frac{180}{1000} = 18\%$. მაშასადამე, წარმოების ფასი = k (ხარჯებს)+18, ნაცვლად k+20-ისა. მოგების საშუალო ნორმაში უკვე მოქცეულია მთელი მოგების ის ნაწილი, რომელიც სავაჭრო კაპიტალზე მოდის. ამიტომ ერთობლივი საქონლური კაპიტალის ნამდვილი ღირებულება, ანუ წარმოების ფასი, $= k+p+h$ (სადაც h კომერციულ მოგებას ნიშნავს). მაშასადამე, წარმოების ფასი ანუ ის ფასი, რადაც მრეწველი კაპიტალისტი, როგორც ასეთი, საქონელს ყიდის, საქონლის ნამდვილი წარმოების ფასზე ნაკლებია, ანუ, თუ ჩვენ საქონელთა ერთობლიობას განვიხილავთ, ის ფასები, რა ფასებშიაც მრეწველ კაპიტალისტთა კლასი საქონელს ყიდის, ამ საქონელთა ღირებულებაზე ნაკლებია. ამრიგად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გვექნება: 900 (ხარჯები)+18% 900-ზე, ანუ 900+162 = 1 062. ვაჭარი, ყიდის რა 118-ად საქონელს, რომელიც მას 100 უღირს, რასაკვირველია, უმატებს 18%; მაგრამ რადგან საქონელი, რომელიც მან 100-ად იყიდა, 118 ღირებულებისაა, ამიტომ იგი არ ყიდის მას მის ღირებულებაზე მეტად. წარმოების ფასის სახელწოდებას ამის შემდეგ ჩვენ ზემოაღნიშნული ვიწრო გაგებით ვიხმართ. ამ შემთხვევაში, ცხადია, რომ მრეწველი კაპიტალისტის მოგება უდრის საქონლის ხარჯთფასზე მისი წარმოების ფასის გადანამეტს და რომ, ამ სამრეწველო მოგებისაგან განსხვავებით, კომერციული მოგება უდრის გასაყიდი ფასის გადანამეტს საქონლის წარმოების ფასზე, რაც ვაჭრისათვის საქონლის ნაყიდობის ფასს შეადგენს; მაგრამ ცხადია, რომ საქონლის ნამდვილი ფასი = მის წარმოების ფასს + მერკანტილური (კომერციული) მოგება. როგორც სამრეწველო კაპიტალი ანაღდებს მხოლოდ მოგებას, რომელსაც ზედმეტი ღირებულების სახით უკვე შეიცავს საქონლის ღირებულება, ასევე სავაჭრო კაპიტალი მხოლოდ ანაღდებს მას, იმიტომ რომ მთელი ზედმეტი ღირებულება ანუ მოგება ჯერ კიდევ არაა რეალიზებული საქონლის ფასში, რომელიც რეალიზებულია სამრეწ-

ველო კაპიტალის მიერ [39]. ამრიგად, ვაჭრის გასაყიდი ფასი ნაყიდობის ფასზე უფრო მაღალია არა იმიტომ, რომ პირველი მთელ ღირებულებაზე უფრო დიდია, არამედ იმიტომ, რომ მეორე მთელ ღირებულებაზე ნაკლებია.

ამგვარად, ვაჭრის კაპიტალი მონაწილეობს ზედმეტი ღირებულების საშუალო მოგებად გათანატოლებაში, თუმცა არ მონაწილეობს ამ ზედმეტი ღირებულების წარმოებაში. ამიტომ მოგების საერთო ნორმა უკვე შეიცავს ზედმეტი ღირებულებიდან გამონაკლებს, რომელიც ვაჭრის კაპიტალს ხვდება წილად, ე. ი. გამონაკლებს სამრეწველო კაპიტალის მოგებიდან.

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს შემდეგი:

1) რაც უფრო დიდია ვაჭრის კაპიტალი სამრეწველო კაპიტალთან შედარებით, მით უფრო მცირეა სამრეწველო მოგების ნორმა, და პირიქით.

2) თუ პირველ განყოფილებაში აღმოჩნდა, რომ მოგების ნორმა ყოველთვის ნამდვილი ზედმეტი ღირებულების ნორმაზე უფრო მცირე ნორმას გამოხატავს, ე. ი. შრომის ექსპლოატაციის ხარისხს ყოველთვის მეტისმეტად დაბალს უჩვენებს, — მაგალითად, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში: $720_c + 180_v + 180_m$ ზედმეტი ღირებულების ნორმა 100% მხოლოდ 20% მოგების ნორმით გამოიხატება, ახლა ეს შეფარდება უფრო შორიშორსაა, რამდენადაც თვით მოგების საშუალო ნორმა — რადგან ანგარიშში მიღებულია ის წილი, რომელიც ვაჭრის კაპიტალს უწევს — თავის მხრივ კიდევ უფრო პატარა მოჩანს: ამ შემთხვევაში 18% ნაცვლად 20%-ისა, მაშასადამე, მოგების საშუალო ნორმა კაპიტალისტისა, რომელიც უშუალოდ ეწევა ექსპლოატაციას, უფრო შემცირებულად გამოხატავს მოგების ნორმას, ვიდრე ეს სინამდვილეშია.

თუ ყველა სხვა გარემოებას უცვლელად ვიგულისხმებთ, ვაჭრის კაპიტალის შეფარდებითი სიდიდე (ამასთან მეწვრილმანე ვაჭართა კაპიტალი — ეს ჰერმაფროდიტული სახეობა — გამონაკლისს შეადგენს) უკუშეფარდებაშია მისი ბრუნვის სისწრაფესთან, მაშასადამე, უკუშეფარდებაშია კვლავწარმოების პროცესის ენერგიასთან საერთოდ. მეცნიერული ანალიზის მსვლელობაში მოგების საერთო ნორმის წარმოქმნის ამოსავალი პუნქტია სამრეწველო კაპიტალები და მათი კონკურენცია, და მხოლოდ შემდეგ შეიტანება აქ შესწორება, დამატება და მოდიფიკაცია ვაჭრის კაპიტალის ჩარევის გამო. ისტორიული განვითარების მსვლელობაში საქმე სწორედ პირიქითაა. კომერციული

[39] ჯონ ბელერსი.

კაპიტალია ის კაპიტალი, რომელიც პირველად საქონელთა ფასებს მეტნაკლებ მათი ღირებულებით განსაზღვრავს, და კვლავწარმოების პროცესის ბოსაშუალე მიმოქცევის სფეროა ის სფერო, რომელშიაც პირველად მოგების საერთო ნორმა წარმოიქმნება. თავდაპირველად კომერციული მოგება განსაზღვრავს სამრეწველო მოგებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კაპიტალისტური წარმოების წესი დაინერგა და მწარმოებელი თვით გახდა ვაჭარი, მერკანტილური მოგება დაყვანილ იქნა მთელი ზედმეტი ღირებულების იმ ჯერად ნაწილზე, რაც უწევს სავაჭრო კაპიტალს როგორც კვლავწარმოების საზოგადოებრივ პროცესში დასაქმებული მთელი კაპიტალის ჯერად ნაწილს.

ვაჭრის კაპიტალის ჩარევის გამო მოგებათა დამატებითი გათანატოლებისას აღმოჩნდა, რომ საქონლის ღირებულებაში არავითარი დამატებითი ელემენტი არ შედის ვაჭრის მიერ ავანსებული ფულადი კაპიტალისათვის, რომ ფასის წანამატი, რითაც ვაჭარი მოგებას იღებს, უდრის მხოლოდ საქონლის ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც მწარმოებლურმა კაპიტალმა საქონლის წარმოების ფასში არ იანგარიშა, გამოტოვა. ამ ფულადი კაპიტალის მიმართ საქმის ვითარება სწორედ ისეთივეა, როგორიც მრეწველი კაპიტალისტის ძირითადი კაპიტალის მიმართ, რამდენადაც იგი მოხმარებული არაა და, მაშასადამე, მისი ღირებულება საქონლის ღირებულების ელემენტს არ შეადგენს. სახელდობრ, სწორედ იმ ფასში, რა ფასადაც საქონლურ კაპიტალს ყიდულობს ვაჭარი, იგი ფულით, = Ф, ანაზღაურებს ამ კაპიტალის წარმოების ფასს. მისი გასაყიდი ფასი, როგორც ეს ჩვენ წინათ განვმარტეთ, = Ф+ΔФ, სადაც Δ Ф გამოსახავს მოგების საერთო ნორმით განსაზღვრულ წანამატს საქონლის ფასზე. მაშასადამე, როდესაც იგი საქონელს გაყიდის, მას ΔФ გარდა უბრუნდება თავდაპირველი ფულადი კაპიტალი, რომელიც საქონლის საყიდლად ავანსად გაიღო. აქ კვლავ მჟღავნდება ის, რომ მისი ფულადი კაპიტალი საერთოდ სხვა არაფერია, თუ არა ფულად კაპიტალად გარდაქმნილი საქონლური კაპიტალი მრეწველი კაპიტალისტისა, კაპიტალი, რომელსაც ისევე ნაკლებ შეუძლია აქ გავლენა იქონიოს ამ საქონლური კაპიტალის ღირებულების სიდიდეზე, როგორც მაშინ, ეს უკანასკნელი კაპიტალი რომ მიეყიდნათ არა ვაჭრისათვის, არამედ უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისათვის. ეს კაპიტალი მხოლოდ წინასწარ იღებს ფაქტიურად საქონელში უკანასკნელის მიერ გადასახდელს. მაგრამ ეს მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, როგორც ეს აქამდე წაგულისხმევი იყო, ვაჭარი არავითარ ხარჯებს არ ეწევა ან თუ საქონელთა მეტამორფოზის, ყიდვის და გაყიდვის, პროცესში მას არავითარი კაპიტალის.

არც საბრუნავის, არც ძირითადის, ავანსად გაღება არ უხდება, იმ ფულადი კაპიტალის გარდა, რომელიც მან ავანსად უნდა გაიღოს მწარმოებლისაგან საქონლის საყიდლად. ეს კი, როგორც უკვე დავინახეთ მიმოქცევის ხარჯების განხილვისას, ასე არაა (წიგნი II, თავი VI). და მიმოქცევის ეს ხარჯები ნაწილობრივ ისეთი ხარჯებია, რომლებიც ვაჭარს შეუძლია გადააკისროს მიმოქცევის სხვა აგენტებს, ნაწილობრივაც ისეთები, რომლებიც მისი სპეციფიკური მოსაქმეობიდან გამომდინარეობენ.

რაგვარიც არ უნდა იყოს მიმოქცევის ეს ხარჯები: გამომდინარეობენ ისინი წმინდა სავაჭრო საქმიანობიდან როგორც ასეთიდან, მაშასადამე, ვაჭრობის სპეციფიკურ მიმოქცევის ხარჯებს მიეკუთვნებიან ისინი, თუ ისეთ ხარჯებს წარმოადგენენ, რომლებიც შემდგომი, მიმოქცევის პროცესის დროს შესრულებული დამატებითი წარმოების პროცესებიდან წარმოდგებიან, როგორიცაა: გაგზავნა, გადაზიდვა, შენახვა და სხვ.,—ყველა შემთხვევაში ეს ხარჯები მუდამ გულისხმობს ვაჭრის მხარეზე, გარდა საქონლის საყიდლად ავანსებული ფულადი კაპიტალისა, დამატებითს კაპიტალს, რომელიც ავანსებულია მიმოქცევის ამ საშუალებათა საყიდლად და გადასახდელად. რამდენადაც ხარჯების ეს ელემენტი საბრუნავი კაპიტალისაგან შედგება, იგი მთლიანად შედის საქონლის გასაყიდ ფასში, ხოლო რამდენადაც ძირითადი კაპიტალისაგან შედგება, იგი შედის მასში ამ კაპიტალის გაცვეთის მიხედვით როგორც დამატებითი ელემენტი; მაგრამ შედის როგორც ელემენტი, რომელიც ნომინალურ ღირებულებას შეადგენს, და ეს მაშინაც კი, როცა იგი, როგორც მიმოქცევის წმინდა სავაჭრო ხარჯები, საქონლის ღირებულების არავითარ ნამდვილ დამატებას არ შეადგენს. მაგრამ მთელი ეს დამატებითი კაპიტალი, საბრუნავი იქნება იგი თუ ძირითადი, მონაწილეობას იღებს მოგების საერთო ნორმის წარმოქმნაში.

მიმოქცევის წმინდა სავაჭრო ხარჯები (მაშასადამე, გაგზავნის, გადაზიდვის, შენახვის და სხვ. ხარჯების გამოკლებით) ისეთი ხარჯებია, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ საქონლის ღირებულების რეალიზაცია მოხდეს, რომ ეს ღირებულება საქონლიდან ფულად იქცეს ან ფულიდან საქონლად იქცეს, რომ მათ შორის გაცვლა განხორციელდეს. ამასთან სრულიად მხედველობის გარეშე ვტოვებთ წარმოების პროცესებს, რომლებიც შეიძლება მიმდინარეობას განაგრძობდნენ მიმოქცევის აქტის განმავლობაში და რომელთაგან სრულიად განცალკევებულად არსებობა შეუძლია სავაჭრო საწარმოს; როგორც, მაგალითად, ნამდვილი სატრანსპორტო მრეწველობა და საქონელთა ექსპედიცია შეიძლება ვაჭრობისაგან სრულიად განსხვავებულ

მრეწველობის დარგებს წარმოადგენდეს და წარმოადგენს კიდეც, ასევე საყიდი და გასაყიდი საქონელიც შეიძლება დოკებში და სხვა საზოგადოებრივ სადგომებში ეწყოს, და აქედან წარმომდგარ ხარჯებს, რამდენადაც მათი წინასწარ ავანსად გაღება სჭირდება ვაჭარს, ამ უკანასკნელს მესამე პირნი უანგარიშებენ. ყოველივე ამას ადგილი აქვს საკუთრივ ბითუმ ვაჭრობაში, სადაც სავაჭრო კაპიტალი ყველაზე უფრო წმინდა სახით და სხვა ფუნქციებთან ნაკლებ გადახლართული ვლინდება. მიმოზიდვის მეწარმე, რკინიგზის მმართველი, გემთმფლობელი — არ არიან «ვაჭრები». ხარჯები, რომელთაც ჩვენ აქ განვიხილავთ, ყიდვისა და გაყიდვის ხარჯებია. უკვე წინათ აღვნიშნეთ, რომ ეს ხარჯები ანგარიშსწორების, დავთარწარმოების, საბაზრო, საკორესპონდენციო და სხვ. ხარჯებია. ამისთვის საჭირო მუდმივი კაპიტალი შედგება კანტორისაგან, ქაღალდისაგან, საფოსტო ნიშნებისაგან და სხვ. სხვა ხარჯები შეადგენენ ცვალებად კაპიტალს, რომელიც ავანსად გაიღება სავაჭრო დარგის მუშების დასაქირავებლად. (საექსპედიციო ხარჯები. სატრანსპორტო ხარჯები, საბაჟო ავანსები და სხვ. შეიძლება ნაწილობრივ ისე განვიხილოთ, თითქოს ისინი ვაჭარმა ავანსად გაიღო საქონლის საყიდლად, და ამიტომ ეს ხარჯები მისთვის ნაყიდობის ფასში შედის.)

ყველა ასეთი ხარჯის გაწევა ხდება არა საქონლის სახმარი ღირებულების წარმოების დროს, არამედ მისი ღირებულების რეალიზაციის დროს; ეს წმინდა მიმოქცევის ხარჯებია. ისინი შედიან არა უშუალო წარმოების პროცესში, არამედ მიმოქცევის პროცესში და, ამიტომ, კვლავწარმოების მთელ პროცესში.

ამ ხარჯების ერთადერთი ნაწილი, რომელიც ჩვენ აქ გვაინტერესებს, არის ის, რომელიც ცვალებად კაპიტალზე იხარჯება. (გარდა ამისა, საჭირო იქნებოდა გამოკვლევა: ჯერ ერთი, იმისა, თუ როგორ ინარჩუნებს მიმოქცევის პროცესში თავის ძალას ის კანონი, რომლის თანახმად მხოლოდ აუცილებელი შრომა შედის საქონლის ღირებულებაში? მეორე, როგორ ვლინდება ვაჭრის კაპიტალის დაგროვება? მესამე, როგორ მოქმედებს ვაჭრის კაპიტალი საზოგადოებრივ ნამდვილ ერთობლივ კვლავწარმოების პროცესში?)

ეს ხარჯები გამომდინარეობს პროდუქტის — როგორც საქონლის — ეკონომიური ფორმიდან.

თუ ის სამუშაო დრო, რომელსაც თვით მრეწველი კაპიტალისტები კარგავენ, რათა თავიანთი საქონელი უშუალოდ ერთმანეთს მიჰყიდონ, — მაშასადამე, თუ ობიექტურად ვიტყვით, საქონელთა მიმოქცევის დრო — ამ საქონელთ სრულიად არავითარ ღირებულებას არ

მატებს, მაშინ ცხადია, რომ ეს სამუშაო დრო არავითარ სხვა ხასიათს არ მიიღებს იმის გამო, რომ იგი მრეწველი კაპიტალისტის ნაცვლად ვაჭარს ხვდება წილად. საქონლის (პროდუქტის) გადაქცევა ფულად და ფულის გადაქცევა საქონლად (წარმოების საშუალებებად) აუცილებელი ფუნქციაა სამრეწველო კაპიტალის და, მაშასადამე, აუცილებელი ოპერაციაა კაპიტალისტის, რომელიც სინამდვილეში მხოლოდ გაპიროვნებულ, საკუთარი ცნობიერებით და ნებით აღჭურვილ კაპიტალს წარმოადგენს. მაგრამ ეს ფუნქციები არც ღირებულებას ადიდებენ, არც ზედმეტ ღირებულებას ქმნიან. ვაჭარი, როცა იგი ამ ოპერაციებს ასრულებს, ანუ როცა კაპიტალის შემდგომ ფუნქციებს მოსაშუალეობს მიმოქცევის სფეროში მას შემდეგ, რაც მწარმოებელი კაპიტალისტი ამას აღარ ასრულებს, მხოლოდ მრეწველი კაპიტალისტის ადგილს იჭერს. სამუშაო დრო, რომელიც ამ ოპერაციებს სჭირდება, ხმარდება აუცილებელ ოპერაციებს კაპიტალის კვლავწარმოების პროცესში, მაგრამ იგი არ მატებს არავითარ ღირებულებას. ვაჭარი რომ ამ ოპერაციებს არ ასრულებდეს (მაშასადამე, ამისთვის საჭირო სამუშაო დროს რომ არ ხარჯავდეს), იგი თავის კაპიტალს ვერ გამოიყენებდა სამრეწველო კაპიტალის მიმოქცევის აგენტის სახით; იგი ვერ განაგრძობდა მრეწველი კაპიტალისტის შეწყვეტილ ფუნქციას, და ამიტომ ვერ მიიღებდა მონაწილეობას როგორც კაპიტალისტი მისივე ავანსებული კაპიტალის pro rata [პროპორციულად] მოგების იმ მასაში, რომელსაც მრეწველი კაპიტალისტების კლასი აწარმოებს. ამიტომ იმისათვის, რათა ზედმეტი ღირებულების მასაში წილი ჰქონდეს, რათა მის მიერ ავანსებული თანხა ღირებულების მხრივ იზრდებოდეს როგორც კაპიტალი, ვაჭარ კაპიტალისტს არ ესაჭიროება დაქირავებული მუშების გამოყენება. თუ მისი საწარმო და მისი კაპიტალი პატარაა, იგი შეიძლება თვითონ იყოს ერთადერთი მუშა თავის საკუთარ საწარმოში. საფასური მას ეძლევა მოგების იმ ნაწილით, რომელიც მისთვის წარმოდგება სხვაობიდან საქონლის ნაყიდობის ფასსა და ნამდვილ წარმოების ფასს შორის.

მეორე მხრივ, როცა ვაჭრის მიერ ავანსებული კაპიტალი მცირე ოდენობისაა, მოგება, რომელსაც იგი გაანაღდებს, შეიძლება სრულიადაც არ იყოს მეტი ან შეიძლება ნაკლებიც კი იყოს იმ ხელფასზე, რომელსაც უკეთესად ანაზღაურებული დახელოვნებული დაქირავებული მუშა იღებს. მართლაც, მის გვერდით მოქმედებენ მწარმოებელი კაპიტალისტის უშუალო კომერციული აგენტები, შემსყიდველები, გამყიდველები, კომივოიაჟორები, რომლებიც იღებენ იმდენსავე შემოსავალს ან მეტსაც, ხელფასის სახით ან წილის სახით მოგებაში,

რომელიც ყოველ გაყიდვისას მიიღება (საკომისიო სასყიდელი, ტანტიემი). პირველ შემთხვევაში ვაჭარი იღებს მერკანტილურ მოგებას როგორც დამოუკიდებელი კაპიტალისტი; მეორე შემთხვევაში ნოქარს, მრეწველი კაპიტალისტის დაქირავებულ ბუშას, ეძლევა მოგების ერთი ნაწილი ან ხელფასის სახით, ან პროპორციული წილის სახით იმ მრეწველი კაპიტალისტის მოგებაში, რომლის უშუალო აგენტს იგი წარმოადგენს, და მისი პრინციპალი ამ შემთხვევაში ჩაიჯიბავს როგორც სამრეწველო, ისე სავაჭრო მოგებას. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში, თუმცა თვით მიმოქცევის აგენტს თავისი შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი ჰქონდეს როგორც უბრალო ხელფასი, როგორც სასყიდელი მის მიერ გაწეული შრომისათვის, და თუმცა იქ, სადაც იგი მას არ წარმოუდგება ამ სახით, მისი მოგების ოდენობა შეიძლება მხოლოდ უკეთესად ანაზღაურებული მუშის ხელფასს უდრიდეს, — ყველა ასეთ შემთხვევაში მისი შემოსავლის წყაროს მხოლოდ მერკანტილური მოგება შეადგენს. ეს იქიდან წარმოდგება, რომ მისი შრომა არაა ღირებულების შემქმნელი შრომა.

მიმოქცევის ოპერაციის გახანგრძლივება მრეწველი კაპიტალისტისათვის წარმოადგენს 1) დროის დაკარგვას პირადად მისთვის, რამდენადაც ეს მას ხელს უშლის შეასრულოს თავისი ფუნქცია როგორც თვით წარმოებითი პროცესის მმართველმა; 2) მისი პროდუქტის უფრო ხანგრძლივად გაჩერებას, ფულის ან საქონლის სახით, მიმოქცევის პროცესში, მაშასადამე, ისეთ პროცესში, სადაც მისი ღირებულების ზრდა არ ხდება და სადაც უშუალო წარმოების პროცესი შეწყვეტილია. იმისათვის, რომ ეს უკანასკნელი არ შეწყდეს, საჭიროა ან წარმოების შეკვეცა, ანდა დამატებითი ფულადი კაპიტალის ავანსად გაღება, რათა წარმოების პროცესი მუდამ გრძელდებოდეს წინანდელი მასშტაბით. ეს ნიშნავს ყოველ შემთხვევაში იმას, რომ ან წინანდელი კაპიტალით ნაკლები მოგება მიიღება, ანდა უწინდებური მოგების მისაღებად დამატებითი ფულადი კაპიტალი უნდა გაიღონ ავანსად. ყოველივე ეს სრულიად არ იცვლება, თუ მრეწველი კაპიტალისტის ადგილას ვაჭარი დგება. ნაცვლად იმისა, რომ პირველმა მეტი დრო ხარჯოს მიმოქცევის პროცესზე, ამ დროს ხარჯავს ვაჭარი; ნაცვლად იმისა, რომ მრეწველმა ავანსად გაიღოს დამატებითი კაპიტალი მიმოქცევისათვის, ამ ავანსს გაიღებს ვაჭარი, ან — რაც იგივეა — ნაცვლად იმისა, რომ სამრეწველო კაპიტალის დიდი ნაწილი მუდამ მიმოქცევის პროცესში ტრიალებდეს, მასში ვაჭრის კაპიტალია მოლიანად ჩამწყვდეული; და ნაცვლად იმისა, რომ მრეწველი კაპიტალისტი ნაკლებ მოგებას იღებდეს, მას სჭირდება თავისი მოგების ნაწილის

სავსებით დათმობა ვაჭრისათვის. რამდენადაც სავაჭრო კაპიტალი აუცილებელი ფარგლებით შემოისაზღვრება, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კაპიტალის ფუნქციის ამ დანაწილებით ნაკლები დრო იხარჯება მხოლოდ და მხოლოდ მიმოქცევის პროცესზე, ნაკლები დამატებითი კაპიტალი გაიღება ავანსად ამისათვის, და მთელი მოგების დანაკლისი, რომელიც სავაჭრო მოგების სახით გამოიხატება, ნაკლებია, ვიდრე იგი წინააღმდეგ შემთხვევაში იქნებოდა. თუ ზემოაღნიშნულ მაგალითში $720_c + 180_v + 180_m$, როცა მის გვერდით სავაჭრო კაპიტალი 100 არსებობს, მრეწველ კაპიტალისტს 162, ანუ 18% მოგებას უტოვებს, მაშასადამე, მოგება 18-ით მცირდება, მაშინ ვაჭრის კაპიტალის ასეთი განცალკევების გარეშე აუცილებელი დამატებითი კაპიტალი მიაღწევდა, შესაძლებელია, 200-ს, და ამ შემთხვევაში მრეწველი კაპიტალისტის მიერ ავანსებული მთელი თანხა 900 ნაცვლად 1 100 შეადგენდა, მაშასადამე, 180 ზედმეტ ღირებულებაზე მოგების ნორმა მხოლოდ $16^4/_{11}$% იქნებოდა.

თუ მრეწველმა კაპიტალისტმა, რომელიც თავისთვის ვაჭარიც არის, გარდა დამატებითი კაპიტალისა, რომლითაც ახალ საქონელს ყიდულობს, სანამ მიმოქცევაში მყოფი პროდუქტი ფულად გადაიქცეოდეს, კიდევ გაიღო ავანსად კაპიტალი თავისი საქონლური კაპიტალის ღირებულების რეალიზაციისათვის, მაშასადამე, მიმოქცევის პროცესისათვის (კანტორის შესანახი ხარჯები და სავაჭრო მუშების ხელფასი), მაშინ ორივე ეს კაპიტალი თუმცა დამატებით კაპიტალს შეადგენს, მაგრამ ზედმეტ ღირებულებას არა ქმნის. ეს კაპიტალები საქონელთა ღირებულებიდან უნდა ანაზღაურდეს, იმიტომ რომ ამ საქონელთა ღირებულების ერთი ნაწილი ხელახლა უნდა გადაიქცეს მიმოქცევის ამ ხარჯებად; მაგრამ ამით არავითარი დამატებითი ზედმეტი ღირებულება არ შეიქმნება. საზოგადოების ერთობლივი კაპიტალის მიმართ ეს ფაქტიურად იმას ნიშნავს, რომ მისი ერთი ნაწილი საჭიროა მეორეხარისხოვანი ოპერაციებისათვის, რომლებიც ღირებულების ზრდის პროცესში არ შედიან, და რომ საზოგადოებრივი კაპიტალის ამ ნაწილის კვლავწარმოება მუდამ უნდა ხდებოდეს ამ მიზნისათვის. ამით ცალკეული კაპიტალისტებისათვის და მრეწველ კაპიტალისტთა მთელი კლასისათვის მოგების ნორმა მცირდება, — შედეგი, რომელიც მიიღება დამატებითი კაპიტალის ყოველი ახალი მიმატების დროს, რამდენადაც ეს საჭიროა ცვალებადი კაპიტალის წინანდელი მასის მოძრაობაში მოსაყვანად.

რამდენადაც ვაჭარი კაპიტალისტი ათავისუფლებს მრეწველ კაპიტალისტს თვით მიმოქცევასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯე-

ბისაგან და მას თვითონ კისრულობს, ადგილი აქვს აგრეთვე მოგების ნორმის ამ შემცირებას, მხოლოდ — ნაკლები ოდენობით და სხვა გზით. საქმე ახლა იმგვარად წარმოგვიდგება, რომ ვაჭარი ავანსად გაიღებს მეტ კაპიტალს, ვიდრე საჭირო იქნებოდა, ეს ხარჯები რომ არ ყოფილიყო, და რომ ამ დამატებითი კაპიტალის ხვედრი მოგება ადიდებს სავაჭრო მოგების ჯამს; მაშასადამე, სავაჭრო კაპიტალი უფრო დიდი ოდენობით მონაწილეობს სამრეწველო კაპიტალთან ერთად მოგების საშუალო ნორმის გათანატოლებაში, ე. ი. საშუალო მოგება დაეცემა. თუ ჩვენს ზემოაღნიშნულ მაგალითში გარდა 100 სავაჭრო კაპიტალისა კიდევ 50 დამატებითი კაპიტალი გაიღება ავანსად იმ ხარჯებისთვის, რომლებზედაც ლაპარაკია, მაშინ 180-ის რაოდენობის მთელი ზედმეტი ღირებულება განაწილდება მწარმოებლურ კაპიტალ 900-ზე პლუს 150 რაოდენობის სავაჭრო კაპიტალი, სულ = 1 050-ზე. მაშასადამე, მოგების საშუალო ნორმა დაბლა იწევს $17^1/_7$%-მდე. მრეწველი კაპიტალისტი საქონელს მიჰყიდის ვაჭარს 900+$154^2/_7$ = = 1 $054^2/_7$-ად, და ვაჭარი გაყიდის მას 1 130-ად (1 080+50 ხარჯებისათვის, რომლებიც მან ხელახლა უნდა აინაზღაუროს). მაგრამ მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ კაპიტალის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალად დანაწილებასთან დაკავშირებულია სავაჭრო ხარჯების ცენტრალიზაცია და ამის გამო მათი შემცირება.

ახლა უნდა ვიკითხოთ: როგორაა საქმე კომერციული დაქირავებული მუშების მიმართ, რომელთაც ვაჭარი კაპიტალისტი, ამ შემთხვევაში საქონლის ვაჭარი, დაასაქმებს?

ერთი მხრივ, ასეთი კომერციული მუშა ისეთივე დაქირავებული მუშაა, როგორც ყოველი სხვა. ჯერ ერთი, რამდენადაც მის შრომას ყიდულობს ვაჭრის ცვალებადი კაპიტალი და არა ის ფული, რომელიც შემოსაღლის სახით იხარჯება, მაშასადამე, მას ყიდულობენ არა პირადი სამსახურისათვის, არამედ ავანსებული კაპიტალის ღირებულების თვითზრდის მიზნით. მეორე, რამდენადაც მისი სამუშაო ძალის ღირებულება და, მაშასადამე, მისი ხელფასი განისაზღვრება, როგორც ყველა სხვა დაქირავებული მუშისთვის, მისი სპეციფიკური სამუშაო ძალის წარმოებისა და კვლავწარმოების ხარჯებით და არა მისი შრომის პროდუქტით.

მაგრამ კომერციულ დაქირავებულ მუშასა და უშუალოდ სამრეწველო კაპიტალის მიერ დასაქმებულ მუშებს შორის ისეთივე განსხვავება უნდა არსებობდეს, როგორიც არსებობს სამრეწველო კაპიტალსა და სავაჭრო კაპიტალს შორის, და, ამიტომ, მრეწველ კაპიტალისტსა და ვაჭარს შორის. რადგან ვაჭარი, როგორც მიმოქცევის

უბრალო აგენტი, არ აწარმოებს არც ღირებულებას, არც ზედმეტ ღირებულებას (ვინაიდან . დამატებითი ღირებულება, რომელსაც იგი თავისი ხარჯებით საქონელს მატებს, წინათ არსებული ღირებულების წანამატს წარმოადგენს, თუმცა აქ ძალაუნებურად ისადება კითხვა: როგორ შეინარჩუნებს, ინახავს იგი თავისი მუდმივი კაპიტალის ამ ღირებულებას?), ამიტომ შეუძლებელია უშუალოდ ზედმეტი ღირებულება შეუქმნან მას სავაჭრო დარგის მუშებმა, რომლებიც იმავე ფუნქციის შესრულებას ემსახურებიან. აქ, ისევე როგორც მწარმოებელი მუშების მიმართ, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ხელფასი სამუშაო ძალის ღირებულებით განისაზღვრება, მაშასადამე, ვაჭარი ხელფასიდან გამონაკლებით არ მდიდრდება, ასე რომ თავისი ხარჯების ანგარიშში არ შეაქვს ისეთი ავანსირება შრომისათვის, რასაც მხოლოდ ნაწილობრივ იხდის, სხვა სიტყვებით, — არ მდიდრდება თავისი ნოქრებისა და სხვ. მოტყუების საშუალებით.

სავაჭრო დარგის დაქირავებული მუშების მიმართ სიძნელე სრულიადაც არ მდგომარეობს იმის ახსნაში, თუ როგორ აწარმოებენ ისინი მოგებას უშუალოდ თავისი დამქირავებლისათვის, თუმცა ისინი არ აწარმოებენ უშუალოდ ზედმეტ ღირებულებას (რომლის მარტოოდენ გარდაქმნილ ფორმას მოგება წარმოადგენს). ეს საკითხი სინამდვილეში უკვე ახსნილია სავაჭრო მოგების საერთო ანალიზით. როგორც სამრეწველო კაპიტალი მოგებას იღებს იმის გამო, რომ ყიდის შრომას, რომელიც საქონელშია მოქცეული და განხორციელებული და რომლისათვის მას არავითარი ეკვივალენტი არ გადაუხდია, სრულიად ასევე მერკანტილური კაპიტალი მოგებას იღებს იმის გამო, რომ იგი მწარმოებლურ კაპიტალს მთლიანად არ უხდის ფასს იმ გადაუხდელ შრომისათვის, რომელიც მოქცეულია საქონელში (საქონელში, რამდენადაც მისი წარმოებისათვის დახარჯული კაპიტალი მოქმედებს როგორც ერთობლივი სამრეწველო კაპიტალის ჯერადი ნაწილი). ხოლო საქონლის გაყიდვისას, პირიქით, ახდენინებს საქონელში მოქცეული და მის მიერ გადაუხდელი ამ ნაწილისათვისაც. ვაჭრის კაპიტალის ურთიერთობა ზედმეტ ღირებულებასთან სხვაგვარია, ვიდრე სამრეწველო კაპიტალისა. ეს უკანასკნელი ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს გადაუხდელი სხვისი შრომის უშუალო მითვისების გზით. პირველი კი ამ ზედმეტი ღირებულების ნაწილს იმ გზით მიითვისებს, რომ აიძულებს სამრეწველო კაპიტალს გადასცეს მას ეს ნაწილი.

მხოლოდ თავისი ფუნქციის — ღირებულებათა რეალიზაციის ფუნქციის — გზით მოქმედებს სავაჭრო კაპიტალი კვლავწარმოების პროცესში როგორც კაპიტალი, და, მაშასადამე, როგორც მოქმედ-

კაპიტალი იღებს იგი წილს მთელი კაპიტალით წარმოებულ ზედმეტ ღირებულებაში. მისი მოგების მასა ცალკეული ვაჭრისათვის დამოკიდებულია კაპიტალის იმ მასაზე, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს ამ პროცესში, და მას შეუძლია მით უფრო მეტი გამოიყენოს იგი ყიდვასა და გაყიდვაზე, რაც უფრო დიდია მისი ნოქრების გადაუხდელი შრომა. თვით იმ ფუნქციას, რომლის ძალით მისი ფული კაპიტალს წარმოადგენს, ვაჭარი კაპიტალისტი მეტწილად თავის მუშებს ასრულებინებს. თუმცა ამ ნოქრების გადაუხდელი შრომა ზედმეტ ღირებულებას არ უქმნის მას, მაგრამ უქმნის ზედმეტი ღირებულების მითვისების შესაძლებლობას, რაც შედეგის მხრივ სრულიად იმასვე წარმოადგენს ამ კაპიტალისთვის; მაშასადამე, მისთვის ეს შრომა მოგების წყაროა. სხვანაირად სავაჭრო საწარმოს წარმართვა არასოდეს არ შეიძლებოდა დიდი მასშტაბით, არასოდეს არ შეიძლებოდა მისი კაპიტალისტურად წარმართვა.

როგორც მუშის გადაუხდელი შრომა მწარმოებლურ კაპიტალს უშუალოდ უქმნის ზედმეტ ღირებულებას, ასევე კომერციული დაქირავებული მუშის გადაუხდელი შრომა სავაჭრო კაპიტალს უქმნის წილს ამ ზედმეტ ღირებულებაში.

სიძნელე შემდეგში მდგომარეობს: რადგან თვით ვაჭრის სამუშაო დრო და შრომა ღირებულების შემქმნელ შრომას არ წარმოადგენს, თუმცა იგი მას უქმნის წილს უკვე წარმოებულ ზედმეტ ღირებულებაში, მაშინ როგორია მდგომარეობა ცვალებადი კაპიტალის მიმართ, რომელსაც იგი კომერციული სამუშაო ძალის საყიდლად ხარჯავს? უნდა მივათვალოთ ეს ცვალებადი კაპიტალი, როგორც ხარჯებში შემავალი, ავანსებულ სავაჭრო კაპიტალს? თუ არა, მაშინ ეს თითქოს ეწინააღმდეგება მოგების ნორმის გათანატოლების კანონს; აბა რომელი კაპიტალისტი გაიღებდა ავანსად 150-ს, თუ მას მხოლოდ 100 შეეძლებოდა ეანგარიშნა ავანსებულ კაპიტალად? ხოლო თუ ჰო, მაშინ ეს თითქოს ეწინააღმდეგება სავაჭრო კაპიტალის დედაარსს, რადგან ამგვარი კაპიტალი მოქმედებს კაპიტალის სახით არა იმის გამო, რომ მას, სამრეწველო კაპიტალივით, სხვისი შრომა მოჰყავს მოძრაობაში, არამედ იმის გამო, რომ თვითონ მუშაობს, ე. ი. ყიდვისა და გაყიდვის ფუნქციებს ასრულებს, და სწორედ ამისთვის და ამის გამო თავისთავზე გადაიტანს სამრეწველო კაპიტალის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების ნაწილს.

(ამრიგად, გამოსაკვლევია შემდეგი პუნქტები: ვაჭრის ცვალებადი კაპიტალი; აუცილებელი შრომის კანონი მიმოქცევაში; როგორ შეინარჩუნებს ვაჭრის შრომა მისი მუდმივი კაპიტალის ღირებულებას;

ვაჭრის კაპიტალის როლი ერთობლივ კვლავწარმოების პროცესში; ბოლოს, გაორება ერთი მხრივ, საქონლურ კაპიტალად და ფულად კაპიტალად, მეორე მხრივ საქონლურ-სავაჭრო კაპიტალად და ფულად-სავაჭრო კაპიტალად).

თვითეულ ვაჭარს რომ მხოლოდ იმდენი კაპიტალი ჰქონდეს, რამდენიც პირადად მას შეუძლია თავისი საკუთარი შრომით აბრუნოს, მაშინ აღგილი ექნებოდა სავაჭრო კაპიტალის უსასრულო დაქსაქსულობას; ეს დაქსაქსულობა იმდენადვე გაიზრდებოდა, რამდენადაც მწარმოებლური კაპიტალი კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად სულ უფრო დიდი მასშტაბით აწარმოებს და სულ უფრო დიდი მასებით მოქმედებს. მაშასადამე, მივიღებდით მზარდ შეუსაბამობას ერთსა და მეორეს შორის. წარმოების სფეროში კაპიტალის ცენტრალიზაციის შესაბამისად მოხდებოდა მისი დეცენტრალიზაცია მიმოქცევის სფეროში. მრეწველი კაპიტალისტის წმინდა სავაჭრო ოპერაციები და მასთან ერთად წმინდა სავაჭრო ხარჯები უსასრულოდ გადიდდებოდა, რადგან მას, მაგალითად, 100-ის ნაცვლად 1 000 ვაჭართან ექნებოდა საქმე. ამავე დროს დაიკარგებოდა იმ სარფის მეტი წილი, რომელიც ვაჭრის კაპიტალის განცალკევებიდან წარმოდგება; წმინდა სავაჭრო ხარჯებს გარდა, გადიდდებოდა მიმოქცევის სხვა ხარჯებიც, დახარისხების, გაგზავნისა და სხვ. ეს, რაც შეეხება სამრეწველო კაპიტალს. განვიხილოთ ახლა ვაჭრის კაპიტალი. ჯერ ერთი, რაც შეეხება წმინდა სავაჭრო მუშაობას. დიდი რიცხვებით ანგარიშწარმოებას მეტი დრო არ სჭირდება, ვიდრე პატარა რიცხვებით ანგარიშწარმოებას. 10 ყიდვა თითო 100 გირვ. სტერლინგის ოდენობით ათჯერ მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ე რ თ ი ყიდვა 1 000 გირვ. სტერლინგის ოდენობით. კორესპონდენცია, ქაღალდი, საფოსტო ხარჯები ათჯერ უფრო დიდია, როცა საქმე გაქვს 10 წვრილ ვაჭართან, ვიდრე მაშინ, როცა საქმე გაქვს ე რ თ მსხვილ ვაჭართან. შრომის ზუსტი დანაწილება კომერციულ სახელოსნოში, სადაც ერთი დავთრებს აწარმოებს, მეორე — სალაროს, მესამე — კორესპონდენციას, ეს შეისყიდის, ის — გაყიდის, სხვა კიდევ მგზავრობაშია და სხვ., კოლოსალურად ზოგავს სამუშაო დროს, ასე რომ მსხვილ ვაჭრობაში გამოყენებულ ვაჭრობის მუშათა რიცხვი სრულიად არავითარ შეფარდებაში არაა საწარმოს შედარებითს სიდიდესთან. ეს იმის გამო ხდება, რომ ვაჭრობაში გაცილებით მეტად, ვიდრე მრეწველობაში, ერთი და იგივე ფუნქცია, დიდი მასშტაბით იქნება იგი შესრულებული თუ პატარა მასშტაბით, თანაბარ სამუშაო დროს მოითხოვს. ამიტომ ისტორიულად კონცენტრაცია სავაჭრო საწარმოში უფრო ადრე იჩენს თავს, ვიდრე

სამრეწველო სახელოსნოში. შემდეგ, მუდმივი კაპიტალის ხარჯები. 100 პატარა კანტორა გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე ერთი დიდი; საქონლის 100 პატარა საწყობი გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე ერთი დიდი საწყობი და სხვ. ტრანსპორტის ხარჯები, ყოველ შემთხვევაში ის რაც სავაჭრო საწარმოში შედის როგორც ავანსად გასაღები ხარჯები, იზრდება დაქსაქსულობასთან ერთად.

სამრეწველო კაპიტალისტს მეტი შრომისა და მიმოქცევის ხარჯების გაწევა დასჭირდებოდა თავის საწარმოს კომერციულ ნაწილში. ერთ და იმავე სავაჭრო კაპიტალს, თუ იგი მრავალ წვრილ ვაჭარს შორის დანაწილდებოდა, გაცილებით მეტი მუშები დასჭირდებოდა ამ დაქსაქსულობის გამო თავისი ფუნქციების განსახორციელებლად და, გარდა ამისა, უფრო დიდი სავაჭრო კაპიტალიც იქნებოდა საჭირო იმავე საქონლური კაპიტალის ბრუნვისათვის.

თუ ჩვენ საქონლის უშუალოდ ყიდვისა და გაყიდვისათვის მოხმარებულ მთელ სავაჭრო კაპიტალს აღვნიშნავთ B-თი, ხოლო შესაბამის ცვალებად კაპიტალს, რომელიც ვაჭრობის დამხმარე მუშების გასასტუმრებლად იხარჯება, აღვნიშნავთ b-თი, მაშინ $B+b$ უფრო პატარაა, ვიდრე მთელი სავაჭრო კაპიტალი B უნდა ყოფილიყო, თუ რომ თვითეული ვაჭარი უთანაშემწეებოდ წარმართავდა საქმეს, ე. ი. თუ რომ არც ერთი ნაწილი b-ზე არ იქნებოდა დახარჯული. მაგრამ სიძნელე ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვიძლევია.

საქონლის გასაყიდი ფასი საკმარისი უნდა იყოს 1) იმისათვის, რომ გადაიხადოს საშუალო მოგება $B+b$-ზე. ეს აიხსნება უკვე იმით, რომ B+b შემცირებაა საერთოდ თავდაპირველი B-ისა, იგი იმაზე უფრო პატარა სავაჭრო კაპიტალს გამოხატავს, რაც აუცილებელი იქნებოდა b-ის გარეშე. მაგრამ ეს გასაყიდი ფასი საკმარისი უნდა იყოს 2) იმისათვის, რომ, გარდა იმ მოგებისა, რომელიც დამატებით გვევლინება b-ს მოგებად, აანაზღაუროს კიდევ გადახდილი ხელფასიც. აანაზღაუროს ვაჭრის თვით ცვალებადი კაპიტალი = b. ეს უკანასკნელი სიძნელეს წარმოადგენს. b ფასის ახალ შემადგენელ ნაწილს შეადგენს, თუ იგი B+b-ით მიღებული მოგების მხოლოდ ნაწილია, რომელიც მხოლოდ სავაჭრო დარგის მუშის მიმართ წარმოადგენს ხელფასს, ხოლო თვით ვაჭრის მიმართ მისი ცვალებადი კაპიტალის უბრალო ანაზღაურებას? უკანასკნელ შემთხვევაში ვაჭრის მიერ ავანსებული კაპიტალ $B+b$-ზე მიღებული მოგება მხოლოდ იმ მოგების ტოლი იქნებოდა, რომელიც საერთო ნორმის შესაბამისად მოდის B-ზე, პლუს b, ამასთან ეს უკანასკნელი ვაჭარმა ხელფასის სახით დახარჯა, მაგრამ თვითონ არავითარ მოგებას არ იძლევა.

ნამდვილად ამოცანა ისაა, რომ ვიპოვოთ b საზღვრები (მათემატიკური აზრით). ჩვენ ჯერ ზუსტად უნდა დავადგინოთ სიძნელენი. ვუწოდოთ საქონლის უშუალოდ ყიდვასა და გაყიდვაზე დახარჯულ კაპიტალს B, მუდმივ კაპიტალს, რომელიც ამ ფუნქციაში მოიხმარება, K (ნივთობრივი სავაჭრო ხარჯი) და ცვალებად კაპიტალს, რომელსაც ვაჭარი ხარჯავს — b.

B-ს ანაზღაურება სრულიად არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. იგი წარმოადგენს მხოლოდ რეალიზებულ ნაყიდობის ფასს ვაჭრისათვის ანუ წარმოების ფასს მეფაბრიკისათვის. ვაჭარი იხდის ამ ფასს და ხელახლა გაყიდვისას უკანვე იღებს B-ს როგორც თავისი გასაყიდი ფასის ნაწილს; ამ B-ს გარდა იგი იღებს მოგებას B-ზე, როგორც ზევით იყო განმარტებული. მაგალითად, საქონელი ღირს 100 გირვ. სტერლინგი. მოგება მასზე შეადგენს, ვთქვათ, 10%-ს. ამრიგად, საქონელი გაიყიდება 110-ად. საქონელი უკვე უწინ ღირდა 100; სავაჭრო კაპიტალი 100 მას მატებს მხოლოდ 10-ს.

თუ ჩვენ, შემდეგ, K-ს ავიღებთ, იგი სულ ღიდი, იმავე ოდენობისაა, — სინამდვილეში უფრო პატარაა, — როგორისაც მუდმივი კაპიტალის ის ნაწილი, რომელსაც მწარმოებელი ყიდვისა და გაყიდვისათვის მოიხმარდა; მაგრამ იგი შეადგენდა მაშინ დამატებას იმ მუდმივი კაპიტალისადმი, რომელსაც მწარმოებელი უშუალოდ მოიხმარს წარმოებაში. მაგრამ მაინც ეს ნაწილი მუდამ საქონლის ფასიდან უნდა ნაზღაურდებოდეს, ანუ, რაც იგივეა, საქონლის სათანადო ნაწილი მუდამ ამ ფორმით უნდა იხარჯებოდეს, იგი — თუ საზოგადოებრივ ერთობლივ კაპიტალს განვიხილავთ — მუდამ კვლავწარმოებული უნდა იყოს ამ ფორმით. ავანსებული მუდმივი კაპიტალის ეს ნაწილი, ისევე, როგორც უშუალოდ წარმოებაში დაბანდებული მთელი მისი მასაც, შემზღუდველად იმოქმედებდა მოგების ნორმაზე. რამდენადაც მრეწველი კაპიტალისტი თავისი საქმის კომერციულ ნაწილს ვაჭარს უტოვებს, მას აღარ სჭირდება კაპიტალის ამ ნაწილის ავანსად გაღება. მის ნაცვლად ამას ვაჭარი გაიღებს ავანსად. მაგრამ — ეს მხოლოდ ნომინალურად; ვაჭარი არც აწარმოებს და არც აკვლავწარმოებს მის მიერ მოხმარებულ მუდმივ კაპიტალს (ნივთობრივ სავაჭრო ხარჯებს). მაშასადამე, მისი წარმოება გვევლინება როგორც განსაკუთრებული სახის საქმიანობა ან, ყოველ შემთხვევაში, როგორც ნაწილი იმ გარკვეულ მრეწველ კაპიტალისტთა საქმიანობისა, რომელნიც, ამგვარად, ისეთსავე როლს ასრულებენ, როგორსაც მრეწველი კაპიტალისტები, რომელნიც მუდმივ კაპიტალს აწოდებენ იმათ, ვინც საარსებო საშუა-

ლებებს აწარმოებს. მაშასადამე, ვაჭარი იღებს, ჯერ-ერთი, ამ კაპიტალის ანაზღაურებას და, მეორე, მასზე მოგებას. ამრიგად, როგორც ერთი, ისე მეორე ამცირებს მრეწველი კაპიტალისტის მოგებას. მაგრამ შრომის დანაწილებასთან დაკავშირებული კონცენტრაციისა და ეკონომიის გამო ეს შემცირება უფრო ნაკლებია, ვიდრე იქნებოდა მაშინ, მრეწველ კაპიტალისტს რომ თვითონ დასჭირებოდა ამ კაპიტალის ავანსად გაღება. მოგების ნორმის შემცირება ნაკლებია, იმიტომ რომ ნაკლებია ამ წესით ავანსებული კაპიტალი.

ამრიგად, გასაყიდი ფასი ჯერჯერობით შედგება: $B+K$+მოგება $(B+K)$-ზე. მისი ეს ნაწილი, ზემონათქვამის შემდეგ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგრამ, აი, გვევლინება b, ანუ ვაჭრის მიერ ავანსებული ცვალებადი კაპიტალი.

ამის გამო გასაყიდი ფასი იქცევა: $B + K + b +$ მოგება $(B + K)$-ზე+მოგება b-ზე.

B მხოლოდ ანაზღაურებს ნაყიდობის ფასს, მაგრამ, გარდა B-ზე მოგებისა, ამ ფასს არავითარ ნაწილს არ მატებს. K მატებს მას არა მარტო მოგებას K-ზე, არამედ თვით K-საც; მაგრამ K + მოგება K-ზე, ე. ი. მუდმივი კაპიტალის სახით ავანსებული ნაწილი მიმოქცევის ხარჯებისა+მისი შესაბამისი საშუალო მოგება, მრეწველი კაპიტალისტის ხელში უფრო დიდი იქნებოდა, ვიდრე იგი ვაჭარი კაპიტალისტის ხელშია. საშუალო მოგების შემცირება მჟღავნდება ისეთი ფორმით, რომ გამოიანგარიშება მთელი საშუალო მოგება, — ავანსებული სამრეწველო კაპიტალიდან $B+K$-ის გამოკლების შემდეგ, — ხოლო საშუალო მოგებიდან გამონაკლები, რომელიც B+K-ს მოგებას შეადგენს, ვაჭრის გასტუმრებას ხმარდება, ასე რომ ეს გამონაკლები გვევლინება განსაკუთრებული კაპიტალის, ვაჭრის კაპიტალის, მოგების სახით.

მაგრამ სხვაგვარადაა საქმე $b+b$-ზე მიღებული მოგების მიმართ, ანუ მოცემულ შემთხვევაში, სადაც მოგების ნორმა ნაგულისხმევის თანახმად = 10%, $b+{}^1/_{10}b$-ის მიმართ. და ნამდვილი სიძნელეც სწორედ აქ არის.

ნაგულისხმევის თანახმად ვაჭარი b კაპიტალით ყიდულობს მხოლოდ კომერციულ შრომას, ე. ი. შრომას, რომელიც აუცილებელია კაპიტალის მიმოქცევის ფუნქციების, ს — ფ და ფ — ს, განსახორციელებლად. მაგრამ სავაჭრო შრომა ის შრომაა, რომელიც საერთოდ აუცილებელია იმისათვის, რომ კაპიტალმა ვაჭრის კაპიტალის სახით იმოქმედოს, რომ მან ხელი შეუწყოს საქონლის გადაქცევას ფულად და ფულის გადაქცევას საქონლად. ეს არის შრომა, რომელიც ღირებუ-

ლების რეალიზაციას ახდენს, მაგრამ არავითარ ღირებულებას არა ქმნის. და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც რომელიმე კაპიტალი ამ ფუნქციებს ასრულებს, — მაშასადამე, რამდენადაც რომელიმე კაპიტალისტი თავისი კაპიტალით ამ ოპერაციებს, ამ შრომას ასრულებს,— იმდენად მოქმედებს ეს კაპიტალი როგორც სავაჭრო კაპიტალი და მონაწილეობს მოგების საერთო ნორმის რეგულირებაში, ე. ი. თავის დივიდენდს ამოქაჩავს მთელი მოგებიდან. მაგრამ ($b+b$-ზე მოგება) თითქოს შეიცავს, ჯერ ერთი, შრომის საზღაურს (ვინაიდან სულ ერთია, მრეწველი კაპიტალისტი ვაჭარს უხდის ამ უკანასკნელის საკუთარი შრომისათვის თუ მისი ნოქრის შრომისათვის, რომლის საზღაური ვაჭარმა გადაიხადა) და, მეორე, მოგებას იმ შრომისათვის გადახდილ თანხაზე, რომელიც თვითონ ვაჭარს უნდა შეესრულებია. ვაჭრის კაპიტალი, ჯერ ერთი, უკან იბრუნებს b-ს საზღაურს და, მეორე, იღებს მასზე მოგებას; მაშასადამე, ეს იქიდან წარმოდგება, რომ მას, ჯერ ერთი, საზღაური მოაქვს იმ შრომისათვის, რომლის შემწეობით იგი მოქმედებს როგორც ს ა ვ ა ჭ რ ო კაპიტალი, და, მეორე, მიაქვს მოგება, იმიტომ რომ მოქმედებს როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი, ე. ი. ასრულებს შრომას, რომლისათვის მას, როგორც მოქმედ კაპიტალს, საზღაური ეძლევა მოგებიდან. ასეთია, მაშასადამე, საკითხი, რომელიც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ.

ვიგულისხმოთ, რომ $B = 100$, $b = 10$ და მოგების ნორმა $= 10\%$. ვიგულისხმოთ, რომ $K = 0$, რათა, თუ საჭიროება არ მოითხოვს, ხელახლა ანგარიშში არ შევიტანოთ ნაყიდობის ფასის ეს ელემენტი, რომელსაც აქ არ განვიხილავთ და რომელიც ჩვენ უკვე განვმარტეთ. ამის მიხედვით გასაყიდი ფასი იქნებოდა $= B+p+b+$p ($=$ B$+Bp'+b+bp'$, სადაც p′ მოგების ნორმას ნიშნავს) $= 100+10+10+1 = 121$.

მაგრამ თუ ვაჭარი b-ს არ დახარჯავდა ხელფასზე, — რადგან b-ს იხდიან მხოლოდ სავაჭრო შრომისათვის, მაშასადამე, იმ შრომისათვის, რომელიც საჭიროა სამრეწველო კაპიტალის მიერ ბაზარზე გადასროლილი საქონლური კაპიტალის ღირებულების სარეალიზაციოდ, — მაშინ საქმე ამგვარად იქნებოდა: ვაჭარი თავის დროს მოანდომებდა იმას, რომ $B = 100$-ით ეყიდა ან გაეყიდა, და ჩვენ ვიგულისხმოთ, რომ ეს მთელი ის დროა, რაც მის განკარგულებაშია. სავაჭრო შრომა, რომელსაც b ანუ 10 წარმოადგენს, თუ რომ მისი საფასური გადაიხდებოდა არა ხელფასით, არამედ მოგებით, გულისხმობს მეორე სავაჭრო კაპიტალს $=$ 100-ს, რადგან მისი $10\% = b = 10$. ეს მეორე კაპიტალი $B = 100$ არ შევიდოდა დამატებით საქონლის ფასში, მაგრამ

10%, რასაკვირველია, შეეიდოდა. ამიტომ ორი ოპერაცია, თითო 100-ის, სულ 200-ისა, შეასრულებდა 200+20 = 220 საქონლის ყიდვას.

რადგან ვაჭრის კაპიტალი აბსოლუტურად სხვა არაფერია, თუ არა მიმოქცევის პროცესში მოქმედი სამრეწველო კაპიტალის ერთი ნაწილის დამოუკიდებლად ქცეული ფორმა, ამიტომ ყველა საკითხი მის მიმართ იმგვარად უნდა წყდებოდეს, რომ პრობლემას ვაყენებდეთ ისეთი ფორმით, რომლის დროს სავაჭრო კაპიტალის დამახასიათებელი მოვლენები ჯერ კიდევ არ წარმოგვიდგება როგორც დამოუკიდებელი მოვლენები, არამედ წარმოგვიდგება როგორც უშუალო სამრეწველო კაპიტალთან უშუალო კავშირში მყოფი, როგორც მისი განშტოება. როგორც კანტორა მოქმედებს სახელოსნოსგან განსხვავებით, ისე მერკანტილური კაპიტალი განუწყვეტლივ მოქმედებს მიმოქცევის პროცესში. ამრიგად, *ბ*, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, სწორედ აქ, თვით მრეწველი კაპიტალისტის კანტორაში, უნდა იქნეს ჯერ გამოკვლეული.

უწინარეს ყოვლისა ეს კანტორა მუდამ მეტისმეტად პატარაა სამრეწველო სახელოსნოსთან შედარებით. ისე კი ცხადია: რამდენადაც წარმოების მოცულობა დიდდება, დიდდება კომერციული ოპერაციებიც, რომლებიც ყოველთვის უნდა სრულდებოდეს სამრეწველო კაპიტალის მიმოქცევისათვის, როგორც საქონლური კაპიტალის სახით არსებული პროდუქტის გაყიდვის მიზნით, ისე იმ მიზნითაც, რომ მიღებული ფული ხელახლა გადაიქცეს წარმოების საშუალებებად და ყველა ამის შესახებ ანგარიში იწარმოებოდეს. ფასების გამოანგარიშება, დავთრების წარმოება, სალაროს წარმოება, კორესპონდენცია — ყველაფერი ეს აქ შედის. რაც უფრო დიდია წარმოების მასშტაბი, მით უფრო დიდია, თუმცა სრულიადაც არა შესაბამისი პროპორციით, სამრეწველო კაპიტალის სავაჭრო ოპერაციები, მაშასადამე, შრომაც და სხვა მიმოქცევის ხარჯებიც ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების რეალიზაციისათვის. ამიტომ საჭირო ხდება დაქირავებული კომერციული მუშების გამოყენება, რომელნიც საკუთრივ კანტორას შეადგენენ. მათთვის საჭირო ხარჯების გაწევა თუმცა ხელფასის ფორმით ხდება, მაგრამ ეს ხარჯები განსხვავდება ცვალებადი კაპიტალისაგან, რომელიც მწარმოებლური შრომის საყიდლად იხარჯება. ეს ადიდებს სამრეწველო კაპიტალისტის ხარჯებს, ავანსებული კაპიტალის მასას, უშუალოდ ზედმეტი ღირებულების გაუდიდებლად. იმიტომ რომ ეს წარმოადგენს იმ შრომის ასანაზღაურებელ ხარჯს, რომელიც უკვე შექმნილი ღირებულების რეალიზაციისათვის გამოიყენება მხოლოდ. როგორც ყოველი სხვა ამგვარი ხარჯი, ესეც ამცირებს მოგების

ნორმას, რადგან იზრდება ავანსებული კაპიტალი, მაგრამ არ იზრდება ზედმეტი ღირებულება. თუ ზედმეტი ღირებულება m უცვლელი დარჩა, მაგრამ ავანსებული კაპიტალი C გაიზარდა $C+\triangle C$-მდე, მაშინ მოგების ნორმის $\frac{m}{C}$ ადგილას მოგების უფრო პატარა ნორმა $\frac{m}{C+\triangle C}$ იქნება. მაშასადამე, მრეწველი კაპიტალისტი ცდილობს მინიმუმამდე შეზღუდოს მიმოქცევის ეს ხარჯები სავსებით ისე, როგორც თავისი ხარჯები მუდმივი კაპიტალისათვის. ამიტომ სამრეწველო კაპიტალის დამოკიდებულება მისი კომერციული მუშებისადმი ისეთივე არაა, როგორიც მისი მწარმოებლური დაქირავებული მუშებისადმი. სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო მეტს გამოიყენებს იგი ამ უკანასკნელთ, მით უფრო მასობრივი იქნება წარმოება, მით უფრო დიდი იქნება ზედმეტი ღირებულება, ანუ მოგება. როდესაც პირიქითაა, — პირიქით. რაც უფრო დიდია წარმოების მასშტაბი და რაც უფრო დიდია სარეალიზაციო ღირებულება და, ამიტომ ზედმეტი ღირებულება, რაც უფრო დიდია, მაშასადამე, წარმოებული საქონლური კაპიტალი, მით უფრო იზრდება აბსოლუტურად, თუმცა არა შეფარდებით, კანტორის ხარჯები და სტიმულს იძლევა შრომის გარკვეული დანაწილებისათვის. თუ რამდენად წარმოადგენს მოგება ასეთი ხარჯების წანამძღვარს, ეს ჩანდანდება სხვათა შორის იმით, რომ კომერციული ჯამაგირის ზრდასთან ერთად ხშირად ამ ჯამაგირის ერთი ნაწილი გადაიხდება პროცენტული ანარიცხით მოგებიდან. თვით საქმის ბუნება ისეთია, რომ შრომა, რაც მხოლოდ ისეთ მოსაშუალე ოპერაციებში მდგომარეობს, რომლებიც დაკავშირებულია ნაწილობრივ ღირებულებათა გამოანგარიშებასთან, ნაწილობრივ მათს რეალიზაციასთან, ნაწილობრივ აღებული ფულის ხელახლა წარმოების საშუალებებად გარდაქმნასთან და რომელთა მოცულობა, მაშასადამე, დამოკიდებულია წარმოებულ და სარეალიზაციო ღირებულებათა სიდიდეზე, — რომ ასეთი შრომა მოქმედებს არა როგორც მიზეზი, მსგავსად უშუალოდ მწარმოებლური შრომისა, არამედ როგორც ამ ღირებულებათა სათანადო სიდიდის და მასის შედეგი. ასეთივეა საქმის ვითარება მიმოქცევის სხვა ხარჯების მიმართაც. იმისათვის, რომ ბევრი გაიზომოს, აიწონოს, შეიფუთოს, გადაიზიდოს, საჭიროა ბევრი საქონელი იყოს; შრომის მასა, რომელიც სჭირდება შეფუთვას, გადაზიდვას და სხვ., დამოკიდებულია საქონელთა მასაზე, რომელნიც ასეთი საქმიანობის ობიექტებს შეადგენენ, და არა პირიქით.

კომერციული მუშა არ აწარმოებს უშუალოდ ზედმეტ ღირებულე-

ბას. მაგრამ მისი შრომის ფასი განისაზღვრება მისი სამუშაო ძალის ღირებულებით, მაშასადამე, ამ უკანასკნელის წარმოების ხარჯებით, მაშინ როდესაც ამ სამუშაო ძალის გამოყენება, დაძაბვა, ამოქმედება და გაცვეთა, როგორც ყოველი სხვა დაქირავებული მუშისათვის, სრულიადაც არაა შეზღუდული ამ ძალის ღირებულებით, ამიტომ მისი ხელფასი არავითარ აუცილებელ შეფარდებაში არაა მოგების მასასთან, რომლის რეალიზაციაშიც იგი შველის კაპიტალისტს. ის, რადაც იგი კაპიტალისტს უღირს, და ის, რასაც იგი ამ უკანასკნელს აძლევს,— ორი სხვადასხვა სიდიდეა. იგი კაპიტალისტს მოგებას აძლევს არა იმით, რომ უშუალოდ ზედმეტ ღირებულებას ქმნის, არამედ იმით, რომ ზედმეტი ღირებულების რეალიზაციის ხარჯების შემცირებაში შველის, რამდენადაც იგი ნაწილობრივ გადაუხდელ შრომას ასრულებს. საკუთრივ კომერციული მუშა დაქირავებულ მუშათა მეტხელფასიან კატეგორიას ეკუთვნის, — იმათ რიცხვს, ვისი შრომაც დახელოვნებული შრომაა, რომელიც საშუალო შრომაზე მაღლა დგას. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წესის პროგრესთან ერთად ხელფასს აქვს დაცემის ტენდენცია, საშუალო დახელოვნების შრომის მიმართაც კი, ნაწილობრივ შრომის დანაწილების გამო კანტორის შიგნით. აქედან უნდა წარმოდგეს მხოლოდ ცალმხრივი განვითარება შრომისუნარისა, და ასეთი შრომისუნარის წარმოქმნის ხარჯები ნაწილობრივ, არაფერი უღირს კაპიტალისტს, რადგან მუშის დახელოვნება ვითარდება თვით ფუნქციის მეოხებით, და ამასთან მით უფრო სწრაფად, რაც უფრო ცალმხრივი ხდება იგი შრომის დანაწილებასთან ერთად. მეორე, იმიტომ, რომ წინასწარი განათლების, ვაჭრობისა და ენების ცოდნის და სხვ. კვლავწარმოქმნა მეცნიერებისა და სახალხო განათლების პროგრესთან ერთად სულ უფრო სწრაფად, ადვილად წარმოებს, სულ უფრო საყოველთაო და მით უფრო იაფი ხდება, რაც უფრო კაპიტალისტური წარმოების წესი პრაქტიკული მიზნებისაკენ წარმართავს სწავლების მეთოდებს და სხვ. სახალხო სწავლების საყოველთაობა შესაძლებლობას იძლევა ამ დარგის მუშები ისეთი კლასებიდან მოგროვდეს, რომელთათვის უწინ ამ პროფესიის კარები დახშული იყო და რომელნიც უფრო ცუდ ცხოვრების წესს იყვნენ შეჩვეული. ამასთან იგი იწვევს იმას, რომ ამ პროფესიას დიდძალი ხალხი აწყდება და ამიტომ კონკურენცია ძლიერდება. ამიტომ, ზოგ გამონაკლისს გარდა, კაპიტალისტური წარმოების პროგრესთან ერთად ამ ადამიანთა სამუშაო ძალა უფასურდება, მათი ხელფასი მცირდება, მაშინ როდესაც მათი შრომისუნარიანობა მატულობს. კაპიტალისტი ადიდებს ამ მუშების რიცხვს, როცა მეტი ღირებულებისა და მოგე-

ბის რეალიზაციაა აუცილებელი. ამ შრომის გადიდება ყოველთვის შედეგია ზედმეტი ღირებულების გადიდებისა და არასოდეს მისი მიზეზი.[39 a]

ამრიგად, ადგილი აქვს გაორებას. ერთი მხრივ, კაპიტალის ფუნქციები როგორც საქონლური კაპიტალის და ფულადი კაპიტალისა (რომელიც შემდგომ განისაზღვრება როგორც კომერციული კაპიტალი) სამრეწველო კაპიტალის ზოგადი ფორმაგანსაზღვრულობანია. მეორე მხრივ, განსაკუთრებული კაპიტალები, მაშასადამე, განსაკუთრებული კატეგორიის კაპიტალისტები, მხოლოდ და მხოლოდ ამ ფუნქციებს ასრულებენ; და ამგვარად ეს ფუნქციები კაპიტალის ღირებულების ზრდის განსაკუთრებულ სფეროებად იქცევა.

მხოლოდ მერკანტილურ კაპიტალში გვევლინება კომერციული ფუნქციები და მიმოქცევის ხარჯები განცალკევებულად. სამრეწველო კაპიტალის ის მხარე, რომელიც მიმოქცევისკენაა მიბრუნებული, არსებობს არა მარტო საქონლური კაპიტალის და ფულადი კაპიტალის მუდმივ მყოფობაში, არამედ სახელოსნოს გვერდით არსებულ კანტორაშიც. მაგრამ მერკანტილურ კაპიტალში ეს მხარე განცალკევებულია. ამ კაპიტალისათვის კანტორა მის ერთადერთ სახელოსნოს შეადგენს. კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მიმოქცევის ხარჯების ფორმით გამოიყენება, მსხვილი ვაჭრის ხელში გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მრეწველის ხელში, იმიტომ რომ, გარდა საკუთარი კანტორისა, რომელიც თვითეულ სამრეწველო სახელოსნოსთან არსებობს, კაპიტალის ნაწილი, რომელიც მრეწველ კაპიტალისტთა მთელ კლასს ამგვარად უნდა გამოეყენებინა, თავმოყრილია ცალკეულ ვაჭართა ხელში, რომელნიც, ემსახურებიან რა მიმოქცევის ფუნქციების განგრძო-

---

[39a] თუ როგორ გამართლდა შემდგომში კომერციული პროლეტარიატის ბედის ეს პროგნოზი, რომელიც 1865 წელს იყო დაწერილი, ამაზე ასობით გერმანელ ნოქრებს შეუძლიათ მოგვითხრონ, რომელნიც, ყველა სავაჭრო ოპერაციაში ვაშოცდილნი და 3-4 ენის მცოდნენი, ლონდონის სიტიში ამაოდ სთავაზობენ თავიანთ სამსახურს 25 შილინგად კვირაში, — გაცილებით იაფად, ვიდრე დაჯელოვნებული მექანიკოს-ზეინკლის ხელფასი არის. — ორი გვერდი ცარიელი ადგილი, რომელიც ხელნაწერშია დატოვებული, იმას მოწმობს, რომ მარქსს განზრახვა ჰქონდა ეს პუნქტი კიდევ უფრო განევითარებინა. გარდა ამისა, ჩვენ მივუთითებთ II წიგნზე. თავი VI («მიმოქცევის ხარჯები»), გვ. 105 — 113 [კ მ ა რ ქ ს ი: «კაპიტალი». ტ. II, გამოც. 1957 წ. გვ. 159 — 168], სადაც მარქსი უკვე ეხება ბევრ რამეს ამ საკითხის შესახებ. — ფ. ე.

25. კ. მარქსი, «კაპიტალი», ტ. III.

ბას, აქედან გამომდინარე მიმოქცევის ხარჯების განგრძობასაც კის-
ულობენ.

მიმოქცევის ხარჯები სამრეწველო კაპიტალს წარმოუდგება რო-
გორც არამწარმოებლური ხარჯები და ისინი მართლაც ასეთებია.
კაჭარს ეს ხარჯები წარმოუდგება როგორც წყარო მისი მოგებისა, რო-
მელიც, თუ მოგების საერთო ნორმას ვიგულისხმებთ, — მათს სიდი-
დეს შეესაბამება. ამიტომ მიმოქცევის ხარჯებისათვის კაპიტალის
ბაღება სავაჭრო კაპიტალისათვის წარმოადგენს მწარმოებლურ დაბან-
დებას. მაშასადამე, კომერციული შრომაც, რომელსაც იგი ყიდულობს,
მისთვის უშუალოდ მწარმოებლური შრომაა.

თავი მეთვრამეტე

ვაჭრის კაპიტალის ბრუნვა. ფასები.

სამრეწველო კაპიტალის ბრუნვა მისი წარმოებისა და მიმოქცევის დროის ერთიანობაა და ამიტომ მთელ წარმოების პროცესს მოიცავს. პირიქით, ვაჭრის კაპიტალის ბრუნვა, რადგან იგი ფაქტიურად საქონლური კაპიტალის მხოლოდ განცალკევებული მოძრაობაა, საქონლის მეტამორფოზის მხოლოდ პირველ ფაზას გამოხატავს, ს — ფ, როგორც განსაკუთრებული კაპიტალის იმ მოძრაობას, რომელიც თავის ამოსავალ პუნქტს უბრუნდება; ფ — ს, ს — ფ, ვაჭრის თვალსაზრისით, წარმოადგენს ვაჭრის კაპიტალის ბრუნვას, ვაჭარი ყიდულობს, თავის ფულს საქონლად აქცევს, შემდეგ ყიდის, ამ საქონელს ხელახლა ფულად აქცევს; და ეს ასე მეორდება მუდამ. მიმოქცევის ფარგლებში სამრეწველო კაპიტალის მეტამორფოზი ყოველთვის წარმოგვიდგება როგორც $ს_1$—ფ—$ს_2$; წარმოებული საქონლის $ს_1$, გაყიდვიდან მიღებული ფული გამოიყენება წარმოების ახალი საშუალების $ს_2$, საყიდლად; ეს $ს_1$—$ს_2$ ნამდვილი გაცვლაა, და ამგვარად ერთი და იგივე ფული ორჯერ გადადის ხელიდან ხელში. ფულის მოძრაობა მოსაშუალეობს ორი სხვადასხვაგვარი საქონლის $ს_1$—$ს_2$, გაცვლას. ვაჭართან კი, პირიქით, ფ — ს — ფ′ ერთი და იგივე საქონელი ორჯერ გადადის ხელიდან ხელში; იგი მოსაშუალეობს მხოლოდ ვაჭართან ფულის დაბრუნებას.

თუ, მაგალითად, ვაჭრის კაპიტალი შეადგენს 100 გირვ. სტერლინგს, და ვაჭარი ამ 100 გირვ. სტერლინგით საქონელს იყიდის და შემდეგ ამ საქონელს 110 გირვ. სტერლინგად გაყიდის, მაშინ ეს 100 კაპიტალი ერთ გადაბრუნებას შეასრულებს, ბრუნვის რაოდენობა კი წლის განმავლობაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენ ხშირად განმეორდება წლის მანძილზე მოძრაობა ფ — ს — ფ′.

ჩვენ აქ სრულიად მხედველობის გარეშე ვტოვებთ იმ ხარჯებს, რომელთაც შეიძლება შეიცავდეს სხვაობა ნაყიდობის ფასსა და გასაყიდ

ფასს შორის, ვინაიდან ეს დანახარჯი სრულიად არაფერს ცვლის იმ ფორმაში, რომელიც ჩვენ აქ უწინარეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ.

მაშასადამე, ამა თუ იმ ვაჭრის კაპიტალის ბრუნვის რიცხვს აქ სრული ანალოგია აქვს ფულის, როგორც მიმოქცევის უბრალო საშუალებას, ბრუნვის განმეორებასთან. როგორც ერთი და იგივე ტალერი, რომელიც ათჯერ მიმოიქცევა, ათჯერ ყიდულობს თავის ღირებულებას საქონლის სახით, ასევე ვაჭრის ერთი და იგივე ფულადი კაპიტალი, მაგალითად, 100, თუ იგი ათჯერ გადაბრუნდება, ათჯერ ყიდულობს თავის ღირებულებას საქონლის სახით ანუ ათკეცი ღირებულების მთელი საქონლური კაპიტალისა = 1 000 რეალიზაციას ახდენს. მაგრამ არის განსხვავებაც: ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ტრიალისას ერთი და იმავე ფულის ერთეული გაივლის სხვადასხვა ხელში, მაშასადამე, რამდენჯერმე შეასრულებს ერთსა და იმავე ფუნქციას და ამიტომ მიმოქცევის სისწრაფე აქ მიმოქცევაში მყოფი ფულის მასის მაგივრობას სწევს. ვაჭართან კი ერთი და იგივე ფულადი კაპიტალი, — სულ ერთია, ფულის რა ერთეულებისაგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი, — ერთი და იგივე ფულადი ღირებულება განმეორებით ყიდულობს და ყიდის თავისი ღირებულების ჯამის შესაბამის საქონლურ კაპიტალს და ამიტომ რამდენჯერმე ბრუნდება წინანდელ ხელში როგორც Ф+ΔФ, უბრუნდება თავის ამოსავალ პუნქტს, როგორც ღირებულება პლუს ზედმეტი ღირებულება. ეს ახასიათებს მის ბრუნვას როგორც კაპიტალის ბრუნვას. მას მუდამ მეტი ფული გამოაქვს მიმოქცევიდან, ვიდრე მასში შეაქვს. ისე კი, თავისთავად ცხადია, სავაჭრო კაპიტალის ბრუნვის აჩქარებასთან ერთად (როდესაც, განვითარებული კრედიტის არსებობისას, ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია უპირატეს ფუნქციად იქცევა) ფულის ერთი და იგივე მასაც უფრო სწრაფად მიმოიქცევა. მაგრამ საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის ბრუნვის განმეორება არასოდეს არ გამოხატავს სხვა რაიმეს, თუ არა ყიდვის და გაყიდვის განმეორებას; მაშინ როდესაც სამრეწველო კაპიტალის ბრუნვის განმეორება მთელი კვლავწარმოების პროცესის (მასში მოხმარების პროცესის ჩართვით) პერიოდულობას და განახლებას გამოხატავს. პირიქით, სავაჭრო კაპიტალისათვის ეს მხოლოდ გარეგან პირობას წარმოადგენს. სამრეწველო კაპიტალი მუდამ ბაზარზე უნდა გადაისროდეს საქონელს, და იგი ხელახლა გამოჰქონდეს იქიდან, რათა ვაჭრის კაპიტალისათვის სწრაფი ბრუნვის შესაძლებლობა რჩებოდეს. თუ კვლავწარმოების პროცესი საერთოდ ნელა მიმდინარეობს, ნელა სრულდება სავაჭრო კაპიტალის

ბრუნვაც. მართალია, სავაჭრო კაპიტალი მოსაშუალეობს მწარმოებლური კაპიტალის ბრუნვას, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მის მიმოქცევის დროს ამოკლებს. მას არა აქვს პირდაპირი ზეგავლენა წარმოების დროზე, რომელიც აგრეთვე ზღუდეს წარმოადგენს სამრეწველო კაპიტალის ბრუნვის დროისათვის. ეს პირველი საზღვარია ვაჭრის კაპიტალის ბრუნვისათვის. მაგრამ, მეორე, — თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ იმ ზღუდეს, რომელსაც მას კვლავწარმოებით წარმოქმნილი მოხმარება უქმნის, — ეს ბრუნვა ბოლოს და ბოლოს ზღვარდებულია მთელი ინდივიდუალური მოხმარების სისწრაფითა და მოცულობით, რადგან ამაზეა დამოკიდებული საქონლური კაპიტალის მთელი ის ნაწილი, რომელიც მოხმარების ფონდში შედის.

მაგრამ (თუ სრულიად მხედველობის გარეშე დავტოვებთ ბრუნვათა რიცხვს ვაჭართა სამყაროში, სადაც ერთმა ვაჭარმა მეორეს უნდა მიჰყიდოს ერთი და იგივე საქონელი, მასთან სპეკულაციის ხანაში ამგვარ მიმოქცევას შეიძლება საქმეთა ძალიან აყვავებული მდგომარეობის სახეც ჰქონდეს) ვაჭრის კაპიტალი, ჯერ ერთი, ამოკლებს ფაზას ს — ფ მწარმოებლური კაპიტალისათვის. მეორე, თანამედროვე საკრედიტო სისტემის არსებობისას მას თავის განკარგულებაში აქვს საზოგადოების მთელი ფულადი კაპიტალის დიდი ნაწილი, ასე რომ მას შეუძლია თავისი შესყიდვები გაიმეოროს, ვიდრე უკვე ნაყიდს საბოლოოდ გაყიდდეს; ამასთან სულ ერთია, მიჰყიდის ჩვენი ვაჭარი პირდაპირ საბოლოო მომხმარებელს, თუ 12 სხვა ვაჭარი დგას მასა და უკანასკნელს შორის. იმ არაჩვეულებრივი ელასტიკურობისას, რაც ახასიათებს კვლავწარმოების პროცესს, რომელიც შეიძლება ყოველ მოცემულ საზღვარს გასცილდეს, ვაჭარს არავითარი ზღუდე ან მხოლოდ ძალიან ელასტიკური ზღუდე ხვდება თვით წარმოებაში. მაშასადამე, გარდა ს — ფ და ფ — ს აქტების განცალკევებისა, რაც საქონლის ბუნებიდან გამომდინარეობს, აქ ფიქციური მოთხოვნა იქმნება. ვაჭრის კაპიტალის მოძრაობა, მიუხედავად მისი განცალკევებისა, სხვა არაფერია, თუ არა სამრეწველო კაპიტალის მოძრაობა მიმოქცევის სფეროში. მაგრამ თავისი განცალკევების გამო ვაჭრის კაპიტალი მოძრაობს გარკვეულ ფარგლებში დამოუკიდებლად კვლავწარმოების პროცესის ზღუდისგან, და ამიტომ კვლავწარმოების პროცესს აიძულებს თავისი ჩარჩოებიდანაც კი გამოვიდეს. შინაგან დამოკიდებულებას, გარეგან დამოუკიდებლობას მიჰყავს ეს კაპიტალი ისეთ პუნქტამდე, როცა შინაგანი კავშირი კვლავ აღდგება ძალდატანებით, კრიზისის საშუალებით.

აქედან — ის მოვლენა კრიზისებში, რომ ისინი თავდაპირველად თავს იჩენენ და იფეთქებენ ხოლმე არა საცალო ვაჭრობაში, რომელსაც უშუალო მოხმარებასთან აქვს საქმე, არამედ ბითუმად ვაჭრობისა და ბანკების სფეროში, რომელნიც საზოგადოების ფულად კაპიტალს გადასცემენ პირველის განკარგულებაში.

მეფაბრიკემ შეიძლება ნამდვილად ექსპორტერს მიჰყიდოს, ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, თავის უცხოელ მუშტარს მიჰყიდოს, იმპორტერმა შეიძლება თავისი ნედლეული მეფაბრიკეზე გაასაღოს, ამ უკანასკნელმა თავისი პროდუქტები ბითუმად მოვაჭრეს მიჰყიდოს და სხვა. მაგრამ ერთ რომელიმე უჩინარ პუნქტზე საქონელი გაუყიდავი რჩება, ან სხვა შემთხვევაში ყველა მწარმოებელთა და შუამავალ-ვაჭართა მარაგი თანდათან ივსება. ჩვეულებრივ სწორედ ასეთ პერიოდებში მოხმარება უაღრესად აყვავებულია, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ერთ მრეწველ კაპიტალისტს მოძრაობაში მოჰყავს მთელი რიგი სხვა კაპიტალისტები, ნაწილობრივაც იმიტომ, რომ მათ მიერ დასაქმებულ მუშებს, რომელნიც სრულ დროს მუშაობენ, შეუძლიათ ჩვეულებრივზე მეტი ხარჯონ. კაპიტალისტთა შემოსავლის ზრდასთან ერთად მატულობს მათი ხარჯებიც. გარდა ამისა, როგორც ეს ჩვენ დავინახეთ (წიგნი II, განყოფ. III), ადგილი აქვს განუწყვეტელ მიმოქცევას მუდმივ კაპიტალსა და მუდმივ კაპიტალს შორის (აჩქარებული დაგროვებაც რომ მხედველობაში არ მივიღოთ), რაც, ერთი მხრივ, დამოუკიდებელია ინდივიდუალური მოხმარებისგან იმ აზრით, რომ იგი მასში არასოდეს არ შედის, მაგრამ რაც საბოლოო ანგარიშით მაინც ზღვარდებულია ამ ინდივიდუალური მოხმარებით, რადგან მუდმივი კაპიტალის წარმოება არასოდეს არ ხდება თვით მისი გულისათვის, არამედ მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მეტი მუდმივი კაპიტალი გამოიყენება წარმოების იმ სფეროებში, რომელთა პროდუქტები ინდივიდუალურ მოხმარებაში შედის. მაგრამ ეს წარმოება შეიძლება გარკვეული დროის განმავლობაში მშვიდად მიდიოდეს თავისი გზით. მოსალოდნელი მოთხოვნით აღგზნებული, და ამიტომ ამ დარგებში ვაჭრებსა და მრეწველებს ფრიად მარჯვედ მიუდით საქმე. კრიზისი დგება, როგორც კი ვაჭრებს, რომლებიც შორეულ ბაზრებზე ყიდიან (ან რომელთაც ქვეყნის შიგნით დიდი მარაგი დაუგროვდათ), დანახარჯი ისე ნელა და მცირე რაოდენობით უბრუნდებათ, რომ ბანკები დაჟინებით მოითხოვენ სესხის გადახდას, ანდა ნაყიდ საქონელზე გაცემულ თამასუქებს ვადა გაუდის, ვიდრე ხელახალი გაყიდვა მოხდებოდეს. მაშინ იწყება იძულებითი გაყიდვა, გაყიდვა გადახდის მიზნით.

და ამასთან ერთად იწყება კრახი, რომელიც მოჩვენებითი ხასიათის აყვავებას ერთბაშად ბოლოს უღებს.

მაგრამ ვაჭრის კაპიტალის ბრუნვის გარეგნული ხასიათი და ირაციონალობა კიდევ უფრო დიდია იმის გამო, რომ ერთი და იმავე ვაჭრის კაპიტალის ბრუნვა შეიძლება ფრიად სხვადასხვა მწარმოებლური კაპიტალის ბრუნვას ემსახურებოდეს იმავდროულად ან რიგრიგობით.

მაგრამ ვაჭრის კაპიტალის ბრუნვა შეიძლება ემსახურებოდეს არა მარტო სხვადასხვა სამრეწველო კაპიტალის ბრუნვას, არამედ საქონლური კაპიტალის მეტამორფოზის საპირისპირო ფაზასაც. ვაჭარი, მაგალითად, ტილოს ყიდულობს მეფაბრიკისაგან და მას მთეთრებელს მიჰყიდის; მაშასადამე, ამ შემთხვევაში ერთი და იმავე სავაჭრო კაპიტალის ბრუნვა, — ნამდვილად ერთი და იგივე აქტი ს — ფ, ტილოს რეალიზაცია, — წარმოადგენს ორ საპირისპირო ფაზას ორი სხვადასხვა სამრეწველო კაპიტალისათვის. რამდენადაც ვაჭარი საერთოდ მწარმოებლური მოხმარებისათვის ყიდის, მისი ს — ფ მუდამ რომელიმე სამრეწველო კაპიტალის ფ — ს არის, ხოლო მისი ფ — ს ყოველთვის რომელიმე სხვა სამრეწველო კაპიტალის ს — ფ არის.

თუ ჩვენ, როგორც ეს ამ თავში ხდება, მხედველობის გარეშე დავტოვებთ K-ს, მიმოქცევის ხარჯებს, ე. ი. კაპიტალის იმ ნაწილს, რომელსაც ვაჭარი ავანსად გაიღებს გარდა საქონლის ყიდვაზე დახარჯული თანხისა, მაშინ, რასაკვირველია, მოიხსნება ΔK-აც, დამატებითი მოგება, რომელსაც იგი ამ დამატებით კაპიტალზე იღებს. მაშასადამე, გამოკვლევის ეს წესი ზუსტად ლოგიკური და მათემატიკურად სწორი წესია, რაკი საქმე შეეხება იმას, რომ გავიგოთ, როგორი ზეგავლენა აქვს ფასებზე მოგებას და ვაჭრის კაპიტალის ბრუნვას.

თუ 1 გირვ. შაქრის წარმოების ფასი 1 გირვ. სტერლინგს შეადგენს, მაშინ ვაჭარს 100 გირვ. სტერლინგით 100 გირვ. შაქრის ყიდვა შეუძლია. თუ იგი წლის განმავლობაში ამ რაოდენობას ყიდულობს და ყიდის და თუ მოგების წლიური საშუალო ნორმა 15% არის, — 100 გირვ. სტერლინგზე იგი წაუმატებს 15 გირვ. სტერლინგს, და 1 გირვ. სტერლინგზე, 1 გირვ. შაქრის წარმოების ფასზე, — 3 შილინგს. მაშასადამე, გირვ. შაქარს იგი გაყიდდა 1 გირვ. სტერლ. და 3 შილინგად. პირიქით, თუ გირვ. შაქრის ფასი 1 შილინგამდე დაეცა, ვაჭარი 100 გირვ. სტერლინგად 2 000 გირვანქას იყიდის და გირვანქას 1 შილ. $1^4/_5$ პენსად გაყიდის. ორივე შემთხვევაში წლიური მოგება შაქრის საქმეში დაბანდებულ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალზე იქნება =

= 15 გირვ. სტერლინგი, მხოლოდ პირველ შემთხვევაში ვაჭარმა უნდა გაყიდოს 100, მეორეში — 2 000 გირვანქა. წარმოების ფასი მაღალია თუ დაბალი, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მოგების ნორმისათვის; მაგრამ ფრიად დიდი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, თუ რაოდენ დიდია თვითეული გირვანქა შაქრის გასაყიდი ფასის ის ჯერადი ნაწილი, რომელიც მერკანტილურ მოგებას შეადგენს, ე. ი. რაოდენ დიდია ფასის ის წანამატი, რომელსაც ვაჭარი ადებს განსაზღვრული რაოდენობის საქონელს (პროდუქტს). თუ საქონლის წარმოების ფასი მცირეა, — მცირეა ის თანხაც, რომელსაც ვაჭარი ავანსად გაიღებს საქონლის ნაყიდობის ფასისთვის, ე. ი. მისი განსაზღვრული მასისთვის, და, მაშასადამე, როცა მოგების ნორმა მოცემულია, მცირეა მოგების რაოდენობაც, რომელსაც იგი იღებს იაფი საქონლის ამ მოცემულ რაოდენობაზე; ანუ, რაც იმასვე ნიშნავს, ამ შემთხვევაში მას მოცემული კაპიტალით, მაგალითად, 100-ით, ამ იაფი საქონლის უფრო დიდი მასის ყიდვა შეუძლია, და მთელი მოგება 15, რომელსაც იგი 100-ზე იღებს, განაწილდება პატარა წილადებად ამ საქონელთა მასის თვითეულ ცალზე. თუ პირიქითაა, — პირიქით. ეს სრულიად და საესებით დამოკიდებულია იმ სამრეწველო კაპიტალის მეტ თუ ნაკლებ მწარმოებლურობაზე, რომლის საქონლითაც იგი ვაჭრობას ეწევა. თუ იმ შემთხვევებს გამოვრიცხავთ, როცა ვაჭარი მონოპოლისტია და იმავე დროს წარმოებაც მას მონოპოლიზებული აქვს, როგორც, მაგალითად, თავის დროს ჰოლანდია — ოსტ-ინდოეთის კომპანიას ჰქონდა, უფრო შეუსაბამო არა არის რა, ვიდრე ის მეეულებრივი წარმოდგენა, თითქოს ვაჭრის სურვილზე იყოს დამოკიდებული, გაყიდის იგი ბევრ საქონელს მცირე მოგებით ერთეულ საქონელზე, თუ ცოტა საქონელს დიდი მოგებით ერთეულ საქონელზე. ორი საზღვარი არსებობს მისი გასაყიდი ფასისათვის: ერთი მხრივ, საქონლის წარმოების ფასი, რომელიც მასზე არ არის დამოკიდებული. მეორე მხრივ — მოგების საშუალო ნორმა, რომელიც ასევე არაა მასზე დამოკიდებული. ერთადერთი რამ, რაც მასზეა დამოკიდებული, — ეს არის ძვირი ან იაფი საქონლით ვაჭრობის შესაძლებლობა. მაგრამ აქაც გარკვეულ როლს ასრულებს იმ კაპიტალის სიდიდე, რომელიც მის განკარგულებაში მოიპოვება, და სხვა გარემოებებიც. თუ როგორ მოიქცევა ვაჭარი, ეს სავსებით დამოკიდებულია კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების დონეზე, და არა ვაჭრის სურვილზე. მხოლოდ ისეთ სავაჭრო კომპანიას, როგორიც ძველი ჰოლანდია — ოსტ-ინდოეთის კომპანია იყო, რომელსაც წარმოების მონოპოლია ჰქონდა, შეეძლო აზრად მოსვლოდა სრულიად შეცვლილ

პირობებში განეგრძო ისეთი მეთოდით ხელმძღვანელობა, რომელიც, დიდი-დიდი, კაპიტალისტური წარმოების ჩანასახებს შეეფერებოდა [40].

თუ ეს გავრცელებული ცრურწმენა, — რომელიც, თუმცა, როგორც საერთოდ ყველა მცდარი წარმოდგენა მოგების შესახებ და სხვ., მარტოოდენ ვაჭრობაზე წარმოებული დაკვირვებიდან და ვაჭართა ცრუშეხედულებიდან გამომდინარეობს, — დღემდე კიდევ სულდგმულობს, ამის დასაყრდენია, სხვათა შორის, შემდეგი გარემოებანი:

პ ი რ ვ ე ლ ი: კონკურენციის მოვლენანი, რომელნიც შეეხებიან მხოლოდ მერკანტილური მოგების განაწილებას ცალკე ვაჭართა, ერთობლივი სავაჭრო კაპიტალის მოწილეთა შორის; მაგალითად, თუ ერთი უფრო იაფად ყიდის, რათა თავისი მეტოქეები დაამარცხოს.

მ ე ო რ ე: იმ ყალიბის ეკონომისტს, როგორიც პროფესორი როშერია, შეუძლია კიდევ წარმოიდგინოს ლაიფციგში, რომ გასაყიდი ფასების ცვლილება «კეთილგონიერებისა და ჰუმანურობის» მოსაზრებებით წარმოიქმნა და რომ იგი არ ყოფილა შედეგი წარმოების წესში მომხდარი გადატრიალებისა.

მ ე ს ა მ ე: თუ წარმოების ფასებმა დაიწია შრომის მწარმოებლური ძალის გადიდების შედეგად, მაშასადამე, დაიწია გასაყიდმა ფასებმაც. მაშინ მოთხოვნა უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე მიწოდება, და მასთან ერთად გაიზრდება საბაზრო ფასებიც, ასე რომ გასაყიდი ფასები საშუალო მოგებაზე მეტს იძლევა.

მ ე ო თ ხ ე: რომელიმე ვაჭარმა შეიძლება დაბლა დასწიოს გასაყიდი ფასი (რაც ყოველთვის იმ ჩვეულებრივი მოგების დაბლა დაწევას ნიშნავს მხოლოდ, რომელსაც იგი ფასს წაუმატებს), რათა უფრო დიდმა კაპიტალმა უფრო სწრაფად იბრუნოს მის საწარმოში. ყველა-

---

[40] «მოგება, საერთო წესის თანახმად, ყოველთვის ერთი და იგივეა, სულ ერთია — როგორიც უნდა იყოს ფასი; იგი ინარჩუნებს თავის ადგილს, როგორც მოცურავე სხეული ტალღათა მიქცევისა და მოქცევის დროს. ამიტომ, როცა ფასები აიწევს, ვაჭარიც სწევს ფასებს, როდესაც ფასები ეცემა, ვაჭარიც დაბლა სწევს ფასს» (**Corbet: «An Inquiry into the Causes and Modes of the Wealth of Individuals». London** 1845, გვ. 15). — აქ, როგორც საერთოდ ტექსტშიაც, ლაპარაკია მხოლოდ ჩვეულებრივ ვაჭრობაზე და არა სპეკულაციაზე, რომლის განხილვა, როგორც საერთოდ ყველაფერი, რაც სავაჭრო კაპიტალის დანაწილებას შეეხება, ჩვენი გამოკვლევის ფარგლებს სცილდება. «სავაჭრო მოგება კაპიტალისადმი მიმართებული ღირებულებაა, რომელიც ფასისაგან დამოუკიდებელია; მეორე» (სპეკულაცია) «კაპიტალის ღირებულების ან თვით ფასის ცვალებადობაზეა დაფუძნებული» (იქვე, გვ. 12).

ფერი ეს ისეთი რამ არის, რაც შეეხება მხოლოდ კონკურენციას თვით ვაჭრებს შორის.

უკვე I წიგნში ნაჩვენები იყო, რომ საქონლის ფასების სიმაღლე თუ სიდაბლე არ განსაზღვრავს არც ზედმეტი ღირებულების მასას, რასაც მოცემული კაპიტალი აწარმოებს, და არც ზედმეტი ღირებულების ნორმას; თუმცა საქონლის იმ შეფარდებითი რაოდენობის შესაბამისად, რომელსაც მოცემული რაოდენობის შრომა აწარმოებს, ერთეული საქონლის ფასი და ამასთან ერთად ამ ფასის ის ნაწილიც, რომელიც ზედმეტ ღირებულებას შეესაბამება, უფრო დიდი ან უფრო მცირე იქნება. საქონლის ყოველი რაოდენობის ფასები, რამდენადაც ისინი ღირებულებას შეესაბამებიან, იმ შრომის მთელი რაოდენობით განისაზღვრება, რომელიც ამ საქონელშია გასაგნობრივებული. თუ ცოტა შრომა ბევრ საქონელში საგნობრივდება, ცალკეული საქონლის ფასი დაბალია და მასში მოქცეული ზედმეტი ღირებულება მცირეა. თუ როგორ ნაწილდება საქონელში გასაგნობრივებული შრომა გადახდილ და გადაუხდელ შრომად, მაშასადამე, საქონლის ფასის რა რაოდენობა წარმოადგენს ზედმეტ ღირებულებას, — ამას არავითარი კავშირი არა აქვს ამ შრომის მთელ რაოდენობასთან, — და, მაშასადამე, საქონლის ფასთანაც. მაგრამ ზედმეტი ღირებულების ნორმა დამოკიდებულია არა იმ ზედმეტი ღირებულების აბსოლუტურ სიდიდეზე, რომელიც ცალკეული საქონლის ფასშია მოქცეული, არამედ მის შეფარდებითს სიდიდეზე, მის შეფარდებაზე ხელფასთან, რომელიც ერთვე საქონელშია მოქცეული. ამიტომ ნორმა შეიძლება დიდი იყოს, თუმცა ზედმეტი ღირებულების აბსოლუტური სიდიდე ყოველი ცალკეული საქონლისათვის პატარა არის. ზედმეტი ღირებულების ეს აბსოლუტური სიდიდე ყოველ ცალკეულ საქონელში დამოკიდებულია პირველ რიგში შრომის ნაყოფიერებაზე და მხოლოდ მეორე რიგში მის დაყოფაზე გადახდილ და გადაუხდელ შრომად.

კომერციული გასაყიდი ფასისთვის წარმოების ფასი წინასწარ მოცემულ გარეგან წანამძღვარსაც კი წარმოადგენს.

საქონლის კომერციული ფასების მაღალი დონე უწინდელ დროში გაპირობებული იყო 1) მაღალი წარმოების ფასებით, ე. ი. შრომის დაბალი ნაყოფიერებით; 2) მოგების საერთო ნორმის არარსებობით. რადგან ვაჭრის კაპიტალი ზედმეტი ღირებულების ბევრად უფრო დიდ ნაწილს მიითვისებდა, ვიდრე მას ერგებოდა კაპიტალების საყოველთაო მოძრაობის დროს. მაშასადამე, ამ მდგომარეობის შეწყვეტა, — თუ საქმის ვითარებას ორივე მხრიდან განვიხილავთ, — კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების შედეგია.

ვაჭრობის სხვადასხვა დარგში ვაჭრის კაპიტალის ბრუნვა უფრო ხანგრძლივია ან უფრო ხანმოკლე, მაშასადამე, ბრუნვათა რიცხვი წლის განმავლობაში უფრო დიდია ან უფრო პატარა. ვაჭრობის ერთსა და იმავე დარგში ეკონომიური ციკლის სხვადასხვა ფაზაში ბრუნვა უფრო სწრაფია ან უფრო ნელი. მაგრამ მაინც ადგილი აქვს ბრუნვის საშუალო რიცხვს, რომელიც გამოცდილებით მყარდება.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ვაჭრის კაპიტალის ბრუნვა განსხვავებულია სამრეწველო კაპიტალის ბრუნვისაგან. ეს საგნის ბუნებიდან გამომდინარეობს; ცალკეული ფაზა სამრეწველო კაპიტალის ბრუნვაში გვევლინება როგორც სრული ბრუნვა საკუთრივ ვაჭრის კაპიტალის ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილისა. გარდა ამისა, ვაჭრის კაპიტალის ბრუნვა სხვაგვარ მიმართებაშია მოგებისა და ფასის განსაზღვრასთან.

სამრეწველო კაპიტალის ბრუნვა გამოსახავს, ერთი მხრივ, კვლავწარმოების პერიოდულობას და ამიტომ მასზე დამოკიდებულია საქონელთა ის მასა, რომელიც ბაზარზე გადაისროლება განსაზღვრული დროის განმავლობაში. მეორე მხრივ, მიმოქცევის დრო წარმოადგენს საზღვარს, თუმცა განვრცობადს, რომელიც, ახდენს რა ზემოქმედებას წარმოების პროცესის მოცულობაზე, მეტნაკლებ შემზღუდველად მოქმედებს ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების წარმოქმნაზე. ამიტომ ბრუნვა — არა როგორც დადებითი, არამედ როგორც შემზღუდველი ელემენტი — განმსაზღვრელ მომენტად შედის წლიურად წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასაში და, მაშასადამე, მოგების საერთო ნორმის წარმოქმნაში. პირიქით, მოგების საშუალო ნორმა მოცემული სიდიდეა ვაჭრის კაპიტალისთვის. ეს უკანასკნელი უშუალო მონაწილეობას არ იღებს მოგების ანუ ზედმეტი ღირებულების შექმნაში, და მოგების ნორმის წარმოქმნაში განმსაზღვრელ მომენტად შედის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი, — იმ ნაწილის შესაბამისად, რასაც იგი მთელ კაპიტალში შეადგენს, — თავის დივიდენდს იღებს სამრეწველო კაპიტალის მიერ წარმოებული მოგების მასიდან.

რაც უფრო დიდია სამრეწველო კაპიტალის ბრუნვის რიცხვი, — იმ პირობებში, რომლებიც განხილულია II წიგნში, განყოფ. II, — მით უფრო დიდია მის მიერ წარმოებული მოგების მასა. მართალია. ახლა მოგების საერთო ნორმის დამყარებით ერთობლივი მოგება ნაწილდება სხვადასხვა კაპიტალზე, მაგრამ ნაწილდება არა ამ მოგების წარმოებაში მათი უშუალო მონაწილეობის პროპორციულად, არამედ

იმ ჯერადი ნაწილის შესაბამისად, რომელსაც თვითეული მათგანი შეადგენს მთელ კაპიტალში, ე. ი. მათი სიდიდის პროპორციულად. მაგრამ საგნის არსი ამით სრულიადაც არ იცვლება. რაც უფრო დიდია მთელი სამრეწველო კაპიტალის ბრუნვის რიცხვი, მით უფრო დიდია მოგების მასა, წლიურად წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა და, ამიტომ, სხვა თანაბარ პირობებში, მოგების ნორმაც. სხვაგვარადაა საქმე ვაჭრის კაპიტალის მიმართ. ამ უკანასკნელისათვის მოგების ნორმა მოცემული სიდიდეა, რომელიც განისაზღვრება, ერთი მხრივ, სამრეწველო კაპიტალის მიერ წარმოებული მოგების მასით, მეორე მხრივ, — მთელი სავაჭრო კაპიტალის შეფარდებითი სიდიდით, მისი რაოდენობრივი შეფარდებით იმ კაპიტალის ჯამთან, რომელიც ავანსებულია წარმოების პროცესისა და მიმოქცევის პროცესისათვის. მისი ბრუნვათა რიცხვი, რასაკვირველია, განმსაზღვრელად მოქმედებს მის შეფარდებაზე მთელ კაპიტალთან, ანუ მიმოქცევისათვის აუცილებელი საკაჭრო კაპიტალის შეფარდებითს სიდიდეზე, რადგან ცხადია, რომ აუცილებელი სავაჭრო კაპიტალის აბსოლუტური სიდიდე და მისი ბრუნვის სისწრაფე პირუკუ შეფარდებაშია ერთიმეორესთან; მაგრამ მისი შეფარდებითი სიდიდე, ანუ ის წილი, რასაც იგი მთელ კაპიტალზე შეადგენს, მისი აბსოლუტური სიდიდითაა მოცემული, თუ ვიგულისხმებთ, რომ ყველა სხვა პირობა თანაბარია. როცა მთელი კაპიტალი 10 000-ს უდრის, მაშინ, თუ ვაჭრის კაპიტალი მის $^1/_{10}$-ს შეადგენს, ეს უკანასკნელი = 1 000; როცა მთელი კაპიტალი 1 000-ია, მაშინ მისი $^1/_{10}$ = 100. ამდენად მისი აბსოლუტური სიდიდე განსხვავებულია, თუმცა მისი შეფარდებითი სიდიდე იგივე რჩება, — განსხვავებულია მთელი კაპიტალის სიდიდის შესაბამისად. მაგრამ ჩვენ აქ ვგულისხმობთ, რომ მისი შეფარდებითი სიდიდე, ვთქვათ, მთელი კაპიტალის $^1/_{10}$, მოცემულია. თვით ეს შეფარდებითი სიდიდე, თავის მხრივ, ბრუნვით განისაზღვრება. სწრაფი ბრუნვისას მისი აბსოლუტური სიდიდე, მაგალითად, პირველ შემთხვევაში უდრის 1 000 გირვ. სტერლ., მეორეში — 100 და ამიტომ მისი შეფარდებითი სიდიდე = = $^1/_{10}$. უფრო ნელი ბრუნვისას მისი აბსოლუტური სიდიდე, ვთქვათ, პირველ შემთხვევაში უდრის 2 000, მეორეში — 200. ამიტომ მისი შეფარდებითი სიდიდე გადიდდა ერთობლივი კაპიტალის $^1/_{10}$-იდან $^1/_5$-მდე. პირობები, რომლებიც ვაჭრის კაპიტალის ბრუნვის საშუალო ხანგრძლიობას ამოკლებენ, მაგალითად, ტრანსპორტის საშუალებათა განვითარება,—ამცირებენ pro tanto [შესაბამისად] ვაჭრის კაპიტალის აბსოლუტურ სიდიდეს, მაშასადამე, ადიდებენ მოგების საერთო ნორმას. თუ პირიქითაა, — პირიქით. განვითარებული კაპიტალისტური

წარმოების წესი, წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით, ორგვარ ზემოქმედებას ახდენს ვაჭრის კაპიტალზე: საქონელთა იგივე რაოდენობა გადაბრუნდება ნამდვილად მოქმედი სავაჭრო კაპიტალის ნაკლები მასის საშუალებით; ვაჭრის კაპიტალის უფრო სწრაფი ბრუნვისა და კვლავწარმოების პროცესის უფრო დიდი სისწრაფის გამო, — ამაზეა დაფუძნებული უფრო სწრაფი ბრუნვა, — მცირდება სავაჭრო კაპიტალის შეფარდება სამრეწველო კაპიტალთან. მეორე მხრივ კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად მთელი წარმოება საქონელწარმოებად იქცევა, და ამიტომ მთელი პროდუქტი მიმოქცევის აგენტების ხელში ხვდება; ამას ერთვის კიდევ ის, რომ წარმოების წინანდელი წესის დროს, როცა პატარა მასშტაბით იწარმოებოდა — თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროდუქტთა მასას, რომლებსაც უშუალოდ თვით მწარმოებლები in natura [ნატურალური სახით] მოიხმარებდნენ და ბეგარის მასას, რომელსაც in natura ასრულებდნენ — მწარმოებელთა დიდ ნაწილს თავისი საქონელი უშუალოდ მომხმარებლისთვის უნდა მიეყიდნა ანდა მისი პირადი დაკვეთით ემუშავნა. ამიტომ, თუმცა წარმოების წინანდელი წესების დროს კომერციული კაპიტალი უფრო დიდია საქონლური კაპიტალის მიმართ, რომელსაც იგი აბრუნებს, მაგრამ

1) აბსოლუტურად უფრო პატარაა, რადგან მთელი პროდუქტის გაცილებით უფრო პატარა ნაწილი იწარმოება საქონლის სახით და იგი, როგორც საქონლური კაპიტალი, უნდა შევიდეს მიმოქცევაში ღა მოხვდეს ვაჭრების ხელში; სავაჭრო კაპიტალი უფრო პატარაა, იმიტომ რომ უფრო პატარაა საქონლური კაპიტალი. მაგრამ ამავე დროს იგი შეფარდებით უფრო დიდია არა მარტო თავისი ბრუნვის უფრო დიდი სინელის გამო და არა მარტო საქონელთა მასასთან შედარებით, რომელთაც იგი აბრუნებს; იგი უფრო დიდია იმიტომაც, რომ ამ საქონელთა მასის ფასი, მაშასადამე, მისთვის ავანსად გასაღები სავაჭრო კაპიტალი, შრომის ნაკლები ნაყოფიერების გამო, უფრო დიდია, ვიდრე კაპიტალისტური წარმოების დროს; ამიტომ იგივე ღირებულება საქონელთა უფრო პატარა მასით გამოიხატება.

2) კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველზე საქონელთა არა მხოლოდ უფრო დიდი მასა იწარმოება (ამასთან ანგარიშში მისაღებია საქონელთა ამ მასის ღირებულების შემცირება), არამედ პროდუქტის, მაგალითად, მარცვლეულის ერთი და იგივე მასა საქონლის უფრო დიდ მასას შეადგენს, ე. ი. მისი სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილი შედის ვაჭრობაში. ესეც კია, რომ ამის შედეგად იზრდება არა მხო-

ლოდ ვაჭრის კაპიტალის მასა, არამედ საერთოდ მთელი კაპიტალი, რომელიც მიმოქცევაშია დაბანდებული, მაგალითად, ნაოსნობაში, რკინიგზებში, ტელეგრაფში და სხვ.

3) მაგრამ. — და ეს არის ის თვალსაზრისი, რომლის გადმოცემა «კაპიტალების კონკურენციის» სფეროს ეკუთვნის, — ვაჭრის კაპიტალი, რომელიც არ მოქმედებს ან მხოლოდ სანახევროდ მოქმედებს, იზრდება კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად, რამდენადაც სულ უფრო ადვილდება მისი შეჭრა წვრილ ვაჭრობაში, რამდენადაც ვითარდება სპეკულაცია და იზრდება განთავისუფლებული კაპიტალის სიჭარბე.

მაგრამ, თუ მთელი კაპიტალის მიმართ ვაჭრის კაპიტალის შეფარდებითს სიდიდეს მოცემულად ვიგულისხმებთ, ბრუნვის სხვაობა ვაჭრობის სხვადასხვა დარგში გავლენას არ ახდენს არც იმ მთელი მოგების სიდიდეზე, რომელიც ვაჭრის კაპიტალის წილად მოდის, და არც მოგების საერთო ნორმაზე. ვაჭრის მოგება განისაზღვრება არა იმ საქონლური კაპიტალის მასით, რომელსაც იგი აბრუნებს, არამედ იმ ფულადი კაპიტალის სიდიდით, რომელსაც იგი ავანსად გაიღებს ამ ბრუნვის შესასრულებლად. თუ მოგების საერთო წლიური ნორმა 15%-ია და ვაჭარი ავანსად გაიღებს 100 გირვ. სტერლინგს, მაშინ, თუკი მისი კაპიტალი წელიწადში ერთხელ გადაბრუნდება, იგი თავის საქონელს 115-ად გაყიდის. თუ მისი კაპიტალი ხუთჯერ გადაბრუნდება წლის განმავლობაში, მაშინ იგი წელიწადში ხუთჯერ გაყიდის 103-ად საქონლურ კაპიტალს, რომლის ნაყიდობის ფასი 100-ს უდრის. მაშასადამე, მთელი წლის განმავლობაში 500-ის საქონლურ კაპიტალს 515-ად გაყიდის. მაგრამ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ეს შეადგენს მის მიერ ავანსებულ კაპიტალზე, 100-ზე, წლიურ მოგებას 15-ს. ეს რომ ასე არ იყოს, ვაჭრის კაპიტალი, მისი ბრუნვათა რიცხვის შესაბამისად, ბევრად უფრო მაღალ მოგებას მოიტანდა, ვიდრე სამრეწველო კაპიტალი, რაც მოგების საერთო ნორმის კანონს ეწინააღმდეგება.

ამრიგად, ვაჭრის კაპიტალის ბრუნვის რიცხვი ვაჭრობის სხვადასხვა დარგში პირდაპირ გავლენას ახდენს საქონელთა მერკანტილურ ფასებზე. სავაჭრო ფასის წანამატის სიმაღლე, მოცემული კაპიტალის იმ სავაჭრო მოგების ჯერადი ნაწილის სიდიდე, რომელიც ცალკეული საქონლის წარმოების ფასზე მოდის, პირუკუ შეფარდებაშია სავაჭრო კაპიტალების ბრუნვათა რიცხვთან, ანუ ბრუნვის სისწრაფესთან ვაჭრობის სხვადასხვა დარგში. თუ ვაჭრის კაპიტალი ხუთ-

ჯერ გადაბრუნდება წელიწადში, იგი ტოლი ღირებულების საქონლურ კაპიტალს ადებს იმ წანამატის მხოლოდ 1/5-ს, რასაც ადებს ასეთივე ღირებულების საქონლურ კაპიტალს მეორე ვაჭრის კაპიტალი, რომელიც მხოლოდ ერთხელ გადაბრუნდება წელიწადში.

ვაჭრობის სხვადასხვა დარგში კაპიტალების ბრუნვის საშუალო დროის გავლენა გასაყიდ ფასებზე იმით გამოიხატება, რომ ამ ბრუნვის სისწრაფის შესაბამისად მოგების ერთი და იგივე მასა, რომელიც ვაჭრის კაპიტალის მოცემული სიდიდისას მოგების საერთო წლიური ნორმით განისაზღვრება, ე. ი. განისაზღვრება ამ კაპიტალის სავაჭრო ოპერაციის სპეციალური ხასიათისგან დამოუკიდებლად, — სხვადასხვაგვარად განაწილდება ერთი და იმავე ღირებულების საქონელთა მასაზე, ასე რომ, მაგალითად, ხუთჯერ გადაბრუნებისას წელიწადში საქონლის ფასს $\frac{15}{5} = 3\%$ წაემატება, პირიქით, წელიწადში ერთხელ გადაბრუნებისას — 15%.

მაშასადამე, კომერციული მოგების ერთი და იგივე პროცენტული ნორმა ვაჭრობის სხვადასხვა დარგში საქონელთა გასაყიდ ფასებს, ბრუნვის ხანგრძლიობის შესაბამისად, ადიდებს სულ სხვადასხვა პროცენტით, რაც ამ საქონელთა ღირებულების მიმართ გამოიანგარიშება.

პირიქით, სამრეწველო კაპიტალის ბრუნვის დრო არავითარ გავლენას არ ახდენს წარმოებული ცალკეული საქონლის ღირებულების სიდიდეზე, თუმცა მას გავლენა აქვს მოცემული დროის განმავლობაში მოცემული კაპიტალის მიერ წარმოებულ ღირებულებათა და ზედმეტ ღირებულებათა მასაზე, იმიტომ რომ გავლენა აქვს ექსპლოატირებული შრომის მასაზე. რასაკვირველია, ეს შენიღბულია და ისე გვეჩვენება, თითქოს საქმე სხვაგვარადაა, როგორც კი წარმოების ფასებს მივაპყრობთ თვალს, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვადასხვა საქონლის წარმოების ფასები, წინათ განმარტებული კანონების თანახმად, გადაიხრება მათი ღირებულებისაგან. თუ მთელი წარმოების პროცესს, მთელი სამრეწველო კაპიტალის მიერ წარმოებულ საქონელთა მასას განვიხილავთ, მაშინვე ვპოვებთ საერთო კანონის დადასტურებას.

ამრიგად, მაშინ როდესაც იმ გავლენის უფრო ზედმიწევნით განხილვას, რომელიც ბრუნვის დროს აქვს სამრეწველო კაპიტალთან დაკავშირებით ღირებულების წარმოქმნაზე, კვლავ მივყავართ იმ ზოგად კანონთან და პოლიტიკური ეკონომიის ბაზისთან, რომ საქონელთა ღირებულება მათში მოქცეული სამუშაო დროით განისაზღვ-

რება, — ვაჭრის კაპიტალის ბრუნვის გავლენა მერკანტილურ ფასებზე ამჟღავნებს ისეთ მოვლენებს, რომლებიც, შუალედური რგოლების დაწვრილებითი ანალიზის მოუხდენლად, ფასების თითქოს წმინდა ნებისმიერ განსაზღვრას გულისხმობენ, სახელდობრ მათს განსაზღვრას უბრალოდ იმით, რომ კაპიტალი უცებ გადაწყვეტს მოგების განსაზღვრული რაოდენობა მიიღოს წლის განმავლობაში. სახელდობრ, ბრუნვის ასეთი გავლენის გამო ისე გვეჩვენება, თითქოს მიმოქცევის პროცესი როგორც ასეთი, გარკვეულ ფარგლებში, წარმოების პროცესისგან დამოუკიდებლად, განსაზღვრავს საქონელთა ფასებს. ყველა ზერელე და უკუღმართი შეხედულება ერთობლივი კვლავწარმოების პროცესის შესახებ აღებულია ვაჭრის კაპიტალის განხილვიდან და იმ წარმოდგენიდან, რასაც ამ კაპიტალის თავისებური მოძრაობა იწვევს მიმოქცევის აგენტების თავში.

თუ, როგორც ეს მკითხველმა გაიგო თავისდა სამწუხაროდ, კაპიტალისტური წარმოების პროცესის ნამდვილი, შინაგანი კავშირის ანალიზი ფრიად რთულ რამეს და ძალიან სერიოზულ შრომას წარმოადგენს; თუ მეცნიერების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხილული, მოვლენათა ზედაპირზე გამოჩენილი მოძრაობა შინაგან ნამდვილ მოძრაობაზე დაიყვანოს, — მაშინ თავისთავად გასაგებია, რომ კაპიტალისტური წარმოებისა და მიმოქცევის აგენტების თავში ისეთი წარმოდგენა უნდა შეიქმნას წარმოების კანონების მიმართ, რომელიც სრულიად არ შეესაბამება ამ კანონებს და რომელიც მხოლოდ მოვლენათა ზედაპირზე მიმდინარე მოძრაობის ცნობიერ გამოსახულებას წარმოადგენს. ვაჭრის, ბირჟის სპეკულანტის, ბანკირის წარმოდგენა აუცილებლად სრულიად დამახინჯებულია. მეფაბრიკეთა წარმოდგენა გაყალბებულია მიმოქცევის აქტებით, რომლებსაც მათი კაპიტალი ექვემდებარება, მოგების საერთო ნორმის გათანატოლებით[41]. ამ ადამიანთა წარმოდგენაში კონკურენციაც აუცილებლად სავსებით გაუკუღმართებულ როლს ასრულებს. როცა მოცემულია ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების საზღვარი, მაშინ ადვილი გასაგებია, თუ როგორ გარდაქმნის კაპიტალების კონკურენცია ღირებულებას

[41] აი. ერთი მეტად გულუბრყვილო, მაგრამ მასთან ერთად სრულიად მართებული შენიშვნა: «ამიტომ იმ გარემოების მიზეზს, რომ ერთი და იმავე საქონლის მოღება სხვადასხვა გამყიდველთან არსებითად სხვადასხვა ფასში შეიძლება, უეჭველია, ძალიან ხშირად არასწორი კალკულაცია წარმოადგენს» (**Feller und Odérmann**: «**Das Ganze der Kaufmännischen Arithmetik**», მე-7 გამოც. 1859 [გვ. 451]). ეს გვიჩვენებს, თუ რაოდენ წმინდა თეორიული, ე. ი. აბსტრაქტული ხდება ფასის განსაზღვრა.

წარმოების ფასებად და შემდგომ მერკანტილურ ფასებადაც, ზედმეტ ღირებულებას — საშუალო მოგებად. მაგრამ, თუ ეს საზღვარი არ ვიცით, აბსოლუტურად შეუძლებელია გავიგოთ, თუ რატომ დაჰყავს კონკურენციას მოგების საერთო ნორმა ამ საზღვრამდე და არა იმ საზღვრამდე, დაჰყავს 15%-მდე და არა 1 500%-მდე. მას, დიდი-დიდი, შეუძლია მხოლოდ ერთ დონეზე დაიყვანოს მოგების საერთო ნორმა. მაგრამ მასში აბსოლუტურად არ მოიპოვება არავითარი ელემენტი, რომელიც თვით ამ დონეს განსაზღვრავდა.

ამრიგად, სავაჭრო კაპიტალის თვალსაზრისით ისე გვეჩვენება, რომ თვით ბრუნვაა ფასის განმსაზღვრელი. მეორე მხრივ, მაშინ როდესაც სამრეწველო კაპიტალის ბრუნვის სისწრაფე, რამდენადაც იგი მოცემული კაპიტალისთვის მეტნაკლები შრომის ექსპლოატაციის შესაძლებლობას ქმნის, განმსაზღვრელად და შემზღუდველად მოქმედებს მოგების მასაზე და, ამიტომ, მოგების საერთო ნორმაზეც, — მერკანტილური კაპიტალისთვის მოგების ნორმა მოცემულია გარედან და ამ ნორმის შინაგანი კავშირი ზედმეტი ღირებულების წარმოქმნასთან სრულიად წარხოცილია. თუ ერთი და იგივე სამრეწველო კაპიტალი, სხვა პირობების უცვლელობისას და განსაკუთრებით ერთნაირი ორგანული შედგენილობის არსებობისას, წელიწადში ოთხჯერ გადაბრუნდება ორის ნაცვლად, მაშინ იგი ორჯერ მეტ ზედმეტ ღირებულებას და, მაშასადამე, მოგებას აწარმოებს; და ეს ცხადად მყღავნდება, როდესაც და ვიდრე ამ კაპიტალს წარმოების გაუმჯობესებული წესის მონოპოლია აქვს, რაც მას ბრუნვის დაჩქარების შესაძლებლობას აძლევს. პირიქით, ვაჭრობის სხვადასხვა დარგში ბრუნვის სხვადასხვა ხანგრძლიობა იმაში ვლინდება, რომ მოგება, რომელიც განსაზღვრული საქონლური კაპიტალის ერთი გადაბრუნებით მიიღება, პირუკუ შეფარდებაშია იმ ფულადი კაპიტალის ბრუნვის რიცხვთან, რომელიც ამ საქონლურ კაპიტალებს აბრუნებს. Small profits and quick returns [პატარა მოგება და სწრაფი ბრუნვა] წარმოადგენს სახელდობრ shopkeeper-ისთვის [მედუქნისათვის] იმ პრინციპს, რომელსაც იგი მისდევს პრინციპის გამო.

თუმცა თავისთავად გასაგებია, რომ სავაჭრო კაპიტალის ბრუნვის ეს კანონი ვაჭრობის თვითეულ დარგში, — მხედველობის გარეშე ვტოვებთ უფრო სწრაფ და უფრო ნელ ბრუნვათა მონაცვლეობას, რომელნიც ერთმანეთს აწონასწორებენ, — ძალაშია მხოლოდ იმ ბრუნვათა საშუალოსთვის, რომელთაც ასრულებს მთელი ამ დარგში დაბანდებული სავაჭრო კაპიტალი. კაპიტალი *A*, რომელიც იმავე

დარგში მოქმედებს, სადაც *B*, შეიძლება საშუალო რიცხვზე მეტ ან ნაკლებ ბრუნვას ასრულებდეს. ამ შემთხვევაში სხვებს ნაკლები ან მეტი ბრუნვა ექნებათ. ამით არავითარი ცვლილება არ ხდება ამ დარგში დაბანდებული სავაჭრო კაპიტალის მთელი მასის ბრუნვაში. მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ვაჭრისათვის ან წვრილი ვაჭრისათვის. ამ შემთხვევაში იგი მეტ მოგებას იღებს სწორედ ისე, როგორც მეტ მოგებას იღებენ მრეწველი კაპიტალისტები, როდესაც ისინი საშუალოზე უფრო ხელსაყრელ პირობებში აწარმოებენ. თუ კონკურენციამ იგი აიძულა, მას შეუძლია თავის ამხანაგებზე უფრო იაფად გაყიდოს ისე, რომ თავისი მოგება საშუალოზე დაბლა არ დასწიოს. მაშინაც კი, როდესაც პირობები, რომლებიც მას უფრო სწრაფი ბრუნვის შესაძლებლობას აძლევენ, ისეთი პირობებია, რომელთა ყიდვაც მას სჭირდება, მაგალითად, სავაჭრო ადგილის მდებარეობა, — მას შეუძლია ამისთვის განსაკუთრებული რენტა გადაიხადოს, ე. ი. მისი დამატებითი მოგების ნაწილი მიწის რენტად გადაქცევა.

თავი მეცხრამეტე

ფულად-სავაჭრო კაპიტალი.

ის წმინდა ტექნიკური მოძრაობა, რასაც ფული ასრულებს სამრეწველო კაპიტალისა და, როგორც ჩვენ ახლა შეგვიძლია მივუმატოთ, საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის მიმოქცევის პროცესში (რადგან ეს უკანასკნელი კაპიტალი თვითონ კისრულობს სამრეწველო კაპიტალის სამიმოქცევო მოძრაობის ერთ ნაწილს და მას როგორც თავის საკუთარ, დამახასიათებელ მოძრაობას ასრულებს), — ეს მოძრაობა, იქცევა რა დამოუკიდებელ ფუნქციად განსაკუთრებული კაპიტალისა, რომელიც მას და მხოლოდ მას ასრულებს როგორც თავის დამახასიათებელ ოპერაციებს, გადააქცევს ამ კაპიტალს ფულად-სავაჭრო კაპიტალად. სამრეწველო კაპიტალის და, უფრო სწორად თუ ვიტყვით, აგრეთვე საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის ერთი ნაწილი მუდამ უნდა იყოს ფულად ფორმაში არა მარტო როგორც ფულადი კაპიტალი საერთოდ, არამედ როგორც ისეთი ფულადი კაპიტალი, რომელიც ამ ტექნიკურ ფუნქციებშია გართული. მთელი კაპიტალიდან გამოცალკევდება და დამოუკიდებელი ხდება განსაზღვრული ნაწილი ფულადი კაპიტალის სახით, რომლის კაპიტალისტური ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ეს ოპერაციები შეასრულოს მრეწველ და ვაჭარ კაპიტალისტთა მთელი კლასისათვის. როგორც საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის შემთხვევაში, ისე აქაც სამრეწველო კაპიტალიდან, რომელიც მიმოქცევის პროცესში იმყოფება ფულადი კაპიტალის სახით. ერთი ნაწილი გამოცალკევდება და კვლავწარმოების პროცესის ამ ოპერაციებს ასრულებს მთელი დანარჩენი კაპიტალისათვის. მაშასადამე, ამ ფულადი კაპიტალის მოძრაობა კვლავ მხოლოდ მოძრაობაა იმ სამრეწველო კაპიტალის განცალკევებული ნაწილისა. რომელიც თავისი კვლავწარმოების პროცესში იმყოფება.

მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმდენად, თუ და რამდენადაც კაპიტალი ახლად დაბანდდება,—რასაც ადგილი აქვს აგრეთვე კაპიტალის

დაგროვების შემთხვევაში, — კაპიტალი გვევლინება ფულადი ფორმით როგორც მოძრაობის ამოსავალი და საბოლოო პუნქტი. მაგრამ თვითეული კაპიტალისთვის, რომელიც უკვე იმყოფება თავისი წარმოების პროცესში, როგორც ამოსავალი პუნქტი, ისე საბოლოო პუნქტი, მარტოოდენ გარდამავალ პუნქტს წარმოადგენს. რამდენადაც სამრეწველო კაპიტალმა, წარმოების სფეროდან მისი გამოსვლის მომენტიდან იმ მომენტამდე, როცა ის ხელახლა შედის მასში, უნდა განვლოს მეტამორფოზი ს′—ფ—ს, იმდენად ფ, როგორც ეს უკვე მარტივ საქონელმიმოქცევაში გამომჟღავნდა, სინამდვილეში საბოლოო შედეგია მეტამორფოზის ერთი ფაზისა მხოლოდ იმისათვის, რომ გახდეს ამოსავალი პუნქტი საპირისპირო ფაზისა, რომელიც პირველის შემავსებელია. და თუმცა სავაჭრო კაპიტალისთვის სამრეწველო კაპიტალის ს — ფ ყოველთვის როგორც ფ — ს — ფ გამოიხატება, მაგრამ მისთვისაც, რაკი იგი უკვე მოქმედებს, ნამდვილ პროცესს მუდამ ს — ფ — ს წარმოადგენს. მაგრამ სავაჭრო კაპიტალი ერთსა და იმავე დროს ასრულებს აქტებს: ს—ფ და ფ—ს, ე. ი. არა მხოლოდ ე რ თ ი კაპიტალი იმყოფება სტადიაში ს — ფ, მაშინ როდესაც მეორე კაპიტალი იმყოფება სტადიაში ფ — ს, არამედ ერთი და იგივე კაპიტალი ერთსა და იმავე დროს ყიდულობს მუდამ და ყიდის მუდამ წარმოების პროცესის უწყვეტობის გამო; იგი ერთსა და იმავე დროს განუწყვეტლივ ორსავე სტადიაში იმყოფება. მაშინ როდესაც მისი ერთი ნაწილი ფულად გარდაიქმნება, რათა შემდგომ ხელახლა საქონლად გადაიქცეს, მისი მეორე ნაწილი იმავე დროს საქონლად გადაიქცევა, რათა შემდგომ ხელახლა ფულად გადაიქცეს.

ფული აქ მიმოქცევის საშუალების სახით იმოქმედებს თუ გადახდის საშუალების სახით, ეს დამოკიდებულია საქონელგაცვლის ფორმაზე. ორსავე შემთხვევაში კაპიტალისტს მუდამ უხდება ფულის გადახდა მრავალ პირთათვის და ფულის მიღება მრავალ პირთაგან. ეს წმინდა ტექნიკური ოპერაცია ფულის გადახდის და ფულის მიღებისა თავისდათავად წარმოადგენს შრომას, რომელიც, რამდენადაც ფული მოქმედებს როგორც გადახდის საშუალება, საჭიროდ ხდის გადასახდელთა ბალანსის გამოანგარიშებას, ურთიერთ ვალდებულებათა გაბათილების აქტებს. ეს შრომა წარმოადგენს მიმოქცევის ხარჯებს. შრომას, რომელიც არავითარ ღირებულებას არა ქმნის. იგი მცირდება იმის გამო, რომ მას აგენტების ანუ კაპიტალისტების განსაკუთრებული ჯგუფი ასრულებს კაპიტალისტთა მთელი დანარჩენი კლასისათვის.

კაპიტალის განსაზღვრული ნაწილი მუდამ უნდა მოიპოვებოდეს

განძის სახით, როგორც პოტენციური ფულადი კაპიტალი: ყიდვის საშუალებათა რეზერვი, გადახდის საშუალებათა რეზერვი, დაუბანდეველი, ფულადი ფორმით თავისი გამოყენების მომლოდინე კაპიტალი; და კაპიტალის ერთი ნაწილი კი ამ ფორმაში მუდამ უკან მოედინება. ეს, გარდა ფულის მიღებისა, ფულის გაცემის და ანგარიშწარმოებისა, საჭიროდ ხდის განძის შენახვას, რაც კვლავ განსაკუთრებულ ოპერაციას შეადგენს. მაშასადამე, სინამდვილეში ადგილი აქვს მუდამ განძის დაშლას მიმოქცევის საშუალებებად და გადახდის საშუალებებად. და მის ხელახლა წარმოქმნას იმ ფულისგან, რომელიც გაყიდვით და ვადადამდგარი გადასახდელისაგან მიიღება; ეს მუდმივი მოძრაობა კაპიტალის იმ ნაწილისა, რომელიც ფულის სახით არსებობს, მოძრაობა, რომელიც განცალკევებულია თვით კაპიტალის ფუნქციისაგან, ეს წმინდა ტექნიკური ოპერაცია იწვევს განსაკუთრებულ შრომას და ხარჯებს — მიმოქცევის ხარჯებს.

შრომის დანაწილება იწვევს იმას, რომ ეს ტექნიკური ოპერაციები, რომლებიც კაპიტალის ფუნქციებითაა გაპირობებული, რამდენადაც კი შეიძლება სრულდება კაპიტალისტთა მთელი კლასისთვის აგენტებისა თუ კაპიტალისტების განსაკუთრებული ჯგუფის მიერ როგორც მარტოოდენ მათი ფუნქციები, ანდა მათ ხელში გროვდება. აქაც, როგორც სავაჭრო კაპიტალის შემთხვევაში, ადგილი აქვს შრომის დანაწილებას ორგვარი აზრით. ეს ტექნიკური ოპერაციები განსაკუთრებულ მოსაქმეობად იქცევა, და იმის გამო, რომ იგი, როგორც განსაკუთრებული მოსაქმეობა, მთელი კლასის ფულად მექანიზმს ემსახურება, ხდება მათი კონცენტრაცია, წარიმართება დიდი მასშტაბით; და აქ, თავის მხრივ, ამ განსაკუთრებული მოსაქმეობის ფარგლებში ადგილი აქვს შრომის დანაწილებას როგორც სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ დარგებად დაყოფის გზით, ისე თვითეულ ამ დარგში სახელოსნოს წარმოქმნის გამო (დიდი კანტორები, მრავალრიცხოვანი ბუღალტრები და მოლარეები, ფართოდ გატარებული შრომის დანაწილება). ფულის გაცემა, ფულის მიღება, ბალანსის გამოყვანა, მიმდინარე ანგარიშების წარმოება, ფულის შენახვა და სხვ., რაც განცალკევებულია იმ აქტებისგან, რომლებიც საჭიროდ ხდიან ამ ტექნიკურ ოპერაციებს, — ყველაფერი ეს ფულად-სავაჭრო კაპიტალად აქცევს ამ ფუნქციებისათვის ავანსებულ კაპიტალს.

სხვადასხვა ოპერაცია, რომელთა განცალკევება სხვადასხვა განსაკუთრებულ მოსაქმეობად ფულით ვაჭრობას წარმოშობს, გამომდინარეობს თვით ფულის სხვადასხვა განსაზღვრულობიდან და მისი

ფუნქციებიდან, რომლებიც ამგვარად კაპიტალმა უნდა შეასრულოს ფულადი კაპიტალის ფორმით.

უკვე წინათ აღვნიშნე, თუ როგორ ვითარდება საერთოდ ფული თავდაპირველად პროდუქტთგაცვლაში სხვადასხვა თემებს შორის[42].

ამიტომ ფულით ვაჭრობა, ფულადი საქონლით ვაჭრობა უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო კავშირურთიერთობიდან ვითარდება. როდესაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მონეტა არსებობს, ვაჭრებმა, რომლებიც უცხო ქვეყნებში ყიდულობენ, თავისი ქვეყნის მონეტა უნდა გადაცვალონ ადგილობრივ მონეტაზე, და პირიქით, ანდა სხვადასხვა მონეტა უნდა გადაცვალონ წმინდა ვერცხლის ან ოქროს ზოდებზე როგორც მსოფლიო ფულზე. აქედან წარმოდგება ზარაფობა, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი ბუნებრივად აღმოცენებული საფუძველი თანამედროვე ფულით ვაჭრობისა[43]. მისგან განვითარდა დამხურდავებელი ბანკები, სადაც ვერცხლი (ან ოქრო) როგორც მსოფლიო ფული — მიმოქცევაში მყოფი მონეტისგან განსხვავებით, — მოქმედებს ახლა როგორც საბანკო ფული ან სავაჭრო ფული. სათამასუქო საქმე, რამდენადაც იგი შეიცავდა უბრალო გადახდის მოწმობის მიცემას მგზავრებისთვის ერთი ქვეყნის ზარაფის მიერ

---

[42] «Zur Kritik der Politischen Oekonomie», 1859 წ., გვ. 27 [კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», თბილისი, 1953 წ., გვ. 51].

[43] «მონეტის მოჭრის უფლების მქონე მრავალ მთავართა და ქალაქთა მიერ გამოშვებული მონეტების დიდი სხვადასხვაობის გამო, როგორც წონისა და სინჯის, ისე მოჭრილობის მხრივ, აუცილებელი გახდა ყველგან ადგილობრივი მონეტით სარგებლობა საეაჭრო საქმეებში, როცა ანგარიშების გასწორება ერთი მონეტით უნდა მომხდარიყო. ვაჭრები, როცა რომელიმე უცხოურ ბაზარზე მიემგზავრებოდნენ ხოლმე, მოიმარაგებდნენ გადახდის ნაღდად წარმოებისათვის წმინდა ვერცხლს ზოდების სახით, ავრეთვე. რასაკვირველია, ოქროსაც. ასევე უკან წამოსვლის წინ მიღებულ ადგილობრივ მონეტას გადაცვლიდნენ ვერცხლის ან ოქროს ზოდებზე. ამიტომ ზარაფობა, ფულით ვაჭრობა, ძვირფას ლითონთა ზოდების გადაცვლა ადგილობრივ მონეტაზე და პირიქით, ფრიად გავრცელებული და სარფიანი საქმე გახდა». (Hüllmann: «Städtewesen des Mittelalters». Bonn 1826 — 1829, ტ. I, გვ. 437 — 438). «Die Wisselbank [დამხურდავებელმა ბანკმა] თავისი სახელწოდება მიიღო არა... თამასუქიდან [Wissel], არა სათამასუქო ბარათიდან, არამედ სხვადასხვა სახის ფულის Wisselen-იდან [დახურდავებიდან]. 1609 წლის ამსტერდამის დამხურდავებელი ბანკის დაარსებამდე დიდი ხნით ადრე ნიდერლანდიის საეაჭრო ქალაქებში იყო ზარაფები და დამხურდავებელი დუქნები, დამხურდავებელი ბანკებიც კი... ამ დამხურდავებელ დაწესებულებათა მოსაქმეობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი იმ მრავალგვარ უცხო მონეტას, რომელიც აქ უცხოელ ვაჭრებს შემოჰქონდათ, მიმოქცევაში მყოფ კანონიერ მონეტაზე ახურდავებდნენ; მათი საქმიანობის ფარგლები თანდათან ფართოვდებოდა.., ისინი თავისი დროის მოლარეებად და ბანკირებად

სხვა ქვეყნის ზარაფების სახელზე, უკვე განვითარდა რომსა და საბერძნეთში საკუთრივ საზარაფო საქმიანობიდან.

ვაჭრობა ოქროთი და ვერცხლით როგორც საქონლით (ნედლი მასალით ფუფუნების საგნების დასამზადებლად) ბუნებრივად აღმოცენებულ ბაზისს შეადგენს ზოდებით ვაჭრობისათვის (Bullion trade) ანუ ვაჭრობისათვის, რომელიც ემსახურება ფულის, როგორც მსოფლიო ფულის, ფუნქციებს. ეს ფუნქციები, როგორც წინათ იყო განმარტებული (წიგნი I, თავი III, 3, *c*), ორგვარია: ფულის გადასვლა-გადმოსვლა მიმოქცევის სხვადასხვა ნაციონალურ სფეროებს შორის საერთაშორისო გადასახდელთა გასათანაბრებლად და იმ დროს, როდესაც კაპიტალი სარგებლის მიღების მიზნით ემიგრაციაში იმყოფება; მის გვერდით — მოძრაობა ძვირფას ლითონთა წარმოების ადგილებიდან მსოფლიო ბაზრის გზით და მიწოდებულის განაწილება მიმოქცევის სხვადასხვა ნაციონალურ სფეროებს შორის. ინგლისში ჯერ კიდევ XVII საუკუნის უდიდეს მანძილზე ოქრომჭედლები ბანკირების როლს ასრულებდნენ. თუ როგორ ვითარდება შემდგომ საერთაშორისო გადასახდელთა გასწორება სათამასუქო, ვაჭრობად და სხვ., ამას ჩვენ აქ სრულიად განზე ვტოვებთ, როგორც ყოველივე იმას, რაც ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებს, მოკლედ, საკრედიტო საქმის ყველა განსაკუთრებულ ფორმას შეეხება და რაც ჩვენ აქ ჯერ არ გვაინტერესებს.

მსოფლიო ფულის სახით ნაციონალური ფული უკუაგდებს თავის ადგილობრივ ხასიათს; ერთი ქვეყნის ფული მეორე ქვეყნის ფულით გამოისახება, და ასე ყველა დაიყვანება მათს ოქროს ან ვერცხლის შინაარსზე, მაშინ როდესაც ოქრო და ვერცხლი, ორივე როგორც საქონელი, რომელიც მსოფლიო ფულის სახით მიმოიქცევა, დაიყვანება

იქცნენ. მაგრამ სალაროს და დახურდავების საქმის შეერთებაში ამსტერდამის მთავრობამ საშიშროება დაინახა, და ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად გადაწყდა დაფუძნებულიყო ერთი დიდი დაწესებულება, რომელიც როგორც დახურდავებისა, ისე სალაროს საქმეს წესდების თანახმად საჯაროდ აწარმოებდა. ასეთი დაწესებულება იყო სახელგანთქმული ამსტერდამის დამხურდავებელი ბანკი, რომელიც 1609 წელს დაარსდა. ფულის ნიშნების დახურდავების მუდმივი საჭიროების გამო, სრულიად ასევე წარმოდგა დამხურდავებელი ბანკები ვენეციაში, გენუაში, სტოკჰოლმში, ჰამბურგში. ყველა ამათგან ჰამბურგის ბანკი ერთადერთია, რომელიც დღესაც კიდევ არსებობს, რადგან ეს საავჭრო ქალაქი. სადაც საკუთარი მონეტის მოჭრა არ წარმოებს, ახლაც საჭიროებს ასეთ დაწესებულებას» და სხვ. (S. Vissering: «Handboek van Praktische Staathuishoudkunde». Amsterdam 1860, ტ. I, გვ. 247).

მათს ღირებულებათა ურთიერთ თანაფარდობაზე, რომელიც მუდამ იცვლება. სათანადო ოპერაციების მომსახურებას ფულით მოვაჭრე თავის განსაკუთრებულ მოსაქმეობად აქცევს. ამგვარად, საზარაფო საქმე და ზოდებით ვაჭრობა ფულით ვაჭრობის თავდაპირველი ფორმებია და გამომდინარეობს ფულის ორგვარი ფუნქციიდან: როგორც ადგილობრივი მონეტის და როგორც მსოფლიო ფულისა.

კაპიტალისტური წარმოების პროცესიდან, როგორც ვაჭრობიდან საერთოდ, კაპიტალიზმამდელი წარმოების წესის დროსაც კი, გამომდინარეობს შემდეგი:

პ ი რ ვ ე ლ ი: ფულის დაგროვება განძის სახით, ე. ი. ახლანდელ დროში კაპიტალის ნაწილისა, რომელიც მუდამ უნდა მოიპოვებოდეს ფულადი ფორმით როგორც გადახდის და ყიდვის საშუალებათა სარეზერვო ფონდი. ეს განძის პირველი ფორმაა, რომლითაც იგი კაპიტალისტური წარმოების წესის დროს ხელახლა გვევლინება და საერთოდ წარმოიქმნება სავაჭრო კაპიტალის განვითარებისას, ყოველ შემთხვევაში — ამ კაპიტალისთვის. ერთიც და მეორეც შეეხება როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მიმოქცევას. ეს განძი მუდამ დენადია. მუდამ ჩაებმება მიმოქცევაში და იქიდან მუდამ ბრუნდება უკან. განძის მეორე ფორმას კი წარმოადგენს დროებით უქმი, მოცემულ მომენტში უქმად მყოფი კაპიტალი ფულადს ფორმაში; ამას ეკუთვნის აგრეთვე ახლად დაგროვებული, ჯერ კიდევ დაუბანდებელი ფულადი კაპიტალი. ფუნქციები, რომლებსაც ეს განძის დაგროვება, როგორც ასეთი, საჭიროდ ხდის, არის უწინარეს ყოვლისა შენახვა, დავთარწარმოება და სხვ.

მ ე ო რ ე: მაგრამ ამასთან დაკავშირებულია ფულის ხარჯვა ყიდვისას, ფულის მიღება გაყიდვისას, გადახდა და გადასახდელის მიღება. გადასახდელთა გასწორება და სხვ. ფულით მოვაჭრე ყველა ამას ასრულებს ვაჭრებისა და მრეწველი კაპიტალისტებისათვის უწინარეს ყოვლისა როგორც უბრალო მ ო ლ ა რ ე [44].

---

[44] «მოლარეების ინსტიტუტს, შეიძლება არსად არ შემოუნახავს ისე წმინდა სახით თავისი პირვანდელი, თავისთავადი ხასიათი, როგორც ნიდერლანდიის საკაჭრო ქალაქებში» (იხ. მოლარეობის წარმოშობის შესახებ ამსტერდამში E. Lusac: «Holland's Rykdom» [Leyden 1782], ნაწილი III). «მათი ფუნქციები ნაწილობრივ ემთხვევა ძველი ამსტერდამის დამხურდავებელი ბანკის ფუნქციებს. მოლარე იღებს ვაჭრებისგან, რომელნიც მის სამსახურს გამოიყენებენ, ფულის გარკვეულ თანხას და უხსნის მათ ამის შესაბამისად თავის დავთრებში «კრედიტს»; შემდეგ ისინი მას უგზავნიან თავიანთ საკალო მოთხოვნებს, რომლებითაც იგი ფულს იღებს მათთვის და სათანადო თანხას მათ «კრედიტში» უწერს; პირიქით, გადასახ-

ფულით ვაჭრობის სრული განვითარება ხდება, — და ამას ყოველთვის უკვე მის პირველ დასაწყისშივე აქვს ადგილი, — როგორც კი მის სხვა ფუნქციებს სესხის აღებისა და სესხის გაცემის ფუნქცია და ნისიად ვაჭრობა დაემატება. ამის შესახებ შემდგომ განყოფილებაში, სარგებელმომტან კაპიტალთან დაკავშირებით.

თვით ზოდებით ვაჭრობა, ოქროს თუ ვერცხლის გადაზიდვა ერთი ქვეყნიდან მეორეში, საქონლით ვაჭრობის შედეგია მხოლოდ, რაც განისაზღვრება სათამასუქო კურსით, რომელიც გამოსახავს საერთაშორისო გადასახდელთა და სარგებლის განაკვეთის მდგომარეობას სხვადასხვა ბაზარზე. ზოდებით მოვაჭრე, როგორც ასეთი, მხოლოდ ამ შედეგებს მოსაშუალეობს.

ფულის გამოკვლევისას, იმის განხილვისას, თუ როგორ ვითარდება მისი მოძრაობა და ფორმაგანსაზღვრულობა მარტივი საქონელმიმოქცევიდან, ჩვენ დავინახეთ (წიგნი I, თავი III), რომ იმ ფულის მასის მოძრაობა, რომელიც ყიდვის საშუალებისა და გადახდის საშუალებ[illegible]

დელს იგი ფარავს მათი სალაროს ბარათების (**kassiers briefjes**) მიხედვით და ამ უკანასკნელთა თანხას ვალად აწერს მათს მიმდინარე ანგარიშს. ფულის ასეთი მიღებისა და გადახდისათვის იგი ანგარიშობს თავისთვის მცირე საკომისიო გასამრჯელოს, რომელიც შესაბამის ხელფასს შეადგენს შრომისათვის მხოლოდ იმის გამო, რომ დიდია ბრუნვა, რომელიც მისი მეშვეობით სრულდება ორ მხარეს შორის. თუ საჭიროა ორი ვაჭრის გადასახდელის გასწორება და ორივეს ერთი და იგივე მოლარე ემსახურება, ამასთან ამ გადახდათა დაფარვა ძალიან მარტივად ხდება დავთრებში პარალელურად ჩაწერის გზით, რადგან მოლარეები ყოველდღიურად აბალანსებენ მათს საურთიერთო მოთხოვნებს. ამრიგად, საკუთრივ მოლარეთა მოსაქმეობა გადასახდელთა ამ მოსაშუალეობაში მდგომარეობს; მაშასადამე, იგი გამორიცხავს სამრეწველო საწარმოებს, სპეკულაციას და ბლანკო-კრედიტის გახსნას, ვინაიდან აქ წესად უნდა იყოს, რომ მოლარე იმას, ვისაც თავის დავთრებში ანგარიში გაუხსნა, იმაზე მეტ გადასახდელს არ აძლევს, რაც დავთარში აღნიშნულ მის ქონებას აღემატება» (**Vissering**, ციტირებ. ნაწარმოები, გვ. 134). — სალაროთა კავშირების შესახებ ვენეციაში: «ვენეციის მოთხოვნილებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სადაც ნაღდი ფულის ტარება უფრო ძნელია, ვიდრე სხვა ადგილებში, ამ ქალაქის ბითუმად მოვაჭრეებმა იწყეს სალაროთა კავშირების დაარსება სათანადო უშიშროებისა, ზედამხედველობისა და მმართველობის დაცვით; ასეთი კავშირის წევრებს შექონდათ მასში გარკვეული თანხა, რომელზედაც თავიანთ მევალეებს განკარგულებებს გამოუწერდნენ, რის შემდეგ გადახდილი თანხა ამისათვის დაწესებულ დავთარში ჩამოიწერებოდა მოვალის ანგარიშიდან და მიემატებოდა იმ თანხას, რომელიც იქ მევალეს ჰქონდა. ეს იყო ეგრეთწოდებული ჟირო-ბანკების პირველი ჩანასახი. ეს კავშირები ძველია. მაგრამ როდესაც ისინი XII საუკუნეში გადააქვთ, მათ 1171 წელს სახელმწიფო სესხისთვის დაფუძნებულ დაწესებულებაში ურევენ» (**Hüllmann**, ციტირებ. ნაწარმ., გვ. 453 — 454).

სახით მიმოიქცევა, განისაზღვრება საქონელთა მეტამორფოზით, მისი მოცულობით და სისწრაფით, მეტამორფოზით, რომელიც როგორც ჩვენ ახლა ვიცით, თვითონ ერთობლივი კვლავწარმოების პროცესის მხოლოდ ერთი მომენტია. რაც შეეხება ფულის მასალის — ოქროსა და ვერცხლის — მიღებას მისი წარმოების წყაროებიდან, იგი წარმოადგენს უშუალო საქონელგაცვლას, ოქროსა და ვერცხლის, როგორც საქონლის სხვა საქონელზე გაცვლას, მაშასადამე, თვით ეს მიღება საქონელგაცვლის მომენტია სწორედ ისევე, როგორც რკინის ან სხვა ლითონთა მიღება. ხოლო რაც შეეხება ძვირფას ლითონთა მოძრაობას მსოფლიო ბაზარზე (ჩვენ აქ მხედველობის გარეშე ვტოვებთ ამ მოძრაობას, რამდენადაც იგი გამოხატავს კაპიტალის გადატანას სესხის სახით, გადატანას, რომელიც საქონლური კაპიტალის სახითაც ხდება), — ის სავსებით იმგვარადვე განისაზღვრება საერთაშორისო საქონელგაცვლით, რაგვარადაც ფულის, როგორც ქვეყნის შიგნით ყიდვისა და გაყიდვის საშუალების, მოძრაობა განისაზღვრება ქვეყნისშიდა საქონელგაცვლით. ძვირფას ლითონთა ემიგრაცია-იმიგრაციას ერთი ეროვნული მიმოქცევის სფეროდან მეორეში, რამდენადაც იგი გამოწვეულია მხოლოდ ადგილობრივი მონეტის გაუფასურებით ანდა ორმაგი ვალუტით, არავითარი კავშირი არა აქვს ფულის მიმოქცევასთან როგორც ასეთთან, და იგი წარმოადგენს იმ მოშლილობის უბრალო შესწორებას, რომელიც თვითნებურად არის გამოწვეული სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. დასასრულ, რაც შეეხება განძის შექმნას, რამდენადაც იგი გამოხატავს ყიდვისა და გაყიდვის საშუალებათა სარეზერვო ფონდს შინაგანი თუ საგარეო ვაჭრობისათვის და, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც იგი უბრალო ფორმაა დროებით უქმად მყოფი კაპიტალისა, — ერთსა და მეორე შემთხვევაშიც მიმოქცევის პროცესის მხოლოდ აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს.

თუ ფულის მთელი მიმოქცევა მისი მოცულობით, მისი ფორმით და მისი მოძრაობით უბრალო შედეგია საქონელმიმოქცევისა, რომელიც კაპიტალისტური თვალსაზრისით თვით მხოლოდ კაპიტალის მიმოქცევის პროცესს გამოხატავს (და ეს პროცესი შეიცავს კაპიტალის გაცვლას შემოსავალზე და შემოსავლის გაცვლას შემოსავალზე, რამდენადაც შემოსავლის ხარჯვა საცალო ვაჭრობაში ხორციელდება), მაშინ თავისთავად გასაგებია, რომ ფულით ვაჭრობა არა მარტო საქონელმიმოქცევის უბრალო შედეგს და გამოვლინების წესს, არა მარტო ფულის მიმოქცევას ემსახურება. თვით ეს ფულის მიმოქცევა, როგორც საქონელმიმოქცევის ერთი მომენტი, მისთვის, ფულით ვაჭ-

რობისათვის, მოცემული რამაა. ფულით ვაჭრობა ემსახურება ფულის მიმოქცევის ტექნიკურ ოპერაციებს, რომელთა კონცენტრაციას იგი ახორციელებს, რომელთაც ამოკლებს და ამარტივებს. ფულით ვაჭრობა განძს კი არ ქმნის, არამედ ტექნიკურ საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ ეს განძის შექმნა, რამდენადაც იგი ნებაყოფლობით ხდება (მაშასადამე, რამდენადაც იგი არ წარმოადგენს იმის გამოსახულებას, რომ კაპიტალი ვერ პოულობს დაბანდებას ანდა რომ კვლავწარმოების პროცესი მოშლილია), მის ეკონომიურ მინიმუმზე იქნეს დაყვანილი; ეს იმიტომ, რომ ყიდვისა და გადახდის საშუალებათა სარეზერვო ფონდი, თუ მისი გამგებლობა კაპიტალისტთა მთელი კლასისთვის წარმოებს, შეიძლება ისე დიდი აღარ იყოს, როგორც იმ შემთხვევაში, როცა მის გამგებლობას ყოველი ცალკეული კაპიტალისტი ეწევა. ფულით ვაჭრობა კი არ ყიდულობს ძვირფას ლითონებს, არამედ ემსახურება მხოლოდ მათს განაწილებას, როდესაც ისინი საქონლით იყიდა ვაჭრობამ. ფულით ვაჭრობა აადვილებს ბალანსების გათანაბრებას, რამდენადაც ფული მოქმედებს როგორც გადახდის საშუალება, და ამ გათანაბრების ხელოვნური მექანიზმის საშუალებით ამცირებს ანგარიშსწორებისათვის საჭირო ფულის მასას, მაგრამ იგი არ განსაზღვრავს ურთიერთგადასახდელთა არც კავშირს და არც ოდენობას. მაგალითად, თამასუქები და ჩეკები, რომელთა ერთიმეორეზე გაცვლა წარმოებს ბანკებში და Clearing houses-ში [ანგარიშსწორების პალატებში], სრულიად დამოუკიდებელ მოსაქმეობას გამოხატავენ, მოცემული ოპერაციების შედეგებია, და საქმე შეეხება მხოლოდ იმას, რომ ტექნიკურად საუკეთესო წესით მოხდეს ამ შედეგების გათანაბრება. რამდენადაც ფული მიმოიქცევა როგორც ყიდვის საშუალება, ყიდვათა და გაყიდვათა მოცულობა და რიცხვი სრულიად არაა დამოკიდებული ფულით ვაჭრობაზე. ამ უკანასკნელს შეუძლია მხოლოდ შეამოკლოს ტექნიკური ოპერაციები, რომლებიც თან ახლავს ამ გარიგებებს, და ამით შეამციროს მათი ბრუნვისათვის საჭირო ნაღდი ფულის მასა.

ამრიგად, ფულით ვაჭრობა იმ წმინდა ფორმით, რომლითაც ჩვენ აქ მას განვიხილავთ, ე. ი. საკრედიტო საქმისაგან განცალკევებულად, შეეხება საქონელმიმოქცევის მხოლოდ ერთი მომენტის ტექნიკურ მხარეს, სახელდობრ ფულის მიმოქცევას და აქედან გამომდინარე ფულის სხვადასხვა ფუნქციას.

ეს არსებითად განასხვავებს ფულით ვაჭრობას საქონლით ვაჭრობისაგან, რომელიც საქონლის მეტამორფოზს და საქონელგაცვლას

ემსახურება, ან საქონლური კაპიტალის თვით ამ პროცესს წარმოგვიდგენს, როგორც სამრეწველო კაპიტალისაგან განცალკევებული კაპიტალის პროცესს. ამიტომ, თუ საქონლურ-სავაჭრო კაპიტალი გვიჩვენებს საკუთარი მიმოქცევის ფორმას Ფ — ს — Ფ, სადაც საქონელი ორჯერ გადადის ხელიდან ხელში და ამის გამო ფული უკან ბრუნდება, წინააღმდეგ ს — Ფ — ს-ისა, სადაც ფული ორჯერ გადადის ხელიდან ხელში და ამით საქონელგაცვლას ემსახურება, — ფულად-სავაჭრო კაპიტალის მიმართ არავითარი ასეთი განსაკუთრებული ფორმის მითითება არ შეიძლება.

რამდენადაც ფულის მიმოქცევის ასეთი ტექნიკური მომსახურებისათვის კაპიტალისტთა განსაკუთრებული კატეგორია ავანსად გაიღებს ფულად კაპიტალს, — რომელიც დაპატარავებული მასშტაბით წარმოადგენს იმ დამატებითს კაპიტალს, რომლის ავანსად გაღებაც ამავე მიზნით სხვა შემთხვევაში თვით ვაჭრებსა და მრეწველ კაპიტალისტებს მოუხდებოდათ, — იმდენად აქაც ადგილი აქვს კაპიტალის საყოველთაო ფორმას Ფ — Ф′. Ф-ის ავანსირებით ამ ავანსის გამღებისათვის წარმოიქმნება Ф + ΔФ. მაგრამ Ф — Ф′ მომსახურება ამ შემთხვევაში შეეხება მეტამორფოზის არა არსებით, არამედ მხოლოდ ტექნიკურ მომენტებს.

ცხადია, რომ ფულადი კაპიტალის მასა, რომლითაც ფულით მოვაჭრენი მოქმედებენ, — ესაა ვაჭართა და მრეწველთა ფულადი კაპიტალი, რომელიც მიმოქცევაში იმყოფება, და რომ მათ მიერ შესრულებული ოპერაციები მხოლოდ იმათი ოპერაციებია, რომლებსაც ისინი ემსახურებიან.

ცხადია ისიც, რომ მათი მოგება ზედმეტი ღირებულებიდან გამონაკლებს წარმოადგენს მხოლოდ, ვინაიდან მათ საქმე აქვთ მარტო უკვე რეალიზებულ ღირებულებასთან (თუნდაც რომ ეს ღირებულება რეალიზებული იყოს სავალო მოთხოვნათა ფორმაში).

როგორც საქონლით ვაჭრობაში, აქაც ადგილი აქვს ფუნქციის გაორებას. იმიტომ რომ იმ ტექნიკური ოპერაციების ნაწილი, რომლებიც ფულის მიმოქცევასთანაა დაკავშირებული, თვით საქონლის ვაჭრებმა და საქონელმწარმოებლებმა უნდა შეასრულონ.

თავი მეოცე

ვაჭრის კაპიტალის ისტორიიდან.

საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის და ფულად-სავაჭრო კაპიტალის ფულადი დაგროვების განსაკუთრებული ფორმა განხილული იქნება მხოლოდ შემდგომ განყოფილებაში.

ზემონათქვამიდან თავისთავად გამომდინარეობს, რომ არა არის რა უფრო უხამსი, ვიდრე ის, რომ ვაჭრის კაპიტალი — საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის ფორმით იქნება იგი თუ ფულად-სავაჭრო კაპიტალის ფორმით — განვიხილოთ როგორც სამრეწველო კაპიტალის განსაკუთრებული სახეობა, მსგავსად იმისა, როგორც, მაგალითად, სამთამადნო საქმე, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მანუფაქტურა, სატრანსპორტო მრეწველობა და სხვ. შეადგენენ შრომის საზოგადოებრივი დანაწილებით წარმოქმნილ განშტოებებს და, ამიტომ, სამრეწველო კაპიტალის დაბანდების განსაკუთრებულ სფეროებს. უკვე იმ უბრალო დაკვირვებას, რომ ყოველი სამრეწველო კაპიტალი, როცა იგი თავისი კვლავწარმოების პროცესის მიმოქცევის ფაზაში იმყოფება, როგორც საქონლური კაპიტალი და ფულადი კაპიტალი, სავსებით იმავე ფუნქციებს ასრულებს, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო კაპიტალის ფუნქციებად გვეელინებიან ამ კაპიტალის ორსავე ფორმაში, — უკვე მარტო ამ დაკვირვებას უნდა გაეხადა შეუძლებელი ასეთი ტლანქი გაგება. პირიქით, საქონლურ-სავაჭრო კაპიტალში და ფულად-სავაჭრო კაპიტალში განსხვავებანი სამრეწველო კაპიტალსა როგორც მწარმოებლურ კაპიტალსა, ერთი მხრივ, და იმავე კაპიტალს შორის მიმოქცევის სფეროში, მეორე მხრივ, დამოუკიდებელ არსებობას მოიპოვებს იმის გამო, რომ განსაზღვრული ფორმები და ფუნქციები, რომლებსაც აქ დროებით იღებს კაპიტალი, გვევლინება როგორც კაპიტალის გამოცალკევებული ნაწილის დამოუკიდებელი ფორმები და ფუნქციები, და მხოლოდ და მხოლოდ ამ სფეროშია დასადგურებული. სამრეწველო კაპიტალის გარდაქმნილი

ფორმა და მრეწველობის სხვადასხვა დარგების ბუნებიდან გამომდინარე ნივთიერი განსხვავებანი მწარმოებლურ კაპიტალებს შორის სხვადასხვა საწარმოებში ისე განსხვავდებიან ერთიმეორისგან, როგორც ცა დედამიწისგან.

იმ სიტლანქის გარდა, რომლითაც საერთოდ ეკონომისტი განიხილავს ფორმათა განსხვავებებს, რომლებიც მას ფაქტიურად მხოლოდ ნივთიერი მხრივ აინტერესებს, ვულგარული ეკონომისტის მიერ ამ შერევას ორგვარი გარემოება უდევს საფუძვლად. ჯერ ერთი, მისი უუნარობა ახსნას მერკანტილური მოგების თავისებურებანი; მეორე, მისი აპოლოგეტური მისწრაფება, რომ საქონლური კაპიტალის და ფულადი კაპიტალის, შემდგომ კი საქონლურ-სავაჭრო კაპიტალის და ფულად-სავაჭრო კაპიტალის ფორმები, რომლებიც გამომდინარეობენ კაპიტალისტური წარმოების წესის სპეციფიკური ფორმიდან, რაც უწინარეს ყოვლისა საქონელთა მიმოქცევას და, მაშასადამე, ფულის მიმოქცევას გულისხმობს თავის ბაზისად, — რომ ეს ფორმები გამოიყვანოს როგორც წარმოების პროცესიდან, როგორც ასეთიდან, აუცილებლად გამომდინარე სახეობანი.

საქონლურ-სავაჭრო კაპიტალი და ფულად-სავაჭრო კაპიტალი რომ მხოლოდ იმგვარად განირჩეოდეს მარცვლეულის მოყვანისაგან, როგორც ეს უკანასკნელი განირჩევა მესაქონლეობისა და მანუფაქტურისაგან, მაშინ ცხადი იქნებოდა, რომ წარმოება და კაპიტალისტური წარმოება საერთოდ იდენტურია, და რომ კერძოდ საზოგადოებრივი პროდუქტების განაწილება საზოგადოების წევრებს შორის როგორც მწარმოებლური, ისე ინდივიდუალური მოხმარებისათვის ისევე მარად უნდა ხდებოდეს ვაჭრებისა და ბანკირების შუამავლობით, როგორც ხორცის მოხმარება ხდება მესაქონლეობის მეშვეობით და ტანსაცმლის მოხმარება — მისი ფაბრიკაციის მეშვეობით [45].

---

[45] ბრძენმა როშერმა მოისაზრა [იხ. **W. Roscher: «Die Grundlagen der Nationalökonomie». Stuttgart und Augsburg** 1857, გვ 102], რომ, თუ ზოგი ვაჭრობას ახასიათებს როგორც «შუამავლობას» მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის, ასეთივე უფლებით თვით წარმოებაც შეიძლება დავახასიათოთ როგორც «შუამავლობა» მოხმარებისა (ვის შორის?), საიდანაც, რასაკვირველია, გამომდინარეობს, რომ სავაჭრო კაპიტალი მწარმოებლური კაპიტალის ისეთივე ნაწილია როგორც სამწყობმოქმედო და სამრეწველო კაპიტალი. მაშასადამე, თუ იმის თქმა შეიძლება, რომ ადამიანს მხოლოდ წარმოების მეშვეობით შეუძლია განახორციელოს თავისი მოხმარება (და ეს მან უნდა გააკეთოს, თუნდაც რომ განათლება ლაფციგში არ ჰქონდეს მიღებული) ან რომ შრომა აუცილებელია ბუნების მისათვისებლად (რასაც შეიძლება შუამავლობა ეწოდოს), მაშინ აქედან, რასაკვირველია, გამოდის, რომ წარმოების სპეციფიკური საზოგადოებრივი ფორმიდან გამომდინარე

დიდი ეკონომისტები, როგორიცაა სმიტი, რიკარდო და სხვ., იმის გამო, რომ ისინი განიხილავდნენ კაპიტალის ძირითად ფორმას, კაპიტალს როგორც სამრეწველო კაპიტალს, ხოლო მიმოქცევის კაპიტალს (ფულად და საქონლურ კაპიტალს) ფაქტიურად მხოლოდ იმდენად განიხილავდნენ, რამდენადაც იგი წარმოადგენს ყოველი კაპიტალის ფაზას კვლავწარმოების პროცესში, — სავაჭრო კაპიტალის, როგორც განსაკუთრებული სახის კაპიტალის, მიმართ გასაჭირში არიან ჩავარდნილნი. სამრეწველო კაპიტალის განხილვიდან უშუალოდ გამოყვანილი დებულებანი ღირებულების შექმნისა, მოგებისა და სხვ. შესახებ არ გამოდგებიან უშუალოდ სავაჭრო კაპიტალის მიმართ. ამიტომ ისინი სინამდვილეში ამ კაპიტალს სრულიად მხედველობის გარეშე ტოვებენ და მას იხსენიებენ მხოლოდ როგორც განსაზღვრული სახის სამრეწველო კაპიტალს. იქ, სადაც ისინი მასზე ლაპარაკობენ სპეციალურად, როგორც რიკარდო საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ეს კაპიტალი არა ქმნის არავითარ ღირებულებას (მაშასადამე, არც ზედმეტ ღირებულებას). მაგრამ რაც ძალაშია საგარეო ვაჭრობის მიმართ, ის ძალაშია საშინაო ვაჭრობის მიმართაც.

აქამდე ვაჭრის კაპიტალს ჩვენ განვიხილავდით კაპიტალისტური წარმოების წესის თვალსაზრისით და მის ფარგლებში. მაგრამ არა მარტო ვაჭრობა, არამედ სავაჭრო კაპიტალიც კაპიტალისტურ წარმოების წესზე უფრო ხნიერია და სინამდვილეში წარმოადგენს კაპიტალის არსებობის ისტორიულად უძველეს თავისუფალ ფორმას.

რადგან ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ფულით ვაჭრობა და მასში ავანსებული კაპიტალი თავის განვითარებისათვის სხვა არას საჭიროებს, გარდა მსხვილი ვაჭრობის არსებობისა, შემდეგ საქონლურ-სავაჭრო კაპიტალისა. ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ ამ უკანასკნელს შევეხებით.

რადგან სავაჭრო კაპიტალი მიმოქცევის სფეროშია ჩამაგრებული და მისი ფუნქცია მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ

საზოგადოებრივ «შუამავლობას» — ი მ ი ტ ო მ რ ო მ იგი შუამავლობაა, — აუცილებლობის ისეთივე აბსოლუტური ხასიათი, ისეთივე ხარისხი აქვს. სიტყვა «შუამავლობა» ყველაფრის გადამწყვეტია. ისე კი, მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ვაჭრები კი არ არიან შუამავლები (მწარმოებლებისაგან განსხვავებით, მომხმარებლებს, რომელნიც არ აწარმოებენ, ჩვენ ჯერჯერობით ყურადღების გარეშე ვტოვებთ), ისინი შუამავლობენ ამ მწარმოებელთა პროდუქტების გაცვლისას მათ შორის, ისინი მხოლოდ შუაკაცებია ამ ვაცვლაში, რომელიც ათას შემთხვევაში უიმათოდ სრულდება.

საქონელთა გაცვლის მოსაშუალეობა გასწიოს, ამიტომ — თუ მხედველობაში არ მივიღებთ განუვითარებელ ფორმებს, რომლებიც უშუალო გაცვლითი ვაჭრობიდან გამომდინარეობს — მისი განვითარებისთვის არავითარი სხვა პირობები არაა საჭირო, გარდა იმ პირობებისა, რომლებიც მარტივი საქონელმიმოქცევისათვის და ფულის მიმოქცევისათვის არის აუცილებელი. ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, უკანასკნელი მ ი ს ი არსებობის პირობას წარმოადგენს. როგორიც არ უნდა იყოს წარმოების წესი, რომლის ბაზისზეც საქონლის სახით მიმოქცევაში შემავალი პროდუქტები იწარმოება, — იქნება ეს პირველყოფილი თემური წარმოების, მონურ შრომაზე დაფუძნებული წარმოების, წვრილგლეხური და წვრილბურჟუაზიული, თუ კაპიტალისტური წარმოების ბაზისზე, — ეს სრულიად არაფერს არ ცვლის მაოს, როგორც საქონლის, ხასიათში, და საქონლის სახით მათ უნდა განვლონ გაცვლის პროცესი და მისი თანმხლები ფორმაცვლილებანი. კიდური წევრები, რომელთა შორის ვაჭრის კაპიტალი შუამავლობს, ისევეა მოცემული ამ უკანასკნელისათვის, როგორც ფულისა და ფულის მოძრაობისათვის. ერთადერთი ისაა საჭირო, რომ ეს კიდურები საქონლის სახით არსებობდეს,—სულ ერთია, წარმოადგენს წარმოება მთელი თავისი მოცულობით საქონელწარმოებას, თუ მწარმოებელთ, რომელნიც თვითონ ეწევიან მეურნეობას, ბაზარზე გამოაქვთ მხოლოდ ის ნამეტი, რომელიც რჩება მათი წარმოებით მათივე უშუალო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ. ვაჭრის კაპიტალი შუამავლობს მხოლოდ ამ კიდურთა, საქონელთა, როგორც მისთვის მოცემულ წანამძღვართა, მოძრაობას.

თუ რა მოცულობით შედის პროდუქცია ვაჭრობაში, რა მოცულობით გაივლის იგი ვაჭრების ხელში, ეს წარმოების წესზეა დამოკიდებული; ეს მოცულობა თავის მაქსიმუმს აღწევს კაპიტალისტური წარმოების სრული განვითარების დროს, როცა პროდუქტი იწარმოება მხოლოდ როგორც საქონელი და არა როგორც უშუალო მოხმარების საშუალება. მეორე მხრივ, ყოველი წარმოების წესის საფუძველზე ვაჭრობა ხელს უწყობს იმ ნამეტი პროდუქტის შექმნას, რომელიც განკუთვნილია გაცვლაში შესასვლელად, რათა გაადიდოს მოხმარება ან მწარმოებელთა მარაგი (მწარმოებლებად აქ პროდუქტების მესაკუთრენი იგულისხმებიან); მაშასადამე, იგი წარმოებას აძლევს სულ უფრო და უფრო ისეთი წარმოების ხასიათს, რომლის მიზანსაც საცვლელი ღირებულება შეადგენს.

საქონელთა მეტამორფოზი, მათი მოძრაობა მდგომარეობს: 1) ნივთობრივად—სხვადასხვა საქონლის ერთიმეორეზე გაცვლაში, 2) ფორმის მხრივ საქონლის ფულად გადაქცევაში, გაყიდვაში და ფულის

საქონლად გარდაქმნაში, ყიდვაში. და ამ ფუნქციებზე, საქონელგაცვლაზე ყიდვისა და გაყიდვის გზით, დაიყვანება ვაჭრის კაპიტალის ფუნქცია. მაშასადამე, იგი შუამავლობს მხოლოდ საქონელგაცვლას, თუმცა ეს უკანასკნელი არ უნდა გავიგოთ იმთავითვე როგორც უბრალო საქონელგაცვლა უშუალო მწარმოებლებს შორის. მონათმფლობელური ურთიერთობის, ისევე როგორც ბატონყმური ურთიერთობის და, მოხარკეობის ურთიერთობის პირობებში (რამდენადაც მხედველობაში გვაქვს პრიმიტიული საზოგადოებრივი წყობა) პროდუქტის მიმთვისებელი, და, მაშასადამე, გამყიდველი არის მონათმფლობელი, ფეოდალური მებატონე, ხარკის მიმღები სახელმწიფო. ვაჭარი ყიდულობს და ყიდის მრავალთათვის. მის ხელში თავს იყრის მრავალი ყიდვა და გაყიდვა, რის გამო ყიდვა და გაყიდვა კარგავს უშუალო კავშირს მყიდველის (როგორც ვაჭრის) უშუალო მოთხოვნილებასთან.

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაცია წარმოების იმ სფეროებში, რომელთა შორისაც საქონელგაცვლას ვაჭარი შუამავლობს, მისი ქონება არსებობს მუდამ როგორც ფულადი ქონება და მისი ფული მოქმედებს მუდამ როგორც კაპიტალი. ამ კაპიტალის ფორმაა ყოველთვის Ფ — ს — Ფ′; ფული, საცვლელი ღირებულების თავისთავადი ფორმა, ამოსავალი პუნქტია, და საცვლელი ღირებულების გადიდება — თავისთავადი მიზანი. თვით საქონელგაცვლა და მისი მოსაშუალე ოპერაციები — წარმოებისგან განცალკევებული და არამწარმოებლის მიერ შესრულებული — მარტოოდენ საშუალებაა არა უბრალოდ სიმდიდრისა, არამედ მის საყოველთაო საზოგადოებრივ ფორმაში, საცვლელი ღირებულების სახით არსებული სიმდიდრის გადიდებისა. მამოძრავებელი მოტივი და განმსაზღვრელი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ Ფ გარდაიქმნას Ф+ΔФ-ად; აქტები Ф — ს და ს — Ф′, რომელნიც აქტს Ф — Ф′-ს მოსაშუალეობენ, გვევლინება მარტოოდენ როგორც გარდამავალი მომენტები Ф ამ გარდაქმნისა Ф + ΔФ-ად. ეს Ф—ს—Ф′, როგორც ვაჭრის კაპიტალის დამახასიათებელი მოძრაობა, განასხვავებს ამ უკანასკნელს ს — Ф — ს-ისგან, იმ საქონელვაჭრობისაგან, რომელსაც ადგილი აქვს თვით მწარმოებლებს შორის და რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს სახმარ ღირებულებათა გაცვლა.

ამიტომ, რაც უფრო განუვითარებელია წარმოება, მით უფრო თავს იყრის ფულადი ქონება ვაჭრების ხელში, ანუ მით უფრო გვევლინება იგი როგორც ვაჭრის ქონების სპეციფიკური ფორმა.

კაპიტალისტური წარმოების წესის არსებობისას — ე. ი. როცა კაპიტალი ეუფლება თვით წარმოებას და მას სრულიად შეცვლილ და სპეციფიკურ ფორმას აძლევს — ვაჭრის კაპიტალი გვევლინება როგორც განსაკუთრებული ფუნქციის კაპიტალი. წარმოების ყველა წინანდელი წესის დროს, — და მით უფრო, რაც წარმოება მწარმოებლების საარსებო საშუალებათა უშუალოდ წარმოებაა, — ვაჭრის კაპიტალი გვევლინება როგორც კაპიტალის ფუნქცია par excellence.

ამრიგად, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის გაგება, თუ რატომაა ვაჭრის კაპიტალი კაპიტალის ისტორიული ფორმა ბევრად უფრო ადრე, ვიდრე იგი თვით წარმოებას დაიქვემდებარებდეს. მისი არსებობა და გარკვეულ სიმაღლემდე განვითარება თვით შეადგენს ისტორიულ წანამძღვარს კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებისათვის. 1) როგორც ფულადი ქონების კონცენტრაციის წინაპირობა, და 2) იმიტომ რომ კაპიტალისტური წარმოების წესი გულისხმობს წარმოებას ვაჭრობისთვის, გასაღებას დიდი მასშტაბით და არა ცალკეულ მუშტრებზე, მაშასადამე, გულისხმობს ვაჭარსაც, რომელიც ყიდულობს არა თავის პირად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ მრავალ პირთა ყიდვის აქტების კონცენტრაციას ახდენს თავის ყიდვის აქტში. მეორე მხრივ, ვაჭრის კაპიტალის მთელი განვითარება იმგვარად მოქმედებს წარმოებაზე, რომ ის სულ უფრო და უფრო საცვლელი ღირებულების მქონე წარმოების ხასიათს იღებს, პროდუქტები უფრო და უფრო საქონლად იქცევა. მაგრამ, როგორც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ შემდგომი გადმოცემიდან, მისი განვითარება, თავისდათავად აღებული, საკმარისი არაა იმისათვის, რომ გამოიწვიოს და აგვიხსნას ერთი წარმოების წესის მეორეში გადასვლა.

კაპიტალისტურ წარმოებაში ვაჭრის კაპიტალი თავისი წინანდელი დამოუკიდებელი არსებობიდან ისეთ როლზე ჩამოდის, როცა იგი საერთოდ კაპიტალის დაბანდების მხოლოდ განსაკუთრებულ მომენტს წარმოადგენს, მოგების გათანატოლებას კი მისი მოგების ნორმა საერთო საშუალო დონეზე ჩამოჰყავს. იგი მოქმედებს მხოლოდ როგორც მწარმოებლური კაპიტალის აგენტი. განსაკუთრებული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც ვაჭრის კაპიტალის განვითარებასთან ერთად ყალიბდება, აქ აღარაა განმსაზღვრელი მომენტი; პირიქით, სადაც ვაჭრის კაპიტალს უპირატესი ადგილი უკავია, იქ მოძველებული ურთიერთობაა გაბატონებული. ამას ჩვენ ვხედავთ ერთი და იმავე ქვეყნის ფარგლებშიც, სადაც, მაგალითად, წმინდა სავაჭრო ქალაქები

უფრო მეტად მოგვაგონებენ წარსულ ურთიერთობას, ვიდრე საფაბრიკო ქალაქები [46].

კაპიტალის თავისთავადი და უპირატესი განვითარება ვაჭრის კაპიტალის სახით მოასწავებს წარმოების დაუქვემდებარებლობას კაპიტალისადმი, ე. ი. მოასწავებს კაპიტალის განვითარებას მისთვის უცხო და მისგან დამოუკიდებელი წარმოების საზოგადოებრივი ფორმის საფუძველზე. მაშასადამე, ვაჭრის კაპიტალის თავისთავადი განვითარება პირუკუ შეფარდებაშია საზოგადოების საერთო ეკონომიურ განვითარებასთან.

თავისთავადი ვაჭრის ქონება როგორც კაპიტალის გაბატონებული ფორმა ნიშნავს მიმოქცევის პროცესის განცალკევებას მისი კიდურებისაგან, ხოლო ამ კიდურებს შეადგენენ თვითონ მწარმოებლები, რომლებიც გაცვლას ასრულებენ. ეს კიდურები დამოუკიდებელი რჩება მიმოქცევის პროცესის მიმართ, და ეს პროცესი — მათ მიმართ. პროდუქტი აქ საქონლად იქცევა ვაჭრობის მეოხებით. აქ სწორედ ვაჭრობა იწვევს იმას, რომ პროდუქტი საქონლის ფორმას იღებს და წარმოებული საქონელი არ შეადგენს თავისი მოძრაობით ვაჭრობას. მაშასადამე, აქ კაპიტალი პირველად გვევლინება მიმოქცევის პროცესში როგორც კაპიტალი. მიმოქცევის პროცესში ფული ვითარდება კაპიტალად. მიმოქცევაში პროდუქტი პირველად ვითარდება როგორც საცვლელი ღირებულება, როგორც საქონელი და ფული. კაპიტალს მიმოქცევის პროცესში შეუძლია წარმოიქმნას, და იგი უნდა წარმოიქმნას მასში მანამდე, ვიდრე ისწავლიდეს თავისი კიდურების, წარმოების იმ სხვადასხვა სფეროების დაუფლებას, რომელთა შორის მიმოქცევას იგი მოსაშუალეობს. ფულისა და საქონლის მიმოქცევა შეიძლება მოსაშუალეობდეს წარმოების მეტად სხვადასხვა ორგანიზაციის მქონე სფეროებს, რომლებიც თავისი შინაგანი სტრუქტურით ჯერ კიდევ

[46] ბატონი ვ. კისელბახი («Der Gang des Welthandels im Mittelalter». [Stuttgart] 1860) მართლა ჯერ კიდევ იმ ქვეყნის წარმოდგენებით ცხოვრობს, სადაც ვაჭრის კაპიტალი საერთოდ კაპიტალის ფორმაა. კაპიტალზე თანამედროვე გაგებით მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს, ისევე როგორც ბ-ნ მომზენსაც, რომელიც თავის რომის ისტორიაში «კაპიტალზე» და კაპიტალის ბატონობაზე ლაპარაკობს. უახლეს ინგლისის ისტორიაში საკუთრივ ვაჭართა წოდება და სავაჭრო ქალაქები აგრეთვე პოლიტიკურად რეაქციონერები არიან და მიწისა და ფინანსების არისტოკრატიასთან კავშირში იმყოფებიან სამრეწველო კაპიტალის წინააღმდეგ. შეადარეთ, მაგალითად, ლიეერპულის პოლიტიკური როლი მანჩესტერისა და ბირმინგამის როლს. სამრეწველო კაპიტალის სრული გაბატონება მხოლოდ ხორბლეულის ბაჟების მოსპობის და სხვ. შემდეგ აღიარა ინგლისის სავაჭრო და ფინანსურმა არისტოკრატიამ (moneyed interest).

უმთავრესად სახმარი ღირებულების წარმოებას ემსახურებიან. მიმოქცევის პროცესის ეს განცალკევება, როდესაც წარმოების სფეროების დაკავშირება ერთმანეთთან მესამე წევრის მეშვეობით ხდება, ორგვარ გარემოებას გამოხატავს. ერთი მხრივ, იმას, რომ მიმოქცევა ჯერ კიდევ არ დაუფლებია წარმოებას, არამედ დამოკიდებულებაშია მასთან როგორც მოცემულ წანამძღვართან. მეორე მხრივ, იმას, რომ წარმოების პროცესს ჯერ კიდევ არ მოუქცევია თავის ფარგლებში მიმოქცევა როგორც უბრალოდ თავისი მომენტი. პირიქით, კაპიტალისტურ წარმოებაში ადგილი აქვს ერთსაც და მეორესაც. წარმოების პროცესი სავსებით დაფუძნებულია მიმოქცევაზე, მიმოქცევა კი არის მხოლოდ მომენტი, გარდამავალი ფაზა წარმოებისა, მხოლოდ რეალიზაცია საქონლის სახით წარმოებული პროდუქტისა, და ანაზღაურება მისი წარმოების ელემენტებისა, რომლებიც საქონლის სახით იწარმოება. კაპიტალის ფორმა, რომელიც უშუალოდ მიმოქცევიდან წარმოდგება — სავაჭრო კაპიტალი — გვევლინება აქ მხოლოდ როგორც ერთ-ერთი ფორმა კაპიტალისა მისი კვლავწარმოების პროცესში.

ის კანონი, რომლის თანახმად ვაჭრის კაპიტალის თავისთავადი განვითარება პირუკუ შეფარდებაშია კაპიტალისტური წარმოების განვითარების დონესთან, განსაკუთრებული სიცხადით მჟღავნდება, მაგალითად, ვენეციელების, გენუელების, ჰოლანდიელების და სხვ. საშუამავლო ვაჭრობის (carrying trade) ისტორიაში, მაშასადამე, იქ, სადაც მთავარი სარფა მიიღება არა საკუთარი ქვეყნის პროდუქტების გაზიდვით, არამედ კომერციულად და საერთოდ ეკონომიურად განუვითარებელ საზოგადოებრივ შენაერთთა შორის პროდუქტთა გაცვლის მოსაშუალეობის გაწევით და ორივე მწარმოებელი ქვეყნის ექსპლოატაციით[47]. აქ ვაჭრის კაპიტალი წმინდა სახითაა მოცემული; იგი განცალკევებულია კიდურებისგან, წარმოების იმ სფეროებისგან, რო-

[47] «სავაჭრო ქალაქების მცხოვრებლებს შეჰქონდათ მდიდარი ქვეყნებიდან სათუთი მანუფაქტურული საქონელი და ფუფუნების ძვირფასი საგნები და ამგვარად საზრდოს აწვდიდნენ მსხვილ მეშამფულეთა პატივმოყვარეობას, რომელნიც ამ საქონელს ხარბად ყიდულობდნენ და ამაში თავიანთი მიწების უამრავ ნედლ პროდუქტს იხდიდნენ. ამგვარად, ამ ხანაში ევროპის დიდი ნაწილის ვაჭრობა მდგომარეობდა ერთი ქვეყნის ნედლი პროდუქტის გაცვლაში მეორე — მრეწველობაში უფრო წინწასული — ქვეყნის მანუფაქტურულ პროდუქტებზე... როდესაც ეს გემოვნება საყოველთაოდ გავრცელდა და მან მნიშვნელოვანი მოთხოვნა გამოიწვია, ვაჭრებმა, გადაზიდვის ხარჯების დაზოგვის მიზნით, იწყეს მსგავსი მანუფაქტურების გაშართვა თავიანთ საკუთარ ქვეყანაში» (A. Smith [«Wéalth of Nations»], წიგნი III, თავი III).

მელთა შორის იგი მოსაშუალეობს. ეს არის მისი წარმოქმნის მთავარი წყარო. მაგრამ საშუამავლო ვაჭრობის ეს მონოპოლია და მასთან ერთად თვით ეს ვაჭრობაც დაქვეითებას განიცდის, რამდენადაც წინ მიდის იმ ხალხების ეკონომიური განვითარება, რომელთაც ეს ვაჭრობა ორმხრივ ექსპლოატაციას უწევდა და რომელთა განუვითარებლობა მისი არსებობის ბაზისს შეადგენდა. საშუამავლო ვაჭრობის შემთხვევაში ეს წარმოადგენს არა მარტო ვაჭრობის განსაკუთრებული დარგის დაქვეითებას, არამედ აგრეთვე წმინდა მოვაჭრე ხალხების უპირატესობისა და საზოგადოდ მათი სავაჭრო სიმდიდრის დაცემას, სიმდიდრისა, რომელიც ამ საშუამავლო ვაჭრობის საფუძველზე იყო დამყარებული. ეს არის მხოლოდ განსაკუთრებული ფორმა, რომლითაც კაპიტალისტური წარმოების განვითარების მსვლელობაში გამოხატულებას პოულობს სავაჭრო კაპიტალის დაქვემდებარება სამრეწველო კაპიტალისადმი. სხვათა შორის, იმის თვალსაჩინო მაგალითს, თუ როგორ თარეშობს ვაჭრის კაპიტალი იქ, სადაც წარმოებას ეუფლება, წარმოადგენს არა მარტო კოლონიური მეურნეობა საერთოდ (ეგრეთწოდებული კოლონიური სისტემა), არამედ განსაკუთრებით ძველი ჰოლანდია — ოსტ-ინდოეთის კომპანიის მეურნეობა.

რადგან სავაჭრო კაპიტალის მოძრაობაა Ფ — ს — Ფ′, ამიტომ ვაჭრის მოგება მიიღება, ჯერ-ერთი, იმ აქტების საშუალებით, რომლებიც მხოლოდ მიმოქცევის პროცესის ფარგლებში წარმოებს, მაშასადამე, მიიღება ორი აქტის — ყიდვისა და გაყიდვის — შესრულების გზით, და, მეორე, იგი ხორციელდება უკანასკნელ აქტში, გაყიდვაში. ამრიგად იგი წარმოადგენს გასხვისებიდან მიღებულ მოგებას, profit upon alienation-ს. წმინდა, დამოუკიდებელი სავაჭრო მოგება გვევლინება prima facie [უპირველესად] როგორც შეუძლებელი მოვლენა, სანამ პროდუქტები მათი ღირებულების მიხედვით იყიდება. იაფად ყიდვა ძვირად გაყიდვის მიზნით — აი ვაჭრობის კანონი. მაშასადამე, არა გაცვლა ეკვივალენტებისა. ღირებულების ცნება ამასთან იგულისხმება იმდენად, რამდენადაც სხვადასხვა საქონელი ყველა ღირებულებაა და ამიტომ ფულია; თვისებრივად ყველა თანაბრად საზოგადოებრივი შრომის გამოსახულებაა. მაგრამ ისინი არ არიან ღირებულების თანატოლი სიდიდენი. რაოდენობრივი შეფარდება, რომლის მიხედვით პროდუქტები ერთმანეთზე იცვლება, თავდაპირველად სრულიად შემთხვევითია. ისინი საქონლურ ფორმას იღებენ, იმიტომ რომ საერთოდ გაცვლის უნარმქონენი არიან, ე. ი. იმიტომ რომ ერთი და იმავე მესამე რამის გამოსახულებას წარმოადგენენ. გაცვლის განგრძო-

ბა და უფრო რეგულარული კვლავწარმოება გაცვლისათვის სულ უფრო სპობს ამ შემთხვევითობას. მაგრამ თავდაპირველად არა მწარმოებლებისა და მომხმარებლებისთვის, არამედ შუამავლისთვის ორივეს შორის, ვაჭრისთვის, რომელიც ფულად ფასებს ერთმანეთს ადარებს და სხვაობას ჯიბეში იდებს. თვით თავისი მოძრაობით იგი ამყარებს ეკვივალენტობას.

სავაჭრო კაპიტალი დასაწყისში მხოლოდ მოსაშუალე მოძრაობას წარმოადგენს კიდურებს შორის, რომლებსაც იგი არ არის დაუფლებული, და ამ წანამძღვართა შორის, რომელთაც იგი არა ქმნის.

როგორც საქონელმიმოქცევის მარტივი ფორმიდან, ს — ფ — ს-იდან, ფული ვითარდება არა მხოლოდ როგორც ღირებულების საზომი და მიმოქცევის საშუალება, არამედ აგრეთვე როგორც საქონლისა და მასთან ერთად სიმდიდრის აბსოლუტური ფორმა, როგორც განძი, და მისი შემონახვა და გაზრდა ფულის სახით თვითმიზნად იქცევა, — ასევე ვაჭრის კაპიტალის მიმოქცევის მარტივი ფორმიდან, ფ — ს — ფ′-იდან, ვითარდება ფული, განძი, როგორც ისეთი რამ, რაც უბრალო გასხვისების გზით შეინახება და მრავლდება.

ძველი დროის მოვაჭრე ხალხები არსებობდნენ როგორც ეპიკურეს ღმერთები სამყაროს ინტერმუნდიებში (სამყაროთაშორისი სივრცე) ანუ, უფრო სწორად, როგორც ებრაელები პოლონური საზოგადოების სვრეტებში. პირველი დამოუკიდებელი, ძლავრად განვითარებული სავაჭრო ქალაქებისა და მოვაჭრე ხალხების ვაჭრობა, როგორც წმინდა საშუამავლო ვაჭრობა, დამყარებული იყო მწარმოებელი ხალხების ბარბაროსობაზე, რომელთა შორის ისინი შუამავლების როლს ასრულებდნენ.

კაპიტალისტური საზოგადოების წინასაფეხურებზე ვაჭრობა დაუფლებულია მრეწველობას; თანამედროვე საზოგადოებაში პირიქით. რა-საკვირველია, ვაჭრობა მეტნაკლებად უკუგავლენას მოახდენს იმ საზოგადოებებზე, რომელთა შორის იგი სწარმოებს; იგი წარმოებას სულ უფრო და უფრო დაუქვემდებარებს საცვლელ ღირებულებას, იმიტომ რომ განცხრომას და მოხმარებას უფრო დამოკიდებულს ხდის გაყიდვაზე, ვიდრე პროდუქტის უშუალო მოხმარებაზე. ამით იგი იწვევს ძველი ურთიერთობის დაშლას, ადიდებს ფულის მიმოქცევას. იგი ხელთ იპყრობს არა მარტო წარმოების ნამეტს, არამედ თანდათან ნთქავს თვით ამ წარმოებას, და თავისთავზე დამოკიდებულს ხდის წარმოების მთელ დარგებს. მაგრამ ეს დამშლელი გავლენა დიდადაა დამოკიდებული მწარმოებელი საზოგადოების ბუნებაზე.

ვიდრე სავაჭრო კაპიტალი განუვითარებელ საზოგადოებათა პროდუქტების გაცვლას მოსაშუალეობს, კომერციული მოგება გვევლინება არათუ როგორც სხვისი დაკლება და მოტყუება, არამედ იგი მეტწილად მართლაც აქედან წარმოდგება. გარდა იმისა, რომ სავაჭრო კაპიტალი სარგებლობს სხვადასხვა ქვეყნების წარმოების ფასების სხვაობით (და ამ მხრივ მას გავლენა აქვს საქონელთა ღირებულების გათანასწორებაზე და დამყარებაზე), აღნიშნულ წარმოების წესებს ის ახლავს შედეგად, რომ ზედმეტი პროდუქტის უდიდეს ნაწილს ვაჭრის კაპიტალი მიითვისებს, — ნაწილობრივ როგორც შუამავალი საზოგადოებათა შორის, რომელთა წარმოება ჯერ კიდევ არსებითად სახმარი ღირებულებისადმია მიმართული და რომელთა ეკონომიური ორგანიზაციისთვის საერთოდ მიმოქცევაში შემავალი პროდუქტთა ნაწილის გაყიდვას, მაშასადამე, საერთოდ პროდუქტთა გაყიდვას მათი ღირებულების მიხედვით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს; ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ წარმოების აღნიშნულ წინანდელ წესთა არსებობის დროს ზედმეტი პროდუქტის მთავარი მფლობელნი, რომლებთანაც ვაჭარს საქმე აქვს, — მონათმფლობელი, ფეოდალური მებატონე, სახელმწიფო (მაგ., აღმოსავლეთელი დესპოტი), — მომხმარებელ სიმდიდრეს წარმოადგენენ, რომელსაც ხაფანგს უდგამს ვაჭარი, როგორც უკვე ა. სმიტს ზემოაღნიშნულ ადგილას სწორად აქვს ალღო აღებული ფეოდალური დროის მიმართ. ამრიგად, სავაჭრო კაპიტალი, როდესაც იგი უპირატესად გაბატონებულია, ყველგან ძარცვა-გლეჯის სისტემას გამოხატავს [48], და მისი განვითარებაც ხომ როგორც ძველი, ისე ახალი

---

[48] «ახლა ვაჭრები ძალიან უჩიენიან თავადაზნაურებს ან ყაჩაღებს იმას, რომ ისინი ღიდ ხიფათში არიან ვაჭრობის დროს, რომ, გარდა ამისა, მათ იჭერენ, სცემენ, გამოსაღებს ადებენ და ძარცვავენ. მაგრამ ვაჭრები რომ ამას სამართლიანობის გულისთვის განიცდიდნენ, ისინი წმინდანები იქნებოდნენ... მაგრამ რადგან ვაჭრები ესოდენ უსამართლოდ და არაჭრისტიანულად ჭურდობენ და ძარცვავენ მთელ ქვეყანას და ერთმანეთსაც კი, — რაღა გასაკვირია, თუ ღვთის ნებით, უსამართლოდ მოპოვებული ესოდენ დიდი ქონება, ხელახლა დაკარგულ და მოტაცებულ იქნეს და თვით ისინი გვემულ და დატყვევებულ იქნენ?... და თავადებს მართებთ სათანადო ძალით დასაჯონ ისინი ასეთი უსამართლო ვაჭრობისათვის და რაიმე იღონონ იმისათვის, რომ ვაჭრები ასე უსინდისოდ ტყავს არ აძრობდნენ, მათს ქვეშევრდომებს. და რადგან ისინი ამას არ შვრებიან, ღმერთი იყენებს რაინდებს და ყაჩაღებს და მათი საშუალებით სჯის ვაჭრების უსჯულოებას, ისინი მისი ეშმაკები უნდა იყვნენ: სწორედ ისე, როგორც იგი ეგვიპტელთა მბარეს და მთელ ქვეყანას ეშმაკებით ტანჯავს ან მტრებით მუსრავს. ამრიგად, იგი ერთ გაიძვერას მეორის საშუალებით სცემს ისე, რომ მით მას არ აგებინებს, რომ რაინდი ნაკლები ყაჩაღია, ვიდრე ვაჭრები, ვინაიდან ვაჭრები ყოველდღე ძარცვავენ მთელ ქვეყანას, მაშინ როდესაც

დროის მოვაჭრე ხალხებში, უშუალოდ დაკავშირებული იყო ძალადურ ძარცვა-გლეჯასთან, მეკობრეობასთან, მონების მოტაცებასთან, კოლონიების დამონებასთან; ასე იყო კართაგენში, რომში, უფრო გვიან ვენეციელებში, პორტუგალიელებში, ჰოლანდიელებში და სხვ.

ვაჭრობისა და სავაჭრო კაპიტალის განვითარება ყველგან ავითარებს წარმოებას იმგვარად, რომ იგი საცვლელი ღირებულებისადმია მიმართული, ადიდებს მის მოცულობას, ამრავალფეროვანებს და კოსმოპოლიტურ ხასიათს ანიჭებს მას, ავითარებს ფულს მსოფლიო ფულად. ამიტომ ვაჭრობას მეტნაკლებ დამშლელი ზეგავლენა აქვს წარმოების იმ არსებულ ორგანიზაციებზე, რომლებიც ყველა თავის ფორმაში უმთავრესად სახმარი ღირებულების წარმოებისადმია მიმართული. მაგრამ თუ რამდენად იწვევს იგი წარმოების ძველი წესის დაშლას, ეს უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ამ უკანასკნელის სიმტკიცესა და შინაგან სტრუქტურაზე. და თუ საითკენ მივყავართ დაშლის ამ პროცესს, ე. ი. წარმოების რომელი ახალი წესი დგება ძველის ადგილას, ეს დამოკიდებულია არა ვაჭრობაზე, არამედ თვით წარმოების ძველი წესის ხასიათზე. ანტიკურ სამყაროში ვაჭრობის ზეგავლენა და ვაჭრის კაპიტალის განვითარება მუდამ შედეგად მონურ მეურნეობას იძლევა; ხან კი, ამოსავალი პუნქტის მიხედვით, მას შედეგად მოსდევს მხოლოდ გარდაქმნა პატრიარქალური მონური სისტემისა, რომელიც უშუალო საარსებო საშუალებათა წარმოებისადმია მიმართული, ისეთ მონურ სისტემად, რომელიც ზედმეტი ღირებულების წარმოებისადმია მიმართული. პირიქით, თანამედროვე სამყაროში მას შედეგად აქვს კაპიტალისტური წარმოების წესი. აქედან გამომდინარეობს, რომ თვით ეს შედეგები გაპირობებული იყო სრულიად სხვა გარემოებებით, ვიდრე სავაჭრო კაპიტალის განვითარებით.

რაინდი ერთხელ ან ორხელ, ერთს ან ორს, გასძარცვავს წლის განმავლობაში». — «სრულდება წინასწარმეტყველება ესაიასი: თავადნი შენნი გახდნენ ქურდების, მოზიარენი. იმიტომ რომ ისინი თოკით ახრჩობენ ქურდებს, რომლებმაც ერთი ან ნახევარი გულდენი მოიპარეს, ხოლო საქმეს იჭერენ იმათთან, რომელნიც მთელ ქვეყანას ძარცვავენ და უფრო უშიშრად იპარავენ, ვიდრე სხვანი, ასე რომ მართლდება ძველი ანდაზა: დიდი ქურდები პატარა ქურდებს ახრჩობენო; და როგორც ამბობდა რომის სენატორი კატონი: პატარა ქურდები საპყრობილეებში და ხუნდებში სხედან, ხოლო დიდი ქურდები ოქროში და აბრეშუმში დადიანო. რას იტყვის ამაზე დაბოლოს ღმერთი? იგი იმას გააკეთებს, რასაც ამბობს ეზეკიელის პირით: თავადებს და ვაჭრებს, ერთ ქურდს მეორესთან ერთად გადაადნობს, როგორც ტყვიას და სპილენძს, ასე რომ აღარ დარჩებიან არც თავადები და არც ვაჭრები, როგორც არ დარჩებიან ისინი მას შემდეგ, რაც ქალაქი ამოიწვის» (**Martin Luther**: «**Von Kaufshandlung und Wucher**». [**Wittenberg**] 1524).

თვით საქმის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ, როგორც კი საქალაქო მრეწველობა როგორც ასეთი განცალკევდება მიწათმოქმედებისაგან, მისი პროდუქტები იმთავითვე საქონელს წარმოადგენენ და, მაშასადამე, მათ გასაყიდად ვაჭრობის შუამავლობა არის საჭირო. ამრიგად. ვაჭრობის დაკავშირება საქალაქო განვითარებასთან და, მეორე მხრივ, ამ უკანასკნელის გაპირობებულობა ვაჭრობით თავისთავად გასაგებია. მაგრამ თუ რამდენად მიმდინარეობს მასთან ხელიხელჩაკიდებული სამრეწველო განვითარება, ეს აქ სულ სხვა გარემოებებზეა დამოკიდებული. ძველს რომში რესპუბლიკის უფრო გვიანდელ პერიოდში განვითარდა უკვე ვაჭრის კაპიტალი უფრო მაღალ დონემდე, ვიდრე ოდესმე წინათ ძველს ქვეყანაში, ისე, რომ სამრეწველო განვითარების არავითარი პროგრესი არ მომხდარა; მაშინ როდესაც კორინთოში და ევროპისა და მცირე აზიის სხვა ბერძნულ ქალაქებში ვაჭრობის განვითარებას თან ახლდა მრეწველობის მაღალი განვითარება. მეორე მხრივ, პირდაპირ წინააღმდეგ საქალაქო განვითარებისა და მისი პირობებისა, ვაჭრული სული და სავაჭრო კაპიტალის განვითარება ხშირად არაბინადარ, მომთაბარე ხალხებს ახასიათებს.

სრულიად ეჭვს გარეშეა, — და სწორედ ამ ფაქტმა წარმოშვა მცდარი შეხედულებანი, — რომ დიდი რევოლუციები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ვაჭრობაში XVI და XVII საუკუნეებში გეოგრაფიულ აღმოჩენებთან დაკავშირებით და რომლებმაც სწრაფად წასწია წინ ვაჭრის კაპიტალის განვითარება, ერთი მთავარი მომენტია იმათგან, რომლებმაც ხელი შეუწყო ფეოდალური წარმოების წესის გადასვლას კაპიტალისტურში. მსოფლიო ბაზრის უეცარმა გაფართოებამ, მიმოქცევაში მყოფ საქონელთა გამრავლებამ, მეტოქეობამ ევროპულ ერებს შორის აზიის პროდუქტებისა და ამერიკის განძეულობის დასაუფლებლად, კოლონიურმა სისტემამ, — ყოველივე ამან არსებითად ხელი შეუწყო წარმოების ფეოდალური ზღუდეების დანგრევას. მაგრამ თანამედროვე წარმოების წესი თავის პირველ პერიოდში, მანუფაქტურულ პერიოდში, მხოლოდ იქ განვითარდა, სადაც მისთვის პირობები უკვე შუა საუკუნეებში შეიქმნა. შეადარეთ, მაგალითად, ჰოლანდია პორტუგალიას [49]. და თუ XVI და ნაწილობრივ კიდევ XVII საუკუნეში ვაჭრო-

[49] თუ რამდენად უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა ჰოლანდიის განვითარებისათვის, სხვა გარემოებათა გარდა, იმ ბაზისს, რომელზეც მისი მეთევზეობა, მანუფაქტურა და მიწათმოქმედება იყო დაფუძნებული, ეს უკვე XVIII საუკუნის მწერლებმა განმარტეს. იხ. მაგალითად, მესი. — წინააღმდეგ წინანდელი შეხედულებისა, რომელიც აზიური, ანტიკური და შუა საუკუნეთა დროინდელი ვაჭრობის მოცულობასა და მნიშვნელობას საკმარისად არ აფასებდა, ახლა მოდად არის გადაქცეული მისი არა-

ბის უეცარმა გაფართოებამ და ახალი მსოფლიო ბაზრის შექმნამ გადამწყვეტი გავლენა იქონია წარმოების ძველი წესის მოსპობაზე და კაპიტალისტური წესის აღორძინებაზე. — ეს მოხდა, პირიქით, წარმოების უკვე შექმნილი კაპიტალისტური წესის საფუძველზე. მსოფლიო ბაზარი თვით შეადგენს წარმოების ამ წესის საფუძველს. მეორე მხრივ, ამ უკანასკნელისათვის იმანენტური აუცილებლობა მუდამ უფრო და უფრო დიდი მასშტაბით წარმოებისა იწვევს მსოფლიო ბაზრის მუდმივ გაფართოებას, ასე რომ აქ ვაჭრობა კი არ არევოლუციურებს მრეწველობას, არამედ მრეწველობა არევოლუციურებს მუდამ ვაჭრობას. ვაჭრობის გაბატონებაც ახლა დაკავშირებულია იმ პირობების მეტნაკლებ უპირატესობასთან, რომლებზედაც დამოკიდებულია მსხვილი მრეწველობის განვითარება. შეადარეთ ერთმანეთს, მაგალითად, ინგლისი და ჰოლანდია. ჰოლანდიის, როგორც გაბატონებული მოვაჭრე ერის, დაცემის ისტორია არის ისტორია სავაჭრო კაპიტალის დაქვემდებარებისა სამრეწველო კაპიტალისადმი. ის დაბრკოლებები, რომლებსაც კაპიტალიზმამდელი ეროვნული წარმოების წესების შინაგანი სიმტკიცე და სტრუქტურა უქმნის ვაჭრობის დამრღვევ გავლენას, საოცარი სიცხადით მჟღავნდება ინგლისელების ურთიერთობაში ინდოეთთან და ჩინეთთან. წარმოების წესის ფართო საფუძველს აქ შეადგენს წვრილი მიწათმოქმედებისა და შინამრეწველობის ერთიანობა; ამასთან ინდოეთში ამას ერთვის კიდევ მიწის სათემო საკუთრებაზე დამყარებული სოფლურ-თემური ფორმა, რაც ჩინეთშიაც თავდაპირველ ფორმას წარმოადგენდა. ინდოეთში ინგლისელებმა, როგორც ბატონებმა და მიწის რენტის მეპატრონეებმა, გამოიყენეს ერთსა და იმავე დროს თავიანთი უშუალო პოლიტიკური და ეკონომიური ძალა ამ პატარა ეკონომიური თემების დასანგრევად[50]. მათს ვაჭრობას აქ

ჩვეულებრივად გადაჭარბებით შეფასება. საუკეთესო საშუალება ამ შეხედულებისაგან გასანთავისუფლებლად არის განხილვა ინგლისის ექსპორტის და იმპორტისა XVIII საუკუნის დასაწყისში და მისი დაპირისპირება ახლანდელთან. და იგი მაინც შეუდარებლად უფრო დიდი იყო, ვიდრე რომელიმე წინანდელი მოვაჭრე ხალხის ექსპორტ-იმპორტი (იხ. **A. Anderson: «An Historical and Chronological Deduction of the Origin of Commerce»**, ტ. II, **London** 1764, გვ. 261 და შემდ.).

[50] თუ რომელიმე ხალხის ისტორია იძლევა მარცხიან და მართლა უგუნურ (პრაქტიკაში სასირცხვო) ეკონომიურ ექსპერიმენტებს, ეს არის ინგლისელების სამეურნეო საქმიანობა ინდოეთში. ბენგალიაში მათ შექმნეს ინგლისური მსხვილი მიწათმფლობელობის კარიკატურა; სამხრეთ-აღმოსავლეთ ინდოეთში — პარცელური საკუთრების კარიკატურა; ჩრდილოეთ-დასავლეთში, რამდენადაც ეს მათზე იყო დამოკიდებული, ინდოეთის ეკონომიური თემი მიწის სათემო საკუთრებითურთ მათ აქციეს თვით ამ თემის კარიკატურად.

გამარევოლუციურებელი გავლენა აქვს წარმოების წესზე მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი თავისი საქონლის დაბალი ფასით სპობს მრთველობას და ფეიქრობას, რომელიც სამრეწველო-სამიწათმოქმედო წარმოების ამ ერთიანობის ძველისძველ ინტეგრალურ ნაწილს შეადგენდა, და ამგვარად არღვევს თემებს. მაგრამ აქაც კი ამ დაშლის საქმეს ისინი მხოლოდ ძალიან ნელა ახერხებენ. კიდევ უფრო ნაკლებ ახერხებენ ჩინეთში, სადაც უშუალო პოლიტიკური ძალა მათ დახმარებას არ უწევს. დიდი ეკონომია და დროის დაზოგვა, რაც მიწათმოქმედებისა და მანუფაქტურის უშუალო შეერთებიდან წარმოდგება, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევს აქ მსხვილი მრეწველობის პროდუქტებს, რომელთა ფასში შედის მათი ყოველმხრივ გამჭვალავი მიმოქცევის პროცესის faux frais [არამწარმოებლური ხარჯები]. წინააღმდეგ ინგლისის ვაჭრობისა, რუსეთის ვაჭრობა, პირიქით, ხელუხლებელს ტოვებს აზიური წარმოების ეკონომიურ საფუძველს [51].

ფეოდალური წარმოების წესიდან გადასვლა ხორციელდება ორგვარად: მწარმოებელი ხდება ვაჭარი და კაპიტალისტი, წინააღმდეგ სამიწათმოქმედო ნატურალური მეურნეობისა და შუა საუკუნეთა საქალაქო მრეწველობის ამქრული წესით შებოჭილი ხელოსნობისა. ეს არის ნამდვილად რევოლუციის მომზდენი გზა. ანდა ვაჭარი ეუფლება უშუალოდ წარმოებას. რაგინდ დიდი გავლენა არ უნდა ჰქონდეს უკანასკნელ გზას ისტორიულად როგორც გარდამავალ საფეხურს, — მაგალითად, შეიძლება ავიღოთ XVII საუკუნის ინგლისის clothier [მაუდის ვაჭარი], თავის კონტროლს რომ უმორჩილებს ფეიქრებს, რომელნიც მაინც დამოუკიდებელნი რჩებიან, მათ რომ თავის მატყლს მიჰყიდის და მათგან მაუდს ყიდულობს, — მაინც ეს გზა თავისდათავად არ იწვევს გადატრიალებას ძველ წარმოების წესში, რომელსაც იგი, პირიქით, ინახავს და როგორც თავის წინაპირობას ინარჩუნებს. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის ნახევრამდე, მეფაბრიკე საფრანგეთის აბრეშუმის მრეწველობაში, ინგლისის წინდისა და მაქმანის მრეწველობაში მეტწილად მხოლოდ ნომინალურად იყო მეფაბრიკე, სინამდვილეში კი უბრალო ვაჭარი იყო, რომელიც ფეიქრებს მათი ძველი დაქსაქსული წესის მიხედვით განაგრძობინებდა მუშაობას და მათზე მბრძანებლობდა მხოლოდ როგორც ვაჭარი, რომლისთვისაც

[51] აქაც ცვლილება იწყება მას შემდეგ, რაც რუსეთი მთელი თავისი ძალღონის დაძაბვით ცდილობს განავითაროს საკუთარი კაპიტალისტური წარმოება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი და მოსაზღვრე აზიის ბაზრის ამარა უნდა იყოს. — ფ. ე.

ისინი ნამდვილად მუშაობდნენ[52]. ასეთი ურთიერთობა ყველგან წარმოადგენს დაბრკოლებას კაპიტალისტური წარმოების წესისთვის და ისპობა ამ უკანასკნელის განვითარებასთან ერთად. წარმოების წესში გადატრიალების მოუხდენლად, იგი მხოლოდ აუარესებს უშუალო მწარმოებელთა მდგომარეობას, აქცევს მათ უბრალო დაქირავებულ მუშებად და პროლეტარებად უფრო ცუდ პირობებში, ვიდრე უშუალოდ კაპიტალისადმი დაქვემდებარებული მუშები არიან, და მათს ზედმეტ შრომას მიითვისებს წარმოების ძველი წესის ბაზისზე. ასეთივე ურთიერთობა, ოდნავ სახეშეცვლილი, არსებობს ლონდონში ავეჯეულობის ხელოსნური წარმოების ნაწილში. კერძოდ ტაუერ ჰამლეტის ოლქში იგი ძალიან ფართოდ არის ფეხმოკიდებული. მთელი წარმოება დანაწილებულია მრავალ ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ დარგებად. ერთი საწარმო ამზადებს მხოლოდ სკამებს, მეორე მხოლოდ მაგიდებს, მესამე მხოლოდ კარადებს და სხვ. მაგრამ თვით ამ საწარმოებს მეტნაკლებ ხელოსნური წესით წარმართავს ერთი წვრილი საწარმოს მქონე ოსტატი, რომელსაც რამდენიმე ქარგალი ჰყავს. მაგრამ წარმოება მაინც იმდენად მასობრივია, რომ შეუძლებელია უშუალოდ კერძო პირთათვის მუშაობა. მისი მყიდველები არიან ავეჯეულობის მაღაზიების პატრონები. შაბათობით მათთან მიდის ოსტატი და მიჰყიდის თავის ნაწარმოებს, და აქ მათ შორის ისეთი ვაჭრობაა ფასის გამო, როგორც ლომბარდში ამა თუ იმ ნივთში მისაცემი სესხის გამო. ამ ოსტატებმა ყოველკვირეულად უნდა გაყიდონ იმისათვის, რომ შემდგომი კვირისათვის შეძლონ ნედლი მასალის ყიდვა და ხელფასის გადახდა. ასეთ პირობებში ისინი არსებითად წარმოადგენენ მხოლოდ შუამავლებს ვაჭარსა და თავის საკუთარ მუშებს შორის. საკუთრივ კაპიტალისტს წარმოადგენს აქ ვაჭარი, რომელიც იჯიბავს ზედმეტი ღირებულების უდიდეს ნაწილს[53]. მსგავსი მოვლენაა იმ დარგების გადასვლისას მანუფაქტურაში, რომლებიც უწინ წარიმართებოდნენ ხელოსნური წესით ანდა როგორც სოფლის მრეწველობის თანადარგები. ამ წვრილი დამოუკიდებელი წარმოების ტექნიკური გან-

---

[52] იგივე ითქმის რაინის ლენტების და სირმის წარმოებისა და აბრეშუმქსოვის შესახებ. კრეფელდის ახლოს საკუთარი რკინიგზაც კი იყო გაყვანილი ამ სოფლელი ხელით მომუშავე ფეიქრების მიმოსვლისათვის ქალაქად «მეფაბრიკეებთან», მაგრამ მას შემდეგ მექანიკურმა ფეიქრობამ ხელით მომუშავე ფეიქრებთან ერთად ეს გზაც გაუქმა. — ფ. ე.

[53] 1865 წელს შემდეგ ეს სისტემა კიდევ უფრო ფართო მასშტაბით განვითარდა. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. «First Report of the Select Committee of the House of Lords on the Sweating System». London 1888. — ფ. ე.

ვითარებისდა მიხედვით, — როდესაც იგი სარგებლობს მანქანებით, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ხელოსნური წარმოების დროს, — ხდება აგრეთვე გადასვლა მსხვილ მრეწველობაზე; მანქანები მოძრაობაში მოჰყავთ უკვე არა ხელით, არამედ ორთქლით, როგორც ამას ადგილი აქვს უკანასკნელ დროს, მაგალითად, ინგლისურ წინდის საქსოვ წარმოებაში.

მაშასადამე, გადასვლა ხდება სამგვარად: პ ი რ ვ ე ლ ი, ვაჭარი პირდაპირ მრეწველად იქცევა; ამას ადგილი აქვს ვაჭრობაზე დაფუძნებული ხელოსნობის დარგებში, განსაკუთრებით ფუფუნების საგანთა მწარმოებელ დარგებში, რომლებიც ნედლი მასალითა და მუშებითურთ ვაჭრებს შემოაქვთ უცხოეთიდან, როგორც მეთხუთმეტე საუკუნეში იტალიაში შემოჰქონდათ კონსტანტინოპოლიდან. მ ე ო რ ე, ვაჭარი თავის შუამავლებად (middlemen) ხდის წვრილ ოსტატებს ანდა უშუალოდ ყიდულობს დამოუკიდებელი მწარმოებლისაგან. იგი მას ნომინალურად დამოუკიდებელს სტოვებს და უცვლელად სტოვებს მის წარმოების მეთოდს. მ ე ს ა მ ე, მრეწველი ხდება ვაჭარი და უშუალოდ აწარმოებს დიდი მასშტაბით ვაჭრობისთვის.

როგორც პოპპე მართებულად ამბობს, შუა საუკუნეებში ვაჭარი მარტოოდენ «Verleger»-ია [შემსყიდველი], ამქრული ხელოსნების ან გლეხების მიერ წარმოებული საქონლისა. ვაჭარი იქცევა მრეწველად ანუ, უფრო სწორად, თავისთვის ამუშავებს ხელოსნურ, განსაკუთრებით სოფლის წვრილ მრეწველობას. მეორე მხრივ, მწარმოებელი ვაჭრად იქცევა. მაგალითად, მაუდის მქსოველი ოსტატი, ნაცვლად იმისა, რომ მატყლი ვაჭრისაგან მიიღოს თანდათან ცოტ-ცოტაობით და მისთვის თავისი ქარგლების დახმარებით იმუშაოს, თვითონ ყიდულობს მატყლს ან ნართს და ვაჭარს მიჰყიდის თავის მაუდს. წარმოების ელემენტები შედის წარმოების პროცესში როგორც თვით მის მიერ ნაყიდი საქონელი. და ნაცვლად იმისა, რომ ცალკეული ვაჭრისათვის ან განსაზღვრული მუშტრებისათვის აწარმოოს, მაუდის მქსოველი ახლა მთელი ვაჭრობისათვის აწარმოებს. თვითონ მწარმოებელი ვაჭარია. სავაჭრო კაპიტალი მხოლოდ მიმოქცევის პროცესს ასრულებს. თავდაპირველად ვაჭრობა წანამძღვარი იყო ამქრული და სასოფლო-საშინაო მრეწველობისა და ფეოდალური მიწათმოქმედების გადასაქცევად კაპიტალისტურ საწარმოდ. იგი ავითარებს პროდუქტს საქონლად, ნაწილობრივ მით, რომ მას ბაზარს უქმნის, ნაწილობრივაც მით, რომ მიეზიდება ახალ საქონელეკვივალენტებს, ხოლო წარმოებას ახალ ნედლ და დამხმარე მასალას აწოდებს და ამგვარად დასაწყისს აძლევს წარმოების ახალ დარგებს, რომლებიც იმთავითვე და-

ფუძნებულია ვაჭრობაზე: წარმოებაზე ბაზრისთვის და მსოფლიო ბაზრისთვის და წარმოების ისეთ პირობებზე, რომელნიც მსოფლიო ბაზრიდან გამომდინარეობენ. როგორც კი მანუფაქტურა რამდენადმე მოღონიერდება, იგი — და კიდევ უფრო მეტად მსხვილი მრეწველობა — თვით ქმნის თავისთვის ბაზარს, იპყრობს მას თავისი საქონლით. ახლა ვაჭრობა მსახური ხდება სამრეწველო წარმოებისა, რომლისათვის ბაზრის მუდმივი გაფართოება საარსებო პირობას შეადგენს. მასობრივი წარმოება, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოვდება, ავსებს არსებულ ბაზარს და ამიტომ მუდამ მუშაობს მის გასაფართოებლად, მუშაობს იმისათვის, რომ გაანგრიოს მისი ზღუდეები. ამ მასობრივ წარმოებას ზღუდავს არა ვაჭრობა (რამდენადაც ეს უკანასკნელი მხოლოდ არსებულ მოთხოვნას გამოსახავს), არამედ მოქმედი კაპიტალის სიდიდე და შრომის მწარმოებლური ძალის განვითარების დონე. მრეწველ კაპიტალისტს მუდამ თვალწინ აქვს მსოფლიო ბაზარი, იგი თავის საკუთარ ხარჯთფასს ადარებს და უნდა ადარებდეს მუდამ არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს საბაზრო ფასებს. ეს შედარება წინანდელ პერიოდში თითქმის მარტოოდენ ვაჭრების საქმე იყო და ამგვარად უზრუნველყოფდა სავაჭრო კაპიტალის სამრეწველო კაპიტალზე ბატონობას.

თანამედროვე წარმოების წესის პირველი თეორიული დამუშავება — მერკანტილური სისტემა — აუცილებლობის გზით მიმოქცევის პროცესის ზედაპირული მოვლენებიდან გამოდიოდა იმ სახით, რა სახითაც ისინი განცალკევებულია სავაჭრო კაპიტალის მოძრაობაში, და ამიტომ მოვლენების მხოლოდ მოჩვენებითობას ეღაუჭებოდა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ სავაჭრო კაპიტალი საერთოდ კაპიტალის არსებობის პირველი თავისუფალი ფორმაა. ნაწილობრივაც იმ უპირატესი გავლენის გამო, რომელსაც იგი ახდენს ფეოდალური წარმოების გადატრიალების პირველ პერიოდში, თანამედროვე წარმოების წარმოშობის პერიოდში. თანამედროვე ეკონომიის ნამდვილი მეცნიერება მხოლოდ იმ მომენტიდან იწყება, როდესაც თეორიული გამოკვლევა მიმოქცევის პროცესიდან წარმოების პროცესზე გადადის. მართალია, სარგებელმომტანი კაპიტალიც კაპიტალის ძველისძველი ფორმაა, მაგრამ თუ რატომ არ იხდის მას მერკანტილიზმი თავის ამოსავალ პუნქტად, არამედ, პირიქით, მის მიმართ პოლემიკურადაა განწყობილი, — ამას ჩვენ შემდგომ დავინახავთ.

მეხუთე განყოფილება

მოგების დაყოფა სარგებლად და მეწარმის შემოსავლად. სარგებელმომგანი კაპიტალი.

თავი ოცდამეერთე

სარგებელმომტანი კაპიტალი.

როცა ჩვენ მოგების საერთო ანუ საშუალო ნორმას პირველად განვიხილავდით (ამ წიგნის II განყოფილება), ეს უკანასკნელი არ გვქონდა თვალწინ მისი დასრულებული სახით, რადგან მოგებათა გათანატოლება წარმოგვიდგებოდა მხოლოდ როგორც სხვადასხვა სფეროებში დაბანდებული სამრეწველო კაპიტალების გათანატოლება. ეს შევსებულ იქნა წინა განყოფილებაში, სადაც გამოვიკვლიეთ სავაჭრო კაპიტალის მონაწილეობა ამ გათანატოლებაში და მერკანტილური მოგება. მოგების საერთო ნორმა და საშუალო მოგება ახლა უფრო ვიწრო ფარგლებში მოექცა, ვიდრე უწინ. გამოკვლევის შემდგომ მსვლელობაში უნდა გვახსოვდეს, რომ, როცა ჩვენ ამის შემდეგ მოგების საერთო ნორმის ან საშუალო მოგების შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ იგი უკანასკნელი მნიშვნელობით გვაქვს მხედველობაში, ე. ი. ვლაპარაკობთ მხოლოდ საშუალო ნორმის დამთავრებულ ფორმაზე. და რადგან ეს ნორმა ახლა ერთნაირია სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალისათვის, ამიტომ ამიერიდან, რამდენადაც საკითხი ამ საშუალო მოგებას შეეხება, საჭირო აღარაა განსხვავება გავავლოთ სამრეწველო და სავაჭრო მოგებას შორის. იმისაგან დამოუკიდებლად, კაპიტალი წარმოების სფეროშია დაბანდებული სამრეწველო კაპიტალის სახით, თუ მიმოქცევის სფეროში სავაჭრო კაპიტალის სახით, იგი ერთსა და იმავე წლიურ საშუალო მოგებას იძლევა თავისი სიდიდის pro rata [პროპორციულად].

ფული, — რომელიც აქ აღებულია როგორც განსაზღვრული ღირებულების ჯამის დამოუკიდებელი გამოსახულება, — სულ ერთია,

ფულის სახით არსებობს იგი, თუ საქონლის სახით, — შეიძლება კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე გადაიქცეს კაპიტალად და ამის გამო იგი მოცემული ღირებულებიდან თვითმზარდ, თვითმატებად ღირებულებად იქცევა. იგი აწარმოებს მოგებას, ე. ი. შესაძლებლობას აძლევს კაპიტალისტს გადაუხდელი შრომის განსაზღვრული რაოდენობა, ზედმეტი პროდუქტი და ზედმეტი ღირებულება, ამოქაჩოს მუშებიდან, და თვითონ მიითვისოს. ამრიგად, გარდა იმ სახმარი ღირებულებისა, რომელიც აქვს მას როგორც ფულს, იგი მოიპოვებს დამატებითს სახმარ ღირებულებას, სახელდობრ იმას, რომ იგი მოქმედებს როგორც კაპიტალი. მისი სახმარი ღირებულება აქ სწორედ იმ მოგებაშია, რომელსაც კაპიტალად გარდაქმნილი ფული აწარმოებს. იმ თვისების გამო, რომ იგი შესაძლო პოტენციური კაპიტალია, მოგების წარმოების საშუალებაა, ფული ხდება საქონელი, მაგრამ საქონელი sui generis [განსაკუთრებული სახის] ანუ, რაც იმასვე ნიშნავს, კაპიტალი როგორც კაპიტალი საქონელი ხდება[54].

ვთქვათ, მოგების წლიური საშუალო ნორმა არის 20%. ამ შემთხვევაში 100 გირვ. სტერლინგად ღირებული მანქანა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა როგორც კაპიტალი საშუალო პირობებში, საშუალო გონიერებისა და მიზანშეწონილი საქმიანობის დაცვით, 20 გირვ. სტერლ. მოგებას მოიტანდა. მაშასადამე, კაცს, რომელსაც თავის განკარგულებაში 100 გირვ. სტერლ. მოეპოვება, ხელთ უპყრია ძალა 100 გირვ. სტერლინგიდან 120 გააკეთოს, ანუ 20 გირვ. სტერლ. მოგება აწარმოოს. მის ხელში მოიპოვება 100 გირვ. სტერლინგი პოტენციური კაპიტალი. თუ ეს კაცი 100 გირვ. სტერლინგს ერთი წლით სხვას დაუთმობს, რომელიც მას მართლა კაპიტალის სახით გამოიყენებს, ამ შემთხვევაში იგი ამ უკანასკნელს აძლევს ძალას — აწარმოოს 20 გირვ. სტერლ. მოგება, აწარმოოს ზედმეტი ღირებულება, რაც მას არაფრად უღირს, რისთვისაც არავითარ ეკვივალენტს არ იხდის. თუ ეს უკანასკნელი პირი 100 გირვ. სტერლინგის მესაკუთრეს წლის ბოლოს გადაუხდის, ვთქვათ, 5 გირვ. სტერლინგს, ე. ი. წარმოებული მოგების ნაწილს, — იგი ამით ანაზღაურებს 100 გირვ. სტერლინგის სახმარ ღირებულებას, მისი, როგორც კაპიტალის, ფუნქციის სახმარ ღირებულებას, — ფუნქ-

[54] აქ შეიძლებოდა ზოგიერთი ადგილის ციტირება, საიდანაც ჩანს, რომ ეკონომისტებს სწორედ ასე ესმით საქმე. — «ხართ თქვენ (ინგლისის ბანკი) მართლა ძალიან მსხვილი მოვაჭრე ს ა ქ ო ნ ე ლ კ ა პ ი ტ ა ლ ი თ?». — ასეთი კითხვით მიმართეს მოწმეთა დაკითხვისას «Report on Bank Acts»-ათვის (H. of C. 1857 [გვ. 104 № 1194] ამ ბანკის ერთ-ერთ დირექტორს.

ციისა, რომელიც 20 გირვ. სტერლ. მოგების წარმოებით გამოიხატება. მოგების იმ ნაწილს, რომელსაც იგი ამ ფულის პატრონს უხდის, ეწოდება სარგებელი, რაც, მაშასადამე, სხვა არაფერია, თუ არა განსაკუთრებული სახელი, განსაკუთრებული რუბრიკა მოგების იმ ნაწილისათვის, რომელიც მოქმედმა კაპიტალმა, საკუთარ ჯიბეში ჩადების ნაცვლად, კაპიტალის მესაკუთრეს უნდა გადაუხადოს.

ცხადია, რომ 100 ვირვ. სტერლინგის ფლობა მის პატრონს აძლევს ძალას თავისკენ მიიზიდოს სარგებელი, მისი კაპიტალის მიერ წარმოებული მოგების გარკვეული ნაწილი. მას, რომ 100 გირვ. სტერლ. არ მიეცა მეორისთვის, ეს უკანასკნელი ვერ აწარმოებდა მოგებას, საერთოდ ამ 100 გირვ. სტერლინგის მიმართ ვერ იმოქმედებდა, როგორც კაპიტალისტი [55].

ამ შემთხვევაში ჯილბერტთან ერთად (იხ. შენიშვნა) ბუნებრივ სამართლიანობაზე ლაპარაკი უაზრობაა. იმ გარიგებათა სამართლიანობა, რომელთაც ადგილი აქვთ წარმოების აგენტებს შორის, იმაზეა დამყარებული, რომ ეს გარიგებანი წარმოებითი ურთიერთობიდან წარმოდგება როგორც ბუნებრივი შედეგი. იურიდიულ ფორმებს, რომლებითაც ეს ეკონომიური გარიგებანი გვევლინება როგორც მონაწილეთა ნებისმიერი მოქმედებანი, როგორც საერთო ნების გამოსახულება და როგორც ხელშეკრულებანი, რომელთა შესრულებას თვითეულ მონაწილე მხარეს სახელმწიფო იძულებითი წესით ავალდებულებს, — ამ იურიდიულ ფორმებს, როგორც მარტოოდენ ფორმებს, არ შეუძლიათ გარიგებათა თვით ამ შინაარსის განსაზღვრა. ისინი მხოლოდ გამოსახავენ ამ შინაარსს. ეს შინაარსი სამართლიანია, თუ იგი წარმოების წესის შესატყვისია, მისი ადეკვატურია. იგი უსამართლოა, თუ მას ეწინააღმდეგება. მონობა წარმოების კაპიტალისტური წესის საფუძველზე უსამართლოა; ასევე უსამართლოა მოტყუება საქონლის ხარისხში.

100 გირვ. სტერლ. აწარმოებს 20 გირვ. სტერლ. მოგებას იმიტომ, რომ მოქმედებს როგორც კაპიტალი, — სამრეწველო ან მერკანტილური კაპიტალი. მისი, როგორც კაპიტალის, ფუნქციის sine qua non-ს კი [აუცილებელ პირობას] შეადგენს ის, რომ იგი კაპიტალის სახით დაიხარჯება, მაშასადამე, ფული გაიღება წარმოების საშუალებათა

[55] «ის გარემოება, რომ ადამიანმა, რომელიც ფულს სესხულობს აქედან მოგების მიღების მიზნით, მოგების ნაწილი უნდა გადაუხადოს გამსესხებელს, ბუნებრივი სამართლიანობის თავისთავად გასაგებ პრინციპს წარმოადგენს» (Gilbart: «The History and Principles of Banking». London 1834, გვ. 163).

საყიდლად (სამრეწველო კაპიტალის შემთხვევაში) ან საქონლის შესასყიდად (მერკანტილური კაპიტალის შემთხვევაში). მაგრამ, ფული რომ დახარჯო, იგი ხელთ უნდა გქონდეს. *A*-ს, 100 გირვ. სტერლინგის პატრონს, რომ ეს ფული თავისი პირადი მოხმარებისათვის დაეხარჯა ან განძად შეენახა თავისთან, — *B*, მოქმედი კაპიტალისტი, მას ვეღარ დახარჯავდა როგორც კაპიტალს. იგი ხარჯავს არა თავის კაპიტალს, არამედ *A*-ს კაპიტალს; მაგრამ *A*-ს კაპიტალის დახარჯვა მას *A*-ს სურვილის გარეშე არ შეუძლია. ამრიგად, სინამდვილეში ამ 100 გირვ. სტერლ. კაპიტალს თავდაპირველად ხარჯავს *A*, თუმცა მთელი მისი ფუნქცია როგორც კაპიტალისტისა შემოიფარგლება 100 გირვ. სტერლინგის ამ დახარჯვით კაპიტალის სახით. რამდენადაც საქმე ამ 100 გირვ. სტერლინგს შეეხება, *B* მოქმედებს როგორც კაპიტალისტი მხოლოდ იმიტომ, რომ A მას გადასცემს 100 გირვ. სტერლინგს და ამგვარად ხარჯავს მას როგორც კაპიტალს.

განვიხილოთ ჯერ სარგებელმომტანი კაპიტალის თავისებური მიმოქცევა. შემდეგ, მეორე რიგში, უნდა განვიხილოთ ის განსაკუთრებული წესი, რომლის მიხედვით იგი გაიყიდება როგორც საქონელი, სახელდობრ, როგორ ხდება მისი გასესხება და არა ერთხელ და სამუდამოდ დათმობა.

ამოსავალ პუნქტს შეადგენს ფული, რომელსაც *A* სესხად აძლევს B-ს. ეს გასესხება შეიძლება მოხდეს გირაოთი და უგირაოთაც; პირველი ფორმა მაინც უფრო ძველი ფორმაა, იმ სესხთა გამოკლებით, რომლებიც გაიცემა საქონელზე ან სავალო ვალდებულებებზე, როგორიცაა თამასუქები, აქციები და სხვ. ეს განსაკუთრებული ფორმები ჩვენ აქ არ გვაინტერესებს. ჩვენ აქ საქმე გვაქვს სარგებელმომტან კაპიტალთან მისი ჩვეულებრივი ფორმით.

B-ს ხელში ფული მართლა გადაიქცევა კაპიტალად, გაივლის მოძრაობას Ფ — ს — Ფ′ და შემდეგ უკან უბრუნდება *A*-ს როგორც Ფ′, როგორც Ფ + ΔФ. სადაც ΔФ სარგებელს წარმოადგენს. გამარტივებისათვის ჩვენ აქ ჯერჯერობით მხედველობაში არ ვიღებთ იმ შემთხვევას, როცა კაპიტალი ხანგრძლივად რჩება *B*-ს ხელში და სარგებელი გარკვეულ ვადებში გადაიხდება.

ამგვარად, მოძრაობა ასეთია:

$$Ф — Ф — с — Ф' — Ф'.$$

აქ ორგზის გვევლინება 1) ფულის დახარჯვა კაპიტალის სახით, 2) მისი როგორც რეალიზებული კაპიტალის, როგორც Ф′, ანუ Ф+ΔФ უკუდაბრუნება.

სავაჭრო კაპიტალის მოძრაობაში Ფ — ს — Ფ′ ერთი და იგივე საქონელი ორჯერ ან, როცა ვაჭარი ვაჭარს მიჰყიდის, მრავალჯერ გადადის ხელიდან ხელში; მაგრამ ყოველი ასეთი ადგილცვლა ერთი და იმავე საქონლის მიერ ნიშნავს მეტამორფოზს, საქონლის ყიდვას ან გაყიდვას, სულ ერთია, რა ხშირადაც უნდა მეორდებოდეს ეს პროცესი, ვიდრე საქონელი საბოლოოდ არ შევა მოხმარებაში.

მეორე მხრივ, ს — Ფ — ს-შიც ადგილი აქვს ერთი და იმავე ფულის ორგზის ადგილცვლას, მაგრამ ეს არის სრული მეტამორფოზი საქონლისა, რომელიც ჯერ ფულად და შემდეგ ფულიდან ისევ სხვა საქონლად გადაიქცევა.

პირიქით, სარგებელმომტანი კაპიტალის შემთხვევაში ფულის პირველი ადგილცვლა სრულიად არ წარმოადგენს არც საქონლის მეტამორფოზისა და არც კაპიტალის კვლავწარმოების მომენტს. ასეთ მომენტად ფულის მიერ ადგილცვლა იქცევა მხოლოდ მეორეჯერ დახარჯვის დროს, მოქმედი კაპიტალისტის ხელში, რომელიც ამით ვაჭრობას ეწევა, ან მას მწარმოებლურ კაპიტალად გადააქცევს. Ფ პირველი ადგილცვლა აქ სხვა არაფერია, თუ არა *A*-ს მიერ *B*-სთვის დათმობა, ანუ გადაცემა, გადაცემა, რომელიც გარკვეული იურიდიული ფორმებისა და პირობების დაცვით სრულდება.

კაპიტალის სახით ფულის ამ ორგზის დახარჯვას, რომლიდანაც პირველი მარტოოდენ *A*-დან *B*-ზე გადაცემას წარმოადგენს, შეესაბამება მისი ორგზისი უკან დაბრუნება. Ფ′ ანუ Ფ + △ Ფ სახით ფული მოძრაობიდან უკან უბრუნდება მოქმედ *B* კაპიტალისტს. ეს უკანასკნელი მაშინ ამ ფულს ხელახლა გადასცემს *A*-ს, მაგრამ უკვე მოგების ნაწილთან ერთად, გადასცემს როგორც რეალიზებულ კაპიტალს. როგორც Ფ+△Ფ, სადაც △Ფ მთელ მოგებას კი არ უდრის, არამედ მოგების მხოლოდ ნაწილს, სარგებელს შეადგენს. B-ს ფული უბრუნდება მხოლოდ როგორც ის, რაც მან დახარჯა მოქმედი კაპიტალის სახით, მაგრამ რაც *A*-ს საკუთრება არის. ამიტომ, რათა მისი უკან დაბრუნების პროცესი დასრულდეს, *B*-მ იგი უნდა გადასცეს *A*-ს. მაგრამ თავნს გარდა *B*-მ უნდა გადასცეს *A*-ს სარგებლის სახელწოდებით ნაწილი მოგებისა, რომელიც მან ამ თავნის საშუალებით მიიღო, ვინაიდან *A*-მ მას ფული მისცა მხოლოდ როგორც კაპიტალი, ე. ი. როგორც ღირებულება, რომელიც არა მხოლოდ შეინარჩუნება მოძრაობაში, არამედ ზედმეტ ღირებულებასაც უქმნის თავის მესაკუთრეს. B-ს ხელში რჩება იგი მხოლოდ მანამდე, სანამ იგი მოქმედი კაპიტალია. და უკან დაბრუნებისთანავე, — ვადის გასვლის შემდეგ, — იგი შეწყვეტს კაპიტალის სახით მოქმედებას. მაგრამ როგორც უკვე

არმოქმედი კაპიტალი იგი ისევ უნდა დაუბრუნდეს A-ს, რომელიც იყო და არის ამ ფულის იურიდიული მესაკუთრე.

სესხის ფორმა, ნაცვლად გაყიდვის ფორმისა, რომელიც ამ საქონელს — კაპიტალს როგორც საქონელს — ახასიათებს, მაგრამ რომელსაც სხვა გარიგებებშიაც ვხვდებით, გამომდინარეობს უკვე იმ განსაზღვრიდან, რომ კაპიტალი აქ წარმოგვიდგება როგორც საქონელი, ანუ რომ კაპიტალის სახით არსებული ფული საქონლად იქცევა.

აქ უნდა განვასხვაოთ შემდეგი:

ჩვენ დავინახეთ (წიგნი II, თავი I) და აქ მოკლედ გავიხსენებთ, რომ კაპიტალი მიმოქცევის პროცესში მოქმედებს როგორც საქონლური კაპიტალი და როგორც ფულადი კაპიტალი. მაგრამ ორივე ფორმაში კაპიტალი იქცევა საქონლად არა როგორც კაპიტალი.

როგორც კი მწარმოებლური კაპიტალი საქონლურ კაპიტალად გადაიქცევა, იგი ბაზარზე უნდა იქნეს გადასროლილი, უნდა გაიყიდოს როგორც საქონელი. აქ იგი მოქმედებს უბრალოდ როგორც საქონელი. კაპიტალისტი ამ შემთხვევაში გვევლინება მხოლოდ საქონლის გამყიდველად, ისე როგორც მყიდველი — მხოლოდ საქონლის მყიდველად. საქონლის სახით პროდუქტმა მიმოქცევის პროცესში, თავისი გაყიდვის გზით, თავისი ღირებულების რეალიზაცია უნდა მოახდინოს, უნდა მიიღოს თავისი გარდაქმნილი ფორმა, ფულის ფორმა. ამიტომაც სავსებით სულ ერთია, ამ საქონელს მომხმარებელი ყიდულობს როგორც საარსებო საშუალებას, თუ კაპიტალისტი როგორც წარმოების საშუალებას, როგორც კაპიტალის შემადგენელ ნაწილს. მიმოქცევის აქტში საქონლური კაპიტალი მოქმედებს მხოლოდ როგორც საქონელი, არა როგორც კაპიტალი. ეს არის საქონლური კ ა პ ი ტ ა ლ ი უბრალო საქონლისგან განსხვავებით: 1) იმიტომ რომ იგი უკვე განაყოფიერებულია ზედმეტი ღირებულებით, მაშასადამე, მისი ღირებულების რეალიზაცია იმავე დროს ზედმეტი ღირებულების რეალიზაციაცაა. მაგრამ ეს არაფერს ცვლის იმ ფაქტში, რომ იგი არსებობს უბრალოდ როგორც საქონელი, როგორც განსაზღვრული ფასის მქონე პროდუქტი; 2) იმიტომ რომ ეს მისი, როგორც კაპიტალის, ფუნქცია მომენტია მისი, როგორც კაპიტალის, კვლავწარმოების პროცესისა, და ამიტომ მისი მოძრაობა საქონლის სახით, წარმოადგენს რა მის მიერ შესრულებული პროცესის მხოლოდ ნაწილობრივ მოძრაობას, იმავე დროს მოძრაობაა მისი როგორც კაპიტალისა; მაგრამ ეს მოძრაობა ასეთი ხდება არა თვით გაყიდვის აქტის გამო, არამედ მხოლოდ იმ კავშირის გამო,

რომელიც არსებობს ამ აქტსა და ამ განსაზღვრული ღირებულების ჯამის, როგორც კაპიტალის, მთელ მოძრაობას შორის.

ასევე ფულადი კაპიტალის სახით კაპიტალი ფაქტიურად მოქმედებს მარტოოდენ როგორც ფული, ე. ი. როგორც საქონლის (წარმოების ელემენტების) ყიდვის საშუალება. ის გარემოება, რომ ეს ფული აქ წარმოადგენს იმავე დროს ფულად კაპიტალს, კაპიტალის ერთ ფორმას, არ გამომდინარეობს ყიდვის აქტიდან, იმ ნამდვილი ფუნქციიდან, რომელსაც აქ ფული ასრულებს, არამედ იგი გამომდინარეობს ამ აქტის კავშირიდან კაპიტალის მთელ მოძრაობასთან, იმიტომ რომ ეს აქტი, რომელსაც კაპიტალი ასრულებს როგორც ფული, კაპიტალისტური წარმოების პროცესის შესავალს წარმოადგენს.

მაგრამ რამდენადაც საქონლური კაპიტალი და ფულადი კაპიტალი ნამდვილად მოქმედებენ, ნამდვილად ასრულებენ თავის როლს ამ პროცესში, საქონლური კაპიტალი მოქმედებს აქ მხოლოდ როგორც საქონელი, ფულადი კაპიტალი — მხოლოდ როგორც ფული. მეტამორფოზის არც ერთ მომენტში, თუ მას თავისდათავად განვიხილავთ, კაპიტალისტი საქონელს არ მიჰყიდის მყიდველს კ ა პ ი ტ ა ლ ი ს სახით, თუმცა მისთვის საქონელი კაპიტალს წარმოადგენს, და არ გაასხვისებს ფულს როგორც კაპიტალს გამყიდველზე. ორივე შემთხვევაში იგი გაასხვისებს საქონელს უბრალოდ როგორც საქონელს და ფულს უბრალოდ როგორც ფულს, როგორც საქონლის ყიდვის საშუალებას.

კაპიტალი მიმოქცევის პროცესში გვევლინება კაპიტალის სახით მხოლოდ მთელი პროცესის საერთო კავშირში, იმ მომენტში, როცა ამოსავალი პუნქტი იმავე დროს უკან დაბრუნების პუნქტს წარმოადგენს, Ф — Ф′-ში ან Ѕ — Ѕ′-ში (მაშინ როდესაც წარმოების პროცესში იგი გვევლინება როგორც კაპიტალი კაპიტალისტისადმი მუშის დაქვემდებარების გამო და ზედმეტი ღირებულების წარმოების გამო). მაგრამ უკან დაბრუნების ამ მომენტში მოსაშუალე წევრი გამქრალია. ჩვენ აქ გვაქვს Ф′, ანუ Ф+ΔФ, ფულის თანხა, რომელიც უდრის თავდაპირველად ავანსებულ ფულად თანხას + განსაზღვრული მისი ნამეტი, რეალიზებული ზედმეტი ღირებულება (ამასთან სულ ერთია, ახლა ეს ΔФ-ით გადიდებული ღირებულების ჯამი ფულის სახით არსებობს თუ საქონლის ან წარმოების ელემენტების სახით). და სწორედ ამ უკან დაბრუნების პუნქტში, სადაც კაპიტალი არსებობს როგორც რეალიზებული კაპიტალი, როგორც გადიდებული ღირებულება, კაპიტალი ამ ფორმით, — რამდენადაც ეს პუნქტი ფიქსირებულია როგორც

წარმოსახვითი თუ ნამდვილი უძრაობის პუნქტი, — არასოდეს არ შედის მიმოქცევაში, არამედ, პირიქით, გვევლინება როგორც მიმოქცევიდან უკან გამოსული, როგორც მთელი პროცესის შედეგი. როდესაც იგი ხელახლა დაიხარჯება, არასოდეს არ გასხვისდება მესამე პირზე როგორც კაპიტალი, არამედ გაიყიდება მასზე როგორც უბრალო საქონელი, ან მიეცემა მას საქონელში როგორც უბრალო ფული. იგი არასოდეს არ გვევლინება თავის მიმოქცევის პროცესში როგორც კაპიტალი, არამედ მხოლოდ როგორც საქონელი ან ფული, და ეს არის ამ შემთხვევაში ს ხ ვ ე ბ ი ს თ ვ ი ს მისი მყოფობის ერთადერთი ფორმა. საქონელი და ფული აქ მხოლოდ კაპიტალს შეადგენს არა იმდენად, რამდენადაც საქონელი ფულად და ფული საქონლად გადაიქცევა, არა მათს ნამდვილ მიმართებაში მყიდველთან ან გამყიდველთან, არამედ მარტოოდენ მათს იდეალურ მიმართებაში თვით კაპიტალისტთან (სუბიექტური თვალსაზრისით), ან როგორც მომენტები კვლავწარმოების პროცესისა (ობიექტური თვალსაზრისით). ნამდვილ მოძრაობაში კაპიტალი არსებობს კაპიტალის სახით არა მიმოქცევის პროცესში, არამედ მხოლოდ წარმოების პროცესში, სამუშაო ძალის ექსპლოატაციის პროცესში.

სხვაგვარადაა საქმე სარგებელმომტანი კაპიტალის მიმართ, და სწორედ ეს შეადგენს მის სპეციფიკურ ხასიათს. ფულის მფლობელი, რომელსაც სურს თავისი ფული გამოიყენოს როგორც სარგებელმომტანი კაპიტალი, გაასხვისებს ამ ფულს მესამე პირზე, გადაისვრის მიმოქცევაში, გადააქცევს მას საქონლად რ ო გ ო რ ც კ ა პ ი ტ ა ლ ს, — როგორც კაპიტალს არა მარტო თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც: ეს არის კაპიტალი არა მხოლოდ იმისთვის, ვინც მას გაასხვისებს, არამედ იგი მესამე პირსაც გადაეცემა იმთავითვე როგორც კაპიტალი, როგორც ღირებულება, რომელსაც ის სახმარი ღირებულება აქვს, რომ ქმნის ზედმეტ ღირებულებას, მოგებას; იგი გადაეცემა როგორც ღირებულება, რომელიც მოძრაობაში შეინარჩუნება, და მას შემდეგ, რაც იმოქმედა, თავის პირვანდელ გამცემს, ამ შემთხვევაში ფულის მფლობელს, უბრუნდება უკან, მაშასადამე, მხოლოდ დროებით შორდება მას, მხოლოდ დროებით გადადის მესაკუთრის მფლობელობიდან მოქმედი კაპიტალისტის მფლობელობაში, ე. ი. არც გადასახდელში გაიცემა, არც გაიყიდება, არამედ სესხად გაიცემა, გასხვისდება მხოლოდ იმ პირობით, რომ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ჯერ ერთი, თავის ამოსავალ პუნქტს დაუბრუნდეს და, მეორე დაუბრუნდეს როგორც რეალიზებული კაპიტალი, რომელმაც განა-

ხორციელა თავისი სახმარი ღირებულება, თავისი უნარი ზედმეტი ღირებულების წარმოებისა.

საქონელი, რომელიც სესხად გაიცემა როგორც კაპიტალი, გაიცემა სესხად მისი თვისების მიხედვით, ან როგორც ძირითადი, ან როგორც საბრუნავი კაპიტალი. ფული შეიძლება სესხად გაიცეს ორივე ფორმით, — როგორც ძირითადი კაპიტალი, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა იგი გადაიხდება მთელსიცოცხლივი რენტის სახით, ასე რომ სარგებელთან ერთად უკან ბრუნდება ყოველთვის კაპიტალის ნაწილიც. ზოგი საქონელი, თავისი სახმარი ღირებულების ბუნების მიხედვით, შეიძლება სესხად გაიცეს მხოლოდ როგორც ძირითადი კაპიტალი, მაგალითად, სახლები, გემები, მანქანები და სხვ. მაგრამ ყოველი გასესხებული კაპიტალი, როგორიც არ უნდა იყოს მისი ფორმა და როგორ მოდიფიკაციასაც არ უნდა განიცდიდეს მისი უკუგადახდა მისივე სახმარი ღირებულების ბუნების გამო, ყოველთვის მხოლოდ ფულადი კაპიტალის განსაკუთრებული ფორმაა. ვინაიდან: რაც აქ სესხად გაიცემა, ეს არის ყოველთვის განსაზღვრული ფულადი თანხა, და სარგებელიც ამ თანხაზე გამოიანგარიშება. თუ ის, რაც სესხადაა გაცემული, არც ფულია და არც საბრუნავი კაპიტალი, მაშინ მისი უკუგადახდა იმ წესით ხდება, რა წესითაც ძირითადი კაპიტალი უკან მოედინება. გამსესხებელი იღებს პერიოდულად სარგებელს და ძირითადი კაპიტალის მოხმარებული ღირებულების ნაწილს, პერიოდული გაცვეთის ეკვივალენტს. ვადის გასვლის შემდეგ კი მას უკან უბრუნდება სესხად გაცემული ძირითადი კაპიტალის მოუხმარებელი ნაწილი in natura [ნატურით]. თუ გასესხებული კაპიტალი საბრუნავი კაპიტალია, მაშინ იგი იმავე წესით უბრუნდება უკან გამსესხებელს, რა წესითაც უკან მოედინება საბრუნავი კაპიტალი.

ამრიგად, უკუმოდინების წესი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განისაზღვრება კვლავწარმოებადი კაპიტალის და მის განსაკუთრებულ სახეობათა ნამდვილი წრებრუნვით. მაგრამ გასესხებული კაპიტალის უკუმოდინება იღებს უკუგადახდის ფ ო რ მ ა ს იმიტომ, რომ ავანსად გაღებას, ამ კაპიტალის გასხვისებას, სესხის ფორმა აქვს.

ამ თავში ჩვენ ვარკვევთ მხოლოდ საკუთრივ ფულად კაპიტალს, რომლიდანაც წარმოდგება გასესხებული კაპიტალის სხვა ფორმები.

გასესხებული კაპიტალი უკუმოედინება ორჯერ; კვლავწარმოების პროცესში იგი უკან უბრუნდება მოქმედ კაპიტალისტს და შემდეგ ერთხელ კიდევ მეორდება უკან დაბრუნება როგორც გადაცემა კაპიტალისა გამსესხებლისათვის, ფულადი კაპიტალისტისათვის, როგორც უკუგა-

დახდა მისი ნამდვილი მესაკუთრისათვის, მისი იურიდიული ამოსავალი წერტილისათვის.

ნამდვილ მიმოქცევის პროცესში კაპიტალი გვევლინება ყოველთვის მხოლოდ როგორც საქონელი ან ფული და მისი მოძრაობა გადაიქცევა მთელ რიგ ყიდვა-გაყიდვის აქტებად. მოკლედ, მიმოქცევის პროცესი წარმოადგენს საქონლის მეტამორფოზს. სხვაგვარადაა საქმე კვლავწარმოების მთლიანი პროცესის განხილვისას. თუ ჩვენ ამოსავალ წერტილად ფულს ავიღებთ (და მდგომარეობა არ შეიცვლება, თუ ასეთ ამოსავალ წერტილად საქონელს ავიღებთ, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვდიგართ მისი ღირებულებიდან და, მაშასადამე, თვით საქონელს განვიხილავთ ფულის sub specie [სახით], მაშინ დავინახავთ, რომ დახარჯულია ფულის განსაზღვრული თანხა, და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ იგი უკან ბრუნდება გარკვეული ნაზრდით. უკან ბრუნდება ავანსებული ფულადი კაპიტალის ანაზღაურება პლუს ზედმეტი ღირებულება. იგი შეინახა და გადიდდა, როცა გარკვეული წრიული მოძრაობა შეასრულა. მაგრამ ფული, რამდენადაც იგი სესხად გაიცემა როგორც კაპიტალი, გაიცემა სესხად სწორედ როგორც ისეთი ფულადი თანხა, რომელიც შეინახება და გადიდდება, რომელიც გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ უკან ბრუნდება განსაზღვრული ნამეტით და რომელსაც ყოველთვის შეუძლია ხელახლა დაიწყოს იგივე პროცესი. იგი არ იხარჯება არც როგორც ფული, არც როგორც საქონელი, ე. ი. არც საქონელზე გაიცვლება, თუ ფულის სახითაა ავანსებული და არც ფულზე გაიყიდება, თუ საქონლის სახითაა ავანსებული; იგი იხარჯება როგორც კაპიტალი. მიმართება თავისი თავისადმი, რომლის სახითაც იგი წარმოგვიდგება, თუ კაპიტალისტურ წარმოების პროცესს განვიხილავთ როგორც მთლიანობას და ერთიანობას, მიმართება, რომელშიც კაპიტალი გვევლინება როგორც ფულის მჩეკელი ფული, შესისხლხორცებულია აქ ფულთან ყოველივე მოსაშუალე შუალედური მოძრაობის გარეშე უბრალოდ როგორც მისი ხასიათი, როგორც მისი განსაზღვრულობა. და ამ განსაზღვრულობაში გასხვისდება ფული, როცა იგი ფულადი კაპიტალის სახით გაიცემა სესხად.

ფულადი კაპიტალის როლის უცნაური გაგება აქვს პრუდონს («Gratuité du Crédit. Discussion entre m. F. Bastiat et m. Proudhon». Paris 1850). სესხის გაცემა იმიტომ ეჩვენება პრუდონს ბოროტებად, რომ იგი არაა გაყიდვა. სარგებლით გასესხება «არის უნარი იმისა, რომ ერთი და იგივე საგანი მუდამ ხელახლა გაყიდო და მისი

ფასი მუდამ ხელახლა მიიღო ისე, რომ არასოდეს არ დათმო იმის საკუთრება, რასაც ყიდი» (გვ. 9). საგანი, ფული, სახლი და სხვ. არ იცვლის მესაკუთრეს, როგორც ეს ყიდვისა და გაყიდვის დროს ხდება. მაგრამ პრუდონი ვერ ამჩნევს, რომ სარგებელმომტანი კაპიტალის სახით ფულის გაცემისას მასში არავითარი ეკვივალენტი არ მიიღება. ყიდვისა და გაყიდვის ყოველ აქტში, რამდენადაც საერთოდ ადგილი აქვს გაცვლის პროცესებს, ობიექტი ნამდვილად გაიცემა. გაყიდული საგნის საკუთრება გადაიცემა თვითეულ შემთხვევაში. მაგრამ ამასთან არ გადაიცემა ღირებულება. გაყიდვისას საქონელი გაიცემა. მაგრამ არა მისი ღირებულება, რომელიც ფულის სახით ან, რაც აქ მხოლოდ ფულის სხვა ფორმას წარმოადგენს, სავალო ბარათის ან გადახდის ტიტულის სახით უკან მიიღება. ყიდვისას გაიცემა ფული, მაგრამ არა მისი ღირებულება, რომელიც საქონლის სახით ნაზღაურდება. მთელი კვლავწარმოების პროცესის განმავლობაში მრეწველ კაპიტალისტს ხელთა აქვს ერთი და იგივე ღირებულება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზედმეტ ღირებულებას), მხოლოდ — სხვადასხვა ფორმით.

რამდენადაც გაცვლას, ე. ი. საგანთა გაცვლას აქვს ადგილი, ღირებულების არავითარი ცვლილება არ ხდება. ერთსა და იმავე კაპიტალისტს მუდამ ერთი და იგივე ღირებულება აქვს ხელთ. ხოლო რამდენადაც ზედმეტ ღირებულებას ჯერ კიდევ მხოლოდ აწარმოებს კაპიტალისტი, გაცვლას არა აქვს ადგილი; როდესაც გაცვლა ხდება, ზედმეტი ღირებულება უკვე მოქცეულია საქონელში. როგორც კი ჩვენ განვიხილავთ არა გაცვლის ცალკეულ აქტებს, არამედ კაპიტალის ერთობლივ წრებრუნვას, Ფ — ს — Ფ′, დავინახავთ, რომ მუდამ ხდება ღირებულების განსაზღვრული ჯამის ავანსად გაღება და ღირებულების ეს ჯამი პლუს ზედმეტი ღირებულება, ანუ მოგება, მიმოქცევიდან გამოიტანება. უბრალო გაცვლითს აქტებში ამ პროცესის მოსაშუალე რგოლი, რასაკვირველია, არა ჩანს. და სწორედ Ფ როგორც კაპიტალის ამ პროცესზეა დამყარებული გამსესხებელი ფულადი კაპიტალისტის სარგებელი და ამ პროცესიდან გამომდინარეობს ივი.

«მართლაც, ამბობს პრუდონი, — მექუდე, რომელიც ქუდებს ყიდის, მათში მათს ღირებულებას იღებს, არც მეტს და არც ნაკლებს. მაგრამ გამსესხებელი კაპიტალისტი... უკან იღებს არა მხოლოდ თავის კაპიტალს შეუმცირებლად, ივი იღებს კაპიტალზე მეტს, იმაზე მეტს, რაც გადაისროლა გაცვლაში; ივი იღებს კაპიტალზე მეტად კიდევ სარგებელს» (გვ. 69). მექუდე აქ წარმოადგენს მწარმოებელ კაპიტალისტს,

წინააღმდეგ გამსესხებელი კაპიტალისტისა, პრუდონი, ცხადია, ვერ ჩასწვდა იმ საიდუმლოებას, თუ როგორ ხდება, რომ მწარმოებელ კაპიტალისტს შეუძლია საქონელი მისი ღირებულების მიხედვით გაყიდოს (წარმოების ფასების გათანატოლებას აქ მისი თვალსაზრისისთვის მნიშვნელობა არა აქვს) და სწორედ ამიტომ მიიღოს მოგება იმ კაპიტალზე მეტად, რომელსაც იგი გაცვლაში გადაისვრის. ვთქვათ, 100 ქუდის წარმოების ფასი = 115 გირვ. სტერლინგს და ეს წარმოების ფასი შემთხვევით ქუდების ღირებულებას უდრის, ე. ი. კაპიტალი, რომელიც ქუდებს აწარმოებს, საშუალო საზოგადოებრივი შედგენილობის არის. თუ მოგება = 15%, მაშინ მექუდე 15 გირვ. სტერლ. მოგებას გაანაღდებს მით, რომ იგი საქონელს მისი ღირებულების მიხედვით 115 გირვ. სტერლინგად გაყიდის. საქონელი მას მხოლოდ 100 გირვ. სტერლ. უღირს. თუ მან თავისი საკუთარი კაპიტალით აწარმოვა, მაშინ ამ 15 გირვ. სტერლ. ნამეტს მთლად თავის ჯიბეში ჩაიდებს; თუ ნასესხებით აწარმოვა, მას, შეიძლება, დასჭირდეს 5 გირვ. სტერლინგის გაცემა სარგებლის სახით. ეს სრულიად არ ცვლის ქუდების ღირებულებას, მას ცვლილება შეაქვს მხოლოდ იმ ზედმეტი ღირებულების განაწილებაში სხვადასხვა პირებს შორის, რომელიც უკვე მოქცეულია ამ ღირებულებაში. მაშასადამე, რადგან ქუდების ღირებულებაზე გავლენას არ ახდენს სარგებლის გადახდა, უაზრობაა პრუდონის შემდეგი მტკიცება: «რადგან ვაჭრობაში კაპიტალის სარგებელი მუშის ხელფასს მიემატება საქონლის ფასის შესადგენად, ამიტომ მუშას არ შეუძლია თავისი საკუთარი შრომის პროდუქტების გამოყიდვა. Vivre en travaillant [შრომით ცხოვრება] წარმოადგენს პრინციპს, რომელიც, სარგებლის ბატონობის დროს, წინააღმდეგობას შეიცავს» (გვ. 105)[56].

თუ როგორ ცუდად გაგო პრუდონმა კაპიტალის ბუნება, ამას გვიჩვენებს შემდეგი ფრაზა, რომელშიაც იგი კაპიტალის მოძრაობას

---

[56] ამიტომ, თუ პრუდონის მიხედვით ვიმსჯელებთ, «სახლი», «ფული» და სხვ. სესხად კი არ გაიცემა, როგორც «კაპიტალი», არამედ გასხვისდება, როგორც «საქონელი... ხარჯთფასის მიხედვით» (გვ. 43—44). ლუთერი ცოტათი უფრო მაღლა იდგა პრუდონზე. მან უკვე იცოდა, რომ მოგების მიღება არაა დამოკიდებული სესხის თუ ყიდვის ფორმაზე: «ვაჭრობიდანაც მევახშეობას ქმნიან. მაგრამ ეს ერთხელად ძალიან ბევრია. და როდესაც ჩვენ ახლა ლაპარაკი გვიხდება იმგვარ საგანზე, როგორიც არის მევახშეობა სესხის გაცემაში, რაკი უკვე გავილაშქრეთ (ახლახან) მის წინააღმდეგ, ჩვენ გვინდა ვაჭრულ მევახშეობასაც წავუკითხოთ შესაფერი დარიგება» (M. Luther: «An die Pfarherrn wider den Wucher zu predigen». Wittenberg 1540).

საერთოდ სარგებელმომტანი კაპიტალის დამახასიათებელ მოძრაობად სახავს. «რადგან კაპიტალი — ფული სარგებლის დაგროვების გამო, გაივლის რა მთელ რიგ გაცვლას, ყოველთვის თავის წყაროს უბრუნდება, აქედან გამომდინარეობს, რომ ყოველთვის ერთი და იმავე ხელიდან გამოსული სესხი მუდამ იმავე პირს აძლევს მოგებას». [გვ. 154].

რა არის ის, რაც მისთვის გამოსაცნობი რჩება სარგებელმომტანი კაპიტალის თავისებურ მოძრაობაში? კატეგორიები: ყიდვა, ფასი, საგნების დათმობა და ის უშუალო ფორმა, რომლითაც აქ ზედმეტი ღირებულება ვლინდება; მოკლედ, ის მოვლენა, რომ აქ კაპიტალი როგორც კაპიტალი საქონლადაა ქცეული და რომ ამიტომ გაყიდვა გადაიქცა გასესხებად და ფასი — მოგების წილად.

კაპიტალის დაბრუნება მის ამოსავალ პუნქტთან საერთოდ კაპიტალის დამახასიათებელი მოძრაობაა მის მთელ წრებრუნვაში. ეს სრულიადაც არაა მხოლოდ სარგებელმომტანი კაპიტალის განმასხვავებელი ნიშანი. ამ კაპიტალს განასხვავებს გარეგნული მოსაშუალე წრებრუნვისაგან გამოთიშული ფორმა უკუდაბრუნებისა. გამსესხებელი კაპიტალისტი გასცემს თავის კაპიტალს, გადასცემს მას მრეწველ კაპიტალისტს, ეკვივალენტის მიუღებლად. ეს გადაცემა არ წარმოადგენს საერთოდ კაპიტალის ნამდვილი წრებრუნვის პროცესის აქტს; იგი ამზადებს მხოლოდ ამ, მრეწველი კაპიტალისტის მიერ შესასრულებელ, წრებრუნვას. ფულის ეს პირველი ადგილცვლა არ გამოსახავს მეტამორფოზის არავითარ აქტს: არც ყიდვას, არც გაყიდვას. საკუთრების გადაცემა არ ხდება, რადგან არ ხდება არავითარი გაცვლა, არც ეკვივალენტის მიღება. ფულის დაბრუნება მრეწველი კაპიტალისტის ხელიდან გამსესხებლის ხელში შეავსებს მხოლოდ კაპიტალის გაცემის პირველ აქტს. ფულის ფორმით ავანსებული კაპიტალი ხელახლა უბრუნდება წრებრუნვის მეოხებით მრეწველ კაპიტალისტს ფულადი ფორმით. მაგრამ რადგან ეს კაპიტალი დახარჯვისას მას არ ეკუთვნოდა, არ შეიძლება იგი მას ეკუთვნოდეს უკუდაბრუნების დროსაც. იმ გარემოებას, რომ კაპიტალმა კვლავწარმოების პროცესი განვლო, არ შეუძლია იგი მრეწველი კაპიტალისტის საკუთრებად აქციოს. მაშასადამე, ამ უკანასკნელმა იგი უნდა დაუბრუნოს გამსესხებელს. პირველი დახარჯვა, რომელსაც კაპიტალი გამსესხებლის ხელიდან მსესხებლის ხელში გადააქვს, იურიდიული გარიგებაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო კაპიტალის კვლავწარმოების პროცესთან, იგი მხოლოდ ამზადებს მას. უკუგადახდა, რომელსაც უკუმოდენილი კაპიტალი მსესხებლის ხელიდან კვლავ გამსესხებლის ხელში გადააქვს, პირველი გარი-

გების შემავსებელი, მეორე იურიდიული გარიგებაა; პირველი ამზადებს ნამდვილ პროცესს, მეორე კი დამატებითი აქტია ამ პროცესის შემდეგ. მაშასადამე, ამოსავალი წერტილი და უკუდაბრუნების წერტილი—გასესხებული კაპიტალის გაცემა და უკუდაბრუნება—წარმოგვიდგება როგორც ნებისმიერი, იურიდიული გარიგებით გამოწვეული მოძრაობანი, რომლებიც კაპიტალის ნამდვილი მოძრაობის წინ და შემდეგ ხდება და რომელთაც საერთო არაფერი აქვთ ამ მოძრაობასთან. კაპიტალის ნამდვილი მოძრაობისთვის სულ ერთი იქნებოდა, კაპიტალი იმთავითვე რომ მრეწველი კაპიტალისტის კუთვნილება ყოფილიყო და ამიტომ მასვე დაბრუნებოდა როგორც მისი საკუთრება.

პირველ შესავალ აქტში გამსესხებელი თავის კაპიტალს მსესხებელს გადასცემს. მეორე დამატებითს და დასკვნითს აქტში მსესხებელი კაპიტალს უკან უბრუნებს გამსესხებელს. რამდენადაც მხედველობაში უნდა მივიღოთ მხოლოდ გარიგება ორთავეს შორის, — განზე ვტოვებთ ჯერჯერობით სარგებელს, — რამდენადაც, მაშასადამე, საქმე შეეხება თვით გასესხებული კაპიტალის მოძრაობას გამსესხებელსა და მსესხებელს შორის, ორივე ეს აქტი (განშორებული ერთიმეორისგან მეტნაკლებ ხანგრძლივი დროით, რომლის განმავლობაშიც კაპიტალის ნამდვილი კვლავწარმოების პროცესი ხდება) მოიცავს მთელ ამ მოძრაობას. და ეს მოძრაობა: გაცემა უკუდაბრუნების პირობით, მოძრაობაა გასესხებისა და სესხად აღებისა, რაც ფულის ან საქონლის მხოლოდ პირობითი გასხვისების სპეციფიკურ ფორმას წარმოადგენს.

საერთოდ კაპიტალის დამახასიათებელი მოძრაობა, — ფულის უკუდაბრუნება კაპიტალისტთან, კაპიტალის უკუდაბრუნება მის ამოსავალ წერტილთან, — სარგებელმომტან კაპიტალში იღებს სრულიად გარეგნულ სახეს, რომელიც გათიშულია ნამდვილი მოძრაობისაგან, რის ფორმასაც იგი შეადგენს. *A* თავის ფულს გასცემს არა როგორც ფულს, არამედ როგორც კაპიტალს. კაპიტალი აქ არავითარ ცვლილებას არ განიცდის. იგი მხოლოდ სხვა ხელში გადადის. მისი ნამდვილი გადაქცევა კაპიტალად ხდება მხოლოდ *B*-ს ხელში. მაგრამ *A*-სთვის იგი კაპიტალი გახდა უბრალოდ *B*-ზე გადაცემით. კაპიტალის ნამდვილ დაბრუნებას წარმოებისა და მიმოქცევის პროცესიდან ადგილი აქვს მხოლოდ *B*-სთვის, მაგრამ *A*-სთვის უკუდაბრუნება ხდება იმავე ფორმით, როგორც გასხვისება. *B*-ს ხელიდან კაპიტალი ხელახლა გადადის *A*-ს ხელში. ფულის გაცემა, გასესხება განსაზღვრული დროით და მისი უკან მიღება სარგებლით (ზედმეტი ღირებულებით) — აი იმ მოძრაობის მთელი ფორმა, რომელიც ახასიათებს სარგებელმომტან კაპიტალს

როგორც ასეთის. გასესხებული ფულის როგორც კაპიტალის ნამდვილი მოძრაობა არის ოპერაცია, რომელიც გამსესხებელსა და მსესხებელს შორის მომხდარ გარიგებათა მიღმა მდებარეობს. თვით ამ გარიგებებში ეს მოსაშუალეობა წარხოცილია, უხილავია, უშუალოდ არაა მათში მოქცეული. როგორც განსაკუთრებული სახის საქონელს, კაპიტალს გასხვისებაც თავისებური სახისა აქვს. ამიტომ უკუდაბრუნებაც აქ გამოისახება არა როგორც განსაზღვრული რიგი ეკონომიური აქტების შედეგი, რეზულტატი, არამედ როგორც მყიდველსა და გამყიდველს შორის სპეციალური იურიდიული გარიგების შედეგი. უკუდაბრუნების დრო დამოკიდებულია კვლავწარმოების პროცესის მსვლელობაზე; სარგებელმომტანი კაპიტალის მიმართ კი ისე გვეჩვენება, რომ მისი როგორც კაპიტალის უკუდაბრუნება დამოკიდებულია მარტოოდენ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის გარიგებაზე. ასე რომ კაპიტალის უკუდაბრუნება ამ გარიგების მიმართ წარმოგვიდგება არა როგორც წარმოების პროცესის მიერ განსაზღვრული შედეგი, არამეც ისე, თითქოს გასესხებულ კაპიტალს არასოდეს არ დაეკარგოს ფულის ფორმა. რასაკვირველია, ფაქტიურად ეს გარიგება განისაზღვრება კაპიტალის უკუდაბრუნებით. მაგრამ ეს არ ვლინდება თვით გარიგებაში. პრაქტიკაშიც სრულიადაც არ ხდება ყოველთვის ასე. თუ ნამდვილი უკუდაბრუნება დროზე არ მოხდა, მსესხებელმა სხვა დამხმარე წყაროები უნდა ეძიოს თავის ვალდებულებათა შესასრულებლად გამსესხებლის წინაშე. კაპიტალის უბრალო ფორმა — ფული, რომელიც A თანხის სახით იხარჯება და დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ უკან ბრუნდება როგორც თანხა $A+\frac{1}{x}A$ ყოველგვარი სხვა მოსაშუალეობის გარეშე, გარდა დროის ამ მონაკვეთისა, — მხოლოდ ირაციონალური ფორმაა კაპიტალის ნამდვილი მოძრაობისა.

კაპიტალის ნამდვილ მოძრაობაში მისი უკუდაბრუნება მიმოქცევის პროცესის მომენტია. ფული ჯერ წარმოების საშუალებებად გადაიქცევა; წარმოების პროცესი მას საქონლად გადააქცევს; საქონლის გაყიდვით იგი ხელახლა ფულად გადაიქცევა და ამ სახით უკან ბრუნდება კაპიტალისტის ხელში, რომელმაც პირველად გაიღო ავანსად ეს კაპიტალი ფულადი ფორმით. მაგრამ სარგებელმომტანი კაპიტალის შემთხვევაში, როგორც მისი უკუდაბრუნება, ისე გაცემა, მხოლოდ იურიდიული გარიგების შედეგია კაპიტალის მესაკუთრესა და მეორე პირს შორის. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ გაცემას და უკუგადახდას. ყველაფერი, რაც მათ შუა ხდება, წარხოცილია.

მაგრამ რადგან კაპიტალის სახით ავანსებულ ფულს თვისება აქვს დაუბრუნდეს მის ავანსად გამღებს, იმას, ვინც იგი დახარჯა, როგორც კაპიტალი; რადგან Ფ — ს — Ფ′ იმანენტური ფორმაა კაპიტალის მოძრაობისა, სწორედ ამიტომ ფულის მფლობელს შეუძლია ფული გაასესხოს როგორც კაპიტალი. როგორც ისეთი რამ, რასაც თვისება აქვს თავის ამოსავალ პუნქტს დაუბრუნდეს და, როგორც ღირებულება, შენარჩუნებულ და გადიდებულ იქნეს იმ მოძრაობაში, რომელსაც გაივლის. ნისი მფლობელი მას გასცემს კაპიტალის სახით იმიტომ, რომ იგი, კაპიტალად გამოყენების შემდეგ, თავის ამოსავალ წერტილს უბრუნდება. მაშასადამე, განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მსესხებელს შეუძლია იგი გამსესხებელს დაუბრუნოს სწორედ იმის გამო, რომ ეს ფული თვით მსესხებელს დაუბრუნდება.

ამრიგად. ფულის გასესხება კაპიტალის სახით — მისი გაცემა იმ პირობით, რომ უკან დაბრუნდება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ — გულისხმობს, რომ ფული ნამდვილად გამოიყენება როგორც კაპიტალი, ნამდვილად უბრუნდება თავის ამოსავალ წერტილს. მაშასადამე. ფულის როგორც კაპიტალის ნამდვილი წრებრუნვა წარმოადგენს იურიდიული გარიგების წინაპირობას. ამ გარიგების თანახმად მსესხებელმა ფული უკან უნდა დაუბრუნოს გამსესხებელს. თუ სესხის ამღები არ დახარჯავს ფულს როგორც კაპიტალს, — ეს მისი საქმეა. სესხის გამცემი ფულს გასცემს როგორც კაპიტალს, და ფულმა, როგორც ასეთმა, უნდა შეასრულოს კაპიტალის ფუნქციები, რომლებიც შეიცავს ფულადი კაპიტალის წრებრუნვას მის უკუდაბრუნებამდე — ფულად ფორმაში — მის ამოსავალ პუნქტთან.

მიმოქცევის აქტები Ფ — ს და ს — Ფ′, სადაც გარკვეული ღირებულების ჯამი მოქმედებს როგორც ფული ან როგორც საქონელი, მთელი მისი მოძრაობის მხოლოდ მოსაშუალე პროცესებია, ცალკეული მომენტებია. როგორც კაპიტალი იგი გაივლის მთელ მოძრაობას: Ფ—Ფ′. იგი ავანსად გაიღება როგორც ფული ან როგორც ღირებულების ჯამი რაიმე ფორმით და უკან ბრუნდება როგორც ღირებულების ჯამი. ფულის გამსესხებელი არ ხარჯავს მას საქონლის საყიდლად ან, თუ ღირებულების ჯამი საქონლის სახით არსებობს, არ ყიდის მას ფულზე, არამედ ავანსად გაიღებს როგორც კაპიტალს, როგორც Ფ — Ფ′, როგორც ღირებულებას, რომელიც განსაზღვრულ ვადაში ხელახლა დაუბრუნდება თავის ამოსავალ პუნქტს. ყიდვის ან გაყიდვის ნაცვლად, იგი გაასესხებს. ეს გასესხება წარმოადგენს, ამგვარად, შესაბამის ფორმას ფულის გასასხვისებლად კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ს ა ხ ი თ და არა ფულის ან

საქონლის სახით. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ გასესხება არ შეიძლება იყოს აგრეთვე ფორმა ისეთ გარიგებათათვის, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ კაპიტალისტურ კვლავწარმოების პროცესთან.

აქამდე ჩვენ განვიხილავდით მხოლოდ გასესხებული კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მოძრაობას მის მესაკუთრესა და მრეწველ კაპიტალისტს შორის. ახლა უნდა განვიხილოთ ს ა რ გ ებ ე ლ ი.

გამსესხებელი თავის ფულს ხარჯავს როგორც კაპიტალს; ღირებულების ჯამი, რომელსაც იგი მეორე პირზე გაასხვისებს, კაპიტალია და ამიტომ უბრუნდება მას. მაგრამ გასესხებული ღირებულების ჯამის უბრალო დაბრუნება მასთან არ იქნებოდა მისი რ ო გ ო რ ც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დაბრუნება; იგი იქნებოდა უბრალოდ გასესხებული ღირებულების ჯამის დაბრუნება. ავანსებული ღირებულების ჯამი რომ კაპიტალის სახით დაბრუნდეს უკან, ამისათვის საჭიროა არა მარტო შენარჩუნება მოძრაობაში, არამედ მისი ღირებულების სიდიდის გაზრდაც, გადიდება, ე. ი. უკან დაბრუნება ზედმეტი ღირებულებით, როგორც Ф+ΔФ, და ეს ΔФ წარმოადგენს აქ სარგებელს, ანუ საშუალო მოგების იმ ნაწილს, რომელიც არ რჩება მოქმედი კაპიტალისტის ხელში, არამედ ფულად კაპიტალისტს ხვდება წილად.

ის გარემოება, რომ ფული გასხვისებულია ფულადი კაპიტალისტის მიერ როგორც კაპიტალი, ნიშნავს, რომ იგი მას უნდა დაუბრუნდეს როგორც Ф+ΔФ. შემდეგ ჩვენ მოგვიხდება კიდევ იმ ფორმის საგანგებოდ განხილვა, როცა შუალედი პერიოდის განმავლობაში სარგებელი მოედინება განსაზღვრულ ვადებში, მაგრამ — უკაპიტალოდ, რომლის უკუგადახდა მოხდება მხოლოდ უფრო ხანგრძლივი პერიოდის ბოლოს.

რას აძლევს ფულადი კაპიტალისტი მსესხებელს, მრეწველ კაპიტალისტს? რას გაასხვისებს იგი ნამდვილად მასზე? და მხოლოდ გასხვისების აქტი აქცევს ფულის გასესხებას ფულის, როგორც კაპიტალის, გასხვისებად, ე. ი. კაპიტალის, როგორც საქონლის, გასხვისებად.

მხოლოდ ამ გასხვისების აქტის საშუალებით ხდება, რომ კაპიტალი ფულის გამსესხებლისგან როგორც საქონელი, ან საქონელი, რომელიც მის განკარგულებაშია, როგორც კაპიტალი გადაეცემა მესამე პირს.

რა გაისხვისება ჩვეულებრივი გაყიდვისას? არა გაყიდული საქონლის ღირებულება, რადგან იგი მხოლოდ ფორმას იცვლის. იგი იდეალურად არსებობს საქონელში როგორც ფასი, სანამ რეალურად გადა-

ვიდოდეს ფულის სახით გამყიდველის ხელში. ერთი და იგივე ღირებულება და ღირებულების ერთი და იგივე სიდიდე აქ მხოლოდ ფორმას იცვლის. ორივე ეს ერთ შემთხვევაში არსებობს საქონლის სახით, მეორე შემთხვევაში ფულის სახით. ნამდვილად გამყიდველი ასხვისებს და ამიტომ მყიდველის ინდივიდუალურ ან მწარმოებლურ მოხმარებაში გადადის საქონლის სახმარი ღირებულება, საქონელი როგორც სახმარი ღირებულება.

. რა სახმარი ღირებულებაა ეს, რასაც ფულადი კაპიტალისტი გაასხვისებს სესხის დროის განმავლობისთვის და მწარმოებელ კაპიტალისტს, მსესხებელს გადასცემს? ეს არის სახმარი ღირებულება, რომელსაც ფული იმით მოიპოვებს, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება კაპიტალად გარდაიქმნას, მოქმედებდეს როგორც კაპიტალი, და რომ იგი ამიტომ თავის მოძრაობაში გარდა იმისა, რომ შეინარჩუნებს თავის თავდაპირველ ღირებულების სიდიდეს, წარმოქმნის განსაზღვრულ ზედმეტ ღირებულებას, საშუალო მოგებას (ის, რაც მას აღემატება ან მასზე ნაკლებია, აქ შემთხვევითობად წარმოგვიდგება). სხვა საქონელთა სახმარი ღირებულება ბოლოს და ბოლოს მოიხმარება და ამით ქრება საქონლის სუბსტანცია და მასთან ერთად მისი ღირებულებაც. საქონელ-კაპიტალს, პირიქით, ის თავისებურება აქვს, რომ მისი სახმარი ღირებულების მოხმარებით მისი ღირებულება და მისი სახმარი ღირებულება არათუ შეინახება, არამედ გადიდდება კიდეც.

ფულის, როგორც კაპიტალის, ამ სახმარ ღირებულებას — საშუალო მოგების შექმნის უნარს — გაასხვისებს ფულადი კაპიტალისტი მრეწველ კაპიტალისტზე იმ დროისათვის, რომლის განმავლობაშიაც გასესხებულ კაპიტალზე განკარგულების უფლებას გადასცემს მას.

ამდენადვე ასე გასესხებულ ფულს გარკვეული მსგავსება აქვს სამუშაო ძალასთან, თუ მას განვიხილავთ მის დამოკიდებულებაში სამრეწველო კაპიტალისტთან. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სამუშაო ძალის ღირებულებას კაპიტალისტი იხდის, მაშინ როდესაც სესხად აღებული კაპიტალის ღირებულებას იგი უბრალოდ აბრუნებს უკან. სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება მრეწველი კაპიტალისტისთვის ასეთია: თავის მოხმარების პროცესში იგი აწარმოებს მეტ ღირებულებას (მოგებას), ვიდრე თვით ამ ძალას აქვს ან რადაც იგი ღირს. ღირებულების ეს ნამეტი სამუშაო ძალის სახმარი ღირებულებაა მრეწველი კაპიტალისტისათვის. სწორედ ასევე გასესხებული კაპიტალის სახმარ ღირებულებას წარმოადგენს მისი უნარი ღირებულების მიმატების და გადიდებისა.

ფულადი კაპიტალისტი ნამდვილად გაასხვისებს სახმარ ღირებულებას და ამით იგი იმას, რასაც გასცემს, გასცემს როგორც საქონელს. და ამ მხრივ სრული ანალოგიაა საქონელთან როგორც ასეთთან. ჯერ ერთი, ესაა ღირებულება, რომელიც ერთი ხელიდან მეორე ხელში გადადის. როდესაც საქმე გვაქვს უბრალო საქონელთან როგორც ასეთთან, მყიდველისა და გამყიდველის ხელში რჩება ერთი და იგივე ღირებულება, მხოლოდ სხვადასხვა ფორმით; ორთავეს უწინდებურად იგივე ღირებულება აქვს, რაც გაასხვისეს, მხოლოდ ერთს საქონლის სახით და მეორეს ფულის სახით. განსხვავება იმაშია, რომ გასესხების შემთხვევაში ფულადი კაპიტალისტი ერთადერთი პირია, რომელიც ამ გარიგების დროს ღირებულებას გასცემს; მაგრამ იგი მას ინარჩუნებს იმით, რომ შემდგომ მას ამ ღირებულებას უკანვე გადაუხდიან. გასესხებისას მხოლოდ ერთი მხარე იღებს ღირებულებას, რადგან მხოლოდ ერთი მხარე აძლევს მას. — მეორე, ერთი მხარე გაასხვისებს ნამდვილ სახმარ ღირებულებას და მეორე მხარე მიიღებს და მოიხმარს. მაგრამ ჩვეულებრივი საქონლისაგან განსხვავებით, ეს სახმარი ღირებულება თვით არის ღირებულება, სახელდობრ ღირებულების სიდიდის ნამეტი მის თავდაპირველ სიდიდესთან შედარებით, ნამეტი, რომელიც ფულის, როგორც კაპიტალის, მოხმარებით მიიღება. მოგება არის ეს სახმარი ღირებულება.

გასესხებული ფულის სახმარი ღირებულება ისაა, რომ მას როგორც კაპიტალს შეუძლია იმოქმედოს და როგორც ასეთს შეუძლია საშუალო პირობებში საშუალო მოგება აწარმოოს [57].

რას იხდის მრეწველი კაპიტალისტი და, მაშასადამე, რა წარმოადგენს გასესხებული კაპიტალის ფასს? «ის, რასაც ადამიანები იხდიან როგორც სარგებელს იმით სარგებლობისათვის, რასაც სესხულობენ». არის მესის თანახმად, იმ მოგების ნაწილი, რომლის წარმოებაც სესხად აღებულს შეუძლია» [58].

---

[57] «სარგებლის აღების სამართლიანობა იმაზე კი არაა დამოკიდებული, აწარმოებს ესა თუ ის ადამიანი მოგებას თუ არა, არამედ მის» (ნასესხების) «იმ თვისებაზე, რომ მას შეუძლია მოგება აწარმოოს, თუ წესიერად იქნება გამოყენებული». («An Essay on the Governing Causes of the Natural Rate of Interest, wherein the Sentiments of Sir W. Petty and Mr. Locke, on that Head, are considered». London 1750, გვ. 49. ანონიმური თხზულების ავტორია ჯ. მესი.)

[58] «მდიდარი ადამიანები იმის ნაცვლად, რომ თვითონ მოიხმარონ თავიანთი ფული... სხვებს ასესხებენ მას, რათა მათ მოგება აწარმოონ და ამგვარად წარმოებული მოგების ერთი ნაწილი მესაკუთრეებს დაუტოვონ» (იქვე, გვ. 23 — 24).

ჩვეულებრივი საქონლის მყიდველი ყიდულობს ამ საქონლის სახმარ ღირებულებას, იხდის მის ღირებულებას. მსესხებელი ყიდულობს ფულის, როგორც კაპიტალის, სახმარ ღირებულებას; მაგრამ რას იხდის იგი? უეჭველია, არა მის ფასს, ანუ ღირებულებას, როგორც ამას ადგილი აქვს სხვა საქონელთა ყიდვისას. გამსესხებელსა და მსესხებელს შორის არ ხდება, როგორც მყიდველსა და გამყიდველს შორის, ღირებულების ფორმაცვლა ისე, რომ ეს ღირებულება ერთჯერ ფულის ფორმით არსებობს და მეორეჯერ საქონლის ფორმით. გაცემული და უკან მიღებული ღირებულების იგივეობა აქ სულ სხვაგვარად ვლინდება. განსაზღვრული ღირებულებითი ჯამი, ფული, გაიცემა უეკვივალენტოდ და განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ უკან დაბრუნდება. გამსესხებელი ყოველთვის რჩება ერთი და იმავე ღირებულების მესაკუთრე, მას შემდეგაც კი. როდესაც ეს ღირებულება მისი ხელიდან სესხად ამღების ხელში გადავიდა. მარტივი საქონელგაცვლის დროს ფული მუდამ მყიდველის მხარეზეა; გასესხებისას კი ფული გამყიდველის მხარეზეა. ეს უკანასკნელია ის პირი, რომელიც განსაზღვრული დროით გასცემს ფულს, ხოლო კაპიტალის მყიდველი ის პირია, რომელიც მას იღებს როგორც საქონელს. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ფული მოქმედებს როგორც კაპიტალი და ამისთვის ავანსად გაიღება. მსესხებელი ფულს სესხულობს როგორც კაპიტალს, როგორც თვითმზარდ ღირებულებას. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ კაპიტალია თავისთავად, როგორც ყოველი კაპიტალი მის ამოსავალ პუნქტში, მის ავანსად გაღების მომენტში. მხოლოდ მისი მოხმარების გზით ხდება მისი ღირებულების ზრდა, მისი რეალიზაცია როგორც კაპიტალისა. მაგრამ სესხად ამღებმა ეს უნდა გადაიხადოს როგორც რ ე ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი კაპიტალი, მაშასადამე, როგორც ღირებულება პლუს ზედმეტი ღირებულება (სარგებელი); უკანასკნელი კი შეიძლება იყოს მის მიერ რეალიზებული მოგების მხოლოდ ნაწილი. მხოლოდ ნაწილი, არა მთელი მოგება; ეს იმიტომ, რომ ნასესხები ფულის სახმარი ღირებულება მსესხებლისთვის იმაში მდგომარეობს, რომ იგი მას მოგებას შეუქმნის. წინააღმდეგ შემთხვევაში ისე გამოვიდოდა, რომ გამსესხებელს არ მოუხდენია სახმარი ღირებულების არავითარი გასხვისება. მეორე მხრივ, არ შეიძლება მთელი მოგება მსესხებელს ხვდეს. მაშინ ისე გამოვიდოდა, რომ იგი არაფერს არ გადაიხდიდა სახმარი ღირებულების გასხვისებისათვის და ნასესხებ ფულს დაუბრუნებდა გამსესხებელს მხოლოდ როგორც უბრალო ფულს, არა როგორც კაპიტალს, როგორც რეალიზებულ კაპი-

ტალს, ვინაიდან ფული რეალიზებულ კაპიტალს წარმოადგენს მხოლოდ როგორც Ф+△Ф.

ორივე, გამსესხებელიც და მსესხებელიც, ხარჯავს, ერთნაირ ფულად თანხას როგორც კაპიტალს. მაგრამ მხოლოდ უკანასკნელის ხელში მოქმედებს ეს თანხა როგორც კაპიტალი. მოგება არ ორკეცდება იმის გამო, რომ ერთსა და იმავე ფულად თანხას ორგზისი მყოფობა აქვს როგორც კაპიტალს ორი პიროვნებისათვის. ეს თანხა შეიძლება ორივესთვის მოქმედებდეს როგორც კაპიტალი მხოლოდ მოგების დანაწილების გამო. იმ ნაწილს, რომელიც გამსესხებელს ერგება, სარგებელი ეწოდება.

ნაგულისხმევის თანახმად. მთელ გარიგებას ადგილი აქვს ორგვარ კაპიტალისტებს შორის. ფულად კაპიტალისტსა და მრეწველ ან ვაჭარ კაპიტალისტს შორის.

არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ კაპიტალი როგორც კაპიტალი საქონელია, ანუ რომ საქონელი, რომელზედაც აქ ლაპარაკია, კაპიტალია. ამიტომ, ყველა ის ურთიერთობა, რომელიც აქ ვლინდება, ირაციონალური იქნებოდა, საქმე რომ გვქონდეს უბრალო საქონელთან ან თუნდ კაპიტალთან, რამდენადაც ეს უკანასკნელი თავის კვლავწარმოების პროცესში მოქმედებს როგორც საქონლური კაპიტალი. გასესხება და სესხად აღება, ნაცვლად ყიდვის და გაყიდვისა,—ეს არის აქ განსხვავება, რომელიც საქონელ-კაპიტალის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარეობს. ასეთივე განსხვავებაა, როცა აქ სარგებელს გადაიხდიან საქონლის ფასის ნაცვლად. თუ სარგებელს ფულადი კაპიტალის ფასს ვუწოდებთ, ეს იქნება ფასის ირაციონალური ფორმა, რაც სრულიად ეწინააღმდეგება საქონლის ფასის ცნებას [59]. ფასი აქ მის წმინდა აბსტრაქტულ და უშინაარსო ფორმაზეა დაყვანილი, ისეთ ფორმაზე, რომ იგი, განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელსაც გადაიხდიან რაიმესთვის, რაც ასე თუ ისე სახმარ ღირებულე-

---

[59] «currency-ის [მიმოქცევის საშუალებათა] მიმართ გამოყენებულ გამოთქმას ღირებულება (value) სამი მნიშვნელობა აქვს... 2) currency actually in hand [ნამდვილად ხელში მყოფი მიმოქცევის საშუალებანი] შედარებით იმავე რაოდენობის currency-სთან, რომელიც ერთ-ერთ უახლოეს დღეს შემოვა. ამ შემთხვევაში მისი ღირებულება გაიზომება სარგებლის განაკვეთით, ხოლო სარგებლის განაკვეთი განისაზღვრება იმ შეფარდებით, რომელიც არსებობს განკარგულებაში მყოფ გასასესხებელ კაპიტალის რაოდენობასა და მასზე მოთხოვნას შორის» (პოლკოვნიკი R. Torrens: «On the Operation of the Bank Charter Act of 1844 etc» მე-2 გამოც. [London] 1847 [გვ. 5—6])

ბას წარმოადგენს; მაშინ როდესაც ფასი, მისი ცნების მიხედვით, უდრის ამ სახმარი ღირებულების ღირებულებას, ფულით გამოსახულს.

სარგებელი როგორც კაპიტალის ფასი, — იმთავითვე სრულიად ირაციონალური გამოთქმაა. გამოდის, რომ საქონელს ორგვარი ღირებულება აქვს: ჯერ ერთი, ღირებულება და, მეორე, ამ ღირებულებისგან განსხვავებული ფასი. მაშინ როდესაც ფასი ღირებულების ფულადი გამოსახულებაა, ფულადი კაპიტალი უწინარეს ყოვლისა სხვა არაფერია, თუ არა ფულადი თანხა ანუ საქონელთა განსაზღვრული მასის ღირებულება, ფიქსირებული ფულადი თანხის სახით. თუ საქონელი სესხად გაიცემა როგორც კაპიტალი, მაშინ იგი ფულადი თანხის მხოლოდ შენიღბული ფორმაა. ეს იმიტომ, რომ სესხად გაიცემა როგორც კაპიტალი არა ამდენი და ამდენი გირვანქა ბამბა, არამედ იმდენი ფული, რამდენიც ბამბის ფორმით არსებობს როგორც ამ უკანასკნელის ღირებულება. კაპიტალის ფასი შეეხება, ამიტომ, კაპიტალს როგორც ფულად თანხას, თუმცა არა როგორც currency-ს, როგორც ამას ფიქრობს ბ-ნი ტორენსი (იხ. ზემოთ შენიშვნა 59). და როგორ შეიძლება ღირებულების ჯამს ჰქონდეს ფასი, გარდა თავისი საკუთარი ფასისა, გარდა იმ ფასისა, რომელიც მისი საკუთარი ფულადი ფორმითაა გამოსახული? ფასი ხომ საქონლის ღირებულებაა (და ეს ასეა კიდეც საბაზრო ფასის მიმართ, რომლის განსხვავება ღირებულებისაგან თვისებრივი კი არაა, არამედ მხოლოდ რაოდენობრივი, რაც მარტოოდენ ღირებულების სიდიდეს შეეხება) განსხვავებით მისი სახმარი ღირებულებისგან. ფასი, რომელიც თვისებრივად განსხვავებულია ღირებულებისაგან, უაზრო წინააღმდეგობას წარმოადგენს[80].

კაპიტალი გამოავლენს თავის თავს როგორც კაპიტალი თავისი ღირებულების ზრდით; მისი ღირებულების ზრდის ხარისხი გამოსახავს იმ რაოდენობრივ ხარისხს, რომლის შესაბამისად იგი ხორციელდება როგორც კაპიტალი. მის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება, ანუ მოგება, — ამის ნორმა თუ სიმაღლე, — შეიძლება გაიზომოს მხოლოდ მისი შედარებით ავანსებული კაპიტალის ღირებულებასთან. ამიტომ სარგებელმომტანი კაპიტალის ღირებულების უფრო დიდი ან

---

[80] «ორაზროვნობა ტერმინისა: ფულის და მიმოქცევის საშუალების ღირებულება, თუ მას, როგორც ამას ადგილი აქვს სინამდვილეში, განურჩევლად ხმარობენ როგორც საქონელთა საცვლელი ღირებულების, ისე კაპიტალის სახმარი ღირებულების აღსანიშნავად, — ამ ტერმინის ორაზროვნობა აღრევის მუდმივი წყაროა». (Tooke: «Inquiry into the Currency Principle» [London 1844], გვ. 77). — მთავარ აღრევას (რომელიც თვით საგნის არსებაშია), რომ ღირებულება, როგორც ასეთი (სარგებელი) ხდება კაპიტალის სახმარი ღირებულება, — ტუკი ვერ ხედავს.

ნაკლები ზრდაც შეიძლება გაიზომოს მხოლოდ ავანსებული კაპიტალის ღირებულებასთან იმ სარგებლის რაოდენობის შედარების გზით, რომელიც ამ კაპიტალს უწევს წილად მთელი მოგებიდან. ამის გამო, თუ ფასი საქონლის ღირებულებას გამოსახავს, სარგებელი გამოსახავს ფულადი კაპიტალის ღირებულების ზრდას და ამიტომ წარმოგვიდგება ფასად, რომელსაც გამსესხებელს უხდიან ამ კაპიტალში. აქედან ცხადია იმთავითვე, თუ რაოდენ შეუსაბამოა იმის წადილი, რომ, პრუდონის მსგავსად აქ უშუალოდ გამოვიყენოთ გაცვლის მარტივი ურთიერთობანი, როგორც ეს უკანასკნელი ხორციელდება ფულის მეშვეობით ყიდვა-გაყიდვის აქტებში. ძირითადი წანამძღვარი სწორედ ისაა, რომ ფული მოქმედებს როგორც კაპიტალი და ამიტომ შეიძლება მესამე პირს გადაეცეს როგორც კაპიტალი თავისთავად, როგორც პოტენციური კაპიტალი.

მაგრამ აქაც კაპიტალი გვევლინება როგორც საქონელი, — იმდენად, რამდენადაც ადგილი აქვს მის მიწოდებას ბაზარზე და რამდენადაც ფულის როგორც კაპიტალის სახმარი ღირებულება ნამდვილად გასხვისდება. მაგრამ მის სახმარ ღირებულებას წარმოადგენს მოგების წარმოების მისი უნარი. ფულის ან საქონლის როგორც კაპიტალის ღირებულება განისაზღვრება არა მათი, როგორც ფულის ან საქონლის, ღირებულებით, არამედ იმ ზედმეტი ღირებულების რაოდენობით, რომელსაც ისინი მათი მფლობელისთვის აწარმოებენ. კაპიტალის პროდუქტი მოგებაა. ფული დახარჯულია როგორც ფული თუ ავანსებულია იგი როგორც კაპიტალი, — ეს, კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე, ფულის მხოლოდ სხვადასხვაგვარი გამოყენებაა. ფული, resp. [შესაბამისად] საქონელი, თავისთავად, პოტენციურად, კაპიტალია სწორედ ისე, როგორც სამუშაო ძალა პოტენციურად კაპიტალია. ეს იმიტომ რომ 1) ფული შეიძლება გარდაიქმნას წარმოების ელემენტებად და თავისთავად წარმოადგენს წარმოების ელემენტების აბსტრაქტულ გამოსახულებას, მათს მყოფობას ღირებულების სახით; 2) თუ სიმდიდრის ნივთიერ ელემენტებს უკვე აქვთ პოტენციურად კაპიტალის თვისება, ეს იმიტომ, რომ კაპიტალისტური წარმოების ბაზისზე მუდამ არსებობს მათი შემავსებელი დაპირისპირებულობა, ის, რაც მათ კაპიტალად ხდის, — დაქირავებული შრომა.

ნივთიერი სიმდიდრის ანტაგონისტური საზოგადოებრივი განსაზღვრულობა — მისი ანტაგონიზმი შრომის როგორც დაქირავებული შრომის მიმართ, — წარმოების პროცესისგან განცალკევებულად, უკვე გამოხატულია კაპიტალის საკუთრებით როგორც ასეთით. ეს მომენტი,

განცალკევებით თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესისაგან, რომლის მუდმივ შედეგს ის წარმოადგენს და რომელიც მას მუდამ გულისხმობს როგორც მუდმივ შედეგს, იმით გამოიხატება, რომ ფული — და აგრეთვე საქონელი — თავისდათავად, ფარულად, პოტენციურად კაპიტალია, რომ ისინი შეიძლება გაყიდულ იქნენ როგორც კაპიტალი და რომ ამ ფორმით ისინი წარმოადგენენ მბრძანებლობას სხვის შრომაზე. იძლევიან სხვისი შრომის მითვისების უფლებას და ამიტომ თვითმზარდ ღირებულებას შეადგენენ. აქვე ცხადად მეღავნდება, რომ სხვისი შრომის მითვისების საფუძველი და საშუალება არის არა კაპიტალისტის მხრივ რაიმე შრომა როგორც ეკვივალენტი, არამედ სწორედ ეს ურთიერთობა.

შემდეგ, კაპიტალი საქონლად გვევლინება, რამდენადაც მოგების დანაწილება სარგებლად და საკუთრივ მოგებად რეგულირდება მოთხოვნითა და მიწოდებით, მაშასადამე, კონკურენციით. სწორედ ისე, როგორც საქონელთა საბაზრო ფასები. მაგრამ განსხვავება აქ ისევე მკვეთრად გვეცემა თვალში, როგორც ანალოგია. თუ მოთხოვნა და მიწოდება ერთიმეორეს ფარავს, — საქონლის საბაზრო ფასი შეესაბამება მის წარმოების ფასს; ე. ი. მისი ფასი მაშინ რეგულირდება კაპიტალისტური წარმოების შინაგანი კანონებით, კონკურენციისგან დამოუკიდებლად, ვინაიდან მოთხოვნისა და მიწოდების რყევა არაფერს გვიხსნის, გარდა წარმოების ფასებისაგან საბაზრო ფასების გადახრათა, რომელნიც ერთიმეორეს აწონასწორებენ, ასე რომ განსაზღვრული მეტნაკლებ ხანგრძლივი პერიოდებისათვის საშუალო-საბაზრო ფასები წარმოების ფასებს ეთანატოლება. როდესაც მოთხოვნა და მიწოდება ერთიმეორეს ფარავს, მაშინ ეს ძალები აღარ მოქმედებენ, ერთიმეორეს აუქმებენ, და ფასის განსაზღვრის ზოგადი კანონი გვევლინება როგორც კანონი ცალკეული შემთხვევისთვისაც; მაშინ საბაზრო ფასი უკვე თავის უშუალო მყოფობაში, და არა მხოლოდ საბაზრო ფასების მოძრაობის საშუალო შეესაბამება წარმოების ფასს, რომელიც თვით წარმოების წესის იმანენტური კანონებით რეგულირდება. ასევეა ხელფასის მიმართაც. თუ მოთხოვნა და მიწოდება ერთიმეორეს ფარავს, მაშინ მათი მოქმედება უქმდება, და ხელფასი სამუშაო ძალის ღირებულებას ეთანატოლება. მაგრამ სხვაგვარადაა საქმე ფულადი კაპიტალის სარგებლის მიმართ. კონკურენცია აქ არ განსაზღვრავს კანონისგან გადახრას. აქ არ არსებობს დანაწილების არავითარი სხვა კანონი, გარდა კონკურენციის მიერ ნაკარნახევისა, იმიტომ რომ, როგორც ჩვენ ამას ქვემოთ კიდევ დავინახავთ, სარგებლის განაკვეთის არავითა-

რი «ბუნებრივი» ნორმა არ არსებობს. სარგებლის განაკვეთის ბუნებრივ ნორმად გულისხმობენ, პირიქით, თავისუფალი კონკურენციის მიერ დამყარებულ ნორმას. არ არსებობს არავითარი „ბუნებრივი" საზღვრები სარგებლის განაკვეთის ნორმისათვის. იქ, სადაც კონკურენცია არა მხოლოდ გადახრას და რყევას განსაზღვრავს, სადაც, მაშასადამე, მათი ერთიმეორის წინააღმდეგმოქმედი ძალების წონასწორობისას, აღარ არსებობს საერთოდ არავითარი განსაზღვრა, იქ განსაზღვრავია ისეთი რამ, რაც თავისთავად კანონზომიერებას მოკლებული და ნებისმიერია. უფრო დაწვრილებით ამაზე — შემდგომ თავში.

როცა საქმე სარგებელმომტან კაპიტალს შეეხება, ყველაფერი გარეგნულად წარმოგვიდგება: კაპიტალის ავანსად გაღება — მის უბრალო გადაცემად გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის; რეალიზებული კაპიტალის უკუდაბრუნება — უბრალო უკუგადაცემად, უკუგადახდად სარგებლითურთ მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის. ასევეა კაპიტალისტური წარმოების წესის იმანენტური განსაზღვრის მიმართაც, სახელდობრ, რომ მოგების ნორმა განისაზღვრება არა მხოლოდ იმ მოგების შეფარდებით ავანსებულ კაპიტალღირებულებასთან, რომელიც ერთი ბრუნვის განმავლობაშია წარმოებული, არამედ თვით ამ ბრუნვის ხანგრძლიობითაც, ე. ი. განისაზღვრება როგორც მოგება, რომელსაც დროის განსაზღვრულ მონაკვეთში იძლევა სამრეწველო კაპიტალი. სარგებელმომტანი კაპიტალის შემთხვევაში ესეც სრულიად გარეგნულ რამედ გვეჩვენება. გამსესხებელს განსაზღვრულ სარგებელს უხდიან განსაზღვრული ვადისათვის.

რომანტიკული ადამ მიულერი ამბობს საგანთა შინაგანი კავშირის თავისი ჩვეული გაგებით («Elemente der Staatskunst». Berlin 1809, გვ. 138): «საგნების ფასის განსაზღვრისას არ კითხულობენ დროის შესახებ; სარგებლის განსაზღვრისას სათვალავში მიიღება უმთავრესად დრო». იგი ვერ ხედავს, როგორ შედის საქონელთა ფასების განსაზღვრაში წარმოების დრო და მიმოქცევის დრო და როგორ განისაზღვრება სწორედ ამით მოგების ნორმა კაპიტალის ბრუნვის მოცემული დროისათვის, ხოლო სწორედ მოგების განსაზღვრით მოცემული დროისათვის განისაზღვრება სარგებლის ნორმა. მთელი მისი ღრმა აზროვნება აქ, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ის არის, რომ ზედაპირის მტვრის ბუღს ამჩნევს და დიდი პრეტენზიით მსჯელობს ამ მტვერზე როგორც საიდუმლოებით აღსავსე და მნიშვნელოვან რამეზე.

თავი ოცდამეოთხე

მოგების დანაწილება. სარგებლის განაკვეთი. სარგებლის განაკვეთის «ბუნებრივი» ნორმა.

ამ თავის საგანი, ისევე როგორც საერთოდ კრედიტის ყველა შემდგომ განსახილველი მოვლენა, აქ არ შეიძლება დაწვრილებით გამოვიკვლიოთ. კონკურენცია გამსესხებლებსა და მსესხებლებს შორის და აქედან გამომდინარე შედარებით ხანმოკლე რყევა ფულის ბაზრისა სცილდება ჩვენი განხილვის ფარგლებს. იმ წრეგრუნვის გადმოცემა, რომელსაც სარგებლის ნორმა მრეწველობის ციკლის მანძილზე გაივლის, გულისხმობს თვით ამ ციკლის გადმოცემას, რომლის მოცემაც ასევე აქ არ შეიძლება. იგივე უნდა ითქვას მსოფლიო ბაზარზე სარგებლის განაკვეთის მეტნაკლები, დაახლოებითი გათანატოლების შესახებაც. ჩვენი ამოცანა აქ მხოლოდ ისაა, რომ გავარკვიოთ სარგებელმომტანი კაპიტალის თავისთავადი სახე და სარგებლის განცალკევება მოგებისაგან.

რადგან სარგებელი უბრალოდ მოგების ნაწილია, რომელიც, ჩვენ მიერ აქამდე მიღებული წანამძღვარის თანახმად, მრეწველმა კაპიტალისტმა უნდა გადაუხადოს ფულად კაპიტალისტს, ამიტომ სარგებლის მაქსიმალურ საზღვარს წარმოადგენს თვით მოგება, სადაც მოქმედი კაპიტალისტის ხვედრი წილი იქნებოდა = 0. გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როცა სარგებელი ფაქტიურად მოგებაზე უფრო დიდი შეიძლება იყოს, — მაგრამ მაშინ აღარც შეიძლება მისი გადახდა მოგებიდან, — შეიძლებოდა სარგებლის მაქსიმალურ საზღვრად მიგვეჩნია მთელი მოგება მინუს მისი ის ნაწილი, რომელიც საზედამხედველო ხელფასს (wages of superintendence) წარმოადგენს და რომელიც ჩვენ შემდგომ უნდა განვიხილოთ. სარგებლის მინიმალური მიჯნის განსაზღვრა სრულიად შეუძლებელია. მან ყოველ დონემდე შეიძლება დაიწიოს, მაგრამ მაშინ ისევ და ისევ ჩნდებიან წინააღმდეგმოქმედი გარემოებანი და ამ შეფარდებითს მინიმუმზე მაღლა სწევენ მას.

«შეფარდება კაპიტალის ხმარებისათვის გადახდილ თანხასა და თვით ამ კაპიტალს შორის გამოსახავს ფულით გაზომილ სარგებლის განაკვეთის ნორმას». — «სარგებლის ნორმა დამოკიდებულია: 1) მოგების ნორმაზე; 2) იმ შეფარდებაზე, რომლის მიხედვით მთელი მოგება ნაწილდება გამსესხებელსა და მსესხებელს შორის» («Economist», 22 იანვარი 1853 წ.). «რადგან ის, რასაც სარგებლის სახით იხდიან ნასესხების ხმარებისათვის, იმ მოგების ნაწილია, რომლის წარმოება შეუძლია ნასესხებს, ამიტომ ეს სარგებელი ყოველთვის უნდა რეგულირდებოდეს ასეთი მოგებით» (Massie: An Essay on the Governing Causes of the Natural Rate Interest», გვ. 49).

ვიგულისხმოთ ჯერ, რომ არსებობს მტკიცე შეფარდება მთელ მოგებასა და მის იმ ნაწილს შორის, რომელიც სარგებლის სახით უნდა გადაუხადონ ფულად კაპიტალისტს. ამ შემთხვევაში, ცხადია, სარგებელი აიწევს ან დაიწევს როგორც ერთობლივი მოგება, ხოლო ეს უკანასკნელი განისაზღვრება მოგების საერთო ნორმით და მისი რყევით. თუ, მაგალითად, მოგების საშუალო ნორმა = 20% და სარგებელი = მოგების $^1/_4$, მაშინ სარგებლის განაკვეთი = 5%; თუ მოგების საშუალო ნორმა = 16%, მაშინ სარგებელი = 4%. 20% მოგების ნორმის არსებობისას სარგებელი შეიძლება 8%-მდე აწეულიყო, და მრეწველი კაპიტალისტი მაინც იმავე მოგებას მიიღებდა, როგორც 16% მოგების ნორმის და 4% სარგებლის განაკვეთის არსებობისას, სახელდობრ 12%-ს. თუ სარგებელი მხოლოდ 6 ან 7%-მდე აიწევდა, კაპიტალისტს მაინც დარჩებოდა მოგების უდიდესი ნაწილი. თუ სარგებელი საშუალო მოგების მუდმივი ნაწილის ტოლი იქნებოდა, ამას შედეგად ის მოჰყვებოდა, რომ რაც უფრო დიდი იქნებოდა მოგების საერთო ნორმა, მით უფრო დიდი იქნებოდა აბსოლუტური სხვაობა ერთობლივ მოგებასა და სარგებელს შორის, მით უფრო დიდი იქნებოდა, მაშასადამე, მთელი მოგების ის ნაწილი, რომელიც მოქმედ კაპიტალისტს ხვდება, და პირიქით. ვთქვათ, სარგებელი = საშუალო მოგების $^1/_5$. 10-ის $^1/_5$ არის 2; სხვაობა მთელ მოგებასა და სარგებელს შორის 8 უდრის; 20-ის $^1/_5$ = 4; სხვაობა = 20 — 4 = 16; 25-ის $^1/_5$ = 5; სხვაობა = 25 — 5 = 20; 30-ის $^1/_5$ = 6; სხვაობა = 30 — — 6 = 24; 35-ის $^1/_5$ = 7; სხვაობა = 35 — 7 = 28. სარგებლის სხვადასხვა ნორმები: 4, 5, 6, 7% აქ ყოველთვის მთელი მოგების მხოლოდ $^1/_5$-ის, ანუ 20%-ის, გამომსახველი იქნებოდა. ამრიგად, როცა მოგების ნორმები სხვადასხვაა, სარგებლის სხვადასხვა ნორმები შეიძლება მთელი მოგების იმავე ჯერად ნაწილებს, ანუ მთელი მოგების იმავე პროცენტულ წილს გამოსახავდეს. სარგებლის ასეთი მუდმივი შეფარ-

დების არსებობისას სამრეწველო მოგება (სხვაობა მთელ მოგებასა და სარგებელს შორის) მით უფრო დიდი იქნებოდა, რაც უფრო მაღალია მოგების ნორმა, და პირიქით.

სხვა თანაბარ პირობებში, ე. ი. თუ ვიგულისხმებთ, რომ შეფარდება სარგებელსა და მთელ მოგებას შორის მეტნაკლებად მუდმივია, მოქმედი კაპიტალისტი შეძლებს და თანახმა იქნება გადაიხადოს უფრო მაღალი ან უფრო დაბალი სარგებელი მოგების ნორმის სიმაღლესთან პირდაპირი შეფარდებით [61]. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მოგების ნორმის სიმაღლე პირუკუ შეფარდებაშია კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან; აქედან გამომდინარეობს, რომ სარგებლის უფრო მაღალი თუ უფრო დაბალი განაკვეთი ამა თუ იმ ქვეყანაში ასეთსავე პირუკუ შეფარდებაშია სამრეწველო განვითარების სიმაღლესთან, რამდენადაც სახელდობრ სარგებლის განაკვეთის სხვადასხვაობა ნამდვილად მოგების ნორმების სხვადასხვაობას გამოსახავს. შემდეგში ჩვენ დავინახავთ, რომ სრულიადაც აუცილებელი არაა, რომ ყოველთვის ეს ასე იყოს. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ სარგებელის მარეგულირებელია მოგება, უფრო სწორად, — მოგების საერთო ნორმა, და მისი ამგვარი რეგულირება ძალაშია მისი საშუალო დონისთვისაც კი.

ყოველ შემთხვევაში, მოგების საშუალო ნორმა უნდა მივიჩნიოთ სარგებლის საბოლოოდ განმსაზღვრელ მაქსიმალურ საზღვრად.

იმ გარემოებას, რომ სარგებელი საშუალო მოგებასთანაა შესაფარდებელი, ჩვენ ახლავე უფრო დაწვრილებით განვიხილავთ. როდესაც მოცემული მთელი, როგორც, მაგ., მოგება, ორ პირს შორის უნდა განაწილდეს, მაშინ, რასაკვირველია, საქმე უწინარეს ყოვლისა გასაყოფი მთელის სიდიდეზეა დამოკიდებული, და ის კი, მოგების სიდიდე, მოგების საშუალო ნორმით განისაზღვრება. ვიგულისხმოთ, რომ მოცემულია მოგების საერთო ნორმა, მაშასადამე, მოგების სიდიდე ამა თუ იმ სიდიდის კაპიტალზე, რომელიც, ვთქვათ, = 100; მაშინ სარგებლის ცვლილებები, ცხადია, პირუკუ შეფარდებაში იქნება მოგების იმ ნაწილის ცვლილებებთან, რომელიც მოქმედ, მაგრამ ნასესხები კაპიტალით მომუშავე კაპიტალისტს რჩება. ის გარემოებანი კი, რომელნიც განანაწილებელი მოგების — გადაუხდელი შრომით შექმნილი ახალი ღირებულების — სიდიდეს განსაზღვრავენ, დიდად განსხვავდება იმათგან, რომელნიც განსაზღვრავენ მის განაწილებას ამ ორი სახის

[61] «სარგებლის ბუნებრივ ნორმას განაგებს ცალკეული საწარმოს მოგება» (Massie, ციტირ. ნაწარმ., გვ. 51).

კაპიტალისტებს შორის და ხშირად მოქმედებენ სრულიად საპირისპირო მიმართულებით [62].

თუ ჩვენ ბრუნვის ციკლებს განვიხილავთ, რომლებშიაც თანამედროვე მრეწველობა მოძრაობს, — სიწყნარის მდგომარეობას, გაძლიერებულ გაცხოველებას, აყვავებას, ჭარბწარმოებას, კრახს, სტაგნაციას, და სხვ., ციკლებს, რომელთა შემდგომი ანალიზი ჩვენი გამოკვლევის ფარგლებს სცილდება, — მაშინ დავინახავთ, რომ სარგებლის დაბალი დონე მეტწილად შეესაბამება აყვავების ან ზემოგების პერიოდებს, სარგებლის აწევა — აყვავებიდან გადასვლას მის შემცველ შემობრუნებაზე, ხოლო სარგებლის მაქსიმუმი, რომელიც უკიდურეს სავახშო საზღვარს აღწევს, შეესაბამება კრიზისს [63]. 1843 წლის ზაფხულიდან გადამწყვეტი აყვავების პერიოდი დადგა; სარგებლის განაკვეთი, რომელიც 1842 წლის გაზაფხულზე ჯერ კიდევ 4½%-ს შეადგენდა, 1842 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში 2%-ზე ჩამოვიდა [64], და სექტემბერში 1½%-მდეც კი დაიწია (Gilbart, I, გვ. 166); შემდეგში, 1847 წლის კრიზისის დროს, იგი 8%-მდე და უფრო მაღლაც ადიოდა.

რასაკვირველია, მეორე მხრივ, შეიძლება დაბალი სარგებელი დაემთხვეს შეღრეხებას და ზომიერად მატებადი სარგებელი — მზარდ გაცხოველებას.

სარგებლის განაკვეთი თავის უკიდურეს სიმაღლეს აღწევს კრიზისების დროს, როცა სესხის გადახდის მიზნით აუცილებლად უნდა აიღონ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ იგი. იმავე დროს, — რადგან სარგებლის აწევას ფასიანი ქაღალდების ფასის დაცემა შეესაბამება, — თავისუფალი ფულადი კაპიტალის მქონე ადამიანებს ჩინებული შემთხვევა ეძლევათ მეტად იაფად ჩაიგდონ ხელში ეს ფასიანი ქაღალდები, რომლებმაც საქმეთა ნორმალური მსვლელობის პირობებში ხელ-

---

[62] ხელნაწერში აქ შემდეგი შენიშვნაა: «ამ თავის მსვლელობიდან ირკვევა, რომ მაინც უმჯობესი იქნება, მოგების განაწილების კანონების გამოკვლევამდე, ჯერ გავარკვიოთ, თუ როგორ იქცევა რაოდენობრივი დანაწილება თვისებრივად. წინა თავიდან ამაზე გადასასვლელად სხვა არაფერია საჭირო, გარდა იმისა, რომ სარგებელი წარმოვიდგინოთ როგორც მოგების ესა თუ ის ნაწილი, რომელიც არ არის უფრო გარკვეეთ განსაზღვრული.

[63] «პირველ პერიოდში, უშუალოდ დათრგუნვის პერიოდის შემდეგ, ფული უხვად მოიპოვება უსპეკულაციოდ; მეორე პერიოდში ფული უხვად არის და სპეკულაცია აყვავებულია; მესამე პერიოდში სპეკულაცია იწყებს შესუსტებას და ფულს ეძებენ; მეოთხე პერიოდში ფული იშვიათია და დათრგუნვა მყარდება» (Gilbart: «A Practical on Banking», მე-5 გამოც., London 1849, ტ. I, გვ. 149).

[64] ტუკი ამას ხსნის «დამატებითი კაპიტალის დაგროვებით, რაც აუცილებლად თან ახლავს მისი სარფიანად გამოყენების ნაკლებობას წინა წლებში, დაგროვილი

ახლა უნდა მიაღწიონ, სულ ცოტა, თავის საშუალო ფასს, როგორც კი სარგებლის განაკვეთი კვლავ დაიწევს[65].

მაგრამ არსებობს აგრეთვე სარგებლის განაკვეთის დაცემის ტენდენცია, სრულიად დამოუკიდებლად მოგების ნორმის რყევისაგან და ამის მთავარი მიზეზი ორია:

I. «მაშინაც კი, თუ ვიგულისხმებდით, რომ კაპიტალს არასოდეს არ ისესხებენ სხვა მიზნით, თუ არა მწარმოებლური გამოყენებისათვის, მაინც შესაძლებელია სარგებლის განაკვეთმა ცვლილება განიცადოს მთლიანი მოგების ნორმის ყოველგვარი ცვლილების გარეშე. იმიტომ, რომ რამდენადაც ესა თუ ის ხალხი წინ მიდის სიმდიდრის განვითარების მხრივ, ჩნდება და სულ უფრო იზრდება ისეთ ადამიანთა კლასი, რომელნიც თავიანთი წინაპრების ნაშრომის წყალობით ისეთ ფონდებს ფლობენ, რომ მარტო მათი სარგებლით შეუძლიათ იცხოვრონ. არიან ბევრნი ისეთნიც, რომელნიც თავიანთი ახალგაზრდობისა და მოწიფულობის ასაკში აქტიურად მონაწილეობენ საწარმოში, მაგრამ შემდეგ მას თავს ანებებენ, რათა დაგროვილი თანხების სარგებლით წყნარად იცხოვრონ მოხუცებულობაში. ქვეყნის სიმდიდრის ზრდასთან ერთად, ორივე ამ კლასს ემჩნევა გამრავლების ტენდენცია; ვინაიდან ისინი, რომელნიც უკვე საშუალო ოდენობის კაპიტალით იწყებენ, უფრო ადვილად აღწევენ დამოუკიდებელ მდგომარეობას, ვიდრე ისინი, რომელნიც პატარა კაპიტალით იწყებენ. ამიტომ ძველსა და მდიდარ ქვეყნებში შეფარდება ეროვნული კაპიტალის იმ ნაწილისა, რომლის მესაკუთრეებს თვითონ არ სურთ მისი გამოყენება, საზოგადოების ერთობლივი მწარმოებლური კაპიტალისადმი უფრო მაღალია, ვიდრე იგივე შეფარდება ახლადგაშენებულ და ღარიბ ქვეყნებში. რა მრავალრიცხოვანია რანტიეთა კლასი ინგლისში! იმ შეფარდებით, რა შეფარდებითაც იზრდება რანტიეთა კლასი, იზრდება გამსესხებელთა კლასიც, ვინაიდან ისინი ორივე ერთნი არიან» (Ramsay: «Essay on the Distribution of Wealth» [Edinburgh 1836], გვ. 201).

ფულადი განძის გახსნით და ვაჭრობის აყვავების იმედების კვლავ აღორძინებით» («History of Prices from 1839 till 1847». London 1848, გვ. 54).

[65] «ერთმა ბანკირმა უარი უთხრა თავის ძველ კლიენტს სესხზე 200 000 გირვ. სტერლინგის ღირებულების ფასიანი ქაღალდის გირაოს ქვეშ; როდესაც მუშტარი უკვე წასვლას აპირებდა, რათა გადახდის შეწყვეტა გამოეცხადებინა, ბანკირმა მას განუცხადა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა საჭირო არაა, ვინაიდან ის, ბანკირი, არსებულ პირობებში თანახმა არის ეს ქაღალდი იყიდოს მისგან 150 000 გირვ. სტერლინგად» («The Theory of the Exchanges. The Bank Charter Act of 1844 etc.». London 1869, გვ. 80).

II. სარგებლის განაკვეთზე ზეგავლენას უნდა ახდენდეს აგრეთვე საკრედიტო სისტემის განვითარება და მასთან ერთად მუდმივად მზარდი შესაძლებლობა იმისა, რომ მრეწველები და ვაჭრები განაგებდნენ ბანკირების მეშვეობით საზოგადოების ყველა კლასის დანაზოგს; შემდეგ, ასეთსავე ზეგავლენას ახდენს ამ დანაზოგთა პროგრესული კონცენტრაცია ისეთი ოდენობით, როცა მათ შეუძლიათ ფულადი კაპიტალის სახით მოქმედება. უფრო დაწვრილებით ამის შესახებ შემდგომ.

სარგებლის ნორმის განსაზღვრის შესახებ რამსეი ამბობს, რომ იგი «დამოკიდებულია ნაწილობრივ მთლიანი მოგების ნორმაზე, ნაწილობრივ იმ პროპორციაზე, რა პროპორციითაც ეს მოგება ნაწილდება სარგებლად და მეწარმის შემოსაელად (profits of enterprise). ეს პროპორცია დამოკიდებულია კონკურენციაზე კაპიტალის გამსესხებელთა და მსესხებელთ შორის; ამ კონკურენციაზე გავლენას ახდენს მთლიანი მოგების მოსალოდნელი ნორმა, მაგრამ მარტოდმარტო იგი არაა მისი მარეგულირებელი [66]. მხოლოდ და მხოლოდ ამით არ ხდება კონკურენციის რეგულირება, იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, ბევრნი სესხულობენ ისე, რომ არავითარი მწარმოებლური გამოყენება არ აქვთ მიზნად, და, მეორე მხრივ, მთელი იმ კაპიტალის სიდიდე, რომლის გასესხებაც შესაძლებელია, იცვლება ქვეყნის სიმდიდრის ცვლილებასთან ერთად, მთლიანი მოგების რაიმე ცვლილებისაგან დამოუკიდებლად» (Ramsay, იქვე, გვ. 206, 207).

სარგებლის საშუალო ნორმის საპოვნელად საჭიროა: 1) გამოანგარიშება სარგებლის საშუალო განაკვეთისა მისი ცვლილებებიდან დიდი სამრეწველო ციკლების განმავლობაში; 2) გამოანგარიშება სარგებლის განაკვეთისა კაპიტალის ისეთ დაბანდებებში, სადაც კაპიტალის გასესხება შედარებით ხანგრძლივი დროით ხდება.

სარგებლის საშუალო ნორმა, რომელიც გაბატონებულია ამა თუ იმ ქვეყანაში, — განსხვავებით მუდამ მერყეევი საბაზრო ნორმებისაგან, — არავითარი კანონით არ შეიძლება განისაზღვროს. ამ სფეროში არ არსებობს სარგებლის ბუნებრივი ნორმა იმ აზრით, რა აზრითაც ეკონომისტები ლაპარაკობენ მოგების ბუნებრივ ნორმასა და ხელფასის ბუნებრივ ნორმაზე. უკვე მესი შენიშნავს აქ სრულიად მართებუ-

[66] რადგან სარგებლის განაკვეთი საზოგადოდ მოგების საერთო ნორმით განისაზღვრება, ამიტომ შესაძლებელია სარგებლის დაბალ განაკვეთთან ხშირად არაჩვეულებრივი თაღლითობა იყოს დაკავშირებული. მაგალითად, სარკინიგზო თაღლითობა 1844 წლის ზაფხულში. ინგლისის ბანკის სარგებლის განაკვეთმა აიწია 3%-მდე მხოლოდ 1844 წლის 18 ოქტომბერს.

ლად (გვ. 49): «ერთადერთი რამ, რაშიც შეიძლება ყოველი ადამიანი დაეჭვდეს ამ შემთხვევაში, არის საკითხი იმის შესახებ, თუ ამ მოგების რა წილი ეკუთვნის სამართლიანად სესხის ამღებს და რა წილი — გამსესხებელს; და ამის განსასაზღვრავად არ არსებობს არავითარი სხვა მეთოდი, გარდა მსესხებელთა და გამსესხებელთა შეხედულებისა საერთოდ, ვინაიდან, ამ მხრივ, სამართლიანი და უსამართლო მხოლოდ ის, რაც ასეთადაა მიჩნეული საერთო შეთანხმების გზით». მოთხოვნისა და მიწოდების თანატოლობა — თუ ვიგულისხმებთ, რომ მოგების საშუალო ნორმა მოცემულია — აქ სრულიად არაფერს არ ნიშნავს. თუ სხვა შემთხვევებში ამ ფორმულას მიმართავენ (და ეს ბაზარ პრაქტიკულად სწორიც არის), იგი წარმოადგენს ფორმულას იმისათვის, რომ მოინახოს კონკურენციისაგან დამოუკიდებელი, და, პირიქით, მისი განმსაზღვრელი ძირითადი წესი (მარეგულირებელი საზღვრები ანუ მომიჯნავე სიდიდეები); იგი ფორმულაა სახელდობრ იმათთვის, ვინც შეპყრობილია კონკურენციის პრაქტიკით, მის გარეგან გამოვლინებებში და აქედან გამომდინარე წარმოდგენებით და რომელთა ხელში ეს ფორმულა ემსახურება იმას, რომ მათ შექმნან თუნდაც ასეთი ზერელე წარმოდგენა ეკონომიური ურთიერთობის იმ შინაგანი კავშირის შესახებ, რომელიც კონკურენციაში გამოვლინდება. ეს არის მეთოდი კონკურენციის თანმხლები ცვლილებებიდან ამ ცვლილებების საზღვრებთან მისასვლელად. მაგრამ იგი არ გამოდგება სარგებლის საშუალო განაკვეთის მიმართ. არავითარი საფუძველი არაა იმისათვის, თუ კონკურენციის საშუალო პირობები, წონასწორობა გამსესხებლებსა და მსესხებლებს შორის, რატომ უნდა აძლევდეს გამსესხებელს მის კაპიტალზე 3, 4, 5% და სხვ. სარგებლის განაკვეთს ანდა მთლიანი მოგების განსაზღვრულ პროცენტულ წილს, — 20%-ს ან 50%-ს. იმ შემთხვევებში, როცა აქ გადამწყვეტია კონკურენცია როგორც ასეთი, განსაზღვრა თავისთავად შემთხვევითია, წმინდა ემპირიული, და მხოლოდ პედანტობას თუ ფანტაზიორობას შეუძლია მოინდომოს, რომ ეს შემთხვევითობა აუცილებლობად დასახოს[67]. 1857 და 1858 წლების

[67] ასე, მაგალითად, G. Opdyke თავის თხზულებაში: «A Treatise on Political Economy». New York 1851 აკეთებს მეტად უნაყოფო ცდას — მარადიული კანონების მოქმედებით ახსნას სარგებლის 5%-იანი განაკვეთის საყოველთაობა. გაცილებით უფრო გულუბრყვილოა ბ-ნი კარლ არნდტი თავის თხზულებაში: «Die naturgemässe Volkswirthschaft gegenüber dem Monopoliengeist und dem Kommunismus etc.». Hanau 1845. აქ ჩვენ ვკითხულობთ: დოვლათის წარმოების ბუნებრივ მსვლელობაში არსებობს ე რ თ ი მოვლენა, რომლის დანიშნულება თითქოს ისაა, რომ — სრულიად გაშენებულ ქვეყნებში — რამდენადმე მოაწესრიგოს

საპარლამენტო ანგარიშებში საბანკო კანონმდებლობისა და ვაჭრობის კრიზისის შესახებ არაფერია იმაზე უფრო თავშესაქცევი, ვიდრე ინგლისის ბანკის დირექტორების, ლონდონის ბანკირების, პროვინციელი ბანკირებისა და პროფესიული თეორეტიკოსების დაუსრულებელი ყბედობა «real rate produced»-ის [«რეალურად წარმოებული ნორმის»] შესახებ, როცა ისინი ისეთ გაცვეთილ ფრაზებს ვერ სცილდებიან, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგი: «ფასი, რომელსაც გასესხებული კაპიტალი იხდის, შეიძლება იცვლებოდეს ამ კაპიტალის ცვლილებასთან ერთად», — რომ «სარგებლის მაღალი ნორმა და მოგების დაბალი ნორმა არ შეიძლება ხანგრძლივად არსებობდეს ერთიმეორის გვერდით» და ბევრი სხვა ასეთი ტრივიალობა[68]. ჩვეულება, დაკანონებული ტრადიცია და სხვ., ისევე როგორც თვით კონკურენციაც, გავლენას ახდენს სარგებლის საშუალო განაკვეთის განსაზღვრაზე, რამდენადაც ეს განაკვეთი არსებობს არა მხოლოდ როგორც საშუალო რიცხვი, არამედ როგორც ფაქტიური სიდიდე. უკვე ბევრი იურიდიული დავის გარჩევისას, როცა სარგებელია გამოსაანგარიშებელი, სარგებლის საშუალო ნორმას იღებენ როგორც კანონიერ ნორმას. თუ, შემდეგ, ვიკითხავთ, რატომ ვერ გამოიყვანება სარგებლის საშუალო განაკვეთის საზღვრები საერთო კანონებიდან, — ამის პასუხს უბრალოდ თვით სარგებლის ბუნება იძლევა. სარგებელი მხოლოდ ნაწილია საშუალო მოგებისა. ერთი და იგივე კაპიტალი ორგვარი განსაზღვრით გვეელინება: როგორც გასასესხებელი კაპიტალი — გამსესხებლის

სარგებლის განაკვეთი; ეს არის ის შეფარდება, რომლის მიხედვით იზრდება ხეტყის მასივები ევროპის ტყეებში წლიური ნამატის გამო. ეს მატება ხდება მათი საცვლელი ღირებულებისაგან სრულიად დამოუკიდებლად» (კომიკურია, რომ ხეება თავის მატებას ახდენენ თავისი საცვლელი ღირებულებისაგან დამოუკიდებლად!) «3 — 4-ის შეფარდებით 100-ისადმი. მაშასადამე, ამის თანახმად» (რაკი სახელდობრ ხეების ნამატი სრულიად დამოუკიდებელია მათი საცვლელი ღირებულებისაგან, მითუმეტეს შეიძლება მათი საცვლელი ღირებულება, მათს ნამატზე იყოს დამოკიდებული) «მოსალოდნელი აღარაა, რომ» (სარგებლის განაკვეთმა) «იმ დონეზე დაბლა დაიწიოს, რაც მას ამჟამად აქვს ფულით ფრიად მდიდარ ქვეყნებში» (გვ. 124). ეს ღირსია ვუწოდოთ «სარგებლის ტყიდან წარმომდგარი ნორმა» [«Waldursprüngliche Zinsfuss»], ხოლო მისი აღმომჩენი იმავე ნაწარმოებში: ისეთსაეე სამსახურს უწევს «ჩვენს მეცნიერებას» როგორც «ძაღლების გადასახადის ფილოსოფოსი».

[68] ინგლისის ბანკი აწევს და დაწევს თავისი დისკონტის ნორმას ოქროს მოქცევისა და მიქცევის მიხედვით, თუმცა, რასაკვირველია, იგი ყოველთვის იღებს მხედველობაში იმ ნორმას, რომელიც გაბატონებულია ღია ბაზარზე. «ამის გამო სპეკულაცია დისკონტზე საბანკო ნორმის ცვლილებათა წინასწარი ვარაუდის მეოხებით ახლა ფულადი ცენტრის»,—ე. ი. ლონდონის ფულის ბაზრის «მთავარი ფირმების საქმიანობის ნახევარს შეადგენს» («The Theory of the Exchanges etc.», გვ. 113).

ხელში, როგორც სამრეწველო ან სავაჭრო კაპიტალი — მოქმედი კაპიტალისტის ხელში. მაგრამ ეს კაპიტალი მოქმედებს მხოლოდ ერთხელ და მოგებასაც მხოლოდ ერთხელ აწარმოებს. თვით წარმოების პროცესში კაპიტალის, როგორც გასასესხებელი კაპიტალის, ხასიათს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თუ როგორ გაინაწილებს ერთმანეთს შორის ორივე პირი იმ მოგებას, რომლის მიმართაც მათ პრეტენზია აქვთ, ეს თავისთავად წმინდა შემთხვევითობის სამფლობელოს კუთვნილი ისეთივე ემპირიული ფაქტია, როგორც რომელიმე კომპანიის საერთო მოგების პროცენტული განაწილება სხვადასხვა მოწილეთა შორის. ზედმეტ ღირებულებად და ხელფასად დანაწილებისას, რაზედაც არსებითად დამყარებულია მოგების ნორმის განსაზღვრა, განმსაზღვრელი გავლენა აქვს ორ სრულიად სხვადასხვა ელემენტს: სამუშაო ძალას და კაპიტალს; ესაა ფუნქციები ორი დამოუკიდებელი ცვლადისა, რომელნიც ერთიმეორეს ზღვარს უდებენ; მათი თ ვ ი ს ებ რ ი ვ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი დ ა ნ წარმოდგება წარმოებული ღირებულების რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა. ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რომ იგივე ხდება ზედმეტი ღირებულების დანაწილებისას რენტად და მოგებად. სარგებლის მიმართ ადგილი არა აქვს არაფერ ამის მსგავსს. აქ თ ვ ი ს ე ბ რ ი ვ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა, პირიქით, წარმოდგება, როგორც ჩვენ ამას ახლავე დავინახავთ, ზედმეტი ღირებულების ერთი და იმავე ნაწილის წ მ ი ნ დ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ი დ ა ნ.

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარეობს, რომ არ არსებობს სარგებლის არავითარი «ბუნებრივი» ნორმა. მაგრამ თუ, ერთი მხრივ, წინააღმდეგ მოგების საერთო ნორმისა, სარგებლის საშუალო განაკვეთის საზღვრები, ანუ სარგებლის საშუალო ნორმის საზღვრები, განსხვავებით სარგებლის მუდამ მერყევი საბაზრო ნორმებისაგან, არ შეიძლება დამყარდეს რაიმე ზოგადი კანონით, — რადგან აქ საქმე შეეხება მთლიანი მოგების მხოლოდ დანაწილებას სხვადასხვა ტიტულის საფუძველზე კაპიტალის ორ მფლობელს შორის, — მეორე მხრივ, პირიქით, სარგებლის განაკვეთი, როგორც საშუალო, ისე მისი საბაზრო ნორმაც, თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში სულ სხვაგვარად გვევლინება თანაბარი, განსაზღვრული და ხელშესახები სიდიდის სახით, ვიდრე ამას ადგილი აქვს მოგების საერთო ნორმის შემთხვევაში[69].

---

[69] «საქონელთა ფასი მუდამ ირყევა; ყველა ისინი განკუთვნილია სხვადასხვა-გვარი მოხმარებისათვის; ფული კი ყოველ მიზანს ემსახურება; ყველა საქონელი, ერთი გვარეობისაც კი, ხარისხის მხრივ განსხვავდება ერთიმეორისაგან; ნაღდი

სარგებლის განაკვეთი ისევე შეეფარდება მოგების ნორმას, როგორც საქონლის საბაზრო ფასი მის ღირებულებას. რამდენადაც სარგებლის განაკვეთი მოგების ნორმით განისაზღვრება, იგი ყოველთვის განისაზღვრება მოგების საერთო ნორმით, არა მოგების იმ სპეციფიკური ნორმებით, რომლებსაც მრეწველობის ცალკეულ დარგებში შეიძლება ჰქონდეს გაბატონებული მდგომარეობა, და მით უფრო ნაკლებ იმ დამატებითი მოგებით, რომელსაც ცალკეული კაპიტალისტი შეიძლება იღებდეს მოსაქმეობის განსაკუთრებულ სფეროში [70]. ამიტომ მოგების საერთო ნორმა სინამდვილეში ვლინდება როგორც ემპირიული, სარგებლის საშუალო ნორმაში მოცემული ფაქტი, თუმცა ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს პირველის წმინდა, ანუ უტყუარ გამოსახულებას.

მართალია, თვით სარგებლის ნორმა ყოველთვის განსხვავებულია სხვადასხვა კატეგორიის უზრუნველყოფის მიხედვით, რომელსაც მსესხებელნი წარადგენენ, და სესხის ხანგრძლიობის მიხედვით; მაგრამ იგი ერთგვაროვანია ყოველ მოცემულ მომენტში თვითეული ასეთი

ფული მუდამ ერთი და იმავე ღირებულების მქონეა ან უნდა იყოს. აქედან გამომდინარეობს, რომ ფულის ფასს, რასაც ჩვენ სიტყვა «სარგებლით» აღვნიშნავთ, უფრო დიდი სიმტკიცე და თანაბარი ზომიერება აქვს, ვიდრე სხვა რომელიმე საგანს» (J. Steuart: «Principles of Political Economy», ფრანგული თარგმანი 1789, IV, გვ. 27).

[70] «მაგრამ მოგების დანაწილების ეს წესი ვერ გამოიყენება ყოველი ცალკეული გამსესხებლისა და მსესხებლის მიმართ, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება გამსესხებლებისა და მსესხებლების მიმართ საერთოდ... განსაკუთრებით დიდი ან პატარა მოგება წარმოადგენს საზღაურს ხერხიანობისთვის ან საქმის ცოდნის ნაკლებობისათვის, რასთანაც არავითარი საქმე არა აქვთ გამსესხებლებს, ვინაიდან მათ, რაკი არაფერს ზარალობენ ერთ შემთხვევაში, ხელი უნდა აიღონ სარგებლობის მიღებაზე მეორე შემთხვევაში. რაც ნათქვამი იყო მოსაქმეობის ერთსა და იმავე დარგში მოქმედ ადამიანთა შესახებ, ის შეეხება აგრეთვე მოსაქმეობის სხვადასხვა დარგებსაც: თუ ვაჭრები და ხელოსნები მოსაქმეობის რომელსამე დარგში მათ მიერ ნასესხები ფულით უფრო დიდ მოგებას იღებენ, ვიდრე ჩვეულებრივი მოგებაა, რომელსაც იმავე ქვეყანაში სხვა ვაჭრები და ხელოსნები იღებენ, — ეს ექსტრაორდინალური მოგება მათ ეკუთვნის, თუმცა მის მოსაპოვებლად მხოლოდ საშუალო ხერხიანობა და საქმის ცოდნა არის საჭირო, და არა გამსესხებლებს, რომლებმაც მათ ფული ასესხეს... რადგან გამსესხებლები თავიანთ ფულს სესხად არ გასცემდნენ სარგებლის ჩვეულებრივ ნორმაზე უფრო შეღავათიანი პირობებით რომელიმე სამრეწველო ან საეაჭრო საწარმოს წარსამართავად, ამიტომ მათ იმაზე მეტი არც უნდა მიიღონ, სულ ერთია, როგორიც არ უნდა იყოს მათი ფულის საშუალებით მიღებული მოგება» (Massie: «An Essay on The Governing Causes of The Natural Rate of Interest», გვ. 50, 51).

კატეგორიისათვის. მაშასადამე, ეს განსხვავება არ არღვევს სარგებლის განაკვეთის მტკიცე და ერთფეროვან სახეს [71].

სარგებლის საშუალო განაკვეთი თვითეულ ქვეყანაში გვევლინება მეტნაკლებ ხანგრძლივი პერიოდებისათვის როგორც მუდმივი სიდიდე, ვინაიდან მოგების საერთო ნორმა იცვლება დროის მხოლოდ შედარებით ხანგრძლივ პერიოდებში, მიუხედავად მოგების განსაკუთრებული ნორმების მუდმივი ცვლილებისა, მაგრამ ერთ სფეროში მომხდარი ეს ცელილება წონასწორდება საპირისპირო ცვლილებით მეორე სფეროში. და მოგების საერთო ნორმის შედარებითი მუდმივობა ვლინდება საშუალო განაკვეთის სწორედ ამ მეტნაკლებ მუდმივ ხასიათში (average rate or common rate of interest).

რაც შეეხება სარგებლის მუდამ მერყეულ საბაზრო ნორმას, იგი თვითეულ მომენტში საქონლის საბაზრო ფასის მსგავსად მოცემულია როგორც მტკიცე სიდიდე, იმიტომ რომ ფულად ბაზარზე მთელი გასასესხებელი კაპიტალი ერთობლივი მასის სახით მუდამ უპირისპირდება მოქმედ კაპიტალს, მაშასადამე, შეფარდება გასასესხებელი კაპიტალის მიწოდებასა, ერთი მხრივ, და მის მოთხოვნას შორის, მეორე მხრივ, განსაზღვრავს თვითეულ შემთხვევაში სარგებლის საბაზრო დონეს. ეს მით უფრო მეტად ხდება, რაც უფრო მეტად აძლევს განვითარება და მასთან დაკავშირებული კონცენტრაცია საკრედიტო საქმისა გასასესხებელ კაპიტალს საყოველთაო საზოგადოებრივ ხასიათს და ერთბაშად, იმავდროულად გადისვრის მას ფულად ბაზარზე. პირიქით, მოგების საერთო ნორმა მუდამ არსებობს მხოლოდ როგორც ტენდენცია, როგორც მოგების განსაკუთრებულ ნორმათა გათანატოლების მოძრაობა. კაპიტალისტთა კონკურენცია,—

---

[71] საბანკო ნორმა 5%
დისკონტის საბაზრო ნორმა, 60-დღიანი თამასუქისათვის . $3^5/_8$%
« « « 3 თვიანი « . . $3^1/_2$%
« « « 6-თვიანი « . . $3^5/_{16}$%
სესხი სათამასუქო მაკლერების, ერთი დღით . . . . . 1—2%
« « « ერთი კვირით 3%
უკანასკნელი ნორმა ორი კვირისთვის, სესხი ფასიანი ქაღალდების მაკლერებს . . . . . $4^3/_4$ — 5%
სარგებელი ანაბრებისათვის მოთხოვნამდე (ბანკები) , . $3^1/_2$%
« « (სადისკონტო დაწესებულებანი) . 3 — $3^1/_4$%

თუ რა დიდი შეიძლება იყოს ეს განსხვავება ერთსა და იმავე დღეს, ამას გვიჩვენებს სარგებლის ზემოაღნიშნული ნორმები ლონდონის ფულად ბაზარზე 1889 წლის 9 დეკემბერს, რაც ამოღებულია 10 დეკემბრის «Daily News»-ში მოთავსებული სტატიიდან სიტის შესახებ. მინიმუმი უდრის 1%, მაქსიმუმი — 5%. (ფ. ე. .)

რომელიც სწორედ გათანატოლების ამ მოძრაობას წარმოადგენს, — აქ იმაში მდგომარეობს, რომ იგი თანდათან კაპიტალს გამოაცლის იმ სფეროებს, სადაც მოგება დიდხანს საშუალო დონეზე დაბლა დგას, და ასევე თანდათან მიიზიდავს კაპიტალს იმ სფეროებისკენ, სადაც მოგება საშუალო დონეს აღემატება; ან იმაში მდგომარეობს, რომ დამატებითი კაპიტალი ნელ-ნელა სხვადასხვა პროპორციით ნაწილდება ამ სფეროებს შორის. ამ სხვადასხვა სფეროების მიმართ, კონკურენცია წარმოადგენს კაპიტალის მიზიდვისა და განრიდების მუდმივ ცვალებადობას, მაგრამ არა კაპიტალის მთელი მასის იმავდროულ მოქმედებას, როგორც ეს სარგებლის განაკვეთის განსაზღვრის დროსაა.

ჩვენ დავინახეთ, რომ სარგებელმომტანი კაპიტალი, თუმცა იგი საქონლისგან აბსოლუტურად განსხვავებული კატეგორიაა, იქცევა საქონლად sui generis (თავისებური სახისა) და ამიტომ სარგებელი იქცევა მის ფასად, რომელიც, ჩვეულებრივი საქონლის საბაზრო ფასის მსგავსად, თვითეულ შემთხვევაში მოთხოვნითა და მიწოდებით ფიქსირდება. ამიტომ სარგებლის საბაზრო ნორმა, თუმცა იგი მუდამ ირყევა, მაგრამ თვითეულ მოცემულ მომენტში ყოველთვის ისევე ფიქსირებული და ერთგვაროვანი სახით გვევლინება, როგორც საქონლის საბაზრო ფასი თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში. ფულადი კაპიტალისტები მიაწოდებენ ამ საქონელს და მოქმედი კაპიტალისტები ყიდულობენ მას, ქმნიან მოთხოვნას მის მიმართ. ამას ადგილი არა აქვს მოგების საერთო ნორმის გათანატოლებისას. თუ რომელსამე სფეროში საქონელთა ფასები წარმოების ფასზე მაღალია ან დაბალი (ამასთან აქ მხედველობაში არ მიიღება ის რყევა, რომელიც ყოველი სახის კომერციული საქმიანობის დამახასიათებელია და სამრეწველო ციკლის სხვადასხვა ფაზებთან არის დაკავშირებული), მაშინ გათანატოლება ხდება წარმოების გაფართოების ან შეზღუდვის გზით, ე. ი. მრეწველი კაპიტალისტების მიერ ბაზარზე გატანილ საქონელთა მასების გადიდებით ან შემცირებით, რაც მიიღწევა წარმოების ცალკეულ სფეროებში კაპიტალის მიქცევისა და მოქცევის საშუალებით. საქონელთა საშუალო საბაზრო ფასების ამგვარად მიღწეულ გათანატოლებას წარმოების ფასებად კორექტივი შეაქვს მოგების საერთო ანუ საშუალო ნორმისაგან მოგების ცალკეული ნორმების გადახრაში. ამ პროცესს არასოდეს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ისეთი ხასიათი, რომ სამრეწველო ან სავაჭრო კაპიტალი *როგორც ასეთი*, სარგებელმომტანი კაპიტალის მსგავსად, საქონელს წარმოადგენდეს მყიდველის მიმართ. რამდენადაც ეს პროცესი ვლინდება, იგი ვლინდება საქონელთა საბაზრო ფასების მხოლოდ რყევასა და გათანატო-

ლებაში წარმოების ფასების მიხედვით და არა როგორც საშუალო მოგების პირდაპირი დამყარება. ნამდვილად მოგების საერთო ნორმა განისაზღვრება: 1) ზედმეტი ღირებულებით, რომელსაც მთელი კაპიტალი აწარმოებს, 2) ამ ზედმეტი ღირებულების შეფარდებით მთელი კაპიტალის ღირებულებასთან და 3) კონკურენციით, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს არის მოძრაობა, რომლის საშუალებით წარმოების ცალკეულ სფეროებში დაბანდებული კაპიტალები ცდილობენ მიიღონ, მათი შეფარდებითი სიდიდის შესაბამისად, ტოლი დივიდენდები ამ ზედმეტი ღირებულებიდან. ამრიგად, მოგების საერთო ნორმა მართლაც სულ სხვა და უფრო რთული მიზეზებით განისაზღვრება, ვიდრე პირდაპირ და უშუალოდ მოთხოვნისა და მიწოდების შეფარდებით განსაზღვრული საბაზრო ნორმა სარგებლისა, და ამიტომ არ წარმოადგენს იმგვარ თვალსაჩინოდ და უშუალოდ მოცემულ ფაქტს, როგორც სარგებლის განაკვეთია. მოგების განსაკუთრებული ნორმები წარმოების სხვადასხვა სფეროებში თვითონ მეტნაკლებ განუსაზღვრელია; მაგრამ რამდენადაც მათი გამოვლინება ხდება, ვლინდება არა მათი ერთსახეობა, არამედ მათი სხვაობა. მოგების საერთო ნორმა კი თვითონ გვევლინება მხოლოდ როგორც მოგების მინიმალური საზღვარი და არა როგორც მოგების ნამდვილი ნორმის ემპირიული, უშუალოდ დასანახი ფორმა.

აღვნიშნავთ რა ამ განსხვავებას სარგებლის ნორმასა და მოგების ნორმას შორის, ჩვენ ჯერ კიდევ მხედველობის გარეშე ვტოვებთ სარგებლის განაკვეთის კონსოლიდაციის ხელშემწყობ შემდეგ ორ გარემოებას: 1) სარგებელმომტანი კაპიტალის ისტორიულ წინაარსებობას და ტრადიციულად გადმოცემული სარგებლის საერთო განაკვეთის არსებობას; 2) იმ გარემოებას, რომ მსოფლიო ბაზარი, მოცემული ქვეყნის წარმოების პირობებისაგან დამოუკიდებლად, ბევრად უფრო დიდ უშუალო გავლენას ახდენს სარგებლის განაკვეთის დამყარებაზე, ვიდრე მოგების ნორმაზე.

საშუალო მოგება გვევლინება არა როგორც უშუალოდ მოცემული ფაქტი, არამედ როგორც საპირისპირო რყევათა გათანატოლების ისეთი საბოლოო შედეგი, რომელიც მხოლოდ გამოკვლევის საშუალებით არის დასადგენი. სხვაგვარადაა საქმე სარგებლის განაკვეთის მიმართ, იმით, რომ ეს განაკვეთი საყოველთაოდ აღიარებულია, გარკვეული ადგილის ფარგლებში მაინც, იგი ყოველდღიურად ფიქსირებული ფაქტია, ისეთი ფაქტი, რომელიც სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალისთვის წანამძღვარსა და სპეციალურ მუხლსაც კი შეადგენს მათს ოპერაციებში კალკულაციის დროს. ის წარმოადგენს ყოველი, 100 გირვ.

სტერლინგის ოდენობის, ფულადი თანხის საერთო შემძლებლობას მოიტანოს 2, 3, 4, 5%. მეტეოროლოგიური ბიულეტენები არ აღნიშნავს უფრო ზუსტად ბარომეტრისა და თერმომეტრის დონეს, ვიდრე საბირჟო ბიულეტენები სარგებლის განაკვეთის დონეს, არა ამა თუ იმ კაპიტალისათვის, არამედ ფულად ბაზარზე მყოფი კაპიტალისათვის, ე. ი. საერთოდ გასასესხებელი კაპიტალისათვის.

ფულად ბაზარზე მხოლოდ გამასესხებელი და მსესხებელი უპირისპირდება ერთიმეორეს. საქონლის ფორმა აქ ერთი და იგივეა — ფული. აქ გამქრალია კაპიტალის ყველა განსაკუთრებული სახე, რომელიც მას აქვს წარმოებისა თუ მიმოქცევის განსაკუთრებულ სფეროებში გამოყენებასთან დაკავშირებით. კაპიტალი აქ არსებობს თავისთავადი ღირებულების, ფულის, სახით, ისეთი სახით, რომელიც განსხვავებას მოკლებულია, თავისი თავის ტოლია. ცალკეული სფეროების კონკურენცია აქ გამქრალია; ყველა ისინი ერთ გროვაში არიან თავმოყრილი როგორც ფულის მსესხებლები, და ყველა მათ აგრეთვე უპირისპირდება კაპიტალი იმ ფორმით, რომელშიაც ის ჯერ კიდევ ინდიფერენტულია თავისი გამოყენების განსაზღვრული წესის მიმართ. სამრეწველო კაპიტალი მხოლოდ მოძრაობაში და სხვადასხვა სფეროებს შორის კონკურენციაში ვლინდება როგორც კაპიტალი, როგორც თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ს ა ე რ თ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი მ თ ე ლ ი კ ლ ა ს ი ს ა, აქ კი იგი ნამდვილად მთელი თავისი მოცულობით გვევლინება როგორც მთელი კლასისთვის საერთო კაპიტალი კაპიტალის მოთხოვნასა და მიწოდებაში. მეორე მხრივ, ფულად კაპიტალს ფულად ბაზარზე მართლა ისეთი სახე აქვს, რომლითაც იგი, როგორც საერთო ელემენტი, მისი გამოყენების წესის მიმართ ინდიფერენტული, ნაწილდება სხვადასხვა სფეროებს შორის, კაპიტალისტთა კლასს შორის, წარმოების ყოველი ცალკეული სფეროს მოთხოვნილებათა მიხედვით. ამას ერთვის ის გარემოება, რომ მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ფულად კაპიტალს, რამდენადაც იგი ბაზარზე ჩნდება, სულ უფრო და უფრო წარმოადგენს არა ცალკეული კაპიტალისტი, ბაზარზე მყოფი კაპიტალის ამა თუ იმ ნაწილის მესაკუთრე, არამედ იგი გვევლინება როგორც კონცენტრირებული, ორგანიზებული მასა, რომელიც, რეალური წარმოებისაგან სრულიად განსხვავებით, საზოგადოებრივი კაპიტალის წარმომადგენელ ბანკირთა კონტროლქვეშ იმყოფება. ამრიგად, რამდენადაც საქმე მოთხოვნის ფორმას შეეხება, გასასესხებელ კაპიტალს უპირისპირდება კლასი მთლიანად; ხოლო რაც შეეხება მიწოდებას, თვით იგი გვევლინება en masse [მასობრივად] როგორც სასესხო კაპიტალი.

აი, რამდენიმე მიზეზთაგანი იმისა, თუ რატომაა, რომ მოგების საერთო ნორმა ნისლისებრ ბუნდოვან სურათად გვეჩვენება სარგებლის განსაზღვრულ განაკვეთთან შედარებით, რომელიც მართალია თავისი სიდიდის მიხედვით მერყეევა, მაგრამ იმით, რომ იგი ყველა მსესხებელთათვის თანაბრად ირყევა, ყოველთვის უპირისპირდება მათ, როგორც ფიქსირებული, მოცემული ოდენობა. ისევე, როგორც ფულის ღირებულების ცვლილება ხელს არ უშლის ფულს ერთნაირი ღირებულება ჰქონდეს ყველა საქონლის მიმართ; ისევე, როგორც საქონელთა ფასების ყოველდღიური რყევა ხელს არ უშლის იმას, რომ ეს ფასები ყოველდღიურად აღინიშნებოდეს ბიულეტენებში; სრულიად ასევეა სარგებლის განაკვეთის მიმართაც, რომელიც რეგულარულად აღინიშნება როგორც «ფულის ფასი». ეს იმიტომ, რომ აქ მიწოდების საგანია თვით კაპიტალი ფულადი ფორმით როგორც საქონელი; ამიტომ მისი ფასის ფიქსაცია მისი საბაზრო ფასის ფიქსაციაა, როგორც ამას ადგილი აქვს ყველა სხვა საქონლის მიმართ; ამიტომ სარგებლის განაკვეთი ყოველთვის გამოიხატება როგორც სარგებლის საერთო განაკვეთი, როგორც ამდენი და ამდენი ფული ამდენი და ამდენი ფულისათვის, როგორც რაოდენობრივად განსაზღვრული სიდიდე. პირიქით, მოგების ნორმა ერთი და იმავე სფეროს ფარგლებშიც კი, საქონლის საბაზრო ფასების თანატოლობისას, შეიძლება სხვადასხვა იყოს იმ პირობების სხვადასხვაობის მიხედვით, რომლებშიაც ცალკეული კაპიტალები ერთსა და იმავე საქონელს აწარმოებენ, იმიტომ რომ მოგების ნორმა ცალკეული კაპიტალისათვის განისაზღვრება არა საქონლის საბაზრო ფასით, არამედ სხვაობით საბაზრო ფასსა და ხარჯთფასს შორის. და ეს მოგების სხვადასხვა ნორმები შეიძლება გათანატოლდეს — ჯერ ერთი და იმავე სფეროს შიგნით და შემდეგ აგრეთვე სხვადასხვა სფეროებს შორის — მხოლოდ მუდმივი რყევის გზით.

(შენიშვნა შემდგომი დამუშავებისთვის). კრედიტის განსაკუთრებული ფორმა: ცნობილია, რომ თუ ფული მოქმედებს როგორც გადახდის საშუალება და არა როგორც ყიდვის საშუალება, საქონელი გასხვისდება, მაგრამ მისი ღირებულების რეალიზაცია მხოლოდ შემდგომ ხდება. თუ გადახდას ადგილი აქვს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქონელი ხელახლა გაიყიდა, ეს გაყიდვა ყიდვის შედეგს კი არ წარმოადგენს, არამედ ყიდვა ხორციელდება გაყიდვის გზით. ანუ გაყიდვა იქცევა ყიდვის საშუალებად. — მეორე სავალო ვალდებულებანი, თამასუქები და სხვ. გადახდის საშუალებებად იქცევა კრედიტორისათვის. — მესამე სავალო ვალდებულებათა კომპენსაცია ცვლის ფულს.

თავი მეოცდასამე

სარგებელი და მეწარმის შემოსავალი.

სარგებელი, როგორც ჩვენ ეს ორ უკანასკნელ თავში დავინახეთ, გვევლინება თავდაპირველად, არის თავდაპირველად და სინამდვილეში სხვად არად რჩება, გარდა მოგების, ე. ი. ზედმეტი ღირებულების, იმ ნაწილისა, რომელიც მოქმედმა კაპიტალისტმა, მრეწველმა ან ვაჭარმა, — რამდენადაც იგი არა საკუთარ კაპიტალს, არამედ ნასესხებ კაპიტალს გამოიყენებს, — უნდა გადაუხადოს ამ კაპიტალის მესაკუთრეს და გამსესხებელს. თუ კაპიტალისტი მხოლოდ თავის საკუთარ კაპიტალს იყენებს, მაშინ მოგების ასეთი დაყოფა აღარ ხდება; მოგება მთლიანად მას ეკუთვნის. მართლაც, რამდენადაც კაპიტალის მესაკუთრენი თვითონ გამოიყენებენ მას კვლავწარმოების პროცესში, ისინი არ მონაწილეობენ სარგებლის ნორმის განმსაზღვრელ კონკურენციაში, და უკვე ამით მეღავნდება, თუ რამდენად უცხოა სარგებლის კატეგორია, რომელიც შეუძლებელია სარგებლის განაკვეთის განსაზღვრის გარეშე, სამრეწველო კაპიტალის როგორც ასეთის მოძრაობისთვის.

«სარგებლის ნორმა შეიძლება განისაზღვროს როგორც ის პროპორციული თანხა, რომლის მიღებაც აკმაყოფილებს გამსესხებელს და რომლის გადახდაზეც თანახმაა მსესხებელი ფულადი კაპიტალის განსაზღვრული თანხის ხმარებისათვის ერთი წლის ან უფრო გრძელი ან უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში... თუ კაპიტალის მესაკუთრე მას აქტიურად გამოიყენებს კვლავწარმოებაში, იგი არ ეკუთვნის იმ კაპიტალისტთა რიცხვს, რომელთა შეფარდება მსესხებელთა რიცხვთან განსაზღვრავს სარგებლის ნორმას» (Th. Tooke: «A History of Prices», London 1838, ტ. II, გვ. 355). მართლაც, მხოლოდ კაპიტალისტების დანაწილება ფულად კაპიტალისტებად და მრეწველ კაპიტალისტებად აქცევს მოგების ერთ ნაწილს სარგებლად, ქმნის საერთოდ სარგებლის კატეგორიას, და მხოლოდ კონკურენცია ამ ორი სახის კაპიტალისტთა შორის ქმნის სარგებლის განაკვეთს.

სანამ კაპიტალი კვლავწარმოების პროცესში მოქმედებს, — თუნდაც იგულისხმებოდეს, რომ იგი თვით მრეწველ კაპიტალისტს ეკუთვნის, ასე რომ ამ უკანასკნელს არ სჭირდება მისი უკუგადახდა გამსესხებლისათვის, — მანამდე კაპიტალისტის, როგორც კერძო პირის, განკარგულებაში იმყოფება არა თვით ეს კაპიტალი, არამედ მხოლოდ მოგება, რომელიც მას შეუძლია დახარჯოს როგორც შემოსავალი. ვიდრე მისი კაპიტალი მოქმედებს როგორც კაპიტალი, იგი კვლავწარმოების პროცესს ეკუთვნის, მასშია ჩამაგრებული. თუმცა მრეწველი კაპიტალისტი მისი მესაკუთრეა, მაგრამ ეს საკუთრება არ აძლევს მას შესაძლებლობას, ვიდრე იგი ამ კაპიტალს შრომის საექსპლოატაციოდ ხმარობს, კიდევ სხვაგვარად განაგებდეს მას. სრულიად ასეთივე მდგომარეობაა ფულადი კაპიტალისტის მიმართაც. ვიდრე მისი კაპიტალი გასესხებულია და, ამიტომ, მოქმედებს როგორც ფულადი კაპიტალი. — კაპიტალს მისთვის მოაქვს სარგებელი, მოგების ერთი ნაწილი, მაგრამ კაპიტალისტს არ შეუძლია განკარგულებაში ჰქონდეს ძირითადი თანხა. ეს აშკარავდება ყოველთვის, როცა კაპიტალისტი თავის კაპიტალს გაასესხებს, მაგალითად, ერთი წლით ან რამდენიმე წლით, და განსაზღვრულ ვადებში სარგებელს იღებს კაპიტალის უკან მიუღებლად. მაგრამ კაპიტალის უკან დაბრუნებაც არა ქმნის აქ რაიმე განსხვავებას. მიიღებს რა კაპიტალს, კაპიტალისტმა იგი ყოველთვის ხელახლა უნდა გაასესხოს, თუ სურს, რომ ეს კაპიტალი მოქმედებდეს მისთვის კაპიტალის — ამ შემთხვევაში ფულადი კაპიტალის — სახით. ვიდრე კაპიტალი მის ხელშია, მას სარგებელი არ მოაქვს და არ მოქმედებს როგორც კაპიტალი; ხოლო ვიდრე მას სარგებელი მოაქვს და მოქმედებს როგორც კაპიტალი, იგი მის ხელში არ იმყოფება. აქედან—კაპიტალის სამარადისოდ გასესხების შესაძლებლობა. ამიტომ სრულიად მცდარია ტუკის შემდეგი შენიშვნები ბეზენკეტის წინააღმდეგ. მას მოჰყავს ციტატა ბეზენკეტის ნაწერიდან: («Metallic, Paper and Credit Currency». London 1842, გვ. 73): «სარგებლის განაკვეთი რომ 1%-მდე იყოს დაწეული, სესხად აღებული კაპიტალი თითქმის ერთ ხაზზე (on a par) იქნებოდა დაყენებული საკუთარ კაპიტალთან». ამას ტუკი შემდეგ შენიშვნას უკეთებს: «სარგებლის ამ განაკვეთით, ან უფრო დაბალი განაკვეთითაც, სესხად აღებული კაპიტალი რომ დაახლოებით ერთნაირ ხაზზე უნდა იდგეს საკუთარ კაპიტალთან, — ეს ისეთი უცნაური მტკიცებაა, რომ იგი არც კი იქნებოდა სერიოზული ყურადღების ღირსი, ასეთ ჭკვიან და თემის ცალკეული პუნქტების კარგად მცოდნე მწერალს რომ არ ეკუთვნოდეს: ნუთუ მან ვერ შეამჩნია ან მცირე მნიშვნელობის მქონედ მიიჩნია ის გარემოება, რომ

მისი წანამძღვარი უკუგადახდის პირობას შეიცავს?» («Th. Tooke: «An Inquiry into the Currency Principle», მე-2 გამ., London 1844, გვ. 80). სარგებელი რომ = 0 ყოფილიყო, მრეწველი კაპიტალისტი, რომელმაც კაპიტალი ისესხა, ერთნაირ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა იმასთან, ვინც საკუთარი კაპიტალით მუშაობს. ორივე ერთნაირ საშუალო მოგებას მიიღებდა, კაპიტალი კი, ნასესხებია იგი თუ საკუთარი, მოქმედებს როგორც კაპიტალი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მოგებას აწარმოებს. უკუგადახდის პირობა აქ ვერაფერს შეცვლადა. რაც უფრო უახლოვდება სარგებლის განაკვეთი ნულს, ე. ი. მაგალითად, დაბლა იწევს 1%-მდე, მით უფრო დგება ნასესხები კაპიტალი ერთნაირ მდგომარეობაში საკუთარ კაპიტალთან. იმისათვის, რომ ფულადი კაპიტალი არსებობდეს როგორც ფულადი კაპიტალი, მისი გასესხება ყოველთვის ხელახლა უნდა ხდებოდეს, თანაც — არსებული, ვთქვათ, 1% სარგებლის განაკვეთით, და მუდამ ხელახლა მრეწველ ან ვაჭარ კაპიტალისტთა იმავე კლასზე. სანამ ეს კაპიტალისტები მოქმედებენ როგორც კაპიტალისტები, განსხვავება ნასესხები კაპიტალით მოქმედსა და საკუთარი კაპიტალით მოქმედს შორის მხოლოდ ისაა, რომ ერთმა სარგებელი უნდა იხადოს, მეორემ კი—არა; ერთი მთელ მოგებას, p, იღებს თავის ჯიბეში, მეორე: $p - z$, მოგებას მინუს სარგებელი; რაც უფრო უახლოვდება z ნულს, მით უფრო $p - z$ ხდება $= p$, მაშასადამე, მით უფრო ერთნაირ მდგომარეობაში დგება ორივე კაპიტალისტი. ერთი კაპიტალს უნდა უხდიდეს გამსესხებელს და ხელახლა სესხულობდეს მას; მეორე კი, რაკი მისი კაპიტალი უნდა მოქმედებდეს, ყოველთვის ხელახლა უნდა გაიღებდეს ავანსად კაპიტალს წარმოების პროცესისათვის და მას არ შეუძლია სხვაგვარად განაგებდეს ამ კაპიტალს, თუ არა მხოლოდ ამ პროცესისათვის. ერთადერთი, თავისთავად გასაგები განსხვავება, რომელიც ამის შემდეგ რჩება, ისაა, რომ ერთი მესაკუთრეა თავისი კაპიტალისა, მეორე კი — არა.

საკითხი, რომელიც ახლა წამოიჭრება, შემდეგია: როგორ ხდება, რომ მოგების ეს წმინდა რაოდენობრივი დაყოფა წმინდა მოგებად და სარგებლად იქცევა თვისებრივ დანაწილებად? სხვა სიტყვებით, როგორ ხდება, რომ იმ კაპიტალისტსაც, რომელიც მხოლოდ თავის საკუთარ, არა ნასესხებ კაპიტალს ხარჯავს, თავისი მთლიანი მოგების ნაწილი განსაკუთრებულ კატეგორიაში — სარგებლის კატეგორიაში — შეაქვს და მას ცალკე ანგარიშობს როგორც ასეთს? და, შემდეგ, ამასთან დაკავშირებით, როგორაა, რომ ყოველი კაპიტალი, — ნასესხებია იგი თუ არა, — როგორც სარგებელმომტანი კაპიტალი, განსხვავდება თავის თავისგან როგორც წმინდა მოგების მომტანისაგან?

გასაგებია, რომ მოგების არა ყოველი შემთხვევითი რაოდენობრივი დაყოფა ამ სახისა გარდაიქმნება თვისებრივ დაყოფად. მაგალითად, რამდენიმე მრეწველი კაპიტალისტი შეკავშირდა რომელიმე საწარმოს წარსამართავად და შემდეგ ისინი მოგებას ინაწილებენ ერთმანეთს შორის იურიდიულად განმტკიცებული ხელშეკრულების თანახმად. სხვები წარმართავენ თავიანთ საწარმოს ცალ-ცალკე, თვითეული თავისთვის, უკომპანიონოდ. ეს უკანასკნელნი არ იანგარიშებენ თავიანთ მოგებას ორი კატეგორიის მიხედვით, ერთ ნაწილს როგორც ინდივიდუალურ მოგებას, მეორე ნაწილს როგორც საკომპანიო მოგებას არარსებული კომპანიონებისთვის. მაშასადამე, ამ შემთხვევაში რაოდენობრივი დაყოფა არ გარდაიქმნება თვისებრივ დაყოფად. დაყოფა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მესაკუთრე შემთხვევით რამდენიმე იურიდიული **პირისგან შედგება; იგი არ ხდება, როდესაც ეს** არ არის.

კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ ცოტა მეტ ხანს უნდა შევჩერდეთ სარგებლის წარმოქმნის ნამდვილ ამოსავალ პუნქტზე; ე. ი. უნდა გამოვიდეთ იმის ვარაუდიდან, რომ ფულადი კაპიტალისტი და მწარმოებელი კაპიტალისტი ნამდვილად უპირისპირდებიან ერთმანეთს არა მხოლოდ როგორც იურიდიულად ერთიმეორისაგან განსხვავებული პირნი, არამედ აგრეთვე როგორც ისეთი პირნი, რომელნიც სრულიად სხვადასხვა როლს ასრულებენ კვლავწარმოების პროცესში, ანუ პირნი, რომელთა ხელში ერთი და იგივე კაპიტალი ნამდვილად ორგვარ და სრულიად სხვადასხვა მოძრაობას ასრულებს. ერთი მხოლოდ გაასესხებს კაპიტალს, მეორე კი გამოიყენებს მას მწარმოებლურად.

მწარმოებელი კაპიტალისტისათვის, რომელიც ნასესხები კაპიტალით მუშაობს, მთლიანი მოგება ორ ნაწილად იყოფა: სარგებლად, რომელიც მან გამსესხებელს უნდა გადაუხადოს, და სარგებლის გადანამეტად, რომელიც შეადგენს მის საკუთარ წილს მოგებაში. თუ მოგების საერთო ნორმა მოცემულია, მაშინ ეს უკანასკნელი ნაწილი სარგებლის განაკვეთით განისაზღვრება; ხოლო თუ სარგებლის განაკვეთი მოცემულია, მაშინ ეს ნაწილი მოგების საერთო ნორმით განისაზღვრება. და შემდეგ: როგორც არ უნდა გადაიხრებოდეს თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში მთელი მოგება, მთელი მოგების ღირებულების ნამდვილი სიდიდე, საშუალო მოგებისაგან — მისი ის ნაწილი, რომელიც მოქმედ კაპიტალისტს ეკუთვნის, განისაზღვრება სარგებლით, რადგან ამ უკანასკნელის ფიქსაცია ხდება (თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ განსაკუთრებული იურიდიული ხელშეკრულების შემთხვევებს) სარგებლის საერთო განაკვეთით და იგი იგულისხმება როგორც წინასწარ მოცემული სიდიდე, ვიდრე წარმოების პროცესი და-

იწყებოდეს, ე. ი. ვიდრე მისი შედეგი, მთელი მოგება, მიიღებოდეს. ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალის ნამდვილი სპეციფიკური პროდუქტი — ზედმეტი ღირებულება, თუ უფრო ახლოს განვსაზღვრავთ, არის მოგება. მაგრამ კაპიტალისტისათვის, რომელიც ნასესხები კაპიტალით მუშაობს, ეს პროდუქტი მოგება კი არ არის, არამედ — მოგება მინუს სარგებელი, ე. ი. მოგების ის ნაწილი, რომელიც მას რჩება სარგებლის გადახდის შემდეგ. ამრიგად, მოგების ეს ნაწილი წარმოუდგება მას აუცილებლად როგორც კაპიტალის პროდუქტი, რამდენადაც ეს კაპიტალი მოქმედებს; და ეს ნაწილი მისთვის მართლაც ასეთია. ვინაიდან იგი კაპიტალის, მხოლოდ როგორც მოქმედი კაპიტალის, წარმომადგენელია. იგი კაპიტალის გაპიროვნებაა, რამდენადაც კაპიტალი მოქმედებს, და იგი მოქმედებს იმდენად, რამდენადაც დაბანდებულია მრეწველობასა თუ ვაჭრობაში იმგვარად, რომ მოგებას იძლევა, და რამდენადაც მისი გამომყენებელი კაპიტალისტი იმის მეოხებით ისეთ ოპერაციებს ასრულებს, რომელთაც მეწარმეობის მოცემული დარგი მოითხოვს. წინააღმდეგ სარგებლისა, რომელიც მან მთელი მოგებიდან გამსესხებელს უნდა გადაუხადოს, მის წილად დარჩენილი მოგების ნაწილი იღებს, ამგვარად, აუცილებლობის გზით სამრეწველო, resp. [შესაბამისად] კომერციული მოგების ფორმას, ანუ, თუ იმ გამოთქმას ვიხმართ, რომელიც ორივეს მოიცავს, იღებს მეწარმის შემოსავლის ფორმას. თუ მთელი მოგება საშუალო მოგებას უდრის, მეწარმის ამ შემოსავლის სიდიდე მხოლოდ და მხოლოდ სარგებლის განაკვეთით იქნება განსაზღვრული. თუ მთელი მოგება გადაიხრება საშუალო მოგებისაგან, მაშინ სხვაობა მასა და საშუალო მოგებას შორის (ერთისა და მეორისგან სარგებლის გამოკლების შემდეგ) განისაზღვრება მთელი იმ კონიუნქტურით, რომელიც იწვევს წარმოების ცალკეულ სფეროში მოგების ნორმის დროებით გადახრას მოგების საერთო ნორმიდან ან იმ მოგების გადახრას განსაკუთრებული სფეროს საშუალო მოგებიდან, რომელსაც ცალკეული კაპიტალისტი იღებს ამ განსაზღვრულ სფეროში. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ მოგების ნორმა თვით წარმოების პროცესში დამოკიდებულია არა მხოლოდ ზედმეტ ღირებულებაზე, არამედ ბევრ სხვა გარემოებაზეც: წარმოების საშუალებათა ნაყიდობის ფასებზე, საშუალოსთან შედარებით უფრო მწარმოებლურ მეთოდებზე, მუდმივი კაპიტალის ეკონომიაზე და სხვ. და, თუ წარმოების ფასს მხედველობის გარეშე დავტოვებთ, განსაკუთრებულ კონიუნქტურაზე, ხოლო თვითეულ კონკრეტულ სამეწარმო გარიგებისას, კაპიტალისტის მეტნაკლებ სიმარჯვესა და თაოსნობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად წარმოების ფასზე მეტად ან ნაკლებად

ყიდულობს ან ყიდის იგი და ამგვარად მიითვისებს მიმოქცევის პროცესში მეტ თუ ნაკლებ ნაწილს ერთობლივი ზედმეტი ღირებულებიდან. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მთელი მოგების რაოდენობრივი დაყოფა აქ გადაიქცევა თვისებრივ დაყოფად, და ეს მით უფრო, რომ თვით რაოდენობრივი დაყოფა აქ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა არის გასანაწილებელი, რ ო გ ო რ ეწევა მეურნეობას აქტიური კაპიტალისტი კაპიტალის შემწეობით და რა მთლიან მოგებას აძლევს ეს კაპიტალი მას როგორც მოქმედ კაპიტალს, ე. ი. აძლევს მისი, როგორც აქტიური კაპიტალისტის, ფუნქციების გამო. აქ იგულისხმება, რომ მოქმედი კაპიტალისტი კაპიტალის მესაკუთრე არაა. კაპიტალის საკუთრების წარმომადგენელია მის მიმართ გამსესხებელი, ფულადი კაპიტალისტი. ამრიგად, სარგებელი, რომელსაც მოქმედი კაპიტალისტი უხდის მას, წარმოგვიდგება მთლიანი მოგების ნაწილად, რომელიც წილად ხვდება კაპიტალსაკუთრებას როგორც ასეთს. წინააღმდეგ ამისა, მოგების ნაწილი, რომელიც აქტიურ კაპიტალისტს წილად ხვდება, წარმოგვიდგება როგორც მეწარმის შემოსავალი, გამომდინარე მხოლოდ და მხოლოდ იმ ოპერაციებიდან ანუ ფუნქციებიდან, რომლებსაც იგი კვლავწარმოების პროცესში კაპიტალის საშუალებით ასრულებს, მაშასადამე, სპეციალურად იმ ფუნქციებიდან, რომლებსაც იგი როგორც მეწარმე მრეწველობასა თუ ვაჭრობაში ასრულებს. მაშასადამე. მის მიმართ სარგებელი წარმოგვიდგება როგორც უბრალო ნაყოფი კაპიტალსაკუთრებისა, კაპიტალისა თავისთავად, რომელიც აბსტრაჰირებულია კაპიტალის კვლავწარმოების პროცესისაგან, როგორც ნაყოფი კაპიტალისა, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ «მუშაობს», არ მოქმედებს; მაშინ როდესაც მეწარმის შემოსავალი მას წარმოუდგება როგორც ნაყოფი მხოლოდ და მხოლოდ იმ ფუნქციებისა, რომლებსაც იგი კაპიტალით ასრულებს, როგორც ნაყოფი კაპიტალის მოძრაობისა, რომელიც მას ახლა წარმოუდგება პროცესის სახით მიმდინარე მის საკუთარ მოქმედებად, წინააღმდეგ ფულადი კაპიტალისტის უმოქმედობის. წარმოების პროცესში მონაწილეობის მიუღებლობისა. მთელი მოგების ორივე ნაწილის ეს თვისებრივი გამიჯვნა, რომ სარგებელი ნაყოფია კაპიტალისა თავისდათავად, კაპიტალსაკუთრებისა, წარმოების პროცესისაგან დამოუკიდებლად, ხოლო მეწარმის შემოსავალი ნაყოფია პროცესის შემსრულებელი, წარმოების პროცესში მოქმედი კაპიტალისა და, მაშასადამე, იმ აქტიური როლისა, რომელსაც კაპიტალის გამომყენებელი პირი ასრულებს კვლავწარმოების პროცესში, — ეს თვისებრივი გამიჯვნა სრულიადაც არ წარმოადგენს ფულადი კაპიტალისტის მხოლოდ სუბიექტურ შეხედულებას

ერთ შემთხვევაში, მრეწველი კაპიტალისტისას მეორეში. იგი ობიექტურ ფაქტზეა დაფუძნებული, იმიტომ რომ სარგებელი მოედინება ფულად კაპიტალისტთან, გამსესხებელთან, რომელიც მხოლოდ მესაკუთრეა კაპიტალის, ე. ი. მხოლოდ კაპიტალსაკუთრების წარმომადგენელია წარმოების პროცესამდე და წარმოების პროცესის გარეშე; მეწარმის შემოსავალი კი მოედინება მხოლოდ მოქმედ კაპიტალისტთან, კაპიტალის არამესაკუთრესთან.

ამრიგად, მთელი მოგების წმინდა რაოდენობრივი დაყოფა ორ სხვადასხვა პირს შორის, რომელთაც სხვადასხვა იურიდიული ტიტული აქვთ ერთი და იმავე კაპიტალისა და, ამიტომ, მის მიერ წარმოებული მოგების მიმართ, თვისებრივ დაყოფადაც იქცევა როგორც მრეწველი კაპიტალისტისათვის, რამდენადაც იგი ნასესხები კაპიტალით მუშაობს, ისე ფულადი კაპიტალისტისათვის, რამდენადაც თვით იგი არ გამოიყენებს თავის კაპიტალს. მოგების ერთი ნაწილი წარმოგვიდგება ახლა როგორც თავისთავად კაპიტალის კუთვნილი ნაყოფი, ამ კაპიტალის ერთ-ერთ განსაზღვრაში, სარგებლის სახით; მეორე ნაწილი წარმოგვიდგება როგორც სპეციფიკური ნაყოფი კაპიტალისა მის მეორე, საპირისპირო განსაზღვრაში, და ამიტომ წარმოგვიდგება როგორც მეწარმის შემოსავალი; ერთი წარმოგვიდგება როგორც მხოლოდ კაპიტალსაკუთრების ნაყოფი, მეორე — როგორც მხოლოდ კაპიტალის მოქმედების ნაყოფი, როგორც ნაყოფი იმ კაპიტალისა, რომელიც პროცესს ასრულებს, ანუ იმ ფუნქციებისა, რომელთაც კაპიტალისტი ახორციელებს. და მთელი მოგების ორივე ნაწილის ეს კრისტალიზაცია და ურთიერთგანცალკევება, თითქოს ისინი ორი არსებითად სხვადასხვა წყაროდან წარმოდგებიან, ახლა უნდა დადგინდეს კაპიტალისტთა მთელი კლასისათვის და ერთობლივი კაპიტალისათვის. ამასთან აქ სულ ერთია, აქტიური კაპიტალისტის მიერ გამოყენებული კაპიტალი სესხად არის აღებული თუ არა, ან კაპიტალს, რომელიც ფულად კაპიტალისტს ეკუთვნის, თვით ის გამოიყენებს თუ არა. ყოველი კაპიტალის მოგება და, მაშასადამე, საშუალო მოგებაც, რომელიც კაპიტალების ურთიერთშორის გათანატოლებაზეა დაფუძნებული, იყოფა ან დაიშლება ორ თვისებრივად სხვადასხვა, ურთიერთის მიმართ თვითმყოფ და ერთიმეორისგან დამოუკიდებელ ნაწილად, სარგებლად და მეწარმის შემოსავლად, რომელთაგან თვითეული განსაკუთრებული კანონებით განისაზღვრება. კაპიტალისტი, რომელიც საკუთარი კაპიტალით მუშაობს, სწორედ ისე, როგორც ისიც, რომელიც ნასესხები კაპიტალით მუშაობს, თავის მთლიან მოგებას ჰყოფს სარგებლად, რომელიც მას ერგება როგორც მესაკუთრეს, როგორც

გამსესხებელს, რომელმაც საკუთარი კაპიტალი თავის თავს ასესხა, და მეწარმის შემოსავლად, რომელიც მას ერგება როგორც აქტიურ, მოქმედ კაპიტალისტს. ამრიგად, ამ დაყოფისათვის, როგორც თვისებრივი დაყოფისათვის, მნიშვნელობა არა აქვს, კაპიტალისტმა ნამდვილად უნდა უწილადოს სხვას თუ არა. კაპიტალის გამომყენებელი პიროვნება, თუნდაც რომ საკუთარი კაპიტალით მუშაობდეს, ორ პიროვნებად იყოფა: კაპიტალის უბრალო მესაკუთრედ და კაპიტალის გამომყენებლად; თვით მისი კაპიტალი, იმ მოგების კატეგორიებთან დაკავშირებით, რომლებსაც იგი მიიღებს, იყოფა კაპიტალსა კ უ თ რ ე ბ ა დ, წარმოების პროცესის გ ა რ ე შ ე კაპიტალად, რომელიც თავისდათავად იძლევა სარგებელს და კაპიტალად წარმოების პროცესს შ ი გ ნ ი თ, კაპიტალად, რომელიც, როგორც პროცესის შემსრულებელი კაპიტალი, მეწარმის შემოსავალს იძლევა.

ამრიგად, სარგებელი ფიქსირდება იმგვარად, რომ იგი ახლა წარმოგვიდგება არა როგორც წარმოებისათვის ინდიფერენტული დაყოფა მთელი მოგებისა, რასაც ადგილი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მრეწველი სხვისი კაპიტალით მუშაობს. მაშინაც კი, როცა იგი საკუთარი კაპიტალით მუშაობს, მისი მოგება იყოფა სარგებლად და მეწარმის შემოსავლად. ამით კი წმინდა რაოდენობრივი დანაწილება იქცევა თვისებრივ დანაწილებად; ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევითი გარემოებისაგან დამოუკიდებლად, მრეწველი თავისი კაპიტალის მესაკუთრეა თუ არა. ეს არის მოგების არა მხოლოდ ნაწილები, რომლებიც სხვადასხვა პირთ შორის ნაწილდება, არამედ მისი სხვადასხვა კატეგორიები, რომელნიც სხვადასხვა მიმართებაშია კაპიტალთან, მაშასადამე, მიმართებაში არიან კაპიტალის სხვადასხვა განსაზღვრასთან.

ახლა ადვილი დასანახია იმის მიზეზები, რომ მთლიანი მოგების ეს დაყოფა სარგებლად და მეწარმის შემოსავლად, რაკი იგი თვისებრივად იქცა, ინარჩუნებს ამ თვისებრივი დაყოფის ხასიათს მთელი კაპიტალისთვის და კაპიტალისტთა მთელი კლასისთვის.

პ ი რ ვ ე ლ ი: ეს უკვე იმ უბრალო ემპირიული გარემოებიდან გამომდინარეობს, რომ მრეწველ კაპიტალისტთა უმრავლესობა — თუმცა სხვადასხვა რიცხობრივი პროპორციით — საკუთარი და ნასესხები კაპიტალით მუშაობს და რომ შეფარდება საკუთარსა და ნასესხებ კაპიტალს შორის იცვლება სხვადასხვა პერიოდებში.

მ ე ო რ ე: მთელი მოგების ერთი ნაწილის გარდაქმნა სარგებლის ფორმად მის მეორე ნაწილს გარდაქმნის მეწარმის შემოსავლად. ნამდვილად ეს უკანასკნელი მართლაც ის საპირისპირო ფორმაა მხოლოდ,

რომელსაც იღებს მთლიანი მოგების ნამეტი სარგებელთან შედარებით, როდესაც სარგებელი არსებობს როგორც განსაკუთრებული კატეგორია. მთელი გამოკვლევა იმისა, თუ როგორ ხდება მთლიანი მოგების დიფერენცირება სარგებლად და მეწარმის შემოსავლად, ნიშნავს მხოლოდ იმის გამოკვლევას, თუ როგორ ხდება საერთოდ მთელი მოგების ერთი ნაწილის დაკრისტალება და როგორ ღებულობს იგი დამოუკიდებელ არსებობას სარგებლის სახით. მაგრამ სარგებელმომტანი კაპიტალი ისტორიულად არსებობს როგორც მზამზარეული, ტრადიციული ფორმა, და ამიტომ სარგებელიც, როგორც კაპიტალის მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მზამზარეული ქვეფორმა, არსებობს დიდი ხნით ადრე, ვიდრე წარმოიქმნებოდეს კაპიტალისტური წარმოების წესი და მისი შესაბამისი წარმოდგენა კაპიტალისა და მოგების შესახებ. აქედან — ის მოვლენა, რომ დღემდე ჯერ კიდევ ხალხის წარმოდგენაში ფულადი კაპიტალი, სარგებელმომტანი კაპიტალი რჩება კაპიტალად საერთოდ, კაპიტალად par excellence. აქედანვე, — მეორე მხრივ, ჯერ კიდევ მესის დრომდე გაბატონებული ის წარმოდგენა, რომ ფულში როგორც ასეთში გადაიხდება სარგებელი. ის გარემოება, რომ გასესხებული კაპიტალი სარგებელს იძლევა დამოუკიდებლად იმისაგან, გამოიყენება იგი ნამდვილად როგორც კაპიტალი თუ არა, — იძლევა მაშინაც, როდესაც მოხმარების მიზნითაა ნასესხები, — ეს გარემოება განამტკიცებს წარმოდგენას კაპიტალის ამ ფორმის თავისთავადობის შესახებ. საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი იმ თავისთავადობისა, რომლითაც კაპიტალისტური წარმოების წესის პირველ პერიოდებში სარგებელი გვეელინება მოგების მიმართ, ხოლო სარგებელმომტანი კაპიტალი სამრეწველო კაპიტალის მიმართ, ის გარემოებაა, რომ მხოლოდ XVIII საუკუნის ნახევარში იქნა აღმოჩენილი (მესისა და შემდეგ იუმის მიერ) ფაქტი, რომლის მიხედვით სარგებელი მარტოოდენ ნაწილია მთლიანი მოგებისა, და რომ საერთოდ ასეთი აღმოჩენა საჭირო იყო.

მ ე ს ა მ ე: საკუთარი კაპიტალით მუშაობს მრეწველი კაპიტალისტი თუ ნასესხები კაპიტალით, ეს არაფერს არ ცვლის იმ გარემოებაში, რომ მას უპირისპირდება ფულადი კაპიტალისტების კლასი როგორც განსაკუთრებული სახის კაპიტალისტები, ფულადი კაპიტალი როგორც კაპიტალის თავისთავადი სახე და სარგებელი როგორც ამ სპეციფიკური კაპიტალის შესაბამისი თავისთავადი ფორმა ზედმეტი ღირებულებისა.

თ ვ ი ს ე ბ რ ი ვ ა დ განხილული სარგებელი არის ზედმეტი ღირებულება, რომელსაც იძლევა მხოლოდ კაპიტალსაკუთრება, რომელიც

მოაქვს კაპიტალს თავისთავად, თუმცა მისი მესაკუთრე. კელავწარმოების პროცესის გარეშე რჩება, რომელსაც, მაშასადამე, თავისი პროცესისაგან განცალკევებულად იძლევა კაპიტალი.

რ ა ო დ ე ნ ო ბ რ ი ვ ა დ განხილული, მოგების ის ნაწილი, რომელიც სარგებელს შეადგენს, წარმოგვიდგება ისე, თითქოს ის მიმართებაშია არა სამრეწველო და კომერციულ კაპიტალთან როგორც ასეთთან, არამედ ფულად კაპიტალთან, და ზედმეტი ღირებულების ამ ნაწილის ნორმა, სარგებლის ნორმა, ანუ სარგებლის განაკვეთი, განამტკიცებს ამ მიმართებას. ეს იმიტომ რომ, ჯერ ერთი, სარგებლის განაკვეთი — მიუხედავად იმისა, რომ მოგების საერთო ნორმაზეა დამოკიდებული — განისაზღვრება დამოუკიდებლად, და, მეორე, საქონელთა საბაზრო ფასის მსგავსად, იგი ხელჩაუჭიდავი მოგების ნორმისადმი დაპირისპირებით გვევლინება, ყველა მისი ცვალებადობის მიუხედავად. როგორც მტკიცე, ერთსახოვანი, ხელჩასაჭიდი და უშუალოდ მოცემული მიმართება. მრეწველი კაპიტალისტების ხელში რომ იყოს მთელი კაპიტალი, მაშინ არც სარგებელი იარსებებდა და არც სარგებლის განაკვეთი. თავისთავადი ფორმა, რომელსაც იღებს მთელი მოგების რაოდენობრივი დანაწილება, წარმოშობს თვისებრივ დანაწილებას. თუ მრეწველ კაპიტალისტს შევადარებთ ფულად კაპიტალისტს. პირველს მეორისგან განასხვავებს მეწარმის შემოსავალი, როგორც მთელი მოგების ნამატი საშუალო სარგებელთან შედარებით, რომელიც. სარგებლის განაკვეთის მეოხებით, ემპირიულად მოცემულ სიდიდედ წარმოგვიდგება. თუ მას, მეორე მხრივ, იმ მრეწველ კაპიტალისტს შევადარებთ, რომელიც, ნასესხების ნაცვლად, საკუთარი კაპიტალით ეწევა მეურნეობას, ეს უკანასკნელი კაპიტალისტი განსხვავდება მისგან მხოლოდ როგორც ფულადი კაპიტალისტი, ვინაიდან იგი სარგებელს თვითონ იღებს ჯიბეში, ნაცვლად იმისა, რომ სხვას გადაუხადოს. ორივე შემთხვევაში სარგებლისაგან განსხვავებული მთელი მოგების ნაწილი წარმოუდგება მას მეწარმის შემოსავლად, ხოლო თვით სარგებელი — ზედმეტ ღირებულებად, რომელსაც იძლევა კაპიტალი თავისდათავად და რომელსაც იგი, ამიტომ მწარმოებლური გამოყენების გარეშეც მოიტანდა.

ცალკეული კაპიტალისტის მიმართ ეს პრაქტიკულად სწორია. მას ეკუთვნის არჩევანი თავისი კაპიტალი, — ეს კაპიტალი მის ამოსავალ პუნქტში უკვე ფულადი კაპიტალის სახით არსებობს თუ იგი ჯერ კიდევ გარდასაქმნელია ფულად კაპიტალად, — გაასესხოს როგორც სარგებელმომტანი კაპიტალი ანდა თვითონ გამოიყენოს ღირებულების გასადიდებლად როგორც მწარმოებლური კაპიტალი. მაგრამ საერ-

თოდ თუ ავიღებთ, ე. ი. ერთობლივ საზოგადოებრივ კაპიტალთან დაკავშირებით, — როგორც ამას ზოგიერთი ვულგარული ეკონომისტი შვრება, და თან ამას მოგების საფუძვლადაც კი აცხადებს, — მაშინ ეს, რა თქმა უნდა, შეუსაბამობაა. კაპიტალის გარდაქმნა ფულად კაპიტალად უადამიანებოდ, რომელნიც ყიდულობენ და ღირებულების გასადიდებლად იყენებენ წარმოების საშუალებებს, რომელთა ფორმით არსებობს ერთობლივი კაპიტალი, გარდა შედარებით იმ პატარა ნაწილისა, რომელიც ფულის სახით არსებობს, — რასაკვირველია, უაზრობაა. კიდევ უფრო დიდი უაზრობაა იმის ვარაუდი, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის ბაზისზე კაპიტალი სარგებელს მოიტანდა მაშინაც კი, თუ იგი არ იმოქმედებდა როგორც მწარმოებლური კაპიტალი, ე. ი. ზედმეტი ღირებულების შეუქმნელად, რომლის მხოლოდ ნაწილს შეადგენს სარგებელი; რომ კაპიტალისტური წარმოების წესი თავისი მსვლელობის გზას გაივლიდა კაპიტალისტური წარმოების გარეშე. თუ კაპიტალისტთა უზომოდ დიდი ნაწილი თავის კაპიტალს ფულად კაპიტალად გადააქცევდა, ამის შედეგი იქნებოდა ფულადი კაპიტალის კოლოსალური გაუფასურება და სარგებლის განაკვეთის კოლოსალური დაცემა; ბევრისთვის მაშინვე შეუძლებელი გახდებოდა თავიანთი სარგებლით ცხოვრება, მაშასადამე, ისინი იძულებული გახდებოდნენ ისევ მრეწველ კაპიტალისტებად გადაქცეულიყვნენ. მაგრამ, როგორც ვთქვით, ცალკეული კაპიტალისტისათვის ეს ფაქტია. ამიტომ იგი, მაშინაც კი, როცა თავისი კაპიტალით ეწევა მეურნეობას, თავისი საშუალო მოგების ნაწილს, რომელიც საშუალო სარგებელს უდრის, აუცილებლად განიხილავს როგორც თავისი კაპიტალის, როგორც ასეთის ნაყოფს, წარმოების პროცესისგან დამოუკიდებლად; და, წინააღმდეგ ამ სარგებლის სახით გამოცალკევებული ნაწილისა, მთლიანი მოგების ნამეტს მასთან შედარებით იგი განიხილავს როგორც მეწარმის შემოსავალს.

მ ე ო თ ხ ე: {ხელნაწერში ცარიელი ადგილია დატოვებული}.

ამრიგად, აღმოჩნდა, რომ მოგების ის ნაწილი, რომელიც მოქმედმა კაპიტალისტმა ნასესხები კაპიტალის უბრალოდ მესაკუთრეს უნდა გადაუხადოს, გარდაიქმნება მოგების იმ ნაწილის დამოუკიდებელ ფორმად, რომელსაც კაპიტალი როგორც ასეთი, ნასესხებია იგი თუ არა, იძლევა სარგებლის სახელწოდებით. თუ რაოდენ დიდია ეს ნაწილი, — დამოკიდებულია სარგებლის საშუალო განაკვეთის სიმაღლეზე. მისი წარმოშობის მაჩვენებელი მხოლოდ ის გარემოებაა, რომ მოქმედი კაპიტალისტი, რამდენადაც იგი თავისი კაპიტალის მესაკუთრეა, კონკურენციას არ ეწევა — ყოველ შემთხვევაში აქტიურად — სარგებ-

ლის განაკვეთის განსაზღვრაში. მოგების წმინდა რაოდენობრივი დაყოფა ორ პირს შორის, რომელთაც სხვადასხვა იურიდიული ტიტული აქვთ ამ მოგების მიმართ, გადაიქცა თვისებრივ დაყოფად, რომელიც ისე მოჩანს, თითქოს კაპიტალისა და მოგების თვით ბუნებიდან გამომდინარეობდეს. ეს იმიტომ, რომ, როგორც ჩვენ დავინახეთ, როდესაც მოგების ერთი ნაწილი საერთოდ სარგებლის ფორმას მიიღებს, მაშინ სხვაობა საშუალო მოგებასა და სარგებელს შორის, ანუ სარგებელზე გადანამეტი ნაწილი მოგებისა გარდაიქმნება სარგებლის დაპირისპირებულ ფორმად, მეწარმის შემოსავლის ფორმად. ორივე ეს ფორმა, სარგებელი და მეწარმის შემოსავალი, არსებობს მხოლოდ მათს დაპირისპირებულობაში. მაშასადამე, ორივე ისინი მიმართებაში არიან არა ზედმეტი ღირებულებისადმი, რომლის მიმართაც ისინი მხოლოდ სხვადასხვა კატეგორიებისა, რუბრიკებისა და სახელწოდებების მიხედვით ფიქსირებული ნაწილებია, არამედ მიმართებაში არიან ერთმანეთისადმი. რადგან მოგების ერთი ნაწილი სარგებლად გარდაიქმნება, ამიტომ მეორე ნაწილი მეწარმის შემოსავლად გვევლინება.

მოგების სახელწოდებით ჩვენ აქ ყოველთვის ვგულისხმობთ საშუალო მოგებას, რადგან ჩვენთვის აქ სრულიად არა აქვს მნიშვნელობა როგორც ინდივიდუალური, ისე წარმოების სხვადასხვა სფეროების მოგების გადახრას, ე. ი. ამა თუ იმ ცვლილებებს საშუალო მოგების, ანუ ზედმეტი ღირებულების, განაწილებაში, რომლებიც დაკავშირებულია კონკურენტულ ბრძოლასთან და სხვა გარემოებებთან. ეს შეეხება საერთოდ მთელ ამ გამოკვლევას.

ამრიგად, სარგებელი, როგორც მას რამსეი უწოდებს, — არის წმინდა მოგება, რომელსაც აძლევს კაპიტალსაკუთრება როგორც ასეთი ან იმას, ვინც კაპიტალის მარტოოდენ გამსესხებელია და კვლავწარმოების პროცესის გარეშე რჩება, ან იმას, ვინც მისი მესაკუთრეა და თავის კაპიტალს თვითონ გამოიყენებს მწარმოებლურად. მაგრამ ამ უკანასკნელსაც კაპიტალი აძლევს ამ წმინდა მოგებას არა როგორც მოქმედ კაპიტალისტს, არამედ როგორც ფულად კაპიტალისტს, რომელიც საკუთარ კაპიტალს, როგორც სარგებელმომტან კაპიტალს, მიასესხებს თავის თავს როგორც მოქმედ კაპიტალისტს. როგორც ფულის და საერთოდ ღირებულების გადაქცევა კაპიტალად კაპიტალისტური წარმოების პროცესის მუდმივი შედეგია, ასევე ფულის მყოფობა კაპიტალის სახით იმავე წარმოების პროცესის მუდმივი წანამძღვარია. თავისი უნარის წყალობით, რაც წარმოების საშუალებებად გარდაქმნაში გამოიხატება, ფული მუდამ მბრძანებლობს გადაუხდელ შრომაზე და ამიტომ გარდაქმნის საქონელთა წარმოებისა და მიმოქ-

ცევის პროცესს ზედმეტი ღირებულების წარმოებად თავისი მფლობელისათვის. მაშასადამე, სარგებელი მხოლოდ გამოსახულებაა იმისა, რომ ღირებულება საერთოდ, — გასაგნობრივებული შრომა მის საყოველთაო საზოგადოებრივ ფორმაში, — რომ ღირებულება, რომელიც ნამდვილ წარმოების პროცესში წარმოების საშუალებათა სახეს იღებს, უპირისპირდება ცოცხალ სამუშაო ძალას როგორც დამოუკიდებელი ძალა და წარმოადგენს იმის საშუალებას, რომ მიითვისოს გადაუხდელი შრომა; და რომ იგი ასეთ ძალას წარმოადგენს იმით, რომ უპირისპირდება მუშას როგორც უცხო საკუთრება. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს დაპირისპირებულობა დაქირავებული შრომის მიმართ სარგებლის ფორმაში წარხოცილია, იმიტომ რომ სარგებელმომტანი კაპიტალისთვის როგორც ასეთისთვის მოპირისპირეს წარმოადგენს არა დაქირავებული შრომა, არამედ მოქმედი კაპიტალი; კრედიტორი-კაპიტალისტი პირისპირ უდგას როგორც ასეთი პირდაპირ კვლავწარმოების პროცესში ნამდვილად მოქმედ კაპიტალისტს, არა დაქირავებულ მუშას, რომელსაც სწორედ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე წართმეული აქვს წარმოების საშუალებანი. სარგებელმომტანი კაპიტალი — ესაა კაპიტალი *როგორც საკუთრება* დაპირისპირებით კაპიტალისადმი, *როგორც ფუნქციისადმი*. მაგრამ ვიდრე კაპიტალი არ მოქმედებს, იგი არ ეწევა მუშის ექსპლოატაციას და არ არის ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში შრომასთან.

მეორე მხრივ, მეწარმის შემოსავალი ანტაგონისტურია არა შრომისადმი, არამედ სარგებლისადმი.

პირველი: თუ საშუალო მოგებას წინასწარ მოცემულ სიდიდედ ვიგულისხმებთ, მეწარმის შემოსავლის ნორმა განისაზღვრება არა ხელფასით, არამედ სარგებლის განაკვეთით. იგი მაღალი ან დაბალი იქნება პირუკუ შეფარდებით ამ უკანასკნელთან [72].

მეორე: მოქმედ კაპიტალისტს თავისი უფლება მეწარმის შემოსავალზე, მაშასადამე, თვით მეწარმის შემოსავალი გამოჰყავს არა თავისი საკუთრებიდან კაპიტალზე, არამედ კაპიტალის ფუნქციიდან იმ ფორმასთან დაპირისპირებით, რომელშიაც კაპიტალი არსებობს მხოლოდ როგორც უმოქმედო საკუთრება. ეს ვლინდება უშუალოდ არსებული დაპირისპირებულობის სახით, როგორც კი იგი ნასესხები კაპიტალით იწყებს მოქმედებას, როდესაც, მაშასადამე სარგებელი და მეწარმის შემოსავალი ორ სხვადასხვა პირს ხვდება. მეწარმის შემოსა-

[72] «საწარმოს მოგება წმინდა მოგებაზეა დამოკიდებული, და არა ეს უკანასკნელი პირველზე» (Ramsay: «Essay on the Distribution of Wealth», გვ. 214. წმინდა მოგება რამსეის მიხედვით ყოველთვის სარგებელს უდრის).

ვალი წარმოდგება კაპიტალის ფუნქციიდან კვლავწარმოების პროცესში, ე. ი. იმ ოპერაციების მოქმედების გამო, რომლითაც მოქმედი კაპიტალისტი სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის ამ ფუნქციებს ემსახურება. მაგრამ მოქმედი კაპიტალის წარმომადგენლად ყოფნა სინეკურა კი არ არის სარგებელმომტანი კაპიტალის წარმომადგენლობის მსგავსად. კაპიტალისტური წარმოების ბაზისზე კაპიტალისტი განაგებს წარმოების პროცესს, ისევე როგორც მიმოქცევის პროცესსაც. მწარმოებლური შრომის ექსპლოატაცია ძალღონის დაძაბვას მოითხოვს, სულ ერთია, თვითონ კაპიტალისტი ეწევა ამ ექსპლოატაციას, თუ თავისი სახელით სხვებს ასრულებინებს ამას. ამიტომ, წინაალმდეგ სარგებლისა, მეწარმის შემოსავალი მას წარმოუდგება როგორც კაპიტალის საკუთრებისგან დამოუკიდებელი რამ, უფრო თავისი როგორც არაშესაკუთრის, როგორც მ უ შ ი ს ფუნქციათა შედეგი.

ამიტომ აუცილებლობის გზით მას თავში ებადება წარმოდგენა, რომ მისი სამეწარმო შემოსავალი არათუ არავითარ დაპირისპირებულობაში არაა დაქირავებულ შრომასთან და არათუ არ შეადგენს მარტოოდენ სხვის გადაუხდელ შრომას, არამედ, პირიქით, თვით წარმოადგენს ხ ე ლ ფ ა ს ს, გასამრჯელოს მეთვალყურეობისათვის, wages of superintendence of labour-ს, უფრო მაღალ ხელფასს, ვიდრე ჩვეულებრივი დაქირავებული მუშის ხელფასია, 1) იმიტომ რომ ეს უფრო რთული შრომაა, 2) იმიტომ რომ თვითონ უხდის თავის თავს ხელფასს. ის გარემოება, რომ მისი, როგორც კაპიტალისტის, ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ზედმეტი ღირებულება, ე. ი. გადაუხდელი შრომა, აწარმოოს და თან უაღრესი ეკონომიის პირობებში, — სავსებით იჩრდილება იმ დაპირისპირებულობის წინაშე, რომ სარგებელი კაპიტალისტს ხვდება, თუნდაც რომ იგი არავითარ ფუნქციას არ ასრულებდეს როგორც კაპიტალისტი, არამედ იყოს მარტოოდენ კაპიტალის მესაკუთრე; და რომ, პირიქით, მეწარმის შემოსავალი მოქმედ კაპიტალისტს ხვდება, თუნდაც რომ იგი არ იყოს მესაკუთრე იმ კაპიტალის, რომლითაც მოქმედებს. ორივე იმ ნაწილის დაპირისპირებული ფორმის წინაშე, რომლებადაც მოგება, ე. ი. ზედმეტი ღირებულება, იყოფა, დავიწყებულია ის, რომ ორივე მხოლოდ ზედმეტი ღირებულების ნაწილებია და რომ ამ უკანასკნელის დაყოფას არაფრის შეცვლა არ შეუძლია მის ბუნებაში, მის წარმოშობასა და მისი არსებობის პირობებში.

კვლავწარმოების პროცესში მოქმედი კაპიტალისტი წარმომადგენლობს კაპიტალს როგორც სხვის საკუთრებას დაქირავებული მუშების მიმართ, და ფულადი კაპიტალისტი, რომელიც მოქმედი კაპიტალისტი-

თაა წარმოდგენილი, მონაწილეობას იღებს შრომის ექსპლოატაციაში. რომ აქტიურ კაპიტალისტს მხოლოდ როგორც წარმოების საშუალებების წარმომადგენელს მუშების მიმართ შეუძლია შეასრულოს თავისი ფუნქცია, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის ამუშაოს მუშები ანუ წარმოების საშუალებანი ამოქმედოს კაპიტალის სახით,— ეს გარემოება დავიწყებულია იმის გამო, რომ კაპიტალის ფუნქცია კვლავწარმოების პროცესში დაპირისპირებულია კაპიტალის უბრალოდ საკუთრებისადმი კვლავწარმოების პროცესის გარეთ.

მართლაც, ის ფორმა, რომელსაც იღებს მოგების, ე. ი. ზედმეტი ღირებულების, ორივე ნაწილი როგორც სარგებელი და მეწარმის შემოსავალი, არ გამოსახავს შრომასთან შეფარდებას, იმიტომ რომ ეს შეფარდება არსებობს მხოლოდ შრომასა და მოგებას შორის. ანუ, უფრო სწორად, შრომასა და ზედმეტ ღირებულებას შორის, როგორც ამ ნაწილების ჯამს, მთლიანობას, ერთიანობას შორის. შეფარდება, რომლის მიხედვით მოგება დანაწილდება, და სხვადასხვა იურიდიული ტიტულები, რომელთა საფუძველზე ეს დანაწილება ხდება, წინასწარ გულისხმობს მოგებას როგორც უკვე მზამზარეულს, გულისხმობს მის მყოფობას. ამიტომ, თუ კაპიტალისტი მესაკუთრეა კაპიტალის, რომლითაც მოქმედებს, იგი თავის ჯიბეში იდებს მთელ მოგებას ანუ ზედმეტ ღირებულებას; მუშისთვის სავსებით სულ ერთია, თავისთვის მიაქვს მთელი მოგება კაპიტალისტს, თუ მან ამის ნაწილი მესამე პირს უნდა გადაუხადოს როგორც იურიდიულ მესაკუთრეს. ამრიგად, ორგვარ კაპიტალისტებს შორის მოგების დაყოფის საფუძველი თვალსა და ხელს შუა გადაიქცევა იმ დასაყოფი მოგების, ზედმეტი ღირებულების არსებობის საფუძვლებად, რომელიც, ყოველგვარი შემდგომი დაყოფისაგან დამოუკიდებლად, კაპიტალს როგორც ასეთს გამოაქვს კვლავწარმოების პროცესიდან. იქიდან, რომ სარგებელი უპირისპირდება მეწარმის შემოსავალს, მეწარმის შემოსავალი კი — სარგებელს, რომ ორივე ერთიმეორეს უპირისპირდება, მაგრამ არა შრომას, — ის გამომდინარეობს, რომ მეწარმის შემოსავალი პლუს სარგებელი, ე. ი. მოგება, ე. ი. ბოლოს და ბოლოს ზედმეტი ღირებულება, დაფუძნებულია — რაზე? მისი ორივე ნაწილის დაპირისპირებულ ფორმაზე! მაგრამ მოგება მანამდე იწარმოება, სანამ ეს მისი დაყოფა მოხდებოდეს და სანამ შეიძლებოდეს მასზე ლაპარაკი.

სარგებელმომტანი კაპიტალი მხოლოდ იმდენად რჩება კაპიტალად, რამდენადაც გასესხებული ფული ნამდვილად გადაიქცევა კაპიტალად და აწარმოებს ნამეტს, რომლის ნაწილს სარგებელი შეადგენს. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მას, წარმოების პროცე-

სისაგან დამოუკიდებლად, სარგებლის მოტანა თვისებად აქვს ძვალრბილში გამჯდარი. სამუშაო ძალაც ხომ თავის ღირებულების შემქმნელ ძალას მხოლოდ მაშინ ადასტურებს, როცა მისი ამოქმედება და რეალიზაცია შრომის პროცესში ხდება. მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ იგი თავისდათავად, პოტენციურად, როგორც შემძლებლობა, ღირებულების შემქმნელი მოქმედებაა და როგორც ასეთი როდი წარმოდგება მხოლოდ პროცესიდან, არამედ, პირიქით, პროცესის წანამძღვარია. მას ყიდულობენ როგორც ღირებულების შემქმნელ უნარს. მაგრამ ის შეიძლება ვინმემ იყიდოს აგრეთვე . არა იმისთვის, რომ მწარმოებლურად ამუშაოს; მაგალითად, წმინდა პირადი მიზნებისთვის, მომსახურებისათვის და სხვ. ასეა კაპიტალის მიმართაც. მსესხებლის საქმეა ეს, მოიხმარს იგი თუ არა მას როგორც კაპიტალს, ე. ი. ნამდვილად აამოქმედებს თუ არა ზედმეტი ღირებულების მწარმოებელ მის იმანენტურ თვისებას. ორივე შემთხვევაში იგი იხდის ზედმეტი ღირებულებისათვის, რომელიც თავისთავად, შესაძლებლობის მიხედვით, მოქცეულია საქონელკაპიტალში.

შევჩერდეთ ახლა უფრო დაწვრილებით მეწარმის შემოსავალზე.

იმით, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის დროს ფიქსირდება კაპიტალის საზოგადოებრივი განსაზღვრულობა, ე. ი. კაპიტალსაკუთრება, რომელსაც სხვის შრომაზე მბრძანებლობის თვისება გააჩნია, — და ამიტომ სარგებელი გვევლინება როგორც ზედმეტი ღირებულების ნაწილი, რომელსაც კაპიტალი წარმოშობს ამ დაკავშირებულობაში,— ამით ზედმეტი ღირებულების მეორე ნაწილი — მეწარმის შემოსავალი — აუცილებლად ისე წარმოგვიდგება, თითქოს იგი წარმოიშვება არა კაპიტალიდან როგორც ასეთიდან, არამედ — წარმოების პროცესიდან, მისი სპეციფიკური საზოგადოებრივი განსაზღვრულობისგან განცალკევებულად, რამაც უკვე გამოთქმაში — კაპიტალის სარგებელი — მიიღო თავისი არსებობის განსაკუთრებული წესი. მაგრამ კაპიტალისაგან განცალკევებული წარმოების პროცესი წარმოადგენს შრომის პროცესს საერთოდ. ამიტომ მრეწველი კაპიტალისტი, კაპიტალის მესაკუთრისაგან განსხვავებით, წარმოგვიდგება არა როგორც მოქმედი კაპიტალი, არამედ როგორც ისეთი პირი, რომელიც კაპიტალის გარეშეც მოქმედებს, როგორც შრომის პროცესის უბრალო მატარებელი საერთოდ, როგორც მუშა და ამასთან როგორც დაქირავებული მუშა.

სარგებელი თავისდათავად გამოსახავს სწორედ შრომის პირობების არსებობას კაპიტალის სახით, მათს საზოგადოებრივ დაპირისპირებას

შრომისადმი და მათს გადაქცევას პიროვნულ ძალაუფლებად შრომის მიმართ და შრომაზე. იგი გამოხატავს უბრალო კაპიტალსაკუთრებას როგორც სხვისი შრომის პროდუქტების მითვისების საშუალებას. მაგრამ კაპიტალის ამ ხასიათს იგი წარმოგვიდგენს როგორც ისეთ რამეს, რაც მას ეკუთვნის წარმოების პროცესის გარეშე და რაც სრულიადაც არ არის თვით ამ წარმოების პროცესის სპეციფიკურად კაპიტალისტური განსაზღვრულობის შედეგი. სარგებელი ამას წარმოგვიდგენს არა უშუალო დაპირისპირებულობაში შრომის მიმართ, არამედ, პირიქით, შრომასთან მიმართების გარეშე, როგორც ერთი კაპიტალისტის უბრალო მიმართებას მეორესთან, მაშასადამე, წარმოგვიდგენს როგორც ისეთ განსაზღვრულობას, რომელიც გარეგნული და ინდიფერენტულია თვით შრომისადმი კაპიტალის მიმართებისათვის. ამრიგად, სარგებელში, მოგების ამ განსაკუთრებულ ფორმაში, რომელშიაც დამოუკიდებელი გამოსახულება ეძლევა კაპიტალის დაპირისპირებულ ხასიათს, ეს გამოსახულება ეძლევა მას ისე, რომ სრულიად წარხოცილია დაპირისპირებულობა და მისგან სრული აბსტრაჰირება ხდება. სარგებელი ურთიერთობაა ორ კაპიტალისტს შორის, და არა კაპიტალისტსა და მუშას შორის.

მეორე მხრივ, სარგებლის ეს ფორმა მოგების მეორე ნაწილს ანიჭებს მეწარმის შემოსავლის თვისებრივ ფორმას, შემდეგ — ზედამხედველობის ხელფასის ფორმას. განსაკუთრებული ფუნქციები, რომლებიც უნდა შეასრულოს კაპიტალისტმა როგორც ასეთმა, და რომლებიც მას ეკუთვნის სწორედ მუშებისგან განსხვავებით და მუშებისადმი დაპირისპირებით, წარმოგვიდგება, როგორც უბრალო შრომითი ფუნქციები. კაპიტალისტი ქმნის ზედმეტ ღირებულებას არა იმიტომ, რომ იგი მუშაობს *როგორც კაპიტალისტი*, არამედ იმიტომ, რომ, თავისი, როგორც კაპიტალისტის, თვისების მიუხედავად, ისიც *აგრეთვე* მუშაობს. მაშასადამე, ზედმეტი ღირებულების ეს ნაწილი ზედმეტი ღირებულება კი აღარაა, არამედ მისი დაპირისპირებულობაა, შესრულებული შრომის ეკვივალენტია. რადგან კაპიტალის განრიდებული ხასიათი, მისი დაპირისპირებულობა შრომისადმი ექსპლოატაციის ნამდვილი პროცესის მიღმა გადაიტანება, სახელდობრ სარგებელმომტან კაპიტალზე, ამიტომ თვით ექსპლოატაციის ეს პროცესი წარმოგვიდგება როგორც უბრალო შრომითი პროცესი, სადაც მოქმედი კაპიტალისტი მხოლოდ სხვა სამუშაოს ასრულებს, ვიდრე მუშა. ამრიგად, ექსპლოატირების შრომა და ექსპლუატირებული შრომა, ორივე როგორც შრომა, იდენტურია. ექსპლოატირების შრომა სრულიად ისეთივე შრომაა, როგორც ის შრომა, რომელიც ექსპლოა-

ტაციას განიცდის. სარგებელი ხდება კაპიტალის საზოგადოებრივ ფორმად, მაგრამ იგი ნეიტრალური და ინდიფერენტული ფორმით კაპიტალისადმი: მეწარმის შემოსავალი ხდება კაპიტალის ეკონომიურ ფუნქციად, მაგრამ ეს ფუნქცია განსაზღვრული კაპიტალისტური ხასიათისაგან აბსტრაჰირებულია.

აქ კაპიტალისტის ცნობიერებაში სავსებით იგივე ხდება, რაც ამ წიგნის II განყოფილებაში აღნიშნული მოგების საშუალო მოგებად გათანატოლების კომპენსაციის საფუძვლის მიმართ. კომპენსაციის ეს საფუძვლები, რომლებსაც განმსაზღვრელი გავლენა აქვთ ზედმეტი ღირებულების განაწილებაზე, ისე თავდაყირა დგება კაპიტალისტის წარმოდგენაში, რომ თვით მოგების წარმოშობის მიზეზად და მისი გამართლების (სუბიექტურ) საფუძვლად იქცევა.

ეს წარმოდგენა მეწარმის შემოსავლის შესახებ, რომ იგი ზედამხედველობის შედეგია, — წარმოდგენა, რომელიც იქმნება მეწარმის შემოსავლისადმი სარგებლის დაპირისპირებულობიდან, შემდგომ დასაყრდენს პოულობს იმაში, რომ მართლაც მოგების ნაწილი შეიძლება გამოცალკევდეს და ნამდვილად გამოცალკევდება კიდეც ხელფასის სახით, ანუ, უფრო სწორად, პირიქით, ხელფასის ნაწილი, კაპიტალისტური წარმოების წესის ბაზისზე, წარმოგვიდგება როგორც მოგების ინტეგრალური შემადგენელი ნაწილი. ეს ნაწილი, როგორც უკვე ა. სმიტმა სწორად აღმოაჩინა, წარმოგვიდგება წმინდა, დამოუკიდებელი სახით და სრულიად განცალკევებულად, ერთი მხრივ, მოგებისგან (როგორც სარგებლისა და მეწარმის შემოსავლის ჯამისგან), მეორე მხრივ, მოგების იმ ნაწილისაგან, რომელიც სარგებლის გამოკლების შემდეგ რჩება როგორც ეგრეთწოდებული მეწარმის შემოსავალი, — წარმოგვიდგება მმართველის ჯამაგირის სახით საწარმოთა ისეთ დარგებში, რომელთა მოცულობა და სხვ. საშუალებას იძლევა შრომის იმდენად საკმაო დანაწილებისთვის, რომ შესაძლებელი ხდება განსაკუთრებული ხელფასის დაწესება მმართველისათვის.

უმაღლესი ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის შრომა აუცილებლად წარმოიშვება ყველგან, სადაც უშუალო წარმოების პროცესს საზოგადოებრივ-კომბინირებული პროცესის სახე აქვს და არა დამოუკიდებელ მწარმოებელთა განცალკევებული შრომის ფორმა[73]. მაგრამ მისი ბუნება ორგვარია.

ერთი მხრივ, ყველა სამუშაოში, სადაც მრავალი ინდივიდი თანამშრომლობს, პროცესის საერთო კავშირი და ერთიანობა აუცილებ-

[73] «უმაღლესი ზედამხედველობა აქ» (გლეხ-მიწათმფლობელთან) «სრულიად ზედმეტია». (J. E. Cairnes: «The Slave Power». London 1862, გვ. 48).

ლად წარმოდგენილია ერთი მმართველი ნებისყოფით და იმ ფუნქციებით, რომლებიც ნაწილობრივ სამუშაოებს კი არ შეეხება, არამედ სახელოსნოს ერთობლივ მოქმედებას, როგორც ამას ადგილი აქვს ორკესტრის დირიჟორის შემთხვევაში. ეს მწარმოებლური შრომაა, რომლის შესრულება აუცილებელია წარმოების ყოველი კომბინირებული წესის დროს.

მეორე მხრივ, — თუ სავაჭრო განყოფილებას სრულიად მხედველობის გარეშე დავტოვებთ, — უმაღლესი ზედამხედველობის ეს შრომა აუცილებელია წარმოების ყველა წესის არსებობისას, რომელიც დამყარებულია დაპირისპირებულობაზე მუშასა, როგორც უშუალო მწარმოებელსა, და წარმოების საშუალებათა მესაკუთრეს შორის. რაც უფრო დიდია ეს ანტაგონიზმი, მით უფრო დიდია ის როლი, რომელსაც ასრულებს ეს უმაღლესი ზედამხედველობა მუშებზე. ამიტომ თავის მაქსიმუმს იგი აღწევს მონობის სისტემაში [74]. მაგრამ იგი აუცილებელია წარმოების კაპიტალისტური წესის დროსაც, ვინაიდან აქ წარმოების პროცესი იმავე დროს კაპიტალისტის მიერ სამუშაო ძალის მოხმარების პროცესია. სრულიად ისე, როგორც დესპოტურ სახელმწიფოებში, უმაღლესი ზედამხედველობისა და მთავრობის ყოველმხრივი ჩარევის შრომა ორივე მხარეს შეიცავს: როგორც საერთო საქმეების შესრულებას, რომლებიც ყოველი საზოგადოების ბუნებიდან გამომდინარეობს, ისე იმ სპეციფიკურ ფუნქციებს, რომლებიც მთავრობასა და ხალხის მასას შორის არსებული დაპირისპირებულობიდან გამომდინარეობს.

ანტიკურ მწერლებს, რომლებიც უშუალოდ ხედავდნენ მონურ სისტემას, ზედამხედველის შრომის ორივე მხარე ერთნაირად ჰქონდათ შეერთებული თეორიაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა პრაქტიკაშიც, — სწორედ ისე, როგორც თანამედროვე ეკონომისტებს, რომლებსაც კაპიტალისტური წარმოების წესი აბსოლუტურ წარმოების წესად მიაჩნიათ. მეორე მხრივ, როგორც მე ახლავე ერთ მაგალითზე დავანახვებ მკითხველს, მონობის თანამედროვე სისტემის აპოლოგეტები ისევე იყენებენ ზედამხედველის შრომას მონობის გამართლების საფუძვლად, როგორც სხვა ეკონომისტები — დაქირავებული შრომის სისტემის გასამართლებლად.

---

[74] «თუ სამუშაოს ბუნება მოითხოვს, რომ მუშები» (სახელდობრ მონები) «განაწილებული იყვნენ დიდ ფართობზე, მაშინ ზედამხედველთა რიცხვი და, ამიტომ, იმ შრომის ხარჯები, რომელსაც ეს ზედამხედველობა მოითხოვს, შესაბამისად გაიზრდება» (J. E. Cairnes: «The Slave Power». London 1862, გვ. 44).

Villicus-ი კატონის დროს: «მონათმფლობელური მამულის (familia rustica) სათავეში იდგა მოურავი (villicus სიტყვა villa-დან), რომელიც აგროვებდა შემოსავალს და აწარმოებდა ხარჯებს, ყიდულობდა და ყიდდა, ღებულობდა ბატონისაგან ინსტრუქციებს და მის არყოფნაში განაგებდა და სასჯელს აწესებდა... მოურავს, რასაკვირველია, უფრო თავისუფალი მდგომარეობა ჰქონდა, ვიდრე დანარჩენ მონებს; მაგრამ წიგნები იძლევა რჩევას, ნება დართონ მას დაქორწინდეს, ბავშვები გააჩინოს და საკუთარი სალარო ჰქონდეს, ხოლო კატონი რჩევას იძლევა ნება დართონ მას შეირთოს გამგე დიასახლისი; მარტო მას შეეძლო აგრეთვე ჰქონებოდა იმედი, რომ, თუ კარგად მოიქცეოდა, ბატონისაგან თავისუფლებას მიიღებდა. რაც შეეხება დანარჩენებს, ყველანი ერთ საერთო საოჯახო მეურნეობას შეადგენდნენ... ყოველი მონა, მოურავიც კი, თავის ულუფას იღებდა ბატონისაგან განსაზღვრულ ვადებში და მტკიცე განაკვეთების მიხედვით, შემდეგ ეს მას უნდა ემყოფინებინა, როგორც შეეძლო... ულუფის რაოდენობა შრომის ხასიათის მიხედვით იყო დაწესებული, რის გამო, მაგალითად, მოურავს, რომელსაც მონებზე უფრო ადვილი სამუშაო ჰქონდა, მათზე ნაკლები ეძლეოდა». (Mommsen: «Römische Geschichte», მეორე გამოცემა, 1856, I, გვ. 809 — 810).

არისტოტელე: «Ὁ γὰρ δεσπότης οὐκ ἐν τῷ κτᾶσθαι τοὺς δούλους, ἀλλ' ἐν τῷ χρῆσθαι δούλοις». («იმიტომ რომ ბატონი»—კაპიტალისტი—«ვლინდება როგორც ასეთი არა მონების შეძენაში»—კაპიტალის საკუთრებაში, რომელიც იძლევა ძალას შრომის საყიდლად,—«არამედ მონების გამოყენებაში»—მუშების—ახლა წარმოების პროცესში დაქირავებული მუშების გამოყენებაში). «Ἔστι δὲ αὐτῇ ἡ ἐπιστήμη οὐδὲν μέγα ἔχουσα οὐδὲ σεμνόν» («ბაგრამ ამ მეცნიერებაში დიადი და მაღალი არა არის რა») «ἃ γὰρ τὸν δοῦλον ἐπίστασθαι δεῖ ποιεῖν, ἐκεῖνον δεῖ ταῦτα ἐπίστασθαι ἐπιτάττειν» («მან უნდა იცოდეს უბრძანოს ის, რისი შესრულებაც მონას უნდა შეეძლოს»). «Διὸ ὅσοις ἐξουσία μὴ αὐτοὺς κακοπαθεῖν, ἐπίτροπος λαμβάνει ταυτὴν τὴν τιμήν, αὐτοὶ δὲ πολιτεύονται ἢ φιλοσοφοῦσιν». («როდესაც თვით ბატონებს არ სჭირდებათ ამით თავის შეწუხება. ამ პატივს კისრულობს ზედამხედველი, ისინი კი სახელმწიფო საქმეებით არიან გართულნი ან ფილოსოფოსობენ») (Aristoteles: «De republica», გამოც. Bekker, 1837, წიგ. I, თავი 7).

ბატონად ყოფნა, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ სფეროში, რომ ხელისუფალთ ბატონობის ფუნქციებს აკისრებს, ე. ი. რომ მათ, მაშასადამე, ეკონომიურ სფეროში უნდა იცოდნენ სამუშაო ძალის მოხმარება, — ამას არისტოტელე ამბობს მოურიდებლად და თან

უმატებს, რომ ზედამხედველის ეს შრომა დიდი ღირსებისა არაა, რის გამო ბატონი, როდესაც იგი საკმაოდ შეძლებულია, ზედამხედველს დასდებს «პატივს» და გადასცემს ამ საზრუნავს.

ხელმძღვანელობისა და უმაღლესი ზედამხედველობის შრომა, რაოდენადაც იგი არაა განსაკუთრებული, ყოველი კომბინირებული საზოგადოებრივი შრომის ბუნებიდან გამომდინარე ფუნქცია, არამედ წარმოების საშუალებათა მფლობელსა და მარტოოდენ სამუშაო ძალის მფლობელს შორის არსებული დაპირისპირებულობიდან წარმოდგება, — ამასთან სულ ერთია, ეს სამუშაო ძალა თვით მუშასთან ერთად იყიდება, როგორც მონობის სისტემაში, თუ თვითონ მუშა ყიდის თავის სამუშაო ძალას და, ამიტომ, წარმოების პროცესი იმავე დროს წარმოადგენს კაპიტალის მიერ მისი შრომის მოხმარების პროცესს, — ეს ფუნქცია, რომელიც უშუალო მწარმოებლის დამონებიდან გამომდინარეობს, საკმაოდ ხშირად გამოუყენებიათ თვით ამ ურთიერთობის გამართლების საფუძვლად, და ექსპლოატაცია, სხვისი გადაუხდელი შრომის მითვისებაც ასევე ხშირად დაუსახავთ კაპიტალის მესაკუთრის ხვედრ ხელფასად. მაგრამ ყველაზე უკეთ სჩადის ამას მონობის დამცველი შეერთებულ შტატებში, ვინმე ადვოკატი ო'კონორი თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა 1859 წლის 19 დეკემბერს ნიუ-იორკში მიტინგზე შემდეგი ლოზუნგით: «სამართლიანობა სამხრეთს» — მქუხარე ტაში გამოიწვია მისმა სიტყვებმა: «Now, gentlemen [ჯენტლმენებო], თვით ბუნებამ მისცა ხვედრად ზანგს მონის ეს მდგომარეობა. ზანგი მაგარი და ღონიერია მუშაობაში. მაგრამ ბუნებამ, რომელმაც მას ეს ღონე უბოძა, არ მისცა მას არც მმართველობის უნარი და არც შრომის ხალისი (მ ო წ ო ნ ე ბ ი ს შ ე ძ ა ხ ი ლ ე ბ ი). ორივე მისთვის მიუწვდომელია! და იმავე ბუნებამ, რომელმაც მას შრომის ხალისი არ მისცა, მისცა მას ბატონი იმისათვის, რომ აიძულოს იგი ეს ხალისი გამოიჩინოს და იმ ჰავაში, რომლისთვისაც იგი გაჩენილია, სასარგებლო მსახურად აქციოს როგორც თვით თავისთვის, ისე ბატონისთვისაც, რომელიც მას განაგებს. მე ვამტკიცებ, რომ არავითარი უსამართლობა არაა ზანგის იმ მდგომარეობაში დატოვება, რომელშიაც იგი ბუნებამ ჩააყენა, რომ მას ბატონი ჰყავდეს მიჩენილი, რომელიც მას განაგებს; და ამიტომ ზანგს არავითარ უფლებას არ ართმევენ, როცა მას აიძულებენ იმუშაოს და თავის ბატონს სამართლიანად აუნაზღაუროს ის შრომა და ნიჭი, რომელსაც ეს უკანასკნელი ხმარობს, რათა განაგოს იგი და სასარგებლო გახადოს როგორც თვით მისთვის, ისე

საზოგადოებისათვის». [«New York Tribune». 1859 წ. 20 დეკემბერი. გვ. 5 — 8].

და აი, დაქირავებულ მუშასაც მონასავით უნდა ჰყავდეს ბატონი, რათა მან იგი ამუშაოს და განაგოს. ხოლო თუ ეს ბატონობისა და დამონების ურთიერთობა ნაგულისხმევია, სრულიად ბუნებრივია, რომ დაქირავებული მუშა იძულებულია აწარმოოს თავისი საკუთარი ხელფასი და ზედმეტად კიდევ საზედამხედველო ხელფასი, კომპენსაცია მასზე ბატონობისა და უმაღლესი ზედამხედველობის შრომის გაწევისათვის «და თავის ბატონს სამართლიანად აუნაზღაუროს ის შრომა და ნიჭი, რომელსაც ეს უკანასკნელი ხმარობს, რათა განაგოს იგი და სასარგებლო გახადოს როგორც თვით მისთვის, ისე საზოგადოებისათვის».

უმაღლესი ზედამხედველობისა და ხელმძღვანელობის შრომა, რამდენადაც იგი ანტაგონისტური ხასიათიდან, შრომაზე კაპიტალის ბატონობიდან გამომდინარეობს და ამიტომ საერთოა წარმოების ყველა წესისთვის, რომელიც, როგორც კაპიტალისტური წესი, კლასობრივ ანტაგონიზმზეა დამყარებული, — ეს შრომა კაპიტალისტურ სისტემაშიც უშუალოდ და განუყრელად დაკავშირებულია მწარმოებლურ ფუნქციებთან, რომლებსაც როგორც განსაკუთრებულ შრომას ყოველი კომბინირებული საზოგადოებრივი შრომა აკისრებს ცალკეულ ინდივიდებს. ხელფასი რომელიმე epitropos'-ის [მოურავისა ძველ საბერძნეთში] ან régisseur -ისა, როგორც მას ფეოდალურ საფრანგეთში უწოდებდნენ, სრულიად განცალკევდება მოგებისგან და იღებს ხელფასის ფორმას დახელოვნებული შრომისთვის, როგორც კი საწარმო საკმაოდ დიდ მოცულობას აღწევს იმისათვის, რომ ასეთ მმართველს (manager) საფასური გადაუხადოს, თუმცა ამას სრულიადაც არა აქვს შედეგად ის, რომ ჩვენი მრეწველი კაპიტალისტები «სახელმწიფო საქმეებით იყვნენ გართულნი ან ფილოსოფოსობდნენ».

რომ მრეწველი კაპიტალისტები კი არა, არამედ მრეწველი მმართველები (managers) შეადგენენ «ჩვენი სამრეწველო სისტემის სულსა და გულს», — ეს ჯერ კიდევ ბ-ნმა იურიმ შენიშნა[75]. რაც შეეხება საწარმოს სავაჭრო ნაწილს, ამაზე, რაც საჭიროა, უკვე წინა განყოფილებაში ითქვა.

---

[75] A. Ure: «Philosophy of Manufactures». ფრანგული თარგმანი 1836, ტ. I, გვ. 67, სადაც მეფაბრიკეთა ეს პინდარი მათ იმის მოწმობას აძლევს, რომ უმრავლესობას მათგან არავითარი წარმოდგენა არა აქვს მექანიკაზე, რომელსაც ისინი ყენებენ.

თვით კაპიტალისტურმა წარმოებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ კაპიტალსაკუთრებისგან სრულიად განცალკევებული უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომა ქუჩაში მოიპოვება. ამიტომ უსარგებლო შეიქნა, რომ ზედამხედველობის ამ შრომას კაპიტალისტი ასრულებდეს. სრულიადაც აუცილებელი არაა, რომ კაპელმეისტერი ორკესტრის ინსტრუმენტების მესაკუთრე იყოს; ასევე, მისი როგორც დირიჟორის, ფუნქციაში არ შედის ის, რომ მას რაიმე საქმე ჰქონდეს სხვა მუსიკოსების «ხელფასთან». კოოპერაციული ფაბრიკები იძლევიან იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ კაპიტალისტი, როგორც წარმოების ქმედითი მონაწილე, ისევე ზედმეტი შეიქნა, როგორც თვითონ იგი, განვითარების უმაღლეს საფეხურზე მყოფი, ზედმეტად თვლის მსხვილ მიწათმფლობელს. რამდენადაც კაპიტალისტის შრომა არ გამომდინარეობს წარმოების პროცესიდან როგორც მარტოოდენ კაპიტალისტურიდან და, მაშასადამე, კაპიტალთან ერთად არ ისპობა თავისთავად; რამდენადაც იგი არ შემოიფარგლება მარტოოდენ სხვისი შრომის ექსპლოატაციის ფუნქციით; რამდენადაც, მაშასადამე, იგი გამომდინარეობს შრომის, როგორც საზოგადოებრივი შრომის, ფორმიდან, მრავალთა კომბინაციიდან და კოოპერაციიდან საერთო შედეგის მისაღწევად, — ეს შრომა ისევე დამოუკიდებელია კაპიტალისაგან. როგორც დამოუკიდებელია მისგან თვით ეს ფორმა, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა კაპიტალისტური გარსი გაგლიჯა. იმის თქმა, რომ ეს შრომა როგორც კაპიტალისტური შრომა, როგორც კაპიტალისტის ფუნქცია, აუცილებელიაო, სხვას არას ნიშნავს, გარდა იმისა, რომ vulgus-ს არ შეუძლია კაპიტალისტური წარმოების წესის წიაღში განვითარებული ფორმები წარმოიდგინოს მათი ანტაგონისტური კაპიტალისტური ხასიათისაგან განცალკევებულად და განთავისუფლებულად. ფულადი კაპიტალისტის მიმართ მრეწველი კაპიტალისტი მუშაა. მაგრამ მუშაა კაპიტალისტის სახით, ე. ი. სხვისი შრომის ექსპლოატატორის სახით. ხელფასი, რომელსაც იგი მოითხოვს და იღებს ამ შრომისათვის, სწორედ ეთანატოლება სხვისი შრომის მითვისებულ რაოდენობას და უშუალოდ, რამდენადაც იგი ექსპლოატაციისთვის საჭირო გარჯას კისრულობს, ამ სხვისი შრომის ექსპლოატაციის ხარისხზეა დამოკიდებული და არა იმ გარჯის ხარისხზე, რადაც მას ეს ექსპლოატაცია უღირს და რაც მას ზომიერი საფასურის მიცემით შეუძლია მმართველს გადააკისროს. ინგლისის საფაბრიკო ოლქებში ყოველი კრიზისის შემდეგ შეგიძლიათ ნახოთ საკმაო რიცხვი ექს-მეფაბრიკეთა, რომელნიც ახლა თავიანთ წინანდელ ფაბრიკებს განაგებენ როგორც მმართველები, და რომელთაც ახალი მე-

საკუთრეები, ხშირად მათივე კრედიტორები[76], დაბალი ხელფასით დაიქირავებდნენ.

მმართველობის ხელფასი, რომელიც სამრეწველო და სავაჭრო მმართველებს ეძლევა, წარმოგვიდგება მეწარმის შემოსავლისაგან სრულიად განცალკევებულად როგორც მუშების კოოპერაციულ ფაბრიკებში, ისე კაპიტალისტურ აქციონერულ საწარმოებში. სამმართველო ხელფასის განცალკევება მეწარმის შემოსავლისაგან, რაც სხვა ვითარებაში შემთხვევითი მოვლენაა, აქ მუდმივ მოვლენას წარმოადგენს. კოოპერაციულ ფაბრიკაში ზედამხედველის შრომა კარგავს თავის ანტაგონისტურ ხასიათს, რადგან მმართველი მუშებისგან იღებს გასამრჯელოს, ნაცვლად იმისა, რომ თვითონ იყოს მათ მიმართ კაპიტალის წარმომადგენელი. საერთოდ აქციონერულ საწარმოებს, რომლებიც კრედიტთან ერთად ვითარდებიან, ტენდენცია აქვთ უფრო და უფრო განაცალკევონ ეს მმართველობის შრომა როგორც ფუნქცია კაპიტალის ფლობისაგან, გინდ საკუთარი იყოს ეს კაპიტალი და გინდ ნასესხები; სრულიად ისე, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარებასთან ერთად სამოსამართლო და საგამგებლო ფუნქციები განცალკევდება მიწათმფლობელობისაგან, რომლის ატრიბუტებსაც ისინი შეადგენენ ფეოდალურ ხანაში. მაგრამ როდესაც, ერთი მხრივ, კაპიტალის მარტოოდენ მესაკუთრეს, ფულად კაპიტალისტს, მოქმედი კაპიტალისტი უდგას პირისპირ, და კრედიტის განვითარებასთან ერთად ეს ფულადი კაპიტალი თვით იღებს საზოგადოებრივ ხასიათს, იგი ბანკებში გროვდება და სესხად გაიცემა ამათგან, და არა უშუალო მესაკუთრეებისგან; როდესაც, მეორე მხრივ, უბრალო მმართველი, რომელიც არავითარი ტიტულის საფუძვლით კაპიტალს არ ფლობს, არც სესხის სახით და არც სხვაგვარად, ყველა რეალურ ფუნქციას ასრულებს, რომელიც წილად უწევს კაპიტალისტს როგორც ასეთს,— მაშინ რჩება მხოლოდ მოსამსახურე, კაპიტალისტი კი, როგორც ზედმეტი პიროვნება, წარმოების პროცესიდან ქრება.

ინგლისის კოოპერაციული ფაბრიკების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშებიდან[77] ჩანს, რომ — მმართველის ხელფასის გამოკლებით

---

[76] ერთ ჩემთვის ცნობილ შემთხვევაში 1868 წლის კრიზისის შემდეგ ერთი გაკოტრებული მეფაბრიკე თავისი წინანდელი მუშების ხელფასიანი დაქირავებული მუშა გახდა, სახელდობრ მისი გაკოტრების შემდეგ ფაბრიკა მუშების ამხანაგობამ აიღო ხელში და წინანდელი პატრონი მმართველად აიყვანა. — ფ. ე.

[77] აქ აღნიშნული ანგარიშების ცნობები აღწევს, დიდი-დიდი, 1864 წლამდე. ჟურნალიდან ტექსტი 1865 წელსაა დაწერილი. — ფ. ე.

რაც დახარჯული ცვალებადი კაპიტალის ნაწილს შეადგენს სწორედ ისე, როგორც დანარჩენი მუშების ხელფასი, — მოგება საშუალო მოგებაზე უფრო დიდი იყო, თუმცა ეს ფაბრიკები ხანდახან უფრო დიდ სარგებელს იხდიდნენ, ვიდრე კერძო მეფაბრიკენი. უფრო მაღალი მოგების მიზეზს ყველა ამ შემთხვევაში შეადგენდა უფრო დიდი ეკონომია მუდმივი კაპიტალის გამოყენებაში. მაგრამ ჩვენ აქ უფრო ის გარემოება გვაინტერესებს, რომ საშუალო მოგება (=სარგებელს+მეწარმის შემოსავალი) ფაქტიურად და თვალსაჩინოდ გამოიხატება როგორც მმართველობის ხელფასისაგან სრულიად დამოუკიდებელი სიდიდე. რადგან აქ მოგება საშუალო მოგებაზე უფრო დიდი იყო. ამიტომ მეწარმის შემოსავალიც ჩვეულებრივზე უფრო დიდი იყო.

იმავე მოვლენას ვხედავთ ზოგ კაპიტალისტურ აქციონერულ საწარმოებშიც, მაგალითად, აქციონერთა ბანკებში (Joint Stock Banks). «London and Westminster Bank»-მა გასცა 1863 წელს 30% წლიური დივიდენდი; «Union Bank of London»-მა და სხვებმა — 15%, მთელ მოგებას აქ, გარდა მმართველების ჯამაგირისა, გამოაკლდება სარგებელი, რომელსაც ანაბრებისთვის იხდიან. მაღალი მოგება აქ აიხსნება იმით, რომ საწარმოებში დაბანდებული კაპიტალი მცირე ოდენობისაა ანაბრებთან შედარებით. მაგალითად, «London and Westminster Bank»-ში 1863 წელს დაბანდებული კაპიტალი შეადგენდა 1 000 000 გირვ. სტერლინგს, ანაბრები — 14 540 275 გირვ. სტერლინგს. «Union Bank of London»-ში 1863 წელს: დაბანდებული კაპიტალი — 600 000 გირვ. სტერლინგს, ანაბრები — 12 384 173 გირვ. სტერლინგს.

მეწარმის შემოსავლის არევა ზედამხედველობის ანუ მმართველობის ხელფასში თავდაპირველად წარმოდგა იმ დაპირისპირებული ფორმიდან, რომელსაც, წინააღმდეგ სარგებლისა, იღებს მოგების ნამეტი სარგებელთან შედარებით. ამ არევამ შემდგომი განვითარება მიიღო იმ აპოლოგეტური მისწრაფების გამო, რომ მოგება დაესახათ არა როგორც ზედმეტი ღირებულება, ე. ი. როგორც გადაუხდელი შრომა, არამედ როგორც თვით კაპიტალისტის ხელფასი მის მიერ შესრულებული შრომისათვის. ამას სოციალისტებმა დაუპირისპირეს მოთხოვნა, რომ მოგება ფაქტიურად ყოფილიყო დაყვანილი იმაზე, რადაც იგი თეორიაში იყო აღიარებული, სახელდობრ უბრალო საზედამხედველო ხელფასზე. და თეორიული შემლამაზებლობის წინააღმდეგ წამოყენებული ეს მოთხოვნა მით უფრო არასასიამოვნო იყო, რაც უფრო ზედამხედველობის ხელფასი, ერთი მხრივ, სამრეწველო

და საკანონო მმართველთა[78] მრავალრიცხოვანი კლასის წარმოქმნასთან ერთად პოულობდა თავის განსაზღვრულ დონეს და თავის განსაზღვრულ საბაზრო ფასს, როგორც ყოველი სხვა ხელფასი · და რაც უფრო ეცემოდა, მეორე მხრივ, ეს ხელფასი, როგორც ყოველი ხელფასი დახელოვნებული შრომისათვის, საერთო განვითარებასთან ერთად, რომელიც დაბლა სწევს სპეციფიკურად გაწვრთნილი სამუშაო ძალის წარმოების ხარჯებს[79]. მუშების მხარეზე კოოპერაციის განვითარებასთან და ბურჟუაზიის მხარეზე აქციონერულ საწარმოთა განვითარებასთან ერთად, მეწარმის შემოსავლის არევას სამმართველო ხელფასში უკანასკნელი საბაბი გამოეცალა ფეხქვეშ, და მოგება პრაქტიკულადაც იმ სახით მოგვევლინა, რაც თეორიულად უცილობელი იყო: როგორც მარტოოდენ ზედმეტი ღირებულება, როგორც ღირებულება, რომლისთვის ეკვივალენტი არაა გადახდილი, როგორც რეალიზებული გადაუხდელი შრომა; ასე რომ მოქმედი კაპიტალისტი ნამდვილად ეწევა შრომის ექსპლოატაციას, და მისი ექსპლოატაციის ნაყოფი, თუ იგი ნასესხები კაპიტალით მუშაობს, იყოფა სარგებლად და მეწარმის შემოსავლად, — მოგების ნამეტად სარგებელთან შედარებით.

კაპიტალისტური წარმოების ბაზისზე აქციონერულ საწარმოებში ვითარდება ახალი თაღლითობა მმართველობის ხელფასის გამო, რადგან ნამდვილი მმართველის გვერდით და მის მაღლა ჩნდება მმართველობისა და კონტროლის მრავალი წევრი, რომელთათვის მმართველობა და კონტროლი სინამდვილეში მხოლოდ აქციონერების გაძარცვისა და თვითგამდიდრების საბაბია. ამის შესახებ საინტერესო დეტალები მოიპოვება შემდეგ წყაროში: «The City or the Physiology of London

---

[78] «მეპატრონენი ისეთივე მუშები არიან, როგორც მათი დღიური მუშები. ამ მხრივ მათი ინტერესი სრულიად იგივეა, რაც მათი მუშებისა. მაგრამ ისინი არიან აგრეთვე კაპიტალისტები ან კაპიტალისტების აგენტები, და ამ მხრივ მათი ინტერესები მკვეთრად უპირისპირდება მუშების ინტერესებს» (გვ. 27). «სწავლა-განათლების ფართოდ გავრცელება ამ ქვეყნის მუშა-მექანიკოსებს (**journeymen mechanics**) შორის იმ პირთა რიცხვის გადიდებით, რომელთაც სპეციალური ცოდნა აქვთ, ამცირებს ყოველდღე თითქმის ყველა მეპატრონისა და მეწარმის შრომისა და დახელოვნების ღირებულებას» (გვ. 30. **Hodgskin**: «**Labour defended against the Claims of Capital etc.**». **London** 1825).

[79] «ტრადიციული ზღუდეების შესუსტებას და სწავლა-განათლების მიღების გაზრდილ გაადვილებას ის ტენდენცია აქვს, რომ შეამციროს კვალიფიციური მუშების ხელფასი, ნაცვლად იმისა, რომ გაადიდოს არაკვალიფიციური მუშების ხელფასი» (**J. St. Mill**: «**Principles of Political Economy**», მე-2 გამოც., **London** 1849, ტ. I, გვ. 479).

Business; with Sketches on Change and the Coffee Houses». London 1845. «თუ რა მოგებას ნახულობენ ბანკირები და ვაჭრები იმის მეოხებით, რომ რვა თუ ცხრა სხვადასხვა კომპანიის გამგეობაში მონაწილეობენ, ამის დანახვა შეიძლება შემდეგი მაგალითიდან: ბ-ნ ტიმოს აბრახემ კერტისის კერძო ბალანსში, რომელიც მან გაკოტრების შემდეგ წარადგინა კომერციულ სასამართლოში, აღნიშნული იყო 800 — 900 გირვ. სტერლინგის შემოსავალი წლიურად იმ რუბრიკის გასწვრივ, სადაც «დირექტორობა» ეწერა. რადგან ბ-ნი კერტისი ინგლისის ბანკისა და ოსტ-ინდოეთის კომპანიის დირექტორი იყო, ყოველი აქციონერული საზოგადოება თავს ბედნიერად თვლიდა, თუ მოახერხებდა იგი თავის დირექტორად ჰყოლოდა» (გვ. 81, 82). ასეთ საზოგადოებათა დირექტორების გასამრჯელო კვირაში ერთი სხდომისთვის სულ ცოტა ერთ გინეას (21 მარკას) უდრის. კომერციულ სასამართლოში საქმეების გარჩევა გვიჩვენებს, რომ ეს საზედამხედველო ხელფასი ჩვეულებრივ პირუკუ შეფარდებაშია ამ ნომინალური დირექტორების მიერ ნამდვილად გაწეულ ზედამხედველობასთან.

თავი ოცდამეოთხე

კაპიტალისტური ურთიერთობის გამოყოფა სარგებელმომტანი კაპიტალის ფორმით

სარგებელმომტან კაპიტალში კაპიტალისტური ურთიერთობა აღწევს თავის უაღრესად გარეგნულ და უაღრესად ფეტიშურ ფორმას. ჩვენ გვაქვს აქ Ფ — Ფ′, ფული, რომელიც მეტ ფულს წარმოშობს, ვვაქვს თვითმზარდი ღირებულება უპროცესოდ, რომელიც ორივე კიდურს მოსაშუალეობს. სავაჭრო კაპიტალში, Ფ — ს — Ფ′, კაპიტალისტური მოძრაობის საყოველთაო ფორმა მაინც არის მოცემული, თუმცა ეს მოძრაობა მიმოქცევის სფეროს არ სცილდება; ამიტომ მოგება წარმოდგენილია უბრალოდ როგორც მარტოოდენ ვასხვისებიდან გამომდინარე, მაგრამ მაინც საზოგადოებრივი ურთიერთობის პროდუქტი და არა უბრალო ნივთის პროდუქტი. სავაჭრო კაპიტალის ფორმა მაინც გამოხატავს პროცესს, დაპირისპირებულ ფაზების ერთიანობას, მოძრაობას, რომელიც ორ დაპირისპირებულ აქტად იყოფა, საქონლის ყიდვად და გაყიდვად. ეს წარხოცილია სარგებელმომტანი კაპიტალის ფორმაში Ფ — Ფ′. თუ, მაგალითად, კაპიტალისტი 1 000 გირვ. სტერლინგს გაასესხებს და სარგებლის განაკვეთი 5%-ს უდრის, მაშინ 1 000 გირვ. სტერლინგის როგორც კაპიტალის ღირებულება 1 წლისთვის $= C + Cz'$, სადაც C კაპიტალია და z' — სარგებლის განაკვეთი; მაშასადამე, აქ $5\% = \frac{5}{100} = \frac{1}{20}$, $1000 + 1000 \times \frac{1}{20} = 1050$ გირვ. სტერლინგს. 1 000 გირვ. სტერლინგის როგორც კაპიტალის ღირებულება = 1 050 გირვ. სტერლ., ე. ი. კაპიტალი არ წარმოადგენს მარტივ სიდიდეს. ეს არის სიდიდეთა შეფარდება, შეფარდება ძირითადი თანხის როგორც მოცემული ღირებულებისა თავის თავთან როგორც თვითმზარდ ღირებულებასთან, როგორც ისეთ ძირითად თანხასთან, რომელმაც ზედმეტი ღირებულება აწარმოვა.

ხოლო, როგორც დავინახეთ, ყველა აქტიურ კაპიტალისტს, — საკუთარი კაპიტალით მოქმედებს იგი თუ ნასესხებით, — კაპიტალი წარმოუდგება, ასეთ უშუალოდ თვითმზარდ ღირებულებად.

Ф — Ф′: ჩვენ აქ გვაქვს კაპიტალის თავდაპირველი ამოსავალი პუნქტი, ფორმულის — Ф — ს — Ф′ — ფული, დაყვანილი ორ კიდურზე, Ф — Ф′-ზე, სადაც Ф′ = Ф + ΔФ, ე. ი ფული მეტ ფულს ქმნის. ეს არის უაზრო რეზიუმედ შემოკლებული კაპიტალის თავდაპირველი და საყოველთაო ფორმულა. ესაა მზამზარეული კაპიტალი, წარმოების პროცესისა და მიმოქცევის პროცესის ერთიანობა, და ამიტომ განსაზღვრულ პერიოდში განსაზღვრული ზედმეტი ღირებულების მომცემი. სარგებელმომტანი კაპიტალის ფორმაში ეს ვლინდება უშუალოდ, წარმოების პროცესისა და მიმოქცევის პროცესის მოსაშუალეობის გარეშე. კაპიტალი სარგებლის, თავისი საკუთარი გადიდების იდუმალ და თვითშემქმნელ წყაროდ გვეჩვენება. ნ ი ვ თ ი (ფული, საქონელი, ღირებულება) ახლა როგორც უბრალო ნივთი უ კ ვ ე კაპიტალია, და კაპიტალი წარმოგვიდგება როგორც უბრალო ნივთი; ერთობლივი კვლავწარმოების შედეგი გვეჩვენება როგორც თავისთავად ნივთის კუთვნილი თვისება; ფულის, ე. ი. მუდამ გაცვლის უნარმქონე ფორმაში მყოფი საქონლის, მფლობელზეა დამოკიდებული, დახარჯავს იგი მას როგორც ფულს, თუ გაასესხებს როგორც კაპიტალს. სარგებელმომტან კაპიტალში წმინდად არის ჩამოყალიბებული ეს ავტომატური ფეტიში, თვითმზარდი ღირებულება, ფულის მჩეკელი ფული, და ამ ფორმაში მას თავისი წარმოშობის არავითარი კვალი აღარ ამჩნევია. საზოგადოებრივი ურთიერთობა დასრულებულ სახეს იღებს როგორც გარკვეული ნივთის, ფულის ურთიერთობა თავის თავთან. ნაცვლად ფულის ნამდვილი გადაქცევისა კაპიტალად, აქ მოჩანს ამ გადაქცევის მხოლოდ უშინაარსო ფორმა. როგორც სამუშაო ძალის შემთხვევაში, ფულის სახმარი ღირებულება აქ მდგომარეობს მის უნარში — წარმოშვას ღირებულება, უფრო დიდი ღირებულება, ვიდრე მასში არის მოქცეული. ფული როგორც ასეთი უკვე პოტენციურად წარმოადგენს მზარდ ღირებულებას, და როგორც ასეთი გაიცემა სესხად, რაც ამ თავისებური საქონლის გაყიდვის ფორმაა. ღირებულების წარმოშობა, სარგებლის მოტანა ისეთივე თვისება ხდება ფულისთვის, როგორც მსხლის მოსხმა მსხლის ხისთვის. და როგორც ასეთ სარგებელმომტან ნივთს ყიდის ფულის გამსესხებელი თავის ფულს. მაგრამ ეს არ ქმარა, როგორც დავინახეთ, ნამდვილად მოქმედი კაპიტალიც ისე წარმოგვიდგება, თითქოს იგი სარგებელს იძლევა არა

როგორც მოქმედი კაპიტალი, არამედ როგორც კაპიტალი თავისთავად. როგორც ფულადი კაპიტალი.

დამახინჯებულია შემდეგი ურთიერთობაც: მაშინ როდესაც სარგებელი მხოლოდ ნაწილია მოგების, ე. ი. ზედმეტი ღირებულების, რომელსაც მოქმედი კაპიტალისტი მუშას გამოსწურავს, ახლა სარგებელი, პირიქით, გვეჩვენება როგორც კაპიტალის საკუთარი ნაყოფი, როგორც თავდაპირველი მოვლენა, ხოლო მოგება, ახლა მეწარმის შემოსავლის ფორმად გარდაქმნილი, — უბრალოდ როგორც კვლავწარმოების პროცესში დანატებით შემავალი აქსესუარი და დანართი. აქ მზადაა კაპიტალის ფეტიშური ფორმა და წარმოდგენა კაპიტალ-ფეტიშზე. Ф—Ф′-ში ჩვენ გვაქვს კაპიტალის ირაციონალური, წარმოებითი ურთიერთობის უალრესად დამახინჯებული და განივთებული ფორმა: ფორმა, რომელიც სარგებელს იძლევა, კაპიტალის მარტივი ფორმა, რომელშიაც იგი თავისი საკუთარი კვლავწარმოების პროცესის წანამძღვარს შეადგენს; ჩვენ გვაქვს ფულის. resp. [შესაბამის.] საქონლის უნარი საკუთარი ღირებულების გადიდებისა კვლავწარმოებისაგან დამოუკიდებლად, — კაპიტალის მისტიფიკაციის უკიდურესი ფორმა.

ვულგარული ეკონომიისთვის, რომელსაც სურს კაპიტალი ღირებულების, ღირებულების შექმნის დამოუკიდებელ წყაროდ წარმოგვიდგინოს, ეს ფორმა, რასაკვირველია, ნამდვილი განძია, ისეთი ფორმაა, რომელშიც მოგების წყარო ველარ გამოიცნობ და სადაც კაპიტალისტური წარმოების პროცესის შედეგი — თვით პროცესისაგან განცალკევებულად — დამოუკიდებელ არსებობას იღებს.

მხოლოდ ფულადი კაპიტალის ფორმით არის კაპიტალი საქონლად ქცეული, რომლის ღირებულების თვითზრდის თვისებას გარკვეული ფასი აქვს, რაც სარგებლის განაკვეთით აღინიშნება თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში.

როგორც სარგებელმომტანი კაპიტალი, და სახელდობრ თავის უშუალო ფორმაში როგორც სარგებელმომტანი ფულადი კაპიტალი (სარგებელმომტანი კაპიტალის სხვა ფორმები, რომლებიც ჩვენ აქ არ გვაინტერესებს, კვლავ ამ ფორმიდან გამოიყვანება და მას გულისხმობს), კაპიტალი იღებს თავის წმინდა ფეტიშურ ფორმას: Ф — Ф′, როგორც სუბიექტი, როგორც ნივთი, რომელიც შეიძლება გაიყიდოს. ჯ ე რ-ე რ თ ი: ეს ხდება მისი ფულის ფორმით მუდმივი მყოფობის გამო, ისეთი ფორმით, რომელშიაც ყველა მისი განსაზღვრულობა წარხოცილია და მისი რეალური ელემენტები არ მოჩანს. ფული ხომ ის ფორმაა, რომელშიაც საქონელთა როგორც სახმარ ღირებულებათა განსხვავება წარხოცილია და ამიტომ წარხოცილია აგრეთვე

განსხვავება სამრეწველო კაპიტალებს შორის, რომლებიც ამ საქონელთაგან და მათი წარმოების პირობებისგან შედგება; ფული, — ესაა, ფორმა, რომელშიაც ღირებულება,—აქ კი კაპიტალი, — არსებობს როგორც თავისთავადი საცვლელი ღირებულება. კაპიტალის კვლავწარმოების პროცესში ფულადი ფორმა წარმავალი ფორმაა, უბრალო გარდამავალი მომენტია. ფულის ბაზარზე, პირიქით, კაპიტალი მუდამ ამ ფორმაში არსებობს. — მ ე ო რ ე: კაპიტალის მიერ აქ კვლავ ფულის ფორმით შექმნილი ზედმეტი ღირებულება ისე გვეჩვენება, თითქოს მისი როგორც ასეთის კუთვნილება იყოს. გვეჩვენება, თითქოს ფულადი ფორმით არსებული კაპიტალისათვის ფულის შობა (τόκος) ისეთივე დამახასიათებელი თვისება იყოს, როგორც ხეებისათვის ზრდა.

სარგებელმომტან კაპიტალში კაპიტალის მოძრაობა შეკვეცილია: მოსაშუალე პროცესი გამოტოვებულია, და ამგვარად კაპიტალი, რომელიც=1 000-ს, ფიქსირებულია როგორც ნივთი, რომელიც თავისდათავად = 1 100-ს და გარკვეულ პერიოდში გადაიქცევა 1 100-ად, მსგავსად იმისა, როგორც გარკვეული დროის მანძილზე სარდაფში გაჩერებული ღვინო აუმჯობესებს თავის სახმარ ღირებულებას. კაპიტალი ახლა ნივთია, მაგრამ როგორც ნივთი იგი — კაპიტალია. ფულში დაისადგურა ახლა რაღაც ძალამ [«Das Geld hat jetzt Lieb im Leibe»]. რაკი იგი გასესხებულია ანდა კვლავწარმოების პროცესშია დაბანდებული (რამდენადაც იგი სარგებელს აძლევს მოქმედ კაპიტალისტს როგორც თავის მესაკუთრეს, მეწარმის შემოსავლის გარდა), მისი სარგებელი იზრდება დღე და ღამ, ძინავს მის პატრონს თუ ღვიძავს, შინ არის თუ მგზავრობაშია. ამრიგად, სარგებელმომტანი ფულადი კაპიტალი (და ყოველი კაპიტალი თავისი ღირებულებითი გამოსახულებით ფულადი კაპიტალია ან ითვლება ახლა ფულადი კაპიტალის გამოსახულებად) ახორციელებს განძის დამგროვებლის ტკბილ ოცნებას.

აი, ფულად კაპიტალთან სარგებლის ეს, ასე ვთქვათ, ერთ ნივთად შეზრდა (სწორედ ასე წარმოგვიდგება აქ ზედმეტი ღირებულების წარმოება კაპიტალის მიერ) აქვს უმთავრესად ლუთერს მხედველობაში მევახშეობის წინააღმდეგ მიმართული თავისი გულუბრყვილო განგაშის დროს. მას შემდეგ, რაც მან მოგვითხრო, რომ სარგებლის გადახდევინება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულ ვადაზე სესხის გადაუხდელობის გამო ზარალი მოსდის გამსესხებელს, რომელმაც თავის მხრივ სხვას უნდა გადაუხადოს, ან თუ ამ მიზეზით ეკარგება მოგება, რომელსაც მიიღებდა, მაგალითად, ბაღის ყიდვით, იგი განაგრძობს: «იმისთვის, რომ ის (100 გულდენი) გასესხე, ორმაგი ზარალი

უნდა ამინაზღაუროო. იმიტომ რომ მე აქ არ შემიძლია გადავიხადო, იქ არ შემიძლია ვიყიდო და ამგვარად ორივე შემთხვევაში განვიცდი ზარალს, რასაც ეწოდება: duplex interesse, damni emergentis et lucri cessantis [ორმაგი ზარალი, წარმომდგარი დანაკარგიდან და ხელიდან წასული სარგებლობიდან]... გაუგიათ რა, რომ ვიღაც ჰანსს თავისი ასი გულდენის გასესხების გამო ზარალი განუცდია და ამ თავისი ზარალის სამართლიან ანაზღაურებას თხოულობს, ისინი სარგებლობენ უხეშად ამ შემთხვევით და თვითეულ ას გულდენზე უმატებენ ორმაგი ზარალის ანაზღაურებას, გადაუხდელობის ზარალისა და ბაღის უყიდველობის ზარალისას, თითქოს ას გულდენს ბ უ ნ ე ბ ი თ შ ე ზ რ დ ი ლ ი ჰ ქ ო ნ დ ე ს ა ს ე თ ი ო რ მ ა გ ი ზ ა რ ა ლ ი ს ა ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ ა, ასე რომ როდესაც ასი გულდენი ხელთ აქვთ, გასცემენ მას და ანგარიშობენ მასზე ორმაგ ზარალს, რომელიც მათ სრულიადაც არ განუცდიათ... ამიტომ შენ მევახშე ხარ, რომელიც შენი მოყვასის ფულით ინაზღაურებ შენ მიერვე გამოგონილ ზარალს, რაც შენთვის არავის მოუყენებია და რომლის არც დამტკიცება შეგიძლია, არც გამოანგარიშება. ასეთ ზარალს იურისტები უწოდებენ non verum. sed phantasticum interesse, — ესაა ზარალი, რომელსაც თვითეული შეთხზავს თავის შეხედულებისამებრ... ამგვარად, არ უნდა ითქვას: შეიძლებოდა ზარალი მიმეღო იმის გამო, რომ ვერ გადავიხდიდი ან ვერ ვიყიდიდიო. სხვანაირად ეს ნიშნავს: ex contingente necessarium-ს, — იმისგან, რაც არ არის, იმის შექმნას, რაც უნდა იყოს, უცნობი საგნის უცილობელ საგნად გადაქცევას. ასეთმა მევახშეობამ ხომ არ უნდა შთანთქას ქვეყნიერება რამდენიმე წელიწადში?.. შემთხვევითი უბედურება ეწვევა გამსესხებელს, მისდა უნებურად, და იგი თითქოს უნდა გასწორდეს, მაგრამ ვაჭრობაში პირიქით ხდება და სულ წინააღმდეგ; და, აი ეძიებენ და თხზავენ ზარალს გაჭირვებული მოყვასის ხარჯზე, უნდათ ასე მოიხვეჭონ და გამდიდრდნენ, რათა სიზარმაცესა და უსაქმობაში ატარონ სხვების შრომის ხარჯზე ბედოვლათი და ბრწყინვალე ცხოვრება, უზრუნველად, უშიშრად და უზიანოდ; ღუმელთან ვიჯდე და ჩემს ას გულდენს ქვეყნად ვამონაგრებდე, და დარწმუნებული ვიყო, რომ, რადგან ეს გასესხებული ფულია, მაინც ჩემს ქისაში მოვა ყოველგვარი ხიფათისა და ზრუნვის გარეშე, — ჩემო საყვარელო, ვინ იტყვის ამაზე უარს?»(M. Luther: «An die Pfarherrn wider den Wucher zu predigen etc.». Wittenberg 1540).

წარმოდგენამ კაპიტალზე, როგორც ისეთ ღირებულებაზე, რომელიც თვითონ ახდენს თავისავე კვლავწარმოებას და კვლავწარმოებაში იზრდება, როგორც ღირებულებაზე, რომელიც მარად შეინახება და

იზრდება მისი თანდაყოლილი თვისების მეოხებით, — ე. ი. იდუმალ• თვისების გამო, რომელზედაც სქოლასტიკოსები ლაპარაკობდნენ, — ამ წარმოდგენამ დ-რ პრაისი მიიყვანა საარაკო გამონაგონამდე, რაც გაცილებით აღემატება ალქიმიკოსების ფანტაზიებს; გამონაგონამდე, რომელიც პიტს სერიოზულად სჯეროდა და რომელიც მან თავის კანონებში sinking fund-ის [სახელმწიფო ვალების დასაფარავი ფონდის] შესახებ თავისი ფინანსური მეურნეობის დედაბოძად აქცია.

«ფული, რომელსაც სარგებელზე სარგებელი მოაქვს, დასაწყისში• ნელა იზრდება; მაგრამ რადგან ზრდის ტემპი სულ უფრო და უფრო ჩქარდება, ამიტომ იგი რამდენიმე ხნის შემდეგ ისე სწრაფი ხდება, რომ ყოველ წარმოსახვას აღემატება. ერთი პენი, ჩვენი მაცხოვრის დაბადების დროს 5%-ად სარგებელზე სარგებლით გასესხებული, ახლა უკვე ისეთ თანხად გაიზრდებოდა, რომელიც გადააჭარბებდა 150 მილიონი დედამიწის სფერო რომ წმინდა ოქროსგან ჩამოესხათ. მაგრამ იგივე პენი, მარტივი სარგებლით გასესხებული, იმავე დროისთვის მხოლოდ 7 შილინგ და 4½ პენსამდე გადიდდებოდა. დღევანდლამდე ჩვენი მთავრობა ამ უკანასკნელი გზით სარგებლობდა თავისი ფინანსების გასაუმჯობესებლად, ნაცვლად იმისა, რომ პირველით ესარგებლნა» [80].

---

[80] **Richard Price: «An Appeal to the Public on the subject of the National Debt»**, მე-2 გამოც., **London 1774** [გვ. 18 და შემდ.]. იგი გულუბრყვილოდ ენამახვილობს: «ადამიანმა ფული უნდა ისესხოს მარტივი სარგებლით, რათა გადიდოს იგი რთული სარგებლით გასესხების გზით». (იხ. **R. Hamilton: «An Inquiry into the Rise and Progress of the National Debt of Great Britain»**, მე-2 გამოც., **Edinburg** 1814, გვ. 133.) ფულის სესხება კერძო პირებისთვისაც გამდიდრების უტყუარი საშუალება იქნებოდა. მაგრამ თუ მე, მაგალითად, 100 გირვ. სტერლინგს 5% წლიური სარგებლით ვასესხულობ, — წლის ბოლოს მე უნდა გადავიხადო 5 გირვ. სტერლ., და თუ ვიგულისხმებთ, რომ ეს სესხი აღებულია 100 მილიონი წლის ვადით, მე ამ ხნის განმავლობაში ყოველ წელს მხოლოდ იმავე 100 გირვ. სტერლინგის გასესხება შემეძლება და ასევე ყოველ წელს 5 გირვ. სტერლ. უნდა გადავიხადო. ამ გზით მე ვერასოდეს ვერ შევძლებ, 100 გირვ. სტერლ. მიღებისას, სესხად გავცე 105 გირვ. სტერლინგი, და რა წყაროდან უნდა გადავიხადო 5%? ახალი სესხიდან, ან, თუ მე სახელმწიფო ვარ, გადასახადებიდან. მაგრამ თუ მრეწველი კაპიტალისტი იღებს სესხად, იგი — ვთქვათ, 15% მოგების არსებობისას — 5%-ს გაიხდის სარგებელში, 5%-ს მოიხმარს (თუმცა მისი მადა მატულობს მის შემოსავალთან ერთად) და 5%-ს კაპიტალად აქცევს. ამრიგად, უკვე 15% მოგება იგულისხმება იმისათვის, რომ მუდამ 5% სარგებლის გადახდა შეიძლებოდეს. თუ პროცესი გაგრძელდა, მოგების ნორმა, უკვე აღნიშნული მიზეზების გამო, დაბლა დაიწევს, ვთქვათ, 15%-იდან 10%-დე. მაგრამ პრაისი სრულიად ივიწყებს, რომ 5%-იანი სარგებელი 15%-იან მოგების ნორმას გულისხმობს, და მას ძალაში ტოვებს კაპიტალის დაგროვების დროსაც. მას საერთოდ საქმე არა აქვს დაგროვების

კიდევ უფრო მაღლა დაფრინავს იგი თავის «Observations on reversionary payments etc.»-ში. London 1772: «ერთი შილინგი, ჩვენი მაცხოვრის დაბადების დღეს (ე. ი. ალბათ, იერუსალიმის ტაძარში), «6%-ად სარგებელზე სარგებლით გასესხებული, უფრო დიდ ოქროს თანხად გაიზრდებოდა, ვიდრე ბურთად ქცეული მზის მთელი სისტემა იქნებოდა, რომლის დიამეტრი სატურნის ორბიტს გაუტოლდებოდა». — «ამიტომ სახელმწიფო არასოდეს არ ჩავარდება გაჭირვებულ მდგომარეობაში, რადგან სულ მცირე დანაზოგით მას შეუძლია უდიდესი ვალი გადაიხადოს ისე მოკლე დროში, როგორც ამას მისი ინტერესი მოითხოვს» (გვ. XIII, XIV). რა საუცხოო თეორიული შესავალია ინგლისის სახელმწიფო ვალისთვის!

პრაისი დააბრმავა უბრალოდ იმ კოლოსალურმა რიცხვმა, რომელიც გეომეტრიული პროგრესიიდან წარმოდგება. რადგან იგი კაპიტალს განიხილავდა კვლავწარმოებისა და შრომის პირობების მხედველობაში მიუღებლად, განიხილავდა როგორც თვითმოქმედ ავტომატს, როგორც უბრალო თვითმზარდ რიცხვს (სწორედ ისე, როგორც მალთუსი ადამიანს განიხილავდა თავისი გეომეტრიული პროგრესიით),—მას შეეძლო ეოცნებინა, რომ კაპიტალის ზრდის კანონი იპოვა შემდეგ ფორმულაში: $s = c\ (1+z)^n$, სადაც s = კაპიტალის თანხას+სარგებლის სარგებელი, c = ავანსებულ კაპიტალს, z = სარგებლის განაკვეთს (100-ის სათანადო ნაწილებით გამოხატულს) და n შეადგენს წელთა რიცხვს, რომელთა მანძილზე პროცესი მიმდინარეობს.

პიტი სრულიად სერიოზულად იღებს დ-რ პრაისის მისტიფიკაციას. 1786 წელს თემთა პალატამ დაადგინა, 1 მილიონი გირვ. სტერლ. უნდა მოიკრიბოს მთავრობის სახელმწიფო ვალის საჭიროებისთვისო. პრაისის თანახმად, რომლისაც პიტს სჯეროდა, რასაკვირველია, იმაზე უკეთესი არა შეიძლებოდა რა, რომ ხალხი დაებეგრათ, რათა ასე მოკრებილი თანხა «დაეგროვებიათ» და ამგვარად სახელმწიფო ვალი მოეშორებინათ სარგებელზე სარგებლის საიდუმლოების საშუალებით. «თემთა პალატის ამ რეზოლუციას მალე მოჰყვა პიტის წინადადებით მიღებული კანონი, რომელმაც დაადგინა 250 000 გირვ. სტერლინგის დაგროვება მანამდე, სანამ ამგვარად შემდგარი ფონდი, განთავისუფლებულ მთელსიცოცხლივ რენტასთან ერთად არ მოიტანდა 4 000 000

ნამდვილ პროცესთან, მისი საქმეა მხოლოდ ფულის გასესხება, რათა ეს ფული სარგებელზე სარგებლით უკან ბრუნდებოდეს. თუ როგორ ხდება ეს, — მისთვის სულ ერთია, ვინაიდან ეს ხომ სარგებელმომტანი კაპიტალის თანდაყოლილი თვისებაა.

გირვ. სტერლინგს წლიურად» (აქტი 26, გეორგ III-ისა, თავი 31). 1792 წელს წარმოთქმულ სიტყვაში, რომელშიაც პიტი დაფარვის ფონდად გაჰკუთვნილი თანხის გადიდების წინადადებას იძლეოდა, იგი აღნიშნავდა ინგლისის სავაჭრო უპირატესობის მიზეზებს: მანქანებს, კრედიტს და სხვ., მაგრამ როგორც «ყველაზე უფრო ფართოდ მოქმედ და მუდმივ მიზეზს — დაგროვებას. ეს პრინციპი სავსებით განვითარებულია და საკმაოდ განმარტებულია სმიტის — ამ გენიოსის — ნაწარმოებში... კაპიტალების ეს დაგროვება განხორციელდება მით, რომ წლიური მოგების ნაწილი მაინც შემოინახება ძირითადი თანხის გასადიდებლად, რომელიც მომდევნო წელში იმავე წესით გამოიყენება და ასე განუწყვეტლივ მოგებას მოიტანს. ამრიგად, დ-რ პრაისის დახმარებით სმიტის დაგროვების თეორია პიტმა გარდაქმნა თეორიად ხალხის გამდიდრებისა ვალების დაგროვების გზით, და იგი ამ სასიამოვნო დასკვნამდე მიდის: სესხთა და კიდევ სესხთა უსასრულო ზრდა სესხთა გადასახდელად.

უკვე ჯოზაია ჩაილდის, თანამედროვე ბანკირების მამამთავრის, ნაწერში ჩვენ ვკითხულობთ, რომ «100 გირვ. სტერლ., 10%-ად სარგებელზე სარგებლით გაცემული, 70 წელიწადში 102 400 გირვ. სტერლინგს წარმოშობდა» («Traité sur le commerce etc. par J. Child, traduit etc.». Amsterdam et Berlin 1754, გვ. 115. დაწერილია 1669 წელს).

თუ ზოგჯერ როგორ მოუფიქრებლად გამოსჭვივის თანამედროვე ეკონომისტებში დ-რ პრაისის შეხედულება, ამას გვიჩვენებს «Economist»-ის შემდეგი ადგილი: «კაპიტალი, რთული სარგებლით კაპიტალის თვითეულ დანაზოგ ნაწილზე, იმდენად ყოვლისშთანმთქმელია, რომ მსოფლიოს მთელი სიმდიდრე, საიდანაც შემოსავალი გამომდინარეობს, უკვე დიდი ხანია კაპიტალის სარგებლად არის გადაქცეული... ყოველი რენტა ახლა გადახდაა იმ კაპიტალის სარგებლისა, რომელიც უწინ იყო ადგილმამულში დაბანდებული» («Economist», 19 ივლისი 1859 წ.) კაპიტალს, რომელსაც ის თვისება აქვს, რომ სარგებელი მოაქვს, ეკუთვნის მთელი სიმდიდრე, რომლის წარმოებაც საერთოდ შესაძლებელია, და ყველაფერი, რაც დღემდე მას მიუღია, ეს არის მხოლოდ განაწილვადებული გადახდა მისი ყოვლისშთანმთქმელი მადისთვის. მისი თანდაყოლილი კანონების თანახმად, მას ეკუთვნის მთელი ზედმეტი შრომა, რომლის მოცემა ოდესმე შეუძლია ადამიანთა მოდგმას. მოლოხი.

დასასრულ, «რომანტიკული» მიულერის კიდევ ერთი აბდაუბდა. «დ-რ პრაისის მიერ აღწერილი კოლოსალური ზრდა სარგებლისა სარ-

გებელზე, ანუ ადამიანთა თვითამჩქარებელ ძალთა ზრდა, რათა ამ უზარმაზარ მოქმედებას ადგილი ჰქონდეს, გულისხმობს განუყოფელ და შეუწყვეტელ ერთგვაროვან წესრიგს მრავალი საუკუნის განმავლობაში. როგორც კი კაპიტალი დანაწილდება, დაიყოფა მრავალ ცალკეულ შტოდ, რომლებიც ზრდას განაგრძობენ, — აქ აღწერილი ძალთა დაგროვების ერთობლივი პროცესი ხელახლა იწყება. ბუნებამ ძალის ზრდა გაანაწილა დაახლოებით 20 — 25 წლის ხანგრძლივობის ცალ-ცალკე პერიოდზე, რომელიც საშუალოდ მოდის თვითეულ ცალკეულ მუშაზე (!). ამ პერიოდის განვლის შემდეგ მუშა თავს ანებებს თავის ასპარეზს, და მაშინ მან შრომის სარგებელზე სარგებლით მიღებული კაპიტალი უნდა გადასცეს ახალ მუშას, უმეტეს შემთხვევაში უნდა გაანაწილოს იგი რამდენიმე მუშასა ან ბავშვს შორის. ამათ, ვიდრე მისგან სარგებელზე სარგებელს მიიღებდნენ, ჯერ უნდა ისწავლონ რომ სული შთაბერონ იმ კაპიტალს, რომელიც მათ ხვდა წილად, და გამოიყენონ იგი. შემდეგ ის ვეება კაპიტალი, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება მოიპოვებს, მეტად მოძრავ საზოგადოებრივ ორგანიზმებშიც კი, თანდათან გროვდება მრავალი წლის განმავლობაში და უშუალოდ შრომის გასაფართოებლად არ გამოიყენება, არამედ, პირიქით, როგორც კ რამდენადმე მნიშვნელოვანი თანხა შედგება, იგი სესხის სახელწოდებით გადაეცემა სხვა ინდივიდებს, მუშას, ბანკს, სახელმწიფოს, რის შემდეგ მიმღები, მოიყვანს რა კაპიტალს ნამდვილ მოძრაობაში, იღებს მისგან სარგებელზე სარგებელს და ადვილად შეუძლია იკისროს გამსესხებლისთვის მარტივი სარგებლის გადახდა. ბოლოს, ადამიანთა ძალისა და მათი პროდუქტის იმ საოცარ ზრდას, რასაც ადგილი ექნებოდა, თუ მხოლოდ წარმოების ან დამზოგველობის კანონი იქნებოდა ძალაში, წინააღმდეგობას უწევს ადამიანის ბუნებაში ესოდენ ღრმად ჩანერგილი მოხმარების, სურვილის ან გაფლანგვის კანონი» (A. Müller: «Elemente der Staatskunst», 1809, ნაწ. III, გვ. 147 — 149).

შეუძლებელია სულ რამდენიმე სტრიქონში ამაზე მეტი აბდაუბდა მოჩმახოს ადამიანმა. თუ არას ვიტყვით მუშისა და კაპიტალისტის სასაცილო არევის შესახებ, სამუშაო ძალის ღირებულებისა და კაპიტალის სარგებლის არევის შესახებ და სხვ., სარგებელზე სარგებლის მიღება თურმე იმით უნდა აიხსნას, რომ კაპიტალი სესხად გაიცემა იმ მიზნით, რომ სარგებელზე სარგებელი მოიტანოს. ჩვენი მიულერის მეთოდი დამახასიათებელია ყველა დარგის რომანტიკოსებისთვის. მის შინაარსს შეადგენს საგანთა უაღრესად ზედაპირულ გარეგნობაზე დამყარებული ყოველდღიური ცრუაზრი. ეს მცდარი და ტრივიალუ-

რი შინაარსი უნდა «აამაღლოს» და პოეტური გაზადოს გადმოცემის მისტიფიცირებულმა მანერამ.

კაპიტალის დაგროვების პროცესი მხოლოდ იმდენად შეიძლება დავსახოთ როგორც სარგებელზე სარგებლის დაგროვება, რამდენადაც მოგების (ზედმეტი ღირებულების) ნაწილს, რომელიც კაპიტალად უკუგარდაიქმნება, ე. ი. ახალი ზედმეტი შრომის გამოწოვას ემსახურება, სარგებელი შეიძლება ეწოდოს. მაგრამ:

1) თუ ყველა შემთხვევითი ხასიათის ხელშემშლელ მომენტს მხედველობის გარეშე დავტოვებთ, არსებული კაპიტალის დიდი ნაწილი მუდამ მეტნაკლებ გაუფასურდება კვლავწარმოების პროცესში, იმიტომ რომ საქონელთა ღირებულება განისაზღვრება არა იმ სამუშაო დროით, რადაც თავდაპირველად ღირს მათი წარმოება, არამედ იმ სამუშაო დროით, რადაც მათი კვლავწარმოება ღირს, ეს სამუშაო დრო კი შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განვითარების გამო მუდამ კლებულობს. ამიტომ საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მთელი არსებული კაპიტალი წარმოგვიდგება არა როგორც კაპიტალის დაგროვების ხანგრძლივი პროცესის შედეგი, არამედ როგორც კვლავწარმოების შედარებით მეტად მოკლე პერიოდის შედეგი [81].

2) როგორც ამ წიგნის III განყოფილებაში იყო ნაჩვენები, მოგების ნორმა კლებულობს კაპიტალის დაგროვების ზრდისა და მის შესაბამისად შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალის გადიდების მიხედვით, რაც გამოსახულებას პოულობს სწორედ კაპიტალის ცვალებადი ნაწილის მზარდ შეფარდებითს შემცირებაში მუდმივ ნაწილთან შედარებით. თუ მუდმივი კაპიტალი, რომელიც ერთ მუშას მოჰყავს მოძრაობაში, გაათკეცდება, მაშინ მოგების იმავე ნორმის საწარმოებლად აუცილებელი იქნებოდა ზედმეტი სამუშაო დროის გაათკეცება და მალე ამისთვის აღარ იკმარებდა მთელი სამუშაო დღე, დღეღამის 24 საათიც კი, თუნდაც რომ კაპიტალს ეს დრო მთლიანად მიეთვისებინა. პრაისის პროგრესიას კი და საერთოდ «რთული სარგებლით ყოვლისშთამნთქმელ კაპიტალს» საფუძვლად ის წარმოდგენა უდევს, რომ მოგების ნორმა არ მცირდება [82].

---

[81] იხ. მილი და კერი, აგრეთვე გაუგებლობაზე დამყარებული ამის კომენტარი როშერისა.

[82] «ცხადია... არავითარ შრომას, არავითარ მწარმოებლურ ძალას, არავითარ გონებაგამჭრიახობას და ხელოვნებას არ შეუძლია დაკმაყოფილოს რთული სარგებლის ყოვლისშთამნთქმელი მოთხოვნები. მაგრამ ყოველი დანაზოგი შედგება კაპიტალისტის შემოსავლიდან, ასე რომ სინამდვილეში ეს მოთხოვნა მუდამ წამოყენე-

ზედმეტი ღირებულებისა და ზედმეტი შრომის იგივეობით კაპიტალის დაგროვებისათვის თვისებრივი ზღუდე იქმნება: მ თ ე ლ ი ს ა მ უ შ ა ო დ ღ ე, მწარმოებლური ძალებისა და მოსახლეობის არსებული განვითარება, რაც საზღვარს უდებს სამუშაო დღეების რიცხვს, რომელთა იმავდროული გამოყენება საექსპლოატაციოდ შესაძლებელია. თუ, პირიქით, ზედმეტი ღირებულება აღებულია სარგებლის ირაციონალური ფორმით, მაშინ საზღვარი მხოლოდ რაოდენობრივია და კაპიტალის დაგროვება ყოველ ფანტაზიას აღემატება.

მაგრამ სარგებელმომტან კაპიტალში კაპიტალ-ფეტიშის წარმოდგენა დასრულებულია; წარმოდგენა, რომელიც დაგროვილ შრომის პროდუქტს, და თან კიდევ ფულის სახით ფიქსირებულს, მიაწერს იმ ძალას, რომ იგი, თანდაყოლილი იდუმალი თვისების წყალობით, როგორც წმინდა ავტომატი, ზედმეტ ღირებულებას წარმოშობს გეომეტრიული პროგრესიით, ასე რომ შრომის ამ დაგროვილმა პროდუქტმა «Economist»-ის აზრით, უკვე დიდი ხანია დისკონტი გაუკეთა ქვეყნიერების ყველა სიმდიდრეს ყველა დროისთვის, როგორც მისადმი კუთვნილს და ნარგუნებს. წარსული შრომის პროდუქტი, თვით წარსული შრომა აქ თავისდათავად ფეხმძიმეა ახლანდელი თუ სამერმისო ცოცხალი ზედმეტი შრომის ნაწილით. მაგრამ ჩვენ ვიცით, პირიქით, რომ, ნამდვილად წარსული შრომის პროდუქტთა ღირებულების შენარჩუნება და ამდენადვე კვლავწარმოებაც მ ხ ო ლ ო დ ცოცხალ შრომასთან მათი კონტაქტის შედეგია; და, მეორე, რომ წარსული შრომის პროდუქტთა მბრძანებლობა ცოცხალ ზედმეტ შრომაზე მხოლოდ მანამდე გრძელდება, ვიდრე არსებობს კაპიტალისტური ურთიერთობა, — განსაზღვრული სოციალური ურთიერთობა, სადაც წარსული შრომა დამოუკიდებლად უპირისპირდება ცოცხალ შრომას და იმორჩილებს მას.

ბულია და შრომის მწარმოებლური ძალა ვერასოდეს ვერ აკმაყოფილებს მას. «მიტომ ერთგვარი წონასწორობა (balance) ყოველთვის ირღვევა» («Labour Defended against the Claims of Capital» [London 1825], გვ. 23, — ჰოდსკინის წიგნი).

თავი ოცდამეხუთე

კრედიტი და ფიქციური კაპიტალი.

დაწვრილებითი ანალიზი კრედიტის და იმ იარაღებისა, რომლებსაც იგი ქმნის თავისთვის (საკრედიტო ფული და სხვ.), ჩვენ გეგმაში არ შედის. აქ უნდა აღვნიშნო მხოლოდ რამდენიმე პუნქტი, რომლებიც აუცილებელია საერთოდ კაპიტალისტური წარმოების წესის დასახასიათებლად. ამავე დროს ჩვენ საქმე გვექნება მხოლოდ კომერციულ და საბანკირო კრედიტთან. კავშირი ამ კრედიტის განვითარებასა და საჯარო კრედიტის განვითარებას შორის ჩვენი განხილვის ფარგლებს გარეთ რჩება.

მე წინათ (წიგნი 1, თავი III, 3, b) ცხადვყავი, თუ როგორ ვითარდება მარტივი საქონელმიმოქცევიდან ფულის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქცია და ამით მყარდება მევალისა და მოვალის ურთიერთობა საქონელმწარმოებელთა და საქონლით მოვაჭრეთა შორის. ვაჭრობისა და კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებასთან ერთად, წესისა, რომელიც მხოლოდ მიმოქცევის გათვალისწინებით ეწევა წარმოებას, საკრედიტო სისტემის ეს ბუნებრივი საფუძველი ფართოვდება, საყოველთაო მნიშვნელობას იღებს, ვითარდება. საერთოდ და მთლიანად ფული აქ მოქმედებს მარტოოდენ როგორც გადახდის საშუალება, ე. ი. საქონელი გაიყიდება არა ფულზე, არამედ განსაზღვრულ ვადაში გადახდის წერილობითი დაპირების საფუძველზე. ყველა ასეთი გადახდის ვალდებულება ჩვენ შეგვიძლია, სიმოკლისათვის, თამასუქთა საერთო კატეგორიაში მოვაქციოთ. ასეთი თამასუქები მათი ვადის გასვლამდე და გადახდის დღის დადგომამდე, თავის მხრივ, თვით მიმოქცევიან როგორც გადახდის საშუალებანი; ისინი შეადგენენ საკუთრივ სავაჭრო ფულს. რამდენადაც საბოლოოდ მათი ურთიერთგაბათილება ხდება მოთხოვნისა და ვალის გაწონასწორებისას, ისინი მოქმედებენ აბსოლუტურად ისე, როგორც ფული, ვინაიდან ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს საბოლოო გადაქცევას ფულად. როგორც მწარმოებლებისა და ვაჭრების ეს საურთიერთო ავანსებანი

ერთმანეთს შორის კრედიტის საკუთრივ საფუძველს შეადგენს, ასევე მათი მიმოქცევის იარაღი, თამასუქი. შეადგენს საკუთრივ საკრედიტო ფულის, ბანკნოტების და სხვ. საფუძველს. ამ უკანასკნელებს საფუძვლად აქვთ არა ფულის მიმოქცევა, ლითონის ფული იქნება ეს თუ სახელმწიფო ქაღალდის ფული, არამედ თამასუქების მიმოქცევა.

W. Leatham-ი (ბანკირი იორშკირში): **«Letters on the Currency»**, მე-2 გამოც. **London** 1840: «მე ვფიქრობ, რომ თამასუქების საერთო ჯამი მთელი 1839 წლისთვის 528 493 842 გირვ. სტერლინგს შეადგენდა» (უცხოეთის თამასუქების ჯამს იგი მთელი **რაოდენობის** დაახლოებით $^1/_5$-ად ანგარიშობს), «**ხოლო** იმავე წელს იმავდროულად მიმოქცევაში მყოფი თამასუქების ჯამი — 132 123 460 გირვ. სტერლინგს» (გვ. 56). — «თამასუქების ჯამი უფრო დიდი შემადგენელი ნაწილია მიმოქცევისა, ვიდრე ყველა სხვა ნაწილი, ერთად აღებული» (გვ. 3). — «თამასუქებისგან შემდგარი ეს კოლოსალური ზედნაშენი დამყარებულია (!) იმ საფუძველზე, რომელსაც ბანკნოტებისა და ოქროს თანხა შეადგენს, და თუ მოვლენათა მსვლელობაში ეს საფუძველი მეტისმეტად შევიწროვდა, საფრთხეში ვარდება ზედნაშენის სიმტკიცე და მისი არსებობაც კი» (გვ. 8). — «თუ ვივარაუდებთ მთელ მიმოქცევას» (იგი გულისხმობს ბანკნოტებს) «და ყველა ბანკის ვალდებულებათა თანხას, რომელთა დაუყოვნებლივ ნაღდად გადახდის მოთხოვნა შეიძლება, მაშინ, ჩვენი ანგარიშით, მივიღებთ ჯამს 153 მილიონს, რომლის გადაქცევა ოქროდ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს კანონის თანახმად, ხოლო ოქრო ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მოიპოვება 14 მილიონის რაოდენობით» (გვ. 11). — «თამასუქების დაყენება კონტროლქვეშ არ შეიძლება, თუ იმას არ ვიანგარიშებთ, რომ დაბრკოლება შეექმნება ჭარბ ფულს და დაბალ სარგებელს ანუ დისკონტს, რომელიც წარმოშობს თამასუქთა ნაწილს და იმპულსს აძლევს მათს დიდ და სახიფათო გავრცელებას. შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რამდენი თამასუქი წარმოდგება ნამდვილი გარიგებიდან, მაგალითად, ნამდვილი ყიდვიდან და გაყიდვიდან, და მათი რა ნაწილი არის ხელოვნურად შექმნილი (fictitious) და მხოლოდ ბრინჯაოს თამასუქებისგან შედგება, ე. ი. ისეთებისაგან, რომლებიც უნდა შეენაცვლოს უკვე გაცემულებს ვადის დადგომისას და ამგვარად უბრალო მიმოქცევის საშუალების შექმნის გზით ფიქციური კაპიტალი შეიქმნას. მე ვიცი, რომ ფულის სიუხვისა და იაფობის ხანებში ეს პრაქტიკა კოლოსალურად ვრცელდება» (გვ. 43, 44). — **J. W. Bosanquet** «**Metallic. Paper and Credit Currency**». **London** 1842: «**Clearing house**-ში [ანგარიშგასწორების პალატაში] (სადაც ლონდონის ბანკირები ერთმანეთს უცვლიან გადახდილ ჩეკებს და ვადადამდგარ თამასუქებს) ყოველ სავაჭრო დღეს შესრულებულ გადასახდელთა საშუალო ჯამი შეადგენს 3 მილიონ. გირვ. სტერლინგზე მეტს, ხოლო ამისთვის საჭირო ყოველდღიური ფულის მარაგი ცოტათი აღემატება 200 000 გირვ. სტერლინგს» (გვ. 86) | 1889 წელს **clearing house**-ის მთელი ბრუნვა შეადგენდა 7 618$^3/_4$ მილიონ გირვ. სტერლინგს, ანუ, მრგვალი რიცხვით, 300 სავაჭრო დღეში საშუალოდ 25$^1/_2$ მილიონს ყოველდღიურად. — ფ. ე. | «თამასუქები წარმოადგენენ უცილობლად მიმოქცევის საშუალებას (**currency**), ფულისგან დამოუკიდებლად, რამდენადაც ისინი საკუთრებას გადასცემენ ხელიდან ხელში ინდოსამენტის (გადაცემითი წარწერის) საშუალებით» (გვ. 92, 93). «საშუალოდ შეიძლება მივიღოთ, რომ მიმოქცევაში მყოფ თვითეულ თამასუქს, ორი ინდოსამენტი აქვს და რომ საშუალოდ თვითეული თამასუქი ვადის გასვლამდე ორ გადასახდელს ფარავს. ამის

მიხედვით, როგორც ეტყობა, 1839 წლის განმავლობაში მარტო ინდოსამენტების საფუძველზე თამასუქების საშუალებით გადაცემულ იქნა საკუთრება ორჯერ 528 მილიონი, ე. ი. 1 056 მილიონი გირვ. სტერლინგის ღირებულებისა, 3 მილიონზე მეტი ყოველდღიურად. ამიტომ უეჭველია, რომ თამასუქები და ანაბრები, ერთად აღებული, ხელიდან ხელში საკუთრების გადაცემის გზით და ფულის დაუხმარებლად დღეში არანაკლებ 18 მილიონი გირვ. სტერლინგის თანხისა ფულის ფუნქციებს ასრულებენ» (გვ. 93).

საერთოდ კრედიტის შესახებ ტუკი შემდეგს ამბობს: «თავისი უმარტივესი გამოსახულებით კრედიტი წარმოადგენს კარგად თუ ცუდად დასაბუთებულ ნდობას, რომლის გამო ერთი პირი მეორეს ანდობს კაპიტალის გარკვეულ თანხას, ფულის სახით ან გარკვეული ფულადი ღირებულებით შეფასებული საქონლის სახით, თანხას, რომელიც განსაზღვრული ვადის გასვლისას ყოველთვის უკან დასაბრუნებელია. თუ კაპიტალი ფულის სახით გაიცემა სესხად, ე. ი. ბანკნოტებით, ან ნაღდი კრედიტით, ან კორესპონდენტზე გზავნილებით, — მაშინ კაპიტალით სარგებლობისათვის დასაბრუნებელ თანხას მიემატება ამდენი და ამდენი პროცენტი. როდესაც კრედიტი გაიცემა საქონლით, რომლის ფულად ღირებულებას დადგენენ გარიგების მონაწილენი და რომლის გადაცემა გაყიდვას ნიშნავს, დადგენილი თანხა, რომელიც გადასახდელია, შეიცავს ანაზღაურებას კაპიტალით სარგებლობისთვის და იმ რისკისთვის, რომელსაც კრედიტის გამცემი კისრულობს გადახდის ვადის დადგომამდე. წერილობითი გადახდის ვალდებულებანი გადახდის განსაზღვრული ვადით მეტწილად ასეთი კრედიტისთვის გაიცემა. ეს ვალდებულებანი, ანუ პრომესები, რომელთა ხელიდან ხელში გადაცემა შესაძლებელია, შეადგენენ საშუალებას, რომლითაც კრედიტორებს, თუ მათ შემთხვევა აქვთ გამოიყენონ თავიანთი კაპიტალი ფულის ან საქონლის სახით, შეუძლიათ ამ თამასუქების ვადის გასვლამდე უფრო იაფად ისესხონ ან იყიდონ, ვინაიდან მათ საკუთარ კრედიტს მეტი სიმაგრე ეძლევა იმ მეორე პირის კრედიტით, რომელსაც ხელი უწერია თამასუქზე» (**Tooke: Inquiry into the Currency Principle**», გვ. 87).

Ch. **Coquelin**: «**Du Crédit et des Banques dans l'Industrie**», «**Revue des deux Mondes**» 1842, ტ. XXXI [გვ. 797]: «ყოველ ქვეყანაში საკრედიტო გარიგებათა უმრავლესობას ადგილი აქვს თვით სამრეწველო ურთიერთობათა სფეროში... ნედლეულის მწარმოებელი ავანსად აძლევს ამ ნაწარმს გადამმუშავებელ მეფაბრიკეს და იღებს მისგან გადახდის ვალდებულების ხელწერილს გადახდის განსაზღვრული ვადით. მეფაბრიკე, თავისი ნაწილი სამუშაოს შესრულების შემდეგ, თავის მხრივ, ასეთივე პირობებით ავანსად აძლევს თავის პროდუქტს სხვა მეფაბრიკეს, რომელმაც იგი შემდგომ უნდა გადაამუშაოს, შეასრულოს, და ამგვარად კრედიტი უფრო და უფრო ვრცელდება, ერთი პირიდან მეორეზე თვით მომხმარებლამდე. პითუმად მოვაჭრე საქონლით აძლევს კრედიტს ცალობით მოვაჭრეს, ხოლო თვით იგი ასეთ კრედიტს იღებს მეფაბრიკისაგან ან კომისიონერისაგან. თვითეული პირი სესხულობს ერთი ხელით და ასესხებს მეორე ხელით, ხანდახან ფულს, გაცილებით უფრო ხშირად კი პროდუქტებს. ამ გზით ხორციელდება სამრეწველო საქმეებში განუწყვეტელი სესხთა გაცვლა, რომელთა კომბინირება და გადაჯვარედინება ყველა მიმართულებით ხდება. სწორედ ამ საურთიერთო სესხთა გამრავლებაში და ზრდაში შდგომარეობს კრედიტის განვითარება და აქ არის მისი ძლიერების ნამდვილი სამყოფელი ადგილი».

საკრედიტო საქმის მეორე მხარე დაკავშირებულია ფულით ვაჭრობის განვითარებასთან, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებაში, რასაკვირველია, საქონლით ვაჭრობის განვითარების პარალელურად მიმდინარეობს. წინა განყოფილებაში (თავი XIX) ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ იყრის თავს ფულით მოვაჭრეთა ხელში კომერსანტთა სარეზერვო ფონდების შენახვის, ფულის მიღებისა და გაცემის და საერთაშორისო გადასახდელთა ტექნიკური ოპერაციები და ამასთან ერთად ზოდებით ვაჭრობა. ფულით ამ ვაჭრობასთან დაკავშირებით ვითარდება საკრედიტო საქმის მეორე მხარე, — სარგებელმომტანი კაპიტალის ანუ ფულადი კაპიტალის გამგებლობა როგორც ფულით მოვაჭრეთა განსაკუთრებული ფუნქცია. ფულის სესხება და გასესხება მათ განსაკუთრებულ საქმიანობად იქცევა. ისინი გამოდიან შუამავლებად ფულადი კაპიტალის ნამდვილ გამსესხებელთა და მსესხებელთა შორის. თუ ზოგადად ვიტყვით, ბანკირის საქმიანობა ამ მხრივ იმაში მდგომარეობს, რომ გასესხებული ფულადი კაპიტალი თავის ხელში დააგროვოს დიდი რაოდენობით, ასე რომ მრეწველ და ვაჭარ კაპიტალისტებს ფულის ცალკეული გამსესხებლის ნაცვლად ბანკირები უდგანან პირისპირ როგორც ყველა ფულის გამსესხებელთა წარმომადგენელნი. ისინი ხდებიან ფულადი კაპიტალის საერთო მმართველები. მეორე მხრივ, ისინი გამსესხებელთა პირისპირ ერთად უყრიან თავს მსესხებლებს, რადგან მთელი მოვაჭრე ქვეყნიერებისთვის სესხულობენ. ბანკი წარმოადგენს. ერთი მხრივ, ფულადი კაპიტალის, გამსესხებელთა ცენტრალიზაციას, მეორე მხრივ, — მსესხებელთა ცენტრალიზაციას. მისი მოგება საერთოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი უფრო დაბალი სარგებლით სესხულობს, ვიდრე ასესხებს.

გასასესხებელი კაპიტალი, რომელიც ბანკების განკარგულებაშია, მათთან მოედინება მრავალგვარი გზით. უწინარეს ყოვლისა, რადგან ისინი მრეწველი კაპიტალისტების მოლარეებს წარმოადგენენ, მათ ხელში თავს იყრის ფულადი კაპიტალი, რომელსაც თვითეული მწარმოებელი და ვაჭარი ინახავს როგორც სარეზერვო ფონდს, ან რომელიც მას შემოუდის გადასახდელთა სახით. ეს ფონდები, ამგვარად, გასასესხებელ ფულად კაპიტალად გადაიქცევა. ამით მოვაჭრე ქვეყნიერების სარეზერვო ფონდი, რადგან მისი საზოგადოებრივი კონცენტრაცია ხდება, დაიყვანება აუცილებელ მინიმუმამდე და ფულადი კაპიტალის ნაწილი, რომელიც სხვა შემთხვევაში სარეზერვო ფონდის სახით უმოქმედო იქნებოდა, სესხად გაიცემა, მოქმედებს როგორც სარგებელმომტანი კაპიტალი. მეორე, — ბანკების გასასესხებელი კაპიტალი იქმნება ფულად კაპიტალისტთა ანაბრებისგან, რომლებსაც ეს

უკანასკნელნი ბანკებს გადასცემენ გასასესხებლად. საბანკო სისტემის განვითარებასთან ერთად, სახელდობრ, როგორც კი ბანკები ანაბრებში სარგებლის გადახდას იწყებენ, ამ დაწესებულებებში შეიტანება ყველა კლასის ფულადი დანაზოგი და დროებით უმოქმედოდ მყოფი ფული. პატარა თანხები, რომლებიც ცალ-ცალკე თავისთავად ვერ იმოქმედებენ ფულადი კაპიტალის სახით, ერთიანდება დიდ მასებად და ამგვარად წარმოიქმნება ფულის ძალა. პატარა თანხების ეს დაგროვება, როგორც საბანკო სისტემის განსაკუთრებული შედეგი, უნდა განვასხვავოთ ამ სისტემის საშუამავლო როლისგან, რომელსაც იგი ასრულებს საკუთრივ ფულად კაპიტალისტებსა და მსესხებლებს შორის. დასასრულ, ბანკებში შედის ანაბრის სახით აგრეთვე შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია თანდათანობით მოხმარებისათვის.

დაკრედიტება (ჩვენ აქ საქმე გვაქვს საკუთრივ სავაჭრო კრედიტთან) ხდება თამასუქების დისკონტირების გზით — ვადის დადგომამდე მათი ფულად გადაქცევით — და სხვადასხვა ფორმით სესხის გაცემით: სესხის გაცემით პირადი კრედიტის საფუძველზე, სალომბარდო სესხის გაცემით სარგებლიან ქაღალდებზე, სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე, ყოველგვარ აქციებზე, განსაკუთრებით კი სატვირთო ბარათებზე, დოკის ვარანტებზე და სხვა დამოწმებულ დოკუმენტებზე, საქონლის საკუთრების უფლების შესახებ, სესხის გაცემით ანაბრების გირაოს ქვეშ და სხვ.

კრედიტი კი, რომელსაც ბანკირი იძლევა, შეიძლება სხვადასხვა ფორმით გაიცეს, მაგალითად, თამასუქებით სხვა ბანკების სახელზე, ჩეკებით მათზევე, იმგვარივე კრედიტის გახსნით, დასასრულ, იმ ბანკების მხრივ, რომელთაც ბანკნოტების გამოშვების უფლება აქვთ, — ბანკის საკუთარი ბანკნოტებით. ბანკნოტი სხვა არაფერია, თუ არა ბანკირის თამასუქი, რომლითაც წარმდგენს ყოველ მომენტში შეუძლია მიიღოს ფული და რომლითაც ბანკირი შეცვლის კერძო თამასუქებს. კრედიტის ეს უკანასკნელი ფორმა განსაკუთრებით საოცრად და მნიშვნელოვნად ეჩვენება საქმის უცოდინარს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამგვარი საკრედიტო ფული უბრალო სავაჭრო მიმოქცევიდან გადადის საყოველთაო მიმოქცევაში და აქ მოქმედებს როგორც ფული; აგრეთვე იმიტომ, რომ მეტწილ ქვეყნებში ბანკნოტების გამოშვებ მთავარ ბანკებს, რომელნიც ნაციონალური ბანკისა და კერძო ბანკის უცნაურ ნარევს წარმოადგენენ, სინამდვილეში თავის უკან ნაციონალური კრედიტი უდგათ და მათი ბანკნოტები მეტნაკლებად კანონიერ გადახდის საშუალებას წარმოადგენენ; იმიტომ, რომ აქ ცხადი ხდება შემდეგი: ის, რითაც ბანკირი ვაჭრობს, თვით კრედიტია, ვინაიდან

ბანკნოტი წარმოადგენს მხოლოდ მიმოქცევაში მყოფ საკრედიტო ნიშანს. მაგრამ ბანკირი ვაჭრობს ყველა სხვა ფორმის კრედიტითაც, მაშინაც კი, როცა იგი მასთან ანაბრად შეტანილ ფულს ნაღდად გაასესხებს. სინამდვილეში ბანკნოტი წარმოადგენს მხოლოდ მონეტას საბითუმო ვაჭრობისათვის, მთავარი მნიშვნელობა კი ბანკებისათვის ანაბრებს აქვთ. ამის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს შოტლანდიის ბანკები წარმოადგენენ.

ჩვენი მიზნისათვის საჭირო არაა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ განსაკუთრებული საკრედიტო დაწესებულებანი, ისევე როგორც ბანკების განსაკუთრებული ფორმები.

«ბანკირებს ორგვარი საქმე აქვთ... 1) კაპიტალის შ ე გ რ ო ვ ე ბ ა იმათგან, ვინც მას უშუალოდ არ იყენებს და განაწილება და გადაცემა მათზე, ვისაც მისი გამოყენება შეუძლია. 2) თავისი მუშტრების შ ე მ ო ს ა ვ ლ ი დ ა ნ ანაბრების მიღება და შემტანთათვის იმ თანხების გადახდა, რომლებიც მათ მოხმარების მიზნით დასაბარჯავად ესაჭიროებათ. პირველია კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მიმოქცევა, მეორე — ფ უ ლ ი ს მიმოქცევა (currency)». — «პირველი არის კაპიტალის კონცენტრაცია, ერთი მხრივ, და მისი განაწილება, მეორე მხრივ; მეორეა ფულის მიმოქცევის რეგულირება ოქროს ადგილობრივი საჭიროებისათვის». **Tooke: «Inquiry into the Currency Principle»**, გვ. 36, 37. ჩვენ ამ ადგილს დაუბრუნდებით XXVIII თავში.

«Reports of Committees», ტ. VIII. **«Commercial Distress»**, ტ. II, ნაწ. 1, 1847/48. ჩვენებათა ოქმები. — (შემდგომი ციტირების დროს აღნიშნავთ როგორც: **«Commercial Distress»**-ს 1847/48). ორმოციან წლებში თამასუქების დისკონტის დროს ლონდონში უამრავ შემთხვევაში ბანკნოტების ნაცვლად იღებდნენ ერთი ბანკის თამასუქებს მეორე ბანკის სახელზე 21 დღის ვადით. (ჯონ პიზის, პროკინციელი ბანკირის, ჩვენება, № 4636 და 4645.) იმავე ანგარიშის თანახმად, ბანკირებს ჩვეულებად ჰქონდათ, ფულის ნაკლებობისას, თავიანთი მუშტრებისათვის ასეთი თამასუქების რეგულარულად მიცემა გადასახდელთა გასასტუმრებლად. თუ მიმღებს ბანკნოტები უნდოდა, მას ხელახლა უნდა მოეხდინა ამ თამასუქის დისკონტი. ამრიგად, ბანკებმა თითქოს ფულის კეთების პრივილეგია მოიპოვეს. ბ-ნები ჯონსი, ლოიდი და კომპ. ამ წესით იხდიდნენ «უხსოვარი დროიდან», როგორც კი ფული შემცირდებოდა და სარგებლის განაკვეთი 5%-ზე მაღლა აიწევდა. მუშტარი ხალისით იღებდა ასეთ საბანკო თამასუქებს, იმიტომ რომ ჯონსის, ლოიდის და კომპ-ის თამასუქების დისკონტირება უფრო ადვილი იყო, ვიდრე თავისი საკუთარი თამასუქების; ამასთან ეს თამასუქები ხშირად 20 — 30 ხელში გაივლიდა (იქვე №№ 901 — 904, 905, 992).

ყველა ეს ფორმა იმას ემსახურება, რომ შესაძლებელი გახადოს გადასახდელის მიღების უფლების გადაცემა. «არ არსებობს კრედიტის თითქმის არც ერთი ისეთი ფორმა, რომლითაც მას დროდადრო ფულის ფუნქციის შესრულება არ უხდებოდეს; ბანკნოტი წარმოადგენს ამ ფორმას, თამასუქი, თუ ჩეკი, — პროცესი არსებითად იგივე რჩება და შედეგიც არსებითად იგივეა». **F u l l a r t o n: «On the Regulation of Currencies»**, მე-2 გამოც., **London** 1845, გვ. 38. — «ბანკნოტები კრედიტის წვრილი ფულია» (გვ. 51).

შემდგომი ადგილი აღებულია **J. W. Gilbart**-ის წიგნიდან: **«The History and Principles of Banking»**, **London** 1834: «ბანკის კაპიტალი ორი ნაწილისაგან შედ-

გება: ძირითადი კაპიტალისაგან (invested capital) და საბანკო კაპიტალისგან (banking capital), რომელიც სესხად არის აღებული (გვ. 117). «საბანკო ანუ ნასესხები კაპიტალი სამი გზით მიიღება: 1) ანაბრების მიღებით, 2) საკუთარი ბანკნოტების გამოშვებით, 3) თამასუქების გაცემით. თუ ვინმე დათანხმდა 100 გირვ. სტერლ. უსასყიდლოდ მასესხოს და მე ეს 100 გირვ. სტერლ. სხვას 4%-ის კვალობაზე ვასესხე, მაშინ წლის განმავლობაში ამ ოპერაციით 4 გირვ. სტერლინგს მოვიგებ. ასევე, თუ ვინმე თანახმაა მიიღოს ჩემგან გადახდის დაპირება (I promise to pay — მე გპირდებით გადაეიხადო — ჩვეულებრივი ფორმულაა ინგლისური ბანკნოტის) და წლის ბოლოს იგი დამიბრუნოს და ამისთვის 4% გადამიხადოს, თითქოს მისთვის 100 გირვ. სტერლ. მესესხებიოს, — მაშინაც მე ამ ოპერაციით 4 გირვ. სტერლინგს მოვიგებ; და, კიდევ, თუ ვინმემ სადმე პროვინციულ ქალაქში 100 გირვ. სტერლ. გადმომცა იმ პირობით, რომ 21 დღის შემდეგ მე ეს თანხა მესამე პირს ლონდონში გადაეუხადო, ის სარგებელი, რომლის მიღებასაც მოვახერხებ ამ ფულიდან ამ დროის განმავლობაში, ჩემი მოგება იქნება. ეს არის არსებითად რეზიუმე ბანკის ოპერაციებისა და იმ გზის, რომლითაც საბანკო კაპიტალი შეიქმნება ანაბრების, ბანკნოტებისა და თამასუქების საშუალებით» (გვ. 117). «ბანკირის მოგება საერთო წესით მისი ნასესხები ანუ საბანკო კაპიტალის პროპორციულია. რათა ბანკის ნამდვილი მოგება განვსაზღვროთ, საჭიროა მთელ მოგებას გამოვაკლოთ სარგებელი ძირითად კაპიტალზე. ნაშთი შეადგენს ბანკის მოგებას» (გვ. 118). «ბ ა ნ კ ი რ ი თ ა ვ ი ს ნ უ შ ტ რ ე ბ ს ს ხ ვ ი ს ი ფ უ ლ ი თ ა ძ ლ ე ვ ს ს ე ს ხ ს» (გვ. 146). «სწორედ ის ბანკირები, რომლებიც ბანკნოტების გამომშვებნი არ არიან, საბანკო კაპიტალს ქმნიან თამასუქების დისკონტირების გზით. ისინი თავიანთ ანაბრებს ადიდებენ თავიანთი სადისკონტო ოპერაციების საშუალებით. ლონდონის ბანკირები მხოლოდ იმ ფირმებისთვის ახდენენ დისკონტს, რომელთაც მათთან ანაბრების ანგარიში აქვთ» (გვ. 119). «იმ ფირმამ, რომელმაც თავის ბანკში თამასუქების დისკონტი მოახდინა და ამ თამასუქების მთელ თანხაზე სარგებელი გადაიხადა, ამ თანხის ნაწილი მაინც ბანკის ხელში უნდა დატოვოს სარგებლის მიუღებლად. ამ გზით ბანკირი გასესხებულ ფულში უფრო მაღალ სარგებელს იღებს, ვიდრე მიმდინარე სარგებლის განაკვეთია. და მის ხელში დარჩენილი ნაშთის საშუალებით ქმნის თავისთვის საბანკო კაპიტალს» (გვ. 120). — სარეზერვო ფონდების, ანაბრების, ჩეკების ეკონომია: «სადეპოზიტო ბანკები კლიენტების კრედიტის გადატანის გზით მიმოქცევის საშუალების ეკონომიას ეწევიან და დიდი თანხის ოპერაციებს ასრულებენ ნამდვილი ფულის მცირე თანხით. ასე განთავისუფლებულ ფულს ბანკირი გამოიყენებს თავისი კლიენტებისთვის სესხის მისაცემად დისკონტის საშუალებით და სხვ. ამიტომ კლიენტების კრედიტის გადატანა აძლიერებს სადეპოზიტო სისტემის მოქმედებას» (გვ. 123). «სულ ერთია, ორივე კლიენტს, რომელნიც ერთმანეთთან საქმიან ურთიერთობაში არიან, თავიანთი ანგარიში ერთსა და იმავე ბანკირთან აქვთ თუ სხვადასხვა ბანკირთან; იმიტომ რომ ბანკირები ერთმანეთს უცვლიან თავიანთ ჩეკებს clearing house-ში. კრედიტის გადატანის საშუალებით შეიძლებოდა სადეპოზიტო სისტემა იმდენად განეითარებულიყო, რომ ლითონის ფულის ხმარებას სრულიად განდევნიდა. თვითეულს, რომ მიმდინარე ანგარიში ბანკში ჰქონდეს და ყველა თავის გადასახდელს ჩეკებით ისტუმრებდეს, მაშინ ჩეკი ერთადერთი მიმოქცევის საშუალება იქნებოდა. ამ შემთხვევაში უნდა გვეგულისხმნა, რომ ფული ბანკირების ხელში იმყოფება, თორემ უამისოდ ჩეკებს არავითარი ფასი არ ექნებოდა» (124). ადგილობრივი მიმოქცევის ცენტრალიზაცია ბანკების ხელში ხორციელდება: 1) ფილიალი ბანკების საშუალებით. პროვინციულ ბანკებს განყოფილებები აქვთ თავისი ოლქის პატარა ქალაქებში;

ლონდონის ბანკებს — ქალაქის სხვადასხვა უბანში. 2) აგენტურის საშუალებით. «ყოველ პროვინციულ ბანკს აგენტი ჰყავს ლონდონში, რათა იქ გადახდა აწარმოოს თავისი ბანკნოტების ან თამასუქებისათვის, მიიღოს ფული, რომელსაც ლონდონის მცხოვრებნი შეიტანენ პროვინციაში მცხოვრებ პირთა ანგარიშზე» (გვ. 127). თვითეული ბანკირი მეორის ბანკნოტებს ხელში ჩაიგდებს და აღარ გასცემს მათ. თვითეულ მოდიდო ქალაქში ისინი კვირაში ერთხელ შეიკრიბებიან და ერთმანეთს გაუცვლიან ბანკნოტებს; ნაშთი გადაიხდება ჩეკით ლონდონზე (გვ. 134). «ბანკების დანიშნულებაა კომერციულ გარიგებათა გაადვილება. ყველაფერი, რაც კომერციას აადვილებს, აადვილებს სპეკულაციასაც. კომერცია და სპეკულაცია ბევრ შემთხვევაში ისე მჭიდროდაა ერთიმეორესთან დაკავშირებული, რომ ძნელი სათქმელია, სად თავდება კომერცია და სად იწყება სპეკულაცია... ყველგან, სადაც ბანკები მოიპოვება, კაპიტალის მიღება უფრო ადვილად და უფრო იაფად შეიძლება. კაპიტალის სიიაფე ხელს უწყობს სპეკულაციას, როგორც ხორცისა და ლუდის სიიაფე ხელს უწყობს ღორმუცლობისა და ლოთობას» (გვ. 137, 138). «რადგან ის ბანკები, რომელნიც საკუთარ ბანკნოტებს გამოუშვებენ, ყოველთვის ამ ბანკნოტებით იხდიან, ამიტომ შეიძლება ისე გვეჩვენოს, თითქოს მათი სადისკონტო ოპერაციები მხოლოდ და მხოლოდ იმ კაპიტალთ სრულდება, რომელიც ამ გზით არის მიღებული; მაგრამ ეს ასე არაა. ბანკირს შეუძლია, რასაკვირველია, ყველა მის მიერ დისკონტირებულ თამასუქში თავისი საკუთარი ბანკნოტებით გადაიხადოს, მაგრამ მაინც მის მფლობელობაში მყოფი თამასუქების $^{9}/_{10}$ ნამდვილ კაპიტალს წარმოადგენს. იმიტომ, რომ, თუმცა თვითონ მან ამ თამასუქებში თავისი საკუთარი ქაღალდის ფული გასცა, მაინც აუცილებელი არაა, რომ ეს ფული მიმოქცევაში დარჩეს თამასუქების ვადის გასვლამდე. შეიძლება თამასუქების ვადის გასვლამდე სამი თვე იყოს, ბანკნოტები კი შეიძლება სამი დღის შემდეგ დაუბრუნდეს მას» (გვ. 172). «ანგარიშის დაფარვა კლიენტების მიერ ნორმალური საქმიანი ოპერაციაა. სინამდვილეში ამ მიზნისთვისაა, რომ ნაღდი კრედიტის გარანტიას იძლევიან... ნაღდი კრედიტები უზრუნველყოფილია არა მარტო პირადი გარანტიით, არამედ აგრეთვე ფასიანი ქაღალდების გადაცემით» (გვ. 174, 175). საქონლის გირაოს ქვეშ გასესხებული კაპიტალი ისევე მოქმედებს, როგორც თამასუქების დისკონტის გზით გასესხებული კაპიტალი. თუ ვინმე 100 გირვ. სტერლინგს სესხად იღებს და მას თავისი საქონლით უზრუნველყოფს. ეს იგივეა, რომ მას ეს საქონელი 100 გირვ. სტერლინგის თამასუქში გაეყიდა და ბანკირთან ამ თამასუქის დისკონტირება მოუხდინა. მაგრამ სესხი მას შესაძლებლობას აძლევს თავისი საქონელი შეაჩეროს, ვიდრე ბაზარზე უკეთესი მდგომარეობა დადგება და აიცილოს მსხვერპლი, რომლის გაწევა მას მოუხდებოდა გადაუდებელი საქმეებისთვის საჭირო ფულის მოსაპოვებლად» (გვ. 180, 181).

«The Currency Theory Reviewed ets.». [Edinburgh 1845], გვ. 62, 63: «უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ ის 1 000 გირვ. სტერლინგი, რომელიც მე დღეს ანაბრად შევიტანე A-სთან, ხვალ ისევ გაცემული იქნება და ანაბრად შეიტანება B-სთან. ზეგ იგი, B-ს მიერ ისევ გაცემული, ანაბრად შეიტანება C-სთან, და ასე გაგრძელდება უსასრულოდ. მაშასადამე, ერთი და იგივე 1 000 გირვ. სტერლ. ფული შეიძლება მთელ რიგ გადაცემათა გზით ანაბრების ისეთ თანხად გადიდდეს, რომლის განსაზღვრაც სრულიად შეუძლებელია. ამიტომ შესაძლებელია, რომ ყველა ანაბრის ცხრა მეათედი ინგლისში არსებობს მხოლოდ ბანკირების დავთრების საბუღალტრო რუბრიკებში; ამ ბანკირთაგან თვითეული თავის თავს თვლის თავისი წილის მესაკუთრედ... ასე, მაგალითად, შოტლანდიაში, სადაც მიმოქცევაში მყოფი ფული» (რომელიც თითქმის

მხოლოდ ქაღალდის ფულისგან შედგება!) «არასოდეს არ აღემატება 3 მილიონ გირვ. სტერლინგს, ანაბრები 27 მილიონს შეადგენს. სანამ ანაბრების საყოველთაო, უეცარი უკუმოთხოვნა (a run on the banks) დაიწყება, იმავე 1 000 გირვ. სტერლინგს, იმგზავრებს რა იქით-აქეთ, ისევე ადვილად შეუძლია იგივე განუსაზღვრელი თანხა დაფაროს. რადგან ის 1 000 გირვ. სტერლინგი, რომლითაც მე დღეს ვალს ვუხდი ვაჭარს, ხვალ დაფარავს ამ უკანასკნელის ვალს მეორე ვაჭრის მიმართ, ხოლო ზეგ ვალს ბანკის მიმართ, და ასე შემდგომ დაუსრულებლად, ამიტომ ერთ და იმავე 1 000 გირვ. სტერლინგს შეუძლია ხელიდან ხელში და ბანკიდან ბანკში გადასვლა და ანაბართა წარმოუდგენლად დიდი თანხის დაფარვა».

როგორც დავინახეთ, ჯილბერტმა უკვე 1834 წელს იცოდა, რომ «ყველაფერი, რაც კომერციას აადვილებს, აადვილებს სპეკულაციასაც; კომერცია და სპეკულაცია ბევრ შემთხვევაში ისე მჭიდროდაა ერთიმეორესთან დაკავშირებული, რომ ძნელი სათქმელია, სად თავდება კომერცია და სად იწყება სპეკულაცია». რაც უფრო ადვილია სესხის მიღება გაუყიდავი საქონლის გირაოს ქვეშ, მით უფრო მეტი სესხი აიღება, მით უფრო დიდია ცთუნება საქონლის წარმოების გაძლიერებისა ან უკვე წარმოებულ საქონელთა გადასროლისა შორეულ ბაზარზე, რათა მათს გირაოს ქვეშ სესხის აღება შეიძლებოდეს. თუ როგორ შეიძლება ქვეყნის მთელი სააღებმიცემო სფერო მოიცვას ასეთმა ციებცხელებამ და თუ რით დასრულდება იგი შემდეგ, ამის მკაფიო მაგალითს იძლევა ინგლისის ვაჭრობის ისტორია 1845 — 1847 წლებში. აქ ჩვენ ვხედავთ, თუ რა შეუძლია მოიმოქმედოს კრედიტმა. შემდეგი მაგალითების ახსნა-განმარტებისათვის წინასწარ მხოლოდ რამდენიმე მოკლე შენიშვნა.

1842 წლის დასასრულს შესუსტება იწყო იმ დეპრესიამ, რომელიც 1837 წლიდან დაწყებული თითქმის განუწყვეტლივ მძიმე ტვირთად აწვა ინგლისის მრეწველობას. შემდგომ ორ წელიწადში უცხოეთის მოთხოვნა ინგლისის სამრეწველო პროდუქტებზე კიდევ უფრო გადიდდა; 1845 — 46 წლები უმაღლესი აყვავების პერიოდი იყო. 1843 წელს საოპიუმო ომმა ჩინეთი გაუხსნა ინგლისის ვაჭრობას. ახალმა ბაზარმა ახალი ბიძგი მისცა ისედაც მძლავრ აღმავლობას, განსაკუთრებით ბამბეულის მრეწველობის აღმავლობას. «როგორ შეგვიძლია ჩვენ ძალიან ბევრი ვაწარმოოთ? 300 მილიონი ადამიანი გვყავს შესამოსი»,— ეუბნებოდა მაშინ ამ სტრიქონების დამწერს ერთი მეფაბრიკე მანჩესტერში. მაგრამ ყველა ახლად აგებული საფაბრიკო შენობა, ორთქლის და სართავი მანქანები და საფეიქრო დაზგები არ კმაროდა იმისათვის, რომ შთაენთქა ნაკადად მოდენილი ზედმეტი ღირებულება ლანკაშირისა. ისეთივე გაშმაგებით, როგორც წარმოებას ადიდებდნენ, მიაწყდნენ რკინიგზების შენებას; სპეკულაციის წყურვილი, რომელმაც შეიპყრო

მეფაბრიკეები და ვაჭრები, პირველად აქ დაკმაყოფილდა, სახელდობრ უკვე 1844 წლის ზაფხულიდან დაწყებული. ხელს აწერდნენ აქციებზე რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ე. ი. რამდენადაც ფული ჰყოფნიდათ პირველი შესატანის დასაფარავად; შემდგომი შესატანისთვის საშუალება გამოინახებაო! და როდესაც შემდგომ შესატანთა ვადა დადგა, — 1848 — 1857 წლების «Commercial Distress»-ის 1059 კითხვის თანახმად, რკინიგზებში დაბანდებული კაპიტალი 1846 — 1847 წლებში აღწევდა 75 მილიონ გირვ. სტერლინგს, — იძულებული გახდნენ კრედიტისთვის მიემართათ, და ფირმათა საკუთარ საწარმოებსაც შეტწილად ასევე გაჭირვება უნდა განეცადათ.

საკუთარი საწარმოები კი უმრავლეს შემთხვევაში უკვე გადატვირთული იყო. მაცთურმა მაღალმა მოგებამ ოპერაციების იმაზე მეტად გაფართოება გამოიწვია, ვიდრე ამის ნებას იძლეოდა განკარგულებაში მყოფი საშუალებანი. მაგრამ კრედიტი ხომ იქვე იყო, ადვილად მისაღები და თანაც იაფი, საბანკო დისკონტი დაბალ დონეზე იდგა: 1844 წელს $1^3/_4$ — $2^3/_4$%-ზე, 1845 წელს ოქტომბრამდე 3%-ზე დაბლა, შემდეგ მოკლე ხნით აიწია 5%-მდე (1846 წლის თებერვალში), მაგრამ მერე ისევ დაეცა $3^1/_4$%-მდე 1846 წლის დეკემბერში. ბანკის საწყობებში დაგროვილი იყო გაუგონარი რაოდენობის ოქროს მარაგი. ყველა ქვეყნისშიდა საბირჟო ფასეულობა უწინ გაუგონარ დონეზე იდგა. მაგრამ რატომ უნდა გაეშვათ ხელიდან მოხერხებული შემთხვევა, რატომ არ უნდა ჩაბმულიყვნენ საქმეში? რატომ უცხო ბაზრებისთვის, რომლებსაც წყუროდათ ინგლისის ფაბრიკატები, არ უნდა გაეგზავნათ ყოველგვარი საქონელი, რომლის წარმოებაც კი შეიძლებოდა? და რატომ თვით მეფაბრიკეს არ უნდა მიეღო ორმაგი მოგება, რომელიც წარმოდგებოდა ნართისა და ქსოვილის გაყიდვით შორეულ აღმოსავლეთში და მათ სამაგიეროდ იქიდან წამოღებულ საქონელთა ინგლისში გაყიდვით?

ამრიგად წარმოიშვა საქონლის საკონსიგნაციოდ მასობრივი გაგზავნის სისტემა ავანსის მიღების საფუძველზე, ინდოეთსა და ჩინეთში, რაც ძალიან მალე განვითარდა საკონსიგნაციოდ გაგზავნის სისტემად მარტოოდენ ავანსის მიღების მიზნით, როგორც ეს დასურათებულია ქვემოაღნიშნულ შენიშვნებში, და რაც აუცილებლად უნდა დამთავრებულიყო ბაზრების მასობრივი გავსებით და კრახით.

ამ კრახმა იგრიალა 1846 წლის მოუსავლობის შედეგად. ინგლისს და განსაკუთრებით ირლანდიას ესაჭიროებოდა საარსებო საშუალებათა, სახელდობრ პურისა და კარტოფილის, ვეება რაოდენობით შეზიდვა. მაგრამ იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ამ პროდუქტებს იძლეოდნენ,

მხოლოდ ფრიად მცირე ოდენობით შეიძლებოდა საფასურად ინგლისური სამრეწველო პროდუქტების მიცემა; საჭირო იყო ძვირფასი ლითონის მიცემა საფასურად; სულ ცოტა 9 მილიონი ოქრო წავიდა საზღვარგარეთ. აქედან მთელი 7½ მილიონი ოქრო ამოღებულ იქნა ინგლისის ბანკის ნაღდი მარაგიდან, და მით ბანკის მოქმედების თავისუფლება ფულის ბაზარზე საგრძნობლად პარალიზებული იყო; სხვა ბანკები, რომელთა რეზერვები ინგლისის ბანკში ინახება და ფაქტიურად ამ უკანასკნელის რეზერვის იდენტურია, ასევე იძულებული გახდნენ ფულის ბაზრისთვის თავის მხრივ სასესხო კაპიტალის მიწოდება შეეზღუდათ; ბანკებში სწრაფად და ადვილად მოდენილ გადასახდელთა ნაკადი შეფერხდა ჯერ აქა-იქ, შემდეგ საყოველთაოდ. საბანკო დისკონტი, რომელიც 1847 წლის იანვარში ჯერ კიდევ 3 — 3½%-ის დონეზე იდგა, აპრილში 7%-ზე ავიდა, როდესაც პირველმა პანიკამ იფეთქა; შემდეგ, ზაფხულში, დადგა დროებით ოდნავი შემსუბუქება (6½, 6%), მაგრამ როგორც კი გამოირკვა ახალი მოუსავლობა, პანიკამ ხელახლა და უფრო ძლიერად იფეთქა. ინგლისის ბანკის ოფიციალურმა მინიმალურმა დისკონტმა აიწია ოქტომბერში 7%-მდე, ნოემბერში 10%-მდე, ე. ი. თამასუქების დიდძალი უმრავლესობის დისკონტირება მხოლოდ კოლოსალური სავახშო სარგებლის გადახდით შეიძლებოდა ან სრულებით აღარ შეიძლებოდა; გადასახდელთა საყოველთაო შეფერხებამ გამოიწვია მთელი რიგი პირველხარისხოვანი ფირმებისა და უამრავი საშუალო და წვრილი ფირმების გაკოტრება; თვით ინგლისის ბანკს გარდაუვალი გაკოტრების საფრთხე ემუქრებოდა იმ შეზღუდვის გამო, რომელსაც მას 1844 წლის ბრძნული საბანკო აქტი აკისრებდა. — მაშინ მთავრობამ, საერთო მოთხოვნის გამო, შეაჩერა 25 ოქტომბერს საბანკო აქტის მოქმედება და ამით მოხსნა ბანკს კანონის მიერ დადებული უაზრო ბორკილები. ახლა ბანკს დაუბრკოლებლად შეეძლო მიმოქცევაში გაეშვა თავისი ბანკნოტების მარაგი; რადგან ამ ბანკნოტების კრედიტი ფაქტიურად მთელი ერის კრედიტით იყო უზრუნველყოფილი, მაშასადამე, შეურყეველი იყო, ამიტომ მასთან ერთად დაუყოვნებლივ შემსუბუქდა ფულის ნაკლებობით გამოწვეული სიძნელე; რასაკვირველია, გაკოტრდა ბევრი მსხვილი და წვრილი ფირმა, რომელიც უიმედოდ ჩაფლობილი იყო, მაგრამ კრიზისის უმაღლესი დაძაბულობა უკვე დაძლეული იყო, საბანკო დისკონტი ხელახლა დაეცა დეკემბერში 5%-მდე, და უკვე 1848 წლის განმავლობაში მომზადდა საქმიანობის ის განახლებული გაცხოველება, რომელმაც ჩაფუშა რევოლუციურ მოძრაობათა შემდგომი აღმავლობა კონტინენტზე 1849 წელს. ხოლო ორმოცდაათიან წლებში გამოიწვია მანამდე არნახული სამრეწველო აყვავება, მაგრამ შემდეგ — 1857 წლის კრახიც — ფ. ე.)

I. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა და აქციების კოლოსალური გაუფასურების შესახებ 1847 წლის კრიზისის დროს ცნობებს იძლევა ლორდთა პალატის მიერ 1848 წელს გამოცემული დოკუმენტი. ამ ცნობების თანახმად, ქაღალდების გაუფასურება იმაევ 1847 წლის 23 ოქტომბერს თებერვალში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით შეადგენდა:

ინგლისის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებისა. .	93 824 217	გირვ.	სტერლ.
დოკებისა და არხების აქციებისა	1 358 288	«	«
სარკინიგზო აქციებისა	19 579 820	«	«
სულ	114 762 325	გირვ.	სტერლ.

II. იმ თაღლითობის შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ოსტ-ინდოეთის ვაჭრობაში, სადაც თამასუქების გაცემა წარმოებდა არა იმიტომ, რომ საქონელი იყო გაყიდული, არამედ საქონელს ყიდულობდნენ იმისათვის, რომ შესაძლებლობა ჰქონებოდათ გაეცათ თამასუქი, რომლის დისკონტირებას, ფულად ქცევას შეძლებდნენ, — ამის შესახებ 1848 წლის 24 ნოემბრის «Manchester Guardian» მოგვითხრობს შემდეგს:

A ლონდონში B-ს მოსაშუალეობით მანჩესტერელ მეფაბრიკე C-საგან ყიდულობს საქონელს გემში ჩატვირთვით D-სთვის ოსტ-ინდოეთში გასაგზავნად. B უხდის C-ს ექვსთვიანი თამასუქებით, რომლებსაც C გამოწერს B-ზე. ეს უკანასკნელი თავის ხარჯებს დაფარავს აგრეთვე ექვსთვიანი თამასუქის გამოწერით A-ზე, როგორც კი გემი დაიტვირთება, A აგრეთვე გასცემს სატვირთო ბარათის საფუძველით ექვსთვიან თამასუქს D-ზე. «ორივენი, მაშასადამე, მყიდველიც და გამგზავნელიც, ფონდებს ფლობენ მრავალი თვით ადრე, ვიდრე საქონლის საფასურს ნამდვილად გადაიხდიდნენ; და ხშირად ვადის გასვლისას ამ თამასუქების განახლება ხდებოდა იმ საბაბით, რომ ასეთი გრძელი გარიგების რეალიზაციისთვის საჭირო იყო დრო. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთ გარიგებათა დროს მიღებული დანაკარგი არ იწვევდა მათ შეზღუდვას, არამედ, პირიქით, სწორედ მათ გაფართოებას იწვევდა. რაც უფრო ღარიბდებოდნენ მისი მონაწილენი, მით უფრო დიდი ხდებოდა მათთვის ფიდვის მოთხოვნილება, რათა ამ გზით ახალი სესხებით აენაზღაურებინათ წინანდელ სპეკულაციებში დაკარგული კაპიტალი. შესყიდვა აღარ რეგულირდებოდა მოთხოვნით და მოწოდებით, იგი ფინანსური ოპერაციების უმთავრესი ნაწილი ხდებოდა რომელიმე გარკვეული ფირმისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. რაც აქ მანუფაქტურულ საქონელთა ექსპორტის მიმართ ხდებოდა, იგივე ხდებოდა იქ პროდუქტების შესყიდვისა და გამოგზავნის მიმართაც. სავაჭრო სახლები ინდოეთში, რომლებსაც საკმაო კრედიტი ჰქონდათ იმისათვის, რომ თავიანთი თამასუქების დისკონტირება შეძლებოდათ, ყიდულობდნენ შაქარს, ინდიგოს, აბრეშუმს ან ბამბას — არა იმიტომ, რომ ნაყიდობის ფასები ლონდონის უკანასკნელ ფასებთან შედარებით მოგების იმედს იძლეოდა, არამედ იმიტომ, რომ წინანდელ ტრატებს ლონდონის ფირმაზე ვადა უდგებოდა და დაფარვა ესაჭიროებოდა. და ამაზე უფრო მარტივი რა შეიძლებოდა ყოფილიყო: ერთი ტვირთი შაქარი ეყიდათ, მასში საფასური გადაეხადათ ათთვიანი თამასუქით ლონდონის ფირმაზე და სატვირთო ბარათი ლონდონში გაეგზავნათ ხმელეთის ფოსტით? ორ თვეზე ადრე ეს სატვირთო ბარათი იმ საქონლისა, რომელიც თითქმის არც კი იყო ჯერ გემში ჩატვირთული, და მასთან ერთად თვით ეს საქონელიც, გირავდებოდა ლომბარდ სტრიტში, და ლონდონელი ფირმა ხელში იღებდა ფულს რვა თვით ადრე იმ საქონლის საფუძველზე გაცემული თამა-

სუქის ვადის გასვლამდე. და ყველაფერი ეს დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა, შეუწყვეტლად და გაუჭირვებლად, ვიდრე მადისკონტირებელ ფირმებს ფული უხვად მოეპოვებოდათ, რათა იგი სესხად გაეცათ სატვირთო ბარათებისა და საღოკო ვარანტების გირაოს ქვეშ და განუსაზღვრელ თანხამდე ეწარმოებინათ დისკონტირება ინდოეთის სავაჭრო სახლების თამასუქებისა, რომლებიც გაცემული იყო «განთქმულ» ფირმებზე მინსინგ ლენში».

{ეს თაღლითური პროცედურა ჰყვაოდა, სანამ ინდოეთიდან გამოგზავნილ და ინდოეთში გაგზავნილ საქონელს იალქნიან გემებზე კეთილი იმედის კონცხის შემოვლა უხდებოდა. მას შემდეგ, რაც საქონლის ტრანსპორტი სუეცის არხით მიდის და თანაც ორთქლის გემებით, ფიქციური კაპიტალის ფაბრიკაციის ამ მეთოდს გამოეცალა საფუძველი — საქონლის ტრანსპორტის დიდი ხანგრძლივობა. ხოლო მას შემდეგ, რაც ტელეგრაფი იმავე დღეს ამცნობს ინგლისელ ვაჭარს ინდოეთის ბაზრის მდგომარეობას და ინდოეთის ვაჭარს ინგლისის ბაზრის მდგომარეობას, ეს მეთოდი სრულიად შეუძლებელი გახდა. — ფ. ე.}

III. შემდეგი ადგილები ამოღებულია უკვე ციტირებული 1847 — 48 წლის «Commercial Distress»-ის ანგარიშიდან: «1847 წლის აპრილის უკანასკნელ კვირაში ინგლისის ბანკმა აცნობა Royal Bank of Liverpool-ს, რომ ამ რიცხვიდან იგი სანაზღვროდ ამცირებს სადისკონტო ოპერაციას მასთან. ამ ცნობამ ძალიან ცუდად იმოქმედა, იმიტომ რომ გადახდა ლივერპულში უკანასკნელ დროს გაცილებით მეტად თამასუქებით წარმოებდა, ვიდრე ნაღდი ფულით, და იმიტომ რომ ვაჭრებს, რომლებსაც ჩვეულებრივ ბევრი ნაღდი ფული მოჰქონდათ ბანკში თავიანთი აქცეპტების გადასახდელად, უკანასკნელ დროს მხოლოდ იმ თამასუქების მოტანა შეეძლოთ, რომლებიც თვით მათ თავიანთ ბამბასა და სხვა პროდუქტებში მიიღეს. ეს მოვლენა ძალიან გავრცელდა და მასთან ერთად საქმეებიც გაძნელდა, აქცეპტები, რომლებიც ბანკს ვაჭრების მაგივრად უნდა გადაეხადა, მეტწილად უცხოეთში იყო გაცემული და დღემდე ჩვეულებრივ პროდუქტებში მიღებული გადასახდელით იფარებოდა. თამასუქები, რომლებიც ახლა ვაჭრებს მოჰქონდათ წინანდელი ნაღდი ფულის ნაცვლად, სხვადასხვა ვადისა და სხვადასხვა გვარეობისა იყო; მათ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა საბანკო თამასუქები სამი თვით date, მათი დიდი რაოდენობა კი გაცემული იყო ბამბაზე. ეს თამასუქები, თუ ისინი საბანკო თამასუქებს წარმოადგენდნენ, აქცეპტებული იყო ლონდონის ბანკირების მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში — ყოველგვარი ვაჭრების მიერ, რომელთაც საქმეები ჰქონდათ ბრაზილიაში, ამერიკაში, კანადაში, ვესტ-ინდოეთში და სხვ... თამასუქებს გასცემდნენ არა ვაჭრები ერთმანეთზე, არამედ კლიენტები სახელმწიფოს შიგნით, რომელნიც პროდუქტებს ყიდულობდნენ ლივერპულში და მათს საფასურს იხდიდნენ თამასუქებით ლონდონის ბანკებზე ან თამასუქებით ლონდონის სხვა ფირმებზე, ანდა თამასუქებით ამა თუ იმ პირზე. ინგლისის ბანკის განცხადებამ გამოიწვია ის, რომ შემცირდა უცხო პროდუქტებზე გაცემული თამასუქების ვადა, რომელიც სხვა შემთხვევაში ხშირად სამ თვეს აღემატებოდა» (გვ. 26, 27).

1844 — 1847 წლების აყვავების პერიოდი ინგლისში, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, დაკავშირებული იყო პირველ მსხვილ სარკინიგზო ციებცხელებასთან იმ ზემოქმედების შესახებ, რომელიც მას ჰქონდა სავაჭრო საქმეებზე, ხსენებული ანგარიში მოგვითხრობს შემდეგს: «1847 წლის აპრილში თითქმის ყველა სავაჭრო ფირმამ იწყო თავისი საქმის მეტნაკლებ შესუსტება (to starve their business) მით, რომ თავიანთი სავაჭრო კაპიტალის ნაწილს რკინიგზებში აბანდებდნენ (გვ. 42). —

«სესხსაც იღებდნენ სარკინიგზო აქციების გირაოს ქვეშ სარგებლის მაღალი განაკვეთით, მაგალითად, 8%-ად, კერძო პირებისაგან, ბანკირებისაგან და დამზღვევი საზოგადოებებისაგან» (გვ. 66). «რკინიგზებზე ესოდენ დიდი თანხების გაცემის გამო ეს სავაჭრო ფირმები, თავის მხრივ, იძულებული გახდნენ ბანკებისაგან აეღოთ ძალიან ბევრი კაპიტალი თამასუქების დისკონტირების საშუალებით, რათა ამ ფულით შეძლებოდათ განეგრძოთ თავიანთი საკუთარი საქმე» (გვ. 67).—(კითხვა:) «იტყოდით თქვენ იმას, რომ გადახდამ სარკინიგზო აქციების მიხედვით ხელი შეუწყო იმ შევიწროებას» (ფულის ბაზარზე), «რომელიც გაძლიერებული იყო აპრილში და ოქტომბერში» (1847 წლისა)? (პასუხი:) «ვფიქრობ, რომ საეჭვოა მას რაიმე მხრივ ხელი შეეწყოს შევიწროებისათვის აპრილში. ჩემი აზრით, ამან აპრილამდე, და იქნებ ზაფხულამდეც კი, ბანკირები უფრო გაამაგრა, ვიდრე შეასუსტა. იმიტომ რომ ფულის ნამდვილი გამოყენება ისე სწრაფად არ ხდებოდა, როგორც გადასახდელის წარდგენა; ამის გამო წლის დამდეგს ბანკების უმრავლესობას სარკინიგზო ფონდების საკმაოდ დიდი თანხა ჰქონდა ხელშიო». (ამას ადასტურებს მრავალი მოწმე ბანკირის ჩვენება კომისიაში. «C. D.» 1848 — 1887.) «ეს თანხა ზაფხულში თანდათან გადნა და 31 დეკემბრისთვის არსებითად ნაკლები იყო. ოქტომბერში შევიწროების ერთ-ერთი მიზეზი იყო სარკინიგზო ფონდების თანდათანი შემცირება ბანკების ხელში; 22 აპრილსა და 31 დეკემბერს შორის მდებარე პერიოდში რკინიგზების ნაშთი ჩვენს ხელში შემცირდა ერთი მესამედით. ასეთი გავლენა ჰქონდათ სარკინიგზო გადასახდელებს მთელ დიდ ბრიტანეთში; მათ თანდათან გამოაცალეს ბანკებს ანაბრები» (გვ. 43). — ამასვე ამბობს აგრეთვე სემუელ გარნეი (მეთაური ცნობილი ფირმისა **Overend Gurney and C°**): «1846 წელს მნიშვნელოვნად უფრო დიდი მოთხოვნა იყო კაპიტალისა რკინიგზებისთვის, მაგრამ ამას სარგებლის განაკვეთი არ აუწევია. მოხდა პატარა თანხების შეერთება დიდ მასებად და ეს დიდი მასები მოხმარებულ იქნა ჩვენს ბაზარზე; ასე რომ საერთოდ შედეგი ასეთი იყო: ხდებოდა სიტის ფულის ბაზარზე მეტი ფულის გადასროლა, მისი უკუდაბრუნება კი ისევე სწრაფად — არა» (გვ. 159).

ა. ჰოჯსონი, ლივერპულის **Joint Stock Bank**-ის დირექტორი, თავის ჩვენებაში აღნიშნავს, თუ რაოდენ შეუძლია თამასუქებს ბანკირების რეზერვს წარმოადგენდეს: «ჩვენ ჩვეულებად გვქონდა, რომ მთელი ჩვენი ანაბრების სულ ცოტა $^{9}/_{10}$ და მთელი ის ფული, რომელიც სხვა პირებისაგან შემოგვდიოდა, შენახული გვქონდა ჩვენს პორტფელში თამასუქების სახით, რომლებსაც ვადები დღითი-დღე გაუდიოდა... იმდენად, რომ კრიზისის დროს ყოველ დღე ვადადამდგარი თამასუქების თანხა თითქმის ეთანატოლებოდა იმ გადახდის მოთხოვნათა თანხას, რასაც ჩვენ ყოველდღიურად წარმოგვიდგენდნენ» (გვ. 53).

სპეკულაციური თამასუქები. — № 5092. «უმთავრესად ვინ აწარმოებდა (გაყიდულ ბამბაზე გაცემულ) თამასუქების აქცეპტირებას?» — (რ. გარდნერი, ბამბეულის მეფაბრიკე, რომელიც მრავალგზის იხსენიება ამ ნაშრომში): «საქონლის მაკლერები. ვაჭარი ყიდულობს ბამბას, გადასცემს მას მაკლერს, გამოწერს თამასუქს ამ მაკლერზე და ადასკონტებს მას». — № 5094. «და ეს თამასუქები მიდის ლივერპულის ბანკებში და იქ მათ დისკონტს უკეთებენ?» — «დიახ, იქაც და სხვაგანაც... ეს შეთანხმება რომ არ ყოფილიყო, რომელიც უმთავრესად ლივერპულის ბანკებმა მიიღეს, გასულ წელს, ჩემი აზრით, ბირვანქა ბამბა $1^{1}/_{2}$ პენსით ან 2 პენსით უფრო იაფი იქნებოდა». — № 600. «თქვენ თქვით, მიმოქცევაში იმყოფებოდა თამასუქების უამრავი რაოდენობა, რომლებიც გამოწერილი იყო სპეკულანტების მიერ ბამბია მაკლერებზე ლივერპულშიო; შეეხება ეს თქვენს სესხებს იმ თამასუქებზეც, რომლებიც გაცემული იყო სხვა კოლონიურ პროდუქტებზე, გარდა ბამბისა?» — (ა. ჰოჯსონი,

ბანკირი ლივერპულში:) «ეს შეეხება ყოველგვარ კოლონიურ პროდუქტს, განსაკუთრებით კი ბამბას». — № 601. «ცდილობთ კი თქვენ, როგორც ბანკირი, მოერიდოთ ამგვარ თამასუქებს?» — «სრულიადაც არა; ჩვენ ისინი სრულიად კანონიერ თამასუქებად მიგვაჩნია, თუ ზომიერი რაოდენობის ფარგლებშია მოქცეული... ამგვარ თამასუქებს ხშირად უგრძელებენ ვადას».

თ ა ღ ლ ი თ ო ბ ა ო ს ტ-ი ნ დ ო ე თ-ჩ ი ნ ე თ ი ს ბ ა ზ ა რ ზ ე 1847 წ ე ლ ს. მოწმე ჩარლზ ტერნერი (ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ოსტ-ინდოეთის ფირმის მეთაური ლივერპულში): «ჩვენ ყველამ ვიცით ის შემთხვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მავრიკის კუნძულზე და სხვა მსგავს ოპერაციებში. მაკლერები დაჩვეული იყვნენ სესხის აღებას საქონლის გირაოსქვეშ არა მხოლოდ საქონლის მოსვლის შემდეგ, რაც სრულიად წესიერი იყო, და სესხის აღებას სატვირთო ბარათების გირაოს ქვეშ... არამედ ისინი სესხს იღებდნენ პროდუქტზე ამ უკანასკნელის გემში ჩატვირთვამდე და ბევრ შემთხვევაში დამზადებამდეც კი. მე, მაგალითად, სპეციალურ შემთხვევაში 6 000 — 7 000 გირვ. სტერლინგის თამასუქები ვიყიდე კალკუტაში; ამ თამასუქებით აღებული ფული შაქრის კულტურას მოხმარდა მავრიკის კუნძულზე; თამასუქები მოვიდა ინგლისში და აქ მათი ნახევარი გაპროტესტებულ იქნა; შემდეგ, როდესაც, ბოლოს, შაქრის ტრანსპორტი მოვიდა, რითაც ეს თამასუქები უნდა ყოფილიყო გადახდილი, აღმოჩნდა, რომ ეს შაქარი უკვე მესამე პირებთან იყო დაგირავებული ჯერ კიდევ მანამდე, სანამ იგი გემზე დაატვირთებოდა, და, ეს კი არა, შეიძლება ითქვას, სანამ ნამდვილად დამზადდებოდა» (გვ. 78). «ამჟამად ოსტ-ინდოეთის ბაზარზე გასაგზავნ საქონელში საფასური მეფაბრიკეს ნაღდად უნდა გადაუხადონ; მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან თუ მყიდველი კრედიტით სარგებლობს ლონდონში, თამასუქს წარადგენს ლონდონზე და მას დისკონტს გაუკეთებს ლონდონში, სადაც დისკონტი ახლა დაბალ დონეზე დგას; ამგვარად მიღებული ფულით იგი საფასურს გადაუხდის მეფაბრიკეს... გაივლის სულ ცოტა თორმეტი თვე, ვიდრე ინდოეთში საქონლის გამგზავნელი იქიდან მის სამაგიეროს მიიღებდეს: ...იმ კაცს, რომელსაც 10 000 ან 15 000 გირვ. სტერლინგი აქვს და რომელიც ინდოეთთან ოპერაციებს იწყებს, შეუძლია მნიშვნელოვანი თანხის კრედიტი მიიღოს ლონდონის ფირმისაგან; ამ ფირმას იგი გადაუხდის 1%-ს და გასცემს მასზე თამასუქებს იმ პირობით, რომ ინდოეთში გაყიდულ საქონელში აღებული ფული ლონდონის ფირმას გამოეგზავნება; ამასთან ორივე მხარე ულაპარაკოდ შეთანხმებულია იმაში, რომ ლონდონის ფირმამ არავითარი ნაღდი სესხი არ უნდა გაიღოს, ე. ი. თამასუქების ვადა გაგრძელებული იქნება, ვიდრე საქონელში აღებული ფული არ მოვა. თამასუქების დისკონტირება წარმოებდა ლივერპულში, მანჩესტერში, ლონდონში; ზოგი მათგანი შოტლანდიის ბანკების მფლობელობაშია» (გვ. 79). — (№ 730). «აი, ფირმა, რომელიც ახლახან გაკოტრდა ლონდონში; მისი დავთრების განხილვისას აღმოჩნდა შემდეგი: არსებობდა ერთი ფირმა მანჩესტერში და მეორე კალკუტაში; მათ გახსნეს ლონდონის ფირმასთან 200 000 გირვ. სტერლინგის კრედიტი; ე. ი. მანჩესტერის ფირმის მეგობარი ვაჭრები, რომლებიც გლაზგოდან და მანჩესტერიდან საქონელს უგზავნიდნენ კალკუტის ფირმას საკონსიგნაციოდ, თამასუქებს გამოუწერდნენ 200 000 გირვ. სტერლინგის თანხამდე ლონდონის ფირმაზე; ამავე დროს არსებობდა შეთანხმება, რომ კალკუტის ფირმაც გასცემდა 200 000 გირვ. სტერლინგის თამასუქებს ლონდონის ფირმაზე; ამ თამასუქებს ის გაყიდდა კალკუტაში, აღებული ფულით იყიდდა სხვა თამასუქებს და მათ გაგზავნიდა ლონდონში, რათა ლონდონის ფირმისთვის შესაძლებლობა მიეცა გადაეხადა პირველი თამასუქები, რომლებიც გლაზგოსა ან

ჩანჩესტერში იყო გაცემული. ამრიგად, მარტო ამ ერთი ოპერაციის წყალობით ალებმაცემაში შეტანილ იქნა 600 000 გირვ. სტერლინგის თამასუქები». — (№ 971.) «ამჟამად, თუ რომელიმე ფირმა კალკუტაში გემის ტვირთს ყიდულობს» (ინგლისისათვის) «და მას იხდის საკუთარი ტრატებით თავის ლონდონელ კორესპონდენტებზე და სატვირთო ბარათი აქ იგზავნება, — ამ ბარათს იგი მაშინვე გამოიყენებს სესხის მისაღებად ლომბარდ სტრიტში; მაშასადამე, ფირმას შეუძლია ისარგებლოს ფულით რვა თვის განმავლობაში, ვიდრე მის კორესპონდენტს დასჭირდება თამასუქების თანხის გადახდა».

IV. 1848 წელს სხდომები ჰქონდა ლორდთა პალატის საიდუმლო კომისიას 1847 წლის კრიზისის მიზეზების გამოსაკვლევად. მაგრამ ჩვენებები, რომლებიც მოწმეებმა მისცეს ამ კომისიას, მხოლოდ 1857 წელს გამოქვეყნდა («Minutes of Evidence, taken before the Secret Committee of the H. of L. appointed to inquire into the Causes of Distress და ა. შ.» 1857; ჩვენ მიერ ციტირებულია: «C. D.». 1848/57. ამ კომისიის წინაშე ბ-ნმა ლისტერმა, Union Bank of Liverpool-ის მმართველმა, სხვათა შორის, შემდეგი თქვა:

(2444.) «1847 წლის გაზაფხულზე კრედიტი ისე გადიდდა, როგორც არასოდეს წარსულში... იმიტომ რომ კომერსანტებს თავიანთი კაპიტალი საკუთარი საწარმოებიდან რკინიგზებში შექონდათ და, მიუხედავად ამისა, მაინც უნდოდათ თავიანთი საქმე წინანდელი მასშტაბით განეგრძოთ. თვითეული, ალბათ, დასაწყისში, ფიქრობდა, რომ მოახერხებდა რკინიგზის აქციების გაყიდვას მოგებით და ამ გზით ფულის უკან დაბრუნებას საქმეში დასაბანდებლად. შემდეგ კი, როცა დაინახეს, რომ ეს შეუძლებელი იყო, მათ დაიწყეს თავიანთი საწარმოებისათვის კრედიტის აღება, იქ, სადაც უწინ ნაღდად იხდიდნენ. აქედან წარმოდგა კრედიტის გაფართოება».

(2500.) «ეს თამასუქები, რომლებზედაც მთმბ ამღებმა ბანკებმა ზარალი ნახეს, უმთავრესად პურზე გაცემული თამასუქები იყო თუ ბამბაზე?» — ეს იყო ყოველგვარ პროდუქტებზე გაცემული, პურზე, ბამბაზე, შაქარზე, და ყოველნაირ პროდუქტებზე. იმ დროს არ იყო თითქმის არც ერთი საქონელი, — შესაძლოა, ზეთის გამოკლებით, — რომლის ფასიც არ დაცემულიყოს. — (2506.) მაკლერი, თამასუქს აქცეპტს არ აძლევს, თუ მას საკმაო დაფარვა არ აქვს და ეს იმ შემთხვევაშიც კი, როცა დაფარვისათვის განკუთვნილი საქონლის ფასი დაეცა.

(2512.) «პროდუქტებზე ორგვარი თამასუქები გაიცემა. პირველი სახის თამასუქს ეკუთვნის ის თავდაპირველი თამასუქი, რომელიც გარედან გაიცემა იმპორტერზე... თამასუქებს, რომლებიც ამგვარად პროდუქტების სამაგიეროდაა გაცემული, ხშირად ვადა გაუდის მანამდე, ვიდრე ეს პროდუქტები ჩვენში მოაღწევდეს. ამიტომ ვაჭარმა, როდესაც საქონელი მოვა და თუ მას საკმაო კაპიტალი არა აქვს, ეს საქონელი უნდა დააგირაოს მაკლერთან, ვიდრე მის გაყიდვას შეძლებს. ამ შემთხვევაში ლივერპულელი ვაჭარი დაუყოვნებლივ გამოუწერს მაკლერს მეორეგვარ თამასუქს იმ საქონლით უზრუნველყოფის ქვეშ... მაშინ ეს უკვე ბანკირის საქმეა გაიგოს მაკლერთან, აქვს მას საქონელი თუ არა და რამდენი გასცა მან სესხად მის გირაოს ქვეშ. იგი უნდა დარწმუნდეს, რომ მაკლერს დაფარვა მოეპოვება, რათა ზარალის შემთხვევაში შეეძლოს საქმის გამოსწორება».

(2516.) «ჩვენ თამასუქები მოგვდის საზღვარგარეთიდანაც... ვინმე საზღვარგარეთ ყიდულობს თამასუქს ინგლისზე და უგზავნის მას ინგლისურ ფირმას; ჩვენ არ შეგვიძლია თამასუქს შევატყოთ, გონივრულადაა იგი გაცემული თუ არა, პროდუქტებს წარმოადგენს იგი თუ ქარს».

(2533.) «თქვენ თქვით, თითქმის ყოველგვარი უცხოური პროდუქტები დიდი ზარალით გაიყიდაო. ფიქრობთ, თქვენ, რომ ეს შედეგი იყო გაუმართლებელი სპეკულაციისა ამ პროდუქტებით?» — «ზარალი წარმოდგა მეტად დიდი იმპორტის გამო, მაშინ როდესაც არ იყო შესაბამისი მოხმარება, რომელიც მას შთანთქავდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ მოხმარებამ ძალიან იკლო». — (2534.) ოქტომბერში... პროდუქტების გაყიდვა თითქმის შეუძლებელი შეიქნა».

თუ როგორ გაისმის კატასტროფის უაღრესად განვითარების მომენტში საერთო ყვირილი: **sauve qui peut** (თავს უშველე, ვისაც შეგიძლია), ამის შესახებ მოგვითხრობს იმავე ანგარიშში პირველხარისხოვანი მცოდნე, ფრიად პატივცემული გაიძვერა კვაკერი სემუელ გარნეი, ფირმა **Overend Gurney and C°**-ის მეთაური: (1262.) «როცა პანიკაა გამეფებული, საქმის კაცი აღარ ეკითხება თავის თავს, რა ფასში შეუძლია მას მოათავსოს თავისი ბანკნოტები, თავისი სახაზინო ბილეთების ან სამპროცენტიანი რენტის გაყიდვაზე 1%-ს დაკარგავს თუ 2%-ს. რაკი იგი შიშის გავლენის ქვეშ იმყოფება, მას აღარ აინტერესებს არც მოგება, არც წაგება; უშიშარ მდგომარეობაში აყენებს თავის თავს, და სხვებმა დაე ის გააკეთონ, რაც სურთ».

V. ორი ბაზრის ურთიერთშარბად გავსების შესახებ ბ-ნმა ალექსანდერმა, ოსტინდოეთთან ვაჭრობაში მოსაქმე ვაჭარმა, 1857 წელს ქვედა პალატის მიერ საბანკო აქტებისთვის დაწესებული კომისიის წინაშე (ციტირებულია «**B. C.**» 1857) განაცხადა შემდეგი: (4330) «ამჟამად, თუ მე მანჩესტერში 6 შილინგს გავიღებ, ინდოეთში უკან მივიღებ 5 შილინგს; თუ მე ინდოეთში 6 შილინგს გავიღებ, ლონდონში უკან მივიღებ 5 შილინგს». ამრიგად, ინდოეთის ბაზარი ინგლისის მიერ და ინგლისის ბაზარი ინდოეთის მიერ თანაბრად არის გავსებული, და ამას ადგილი ჰქონდა 1857 წლის გაზაფხულზე, 1847 წლის მწარე გამოცდილებიდან არასრული ათი წლის შემდეგ!

თავი ოცდამეექვსე

ფულადი კაპიტალის დაგროვება, მისი გავლენა სარგებლის განაკვეთზე.

«ინგლისში ხდება დამატებითი სიმდიდრის მუდმივი დაგროვება, რომელსაც საბოლოოდ ფულადი ფორმის მიღების ტენდენცია აქვს. მაგრამ ფულის შეძენის სურვილის შემდეგ მეორე უფრო ძლიერი სურვილია მისგან ხელახალი განთავისუფლებისა რამენაირად მისი გამოყენების გზით, რაც სარგებელს ან მოგებას მოიტანს; იმიტომ რომ ფული როგორც ფული არაფრის მომტანი არ არის. ამიტომ, თუ ჭარბი კაპიტალის ამ მუდმივი მოზღვავების იმავდროულად თანდათან და საკმაოდ არ ფართოვდება მისი სამოქმედო ასპარეზიც, მაშინ ჩვენ გვექნება გამოყენების მაძიებელი ფულის პერიოდული დაგროვება, რაც გარემოების მიხედვით უფრო დიდი ან ნაკლები მნიშვნელობისაა. წელთა ხანგრძლივი რიგის განმავლობაში სახელმწიფო ვალი დიდი საშუალება იყო ინგლისის ჭარბი სიმდიდრის შესაწოვად. მას შემდეგ, რაც ამ ვალმა 1816 წელს თავის მაქსიმუმს მიაღწია და უკვე აღარ შეეძლო შეეწოვა ეს ნაჭარბი, ყოველწლიურად რჩებოდა სულ ცოტა 27 მილიონის თანხა, რომელიც სხვაგვარ დაბანდებას ეძებდა. ამასთან ადგილი ჰქონდა კაპიტალის უკუგადახდას სხვადასხვა სახით... საწარმონი, რომლებიც თავიანთი განხორციელებისათვის დიდ კაპიტალს საჭიროებენ და დროგამოშვებით მიიზიდავენ დაუბანდებელი კაპიტალის ნაჭარბს... ჩვენს ქვეყანაში მაინც აბსოლუტურად საჭირონი არიან, რათა გზა მიეცეს საზოგადოების ჭარბი სიმდიდრის პერიოდულ დაგროვებას, რომელიც გამოყენების ჩვეულებრივ დარგებში ვერ პოულობს ადგილს» («The Currency Theory Reviewed». London, 1845, გვ. 32 — 34). 1845 წლის შესახებ იქ ნათქვამია: «ძალიან მოკლე პერიოდის განმავლობაში ფასებმა დეპრესიისდროინდელ ფრიად დაბალ დონესთან შედარებით მაღლა აიწია... სამპროცენტიანი სახელმწიფო სესხი დგას თითქმის al pari... ოქრო ინგლისის ბანკის სარდაფებში აღემატება თანხას, რომელიც ოდესმე ყოფილა იქ დაგროვილი. ყოველგვარ აქციებზე ისეთი

ფასებია, როგორიც არასოდეს არ გაგონილა, და სარგებლის განაკვეთმა ისე დაიწია, რომ იგი თითქმის ნომინალურია... ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ახლა ინგლისში კვლავ საქმეში მოუთავსებელი სიმდიდრის ჭარბი დაგროვებაა და რომ ახლო მომავალში კვლავ მოგვველის სპეკულაციური ციებ-ცხელების პერიოდი» (იქვე, გვ. 36).

«თუმცა ოქროს შემოზიდვა არ არის მოგების უტყუარი ნიშანი საგარეო ვაჭრობაში, მაგრამ მაინც ოქროს ამ იმპორტის ნაწილი prima facie [უწინარეს ყოვლისა], სხვა ახსნის უქონლობისას, წარმოადგენს, ასეთ მოგებას» (J. G. Hubbard: «The Currency and the Country». London 1843, გვ. 40, 41). «ვთქვათ, იმ პერიოდში, როცა საქმეები განუწყვეტლად კარგად მიმდინარეობს, ფასები ხელსაყრელია და ფულის მიმოქცევა დამაკმაყოფილებელი, საჭიროა, ცუდი მოსავლის გამო, 5 მილიონი ოქროს გაზიდვა და ამ თანხის შესაბამისად პურის შემოზიდვა. მიმოქცევა {ეს ნიშნავს, როგორც ახლავე დავინახავთ, არა მიმოქცევის საშუალებებს, არამედ დაუსაქმებელ ფულად კაპიტალს.— ფ. ე.} — შემცირდება იმდენივე თანხით. რამდენიც არ უნდა იყოს მიმოქცევის საშუალებანი კერძო პირთა ხელში, ვაჭრების ანაბრები მათს ბანკებში, ბანკების ნაშთი მათს ფულის მაკლერებთან და რეზერვები ბანკების სალაროებში, — ყველა ეს შემცირდება, და დაუსაქმებელი კაპიტალის რაოდენობის ასეთი შემცირების უშუალო შედეგი იქნება სარგებლის განაკვეთის აწევა, ვთქვათ, 4%-იდან 5%-დე. რადგან საქმეები ჯანსაღ მდგომარეობაშია, — ნდობა არ შეირყევა, მაგრამ კრედიტი უფრო ძვირი გახდება» (იქვე, გვ. 42). «თუ საერთოდ საქონლის ფასები დაეცა, — ნამეტი ფული ბანკებში დაბრუნდება გადიდებული ანაბრების სახით, დაუსაქმებელი ჭარბი კაპიტალი შეამცირებს მინიმუმამდე სარგებლის განაკვეთს, და ეს მდგომარეობა გაგრძელდება, სანამ უფრო მაღალი ფასები ან საქმიანობის უფრო გაცხოველება არ აამოქმედებს უმოქმედო ფულს, ანდა სანამ ამ ფულს არ მოათავსებენ უცხოეთის ფასიან ქაღალდებში ან უცხოეთის საქონელში» (გვ. 68).

შემდგომი ამონაწერები ამოღებულია ისევ პარლამენტის ანგარიშიდან 1847/48 წლის Commercial Distress-ს [სავაჭრო კრიზისების] შესახებ. — 1846/47 წლების მოუსავლობისა და შიმშილის გამო საჭირო გახდა სასურსათო პროდუქტების დიდი იმპორტი. «აქედან — იმპორტის დიდი გადაჭარბება ექსპორტზე... აქედან — ფულის მნიშვნელოვანი მიქცევა ბანკებიდან და გაძლიერებული მიმართვა დისკონტის მაკლერებისადმი იმ პირთა მხრივ, რომლებისთვისაც თამასუქების დისკონტირება აუცილებელი იყო; მაკლერებმა იწყეს თამასუქების ღიდი გარჩევით მიღება. აქამდე გახსნილი კრედიტი ფრიად სერიო-

ზულად შეზღუდეს, და სუსტ ფირმებს შორის თავი იჩინა გაკოტრების შემთხვევებმა. ვისაც თავისი საქმეები მხოლოდ კრედიტზე ჰქონდა აგებული, — განადგურდა. ამან გააძლიერა მოუსვენრობა, რომელიც უკვე წინათაც იგრძნობოდა; ბანკირებმა და სხვებმა დაინახეს, რომ მათ არ შეუძლიათ წინანდებურად დარწმუნებული იყვნენ, რომ თავიანთ თამასუქებს და ფასიან ქაღალდებს ბანკნოტებად გადააქცევენ თავიანთ ვალდებულებათა დასაფარავად; მათ კიდევ უფრო შეკვეცეს კრედიტი, ხშირად მთლიანადაც კი დახურეს; ბევრ შემთხვევაში ისინი მალავდნენ ბანკნოტებს თავიანთ საკუთარ ვალდებულებათა მერმისში დასაფარავად; ისინი ამჯობინებდნენ სრულიად არ გაეშვათ ხელიდან ეს ბანკნოტები. მოუსვენრობა და შეშფოთება იზრდებოდა დღითი-დღე, და ლორდ ჯონ რასელის წერილი რომ არ გამოქვეყნებულიყო, საყოველთაო გაკოტრება კარებზე იყო მომდგარი» (გვ. 74, 75). რასელის წერილმა შეაჩერა საბანკო აქტის მოქმედება. — ზემოხსენებული ჩარლზ ტერნერი თავის ჩვენებაში ამბობს: «ზოგ ფირმებს დიდი სახსრები ჰქონდათ, მაგრამ ეს სახსრები არ იყო თავისუფალი. მთელი მათი კაპიტალი მტკიცედ ჩარჩენილი იყო მიწის საკუთრებაში მავრიკის კუნძულზე ან ინდიგოსა და შაქრის ქარხნებში. მას შემდეგ, რაც ერთხელ 500 000 — 600 000 გირვ. სტერლინგის ვალდებულება იკისრეს, მათ თავისუფალი სახსრები აღარ დარჩათ სათანადო თამასუქების გასასტუმრებლად, და საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მათ თავიანთი თამასუქების გასტუმრება შეეძლოთ მხოლოდ თავიანთი კრედიტის საშუალებით, რამდენადაც ეს კრედიტი კმაროდა» (გვ. 81). — ხსენებულმა ს. გარნეიმ უჩვენა: (1664.) «ამჟამად (1848 წ.) ბრუნვა შეკვეცილია და ფულის დიდი სიჭარბეა» (№ 1763.) «ეე არ მგონია, რომ კაპიტალის ნაკლებობა იყო მიზეზი, რამაც ასე მაღლა ასწია სარგებლის განაკვეთი; ეს იყო შიში (the alarm), სიძნელე ბანკნოტების მიღებისა».

1847 წელს ინგლისმა სულ ცოტა 9 მილიონი გირვ. სტერლ. გადაუხადა უცხოეთს შეზიდული სასურსათო პროდუქტებისთვის. აქედან 7½ მილიონი აღებული იყო ინგლისის ბანკიდან და 1½ სხვა წყაროებიდან (გვ. 245). — ინგლისის ბანკის მმართველმა მორისმა განაცხადა: [3800.] «1847 წლის 23 ოქტომბერს სახელმწიფო ფონდები და არხებისა და რკინიგზების აქციები უკვე გაუფასურებული იყო £14 752 225 გირვ. სტერლინგით» (გვ. 312). იგივე მორისი ლორდ ჯ. ბენტინკის შეკითხვაზე უპასუხებს: [3846] «განა თქვენ არ იცით, რომ ყველა კაპიტალი, ფასიან ქაღალდებში და ყოველგვარ პროდუქტებში მოთავსებული, იმგვარად გაუფასურდა, რომ ნედლეული, ბამბა, აბრეშუმი, მატყლი კონტინენტზე გაიგზავნა უაღრესად დაბალ ფასებში, და რომ

შაქარი, ყავა და ჩაი საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა დიდი ზარალითა». — «აუცილებელი იყო ერს მნიშვნელოვანი მსხვერპლი გაეღო, წინააღმდეგობა გაეწია ოქროს მიქცევისათვის, რაც სასურსათო პროდუქტების კოლოსალური იმპორტით იყო გამოწვეული». — [3848] «ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ უჯობესი იქნებოდა ხელი გვეხლო იმ 8 მილიონი გირვ. სტერლინგისათვის, რომელიც ბანკის ფულის კარადებში ეწყო, და არ ვცდილიყავით ასეთი მსხვერპლით ოქროს უკან დაბრუნებას?» — «მ ე ა მ ა ს ა რ ვ ფ ი ქ რ ო ბ». — და, აი, ამ გმირობის კომენტარი. დიზრაელი დაჰკითხავს ინგლისის ბანკის დირექტორსა და ყოფილ მმართველს ბ-ნ ვ. კოტონს: «რას უდრიდა დივიდენდი, რომელიც აქციონერებმა მიიღეს 1844 წელს?» — «7% წლიური». — «და 1847 წლის დივიდენდი?» — «9%». — «იხდის თუ არა ბანკი თავისი აქციონერებისთვის საშემოსავლო გადასახადს მიმდინარე წელს?» — «დიახ». — «1844 წელსაც გააკეთა ეს ბანკმა?» — «არა»[83]. «ამ შემთხვევაში, მაშასადამე, ეს საბანკო აქტი (1844 წ.) აქციონერების ინტერესებისათვის მოქმედებდა... ამრიგად, შედეგი ის არის, რომ ახალი კანონის შემოღების შემდეგ აქციონერების დივიდენდმა 7%-იდან 9%-ზე აიწია და, გარდა ამისა, საშემოსავლო გადასახადს ახლა ბანკი იხდის, მაშინ როდესაც უწინ იგი აქციონერებს უნდა გადაეხადათ?» — «ს რ უ ლ ი ა დ მ ა რ თ ა ლ ი ა». — (№№ 4356 — 4361.).

ბანკებში განძის დაგროვების შესახებ 1847 წლის კრიზისის დროს მისტერ პიიზი, პროვინციელი ბანკირი, ამბობს: (4605.) «რადგან ბანკი იძულებული იყო უფრო და უფრო აეწია თავისი სარგებლის განაკვეთი, ამიტომ საშიშროება საყოველთაო შეიქმნა. პროვინციულმა ბანკებმა გაადიდეს თავიანთი ფულადი მარაგი, ასევე ბანკნოტების მარაგიც, და ბევრმა ჩვენგანმა, რომელიც ჩვეულებრივ დროს, შესაძლოა, მხოლოდ რამდენიმე ას გირვანქას თუ შეინახავდა ოქროთი ან ბანკნოტებით, დაუყოვნებლივ იწყო დაგროვება ათას გირვანქობით ფულის კარადებში და ყუთებში, რადგან სრული • გაურკვევლობა არსებობდა დისკონტისა და ბაზარზე თამასუქების მიმოქცევის უნარიანობის შესახებ, და ამგვარად წარმოდგა ყველგან განძის დაგროვება». კომისიის ერთი წევრი შენიშნავს: (4691.) «მაშასადამე, რაც უნდა ყოფილი-

[83] ე. ი. წინათ ჯერ დივიდენდს დაადგენდნენ და შემდეგ დივიდენდის მიცემისას საშემოსავლო გადასახადს დაუჭერდნენ თვითეულ აქციონერს; 1844 წლის შემდეგ კი ჯერ გადასახადს იხდიდნენ ბანკის მთელი მოგებიდან და შემდეგ ანაწილებდნენ დივიდენდს «free of income Tax» [«საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფალი»]. მაშასადამე, პროცენტი ნომინალურად ერთი და იგივე, მეორე შემთხვევაში გადასახადის თანხაზე უფრო მეტია. — ფ. ე.

ყო მიზეზი ამ 12 წლის განმავლობაში, შედეგი ყოველ შემთხვევაში უფრო მევახშისა და ფულით მოვაჭრისთვის იყო ხელსაყრელი, ვიდრე საერთოდ მწარმოებელი კლასისათვის».

იმის შესახებ, თუ როგორ სარგებლობს ფულით მოვაჭრე კრიზისის დროით, ტუკი ასეთ ჩვენებას იძლევა: «უორვიკშირის და სტაფორდშირის ლითონურ წარმოებაში 1847 წელს ძალიან ბევრი დაკვეთა უკან გააბრუნეს, რადგან სარგებლის განაკვეთი, რომელიც მეფაბრიკეს თავისი თამასუქების დისკონტირების დროს უნდა გადაეხადა, მთელ მის მოგებას და მეტსაც შთანთქავდა». (№ 5451.)

ავიღოთ ახლა ჩვენ მიერ უკვე წინათ ციტირებული პარლამენტის მეორე ანგარიში: «Report of Select Committee on Bank Acts, communicated from the Commons to the Lords, 1857» (ქვემოთ ციტირების დროს აღნიშნულია როგორც «*B. C.*» 1857). აი, რა ჩვენება მისცა კომისიას ბ-ნმა ნორმანმა, ინგლისის ბანკის დირექტორმა და მთავარმა მნათობმა currency principle-ს მომხრეთა შორის:

(3635.) «თქვენ თქვით, იმ აზრისა ხართ, რომ სარგებლის განაკვეთი დამოკიდებულია არა ბანკნოტების რაოდენობაზე, არამედ კაპიტალის მოთხოვნასა და მიწოდებაზე. ხომ არ ინებებთ განგვიმარტოთ, რას გულისხმობთ თქვენ კაპიტალად, გარდა ბანკნოტების და ლითონური ფულისა?» — «მე მგონია, კაპიტალის ჩვეულებრივი განსაზღვრა ასეთია: ესაა წარმოებაში მოხმარებული საქონელი ან სამსახური». — (3636). «ყველა საქონელს გულისხმობთ თქვენ სიტყვა კაპიტალში, როცა სარგებლის განაკვეთზე ლაპარაკობთ?» — «ყველა საქონელს, რომელიც კი წარმოებაში იხმარება». — (3637) «თქვენ გულისხმობთ ყველა ამას სიტყვა კაპიტალში, როცა სარგებლის განაკვეთზე ლაპარაკობთ?» — «დიახ. ვთქვათ, ბამბეულის მეფაბრიკეს ბამბა ესაჭიროება თავისი ფაბრიკისათვის; იგი მას, ალბათ, იმით მოიპოვებს, რომ თავისი ბანკისგან სესხს აიღებს და ამ გზით მიღებული ბანკნოტებით გაემგზავრება ლივერპულში და ბამბას იყიდის. რაც მას ნამდვილად ესაჭიროება, ეს არის ბამბა. ბანკნოტები ან ოქრო მას სჭირდება მხოლოდ როგორც საშუალება ბამბის მისაღებად. ანდა მას სახსარი სჭირდება თავისი მუშების ხელფასის გასასტუმრებლად; მაშინ იგი კვლავ სესხულობს ბანკნოტებს და მით მუშების ხელფასს ისტუმრებს; მუშებს კი, თავის მხრივ, ესაჭიროებათ საჭმელი და ბინა, და ფული მათი ყიდვის საშუალებაა». — (3638.) «მაგრამ სარგებელს ხომ ფულში იხდიან?» — «რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა; მაგრამ აიღეთ სხვა შემთხვევა. ვთქვათ, მეფაბრიკე ნისიად ყიდულობს ბამბას, ბანკიდან სესხის აუღებლად; მაშინ სხვაობა სანაღდო ფასსა და სანისიო ფასს შორის

ვადის დადგომის მომენტში სარგებლის საზომი იქნება. სარგებელი თურმე იარსებებდა, ფული რომ საერთოდ სულაც არ ყოფილიყო ქვეყნად».

ეს თვითკმაყოფილებით ნათქვამი აბდაუბდა სწორედ რომ currency principle-ს ამ დედაბოძის ღირსია. უწინარეს ყოვლისა გენიალური აღმოჩენაა, რომ ბანკნოტები ან ოქრო საშუალებაა რისამე საყიდლად და რომ მათ თვით მათი გულისთვის არ სესხულობენო. და აქედან უნდა გამომდინარეობდეს, რომ სარგებელი რეგულირდება რით? საქონლის მოთხოვნითა და მიწოდებით, თუმცა ჩვენ აქამდე მხოლოდ ის ვიცოდით, რომ მოთხოვნა და მიწოდება საქონელთა საბაზრო ფასების მარეგულირებელია. მაგრამ საქონელთა უცვლელ საბაზრო ფასებთან შეიძლება შეთავსებული იყოს სარგებლის სრულიად სხვადასხვა ნორმები. — და შემდეგ, ასეთი სიბრძნე. სწორ შენიშვნაზე: «ფულში ხომ სარგებელს იხდიან», რაც, რასაკვირველია, შეიცავს კითხვასაც: რა ესაქმება საქონელთან სარგებელს, რასაც იღებს ბანკირი, რომელიც სრულიად არ ვაჭრობს ამ საქონლით? და განა ერთნაირი სარგებლის განაკვეთით არ ღებულობენ ფულს მეფაბრიკენი, რომლებიც ამ ფულს სულ სხვადასხვა ბაზრებზე ხარჯავენ, ე. ი. ბაზრებზე, სადაც წარმოებაში მოსახმარებელ საქონელთა მოთხოვნისა და მიწოდების სულ სხვადასხვა შეფარდებაა გამეფებული? — ამ კითხვაზე ეს მძლეთამძლე გენიოსი უპასუხებს: თუ მეფაბრიკე ბამბას კრედიტით ყიდულობს, «მაშინ სხვაობა სანაღდო ფასსა და სანისიო ფასს შორის ვადის დადგომის მომენტში სარგებლის საზომი იქნებაო». პირიქით, სარგებლის არსებული ნორმა, რომლის რეგულირება უნდა აგვიხსნას გენიოსმა ნორმანმა, საზომია სხვაობისა სანაღდო ფასსა და სანისიო ფასს შორის ვადის გასვლამდე. ბამბა ჯერ უნდა გაიყიდოს სანაღდო ფასში, და ეს ფასი კი განისაზღვრება საბაზრო ფასით, რომელიც, თავის მხრივ, რეგულირდება მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობით. ვთქვათ, ფასი = 1 000 გირვ. სტერლინგს. ამით დასრულებულია გარიგება მეფაბრიკესა და ბამბის მაკლერს შორის, რამდენადაც საქმე ყიდვა-გაყიდვას შეეხება. ახლა ამას ერთვის მეორე გარიგება. ეს არის გარიგება გამსესხებელსა და მსესხებელს შორის. 1 000 გირვ. სტერლინგი ღირებულება მეფაბრიკეს სესხად ეძლევა ბამბით, და მან იგი გამსესხებელს ფულით უნდა დაუბრუნოს, ვთქვათ, სამი თვის შემდეგ. მაშინ 1 000 გირვ. სტერლინგისთვის სამი თვის სარგებელი, რომელიც სარგებლის საბაზრო ნორმით განისაზღვრება, შეადგენს დამატებას სანაღდო ფასზე. ბამბის ფასი განისაზღვრება მოთხოვნითა და მიწოდებით. მაგრამ ფასი ბამბის ნასესხები ღირებულებისა, 1 000 გირვ. სტერლინგისა სამი

თვისთვის, განისაზღვრება სარგებლის ნორმით. და ის ფაქტი, რომ თვით ბამბა ასე ფულად კაპიტალად გადაიქცევა, ბ-ნი ნორმანის აზრით იმას ამტკიცებს, რომ სარგებელი იარსებებდა მაშინაც, ფული რომ საერთოდ სულაც არ ყოფილიყო ქვეყნად. თუ საერთოდ ფული არ იქნებოდა, — არ იქნებოდა ყოველ შემთხვევაში სარგებლის საერთო ნორმა.

უწინარეს ყოვლისა ეს არის ვულგარული წარმოდგენა კაპიტალზე როგორც «საქონელზე, რომელიც წარმოებაში მოიხმარება». რამდენადაც ეს საქონელი არსებობს კაპიტალის სახით, მისი, როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს, ღირებულება, განსხვავებით მისი, როგორც ს ა ქ ო ნ ლ ი ს, ღირებულებისგან, გამოიხატება მოგებით, რომელიც მიიღება მისი მწარმოებლური ან სავაჭრო გამოყენებიდან. და მოგების ნორმას უცილობლად აქვს ყოველთვის გარკვეული დამოკიდებულება ნაყიდ საქონელთა საბაზრო ფასთან და მათს მოთხოვნასა და მიწოდებასთან, მაგრამ იგი კიდევ სულ სხვა გარემოებებით განისაზღვრება. და რომ სარგებლის ნორმის საერთო ზღვარი მოგების ნორმაა, — ეს უეჭველია, მაგრამ აბა ბ-ნმა ნორმანმა გვითხრას პირდაპირ, თუ როგორ განისაზღვრება ეს ზღვარი. და იგი, გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ კაპიტალის სხვა ფორმებისგან, განისაზღვრება ფულადი კაპიტალის მოთხოვნითა და მიწოდებით. ახლა შეიძლებოდა კიდევ გვეკითხა: როგორ განისაზღვრება ფულადი კაპიტალის მოთხოვნა და მიწოდება? ეჭვს გარეშეა, რომ არსებობს ფარული კავშირი ნივთობრივი კაპიტალის მიწოდებასა და ფულადი კაპიტალის მიწოდებას შორის, ისევე როგორც ეჭვს გარეშეა, რომ მრეწველ კაპიტალისტთა მოთხოვნა ფულადი კაპიტალის მიმართ ნამდვილი წარმოების პირობებით განისაზღვრება. ნაცვლად იმისა, რომ ამის შესახებ ახსნა-განმარტება მოგვცეს, ბ-ნი ნორმანი გვაწოდებს იმ სიბრძნეს, რომ ფულადი კაპიტალის მოთხოვნა არაა იდენტური ფულის, როგორც ასეთის, მოთხოვნისა; — და მხოლოდ ამ სიბრძნეს, იმიტომ რომ მისი, ოვერსტონისა და currency principle-ს სხვა წინასწარმეტყველთა გულის სიღრმეში იმალება შერყვნილი სინდისი, ვინაიდან მათ ის მისწრაფება ჰქონდათ, რომ ხელოვნური კანონმდებლობითი ჩარევის გზით მიმოქცევის საშუალებიდან როგორც ასეთიდან კაპიტალი შეექმნათ და სარგებლის განაკვეთი აემაღლებიათ.

მივმართოთ ახლა ლორდ ოვერსტონს, alias [სხვანაირად] სემუელ ჯონს ლოიდს, და ვნახოთ, როგორ მოახერხებს აგვიხსნას, რატომ იღებს იგი 10%-ს თავის «ფულში», რაკი «კაპიტალი» ქვეყნად ესოდენ იშვიათია.

(3653.) «სარგებლის ნორმის რყევა წარმოდგება ერთ-ერთ ამ ორ მიზეზთაგან: კაპიტალის ღირებულების ცვლილებიდან» (ჩინებულია!

კაპიტალის ღირებულება ხომ, თუ ზოგადად ვიტყვით, სწორედ სარგებლის განაკვეთია! მაშასადამე, სარგებლის ნორმის ცვლილება აქ წარმოდგება სარგებლის ნორმის ცვლილებიდან! «კაპიტალის ღირებულება» თეორიულად, როგორც ჩვენ წინათ ცხადვყავით, არასოდეს არ გაიგება სხვაგვარად. ან, იქნებ, ბ-ნი ოვერსტონი კაპიტალის ღირებულებად გულისხმობს მოგების ნორმას, — მაშინ ეს ღრმამოაზროვნე უბრუნდება იმას, რომ სარგებლის ნორმა რეგულირდება მოგების ნორმით! —) «ანდა ქვეყანაში არსებული ფულის რაოდენობის ცვლილებიდან. სარგებლის განაკვეთის ყველა დიდი რყევა, დიდი ან რყევის ხანგრძლიობის მხრივ ან მისი ამპლიტუდის მხრივ, — შეიძლება გარკვევით დაყვანილ იქნეს კაპიტალის ღირებულების ცვლილებებზე. ამ ფაქტის ყველაზე უფრო დამარწმუნებელ პრაქტიკულ ილუსტრაციას წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის აწევა 1847 წელს და შემდეგ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში (1855 — 1856 წ.); სარგებლის განაკვეთის უფრო პატარ-პატარა რყევა, რაც არსებული ფულის რაოდენობის ცვლილებიდან წარმოდგება, პატარაა როგორც მისი ამპლიტუდის, ისე ხანგრძლიობის მხრივ. ასეთი რყევა ხშირია, და რაც უფრო ხშირია იგი, მით უფრო აღწევს თავის მიზანს», ე. ი. à la ოვერსტონის [ოვერსტონის ტიპის] ბანკირთა გამდიდრებას. ძვირფასი სემუელ გარნეი ამის შესახებ ძალიან გულუბრყვილოდ გამოთქვამს თავის აზრს ლორდთა პალატის კომიტეტის წინაშე, «C. D.». 1848: (1324.) «ხართ თუ არა თქვენ იმ აზრის, რომ სარგებლის განაკვეთის დიდი რყევა, რასაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს, ხელსაყრელი იყო ბანკირებისა და ფულით მოვაჭრეებისთვის?» — «მე მგონია, რომ იგი ხელსაყრელი იყო ფულით მოვაჭრეებისათვის. ყოველი რყევა ამ საქმეში ხელსაყრელია იმათთვის, ვისაც საქმე გაეგება (to the knowing men)». — (1325.) «განა სარგებლის მაღალი განაკვეთის არსებობისას ბანკირი ბოლოს და ბოლოს არ ზარალობს თავისი საუკეთესო კლიენტების გაღარიბების გამო?» — «არა, მე არა ვარ იმ აზრის, რომ რამდენადმე შესამჩნევი ოდენობით ასეთ შედეგს ჰქონდეს ადგილი». — Voilà ce que parler veut dire [აი, რას ნიშნავს ლაყბობა].

ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით იმ საკითხს, თუ რა გავლენა აქვს სარგებლის განაკვეთზე არსებული ფულის რაოდენობას. მაგრამ უკვე ახლა უნდა აღინიშნოს, რომ ოვერსტონი აქაც quid pro quo-ს სჩადის. ფულადი კაპიტალის მოთხოვნამ 1847 წელს (ოქტომბრამდე ადგილი არ ჰქონია არავითარ ზრუნვას ფულის ნაკლებობის გამო, «არსებული ფულის რაოდენობის» გამო, როგორც მას ზევით უწოდა ოვერსტონმა) მატა სხვადასხვა მიზეზების გამო. პურის გაძვირება, ბამბის ფასების

აწევა, შაქრის გაყიდვის შეუძლებლობა ჭარბწარმოების გამო, სარკინიგზო სპეკულაცია და კრახი, საგარეო ბაზრების გავსება ბამბეული საქონლით, ზემოაღნიშნული იძულებითი ექსპორტი ინდოეთში და იძულებითი იმპორტი ინდოეთიდან მარტოოდენ ფიქციური თამასუქების შეძენის მიზნით; ყველა ამ გარემოებამ, ჭარბწარმოებამ მრეწველობაში, ისევე როგორც ნაკლწარმოებამ მიწათმოქმედებაში, მაშასადამე, სრულიად სხვადასხვა მიზეზებმა, გამოიწვია ფულადი კაპიტალის მოთხოვნის, ე. ი. კრედიტისა და ფულის მოთხოვნის, გადიდება. ფულადი კაპიტალის გადიდებულ მოთხოვნას თვით წარმოების პროცესის მსვლელობაში ჰქონდა თავისი მიზეზები. მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, სწორედ ფ უ ლ ა დ ი კაპიტალის მოთხოვნამ გამოიწვია სარგებლის განაკვეთის, ფულადი კაპიტალის ღირებულების გადიდება. თუ ოვერსტონს იმის თქმა უნდა, რომ ფულადი კაპიტალის ღირებულებამ აიწია, ი მ ი ტ ო მ რ ო მ აიწია, — ეს ხომ ტავტოლოგიაა. ხოლო თუ იგი აქ «კაპიტალის ღირებულებად» გულისხმობს მოგების ნორმის აწევას როგორც სარგებლის განაკვეთის აწევის მიზეზს, — ამ დებულების მცდარობა ახლავე გამოაშკარავდება. ფულადი კაპიტალის მოთხოვნამ და, ამიტომ, «კაპიტალის ღირებულებამ» შეიძლება აიწიოს, თუმცა მოგება დაბლა იწევს; როგორც კი ფულადი კაპიტალის შეფარდებითი მიწოდება დაიწევს, მისი «ღირებულება» აიწევს. ოვერსტონს იმის დამტკიცება უნდოდა, რომ 1847 წლის კრიზისი და მისი თანმხლები მაღალი სარგებლის ნორმა სრულიადაც არ იყო დამოკიდებული «არსებული ფულის რაოდენობაზე», ე. ი. 1844 წლის საბანკო აქტის დადგენილებებზე, რომლის სულისჩამდგმელი თვითონ იყო; თუმცა სინამდვილეში მათზე იყო დამოკიდებული, რამდენადაც ოვერსტონის ქმნილების — ბანკის რეზერვის გამოლევის შიშმა — 1847/48 წლის კრიზისს მიუმატა პანიკა ფულის გამო. მაგრამ საკითხი ახლა ამაში როდია. არსებობდა ფულადი კაპიტალის ნაკლებობა, რაც გამოწვეული იყო, არსებულ სახსრებთან შედარებით, ზომაგადაჭარბებული სიდიდის ოპერაციებით და რამაც თავი იჩინა კვლავწარმოების პროცესის მოშლილობისას იმის შედეგად, რომ ადგილი ჰქონდა მოუსავლობას, მოჭარბებულ სარკინიგზო მშენებლობას, ჭარბწარმოებას, განსაკუთრებით ბამბის საქონელთა ჭარბწარმოებას, ინდოეთსა და ჩინეთთან ვაჭრობაში თაღლითურ ოპერაციებს, სპეკულაციას, შაქრის მოჭარბებულ იმპორტს და სხვ. იმ პირთ, რომლებმაც პური მაშინ იყიდეს, როდესაც კვარტერი 120 შილინგი ღირდა, ახლა, როდესაც მისი ფასი 60 შილინგამდე დაეცა, სწორედ ეს 60 შილინგი აკლდათ. 60 შილინგი მათ ზედმეტად გადაიხადეს პურში და სათანადო თანხის კრედიტ-

დააკლდათ მათ პურის გირაოსქვეშ. ბანკნოტების ნაკლებობა სრულიადაც არ უშლიდა მათ ხელს თავიანთი პური ძველი ფასის — 120 შილინგის—საფუძველზე ფულად ექციათ, როგორც იგი ხელს არ უშლიდა იმათაც, რომლებმაც ჭარბად შემოზიდეს შაქარი, რაც შემდეგ თითქმის გაუყიდავი დარჩა. ასეთივე იყო იმ ბატონთა მდგომარეობა, რომლებმაც თავიანთი საბრუნავი კაპიტალი (floating capital) რკინიგზებში დააბანდეს მტკიცედ და თავის «კანონიერ» საქმეში მისი ანაზღაურებისათვის კრედიტს მიმართეს. ყველაფერი ეს ოვერსტონისათვის გამოიხატება «მისი ფულის გადიდებული ღირებულების მორალური შეცნობით (a moral sense of the enhanced value of his money)». მაგრამ ფულადი კაპიტალის ამ გადიდებულ ღირებულებას შეესაბამებოდა სწორედ მეორე მხარეზე რეალური კაპიტალის (საქონლური კაპიტალისა და მწარმოებლური კაპიტალის) დაწეული ფულადი ღირებულება. კაპიტალის ღირებულებამ ერთ ფორმაში აიწია, იმიტომ რომ კაპიტალის ღირებულებამ მეორე ფორმაში დაიწია. ოვერსტონი კი ცდილობს გააიგივეოს სხვადასხვა კაპიტალის ორივე ეს ღირებულება კაპიტალის ერთადერთ ღირებულებაში საერთოდ და თანაც იმით, რომ ორივეს უპირისპირებს მიმოქცევის საშუალების, არსებული ფულის, ნაკლებობას. მაგრამ ფულადი კაპიტალის ერთი და იგივე თანხა შეიძლება სესხად გაიცეს ფრიად სხვადასხვა რაოდენობის მიმოქცევის საშუალებებით.

ავიღოთ მისი მაგალითი 1847 წლისა. ოფიციალური საბანკო სარგებლის განაკვეთი შეადგენდა: იანვარში 3 — 3½%-ს, თებერვალში 4 — 4½%-ს, მარტში მეტწილად 4%-ს, აპრილში (პანიკა) 4 — 7½%-ს, მაისში — 5 — 5½%-ს, ივნისში საერთოდ 5%-ს, ივლისში 5%-ს, აგვისტოში 5 — 5½%-ს, სექტემბერში 5%-ს მცირე რყევით 5¼ — 5½ — 6%-მდე, ოქტომბერში 5—5½—7%-ს, ნოემბერში —7— 10%-ს, დეკემბერში 7 — 5%-ს. ამ შემთხვევაში სარგებელი მაღლა იწევდა, იმიტომ რომ მოგება კლებულობდა და საქონელთა ფულადი ღირებულება უზომოდ ეცემოდა. მაშასადამე, თუ აქ ოვერსტონი ამბობს, 1847 წ. სარგებლის განაკვეთმა იმიტომ აიწია, რომ კაპიტალის ღირებულებამ აიწიაო, მაშინ იგი კაპიტალის ღირებულებად შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ ფულადი კაპიტალის ღირებულებას, ფულადი კაპიტალის ღირებულება კი სწორედ სარგებლის განაკვეთია და სხვა არაფერი. მაგრამ შემდგომ თავს გამოყოფს მელიას კუდი და კაპიტალის ღირებულება გაიგივებულია მოგების ნორმასთან.

რაც შეეხება სარგებლის მაღალ განაკვეთს, რომელსაც 1856 წელს იხდიდნენ,— ოვერსტონმა მართლა არ იცოდა, რომ ეს განაკვეთი ნაწი-

ლობრივ იმის სიმპტომი იყო, რომ გაჩნდა კატეგორია კრედიტის რაინ-დებისა, რომელნიც სარგებელს მოგებიდან კი არ იხდიდნენ, არამედ — სხვისი კაპიტალიდან; იგი სულ რამდენიმე თვის წინათ 1857 წლის კრიზისამდე ამტკიცებდა, რომ «საქმეების მდგომარეობა სრულიად ჯანსაღიაო».

იგი ამბობს შემდეგ: (3722.) «უაღრესად მცდარია ის წარმოდგენა, ითომ საწარმოს მოგება სარგებლის განაკვეთის აწევის გამო ისპობა. ჯერ ერთი, სარგებლის განაკვეთის აწევა იშვიათადაა ხანგრძლივი; მეო-რე, თუ იგი ხანგრძლივი და მნიშვნელოვანია, მაშინ არსებითად იგი წარმოადგენს კაპიტალის ღირებულების აწევას; და რატომ იწევს მაღ-ლა კაპიტალის ღირებულება? იმიტომ რომ მოგების ნორმამ აიწია». ამრიგად, აქ ჩვენ, ბოლოს ვიგებთ, თუ რა აზრი აქვს «კაპიტალის ღირებულებას». სხვათა შორის, მოგების ნორმა შეიძლება დიდ ხანს მაღალ დონეზე რჩებოდეს, ხოლო მეწარმის შემოსავალი შემცირდეს და სარგებლის განაკვეთმა აიწიოს, ასე რომ სარგებელი მოგების ტდიდეს ნაწილს შთანთქავს.

(3724.) «სარგებლის განაკვეთის აწევა იმის შედეგი იყო, რომ საკაპრო საქმეები კოლოსალურად გაფართოვდა ჩვენს ქვეყანაში და ;ოგების ნორმამ დიდად აიწია; და თუ ჩივიან, რომ სარგებლის გადი-დებული განაკვეთი ანადგურებს ორივე იმ საგანს, რომელიც მის სა-;უთარ მიზეზს შეადგენდა, — ეს ლოგიკური აბსურდია, რომელზედაც ;ო იცის ადამიანმა, რა თქვას». — ეს სწორედ ისევე ლოგიკურია, რო-;ორც მას რომ ეთქვა: მოგების გადიდებული ნორმა საკოსელთა სპე-ულაციით ფასების აწევის შედეგი იყო, და თუ ჩივიან, რომ ფასების ;წევა თავის საკუთარ მიზეზს, ე. ი. სპეკულაციას, ანადგურებს, — ეს ;ოგიკური აბსურდიაო და სხვა. საგანს რომ შეუძლია ბოლოს და ;ოლოს თავისი საკუთარი მიზეზი გაანადგუროს, — ეს ლოგიკური ბსურდია მხოლოდ მეეახშისთვის, რომელიც სარგებლის მაღალ გა-აკვეთზეა შეყვარებული. რომელების ძლიერება მათ მიერ წარმოე-ულ დაპყრობათა მიზეზი იყო და ამ დაპყრობებმა გაანადგურა მათი ლიერება. სიმდიდრე ფუფუნების მიზეზია და ფუფუნება გამნადგუ-ებლად მოქმედებს სიმდიდრეზე. ეს ეშმაკი, ესა! თანამედროვე ბურ-უაზიული ქვეყნის იდიოტიზმს ისე კარგად არაფერი არ ახასიათებს, ;ოგორც ის მოწიწება, რომელსაც იწვევდა მთელს ინგლისში მილიო-ერის, ამ dung — hili aristocrat-ის [ნეხვის გროვაზე ამოსული არის-;ოკრატის] «ლოგიკა». გარდა ამისა, თუ მოგების მაღალი ნორმა და აწარმოთა გაფართოება შეიძლება სარგებლის მაღალი განაკვეთის მი-ეზი იყოს, აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ სარგებლის

მაღალი განაკვეთი მაღალი მოგების მიზეზს შეადგენს. საკითხი კი სწორედ ის არის, ხომ არ განაგრძობდა არსებობას ეს მაღალი სარგებელი (როგორც ეს კრიზისის დროს ნამდვილად გამოაშკარავდა) ან ხომ არ ასულა იგი უმაღლეს წერტილამდე სწორედ მას შემდეგ, რაც მოგების მაღალი ნორმიდან მხოლოდ მოგონება დარჩა.

(3718.) «რაც შეეხება დისკონტის ნორმის გადიდებას, — ეს ისეთი გარემოებაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალის გადიდებული ღირებულებიდან წარმოდგება, ხოლო კაპიტალის ამ გადიდებული ღირებულების მიზეზი, ვფიქრობ, ყველას შეუძლია აღმოაჩინოს სრული სიცხადით. მე უკვე აღვნიშნე ის ფაქტი, რომ 13 წელიწადში, რომლის განმავლობაში ეს საბანკო აქტი მოქმედებდა, ინგლისის ვაჭრობა 45-იდან 120 მილ. გირვ. სტერლინგამდე გაიზარდა. ჩაუფიქრდით ყველა იმ მოვლენას, რომელთაც ეს მოკლე ციფრობრივი მონაცემები შეიცავს; ჩაუფიქრდით კაპიტალის კოლოსალურ მოთხოვნას, რომელსაც ვაჭრობის ესოდენ კოლოსალური გადიდება მოაქვს თან, და გაიხსენეთ ამასთანავე, რომ ამ დიდი მოთხოვნისათვის მიწოდების ბუნებრივი წყარო, სახელდობრ ქვეყნის წლიური დანაზოგი, უკანასკნელ სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში დაიხარჯა სამხედრო საჭიროებისათვის, რაც მოგებას არ იძლევა. უნდა გამოვტყდე, მე მიკვირს, რომ სარგებლის განაკვეთი კიდევ უფრო მაღალი არ არის, ანუ, სხვა სიტყვებით, მიკვირს, კაპიტალის მხრივ შევიწროებული მდგომარეობა ასეთი კოლოსალური ოპერაციების გამო რომ კიდევ ბევრად უფრო ძლიერი არ არის, ვიდრე თქვენ იგი ჰპოვეთ უკვე».

როგორ საოცრად კოჭაობს სიტყვებით ეს ჩვენი მევახშე-ლოგიკოსი! იგი კვლავ აქ არის მისი კაპიტალის გადიდებული ღირებულებითურთ! ეტყობა, მას წარმოუდგენია, რომ ერთ მხარეზე ხდებოდა კვლავწარმოების პროცესის ეს კოლოსალური გაფართოება, მაშასადამე, ნამდვილი კაპიტალის დაგროვება, და რომ მეორე მხარეზე იყო «კაპიტალი», რომლის მიმართ «კოლოსალური მოთხოვნა» წარმოდგა, რათა ვაჭრობის ესოდენ კოლოსალური გაფართოება მოეხდინა! მაგრამ განა წარმოების ეს კოლოსალური გადიდება არ წარმოადგენდა თვით კაპიტალის გადიდებას, და განა მან, როცა მოთხოვნა შექმნა, არ შექმნა იმავე დროს აგრეთვე ფულადი კაპიტალის მიწოდება, გადიდებული მიწოდებაც კი? თუ სარგებლის განაკვეთმა ძალიან მაღლა აიწია, ეს ხომ იმიტომ მოხდა, რომ ფულადი კაპიტალის მოთხოვნა კიდევ უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე მიწოდება, სხვა სიტყვებით, — იმიტომ, რომ სამრეწველო წარმოების გაფართოებასთან ერთად გაფართოვდა მისი წარმართვა საკრედიტო სისტემის საფუძველზე. სხვა სიტყვებით,

მრეწველობის ნამდვილმა გაფართოებამ გამოიწვია «სესხთა» გადიდებული მოთხოვნა, და. ეტყობა, ამ უკანასკნელ მოთხოვნას გულისხმობს ჩვენი ბანკირი «კაპიტალის კოლოსალურ მოთხოვნად». რასაკვირველია, მარტოოდენ კაპიტალის მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს გაფართოებას არ გაუდიდებია საექსპორტო ვაჭრობა 45-იდან 120 მილიონამდე. და რას გულისხმობს, შემდეგ, ოვერსტონი, როცა ამბობს, ყირიმის ომის მიერ შთანთქმული წლიური დანაზოგი ქვეყნისა ამ დიდი მოთხოვნისთვის მიწოდების ბუნებრივ წყაროს შეადგენსო? ჯერ ერთი, რით მოახდინა ინგლისმა დაგროვება 1792 წლიდან 1815 წლამდე, როცა ომი სრულიადაც ისეთი არ იყო, როგორც ყირიმის პატარა ომი? მეორე, თუ ბუნებრივი წყარო ამოშრა, საიდანღა მოედინებოდა კაპიტალი? როგორც ცნობილია, ინგლისს არ აუღია სესხი სხვა ერებისაგან. მაგრამ თუ ბუნებრივი წყაროს გვერდით არსებობს კიდევ ხელოვნური, — ფრიად სასიამოვნო მეთოდი იქნებოდა რომელიმე ერისათვის ბუნებრივი წყარო გამოეყენებინა ომის შემთხვევაში, ხოლო ხელოვნური წყარო — სავაჭრო საქმეში. ხოლო თუ არსებობდა მხოლოდ ძველი ფულადი კაპიტალი, — შეეძლო მას თავისი მოქმედება მაღალი სარგებლის განაკვეთით გაეორკეცებია? ბ-ნ ოვერსტონს, ცხადია, ჰგონია, რომ ქვეყნის წლიური დანაზოგი (თუმცა ამ შემთხვევაში, ეტყობა, მოხმარებული) მხოლოდ ფულად კაპიტალად გარდაიქმნება. მაგრამ თუ ნამდვილ დაგროვებას, ე. ი. წარმოების ამაღლებას და წარმოების საშუალებათა გამრავლებას ადგილი არ ექნებოდა, მაშინ რისი მაქნისი იქნებოდა სავალო მოთხოვნათა დაგროვება ფულადი ფორმით ამ წარმოების მიმართ?

«კაპიტალის ღირებულების» აწევას, რაც მოგების მაღალი ნორმიდან გამომდინარეობს, ოვერსტონი იმ აწევაში ურევს, რომელიც ფულადი კაპიტალის გადიდებული მოთხოვნიდან გამომდინარეობს. ეს მოთხოვნა შეიძლება გადიდდეს ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც სრულიად არაა დამოკიდებული მოგების ნორმაზე. თვითონ ოვერსტონი აღნიშნავს ამის მაგალითად, რომ 1847 წელს მოთხოვნა გადიდდა რეალური კაპიტალის გაუფასურების შედეგად. იმის მიხედვით, თუ რა არის მისთვის ხელსაყრელი, იგი კაპიტალის ღირებულებას უფარდებს ხან რეალურ კაპიტალს, ხან ფულად კაპიტალს.

ჩვენი საბანკო ლორდის არაკეთილსინდისიერება, მის შეზღუდულ ბანკირულ თვალსაზრისთან ერთად, რასაც იგი დიდაქტიკურად ამახვილებს, მეღავნდება კიდევ შემდეგში: (3728. კითხვა:) „თქვენ თქვით, რომ თქვენი აზრით, დისკონტის ნორმას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ვაჭრისთვის; ხომ არ ინებებთ გვითხრათ, რა მიგაჩნიათ თქვენ მო-

გების ჩვეულებრივ ნორმად?». ამაზე პასუხის გაცემა «შეუძლებლად» მიაჩნია ბ-ნ ოვერსტონს (3729.) «ვთქვათ, მოგების საშუალო ნორმა არის 7 — 10%; ამ შემთხვევაში დისკონტის ნორმის ცვლილებამ 2%-იდან 7 ან 8%-მდე არსებითი გავლენა უნდა იქონიოს მოგების ნორმაზე, — მართალია ხომ?» (თვით შემკითხველი ურევს მეწარმის შემოსავლის ნორმას და მოგების ნორმას ერთმანეთში და მხედველობიდან უშვებს, რომ მოგების ნორმა სარგებლისა და მეწარმის შემოსავლის საერთო წყაროა. სარგებლის ნორმას შეუძლია ხელუხლებელი დატოვოს მოგების ნორმა, მაგრამ არა მეწარმის შემოსავალი. ოვერსტონი უპასუხებს): «ჯერ ერთი, კომერსანტები არ გადაიხდიან დისკონტის ისეთ ნორმას, რომელიც მათ გამოაცლის არსებითად მოგებას; ისინი ამჯობინებენ შეაჩერონ თავიანთი საქმე». (რასაკვირველია, თუ ეს მათ შეუძლიათ ისე, რომ არ განადგურდნენ. სანამ მათი მოგება მაღალია, ისინი იხდიან დისკონტს იმიტომ, რომ სურთ გადაიხადონ, ხოლო, როდესაც იგი დაბალია, მას ისინი იხდიან იმიტომ, რომ იძულებული არიან გადაიხადონ.) «რას ნიშნავს დისკონტი, რატომ მიმართავს ვინმე თამასუქის დისკონტს?... იმიტომ, რომ უფრო დიდი კაპიტალის მიღება სურს»; (შეჩერდით! იმიტომ, რომ მას უნდა წინასწარ განახორციელოს თავისი მტკიცედ მოთავსებული კაპიტალის უკუდინება ფულადი ფორმით და თავიდან აიცილოს შეფერხება თავის საქმეში. იმიტომ, რომ ვადადამდგარი გადასახდელი გადაიხადოს. კაპიტალის გადიდებას იგი მოითხოვს მხოლოდ მაშინ, თუ საქმე კარგად მიდის ან თუ იგი სპეკულაციას ეწევა სხვისი კაპიტალით მაშინაც კი, როცა საქმე ცუდად მიდის. დისკონტი სრულიადაც არაა მხოლოდ საშუალება საქმის გასაფართოებლად.) «და რატომ უნდა მას მოიპოვოს მბრძანებლობა უფრო დიდ კაპიტალზე? იმიტომ, რომ ამ კაპიტალის გამოყენება უნდა; და რატომ უნდა ამ კაპიტალის გამოყენება? იმიტომ, რომ ეს მომგებიანია; მაგრამ ეს არ იქნებოდა მისთვის მომგებიანი, დისკონტი რომ მოგებას ნთქავდეს».

ეს თვითკმაყოფილი ლოგიკოსი გულისხმობს, რომ თამასუქის დისკონტირებას მხოლოდ საქმის გასაფართოებლად მიმართავენ და რომ საქმეს აფართოებენ იმიტომ, რომ ეს მომგებიანია. პირველი წანამძღვარი მცდარია. ჩვეულებრივი მეწარმე დისკონტს მიმართავს იმისთვის, რომ წინასწარ მიიღოს თავისი კაპიტალის ფულადი ფორმა და ამით კვლავწარმოების პროცესის უწყვეტობა შეინარჩუნოს; არა იმისთვის, რომ საქმე გააფართოვოს ან დამატებითი კაპიტალი მოიპოვოს, არამედ იმისთვის, რომ კრედიტი, რომელსაც იგი იძლევა, გააწონასწოროს იმ კრედიტით, რომელსაც იღებს. და თუ იგი კრედიტით დაიწყებს

თავისი საქმის გაფართოებას, თამასუქების დისკონტირება მცირე სარგებლობას მოუტანს მას, ვინაიდან დისკონტირება უკვე მის ხელში მყოფი ფულადი კაპიტალის გარდაქმნაა მხოლოდ ერთი ფორმიდან მეორე ფორმად; იგი არჩევს მტკიცე სესხი აიღოს უფრო გრძელი ვადით. კრედიტის რაინდი, რასაკვირველია, მოახდენს თავისი ფიქციური თამასუქების დისკონტირებას, რათა თავისი საქმე გააფართოოს, რათა ერთი ფუჭე საქმე მეორით დაფაროს, არა იმისთვის, რომ მოგება მიიღოს, არამედ იმისთვის, რომ თავის განკარგულებაში მიიღოს სხვისი კაპიტალი.

გააიგივა რა, ამგვარად, დისკონტი დამატებითი კაპიტალის სესხად აღებასთან (და არა თამასუქების ნაღდ ფულად გარდაქმნასთან, რომელნიც კაპიტალს წარმომადგენლობენ), ბ-ნი ოვერსტონი მაშინვე უკან იხევს, როგორც კი მას მოუჭერენ. — (3730. კითხვა:) «განა იძულებულნი არ არიან ვაჭრები, რაკი ერთხელ საქმეში ჩაებნენ, განაგრძონ გარკვეული დროის განმავლობაში ოპერაციები, სარგებლის განაკვეთის დროებითი აწევის მიუხედავად?» — (ოვერსტონი:) «ეჭვს გარეშეა, რომ თუ რომელიმე ცალკეული გარიგების დროს ვინმეს შეუძლია თავის განკარგულებაში მიიღოს კაპიტალი უფრო დაბალი სარგებლის განაკვეთით ნაცვლად მაღალი განაკვეთისა, — ეს შემთხვევა, ამ შეზღუდული თვალსაზრისით აღებული, მისთვის სასიამოვნოა». — სამაგიეროდ ბ-ნი ოვერსტონის თვალსაზრისია შეუზღუდველი, როდესაც იგი უცვლ «კაპიტალად» მხოლოდ თავის საბანკირო კაპიტალს გულისხმობს და ამიტომ ის კაცი, რომელიც მასთან თამასუქს დისკონტს უკეთებს, უკაპიტალო ადამიანად მიაჩნია, იმიტომ, რომ უკანასკნელის კაპიტალი საქონლის ფორმით არსებობს ან იმიტომ, რომ მისი კაპიტალის ფულად ფორმას ამ შემთხვევაში წარმოადგენს თამასუქი, რომელიც ბ-ნ ოვერსტონს სხვა ფულად ფორმაში გადააქვს.

(3732.) «ხომ არ ინებებთ გვითხრათ, 1844 წლის საბანკო აქტთან დაკავშირებით, როგორი იყო სარგებლის განაკვეთის დაახლოებითი შეფარდება ბანკის ოქროს რეზერვთან; მართალია ეს, რომ, როცა ოქრო ბანკში 9 თუ 10 მილიონს შეადგენდა, სარგებლის განაკვეთი 6 თუ 7% იყო, ხოლო, როცა ოქრო 16 მილიონს უდრიდა, სარგებლის განაკვეთი დაახლოებით 3 — 4%-ის დონეზე იდგა?» (შემკითხველს სურს სარგებლის განაკვეთი, რამდენადაც იგი განისაზღვრება ოქროს რაოდენობით ბანკში, აახსნევინოს მას სარგებლის განაკვეთით, რამდენადაც იგი განისაზღვრება კაპიტალის ღირებულებით.) — «არ ვიტყვი, რომ ეს ასეა... მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ, ჩემი აზრით, ჩვენ კიდევ უფრო სასტიკი ზომები უნდა მიგვეღო, ვიდრე 1844 წელს მივი-

ლეთ; ვინაიდან, თუ ეს მართალია, რომ, რაც უფრო დიდია ოქროს მარაგი, მით უფრო დაბალია სარგებლის განაკვეთი, მაშინ, თანახმად ამ შეხედულებისა საგანზე, ჩვენ ხელი უნდა მოგვეკიდა საქმისათვის, ოქროს მარაგი გაგვედიდებინა განუსაზღვრელ თანხამდე და მაშინ ჩვენ სარგებელს ნულზე დავიყვანდით». კეილი, რომელმაც ეს კითხვა მისცა და რომელიც სრულიადაც არ დაიბნა ამ უხეირო ოხუნჯობით, გაანგრძობს: (3733.) «ვთქვათ, ასეა, ბანკს 5 მილიონი ოქრო უკან ღებულუნდა, — მაშინ უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში ოქროს მარაგი დაახლოებით 16 მილიონს მიაღწევდა, და ვიგულისხმოთ, რომ ამის გამო სარგებლის განაკვეთი 3 ან 4%-მდე დაეცა, — მაშინ როგორღა შეიძლებოდა მტკიცება, სარგებლის განაკვეთის დაცემა საქმეების ძლიერი შემცირებიდან წარმოდგაო?» — «მე ვთქვი, სარგებლის განაკვეთის ახლახან ყოფილი დიდი გადიდება, და არა სარგებლის განაკვეთის დაცემა, არის მეთქი მჭიდროდ დაკავშირებული საქმეების ძლიერ გაფართოებასთან». — მაგრამ კეილი ამბობდა შემდეგს: თუ სარგებლის განაკვეთის აწევა, ოქროს მარაგის შეკუმშვასთან ერთად, საქმეების გაფართოების ნიშანია, მაშინ სარგებლის განაკვეთის დაწევა, ოქროს მარაგის გაფართოებასთან ერთად, საქმეების შემცირების ნიშანი უნდა იყოს. ოვერსტონი ამაზე პასუხს ვერ აძლევს. (3736. კითხვა:) «მე მახსოვს, თქვენ» (ტექსტში ყველგან არის: Your Lordship [თქვენმა ბრწყინვალებამ]) «თქვით, რომ ფული იარაღია კაპიტალის მისაღებად». (უაზრობაა მისი მიჩნევა იარაღად; იგი კაპიტალის ფორმაა.) პირიქით, (ინგლისის ბანკის) «ოქროს მარაგის შემცირებისას, მთავარი სიძნელე განა ის არ არის, რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ფულს ვერ შოულობენ?» — (ოვერსტონი:) «არა; ისინი არ არიან კაპიტალისტები, არაკაპიტალისტები ცდილობენ იშოვნონ ფული; და რატომ სურთ მათ ფულის შოვნა?.. იმიტომ, რომ ფულის საშუალებით ისინი მბრძანებლობას მოიპოვებენ კაპიტალისტის კაპიტალზე, რათა იმ ადამიანთა საქმე წარმართონ, რომელნიც კაპიტალისტები არ არიან». აქ იგი პირდაპირ განმარტავს, რომ მეფაბრიკენი და ვაჭრები კაპიტალისტები არ არიან და რომ მხოლოდ ფულადი კაპიტალი შეადგენს კაპიტალისტის კაპიტალს. — (3737.) «განა თამასუქების გამცემი პირები კაპიტალისტები არ არიან?» — «თამასუქების გამცემი პირები შეიძლება კაპიტალისტები იყვნენ და შეიძლება არც იყვნენ». აქ იგი მაგრად ჩაჯდა.

შემდეგ მას ეკითხებიან, ვაჭრების თამასუქები წარმომადგენლობენ თუ არა საქონელს, რომელიც მათ გაყიდეს ან ზღვით გაგზავნესო. იგი უარყოფს, რომ ეს თამასუქები სავსებით ისეთივე წარმომადგენელი

იყოს საქონლისა, როგორც ბანკნოტია ოქროს წარმომადგენელი. (3740, 3741.) ეს ცოტა არ იყოს უსირცხვილობაა!

(3742.) «განა ვაჭრის მიზანს ფულის მიღება არ შეადგენს?» — «არა, ფულის მიღება არ შეადგენს თამასუქის გაცემის მიზანს; ფულის მიღება თამასუქის დისკონტის მიზანს შეადგენს». თამასუქის გაცემა არის საქონლის გადაქცევა საკრედიტო ფულის ერთ-ერთ ფორმად, ისე როგორც თამასუქის დისკონტირება არის საკრედიტო ფულის გადაქცევა სხვა ფულად, სახელდობრ ბანკნოტებად. ყოველ შემთხვევაში ბ-ნი ოვერსტონი აქ თანხმდება, რომ თამასუქების დისკონტირების მიზანი ფულის მიღებაა. წინათ იგი შესაძლებლად თვლიდა დისკონტირებას არა კაპიტალის ერთი ფორმიდან მეორე ფორმად გარდასაქმნელად, არამედ მხოლოდ დამატებითი კაპიტალის მისაღებად.

(3743.) «რა არის მოვაჭრე ხალხის მთავარი სურვილი, როდესაც იგი პანიკით შეპყრობილია, როგორც ამას, თქვენი თქმით, ადგილი ჰქონდა 1825, 1837 და 1839 წლებში; რა აქვს მიზნად მოსაქმე ხალხს, თავის განკარგულებაში კაპიტალის მიღება თუ კანონიერი გადახდის საშუალების მიღება?» — «მას მიზნად აქვს კაპიტალზე მბრძანებლობის მიღება თავისი საქმის განსაგრძობად». — ამ ხალხის მიზანია, კრედიტის ნაკლებობის გამო, გადახდის საშუალების მიღება მასზე გაცემული და ვადადამდგარი თამასუქებისათვის, რათა იძულებული არ იყოს ფასზე ნაკლებ გაყიდოს თავისი საქონელი. თუ თვითონ მას საერთოდ კაპიტალი არა აქვს, გადახდის საშუალებასთან ერთად იგი, რასაკვირველია, იმავე დროს კაპიტალსაც მიიღებს, იმიტომ რომ უეკვივალენტოდ იღებს ღირებულებას. ფულის როგორც ასეთის მოთხოვნა ყოველთვის მხოლოდ იმის სურვილია, რომ ღირებულება საქონლის ან სავალო მოთხოვნის ფორმიდან ფულის ფორმად გარდაიქმნას. ამიტომ, თუნდაც რომ კრიზისები მხედველობაში არ მივიღოთ, არსებობს დიდი განსხვავება კაპიტალის სესხად აღებასა და დისკონტს შორის, რომელიც მხოლოდ ახორციელებს ფულადი მოთხოვნების გარდაქმნას ერთი ფორმიდან სხვა ფორმად ანუ ნამდვილ ფულად.

{მე — რედაქტორი — ნებას ვაძლევ ჩემს თავს ჩავურთო აქ შემდეგი შენიშვნა.

ნორმანი, ისევე როგორც ლოიდ-ოვერსტონიც, ბანკირს ყოველთვის ისეთ პირად წარმოგვიდგენს, რომელიც «კაპიტალს იძლევა სესხად», ხოლო მის კლიენტს — ისეთ პირად, რომელიც «კაპიტალს» მოითხოვს მისგან. ასე, ოვერსტონის სიტყვით, ესა თუ ის პირი ბანკირთან ადისკონტირებს თამასუქს», «იმიტომ, რომ სურს მიიღოს კ ა პ ი ტ ა-

ლი» (3729), და ასეთი ადამიანისთვის ძალიან სასიამოვნოა, თუ მას «შეუძლია თავის განკარგულებაში მიიღოს კაპიტალი უფრო დაბალი სარგებლის განაკვეთით» (3730). «ფული იარაღია კაპიტალის მისაღებად» (3736), და პანიკის დროს მოსაქმე ხალხის მთავარი სურვილია «კაპიტალზე მბრძანებლობის მიღება» (3743). თუმცა ლოიდ ოვერსტონთან დიდ არევ-დარევას აქვს ადგილი იმის შესახებ, თუ რა არის კაპიტალი, მაგრამ მისი სიტყვებიდან მაინც საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ, რასაც ბანკირი თავის მოსაქმე კლიენტს აძლევს, იმას უწოდებს იგი კაპიტალს, — კაპიტალს, რომელიც წინათ კლიენტს არ ჰქონდა და რომელიც მას სესხად მიეცა, დამატებით იმ კაპიტალისა, რაც მანამდე კლიენტის განკარგულებაში იყო.

ბანკირი იმდენად მიჩვეულია თავისუფალი საზოგადოებრივი კაპიტალის სესხის სახით გამნაწილებლის როლის შესრულებას, რომ მას ყოველი ფუნქცია, როცა იგი ფულის გაცემას აწარმოებს, სესხის გაცემად ეჩვენება. ყოველი ფული, რომელსაც იგი გასცემს, მას წარმოუდგება როგორც სესხი, ავანსი. თუ ფულს ბანკირი პირდაპირ ვალად გასცემს, მაშინ ეს სიტყვასიტყვით სწორია. თუ ფული თამასუქების სადისკონტო ოპერაციაზე იხარჯება, მაშინ იგი თვით მისთვის ნამდვილად ავანსის გაცემას წარმოადგენს თამასუქის ვადის გასვლამდე. ამ გზით ბანკირის წარმოდგენაში განმტკიცდება ის აზრი, რომ მას არ შეუძლია დაფაროს არც ერთი გადასახდელი, რომელიც ავანსის გაცემა არ არის. თანაც ავანსი არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ფულის ყოველი დაბანდება სარგებლის ანუ მოგების მიღების მიზნით განიხილება ეკონომიური თვალსაზრისით როგორც ავანსი, რომელსაც ფულის სათანადო მფლობელი, როგორც კერძო კაცი, აძლევს თავის თავს როგორც მეწარმეს. არამედ ავანსი იმ განსაზღვრული აზრით, რომ ბანკირი კლიენტს სესხად გადასცემს თანხას, რომელიც ამდენითვე ადიდებს ამ უკანასკნელის განკარგულებაში მყოფ კაპიტალს.

საბანკო კანტორიდან პოლიტიკურ ეკონომიაში გადატანილმა სწორედ ამ წარმოდგენამ შექმნა ამრევდამრევი სადავო საკითხი: ის, რასაც ბანკირი თავისი კლიენტის განკარგულებაში გადასცემს ნაღდ ფულად, კაპიტალს წარმოადგენს თუ მარტოოდენ ფულს, მიმოქცევის საშუალებას, currency-ს? ამ — არსებითად მარტივი — სადავო საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ ბანკის კლიენტის თვალსაზრისზე უნდა დავდგეთ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას თხოულობს და რას იღებს ეს კლიენტი.

თუ ბანკირი თანხმდება თავის კლიენტს სესხი მისცეს უბრალოდ მისი პირადი კრედიტის საფუძველზე, მისი მხრივ რაიმე უზრუნველ-

ყოფის გარეშე, მაშინ საქმე ნათელია. ამ შემთხვევაში კლიენტს უეჭველად ეძლევა ავანსად განსაზღვრული სიდიდის ღირებულება როგორც მის მიერ დღემდე გამოყენებული კაპიტალის დამატება. იგი იღებს ავანსს ფულადი ფორმით, ე. ი. იღებს არა მარტო ფულს, არამედ ფულად კ ა პ ი ტ ა ლ ს ა ც.

თუ მას სესხი ეძლევა ფასიანი ქაღალდების და სხვ. გირაოსქვეშ, მაშინ ეს ავანსია იმ აზრით, რომ მას ფული ეძლევა უკუგადახდის პირობით. მაგრამ ეს არაა კაპიტალის ავანსება. იმიტომ, რომ ფასიანი ქაღალდებიც კაპიტალის წარმომადგენელია და თანაც ავანსზე უფრო დიდი თანხისა. მაშასადამე, მიმღები ნაკლებ კაპიტალღირებულებას ღებულობს, ვიდრე აძლევს გირაოდ; ეს ოპერაცია მისთვის არავითარი დამატებითი კაპიტალის შეძენას არ წარმოადგენს. იგი ამ ოპერაციას ასრულებს არა იმიტომ, რომ კაპიტალი ესაჭიროება, — კაპიტალი მას უკვე აქვს თავის ფასიან ქაღალდებში, — არამედ იმიტომ, რომ ფული ესაჭიროება. აქ, მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს ფ უ ლ ი ს და არა კაპიტალის გასესხებასთან.

თუ ავანსის გაცემა თამასუქების დისკონტის საფუძველზე ხდება, მაშინ ავანსის ფ ო რ მ ა ც კ ი ქრება. ეს არის წმინდა ყიდვა და გაყიდვა. ინდოსამენტის გზით თამასუქი ბანკის საკუთრებაში გადადის, ფული კი — კლიენტის საკუთრებაში; მისი მხრივ უკუგადახდის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. თუ კლიენტი თამასუქით ან მსგავსი საკრედიტო იარაღით ნაღდ ფულს ყიდულობს, — ეს იგივე ავანსია, არც მეტი და არც ნაკლები, როგორც ის, მას რომ ნაღდი ფული თავისი სხვა რაიმე საქონლით: ბამბით, რკინით, პურით ეყიდნა და ყველაზე ნაკლებ შეიძლება აქ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ავანსირებაზე ლაპარაკი. ყოველი ყიდვა-გაყიდვა ვაჭარსა და ვაჭარს შორის კაპიტალის გადაცემაა. სესხს კი ადგილი აქვს მხოლოდ იქ, სადაც კაპიტალის ურთიერთ გადაცემა კი არ ხდება, არამედ ცალმხრივად და განსაზღვრული ვადით გაიცემა. ამიტომ კაპიტალის გასესხებას თამასუქის დისკონტის გზით შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მაშინ, როცა თამასუქი ფიქციური თამასუქია, რომელიც სრულიად არ წარმოადგენს გაყიდულ საქონელს და რომელსაც არც ერთი ბანკირი არ აიღებს, რაკი იცის, თუ რა თამასუქია იგი. მაშასადამე, წესიერი სადისკონტო ოპერაციის გზით ბანკის კლიენტი არავითარ ავანსს არ იღებს, არც კაპიტალით, არც ფულით, არამედ იგი იღებს ფულს გაყიდულ საქონელში.

ამრიგად, ის შემთხვევები, როდესაც კლიენტი ბანკისგან მოითხოვს და იღებს კაპიტალს, ძალიან ნათლად განსხვავდება იმ შემთხვევების-

გან, როდესაც იგი სესხად იღებს ფულს ან ყიდულობს ფულს ბანკისგან. და რადგან სწორედ ბ-ნ ოვერსტონს ჩვეულებად ჰქონდა მხოლოდ ფრიად იშვიათ შემთხვევაში გაეცა სესხად თავისი ფონდები უზრუნველყოფის გარეშე (იგი ჩემი, მანჩესტერში არსებული, ფირმის ბანკირი იყო), ამიტომ ცხადია ისიც, რომ მისი ლამაზი აღწერა კაპიტალის იმ მასისა, რომლებსაც გულკეთილი ბანკირები ავანსად აძლევენ კაპიტალის მსაჭიროებელ მეფაბრიკეებს, მართლაც ზღაპარია.

სხვათა შორის, XXXII თავში მარქსი არსებითად ამასვე ამბობს: «გადახდის საშუალებათა მოთხოვნა ფ უ ლ ა დ გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს უბრალო მოთხოვნაა, რამდენადაც ვაჭრებს და მწარმოებლებს კარგი უზრუნველყოფის წარდგენა შეუძლიათ; იგი ფ უ ლ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მოთხოვნაა, რამდენადაც ამ უზრუნველყოფას ადგილი არა აქვს, რამდენადაც, მაშასადამე, გადახდის საშუალებათა გასესხება მათ აძლევს არა მარტო ფ უ ლ ა დ ფ ო რ მ ა ს, არამედ ეკვივალენტსაც გადასახდელად — რა ფორმისაც არ უნდა იყოს ეს ეკვივალენტი, — რომელიც მათ აკლიათ». — შემდეგ, XXXIII თავში: «განვითარებული კრედიტის არსებობისას, როდესაც ფული ბანკების ხელში იყრის თავს, ბანკები არიან, ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ ა დ, ფულის ავანსად გამცემნი. ეს ავანსად გაცემა არ შეეხება მიმოქცევაში მყოფ ფულს. ეს არის მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს ი ა რ ა ღ ი ს ავანსად გაცემა, და არა კაპიტალებისა, რომლებსაც ეს იარაღი მიმოაქცევს». ბ-ნი ჩეპმენიც, რომელმაც უნდა იცოდეს ეს საქმე, ადასტურებს სადისკონტო ოპერაციის ზემოაღნიშნულ გაგებას: «B. C.» 1857: «ბანკირს აქვს თამასუქი, ბანკირმა ი ყ ი დ ა თ ა მ ა ს უ ქ ი». ჩვენებანი. კითხვა 5139.

ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ თემას XXVIII თავში — **ფ. ე.**}

(3744.) «ხომ არ ინებებთ აგვიწეროთ, რას გულისხმობთ თქვენ ნამდვილად გამოთქმაში: კაპიტალი?» — (ოვერსტონის პასუხი:) «კაპიტალი შედგება სხვადასხვა საქონლისგან, რომელთა საშუალებით სამეწარმეო საქმის მსვლელობა შეინარჩუნება (capital consists of various commodities; by the means of which trade is carried on); არის ძირითადი კაპიტალი და არის საბრუნავი კაპიტალი. თქვენი გემები, თქვენი დოკები, თქვენი გემთსაშენები ძირითადი კაპიტალია, თქვენი საარსებო საშუალებანი, თქვენი ტანსაცმელი და სხვ. — საბრუნავი კაპიტალია».

(3745.) «აქვს თუ არა ოქროს საზღვარგარეთ მიქცევას საზიანო შედეგები ინგლისისათვის?» — «არა, თუ ამ სიტყვას გონივრულ აზრს ვუკავშირებთ». (და აქ გვეუბნება ფულის ძველი რიკარდოსეული თეორია)... «საქმის ბუნებრივი ვითარებისას მთელი მსოფლიოს ფული ნაწილდება განსაზღვრული პროპორციით სხვადასხვა ქვეყნებს შორის:

ეს პროპორცია იმგვარია, რომ» (ფულის) «ასეთი განაწილებისას ურთიერთობა ამა თუ იმ ქვეყნასა, ეროვნ მხრივ, და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის, მეორე მხრივ, უბრალო გაცვლას წარმოადგენს; მაგრამ ადგება პერტურბაციები, რომელნიც დროგამოშვებით გავლენას ახდენენ ამ განაწილებაზე, — როდესაც ისინი თავს იჩენენ, მოცემული ქვეყნის ფულის ნაწილი მიიქცევა სხვა ქვეყნებში». — (3746.) «თქვენ ბრძანებთ ახლა გამოთქმას: ფული. თუ მე წინათ თქვენი ნათქვამი სწორად გავიგე, თქვენ ამას კაპიტალის დაკარგვას უწოდებდით». — «რას ვუწოდებდი მე კაპიტალის დაკარგვას?» — (3747.) «ოქროს მიქცევას». — «არა, მე ეს არ მითქვამს. თუ თქვენ ოქროს კაპიტალად იყენებთ, მაშინ, უეჭველია, ეს იქნება კაპიტალის დაკარგვა; ეს იქნება ფეიერფასი ლითონის განსაზღვრული ნაწილის გაცემა, იმ ლითონის გაცემა, რომლისგანაც მსოფლიო ფული შედგება». — (3748.) «განა თქვენ წინათ არ ამბობდით, დისკონტის ნორმის ცვლილება კაპიტალის ღირებულების ცვლილების უბრალო მაჩვენებელიაო?» — «დიახ». — (3749.) «და რომ დისკონტის ნორმა საერთოდ იცვლებაო ინგლისის ბანკის ოქროს მარაგის ცვლილებასთან ერთად?» — «დიახ»; «მაგრამ მე უკვე გითქვი, რომ სარგებლის განაკვეთის რყევა, რაც ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ფულის რაოდენობის ცვლილებიდან გამომდინარეობს» (მაშასადამე, აქ იგი გულისხმობს ნამდვილი ოქროს რაოდენობას), «ფრიად უმნიშვნელოა»...

(3750.) «მაშასადამე, თქვენ გსურთ თქვათ, რომ მოხდა კაპიტალის შემცირება, რაკი მოხდა დისკონტის ხანგრძლივი, თუმცა მაინც დროებითი, გადიდება ჩვეულებრივ განაკვეთთან შედარებით?» — «შემცირება სიტყვის განსაზღვრული მნიშვნელობით. შეიცვალა თანაფარდობა კაპიტალსა და კაპიტალის მოთხოვნას შორის; მაგრამ შესაძლებელია, — მოთხოვნის გადიდების გამო, არა კაპიტალის რაოდენობის შემცირების გამო». (მაგრამ ეს-ეს არის ამ წუთში კაპიტალი გაიგივებული იყო ფულთან ანუ ოქროსთან, და ცოტათი ადრე სარგებლის განაკვეთის გადიდება ახსნილი იყო მოგების მაღალი ნორმით, რომელიც წარმოდგებოდა კომერციული საქმიანობის ანუ კაპიტალის არა შემცირებიდან, არამედ გაფართოებიდან.)

(3751.) «რა კაპიტალია ეს, რომელიც თქვენ აქ გაქვთ სპეციალურად მხედველობაში?» — «ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა კაპიტალი ესაჭიროება ყოველ ცალკეულ პირს. ეს ის კაპიტალია, რომელიც ერს აქვს თავის განკარგულებაში, რათა თავისი საქმეები წარმართოს, და თუ ეს საქმეები გაორკეცდა, უნდა გადიდდეს მოთხოვნა კაპიტალისა, რომელიც საჭიროა საქმეების წარსამართავად». (ეს მოხერხებული ბან-

კირი ჯერ საქმეებს აორკეცებს და შემდეგ მოთხოვნას კაპიტალზე, რომელიც საჭიროა ამ გაორკეცებისათვის. მას თვალწინ ყოველთვის ეხოლოდ თავისი კლიენტი ჰყავს, რომელიც ბ-ნი ლოიდისგან უფრო დიდ კაპიტალს მოითხოვს თავისი საქმის ორჯერ გასაფართოებლად). «კაპიტალი იგივეა, რაც ყოველი სხვა საქონელი» (მაგრამ კაპიტალი, ბ-ნ ლოიდის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა საქონელთა ერთობლიობა); «კაპიტალის ფასი იცვლება» (მაშასადამე, საქონლის ფასი ორჯერ იცვლება, — ერთხელ როგორც საქონლის და მეორეჯერ როგორც კაპიტალის.) «მოთხოვნისა და მიწოდების მიხედვით».

(3752.) «დისკონტის ნორმის რყევა დაკავშირებულია საერთოდ ოქროს მარაგის რყევასთან ბანკის საცავებში. ეს ის კაპიტალია, რომელიც თქვენ მხედველობაში გაქვთ?» — «არა». — (3753.) «იქნებ დაგვისახელოთ მაგალითი, როდესაც ინგლისის ბანკში კაპიტალის დიდი მარაგი იყო დაგროვილი და იმავე დროს დისკონტის ნორმა მაღალ დონეზე იდგა?» — «ინგლისის ბანკში აგროვებენ არა კაპიტალს, არამედ — ფულს». — (3754.) «თქვენ განაცხადეთ, რომ სარგებლის განაკვეთი კაპიტალის რაოდენობაზეა დამოკიდებული; ხომ არ ინებებთ გვითხრათ, რა კაპიტალი გაქვთ თქვენ მხედველობაში, და ხომ ვერ დაგვისახელებთ მაგალითს, როდესაც ბანკში ოქროს დიდი მარაგი იყო დალაგებული, და იმავე დროს სარგებლის განაკვეთი მაღალ დონეზე იდგა?» — «ძალიან შესაძლებელია» (აჰა!), «რომ ბანკში ოქროს დაგროვება ემთხვევა სარგებლის დაბალ განაკვეთს, იმიტომ რომ კაპიტალის სუსტი მოთხოვნის პერიოდი» (სახელდობრ ფულადი კაპიტალის; ის დრო, რომელზედაც აქ ლაპარაკია, 1844 და 1845 წლები, აყვავების დრო იყო) «ისეთი პერიოდია, როდესაც სრულიად ბუნებრივად შეიძლება იმ საშუალების თუ იარაღის დაგროვება, რომლის შემწეობითაც კაპიტალზე მბრძანებლობა ხორციელდება». (3755.) «მაშასადამე, თქვენ ფიქრობთ, რომ არავითარი კავშირი არ არსებობს დისკონტის ნორმასა და ბანკის სარდაფებში დაგროვებულ ოქროს რაოდენობას შორის?» — «შესაძლებელია კავშირი არსებობდეს, მაგრამ ეს არ არის პრინციპული კავშირი» (მაგრამ მისი 1844 წლის საბანკო აქტი სწორედ პრინციპად უხდის ინგლისის ბანკს სარგებლის განაკვეთის რეგულირებას მის განკარგულებაში მყოფი ოქროს რაოდენობის მიხედვით); «ამ მოვლენებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმავდროულად (there may be a coincidence of time)». — (3758.) «მაშასადამე, თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ფულის ნაკლებობის დროს, დისკონტის მაღალი ნორმის გამო, ვაჭრებისათვის კაპიტალის მიღებაა ძნელი და არა ფულისა?» — «თქვენ ერთმანეთში ურევთ ორ სხვადასხვა

საგანს, რომლებსაც მე ასეთი ფორმით არ ვაერთებ; ძნელია კაპიტალის მიღება და ძნელია აგრეთვე ფულის მიღებაც... ფულის მიღების სიძნელე და კაპიტალის მიღების სიძნელე. მისი მიმდინარეობის ორ სხვადასხვა საფეხურზე განხილული, ერთი და იგივე სიძნელეა». აქ თევზი კვლავ ბადეში გაება. პირველ სიძნელეს წარმოადგენს თამასუქის დისკონტი ან სესხის მიღება საქონლის გირაოსქვეშ. სიძნელეს შეადგენს კაპიტალის ან კაპიტალის კომერციული ღირებულებითი ნიშნის გადაქცევა ფულად. და ეს სიძნელე გამოიხატება, სხვათა შორის, სარგებლის მაღალი განაკვეთით. მაგრამ რაკი ერთხელ ფული მიღებულია, რაღაში მდგომარეობს შემდეგ მეორე სიძნელე? თუ საქმე გადახდას შეეხება, — განა ვინმეს გაუძნელდება, რომ თავისი ფულისგან განთავისუფლდეს? და თუ საქმე ყიდვას შეეხება, — როდის მომხდარა, რომ კრიზისის ხანაში ვინმეს გაძნელებოდეს საქონლის ყიდვა? და თუნდაც რომ ვიგულისხმოთ, რომ ეს შეეხება პურის, ბამბის და სხვ. გაძვირების განსაკუთრებულ შემთხვევას, — ეს სიძნელე შეიძლებოდა გამოხატულიყო არა ფულადი კაპიტალის ღირებულებით, ე. ი. სარგებლის განაკვეთით, არამედ საქონლის ფასით; და ეს სიძნელე ხომ დაძლეულია იმით, რომ ჩვენს კაცს აქვს ფული მის საყიდლად.

(3760.) «მაგრამ დისკონტის უფრო მაღალი ნორმა განა კიდევ უფრო არ აძნელებს ფულის მიღებას?» — «იგი აძნელებს ფულის მიღებას, მაგრამ ფულის ფლობაზე არაა ლაპარაკი; ფული მხოლოდ ფორმაა» (და ეს ფორმა მოგებას აძლევს ბანკირის ჯიბეს), «რომლითაც გამოიხატება კაპიტალის მიღების სიძნელე კულტურული წყობილების რთულ ურთიერთობაში».

(3763.) (ოვერსტონის პასუხი:) «ბანკირი შუამავალია, რომელიც ერთი მხრივ ანაბრებს იღებს და მეორე მხრივ ამ ანაბრებს გამოიყენებს, ანდობს რა მათ, კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ფ ო რ მ ი თ, იმ პირთ, რომელნიც და სხვ».

ჩვენ აქ, ბოლოს, ვტყობილობთ, თუ რას გულისხმობს იგი კაპიტალად. იგი ფულს კაპიტალად აქცევს, როდესაც მას სხვას «ანდობს», ანუ, თუ ნაკლებ ევფემისტურად ვიტყვით, როდესაც მას სარგებლით გაასესხებს.

მას შემდეგ, რაც ბ-ნმა ოვერსტონმა წინათ გვითხრა, რომ დისკონტის ნორმის ცვლილება არსებით კავშირში არ იმყოფება ბანკის ოქროს მარაგის თანხასთან ანუ არსებული ფულის რაოდენობასთან, არამედ, დიდი-დიდი, იმავდროულობის კავშირში იმყოფებაო, იგი ხელახლა იმეორებს:

(3804.) «თუ ფული მიქცევის გამო ქვეყანაში შემცირდება, — გადიდდება მისი ღირებულება, და ინგლისის ბანკი უნდა შეეგუოს ამ ცვლილებას ფულის ღირებულებაში». (მაშასადამე, ფულის, რ ო გ ო რ ც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს, ღირებულებაში, სხვა სიტყვებით, სარგებლის განაკვეთში, ვინაიდან ფულის, რ ო გ ო რ ც ფ უ ლ ი ს, ღირებულება, საქონელთან შედარებით, იგივე რჩება). «ტექნიკურად ამას ასე გამოთქვამენ: რომ ბანკი ადიდებს სარგებლის განაკვეთს».

(3819.) «მე არასოდეს არ ვურევ მათ ერთმანეთში». — ე. ი. ფულსა და კაპიტალს. იგი არ ურევს მათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არასოდეს არ განასხვავებს მათ ერთიმეორისაგან.

(3834.) «ძალიან დიდი თანხა, რომლის გადახდაც დაგვჭირდა ქვეყნის აუცილებელი საარსებო საშუალებებისათვის (პურისთვის 1847 წლის იანვარში), ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ი ყ ო».

(3841.) «დისკონტის ნორმის რყევას უეჭველად ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს (ინგლისის ბანკის) ოქროს რეზერვის მდგომარეობასთან, რადგან რეზერვების მდგომარეობა მაჩვენებელია ქვეყანაში არსებული ფულის რაოდენობის მატების ან კლებისა და იმ პროპორციით, რა პროპორციითაც ქვეყანაში ფული მატულობს ან კლებულობს, ეცემა ან აიწევს ფულის ღირებულება, და ამას შეეგუება დისკონტის საბანკო ნორმა». — ამრიგად, ოვერსტონი აქ აღიარებს იმას, რასაც კატეგორიულად უარყოფდა თავის ჩვენებაში № 3755. — (3842.) «ადგილი აქვს ორივეს შორის მჭიდრო კავშირს». — სახელდობრ Issue department-ში [ბანკის საემისიო განყოფილებაში] არსებულ ოქროს რაოდენობასა და Banking department-ში [საბანკო ოპერაციათა განყოფილებაში] არსებულ ბანკნოტების რეზერვს შორის. აქ იგი სარგებლის განაკვეთის ცვლილებას ფულის რაოდენობის ცვლილებით ხსნის. ამასთან, რასაც ის ამბობს, მცდარია. რეზერვი შეიძლება შემცირდეს, იმიტომ რომ მიმოქცევაში მყოფი ფული ქვეყანაში მატულობს. ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საზოგადოებას მეტი ბანკნოტები მიაქვს და ლითონური მარაგი არ კლებულობს. მაგრამ მაშინ მაღლა იწევს სარგებლის განაკვეთი, იმიტომ რომ ინგლისის ბანკის საბანკო კაპიტალი 1844 წლის კანონის თანახმად ზღვარდებულია. ოვერსტონი ამაზე ვერ უნდა ლაპარაკობდეს, ვინაიდან ამ კანონის მიხედვით ბანკის იმ ორ დეპარტამენტს საერთო არა აქვს რა ერთმანეთთან.

(3859.) «მოგების მაღალი ნორმა ყოველთვის კაპიტალის დიდ მოთხოვნას წარმოშობს; კაპიტალის დიდი მოთხოვნა მის ღირებულებას ასწევს». — ასეთია, ბოლოს, კავშირი მოგების მაღალ ნორმასა და კაპიტალის მოთხოვნას შორის, როგორც იგი ოვერსტონს წარმოუდგე-

ნია. მაგრამ 1844 — 1845 წლებში, მაგალითად, ბამბეულის მრეწველობაში მოგების მაღალ ნორმას ჰქონდა ადგილი, იმიტომ რომ, ბამბეულ საქონელზე ძლიერი მოთხოვნის არსებობისას, ნედლი ბამბა იაფი იყო და იაფი დარჩა. კაპიტალის ღირებულება (ოვერსტონის წინანდელი განსაზღვრის თანახმად, კაპიტალი ისაა, რაც თვითეულს ესაჭიროება თავის საქმეში), მაშასადამე, ამ შემთხვევაში ნედლი ბამბის ღირებულება არ აწეულა მეფაბრიკისათვის. შეიძლება მოგების მაღალმა ნორმამ გამოიწვია რომელიმე ბამბეულის მეფაბრიკის მხრივ სესხად ფულის აღება თავისი საქმის გასაფართოებლად. ამ შემთხვევაში გაიზარდა მისი მოთხოვნა ფ ულ ად ი კაპიტალისა და არა სხვა რაიმესი.

(3889.) «ოქრო შეიძლება იყოს და არც იყოს ფული, ისე როგორც ქაღალდი შეიძლება იყოს და არც იყოს ბანკნოტი».

(3896.) «სწორად გავიგე თუ არა თქვენი ნათქვამი იმ აზრით, რომ თქვენ ხელს იღებთ იმ დებულებაზე, რომელსაც თქვენ არგუმენტად იყენებდით 1840 წელს: რომ მიმოქცევაში მყოფ ინგლისის ბანკის ბანკნოტების რაოდენობის რყევა უნდა მიჰყვებოდეს ოქროს მარაგის თანხის რყევას?»—«მე ძალზე ხელს ვიღებ... რამდენადაც, ჩვენი ცოდნის ახლანდელი მდგომარეობის თანახმად, მიმოქცევაში მყოფ ბანკნოტებს კიდევ ის ბანკნოტებიც უნდა შეეუერთოთ, რომლებიც ინგლისის ბანკის საბანკო რეზერვში დევს». ეს ჩინებულია. ის თვითნებური განსაზღვრა. რომ ბანკს იმდენი ქაღალდის ბანკნოტები შეუძლია დაბეჭდოს, რამდენიც ოქრო აქვს საცავებში და კიდევ 14 მილიონით მეტი. იწვევს, რასაკვირველია, იმას, რომ ბანკის მიერ ბანკნოტების გამოშვება ირყევა ოქროს მარაგის რყევასთან ერთად. მაგრამ რადგან «ჩვენ ცოდნის ახლანდელი მდგომარეობა» ცხადად უჩვენებდა, რომ ბანკნოტების რაოდენობა, რომლის ფაბრიკაციის უფლება აქვს ბანკს (და რომელსაც Issue department-ი [საემისიო განყოფილება] გადასცემს Banking department-ს [საბანკო ოპერაციათა განყოფილებას], — რომ ინგლისის ბანკის ორივე განყოფილებას შორის ეს მიმოქცევა, რომელიც ირყევა ოქროს მარაგის ცვლილებასთან ერთად, არ განსაზღვრავს ბანკნოტების მიმოქცევის რყევას ინგლისის ბანკის კედლებს გარეთ, ამიტომ ეს უანასკნელი. ნამდვილი მიმოქცევა. ინდიფერენტული ხდება ახლა ბანკის ადმინისტრაციისთვის და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ ბანკის ორ განყოფილებას შორის არსებულ მიმოქცევას, რომლის განსხვავება ნამდვილისაგან რეზერვში იჩენს თავს. გარეშეყენისთვის ეს მიმოქცევა მხოლოდ იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც რეზერვი უჩვენებს, თუ რა ოდენობით უახლოვდება ბანკი კანონით დაწესებულ ბანკნოტების გამოშვების მაქსიმუმს

და რამდენის მიღება შეუძლიათ კიდევ ბანკის კლიენტებს Banking department-იდან.

ოვერსტონის mala fides [არაკეთილსინდისიერების] შესახებ ლაპარაკობს შემდეგი ბრწყინვალე მაგალითი:

(4243.) «ირყევა თუ არა, თქვენი აზრით, თვიდან თვემდე კაპიტალის რაოდენობა იმდენად, რომ ამით მისი ღირებულება ისე შეიცვალოს, რ[illegible] გორც ეს ჩვენ უკანასკნელ წლებში დისკონტის ნორმის რყევამ გვ[illegible] ჩვენა?» — «თანაფარდობა კაპიტალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეიძლება მოკლე პერიოდებშიც ირყეოდეს... ხვალ რომ საფრანგეთმა გამოაცხადოს, რომ ძალიან დიდი სესხის აღებას აპირებს, ეს, უეჭველია, გამოიწვევს ინგლისში ფ ულ ი ს ღ ი რ ებ ულ ებ ა შ ი, ე. ი. კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ღ ი რ ებ ულ ებ ა შ ი ცვლილებას».

(4245.) «საფრანგეთმა რომ გამოაცხადოს, რომ მას უცებ რაიმე მიზნისთვის 30 მილიონის საქონელი ესაჭიროება, მაშინ, თუ უფრო მეცნიერულ და მარტივ გამოთქმას ვიხმართ, წარმოიქმნება კ ა პ ი ტ ა ლ ი ს დიდი მოთხოვნა».

(4246.) «კ ა პ ი ტ ა ლ ი, რომელიც შეიძლება საფრანგეთს სუოს იყიდოს თავისი სესხით, — ე რ თ ი საქმეა; ფ უ ლ ი, რომლითაც საფრანგეთი მას ყიდულობს, — სხვა საქმეა; ასე რომ იცვლის ფ უ ლ ი თავის ღირებულებას თუ არა?» — «ჩვენ ისევ ძველ საკითხს ვუბრუნდებით, და მე მგონია, რომ ეს საკითხი უფრო შეეფერება სწავლულის კაბინეტს, ვიდრე კომიტეტის სხდომების ამ დარბაზს». და ამ სიტყვებით იგი უკან ბრუნდება, მხოლოდ — არა სწავლულის კაბინეტში[84].

---

[84] უფრო დაწვრილებით ოვერსტონის მიერ კაპიტალის საკითხების ცნებათა ირევის შესახებ იხ. XXXII თავის ბოლოში.

 თავი ოცდამეშვიდე

კრედიტის როლი კაპიტალისტურ წარმოებაში.

ზოგადი შენიშვნები, რომლებიც კრედიტთან დაკავშირებით ჩვენ აქამდე გამოვთქვით, შემდეგი იყო:

I. კრედიტის შექმნის აუცილებლობა იმისათვის, რომ მისი მეშვეობით წარმოებდეს მოგების ნორმის გათანატოლება ანუ ამ გათანატოლების მოძრაობა, რაზედაც დამყარებულია მთელი კაპიტალისტური წარმოება.

II. მიმოქცევის ხარჯების შემცირება.

1) მიმოქცევის ერთ-ერთ მთავარ ხარჯს წარმოადგენს თვით ფული, რამდენადაც იგი თვითონაა ღირებულება. ფულის ეკონომია კრედიტის შეოხებით სამგვარად ხდება.

A. მით, რომ გარიგებათა დიდი ნაწილისთვის ფული სრულებით არ იხმარება.

B. მით, რომ მიმოქცევის საშუალებათა მიმოქცევა აჩქარდება[85], ეს ნაწილობრივ ემთხვევა იმას, რაც მე-2 პუნქტშია სათქმელი. სახელდობრ, ერთი მხრივ, ეს აჩქარება ტექნიკურია, ე. ი. საქონელთა ნამდვილი, მოხმარების მოსაშუალე ფულის ანუ ფულის ნიშნების ნაკლები რაოდენობა, ბრუნვის სიდიდისა და რაოდენობის უცვლელობისას იმავე საშსახურს ასრულებს. ეს დაკავშირებულია საბანკო საქმის ტექნიკასთან. მეორე მხრივ, კრედიტი აჩქარებს საქონელთა მეტამორფოზის სისწრაფეს და მასთან ერთად ფულის მიმოქცევის სისწრაფეს.

---

[85] ფრანგეთის ბანკის ბანკნოტების საშუალო მიმოქცევა 1812 წ. იყო: 106 538 000 ფრანკი, ხოლო 1818 წ. — 101 205 000 ფრანკი, მაშინ როდესაც ფულის მიმოქცევა, ყველა შემოსულობათა და გადასახდელთა საერთო ჯამი 1812 წ. იყო: 2 837 712 000 ფრანკი, ხოლო 1818 წ. — 9 665 030 000 ფრანკი. შაშასადამე, მიმოქცევის ინტენსივობა საფრანგეთში 1818 წელს ისე შეეფარდებოდა 1812 წლის მიმოქცევის ინტენსივობას როგორც 3 : 1. მიმოქცევის სისწრაფის დიდი რეგულატორია კრედიტი... ამით აიხსნება, თუ რატომ ემთხვევა ჩვეულებრივ ფულად ბაზარზე

C. მით, რომ ოქროს ფულს ცვლის ქაღალდის ფული.

2) კრედიტის მეშვეობით, მიმოქცევის, ანუ საქონელთა მეტამორფოზის ცალკეული ფაზების აჩქარება, შემდეგ კაპიტალის მეტამორფოზისა და მასთან ერთად საერთოდ კვლავწარმოების პროცესის აჩქარება. (მეორე მხრივ, კრედიტი საშუალებას იძლევა ყიდვისა და გაყიდვის აქტები უფრო დიდ ხანს დაშორდეს ერთიმეორეს და ამიტომ სპეკულაციის საფუძველს წარმოადგენს). სარეზერვო ფონდების შეკვეცა, რაც ორნაირი თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ: ერთი მხრივ, როგორც მიმოქცევის საშუალებათა შემცირება, მეორე მხრივ, როგორც კაპიტალის იმ ნაწილის შეკვეცა, რომელიც მუდამ ფულადი ფორმით უნდა არსებობდეს [86].

III. აქციონერულ საზოგადოებათა წარმოქმნა. აქედან:

1) წარმოების და საწარმოთა მასშტაბის კოლოსალური გაფართოება, რაც შეუძლებელი იყო ცალკეული კაპიტალისთვის. ამასთანავე ისეთი საწარმოები, რომლებიც წინათ მთავრობის საწარმოები იყო, ახლა საზოგადოებრივ საწარმოებად იქცევა.

2) კაპიტალი, რომელიც თავისთავად საზოგადოებრივ წარმოების წესზეა დამყარებული და წარმოების საშუალებებისა და სამუშაო ძალების საზოგადოებრივ კონცენტრაციას გულისხმობს, აქ ღებულობს უშუალოდ საზოგადოებრივი კაპიტალის (უშუალოდ ასოციაციაში გაერთიანებულ ინდივიდთა კაპიტალის) ფორმას, წინააღმდეგ კერძო კაპიტალისა, — მისი საწარმონი კი წარმოგვიდგება როგორც საზოგადოებრივი საწარმონი, წინააღმდეგ კერძო საწარმოებისა. ესაა კაპიტალის როგორც კერძო საკუთრების გაუქმება თვით კაპიტალისტური წარმოების წესის ფარგლებში.

3) ნამდვილად მოქმედი კაპიტალისტის გადაქცევა სხვისი კაპიტალის მმართველად, გამგებლად, და კაპიტალის მესაკუთრეთა გადაქცევა

არსებული ძლიერი დაწოლა საესე მიმოქცევას» («The Currency Theory reviewed etc», გვ. 65.). — «1833 წლის სექტემბრიდან 1843 წლის სექტემბრამდე დიდ ბრიტანეთში წარმოიშვა დაახლოებით 300 ბანკი, რომლებიც საკუთარ ბანკნოტებს უშვებდნენ; ამის შედეგი იყო ბანკნოტების მიმოქცევის შემცირება 2½ მილიონით: ეს მიმოქცევა 1833 წლის სექტემბრის ბოლოს შეადგენდა: 36 025 244 გირვ. სტერლინგს, ხოლო 1843 წლის სექტემბრის ბოლოს — 33 518 544 გირვ. სტერლინგს» (იქვე, გვ. 53). — «შოტლანდიის მიმოქცევის საკვირველი ინტენსივობა შესაძლებლობას იძლევა 100 გირვ. სტერლინგით იმდენი ფულადი ოპერაციების შესასრულებლად, რამდენისთვისაც ინგლისში 420 გირვ. სტერლინგია საჭირო» (იქვე, გვ. 55. უკანასკნელი შეეხება ოპერაციის მხოლოდ ტექნიკურ მხარეს).

[86] «ბანკების დაწესებამდე ამ მიმოქცევის საშუალებათა ფუნქციონირებისათვის საჭირო კაპიტალის რაოდენობა ყოველ მომენტში უფრო დიდი იყო, ვიდრე ამას ნამდვილი საქონელმიმოქცევა მოითხოვდა». «Economist», [15 მარტი] 1845, გვ. 238.

მარტოოდენ მესაკუთრეებად. მარტოოდენ ფულად კაპიტალისტებად. თუმცა დივიდენდი, რასაც ისინი იღებენ, შეიცავს სარგებელს და მეწარმის შემოსავალს, ე. ი. მთელ მოგებას (ვინაიდან მმართველის ჯამაგირი არის ან უნდა იყოს მარტოოდენ ხელფასი ერთგვარი დახელოვნებული შრომისთვის, რომლის ფასი შრომის ბაზარზე რეგულირდება, როგორც ყოველი სხვა შრომის ფასი), მაგრამ მაინც ეს მთელი მოგება მიიღება მხოლოდ სარგებლის სახით, ე. ი. როგორც საზღაური კაპიტალსაკუთრებისთვის, რომელიც, ამრიგად, სრულიად განცალკევდება კაპიტალის ფუნქციისგან ნამდვილ კვლავწარმოების პროცესში, იმის მსგავსად, როგორც ეს ფუნქცია განცალკევდება კაპიტალსაკუთრებისაგან მმართველის პიროვნებაში. ამრიგად, მოგება (უკვე არა მხოლოდ მისი ერთი ნაწილი, რომელიც თავის გამართლებას სესხის ამღების მოგებიდან იღებს) გვევლინება როგორც წარმოების საშუალებათა კაპიტალად გარდაქმნიდან წარმომდგარი სხვისი ზედმეტი შრომის უბრალო მითვისება, ე. ი. მათი განშორებიდან ნამდვილი მწარმოებლებისაგან, მათი, როგორც უცხო საკუთრების, დაპირისპირებულობიდან ყველა ნამდვილად წარმოებაში მოქმედი ინდივიდისადმი, მმართველიდან დაწყებული უკანასკნელ დღიურ მუშამდე. აქციონერულ საზოგადოებებში ფუნქცია განცალკევებულია კაპიტალსაკუთრებისგან, მაშასადამე, შრომაც სავსებით განცალკევებულია წარმოების საშუალებათა და ზედმეტი შრომის საკუთრებისაგან. კაპიტალისტური წარმოების უმაღლესი განვითარების ეს შედეგი აუცილებელი გადასასვლელი პუნქტია კაპიტალის უკუგარდაქმნისათვის მწარმოებელთა საკუთრებად, მაგრამ უკვე არა განცალკევებულ მწარმოებელთა კერძო საკუთრებად, არამედ ასოციაციაში გაერთიანებულ მწარმოებელთა საკუთრებად, უშუალო საზოგადოებრივ საკუთრებად. მეორე მხრივ, აქციონერული საზოგადოებანი გადასასვლელი პუნქტია იმისათვის, რომ ყველა ფუნქცია კვლავწარმოების პროცესში, რომელიც ჯერ კიდევ დაკავშირებულია კაპიტალსაკუთრებასთან, გადაიქცეს ასოციაციაში გაერთიანებულ მწარმოებელთა უბრალო ფუნქციებად, საზოგადოებრივ ფუნქციებად.

სანამ შემდგომ განვაგრძობდეთ, აღვნიშნავთ კიდევ შემდეგ ეკონომიურად მნიშვნელოვან გარემოებას: რადგან მოგება აქ სარგებლის წმინდა ფორმას იღებს, ამიტომ ასეთი საწარმონი შესაძლებელია მაშინაც, როცა ისინი მხოლოდ სარგებელს იძლევიან; ეს ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანია, რომელნიც აფერხებენ მოგების საერთო ნორმის დაცემას. რადგან ეს საწარმონი, სადაც მუდმივი კაპიტალი ესოდენ კოლოსალურ

პროპორციაშია ცვალებად კაპიტალთან, მოგების საერთო ნორმის გათანატოლებაში არ იღებენ აუცილებლად მონაწილეობას.

{როგორც ვიცით, მას შემდეგ, რაც მარქსმა ეს სტრიქონები დაწერა, განვითარდა სამრეწველო წარმოების ახალი ფორმები, რომელნიც აქციონერულ საზოგადოებათა მეორე და მესამე საფეხურს წარმოადგენენ. იმ ყოველდღიურად მზარდ სისწრაფეს, რომლითაც შეიძლება ამჟამად დიდდებოდეს წარმოება მსხვილი მრეწველობის ყველა დარგში, უპირისპირდება ამ გამრავლებული პროდუქტებისათვის ბაზრის გაფართოების მუდმივად მზარდი სიძნელე. რასაც მრეწველობა თვეების განმავლობაში ქმნის, მას ბაზარი წლების განმავლობაშიც ძნელად თუ მოიხმარს. ამას ერთვის მფარველობითი საბაჟო პოლიტიკა, რომლის საშუალებით თვითეული სამრეწველო ქვეყანა იმიჯნება სხვებისგან, განსაკუთრებით კი ინგლისისგან და კიდევ უფრო ადიდებს ხელოვნურად ქვეყნისშიდა წარმოებას. ამის შედეგია საერთო ქრონიკული ჭარბწარმოება, დაბალი ფასები, მოგების დაცემა, სულ მთლად გაქრობაც კი; ერთი სიტყვით, კონკურენციის ძველთაგან ნაქებ-ნადიდებმა თავისუფლებამ თავის დასასრულს მიაღწია და თვითონვე უნდა აღიაროს თავისი ცხადი სკანდალური გაკოტრება. ეს გაკოტრება სახელდობრ იმით გამოიხატება, რომ თვითეულ ქვეყანაში განსაზღვრული დარგის მსხვილი მრეწველები კარტელში ერთიანდებიან წარმოების რეგულირების მიზნით. კომიტეტი მტკიცედ განსაზღვრავს საქონელთა რაოდენობას, რომელიც თვითეულმა საწარმომ უნდა აწარმოოს, და საბოლოოდ ანაწილებს მიღებულ დაკვეთებს. ცალკეულ შემთხვევებში ხანდახან საერთაშორისო კარტელებსაც კი ქმნიან, ასე მაგალითად, ინგლისისა და გერმანიის რკინის მრეწველობას შორის. მაგრამ წარმოების განსაზოგადოების ეს ფორმაც არ აღმოჩნდა საკმარისი. ხშირად ხდებოდა, რომ ცალკეული ფირმების ინტერესთა დაპირისპირებულობა დაშლიდა მას და კვლავ აღადგენდა კონკურენციას. ამიტომ მოხდა ის, რომ ცალკეულ დარგებში, სადაც წარმოების განვითარების მასშტაბი ამის შესაძლებლობას იძლეოდა, იწყეს ამ დარგის საწარმოთა მთელი წარმოების გაერთიანება ერთ დიდ, ერთიანი ხელმძღვანელობის მქონე, აქციონერულ საზოგადოებად. ამერიკაში ეს უკვე მრავალჯერ განხორციელდა, ევროპაში კი დღემდე ამის უდიდეს მაგალითს წარმოადგენს «United Alkali Trust». რომელმაც ერთადერთი ფირმის ხელში მოუყარა თავი ინგლისის მთელ კალიუმის წარმოებას. ცალკეული ქარხნების წინანდელმა მფლობელებმა — რიცხვით ოცდაათზე მეტმა — თავიანთ მოწყობილობაში მიიღეს, ღირებულების შეფასების თანახმად, საერთოდ 5 მილიონი გირვ. სტერლ. აქ-

ციებით, რაც ტრესტის ძირითად კაპიტალს წარმოადგენს. ტექნიკური მმართველობა რჩება წინანდელი ხელმძღვანელების ხელში, კომერციული ხელმძღვანელობა კი კონცენტრირებულია გენერალური დირექციის ხელში. საბრუნავი კაპიტალი (floating capital), დაახლოებით ერთი მილიონი გირვ. სტერლინგის რაოდენობით, საზოგადოებას შესთავაზეს ხელმოსაწერად. მაშასადამე, ტრესტის მთელი კაპიტალი შეადგენს 6 მილიონ გირვ. სტერლინგს. ამრიგად, ამ დარგში, რომელიც მთელი ქიმიური მრეწველობის საფუძველს შეადგენს, ინგლისში კონკურენცია მონოპოლიამ შეცვალა და უაღრესად დამაკმაყოფილებელი წესით მზადდება წინასწარ მომავალი ექსპროპრიაცია მთელი საზოგადოების მიერ, ერის მიერ. — ფ. ე.]

ესაა კაპიტალისტური წარმოების წესის გაუქმება თვით კაპიტალისტური წარმოების წესის ფარგლებში და ამიტომ თავის თავის გამაუქმებელი წინააღმდეგობა, რომელიც წარმოგვიდგება prima facie [უწინარეს ყოვლისა] როგორც წარმოების ახალი ფორმისაკენ გარდამავალი პუნქტი. ასეთი რამის წინააღმდეგობად წარმოგვიდგება იგი თავის გამოვლენაშიც. გარკვეულ სფეროებში იგი ამყარებს მონოპოლიას და ამიტომ მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას. იგი წარმოქმნის ახალ ფინანსურ არისტოკრატიას, ახალი ჯურის პარაზიტებს პროექტმთხზველების, გრიუნდერებისა და მარტოოდენ ნომინალური დირექტორების სახით; თაღლითობისა და მოტყუების მთელ სისტემას დამფუძნებლობის, აქციების გამოშვებისა და აქციებით ვაჭრობის მხრივ. ეს არის კერძო წარმოება კერძო საკუთრების კონტროლს გარეშე.

IV. თუ მხედველობის გარეშე დავტოვებთ სააქციონერო საქმეს, — რომელიც თვით კაპიტალისტური სისტემის საფუძველზე კაპიტალისტური კერძო მრეწველობის გაუქმებას წარმოადგენს, და რამდენადაც იგი ფართოვდება და წარმოების ახალ სფეროებს მოიცავს, კერძო მრეწველობას სპობს, — კრედიტი ცალკეულ კაპიტალისტს ანუ იმას, ვინც კაპიტალისტად ითვლება, გარკვეულ ფარგლებში, მოუპოვებს აბსოლუტურ განკარგულებას სხვის კაპიტალსა და სხვის საკუთრებაზე და ამით სხვის შრომაზეც [87]. განკარგულება საზოგადოებრივ კაპიტალზე, და არა საკუთარ კაპიტალზე, აძლევს მას განკარგულებას საზოგადოებრივ შრომაზე. თვით კაპიტალი, რომელსაც ვინმე ფლობს ნამდვილად ან საზოგადოების აზრით, ხდება მხოლოდ საფუძველი საკრედიტო

[87] იხილეთ, მაგალითად, «Times»-ში გაკოტრებულთა სია კრიზისის ისეთი წლის განმავლობაში, როგორიც 1857 წელია, და გაკოტრებულთა საკუთარი ქონება შეადგენ მათი ვალის თანხას. — «ჭეშმარიტად, მყიდველობითი ძალა იმ ადამიანთა, რომელთაც კაპიტალი ან კრედიტი აქვთ, დიდად აღემატება ყოველივეს, რისი წარმოდ-

ზედნაშენისათვის. ეს შეეხება განსაკუთრებით ბითუმად ვაჭრობას, რომელსაც გაივლის საზოგადოებრივი პროდუქტის უდიდესი ნაწილი. აქ ქრება ყოველი საზომი, კაპიტალისტური წარმოების წესის ფარგლებში ყოველი მეტნაკლებ დასაბუთებული გამართლება. რის რისკსაც სპეკულაციით გატაცებული ბითუმად მოვაჭრე ეწევა, ეს არის საზოგადოებრივი საკუთრება და არა მ ი ს ი საკუთრება. ასევე უაზრო ხდება ფრაზა იმის შესახებ, რომ კაპიტალი წარმოიშვება დანაზოგიდან, რადგან ის, ვინც სპეკულაციას ეწევა, პირიქით, იმას მოითხოვს, რომ ს ხ ვ ე ბ მ ა დაზოგონ მისთვის. {როგორც ახლახან საფრანგეთმა ერთნახევარი მილიარდი ფრანკი დაზოგა პანამის გაიძვერებისათვის. როგორი სიზუსტით არის აქ აწერილი პანამის მთელი თაღლითობა სრულიოცი წლით ადრე, ვიდრე იგი მოხდებოდა!—ფ. ე.}მეორე ფრაზას დათმენის შესახებ პირდაპირ სახეში სცემს კაპიტალის დამახასიათებელი ფუფუნება, რაც ახლა თვით ხდება კრედიტის საშუალება. წარმოდგენანი, რომლებსაც კაპიტალისტური წარმოების ნაკლებ განვითარებულ საფეხურზე კიდევ ჰქონდათ განსაზღვრული აზრი, აქ სრულიად უაზრო ხდება. წარმატებას და წარუმატებლობას აქ ორივეს კაპიტალის ცენტრალიზაცია მოჰყვება შედეგად და, ამიტომ, ექსპროპრიაცია კოლოსალური მასშტაბით. ექსპროპრიაცია აქ ვრცელდება უშუალო მწარმოებლებიდან თვით წვრილ და საშუალო კაპიტალისტებზეც. ეს ექსპროპრიაცია კაპიტალისტური წარმოების წესის ამოსავალი პუნქტია; ამ ექსპროპრიაციის განხორციელება მისი მიზანია, ამასთან საბოლოო ანგარიშით — ყველა ინდივიდის ექსპროპრიაცია წარმოების საშუალებებისგან, რომელნიც საზოგადოებრივი წარმოების განვითარებასთან ერთად აღარ წარმოადგენენ კერძო წარმოების საშუალებებს და კერძო წარმოების პროდუქტებს და რომელნიც მხოლოდ ასოციაციაში გაერთიანებულ მწარმოებელთა ხელში შეიძლება იყვნენ წარმოე-

---

გენაც შეუძლიათ იმათ, ვინც არ იცნობს სპეკულაციის ბაზრებს». (T o o k e: «Inquiry into the Currency Principles», გვ. 73). «ადამიანს, რომელსაც თავისი რეგულარული საქმისთვის საკმაო კაპიტალის მქონებელი კაცის სახელი აქვს მოხვეჭილი და რომელიც თავის დარგში კარგი კრედიტით სარგებლობს, თუ მას სანგვინიკური რწმენა აქვს, რომ იმ საქონლის კონიუნქტურა აიწევს, რომელსაც იგი აწარმოებს, და თუ მას მისი სპეკულაციის დასაწყისსა და მსვლელობაში გარემოება ხელს უწყობს, — სწორედ რომ კოლოსალური ოდენობით შეუძლია შეისყიდოს თავის კაპიტალთან შედარებით» (იქვე, გვ. 136). — «მეფაბრიკენი, ვაჭრები და სხვ. — ყველანი ისეთ ოპერაციებს ასრულებენ, რომლებიც ბევრად აღემატება მათს კაპიტალს... კაპიტალი ამჟამად უფრო საფუძველია, რომელზედაც კარგი კრედიტი აიგება, ვიდრე ზღუდე რომელიმე კომერციული ბრუნვისათვის» («Economist» [20 ნოემბერი] 1847 წ. (გვ. 333).

ბის საშუალებანი, ე. ი. მათი საზოგადოებრივი საკუთრება, როგორც ისინი მათ საზოგადოებრივ პროდუქტს შეადგენენ. მაგრამ ეს ექსპროპრიაცია თვით კაპიტალისტური სისტემის ფარგლებში გამოიხატება ანტაგონისტური ფორმით, როგორც საზოგადოებრივი საკუთრების მითვისება მცირეოდენთა მიერ; კრედიტი კი ამ მცირეოდენთ ანიჭებს უფრო და უფრო ნამდვილი იღბლიანი რაინდის ხასიათს. რადგან საკუთრება აქ აქციის ფორმით არსებობს, — მისი მოძრაობა და გადაცემა გვევლინება როგორც საბირჟო თამაშის წმინდა შედეგი, სადაც პატარა თევზებს ნათელთევზები შთანთქავენ და ცხვრებს — ბირჟის მგლები. აქციონერთა საქმეში უკვე არსებობს დაპირისპირებულობა ძველი ფორმის მიმართ, რომლითაც წარმოების საზოგადოებრივი საშუალებანი ინდივიდუალური საკუთრების სახით გვეელინება; მაგრამ თვით გარდაქმნა აქციის ფორმად ჯერ კიდევ კაპიტალისტურ ზღუდეებში რჩება; ამიტომ ნაცვლად იმისა, რომ გადალახოს წინააღმდეგობა სიმდიდრის, როგორც საზოგადოებრივისა და როგორც კერძო სიმდიდრის ხასიათს შორის, იგი მხოლოდ ახალი ფორმით ავითარებს ამ წინააღმდეგობას.

თვით მუშათა კოოპერაციული ფაბრიკები წარმოადგენენ, ძველი ფორმის ფარგლებში, ძველი ფორმის პირველ ნაპრალს, თუმცა ისინი ყველგან, მათს ნამდვილ ორგანიზაციაში, ფასაკვირველია, კვლავ წარმოქმნიან და უნდა წარმოქმნან კიდეც არსებული სისტემის ყველა ნაკლი. მაგრამ კაპიტალსა და შრომას შორის ანტაგონიზმი ამ ფაბრიკებში მოსპობილია, თუმცა პირველად მხოლოდ იმ ფორმით, რომ მუშები, როგორც ასოციაცია, თავიანთი საკუთარი კაპიტალისტები არიან, ე. ი. წარმოების საშუალებებს თავიანთი საკუთარი შრომის გამოსაყენებლად ხმარობენ. ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ წარმოიშვება და ვითარდება სრულიად ბუნებრივად მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა და მათი შესაბამისი საზოგადოებრივი წარმოებითი ფორმების განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოების ერთი წესიდან წარმოების ახალი წესი. კოოპერაციული ფაბრიკა ვერ განვითარდებოდა საფაბრიკო სისტემის გარეშე, რომელიც კაპიტალისტური წარმოების წესიდან წარმოიშვა, ისევე, როგორც იგი ვერ განვითარდებოდა საკრედიტო სისტემის გარეშე, რომელიც წარმოების იმავე წესიდან წარმოიშვა. საკრედიტო სისტემა, რომელიც კაპიტალისტურ კერძო საწარმოთა კაპიტალისტურ აქციონერულ საზოგადოებებად თანდათანი გარდაქმნის მთავარ საფუძველს შეადგენს, სწორედ ასევე შეადგენს საშუალებას კოოპერაციულ საწარმოთა გასაფართოებლად მეტნაკლებ ეროვნული მასშტაბით. კაპიტალისტური აქციონერული საწარმოები, ისევე

როგორც კოოპერაციული ფაბრიკები, უნდა განვიხილოთ როგორც გარდამავალი ფორმები წარმოების კაპიტალისტური წესიდან ასოციაციურ წესზე, მხოლოდ პირველებში დაპირისპირებულობა მოსპობილია უარყოფითად, მეორეებში კი — დადებითად.

აქამდე ჩვენ საკრედიტო სისტემის განვითარებას, — და კაპიტალსაკუთრების მოსპობას, რასაც იგი ფარულად შეიცავს, — განვიხილავდით უმთავრესად სამრეწველო კაპიტალთან დაკავშირებით. შემდგომ თავებში ჩვენ კრედიტს განვიხილავთ სარგებელმომტან კაპიტალთან, როგორც ასეთთან, დაკავშირებით, მის გავლენას ამ უკანასკნელზე, ისევე როგორც იმ ფორმას, რომელსაც იგი აქ მიიღებს; ამასთან ჩვენ კიდევ რამდენიმე სპეციფიკურად ეკონომიური ხასიათის შენიშვნის გაკეთება მოგვიხდება.

მანამდე აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს:

თუ საკრედიტო სისტემა ჭარბწარმოებასა და ვაჭრობაში უზომო სპეკულაციის მთავარ ბერკეტად გვევლინება — ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კვლავწარმოების პროცესი, რომელიც თავისი ბუნებით ელასტიკურია, აქ უკიდურეს საზღვრამდეა დაძაბული, და დაძაბულია სახელდობრ იმის გამო, რომ საზოგადოებრივი კაპიტალის დიდ ნაწილს გამოიყენებენ მისი არამესაკუთრენი, რომელნიც, ამიტომ, სულ სხვაგვარად ჰკიდებენ საქმეს ხელს, ვიდრე მესაკუთრე, რომელიც, რამდენადაც იგი თვითონ მოქმედებს, ყოველთვის კრძალვით აწონ-დაწონის თავისი კერძო კაპიტალის საზღვრებს. ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგობრივ ხასიათზე დაფუძნებული კაპიტალის ღირებულების ზრდა მხოლოდ განსაზღვრულ წერტილამდე იძლევა ნამდვილი, თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას და, მაშასადამე, სინამდვილეში ქმნის იმ იმანენტურ ბორკილსა და ზღუდეს წარმოებისათვის, რომელსაც მუდამ გადალახავს საკრედიტო სისტემა[88]. ამიტომ საკრედიტო სისტემა აჩქარებს მწარმოებლურ ძალთა მატერიალურ განვითარებას და მსოფლიო ბაზრის დამყარებას, რომელთა, როგორც წარმოების ახალი ფორმის მატერიალურ საფუძველთა, განვითარების გარკვეულ დონემდე მიყვანა კაპიტალისტური წარმოების წესის ისტორიულ ამოცანას შეადგენს. ამავე დროს კრედიტი აჩქარებს ამ წინააღმდეგობის ძალდატანებით აფეთქებებს, კრიზისებს, და ამით აძლიერებს წარმოების ძველი წესის დაშლის ელემენტებს.

საკრედიტო სისტემის იმანენტური ორადი ხასიათი: ერთი მხრივ, — კაპიტალისტური წარმოების მამოძრავებელი ძალების განვითარება.

[88] Th. Chalmers [«On Political Economy etc.». London 1832].

სხვისი შრომის ექსპლოატაციის გზით გამდიდრების გაძლიერება, აზარტისა და თაღლითობის უაღრესად წმინდა და კოლოსალურ სისტემამდე და იმ მცირეოდენთა რიცხვის უფრო და უფრო შემცირება, რომელნიც საზოგადოებრივი სიმდიდრის ექსპლოატაციას ეწევიან; მეორე მხრივ, წარმოების ახალ წესზე გარდამავალი ფორმის წარმოქმნა, — ეს ორადობაა სწორედ ის, რაც კრედიტის მთავარ მახარობელთ ლოდან დაწყებული ისააკ პერეირამდე მათთვის დამახასიათებელ სასიამოვნო შერეულ ხასიათს აძლევს, ხასიათს თაღლითისა და წინასწარმეტყველისა.

თავი ოცდამერვე

მიმოქცევის საშუალებანი და კაპიტალი; ტუკის და ფულარტონის შეხედულება.

განსხვავება მიმოქცევის საშუალებებსა და კაპიტალს შორის, როგორც მას ტუკი[89], ვილსონი და სხვები გამოხატავენ და ამასთან უწესრიგოდ ურევენ ერთმანეთში განსხვავებებს მიმოქცევის საშუალებასა როგორც ფულსა, როგორც ფულად კაპიტალსა საერთოდ და მიმოქცევის საშუალებას როგორც სარგებელმომტან კაპიტალს შორის (moneyed capital ინგლისური აზრით), მდგომარეობს ორ რამეში.

მიმოქცევის საშუალება მიმოიქცევა, ერთი მხრივ, როგორც მ ო ნ ე ტ ა (ფული), რამდენადაც იგი შ ე მ ო ს ა ვ ა ლ თ ა დ ა ხ ა რ ჯ ვ ა ს

[89] მოვიყვანთ ორიგინალში ტუკის თხზულებიდან სათანადო ადგილს, რომელიც ნაწყვეტის სახით გერმანულად ციტირებულია 390 გვერდზე [ეს ტომი, გვ. 510]: «The business of bankers, setting aside the issue of promissory notes payable on demand, may be divided into two branches, corresponding with the distinction pointed out by Dr. (Adam) Smith of the transactions between dealers and dealers, and between dealers and consumers. One branch of the bankers' business is to collect c a p i t a l from those, who have not immediate employment for it, and to distribute or transfer it to those who have. The other branch is to receive deposits of the i n c o m e s of the customers, and to pay out the amount, as it is wanted for expenditure by the latter in the objects of their consumption... the former being a circulation of c a p i t a l, the latter of c u r r e n c y» [«ბანკირების საქმე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოთხოვნისთანავე გასანაღდებელ ბანკნოტების გამოშვებას, შეიძლება გაიყოს ორგვარ ოპერაციად, რომელიც შეესაბამება დ-რ (ადამ) სმიტის მიერ დამყარებულ გარიგებათა გარჩევას ვაჭრებსა და ვაჭრებს შორის და ვაჭრებსა და მომხმარებლებს შორის. ბანკირების საქმის ერთი სახის ოპერაცია იმაში მდგომარეობს, რომ კ ა პ ი ტ ა ლ ი მოაგროვონ იმათგან, ვინც მას უშუალოდ არ იყენებს, და გაანაწილონ ეს კაპიტალი ანუ გადასცენ მათ, ვისაც მისი გამოყენება შეუძლია. მეორე სახის ოპერაცია კი ისაა, რომ მიიღონ ანაბრები მათი კლიენტების შ ე მ ო ს ა ვ ლ ი დ ა ნ და გადაუხადონ მათ თანხა, რომელიც აუცილებელია მოხმარების საგნების ხარჯებისათვის... პირველი კ ა პ ი ტ ა-

მოსაშუალეობს, მაშასადამე, მოსაშუალეობს გაცვლას ინდივიდუალურ მომხმარებლებსა და ცალობით მოვაჭრეებს შორის, რომელთა კატეგორიას მიეკუთვნება ყველა ვაჭარი, ვინც მიჰყიდის მომხმარებლებს,— ინდივიდუალურ მომხმარებლებს, საწარმოო მომხმარებლების ანუ მწარმოებლებისაგან განსხვავებით. აქ ფული მიმოიქცევა მონეტის ფუნქციით, თუმცა იგი მუდამ კაპიტალს ანაზღაურებს. ფულის განსაზღვრული ნაწილი ამა თუ იმ ქვეყანაში ყოველთვის განკუთვნილია ამ ფუნქციისათვის, თუმცა ეს ნაწილი მუდმივად ცვალებადი ცალკეული მონეტებისაგან შედგება. პირიქით, რამდენადაც ფული კაპიტალის გადაცემას ემსახურება, ყიდვის საშუალების (მიმოქცევის საშუალების) სახით იქნება ეს თუ გადახდის საშუალების სახით, იგი კაპიტალია. მაშასადამე, ფულს მონეტისაგან განასხვავებს არა ფულის როგორც ყიდვის საშუალების ფუნქცია და არც ფულის როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია, იმიტომ რომ ფული ვაჭარსა და ვაჭარს შორისაც შეიძლება მოქმედებდეს როგორც ყიდვის საშუალება, რამდენადაც ისინი ნაღდზე ყიდულობენ ერთმანეთისაგან, და შეიძლება ვაჭარსა და მომხმარებელს შორისაც მოქმედებდეს როგორც გადახდის საშუალება, რამდენადაც კრედიტი გაიცემა და შემოსავალს ჯერ მოიხმარებენ და შემდეგ საფასურს გადაიხდიან.

ლის მიმოქცევაა, მეორე — ფულის მიმოქცევა»]. (Tooke: «Inquiry into the Currency Principle». London 1844, გვ. 36 — 37). პირველია «the concentration of capital on the one hand and the distribution of it on the other» [«კაპიტალის კონცენტრაცია, ერთი მხრივ, და მისი განაწილება, მეორე მხრივ»], მეორეა «administering the circulation for local purposes of the district» [«ფულის მიმოქცევის რეგულირება ოლქის ადგილობრივი საჭიროებისათვის»]. (იქვე, გვ. 37). — საკითხის ჭეშმარიტ გაგებას კინირი გაცილებით უფრო უახლოვდება, როცა ამბობს: «ფული იხმარება ორი არსებითად სხვადასხვა ოპერაციის შესასრულებლად. როგორც გაცვლის საშუალება ვაჭრებსა და ვაჭრებს შორის იგი იარაღია, რომლის საშუალებითაც კაპიტალის გადაცემა ხორციელდება, ე. ი. გაცვლა ფულის სახით არსებული კაპიტალის განსაზღვრული თანხისა საქონლის სახით არსებულ ტოლ თანხაზე. მაგრამ ფული, რომელიც იხარჯება ხელფასის გადასახდელად და ყიდვასა და გაყიდვაზე ვაჭარსა და მომხმარებელს შორის, არის არა კაპიტალი, არამედ — შემოსავალი; ეს არის მთელი საზოგადოების შემოსავლის ნაწილი, რომელიც ყოველდღე დასახარჯავად მოიხმარება. ეს ფული მიმოიქცევა შეუწყვეტელ ყოველდღიურ მოხმარებაში და მხოლოდ ამ ფულს შეიძლება ეწოდოს, სიტყვის ზუსტი აზრით, მიმოქცევის საშუალება (currency). კაპიტალის სესხად გაცემა მხოლოდ და მხოლოდ ბანკის ან კაპიტალის სხვა მფლობელების ნებაზეა დამოკიდებული, — სესხის ამღები ყოველთვის გამოჩნდება; მაგრამ მიმოქცევის საშუალებათა ოდენობა დამოკიდებულია საზოგადოების მოთხოვნილებაზე, სადაც ფული ყოველდღიური დახარჯვის მიზნით მიმოიქცევა» (J. G. Kinnear: «The Crisis and the Currency», London 1847 [გვ. 3 — 4]).

მაშასადამე, განსხვავება ის არის, რომ მეორე შემთხვევაში ეს ფული არათუ ერთ მხარეს, გამყიდველს, უნაზღაურებს კაპიტალს, არამედ მეორე მხარის, მყიდველის, მიერაც იხარჯება, ავანსად გაიღება როგორც კაპიტალი. მაშასადამე, სინამდვილეში ეს არის განსხვავება შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს ფ უ ლ ა დ ი ფ ო რ მ ი ს ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ფ უ ლ ა დ ი ფ ო რ მ ი ს ა გ ა ნ და არა განსხვავება მიმოქცევის საშუალებისა კაპიტალისაგან, ვინაიდან როგორც ვაჭრებს შორის მოსაშუალე და ასევე როგორც მომხმარებლებსა და ვაჭრებს შორის მოსაშუალე, მ ი მ ო ქ ც ე ვ ა შ ი ა თავისი რაოდენობის მხრივ განსაზღვრული ნაწილი ფულისა, და ამიტომ ო რ ს ა ვ ე ფუნქციაში ფული თანაბრად მიმოქცევის საშუალებაა. ტუკის შეხედულებაში კი სხვადასხვაგვარ არევ-დარევას აქვს ადგილი:

1) ფუნქციურ განსაზღვრათა არევის გამო;

2) იმ საკითხის შემორევის გამო, რომელიც შეეხება ერთად აღებულ ორსავე ფუნქციაში მიმოქცევადი ფულის რაოდენობას;

3) იმ საკითხის შემორევის გამო, რომელიც შეეხება ორსავე ფუნქციაში და, მაშასადამე, კვლავწარმოების პროცესის ორსავე სფეროში, მიმოქცევაში მყოფი მიმოქცევის საშუალებათა პროპორციულ რაოდენობას.

პუნქტი 1), ფულის ფუნქციურ განსაზღვრათა შერევა, ე. ი. იმის გაუგებლობა, რომ ფული ერთ ფორმაში მიმოქცევის საშუალებაა (currency), ხოლო მეორე ფორმაში— კაპიტალი. რამდენადაც ფული ერთ ან მეორე ფუნქციას ასრულებს, შემოსავლის რეალიზაციას თუ კაპიტალის გადაცემას მოსაშუალეობს, იგი მოქმედებს ყიდვასა და გაყიდვაში ან გადახდაში როგორც ყიდვის საშუალება ან გადახდის საშუალება და სიტყვის უფრო ფართო აზრით — როგორც მიმოქცევის საშუალება. შემდგომი განსაზღვრა, რომელიც ფულს აქვს მისი დამხარჯველის ან მიმღების ანგარიშში: რომ იგი მისთვის კაპიტალს ან შემოსავალს წარმოადგენს, — აქ სრულიად არაფერს არ ცვლის და ეს მეღავნდება კიდეც ორგვარად. თუმცა ფულის ნიშნები, რომლებიც ორსავე სფეროში მიმოიქცევა, სხვადასხვაა, მაგრამ ერთი და იგივე ფულის ნიშანი, მაგალითად, ხუთგირვანქიანი ბანკნოტი, გადადის ერთი სფეროდან მეორეში და რიგრიგობით ორივე ფუნქციას ასრულებს; ეს უკვე იმის გამოა აუცილებელი, რომ ცალობით მოვაჭრეს თავისი კაპიტალისთვის ფულადი ფორმის მიცემა მხოლოდ იმ მონეტის სახით შეუძლია, რომელსაც იგი თავისი მყიდველებისაგან იღებს. შეიძლება მივიღოთ, რომ საკუთრივ ხურდა მონეტას საცალო ვაჭრობის სფეროში აქვს თავისი მიმოქცევის სიმძიმის ცენტრი; ცალობით მოვაჭრეს იგი

მუდამ ესაჭიროება დახურდავებისთვის და ყოველთვის უკან იღებს მას გადახდისას თავისი მუშტრებისაგან. მაგრამ იგი იღებს აგრეთვე ფულს, ე. ი. მონეტას ლითონში, რომელიც ღირებულების საზომს შეადგენს, მაშასადამე, ინგლისში—გირვანქა სტერლინგებს, და ბანკნოტებსაც კი, სახელდობრ მცირეთანხიან ბანკნოტებს, მაგალითად, 5 და 10 გირვანქიანებს. ამ ოქროს მონეტებს და ბანკნოტებს ზედმეტი ხურდა მონეტითურთ, რომელიც მისთვის ზედმეტი აღმოჩნდება, იგი ათავსებს ყოველდღე ან ყოველკვირა ანაბრად თავის ბანკში და მით იხდის თავის შესყიდვებს ამ თავის საბანკო ანაბარზე ჩეკების გაცემის გზით. მაგრამ იგივე ოქროს მონეტები და ბანკნოტები ისევე განუწყვეტლივ გამოიტანება ისევ ბანკებიდან პირდაპირ ან არაპირდაპირ (მაგალითად, მეფაბრიკეებს გამოაქვთ წვრილი ფული ხელფასის გადასახდელად), გამოიტანება როგორც შემოსავლის ფულადი ფორმა მთელი საზოგადოების როგორც მომხმარებლის მიერ, და ეს ფული ყოველთვის წვრილ ვაჭრებს უბრუნდება, რომელთაც იგი ამგვარად კვლავ განუხორციელებს მათი კაპიტალის ნაწილს, მაგრამ ამავე დროს მათი შემოსავლის ნაწილსაც. ეს უკანასკნელი გარემოება მნიშვნელოვანია და მას ტუკი სრულიად მხედველობის გარეშე ტოვებს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ფული დაიხარჯება როგორც ფულადი კაპიტალი, კვლავწარმოების პროცესის დასაწყისში (წიგნი II, განყოფილება I), კაპიტალღირებულება არსებობს წმინდა სახით როგორც ასეთი. იმიტომ რომ წარმოებული საქონელი შეიცავს არა მხოლოდ კაპიტალს, არამედ უკვე ზედმეტ ღირებულებასაც; საქონელი არა მხოლოდ კაპიტალია თავისდათავად, არამედ უკვე განხორციელებული კაპიტალია, კაპიტალი, რომელსაც შემოსავლის წყარო აქვს შემატებული. მაშასადამე, ის, რასაც ცალობით მოვაჭრე გასცემს მასთან უკუმოდენილ ფულში, ე. ი. მისი საქონელი, მისთვის არის კაპიტალი პლუს მოგება, კაპიტალი პლუს შემოსავალი.

შემდეგ, მიმოქცევადი ფული, რომელიც უკუმოედინება ცალობით მოვაჭრესთან, ხელახლა აღადგენს ამ უკანასკნელისთვის კაპიტალის ფულად ფორმას.

მაშასადამე, სავსებით უმართებულოა გადავაქციოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს მიმოქცევასა როგორც შემოსავლის მიმოქცევასა და როგორც კაპიტალის მიმოქცევას შორის, განსხვავებად მიმოქცევასა და კაპიტალს შორის. ტუკის ასეთი მეტყველება იქიდან წარმოდგება, რომ იგი უბრალოდ საკუთარი ბანკნოტების გამომშვები ბანკირის თვალსაზრისზე დგება. ბანკნოტების თანხა, რომელიც (თუმცა ყოველთვის სხვა ბანკნოტებისაგან შემდგარი) მუდამ საზოგადოების ხელში

იმყოფება და მოქმედებს როგორც მიმოქცევის საშუალება, ბანკირს არაფერი უღირს, გარდა ქაღალდისა და ბეჭდვისა. ეს ბანკნოტები წარმოადგენენ თვით მასზე გაცემულ მიმოსაქცევ სავალო ვალდებულებებს (თამასუქებს), რომლებიც მას, მაინც, ფულს მოუტანს და ამგვარად მისი კაპიტალის ღირებულების ზრდის საშუალებას წარმოადგენს. მაგრამ ეს ბანკნოტები განსხვავდება მისი კაპიტალისაგან, მისი საკუთარი კაპიტალი იქნება ეს, თუ სესხად აღებული. აქედან წარმოდგება მისთვის სპეციალური განსხვავება მიმოქცევასა და კაპიტალს შორის; მაგრამ ამ განსხვავებას საერთო არაფერი აქვს ამ ცნებათა როგორც ასეთთა განსაზღვრასთან, მით უფრო ნაკლებ აქვს მას საერთო ცნებათა იმ განსაზღვრასთან, რაც მათ ტუკმა მისცა.

ფულის სხვადასხვა დანიშნულება — მოქმედებს იგი როგორც შემოსავლის თუ კაპიტალის ფულადი ფორმა — უწინარეს ყოვლისა არაფერს არ ცვლის ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ხასიათში; ამ ხასიათს ფული ინარჩუნებს, მიუხედავად იმისა, ერთ ფუნქციას ასრულებს იგი თუ მეორეს. მართალია, როცა ფული წარმოგვიდგება როგორც შემოსავლის ფულადი ფორმა, იგი მოქმედებს უფრო როგორც საკუთრივ მიმოქცევის საშუალება (მონეტა, ყიდვის საშუალება) ყიდვისა და გაყიდვის აქტების დაქუცმაცების გამო და იმიტომ, რომ შემოსავლის დამხარჯველთა უმრავლესობას, მუშებს, შედარებით ნაკლებ შეუძლიათ ნისიად ყიდვა, მაშინ როდესაც სავაჭრო სფეროში, სადაც მიმოქცევის საშუალება კაპიტალის ფულად ფორმას შეადგენს, ფული — ნაწილობრივ კონცენტრაციის გამო, ნაწილობრივ კრედიტის სისტემის ძლიერი განვითარების გამო — მოქმედებს უმთავრესად როგორც გადახდის საშუალება. მაგრამ განსხვავება ფულის როგორც გადახდის საშუალებისა ფულისაგან როგორც ყიდვის საშუალებისაგან (მიმოქცევის საშუალებისაგან) თვით ფულის კუთვნილი განსხვავებაა და არა განსხვავება ფულსა და კაპიტალს შორის. თუ საცალო ვაჭრობაში მეტი სპილენძი და ვერცხლი მიმოიქცევა, საბითუმოში კი მეტი ოქრო, — ეს განსხვავება ვერცხლსა და სპილენძსა, ერთი მხრივ, და ოქროს შორის, მეორე მხრივ, არ წარმოადგენს განსხვავებას მიმოქცევასა და კაპიტალს შორის.

პუნქტი 2), იმ საკითხის შემორევა, რომელიც შეეხება ორსავე ფუნქციაში ერთად მიმოქცევადი ფულის რაოდენობას: რამდენადაც ფული მიმოიქცევა როგორც ყიდვის საშუალება ან გადახდის საშუალება, — სულ ერთია, რომელში იმ ორ სფეროდან, და დამოუკიდებლად მისი იმ ფუნქციისაგან, რომელიც შემოსავლის ან კაპიტალის რეალიზაციით გამოიხატება, — მიმოქცევაში მყოფი მისი რაოდენო-

ბისთვის ძალაშია ის კანონები, რომლებიც მარტივი საქონელმიმოქცევის განხილვისას (წიგნი I, თავი III. 2, b), იყო განმარტებული მიმოქცევის სისწრაფე, ე. ი. მოცემულ პერიოდში ერთი და იმავე მონეტის მიერ იმავე ფუნქციის — ყიდვის და გადახდის საშუალების ფუნქციის — განმეორების რიცხვი, იმავდროული ყიდვის და გაყიდვის resp. [შესაბამის] გადასახდელთა რაოდენობა, მიმოქცევაში მყოფ საქონელთა ფასების ჯამი, დასასრულ, საგადასახდელო ბალანსები, რომელთა სალდირება ერთსა და იმავე დროს უნდა მოხდეს, — ორსავე შემთხვევაში განსაზღვრავს მიმოქცევაში მყოფი ფულის, currency-ს, რაოდენობას. ამრიგად, მოქმედი ფული გადამხდელისთვის ან მიმღებისთვის კაპიტალს წარმოადგენს იგი თუ შემოსავალს, — ეს სულ ერთია და სრულებით არაფერს არ ცვლის საქმეში. ფულის მასა განისაზღვრება უბრალოდ მისი, როგორც ყიდვისა და გადახდის საშუალების ფუნქციით.

პუნქტი 3), საკითხისათვის, რომელიც შეეხება შეფარდებითს პროპორციას ორსავე ფუნქციაში და, მაშასადამე, კვლავწარმოების პროცესის ორსავე სფეროში მიმოქცევაში მყოფ მიმოქცევის საშუალებათა რაოდენობას. მიმოქცევის ორივე სფერო შინაგან კავშირში იმყოფება, იმიტომ რომ, ერთი მხრივ, დასახარჯავი შემოსავლის რაოდენობა გამოსახავს მოხმარების ოდენობას და, მეორე მხრივ, წარმოებასა და ვაჭრობაში მიმოქცევადი კაპიტალის მასათა სიდიდე გამოსახავს კვლავწარმოების პროცესის ოდენობას და სისწრაფეს. მიუხედავად ამისა, ერთი და იგივე გარემოება მოქმედებს სხვადასხვაგვარად, საპირისპირო მიმართულებითაც კი, ორსავე ფუნქციაში ანუ სფეროში მიმოქცევადი ფულის მასების რაოდენობაზე ანუ, როგორც ინგლისელები თავიანთ საბანკო ენაზე იტყვიან, მიმოქცევის რაოდენობაზე. და ეს ახალ საბაბს აძლევს ტუკს მიმოქცევის საშუალებათა უაზრო გამიჯვნისათვის კაპიტალისაგან. ის გარემოება, რომ currency-ს თეორიის დამცველები ერთმანეთში ურევენ ორ სხვადასხვა საგანს, სრულიადაც არ წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ ისინი სხვადასხვა ცნებად დავსახოთ.

კვლავწარმოების პროცესის აყვავებისა, დიდი გაფართოებისა, აჩქარებისა და ენერგიის პერიოდებში მუშები სრულად არიან დასაქმებული. უმრავლეს შემთხვევაში ადგილი აქვს ხელფასის აწევას, რაც რამდენადმე აწონასწორებს ხელფასის დაცემას საშუალო დონეზე დაბლა კომერციული ციკლის სხვა პერიოდებში. ამასთანავე მნიშვნელოვნად იზრდება კაპიტალისტების შემოსავალი. მოხმარება საყოველთაოდ მატულობს. საქონლის ფასები აგრეთვე რეგულარულად მაღლა იწევს,

ყოველ შემთხვევაში სხვადასხვა გადამწყვეტი მნიშვნელობის საქმიანობის დარგებში. ამის გამო იზრდება მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა, გარკვეულ ფარგლებში მაინც, რადგან მიმოქცევის უფრო დიდი სისწრაფე, თავის მხრივ, ზღუდავს მიმოქცევის საშუალების რაოდენობის ზრდას. რადგან საზოგადოებრივი შემოსავლის ნაწილი, რომელიც ხელფასისგან შედგება, თავდაპირველად სამრეწველო კაპიტალისტის მიერ ავანსად გაიღება ცვალებადი კაპიტალის სახით და— მუდამ ფულადი ფორმით, ამიტომ აყვავების პერიოდებში იგი მეტ ფულს მოითხოვს თავის მიმოქცევისათვის. მაგრამ ჩვენ ეს ორჯერ არ უნდა ვიანგარიშოთ: ერთხელ როგორც ცვალებადი კაპიტალის მიმოქცევისთვის საჭირო ფული და მეორეჯერ როგორც მუშების შემოსავლის მიმოქცევისთვის საჭირო ფული. მუშებისთვის ხელფასის სახით მიცემული ფული საცალო ვაჭრობაში იხარჯება და დაახლოებით ყოველ-კვირეულად ბანკებს უბრუნდება ცალობით მოვაჭრეთა ანაბრების სახით, მას შემდეგ, რაც მან პატარა წრებრუნვებში სხვადასხვაგვარ შუალედურ გარიგებათა მოსაშუალეობა გასწია. აყვავების პერიოდებში ფულის დაბრუნება მრეწველ კაპიტალისტებთან დაუბრკოლებლად მიმდინარეობს და, ამრიგად, მათთვის კაპიტალის სესხად აღების საჭიროება იმის გამო როდი იზრდება, რომ მათ მეტი ხელფასი უნდა იხადონ, რომ მეტი ფული სჭირდებათ თავიანთი ცვალებადი კაპიტალის მიმოქცევისთვის.

საერთო შედეგი ისაა, რომ აყვავების პერიოდებში მიმოქცევის საშუალებათა მასა, რომელიც შემოსავლის დასახარჯავად გამოიყენება, გადაჭრით იზრდება.

რაც შეეხება მიმოქცევას, რომელიც საჭიროა კაპიტალის გადასაცემად, მაშასადამე, მიმოქცევას მხოლოდ თვით კაპიტალისტებს შორის, — გაცხოველებული საქმიანობის ეს დრო ამასთან ერთად ფრიად ელასტიკური და ადვილმოსაპოვებელი კრედიტის პერიოდს წარმოადგენს. კაპიტალისტსა და კაპიტალისტს შორის მიმოქცევის სისწრაფეს არეგულირებს უშუალოდ კრედიტი, და, მაშასადამე, შედარებით კლებულობს მიმოქცევის საშუალებათა მასა, რომელიც საჭიროა გადასახდელთა სალდირებისა და ნაღდზე საყიდლადაც. ეს მასა შეიძლება აბსოლუტურად გადიდდეს, მაგრამ ყველა გარემოებაში იგი კლებულობს შეფარდებით, კვლავწარმოების პროცესის გაფართოებასთან შედარებით. ერთი მხრივ, მსხვილ მასობრივ გადასახდელთა ლიკვიდაცია ხდება ფულის ყოველი მოსაშუალეობის გარეშე; მეორე მხრივ, რადგან პროცესი დიდად გაცხოველებულია, აჩქარებულია მოძრაობა იმავე რაოდენობის ფულისა როგორც ყიდვის საშუალების, ისე გადახდის სა-

შუალების სახით. ფულის იგივე რაოდენობა მოსაშუალეობს ცალკე კაპიტალების უფრო დიდი რაოდენობის უკუმოქცევას.

საერთოდ ასეთ პერიოდებში ფულის ტრიალი გვევლინება გავსებულად (full), თუმცა მისი II ნაწილი (კაპიტალის გადაცემა) მცირდება, ყოველ შემთხვევაში შეფარდებით. მაშინ როდესაც I ნაწილი (შემოსავლის ხარჯვა) აბსოლუტურად ფართოვდება.

ფულის უკუმოქცევა გამოსახავს საქონლური კაპიტალის უკუგარდაქმნას ფულად, Ф — ს — Ф′, როგორც ეს ჩვენ დავინახეთ კვლავწარმოების პროცესის განხილვის დროს (წიგნი II, განყოფილება I). ფულადი ფორმით უკუმოქცევას კრედიტი დამოუკიდებელს ხდის ნამდვილი დაბრუნების დროისგან როგორც მრეწველი კაპიტალისტისთვის, ისე ვაჭრისთვის. თვითეული მათგანი ყიდის ნისიად; მაშასადამე, მათი საქონელი გასხვისდება მანამდე, ვიდრე მათი საქონელი ფულად გადაიქცეოდეს, ე. ი. უკან დაუბრუნდებოდეს თვით მათ ფულადი ფორმით. მეორე მხრივ, თვითეული მათგანი ყიდულობს ნისიად, და ამგვარად მათი საქონლის ღირებულება მათთვის უკუგარდაიქმნება მწარმოებლურ კაპიტალად ან საქონლურ კაპიტალად უკვე მანამდე, ვიდრე ეს ღირებულება ნამდვილად გარდაიქმნებოდეს ფულად, ვიდრე საქონლის ფასის გადახდის ვადა დადგებოდეს და იგი გადახდილი იქნებოდეს. აყვავების ასეთ პერიოდებში კაპიტალის უკუმოქცევა ადვილად და დაუბრკოლებლად მიმდინარეობს. ცალობით მოვაჭრე სრული იმედით უხდის ბითუმად მოვაჭრეს, ეს უკანასკნელი — მეფაბრიკეს; მეფაბრიკე — ნედლეულის იმპორტერს და სხვ. კაპიტალის სწრაფი და უეჭველი უკუმოქცევის მოჩვენებითობა კიდევ დიდ ხანს გრძელდება მას შემდეგაც, რაც მას სინამდვილეში უკვე ადგილი აღარა აქვს, — გრძელდება უკვე მოქმედი კრედიტის მეოხებით, იმიტომ რომ კრედიტის უკუმოქცევა კაპიტალის ნამდვილი დაბრუნების მაგივრობას ეწევა. ბანკები წინასწარ იგრძნობენ საფრთხეს, როგორც კი კლიენტები იწყებენ უფრო თამასუქებით გადახდას, ვიდრე ფულით. იხ. ზემოაღნიშნული ლივერპულელი ბანკის დირექტორის ჩვენება, გვ. 398 [ამ ტომის გვ. 519 — 521].

აქ ჩავურთავ კიდევ იმას, რაც წინათ აღვნიშნე: «კრედიტის გაძლიერების პერიოდებში ფულის ტრიალის სისწრაფე უფრო ჩქარა მატულობს, ვიდრე საქონელთა ფასები, მაშინ როდესაც კრედიტის შემცირების დროს საქონელთა ფასები უფრო ნელა კლებულობს, ვიდრე მიმოქცევის სისწრაფე» («Zur Kritik der Politischen Oekonomie», 1859, გვ. 83, 84) [შეად. კ. მარქსი: «პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის», თბილისი, 1953, გვ. 132].

კრიზისის პერიოდში საქმის ვითარება პირიქითაა. მიმოქცევა № I იკვეცება, ფასები ეცემა, ეცემა ხელფასიც; დასაქმებულ მუშათა რიცხვი მცირდება, ბრუნვის მასა კლებულობს. მიმოქცევა № II-ში, პირიქით, იზრდება კრედიტის კლებასთან ერთად ფულის სესხად აღების საჭიროება, — გარემოება, რასაც ჩვენ ახლავე უფრო დაწვრილებით შევეხებით.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ კრედიტის კლებისას, რაც კვლავწარმოების პროცესის შეფერხებას ემთხვევა, მიმოქცევის საშუალებათა მასა, რომელიც № I-ისთვის, შემოსავლის ხარჯვისთვისაა საჭირო, კლებულობს, მაშინ როდესაც № II-სთვის, კაპიტალის გადაცემისთვის, საჭირო მასა მატულობს. მაგრამ აუცილებელია იმის გამოკვლევა, თუ რამდენად იდენტურია ეს დებულება იმ დებულებისა, რომელიც ფულარტონმა და სხვებმა წამოაყენეს: «სასესხო კაპიტალის მოთხოვნა და დამატებითი მიმოქცევის საშუალებების მოთხოვნა ორი სრულიად სხვადასხვა რამ არის და ხშირად არ გვხვდება ერთად» [90].

---

[90] **A demand for capital on loan and a demand for additional circulation are quite distinct things, and not often found associated (Fullarton: «On the Regulation of Currencies». London 1845, გვ 82, მე 5 თავის** სათაური).—«მართლაც, დიდი შეცდომაა იმის ფიქრი, რომ ფულადი სესხის» (ე. ი. სასესხო კაპიტალის) «მოთხოვნა იგივეა, რაც დამატებითი მიმოქცევის საშუალებების მოთხოვნა, ან რომ ორივე ეს ერთმანეთთანაა დაკავშირებული. თვითეული მათგანი წარმოდგება გარემოებიდან, რომელიც განსაკუთრებით მას შეეხება, და დიდად განსხვავდება მეორისგან. როცა ყველაფერი აყვავების მდგომარეობაში იმყოფება, როცა ხელფასი მაღალია, ფასები მაღლა იწევს და ფაბრიკები კარგად მუშაობენ, მაშინ ჩვეულებრივ მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა დამატებითი მიწოდებაა საჭირო ისეთი დამატებითი ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც განუყრელად დაკავშირებულია დიდ და ხშირ გადასახდელთა შესრულების აუცილებლობასთან; ხოლო, უმთავრესად კომერციული ციკლის შემდგომ საფეხურზე, როცა თავს იჩენს სიძნელეები, როცა ბაზრები გავსებულია და უკუმოქცევა გვიანდება, — სარგებლის განაკვეთი მაღლა იწევს და ბანკს სასესხო კ ა პ ი ტ ა ლ ი ს გაძლიერებული მოთხოვნა წარედგინება. მართალია, რომ ბანკი ჩვეულებრივ ვერავითარი სხვა საშუალებით ვერ გაასესხებს კაპიტალს, თუ არა თავისი ბანკნოტების გამოშვების გზით და რომ, მაშასადამე, ბანკნოტების მიცემაზე უარისთქმა სესხის მიცემაზე უარისთქმას ნიშნავს. მაგრამ რაკი ერთხელ სესხი გაცემულია, შემდეგ ყველაფერი ბაზრის მოთხოვნილებათა თანახმად ეწყობა; სესხი რჩება, ხოლო მიმოქცევის საშუალება, თუ იგი საჭირო არაა, პოულობს თავის გზას მის გამომშვებთან დასაბრუნებლად. ამის თანახმად, საპარლამენტო ანგარიშების ზერელე გასინჯვაც კი დაარწმუნებს ყველას, რომ ინგლისის ბანკის ხელში ფასიანი ქაღალდების მოძრაობა უფრო ხშირად მისი ბანკნოტების მიმოქცევის საპირისპირო მიმართულებით წარმოებს, ვიდრე იმავე მიმართულებით, და რომ, მაშასადამე, ამ დიდი დაწესებულების მაგალითი არ იძლევა არავითარ გამონაკლისს იმ დოქტრინიდან, რომელსაც ესოდენ მტკიცედ იზიარებენ პროვინციელი ბანკირე-

უწინარეს ყოვლისა, ცხადია, რომ ზემოაღნიშნული ორი შემთხვევიდან პირველში, აყვავების პერიოდში, როცა მიმოქცევაში მყოფ მიმოქცევის საშუალებათა მასა უნდა გაიზარდოს, მათზე მოთხოვნა იზრდება. მაგრამ ასევე ცხადია ისიც, რომ თუ მეფაბრიკეს თავისი ანაბრიდან, რომელიც ბანკში აქვს, მეტი ოქრო ან ბანკნოტები გამოაქვს, რადგან მეტი კაპიტალის დახარჯვა სჭირდება ფულადი ფორმით, ამის გამო არ იზრდება მისი მოთხოვნა კაპიტალზე, არამედ იზრდება მხოლოდ მისი იმ განსაკუთრებული ფორმის მოთხოვნა, რომლითაც იგი თავის კაპიტალს ხარჯავს. მოთხოვნა შეეხება მხოლოდ ტექნიკურ ფორმას, რომლითაც იგი თავის კაპიტალს გადაისვრის მიმოქცევაში. სწორედ ისე, როგორც კრედიტის სხვადასხვაგვარი განვითარებისას, მაგალითად, ერთი და იგივე ცვალებადი კაპიტალი, ხელფასის ერთი და იგივე

ბი, — სახელდობრ, რომ არც ერთ ბანკს არ შეუძლია გაადიდოს თავისი ბანკნოტების მიმოქცევა, თუ ეს მიმოქცევის საშუალებანი უკვე შეესაბამება იმ მოთხოვნილებას, რომლის დაკმაყოფილებას ჩვეულებრივ ემსახურება ბანკნოტების მიმოქცევა, რომ ბანკის მხრივ სესხის ყოველი გადიდება, მას შემდეგ, რაც ეს საზღვარი მიღწეულია, უნდა მოხდეს მისი კაპიტალიდან და სარეზერვო ფასიანი ქაღალდების გაყიდვის საშუალებით ანდა ასეთ საწინდრებში კაპიტალის შემდგომ მოთავსებაზე ხელის აღების გზით. 1833 — 1840 წლების პერიოდისთვის იმ საპარლამენტო ანგარიშებიდან შედგენილი ცხრილი, რომლებიც მე წინა გვერდზე მოვიხსენიე, მუდამ იძლევა ამ ჭეშმარიტების მაგალითებს; მაგრამ მათში ორი ისე შესანიშნავია, რომ შეუძლებელია მათ გვერდი აუხვიო. 1837 წლის 3 იანვარს, როცა ბანკის რესურსები უაღრესად დაძაბული იყო კრედიტის შესანარჩუნებლად და ფულის ბაზრის სიძნელეების დასაძლევად, ჩვენ ვხედავთ, რომ ბანკის სესხები და დისკონტი უზარმაზარ თანხას — 17 022 000 გირვ. სტერლინგს აღწევს, ისეთ თანხას, რომელიც ძნელად რომ ყოფილიყოს ომის შემდეგ და რომელიც თითქმის ეთანატოლებოდა გამოშვებული ბანკნოტების მთელ თანხას, რაც, თავის მხრივ, გაჩერებული იყო უცვლელად ისეთ დაბალ დონეზე, როგორსაც წარმოადგენს 17 076 000 გირვ. სტერლინგი! მეორე მხრივ, 1833 წლის 4 ივნისისთვის ჩვენ გვაქვს 18 892 000 გირვ. სტერლინგის ბანკნოტების მიმოქცევა და ამასთან ბანკის ხელში კერძო პირთა ფასიანი ქაღალდების მაჩვენებელი ანგარიში 972 000 გირვ. სტერლინგისა, რაც თითქმის, თუ არა სავსებით, ყველაზე დაბალ დონეს წარმოადგენს უკანასკნელი ნახევარი საუკუნისთვის» (**Fullarton**, იქვე, გვ. 97, 98). — ბ-ნ ვეგელაინის, ინგლისის ბანკის მმართველის, შემდეგი ჩვენებიდან ჩანს, რომ სრულიადაც აუცილებელი არაა, რომ «**demand for pecuniary accomodation**». [ფულადი სესხის მოთხოვნა] იდენტური იყოს «**demand for gold**»-ის [ოქროს მოთხოვნისა] (რასაც ვილსონი, ტუკი და სხვები კაპიტალს უწოდებენ). «თამასუქების დისკონტი ამ თანხამდე» (ერთ მილიონამდე, ყოველდღიურად ერთიერთმანეთზე მიყოლებით სამი დღის განმავლობაში) «არ შეამცირებდა» (ბანკნოტების) «რეზერვს, თუ საზღვაგადოება აქტიური მიმოქცევის უფრო დიდ თანხას არ მოითხოვდა. თამასუქების დისკონტის წარმოებისას გამოშვებული ბანკნოტები უკან დაბრუნებოდა ბანკების მეშვეობით და ანაბრების გზით. «თუ ასეთ გირვგებათა მიზანს ოქროს გაზიდვა არ შეადგენს და სახელმწიფოს შიგნით

რაოდენობა ერთ ქვეყანაში მიმოქცევის საშუალებათა მეტ რაოდენობას მოითხოვს, ვიდრე მეორეში: ინგლისში, მაგალითად, მეტს, ვიდრე შოტლანდიაში, გერმანიაში მეტს, ვიდრე ინგლისში. ასევე სოფლის მეურნეობაში კვლავწარმოების პროცესში მოქმედი ერთი და იგივე კაპიტალი ფულის სხვადასხვა რაოდენობას მოითხოვს თავისი ფუნქციის შესასრულებლად წლის სხვადასხვა დროში.

მაგრამ დაპირისპირებულობა იმ სახით, როგორც მას ფულარტონი აყენებს, არაა სწორი. სესხის ძლიერი მოთხოვნა კი არ განასხვავებს შეფერხების პერიოდს აყვავების პერიოდისგან, როგორც იგი ამბობს, არამედ მას განასხვავებს მოთხოვნის იოლი დაკმაყოფილება აყვავების პერიოდში, და მისი ძნელი დაკმაყოფილება შეფერხების დაწყების დროს. საკრედიტო სისტემის სწორედ ის კოლოსალური განვითარება აყვავების პერიოდში, მაშასადამე, სასესხო კაპიტალის მოთხოვნის კოლოსალური გაძლიერება და ის ხალისი, რომლითაც ასეთ პერიოდებში მიწოდება დგება მოთხოვნის განკარგულებაში, წარმოადგენს იმ გარემოებას, რომელიც შეფერხების პერიოდში კრედიტის დამუხრუჭებას იწვევს. მაშასადამე, — არა სესხის მოთხოვნის სიდიდის განსხვავება, რომელიც ორივე პერიოდს ახასიათებს.

როგორც უკვე წინათ იყო აღნიშნული, ეს ორი პერიოდი უწინარეს ყოვლისა იმით განსხვავდება ერთიმეორისგან, რომ აყვავების პერიოდში უპირატესად ძლიერია მიმოქცევის საშუალებათა მოთხოვნა მომხმარებლებსა და ვაჭრებს შორის, შეფერხების პერიოდში კი — მიმოქცევის საშუალებათა მოთხოვნა კაპიტალისტებს შორის. საქმეების შეფერხების პერიოდში პირველი მოთხოვნა კლებულობს, მეორე მატულობს.

ფულარტონს და სხვებს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ ეჩვენებათ ის მოვლენა, რომ იმ პერიოდებში, როდესაც securities — სასესხო საწინდრები და თამასუქები — მატულობს ინგლისის ბანკის ხელში, მისი ბანკნოტების მიმოქცევა კლებულობს, და პირიქით. მაგრამ

პანიკა არაა მოდებული, რის გამო საზოგადოება თავის ბანკნოტებს მაგრად ხელში იჭერს, ნაცვლად იმისა, რომ ისინი ბანკში შეიტანოს,—ასეთი კოლოსალური ბრუნვა გავლენას ვერ იქონიებდა რეზერვზე». — «ბანკს შეუძლია ყოველდღე ერთნახევარი მილიონის დისკონტირება აწარმოოს, და ეს ხდება განუწყვეტლივ ისე, რომ ამას სრულიად არავითარი გავლენა არა აქვს მის რეზერვზე. ბანკნოტები უკან ბრუნდება ანაბრების სახით, და ერთადერთი ცვლილება, რასაც აქ ადგილი აქვს, არის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანა». («Report on Bank Acts». 1857. ჩვენებანი № 241 და 500). მაშასადამე, ბანკნოტები აქ კრედიტის გადატანის საშუალებაა მხოლოდ.

securities-ის სიდიდე ფულადი სესხის, დისკონტირებული თამასუქებისა და მოარულ ფასიან ქაღალდებზე გაცემული სესხის სიდიდეს ასახავს. ასე, ფულარტონი იმ ადგილას, რომელიც ზემოთ, 565 — 567 გვერდზე, 90 შენიშვნაში, არის მოყვანილი, ამბობს: «ინგლისის ბანკის განკარგულებაში მყოფი ფასიანი ქაღალდები (securities) იცვლება მეტწილად უკუმიმართულებით მისი ბანკნოტების მიმოქცევასთან, და ეს ადასტურებს კერძო ბანკების ნაცად დებულებას, რომ არც ერთ ბანკს არ შეუძლია გაადიდოს თავისი ბანკნოტების გამოშვება იმ გარკვეულ თანხაზე მეტად, რომელიც მისი კლიენტების მოთხოვნილებით განისაზღვრება; ხოლო თუ ბანკს სურს ამ თანხაზე მეტად გასცეს სესხი,— მან იგი უნდა მოახდინოს თავისი კაპიტალიდან, ე. ი. ან ფასიანი ქაღალდები უნდა გაუშვას ბრუნვაში, ანდა ამ მიზნისათვის გამოიყენოს ფულადი შემოსულობანი, რომელთაც იგი სხვა შემთხვევაში ფასიან ქაღალდებში მოათავსებდა».

მაგრამ აქვე ირკვევა აგრეთვე, თუ რას გულისხმობს ფულარტონი კაპიტალად. რას ეწოდება აქ კაპიტალი? იმას, რომ ბანკს აღარ შეუძლია სესხის გაცემა თავისი საკუთარი ბანკნოტებით, გადახდის დაპირებით, რაც მას, რასაკვირველია, არაფერი უღირს. მაგრამ ამ შემთხვევაში რით გასცემს იგი სესხს? ცხადია, იმ ამონაგებიდან, რაც მას სარეზერვო securities-ის გაყიდვიდან შემოუვა, ე. ი. სახელმწიფო ქაღალდების, აქციებისა და სხვა სარგებელმომტანი ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან. მაგრამ რაზე ყიდის იგი ამ ქაღალდებს? ფულზე, ოქროზე ან ბანკნოტებზე, რამდენადაც ეს უკანასკნელნი კანონიერი გადახდის საშუალებას წარმოადგენენ, როგორც ინგლისის ბანკის ბანკნოტები. მაშასადამე, ის, რასაც იგი გაასესხებს, ყველა გარემოებაში ფულია. მაგრამ ეს ფული ახლა მისი კაპიტალის ნაწილს შეადგენს. თუ იგი ოქროს იძლევა სესხად, მაშინ ეს თავისთავად ცხადია. თუ ბანკნოტებს — მაშინ აქ ეს ბანკნოტები კაპიტალია, იმიტომ რომ მათ სამაგიეროდ მან ნამდვილი ღირებულება, სარგებელმომტანი ქაღალდები გასცა. კერძო ბანკებისთვის ის ბანკნოტები, რომლებიც მათ ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გზით შემოუდით, შეიძლება იყოს მეტწილად მხოლოდ ინგლისის ბანკისა და მათი საკუთარი ბანკნოტები, ვინაიდან სხვები ძნელად მიიღება ფასიანი ქაღალდების საფასურად. თუ ამ ოპერაციას თვით ინგლისის ბანკი ასრულებს, მაშინ ეს მისი საკუთარი ბანკნოტები, რომლებსაც იგი უკან იღებს, მას კაპიტალად, ე. ი. სარგებლიან ქაღალდებად, უღირს. გარდა ამისა, იგი ამ გზით მიმოქცევას გამოაცლის თავის საკუთარ ბანკნოტებს. თუ იგი ხელახლა გამოუშვებს ამ ბანკნოტებს ან იმავე თანხის ახალ ბანკნოტებს, მაშინ ეს ბანკნოტები

აქ კაპიტალს წარმოადგენენ. თანაც კაპიტალს წარმოადგენენ როგორც იმ შემთხვევაში, თუ მათ ბანკი კაპიტალისტებს აძლევს სესხად, ისევე იმ შემთხვევაშიც, თუ შემდგომ, ასეთ ფულად სესხზე მოთხოვნის შემცირებისას, ეს ბანკნოტები ხელახლა ფასიან ქაღალდებში მოსათავსებლად გამოიყენება. ყველა ამ შემთხვევაში სიტყვა კაპიტალი აქ იხმარება მხოლოდ ბანკირის კაპიტალის აზრით და ნიშნავს იმას, რომ ბანკირი იძულებულია იმაზე მეტი სესხი გასცეს, რასაც უბრალოდ მისი კრედიტი შეადგენს.

როგორც ცნობილია, ინგლისის ბანკი ყველა თავის სესხს თავისი ბანკნოტებით იძლევა. და თუ, მიუხედავად ამისა, ბანკის ბილეთების მიმოქცევა ჩვეულებრივ კლებულობს იმის მიხედვით, როგორც მატულობს მის ხელში დისკონტირებული თამასუქები და სესხის საწინდრები, მაშასადამე, მატულობს მის მიერ გაცემული სესხი, მაშინ რა მოსდის მიმოქცევაში გაშვებულ ბანკნოტებს, როგორ უბრუნდება ისინი ბანკს?

უწინარეს ყოვლისა, თუ ფულადი სესხის მოთხოვნა არახელსაყრელი ეროვნული საგადასახდელო ბალანსიდან წარმოდგება და, მაშასადამე, ოქროს მიქცევას იწვევს, მაშინ საქმე ძალიან მარტივია. თამასუქების დისკონტირება წარმოებს ბანკნოტებით. ბანკნოტები თვით ბანკში, საემისიო განყოფილებაში, გადაიცვლება ოქროზე, და ოქრო საზღვარგარეთ გაიზიდება. ეს იგივეა, ბანკს რომ პირდაპირ ოქროთი, ბანკნოტების მოსაშუალეობის გარეშე, გადაეხადა თამასუქების დისკონტირებისთანავე. მოთხოვნის ასეთი გაძლიერება, რომელიც ზოგ შემთხვევებში 7 — 10 მილიონ გირვ. სტერლინგს აღწევს, რა თქმა უნდა, ერთ ცალ ხუთგირვანქიან ბანკნოტსაც კი არ მატებს ქვეყნის შინაგან მიმოქცევას. და თუ ამბობენ, ბანკი აქ კაპიტალს იძლევა სესხად და არა მიმოქცევის საშუალებასო, — ამას ორგვარი აზრი აქვს. ჯერ ერთი, ის, რომ იგი იძლევა სესხად არა კრედიტს, არამედ ნამდვილ ღირებულებას, თავისი საკუთარი ან მასთან დეპონირებული კაპიტალის ნაწილს. მეორე, ის, რომ იგი სესხად იძლევა ფულს არა შინაგანი მიმოქცევისთვის, არამედ საერთაშორისო მიმოქცევისათვის, იძლევა მსოფლიო ფულს; და ამ მიზნისთვის ფული ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს თავის, როგორც განძის, ფორმაში, თავის ლითონურ სხეულებრივობაში, იმ ფორმაში, რომელშიაც იგი წარმოადგენს არა მხოლოდ ღირებულების ფორმას, არამედ უდრის კიდეც იმ ღირებულებას, რომლის ფულად ფორმასაც იგი წარმოადგენს. თუმცა ეს ოქრო როგორც ბანკისთვის, ისე ოქროს ექსპორტერ-ვაჭრისთვის, კაპიტალს წარმოადგენს, ბანკირის კაპიტალს ან ვაჭრის კაპიტალს, მაგრამ მისი მოთხოვნა წარმოდგება არა როგორც

კაპიტალის მოთხოვნა, არამედ როგორც ფულადი კაპიტალის აბსოლუტური ფორმის მოთხოვნა. იგი წარმოდგება სწორედ იმ მომენტში, როცა უცხოეთის ბაზრები გავსებულია ინგლისის საქონლური კაპიტალით, რომელიც რეალიზაციას ვერ პოულობს. მაშასადამე, მოითხოვება არა კაპიტალი, როგორც კ ა პ ი ტ ა ლ ი, არამედ კაპიტალი როგორც ფ უ ლ ი, იმ ფორმაში, რომლითაც ფული მსოფლიო ბაზრის საყოველთაო საქონელს შეადგენს; და ეს ფორმაა მისი თავდაპირველი ფორმა ძვირფასი ლითონის სახით. მაშასადამე, ოქროს მიქცევა არის არა a mere question of capital [უბრალოდ კაპიტალის საკითხი], როგორც ამბობენ ფილარტონი, ტუკი და სხვები, არამედ a question of money [ფულის საკითხი], თუმცა— მის სპეციფიკურ ფუნქციაში. ის გარემოება, რომ ეს არ არის შ ი ნ ა გ ა ნ ი მიმოქცევის საკითხი, როგორც ამტკიცებენ currency-theory-ის მიმდევარნი, რასაკვირველია, სრულიადაც არ წარმოადგენს იმის დამტკიცებას, რომ ეს მხოლოდ question of capital [კაპიტალის საკითხია], როგორც ფიქრობენ ფულარტონი და სხვები. ეს არის question of money [ფულის საკითხი] იმ ფორმაში, რომლითაც ფული საერთაშორისო გადახდის საშუალებას წარმოადგენს. «საქონლით გადაიცემა ეს კაპიტალი» (უცხოეთის ხორბლის მილიონ კვარტერების ნაყიდობის ფასი ქვეყნის შიგნით მოუსავლიანობის შემდეგ) «თუ ნაღდი ფულით,—ამ გარემოებას სრულიად არავითარი გავლენა არა აქვს გარიგების ხასიათზე» (Fullarton, ციტირებ. ნაწარმ., გვ. 131). მაგრამ იგი ძალიან მნიშვნელოვანია იმ საკითხისთვის, აქვს თუ არა ადგილი ოქროს მიქცევას. კაპიტალი გადაიცემა ძვირფასი ლითონის სახით, იმიტომ რომ საქონლის სახით მისი გადაცემა ან სულ არ შეიძლება, ანდა შეიძლება ძალიან დიდი ზარალით. ის შიში, რომელიც თანამედროვე საბანკო სისტემას აქვს ოქროს მიქცევის წინაშე, აღემატება ყველაფერს, რაც ოდესმე მოზმანებიათ მონეტარული სისტემის წარმომადგენლებს, რომელთათვის ძვირფასი ლითონი ერთადერთი ჭეშმარიტი სიმდიდრეა. ავიღოთ, მაგალითად. ინგლისის ბანკის მმართველის, მორისის. შემდეგი ჩვენება 1847 — 1848 წლის კრიზისის გამომკვლევი საპარლამენტო კომიტეტის წინაშე: (3846. კითხვა:) «თუ მე მარაგისა (stocks) და ძირითადი კაპიტალის გაუფასურებაზე ვლაპარაკობ, — ხომ არ იცით თქვენ, რომ ასევე გაუფასურდა ყველა ის კაპიტალი, რომელიც მარაგში და ყოველგვარ პროდუქტებში იყო მოთავსებული; რომ ნედლი ბამბა, ნედლი აბრეშუმი, ნედლი მატყლი კონტინენტზე იგზავნებოდა იმავე უაღრესად დაბალ ფასებში და რომ ადგილი ჰქონდა შაქრის, ყავისა და ჩაის გაყიდვას დიდი მსხვერპლით, როგორც იძულებითი გაყიდვის დროს?»—

«ქვეყანას აუცილებლად მნიშვნელოვანი მსხვერპლი უნდა გაეღო, რათა შეეკავებინა ოქროს მიქცევა, რასაც ადგილი ჰქონდა კვების პროდუქტების მასობრივი შემოზიდვის გამო».—(3848.) «ხომ არ ფიქრობთ, რომ უკეთესი იქნებოდა ხელი გვეხლო იმ 8 მილიონ გირვ. სტერლინგისათვის, რომელიც ბანკის საცავებში ეწყო, ვიდრე შევცდილიყავით უკან მიგვეღო ოქრო ასეთი მსხვერპლის გაღებით?» — «არა, მე ამას არ ვფიქრობ». — ოქრო აქ ერთადერთ ნამდვილ სიმდიდრედ ითვლება.

ფულარტონის მიერ ციტირებული აღმოჩენა ტუკისა, — რომ «მხოლოდ ერთი ან ორი გამონაკლისის გარდა, რასაც ამასთან საკმაო ახსნა აქვს, უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში სათამასუქო კურსის ყოველი დაცემა, რასაც თან ოქროს მიქცევა ახლდა, ყოველთვის ემთხვეოდა მიმოქცევის საშუალებათა შედარებით დაბალ დონეს, და vice versa [პირიქით]» (Fullarton, გვ. 121), — ამტკიცებს, რომ ოქროს ასეთი მიქცევა უმრავლეს შემთხვევაში წარმოდგება გაცხოველებისა და სპეკულაციის პერიოდის შემდეგ, როგორც «უკვე დაწყებული მოშლილობის სიგნალი... გამოვლენა ბაზრების გავსების, ჩვენს პროდუქტებზე უცხოეთის მოთხოვნის შეწყვეტის, ბრუნვის შენელების და, როგორც ყველა ამის აუცილებელი შედეგი, კომერციული უნდობლობის, მანუფაქტურების დაკეტვის, მუშების დამშევის და მრეწველობის და მეწარმეობის საყოველთაო შეფერხებისა» (გვ. 129). იმავე დროს ეს, რასაკვირველია, საუკეთესო დარღვევაა currency-ს თეორიის წარმომადგენელთა მტკიცებისა, რომ თითქოს a full circulation drives out buleion and a low circulation attracts it [გავსებული მიმოქცევა იწვევს ოქროს მიქცევას, სუსტი მიმოქცევა კი მას მიიზიდავს]. პირიქით, თუმცა ინგლისის ბანკში მეტწილად აყვავების ხანაში ოქროს დიდი მარაგი მოიპოვება, მაგრამ ეს განძი ყოველთვის წარმოიქმნება მოდუნების ხანაში და შეფერხების პერიოდში, რომელიც ქარიშხალს მოჰყვება.

მაშასადამე, მთელი სიბრძნე ოქროს მიქცევის შესახებ ისაა, რომ საერთაშორისო მიმოქცევის და გადახდის საშუალებათა მოთხოვნა განსხვავდება ქვეყნისშიდა მიმოქცევის და გადახდის საშუალებათა მოთხოვნისაგან (საიდანაც თავისთავად გამომდინარეობს აგრეთვე ისიც, რომ «მიქცევის არსებობა არ გულისხმობს აუცილებლად მიმოქცევის საშუალებათა ქვეყნისშიდა მოთხოვნის შემცირებას», როგორც ფულარტონი ამბობს 112 გვერდზე), და რომ ძვირფას ლითონთა სხვა ქვეყნებში გაგზავნა, მათი გადასროლა საერთაშორისო მიმოქცევაში იდენტური არაა ბანკნოტების ან მონეტის გადასროლისა ქვეყნისშიდა

მიმოქცევაში. სხვათა შორის, მე უკვე წინათ ცხადვყავი, რომ იმ განძის მოძრაობას, რომელიც თავმოყრილია როგორც სარეზერვო ფონდი საერთაშორისო გადასახდელისათვის, თავისთავად საერთო არაფერი აქვს ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, მოძრაობასთან. რასაკვირველია, აქ საქმე რთულდება იმით, რომ განძის სხვადასხვა ფუნქციები, რომლებიც მე ფულის ბუნებიდან გამოვიყვანე, სახელდობრ მისი ფუნქცია როგორც გადახდის საშუალებათა სარეზერვო ფონდისა ვადიან გადასახდელთა გასასწორებლად ქვეყნის შიგნით; როგორც მიმოქცევის საშუალებათა სარეზერვო ფონდისა; დასასრულ, როგორც მსოფლიო ფულის სარეზერვო ფონდისა, — ყველა ეს ფუნქცია დაკისრებული აქვს ერთადერთ სარეზერვო ფონდს; აქედან გამომდინარეობს აგრეთვე, რომ გარკვეულ გარემოებებში ფულის მიქცევა ბანკიდან ქვეყნის შიგნით შეიძლება მის საზღვარგარეთ მიქცევასთან იყოს შეერთებული. ერთი შემდგომი გართულება კიდევ წარმოდგება იმ ახალი ფუნქციის გამო, რომელიც ამ განძს სრულიად თვითნებურად ეკისრება და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ განვითარებული საკრედიტო სისტემის და საკრედიტო ფულის მქონე ქვეყნებში ეს განძი შეადგენს საგარანტიო ფონდს ბანკნოტების განაღდებისათვის. ყველა ამას, ბოლოს, ერთვის: 1) ეროვნული სარეზერვო ფონდის კონცენტრაცია ერთადერთ მთავარ ბანკში, 2) მისი დაყვანა შესაძლებელ მინიმუმამდე. აქედან — ფულარტონის ჩივილიც (გვ. 143): «როდესაც ვხედავთ, თუ როგორ სრულიად მშვიდად და ადვილად ხდება სათამასუქო კურსის ცვლილება ჩვეულებრივ კონტინენტურ ქვეყნებში იმ ციებცხელებიან მოუსვენრობასა და განგაშთან შედარებით, რომელიც ყოველთვის წარმოდგება ინგლისში, როგორც კი შეიმჩნევა, რომ ოქროს განძი ბანკში გამოლევაზეა მისული, — როცა ამას ვხედავთ, არ შეიძლება თვალში არ გვეცეს ის დიდი უპირატესობა, რომელიც აქვს ამ მხრივ ლითონურ ფულის მიმოქცევას».

მაგრამ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ოქროს მიქცევას, როგორ შეუძლია, მაშასადამე, ბანკს, რომელიც ბანკნოტებს გამოუშვებს, მაგალითად, ინგლისის ბანკს, — გაადიდოს მის მიერ გაცემული ფულადი სესხი თავისი ბანკნოტების გამოშვების გაუდიდებლად?

ბანკის კედლების გარეთ ყველა ბანკნოტი, მიუხედავად იმისა მიმოიქცევა იგი თუ კერძო საგანძურებში ძევს, თვით ბანკისთვის მაინც მიმოქცევაში იმყოფება, ე. ი. არა მის მფლობელობაში. მაშასადამე, თუ ბანკი აფართოებს თავის სადისკონტო და სალომბარდო ოპერაციებს, გირაოსქვეშ (securities) გაცემულ სესხს, — ამისათვის გამოშვებული ბანკნოტები ისევ მას უნდა დაუბრუნდეს უკან, იმიტომ

რომ სხვანაირად ეს ბანკნოტები გაადიდებს მიმოქცევის ჯამს, რაც სწორედ არ უნდა მოხდეს. ეს უკუმოქცევა ორგვარად შეიძლება მოხდეს.

პირველი: ბანკი *A*-ს აძლევს ბანკნოტებს ფასიან ქაღალდებში. *A* მით უხდის ვადადამდგარი თამასუქებისთვის *B*-ს და *B*-ს ისევ ბანკში შეაქვს ეს ბანკნოტები ანაბრად. ამ ბანკნოტების მიმოქცევა, ამრიგად, დასრულებულია, მაგრამ სესხი რჩება. («სესხი რჩება, ხოლო მიმოქცევის საშუალება, თუ იგი საჭირო არაა, პოულობს თავის გზას მის გამოსწავებთან დასაბრუნებლად». Fullarton, გვ. 97.) ბანკნოტები, რომლებიც ბანკმა A-ს მისცა სესხად, ახლა ბანკსვე დაუბრუნდა: ბანკი კი კრედიტორია *A*-სი ან იმ პირისა, რომელმაც გასცა *A*-ს მიერ დისკონტირებული თამასუქი, და მოვალეა *B*-სი ამ ბანკნოტებით გამოსახული ღირებულების თანხისთვის, და ამრიგად *B*-ს განკარგულებაშია ბანკის კაპიტალის სათანადო ნაწილი.

მეორე: *A* უხდის *B*-ს, ხოლო თვით *B* ან *C*, რომელსაც *B* ბანკნოტებით უხდის, ამ ბანკნოტებით უხდის ბანკს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ვადადამდგარი თამასუქებისთვის. ამ შემთხვევაში ბანკს მისივე ბანკნოტებით უხდიან. ამით აქ გარიგება დამთავრებულია (A-ს მხრივ ბანკისთვის უკუგადახდამდე).

რამდენად შესაძლებელია ბანკის მიერ *A*-სთვის მიცემული სესხი განვიხილოთ როგორც კაპიტალის სესხება ან უბრალოდ როგორც გადახდის საშუალებათა სესხება? [91]

{ეს თვით სესხის ბუნებაზეა დამოკიდებული. აქ განსახილველია სამი შემთხვევა.

პირველი შემთხვევა. — A იღებს ბანკისგან გარკვეულ თანხას სესხად თავისი პირადი კრედიტით, ყოველგვარი უზრუნველყოფის მიუცემლად. ამ შემთხვევაში მან სესხად მიიღო არა მარტო გადახდის საშუალება, არამედ უცილობლად ახალი კაპიტალიც, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს თავის საქმეში დამატებითი კაპიტალის სახით და გაადიდოს მისი ღირებულება ბანკისათვის უკუგადახდამდე.

მეორე შემთხვევა. — A-მ ბანკს დაუგირავა ფასიანი ქაღალდები, სახელმწიფო სესხის ობლიგაციები ან აქციები და მათში მიიღო სესხი ნაღდი ფულით, ვთქვათ, მათი საკურსო ღირებულების ორ მესამედამდე. ამ შემთხვევაში მან მიიღო გადახდის საშუალება.

---

[91] ამის მომდევნო ადგილი დედანში ტექსტთან დაკავშირებით გაუგებარია და ფრჩხილების დახურვამდე რედაქტორის მიერ არის ხელახლა დამუშავებული. სხვაგვარ კავშირში ეს პუნქტი XXVI თავში უკვე იყო განხილული. — **ფ. ე.**

რომელსაც საჭიროებდა, მაგრამ არა დამატებითი კაპიტალი, იმიტომ რომ მან იმაზე უფრო დიდი კაპიტალღირებულება გადასცა ბანკს, ვიდრე მისგან მიიღო. მაგრამ, ერთი მხრივ, ამ უფრო დიდ კაპიტალღირებულებას იგი თავის მიმდინარე მომენტთან დაკავშირებული მოთხოვნილებისთვის გადახდის საშუალებად ვერ გამოიყენებდა, იმიტომ რომ ეს კაპიტალღირებულება დახარჯული იყო განსაზღვრულ ფორმაში სარგებლის მიღების მიზნით; მეორე მხრივ, A-ს თავისი საფუძველი ჰქონდა ეს ღირებულება გაყიდვის გზით არ ექცია პირდაპირ გადახდის საშუალებად. მის ფასიან ქაღალდებს, სხვათა შორის, ის დანიშნულება ჰქონდა, რომ სარეზერვო კაპიტალის სახით ემოქმედნათ, და *A*-მ ისინი ამოქმედა როგორც სარეზერვო კაპიტალი. მაშასადამე, A-სა და ბანკს შორის მოხდა კაპიტალის დროებითი ურთიერთგადაცემა. ასე რომ A-ს არავითარი დამატებითი კაპიტალი არ მიუღია (პირიქით!), მაგრამ, რა თქმა უნდა, მან მიიღო მისთვის საჭირო გადახდის საშუალებანი. პირიქით, ბანკისათვის ეს გარიგება იყო ფულადი კაპიტალის დროებითი მტკიცე დაბანდება სესხის სახით, ფულადი კაპიტალის გარდაქმნა ერთი ფორმიდან მეორე ფორმად, და სწორედ ასეთი გარდაქმნა შეადგენს საბანკო საქმის არსებით ფუნქციას.

მ ე ს ა მ ე შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა. — *A*-მ ბანკს თამასუქისთვის დისკონტი გააკეთებინა და აქედან, დისკონტის გამოკლებით, განსაზღვრული თანხა მიიღო ნაღდად. ამ შემთხვევაში მან ბანკს მიჰყიდა არათავისუფალი ფორმით არსებული ფულადი კაპიტალი თავისუფალი ფორმით არსებული ღირებულების თანხისთვის; თამასუქი, რომელსაც ჯერ ვადა არ გასულია, გაყიდა ნაღდ ფულად. თამასუქი ახლა ბანკის საკუთრებას შეადგენს. საქმეს სრულიადაც არ ცვლის ის, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში უკანასკნელი ინდოსანტი A ბანკის წინაშე პასუხისმგებელია თამასუქის თანხისთვის; ეს პასუხისმგებლობა მას საერთო აქვს სხვა ინდოსანტებთან და თამასუქის გამცემთან ერთად, რომლებისადმი თავის დროზე შეუძლია რეგრესს (თამასუქის გაუნაღდებლობის შემთხვევაში ანაზღაურების მოთხოვნა) მიმართოს. მაშასადამე, ეს სესხი კი არ არის, არამედ — სრულიად ჩვეულებრივი ყიდვა და გაყიდვა. A-ს არაფერი არა აქვს ბანკისთვის გადასახდელი; ბანკი თავის დანახარჯს აინაზღაურებს ვადაზე თამასუქის განაღდების გზით. ამ შემთხვევაშიაც ადგილი ჰქონდა კაპიტალის საურთიერთო გადაცემას *A*-სა და ბანკს შორის, ამასთან სრულიად ისეთს, როგორსაც ადგილი აქვს ყოველი სხვა საქონლის ყიდვისა და გაყიდვის დროს, და სწორედ ამიტომ A-ს არ მიუღია არავითარი დამატებითი კაპიტალი. მას ესაჭიროებოდა გადახდის საშუალება და მან ის მიიღო, და მიიღო მით.

რომ ბანკმა მას მისი ფულადი კაპიტალის ერთი ფორმა — თამასუქი— მეორე ფორმად — ფულად — გარდაუქმნა.

მაშასადამე, კაპიტალის ნამდვილ გასესხებაზე, მის ავანსად გაღებაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ პირველ შემთხვევაში. მეორე და მესამე შემთხვევაში — დიდი-დიდი მხოლოდ იმ აზრით, როგორც ყოველი კაპიტალის მოთავსებისას «კაპიტალის გასესხება, ავანსად გაღება» ხდება. ამ აზრით ბანკი სესხად, ავანსად აძლევს *A*-ს ფულად კაპიტალს; მაგრამ A-სთვის ეს ფ უ ლ ა დ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ა — დიდი-დიდი — იმ აზრით, რომ იგი საერთოდ მისი კაპიტალის ნაწილს შეადგენს. და იგი მას მოითხოვს და მოიხმარს არა სპეციალურად როგორც კაპიტალს, არამედ სპეციალურად როგორც გადახდის საშუალებას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონლის თვითეული ჩვეულებრივი გაყიდვა, რითაც გადახდის საშუალება მოიპოვება, კაპიტალის სესხის მიღებად უნდა ჩაგვეთვალა. — ფ. ე.}

ბანკნოტების გამომშვები კერძო ბანკისთვის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ, თუ მისი ბანკნოტები არც ადგილობრივ მიმოქცევაში რჩება და არც თვით მას უბრუნდება ანაბრების ფორმით ან ვადადამდგარი თამასუქების გადასახდელად, ეს ბანკნოტები ისეთ პირთ უვარდება ხელში, რომელთაც ბანკმა მათ სანაცვლოდ ოქრო ან ინგლისის ბანკის ბანკნოტები უნდა გადაუხადოს. ამრიგად, ამ შემთხვევაში მისი ბანკნოტების გასესხება სინამდვილეში წარმოადგენს ინგლისის ბანკის ბანკნოტების გასესხებას, ანუ, — რაც ბანკისთვის იგივეა, — ოქროს გასესხებას, მაშასადამე, მისი საბანკო კაპიტალის ნაწილის გასესხებას. ამასვე აქვს ადგილი იმ შემთხვევაშიც, როდესაც თვით ინგლისის ბანკმა ან რომელიმე სხვა ბანკმა, რომელიც ექვემდებარება კანონს ბანკნოტების გამოშვების მაქსიმუმის შესახებ, ფასიანი ქაღალდები უნდა გაყიდოს, რათა მიმოქცევიდან გამოიტანოს თავისი საკუთარი ბანკნოტები და შემდეგ ისინი ხელახლა სესხად გასცეს; ამ შემთხვევაში მისი საკუთარი ბანკნოტები მისი მობილიზებული საბანკო კაპიტალის ნაწილს წარმოადგენენ.

მიმოქცევა წმინდა ლითონურიც რომ იყოს, მაინც იმავდროულად 1) ოქროს მიქცევას შეეძლო დაეცარიელებია ბანკის საცავები (აქ ცხადია, მხედველობაშია ოქროს ის მიქცევა, როდესაც, ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი საზღვარგარეთ მიდის — ფ. ე.} და 2) რადგან ოქრო ბანკს დასჭირდებოდა უმთავრესად მარტო გადასახდელთა სალდირებისათვის (წინანდელ გარიგებათა დასამთავრებლად), ამიტომ ფასიანი ქაღალდების გირაოსქვეშ მის მიერ გაცემული სესხი შესაძლებელია ძალიან გაზრდილიყო, მაგრამ იგი ისევ მას დაუბრუნდებოდა

ანაბრების ან ვადადამდგარ თამასუქთა საფასურის გადახდის სახით; ასე რომ, ერთი მხრივ, ბანკის პორტფელში ფასიანი ქაღალდების რაოდენობის გადიდებისას, მისი ოქროს მარაგი შემცირდებოდა, მეორე მხრივ კი, იმავე თანხას, რომელსაც ბანკი წინათ იქონიებდა როგორც მესაკუთრე, ახლა იქონიებდა როგორც თავის მეანაბრეთა მოვალე და, დასასრულ, მიმოქცევის საშუალებათა საერთო მასა დაიკლებდა.

აქამდე ჩვენ ვგულისხმობდით, რომ სესხი ბანკნოტებით გაიცემა, მაშასადამე, იწვევს ბანკნოტების გამოშვების, ყოველ შემთხვევაში, დროებითს გადიდებას, თუმცა იგი მაშინვე ისევ ქრება. მაგრამ ეს არაა აუცილებელი. ქაღალდის ბილეთების ნაცვლად ბანკს შეუძლია *A*-ს კრედიტი გაუხსნას თავის დავთარში და, მაშასადმე, *A*, ბანკის მოვალე, ვითომდა მისი მეანაბრე ხდება. *A* თავის კრედიტორებს უხდის ჩეკებით ბანკის სახელზე, ამ ჩეკების მიმღები კი, თავის მხრივ, მით უხდის თავის ბანკირს, რომელიც ამათ მის სახელზე გაცემულ ჩეკებზე ცვლის clearing house-ში [ანგარიშსწორების პალატაში]. ამ შემთხვევაში ბანკნოტები სრულიად არ მონაწილეობენ, და მთელი გარიგება მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ მოთხოვნა, რომელიც ბანკმა უნდა შეასრულოს, გადაიხდება ჩეკით თვით მასზე, ხოლო მის მიერ მისაღები ნამდვილი რეკომპენსაცია მდგომარეობს საკრედიტო მოთხოვნაში *A*-ს მიმართ. ამ შემთხვევაში ბანკმა *A*-ს მისცა სესხად თავისი საბანკო კაპიტალის ნაწილი, იმიტომ რომ თავისი საკუთარი სავალო მოთხოვნები მისცა.

რამდენადაც ეს ფულადი სესხის მოთხოვნა კაპიტალის მოთხოვნას წარმოადგენს, იგი მხოლოდ ფულადი კაპიტალის მოთხოვნაა, კაპიტალისა ბანკირის თვალსაზრისით, სახელდობრ ოქროსი — საზღვარგარეთ ოქროს მიქცევის დროს — ან ეროვნული ბანკის ბანკნოტებისა, რომელთა მოპოვება კერძო ბანკისთვის მხოლოდ ეკვივალენტზე ყიდვის მეოხებით არის შესაძლებელი და რომელნიც, მაშასადამე, მისთვის კაპიტალს წარმოადგენენ. ანდა, ბოლოს, საქმე შეეხება სარგებელმომტან ფასიან ქაღალდებს, სახელმწიფო ფონდებს, აქციებს და სხვ., რომელნიც უნდა გაიყიდოს, რათა ბანკმა მიიზიდოს ოქრო ან ბანკნოტები. მაგრამ თუ ეს ქაღალდები სახელმწიფო ქაღალდებია, — ისინი კაპიტალს წარმოადგენენ მხოლოდ იმისთვის, ვინც იყიდა, ვისთვისაც ისინი წარმოადგენენ, მაშასადამე, იმ ფასს, რადაც მან ისინი იყიდა, წარმოადგენენ მის კაპიტალს, რომელიც ამ ქაღალდებშია მოთავსებული; თავისდათავად ისინი წარმოადგენენ არა კაპიტალს, არამედ უბრალო სავალო მოთხოვნებს. თუ ეს ქაღალდები ჰიპოტეკებია, — ისინი

წარმოადგენენ უბრალო მოწმობებს მომავალში მიწის რენტის მისაღებად, ხოლო თუ სხვაგვარი აქციებია, — წარმოადგენენ საკუთრების უბრალო ტიტულებს, რომლებიც უფლებას იძლევიან მომავალში ზედმეტი ღირებულების მისაღებად. ყველა ეს ნივთი ნამდვილი კაპიტალი არაა, არც კაპიტალის შემადგენელი ნაწილია და არც ღირებულებაა თავისთავად. მსგავს გარიგებათა შემწეობით შეიძლება ის ფულიც, რომელიც ბანკს ეკუთვნის, ანაბრად გადაიქცეს, ასე რომ ბანკი მესაკუთრის ნაცვლად მოვალედ იქცევა ამ ფულის მიმართ, მისი მფლობელი იქნება სხვა ტიტულის საფუძველზე. რაგინდ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ეს თვით ბანკისთვის, იგი არაფერს არ ცვლის ქვეყნის სათადარიგო კაპიტალის რაოდენობაში და ფულადი კაპიტალის რაოდენობაშიც კი. მაშასადამე, კაპიტალი აქ არსებობს მხოლოდ როგორც ფულადი კაპიტალი, და თუ იგი ნამდვილ ფულად ფორმაში არ არის, არსებობს როგორც უბრალო იურიდიული ტიტული კაპიტალის მიმართ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ს ა ბ ა ნ კ ო კაპიტალის იშვიათობას და მის გაძლიერებულ მოთხოვნას ურევენ ნ ა მ დ ვ ი ლ ი კაპიტალის შემცირებაში, კაპიტალისა, რომელიც, პირიქით, ასეთ შემთხვევებში წარმოების საშუალებათა და პროდუქტების სახით ჭარბად მოიპოვება და აწვება ბაზრებს.

ამრიგად, ძალიან მარტივად აიხსნება ის, თუ როგორ იზრდება ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, რომლებიც ბანკს აქვს უზრუნველყოფის სახით, მაშასადამე, ძალიან მარტივად აიხსნება ის, თუ როგორ შეუძლია ბანკს დააკმაყოფილოს ფულადი სესხის სულ უფრო გაძლიერებული მოთხოვნა, მიმოქცევის საშუალებათა საერთო მასის უცვლელობისას ან კლებისას. ამასთან ფულის ასეთი ნაკლებობის პერიოდებში ეს საერთო მასა ორგვარადაა განსაზღვრულ ფარგლებში დაკავებული: 1) ოქროს მიქცევის გამო; 2) ფულის როგორც უბრალო გადახდის საშუალების მოთხოვნის გამო, როდესაც გაცემული ბანკნოტები მაშინვე ბანკს უბრუნდება უკან, ან როდესაც გარიგება სრულდება სადავთრო კრედიტის საშუალებით, ბანკნოტების სრულიად გაუცემლად; როდესაც, მაშასადამე, უბრალო საკრედიტო გარიგება მოსაშუალეა იმ გადასახდელთა, რომელთა მიხედვით ანგარიშის გასწორება ოპერაციის ერთადერთ მიზანს შეადგენს. და ფულის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც იგი მხოლოდ გადასახდელთა სალდირებისათვის გამოიყენება (და კრიზისის დროს სესხს იღებენ იმისთვის, რომ გადასახდელი გაისტუმრონ, არა იმისთვის, რომ იყიდონ; იღებენ იმისთვის, რომ წინანდელი გარიგება დაასრულონ და არა იმისთვის, რომ ახალი დაიწყონ), მაშინ მისი მიმოქცე-

ვა წარმავალია, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს სალდირება არ სრულდება უბრალო საკრედიტო ოპერაციის გზით, ფულის ყოველი მონაწილეობის გარეშე; როდესაც, მაშასადამე, ფულადი სესხის ძლიერი მოთხოვნის არსებობისას, ამ გარიგებათა უამრავი მასა შეიძლება შესრულდეს მიმოქცევის გაუფართოებლად. მაგრამ მარტო ის ფაქტი, რომ ინგლისის ბანკის მიმოქცევა უცვლელი რჩება, ანდა კლებულობს კიდეც მის მიერ ფულადი სესხის გაცემის გაძლიერებასთან ერთად, სრულიადაც არ ამტკიცებს prima facie [უწინარეს ყოვლისა] იმას, — როგორც ამას გულისხმობენ ფულარტონი, ტუკი და სხვები (მათი მცდარი აზრის გამო, რომლის თანახმად ფულადი სესხი იგივეა, რაც capital on loan [სასესხო კაპიტალის], დამატებითი კაპიტალის სესხად აღება), — რომ ფულის (ბანკნოტების) მიმოქცევა მის, როგორც გადახდის საშუალების, ფუნქციაში არ მატულობს და არ ფართოვდება. რადგან ბანკნოტების, როგორც ყიდვის საშუალების, მიმოქცევა კლებულობს საქმეების შეფერხების პერიოდებში, როდესაც საჭიროა ესოდენ გაძლიერებული სესხი, ამიტომ მათი, როგორც გადახდის საშუალების, მიმოქცევა შეიძლება მატულობდეს, ხოლო მიმოქცევის საერთო ჯამი, ყიდვის საშუალებისა და გადახდის საშუალების სახით მოქმედი ბანკნოტების ჯამი, მაინც უცვლელი რჩებოდეს, ანდა მცირდებოდეს კიდეც. ბანკნოტების, როგორც გადახდის საშუალების, მიმოქცევა, როდესაც ბანკნოტები მაშინვე ისევ მათ გამცემ ბანკს დაუბრუნდება, აღნიშნული ეკონომისტების თვალში სრულიადაც არ წარმოადგენს მიმოქცევას.

თუ ფულის როგორც გადახდის საშუალების მიმოქცევა უფრო დიდი ოდენობით მოიმატებდა, ვიდრე მისი როგორც ყიდვის საშუალების მიმოქცევა დაიკლებდა, მაშინ მთელი მიმოქცევა გაიზრდებოდა, თუმცა ყიდვის საშუალების სახით მომქმედი ფულის მასა მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. და ეს ნამდვილად ასე ხდება კრიზისის გარკვეულ მომენტებში, სახელდობრ კრედიტის სრული მოშლილობის დროს, როცა შეუძლებელი ხდება არათუ საქონლისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, არამედ თამასუქების დისკონტირებაც, და როცა ძალაშია მხოლოდ ნაღდი გადახდა ანუ, როგორც ვაჭარი ამბობს: სალარო. რადგან ფულარტონს და სხვებს არ ესმით, რომ ბანკნოტების მიმოქცევა გადახდის საშუალების სახით ფულის ასეთ ნაკლებობის პერიოდებს ახასიათებს, ამიტომ მათ ეს მოვლენა შემთხვევით მოვლენად მიაჩნიათ. «ეს მაგალითები გაძლიერებული კონკურენციისა ბანკნოტების მისაღებად, კონკურენციისა, რომელიც პანიკის პერიოდებს ახასიათებს და რომელმაც ხანდახან, როგორც 1825 წლის ბოლოს, შეიძლება ბანკნო-

ტების გამოშვების უეცარი, თუმცა წარმავალი, გადიდება გამოიწვიოს, შაშინაც კი, როდესაც ოქროს მიქცევა კიდევ გრძელდება, — ეს მაგალითები, მე მგონია, არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც დაბალი სათამასუქო კურსის ბუნებრივი და აუცილებელი თანმხლებელი; მოთხოვნა ასეთ შემთხვევებში მიმოქცევის საშუალებათა (უნდა თქმულიყო: მიმოქცევის საშუალებათა როგორც ყიდვის საშუალებათა) მოთხოვნა კი არაა, არამედ განძის მოთხოვნაა, ეს არის მოთხოვნა შეშფოთებული ბანკირებისა და კაპიტალისტების მხრივ, რაც ჩვეულებრივ წარმოდგება კრიზისის უკანასკნელ აქტში (მაშასადამე, როგორც გადახდის საშუალებათა რეზერვის მოთხოვნა) ოქროს ხანგრძლივი მიქცევის შემდეგ და რაც მისი დამთავრების წინამორბედია» (Fullarton [ციტირებ. ნაწარმ.], გვ. 130).

ჩვენ უკვე ფულის, როგორც გადახდის საშუალების, განხილვისას (წიგნი I, თავი III, 3, b) გავარკვიეთ, თუ გადასახდელთა ჯაჭვის მკვეთრი გაწყვეტისას როგორ გადაიქცევა ფული საქონელთა მიმართ მარტოოდენ იდეალური ფორმიდან ღირებულების ნივთობრივ და იმავე დროს აბსოლუტურ ფორმად. ამის რამდენიმე მაგალითი იქვე იყო მოცემული, 100 და 101 შენიშვნაში. თვით ეს გაწყვეტა ნაწილობრივ შედეგია, ნაწილობრივ მიზეზი კრედიტის შერყევისა და მის თანმხლებ გარემოებათა: ბაზრების გავსების, საქონელთა გაუფასურების, წარმოების შეწყვეტისა და სხვ.

მაგრამ ცხადია, რომ ფულარტონი განსხვავებას ფულსა როგორც ყიდვის საშუალებასა და ფულს როგორც გადახდის საშუალებას შორის აქცევს მცდარ განსხვავებად currency-სა [მიმოქცევის საშუალებებსა] და კაპიტალს შორის. მაგრამ ამასაც საფუძვლად უდევს კვლავ ბანკირის დამახასიათებელი ვიწრო შეხედულება მიმოქცევაზე.

შეიძლებოდა კიდევ გვეკითხა: რისი ნაკლებობაა ამ შევიწროების პერიოდებში, კაპიტალის თუ ფულისა მის, როგორც გადახდის საშუალების, განსაზღვრულობაში? როგორც ცნობილია, ეს საკამათო საკითხია.

უწინარეს ყოვლისა, რამდენადაც ეს შევიწროება ოქროს მიქცევაში ვლინდება, — ცხადია, რომ საჭიროა სწორედ საერთაშორისო გადახდის საშუალება. მაგრამ ფული თავის განსაზღვრულობაში როგორც საერთაშორისო გადახდის საშუალება არის ოქრო თავის ლითონურ სინამდვილეში, როგორც თვითონ ღირებულებით აღსავსე სუბსტანცია, როგორც ღირებულების მასა. მასთან ერთად იგი კაპიტალია, მაგრამ არა როგორც საქონლური კაპიტალი, არამედ როგორც ფულადი კაპიტალი, კაპიტალი არა საქონლის ფორმით, არამედ

ფულის ფორმით (ამასთან, ფულისა იმ მაღალი აზრით, რომ იგი არსებობს როგორც საყოველთაო საქონელი მსოფლიო ბაზარზე). აქ დაპირისპირებულობა კი არაა ფულის როგორც გადახდის საშუალების მოთხოვნასა და კაპიტალის მოთხოვნას შორის. დაპირისპირებულობა არსებობს ფულის ფორმით მოცემულ კაპიტალსა და საქონლის ფორმით მოცემულ კაპიტალს შორის; და ის ფორმა, რომლითაც იგი აქ მოითხოვება და რომლითაც იგი მარტოდმარტო შეიძლება მოქმედებდეს, არის მისი ფულადი ფორმა.

თუ ოქროს (ან ვერცხლის) ამ მოთხოვნას მხედველობის გარეშე დავტოვებთ, არ შეიძლება იმის თქმა, რომ კრიზისის ასეთ პერიოდებში რაიმე სახით კაპიტალის ნაკლებობა იგრძნობოდეს. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არაჩვეულებრივ გარემოებებში, როგორიცაა პურის გაძვირება, ბამბის ნაკლებობა და სხვ.; მაგრამ ეს გარემოებანი ასეთ პერიოდებს აუცილებლად ან ჩვეულებრივ სრულიადაც არ ახლავს თან და კაპიტალის ასეთი ნაკლებობის არსებობა არ შეიძლება, ამიტომ, ამთავითვე გამოვიყვანოთ იქიდან, რომ ადგილი აქვს ფულადი სესხის ძლიერ მოთხოვნას. პირიქით, ბაზრები გავსებულია, წალეკილია საქონლური კაპიტალით. მაშასადამე, ეს არ არის, ყოველ შემთხვევაში, **ს ა ქ ო ნ ლ უ რ ი** კაპიტალის ნაკლებობა, რაც შევიწროებას იწვევს. **ჩვენ** ამ საკითხს **შემდგომ** ისევ დავუბრუნდებით.

«კაპიტალის» III ტომის პირველ ნაწილში მოხსენიებულ მნიშვნელოვან სახელთა საძიებელი

ა.

ანდერსონი, ადამ (Anderson, Adam) (1692 — 1765)—422.

არისტოტელე (Aristoteles) (384 — 322 ჩვ. ერამდე) — 486.

არნდი, კარლ (Arnd, Karl) (1788 — 1877) — 458.

არნდტი, კარლ — იხ. არნდი, კარლ.

ბ.

ბალზაკი, ონორე, დე (Balzac, Honoré, de) (1799 — 1850) — 50.

ბასტია, ფრედერიკ (Bastiat, Frédéric) (1801 — 1850) — 192, 436.

ბებეჯი, ჩარლზ (Babbage, Charles) (1792 — 1871) — 132, 145.

ბეზენკეტი, ჯემს უოტმენ (Bosanquet, James Whatman) (1804—1877) 468, 506.

ბელერსი, ჯონ (Bellers John) (1654 — 1725) — 363.

ბენტინკი, ჯორჯ (Bentinck, George) — 524.

ბერნალი ოსბორნ, რალფ (Bernal Osborne, Ralph) (1808 — 1882) — 174.

ბესემერი, ჰენრი (Bessemer, Henry) 1813 — 1898) — 90.

გ.

გარიბალდი, ჯუზეპე (Garibaldi,, Giuseppe) (1807—1882)—26.

გარნეი, სემუელ (Gurney, Samuel) (1786—1856) — 518, 521, 524, 529.

გეორგ III (1738 — 1820), მეფე 1760 წლიდან — 501.

გრეგი, რობერტ ჰაიდ (Greg, Robert Hyde) 1795 — 1875) — 137.

გრეი, ჯორჯ (Grey, George) (1799—1882) — 115.

დ.

დანტე, ალიგიერი (Dante, Alighieri) (1265 — 1321) 26.

დიზრაელი, ბენჯამენ (Disraeli, Benjamin) (1804 — 1881) — 525.

დიურო დე ლა მალ, ადოლფ ჟიულ სეზარ ოგიუსტ (Dureau de la Malle, Adolphe Jules César Auguste) (1777 — 1857) — 131.

ე.

ენგელსი, ფრიდრიხ (Engels, Friedrich) (1820 — 1895) — 22, 28, 88, 97, 141, 153, 156, 161, 175, 186, 194, 225, 290, 334, 381, 423, 425, 491, 516, 517, 525, 541, 552, 553, 574 575.

ეპიკურე (Epikur) (341 — 271 ჩვ. ერამდე) — 418

ვ.

ვერი, პიეტრო (Verri, pietro) (1728 — 1797) — 355.
ვესტი, ედუარდ (West, Edward) (1782 — 1828) — 307.
ვილსონი, ჯემს (Wilson, James) (1805 — 1860) — 557, 567.
ვილსონი პეტენ, ჯონ (Wilson Patten, John) (1802— 1892) — 115.
ვისერინგი, ს. (Vissering, S.) (1818 — 1888) — 404, 406.
ვოლფი, იულიუს (Wolf, Julius) (დაიბ. 1862 წ.) — 20, 22. 25.

თ.

თომას, სიდნეი ჯილკრისტ (Thomas, Sidney Gilchrist) (1850 — (1885) — 90.

ი.

იუმი, დავიდ (Hume, David) (1711— 1776) — 475.
იური, ენდრიუ (Ure, Andrew) 1778 — 1857) — 103, 132, 488.

კ.

კატონი, მარკ პორციუსი («ცენზორ» (234 — 149 ჩვ. ერამდე) — 420, 486.
კერი, ჰენრი ჩარლზ (Carey, Henry Charles) (1837 — 1879) — 145, 198, 503.
კერნსი, ჯონ ელიოტ (Cairnes, John Elliot) (1823 — 1875) — 485.
კინკეიდი, ჯონ (Kincaid, John) (1787 — 1862) — 116.
კინნირი, ჯ. გ. (Kinnear, J. G.)—558.
კისელბახი, ვილჰელმ (Kiesselbach, wilhelm) — 415.
კოკლენი, შარლ (Coquelin, Charles) (1803 — 1852) — 507.
კორბეტი, თომას (Corbet, Thomas) — 211, 217, 234, 268, 389.
კოტონი, უილიამ (Cotton, William) (1786 — 1866) — 525.

ლ.

ლექსისი, ვილჰელმ (Lexis, wilhelm) (1837 — 1914) — 11, 12, 13, 16.
ლენგე, სიმონ ნიკოლა ანრი (Linguet, Simon Nicolas Henri) (1736 — 1794) — 108.
ლიტემი, უილიამ ჰენრი (Leatham, william Henry) (1815 — 1889) — 506
ლო, ჯონ (Law, John) (1671 — 1729)— 556).
ლოიდი, სემუელ ჯონს (Loyd, Samuel Jones), ბარონი ოვერსტონი, (1796 — 1883) — 510, 528, 529, 530, 531, 534 — 535, 536, 537, 538, — 539, 541, 543, 544 — 545, 546, 547.
ლოკი, ჯონ (Locke, John) (1632 — 1704) — 445.
ლორია, ახილ (Loria, Achille) (დაიბ. 1857 წ) — 23, 23 — 24, 25, 26,
ლუთერი· მარტინ (Luther, Martin) (1483 — 1546) — 421, 438, 497, 498.

მ.

მაგონი (VI ს. ჩვ. ერამდე) — 486.
მაკ კულოხი, ჯონ რამსეი (Mac Culloch John Ramsey) (1789 — 1864)— 83, 228, 285, 303.
მალთუსი, თომას რობერტ (Malthus, Thomas Robert) (1766 — 1834) — 47, 50, 57, 60, 215, 243, 252, 500.
მარქსი, კარლ (Marx, Karl) (1818 — 1883) — 1, 2. 3, 4, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 175, 225, 227, 231, 381, 541. 551.
მაურერი, გეორგ ლუდვიგ ფონ (Maurer, Georg Ludwig von) (1790 — 1872) — 225.
მენგერი, კარლ (Menger, Karl) (1840 — 1921) — 13.
მესი, ჯოზეფ (Massie, Josephe) (გარდ. 1784 წ.) — 421, 445, 454, 457. 461, 475

მილი, ჯონ სტიუარტ (Mill, John Stuart) (1806 — 1873) — 492, 503.
მიულერი, ადამ ჰენრიხ (Müller, Adam Heinrich) (1779 — 1829) —, 451, 501, 502.
მომზენი, თეოდორ (Mommsen, Theodor) (1817 — 1903) — 415, 486-
მორგანი, ლუის ჰენრი (Morgan, Lewis Henry) (1818 — 1881) — 225.
მური, სემუელ (Moore, Samuel) (1830 — 1912) — 7.

ნ

ნესმითი, ჯემს (Nasmyth, James) (1808 — 1890) — 123.
ნიუმენი, სემუელ ფილიპს (Newman, Samuel Philipps) (1797—1842) — 354.
ნორმენი, ჯორჯ უორდ (Norman, Georg Warde) (1793 — 1882) — 525, 527, 528, 538.

ო

ოვერსტონი — იხ. ლოიდი.
ო'კონორი, ჩარლზ (O'Connor, Charles) (1804 — 1884) — 487.
ოპდაიკი, ჯორჯ (Opdyke, George) (1805 — 1880) — 458.

პ

პალმერსტონი, ჰენრი ჯონ ტემპლი, ლორდი (Palmerston, Henry John Temple, Lord) (1784—1865) — 114.
პარმანტიე, ანტუან ოგიუს ტენ (Parmantier, Antoine Augustin) (1737 — 1813) — 131.
პერეირა, ისაკ (Pereire, Isaac) (1806 — 1880) — 556.
პეტენი (Patten) — იხ. ვილსონ პეტენი.
პეტი, უილიამ (Petty, William, (1623 — 1687) — 445.
პინდარი (Pindar) (522 — 443 ჩვ. ერამდე) — 488.
პიტი, უილიამ, უმცროსი (Pitt, William, junior) (1759 — 1806) — 499, 501.
პლინიუს უფროსი (კაიოს პლინიუს სეკუნდ) (23 — 79) — 131.
პოპე, იოჰან ჰენრიხ მორიც (Poppe, Johann Heinrich Moritz) (1776 — 1854) — 425.
პრაისი, რიჩარდ (Price, Richard) (1723 — 1791) — 499, 500, 501.
პრუდონი, პიერ ჟოზეფ (Proudhon, Pierre Joseph) (1809 — 1865) — 51, 436, 437, 438, 449.

რ

რამსეი, ჯორჯ (Ramsay, George) (1800 — 1871) — 50, 57, 354, 457, 478 479.
რასელი, ჯონ, ლორდი (Russel, John, Lord) (1792 — 1878) — 524.
რიკარდო, დავიდ (Ricardo, David) (1772 — 1823) — 11, 21, 49, 58, 83, 136, 145, 227, 228, 232, 233, 252, 257, 258, 259, 285, 301, 302, 303, 306, 307, 309, 316, 329, 411, 541.
როდბერტუსი, იოჰან კარლ (Rodbertus, Johann Karl) (1805 — 1875) — 11, 176.
როშერი, ვილჰელმ (Roscher, Wilhelm) (1817 — 1894) — 286, 410, 503.

ს

საიმონი, ჯონ (Simon, John) (1816 — 1904) — 116, 117, 119, 122.
სეი, ჟან ბატისტ (Say, Jean Baptiste) (1767 — 1832) — 354.

სენიორი ნასაუ უილიამ (Senior, Nassau William) (1790—1864)— 44, 56.
სიმენსი, კარლ ვილჰელმ (Siemens, Karl Wilhelm) (1823—1883)— 90.
სმიტი, ადამ (Smith, Adam) (1723 — 1790) — 180, 243, 244, 252, 271, 286, 302, 411, 416, 419, 484, 501, 557.
სტიუარტი, ჯემს (Steuart, James) (1712 — 1780) — 461.

ტ

ტორენსი, რობერტ (Torrens, Robert) (1780 — 1864) — 50, 57, 136, 447, 448,
ტუკი, თომას (Tooke, Thomas) (1774 — 1858) — 448, 455, 467, 469, 507, 510, 526, 557, 559, 560, 561, 562, 567, 570 — 571, 578.

უ

უესტი — იხ. ვესტი.

ფ

ფელერი, ფრიდრიხ ერნსტ (Feller, Friedrich Ernest) (1800 — 1859) — 396.
ფირემანი, პეტერ (Fireman, Peter) (დაიბ. 1863 წ.) — 19, 20, 28.
ფულარტონი, ჯონ (Fullarton, John) (1780 — 1849) —510, 557, 565, 567, 568, 571, 572, 573, 578, 579.

შ

შერბულიე, ანტუან ელიზე (Cherbuliez, Antoine Elisée) (1797—1869) — 201.
შმიდტი, კონრად (Schmidt, Conrad) (1863 — 1932) — 17, 18, 22, 24, 28.
შოუ, ჯორჯ ბერნარდ (Shaw, George Bernard) (დაიბ. 1856 წ.) — 13.
შტორხი, ჰენრიხ ფრიდრიხ (Storch, Heinrich Friedrich) (1766—1835) — 232.

ჩ

ჩაილდი, ჯოზაი (Child, Josiah) (1630 — 1699) — 501.
ჩალმერსი, თომას (Chalmers, Thomas) (1780 — 1847) — 312, 555.

ჯ

ჯევონსი, უილიამ სტენლი (Jevons, William Stanley) (1835 — 1882) — 13.
ჯილბერტი, ჯემს უილიამ (Gilbart, James William) (1794 — 1863) — 429, 455, 510, 513.
ჯონსი, რიჩარდ (Jones, Richard) (1790 — 1855) — 337.

ჰ

ჰამილტონი, რობერტ (Hamilton, Robert) (1743 — 1829) — 499.
ჰუბარდი, ჯონ გელიბრანდ (Hubbard, John Gellibrand) (1805—1889) — 523.
ჰეგელი, გეორგ ფრიდრიხ ვილჰელმ (Hegel, Georg Friedrich Wilhelm) (1770 — 1831) — 61.
ჰიულმანი, კარლ დიტრიხ (Hüllmann, Karl Dietrich) (1765 — 1846) — 402, 405.
ჰოდსკინი, თომას (Hodgskin, Thomas) (1787 — 1869) — 492.
ჰორნერი, ლეონარდ (Horner, Leonard) (1785 — 1864) — 113, 115, 123, 158, 162.

შინაარსი

	გვ.
მარქსიზმ — ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისაგან . . .	III
წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის	1

წიგნი მესამე.

კაპიტალისტური წარმოების ერთობლივი პროცესი

ნაწილი პირველი.

განყოფილება პირველი.

ზედმეტი ღირებულების გარდაქმნა მოგებად და ზედმეტი ღირებულების ნორმისა — მოგების ნორმად.

თავი პირველი. ხარჯთფასი და მოგება	31
თავი მეორე. მოგების ნორმა	53
თავი მესამე. მოგების ნორმის შეფარდება ზედმეტი ღირებულების ნორმასთან	63
თავი მეოთხე. გრუნვის გავლენა მოგების ნორმაზე	89
თავი მეხუთე. ეკონომია მუდმივი კაპიტალის გამოყენებაში . . .	98
I. ზოგადი დებულებანი	98
II. შრომის პირობების დაზოგვა მუშების ხარჯზე	111
III. ეკონომია მამოძრავებელი ძალის მიღებაზე, ძალის გადაცემაზე და შენობებზე	123
IV. წარმოების ექსკრემენტების უტილიზაცია	128
V. ეკონომია გამოგონებათა მეოხებით	130
თავი მეექვსე. ფასების ცვლილების გავლენა	134
I. ნედლეულის ფასების რყევა. მისი უშუალო ვავლენა მოგების ნორმაზე	134

II. კაპიტალის ღირებულების მატება. და კლება, კაპიტალის განთავისუფლება და შებოჭვა 140
III. ზოგადი ილუსტრაცია: 1861 — 1865 წლების ბამბის კრიზისი . . 158
თავი მეშვიდე. დამატებანი 175

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე ო რ ე.

მოგების გარდაქმნა საშუალო მოგებად.

თავი მერვე. კაპიტალის სხვადასხვა შედგენილობა წარმოების სხვადასხვა დარგებში და აქედან გამომდინარე სხვაობა მოგების ნორმებში . 180
თავი მეცხრე. მოგების საერთო ნორმის (მოგების საშუალო ნორმის) ჩამოყალიბება და საქონელთა ღირებულების გარდაქმნა წარმოების ფასად 196
თავი მეათე. მოგების საერთო ნორმის გათანატოლება კონკურენციის გზით. საბაზრო ფასები და საბაზრო ღირებულებანი. დამატებითი მოგება 219
თავი მეთერთმეტე. ხელფასის საყოველთაო რყევის გავლენა წარმოების ფასებზე 254
თავი მეთორმეტე. დამატებანი 260
I. მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ წარმოების ფასის ცვლილებას . 260
II. საშუალო შედგენილობის საქონელთა წარმოების ფასი . . . 262
III. კაპიტალისტის საფუძვლები კომპენსაციისათვის 263

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე ს ა მ ე.

მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონი.

თავი მეცამეტე. კანონი როგორც ასეთი 268
თავი მეთოთხმეტე. წინააღმდეგმოქმედი მიზეზები 295
თავი მეთხუთმეტე. კანონის შინაგან წინააღმდეგობათა გაშლა . . . 306
I. ზოგადი შენიშვნები 306
II. კონფლიქტი წარმოების გაფართოებასა და ღირებულების ზრდას შორის 313
III. კაპიტალის სიჭარბე მოსახლეობის სიჭარბისას 318
IV. დამატებანი 329

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე.

საქონლური კაპიტალისა და ფულადი კაპიტალის გადაქცევა საქონლურ-სავაჭრო კაპიტალად და ფულად-სავაჭრო კაპიტალად (ვაჭრის კაპიტალად)

თავი მეთექვსმეტე. საქონლურ-სავაჭრო კაპიტალი 339
თავი მეჩვიდმეტე. კომერციული მოგება 356
თავი მეთვრამეტე. სავაჭრო კაპიტალის გრუნვა. ფასები 383
თავი მეცხრამეტე. ფულად-სავაჭრო კაპიტალი 399
თავი მეოცე. ვაჭრის კაპიტალის ისტორიიდან 409

ბ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ე ხ უ თ ე

მოგების დაყოფა სარგებლად და მეწარმის შემოსავლად. სარგებელმომტანი კაპიტალი.

თავი ოცდამეერთე. სარგებელმომტანი კაპიტალი 427

თავი ოცდამეორე. მოგების დანაწილება. სარგებლის განაკვეთი. სარგებლის განაკვეთის «ბუნებრივი» ნორმა 452

თავი ოცდამესამე. სარგებელი და მეწარმის შემოსავალი 467

თავი ოცდამეოთხე. კაპიტალისტური წარმოების გამოყოფა სარგებელმომტანი კაპიტალის ფორმით 494

თავი ოცდამეხუთე. კრედიტი და ფიქციური კაპიტალი 505

თავი ოცდამეექვსე. ფულადი კაპიტალის დაგროვება, მისი გავლენა სარგებლის განაკვეთზე 522

თავი ოცდამეშვიდე. კრედიტის როლი კაპიტალისტურ წარმოებაში . . 548

თავი ოცდამერვე. მიმოქცევის საშუალებანი და კაპიტალი; ტუკისა და ფულარტონის შეხედულებანი 557

«კაპიტალის» III ტომის პირველ ნაწილში მოხსენიებულ მნიშვნელოვან სახელთა საძიებელი 581

ფოტოილუსტრაციები

«კაპიტალის» III ტომის I ნაწილის პირველი გერმანული გამოცემის სატიტულო ფურცელი . . . . . , 5

«კაპიტალის» III ტომის I ნაწილის პირველი რუსული გამოცემის სატიტულო ფურცელი . . . . . , 15

«კაპიტალის» III ტომის I გვერდი, მარქსის ხელნაწერის ფაქსიმილე . . . 35

«კაპიტალის» III ტომის I გვერდი, მდივნის ხელით გადაწერილი და ენგელსის მიერ შესწორებული, ჩანართი გვერდის ზემოთ ენგელსის ხელით არის დაწერილი . . . . . , 41

К. МАРКС

КАПИТАЛ

ТОМ III

Часть первая

(На грузинском языке)

Государственное издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси 1959

ტექრედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორები { ნ. მიქელაძე
ე. ტრიბოლსკაია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/II-1959.
ქაღალდის ზომა 60×92 1/16. ნაბეჭდი
თაბახი 37. სააღრ.-საგამ. თაბახი 33,6.
საავტორო თაბახი 31.82. შეკვეთის № 135.
ტირაჟი 25.000.
ფასი 10 მან.

•

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

1-я типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР,
Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.